ახალი ისტორია

(მეორე პერიოდი)

წიგნი II

1900 — 1918

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1975

წიგნში განხილულია ახალი ისტორიის მეორე პერიოდის მეორე მონაკვეთი — ევროპისა და აშშ-ის ახალი ისტორია XX საუკუნის დამდეგიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე და პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე (1900-18). მეორე პერიოდის პირველ მონაკვეთს (1870—1900) ეხება 1973 წელს გამოსული „ახალი ისტორიის" პირველი წიგნი. ორივე წიგნი დაწერილია ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად და განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. წიგნი დახმარებას გაუწევს აგრეთვე საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლებს, აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, ევროპისა და აშშ-ის ქვეყნების ახალი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს. სახელმძღვანელო მომზადა სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ; ავტორები არიან: კონსტანტინე ანთაძე, გივი ბოლოთაშვილი, ვარლამ დონაძე, ვლადიმერ ივანოვი, ნოდარ კიკვაძე, გივი კიღურაძე, რევაზ ლასკარი.

წიგნს დართული აქვს რუკები ვ. მ. ხვოსტოვის რედაქციით გამოსული „ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოდან (II ხაზ.), რომლის ქართული თარგმანი გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ" 1974 წელს.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში

იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის ძირითადი ნიშნები

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალიზმი თავისი ისტორიული განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში გადავიდა. ტერმინი იმპერიალიზმი (ინგლისურად imperialism, ლათინურიდან imperium — ძალაუფლება, ბატონობა) XIX საუკუნის ბოლოს შემოვიდა ხმარებაში იმ ახალი მოვლენების აღსანიშნავად, რომლებმაც ამ დროისათვის თავი იჩინა კაპიტალიზმის განვითარებაში. მაგრამ მისი ავტორები სხვადასხვა შინაარსს აქსოვდნენ ამ ცნებაში. ზოგი მასში გულისხმობდა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურ ექსპანსიას, ზოგი კი ფინანსური კაპიტალის საქმიანობას ან ცვლილებებს კაპიტალიზმის ეკონომიურ სტრუქტურაში.

მხოლოდ ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ახალი და უკანასკნელი სტადიის არსისა და ისტორიული ადგილის ღრმამეცნიერული მარქსისტული ანალიზი. თავის დიდმნიშვნელოვან ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ ლენინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი მთავარი ნიშნები და ზუსტად განსაზღვრა ის დრო, როდესაც ძველი კაპიტალიზმი საბოლოოდ შეიცვალა ახლით, სახელდობრ XX საუკუნის დამდეგს[1] მსოფლიო ისტორიის ახალ მოვლენებთან უშუალო კავშირში ვ. ი. ლენინმა მოხაზა ის ისტორიული ჩარჩოები, როდესაც იმპერიალიზმი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ევროპასა და მის მიღმა.

„ლენინის ისტორიული დამსახურებაა, — ვკითხულობთ სკკპ ცკ თეზისებში, — ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, — იმპერიალიზმის მეცნიერული თეორიის შექმნა. მისი ბუნების, წინააღმდეგობათა, კანონზომიერებათა გამოკვლევა. იმპერია-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., IV გამ. (შემდგომში ვ. ი. ლენინის ნაშრომთა ციტირება ამ გამოცემიდან ხდება), ტ. 22, გვ. 248.

ლიზმის ანალიზი, რაც ლენინმა მოგვცა წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ და სხვა ნაშრომებში, წარმოადგენს კ. მარქსის „კაპიტალის“ იდეების განგრძობას და შემდგომ განვითარებას“ [1].

„იმპერიალიზმი, როგორც ამერიკისა და ევროპის, შემდეგ კი აგრეთვე აზიის, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სავსებით ჩამოყალიბდა 1898—1914 წლებში. ესპანეთ-ამერიკის (1898), ინგლის-ბურების (1899—1902), რუსეთ-იაპონიის (1904-05) ომები და 1900 წლის ეკონომიური კრიზისი ევროპაში — აი მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის მთავარი ისტორიული მოვლენები“ [2].

ისტორიის მომდევნო მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ყველა იმ შეხედულებისა და დასკვნის სისწორე, რაც თავის დროზე გამოთქვა ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის ეტაპზე კაპიტალიზმის ძირითად კანონზომიერებათა შესახებ.

ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშნიდან წინ წამოსწია სამი ნიშანი და კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ისტორიულ სტადიას — იმპერიალიზმს მონოპოლისტური, პარაზიტული, ანუ ლპობადი და მომაკვდავი კაპიტალიზმი უწოდა. თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით მან იმპერიალიზმის ძირითად ეკონომიურ თვისებად, მის არსად მიიჩნია და იმპერიალიზმს მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ანუ კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია უწოდა [3]; საერთოდ კი იმპერიალიზმის არსი ლენინმა განსაზღვრა ხუთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ნიშნით:

1. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის განვითარების მაღალ საფეხურზე მონოპოლიათა შექმნა, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2. საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და „ფინანსური კაპიტალის“ ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3. კაპიტალის ინტენსიური გატანა (საქონლის გატანისაგან განსხვავებით); 4. კაპიტალისტთა საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირების შექმნა (რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ) და 5. უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დედამიწის ტერიტორიული განაწილების დამთავრება [4].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1969 წლის 23 დეკემბერი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ. 23, გვ. 131.

[3] იქვე, გვ. 130.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი..., თხზ., ტ. 22, გვ. 335.

მონოპოლიები და მათი ადგილი სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებაში

კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში და მონოპოლიების აღმოცენება თანდათანობით მწიფდებოდა. ეს პროცესი დაიწყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან და პირველ მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. იმპერიალიზმის აღმოცენება მოამზადა კაპიტალიზმის წინამორბედმა ისტორიულმა განვითარებამ და მისმა გავრცელებამ მსოფლიოში. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალიზმი მხოლოდ ევროპის ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში დამკვიდრდა, მეორე ნახევარში საგლეხო რეფორმამ რუსეთში (1861), სამოქალაქო ომმა აშშ-ში (1861-65), ბურჟუაზიულმა („მეიძის") რევოლუციამ იაპონიაში (1867-68), იტალიისა და გერმანიის გაერთიანებამ შექმნა პირობები ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის მეტ-ნაკლები ტემპით განვითარებისათვის.

ძველმა, წინამონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა ევროპის მოწინავე ქვეყნებში 70-იანი წლების დამდეგისათვის თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა ისტორიული მიჯნებია, საიდანაც კაპიტალიზმი შედის თანდათანობით თავის დაცემის ფაზაში. ამავე პერიოდიდან წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, ე. ი. მსხვილ საწარმოებში წარმოების სწრაფი თავმოყრა ქმნის პირობებს მონოპოლიურ გაერთიანებათა აღმოცენებისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებას. ტელეფონისა და რადიოტელეგრაფის (1895-96) გამოგონებას, ფოლადის გამოდნობის ახალი წესების დანერგვას (ბესემერის, მარტენის, ტომასის, 1855, 1864, 1878 წწ.), ორთქლის ტურბინის შექმნას (1884-89), ავტომანქანის შიდაწვის ძრავით (1885), დიზელ-მოტორის (1896-99), თვითმფრინავის გამოგონებას (1903), ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის ტექნოლოგიის შემუშავებას, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის არნახულ განვითარებას და ა. შ. დასასრულ მონოპოლიების აღმოცენებას მძლავრი ბიძგი მისცა 1900-03 წლების მძიმე ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც ევროპის ყველა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა მოიცვა. მან გაანადგურა ათასობით წვრილი და საშუალო საწარმო, გააძლიერა საკონკურენციო ბრძოლა, მსხვილი საწარმოების მიერ შედარებით სუსტების ჩაყლაპვის პროცესი და მით დააჩქარა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. აღნიშნულმა კრიზისმა აამაღლა მონოპოლიების როლი ეკონომიურ ცხოვრებაში, გააფართოვა და განამტკიცა მათი ბატონობა.

მართალია, კაპიტალისტთა მონოპოლისტური კავშირები ან კაპიტალისტური მონოპოლიები (ტრესტები, სინდიკატები, კარტელები, კონცერნები), რომლებიც გაერთიანების მეტ-ნაკლები მასშტაბით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულისათვის აღმოცენდნენ, მაგრამ უდიდეს ძალად ისინი მხოლოდ XX საუკუნის დამდეგიდან იქცნენ. მონოპოლისტური კაპიტალის კლასიკურ ქვეყანაში — გერმანიაში, სადაც მონოპოლიები სხვა ქვეყნებზე ადრე აღმოცენდა, 1905 წლისათვის 385-ზე მეტი კარტელი იყო. ისინი აერთიანებდნენ 12 ათას საწარმოს და იძლეოდნენ მრეწველობის წამყვანი დარგების საერთო პროდუქციის 3/5-ს. ასეთები იყო, მაგალითად, რაინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატი, ზემოსილეზიის თუჯის მრეწველობის სინდიკატი, „სიმენს-გალსკეს" და ელექტროობის საყოველთაო კომპანია ელექტრომრეწველობაში და სხვ. ვ. ი. ლენინის მონაცემებით, „ამ ქვეყნის ყველა საწარმოს მთელი წარმოების თითქმის ნახევარი საწარმოთა საერთო რიცხვის ერთი მეასედი ნაწილის ხელშია"[1].

აშშ-ის მონოპოლიების აღმოცენებამ ფართო მასშტაბი მიიღო ფაქტიურად XX საუკუნის დამდეგიდან, კერძოდ 1901 წლიდან, როდესაც შეიქმნა ამერიკის ფოლადის ტრესტი, რომელიც შექმნის პირველივე წელს თავის ხელში აერთიანებდა აშშ-ის ფოლადის წარმოების 66%-ს და რკინის მადნის მოპოვების 44%-ს. მალე მსგავსი მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები აღმოცენდა წარმოების სხვა დარგებშიც. 1905 წლისათვის კაპიტალისტურ მონოპოლიებში გაერთიანებული საწარმოები იძლეოდა აშშ-ის ფოლადის გამოდნობის 70%-ს, ქვანახშირის ამოღების — 75%-ს, ნავთობის მოპოვების — 84%-ს და ა. შ.[2].

ცოტა უფრო გვიან, შედარებით ნელი ტემპით და სხვა ფორმებით, მონოპოლისტური გაერთიანებები აღმოცენდა ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთში.

მონოპოლიების აღმოცენა იყო კონკურენციის დაძლევა და მოგების მაღალი ნორმის მიღების უზრუნველყოფა. მონოპოლიური ფასების დაწესებით (ფასების ხელოვნური აწევით), ნედლეულის წყაროებისა და ტრანსპორტის საშუალებათა დაუფლებით, გამოძალვის ყველა უხეში მეთოდის მომარჯვებით მათ შეძლეს მაღალი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, თხზ.. ტ. 22. გვ. 244.

[2] რიგი საერთაშორისო მონოპოლიებისა აღმოცენდა ნედლეულის წყაროების მონოპოლიური დაუფლების მიზნით. ასეთებია, მაგალითად, სტანდარტ ოილს ნავთობის ამერიკული კომპანია და როიალ დაჩ შელის ასეთივე ინგლისური კომპანია.

მოგების მიღება. რაც შეეხება კონკურენციას, მონოპოლიებმა თუმცა შეზღუდეს იგი, მაგრამ უფრო გაამწვავეს და მაღალ საფეხურზე აიყვანეს. საკონკურენციო ბრძოლა გაიშალა როგორც მონოპოლისტურ გაერთიანებათა, ისე მონოპოლიებსა და მათ გარეშე არსებულ საწარმოებს შორის.

წინამონოპოლისტური კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, იმპერიალიზმის ეპოქაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ფინანსურ კაპიტალს. ამ ცნებაში ვ. ი. ლენინი გულისხმობდა წარმოების კონცენტრაციას, მისგან აღმოცენებულ მონოპოლიებს, ბანკების შეერთებას ან შეზრდას მრეწველობასთან [1].

XX საუკუნის დასაწყისისათვის საბანკო კაპიტალის კონცენტრაციამ მეტად მაღალ დონეს მიაღწია. აშშ-ში როკფელერისა და მორგანის ორი გიგანტური საბანკო გაერთიანება კონტროლს უწევდა ასეულ ბანკს, რომელთა კაპიტალი მილიარდობით დოლარს შეადგენდა. გერმანიაში 9 უმსხვილეს ბანკში თავმოყრილი იყო ყველა ანაბრის თითქმის ნახევარი (47%). ამ ბანკებიდან ყველაზე დიდი იყო „დოიჩე ბანკი", რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ მონაწილეობდა მასზე დამოკიდებული 30 ბანკის საქმიანობაში. საფრანგეთში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა საბანკო სამეულმა, რომელშიც შედიოდნენ „ლიონის კრედიტი", „ნაციონალური გამნაღდებელი კანტორა" და „გენერალური საზოგადოება". თითზე ჩამოითვლებოდა იმ ბანკების რიცხვიც, რომელთა ხელშიც კონცენტრირებული იყო საბანკო ოპერაციების უდიდესი ნაწილი ინგლისსა და მის კოლონიებში.

ბანკებისა და საკრედიტო საქმის გიგანტურმა კონცენტრაციამ მიანიჭა ბანკებს მანამდე არნახული უფლებები და ფუნქციები. სეიფებში თავი მოიყარა უზარმაზარმა ფულადმა სახსრებმა. ამან საშუალება მისცა მათ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ მრეწველობის წამყვანი დარგები და მსხვილ მონოპოლისტურ გაერთიანებათა თანამფლობელნი გამხდარიყვნენ. საბანკო და სამრეწველო კაპიტალთა შერწყმამ, რასაც თან სდევს საბანკო და სამრეწველო კაპიტალის კონცენტრაციის შემდგომი გაძლიერება, წარმოშვა ფინანსური კაპიტალი. სამრეწველო კაპიტალის ბატონობამ ადგილი დაუთმო ფინანსური კაპიტალის ბატონობას. მონოპოლისტური ფინანსური კაპიტალის ბატონობამ კი, თავის მხრივ, განაპირობა უმსხვილეს საბანკო და სამრეწველო მაგნატთა, ანუ ფინანსური ოლიგარქიის ბატონობა. ფინანსისტთა მცირე ჯგუფმა, რომელიც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, თხზ., ტ. 22, გვ. 282.

გაბატონებული იყო უმსხვილეს ბანკებში ან საბანკო ჯგუფებში. შეძლო თავის ხელში მოექცია კოლოსალური კაპიტალი, ასეულობა სამრეწველო საწარმო და მრეწველობის მთელი დარგები. ბანკებისა და სამრეწველო საწარმოების პირადი უნია, რაც უმთავრესად ხორციელდებოდა ბანკების დირექტორთა მონაწილეობით სამრეწველო საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, მონოპოლისტურ გაერთიანებათა, დამზღვევ საზოგადოებათა გამგეობებში, და, პირიქით, კონკურენტთა მიმართ მომარჯვებული დაშინებისა და ვერაგობის ყველა საშუალება ფინანსურ ოლიგარქიას გზას უხსნიდა კაპიტალისტური საზოგადოების მთელ ეკონომიკაზე, პოლიტიკურ ცხოვრებაზე ბატონობისაკენ. ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც მანამდე კაპიტალისტთა აღმასრულებელი კომიტეტის ფუნქციას ასრულებდნენ, ფინანსური კაპიტალის ბატონობის პერიოდში ფინანსური ოლიგარქიის სათამაშო ტიკინები, მათი პატივმოყვარე მისწრაფებების ყურმოჭრილი აღმასრულებლები გახდნენ.

შემთხვევითი არ იყო, რომ ომამდელ ისტორიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში მიუთითებდნენ: გერმანიის ბატონ-პატრონია 300 უმდიდრესი მაგნატი, საფრანგეთს განაგებს „ფინანსური ოლიგარქიის 200 ოჯახი", აშშ-ს — „1000 მულტიმილიონერი", ინგლისს კი — ფინანსური კაპიტალის „ათეული ბარონი".

„ძველი კაპიტალიზმისათვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თავისუფალი კონკურენციის სრული ბატონობით, ტიპიური იყო საქონლის გატანა. უახლესი კაპიტალიზმისათვის, მონოპოლიების ბატონობით, ტიპიური გახდა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გატანა" [1].

კაპიტალის ინტენსიური ექსპორტი კაპიტალიზმის პარაზიტიზმისა და ხრწნის პროცესის გაძლიერებისა და მისი განვითარების უთანაბრობის მკვეთრი გამწვავების მკაფიო გამოხატულება იყო. კაპიტალის მზარდი გატანა წარმოებს ერთი მუჭა მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნებიდან (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია) კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში, საერთოდ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. აშშ, რომელიც ომამდე რჩებოდა დებიტორ სახელმწიფოდ, მაინც ახერხებდა დაგროვილი კაპიტალის ნაწილის დაბანდებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში, კანადაში, ჩინეთსა და ფილიპინებზე. კაპიტალის გატანის გაძლიერების სტიმული იყო ის ზემოგება („მაქსიმალური კაპიტალისტური მოგება"), რომელსაც კრედიტორი ქვეყნებისა და ფინანსური ჯგუფების კაპიტალი იღებდა იმ ქვეყნებიდან, სადაც იგი ბანდ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 301.

ვ. ი. ლენინი

�ებოდა, განურჩევლად იმისა, თუ რა სახით ხდებოდა მისი ინვესტირება — საწარმოთა მშენებლობის, წიაღისეულის მოპოვების, რკინიგზების გაყვანისა თუ კაბალური სესხების ფორმით.

ვ. ი. ლენინის მიერ მოტანილი ცნობებით, კაპიტალის გატანამ საზღვარგარეთ გიგანტურ მასშტაბს მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს მიაღწია. ომის წინ ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი აღწევდა 175—200 მლრდ ფრანკს. ინგლისის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი 1902 წლიდან 1914 წლამდე გაიზარდა 62 მლრდ ფრანკიდან 75—100 მლრდ ფრანკამდე, საფრანგეთისა შესაბამისად — 27-37 მლრდ ფრანკიდან 60 მლრდ ფრანკამდე, გერმანიისა — 12.5 მლრდ ფრანკიდან 44 მლრდ ფრანკამდე [1].

ინგლისური კაპიტალი ძირითადად დაბანდებული იყო მის კოლონიებში, ფრანგული — ევროპაში (მაგალითად, რუსეთსა და ესპანეთში), გერმანული — უპირატესად ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ასე რომ, კაპიტალის გამტანმა ქვეყნებმა ომის წინა წლებში ფაქტიურად ურთიერთშორის გაინაწილეს მსოფლიო. „ეს მკვიდრი საფუძველია მსოფლიოს ერებისა და ქვეყნების უმრავლესობის იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის, ერთ მუჭა უმდიდრეს სახელმწიფოთა კაპიტალისტური პარაზიტიზმისათვის“ [2].

„ჭარბი კაპიტალის“ გატანის სწრაფმა ზრდამ და მისმა სარფიანმა დაბანდებამ კოლონიებსა, დამოკიდებულ ქვეყნებსა და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში კიდევ უფრო გაამწვავა მეტოქეობა და ანტაგონიზმი დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, უფრო ზუსტად, ვრცელი კოლონიების მქონე ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებსა (ინგლისი და საფრანგეთი) და ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს (გერმანია, იაპონია, აშშ) შორის.

იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო მონოპოლიების შექმნა და კაპიტალისტთა ამ საერთაშორისო კავშირების მიერ მსოფლიოს გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ურთიერთშორის განაწილება. პირველ ყოვლისა ეს ითქმის გერმანიის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის მონოპოლისტურ კავშირებზე, რომლებსაც გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდათ მსოფლიო აღებ-მიცემობაში. საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანებები (მაგალითად, ამერიკული „ფოლადის ტრესტი“, გერმანული „რაინ-ვესტ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 303.
[2] იქვე.

ფალიის ქვანახშირის სინდიკატი“ და სხვ.) ბაზრის დასაპყრობად ხშირად მიმართავდნენ დემპინგს [1]. თავიანთი ქვეყნის შიგნით სათანადო საქონელზე ფასების ხელოვნური აწევით ისინი თითქმის ორჯერ უფრო იაფად ჰყიდდნენ მას საზღვარგარეთ და ამით ასერეებდნენ კონკურენტების შევიწროებას. სხვა შემთხვევაში უდიდესი მონოპოლისტური გაერთიანებები დებდნენ შეთანხმებებს, რომელთა ძალითაც იყოფდნენ მთელ რიგ ქვეყნებს და თავიანთი მონოპოლიური გავლენის სფეროდ ხდიდნენ მათ. მაგალითად, ამერიკულმა „ჯენერალ ელექტრიკის“ ტრესტმა და გერმანულმა „ელექტრობის საყოველთაო კომპანიამ“ (A. E. g.) დადეს შეთანხმება, რომლის ძალითაც ელექტროტექნიკური ნაწარმისა და ელექტროენერგიის გასაღების ევროპული ბაზარი მონოპოლიურად ერგო გერმანულ გაერთიანებას, ამერიკული ბაზარი კი—აშშ-ის ტრესტს. მსოფლიო საგაჭრო ნაოსნობაში ასეთივე შეთანხმება დაიდო ინგლის-ამერიკულ „საზღვაო ვაჭრობის საერთაშორისო კომპანიასა“ და გერმანულ „ჰამბურგ-ამერიკისა“ და „ჩრდილოგერმანულ ლოიდის“ კომპანიებს შორის. პირველი მსოფლიო ომის წინ სულ მოქმედებდა 114 საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანება, რომლებიც ურთიერთშორის იყოფდნენ მსოფლიოს ბაზრის დიდ ნაწილს. „უახლესი კაპიტალიზმის ეპოქა გვიჩვენებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ კაპიტალისტთა კავშირებს შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობა მსოფლიოს ეკონომიური განაწილების ნ ი ა დ ა გ ზ ე...“ [2].

მაგრამ ისე როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით აღმოცენებულ მონოპოლიებს არ მოუსპიათ კაპიტალისტური კონკურენცია, არც კაპიტალისტთა საერთაშორისო კავშირების შექმნას არ შეუსუსტებია მსოფლიო ბაზარზე მანამდე არსებული კონკურენცია. ხშირად იცვლებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო მონოპოლისტურ კავშირებს შორის არსებული ძალთა თანაფარდობა, რასაც თან სდევდა შეთანხმებათა დარღვევა და მეტოქეთა ბრძოლა ბაზრებზე მონოპოლიის ხელში ჩასაგდებად. ამის კონკრეტული მაგალითია ნავთობის ორი გიგანტური გაერთიანების — ინგლისურ-ჰოლანდიური „როიალ დატჩ შელისა“ და ამერიკული „სტანდარდ ოილის“ მძაფრი ჭიდილი მექსიკის, ვენესუელის, ინდონეზიის, რუმინეთის ნავთობის წყაროები-

---

[1] დემპინგი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს საქონლის უცხო ბაზარზე ხელოვნურად შემცირებულ ფასებში გაყიდვას (ზოგჯერ თვითღირებულებაზე დაბლა). დემპინგს მონოპოლიები მიმართავენ კონკურენტთა გამოძევების მიზნით.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 318.

სა და ნავთობპროდუქტებისათვის, რომელშიც გამარჯვების საბუთი „სტანდარტ ოილისკენ“ გადაიხარა. ასეთივე მძაფრი ბრძოლა წარმოებდა „როიალ დატჩ შელსა“ და „დოიჩე ბანკის“ ნავთობის საწარმოებს შორის, რაც 1907 წელს ინგლისურ-ჰოლანდიური გაერთიანების გამარჯვებით დამთავრდა.

მონოპოლისტთა საერთაშორისო კავშირების აღმოცენებას და მათ შეთანხმებას მსოფლიოს ეკონომიური განაწილების ნიადაგზე თან სდევს მსოფლიო ბაზარზე ფასების შეუჩერებელი ზრდა (ნავთობზე, ფოლადზე, ქვანახშირზე, ელექტრომოწყობილობაზე და ა. შ.) და სათანადო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ანტაგონიზმის შემდგომი გაძლიერება.

„უახლესი კაპიტალიზმის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს უმსხვილეს მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირების ბატონობა“ [1]. ასეთი კავშირების მისწრაფება — მონოპოლიურად დაეუფლონ ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებს — მძლავრ სტიმულს აძლევს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ახალი კოლონიების დაპყრობისათვის. კოლონიებსა და კოლონიურ პოლიტიკას არასოდეს არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის, როგორც მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობის პერიოდში. კოლონიები და ნახევარკოლონიები პირველ ყოვლისა მონოპოლისტური ფინანსური კაპიტალის ხელსაყრელი დაბანდების სფეროებად გადაიქცნენ. თუმცა, ამასთან ერთად, გაღიდდა მათი როგორც სამხედრო-სტრატეგიული ბაზების, ძვირფასი ნედლეულისა და იაფფასიანი სამუშაო ძალის წარმოების, საქონლის გასაღების ბაზრების როლი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის გამალებული კოლონიური დაპყრობები აზიაში, აფრიკასა და ოკეანიაში, „თავისუფალი, უბატონო“ ტერიტორიების დატაცება, რასაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ეწეოდნენ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის ომამდელ წლებში. ისინი ამასაც არ დასჯერდნენ და გაფაციცებით გაიყვეს „გავლენის სფეროებად“ ნახევარკოლონიური დამოკიდებული ქვეყნების ახალ-ახალი ოლქები. პირველი მსოფლიო ომის წინ მსოფლიოში თითქმის აღარ იყო „უბატონო და უპატრონო“ ტერიტორია. იგი საბოლოოდ გაინაწილეს დიდმა და მცირე იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა. კაცობრიობის 56%—930-940 მილიონი კაცი ამ დროისათვის კოლონიურ და ნახევარკოლონიურ კაბალაში მოექცა.

იმპერიალიზმმა შექმნა კოლონიური სისტემა, რასაც ვ. ი. ლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 327.

ნინი თანამედროვე მონათმფლობელობის საზიზღარ სისტემას უწოდებდა. იგი დაფუძნებული იყო ერთი მუჭა მოწინავე იმპერიალისტური სახელმწიფოების ფინანსური ოლიგარქიის მიერ კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების ასეული მილიონების დამონებაზე, მათ მძიმე დაკაბალებასა და ექსპლუატაციაზე. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა იმპერიალიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად და სერიოზულ საყრდენ ბურჯად იქცა. მისი მეშვეობით კაპიტალისტთა მონოპოლისტური კავშირებისა და ფინანსური კაპიტალის ყოვლისმომცველი ძალაუფლება გავრცელდა არაკაპიტალისტური ქვეყნების მრავალმილიონიან წვრილ მწარმოებლებზე, ხელოსნებსა და გლეხობაზე. „კაპიტალიზმი გადაიზარდა ერთი მუჭა „მოწინავე" ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის კოლონიური ჩაგვრისა და ფინანსური დათრგუნვის საერთაშორისო სისტემად" [1].

1900 წლისათვის მთელი მსოფლიო (აქედან აფრიკის ტერიტორიის 9/10) არსებითად განაწილებული აღმოჩნდა. ამით, — როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, — „...დაიწყო ერა კოლონიების მონოპოლიური მფლობელობისა..." [2] მაგრამ მსოფლიო არათანაბრად იყო განაწილებული. ზოგს, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთს, დიდი ტერიტორიები ჰქონდათ დაკავებული, ზოგს კი ნაკლები (მაგალითად, გერმანია, იაპონია, აშშ ამ განაწილებით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ). ამიტომ XX საუკუნიდან მკვეთრად გამწვავდა ბრძოლა მოქიშპე სახელმწიფოებს შორის „მსოფლიოს განაწილებისა და გადანაწილებისათვის" [3].

მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლის გაშლა წარმოშობს იმპერიალისტურ ომებს, რომლებიც ასუსტებენ მასში მონაწილე ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს. ასეთი ტიპისა იყო იმპერიალიზმის ეპოქის საწყისი ომები: ესპანეთ-აშშ-ის 1898 წლის ომი, რომელიც დამთავრდა აშშ-ის გამარჯვებით და ესპანეთის ყოფილი კოლონიების (ფილიპინები, პუერტო-რიკო, გუამი) მის ხელში გადასვლით; ინგლის-ბურების 1899—1902 წწ. ომი, რვა იმპერიალისტური სახელმწიფოს 1900-01 წლების ინტერვენცია ჩინეთის წინააღმდეგ და 1904-05 წლების რუსეთ-იაპონიის ომი, რომელთაც ძირეულად შეცვალეს იმპერიალისტური სახელმწიფოების ძალთა ომამდელი თანაფარდობა შორეულ აღმოსავლეთში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 235.

[2] იქვე, გვ. 379.

[3] იქვე.

იმპერიალიზმის თავისებურებანი ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში

ლენინური თეორია იძლევა არა მარტო იმპერიალიზმისა და მისი ეკონომიური საფუძვლების ამომწურავ დახასიათებას, არამედ ზუსტ შეფასებასაც იმ კონკრეტული ნიშან-თვისებებისა და თავისებურებების, რაც ახასიათებდა იმპერიალიზმს ცალკეულ ქვეყნებში.

იმპერიალიზმის სხვადასხვა ნიშნებმა მეტ-ნაკლებად იჩინა თავი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. მაგალითად, აშშ-მა უმსხვილესი კაპიტალისტური მონოპოლიების აღმოცენების ტემპებითა და მასშტაბებით ბევრად გაუსწრო წინ სხვა ქვეყნებს. ამავე დროს მონოპოლისტურ გაერთიანებათა ძირითად ფორმად აშშ-ში გაერთიანებათა უმაღლესი ფორმა — ტრესტი იქცა. ინგლისში, პირიქით, გიგანტურ მასშტაბს მიაღწია „ჭარბი კაპიტალის“ ექსპორტმა საკუთარ უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელოებში, ნახევარკოლონიებსა და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში. კოლონიური საქმიანობა, ვრცელი კოლონიების უკეთ ათვისება, კოლონიებიდან მეტი სარგებლობის მიღება ინგლისის გაბატონებული კლასების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. კოლონიური პოლიტიკა ამ ქვეყნის ფინანსური მაგნატებისა და მათი ინტერესების დამცველი მთავრობების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად იქცა. საფრანგეთში, პირიქით, მრეწველობის ნელი განვითარების პირობებში ადგილი ჰქონდა საბანკო კაპიტალის მაღალ კონცენტრაციას. მაგრამ ფრანგული საბანკო კაპიტალი ძალზე უხალისოდ ბანდდებოდა საკუთარი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებსა და ინფრასტრუქტურის დარგებში. იგი ამჯობინებდა „მოღვაწეობას“ სავახშო სფეროში, სადაც შედარებით მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა იყო. საზღვარგარეთ ექსპორტირებული ფრანგული კაპიტალი უპირატესად სავახშო სფეროში იყო დაბანდებული. გერმანიაში, რუსეთში ან იაპონიაში იმპერიალიზმი ზოგიერთი არსებითი „ეროვნული“ თავისებურებით გამოირჩეოდა. გერმანიაში, მაგალითად, განვითარების პრუსიული გზის შედეგად, წინაკაპიტალისტური ფორმები არ ყოფილა ლიკვიდირებული. ეს ფორმები და სათანადო სოციალური ძალები — იუნკრები შეეზარდნენ კაპიტალისტურ ფორმებსა და მონოპოლისტურ ბურჟუაზიას. გერმანიის იმპერიის რეაქციული საშინაო და მკვეთრად აგრესიული ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა, პანგერმანული იდეოლოგია ამ ორი ექსპლუატატორული კლასის ანტიხალხური ბლოკის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. რუსეთში ან იაპონიაში დიდი იყო წინაკაპიტალისტურ ურ-

თიერთობათა ხვედრითი წონა ეკონომიკაში, პოლიტიკასა და ადამიანთა შეგნებაში. ამ ორი ქვეყნისათვის დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური და წინაკაპიტალისტური ფორმების ურთიერთ აღრევა და გადახლართვა.

ვ. ი. ლენინმა ამომწურავად გააშუქა იმპერიალიზმის ეს „ეროვნული" თავისებურებანი, გვიჩვენა მათი სოციალ-ეკონომიური საფუძვლები, მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი კონკრეტული ნიშნები და, ამის შესაბამისად. სათანადო კვალიფიკაცია მისცა მათ. ვ. ი. ლენინმა ინგლისის იმპერიალიზმს „კოლონიური იმპერიალიზმი" უწოდა, საფრანგეთისას—„სავახშო იმპერიალიზმი", გერმანიისას—„იუნკრულ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმი", რუსეთისას და იაპონიისას—„სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი". მოცემული ფორმულირება, რომელიც კონკრეტული ისტორიული ვითარების სრულყოფილ ანალიზს ემყარებოდა, სავსებით დაადასტურა მოვლენათა მომდევნო მსვლელობამ.

კაპიტალიზმის ლპობის ტენდენცია. პარაზიტიზმის ზრდა

ვ. ი. ლენინის განმარტებით, მონოპოლიები, როგორც კაპიტალიზმის ეკონომიური საფუძვლები, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების პირობებში წარმოშობენ მისწრაფებას ლპობისაკენ. მონოპოლიური ფასები ცალკეული ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით ბოლოს უღებენ ტექნიკისა და ყოველგვარი სხვა პროგრესის წამაკეზებელ სტიმულს და ქმნიან ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად შეჩერების შესაძლებლობას [1].

მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, ვრცელი, მდიდარი და ხელსაყრელი მდებარეობის მქონე კოლონიების მფლობელობის მონოპოლია [2] ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აძლიერებდა კაპიტალიზმის პარაზიტიზმისა და ლპობის ტენდენციებს. ტრუსტები, კარტელები, სინდიკატები, როცა მონოპოლიური ფასების დაწესებით შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მოგება, დაინტერესებულნი იღარ იყვნენ საწარმოო ძალების განვითარებით, წარმოების გაფართოებითა და ახალი ტექნიკის დანერგვით. ტექნიკის სრულყოფისა და მისი ერთ წერტილზე გაყინვის ტენდენციათა შორის მეორე ტენდენცია იმარჯვებს. ნრაველი ტექნიკური სიახლე და გამოგონება, რომლებსაც შეეძლო სრული რევოლუცია მოეხდინა შესატყვისი წარმოების დარგებში, მონოპოლიებმა აშშ-ში, გერმანიასა და

[1] ვ. ი. ლენინი. დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 22, გვ. 847—48.
[2] იქვე.

სხვა ქვეყნებში „მაუდქვეშ ამოდვეს“ და მზის სინათლე არ ანახვეს მათ. ასეთებს ეკუთვნოდა, მაგალითად, გიბრალტარის სრუტეში გიგანტური ჰიდროსადგურის მშენებლობის პროექტი, ინგლისისა და საფრანგეთის დამაკავშირებელი ლამანშის ქვეშ გვირაბის გათხრის პროექტი, საჰარის მორწყვის პროექტი და სხვ.

„საითაც არ უნდა მიიხედო — ყოველ ნაბიჯზე აწყდები ისეთ ამოცანებს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1913 წელს, — რომელთა გადაწყვეტა სავსებით შეუძლია კაცობრიობას დაუყოვნებლივ. ხელის შემშლელია კაპიტალიზმი. მან უამრავი სიმდიდრე დააგროვა — და ადამიანები ამ სიმდიდრის მონები გახადა. მან გადაწყვიტა ტექნიკის ურთულესი საკითხები — და შეაფერხა ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელება მილიონობით მოსახლეობის სიღატაკისა და უმეცრების გამო, ერთი მუჭა მილიონერთა გონებაჩლუნგი სიძუნწის გამო“ [1].

კაპიტალიზმის პარაზიტიზმი და ლპობა იმაშიც იჩენს თავს, რომ უზომოდ იზრდება მშრომელთა შრომით შექმნილი სახალხო დოვლათის არამწარმოებლური ხარჯვა ექსპლუატატორული კლასების მიერ. დღითი დღე იზრდება ექსპლუატატორული წრეების პირადი სიმდიდრე და ფუფუნება, რაც ნთქავს სახალხო შრომის ნაყოფიერების საგრძნობ ნაწილს. ამას ემატება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის არნახული გაბერვა, დიდძალი სახსრების ხარჯვა ფუფუნების საგნებზე, რეკლამაზე, სისტემატური შემცირება იმ პირთა რიცხვისა, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებულნი მატერიალური დოვლათის წარმოებაში, და მათ ხარჯზე იმ ახალი არამწარმოებელი პროფესიების მოსამსახურეთა რაოდენობის გადიდება, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა რანტიერების, ნემამულეების, დიდმოხელეების პირადი მოიმსახურება (შოფერები, ხელზე მოსამსახურეები, გასართობ დაწესებულებათა, კაფე-რესტორნების, სასტუმროების მომსახურენი. პირადი აგარაკების მეაღეები და სხვა მოსამსახურეები). ამას ემატება ზედამხედველთა, რეკლამის, ვაჭრობისა და საბანკო დაწესებულებათა მუშაკების რიცხვის მკვეთრი გადიდება და შ. მილიტარიზმის შეუნერებელი ზრდა, რომელიც ნთქავდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეროვნული შემოსავლისა და ბიუჯეტის სულ უფრო მეტ ნაწილს. ვანადგურების ახალ-ახალ საშუალებათა გამალებული წარმოება, კოლოსალური არმიების შექმნა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა, სამხედრო მრეწველობის სწრაფი ტემ-

[1] ვ. ი. ლენინი, ცივილიზებული ბარბაროსობა. თხზ., ტ. 19, გვ. 459.

პით ზრდა—ყველა ეს, აგრეთვე. კაპიტალიზმის პარაზიტიზმის მკაფიო გამოხატულება იყო.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის პარაზიტიზმისა და ხრწნის ერთ-ერთი მორიგი ნიშან-თვისებაა იმ პირთა რიცხვის ზრდა, რომლებიც ფასიანი ქაღალდების „კუპონების კრეჭით" ცხოვრობენ და რანტიეთა სახელწოდებით არიან ცნობილნი. საქმე ეხება იმათი რიცხვის არაჩვეულებრივ ზრდას, რომლებიც, ვ. ი. ლენინის თქმით, „...სრულიად ჩამოცილებული არიან მონაწილეობას რომელიმე წარმოებაში. — იმ პირთა, რომელთა პროფესიას უსაქმურობა წარმოადგენს" [1]. კაპიტალის გატანა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან კოლონიებსა და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო აძლიერებს რანტიეთა მოწყვეტას წარმოებისაგან და სათანადო სახელმწიფოებს (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია...) რანტიე-სახელმწიფოებად აქცევს. აღნიშნული ქვეყნების ბურჟუაზია და, ნაწილობრივ, შუა ფენებიც თავიანთი შემოსავლის უდიდეს ნაწილს საზღვარგარეთ ინვესტირებულ კაპიტალზე მაღალი პროცენტის მიღებით აგროვებენ. ასეთი ქვეყნები ცხოვრობენ „...ოკეანისიქითა რამდენიმე ქვეყნისა და კოლონიის შრომის ექსპლოატაციით" [2].

კაპიტალიზმის პარაზიტიზმის მორიგი გამოხატულებაა მუშათა არისტოკრატიის გაჩენა. კოლონიური ზემოგებისა და პროლეტარიატის უმრავლესობის ექსპლუატაციის გადიდება მოწინავე ქვეყნების მონოპოლისტურ ბურჟუაზიას საშუალებას აძლევს მოისყიდოს მუშათა კლასის ზედაფენა, მისცეს მას შედარებით მაღალი ხელფასი და შეუქმნას ცხოვრების შედარებით კარგი პირობები. ასეთ ვითარებაში კოლონიების ექსპლუატაციის ზრდა „მუშათა არისტოკრატიისათვის" ხელსაყრელია და იგი მხარს უჭერს საკუთარი ქვეყნის კოლონიურ პოლიტიკას. იმპერიალისტური იდეოლოგიით გაჟღენთილი მუშათა არისტოკრატია ოპორტუნიზმის, სოციალ-რეფორმიზმისა და სოციალ-შოვინიზმის საყრდენი ხდება მუშათა მოძრაობაში. გაბურჟუებული მუშების ეს ფენა, — როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, — „რომლებიც სავსებით მეშჩანური არიან თავიანთი ცხოვრების პირობებით, ხელფასის ოდენობითა და მთელი თავიანთი მსოფლმხედველობით"[3], II ინტერნაციონალის მთავარ საყრდენ ძალას წარმოადგენს, ხოლო ომის წლებში — ბურჟუაზიის მთავარ სოციალურ საყრდენს, მათ აგენტებს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი,... თხზ., ტ. 22, გვ. 348.

[2] იქვე, გვ. 349.

[3] იქვე, გვ. 239.

როზა ლიუქემბურგი

იმპერიალიზმს ვ. ი. ლენინი უწოდებდა ძმაკვდავ კაპიტალიზმს. სოციალისტური რევოლუციის წინა დღეს, „კაპიტალიზმის განსაკუთრებულ სტადიას“, როცა კაპიტალიზმის შინაგანმა წინააღმდეგობებმა მძაფრი ხასიათი მიიღო და თავი იჩინა კაპიტალიზმიდან უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობაზე გადასვლის ნიშნებმა. იმპერიალიზმი უკიდურესად აღრმავებს კაპიტალიზმისათვის იმანენტურად დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. ძველ წინააღმდეგობებთან ერთად ჰბადებს ახალს, ამწვავებს პირობებს კაპიტალიზმის საერთო კრიზისისათვის და მით ამზადებს ნიადაგს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ამ წინააღმდეგობიდან ი. ბ. სტალინი განსაკუთრებით გამოჰყოფდა სამ ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობას.

პირველი—წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. მონოპოლიებისა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობა, რასაც თან სდევს ფასების ზრდა და რეალური ხელფასის დაცემა, მკვეთრად ადიდებს მუშათა კლასის ექსპლუატაციას, აძლიერებს გაღატაკების პროცესს, რითაც ბიძგს აძლევს მათ შემდგომ გარევოლუციონერებას, ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას და მუშათა კლასს აყენებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი, უფრო გადამწყვეტი მეთოდების მომარჯვების საჭიროების წინაშე.

მეორე — წინააღმდეგობა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ნედლეულის წყაროებისათვის, ბაზრებისა და სამხედრო-სტრატეგიული ბაზებისათვის, მსოფლიოს გადანაწილებისათვის. ეს წინააღმდეგობა განაპირობებს ომების გარდუვალობას, ასუსტებს მოქიშპე იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კაპიტალისტურ სისტემას მთლიანად, რითაც აახლოებს სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობას.

მესამე—წინააღმდეგობა ერთი მუჭა იმპერიალისტურ ქვეყნებსა და კოლონიურ და ნახევარკოლონიურ ქვეყნების შორის, სადაც ცხოვრობს კაცობრიობის დიდი უმრავლესობა. ამ ქვეყნების ხალხების კოლონიური ჩაგვრისა და კაბალის გაძლიერება განაპირობებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვა-განვითარებას ჩაგრულ ხალხთა ანტიკოლონიურ ბრძოლას. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ანტიიმპერიალისტური ბრძოლა, რომელიც უკავშირდება კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლას, ასუსტებს იმპერიალიზმს და არყევს კაპიტალიზმის პოზიციებს [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1938

იმპერიალიზმის ამ წინააღმდეგობათა საფუძველი იყო კაპიტალისტური საზოგადოების უკიდურესობამდე მისული ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებასა და საზოგადოებრივი პროდუქციის კერძო მითვისებას შორის. მეცნიერებასა და ტექნიკის დაჩქარებული ტემპით განვითარების პირობებში საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობასთან ღრმა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. იმპერიალიზმი გახდა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების სერიოზული დაბრკოლება. ამ ანაქრონიზმად ქცეულ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ლიკვიდაცია საზოგადოების შემდგომი წინსვლის უპირველესი პირობა გახდა. ამიტომ, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმმა, ანუ კაპიტალიზმის მონოპოლისტურმა სტადიამ შეამზადა წანამძღვრები — კაპიტალიზმის რევოლუციის გზით მაღალი საზოგადოებრივი წყობილებით — სოციალიზმით შეცვლისათვის.

ვ. ი. ლენინმა ამ ნიშნის გამო იმპერიალიზმს მომაკვდავი კაპიტალიზმი, ანუ სოციალისტური რევოლუციის წინა დღე უწოდა.

განვითარების უთანაბრობის გამწვავება იმპერიალიზმის ეპოქაში

იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის მკვეთრი გამწვავება. მართალია, წარმოება და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის ლპობის მიუხედავად ვითარდება[1], მაგრამ ეს განვითარება მიმდინარეობს უთანაბროდ, ცალკე ქვეყნებისა და წარმოების დარგების მიხედვით. შედარებით ნელდება წარმოებ-ს ძველი დარგების (შავი მეტალურგია, ქვანახშირის ამოღება, საფეიქრო მრეწველობა და ა. შ.) განვითარება, მაშინ როდესაც სწრაფი ტემპით ვითარდება ისეთი ახალი დარგები, როგორიცაა ელექტროტექნიკური, ქიმიური, საავტომობილო, საავიაციო, კინომოწყობილობისა და ფერადი მეტალურგიის. საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის ჩამოყალიბებამ და სწრაფმა განვითარებამ მძლავრი ბიძგი მისცა ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებას, რეზინის მრეწველობას და სხვ. მილიტარიზმისა და მარინიზმის შეუჩერებელმა ზრდამ და მსოფლიო ომისათვის მზადებამ გაბატონებული

[1] მსოფლიო კაპიტალისტური მრეწველობა 1897 წლიდან 1913 წლამდე 81,8 პროცენტით გაიზარდა, რკინიგზების სიგრძე 710 ათასი კმ-დან 1014 კმ-მდე გადიდდა, ნავთობის ამოღება 20 მლნ ტ-დან 52 მლნ ტ-მდე და ა. შ.

მდგომარეობა მოუპოვა სამხედრო მრეწველობას და ხელი შეუწყო მის განვითარებას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, უმსხვილეს მონოპოლისტურ გაერთიანებათა შორის მწვავე საკონკურენციო ბრძოლა, ფინანსური მაგნატების ხარბი მისწრაფება ზემოგებისაკენ, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება და, აქედან გამომდინარე, შეიარაღების შეუნელებელი ზრდა, თავის მხრივ, სერიოზულ სტიმულს აძლევდა კაპიტალისტური წარმოების გაფართოებას. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან კაპიტალიზმი, როგორც არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ვიდრე ყველა წინამორბედ პერიოდში.

მაგრამ ეს ზრდა უფრო და უფრო ნახტომისებურია არა მარტო წარმოების ცალკეული დარგების მიხედვით, არამედ ქვეყნების მიხედვითაც. ქვეყნების ერთი ჯგუფი გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მეორე. ამის შედეგად ადგილი აქვს ერთი სახელმწიფოს მეორისათვის დაწევასა და გასწრებას, რასაც თან სდევს აძალებს იმ ქვეყნის ხელოვნური წონის მკვეთრი შეცვლა მსოფლიო წარმოებასა და აღებმიცემობაში.

მაგალითად, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ინგლისს პირველი ადგილი ეკავა მსოფლიო წარმოებაში, საფრანგეთს — მეორე. XX საუკუნის დასაწყისისათვის ამ ძველი და მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნებიდან ინგლისი მხოლოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა, საფრანგეთი კი — მეოთხე ადგილით. კაპიტალიზმის პარაზიტიზმისა და ლპობის ნიშნებმა ყველაზე მკაფიოდ სწორედ ამ ქვეყნებში იჩინა თავი. ამავე დროს დაჩქარდა ისეთი შედარებით ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპები, როგორიცაა გერმანია, აშშ, იაპონია. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო წარმოებაში ახლა აშშ-მა დაიკავა პირველი ადგილი, გერმანიამ — მეორე. ჩქარი ტემპით ვითარდება აგრეთვე იაპონია, მეფის რუსეთი, იტალია, კანადა, არგენტინა, ბრაზილია. 1890—1913 წლებში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპები უდრიდა: რუსეთში — 5,9%-ს, აშშ — 4.2%-ს, გერმანიაში — 4,2%-ს, იტალიაში — 4,1%-ს, ინგლისში — 2,2%-ს, საფრანგეთში — 2.6%-ს.

ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის ეპოქაში უთანაბრობის კანონის მოქმედების შესახებ გულისხმობს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას, მონოპოლისტური ჯგუფებისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების ერთი ჯგუფის მისწრაფებას უკვე განაწილებული ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კოლონიების გადანაწილებისაკენ, რაც მხოლოდ ძალის გამოყენებით შეი-

ლება. გავლენის ძველი სფეროების განაწილება ცალკეულ იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის ირღვევა, იგი წინააღმდეგობაშია მსოფლიო ბაზარზე შექმნილ ძალთა ახალ თანაფარდობასთან. ასეთ პირობებში „წონასწორობის“ აღდგენა გავლენის სფეროების ძველ განაწილებასა და ძალთა ახალ თანაფარდობას შორის შეიძლება მხოლოდ მსოფლიოს პერიოდული გადანაწილებით, იმპერიალისტური ომებით.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონიდან ლენინმა გააკეთა მსოფლიო-ისტორიული დასკვნა სოციალიზმის თავდაპირველად ერთ, ცალკეულად აღებულ ქვეყანაში ან რამდენიმე ქვეყანაში გამარჯვების შესახებ.

იმპერიალიზმი და პოლიტიკური რეაქცია

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ლპობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მკვეთრი მობრუნება მარჯვნივ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და მასების დემოკრატიულ მონაპოვართა თანდათანობითი ლიკვიდაცია. ფინანსური ოლიგარქია და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა მაგნატები გამოდიან როგორც უაღრესად რეაქციული ძალები, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან დემოკრატიას. ისინი ტერორისა და დიქტატურის მეშვეობით ცდილობენ დაამკვიდრონ თავიანთი ბატონობა მეტროპოლიებისა და კოლონიების მშრომელ მასებზე. მილიტარიზმის ზრდა, კლასობრივი ბრძოლისა და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავება და კოლონიზატორთა ლტოლვა — დაიმონონ და გაძარცვონ კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების რაც შეიძლება მეტი ხალხები, ხელს უწყობს ასეთი ტენდენციის განვითარებას იმპერიალიზმის პოლიტიკაში.

პოლიტიკური რეაქციის ერთ-ერთი გამოხატულებაა დემოკრატიულ ღონისძიებათა და დემოკრატიულ გარდაქმნათა შეწყვეტა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ასეთ გარდაქმნათა საჭიროება კი ჯერ კიდევ დიდი იყო, რადგან საკმაოდ შემორჩა არქაული პოლიტიკური ინსტიტუტები და ანტიდემოკრატიული საარჩევნო წესი. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები კარგავენ მოჩვენებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს და იქცევიან მონოპოლისტური ბურჟუაზიის ეგოისტური ნების უბრალო აღმსრულებლებად. არნახულად ძლიერდება სელისუფლების ცენტრალიზაცია და ბიუროკრატიზმი, იზრდება მხედრიონისა და ბიუროკრატიის გავლენა, ხოლო შესაბამისად სუსტდება პარლამენტებისა და სხვა წარმომადგენლობითი ორ-

განოების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. თახდათნობით იბლებ-ის იდეურ-პოლიტიკური სხვაობა, რაც მანამდე არსებობდა სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიათა შორის. ისინი ფაქტიურად იმუშავებენ ერთიან პოლიტიკურ პლატფორმას და ერთიანდებიან მუშათა და ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზაზე. რესპუბლიკელებისა და დემოკრატების დაახლოება აშშ-ში, ლიბერალებისა და კონსერვატორებისა—ინგლისში, ამის ნათელი ილუსტრაციაა.

პოლიტიკურ რეაქციას თან სდევს ასეთივე რეაქცია იდეოლოგიურ სფეროში — ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში: მეცნიერების ცალკეულ დარგებში თავს იჩენს დეკადენტიზმის, რეაქციულობისა და კლერიკალიზმის ტენდენციები. იმპერიალისტური ბურჟუაზია ლამობს მოისყიდოს ისტორიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ფილოსოფოსები, აქციოს ისინი იმპერიალიზმის აპოლოგეტ-მეხოტბეებად. ისინი ცდილობენ მათი მეშეეობით იდეოლოგიური ცხოვრების ყველა დარგში დანერგონ რეაქციული იდეები, გემოვნება, წარმოდგენები, გახრწნან ახალგაზრდობა და მოსახლეობის ფართო ფენები, ჩამოაშორონ ისინი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს. იმპერიალიზმის ეპოქის იდეოლოგიურ არსენალში დიდ ადგილს იკავებს სხვადასხვა რასისტული თეორიები, მაგალითად, „თეთრი რასის ტვირთისა“ და კოლონიზატორთა „ცივილიზატორული“ მისიის (აზიასა და აფრიკაში), „გერმანული რასის“ სხვა „რასებთან“ უპირატესობისა (გერმანიაში), „ანგლო-საქსური რასის“ სხვა ხალხებზე უპირატესობისა (აშშ-ში, ინგლისში), „ლათინური რასისა“ და „გალური კულტურის“ უპირატესობისა (საფრანგეთში), იაპონიის განსაკუთრებული მისიისა აზიაში (იაპონიაში) და სხვ.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის შეტევა ყველა ფრონტზე მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა მზარდ წინააღმდეგობას აწყდება. მუშათა კლასი პოლიტიკურად უფრო შეგნებულია, ორგანიზებული, უფრო დარაზმული ძალა ხდება. იგი თავის ირგვლივ შემოიკრებს გლეხობასა და წვრილ ბურჟუაზიას და მათთან ერთად ენერგიულად იბრძვის ძალადობის ყველა ფორმის, ტერორისა და დიქტატურის წინააღმდეგ, ჰეშმარიტი დემოკრატიისა და მშრომელთა ინტერესებისათვის. რუსეთის მუშათა კლასის აქტიური გამოსვლა რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე, რუსეთის 1905-07 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და „აზიის გამოღვიძება“ მშრომელთა ამ რევოლუ-

ციური აქტივობის მძლავრი გამომზეურების ნათელი გამოხატულება იყო.

იმპერიალიზმის შეფასება ბურჟუაზიულ, წვრილბურჟუაზიულ-პაციფისტურ და სოციალ-რეფორმისტულ ლიტერატურაში და მისი კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ

იმპერიალიზმის შესახებ არსებულ მრავალ თეორიათა შორის ლენინური თეორია ერთადერთი მეცნიერული და თანმიმდევრულად რევოლუციური თეორიაა.

იმპერიალიზმის ჩვენ მიერ ზემოთ გადმოცემულ ლენინურ თეორიას უპირისპირდება ათეული ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური, წვრილბურჟუაზიულ-პაციფისტური, სოციალ-რეფორმისტული თეორიები. მათი ერთი ნაწილი შეიქმნა ვ. ი. ლენინის ნაშრომის გამოქვეყნებამდე, მეორე — მის შემდეგ.

ამ თეორიებს, მათ შორის არსებული სხვადასხვაობის მიუხედავად, ბევრი რამ აქვს საერთო. არც ერთი მათგანი არ არის ჭეშმარიტად მეცნიერული, არ იძლევა იმპერიალიზმის ყველა მხარის დაწვრილებით აღწერილობას. ისინი ერთმანეთისგან აშორებენ იმპერიალიზმის ეკონომიურ საფუძვლებსა და მის პოლიტიკას, არ ააშკარავებენ მის მახინჯ მხარეებს, არ მიიჩნევენ იმპერიალიზმს კაპიტალიზმის უკანასკნელ ეტაპად და იმპერიალიზმის ანალიზიდან არ აკეთებენ საჭირო რევოლუციურ დასკვნებს.

იმპერიალიზმის ცრუმეცნიერულ ანტიმარქსისტულ თეორიათა შორის ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით გამოჰყოფდა იმპერიალიზმის ბურჟუაზიულ აპოლოგეტიკას. იგი ჯერ ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა (კეინსი, შულცე-გევერნიცი...) შექმნეს, შემდეგ კი განავითარეს ყველა ჯურის ოპორტუნისტებმა.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები ქება-დიდებას ასხამენ იმპერიალიზმს და მას „ორგანიზებულ კაპიტალიზმს“ უწოდებენ. მათი შეხედულებით, კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა — ტრესტებმა, კარტელებმა, სინდიკატებმა, კონცერნებმა — ბოლო მოუღეს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ანარქიულობას, წესრიგი დაამყარეს მის შიგნით. მათი შეხედულებით, იმპერიალიზმით დაიწყო კაპიტალიზმის ახალი, ხანგრძლივი ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია კაპიტალიზმის ანარქიულობისა და წინააღმდეგობათა დაძლევა, შრომასა და კაპიტალს შორის სრული სოლიდარობის დამყარება, საერთაშორისო კონფლიქტების ლიკვიდაცია. იმპერიალიზმის აპოლოგეტი მეცნიერები და პუბლიცისტები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი აშკარად, ცინიკურად აქებენ იმპერიალიზმს, ხოტბას ასხამენ მის მა-

ხინჯ, ანტიხალხურ მხარეებს, მეორენი კი ამას აკეთებენ შენიღბულად, გადაკვრით.

ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იმპერიალიზმის აპოლოგეტთა ცრუ შეხედულება: მან კონკრეტული ფაქტებით ნათელყო „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ სრული უაზრობა. ლენინის შეხედულებით, მონოპოლისტური გაერთიანებანი არა თუ არ სპობენ კონკურენციას, არამედ კიდევ უფრო ამწვავებენ მას. იმპერიალიზმმა უკიდურესად გააღრმავა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი კაპიტალისტური განვითარებისათვის ნახტომისებური ხასიათის მიცემით, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მისწრაფებით წარმოშობილი ღრმა ანტაგონიზმით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, რასაც თან სდევს მილიტარიზმის გაძლიერება და იმპერიალისტური ომების აღმოცენება. იმპერიალიზმმა შექმნა პირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. „ბურჟუაზიული მეცნიერება იმპერიალიზმის შესახებ, — წერდა ვ. ი. ლენინი. — არაგულწრფელია, იგი მიისწრაფვის მიჩქმალოს საქმის არსი, დაჩრდილოს ტყე ხეებით“ [1].

II ინტერნაციონალის რიგებში იმპერიალიზმის აპოლოგეტიკამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი გერმანული სოციალ-ოპორტუნისტის ჰაინრიხ კუნოვის შეხედულებებში. ვ. ი. ლენინი მას უწოდებდა იმპერიალიზმისა და ანექსიების გერმანულ აპოლოგეტს, რომელიც უხეშად და ცინიკურად მსჯელობდა: რაკი იმპერიალიზმი არის თანამედროვე კაპიტალიზმი, კაპიტალიზმის განვითარება კი აუცილებელია და პროგრესული, მაშასადამე, იმპერიალიზმი პროგრესულია, „მაშასადამე, საჭიროა მონურად ქედის მოხრა იმპერიალიზმის წინაშე და მისი ქება-დიდება“ [2].

იმპერიალიზმის აპოლოგიის სახესხვაობაა რასიზმი, შოვინიზმი და ყველა სხვა კაცთმოძულე მოძღვრება — პანგერმანიზმი, პანამერიკანიზმი, პანანგლოსაქსიზმი, იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკის „ცივილიზატორულ“ მისიად გასაღება და სხვ.

ომის შემდეგ „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორია განავითარა ავსტრომარქსისტმა რუდოლფ ჰილფერდინგმა, რომელმაც, კაუცკის მსგავსად, ომის დროს განიცადა 180 გრადუსიანი მობრუნება მარჯვნივ. თავის დროზე კი 1910 წელს ვენაში გამოსულ მის ნაშრომს „ფინანსური კაპიტალი“, იმ შეცდომათა მიუხედავად, რასაც აკტორი უშვებდა ფულის თეორიისა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხში,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი..., თხზ.. ტ. 22. გვ. 241.

[2] იქვე, გვ. 340.

ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის ფრიად ძვირფასი თეორიული ანალიზი უწოდა[1]. „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორიას საბჭოთა კავშირშიც გამოუჩნდნენ დამცველები, კერძოდ მემარჯვენე გადახრის ლიდერის ბუხარინის სახით.

„ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ნაირსახეობაა კარლ კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“ თეორია. კაუცკიმ იმპერიალიზმი განსაზღვრა ცალმხრივად, არამარქსისტულად. მან იმპერიალიზმში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, დაინახა მხოლოდ პოლიტიკური მხარე — მისწრაფება ანექსიებისადმი, მაშინ როდესაც მთავარია ეკონომიური მხარე. საფუძველი[2]. კაუცკის იმპერიალიზმი არ მიაჩნია კაპიტალის უკანასკნელ სტადიად. მისი შეხედულებით, კაპიტალიზმი იმპერიალიზმის შემდეგაც განვითარდება, სანამ არ მიაღწევს ულტრაიმპერიალიზმს, ე. ი. ისეთ საფეხურს, როდესაც კაპიტალისტური მონოპოლიები გაერთიანდება ერთიან მსოფლიო იმპერიალისტთა გაერთიანებაში. ბოლო მოეღება კაპიტალისტთა შორის ბრძოლას და შეწყდება ომები.

ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა იმპერიალიზმის კაუცკიანური თეორია. „ულტრაიმპერიალიზმი“, ლენინის თქმით, ისეთივე სისულელეა და მკვდარი აბსტრაქცია, როგორც, მაგალითად, „ულტრამიწათმოქმედების თეორია“[3]. იგი იმპერიალიზმის აპოლოგეტების წისქვილზე ასხამს წყალს, ოპორტუნისტულია, ჩქმალავს და აფუჩეჩებს იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს, მარქსიზმის ნაცვლად ბურჟუაზიულ რეფორმიზმს ავითარებს. როგორც ცნობილია, კაუცკისა და II ინტერნაციონალის სხვა ლიდერების მიერ იმპერიალიზმის შენიღბულმა დაცვამ ისინი ლოგიკურად მიიყვანა როგორც პროლეტარული რევოლუციის უარყოფამდე, ისე პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ყაჩაღური არსის მიჩქმალვამდე.

იმპერიალიზმის წვრილბურჟუაზიულ-რეფორმისტული კრიტიკოსებიც იმპერიალიზმის შეფასებაში არათანამიმდევარნი არიან. ისინი ფორმალურად, ზოგჯერ მკაცრად ჰვმობენ იმპერიალიზმს, სამართლიანად მიუთითებენ მის ცალკეულ მახინჯ მხარეებზე. მაგრამ ამაზე შორს არ მიდიან და არ გამოჰყავთ საჭირო დასკვნები. ამ ჯურის მეცნიერებს ეკუთვნოდა ინგლისელი მოაზროვნე ჯ. ა. ჰობსონი, რომლის წიგნს იმპერიალიზმის შესახებ[4] მაღალ შეფასებას აძლევ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. იმპერიალიზმი.... თხზ.. ტ. 22, გვ. 241.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. დასაბ. ნაშრ.. თხზ., ტ. 22, გვ. 337.

[3] იქვე, გვ. 241.

[4] იგი 1902 წელს დაიბეჭდა ლონდონსა და ნიუ-იორკში „იმპერიალიზმის“ სახელწოდებით.

და ვ. ი. ლენინი. როგორც ცნობილია, ამ წიგნის მდიდარი და საფუძვლიანი მონაცემები ლენინმა თავის წიგნზე მუშაობისას გამოიყენა მთელი ყურადღებით. ჰობსონმა, წერდა ვ. ი. ლენინი, მოგვცა „...იმპერიალიზმის ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისებურებათა ძალიან კარგი და საფუძვლიანი აღწერილობა“ [1]. ჰობსონის ტიპის წვრილბურჟუაზიულ მოაზროვნეებს, რომლებიც იმპერიალიზმის ცალკეული მხარეების შეფასებაში სწორ აზრს ავითარებდნენ, არ სურდათ საჭირო ნაბიჯი გადაედგათ წინ, ეცნოთ მუშათა კლასის დიდი ისტორიული მისია და ელიარებინათ სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობა. ისინი ოცნებობდნენ კაპიტალიზმის შელამაზებაზე, მისი მახინჯი მხარეების დაძლევაზე ზედაპირული რეფორმებისა და პარლამენტური დემოკრატიის გზით. კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვის აღიარების ნაცვლად ისინი ქიმერებს ეპოტინებოდნენ და იმპერიალიზმამდელი „პატიოსანი“ კონკურენციის აღდგენაზე, კაპიტალიზმის „გაპატიოსნებაზე“ ოცნებობდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წინ, ომისა და მომდევნო წლებში II ინტერნაციონალის რიგებშიც ბევრი ფიქრობდა, წვრილბურჟუაზიული რეფორმისტების მსგავსად, კაპიტალიზმის მახინჯი მხარეების დაძლევასა და იმპერიალისტური ჩაგვრის შესუსტებას სოციალური კანონმდებლობით, რეფორმების საშუალებით, გაურბოდნენ რა „უკიდურეს ზომებს“ — სოციალისტური რევოლუციის აქტს.

იმპერიალიზმის შესახებ მცდარ შეხედულებას ავითარებდა მემარცხენე გერმანელი სოციალ-დემოკრატი როზა ლუქსემბურგიც. კაპიტალისტურ სამყაროს იმპერიალიზმის ეპოქაში იგი ჰყოფდა „კაპიტალისტურ“ და „არაკაპიტალისტურ“ სფეროებად. პირველში იგი გულისხმობდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. მეორეში — კოლონიებს, ნახევარკოლონიებს, ყველა სუსტად განვითარებულ ქვეყანას. რომელთა ძარცვითაც მდიდრდებოდნენ „კაპიტალისტური“ სფეროს ქვეყნები. იგი ფიქრობდა, რომ იმპერიალიზმი იარსებებს მანამ, ვიდრე იარსებებს „არაკაპიტალისტური“ სამყარო. მაგრამ მისი ავტომატური კრახი მოხდება მაშინვე, როგორც კი ამ სამყაროს ქვეყნები დაკარგავენ თავიანთ აგრარულ სახეს. როგორც ვ. ი. ლენინმა ცხადყო, ეს შეხედულება აშკარად მცდარია, მცდარ ორიენტაციას აძლევდა მუშათა კლასს. აზრი კაპიტალიზმის ავტომატური კრახის შესახებ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. იგი აფუჩეჩებს მუშათა კლასის. როგორც სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორის. კაპიტალიზმის მესაფლავის როლს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ. თხზ., ტ. 22, გვ. 241.

გერმანია 1897—1914 წლებში

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე გერმანიის კაპიტალიზმმა მონოპოლისტური ხასიათი მიიღო. იმპერიალიზმის განვითარებას თავისებური დაღი დაასვა იმ გარემოებამ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია აქ მარცხით დამთავრდა. გერმანიის იმპერიალიზმი უკიდურესად რეაქციული იყო. საერთო ეკონომიური ინტერესების ბაზისზე წარმოქმნილი იუნკრებისა და მსხვილი ბურჟუაზიის კავშირი პრუსიულ-გერმანული იმპერიალიზმის კლასობრივ საფუძვლად გადაიქცა.

გერმანიის ეკონომიური განვითარება XX საუკუნის დამდეგს

გერმანია XX საუკუნის დასაწყისშიც ინარჩუნებდა ეკონომიური განვითარების მაღალ ტემპებს. 1914 წლამდე თუჯის წარმოება გერმანიაში გაიზარდა 8,5 მლნ ტონიდან 19,3 მლნ ტონამდე, ფოლადის — 5,6 მლნ ტონიდან 18,3 მლნ ტონამდე, ხოლო ქვანახშირის მოპოვება — 109.3 მლნ ტონიდან 190,1 მლნ ტონამდე. საძრეწველო წარმოების მოცულობით გერმანიამ გაუსწრო ინგლისს და პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში. მრეწველობის ასეთ განვითარებას ხელი შეუწყო წარმოების ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლამ, მუშახელის შედარებითმა სიიაფემ და ᲐᲮᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲬᲘᲚᲐᲓ გერმანიის მილიტარიზმის, არმიის გაზრდილმა მოთხოვნილებებმა.

გარდაიქმნა გერმანიის ეკონომიური სტრუქტურაც. წარმოიშვა უმსხვილესი მონოპოლისტური გაერთიანებები, რომლებიც ხშირად წარმოების მთელ დარგებს აკონტროლებდა. მაგალითად, XIX საუკუნის 90-იან წლებში წარმოქმნილი რაინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატი პირველი მსოფლიო ომის წინ აკონტროლებდა გერმანიის ქვანახშირის მოპოვების 50 პროცენტზე მეტსა და რურის ქვანახშირის მოპოვების 95 პროცენტს. 1904 წელს შეიქმნა ფოლა-

დის, ხოლო 1910 წელს რკინის სინდიკატი, რომლებიც კრუპისა და ტისენის კონცერნებთან ერთად მეტალურგიაში ბატონობდნენ. ელექტროტექნიკური მრეწველობას ფაქტიურად განაგებდა ორი გიგანტური კონცერნი: „ელექტრობის საყოველთაო საზოგადოება“ („აეგ“) და „სიმენს-გალსკე და შუკერტი“. ანალოგიური მდგომარეობა იყო მრეწველობის სხვა დარგებშიც.

აშშ-ის გარდა მონოპოლიები არსად არ ვითარდებოდა ისე სწრაფად, როგორც გერმანიაში. მაგალითად, 1905 წელს აქ იყო 385 კარტელი, რომლებიც 12 ათასამდე საწარმოს აერთიანებდა. ხოლო 1911 წელს მათმა რაოდენობამ 600-ს მიაღწია. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ გერმანია, „მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის ნიმუში... ბევრნაირად, ტექნიკისა და წარმოების მხრივ და პოლიტიკურად უფრო დაბლა იდგა, მაგრამ ფინანსური კაპიტალიზმის ორგანიზებულობის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევის მხრივ — გერმანია ამერიკაზე მაღლა იდგა“ [1].

(სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა.) 1909 წლიდან 1913 წლამდე ექსპორტი 60 პროცენტით გაიზარდა. (მნიშვნელოვანი იყო გერმანიის მონაწილეობა საერთაშორისო მონოპოლისტურ გაერთიანებებში, რომელთა რაოდენობა 100-მდე გაიზარდა.

სწრაფად მიმდინარეობდა კონცენტრაციის პროცესი საბანკო საქმეშიც. ომის წინ ბერლინის ცხრა უდიდესი ბანკის ხელთ იყო საბანკო ანაბრების თითქმის ნახევარი. (გაიზარდა გერმანული კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.) 1914 წელს გერმანულმა კაპიტალდაბანდებებმა საზღვარგარეთ 35 მლრდ მარკა შეადგინა — დიდი ბრიტანეთის კაპიტალდაბანდებათა თითქმის ნახევარი.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისისთვის ეკონომიური ძალაუფლება და უზარმაზარი პოლიტიკური გავლენა კონცენტრირებული იყო ფინანსური ოლიგარქიის სამასამდე წარმომადგენლის ხელში. ესენი იყვნენ: ა. ტისენი, გ. კრუპი, ე. კირდორფი, ძმები მანესმანები და სხვ. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტების ჯგუფს „... დაუპირისპირდა კაპიტალისტების მეორე ჯგუფი, კიდევ უფრო მტაცებლური, კიდევ უფრო ყაჩაღური — ჯგუფი კაპიტალისტებისა, რომლებიც კაპიტალისტური ხორა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მოხსენება პარტიული პროგრამის შესახებ 19 მარტს. რკპ/ბ, VIII ყრილობა, 1919 წ. 18—23 მარტი, თხზ., ტ. 29, გვ. 187.

გით გაწყობილ მაგიდასთან მოვიდნენ მაშინ, როდესაც ადგილები უკვე დაკავებული იყო, მაგრამ რომლებმაც ბრძოლაში შეიტანეს კაპიტალისტური წარმოების განვითარების ახალი ხერხები, უკეთესი ტექნიკა, უბადლო ორგანიზაცია, რომელიც ძველ კაპიტალიზმს, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს აქცევს გიგანტური ტრესტების, სინდიკატების, კარტელების კაპიტალიზმად. ამ ჯგუფმა შემოიტანა საწყისები კაპიტალისტური წარმოების გასახელმწიფოებრიობისა, კაპიტალიზმის გიგანტური ძალის სახელმწიფოს გიგანტურ ძალასთან ერთ მექანიზმად შეერთებისა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს აყენებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთი ორგანიზაციის სამსახურში“ [1].

გერმანიის სახალხო მეურნეობა, სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად, უთანაბროდ ვითარდებოდა. ეკონომიური აღმავლობის პერიოდებს ცვლიდა სამრეწველო ჭარბწარმოების კრიზისები. მიუხედავად ამისა, (XX საუკუნის დასაწყისში გერმანია გიგანტური ეკონომიური ძლიერების სახელმწიფოდ გადაიქცა. 1913 წლისათვის გერმანიას სამრეწველო წარმოების მოცულობით (16%) მეორე ადგილი ეკავა მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ (36%).)

გერმანიის იმპერიალისტური პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან დიდი კოლონიური იმპერიის შექმნა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად იქცა. (გერმანიის მმართველმა წრეებმა დასვეს საკითხი მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილების შესახებ. გერმანიის იმპერიალიზმის ყველაზე უფრო რეაქციულმა წარმომადგენლებმა დააარსეს სპეციალური ორგანიზაცია ფართო დაპყრობების პროპაგანდისათვის — ე. წ. „პანგერმანული კავშირი“. კავშირი მოითხოვდა ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის კოლონიების, საფრანგეთის სასაზღვრო რკინისმადნიანი რაიონების, მთელი ბელგიის, ნიდერლანდების, სკანდინავიური ქვეყნებისა და თვით გერმანიის მოკავშირის— ავსტრია-უნგრეთის დაპყრობას. პანგერმანისტებს სურდათ წაერთვათ რუსეთისათვის ბალტიისპირეთი, დაეპყროთ პოლონეთი; ხოლო ყველაზე აგრესიულნი უკრაინისა და კავკასიის დაპყრობაზეც ოცნებობდნენ. აქედან მათ უნდოდათ გაეწვდინათ ხელი ბრიტანეთის ინდოეთისაკენ. პანგერმანისტების გეგმებში ამერიკის დაპყრობაც შედიოდა.)

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ომი და რევოლუცია, თხზ., ტ. 24, გვ. 465.

ამ გზაზე გერმანიის ინტერესები სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებს ეჯახებოდა. (XX საუკუნის დასაწყისში გერმანია ფლობდა კოლონიურ იმპერიას, რომელშიც 2,9 მლნ კვ კმ ტერიტორია და 12,3 მლნ მოსახლეობა შედიოდა.) გერმანიის კოლონიური იმპერია ძალზე მწირი იყო ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიურ იმპერიებთან შედარებით. ეს უბიძგებდა გერმანიის იმპერიალიზმს საგარეო-პოლიტიკური ექსპანსიონიზმის მკვეთრი გაძლიერებისაკენ.

ემზადებოდა რა მომავალი ომისათვის მსოფლიოს გადასანაწილებლად, რასაც მისი შეჯახება უნდა გამოეწვია „ზღვათა მეუფესთან" — ინგლისთან, (გერმანიამ დაიწყო ძლიერი ფლოტისა და სამხედრო-საზღვაო ნაგებობათა მშენებლობა.) ფლოტის მშენებლობის სულის ჩამდგმელები იყვნენ თვით იმპერატორი ვილჰელმ II და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ადმირალი ალფრედ ფონ ტირპიცი. (რისინი იმედოვნებდნენ, რომ ძლიერი ფლოტის მუქარით დაიყოლიებდნენ ინგლისს დათმობებზე.) 1906-08 წლებიდან გერმანია-ინგლისის საზღვაო შეჯიბრმა გამალებული ხასიათი მიიღო, ინგლის-გერმანიის ინტერესები განსაკუთრებით მკვეთრად შეეჯახნენ ურთიერთს. საბოლოო ჯამში მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს პირველი მსოფლიო ომის დაწყებაში.

გერმანიის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჰოჰენლოეს კანცლერობის დროს დაიწყო, კიდევ უფრო გაძლიერდა ბერნჰარდ ფონ ბიულოვის კანცლერობის პერიოდში (1900-09).

აფრიკის განაწილების შემდეგ გერმანელები თავს „გაძარცულად" თვლიდნენ. ამიტომ, იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს შეეცვლათ ეს „დანაკარგი" ახლო აღმოსავლეთში ტერიტორიების დაპყრობით. მათს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა წიაღისეულით მდიდარი თურქული პროვინციები მცირე აზიაში. გერმანიის იმპერიალისტური მისწრაფებები სლავი ხალხების, რუსეთის ტერიტორიებისა და, აგრეთვე, თურქეთის აზიური სამფლობელოების მიმართ წარმოადგენდა ცნობილი „აღმოსავლეთისაკენ შეტევის" („დრანგ ნახ ოსტენ") პოლიტიკის გამოცხადებას.

(1898 წელს კაიზერი ვილჰელმ II თითქოს „წმინდა აღვილების" ნახვის მიზნით პალესტინაში გაემგზავრა. იქ მან სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც თავისი თავი მსოფლიოს 300 მილიონიანი მუსლიმი მოსახლეობის მეგობრად და დამცველად გამოაცხადა. ამ მგზავრობის დროს ვილჰელმ II მოელაპარაკა სულთანს გერმანელი კაპიტალისტებისათვის კონცესიის გადაცემაზე ე. წ. ბაღდადის რკინიგზის ასაშენებლად — ბოსფორიდან მცირე აზიისა და მესოპოტამიის გავლით სპარსეთის ყურემდე. ამ რკინიგზას კოლოსალური სტრატეგიული

მნიშვნელობა უსდა ჰქონოდა, რადგან იგი შეაერთებდა ბერლინს სპარსეთის ყურესთან. ხელშეკრულება თურქეთთან საბოლოოდ გაფორმდა 1903 წელს. რკინიგზის მშენებლობა ძალიან ხელსაყრელი იყო გერმანელი კაპიტალისტებისათვის:)მათ მიიღეს უზარმაზარი დაკვეთები ლინდაგებზე, ვაგონებზე, ორთქლმავლებზე. გერმანელი ბანკირები დიდძალ კაპიტალს ამ მშენებლობაში აბანდებდნენ.

1897 წელს გერმანიის იმპერიალისმმა, როგორც ცნობილია, წაართვა ჩინეთს ცზიაო-ჩეოუს ყურე. ინგლის-ბურების ომის დროს გერმანიამ ისარგებლა ინგლისის სიძნელეებით და აიძულა იგი სამოას კუნძულების ნაწილი გერმანულ სამფლობელოებად ეცნო. გერმანია ცდილობდა მიეღო სხვა კოლონიური დათმობებიც.

(XX საუკუნის დასაწყისში იმპერიალისტებმა ახალი ნაბიჯები გადადგეს თავიანთი კოლონიური სამფლობელოების გასაფართოებლად. პანგერმანისტები გამოდიოდნენ მაროკოს განაწილების მოთხოვნებით.)გერმანიას ურდა ეყარად მოეკიდებინა ფეხი ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე და პრეტენზიას აცხადებდა აგადირის ნავსადგურზე მაროკოში.(მაგრამ აქ გერმანელ იმპერიალისტთა ინტერესები ეჯახებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებს. საფრანგეთი, რომელიც აფართოებდა თავის სამფლობელოებს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე, სულ უფრო უახლოვდებოდა მაროკოს.

1905 წელს გერმანიამ ოფიციალური ნოტა გაუგზავნა დიდი სახელმწიფოების მთავრობებს. იგი მოითხოვდა მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია მაროკოს საკითხის გადასაწყვეტად. გერმანიის დიპლომატიის მოქმედება იმ გაანგარიშებაზე იყო აგებული, რომ რუსეთი იაპონიასთან ომით იყო დასუსტებული, ხოლო საფრანგეთი ვერ გაბედავდა გერმანიის წინააღმდეგ მარტო გამოსვლას. მართლაც, პარიზში დათანხმდნენ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე. რათა თავიდან აეცილებინათ შეიარაღებული კონფლიქტი. მაგრამ საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც 1906 წელს ალსესირაში (ესპანეთი) მოიწვიეს, გერმანიისათვის არახელსაყრელი დადგენილებები გამოიტანა. თითქმის ყველა ქვეყნის მხარდაჭერით, მათ შორის გერმანიის მოკავშირე იტალიისაც, საფრანგეთმა მიიღო უპირატესი უფლებები მაროკოში.

ანის შემდეგ გერმანიის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზნად გადაიქცა მისწრაფება „გულითადი ანტანტის" — ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირის გათიშვისაკენ. გერმანიის დიპლომატია ცდილობდა თავის მხარეზე გადმოებირებინა ხან რუსეთი, ხან ინგლისი, რომელსაც 1909-12 წლებში ნეიტრალი-

ტეტის შესახებ ხელშეკრულებასაც სთავაზობდა, მაგრამ ამგვარმა პროვოკაციულმა პოლიტიკამ წარმატება ვერ მოუპოვა გერმანიას.

1911 წლის ზაფხულში, საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების პირობებში, გერმანიის იმპერიალიზმი კოლონიური სამფლობელოების მოპოვების ახალი პრეტენზიებით გამოვიდა. 1911 წელს ფრანგების მიერ მაროკოს დედაქალქის დაკავებასთან დაკავშირებით საფრანგეთსა და გერმანიას შორის წარმოიშვა მაროკოს მეორე კრიზისი. გერმანიის მთავრობამ მაროკოს წყლებში გააგზავნა თავისი საკანონერო გემი „პანთერა" („ავაზა"). ურთიერთობა გერმანიასა და საფრანგეთს შორის გამწვავდა. მხოლოდ მაშინ, როცა მეფის რუსეთმა თავისი მოუმზადებლობის გამო უარი თქვა ანტანტის მხარდასაჭერად გამოსვლაზე, ინგლისი და საფრანგეთი მაროკოს კონფლიქტის მოწესრიგებას შეუდგნენ.

მაროკოს მეორე კონფლიქტის შემდეგ საერთაშორისო ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. მსოფლიო ომის საშიშროება დღითი დღე იზრდებოდა. „კოალიციების კოშმარი", რომელიც ბისმარკს აშინებდა, სინამდვილედ იქცა. მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმი მაინც გამალებით ემზადებოდა ომისათვის.

ეკონომიურმა და პოლიტიკურმა შეჭრამ თურქეთში გერმანიის პოზიციები განამტკიცა ამ ქვეყანაში. 1913 წელს, „ბალკანეთის ომების" შემდეგ, გერმანიამ მიიღო თურქეთის მთავრობის მოწვევა გერმანული სამხედრო მისიის თურქეთში გაგზავნის შესახებ. მისიას, რომელიც გერმანიის მთავრობამ სასწრაფოდ გააგზავნა, სათავეში ედგა გენერალი ლიმან ფონ სანდერსი. მალე თურქეთის არმია გერმანელ ოფიცერთა ხელში აღმოჩნდა.

ემზადებოდა რა ომისათვის, გერმანიის მთავრობა აგებდა ახალ ჯავშნოსნებს, კრეისერებს, წყალქვეშა ნავებს. ამასთან ერთად მიმდინარეობდა სახმელეთო არმიისა და ფლოტის შეიარაღების ზრდა. ფინანსიებით აგებდნენ ახალ სიმაგრეებს. მიმდინარეობდა ძველი სიმაგრეების რეკონსტრუქცია. გერმანიის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ორ ფრონტზე „ელვისებური" ომის გეგმა, რომელიც შტაბის უფროსის — გრაფ ალფრედ ფონ შლიფენის გეგმის სახელწოდებითაა ცნობილი.

უზარმაზარი სამხედრო ხარჯების დასაფარავად გერმანიის მთავრობამ ახალი გადასახადები შემოიღო. (ვადასახადების შემოღებას რაიხსტაგში ხმა მისცეს არა მარტო ბურჟუაზიულმა პარტიებმა, არამედ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც. ახალი გადასახადები მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელ მასებს.)

(ბერნჰარდ ფონ ბიულოვის კანცლერობის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიის კავშირი იუნკრობასთან.) XX საუკუნის დამდეგს შიში გამოცოცხლებული მასობრივი მუშათა მოძრაობის წინაშე ააცლოებდა ბურჟუაზიულ და იუნკრულ პარტიებს. მათ აერთიანებდა აგრეთვე გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული საგარეო პოლიტიკა.

ბიულოვი, რომელიც აცხადებდა, რომ პარტიებს გარე დგას, ფაქტიურად ყველა ძირითად საკითხში კონსერვატორების პოლიტიკას მიჰყვებოდა, ამავე დროს იგი არ ივიწყებდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებსაც.(1902 წელს მან რაიხსტაგში ახალი საბაჟო კანონი გაატარა, რომლის ძალითაც მკვეთრად გაიზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.) მსხვილი მიწათმფლობელების შემოსავალმა 1,2 მლრდ მარკით მოიმატა წელიწადში.(გერმანიის ისედაც გაღარიბებული მშრომელი მოსახლეობა იძულებული გახდა ახალი ხარკი ეხადა იუნკრებისათვის. ამავე დროს გაიზარდა ფასები სამრეწველო საქონელზეც.)

მმართველი კლასების რეაქციულობა განსაკუთრებით ნათლად ნაციონალურ პოლიტიკაში გამომჟღავნდა. შლეზვიგსა და პოლონურ პროვინციებში იხურებოდა ეროვნული სკოლები, იდევნებოდა მშობლიური დანიური და პოლონური ენები დაწესებულებებში, იცვლებოდა ქალაქებისა და სოფლების სახელწოდებანი. გამოიცა კანონი პოლონელთა მიწების იძულებითი განსხვისებისა და შათი გერმანელებისათვის გადაცემის შესახებ. გერმანიზაციამ იქამდე მიაღწია, რომ გერმანელი ხელისუფალნი აიძულებდნენ პოლონელ ბავშვებს გერმანულ ენაზე ელოცათ. 1906 წელს 100 ათასზე მეტმა ბავშვმა პროტესტის ნიშნად უარი თქვა სკოლაში სიარულზე. პატარა ოპოზიციონერების წინააღმდეგ როზგები გამოიყენეს. მკაცრი რეჟიმი შემოიღეს ელზას-ლორენშიც. ფრანგული ეროვნული ღირსებისა და კულტურის შეურაცხყოფას აქ საზღვარი არ ჰქონდა.

XX საუკუნის დასაწყისში რაიხსტაგის უდიდეს პარტიას კათოლიკური ცენტრის პარტია წარმოადგენდა. იცავდა რა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, ეს პარტია არჩევნების დროს დემაგოგიური ლოზუნგებით გამოდიოდა. მაგალითად, 1906 წლის დამლევს ცენტრის პარტიამ სოციალ-დემოკრატებთან ერთად ხმა მისცა დამატებითი კრედიტების წინააღმდეგ, რომელნიც გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში აჯანყებული ჰოტენტოტების ტომების გამოსვლათა ჩასახშობად უნდა გამოეყენებინათ. მაშინ ბიულოვმა დაითხოვა რაიხსტა-

გი და დანიშნა ახალი არჩევნები, რომლებიც აღვირახსნილი ნაციონალისტური აგიტაციისა და მკაცრი პოლიციური რეჟიმის პირობებში ჩატარდა. მრავალი წინასაარჩევნო კრება დაარბიეს; მოწინააღმდეგ პარტიებს, რომლებიც დაპყრობითი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ითხოვდნენ სამუშაოდან. ბიულოვმა არჩევნები გამოიყენა მთავრობისეული ბლოკის შესაქმნელად. ამ ბლოკში ყველა ბურჟუაზიული პარტია შევიდა, გარდა ცენტრისა.

საარჩევნო კამპანია ჩატარდა „იმპერიის ღირსებისა და მონაპოვრისათვის“ ბრძოლის იმპერიალისტური ლოზუნგით და მიმართული იყო „შავებისა“ (ცენტრის პარტია) და „წითლების“ (სოციალ-დემოკრატია) წინააღმდეგ. არჩევნებში გაიმარჯვა მთავრობისეულმა ბლოკმა, ანუ, როგორც მას ირონიულად უწოდებდნენ, „ჰოტენტოტურმა ბლოკმა“.

ბიულოვმა შეძლო გაეტარებინა რაიხსტაგში კრედიტები ჰოტენტოტების აჯანყების ჩასახშობად. მიღებულ იქნა, აგრეთვე, კანონი სამხედრო ფლოტის შემდგომი გაძლიერების შესახებ. 1908 წელს რაიხსტაგმა მიიღო რეაქციული კანონი კავშირებისა და კრებების შესახებ, რომელიც უკრძალავდა ახალგაზრდობას 18 წლამდე მონაწილეობას კავშირებში და ა. შ.

მაგრამ მალე ნათელი გახდა მთავრობისეული ბლოკის მერყეული მდგომარეობა. ფლოტის მშენებლობას დიდი თანხები დასჭირდა. მთავრობამ გადაწყვიტა გაეზარდა არაპირდაპირი გადასახადები 400 მლნ მარკით და პირდაპირი გადასახადები მემკვიდრეობაზე — 100 მლნ მარკით.

მთავრობის წინადადება მემკვიდრეობაზე გადასახადის გადიდების შესახებ კონსერვატორებისა და ცენტრის გაიფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ეს „ჰოტენტოტური ბლოკის“ დაშლას ნიშნავდა. ბიულოვი იძულებული გახდა გადამდგარიყო. კაიზერმა მის ნაცვლად კანცლერად დანიშნა უფერული და უნებისყოფო პიროვნება—თეობალდ ფონ ბეთმან-ჰოლვეგი (1909-17).

ოპორტუნისტული და რევოლუციური ტენდენციების ბრძოლა გერმანიის მუშათა მოძრაობაში

XX საუკუნის დასაწყისში მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება გერმანიაში მაუწყებელი იყო გაბატონებული კლასების ეკონომიური შეტევის ახალი ეტაპის დასაწყისისა ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ. შეუსაბამობა გაზრდილ მონოპოლიურ ფასებსა და რეალურ ხელფასს შორის იწვევდა პროლეტარიატის გაღატაკე-

ბას. (მნიშვნელოვნად დაეცა გერმანელი მუშების ხელფასის დონე. კრიზისის წლებში ასეული ათასობით მუშა, ფაბრიკა-ქარხნებიდან განდევნილნი, ფაქტიურ მათხოვრებად ქცეულნი ცხოვრობდნენ სარდაფებში, სხვენებზე, ღატაკთა ღამის სათევ სახლებში.) ამავე დროს გამოიყოფოდა „მუშათა არისტოკრატიის“ მცირერიცხოვანი ფენა. რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და, ამიტომაც, ბურჟუაზიასთან „კლასობრივი ზავისაკენ“ მიისწრაფოდა.

იმპერიალიზმის ეპოქაში გერმანიის მუშათა კლასის სასიცოცხლო პირობების გაუარესება იწვევდა მუშათა მოძრაობაში რევოლუციური განწყობილების ზრდას. იმპერიალიზმის განვითარებასთან ერთად სულ უფრო რევოლუციურ ხასიათს ღებულობდა პროლეტარიატის ბრძოლა, (იზრდებოდა საგაფიცვო მოძრაობა.) მაგალითად, 1903 წლის ზაფხულიდან 6 თვე გრძელდებოდა კრიმიჩაუს ფეიქართა გაფიცვა საქსონიაში. რევოლუციური განწყობილების ზრდაზე მეტყველებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმატება 1903 წლის ივნისის საპარლამენტო არჩევნების დროს. პარტიამ 3 მილიონზე მეტი ხმა მიიღო და 81 დეპუტატი წარგზავნა რაიხსტაგში.

(მუშათა მოძრაობაზე გერმანიაში ძლიერი გავლენა მოახდინა რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ.) მასებში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ბრძოლის „რუსული მეთოდები“, პირველ ყოვლისა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა. სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ 1905 წელს იენაში ა. ბებელის წინადადებით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მითითებული იყო, რომ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა წარმოადგენს არა მარტო თავდაცვის, არამედ შეტევის იარაღსაც, პირველ რიგში მახინჯი პრუსიული საარჩევნო სისტემის წინააღმდეგ.

1905 წლის დასასრულსა და 1906 წლის დამდეგს გერმანიაში შეიმჩნეოდა რევოლუციური ტალღის შემდგომი აღმავლობა. ამ ორი წლის განმავლობაში გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 800 ათასმა მუშამ, იმდენმავე, რამდენმაც წინამორბედი 15 წლის განმავლობაში. (მუშები აღარ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნებით; ისინი უკვე პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდნენ, იბრძოდნენ პრუსიაში რეალურ, საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებისათვის.) ბრძოლა საყოველთაო-საარჩევნო უფლებისათვის მიმდინარეობდა აგრეთვე ბავარიასა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებში. განსაკუთრებით დიდ მასშტაბს მიაღწიეს დემონსტრაციებმა (1906 წლის იანვარში, რუსეთში „სისხლიანი კვირის“ წლისთავზე. მთელ გერმანიაში ჩატარდა კრებები და მიტინგები, რამაც შეაშფოთა მთავრობა. მიღებულ იქნა განსაკუთრებული ზომები.

მთავრობამ ბერლინი გადააქცია შეიარაღებულ ბანაკად, ჯარისკაცებს მიეცათ ბრძანება „არ დაეშურათ ტყვიები“.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიის ბელადები სათავეში არ ჩაუდგნენ გერმანელი მუშების ამ გრანდიოზულ გამოსვლას. მათ არც მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის ლოზუნგი წამოაყენეს საყოველთაო-საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ კი მანჰაიმის ყრილობაზე 1906 წლის სექტემბერში საერთოდ უარი თქვეს იენის ყრილობის გადაწყვეტილებებზე, უარყვეს მასობრივი გაფიცვის იდეა.

რუსეთის მუშათა მოძრაობამ და 1905 წლის რევოლუციამ შექმნეს ახალი ეპოქა კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლაში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სულ უფრო მწვავედ იშლებოდა ბრძოლა რუსეთის რევოლუციის მიერ დასმული საკითხების გარშემო, ისახებოდა ახალი ამოცანები: მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე, მუშების აღზრდა ძალაუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით, რეზერვების მომზადება და მობილიზება, კავშირი მეზობელი ქვეყნების პროლეტარებთან, მჭიდრო კავშირის დამყარება კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ა. შ.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური სახე მოწმდებოდა მათი დამოკიდებულებით ისეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ტაქტიკური საკითხების მიმართ, როგორიც იყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება, ძალაუფლების რევოლუციური გზით მოპოვება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, პარტიის როლი რევოლუციურ ბრძოლაში. ამ პრობლემების გარშემო სოციალ-დემოკრატიის რიგებში ძალთა გამიჯვნა მიმდინარეობდა.

(XX საუკუნის დამდეგს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში საბოლოოდ გაფორმდა სამი მიმდინარეობა: რევიზიონისტული, ცენტრისტული და მემარცხენე-რადიკალური.) გამიჯვნის პროცესთან ერთად ადგილი ჰქონდა მემარჯვენე, ოპორტუნისტული მიმდინარეობის გაძლიერებას და გაფორმებას ცენტრიზმისა, რომელიც მუშათა მოძრაობაში ფაქტიურად ისეთსავე ოპორტუნისტულ ტენდენციას ასახავდა. მემარცხენე მიმართულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ასახავდა რევოლუციურ ტენდენციებს მუშათა მოძრაობაში.

ე. ბერნშტაინმა, გ. ფოლმარმა, კ. ლეგინმა და სხვა რევიზიონისტებმა დაიკავეს აშკარა ოპორტუნისტული პოზიცია, საბოლოოდ უარი თქვეს ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე. ისინი სოციალის-

ტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმ-
დეგენი იყენენ, ნერგავდნენ ბურჟუაზიულ გავლენას გერმანიის მუ-
შათა მოძრაობაში.

რევიზიონიზმის ზეშმარიტი კლასობრივი არსი ის იყო, რომ მან
შეცვალა ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რომელმაც მასებზე ყო-
ველგვარი გავლენა დაკარგა. „ისტორიის დიალექტიკა ისეთია, —
ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ მარქსიზმის თეორიული გამარჯვება
აიძულებს მის მტრებს მარქსისტებად შ ე ი მ ო ს ო ნ. შინაგანად-
დაშავალი ლიბერალიზმი ცდილობს გამოცოცხლდეს სოციალისტუ-
რი ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს სახით“ [1].

ცენტრისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები გერმანიის
სოციალ-დემოკრატიაში იყვნენ კ. კაუცკი, ჰ. ჰააზე და სხვ. ცენტრიზ-
მის ოპორტუნისტული არსი ნათლად ვლინდებოდა უმნიშვნელოვა-
ნესი პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში.

კ. კაუცკისა და ცენტრისტებს, რომლებიც მარქსიზმის შემოქმე-
დებით განვითარებას უარყოფდნენ, არ სურდათ დაენახათ იმპერია-
ლიზმის ეპოქაში წარმოშობილი ახალი მოვლენები. კაუცკი ამტკი-
ცებდა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ახალი სტადია კი არ არის.
არამედ პოლიტიკაა, რომელიც აწყობს ფინანსურ ბურჟუაზიას. ამგ-
ვარი კაუცკისეული „თეორია“ იმას ნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკ-
რატიას უნდა გაეტარებინებინა მთავრობისათვის ახალი პოლიტიკა—
ბურჟუაზიული რეფორმებისა და პაციფიზმის პოლიტიკა. „საქმის
არსი ისაა, რომ კაუცკი იმპერიალიზმის პოლიტიკას სწყვეტს მისი
ეკონომიკისაგან, როდესაც ანექსიებს განმარტავს როგორც პოლიტი-
კას, რომელსაც „უპირატესობას“ აძლევს ფინანსური კაპიტალი, და
მას უპირისპირებს მეორე თითქოსდა შესაძლებელ ბურჟუაზიულ
პოლიტიკას ფინანსური კაპიტალის იმავე ბაზაზე. გამოდის, — წერდა
ვ. ი. ლენინი, — რომ მონოპოლიები შეიძლება შეთავსებულ იქნეს
არამონოპოლისტურ, არაძალადატანებითს, არადაპყრობითს მოქმედე-
ბასთან პოლიტიკაში. გამოდის, რომ დედამიწის ტერიტორიული გა-
ნაწილება, რომელიც დამთავრდა სწორედ ფინანსური კაპიტალის
ეპოქაში და წარმოადგენს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს
შორის შეჯიბრების ახლანდელი ფორმების თავისებურებების სა-
ფუძველს, შეიძლება შეთავსებულ იქნეს არაიმპერიალისტურ პოლი-
ტიკასთან. გამოდის კაპიტალიზმის უახლესი საფეხურის ყველაზე
ძირითად წინააღმდეგობათა მიჩქმალვა, შერბილება მათი სიღრმის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი, თხზ., ტ. 18, გვ. 707.

გამოაშკარავების ნაცვლად, გამოდის ბურჟუაზიული „რეფორმიზმი მარქსიზმის ნაცვლად“ [1].

კაუცკიმ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ბრძოლის ცენტრს წარმოადგენს რაიხსტაგი. კლასობრივი ბრძოლის ქმედით იარაღად იგი მიიჩნევდა მხოლოდ „საპარლამენტო ბრძოლებს“. სრული უარი რევოლუციაზე, უარი პროლეტარიატის დიქტატურაზე — აი, რით დაგვირგვინდა კაუცკის პოლიტიკური მოღვაწეობა.

„კაუცკი სტოვებს მარქსიზმს და ოპორტუნისტების მხარეზე გადადის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ვინაიდან მისი თვალთხედვის არედან სავსებით ქრება სახელმწიფო მანქანის სწორედ ეს დამსხვრევა, რომელიც სრულიად მიუღებელია ოპორტუნისტებისათვის, და მათთვის რჩება ხვრელი იმ აზრით, რომ „დაპყრობა“ განმარტებულ იქნას როგორც უმრავლესობის უბრალო მოპოვება“ [2].

ახასიათებდა რა ცენტრიზმის მოღალატურ როლს შუშათა მოძრაობაში, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ისე საშიშარი და მავნებელი არ არის აშკარა ოპორტუნიზმი, რომელიც ერთბაშად ჩამოიშორებს ხოლმე მუშათა მასას, როგორც არც იქით, არც აქეთ — საშუალო პოზიციაზე დგომის თეორია, რომელიც მარქსისტული სიტყვებით ამართლებს ოპორტუნისტულ პრაქტიკას, მთელი რიგი სოფიზმებით ამტკიცებს რევოლუციური მოქმედების უდროობას და სხვ.“ [3].

ცენტრისტების ხელმძღვანელობით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია გადაიქცა პარტიად, რომელშიც პროლეტარიატის ინტერესები ბურჟუაზიის ინტერესებს ემორჩილებოდა. 1906 წლის მანჰაიმის ყრილობაზე ოპორტუნისტების გავლენით ფაქტიურად გაუქმდა იენის ყრილობის გადაწყვეტილება მასობრივი გაფიცვის შესახებ. პარტიამ თანდათანობით დაკარგა პროლეტარული ხასიათი და გადაიქცა წვრილბურჟუაზიული ინტერესებისა და პროლეტარიატის ინტერესების ბლოკის პარტიად. ოპორტუნისტები ქადაგებდნენ, რომ რუსეთის ცარიზმი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე რეაქციულ ძალას და მოუწოდებდნენ მუშებს დაეცვათ მისგან „სამშობლო“, ზოგიერთნი ამართლებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ა. შ.

(მრავალ საკითხში რევიზიონისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ გამოდიოდა პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელიც გერმანე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 340.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25, გვ. 605.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მეორე ინტერნაციონალის კრახი, თხზ., ტ. 21, გვ. 306.

ლი მუშების რევოლუციურ განწყობილებებს ასახავდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვით მემარცხენენიც ხშირად უშვებდნენ კაუცკიანურ შეცდომებს: მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ რ. ლუქსემბურგი, კ. ლიბკნეხტი, ფ. მერინგი, კ. ცეტკინი, ვ. პიკი.

როზა ლუქსემბურგი ცნობილი რევოლუციონერი იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პროლეტარიატის გათავისუფლების საქმეს შესწირა. იგი უკვე XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს გამოვიდა რევიზიონისტების წინააღმდეგ. 1905-06 წლებში რ. ლუქსემბურგი რუსეთის რევოლუციაში იღებდა მონაწილეობას, მოღვაწეობდა ვარშავაში, სადაც დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ გაქცევა შეძლო. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ იგი მხურვალედ უჭერდა მხარს რუსეთის რევოლუციას და არაერთხელ გამოვიდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოთხოვნით. მაგრამ, გამოდიოდა რა რევიზიონისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ, რ. ლუქსემბურგმა დაუშვა მთელი რიგი შეცდომები, რაც მცდარი თეორიული დებულებიდან — მუშათა მოძრაობის პროცესის სტიქიურობის გაიდეალებიდან გამომდინარეობდა. სტიქიურობის იდეალიზაციას, თავის მხრივ, იგი პარტიის როლის შესახებ ოპორტუნისტული თვალსაზრისისაკენ მიჰყავდა. რ. ლუქსემბურგი წინა პლანზე აყენებდა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, თვლიდა მას პროლეტარიატის მასობრივი გამოსვლების უმაღლეს ფორმად და გვერდს უვლიდა შეიარაღებული აჯანყების საკითხს. იგი უარყოფდა რევოლუციაში პარტიის ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ როლს, ამტკიცებდა, რომ პარტია პროლეტარიატის ისტორიული მისიის მატარებელია და არა რევოლუციის ბელადი და ორგანიზატორი.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატები არ სვამდნენ საკითხს ბურჟუაზიის დიქტატურის პროლეტარიატის დიქტატურით შეცვლის შესახებ. მათ მცდარი პოზიციები ეკავათ საგლეხო საკითხშიც. ისინი უარყოფდნენ გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის როლს რევოლუციაში. მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს ერების თვითგამორკვევა მიაჩნდათ განუხორციელებლად კაპიტალიზმისა და, მით უმეტეს, იმპერიალიზმის ხანაში.

მემარცხენეთა მეორე გამოჩენილი ბელადი იყო კარლ ლიბკნეხტი, ვილჰელმ ლიბკნეხტის შვილი. რ. ლუქსემბურგთან ერთად ისიც იზიარებდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბევრ შეცდომას. მაგრამ, ამავე დროს, ეკუთვნოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადთა იმ უმცირესობას, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ ხალხს, იბრძოდნენ მისი ჭეშმარიტი ინტერესებისათვის. კ. ლიბკ-

ნეხტი ხელმძღვანელობდა მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციას, რომელსაც რაზმავდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. კ. ლიბკნეხტი იყო ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი. მას დაბნეულობა შეჰქონდა ბურჟუაზიის ბანაკში, როცა რაიხსტაგში ამხელდა მთავრობის მაქინაციებს. აი რას წერდა რ. ლუქსემბურგი კ. ლიბკნეხტის შესახებ: „მთავრობისა და მისი დამქაშებისათვის ყოველთვის შავი დღე დგებოდა, როცა ლიბკნეხტი ადიოდა ტრიბუნაზე რაიხსტაგში. ამავე დროს საპარლამენტო ტრიბუნა მისთვის მხოლოდ კოშკი იყო, საიდანაც ის პარლამენტის კედლებს გადაღმა მიმართავდა პროლეტარულ მასებს, მოაგონებდა მათ საერთაშორისო სოლიდარობის ვალდებულებას, აღვიძებდა მათ ბრძოლისათვის ხალხთა სასაკლაოს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ".

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა გერმანელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რევოლუციურ დამსახურებას და მიაჩნდა, რომ ზოგიერთ თავიანთ შეცდომას ისინი გამოასწორებენ სოციალ-შოვინისტებთან დაუნდობელი ბრძოლის მსვლელობაში[1].(მემარცხენე სოციალ-დემოკრატები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გერმანიის მუშათა კლასში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ანტიმილიტარისტულ და ანტისამხედრო პროპაგანდას. დიდი აღტაცებით მიესალმნენ ისინი რუსეთის 1905 წლის რევოლუციას. ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების კრიტიკისა და დახმარების გავლენით მემარცხენე სოციალ-დემოკრატები აძლიერებდნენ რევოლუციურ აქტივობას, მაგრამ იდეურად და ორგანიზაციულად ისინი სუსტნი იყვნენ. აქედან მათ ვერ შექმნეს ჭეშმარიტად რევოლუციური პარტია, ახალი ტიპის პარტია.

ამრიგად, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ გერმანიის პროლეტარიატს არ ჰყავდა პარტია, რომელსაც შეეძლო ეხელმძღვანელა დაწყებული რევოლუციური აღმავლობისათვის.)

1913 წელს გარდაიცვალა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადი ავგუსტ ბებელი. მის სახელთანაა დაკავშირებული მთელი პერიოდი არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ბებელი განაგრძობდა ბრძოლას ოპორტუნისტებთან, თუმცა შეცდომებსაც უშვებდა, რომელთა შორის მთავარი ის იყო, რომ ერი არ იყო ბოლომდე თანმიმდევრული მემარჯვენეებთან ბრძოლაში, არ აყენებდა საკითხს მათი პარტიიდან განდევნის შესახებ და ამით თვით ეჭვებოდა ცენტრისტულ პოზიციებზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იუნიუსის ბროშურის შესახებ, თხზ., ტ. 22, გვ. 404.

ბებელის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს მუშათა კლასის მოღალატეებმა — ოპორტუნისტებმა ფ. ებერტმა. ფ. შაიდემანმა, გ. ნოსკემ და სხვ.

პოლიტიკური კრიზისის მოვიფფეა მსოფლიო ომის წინ

(გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 1910 წლიდან, მუშათა მდგომარეობის შემდგომ გაუარესებასთან და გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით.) მკვეთრად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, (გახშირდა გაფიცვები,) იზრდებოდა მუშათა რევოლუციური განწყობილება. მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელები ცდილობდნენ შეეზღუდათ მოძრაობა ლეგალური ჩარჩოებით, გერმანიის პროლეტარული მასები კლასობრივ ბრძოლებში იკრებდნენ გამოცდილებას, ემზადებოდნენ რევოლუციისათვის. (მუშები იბრძოდნენ მონარქიული უღლის წინააღმდეგ, პრუსიაში საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებისათვის, მაგრამ აწყდებოდნენ იუნკრებისა და მსხვილი ბურჟუაზიის გააფთრებულ წინააღმდეგობას. დიდი დემონსტრაცია ჩატარდა ბერლინში 1910 წელს.) საგაფიცვო მოძრაობამ კულმინაციას მიაღწია იმავე წლის სექტემბერში, როცა გაიფიცნენ ბერლინის ორი რაიონის — მოაბიტისა და ვედინგის მუშები. (ბერლინის ქუჩებში დაიწყო მუშებსა და პოლიციას შორის ბრძოლები, რომლებიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქალებიც.)

„ბერლინის პროლეტარიატი, — (წერდა ვ. ი. ლენინი, — ბერლინის შემდეგ კი გერმანიის ყველა სხვა დიდი ქალაქის პროლეტარიატი, ქუჩაში გამოვიდა, მოაწყო დიდებული დემონსტრაციები ათიათასობით ხალხისა,) საფუძველი ჩაუყარა ფართო მასობრივ მოძრაობას, რომელიც უკვე ახლა, უკვე დასაწყისშივე კონსტიტუციური ხელისუფლების ძალადობას, სამხედრო ძალების გამოყენებას, უიარაღო მასების ხოცვა-ჟლეტას იწვევს“ [1].

მუშათა გამოსვლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1912 წელს რურის ოლქში 250 ათასი მემთამადნე მუშის გაფიცვა. მრეწველთა თხოვნით მთავრობამ გამოიძახა პოლიცია და ჟანდარმები, მათთან შეტაკებაში ბევრი მუშა დაიღუპა და დაიჭრა.

1912 წლის არჩევნებზე რაიხსტაგში სოციალ-დემოკრატიულმა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ლიბერალების მიერ ხალხის მოტყუების შესახებ, თხზ., ტ. 13, გვ. 612.

პარტიამ 4 მლნ ხმა მიიღო და მისი საპარლამენტო ფრაქცია (110 დეპუტატით) ყველაზე დიდი გახდა რაიხსტაგში.

გერმანიაში მწიფდებოდა რევოლუცია. პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატიის ბელადების წინააღმდეგობის მიუხედავად, აჯანყებისათვის ემზადებოდა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „განვლო „გერმანელი მიხელის“ მშვიდი ძილის ეპოქამ პრუსიული პურიშკევიჩების მფარველობით და გერმანიის კაპიტალისტური განვითარების განსაკუთრებული საბედნიერო მსვლელობის პირობებში. შეუკავებლად მწიფდება და ახლოვდება საერთო, ძირფესვიანი კრახი“ [1].

გერმანია იღგა ახალი, მწვავე კლასობრივი ბრძოლის გაღვივების კარიბჭესთან. (გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია თავისი პოზიციების გადარჩენისა და რევოლუციური აფეთქების თავიდან აცილების მიზნით სულ უფრო აშკარად ესწრაფოდა მსოფლიო ომის დაწყებას.)

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ცაბერნი, თხზ., ტ. 19, გვ. 617.

ინგლისი 1895—1914 წლებში

1895 წლიდან მოყოლებული 10 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში იდგნენ კონსერვატორები: კაბინეტს კვლავ სოლსბერი ხელმძღვანელობდა. სოლსბერის კაბინეტის სიახლე იმაში გამოიხატებოდა, რომ მთავრობაში ოფიციალურად მოიწვიეს ლიბერალ-იუნიონისტები; ჯოზეფ ჩემბერლენმა კოლონიების მინისტრის პოსტი დაიკავა.

XIX საუკუნის დასასრულს კონსერვატორების ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია სრული უმოქმედობა ინგლისის საშინაო კანონმდებლობის სფეროში. სამაგიეროდ, სოლსბერის კაბინეტი ენერგიულად მოქმედებდა საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაჭრისას. ინგლისის გაბატონებული კლასები ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ინტერესს ავლენენ კოლონიური დაპყრობების მიმართ. ბურჟუაზია ცდილობდა მშრომელი მასების ყურადღება ჩამოეცილებინა საკუთარი ქვეყნის საშინაო პრობლემებისაგან და ამის გამო ეწეოდა კოლონიური ექსპანსიის, რასიზმისა და შოვინიზმის გაძლიერებულ პროპაგანდას. კოლონიური პოლიტიკის პროპაგანდას ერთგულად ემსახურებოდა ორი კოლონიური საზოგადოება: სამეფო კოლონიური საზოგადოება, რომელიც 1869 წელს შეიქმნა (1870 წელს მას საიმპერიო კოლონიური ინსტიტუტი ეწოდა), და 1884 წელს ჩამოყალიბებული საიმპერიო ფედერაციის ლიგა. კოლონიური ინსტიტუტი თავის მრავალრიცხოვან სხდომებზე იხილავდა ბრიტანეთის იმპერიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. საიმპერიო ფედერაციის ლიგა გულმოდგინედ ავითარებდა ინგლისის სამფლობელოებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებისა და საიმპერიო პარლამენტის ჩამოყალიბების იდეას. ფედერაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საიმპერიო პროტექციონიზმის პროპაგანდა, რომელიც გულისხმობდა ინგლისისა და მისი სამფლობელოების ბაზრების დახურვას უცხოეთის საქონლისათვის.

ამ პერიოდის ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში შეინიშნებო-

და ისეთ ნაწარმოებთა მოზღვავება, რომელიც კოლონიურ პოლიტიკას ამართლებდა და ხოტბას ასხამდა.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ისტორიკოს ჯონ სილის ლექციებმა. 1883 წელს მისი ლექციების კურსი ცალკე წიგნად გამოიცა („ინგლისის ექსპანსია"). ჯ. სილი ისტორიული ფაქტების მოშველიებით ამტკიცებდა, რომ ინგლისის პოლიტიკას ყოველთვის ედო საფუძვლად ზღვებს იქითა ინგლისური საკუთრებელოების გაფართოებისაკენ მისწრაფება, რომ იმპერია, რომელიც მეტოქეებთან დაუნდობელი ბრძოლის ვითარებაში შეიქმნა, წარმოადგენს თვით ინგლისის ძალისა და ძლიერების წყაროს. ამასთან, ჯ. სილი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თანამედროვე ინგლისისათვის კოლონიების მნიშვნელობას.

ამავე პერიოდში კოლონიური პოლიტიკის გამართლებისათვის და კოლონიური ხალხების ჩაგვრის გასაძლიერებლად წამოყენებულ იქნა, ე. წ. „ნეოდარვინიზმის" თეორია. აღნიშნული თეორია „ამტკიცებდა", რომ ინგლისელებმა ხანგრძლივი „ბუნებრივი შერჩევის" შედეგად გამოიმუშავეს ისეთი თვისებები და ნიშნები, რომლებიც მათ უფლებას აძლევდა გადაქცეულიყვნენ ჩამორჩენილი ხალხების ბუნებრივ მმართველებად. ეს იყო დაუფარავი რასიზმის თეორია.

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის პროპაგანდაში დიდი როლი შეასრულა, აგრეთვე, ლიტერატურამ. წარმატება ხვდა წილად სტივენსონის, ჰაგარტის და სხვათა წიგნებს. კიპლინგი თავის რომანებსა და ლექსებში ქება-დიდებას ასხამდა კოლონიებში მებრძოლ ინგლისელ ჯარისკაცებს, აიდეალებდა კოლონიურ მოღვაწეებს. მან წამოაყენა „თეთრი ადამიანის ტვირთვის" ფორმულა. იგი ამტკიცებდა, რომ ინგლისელები კოლონიებისაკენ მიისწრაფვიან არა მოგებისათვის, არამედ ჩამორჩენილ ხალხებში „ცივილიზაციის სიკეთის" დამკვიდრების მიზნით.

იმპერიალიზმისა და კოლონიური პოლიტიკის პროპაგანდას ეწეოდა იაფფასიანი ბულვარული პრესაც. 80-იანი წლებიდან ასეთი ტიპის გაზეთები დიდი ტირაჟით გამოდიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთი „დეილი მეილი" (გამოვიდა 1896 წელს). მისმა გამომცემელმა ჰარმსუორტმა, რომელსაც იაფფასიანი ჟურნალების გამოცემის დიდი გამოცდილება ჰქონდა, შექმნა სრულიად ახალი ტიპის ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გათვალისწინებული იყო ყველაზე ჩამორჩენილი მკითხველისათვის. გაზეთი უკიდურეს შოვინიზმს, უცხოელებისადმი ზიზღსა და სიძულვილს ქადაგებდა, დიდ ადგილს უთმობდა სისხლის სამართლის ქრონიკასა და სხვ. იმპერიალიზმის პროპაგანდაში მონაწილეობდა, აგრეთვე, როგორც გაბატო-

ნებული ანგლიკანური ეკლესია, ასევე მრავალი სექტა, განსაკუთრებით კი მეთოდისტების სექტა.)

რაც შეეხება პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორც წესი, ორივე პარტიის ლიდერები გამოდიოდნენ ენერგიული დაპყრობების, აქტიური კოლონიური პოლიტიკის წარმოების მოთხოვნებით. იმპერიალიზმის პროპაგანდის საქმეში ყველაზე მეტად ჯოზეფ ჩემბერლენი გამოირჩეოდა. თავის მრავალრიცხოვან საჯარო გამოსვლებში იგი მიუთითებდა ინგლისისათვის კოლონიური სამფლობელოების უდიდეს მნიშვნელობაზე. ცდილობდა რა მოეწამლა იმპერიალიზმის იდეოლოგიით მუშათა კლასი, ჩემბერლენი ამტკიცებდა, რომ კოლონიების დაკარგვა ყოველი რიგითი ინგლისელი მოქალაქის გაღატაკებას გამოიწვევსო.

(იმპერიალისტური პროპაგანდის საქმეში კონსერვატორებს არ ჩამორჩებოდნენ ლიბერალური პარტიის ლიდერები. გახსაკუთრებით აქტიურობდა ლიბერალური პარტიის ლიდერი — ლორდი როზბერი. იგი აცხადებდა, რომ ინგლისური რასა — „ბატონების რასა" — მთელ მსოფლიოზე ბატონობისათვის არის გაჩენილიო. ბრიტანეთის იმპერიას როზბერი კაცობრიობის „უდიდეს სიკეთედ" მიიჩნევდა.

(კოლონიების მინისტრის პოსტი რომ დაიკავა, ჩემბერლენი) არ შემოფარგლულა მხოლოდ პროპაგანდისტული დეკლარაციებით.(1895 წელს მან მოამზადა შეთქმულება ინგლისის სამფლობელოებისათვის ტრანსვაალის ძალით შემოერთების მიზნით. ჩემბერლენისა და როდსის მითითებით ინგლისელმა აგენტებმა მოამზადეს შეთქმულება იოჰანესბურგში, ტრანსვაალის ალმასებისა და ოქროს საბადოების ცენტრში. შეთქმულებს სურდათ იოჰანესბურგის დამოუკიდებლობის გამოცხადება. სამხრეთ აფრიკის კომპანიის შეიარაღებული რაზმი ჯემსონის (როდსის აგენტის) მეთაურობით გადაიყვანეს ტრანსვაალის საზღვრისაკენ: აჯანყების გამოცხადებისთანავე ჯემსონი უნდა შეეჭრილიყო ტრანსვაალში აჯანყებულთათვის მხარის დასაჭერად. აჯანყება დათქმული იყო 1895 წლის 27 დეკემბრისათვის.

ჩემბერლენისა და როდსის გეგმა ჩაიფუშა. აჯანყება არ მოხდა, ხოლო ჯემსონის რაზმს ბურებმა გზა გადაუჭრეს და ტყვედ ჩაიგდეს. ინგლისის მთავრობას მხილებისა შეეშინდა. მან ჯემსონი გამოითხოვა და ამით ფაქტიურად აღიარა შეთქმულებაში თავისი მონაწილეობა. ინგლისში მთავრობამ მკვეთრი თავდასხმები განიცადა, მაგრამ საქმის გასარჩევად დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები გადამალა და ჩემბერლენი გაამართლა. ტრანსვაალზე ახალი იერიშის წარუმატებლობამ ინგლისელი იმპერი-

ალისტები აიძულა კვლავ გაღაედოთ ბურების წინააღმდეგ თავიანთი დამპყრობლური გეგმების განხორციელება.

ჯემსონის ყაჩაღურმა გამოსვლამ გამოიწვია ინგლის-გერმანიის უთანხმოებათა შეჭიდგომი გამწვავება. ამ აგენტურის ჩაშლის შემდეგ გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა 1895 წლის 30 დეკემბერს ტრანსვაალის პრეზიდენტ კრიუგერს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც ულოცავდა ტრანსვაალის დამოუკიდებლობისათვის მუქარის ლიკვიდაციას „მეგობრული სახელმწიფოების დაუხმარებლად". ამ დეპეშამ, რომელიც გამოხატავდა თანაგრძნობას ბურებისადმი და გაკვრით ბრალს სდებდა ინგლისელებს, აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია ინგლისში, რადგანაც ვილჰელმის ნაბიჯი ანტიინგლისურ დემონსტრაციად ჩათვალეს.

გერმანიაში ამკარად აყენებდნენ მოთხოვნებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების შესახებ და არც მალავდნენ, რომ ეს გადანაწილება უნდა მომხდარიყო, პირველ რიგში, ინგლისის ხარჯზე. 1896 წელს შექმნილმა პანგერმანულმა ლიგამ განაცხადა, რომ გერმანიის მზარდი ძალები და ენერგია მას უფლებას აძლევს მოითხოვოს კოლონიების არსებული განაწილების გადასინჯვა. (გერმანელი იმპერიალისტების ყურადღებას, კერძოდ, სამხრეთი აფრიკა იპყრობდა.) „პანგერმანისტები" აცხადებდნენ, რომ „რასობრივი სიბლაგე" მათსა და ბურებს შორის უფლებას ანიჭებს გერმანიას დაიპყროს ბურების რესპუბლიკები.

(კოლონიურ წინააღმდეგობებს ერთვოდა სავაჭრო კონკურენცია ინგლისსა და გერმანიას შორის. გაზეთების ტონი ორივე ქვეყანაში სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა) 1897 წელს ინგლისურმა ჟურნალმა „სატერდეი რევიუმ" („შაბათის მიმოხილვა") გამოაქვეყნა ანონიმური სტატია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინგლისის პოლიტიკის მიზანს შეადგენს გერმანიის განადგურება: თუ ერთ მშვენიერ დღეს, წერდა ავტორი, გერმანია მოულოდნელად გაქრება, თითოეული ინგლისელი უფრო მდიდარი და ბედნიერი გახდებაო.) იხსენებდა რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომელსაც რომი ეწეოდა კართაგენის წინააღმდეგ განუყოფელი ბატონობისათვის, სტატიის ავტორი იმეორებდა შეცვლილი სახით კატონ-უფროსის სიტყვებს, როცა იგი გამუდმებით მოუწოდებდა კართაგენის განადგურებისაკენ: „გერმანია უნდა მოისპოს". სტატიამ დიდი აურზაური გამოიწვია ინგლისში და კიდევ უფრო მეტი — გერმანიაში, სადაც იგი ჩათვალეს აგრესიული ინგლისური გეგმების დამამტკიცებელ საბუთად.

(1898 წელს გერმანიის მთავრობამ რაიხსტაგში გაატარა კანონი საზღვაო ფლოტის მშენებლობის შესახებ.) გერმანია ადრე კმაყოფილ-

დებოდა დიდი სახმელეთო არმიით, რამდენადაც კონტინენტალური ევროპა მას მიაჩნდა თავის მთავარ მეტოქედ. გერმანიაში საზღვაო ფლოტის შექმნა კი მოწმობდა, რომ მის მთავარ მოწინააღმდეგედ გადაიქცა საზღვაო სახელმწიფო — ინგლისი.

ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის გამწვავების მიუხედავად, ორივე ქვეყნის დიპლომატები ამზადებდნენ ინგლის-გერმანიის კავშირის გეგმებს. გერმანიასთან კავშირს განსაკუთრებით აქტიურად ეძებდა ჯოზეფ ჩემბერლენი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა კაბინეტში. მოლაპარაკება XX საუკუნის დამდეგამდე გაჭიანურდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიშალა. სახელმწიფოთა შორის უთანხმოებამ კიდევ უფრო შეურიგებელი ხასიათი მიიღო.

ინგლისელი პოლიტიკოსების დაჟინებულ მისწრაფებას გერმანიასთან კავშირისადმი, იმას, რომ მათ არ სურდათ დაენახათ ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის გაღრმავება, გასაგები საფუძველი ჰქონდა: იგი გამომდინარეობდა ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-რუსეთის მწვავე წინააღმდეგობებიდან. აღნიშნული წინააღმდეგობანი ოდითგანვე არსებობდა და სწორედ ამიტომ ისინი უფრო დაუძლეველი ჩანდა, ვიდრე ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობა.

შუა აზიაში ინგლის-რუსეთის ყველაზე მწვავე მეტოქეობის პერიოდი დამთავრდა 80-იან წლებში ორივე სახელმწიფოს შორის გავლენის სფეროების განაწილებით. მომდევნო წლებში ინგლის-რუსეთის მეტოქეობა გაიშალა შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისმა, რომელმაც სხვაზე ადრე დაიწყო ჩინეთის დაკბალების პოლიტიკა, XIX საუკუნის მიწურულისათვის დაიწყო მისი გაყოფისათვის მზადება. ინგლისელებს უკვე ხელთ ეპყრათ ჩინეთის საბაჟო შემოსავალზე კონტროლი, განაგებდნენ საგარეო ვაჭრობას, მსუბუქ მრეწველობას, ექსპლუატაციას უწევდნენ ჩინელ იაფ მუშახელს. ჩინეთის შუა ნაწილი, მდინარე იანძის მდიდარი და უხვმოსავლიანი ველი ქალაქ შანხაითურთ ფაქტიურად უკვე ინგლისური კაპიტალის განსაკუთრებული გავლენის სფერო იყო. ინგლისის შეღწევის უდიდესი საყრდენი ბაზა იყო აგრეთვე ჰონკონგი. ჩინეთში უპირატესი პოზიციები რომ მოიპოვეს, ინგლისელი იმპერიალისტები სხვა სახელმწიფოების საქმიანობას უკვე თავიანთ მონოპოლიაზე ხელყოფად თვლიდნენ. ინგლისელთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა რუსეთის საქმიანობა, რომელიც კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა ჩინეთთან. ჩინეთი რუსეთში ხედავდა ინგლისის აგრესიის ერთგვარ საწინააღმდეგო ძალას. გეოგრაფიული სიახლოვე რუსეთს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ინგლისელები მხარს უჭერდნენ იაპონიის ექსპანსიას. (1894 წელს

იაპონიამ ომი გამოუცხადა ჩინეთს და მისი დამარცხების შემდეგ, სიმონოსეკის ხელშეკრულებით, წაართვა მას კუნძული ფორმოზა (ტაივანი), პესკადორის კუნძულები (პენხულედაო) და, აგრეთვე, განსაკუთრებული უფლებები მოიპოვა ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე და კორეაში. რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ზემოქმედების გამო იაპონია იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ შენაძენთა დიდ ნაწილზე.

ჩინეთის განაწილებას ნიშანი მისცა გერმანიამ, რომელმაც 1897 წელს „იჯარით" აიღო ნავსადგური კიაო-ჩაო (ძიაო-ჯოუ) მომიჯნავე ტერიტორიით. გერმანიის შემდეგ ჩინეთს დააცხრნენ სხვა სახელმწიფოები: საფრანგეთმა დაიპყრო გუან-ჯოუ-ვანი, ინგლისმა — კოულუნი და ვეი-ხაი-ვეი, რუსეთმა დროებით იჯარაში მიიღო დალნი და პორტარტური. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც უკმაყოფილო იყო გაყოფაზე დაგვიანებით, 1899 წელს წამოაყენა ჩინეთში „ღია კარების" პრინციპი. ამ ლოზუნგით ამერიკის შეერთებული შტატები, ეყრდნობოდა რა თავის მზარდ ძლიერებას, იმედოვნებდა, რომ ბოლოს და ბოლოს მიაღწევდა უპირატესობას მთელ ჩინეთში, რადგან მას არ აკმაყოფილებდა მისი რომელიმე ცალკეული უბანი.

90-იან წლებში ინგლის-საფრანგეთის კოლონიური მეტოქეობის ძირითადი ასპარეზი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ცენტრალური აფრიკა.

ინგლისელებმა, რომლებიც ინდოეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ, თანდათან დაიპყრეს მთელი ბირმა; ფრანგები კი, რომლებმაც ინდოჩინეთის დაპყრობა დაიწყეს 60-იან წლებში, დასავლეთისაკენ მიისწრაფოდნენ. 90-იანი წლების დამდეგისათვის ორივე სახელმწიფოს ექსპანსიამ სიამის საზღვრებს მიაღწია. სიამი ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოებს ყოფდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ორივე სახელმწიფომ გადაწყვიტა არ დაეშვა სიამის დაპყრობა მოწინააღმდეგის მიერ. ამ ნიადაგზე 1893 წლის ივლისში მათ შორის მოხდა მწვავე შეტაკება, რომელმაც კინაღამ ომი გამოიწვია. ბოლოსა და ბოლოს საფრანგეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა სიამის დაპყრობის ოცნებაზე: 1896 წლის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებით სიამი დამოუკიდებელ ქვეყნად ცხადდებოდა; იგი გახდა ბუფერი ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოებს შორის.

ინგლის-საფრანგეთის ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ფორმა მიიღო აფრიკაში, განსაკუთრებით სუდანში. ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ინგლისის ჯარები სუდანშიც გამოჩნდნენ. ეს ქვეყანა წინან-

დებურად ეგვიპტეს ემორჩილებოდა, მაგრამ ინგლისი იძულებული ვახდა გაეყვანა იქიდან თავისი ჯარები,)რადგან 80-იან წლებში სუდანში გაჩაღდა მძლავრი სახალხო მოძრაობა—გლეხთა ომი რელიგიური ლოზუნგებით; მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მაჰდი მოჰამედი, რომელმაც თავი „წინასწარმეტყველად“ გამოაცხადა. ამ მოძრაობის ჩასახშობად აუცილებელი იყო განხორციელება დიდი სამხედრო ექსპედიციისა, რომლის მოწყობა ამ დროს ინგლისს არ ძალუძდა. ინგლისის მთავრობამ არჩია სუდანიდან თავისი ჯარების ევაკუაცია. ამით ისარგებლა საფრანგეთმა. (1896 წლის თებერვალში, ეკვატორულ აფრიკაში საფრანგეთის სამფლობელოებიდან აღმოსავლეთისაკენ, ნილოსის სათავეების მიმართულებით დაიძრა პატარა ფრანგული რაზმი კაპიტან მარშანის მეთაურობით. იგი მიზნად ისახავდა საფრანგეთისათვის სუდანის შემოერთებას.

ამ გარემოებამ დააჩქარა ინგლისის მოქმედება. მან დაიწყო სუდანის დაპყრობა ჩრდილოეთიდან, ეგვიპტიდან.

1898 წელს ინგლისის არმიის სარდალი გენერალი კიტჩენერი სუდანის ცენტრში აღმოჩნდა. 1898 წლის 2 სექტემბერს ომდურმანთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა: ინგლისელებმა ტყვიამფრქვევები გამოიყენეს და მოსპეს მრავალი უიარაღო ადამიანი.)

19 სექტემბერს გენერალი კიტჩენერი სოფელ ფაშოდასთან (ხართუმის მახლობლად) შეხვდა კაპიტან მარშანს, რომელიც აქ ჯერ კიდევ 10 ივლისს მოვიდა და საფრანგეთის დროშა აღმართა.

(თავისი მთავრობის დავალებით, კიტჩენერმა მოითხოვა, რომ მარშანს დაეშვა საფრანგეთის დროშა. მარშანმა, პარიზიდან მიღებული მითითების საფუძველზე, უარი განაცხადა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სოლსბერიმ უარი თქვა ეწარმოებინა მოლაპარაკება საფრანგეთთან, სანამ მარშანი სუდანიდან არ წავიდოდა.)28 ოქტომბერს ინგლისის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ფლოტის მობილიზაციის შესახებ. უკანასკნელ მომენტში საფრანგეთის მთავრობამ უკან დაიხია: ქვეყნის საშინაო მდგომარეობა (დრეიფუსის საქმის გამო) ამ დროისათვის არ იძლეოდა სამხედრო გამოსვლის შესაძლებლობას. ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრს დელკასეს მიაჩნდა, რომ საფრანგეთის მთავარი მტერი იყო კაიზერის გერმანია და ამიტომ იგი ინგლისთან შეთანხმების მომხრეებს თანაუგრძნობდა.

1898 წლის 3 სექტემბერს მარშანმა ინსტრუქცია მიიღო ფაშოდის ევაკუაციის თაობაზე. 1899 წლის 21 მარტს, ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგად, ორივე სახელმწიფომ დადეს შეთანხმება, რომლის ძალითაც, საფრანგეთი იღებდა ზემო სუდანის ნაწილს;

დაზუსტდა ორივე სახელმწიფოს კოლონიურ სამფლობელოთა საზღვრები ცენტრალურ აფრიკაში.

ფაშოდის ინციდენტმა, რომელიც ფრანგმა იმპერიალისტებმა შეაფასეს როგორც საფრანგეთის დაძცილება, გააძწვავა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა და შეაფერხა მათ შორის მოლაპარაკება უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე.

XIX საუკუნის დამლევისათვის ინგლისის კოლონიურ სამფლობელოთა უჩვეულო ზრდას თან ახლდა დამონებულ ხალხთა ექსპლუატაციის გაძლიერება. კოლონიები, რომლებიც აქამდე, ძირითადად, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების როლს ასრულებდნენ, ახლა სულ უფრო იპყრობდნენ ინგლისის ბურჟუაზიის ყურადღებას, როგორც კაპიტალის გატანის ობიექტები. ნედლეულისა და მუშახელის სიიაფე აქ უფრო მაღალი მოგების მიღების საშუალებას იძლეოდა, ვიდრე საკუთრივ ინგლისში. კოლონიების ეკონომიკა თანდათან ემორჩილებოდა იმ განსაზღვრული პროდუქტის წარმოების ამოცანებს, რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენდა ინგლისისათვის: მაგალითად, ეგვიპტე სპეციალდებოდა როგორც მაღალხარისხოვანი ბამბის მიმწოდებელი ინგლისის მრეწველობისათვის; ავსტრალია — მატყლისა, ინდოეთი — ჯუთისა და ბამბისა, დასავლეთ აფრიკა — ქოქოსის ზეთისა და ა. შ. ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებში წარმოიშვა ინტენსიური საპლანტაციო მეურნეობა, რომელიც ემყარებოდა მკვიდრი მოსახლეობის იაფ, ნახევრადმონურ შრომას.

ამავე დროს, კაპიტალის გატანის შედეგად, კოლონიებში დაიწყო ნედლეულის პირველადი გადამუშავებელი საწარმოების აღმოცენება. ინგლისელები გაურბოდნენ კოლონიებში მრეწველობის ისეთი დარგების შექმნას, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთი საქონლით კონკურენცია გაეწიათ ინგლისური ნაწარმისათვის და ამით ზიანი მიეყენებინათ ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. მაგრამ კოლონიებში მაინც დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება და წარმოიქმნა ახალი კლასები — ეროვნული ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

XIX საუკუნის დამლევისათვის ინგლისის სამფლობელოთა შორის გამოიკვეთა კოლონიათა ერთი ჯგუფი, სადაც კაპიტალიზმის განვითარება განსაკუთრებით სწრაფად წარიმართა. ასეთებს წარმოადგენდნენ ე. წ. ახალმოსახლეთა კოლონიები: კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სადაც უმეტესად ინგლისში დაბადებულნი სახლდებოდნენ. ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებამ წარმოშვა ბურჟუაზია, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში მეტროპოლიისაგან მოიპოვა ფართო ავტონომია საშინაო საკითხებში (კერ-

ძოდ, სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში). საკუთარი საშინაო ბაზრის მართვის უფლება რომ მიიღო, ამ სამფლობელოების ბურჟუაზიამ მალე თვითონ დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება და მინიმუმამდე შეამცირა მეტროპოლიისაგან დამოკიდებულება.

ამ გზას პირველი კანადა დაადგა. (კანადამ 1867 წელს მიიღო ფაქტიური დამოუკიდებლობა საშინაო მართვის საქმეებში. XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში კი შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა მისი კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის გზაზე. 1891 წელს კანადის 75.768 საწარმოში დასაქმებული იყო 367.865 მუშა. ქვანახშირის მოპოვება 15 წელიწადში (1885—1900) გაიზარდა 1700 ათასი ტონიდან 4 მილიონ ტონამდე, ე. ი. ორჯერ და უფრო მეტად. სამთომომპოვებელი მრეწველობის დარგებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ნიკელის მოპოვებამ: 1900 წლისათვის მან შეადგინა 3 ათასი ტონა, ანუ მსოფლიო მოპოვების 40%. მდიდარი სატყეო მარაგის ბაზაზე კანადაში წარმოიშვა ქაღალდის მსხვილი მრეწველობა, რომელიც თითქმის მთლიანად ექსპორტისათვის მუშაობდა.)

კანადის ეკონომიკის გახვითარებაში დიდი როლი შეასრულა წყნარი ოკეანის რკინიგზის გაყვანამ, რაც 90-იან წლებში დამთავრდა. ამ გზამ ერთმანეთს დაუკავშირა კანადის შიდა რაიონები და საზღვაო სანაპიროები, მსოფლიო ბაზრები მისაწვდომი გახადა ზემო კანადის უხვმოსავლიანი ველების იაფი აგრარული პროდუქციისათვის. 70-იან წლებში ევროპაში გამოჩნდა დიდძალი იაფი კანადური პური. საუკუნის დასასრულისათვის კანადა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის მხრივ მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა აშშ-ის შემდეგ. მისი ექსპორტის საერთო თანხა 1882—1900 წლებში 103 მლნ დოლარიდან 191 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

კანადის სამრეწველო ბურჟუაზიის ზრდისა და გაძლიერების პოლიტიკას ატარებდა კონსერვატიული პარტია, რომელიც უცვლელად იდგა ხელისუფლების სათავეში 1878 წლიდან 1896 წლამდე. მრეწველობის ინტერესებისათვის კანადელმა კონსერვატორებმა შემოტანილ სამრეწველო საქონელზე საბაჟო გადასახადები დააწესეს. კანადის ლიბერალური პარტია, რომელიც ფერმერთა ინტერესებს ვამოხატავდა, გამოდიოდა თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგით.

(1896 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გამომჟღავნდა დატაცების, მოსყიდვის ფაქტები და სხვა მაქინაციები წყნარი ოკეანის რკინიგზის მშენებლობაზე;) ამ ბნელ საქმეში ამხილეს ტაპერის კონსერვატიული მთავრობის ზოგიერთი მოღვაწე. ლიბერალებმა

გამოიყენეს შექმნილი ვითარება, კვლავ წამოაყენეს თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგები და გაიმარჯვეს არჩევნებში. შეიქმნა ლიბერალური მთავრობა. 1897 წელს ლორიეს ლიბერალურმა კაბინეტმა 25 პროცენტით შეამცირა ინგლისურ საქონელზე საბაჟო გადასახადები.

ავსტრალიის კოლონიებმა საშინაო პოლიტიკის საკითხებში ავტონომია ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში მიიღეს. მომდევნო ათწლეულებში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის (განსაკუთრებით მეცხვარეობის) სწრაფი განვითარება, ავსტრალია გახდა მატყლის მსხვილი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. XIX საუკუნის დასასრულს ავსტრალიას წელიწადში გაჰქონდა 250 ათას ტონაზე მეტი მატყლი. სამაცივრო საქმის განვითარებასთან ერთად დაიწყო ავსტრალიიდან სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გატანაც, პირველ ყოვლისა — ცხვრის ხორცისა. წარმატებით ვითარდებოდა მრეწველობაც, განსაკუთრებით, სამთომომპოვებელი მრეწველობა: 1900 წელს ავსტრალიაში (ტასმანიასთან ერთად) მოპოვებულ იქნა თითქმის 6,5 მილიონი ტონა ქვანახშირი და 100 ათას ტონაზე მეტი რკინის მადანი. ავსტრალიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყვიისა და სპილენძის უმდიდრესი საბადოების დამუშავებას: 1899 წელს ტყვიის მოპოვების მხრივ ავსტრალიას მეოთხე ადგილი ეჭირა მსოფლიოში, სპილენძის მოპოვების მხრივ კი — მეხუთე.

(XIX საუკუნის დასასრულისათვის ავსტრალიის კოლონიების ძირითად პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენდა გაერთიანების — ფედერაციის შექმნის საკითხი; ცალკეული კოლონიების ურთიერთგათიშულობა აძნელებდა ერთიანი ავსტრალიის ბაზრის შექმნას. მაგრამ კოლონიების გაერთიანებას წინ ეღობებოდა ცალკეული კოლონიების ინტერესთა სხვადასხვაობა.) მრეწველობის მხრივ უფრო მეტად განვითარებული სამხრეთ ავსტრალია და ახალი სამხრეთი უელსი აყენებდნენ საბაჟო პროტექციონიზმის პროგრამას, აგრარული კვინსლენდი კი უბაჟო ვაჭრობის მომხრე იყო. წინააღმდეგობათა ქვაკუთხედი იყო, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის საბაჟო გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლის განაწილების საკითხი.

(კოლონიებს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობის შედეგად, 1885 წელს შექმნილ ფედერალურ საბჭოს (აქ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ კოლონიის წარმომადგენლები) არავითარი რეალური ძალა არ ჰქონდა. 1897 წელს შტატებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, შემუშავებულ იქნა ავსტრალიის საერთო კონსტიტუცია.)კონსტიტუცია ყოველ კოლონიას სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებდა საშინაო პოლიტიკის დარგში. საგარეო პოლიტიკა საერთ. საქმედ ცხადდებოდა.(კონსტიტუცია ითვალისწინებდა ორი პალატის

შექმნას: სენატისა, რომელშიც ყველა კოლონია, უკვე შტატებად სახელგადარქმეული, წარმოდგენილი იქნებოდა თანასწორ საწყისებზე, და წარმომადგენელთა პალატისა, რომელსაც აირჩევდნენ ყველა შტატში მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე.) ყველა შტატს საბაჟო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის მეოთხედი ნაწილი უნდა გადაეცა ფედერაციული მთავრობის გამგებლობაში. (ახალი კონსტიტუცია 1900 წელს დაამტკიცა ინგლისის მთავრობამ და იგი 1901 წელს შევიდა ძალაში; შეიქმნა ახალი ფედერალური სახელმწიფო, რომელსაც ავსტრალიის თანამეგობრობა ეწოდა.)

ინგლისში წამოწყებულმა საიმპერიო პროტექციონიზმის პროპაგანდამ ყურადღება მიიპყრო კოლონიებშიც; ამ კოლონიების აგრარული წრეები დაინტერესებულნი იყვნენ ინგლისის ბაზრით და მზად იყვნენ ინგლისის საქონლისათვის მიეცათ ფართო შეღავათები, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთივე შეღავათებით შეიტანდნენ ისინი თავიანთ პროდუქტებს ინგლისში. თავის მხრივ, ინგლისის მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ კოლონიები, რომლებსაც თვითმმართველობა გააჩნდათ, მიეზიდა იმპერიის თავდაცვის სისტემაში. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გამწვავებული საერთაშორისო ვითარების გამო. (1887 წელს დედოფალ ვიქტორიას მეფობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ლონდონში გაიმართა დიდი დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლონიების წარმომადგენლებმაც. ინგლისის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქნა თვითმმართველობის მქონე კოლონიების პრემიერ-მინისტრთა თათბირი. თათბირზე სოლსბერიმ წამოაყენა ინგლისის სამფლობელოთა კავშირის შექმნის იდეა, რომელიც მიზნად დაისახავდა იმპერიის ერთობლივ თავდაცვას. ავსტრალია და ახალი ზელანდია დათანხმდნენ იმპერიის თავდაცვისათვის გაეღოთ 126 ათასი გირვანქა სტერლინგი წელიწადში. კანადამ უარი განაცხადა.

1897 წელს დედოფლის ახალ იუბილესთან დაკავშირებით, ამჯერად 60 წლისთავის აღსანიშნავად, ლონდონში კვლავ შეიკრიბა თვითმმართველი კოლონიების (შემდგომში მათ დომინიონები ეწოდათ) კონფერენცია. კოლონიების მინისტრმა ჩემბერლენმა, რომელიც კონფერენციას თავმჯდომარეობდა, კვლავ მოინდომა იმპერიის ეს სამფლობელოები ჩაება იმპერიის თავდაცვის ორგანიზაციაში, თუნდაც ფულადი შენატანების გზით. მან წამოაყენა, აგრეთვე, კოლონიების წარმომადგენელთაგან ფედერაციულ საწყისებზე საიმპერიო საბჭოს შექმნის იდეაც. იგი ფიქრობდა, რომ ეს იდეა მიმზიდველი იქნებოდა კოლონისტებისათვის. მაგრამ კონფერენციის მონა-

წილენი გულცივად შეხვდნენ ჩემბერლენის პროექტს. მათ განაცხადეს, რომ საიმპერიო კონფერენციების მეთოდი, რომელსაც სავალდებულო გადაწყვეტილებანი არ გამოაქვს, მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებთ, თუ მას რეგულარულად მოიწვევენ და უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავენ. თავდაცვის საჭიროებისათვის ხარჯების გაღებაზე კანადამ კვლავ უარი თქვა, ხოლო ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ თავიანთი ყოველწლიური შესატანი 200 ათას გირვანქა სტერლინგამდე გაზარდეს.

1887 და 1897 წლების საიმპერიო კონფერენციები იმის თვალსაჩინო დადასტურება იყო, თუ როგორ გაიზარდა ახალმოსახლეთა ~~ყოფილი კოლონიების პოლიტიკური დამოუკიდებლობა.~~

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისი ეკონომიკის თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მდიდარ ქვეყანად რჩებოდა. 1900 წელს მან აწარმოა 9,1 მილიონი ტონა თუჯი, 6 მილიონი ტონა რკინა და ფოლადი; ამოიღო 228 მილიონი ტონა ქვანახშირი. ომის წინა — 1913 წელს წარმოება ამ სამი მაჩვენებლის მიხედვით კიდევ უფრო გაიზარდა: ინგლისმა ამ წლისათვის აწარმოვა 10,4 მილიონი ტონა თუჯი (მატებამ 14% შეადგინა), 7,79 მილიონი ტონა რკინა და ფოლადი (მატება 30%) და მოიპოვა 292 მილიონი ტონა ქვანახშირი (მატება—22% მეტი). გემთმშენებლობის დარგში ინგლისმა საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა სხვა სახელმწიფო: 1913 წელს ინგლისში აშენდა 1932 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემი, შვიდჯერ მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბრიტანეთის იმპერიის დროშით მსოფლიო ომის წინ ცურავდა მსოფლიო ტონაჟის (მხედველობაში თუ მივიღებთ მხოლოდ დიდ საოკეანო გემებს) თითქმის ნახევარი. ინგლისის ექსპორტმა შეინარჩუნა სამრეწველო ხასიათი: 1913 წელს მისი ექსპორტის თითქმის 70 პროცენტს მზა საქონელი შეადგენდა. ამავე დროს იზრდებოდა ინგლისის დამოკიდებულება იმპორტზე. იმავე 1913 წელს ინგლისის იმპორტის 74 პროცენტზე მეტს შეადგენდა კვების პროდუქტები და ნედლეული.

უწინდებურად ფრიად მყარი იყო ინგლისის პოზიციები საერთაშორისო ვაჭრობასა და საბანკო საქმეებში. ინგლისში იყო უმსხვილესი სასაქონლო ბირჟები, აქ ნორციელდებოდა გარიგებანი თითქმის ყველა სახის საქონლისა და ნედლეულის ყიდვა-გაყიდვაზე. ინგლისის გავლით მიდიოდა უზარმაზარი სასაქონლო ნაკადი ყველა ქვეყანაში. ლონდონი იყო, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო ცენტრი, ინგლისური გირვანქა სტერლინგი ითვლებოდა მსოფლიო ანგარიშსწორების ერთეულად. ინგლისური კაპიტალი აკრედიტებდა სა-

ქონლის გადაზიდვას მრავალ ქვეყანას შორის და ამ ოპერაციებით უზარმაზარ მოგებას ღებულობდა. ინგლისური ფირმა „ლოიდი“ მსოფლიოში უდიდეს კომპანიად ითვლებოდა საზღვაო ნაოსნობის დაზღვევის დარგში. ინგლისის ბანკებმა მთელ მსოფლიოში მოჰფინეს თავიანთი ფილიალები და განყოფილებები.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისი ჩამორჩებოდა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მრეწველობის განვითარების ტემპების თვალსაზრისით. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მრეწველობის იმ ტრადიციულ დარგებში, რომლებშიც ინგლისს უდავო უპირატესობა ჰქონდა მრავალი ათწლეულის განმავლობაში. მაგალითად, თუ 1850—1870 წლებში ინგლისის წილი ქვანახშირის მსოფლიო მოპოვებაში, თუჯისა და ბამბეულის ნაწარმის დამზადებაში დაახლოებით ნახევარს შეადგენდა, XIX საუკუნის ბოლოსათვის იგი მკვეთრად დაეცა: 1900 წელს ინგლისის წილად მოდიოდა ქვანახშირის მსოფლიო მოპოვების მხოლოდ 29,7%, თუჯის მსოფლიო წარმოების 22,1% და ბამბეულის მსოფლიო მოხმარების 28,5%.

1913 წელს ინგლისის წილი ამ მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიო წარმოების მხრივ შემცირდა შესაბამისად 21,8, 13,2 და 23,2 პროცენტამდე.

მოყვანილი მონაცემები, ცხადია, არ ადასტურებს, რომ ინგლისის მრეწველობა ამ წლებში საერთოდ არ ვითარდებოდა, პირიქით, ზოგიერთი დარგი ძალზე სწრაფად ვითარდებოდა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ახალი სახის წარმოების დარგების — ქიმიური წარმოებისა და ელექტროტექნიკის ზრდა-განვითარება. ნათელია, რომ წარმოების ძველი დარგების განვითარებაც არ შეჩერებულა, მაგრამ ზრდის ტემპების მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, ინგლისი შესამჩნევად ჩამორჩებოდა თავის კონკურენტებს, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიას: მაშინ, როდესაც ინგლისში 13 წელიწადში (1900—1913 წლები) თუჯის წარმოება გაიზარდა მხოლოდ 14%-ით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მან იმატა 120%-ით, ხოლო გერმანიაში — 124,5%-ით.

კონკურენტებთან შედარებით ინგლისი არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა: მოძველებული ტექნიკის ტვირთით შებოჭილ ინგლისის მძიმე მრეწველობას არ შეეძლო გაძლიერებული კონკურენცია გაეწია გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა წარმოებისათვის, სადაც უკვე ინერგებოდა ყველაზე უახლესი მანქანები და მოწინავე ტექნოლოგია.

მოქმედებდა აგრეთვე სხვა, უფრო მეტად მნიშვნელოვანი მიზე-

ზიც — სხვა ქვეყნებში კაპიტალის უზარმაზარი გატანა. ინგლისს კვლავ პირველი ადგილი ეჭირა მსოფლიოში კაპიტალის გატანის მასშტაბებით: 1910 წლისათვის ინგლისის ბურჟუაზიას საერთო ანგარიშით საზღვარგარეთ დაბანდებული ჰქონდა დაახლოებით 3,7 მილიარდი გირვანქა სტერლინგი, მაშინ როცა საფრანგეთის უცხოური დაბანდება არ აღემატებოდა 1,8 მილიარდს, ხოლო გერმანიისა — 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგს. საზღვარგარეთ გატანილ კაპიტალს უზარმაზარი მოგება მოჰქონდა. სასელდობრ, ინგლისმა 1912 წელს გატანილი კაპიტალიდან მოგების სახით მიიღო 176 მილიონი გირვანქა სტერლინგი, მაშინ როცა მთელმა საგარეო ვაჭრობამ მისცა მას მხოლოდ 33 მილიონი გირვანქა სტერლინგი. დიდძალი სასესრები ხმარდებოდა არა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, არამედ ფუფუნებას და გართობას. ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის 10 პროცენტს მსახურები შეადგენდნენ. ცხენოსნური დოღები და ხადირობა აურაცხელ სახსრებს ნთქავდა; მელაზე სანადიროდ სპეციალურად ჰყავდათ 200 ათასი ცხენი, მათი შენახვა კი წელიწადში 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი ჯდებოდა, საძოვრებისა და სახნავი მიწების გარკვეული ფართობი სანადირო ადგილებს ეთმობოდა.

კაპიტალის ექსპორტი, ამდიდრებდა რა ინგლისის მქონებელ კლასს, საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობდა ინგლისის ეკონომიკის შემდგომ დასუსტებას, აძლიერებდა იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ პარაზიტიზმს. ინგლისი, ვ. ი. ლენინის თქმით, თანდათან იქცეოდა რანტიეთა ქვეყანად, რომლის მოგება მეტწილად კაპიტალისაგან მიღებულ პრეტენზიებზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ძლიერდებოდა მოთხოვნები შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადების დაწესების შესახებ, ინგლისის მთავრობა, იმ წრეების ინტერესების დასაცავად, რომლებიც საგარეო ვაჭრობასთან იყვნენ დაკავშირებულნი, განაგრძობდა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას. ამ გარემოებამ შეაფერხა მონოპოლისტურ გაერთიანებათა ზრდა: არ არსებობდა საამისოდ აუცილებელი ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმული — შინაურ ბაზარზე ფასების გადიდების შესაძლებლობა, რადგან უცხოეთიდან საქონლის თავისუფალი შემოტანა დაუყოვნებლივ სპობდა განსხვავებას ფასებში.

ამ დაბრკოლების მიუხედავად, მონოპოლიების ჩამოყალიბებისა და გაძლიერების პროცესი ინგლისში მიმდინარეობდა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, წარმოების გამსხვილების პარალელურად. მონოპოლიათა ჩამოყალიბების პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობდა საბანკო საქმეში: ომის წინ ინგლის-

ში ჩამოყალიბდა ათიოდე მსხვილი ბანკი, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსებში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. მსუბუქ მრეწველობაში სჭარბობდა მონოპოლისტურ გაერთიანებათა „ჰორიზონტალური" ტიპი, ე. ი. ერთი ფირმის ხელში წარმოების გარკვეული სახის თავმოყრა; ასეთი გაერთიანების მაგალითს წარმოადგენდა ძაფის მწარმოებელი ფირმა „კოუტსი". მძიმე მრეწველობაში სჭარბობდა „ვერტიკალური" გაერთიანებები, რომლებიც თავს უყრიდნენ წარმოების მთელ პროცესს — ნედლეულის მოპოვებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე. ასეთი ხასიათისა იყო, მაგალითად, მსხვილი გემთსაშენი კომპანია „დორმან ლონგი", სამხედრო მასალათა მწარმოებელი ტრესტი „არმსტრონგ უითვორსი" და სხვ.

კოლონიური სამფლობელობის სიდიდით XX საუკუნის დამდეგისათვის ინგლისმა საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა სხვა კაპიტალისტური ქვეყანა. იმპერიალიზმის ეპოქის დადგომისთანავე ინგლისის ბურჟუაზიამ გააძლიერა კოლონიების ხალხთა ჩაგვრა და ექსპლუატაცია. მსხვილმა კოლონიურმა კომპანიებმა და ტრესტებმა შექმნეს კოლონიებში საპლანტაციო მეურნეობანი, რომლებიც დაფუძნებული იყო მკვიდრი მოსახლეობის მონურ შრომაზე. ინგლისის ეკონომიური ძლიერება უპირატესად უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელოებს ემყარებოდა. კოლონიები ინგლისური საქონლის გასაღების ფართო ბაზარს წარმოადგენდნენ და უზრუნველყოფდნენ ინგლისის მონოპოლიას ნედლეულის მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახეების წარმოებაში. ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ, აგრეთვე, როგორც ინგლისური კაპიტალის გატანის ბაზრებიც. დაახლოებით მთელი კაპიტალის ნახევარი, რომელიც ინგლისს გაჰქონდა, კოლონიებზე მოდიოდა. კოლონიური მოგება ობიექტურად ეხეცავდა საკუთრივ ინგლისში საწარმოო საქმიანობას, ანელებდა ინგლისის სამრეწველო განვითარებას და ამით აძლიერებდა ინგლისური იმპერიალიზმის პარაზიტიზმს. ითვალისწინებდა რა კოლონიების როლს და მნიშვნელობას ინგლისური იმპერიალიზმის განვითარებაში, ვ. ი. ლენინი ინგლისურ იმპერიალიზმს კოლონიურ იმპერიალიზმს უწოდებდა.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიების მფლობელობამ და კოლონიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიული „დემოკრატიის" გადაგვარების პროცესის დაჩქარებას: ჯერ კიდევ იმპერიალიზმის ეპოქის დადგომამდე კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისადმი მისწრაფება ინგლისის ბურჟუაზიას აიძულებდა კოლონიებში ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი არმია სადამსჯელო ფუნქციების შესასრულებლად. ე. წ. „თავისუფლებას" საკუთრივ ინგლისში თან ერთვოდა სამხედრო წრეებისა და ბიურო-

კრატიის განუსაზღვრელი ძალადობა კოლონიებში. იმპერიალიზმის ეპოქის დადგომამ, კოლონიებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდამ კიდევ უფრო გამოკვეთილი სახე მისცა ხალხზე ძალადობის სისტემას. ინგლისში სამხედრო წრეებისა და ბიუროკრატიის განვითარება ემყარებოდა კოლონიების მოსახლეობის ხელგრძელ-

იმპერიალიზმის სტადიაში ინგლისის გადასვლა სამხრეთ აფრიკაში დაწყებული ომით აღინიშნა; იგი ახალი ეპოქის—იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთ პირველ ომად ითვლება. ინგლისის ფინანსური კაპიტალი მიისწრაფოდა ხელთ ეგდო ტრანსვაალის ტერიტორიაზე არსებული ოქროსა და ალმასების უმდიდრესი საბადოები. ბურების რესპუბლიკათა დაპყრობა დიდი აფრიკული იმპერიის შექმნის ფართო გეგმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. მფლობელობის ასეთი ზოლი განამტკიცებდა ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციებს სხვა სახელმწიფოებთან აფრიკისათვის წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლაში.

„ჯემსონის თავდასხმის" წარუმატებლობის შემდეგ საფრანგეთთან ურთიერთობის გაფუჭების გამო ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა დროებით გადაედო ბურების რესპუბლიკებზე თავდასხმა. ფაშოდის ინციდენტის ლიკვიდაციამ მდგომარეობა შეცვალა: 1899 წლის დამდეგს ინგლისის მთავრობამ განაახლა შეტევა ბურების წინააღმდეგ. ეს შეტევა ხორციელდებოდა ტრანსვაალის საშინაო საქმეებში ჩარევის ფორმით. ჩარევის საბაბი თითქოს იყო ზრუნვა უატლენდერთა (უცხოელთა) ბედზე, რომელთაც ტრანსვაალის კონსტიტუციით არ ჰქონდათ შინიშენული „ფოლკსრაადის" (პარლამენტის) არჩევნებში მონაწილეობის უფლება; ოიტლენდები ტრანსვაალში ჩადიოდნენ გამდიდრების მიზნით, მათთვის უცხო იყო ამ ქვეყნის ინტერესები: ბურები, ბუნებრივია, სიფრთხილით ეკიდებოდნენ და არ ენდობოდნენ მათ. ინგლისის მთავრობამ მოითხოვა „დაჩაგრული" უცხოელების ბურებთან გათანაბრება. ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა მოხერხებული ხელა გააკეთა: იგი დათანხმდა ხმის უფლება მიეცა ოიტლენდერებისათვის. ოღონდ იმ პირობით, რომ ამის შემდეგ ინგლისი ხელს აიღებდა ტრანსვაალის საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკაზე. ეს წინადადება მოულოდნელი აღმოჩნდა ინგლისელებისათვის: მათ უარი შეუთვალეს ტრანსვაალის პრეზიდენტს და ამით თავი გამოიაშკარავეს. ცალი შეიქნა, რომ ინგლისის აგრესიისაგან თავის დახსნა დათმობებით შეუძლებელი იყო. ბურების წინაშე ასეთი არჩევანი დადგა: ან ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ან კაპიტულაცია. 1899 წლის 9 ოქტომბერს, გარდუვალი აგრესიის გამო ტრანსვაალმა ომი გამოუცხადა ინგლისს,

ორი დღის შემდეგ ასევე მოიქცა ორანჟის რესპუბლიკაც. ბურებმა დაასწრეს ინგლისელებს, 12 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდნენ და შეიჭრნენ ინგლისის სამფლობელოთა ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკაში. ომი დაიწყო.

როცა ტრანსვაალის წინააღმდეგ აგრესიას იწყებდნენ, ინგლისელი იმპერიალისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოწინააღმდეგეს იოლად მოუღებდნენ ბოლოს. მათი აზრით, ბურების ჩამორჩენილ რესპუბლიკებს არ შეეძლოთ გატოლებოდნენ თავიანთ ძლიერ მოწინააღმდეგეს. მაგრამ ჩემბერლენი და მისი თანამოაზრენი ანგარიშში მოტყუვდნენ. ბურები ჩინებული მხედრები და მსროლელები იყვნენ, შესანიშნავად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, მათ აღფრთოვანებდათ სამშობლოს დაცვის სამართლიანი იდეა და მთელი ხალხის მხარდაჭერა. ბურები დიდი ხანი ელოდნენ ინგლისის თავდასხმას და ამიტომ ადრევე შეიძინეს უახლესი სახის საარტილერიო იარაღი და შექმნეს სხვა იარაღის დიდი მარაგი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბურების ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საშუალების გამოყენება. ბურებმა ვერ გაბედეს თავიანთი დროშის ქვეშ სამხრეთ აფრიკის ჩაგრული მკვიდრი მოსახლეობის უზარმაზარი მასების გაერთიანება, ინგლისელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ნამდვილი სახალხო ომი, როგორც ჩანს, ბურების ზედაფენის ანგარიშში არ შედიოდა, რადგან ეს ზედაფენა თვითონ გამოდიოდა მკვიდრი მოსახლეობის მჩაგვრელის როლში, საკუთარი მიწებიდან ერეკებოდა და იმონებდა მათ. მკვიდრი მოსახლეობის აჯანყებისადმი შიშმა, რასაც შესაძლოა მუქარის ქვეშ დაეყენებინა საერთოდ „პრივილეგირებული" თეთრი რასის ყოფნა სამხრეთ აფრიკაში, თავისი დაღი დაასვა ომის მთელ მსვლელობას და განაპირობა მისი შედეგიც.

ამასთან ბურების სარდლობამაც იმთავითვე როდი გამოიყენა პარტიზანული ომის ტაქტიკა, რომელიც უფრო მოსახერხებელი და გამოსადეგი იყო სამხრეთ აფრიკის ადგილობრივ პირობებში.

ომის პირველი სამი თვის მანძილზე — 1899 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე — ბურებმა რამდენიმე მარცხი მიაყენეს ინგლისელთა ჯარებს ნატალსა და ბეჩუანალენდში. 10-დან 16 დეკემბრამდე ინგლისის არმიამ ორჯერ იწვნია გამანადგურებელი მარცხი: ამ დღეებს ინგლისელებმა „შავი კვირა" უწოდეს. მაგრამ შემდეგ ბურებმა, რომლებმაც ლოდინის პასიური პოზიცია დაიკავეს, ვერ შეძლეს მიღწეულ წარმატებათა გამოყენება. ინგლისელებმა ისარგებლეს ამით, თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალებს, შექმნეს ძალთა უპირატესობა და დაიწყეს ტრანსვაალზე კონცენტრირებული შეტევა. 1900 წლის

ზაფხულისათვის ინგლისის არმიის რაოდენობამ სამხრეთ აფრიკაში 500 ათას კაცს მიაღწია, მათ წინააღმდეგ კი ბურებმა მხოლოდ 50 ათასი მეომრის გამოყვანა შეძლეს. ზაფხულის დამდეგს ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ბურების რესპუბლიკების ორივე დედაქალაქი — ბლუმფონტეინი და პრეტორია. 1900 წლის აგვისტოში კრიუგერმა დატოვა სამხრეთი აფრიკა და ევროპას შეაფარა თავი. სექტემბერში ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა ბურების რესპუბლიკათა ანექსია. მაგრამ ბურები კვლავ განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას. მათ შეცვალეს ტაქტიკა და პარტიზანული ბრძოლის მეთოდზე გადავიდნენ. ბურების მცირერიცხოვანი, მეტისმეტად მოძრავი რაზმები გაბედულ თავდასხმებს აწყობდნენ ინგლისელთა სამხედრო ძალებზე, ბაზებსა და კომუნიკაციებზე. პარტიზანული რაზმები საგრძნობ დარტყმებს აყენებდნენ მტერს. 1902 წლის მარტში, ომის დაწყებიდან 29 თვის შემდეგ ბურებმა ტყვედ იგდეს ინგლისელი გენერალი თავისი შტაბითა და ჯარის ნაწილით. ამრიგად, ინგლისელების მიერ დამთავრებულად მიჩნეული ომი გრძელდებოდა.

ბურების ტაქტიკის წარმატება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პარტიზანული რაზმები ბური გლეხობის ფართო მასების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ: ეს რაზმები მოუხელთებელნი იყვნენ, ძალებს იკრებდნენ და ივსებოდნენ. ბურების წინააღმდეგობა რომ გაეტეხათ, ინგლისელებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მკაცრი ტერორის მეთოდს მიმართეს: აწყობდნენ მასობრივ რეპრესიებს, წვავდნენ ფერმებს, იტაცებდნენ და სპობდნენ პირუტყვს, შემდეგ დაიწყეს საკონცენტრაციო ბანაკების შექმნაც, სადაც ერეკებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1902 წლის 31 მაისს ბურების სარდლობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ფერეენიგინგში დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო დამოუკიდებელი ბურების რესპუბლიკათა არსებობას. ეს ქვეყნები სამხრეთ აფრიკის ინგლისურ სამფლობელოთა შემადგენლობაში შეიყვანეს. ინგლისელმა იმპერიალისტებმა მიზანს მიაღწიეს: მათ ხელთ იგდეს ალმასების დამუშავების უძდიდრესი რაიონები, მოიპოვეს ალმასების მსოფლიო მოპოვების მონოპოლია და სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში თავიანთ სამფლობელოთა ტერიტორიებს შორის მოსპეს ბარიერები.

სამხრეთ აფრიკაში წარმოებულმა ომმა ხელი შეუწყო ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში რეაქციის შემდგომ გაძლიერებას. ინგლისში დაიწყო „ჯინგოიზმის“ — მეომრული შოვინიზმის ინგლისური სახესხვაობის — აყვავება. ლონდონში გამუდმებით ეწყობოდა „პატრიოტული“ მანიფესტაციები, რომელთაც თან ახლდა ომის მოწინა-

აღმდეგეთა სახლების დარბევა. პრესა საომარ განწყობილებას აღვივებდა. ქვეყნდებოდა შეთხზული ცნობები ბურების შესახებ, მოუწოდებდნენ ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ, ეკლესიამ ომი ინგლისის იმპერიალიზმის „საღვთო მისიად" გამოაცხადა. „სწავლული" საეკლესიო მოღვაწე კრემი, თავის გახმაურებულ საჯარო ლექციებში ამტკიცებდა, რომ საყოველთაო მშვიდობა ოცნება კი არა, „კოშმარია", ომი კი ამქვეყნიური განვითარების უმაღლესი კანონიაო. კრემი ხოტბას ასხამდა ომს სამხრეთ აფრიკაში და აცხადებდა, რომ ინგლისურმა რასამ, რომელიც წარმოქმნილია ტევტონური რასის „საუკეთესო" ელემენტებისაგან, მსოფლიოზე უნდა იბატონოს. „ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას ახლა მინიჭებული აქვს იმპერატიული მანდატი", — წერდა კრემი და დაუოკებელი კოლონიური დაპყრობების პოლიტიკას ქადაგებდა. იგი თავს ესხმოდა ეროვნულობის პრინციპს, რომელსაც იგი „მომაკვდავად" და „რეაქციულად" აცხადებდა. დამახასიათებელია, რომ ამ თეზისის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ აგრეთვე ფაბიანელები, რომლებიც თავიანთ თავს „სოციალისტებად" ასაღებდნენ. სიდნეი უები (შემდგომში ლორდი პასფილდი) ამტკიცებდა, რომ ბურების პატარა რესპუბლიკას არსებობის უფლება არა აქვს, რადგან ეროვნებათა დრო წარსულს ჩაბარდაო.

ჯინგოიზმის თავაშვებულმა პროპაგანდამ გარკვეული გავლენა მოახდინა წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებზე და, ნაწილობრივ, მუშათა კლასის ჩამორჩენილ წრეებზე. კონსერვატორებმა გამოიყენეს შოვინისტური ციებ-ცხელება 1900 წლის საყოველთაო არჩევნების დროს. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ომისადმი მხარდაჭერის ლოზუნგებით და მან გამარჯვება მოუტანა კონსერვატორებს. მაგრამ ინგლისის გაბატონებულმა კლასებმა ვერ შეძლეს მუშათა კლასის შოვინისტური პროპაგანდით მოტყუება. ამას, კერძოდ, მოწმობს ომის საწინააღმდეგო რეზოლუცია, რომელიც მიიღო ტრედ-იუნიონთა კონგრესმა 1900 წელს. ხალხის ფართო მასებში ომის საწინააღმდეგო განწყობილება ძლიერდებოდა ომის გაჭიანურებისა და მისი დამპყრობლური ხასიათის გამოაშკარავების პარალელურად.

მუშათა კლასის სწორედ ეს განწყობილება აიძულებდა ლიბერალურ ბურჟუაზიას დადგომოდა ომის საკითხში მანევრირების ტაქტიკას. ზოგიერთი ლიბერალი პოლიტიკოსი, სახელდობრ ლოიდ ჯორჯი, თავს ბურებთან ომის მოწინააღმდეგედ აცხადებდა. ლიბერალთა ეს პოზიცია პირფერული იყო: საერთოდ ლიბერალები არ უარყოფდნენ ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკას, და თუ მას აკრი-

ტიკებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მოეპოვებინათ პოლიტიკური კაპიტალი მასების მხარდაჭერის სახით.

ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის ერთმა ნაწილმა აშკარად დაუჭირა მხარი ომს, და თავი „იმპერიალისტად", იმპერიის კოლონიური პოლიტიკისა და ფართო კოლონიური დაპყრობების მომხრედ გამოაცხადა. „ლიბერალ-იმპერიალისტთა" ამ ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ლორდი როზბერი, ლორდი გრეი და ჰოლდენი — სცადა ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება.

მაგრამ ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის უმრავლესობამ კემპელ-ბანერმანის მეთაურობით ლოდინის პოზიცია დაიკავა. იმის გამო, რომ ძლიერდებოდა მასების ომის საწინააღმდეგო განწყობილება, ლიბერალური პარტიის „ცენტრი" თანდათანობით გადაიხარა „მარცხენა" ფრთისკენ, რომელიც ომის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1901 წელს ლიბერალთა ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაგმო ომი ბურების წინააღმდეგ.

სამხრეთ აფრიკაში ზავის დადებიდან ერთი თვის შემდეგ ლორდმა სოლსბერიმ დატოვა პრემიერის პოსტი. პრემიერ-მინისტრი და კაბინეტის მეთაური გახდა მისი ძმისწული არტურ ბალფური. სოლსბერიმ თავის ნათესავს მაინც მეგობრობა დაუტოვა: იუნიონისტური კაბინეტის შემადგენლობაში მწიფდებოდა მწვავე განხეთქილება სატარიფო პოლიტიკის თაობაზე. ამ პოლიტიკის მქადაგებლად გამოდიოდა კოლონიების მინისტრი ჯოზეფ ჩემბერლენი.

„თავისუფალი ვაჭრობის" კრიტიკა და შემოტანილ საქონელზე ტარიფების დაწესების პროექტების წამოყენება დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს. კონკურენციის გაძლიერებისდაკვალად ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზიამ მოსთხოვა სახელმწიფოს უცხოეთის საქონელზე ტარიფების შემოღება. „სამართლიანი ვაჭრობის" ლიგა, — რომელიც შეიქმნა პროტექციონიზმის პროპაგანდისათვის, „თავისუფალი ვაჭრობის" იდეების საპირისპიროდ, ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში პროტექციონიზმის მოთხოვნას უკავშირებდა კოლონიურ საქონელზე სატარიფო შეღავათების სისტემას. ფაქტიურად ეს იყო „საბაჟოთა კავშირის" შექმნის მოთხოვნა ინგლისსა და მის კოლონიებს შორის.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულისათვის კონიუნქტურის ერთგვარმა გაუმჯობესებამ შეასუსტა პროტექციონისტთა პროპაგანდა; ომმა დროებით ჩამოაშორა ყურადღება ამ საკითხებს. ომის დამთავრების შემდეგ პროტექციონიზმის პროპაგანდა კვლავ გაძლიერდა. 1903 წლის მაისში ჯოზეფ ჩემბერლენმა საჯაროდ განაცხადა: პროტექციონიზმის ბანაკში გადავდივარო და ენერგიული კამპანია

გააჩაღა საბაჟო სისტემის რეფორმის სასარგებლოდ. 1903 წლის მაისში ბირმინგემში წარმოთქმულ თავის გახმაურებულ სიტყვაში ჩემბერლენი მოუწოდებდა უარი ეთქვათ თავისუფალ ვაჭრობაზე და შეექმნათ სამფლობელოებთან „საბაჟო კავშირი“. ჩემბერლენი დაპირებას იძლეოდა, რომ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს შეუქმნიდა ინგლისის მრეწველობას. ჩემბერლენის გამოსვლამ გაამწვავა ბრძოლა, რომელიც დიდი ხანია წარმოებდა ინგლისის ბურჟუაზიის წრეებში ტარიფების საკითხის ირგვლივ; ამ ბრძოლამ თავი იჩინა თვით კაბინეტებში.

ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებში ტარიფების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო: ტარიფები სასარგებლოდ არ ეჩვენებოდათ კაპიტალისტთა იმ წრეებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ საბანკო და საკაჭრო ინტერესებით. ინგლისში უცხოურ საქონელზე ტარიფის დაწესება, უეჭველია, გამოიწვევდა საპასუხო ღონისძიებებს სხვა ქვეყნებში, და, რა თქმა უნდა, გაზრდიდა სიძნელეებს ინგლისის კაპიტალის ოპერაციებისათვის ამ ქვეყნებში. იმპერიის შიგნით ვაჭრობის გაფართოება ვერ დაფარავდა იმ ზარალს, რომელსაც ეს წრეები ნახავდნენ უცხოეთის ბაზრებზე. ცნობილი სტატისტიკოსის გიფენის მონაცემებით, 1900 წელს ინგლისიდან კოლონიებში გატანილ იქნა 102 მილიონი გირვანქა სტერლინგის საქონელი, ხოლო სხვა ქვეყნებში — 252 მილიონი გირვანქა სტერლინგისა. ამასთან საიმპერიო ბაზრის ზრდის პერსპექტივები მაინცდამაინც ნათელი როდი იყო. ინგლისის ზოგიერთი სამფლობელოს ბურჟუაზია, რომელმაც უფლება მიიღო თვითონ განესაზღვრა სატარიფო პოლიტიკა (კანადა, ავსტრალია), აშკარა ტენდენციებს ავლენდა საკუთარი ბაზარი დაეცვა ინგლისური საქონლისაგან. სწორედ ამის გამო კაბინეტის უმრავლესობა არ მიემხრო ჩემბერლენს. ბალფური, — რომელიც დაკავშირებული იყო მძიმე მრეწველობასთან, პირადად თანაუგრძნობდა ჩემბერლენის იდეებს, მაგრამ პარტიაში განხეთქილებისა და არჩევნებში დამარცხების შიშით ფრთხილად ეწეოდა მანევრირებას, კმაყოფილდებოდა ორაზროვანი გამონათქვამებით. 15 მაისს, როცა ჩემბერლენმა სიტყვა წარმოთქვა, ბალფურმა საჯაროდ განაცხადა, რომ პროტექციონიზმის იდეაზე აგებული საბაჟო პოლიტიკის საკითხი „ჯერ კიდევ არ მომწიფებულაო“.

ამ საკითხზე არსებულმა უთანხმოებამ გამოიწვია კაბინეტიდან რამდენიმე მინისტრის გასვლა. 1903 წლის შემოდგომაზე მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა ჩემბერლენიც. მის მიერ შექმნილმა საბაჟო რეფორმის ლიგამ და ყველაზე გავლენიანმა კონსერვატიულ-

მა გაზეთებმა დაიწყეს საბაჟო სისტემის რეფორმის აქტიური პროპაგანდა.

ლიბერალები შეეცადნენ გამოეყენებინათ კონსერვატორთა ბანაკში არსებული უთანხმოება. 1904 წელს კობდენის დაბადების 100 წლისთავზე, „კობდენის ლიგამ“ ფრიტრედის აქტიური პროპაგანდა გააჩაღა. მუშათა კლასის ხმები რომ მიემხრო, ლიბერალებმა, „იაფი პურის“ დაპირებებთან ერთად წამოაყენეს სოციალური რეფორმების ბუნდოვანი პროგრამა, სახელდობრ, პირობა დადეს შემოეღოთ ისეთი კანონები, რომლებიც მოახდენდნენ „კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის რეგულირებას“.

ლიბერალთა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო. პარლამენტის არჩევნები 1905 წლის დეკემბერში კონსერვატიული პარტიის სრული მარცხით დამთავრდა: ახალ პარლამენტში მათ 402 ადგილის ნაცვლად მიიღეს მხოლოდ 157 ადგილი. ახალ პარლამენტში ლიბერალებმა ადგილების უმეტესობა მიიღეს (401 ადგილი — 186-ის ნაცვლად). ლიბერალთა კაბინეტს სათავეში ჩაუდგა კემპბელ-ბანერმანი.

XX საუკუნის დასაწყისი ინგლისში აღინიშნა მუშათა მოძრაობის აღმავლობით და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. ინგლისის მიერ მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის დაკარგვა ამცირებდა მუშათა ზედაფენის მოსყიდვის შესაძლებლობას. ამ გარემოებას შედეგად მოჰყვა არა მარტო მუშათა კლასის ფართო ფენების, არამედ ზოგიერთი პრივილეგირებული ჯგუფების მდგომარეობის გაუარესებაც.

იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარიატის შედარებითი და აბსოლუტური გაღატაკების პროცესი თვალსაჩინოდ გაძლიერდა. მოგების შემცირებით შეშფოთებულმა ინგლისის ბურჟუაზიამ იერიში მიიტანა მუშათა კლასზე. იგი აძლიერებდა ექსპლუატაციას, სრულყოფდა შრომის ინტენსიფიკაციას. მთავრობის მხარდაჭერით ბურჟუაზიამ წამოიწყო იერიში მუშათა კლასის ორგანიზაციებზე, ცდილობდა შეესუსტებინა მისი წინააღმდეგობა და განეიარაღებინა იგი. ტრედ-იუნიონები, ნაკლოვანებათა და სისუსტის მიუხედავად, ობიექტური მიზეზების გამო მეწარმეთა შეტევის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის იარაღი და დასაყრდენი ბაზა გახდა.

1898 წელს ბურჟუაზიამ შექმნა მეწარმეთა საპარლამენტო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავდა პროფკავშირების წინააღმდეგ მთავრობისა და მეწარმეთა ბრძოლის ორგანიზაციას და კოორდინაციას.

მალე გამოიძებნა საბაბი პროფკავშირებზე იერიშის მისატანად. 1901 წელს გაიფიცნენ ტაფის ველის (სამხრეთი უელსი) რკინიგზის კომპანიის მუშები; გაფიცვის დამთავრების შემდეგ მეპატრონეებმა

სასამართლოში შეიტანეს ფულადი სარჩელი პროფკავშირის წინააღმდეგ. მათ პროფკავშირი ცნეს იმ ზარალის პასუხისმგებლად, რომელიც კომპანიამ განიცადა გაფიცვის შედეგად; 1901 წლის ივლისში უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ — ლორდთა პალატამ — მეწარმეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე და ამის საფუძველზე სასამართლომ პროფკავშირს მიუსაჯა 23 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა. შეიქმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი. პროფკავშირებს ფაქტიურად ეკრძალებოდათ გაფიცვებში მონაწილეობის მიღება და მისი ხელმძღვანელობა. ობიექტური ვითარება ინგლისელ მუშებს ბრძოლისაკენ უბიძგებდა.

მუშათა მოძრაობის გამოცოცხლების პირველი ნიშანი იყო ტრედ-იუნიონთა რიგების შესამჩნევი ზრდა: 1900 წელს მათი წევრთა რიცხვი 1972 ათას კაცს შეადგენდა, რაც 1895 წელთან შედარებით 565 ათასი კაცით მეტი იყო. მომდევნო წლებში კრიზისებისა და დეპრესიების გამო ზრდა შეფერხდა, მაგრამ შემდეგ, 1905 წლიდან მოყოლებული, იგი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განახლდა; ომის წინა 1913 წელს ტრედ-იუნიონთა წევრების რიცხვმა 4.135 ათასს მიაღწია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი, არაკვალიფიციური მუშების პროფკავშირების შექმნა, მათ შორის ყველაზე დიდი იყო მეტრანსპორტეთა (დოკერი მტვირთავებისა და მეზღვაურების) კავშირი, რომელიც 1910 წელს შეიქმნა. ახალ პროფკავშირებში ცდილობდნენ დაეძლიათ ინგლისური პროფმოძრაობის ადრინდელი სისუსტე — მისი დაქსაქსულობა და ვიწრო ამქრული ხასიათი.

პარალელურად მიმდინარეობდა არსებული პროფესიული ორგანიზაციების განმტკიცების პროცესი. ინგლისური პროფკავშირული მოძრაობის დაქსაქსულობას რომ ბოლო მოღებოდა, 1900 წელს შეიქმნა პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაცია. პროფკავშირთა ფედერაცია კონვრესისაგან განსხვავებით პროფკავშირებს აერთიანებდა არა საწარმოო, არამედ ტერიტორიული ნიშნით.

საყოველთაო ფედერაციას, მისი ორგანიზატორების აზრით, ეროვნული მასშტაბით უნდა გაეერთიანებინა ყველა ტრედ-იუნიონი და პროფესიული საბჭო (პროფკავშირთა ტერიტორიული გაერთიანებები). ფედერაციის ორგანიზატორებმა ტრედ-იუნიონებს ფედერაციაში დაშვების პირობის სახით მოსთხოვეს არსებული ეროვნული პროფკავშირული გაერთიანებების დაშლა. მაგრამ, ტრედ-იუნიონების ავტონომიისადმი მისწრაფებამ დააბრკოლა პროფკავშირთა ნამდვილად ეროვნული გაერთიანებების შექმნა. ყველაზე მსხვილ-

შა ტრედ-იუნიონებმა უარი თქვეს ამ პირობების შესრულებაზე და განზე გადგნენ. პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაცია ამის გამო თვეთონ დაიშალა.

(სხვაგვარი აღმოჩნდა მეორე, 1900 წელს პარლამენტში მუშათა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით შექმნილი ორგანიზაციის ბედი. მუშათა მასებში ძლიერდებოდა ის აზრი, რომ მეწარმეებთან წარმატებით ბრძოლისათვის აუცილებელი იყო პარლამენტში მუშათა დამოუკიდებელი წარმომადგენლობის შექმნა. ტრედ-იუნიონთა პლიმუტის კონგრესმა (1899) გადაწყვიტა სპეციალური კონფერენცია მოეწვია, რათა „გამოენახათ უახლოეს პარლამენტში მუშათა დეპუტატების უფრო თვალსაჩინო ჯგუფის შექმნის გზები და საშუალებები". ეს კონფერენცია გაიმართა ლონდონში 1900 წელს; კონფერენციაში მონაწილეობდნენ ტრედ-იუნიონების, პროფესიული საბჭოების, სოციალისტური ორგანიზაციების და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წარმომადგენლები (სულ 129 კაცი). კონფერენციამ შექმნა მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი) 1905 წელს კომიტეტს სახელი გამოეცვალა და ლეიბორისტული პარტია ეწოდა. ახალი პარტია შეიქმნა კოლექტიური წევრობის საფუძველსა და ფედერაციულ საწყისებზე. 12 კაცისაგან შემდგარი მისი აღმასრულებელი კომიტეტი აერთიანებდა მასში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. პარტიის მატერიალური ბაზა შეიქმნა 1903 წელს ნიუკასლში გამართული სპეციალური კონფერენციის გადაწყვეტილებით. ამ კონფერენციამ პარტიაში შემავალ ყველა ორგანიზაციას დაავალა აეკრიფათ საწევრო ყოველკვირეულად (თითო პენსი ყოველი წევრისაგან).

(1900 წლის არჩევნებში ახალ პარტიას არც ერთი ადგილი არ მიუღია. შემდგომში პარტიის წარმატებას ხელი შეუწყო ბურჟუაზიის აგრესიულმა პოლიტიკამ, კერძოდ, გადაწყვეტილებამ ტაფის ველის საქმის გამო. 1901 წლის შემდეგ კომიტეტს მრავალი ორგანიზაცია მიემხრო. ამის საფუძველზე პარლამენტის მომდევნო დამატებით არჩევნებში პარტიამ შეძლო რამდენიმე დეპუტატის გაყვანა).

პარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია 1905 წლის არჩევნებში. ლეიბორისტებმა პარლამენტში დეპუტატის 29 ადგილი მოიპოვეს. ამ გამარჯვებამ ძლიერ შეაშფოთა ბურჟუაზია. არჩევნების შთაბეჭდილებებით დაწერილ სტატიაში ბალფური აღნიშნავდა, რომ არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლიბერალების გამარჯვება და პროტექციონისტთა დამარცხება როდიაო. „ჩვენ ვდგავართ, — წერდა ბალფური. — იმავე სოციალური პრობლემების (თუმცა უფრო სუსტი ფორმით გამოხატულ) წინაშე, რომლებიც ასე დიდ

როლს ასრულებს კონტინენტზე. თუ არ ვცდები, 1905 წლის არჩევნებით ახალი ერა იწყება". ბურჟუაზიულმა პრესამ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი დიდი ძალის გამოჩენის კონსტატირება მოახდინა.

ბურჟუაზია ცდილობდა ძირი გამოეთხარა ლეიბორისტული პარტიის მატერიალური ბაზისათვის. მეწარმეთა ჩაგონებით, რკინიგზელთა პროფკავშირის წევრმა ოსბორნმა პროფკავშირს სასამართლოში უჩივლა ლეიბორისტთა პარტიის სასარგებლოდ საწევროების აკრეფისათვის. 1909 წლის დეკემბერში ლორდთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება „ოსბორნის საქმის" გამო: კავშირებს აეკრძალა პოლიტიკური მიზნებისათვის ფულის აკრეფა, ეს ნაბიჯი, ისევე როგორც ტაფის ველის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მიზნად ისახავდა წინ აღდგომოდა მუშათა ორგანიზაციების საქმიანობას. პროფკავშირები არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას, ხელისუფლებამ კი ვერ გაბედა მისი განხორციელება.

ლეიბორისტული პარტიის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინგლისის მუშათა მოძრაობაში. იგი ადასტურებდა, რომ მუშებში სულ უფრო იზრდებოდა საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ინტერესების შეგნება. მაგრამ ახალმა ორგანიზაციამ ვერ გაამართლა მუშათა კლასის იმედები, და ბურჟუაზიის შეშფოთებაც ნაადრევი აღმოჩნდა. ოპორტუნისტებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ლეიბორისტულ პარტიას, პარტიის მოქმედების არე შემოფარგლეს პარლამენტის ვიწრო ჩარჩოებით. ლეიბორისტული პარტია მალე ჩაება ჩვეულებრივ საპარლამენტო „თამაშში". გამოვლინდა ლეიბორიზმის კლასობრივი ხასიათი. ლეიბორისტთა ხელმძღვანელობასა და ლიბერალებს შორის ამოქმედდა ურთიერთთანამშრომლობის დაუწერელი შეთანხმება. ცხადი გახდა, რომ ლეიბორისტები ბურჟუაზიის წარმომადგენელთა როლში გამოდიოდნენ. ლეიბორისტი კანდიდატები, როგორც წესი, უარყოფდნენ მუშათა კლასის სოციალურ მოთხოვნებს და გამოდიოდნენ „თავისუფალი ვაჭრობის" და „პროგრესული" ბურჟუაზიული კანონმდებლობის ლოზუნგებით. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრისას ლეიბორისტები ლიბერალებთან ერთად გამოდიოდნენ. ისინი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში იმყოფებოდნენ და უარყვეს კლასობრივი ბრძოლის იდეა.

1907-12 წლები ინგლისში აღინიშნა მუშათა მასობრივი მოძრაობის აღმავლობით. მას საფუძვლად ედო მთელი რიგი ფაქტორები: მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება (განსაკუთრებით 1907 წლის კრიზისის შედეგად), რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გავლენა და სხვ. საგაფიცვო მოძრაობის ადმავლო-

ბა ჯერ კიდევ 1906 წელს დაიწყო. ამ წელს გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1907 წლის დასასრულს და 1908 წლის დამდეგს მრეწველობაში ადგილი ჰქონდა სამ დიდ, სერიოზულ კონფლიქტს. 1907 წლის შემოდგომაზე მანჩესტერში დაიწყო ფეიქრების გაფიცვა, რომელმაც შვიდ კვირას გასტანა; 1908 წლის თებერვალში გაიფიცნენ კლაიდის (შოტლანდია) მელითონეები, რომლებსაც მექანიკოსებიც შეუერთდნენ. 1907 წლის ოქტომბერში დაიწყო რკინიგზის მუშათა დიდი გაფიცვა. მთავრობა სასწრაფოდ ჩაერია კონფლიქტებში, რათა თავიდან აეცილებინა შემდგომი საშიში გამწვავება.

საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი ეტაპი დაიწყო 1910 წელს. ივლისში იფეთქა მუშათა გაფიცვამ ჩრდილო-აღმოსავლეთის რკინიგზაზე; მას აგვისტოში მოჰყვა გემთმშენებელი მუშების გაფიცვა მდინარე ტაინზე. მალე გამოვიდნენ ლანკაშირისა და ჩეშირის ფეიქრები. ოქტომბერსა და ნოემბერში გაიშალა ინგლისის ჩრდილოეთი რაიონებისა და სამხრეთ უელსის მეშახტეთა დიდი გაფიცვა. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა მუშათა ბრძოლას უელსში. აქ მუშებმა პიკეტები დააყენეს შტრეიკბრეხერთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მთავრობამ შტრეიკბრეხერთა დასახმარებლად პოლიცია და ჯარი გაგზავნა; ამან მუშებსა და ჯარს შორის შეტაკება გამოიწვია. მთავრობამ საბოლოოდ ჩამოიხსნა „უანგარო მოპრიგებლის“ ნიღაბი და აშკარად გამოვიდა მუშების წინააღმდეგ. კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო საგაფიცვო მოძრაობამ მომდევნო, 1911 წელს. ივლისში დაიწყო რკინიგზელთა გაფიცვა, პროფკავშირის ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელობამ მუშებს მოუწოდა მინდობოდნენ საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამ რჩევისა, რკინიგზელი მუშები რიგ რაიონებში გაიფიცნენ და აგვისტოს დამდეგს პროფკავშირის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ „სათავეში ჩასდგომოდნენ“ მოძრაობას.

რკინიგზელებს შეუერთდნენ დოკების მტვირთავები. 1910 წლის ნოემბერში შექმნილმა მეტრანსპორტეთა პროფკავშირმა ჯერ კიდევ 1911 წლის ივნისში დაიწყო გაფიცვა, რათა დოკების ყველა მუშის სახელით გემების მეპატრონეებთან მოლაპარაკების უფლება მიეღო. გემების მფლობელებმა უარი თქვეს პროფკავშირებთან საქმის დაჭერაზე. გაფიცვამ მოიცვა ინგლისის ყველა დიდი ნავსადგური და გამოიწვია საზღვაო ვაჭრობის პარალიზება. მთავრობა შეშფოთდა და გაფიცულთა წინააღმდეგ პოლიცია და ჯარი დაძრა ჰალში, მანჩესტერსა და კარდიფში მოხდა მწვავე შეტაკებები მუშებსა და ჯარს შორის. მეწარმენი იძულებულნი გახდნენ ერთგვარ დათმობებზე წა-

სულიყვნენ, მაგრამ პროფკავშირების ცნობაზე მაინც უარი განაცხადეს.

როცა 1911 წლის აგვისტოს დასაწყისში რკინიგზელები გაიფიცნენ, მათ დოკერებიც შეუერთდნენ. რკინიგზელთა და დოკერთა მოძრაობამ სერიოზული ვითარება წარმოქმნა. ქვეყნის უმსხვილესი ქალაქები და ნავსადგურები მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდა. უ. ჩერჩილმა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა, კაფიცულთა წინააღმდეგ ჯარები გამოიყვანა. მისი ბრძანებით ლივერპულში ჯარმა მუშებს ტყვია დაუშინა. ამ გარემოებამ პროფკავშირულ ლიდერებს მანევრირება გაუძნელა. 18 აგვისტოს რკინიგზელთა გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩერჩილის ბრძანებით ჯარები გადაისროლეს ყველა უმნიშვნელოვანეს უბანზე; გახშირდა შეჯახებები მუშებსა და ჯარებს შორის. ამ კრიტიკულ მომენტში ლოიდ ჯორჯმა, გამოიყენა რა არგუმენტად საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა და ომის საფრთხე, ორივე მხარეს „პატრიოტიზმისაკენ“ მოუწოდა. პროფკავშირული მოღვაწეები, რომლებიც უნებლიეთ გახდნენ გაფიცვის ხელმძღვანელები, იმდენად დაშორდნენ მოძრაობას, რომ უყოყმანოდ დათანხმდნენ სადავო საკითხები განსახილველად გადაეცათ სპეციალური შემრიგებელი კომისიისათვის. გაფიცვა ჩაიშალა. როცა ორი თვის შემდეგ „უანგარო“ კომისიამ მოხსენება წარმოადგინა, აღმოჩნდა, რომ გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნები (პროფკავშირთა აღიარება და კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლება) არ მიიღეს. გულგატეხილი და დეზორგანიზებული მუშები იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ დამარცხებას.

რკინიგზელთა გაფიცვა 1911 წლის კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი მოვლენა როდი იყო. იმავე წლის დეკემბერში გაიფიცნენ ქალაქ დანდის მტვირთავები, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ ლანკაშირის ფეიქრები. 1912 წლის იანვარში ქალაქ გლაზგოში იფეთქა გაფიცვამ, რომელშიც მონაწილეობდა უკლებლივ ყველა მუშა. 1912 წლის უდიდესი მოვლენა იყო მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვა. მუშებმა წამოაყენეს მთელს ინგლისში ხელფასის მინიმუმის დაწესების მოთხოვნა. მაღაროელთა შორის 1912 წლის იანვარში ჩატარებულმა კენჭისყრამ გამოავლინა, რომ მუშათა დიდი უმრავლესობა გაფიცვას უჭერს მხარს. მაგრამ პროფკავშირთა ხელმძღვანელები განაგრძობდნენ მეწარმეებთან უნაყოფო მოლაპარაკებას. 4 მარტს მუშათა მილიონიანმა არმიამ სამუშაო მიატოვა. გაფიცვაში ჩაება. აგრეთვე, რკინიგზის ტრანსპორტის, მეტალურგიისა და სხვა დარგების ერთ მილიონზე მეტი მუშა. რადგან მთავრობის „შემრიგებლუ-

რი“ პოლიტიკა გაკოტრდა, 19 მარტს პარლამენტში შეიტანეს კომ-პრომისული ბილი. ნავარაუდევი იყო რაიონების მიხედვით ხელფასის მინიმუმის შემოღება. 27 მარტს ბილი სასწრაფოდ დაამტკიცეს თემთა პალატაში, 29 მარტს კი — ლორდთა პალატაში. აპრილში მაღაროელთა შორის მოწყობილმა კენჭისყრამ კვლავ ცხადყო, რომ მუშათა უმრავლესობა მხარს უჭერდა გაფიცვის განგრძობას. მაგრამ პროფკავშირის ხელმძღვანელებმა ისარგებლეს იმით, რომ უმრავლესობა, რომელმაც მხარი დაუჭირა გაფიცვას, არ შეადგენდა მთელი რიცხვის ორ მესამედს (როგორც ამას წესდება მოითხოვდა) და ჩაშალეს გაფიცვა. მათ გაფიცვა დამთავრებულად გამოაცხადეს. გაფიცვას უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია. მან აჩვენა მაღაროელთა ძალა და დააშინა ინგლისის ბურჟუაზია. ვ. ი. ლენინმა გაფიცვა შეაფასა როგორც ახალი ეტაპი ინგლისის მუშათა მოძრაობაში. გაფიცვათა შემტევმა ხასიათმა, მასობრიობამ და მუშური სოლიდარობის გამოვლინებამ ცხადი გახადა, რომ ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ აქამდე არნახული მასშტაბები მიიღო. გაფიცვებმა გამოავლინა უთანხმოება მუშათა მასებსა და მის ოფიციალურ ბელადებს შორის; გვიჩვენა, რომ მუშები იწყებენ ლიბერალური ილუზიებისა და რეფორმიზმის ტყვეობიდან თავის დაღწევას. ამასვე მოწმობდა ის ფაქტი, რომ მუშებმა ცალკეულ შემთხვევებში წამოაყენეს ისეთი პოლიტიკური მოთხოვნა, როგორიც არის მრეწველობის ნაციონალიზაცია.

ინგლისში მუშათა მოძრაობის აღმავლობა მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდებოდა. მოძრაობაში ებმებოდნენ მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენები, მათ შორის სახელმწიფო მოსამსახურეები— ფოსტის, მუნიციპალიტეტების მუშაკები, მასწავლებლები და ა. შ. 1914 წლის დამდეგს გაიშალა გაფიცვა მშენებელთა შორის, იგი ლონდონში დაიწყო და შემდეგ მთელ ინგლისს მოედო. ომის გამოცხადებამ ინგლისის პროლეტარიატს მოუსწრო მძაფრი კლასობრივი ბრძოლის დროს. გრძელდებოდა უფრო შემჭიდროებული, მსხვილი და მძლავრი კავშირების შექმნა. დაქსაქსული წვრილი ორგანიზაციების ადრინდელი ფორმები უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას, ბრძოლის ახალ ამოცანებს. 1913 წლის იანვარში რკინიგზელთა სამი უმსხვილესი პროფკავშირი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდა. ექვს პროფკავშირად დაქსაქსული ჩამომსხმელები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მათი ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ; იგივე პროცესი მიმდინარეობს მელითონეებსა და მშენებლებს შორის. 1913 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით. რკინიგზელთა, დოკერთა და მაღაროელთა სამმა უმსხვილესმა პრო-

ფკავშირმა დადო შეთანხმება, რომელიც ავალებდა მის მონაწილეებს მხარი დაეჭირათ ერთმანეთისათვის გაფიცვის შემთხვევაში. „სამთა კავშირი“ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ინგლისის პროლეტარიატის ორგანიზაციის საქმეში.

მასობრივი მუშათა მოძრაობის აღმავლობა ხელს უწყობდა ინგლისის მუშათა მოძრაობაში ორ ტენდენციას (რევოლუციურ და ოპორტუნისტულ) შორის ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას. მუშათა კლასში ვრცელდებოდა სოციალისტური იდეები: 1897 წელს ტრედ-იუნიონთა კონგრესმა ბირმინგემში მიიღო რეზოლუცია წარმოების საშუალებათა, განაწილებისა და გაცვლის სოციალიზაციის აუცილებლობის შესახებ. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისში შექმნილ მდგომარეობას რომ აანალიზებდა, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ინგლისის მუშათა კლასში ახლა სოციალიზმი სწრაფად იზრდებაო.

ინგლისში ამ ეტაპზე გამოიკვეთა მუშათა კლასის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნის ამოცანა. ასეთ პარტიად გადაქცევა არ შეეძლო მუშათა დამოუკიდებელ პარტიას, არც სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციას (1907 წლიდან მას სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწოდა).

საჭირო იყო ახალი პარტიის შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სექტანტური და ოპორტუნისტული შეცდომებისაგან. 1909 წელს მუშათა დამოუკიდებელი პარტიის მარცხენა ფრთამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნეს სოციალისტურ წარმომადგენლობათა კომიტეტი, იმ მიზნით, რომ სოციალისტური პროგრამის ბაზაზე გაეერთიანებინათ ყველა ჭეშმარიტად რევოლუციური ელემენტი. კომიტეტმა 1911 წლის 30 სექტემბერს მანჩესტერში მოაწყო მემარცხენე ჯგუფების თათბირი, რომელმაც მიიღო ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის შექმნის გადაწყვეტილება. ახალი პარტიის პროგრამა აღიარებდა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და ამოცანად ისახავდა მუშათა მასობრივი მოძრაობის ხელმძღვანელობას. პარტიის მიზნად პროგრამა აცხადებდა სოციალიზმს. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის საუკეთესო პროლეტარულმა ელემენტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოწინავე მუშების სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდაში და მოამზადეს ახალი ტიპის პარტიის შექმნა. მაგრამ სოციალისტური პარტია არ აღმოჩნდა ახალი ამოცანების მოწოდების სიმაღლეზე. მან საბოლოოდ ვერ დასძლია სექტანტობა, რამაც ხელი შეუშალა მას სათავეში ჩასდგომოდა ამ წლების მუშათა მოძრაობას.

მუშათა და სოციალისტური მოძრაობის განვითარებაში უარყოფი-

თი როლი შეასრულა ინგლისში გავრცელებულმა სინდიკალიზმის იდეებმა. სინდიკალისტები უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას. სოციალისტური რევოლუციის უნივერსალურ საშუალებად მათ მიაჩნდათ საყოველთაო გაფიცვა. 1910 წლის ნოემბერში მანჩესტერში შექმნილმა სინდიკალისტური პროპაგანდის ლიგამ გავლენა იქონია ბევრ რევოლუციურად განწყობილ მუშაზე, რომლებსაც იმედი გაუცრუა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა საქმიანობამ.

კემპბელ-ბანერმანის ლიბერალური კაბინეტი და 1908 წელს მის სანაცვლოდ შექმნილი ასკვიტის ლიბერალური კაბინეტი თავიანთ მთავარ ამოცანად მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას თვლიდნენ. ლიბერალები, რომლებსაც არაერთხელ მიუმართავთ მუშათა პირდაპირი დათრგუნვისა და გაფიცულთა ანგარიშსწორებისათვის, დარწმუნდნენ, რომ ეს ღონისძიებანი ახლა საკმარისი არ იყო და არაპირდაპირ მეთოდებზე გადავიდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი იყო სამრეწველო კონფლიქტებში შუამავლისა და არბიტრის ფორმით მთავრობის ჩარევა.

მუშათა გარეკოლუციონერების თავიდან აცილების მიზნით მთავრობა დაადგა რეფორმების გზას. 1906 წელს პარლამენტმა გააუქმა გადაწყვეტილება ტაფის ველის საქმის თაობაზე. იმავე წელს რამდენამდე გააფართოვეს საწარმოში უბედური შემთხვევის დროს მუშებისათვის ანაზღაურების ძველი კანონის მოქმედება. 1908 წელს მიღებულ იქნა ორი კანონი: ერთი აწესებდა 8-საათიან სამუშაო დღეს მიწისქვეშ დასაქმებული მაღაროელებისათვის, მეორე ითვალისწინებდა მხცოვანი მუშებისათვის პენსიის დანიშვნას: პენსია ეძლეოდათ 70 წლის ასაკს მიღწეულთ და მუშებმა შოსწრებულად უწოდეს მას „პენსიები მიცვალებულთათვის“. 1911 წელს ხანგრძლივი პროპაგანდისტული კამპანიის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი უმუშევრობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში მუშათა დაზღვევის შესახებ. ამ დახმარებათა გაცემის ფონდი მუშათა და მეწარმეთა სხვადასხვა შესატანებისაგან შედგებოდა. მცირე თანხას უმატებდა მთავრობა. ამრიგად,ფაქტიურად დახმარების სუბსიდირებას თვითონ მუშები ახდენდნენ.

ლიბერალთა კაბინეტში სოციალურ კანონმდებლობათა მთავარი ინიციატორი იყო ლოიდ ჯორჯი, რომელსაც 1908 წლამდე ეკავა ვაჭრობის მინისტრის პოსტი. 1908 წლიდან, როცა პრემიერ-მინისტრი კემპბელ-ბანერმანი ავადმყოფობის გამო გადადგა და ეს პოსტი ასკვიტმა დაიკავა, ლოიდ ჯორჯი ფინანსთა მინისტრი გახდა. იგი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მუშათა კლასის პოლიტიკური

თვითშეგნების ზრდას. საგაფიცვო მოძრაობის გაფართოებამ იგი აიძულა გაეძლიერებინა მანევრები მუშათა კლასის თვალის ასახვევად. ლოიდ ჯორჯმა 1906 წელს გულისწუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ „არავის უცდია სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია მუშათა შორის სოციალისტური იდეების პროპაგანდისათვის". ასეთი წინააღმდეგობის საშუალებად ლოიდ ჯორჯს რეფორმების გატარება მიაჩნდა. ლიბერალისტული პარტიის წარმოშობას ლოიდ ჯორჯი ლიბერალთა მცდარი პოლიტიკის შედეგად თვლიდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ლიბერალები შეძლებდნენ ლიბერალისტთა წარმატებების შემცირებას.

ლოიდ ჯორჯი კუდმოჭრილ და უბადრუკ ლიბერალურ კანონმდებლობას ხმაურიან პროპაგანდას ურთავდა. დემაგოგიური მიზნით ლოიდ ჯორჯი თავს ესხმოდა არისტოკრატიასა და მიწათმფლობელებს, ცდილობდა მუშათა ყურადღება ჩამოეშორებინა მეწარმეებთან ბრძოლისათვის და მიისწრაფოდა შეექმნა მუშებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის „ერთიანი ფრონტი".

ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა მიმართული იყო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. მუშათა კლასის გამემარცხენება, მისი კლასობრივი თვითშეგნების ზრდა და ორგანიზებულობა აფრთხობდა ინგლისის ბურჟუაზიას, განსაკუთრებით საშიში იყო ვითარება საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებისა და ომის მომწიფების დროს: ინგლისის იმპერიალიზმისათვის აუცილებელი იყო „ზურგის" შენარჩუნება და არმიის ბრძოლისუნარიანობა. რევოლუციურ პროპაგანდას კი შეეძლო ძირი გამოეთხარა როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის.

დემაგოგიისა და თვალისახვევის ამ სისტემას ვ. ი. ლენინი „ლოიდ ჯორჯიზმს" უწოდებდა. ლოიდ ჯორჯის დემაგოგიური კამპანიის ახალი ეტაპი იყო 1909 წლის ბიუჯეტი. იგი ითვალისწინებდა ომისათვის განკუთვნილ ასიგნებათა მნიშვნელოვნად გადიდებას. ეს იყო ომის მომზადების ბიუჯეტი. მაგრამ ლოიდ ჯორჯმა სამხედრო ასიგნებანი სოციალური დემაგოგიის ახალი ფორმით შენიღბა. მან ბიუჯეტში შეიტანა ხარჯები მხცოვანი მუშების პენსიებისათვის და უმუშევართა დასახმარებლად. ერთსაც და მეორესაც ბიუჯეტში ფრიად მოკრძალებული ადგილი ეკავათ — 1,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ანუ ბიუჯეტის საგანავლო ნაწილის 1 პროცენტი, მაშინ, როცა მხოლოდ საზღვაო მშენებლობისათვის ასიგნებათა ზრდა 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითვალისწინებდა. მიუხედავად ამ გარემოებისა, ლოიდ ჯორჯმა 1909 წლის 29 აპრილს თემთა პალატაში წარმოთქმულ ვრცელ სიტყვაში განაცხადა: „ეს ბიუჯეტი, თავის მხრივ, წარმოადგენს სიღატაკისადმი შეურიგებელი ბრძოლის დასაწყისსო".

ლიბერალურმა პრესამ ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტს „სახალხო ბიუჯეტი“ უწოდა, ხოლო ლორდმა როზბერიმ, რომელიც ლოიდ ჯორჯის წისქვილზე ასხამდა წყალს, გაზეთ „ტაიმსის“ რედაქციისადმი გაგზავნილ წერილში ბიუჯეტს „რევოლუციური“ უწოდა.

კონსერვატიული ბურჟუაზია და მისი პრესა ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის წინააღმდეგ გამოვიდა. მათი აღშფოთება გამოიწვია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილმა. ლოიდ ჯორჯმა დეფიციტის დასაფარავად მოითხოვა ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადის გაზრდა, რაც ძირითადად მშრომელებს უნდა გაეღოთ (საფოსტო გადასახადები, აქციზები თამბაქოსა და სასმელებზე). მაგრამ ამასთან ერთად ბიუჯეტი ითვალისწინებდა გადასახადების გადიდებას შეძლებულ ფენებზე: იზრდებოდა საშემოსავლო გადასახადები მსხვილ მიწათმფლობელობაზე, დიდ მემკვიდრეობაზე. კონსერვატიულმა პრესამ ბიუჯეტი საკუთრებაზე „თავდასხმად“ გამოაცხადა, ხოლო ლოიდ ჯორჯი — „რევოლუციონერად“. ამ უკანასკნელსაც სწორედ ეს უნდოდა. მან დაიწყო აქტიური დემაგოგიური კამპანია, რომლის მიზანი იყო ასეთი რეპუტაციის განმტკიცება. იგი მკვეთრად ესხმოდა თავს მსხვილ კაპიტალს, ლენდლორდებსა და მიწათმფლობელ არისტოკრატიას, ცდილობდა გახვეულიყო „სახალხო ტრიბუნის“ მოსასხამში.

1909 წლის 5 ნოემბერს თემთა პალატამ, კონსერვატორთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიუჯეტი მიიღო. მაგრამ 30 ნოემბერს ლორდთა პალატამ ხმების უდიდესი უმრავლესობით იგი უარყო. ამ გარემოებამ ლოიდ ჯორჯსა და მის თანამოაზრეებს საშუალება მისცა გაეჩაღებინათ მძაფრი კამპანია ლორდების წინააღმდეგ. ლორდებს ბრალად ედებოდათ ხალხის იმ ნების ხელყოფა, რომელიც გამოხატა თემთა პალატამ და კონსტიტუციური ტრადიციის დარღვევა (კონსტიტუცია ლორდთა პალატას უკრძალავდა საფინანსო საქმეებში ჩარევას). ლორდების პოზიცია ლიბერალებს მასებისათვის სააპელაციოდ მიმართვის საშუალებას აძლევდა. მომდევნო ორ წელიწადს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარი საკითხი ხდება ლიბერალების ბრძოლა ლორდთა პალატის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ორმაგი მიზანი ჰქონდა: ჯერ ერთი, უნდა დაეძლიათ კონსერვატორთა ოპოზიცია ლორდთა პალატაში, და მეორე, ჩაეშორებინათ პროლეტარიატი კლასობრივი ბრძოლისაგან. ლიბერალური პარტია საჯაროდ აცხადებდა, რომ ლორდთა პალატამ ბიუჯეტის უარყოფით დაარღვია კონსტიტუცია და მოახდინა თემთა პალატის უფლებათა უზურპაცია. მაგრამ ლორდთა წინააღმდეგ იერიშის მიტანის ნაცვლად ლიბერალებმა დაითხოვეს პარლამენტი და საყოველთაო არჩევნები გამოაცხადეს.

არჩევნები ჩატარდა 1910 წლის თებერვლის შუა რიცხვებში. ლიბერალური პარტიის ლოზუნგი იყო თემთა პალატის საკანონმდებლო საქმიანობაში ლორდთა პალატის ჩარევის უფლებათა შეზღუდვა. ლორდთა პალატა, რომლის უმრავლესობასაც ყოველთვის კონსერვატორები შეადგენდნენ, წინ ეღობებოდა ლიბერალთა საქმიანობას: 1906-09 წლებში ლორდთა პალატამ თემთა პალატის მიერ მიღებული რამდენიმე კანონი ჩააგდო. როცა თავიანთ ასეთ პოლიტიკას ამართლებდნენ, ლორდები აცხადებდნენ, რომ იცავენ ინგლისის კონსტიტუციის პრინციპებს თემთა პალატის „ნაჩქარევი" კანონმდებლობისაგან.

ლოიდ ჯორჯი მკვეთრად დაესხა თავს ლორდებს, იგი აკრიტიკებდა „სიმდიდრის თავხედობას" და გამოდიოდა ლორდთა (ზედა) პალატაში გაბატონებული ლენდლორდების წინააღმდეგ. ლოიდ ჯორჯი განსაკუთრებით მკვეთრად ესხმოდა თავს მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც საქალაქო ნაკვეთებზე გადიდებულ რენტას იღებდნენ. ეს რენტა ხშირად ფანტასტიკურ შემოსავალს იძლეოდა. მაგალითად, უესტმინისტერის ჰერცოგი, რომელსაც ლონდონში მიწის დიდი ნაკვეთები ეკუთვნოდა, რენტის სახით იღებდა წელიწადში 200 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტს. უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდათ სხვა მიწათმფლობელებსაც — ჰერცოგ ბედფორდს, ლორდ სოლსბერის და სხვებს. შემოსავალი კი იზრდებოდა მფლობელის აქტიური მონაწილეობის გარეშე, მოსახლეობისა და ქალაქების ზრდის შედეგად. ინგლისში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა აგიტაცია ამ „უქმად ნაშოვნი შემოსავლის" წინააღმდეგ. აყენებდნენ მოთხოვნებს — მაღალი გადასახადებით დაებეგრათ იგი. ლოიდ ჯორჯმა აიტაცა ეს ლოზუნგი და ფართოდ გამოიყენა იგი ლორდებისა და მიწათმფლობელების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც აღინიშნა, ლოიდ ჯორჯის კამპანია დემაგოგიურ ხასიათს ატარებდა. იგი მძაფრად ესხმოდა თავს ლორდებს, მემამულეებსა და კონსერვატიულ პარტიას და ამავე დროს ფრიად საიდუმლოდ ეთათბირებოდა კონსერვატიული პარტიის ლიდერებს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ზავის დადების თაობაზე. ლოიდ ჯორჯი თანახმა იყო ლორდთა პალატას შეუნარჩუნებინა ყველა თავისი რწმუნება (მათ შორის პროტექციონიზმის სულისკვეთებით საბაჟო რეფორმის გატარების რწმუნებაც). ამასთან იგი წინადადებას იძლეოდა მუშათა წინააღმდეგ საბრძოლველად შეექმნათ კოალიციური კაბინეტი ორივე პარტიის წარმომადგენლებისაგან.

პარლამენტის არჩევნებმა ვერ გაამართლა ლიბერალური პარტიის იმედები; თუმცა ახალ პალატაში კონსერვატორებთან შედარებით

მან შეინარჩუნა მნიშვნელოვანი უმრავლესობა (397 ხმა 272-ის წინააღმდეგ), მაგრამ სრულ უპირატესობას მაინც ვერ მიაღწია: ლიბერალისტებსა და ირლანდიელებს, რომლებიც ოპოზიციას შეუერთდნენ, ყოველთვის შეეძლოთ მთავრობის უმცირესობაში დატოვება.

1910 წლის 20 მარტს ახალმა პალატამ ლორდთა პალატას შეუზღუდა თემთა პალატის მიერ მიღებული კანონების უარყოფის ან შეჩერების უფლება.

იწყებოდა ბრძოლის ახალი ეტაპი.

1910 წლის მაისში გარდაიცვალა მეფე ედუარდ VII, ტახტზე მისი შვილის ჯორჯ V-ის ასვლასთან დაკავშირებით ორივე პარტია დროებით დაზავდა და დაიწყო კომპრომისის ძიება. „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის სხდომებს არავითარი შედეგი არ მოუცია; მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ თავის უმრავლესობაზე დაყრდნობით ცხოვრებაში განეხორციელებინათ ლორდთა პალატის რეფორმა, ლიბერალებმა 1910 წლის დეკემბერში ამ წელს მეორედ, კვლავ გამოაცხადეს ახალი არჩევნები. არჩევნებს ძალთა შეფარდება პალატაში თითქმის არ შეუცვლია: ეს იმას მოწმობდა, რომ ლიბერალების დემაგოგიური კამპანია უკვე ნაკლებ ზეგავლენას ახდენდა ფართო მასებზე.

1911 წლის მაისში პალატამ მიიღო პარლამენტის რეფორმის ბილი. ლორდების წინააღმდეგობა რომ დაეძლია, ასკვიტმა მიმართა იმავე ხერხს, რომელიც გამოყენებულ იქნა 1832 წელს: მან საწინდრად მიიღო მეფის თანხმობა—დაენიშნა ახალი ლორდები ლიბერალური პარტიის შემადგენლობიდან იმ რაოდენობით, რომ უზრუნველყოფილიყო ლიბერალთა უმრავლესობა ზემო პალატაში. 1911 წლის ივლისში ლორდები იძულებულნი გახდნენ დაემტკიცებინათ ბილი რეფორმის შესახებ. რეფორმა ზღუდავდა ლორდების პრეროგატივას: ამიერიდან თემთა პალატის მიერ მიღებულ ბილებს, ლორდთა პალატის ვეტოს მიუხედავად, კანონის ძალა ენიჭებოდათ (თუ თემთა პალატა მათ სამი სესიის განმავლობაში მიიღებდა). ბილი ლორდთა პალატას ართმევდა ფინანსური საკითხების გადაწყვეტის უფლებას. აწესებდა პარლამენტის მოღვაწეობის ხუთწლიან ვადას და დეპუტატთა ჯამაგირს. ლორდთა პალატის წინააღმდეგ ლიბერალების გაფთრებული კამპანია ფრიად მოკრძალებული რეფორმით დასრულდა. ლიბერალებს ზემო პალატა დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ თავდაცვით ზღუდედ მიაჩნდათ. ამიტომ თავიანთი მუქარის მიუხედავად, მაინც ვერ გაბედეს მისი მოსპობა.

XX საუკუნის დამდეგს ინგლისის პოლიტიკის მწვავე პრობლემას ირლანდიის საკითხი წარმოადგენდა. XIX საუკუნის უკანასკნე-

ლი მესამედიდან მოყოლებული, ირლანდიის სოფლის მეურნეობა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა ოკეანის გაღმიდან შემოტანილი იაფი პროდუქტების — ხორცის, პურის, კარაქის და სხვ. კონკურენციის გამო. მიწის ფასების დაცემა და აგრარული მოძრაობის ზრდა ინგლისელ ლენდლორდებს აიძულებდათ მოეხდინათ ირლანდიაში თავიანთი მიწის საკუთრების ლიკვიდაცია. ამან ნიადაგი შეუქმნა სახელმწიფოს მიერ მიწების გამოსყიდვისა და შემდგომ, განვადებით, მათს წვრილ-წვრილ ნაკვეთებად გაყიდვის პოლიტიკას. 1903 წელს ბალფურის კონსერვატიულმა მთავრობამ მიიღო კანონი, რომელმაც მიწის გაყიდვა მიწათმფლობელებისათვის კიდევ უფრო სარგებლიანი გახადა. სახელმწიფო მიწის გამოსყიდვას აწარმოებდა საბაზრო ფასებზე 12 პროცენტის გადამეტებით (უინდემის კანონი). არსებითად, ირლანდიის გლეხობამ მეორე ძარცვა განიცადა: მათგან ძალით წართმეული მიწები უკვე გაზრდილ ფასებში იყიდებოდა. ინგლისის მთავრობის მიწის პოლიტიკა უზრუნველყოფდა მიწის გადასვლას ირლანდიის წვრილი ბურჟუაზიისა და შეძლებული გლეხობის ხელში. 1913 წლისათვის ირლანდიაში 19 მილიონი აკრი სახნავი მიწიდან 11 მილიონი უკვე შეძლებული გლეხობის ხელში იყო. ამრიგად, ინგლისის მთავრობის პოლიტიკამ ვერ გადაჭრა აგრარული საკითხი ირლანდიაში: წვრილი გლეხობა კვლავ უმიწოდ რჩებოდა. ინგლისის პოლიტიკა ირლანდიაში მიზნად ისახავდა ამ ქვეყნის თავის აგრარულ დანამატად გადაქცევას. მიუხედავად ამისა, ირლანდიაში (განსაკუთრებით ჩრდილოეთ პროვინციებში — ოლსტერში) მრეწველობა მაინც ვითარდებოდა. ამასთან, იზრდებოდა ირლანდიის პროლეტარიატის რიგები, ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა, იქმნებოდა პროფკავშირები. 1898 წელს წარმოიშვა ირლანდიის სოციალისტური პარტია. მას სათავეში ჩაუდგა ჯეიმზ კონოლი. იგი ფართოდ ერუდირებული, განათლებული მარქსისტი იყო. ჯ. კონოლიმ წამოაყენა დამოუკიდებელი ირლანდიის შექმნის ლოზუნგი და დაამუშავა ირლანდიის სოციალისტურ გარდაქმნათა პროგრამა.

1911 წელს მოხდა ირლანდიელ რკინიგზელთა დიდი გაფიცვა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა 1908 წელს შექმნილი მეტრანსპორტეთა პროფკავშირი. ბრძოლის მსვლელობის დროს მუშებმა შექმნეს სამოქალაქო გვარდიის შეიარაღებული რაზმები. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა დუბლინელი ტრამვაის მუშების გაფიცვას 1913 წელს. გაფიცულებს შეუერთდნენ დუბლინელი მუშების სხვა რაზმებიც. ირლანდიელი კაპიტალისტები მუშების წინააღმდეგ, ინგლისელებთან კავშირში გამოვიდნენ და თავი გამოავლინეს როგორც ირლანდიელი მუშების უბოროტესმა მტრებმა. დუბლინის გაფიცვა

მოასწავებდა ახალი ეტაპის დასაწყისს ირლანდიის ეროვნულ მოძრაობაში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ირლანდიის ეროვნული ბურჟუაზია თავის „ნაციონალურ“ გამარჯვებას, თავის „სახელმწიფოებრივ“ მომწიფებას იმით დღესასწაულობს, რომ ირლანდიის მუშათა მოძრაობას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებსო.

გაძლიერებული მუშათა მოძრაობით დაშინებულმა ირლანდიის ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეანელა ბრძოლა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. 1893 წელს შექმნილი გელის ლიგა თავის უმთავრეს ამოცანად ირლანდიის ეროვნული კულტურის — ენის, ლიტერატურისა და თეატრის აღორძინებას თვლიდა, და თანახმა იყო შენარჩუნებული ყოფილიყო ინგლისზე პოლიტიკური დამოკიდებულება. ლიგა მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნით იფარგლებოდა. ირლანდიის ბურჟუაზიის ერთი ჯგუფი, რომელიც სამრეწველო წრეებთან იყო დაკავშირებული, გადაჭრით მოითხოვდა ირლანდიის ეკონომიურ დამოუკიდებლობას. ამ ჯგუფის ლიდერმა გრიფიტსმა 1905 წელს შექმნა პარტია „შინ ფეინი“ („ჩვენ თვითონ“) და წამოაყენა ირლანდიის ეკონომიური განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი ირლანდიის პარლამენტის შექმნის პროგრამა. „შინ ფეინი“ მოითხოვდა დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ ბოიკოტი ინგლისური საქონლისათვის.

ლიბერალური კაბინეტი პარლამენტში ირლანდიური ფრაქციის ხმებზეც იყო დამოკიდებული. ამიტომ, ლიბერალები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ირლანდიის ეროვნული ბურჟუაზიის მიმართ დათმობებზე და 1912 წლის აპრილში თემთა პალატაში წარედგინათ ახალი ბილი ირლანდიისათვის ჰომრულის (თვითმმართველობის) მინიჭების შესახებ. ბილი, არსებითად, გლადსტონის ბილის განმეორება იყო. იგი ითვალისწინებდა ირლანდიის პარლამენტის — არჩევითი თემთა პალატისა და მეფის მიერ დანიშნული სენატის — შექმნას. ფაქტიური ხელისუფლება ირლანდიაში ინგლისელი ლორდ-ლეიტენანტის ხელში რჩებოდა. ირლანდიის პარლამენტის რწმუნებებში არ შედიოდა უმნიშვნელოვანესი საკითხები—საგარეო პოლიტიკა, ომის გამოცხადება და ზავის დადება, საგარეო ვაჭრობა, გადასახადების დაწესება, მიწის გამგებლობა, პოლიციისა და არმიის მმართველობა. კანონპროექტის მოკრძალებული ხასიათის მიუხედავად, მან გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია ინგლისის პარლამენტის ორივე პალატაში.

როცა ჰომრულის შესახებ ბილის მიღება გარდუვალი გახდა, ინგლისის ბურჟუაზიის შეურიგებელმა ნაწილმა მოითხოვა მომავალი ირლანდიის სახელმწიფოსაგან ყველაზე განვითარებული სამრეწველო რაიონის — ოლსტერის ჩამოშორება. ეს გარემოება ირლანდიას

უმწეო ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ინგლისის ბურჟუაზიის აღნიშნული წრეების ლიდერებმა განაცხადეს, რომ პრინციპულად წინააღმდეგნი არიან ირლანდიის შემადგენლობაში ოლსტერის შეყვანისა და დაიწყეს სპეციალურად შექმნილი რაზმების შეიარაღება. ამას გარდა მათ დაიწყეს გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკება იარაღის შეძენისა და აჯანყების შემთხვევაში დახმარების თაობაზე. ინგლისსა და გერმანიას შორის მომწიფებული შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში ეს იყო აშკარა ეროვნული ღალატი. ოლსტერის რაზმების შეიარაღების პასუხად სამხრეთ ირლანდიაში დაიწყო მოხალისეთა რაზმების შექმნა. მომწიფდა სამოქალაქო ომი. ლიბერალური მთავრობა გულგრილად უცქეროდა ოლსტერელი მემამულეების ამბოხს. მეამბოხეებს მხარს უჭერდნენ ინგლისელი კონსერვატორები. როცა მთავრობამ წესრიგის დამყარების მიზნით ოლსტერისაკენ ჯარები დაძრა, მოულოდნელი გართულება დაიწყო: ინგლისის არმიის ოფიცრებმა, რომლებსაც ფიცი ჰქონდათ დადებული დამორჩილებოდნენ მთავრობის ბრძანებებს, მოულოდნელად 1914 წლის 21 მარტს ამბოხება მოაწყვეს და უარი თქვეს ეომათ ოლსტერის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა ამ მოვლენას „მემამულეთა ამბოხება“ უწოდა.

ვ. ი. ლენინს 1914 წლის 21 მარტი მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების თარიღად მიაჩნდა. ინგლისის კეთილშობილმა ლორდმა-მემამულეებმა ნამსხვრევებად აქციეს ინგლისის კონსტიტუცია და კანონი და მოგვცეს კლასობრივი ბრძოლის საუცხოო გაკვეთილი.

ლიბერალური მთავრობა დაფრთხა და უკან დაიხია; ოფიცრებს აღუთქვეს, რომ მომავალში ოლსტერში აღარ გააგზავნიდნენ. ბილიდან ამოიღეს ოლსტერის საკითხი. ამით ირლანდიის ჰომრულის შინაარსი შეიცვალა და დამაბინჯდა.

XX საუკუნის დამდეგს ბრიტანეთის იმპერიის განვითარება მიმდინარეობდა ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერების ნიშნით. ამ მოვლენას საფუძვლად ედო კაპიტალიზმის განვითარება ბრიტანეთის იმპერიის პერიფერიებში. კოლონიებში კაპიტალის გატანა აძლიერებდა ამ პროცესს. ინგლისის სურვილის საწინააღმდეგოდ კოლონიებში ყალიბდებოდა ეროვნული ბურჟუაზია და იზრდებოდა მუშათა კლასის რიცხვი. ეროვნულ ბურჟუაზიას მძიმე ტვირთად აწვა ინგლისის კაპიტალის ძალადობა, რადგან თვითონ იყო დაინტერესებული ადგილობრივი ბაზრის დამოუკიდებელი ექსპლუატაციით; ამიტომ იგი სულ უფრო ხშირად გამოდიოდა ეკონომიური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნითაც. კოლონიებში ბურჟუაზიულ-ეროვნულმა მოძრაობამ თავისი დროშის ქვეშ მოუხ-

მო ხალხთა ფართო მასებს. ბრძოლაში თანდათან ებმებოდა მზარდი მუშათა კლასიც.

XX საუკუნის დამდეგისათვის დიდ წარმატებას მიაღწია ინდოეთის სამრეწველო განვითარებამ; გრძელდებოდა გადამამუშავებელი მრეწველობის სწრაფი განვითარება. ბამბის გადასამუშავებელი ფაბრიკების რიცხვი 1900-14 წლებში 190-დან 264-მდე გაიზარდა, ხოლო აქ მოქმედი საფეიქრო დაზგების რაოდენობა — 38 ათასიდან 260 ათასამდე. გაიზარდა წარმოების მასშტაბიც: თითოეულ ფაბრიკაზე 1914 წელს მუშათა რიცხვი საშუალოდ ათას კაცს აღწევდა. გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა, აგრეთვე, მძიმე და სამთომომპოვებელი მრეწველობა. მაგალითად, ქვანახშირის მოპოვება 1900 წლისათვის 6 ათას ტონას უდრიდა, 1914 წელს კი — 16 ათას ტონას. რკინის მადნის მოპოვება 25 ათასი ტონიდან 1914 წლისათვის 440 ათას ტონამდე გაიზარდა. 1914 წელს ინდოეთში აწარმოებდნენ 238 ათას ტონა თუჯს და 68 ათას ტონა ფოლადს. ომის წინ ინდოეთი უკვე დიდ როლს ასრულებდა მანგანუმის მსოფლიო მოპოვებაში. მაგალითად, 1913 წელს ინდოეთში მოპოვეს 800 ათას ტონაზე მეტი მანგანუმის ძვირფასი ნედლეული. ინდოეთის ეკონომიურ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზების ქსელის გაფართოებას: 1913 წელს ინდოეთის რკინიგზების საერთო სიგრძე 55 ათას კილომეტრს აღემატებოდა (იგი თითქმის ორჯერ გაიზარდა უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში). ომის წინ ინდოეთში არსებობდა 2500 საწარმო. მუშების საერთო რიცხვმა 850 ათას კაცს გადაამეტა.

ინგლისის ხელისუფლება ინდოეთში განაგრძობდა ეროვნული მოძრაობის დათრგუნვასა და ინგლისური კაპიტალის ყოველმხრივ წახალისების პოლიტიკას. 1899 წელს ინდოეთის ვიცე-მეფის პოსტზე დანიშნეს რეაქციონერი კერზონი. იგი ინგლისში ცნობილი იყო აღმოსავლეთში ბრიტანეთის სამფლობელოთა გაფართოების აქტიური პროპაგანდით. კერზონი ცდილობდა ინდოეთში უფრო მეტი ინგლისური კაპიტალი მოეზიდა. ამ მიზნით მან ინდოეთში შექმნა ვაჭრობისა და მრეწველობის სპეციალური დეპარტამენტი. იმავე დროს კერზონმა დაიწყო ბრძოლა ინდოეთის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მან ბეჭდვით სიტყვაზე მკაცრი შეზღუდვები დააწესა და გაზარდა პოლიციის რაოდენობა. კერზონის მიერ გატარებული რეპრესიების პოლიტიკა ინდოელი ხალხის მკვეთრ პროტესტს იწვევდა. განსაკუთრებით მძლავრი პროტესტი გამოიწვია კერზონის გადაწყვეტილებამ ბენგალიის ორ პროვინციად გაყოფის შესახებ: ინ-

დოეთში კერზონის ეს აქტი შეაფასეს როგორც თვითნებობა და ძალადობა.

1905 წლიდან ინდოეთში, მეტწილად რუსეთის რევოლუციის ზეგავლენით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა დაიწყო. 1906 წელს ეროვნულმა კონგრესმა (ინდოეთის ბურჟუაზიისა და მემამულეთა პარტია) მოითხოვა ინდოეთის თვითმმართველობა. ამავე კონგრესის ხელმძღვანელობით დაიწყო ინგლისური საქონლის ბოიკოტი, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ინგლისელ კაპიტალისტებს.

1905 წელს ლიბერალურმა მთავრობამ ვიცე-მეფედ ლორდი მინტო დანიშნა. კაბინეტში ინდოეთის საქმეთა მინისტრი იყო მორლეი, ცნობილი პუბლიცისტი, ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი იდეოლოგი. ლიბერალების შატონობა ინდოელ ხალხზე ახალი ძალადობით აღინიშნა. 1907 წელს ინგლისის ხელისუფლებამ ინდოეთში შემოიღო კანონი „მეამბოხური კრებების" წინააღმდეგ. ამით პოლიციას უფლება მიენიჭა ძალის გამოყენებით გაეფანტა ყოველგვარი შეკრება. გაბუნრდა ხალხსა და პოლიციას შორის შეტაკებანი. 1910 წელს ინგლისის მთავრობამ შემოიღო კანონი ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ. აიკრძალა ოპოზიციური პრესა. დამყარდა სისხლიანი ტერორი. ამასთან ინგლისის მთავრობა ინდოეთის ბურჟუაზიის მიმართ ზოგიერთ დათმობაზე წავიდა: 1909 წელს სათათბირო ხმის მქონე ცენტრალური და პროვინციული საკანონმდებლო საბჭოები გაზარდეს ინდოეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მოწვევის ხარჯზე. აღმასრულებელ საბჭოში (ინდოეთის მთავრობა) შეიყვანეს ერთი ინდოელი. ამ რეფორმით, რომელიც ცნობილია მორლეი-მინტოს რეფორმის სახელწოდებით, ინგლისელებმა მოახერხეს გარკვეული დროით ინდოეთის ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების შეტანა და თავიანთ მხარეზე გადმოიბირეს მსხვილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი.

დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილებშიც შეინიშნებოდა. ამ ტენდენციებს განსაკუთრებული სიცხადით ავლენდნენ ე. წ. ახალმოსახლეთა კოლონიები — კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. კანადისა და ავსტრალიის კვალდაკვალ 1907 წელს დომინიონის სტატუსი მიიღო ახალმა ზელანდიამ, 1910 წელს კი — სამხრეთ აფრიკის კავშირმა.

სრული საშინაო თვითმმართველობა რომ მოიპოვეს, დომინიონად წოდებული სამფლობელოები კიდევ უფრო წინ წავიდნენ სახელმწიფოებად გარდაქმნის გზაზე. ინგლისზე ისინი მხოლოდ ნომინალურად, სიმბოლურად იყვნენ დამოკიდებულნი და მოითხოვდნენ, თვი-

თონ განესაზღვრათ საკუთარი საგარეო-პოლიტიკური პრობლემები. ამ გზას პირველი დაადგა კანადა. მან ინგლისის სხვა სამფლობელოთა შორის ყველაზე ადრე მოიპოვა ფაქტიური დამოუკიდებლობა საშინაო მმართველობის დარგში. ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1908 წელს დაწყებული მოლაპარაკების დროს (მოლაპარაკება მიმდინარეობდა დიდ ტბებზე საზღვრების გამო) კანადის დელეგაცია სხდომებზე ინგლისის დელეგაციასთან ერთად გამოდიოდა. ხელშეკრულებას, რომელიც ამ საკითხზე 1909 წელს დაიდო, კანადის წარმომადგენელიც აწერდა ხელს. იმავე 1909 წელს კანადამ პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: კანადის მთავრობაში შეიქმნა საგარეო საქმეთა დეპარტამენტი. 1911 წელს კი კანადამ ინგლისის მონაწილეობის გარეშე, დამოუკიდებელი სავაჭრო ხელშეკრულება დადო ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა შერიგებოდა ამ პროცესს. 1902 წელს ლონდონში მოიწვიეს საიმპერიო კონფერენცია. იგი მიეძღვნა იმპერიის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. ინგლისმა ხელახლა დააყენა საკითხი იმპერიის თავდაცვის ფონდში დომინიონების შესატანი თანხის გადიდების შესახებ. კანადა ამჯერად დათანხმდა ეკისრა თავდაცვის ხარჯების ნაწილი და განაცხადა, რომ იმპერიის თავდაცვაში მისი წვლილი იქნება საკუთარი სამხედრო შენაერთებით მონაწილეობა.

მორიგი საიმპერიო კონფერენცია შედგა 1907 წელს. იგი მოიწვიეს ინგლის-გერმანიის გამწვავებული ანტაგონიზმისა და სამხედრო შეტაკების სავსებით რეალური საფრთხის ვითარებაში. ამიტომ დღის წესრიგში კვლავ დადგა თავდაცვის საკითხები. ამჯერად კანადის მსგავსად ავსტრალიამაც განაცხადა, რომ იმპერიის თავდაცვაში მონაწილეობას მიიღებს საკუთარი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნით. 1907 წლის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება საიმპერიო კონფერენციები მოეწვიათ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. ამასთან, განხორციელდა კონფერენციის როგორც იმპერიის უმაღლესი ორგანოს სტატუსის ფიქსაცია. 1907 წლის კონფერენციამ, გამოაცხადა რა თავისი თავი სუვერენულ და თანასწორ სახელმწიფოთა კრებად, განსაზღვრა კონფერენციის მონაწილეთა იურიდიული მდგომარეობა. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი გამოცხადებულ იქნა როგორც „პირველი თანასწორთა შორის". კონფერენციის დამთავრებისთანავე ინგლისის მთავრობამ კოლონიების სამინისტროებთან ერთად დომინიონების საქმეთა განსაკუთრებული სამინისტროები შექმნა და ამით განამტკიცა იმპერიის შემადგენლობაში დომინიონების ახალი იურიდიული მდგომარეობა. მორიგმა საიმპერიო

კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა 1909 წელს, კვლავ დიდი ყურადღება დაუთმო თავდაცვის პრობლემებს. ამ კონფერენციაზე ახალმა ზელანდიამ განაცხადა, რომ იგი შეიძენს კრეისერს და შეიყვანს მას იმპერიის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში.

1911 წლის საიმპერიო კონფერენცია, რომელიც მოსალოდნელ მსოფლიო კონფლიქტის ვითარებაში შეიკრიბა, მთლიანად ერთი საკითხის—საერთაშორისო ვითარების საკითხის განხილვას მიეძღვნა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ სპეციალურ მოხსენებაში დაწვრილებით დაახასიათა საერთაშორისო ვითარება და ხაზი გაუსვა ომის საფრთხის არსებობას. 1911 წლის კონფერენციამ განამტკიცა დომინიონების უფლება—მონაწილეობა მიეღოთ საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვაში. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელი იყო, რომ სერიოზული საგარეო-პოლიტიკური გართულებების წარმოქმნის შემთხვევაში ინგლისს დომინიონების სრული მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა ეცნობებინა მათთვის საკუთარი პოლიტიკის ძირითადი ნიშნები.

ამრიგად, ომის წინ ბრიტანეთის იმპერია წარმოადგენდა განსხვავებულ სამფლობელოთა კონგლომერატს, რომელთა შორის კოლონიებთან ერთად იყვნენ ისეთი სამფლობელოებიც, რომლებმაც მეტწილად დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

იმპერიალიზმის ეპოქაში ცალკეული სახელმწიფოების უთანაბრო განვითარების გაძლიერების საფუძველზე ინგლისის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა. ინგლისის ბურჟუაზიის მისწრაფებამ—შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა თავისი კოლონიური მონოპოლია, გამოიწვია სხვა ქვეყნებთან მრავალრიცხოვანი შეჯახებანი. ინგლისი ყველა დიდ სახელმწიფოსთან მტრულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა და დაკარგა თავისი უპირატესობა: ადრე ინგლისი სარგებლობდა სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობებით, და არბიტრის როლს ასრულებდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ლორდმა სოლსბერიმ ინგლისის მდგომარეობას XIX საუკუნის ბოლოს „ბრწყინვალე იზოლაცია“ უწოდა. სოლსბერის მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ ინგლისი არ იყო დაკავშირებული ავსტრია-გერმანიისა და საფრანგეთ-რუსეთის ბლოკებთან. მაგრამ სინამდვილეში ინგლისის იზოლაცია სრულებით არ ყოფილა „ბრწყინვალე“, პირიქით, იგი ფრიად სახიფათო იყო. საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის მიმართ საერთო ანტიპატიის გამო, აღნიშნულ ბლოკებს შორის არსებული წინააღმდეგობანი შეიძლებოდა მეორე პლანზე გადასულიყო. ინგლისი უდიდეს კოლონიურ იმპერიას წარმოადგენდა და მსოფლიოს გადანაწილება შეიძ-

ლებოდა მის ხარჯზე მომხდარიყო. ინგლისში უსაფუძვლოდ როდი აშფოთებდათ ამ ორ ბლოკს შორის არსებული ანტაგონიზმის შესუსტების ყოველი გამოვლინება.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მთავარი მოწინააღმდეგის როლში გერმანიის იმპერიალიზმი გამოდიოდა. გერმანიის კონკურენცია გამუდმებით ძლიერდებოდა. გერმანული საქონელი ინგლისის პროდუქციას არა მარტო მსოფლიო ბაზრებზე, არამედ თვით ინგლისშიც კი ავიწროებდა. გაძლიერებულ გერმანიის იმპერიალიზმს „მზის ქვეშ ადგილის“ მოპოვება (ე. ი. ახალი კოლონიებისა და ბაზრების დაპყრობა) უმთავრესად ინგლისის ხარჯზე შეეძლო. ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმმა განსაკუთრებით ძლიერი გამოხატულება საზღვაო მეტოქეობაში პოვა. თანდათანობით ეს საკითხი ინგლის-გერმანიის ურთიერთობის ცენტრში ექცეოდა და მეორე პლანზე აყენებდა ინგლის-გერმანიის ურთიერთობის ყველა დანარჩენ პრობლემას.

1898 და 1900 წლებში გერმანიაში მიღებულ კანონებს საზღვაო მშენებლობის შესახებ, ინგლისში განგაში არ გამოუწვევია; ინგლისელთა შეშფოთება ცოტა მოგვიანებით დაიწყო, კერძოდ, მაშინ, როცა ნათელი გახდა, რომ გერმანიის საზღვაო შეიარაღება უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 1902 წელს ამის გამო ინგლისმა გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები: ინგლისის საზღვაო ძალების განლაგებაში განხორციელდა ზოგიერთი გადაჯგუფება, რომელთა მიზანი იყო ჩრდილოეთის ზღვაზე ინგლისის პოზიციის გაძლიერება. 1905 წელს ინგლისელთა შეშფოთება განგაშად გადაიქცა: 1905 წელს გერმანიაში მიღებულმა დამატებითმა საზღვაო კანონმა მნიშვნელოვნად დააჩქარა საზღვაო პროგრამის შესრულება. გერმანია მძლავრ საზღვაო სახელმწიფოდ იქცეოდა.

1905 წელს ინგლის-გერმანიის საზღვაო მეტოქეობა ახალ ფაზაში შევიდა. ინგლისის საადმირალო შეუდგა ახალი უდიდესი სამხედრო გემების — 18 ათასი ტონა წყალწყვის „დრედნოუტების“ მშენებლობას, რომლებიც ყველაზე მძიმე არტილერიით იყო აღჭურვილი.

ინგლისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ასეთი სახის გემების მშენებლობას გერმანელები ვერ შეძლებდნენ. ამ ნაბიჯის ინიციატორი იყო ადმირალი ფიშერი, პირველი საზღვაო ლორდი (ეს თანამდებობა შეესაბამება საზღვაო გენერალური შტაბის უფროსის პოსტს). მაგრამ ფიშერი შეცდა: გერმანელები დაუყოვნებლივ გადავიდნენ დრედნოუტების მშენებლობაზე. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააუა-

რესა ინგლისის მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ დრედნოუტები თავისი ეფექტურობით იმდენად სჯობნიდნენ სხვა საზღვაო გემებს, რომ ფაქტიურად ისინი გახდნენ ინგლის-გერმანიის საზღვაო ძალების შეფარდებათა მთავარი საზომი. ამრიგად, საზღვაო მეტოქეობა ფაქტიურად თავიდან იწყებოდა: გერმანიისათვის ახლა ისე ძნელი აღარ იყო ინგლისთან გატოლება. როცა ინგლისში ანალიზი გაუკეთეს მომხდარ მოვლენას, შეშფოთება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მრავალრიცხოვან ცდებს, შეეჩერებინათ ან შეენელებინათ გამალებული საზღვაო შეიარაღება, წარმატება არ მოჰყოლია.

ინგლისის დიპლომატიამ საკუთარი კონსერვატიზმის გამო ინგლის-გერმანიის შეჯახების გარდუვალობა საკმაოდ გვიან შეიცნო. მხოლოდ მრავალი მარცხისა და იმედგაცრუების შემდეგ შეაფასა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი მოწინააღმდეგის ნამდვილი ძალა. 1898—1901 წლებში ინგლისის დიპლომატიამ მრავალჯზის სცადა გერმანიასთან ხელშეკრულების დადება. ეს ცდები შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. 1907 წელს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ეირ კროუმ საიდუმლო მემორანდუმში, რომელიც გათვალისწინებული იყო პირთა ვიწრო წრისათვის, ხაზგასმით აღნიშნა: ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმმა იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები, რომ შეუძლებელია გერმანიის მიმართ რაიმე დათმობაზე წასვლა, რადგან ეს ქვეყანა შეგნებულად ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც „ინგლისის სასიცოცხლო ინტერესებს“ ეწინააღმდეგებაო.

1907 წლის შემდეგ ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებანი სხვადასხვა საკითხზე კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ, ახლა ამას სხვა აზრი ჰქონდა: ორივე სახელმწიფო ცდილობდა მოწინააღმდეგის დეზორიენტირებას, სიმშვიდის ცრუ გრძნობის ჩანერგვას. ასეთი ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, 1914 წლის ივლისში ბაღდადის რკინიგზის გამო დადებულ ინგლის-გერმანიის შეთანხმებას. ამ შეთანხმებას თითქოს უნდა გადაეწყვიტა ახლო აღმოსავლეთში ინგლის-გერმანიის დავის ძირითადი საკითხი. მაგრამ შეთანხმების შესრულებას არც ერთი მხარე არ აპირებდა.

კონტაქტების დამყარებისა და მოლაპარაკების დაწყების ცდებს რომ აწარმოებდნენ, ინგლისისა და გერმანიის წარმომადგენლები სხვა მიზანსაც ისახავდნენ, კერძოდ, მოწინააღმდეგის გეგმების და განზრახვების შეცნობას. ასეთი მიზანი ჰქონდა, მაგალითად, 1912 წელს ინგლისის საზღვაო მინისტრის ჰოლდენის მისიას გერმანიაში. ჰოლდენმა მოახერხა გერმანიიდან საზღვაო გეგმების შესახებ ძვირ-

ფასი ცნობების ჩამოტანა. ინგლისის დიპლომატია რომ დიდხანს საკუთანადოდ არ აფასებდა გერმანიის მხრივ მუქარის სერიოზულობას იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ აჩქარებდა საფრანგეთთან და რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას. ეს ქვეყნები კი გერმანიის წინააღმდეგ მომავალ ომში ინგლისის მოკავშირეები უნდა გამხდარიყვნენ. ცნობილია, რომ 1898 წელს სუდანისათვის ბრძოლაში ინგლისი მზად იყო ომი დაეწყო საფრანგეთთან. ფაშოდის ინციდენტმა გააძწვავა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა და გააძნელა მათ შორის შეთანხმების მიღწევა. შეთანხმება დადებულ იქნა მხოლოდ 1904 წლის 8 აპრილს: ინგლისი საფრანგეთს თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა მაროკოში (ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოში), სამაგიეროდ, საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობდა, რომ არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნიდა ინგლისელებს ეგვიპტეში. ხელშეკრულებამ დაადგინა ორივე სახელმწიფოს გავლენის სფეროები სიამში, მოსპო მათი უთანხმოება რიგ სხვა კოლონიურ სამფლობელოებში (მადაგასკარზე, ნიუფაუნდლენდზე და ჰებრიდის კუნძულებზე). არსებითად ეს იყო კოლონიზატორთა ტიპური გარიგება; მან დიდი როლი შეასრულა ინგლის-საფრანგეთის კავშირის („გულითადი ანტანტის") შექმნაში.

შედარებით გაძნელდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობათა მოწესრიგება, თუმცა ამ წინააღმდეგობამ თანდათანობით მეორე პლანზე გადაინაცვლა, გერმანიისადმი საერთო მტრობის გამო. ინგლისის დიპლომატიამ დიდხანს ვერ დაძლია ძველი წარმოდგენა „რუსული საფრთხის" შესახებ. 1902 წელს ინგლისმა კავშირი დაამყარა იაპონიასთან და უბიძგა მას რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ 1904-05 წლებში. იაპონიასთან კავშირი განმტკიცებულ იქნა 1905 და 1907 წლებშიც.

მაგრამ ინგლისში თანდათან გზა გაიკაფეს უფრო ჯანსაღმა მოსაზრებებმა. ლიბერალებმა ფხიზლად შეაფასეს ვითარება, ვიდრე მათმა წინამორბედმა კონსერვატორებმა. 1905 წლის 22 დეკემბერს პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ პირველ დეპეშაში საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ედუარდ გრეი წერდა: „მე ვისურვებდი, რომ რუსეთი მენახა მის წინანდელ ადგილზე ევროპის საბჭოში, და ვიმედოვნებ, ჩვენს მიმართ უკეთეს დამოკიდებულებაში, ვიდრე ეს იყო ადრე". ახლო აღმოსავლეთში ინგლისსა და მეფის რუსეთს შორის შეთანხმების აუცილებელი პირობა იყო რუსეთისათვის სრუტეების ხელში ჩაგდების უფლების მიცემა. ინგლისის იმპერიალიზმი, საფრთხე რომ არ შექმნოდა მის ბატონობას ხმელთაშუა ზღვაზე, მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა ამ მოთხოვნის წინააღმდეგ.

1904 წლის დასაწყისში მთავრობის დავალებით საიმპერიო თავდაცვის კომიტეტმა ერთხელ კიდევ შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებდა ინგლისის ინტერესებზე რუსეთის ხელში სრუტეების გადაცემა; კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ ინგლისის პოზიციას ხმელთაშუა ზღვაზე საფრთხე არ ემუქრებოდა.

ინგლისის დიპლომატია მხოლოდ ამის შემდეგ დაეთანხმა ცარიზმის პრეტენზიებს. 1907 წლის აპრილში ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ არ უარყოფს სრუტეების სტატუსის შეცვლას „რუსეთისათვის ხელსაყრელი მნიშვნელობით". ამ დათმობამ შესაძლებელი გახადა ინგლის-რუსეთის სხვა შეთანხმებათა გაფორმება. 1907 წლის 31 აგვისტოს ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ მოაწესრიგა ორივე მხარის სადავო პრეტენზიები სპარსეთში, ავღანეთსა და ტიბეტში. სპარსეთი გაიყო გავლენის სფეროებად, ცალკე გამოჰყვეს ნეიტრალური ზოლი. ავღანეთის მიმართ რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მისი გავლენის სფეროს გარეშე რჩება. ტიბეტთან დაკავშირებით ორივე სახელმწიფომ ივალდებულა სტატუს-ქვოს შენარჩუნება. ინგლისის იმპერიალიზმის თავშეუკავებელი ექსპანსიის მომხრეები უკმაყოფილონი იყვნენ ამ ხელშეკრულებით, მაგრამ ობიექტურად იგი ინგლისისათვის მაინც სასარგებლო იყო. გრეიმ, ახასიათებდა რა რუსეთთან შეთანხმებას თემთა პალატაში, განაცხადა, რომ სპარსეთში ინგლისი მხოლოდ მოგებული დარჩა, რადგან ინგლისი აქ უკვე თმობდა თავის პოზიციებს; ტიბეტსა და ავღანეთში კი ინგლისს საერთოდ არაფერი დაუკარგავს. შეთანხმების მთავარ შინაარსს გრეი საკითხთა პოლიტიკურ მოწესრიგებაში ხედავდა: „ერთა შორის ურთიერთობაში მობრუნების მომენტი დადგა; თუ თქვენ მას ხელიდან გაუშვებთ, შეიძლება იგი აღარ დაბრუნდეს".

ამრიგად, ინგლისმა მოაწესრიგა თავისი ურთიერთობა საფრანგეთთან და რუსეთთან. 1904 და 1907 წლების ხელშეკრულებებმა ანამშრომლობისა და კავშირის შემდგომი პერსპექტივა შექმნეს.

ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის ზრდისა და გამწვავების მიუხედავად, ინგლისის ბურჟუაზია მაინც არ ჩქარობდა საფრანგეთთან და რუსეთთან კავშირის დადებას. ინგლისის დიპლომატიის მოქმედების მიზეზი ადვილი გასაგებია: ხელმძღვანელობდა რა სხვისი ხელით ომის წარმოების ტრადიციული მისწრაფებით, იგი ვარაუდობდა ომის მთელი სიმძიმე რუსეთისა და საფრანგეთისათვის დაეკისრებინა და ამასთან არ შეებოჭა ხელფეხი სამხედრო ვალდებულებებით. 1911 წელს პრემიერ-მინისტრი ასკვიტი საფრანგეთთან ყოველგვარი სამხედრო მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო და მას „სახიფათოდ"

თვლიდა. გრეი იძულებული გახდა ასკვიტისათვის მოეგონებინა, რომ ამ ეტაპზე საფრანგეთთან მოლაპარაკებაზე უარის თქმას შეიძლებოდა სერიოზული საფრთხე მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, 1912 წლის მაისში კაბინეტში ამ საკითხის განხილვისას ხმები გაიყო და მინისტრების ნაწილი მტკიცედ აღუდგა წინ საფრანგეთთან საზღვაო კონვენციის დადებას.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამხედრო შეთანხმება დაიდო 1912 წლის ნოემბერში, გრეისა და საფრანგეთის ელჩ კამბონს შორის წერილების გაცვლის ფორმით. მაგრამ ამ შეთანხმებას ძალიან ზოგადი ხასიათი ჰქონდა. ინგლისის მთავრობა მხოლოდ იმის პირობას იძლეოდა, რომ საფრანგეთზე თავდასხმის შემთხვევაში „დაუყოვნებლივ განიხილავდნენ, თუ როგორ ემოქმედათ ერთად აგრესიის აღსაკვეთად და მშვიდობის შენარჩუნებისათვის“. გრეის წერილი შეიცავდა ფრაზას, რომელიც ადასტურებდა, რომ ომის შემთხვევაში ძალაში შევიდოდა ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების მიერ შემუშავებული გეგმები. ნიშანდობლივია, რომ როცა გრეიმ 1914 წლის 3 აგვისტოს ოფიციალურად გამოაცხადა ინგლისის ომში ჩაბმა და ჩამოაყალიბა ინგლისის ვალდებულებანი, აღნიშნული ფრაზა გამოტოვა. როგორც ჩანს, ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებში თვით ამ მომენტშიც იმედოვნებდნენ, რომ ინგლისი საკუთარი ძალებით ომში მონაწილეობას არ მიიღებდა.

მეტ უხალისობას ამჟღავნებდა ინგლისი რუსეთთან მოლაპარაკების დროს. რუსეთის ლონდონელი ელჩი ბენკენდორფი 1914 წლის თებერვლის ბოლოს იტყობინებოდა, რომ გრეი უარს ამბობს რუსეთთან ოფიციალურ კავშირზე და ამასთან იმოწმებსო ანტირუსულ განწყობილებას ინგლისში. თუმცა, ამ გარემოებას გრეისათვის ხელი არ შეუშლია განეცხადებინა, რომ თუ რუსეთი სპარსეთსა და ტიბეტში შემდგომ დათმობებზე დათანხმდება, რუსეთ-ინგლისის სამხედრო კავშირი შესაძლებელი გახდებაო.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მხოლოდ 1914 წლის მაისში გადაწყვიტეს რუსეთთან ერთად შესდგომოდნენ სამ სახელმწიფოს შორის საზღვაო კონვენციის შემუშავებას. მაგრამ ომის დაწყებამდე ამ მხრივ რეალურად არაფერი გაკეთებულა.

საფრანგეთი 1899—1914 წლებში

1900 წელს, როდესაც პარიზში გაიხსნა მსოფლიო გამოფენა, საფრანგეთს საპრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ მსოფლიოში მეოთხე ადგილი ეკავა. XIX ს. მიწურულიდან გაძლიერდა საფრანგეთის ინდუსტრიალიზაციის პროცესი, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტროტექნიკური, საავტომობილო, ქიმიური, კინემატოგრაფიული. მაგრამ საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის წინაც რჩებოდა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. 1911 წლისათვის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობდა. ამავე წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო თვითმოქმედი მოსახლეობის 40%, ხოლო მრეწველობაში — 35,8%.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წარმოების კონცენტრაცია საფრანგეთში უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე აშშ-ში, გერმანიასა და ინგლისში. საფრანგეთისათვის ტრადიციულ და წამყვან ფუფუნების საგნების წარმოებაში, მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში ჭარბობდა წვრილი და საშუალო წარმოებები, ხოლო სოფლის მეურნეობაში — წვრილი პარცელარული გლეხური მეურნეობები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. ჯერ კიდევ 1800 წელს დაარსებული ფრანგული ბანკი, XX ს. დამდეგს გადაიქცა საფრანგეთის ფინანსური კაპიტალის ყოვლისშემძლე ორგანიზაციად. ფინანსურმა ოლიგარქიამ თავი მოუყარა დიდძალ კაპიტალს. მაგრამ ფრანგული ბანკების მიერ მობილიზებული ეს უდიდესი თანხები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ხმარდებოდა საკუთრივ საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებას, რადგან XIX ს. მიწურულიდან გრანდიოზული მასშტაბები მოიპოვა საფრანგეთიდან კაპიტალის გატანამ. პირველი მსოფლიო ომის წინ ფრანგულმა კაპიტალდაბანდებამ საზღვარგარეთ მიაღწია 60 მილიარდ

ფრანკს, ე. ი. 1870 წელთან შედარებით გადიდდა ექვსჯერ, საფრანგეთის მრეწველობის პროდუქცია კი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ სამჯერ.

კაპიტალის ექსპორტის მხრივ საფრანგეთი ჩამორჩებოდა მხოლოდ ინგლისს. მაგრამ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მას კაპიტალი ძირითადად გაჰქონდა არა საკუთარ კოლონიებში, არამედ საზღვარგარეთ. მაგალითად, XX ს. დასაწყისში საფრანგეთიდან ექსპორტირებული კაპიტალის ერთ მესამედამდე მოდიოდა რუსეთზე, ხოლო ფრანგულ კოლონიებზე — არა უმეტეს ერთი მეათედისა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთიდან მის მოკავშირე რუსეთში გატანილი კაპიტალის 90%-ს შეადგენდა სახელმწიფო სესხები, რომელთაც ცარიზმი ფართოდ იყენებდა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

გატანილ კაპიტალს, გარდა პოლიტიკური სარგებლობისა, დიდი მევახშური მოგება მოჰქონდა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის. ზოგი მონაცემის მიხედვით, პირველი მსოფლიო ომის წინ ეს ყოველწლიური მოგება მერყეობდა 1,7 მილიარდ ფრანკიდან 1,8 მლიარდ ფრანკამდე.

ფრანგული კაპიტალის გატანის დიდი მასშტაბებისა და საფრანგეთისათვის ამ გატანის შედეგების უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის გამო ვ. ი. ლენინმა ფრანგულ იმპერიალიზმს „მევახშური იმპერიალიზმი“ უწოდა.

ფრანგული იმპერიალიზმის პარაზიტიზმისა და ლპობის ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მის მევახშურ ხასიათში, რამაც საფრანგეთი გადააქცია სახელმწიფო-რანტიედ. სწრაფად იზრდებოდა არამწარმოებელ რანტიეთა ფენა. პირველი მსოფლიო ომის წინ მათი რაოდენობა ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენდა 2 მილიონ ადამიანს, ე. ი. მესამე რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 5%-ს. ეს საშუალო ფენა შეადგენდა იმ „200 ოჯახის“ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ დასაყრდენს, რომლებმაც თავი მოუყარეს უდიდეს სიმდიდრესა და ძალაუფლებას.

ეს „200 ოჯახი“ მესამე რესპუბლიკის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი იყო. მათ ხელთ ეპყრათ საფრანგეთის არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ცხოვრების სადავეებიც. ბურჟუაზიული პარტიები, დაწყებული რადიკალებიდან და დამთავრებული 1905 წელს რეაქციონერ შარლ მორასოს მოთავეობით შექმნილი ნაციონალ-მონარქისტული ორგანიზაცია „აკსიონ ფრანსეზით“ („ფრანგული მოქმედება“), ამ „200 ოჯახის“ ნება-სურვილს ასრულებდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავე-

ბამ აიძულა საფრანგეთის ბურჟუაზია ანგარიში გაეწია მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გამემარცხენებისათვის და ხელი აეღო პირწავარდნილ რეაქციულ წრეებთან აშკარა თანამშრომლობაზე, მით უფრო, რომ დრეიფუსის საქმემ ნათელყო ფრანგული მხედრიონის მზადყოფნა — საკუთარი კასტობრივი მისწრაფებებისათვის შეეწირა მესამე რესპუბლიკის ინტერესები. ამიტომაც ვალდეკ-რუსოს მთავრობა, რომელიც 1899 წელს შეიქმნა, იძულებული გახდა ჩაეტარებინა არმიის წმენდა ანტიდრეიფუსარი გენერლებისაგან, ჩამოერთმია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფუნქციები სამხედრო სამინისტროსათვის და გადაეცა ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ ვალდეკ-რუსოს სამინისტროს მიზნად დაუსახა რაიმე მნიშვნელოვან ღონისძიებათა გარეშე დაეშოშმინებინა დრეიფუსის საქმით აღშფოთებული საზოგადოება და დემოკრატიული ძალებისათვის შეექმნა ილუზია, თითქოს მთავრობა ცდილობდა რესპუბლიკის განმტკიცებას. მიღებული პოლიტიკური დაკვეთის შესასრულებლად ვალდეკ-რუსოს მთავრობამ არა მარტო ბოლო მოუღო დრეიფუსის საქმეს, არამედ „რესპუბლიკის დასაცავად“ რამდენიმე კანონპროექტი წამოაყენა და შეეცადა მის მიერვე წარმოდგენილი დეკრეტების განხილვის უსასრულოდ გაჭიანურებას, რათა არ დაეშვა მათი ცხოვრებაში გატარება. ვალდეკ-რუსოს ამ ტაქტიკიდან ნაწილობრივი უკან დახევა საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ მხოლოდ ანტიკლერიკალური კანონმდებლობის საქმეში მოუხდა.

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მმართველი ბურჟუაზიული წრეები იძულებულნი გახდნენ ხელი მოეკიდათ ანტიკლერიკალურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რადგან დრეიფუსის საქმის დროს კათოლიკურმა ორგანიზაციებმა იმდენად მკაფიოდ გამოავლინეს თავიანთი რეაქციული და ანტირესპუბლიკური ხასიათი, რომ ძალაუნებურად წამოიჭრა საკითხი კლერიკალური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საფრანგეთის ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო სასულიერო კონგრეგაციების ეკონომიური და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობითაც. მატულობდა იმ ბურჟუაზიული წრეების რაოდენობა, რომელნიც სულ უფრო და უფრო მტკივნეულად გრძნობდნენ ფინანსურად გაძლიერებულ კლერიკალური ორგანიზაციების მზარდ კონკურენციას წარმოებისა და გასაღების ზოგიერთ დარგში. კათოლიკური სკოლების მისწრაფება — აღეზარდათ ახალგაზრდობა უკიდურესი რელიგიური ფანატიზმის სულისკვეთებით, რაც წარმოადგენდა ანაქრონიზმს, იწვევდა საფრანგეთის

დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთებას და დამატებით გართულებებს უქმნიდა ბურჟუაზიას.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის ბურჟუაზიის ანტიკლერიკალური პოლიტიკა ატარებდა შეზღუდულ ხასიათს და იფარგლებოდა, ერთი მხრივ, სასულიერო კონგრეგაციების რესპუბლიკურ წყობილებასთან შეუთავსებელი ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთით, ხოლო მეორე მხრივ, მმართველი ბურჟუაზიული წრეების მისწრაფებით — გადაეტანათ მშრომელთა ყურადღება კლასობრივი ბრძოლიღან კათოლიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

1901 წლის 1 ივლისის კანონით დაწესდა სახელმწიფოს გაძლიერებული ზედამხედველობა სასულიერო კონგრეგაციებზე. მთავრობას ეძლეოდა უფლება სასამართლო წესით დაეშალა თვითნებურად წარმოშობილი კონგრეგაციები და მოეხდინა მათი ქონების კონფისკაცია, დაეხურა ბერ-მონაზონთა მიერ რესპუბლიკური ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დაარსებული კათოლიკური სკოლები, მაგრამ ვალდეკ-რუსო არ ჩქარობდა მისივე ინიციატივით მიღებულ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას. მთავრობა ცდილობდა დროის მოგებას, ელოდებოდა 1902 წლის გაზაფხულისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს, რომელთაც საბოლოოდ უნდა გამოეაშკარავებინათ საფრანგეთის მოსახლეობის დამოკიდებულება ანტიკლერიკალური კანონმდებლობისადმი.

საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ, 1901 წელს, რადიკალთა პოლიტიკური დაჯგუფებები რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ერთიან რესპუბლიკურ პარტიად გაფორმდა. ამ მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიას, რომელიც გამოდიოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური რეფორმების დაპირებებით აღსავსე პროგრამით, თავის ირგვლივ უნდა შეემჭიდროებინა ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია და შეეფერხებინა რევოლუციურ განწყობილებათა გაძლიერება საფრანგეთის მოსახლეობის ფართო ფენებში.

სხვა ბურჟუაზიული პარტიებისაგან განსხვავებით, რადიკალებმა ოსტატურად მოახერხეს შეენიღბათ თავიანთი კლასობრივი არსი და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს 1902 წლის არჩევნების დროს. ისინი დეპუტატთა პალატის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ფრაქციად გადაიქცნენ. მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები იძულებულნი გახდნენ დროებით ჩამოსცილებოდნენ ხელისუფლებას. ვალდეკ-რუსომ, მიუხედავად ახლადარჩეულ დეპუტატთა პალატის უმრავლესობის მხარდაჭერისა, ამჯობინა გადამდგარიყო. ამ ზომიერმა რესპუბლიკელმა არ მოინდომა რადიკალებთან ერთად მო-

ნაწილეობა მიეღო იმ შედარებით მემარცხენე პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც უნდა გაეტარებინა მთავრობას 1902 წლის არჩევნების შედეგების შესაბამისად.

ბურჟუაზიამ გადაწყვიტა საფრანგეთის მართვა-გამგებლობა განეხორციელებინა თავისი ყველაზე უფრო მემარცხენე დაჯგუფების— რადიკალების საშუალებით, რადგან ამ პარტიას ქვეყნის შიგნით დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. რადიკალებმა სოციალისტებთან ერთად ჩამოაყალიბეს ე. წ. „მემარცხენე ბლოკი" და დეპუტატთა პალატაში უპირატესობა მოიპოვეს. ამ ბლოკზე დაყრდნობით რადიკალებმა შექმნეს ემილ კომბას მთავრობა, რომელიც 1902-05 წლებში სათავეში ედგა საფრანგეთს.

ემილ კომბას რადიკალური სამინისტრო საპროგრამო დეკლარაციაში იძლეოდა დაპირებას, რომ ჩაატარებდა მნიშვნელოვან რეფორმებს: დააწესებდა საშემოსავლო გადასახადს, შემოიღებდა პენსიებს მუშებისათვის, სახელმწიფოს გამოასყიდვინებდა რკინიგზებს კერძო კომპანიებისაგან, დაიყვანდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადას ორ წლამდე, ცხოვრებაში გაატარებდა ანტიკლერიკალურ პოლიტიკას. მაგრამ თავის მხრივ მთავარ ღონისძიებებს მთავრობამ თავი მოუყარა მხოლოდ ამ უკანასკნელი მიმართულებით.

კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისაგან მუშების ყურადღების ჩამოსაცილებლად რადიკალურმა სამინისტრომ გააჩაღა ხმაურიანი ანტიკლერიკალური კამპანია. კომბას მთავრობამ თავისი მოღვაწეობის პირველივე წელს დახურა კათოლიკური ორგანიზაციების სამი ათასი სკოლა, ხოლო 1904 წელს გამოსცა კანონი საფრანგეთში კონგრეგაციული სწავლების საერთოდ აკრძალვის შესახებ. დეპუტატთა პალატამ მთავრობის წინადადებით საკანონმდებლო წესით დაშალა 54 კონგრეგაცია, რომლებიც აერთიანებდა თითქმის ოცი ათას სასულიერო პირს.

ამ ღონისძიებათა გატარება კლერიკალებისა და მემარჯვენე წრეების გაფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. საზღვარგარეთიდან მათ მხარს უჭერდა და აქეზებდა რომის პაპი, რომელიც არ მოერიდა შეურაცხმყოფელი ფორმით განეცხადებინა პროტესტი საფრანგეთის პრეზიდენტ ლუბესათვის იტალიის მეფესთან რომში ვიზიტის გამო. პაპი რომს მიიჩნევდა არა გაერთიანებული იტალიის დედაქალაქად, არამედ თავის სამფლობელოდ. იგი არ ურიგდებოდა საერო ხელისუფლების დაკარგვის ფაქტს და საფრანგეთისაგან მოითხოვდა უკვე არარსებული პრეროგატივების დაცვას.

ჟან ჟორესის მიერ რომის პაპის 1904 წლის 28 აპრილის ნოტის გამოქვეყნებამ არ მისცა საშუალება ემილ კომბას მთავრობას მიეჩქ-

შალა უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოების ცდა — დაუფარავად ჩარეულიყო საფრანგეთის სახელმწიფოებრივ საქმეებში, და მესამე რესპუბლიკამ ვატიკანიდან გაიწვია თავისი ელჩი.

პაპის კურიისა და საფრანგეთის კათოლიკური სამღვდელოების გამომწვევმა პოზიციამ აიძულა კომბას მთავრობა თავდაპირველად ნავარაუდებ ანტიკლერიკალურ ღონისძიებებზე უფრო შორს წასულიყო, რათა ამ გზით დაეფარა დაპირებული სოციალური და ეკონომიური რეფორმების შეუსრულებლობა. შექმნილ ვითარებაში რადიკალების პოპულარობის შესანარჩუნებლად აღარ კმაროდა ე. წ. „შავი სამღვდელოების", ე. ი. ბერ-მონაზონთა ძირგამომთხრელი საქმიანობის ალაგმვა, დღის წესრიგში დადგა ე. წ. „თეთრი სამღვღელოების", ე. ი. ოფიციალური სასულიერო იერარქიის ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომების ალაგმვაც და 1904 წლის ოქტომბერში კომბას მთავრობამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა წინადადება სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ.

ანტიკლერიკალური კანონმდებლობის პარალელურად რადიკალებმა მოამზადეს კანონი ორწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ, მაგრამ სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის კანონპროექტის მსგავსად, ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებაც ვერ მოასწრეს.

დრეიფუსის საქმის შემდეგ რადიკალები ეპვის თვალით უცქეროდნენ არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსულ და იეზუიტთა სასწავლებლებში აღზრდილ, რეაქციულად განწყობილ და რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ ფრანგ გენერლებსა და ოფიცრებს. არმიის დემოკრატიზაციის მიზნით კომბას მთავრობა ცდილობდა სხვადასხვა გზით შეეგროვებინა ინფორმაცია ფრანგ ოფიცრებსა და გენერლებზე. სამხედრო სამინისტროში დაიწყო ეპვმიტანილ სამხედრო მოსამსახურეებზე „საქმეების" შედგენა. თუმცა საეპვო პირებზე ამგვარი ზედამხედველობის სისტემას ფართოდ მიმართავდნენ ადრინდელი კონსერვატიული კაბინეტებიც, მემარჯვენეებმა რადიკალების ეს ღონისძიება გამოიყენეს იმისათვის, რომ გაეჩაღებინათ მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია. რეაქციონერ ოფიცრებზე შედგენილ „საიდუმლო ბარათების" ირგვლივ მემარჯვენე პარტიების მიერ ატეხილი აურზაურის შედეგად კომბას მთავრობა 1905 წლის იანვარში იძულებული გახდა გადამდგარიყო.

თუმცა 1905 წლის იანვრიდან 1906 წლის მარტამდე საფრანგეთს სათავეში ედგა მემარჯვენე რადიკალი რუვიე. მაგრამ დეპუტატთა პალატაში მემარცხენე უმრავლესობის პირობებში შეუძლებელი იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჯამოყოფის შესახებ კომბას მიერ მომ-

ზადებული კანონპროექტის დღის წესრიგიდან მოხსნა. რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გავლენით საფრანგეთში დაწყებულ საერთო პოლიტიკური აღმავლობის შესაფერხებლად რადიკალებმა ახალი ძალით გააჩაღეს ანტიკლერიკალური კამპანია და დეპუტატთა პალატისა და სენატის მეშვეობით გამოსცეს კანონი „სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ“.

1905 წლის 9 დეკემბრის კანონი აცხადებდა სინდისის თავისუფლებას და ნებას იძლეოდა შეუფერხებლად შესრულებულიყო ყოველგვარი ღვთისმსახურება, თუკი იგი არ უქმნიდა საშიშროებას საზოგადოებრივ წესრიგს და არ აყენებდა ზიანს სახელმწიფო ინტერესებს. ამ კანონის მიხედვით, რესპუბლიკა არ გადაუხდიდა ფულს ეკლესიას, არ მისცემდა სუბსიდიებს. ამავე დროს კანონი აწესებდა კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე კათოლიკური სამღვდელოებისათვის ხელფასის მიცემას და უზრუნველყოფდა 45 წლის ასაკს გადაცილებულ და ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სასულიერო წოდების მქონე პირებს სახელმწიფო პენსიით. კანონი არ კრძალავდა კათოლიკურ ღვთისმსახურებას სკოლებსა და ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებაში.

ამრიგად, „სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ“ კანონს, მიუხედავად პროგრესული ხასიათისა, გააჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რაც ნათელყოფდა საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფებას — საბოლოოდ არ გაეწყვიტათ კავშირი კათოლიკურ სამღვდელოებასთან და საჭიროების შემთხვევაში თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ეკლესიის გავლენა მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებზე.

ამავე წელს, რუვიეს მთავრობის მმართველობის დროს, ეროვნული კრების ორივე პალატამ მიიღო ჯერ კიდევ კომბას მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ორწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

ვალდეკ-რუსოს, კომბასა და რუვიეს მთავრობათა არსებითად ერთნაირი ხასიათი და მათი კავშირი საფრანგეთის ბურჟუაზიის უმდიდრეს და უძლიერეს წრეებთან ყველაზე მკაფიოდ საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოვლინდა. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ის, რომ სამივე მთავრობაში 1899 წლიდან 1905 წლამდე, უცვლელად შვიდი წლის მანძილზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი ხელთ ეპყრა ფრანგული იმპერიალიზმის ენერგიულ დამცველსა და საიდუმლო დიპლომატიის გამოცდილ ოსტატს თეოფილ დელკასეს, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1904 წელს დადებული შეთანხმების ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ყველაზე უფრო მემარცხენე მთავრობის ხელმძღვანელმა კომბამ დაუფარავად გამოხატა რადიკალების მხარდაჭერა ფრანგი ბურჟუაზიის აგრესიული და კოლონიური მისწრაფებებისადმი, როდესაც უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში და მიზანშეწონილად ჩათვალა ეს საქმე დაეტოვებინა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ხელში.

1905 წელს რუვიესთან და მთავრობის წევრთა უმრავლესობასთან მწვავე კონფლიქტმა საფრანგეთის მიერ მაროკოს დაპყრობისა და გერმანიასთან შესაძლო ომის დაწყების ნიადაგზე აიძულა დელკასე გადამდგარიყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან. პრეზიდენტ ლუბესა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რუვიეს სახით ფრანგულმა ბურჟუაზიამ უნდობლობა გამოუცხადა არა დელკასეს საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს, არამედ მის მზადყოფნას — ინგლისის იმედით ჩაეთრია საფრანგეთი გერმანიასთან ომში, სანამ მეფის რუსეთი მოასწრებდა იაპონელებისაგან განცდილი დამარცხების შემდეგ აღედგინა თავისი სამხედრო სიძლიერე.

საფრანგეთის ბურჟუაზიის მოკავშირის — რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობის განსამტკიცებლად რადიკალები არ მოერიდნენ მიეცათ ცარიზმისათვის დიდი სესხი 1905 წელს დაწყებული რევოლუციის ჩასახშობად. საფრანგეთის მუშათა და დემოკრატიულ ორგანიზაციათა მგზნებარე პროტესტის მიუხედავად რადიკალებმა ნათელყვეს თავიანთი უმჭიდროესი კავშირი არა მარტო ფრანგულ, არამედ საერთაშორისო იმპერიალიზმთანაც.

* * *

თუკი ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა, მონარქისტებიდან დაწყებული და რადიკალებით დამთავრებული, მხარი დაუჭირა ცარიზმს, დემოკრატიული და მუშათა საფრანგეთი მიემხრო რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციას.

ფრანგი მუშები და მოწინავე ინტელიგენცია მრავალრიცხოვანი მიტინგებით, დემონსტრაციებითა და კრებებით ეხმაურებოდნენ რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებას, ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვას, დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას მოსკოვში, სისხლიანი კვირის პირველ წლისთავს 1906 წლის 22 იანვარს და ა. შ.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი ფრანგი მოღვაწეების თაოსნობით საფრანგეთში შეიქმნა „რუსი

ხალხისა და რუსეთთან მიერთებულ ხალხთა მეგობრობის საზოგადოება". ამ საზოგადოების ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა ფრანგმა მწერალმა ანატოლ ფრანსმა სწორად განჭვრიტა რუსეთის პირველი რევოლუციის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. 1905 წლის 16 დეკემბერს პარიზში მოწვეულ ხალხმრავალ კრებაზე ანატოლ ფრანსი მიუთითებდა: „რუსეთის რევოლუცია — მსოფლიო რევოლუციაა. მან მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ცხადყო თავისი საშუალებები და თავისი მიზნები, თავისი სიძლიერე და თავისი ხვედრი. იგი ემუქრება ყოველგვარ დესპოტიზმს, ყოველგვარ ჩაგვრას, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლუატაციას... ნევის, ვისლისა და ვოლგის ნაპირებზე — აი სად წყდება ამჟამად ახალი ევროპისა და მომავალი კაცობრიობის ბედი. იდეებისა და ცნებების გასაოცარი გაცვლა! 1789 წელს ჩვენმა წინაპრებმა უჩვენეს ევროპას ბურჟუაზიული რევოლუციის მაგალითი, სამაგიეროდ ახლა რუსეთის პროლეტარები გვაძლევენ ჩვენ სოციალური რევოლუციის გაკვეთილს...".

ბუნებრივია, რომ საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის ყველა მიმდინარეობა აღიარებდა რუსეთის პირველი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, არაერთი აღტაცებული შეფასება გამოუთქვამთ 1905-07 წლების რუსეთის რევოლუციის მიმართ თავიანთ გამოსვლებსა და სტატიებში ჟან ჟორესს, პოლ ლაფარგს, ედუარდ ვაიანსა და ფრანგი სოციალიზმის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მაგრამ საფრანგეთში მარქსიზმთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი სოციალისტური დაჯგუფებებიც კი ვერ მიხვღნენ იმ ახალს, რაც შეიტანა XX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა მეცნიერული კომუნიზმის საგანძურში ლენინიზმისა და ბოლშევიკური პარტიის წარმოშობით, მასობრივი რევოლუციური ბრძოლის ახალი ფორმების გამოვლენით. ამიტომაც საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის ვერც ერთმა მიმდინარეობამ — გედისტებიდან ჟორესისტებამდე — თავიანთ პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობაში ვერ გამოიყენა რუსეთის პირველი რევოლუციის გაკვეთილები და გამოცდილება. ამდენად, რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გავლენა საფრანგეთის მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაზე ატარებდა უმთავრესად სტიქიურ ხასიათს და გამოიხატებოდა საგაფიცვო ბრძოლის აღმავლობითა და სოციალისტურ დაჯგუფებათა ურთიერთდაახლოების ტენდენციის გაძლიერებით.

რუსეთში გაჩაღებული საგაფიცვო მოძრაობა აძლიერებდა ფრანგი მუშების ინტერესსა და მისწრაფებას საყოველთაო გაფიცვისადმი. საგაფიცვო ბრძოლამ საფრანგეთში განსაკუთრებით ფართო

ხასიათი მიიღო 1906 წელს. ყველაზე უფრო დიდ გაფიცვას ამ წელს ადგილი ჰქონდა პა-დე-კალეს დეპარტამენტის შახტებში, სადაც მეპატრონეთა მიერ შრომის დაცვის წესების უგულებელყოფის შედეგად მომხდარი კატასტროფის დროს დაიღუპა 1200 კაცი. გაფიცულებმა მოითხოვეს 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის გადიდება და მაღაროელთა შრომის დაცვის ღონისძიებათა გატარება.

1906 წლის მაისში საფრანგეთის პროლეტარიატი შეეცადა 8-საათიანი სამუშაო დღის მისაღწევად მოეწყო საყოველთაო გაფიცვა. მიუხედავად მაის-ივნისის კლასობრივი ბრძოლების მასობრივი ხასიათისა, საყოველთაო გაფიცვის განხორციელება ვერ მოხერხდა, რაც უმთავრესად აიხსნება საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის სისუსტით.

რადგან XIX საუკუნის მიწურულში, მილიერანის კაზუსის გამო, ჩაიშალა თითქოსდა შექმნილი სოციალისტური მოძრაობის ერთიანობა, XX საუკუნის დასაწყისში მილიერანის ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლის, ე. ი. „მინისტერიალური ტაქტიკის“ მოწინააღმდეგეებმა (უმთავრესად გედისტებმა და ბლანკისტებმა) შექმნეს საფრანგეთის სოციალისტური პარტია, ხოლო მომხრეებმა (ძირითადად ჟორესისტებმა, პოსიბილისტებმა და, ნაწილობრივ, ალემანისტებმა) — ფრანგული სოციალისტური პარტია. თავდაპირველად მუშათა მოძრაობის ამ ორ პოლიტიკურ ცენტრს შორის დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, მაგრამ თანდათან გედისტების მიერ მარქსისტული პოზიციებიდან ცენტრისტულ პოზიციებზე გადასვლამ დააახლოვა ისინი ჟორესისტებთან და შესაძლებელი გახადა ორივე სოციალისტური პარტიის გაერთიანება.

1906 წლის აპრილში პარიზში შედგა საფრანგეთის სოციალისტური პარტიების გამაერთიანებელი კონგრესი, რომელიც მოწვეულ იქნა II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად. გაერთიანება დაარეკვა და გააადვილა რუსეთის პირველი რევოლუციის სოლიდარობისათვის საფრანგეთში გაშლილი მოძრაობის დროს ორივე სოციალისტური პარტიის პირველად ორგანიზაციებს შორის ფაქტიურად დამყარებულმა ერთიანობამ.

ფორმალურად პარტიების გაერთიანება განხორციელდა მარქსისტულ პლატფორმაზე. 1905 წლის პარიზის კონგრესზე მიღებულ „ერთიანობის ქარტიაში“ მითითებული იყო, რომ „სოციალისტური პარტია კლასობრივი პარტიაა, რომლის მიზანია წარმოებისა და მიმოქცევის სოციალიზაცია, ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოების გადაქცევა კოლექტივისტურ, ანუ კომუნისტურ საზოგადოებად, პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზების გზით.

თავისი მიზნით, თავისი იდეალით, ბრძოლის მეთოდებით, რომელთაც იგი იყენებს, სოციალისტური პარტია მთლიანად მხარს უჭერს მუშათა კლასის მიერ წამოყენებულ მოთხოვნების დაუყოვნებლივ განხორციელებას და წარმოადგენს არა რეფორმების, არამედ კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციის პარტიას".

ბრიანმა, ვივიანმა, პოლ ბონკურმა და სხვა უკიდურესმა რეფორმისტებმა ფორმალურადაც კი არ მოინდომეს ეღიარებინათ კლასობრივი ბრძოლა და რევოლუცია, მათ უარი თქვეს შესულიყვნენ საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიაში და შექმნეს „დამოუკიდებელ სოციალისტთა" განცალკევებული ჯგუფი, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნა „რესპუბლიკელ სოციალისტთა" პარტიად.

„დამოუკიდებელ სოციალისტთა" გამოყოფა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტია განთავისუფლდა ოპორტუნისტული ელემენტებისაგან. სინამდვილეში საფრანგეთის სოციალისტური პარტიების გაერთიანება განხორციელდა არა ოპორტუნიზმის განადგურების შედეგად, არამედ ჟორესის ირგვლივ გაერთიანებულ ოპორტუნისტებთან გედისტების კომპრომისის გზით. ამ კომპრომისის ჭეშმარიტი ხასიათი ნათლად გამოვლინდა 1905 წლის პარიზის კონგრესზე მიღებულ „ერთიანობის ქარტიაში", სადაც მიუხედავად რევოლუციური და მარქსისტული ფრაზეოლოგიისა, არაფერი იყო ნათქვამი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებზე, მარქსისტული პარტიისა და სხვა მუშათა ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევასა და რევოლუციური გზით პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაზე.

აღნიშნულმა ხარვეზებმა საშუალება მისცა ჟორესისტებს, მიეცათ „ერთიანობის ქარტიისათვის" მათთვის სასურველი, ოპორტუნისტული ინტერპრეტაცია. ისინი ქადაგებდნენ სოციალიზმის კაპიტალიზმში „მშვიდობიან შეზრდას"; მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდათ ე. წ. „დადებითი მუშაობის" საკითხებზე, რაშიც გულისხმობდნენ პარლამენტის არჩევნებსა და საქმიანობაში მონაწილეობას, მუნიციპალიტეტებში მუშაობას და ა. შ.

ცენტრიზმის გზაზე მდგარი გედისტები ოპორტუნიზმის უძლური კრიტიკით ფარავდნენ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის რეფორმისტულ საქმიანობას. გედი და გედისტები ვერ გაერკვნენ იმპერიალიზმის ბუნებაში, მათ ვერ შეძლეს გამოეყენებინათ საფრანგეთის პროლეტარიატის მდიდარი ისტორიული გამოცდილება, შეენიშნათ და განეზოგადებინათ მსოფლიო და, პირველ რიგში, რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის ახალი ფორმები,

შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ახალ გარემოებათა შესაბამისი მარქსისტული რევოლუციური პოლიტიკური ხაზი. ისიხი სულ უფრო შორდებოდნენ მუშათა მასების მოძრაობას, საჭიროებებსა და მოთხოვნებს, იქცეოდნენ ტიპურ ცენტრისტულ მიმდინარეობად.

მოწინავე მუშებს შორის საბრძოლო რევოლუციური განწყობილების გაძლიერებამ განაპირობა გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიაში მემარცხენე, რევოლუციური ძიმდინარეობის ჩასახვა, რომლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი იმხანად იყო ჟირონდის დეპარტამენტის სოციალისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარსელ კაშენი. იგი სოციალისტური პარტიისაგან მოითხოვდა „გაშვერილი ხელის პოლიტიკა“ შეეცვალა „მოღერებული მუშტის პოლიტიკით“. თუმცა მარსელ კაშენი შედიოდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში, მაგრამ ორგანიზაციულად გაუფორმებელი და იდეურად მეტისმეტად სუსტი მემარცხენე მიმდინარეობა თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიაზე.

საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის გამარჯვებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა სოციალისტური პარტიის კავშირი მუშათა კლასთან. საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტია ვერ გადაიქცა მუშათა კლასის მასობრივ პარტიად და ავანგარდად. იგი თავის რიგებში ითვლიდა მხოლოდ რამდენიმე ათეულ ათას წევრს და ამავე დროს ფაქტიურად ჩამოცილებული აღმოჩნდა პროფკავშირული მოძრაობისაგან.

საფრანგეთის პროფკავშირული მოძრაობა წარმოდგენილი იყო ორი ფორმით: 1892 წელს წარმოშობილ შრომის ბირჟების კონფედერაციით და 1895 წელს დაარსებულ შრომის საყოველთაო კონფედერაციით. შრომის ბირჟები აერთიანებდნენ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით სხვადასხვა პროფესიის მშრომელებს და მიზნად ისახავდნენ უმუშევართათვის სამუშაოს მონახვას, გაფიცულთათვის დახმარების გაწევას, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას და ა. შ., ხოლო სინდიკატები, რომლებმაც შეადგინეს შრომის საყოველთაო კონფედერაცია, მუშებს აერთიანებდნენ პროფესიების ან წარმოების დარგების მიხედვით.

1902 წელს შრომის ბირჟების ფედერაცია ავტონომიური სექციის უფლებითა და თავისი სპეციფიკური ფუნქციების შენარჩუნებით შევიდა შრომის საყოველთაო კონფედერაციაში. პროფკავშირული მოძრაობის ორივე ცენტრის გაერთიანებას უდავოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ გაერთიანებული პროფკავშირები

ანარქო-სინდიკალისტების პროპაგანდის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ანარქო-სინდიკალისტების პროგრამა ყველაზე უფრო სრულად და სისტემატური სახით ჩამოყალიბებულია ე. წ. ამიენის ქარტიაში, რომელიც მიიღო შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესმა 1906 წელს.

გარეგნულად ანარქო-სინდიკალიზმი ინიღბებოდა უკიდურეს რევოლუციურ მიმდინარეობად და თითქოს შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა ოპორტუნიზმთან. სინამდვილეში კი იგი წარმოადგენდა მემარცხენე ოპორტუნისტულ გადახრას, ამდენად, მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის მსგავსად, უპირისპირდებოდა მარქსიზმს და ამით ხელს უშლიდა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებას; ორივე გადახრა, საბოლოო ჯამში, ერთნაირად უარყოფდა მეცნიერული კომუნიზმის ძირითად დებულებებს — სოციალისტურ რევოლუციას, პროლეტარიატის დიქტატურას და ა. შ. ოპორტუნისტებთან (მემარჯვენე გადახრა) ეს უარყოფა ინიღბებოდა ე. წ. „დადებითი მუშაობის“ საფარით და „სოციალიზმის კაპიტალიზმში თანდათანობით შეზრდის“ შესაძლებლობის დაშვებით, ხოლო ანარქო-სინდიკალისტებთან (მემარცხენე გადახრა) — „პირდაპირი მოქმედების“ მოთხოვნითა და ყოველგვარი სახელმწიფოსა და პოლიტიკური ბრძოლის უარყოფით.

სახელმწიფოსა და პოლიტიკური ბრძოლის უარყოფისას ანარქო-სინდიკალისტები ილაშქრებდნენ არა მარტო ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, არა მარტო ოპორტუნისტთა გავლენის ქვეშ მყოფ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიისა და ამ პარტიის ხელმძღვანელობის საპარლამენტო და მუნიციპალური საქმიანობის (ე. წ. „დადებითი მუშაობით“) წინააღმდეგ, არამედ სოციალისტური სახელმწიფოს, მუშათა მოძრაობაში ჭეშმარიტი მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელი როლის, შეიარაღებული აჯანყების, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგაც.

ანარქო-სინდიკალისტები პოლიტიკურ ბრძოლას უპირისპირებდნენ ე. წ. „პირდაპირ მოქმედებას.“ „პირდაპირი მოქმედების“ პრაქტიკულ საშუალებებად ისინი თვლიდნენ გაფიცვას, ბოიკოტს, საბოტაჟს, ბრძოლის უმაღლეს ფორმად ანარქო-სინდიკალისტები მიიჩნევდნენ საყოველთაო ეკონომიურ გაფიცვას — „გადაჯვარედინებულ ხელთა რევოლუციას“, რითაც ისინი ცდილობდნენ შეეცვალათ ჭეშმარიტი სოციალისტური რევოლუცია, შეიარაღებული აჯანყება.

წვრილბურჟუაზიული ფენების შეხედულებათა გამომხატველმა ანარქო-სინდიკალიზმმა 900-იან წლებში მოახერხა თავის ფსევდო-

რევოლუციური ფრაზეოლოგიით მიეზიდა რევოლუციური მუშებიც კი, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის გულგრილი დამოკიდებულებით ბრძოლის არაპარლამენტური ფორმებისადმი — საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგისადმი, მასობრივი გამოსვლებისადმი მილიტარიზმისა და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

* *

სოციალისტური მოძრაობის სისუსტის გამო რადიკალები ინარჩუნებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას მასებზე, თუმცა მათი პარტიის საქმიანობა ვერ უპასუხებდა ვერც რადიკალების პროგრამულ დაპირებებსა და ვერც ხალხის მოთხოვნებს.

1906 წლის მარტში რუვიეს სამინისტრომ ადგილი დაუთმო სარიენის კაბინეტს. სარიენის სამინისტროში შევიდნენ ზომიერ რესპუბლიკელთა წამყვანი დაჯგუფების — „პროგრესისტების" გამოჩენილი მოღვაწეები პუანკარე და ბარტუ, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო რადიკალების მიდრეკილება — ეთანამშრომლათ უფრო მემარჯვენე ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ერთადერთი პიროვნება, რომელთანაც სარიენს საკუთარი ნებასურვილის წინააღმდეგ მოუხდა თანამშრომლობა, იყო ჟორჟ კლემანსო. რადიკალთა ბელადის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავებამ იგი გადააქცია სამინისტროს ყველაზე უფრო გავლენიან წევრად. ეს იყო კლემანსოს მთავრობაში შესვლის პირველი შემთხვევა.

რადიკალთა წრეში მთავრობის დეკლარაციის შედგენისა და თანამდებობათა განაწილების შესახებ საუბრის დროს სარიენი, რომელიც გულისხმობდა მაგიდაზე დალაგებულ ლიქიორებსა და გამაგრილებელ წყლებს, შეეკითხა კლემანსოს „რას ინებებთო?". მოსაუბრეთათვის მოულოდნელად რადიკალთა ბელადმა მოისურვა შინაგან საქმეთა სამინისტრო. რომ არ ჩაეყენებინა თავი უხერხულ მდგომარეობაში, სარიენი იძულებული გახდა შეესრულებინა კლემანსოს სურვილი.

1906 წლის მარტამდე რადიკალთა ბელადი ტაქტიკური მოსაზრებებით მთავრობაში შესვლაზე თავს იკავებდა, მით უფრო, რომ მისდამი მტრულად განწყობილი ზომიერი რესპუბლიკელები და განსაკუთრებით რესპუბლიკის პრეზიდენტი ემილ ლუბე ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ იგი არც ერთ სამინისტროში. 1906 წლის იანვარში დამთავრდა ლუბეს პრეზიდენტობის ვადა, პრეზიდენტად ახლადარჩეულ სენატის ყოფილ თავმჯდომარეს არმან ფალიერის კი

არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო იმისა, რომ კლემანსოს რომელიმე მინისტრის პოსტი დაეკავებინა.

დეპუტატთა პალატის 1906 წლის მაისის არჩევნების დროს რადიკალთა პარტიამ ახალ წარმატებებს მიაღწია. არჩევნების შედეგები მეტყველებდა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის შემდგომ გამემარცხენებაზე. საფრანგეთის ბურჟუაზიამ გადაწყვიტა პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოეყვანა რადიკალთა ძირითადი ძალები და რესპუბლიკის პრეზიდენტის არმან ფალიერის წინადადებით 1906 წლის ოქტომბერში ჟორჟ კლემანსომ ჩამოაყალიბა მთავრობა. მიუხედავად დეპუტატთა პალატის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის პირადი ანტიპათიისა რადიკალთა ბელადისადმი და თვით საკუთარ პარტიაში მის წინააღმდეგ არსებული მძლავრი ოპოზიციისა, კლემანსოს მთავრობამ გასტანა თითქმის სამი წელი — 1909 წლის ივნისამდე. კლემანსომ შესანიშნავად გამოიყენა მდიდარი გამოცდილება და პოლიტიკური ნიჭი საკუთარი სამინისტროს წინააღმდეგ მიმართულ საპარლამენტო ინტრიგების დასაძლევად. იგი შეეცადა, საფრანგეთის ბურჟუაზიის ნება-სურვილის შესაბამისად, ნაკლებმნიშვნელოვანი. ზედაპირული ხასიათის დემოკრატიული ღონისძიებებით შეენიღბა მთავრობის ბრძოლა მუშათა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობისა და გლეხთა მასობრივი მღელვარების წინააღმდეგ.

კლემანსო ყოველნაირად ცდილობდა წარმოეჩინა თავისი მთავრობის უპირატესობა წინა მთავრობებთან შედარებით. იგი შეეცადა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის მისაღებ ფორმებში აეღორძინებინა ჯერ კიდევ 1848 წლის თებერვლის რევოლუციის დროინდელი ფრანგი მუშების მოთხოვნა შრომის სამინისტროს შექმნის შესახებ. კლემანსომ დააარსა შრომისა და ჰიგიენის სამინისტრო, რომელსაც „დამოუკიდებელი სოციალისტი“ ვივიანი ხელმძღვანელობდა.

რეაქციაზე დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების დასადასტურებლად კლემანსოს ინიციატივით ემილ ზოლას ცხედარი გადაასვენეს პანთეონში, დრეიფუსი და პიკარი აღადგინეს არმიაში სამხედრო წოდების ამაღლებით და ამ უკანასკნელს დააკისრეს სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობა.

მაგრამ ყოველივე ეს იყო კლემანსოს მთავრობის საქმიანობის გარეგნული, რეკლამური მხარე. რაც შეეხება კლასობრივი ბრძოლის კარდინალურ საკითხებს, კლემანსოს მთავრობა თავგამოდებით იცავდა საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებს ხალხის მასების მხრივ ოდნავი ხელყოფისაგანაც კი.

ოპოზიციაში ყოფნის დროს პოპულარობის მოსახვეჭად კლემანსო დემაგოგიური მიზნებით ქადაგებდა მუშებთან შეთანხმებას, მი-

ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გახდომის შემდეგ კი იგი არ ერიდებოდა იარაღის გამოყენებას გაფიცულთა წინააღმდეგ. როდესაც კლემანსოს მიუთითეს სრულ შეუსაბამობაზე მის ადრინდელ განცხადებებსა და შემდეგდროინდელ ბრძანებებს შორის, მან ცინიკურად უპასუხა: „ახლა მე ბარიკადების მეორე მხარეზე ვარო“.

კლემანსოს მთავრობის დროს საგაფიცო მოძრაობამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საქმე მართლაც ბარიკადებამდე მივიდა. 1908 წლის ზაფხულში პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში გაიფიცნენ მიწისმთხრელი მუშები. მთავრობამ, ჩვეულებრივ, გაფიცულთა წინააღმდეგ გამოიყენა შეიარაღებული ძალა. სისხლისღვრის საპასუხოდ მშენებელთა პროფკავშირმა 30 ივნისისათვის დანიშნა მშენებელ მუშათა საყოველთაო გაფიცვა. დემონსტრანტებს ჯარი დაესხა თავს. მუშებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და ქუჩებში აღმართეს ბარიკადები. გაცხარებული ბრძოლის დროს 8 მუშა დაიღუპა და 300 დაიჭრა.

ვ. ი. ლენინი, რომელიც 1908 წლის დეკემბრიდან 1912 წლის ივლისამდე ცხოვრობდა პარიზში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფრანგ რევოლუციონერებთან და დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს საფრანგეთში ფართოდ გაშლილ საგაფიცო მოძრაობას; მომხდარ საბარიკადო ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „საპარლამენტო ბრძოლის“ „მშვიდობიანი“ ვითარება იცვლება ჭეშმარიტი სამოქალაქო ომის სცენებითო“.

1906-09 წლების კლასობრივი ბრძოლებისათვის საფრანგეთში დამახასიათებელი იყო საგაფიცო მოძრაობის აღზევების პარალელურად გლეხობის მასობრივი მღელვარება.

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის წერილმესაკუთრე მევენახე გლეხების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესა ვაზის დაავადების, ფილოქსერის გავრცელების გამაჩანაგებელმა შედეგებმა და ფალსიფიცირებული იაფფასიანი ღვინოების კონკურენციამ. 1907 წელს სამხრეთ საფრანგეთის მევენახე გლეხები გაერთიანდნენ „მეღვინეობის გენერალურ კონფედერაციაში“ და ხალხმრავალი დემონსტრაციები მოაწყვეს ბეზიეში, ნიმში, პერპინიანში, მონპელიეში, ნარბონში. დემონსტრაციებში მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე ასეული ათასი კაცი; გლეხები მოითხოვდნენ მთავრობის მფარველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ შეწყვეტდნენ გადასახადების გადახდას.

მოძრაობას სათავეში ედგნენ ნარბონის მერი ფერული და მევენახე გლეხი ალბერი. 1907 წლის ივნისში კლემანსომ განკარგულება

გასცა ფერულისა და მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა დაპატიმრების შესახებ; გლეხთა მღელვარებით მოცულ სამხრეთის მეევენახეობის დეპარტამენტებში გაიგზავნა სამხედრო ნაწილები, მთავრობამ შეიარაღებული ძალით დაიწყო გლეხთა გამოსვლების ჩახშობა.

მეჩვიდმეტე ქვეით ლეგიონს ებრძანა გაერეკა ნარბონში შეკრებილი დემონსტრანტები. ჯარსა და მოსახლეობას შორის შეტაკების შემდეგ დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ადმინისტრაციულ შენობას და დაიწყეს ბარიკადების აგება. როდესაც ოფიცრებმა მეჩვიდმეტე ლეგიონი დასძრეს აჯანყებულთა წინააღმდეგ, ჯარისკაცები მეევენახე გლეხებს მიემხრნენ. ეს ლეგიონი დაკომპლექტებული იყო ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და ძირითადად შედგებოდა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომელთათვის გასაგები და საჭირბოროტო იყო მათი თანამემამულეთა უკმაყოფილების მიზეზები.

მთავრობამ თავი მოუყარა მრავალრიცხოვან სამხედრო შენაერთებს, განაიარაღა მეჩვიდმეტე ლეგიონი და გადაიყვანა იგი აფრიკაში. მეჩვიდმეტე ლეგიონის აჯანყებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთზე და დიდად შეაშფოთა ამ ქვეყნის მმართველი წრეები.

საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება, ვერ შეძლო გლეხთა მღელვარებისა და ჯარისკაცთა გამოსვლების დაკავშირება მუშათა მოძრაობასთან, რამაც საშუალება მისცა კლემანსოს მთავრობას 1909 წლის ზაფხულისათვის განემტკიცებინა საფრანგეთის ბურჟუაზიის მდგომარეობა და სამხედრო-ადმინისტრაციული საშუალებებით ჩაეხშო სახალხო მასების უკმაყოფილება.

1909 წლის ივლისში კლემანსოს მთავრობა გადადგა ისე, რომ ცხოვრებაში არ გაუტარებია არც ერთი დაპირებული რეფორმა. თვით კლემანსომ მალე გაწყვიტა კავშირი რადიკალების პარტიასთან, რომელიც, მისი აზრით, არ იჩენდა საკმაო სიმტკიცეს სოციალისტებთან და მუშათა მოძრაობასთან ბრძოლის საქმეში.

უაღრესად დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში, კლემანსოს რჩევით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფალიერიმ ახალი მთავრობის შექმნა დაავალა „დამოუკიდებელ სოციალისტს“ არისტიდ ბრიანს. არისტიდ ბრიანმა პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო სოციალისტთა რიგებში და დაწინაურდა როგორც საყოველთაო გაფიცვის თავგამოდებული მომხრე. ძალიან მალე მან უღალატა მუშათა კლასს და 1905 წელს იგი არ შევიდა საფრანგეთის გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიაში.

1909 წ. 24 ივლისს ბრიანმა შეადგინა ე. წ. „სამი რენეგატის სამინისტრო". გარდა თვით ბრიანისა, მთავრობაში შევიდა მუშათა კლასის კიდევ ორი მოღალატე — მილიერანი და ვივიანი. მინისტრთა დანარჩენი პორტფელები ბრიანმა გაანაწილა რადიკალებს, მემარჯვენეებსა და უმაღლეს ოფიცრებს შორის.

დეპუტატთა პალატის წინაშე თავის პირველ გამოსვლაში ბრიანმა განაცხადა, რომ მთავრობის ამოცანაა დაამყაროს საყოველთაო მშვიდობა და შერიგება. ამ მიზნით ბრიანის სამინისტრომ დააჩქარა გაეტარებინა ცხოვრებაში კანონი „მუშათა და გლეხთა პენსიების შესახებ", რომელიც წლების მანძილზე მზადდებოდა. ეს კანონი აწესებდა დაქირავებული შრომის მცირეანაზღაურებიან პირთა დაზღვევას. პენსიათა სახსრების ერთი მესამედი თვით მუშების შენატანებისაგან დგებოდა; პენსიები ეძლეოდათ მხოლოდ 65 წლის ასაკს მიღწეულ პირებს. მუშათა ორგანიზაციებმა უარყოფითი შეფასება მისცეს ახალ კანონს, რომელსაც ჟიულ გედმა ირონიულად უწოდა — „პენსიები გარდაცვალებულთათვის".

ბრიანმა ვერ შეძლო მუშათა კლასთან საერთო ენის გამონახვა. 1910 წლის ოქტომბერში იფეთქა რკინიგზელთა მასობრივმა გაფიცვამ. გაფიცულები მიზნად ისახავდნენ ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებას. ბრიანის მთავრობამ გამოააშკარავა თავისი ჭეშმარიტი კლასობრივი სახე: დააპატიმრებინა საგაფიცვო კომიტეტი და სარკინიგზო ხაზებისაკენ დაძრა ჯარები. დეპუტატთა პალატამ ხმების უმრავლესობით უარყო გედის წინადადება მთავრობის პასუხისგებაში მიცემის შესახებ რკინიგზების უკანონო მილიტარიზაციის გამო.

რკინიგზელთა გაფიცვის შემდეგ. ძალიან მალე. 1910 წლის ნოემბერში ბრიანმა მოახდინა თავისი მთავრობის რეორგანიზაცია. მთავრობაში მემარჯვენე ელემენტების გაძლიერებამ ბრიანს საშუალება მისცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი შეენარჩუნებინა კიდევ რამდენიმე თვე, 1911 წლის თებერვალში კი იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ბრიანის მთავრობამ მოასწრო 1910 წელს მიეღო სამხედრო-საზღვაო მშენებლობის დიდი პროგრამა. ამიერიდან სამხედრო ღონისძიებები გადაიქცა საფრანგეთის მთავრობათა საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მხარედ. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ პირველი მსოფლიო ომისათვის უშუალო სამზადისი დაიწყო.

* * *

1910 წლის შემდეგ ევროპაში არ ყოფილა არც ერთი წელი, რომ მწვავე საერთაშორისო კონფლიქტების მსოფლიო ომში გადაზრდის საფრთხე არ არსებულიყო. საფრანგეთის მმართველი წრეები ამა თუ იმ სახით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ საერთაშორისო გართულებებში. ომის საფრთხის არაჩვეულებრივი ზრდის პირობებში საფრანგეთის ერთადერთი პარტია, რომელსაც უნდა გაეტარებინა თანმიმდევრული ანტიმილიტარისტული ხაზი და თავის ირგვლივ დაერაზმა მშვიდობისმოყვარე ძალები, იყო გაერთიანებული სოციალისტური პარტია, მაგრამ საფრანგეთის მუშათა კლასის ავანგარდი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

ერთი შეხედვით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტია პირველი მსოფლიო ომის წინ არაჩვეულებრივად გაძლიერდა და გაიზარდა. დეპუტატთა პალატაში 1910 წლის მაისის დამატებითი არჩევნების დროს გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ შეაგროვა 1,1 მილიონი ხმა და მიიღო 74 მანდატი ნაცვლად 1906 წელს მიღებული 55 მანდატისა, ხოლო 1914 წლის მაისის არჩევნების დროს შეკრიბა 1,4 მილიონამდე ხმა და დეპუტატთა პალატაში მოიპოვა 102 ადგილი. ამ ხნის განმავლობაში პარტიის წევრთა რაოდენობა თითქმის გაორკეცდა და გადააჭარბა 91 ათასს.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ზედაპირული ხასიათის წარმატებები. რადიკალების ამომრჩეველთა თავის მხარეზე გადმობირებას სოციალისტური პარტია ეწეოდა არა წვრილი ბურჟუაზიის პროლეტარიატის მხარეზე გადმოყვანის გზით, არამედ პროლეტარიატის ინტერესების წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისადმი დამორჩილებით. პარტიის წევრთა რაოდენობის ზრდისას გაერთიანებული სოციალისტური პარტიის რიგებში ახლად მიღებულთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ხელმძღვანელი ბირთვი ივსებოდა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციით.

ამგვარად, საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტია განიცდიდა ღრმა შინაგან კრიზისს. საფრანგეთის მშრომელები განწყობილნი იყვნენ რევოლუციურად, პარტიის ხელმძღვანელობა კი ახორციელებდა ოპორტუნისტულ პოლიტიკას, უგულებელყოფდა მძლავრ საგაფიცვო მოძრაობას, გლეხთა მასობრივ მღელვარებას და მთელ ყურადღებას უთმობდა საარჩევნო კამპანიებსა და საპარლამენტო ბრძოლას. მზარდი რევოლუციური აღმავლობის პირობებში საფრანგეთის პროლეტარული მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ შეესაბამებოდა არც იმპერიალიზმის ეპოქის მიერ წა-

მოწყებულ ობიექტურ ამოცანებს და არც მოწინავე მუშების მებრძოლ, რევოლუციურ განწყობილებას.

ეს შეუსაბამობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ომის საკითხში. გაერთიანებული სოციალისტური პარტიის შიგნით პარტიული ხელმძღვანელობის ხმაურიანი კრიტიკით გამოვიდა გუსტავ ერვეს მცირერიცხოვანი ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფი: ერვემ წამოაყენა ფსევდორევოლუციური ფრაზეოლოგიით აღსავსე თითქოსდა ანტიიმპერიალისტური პროგრამა. იგი მოუწოდებდა მუშებს ებრძოლათ ყოველგვარი ომის წინააღმდეგ, ომის ხასიათის დამოუკიდებლად და ეპასუხათ საყოველთაო გაფიცვით და არმიაში გაწვეულთა გამოუცხადებლობით. საკითხის ამგვარი დასმით ერვე უგულებელყოფდა განსხვავებას სამართლიან და უსამართლო ომებს შორის, არ აყენებდა მოთხოვნას იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაზრდისა და კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტური საზოგადოებით შეცვლის შესახებ. ერვეისტური მოთხოვნა პროლეტარიატის მიერ წინასწარ გარკვეულ ვალდებულებათა აღების შესახებ ომის დაწყების შემთხვევაში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აძლევდა საშუალებას მომზადებულიყო შესაბამის რეპრესიულ ღონისძიებათა განსატარებლად.

ერვეიზმის კრიტიკა საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ ატარებდა ცალმხრივ ხასიათს, რადგან გედიცა და ჟორესიც ომის საკითხში სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ. დოგმატური მსჯელობიდან გამომდინარე, რომ ომი არის კაპიტალიზმის აუცილებელი შედეგი, გედისტები მიდიოდნენ არასწორ დასკვნამდე, თითქოს აღარ იყო საჭირო და მიზანშეწონილი პროლეტარიატის ბრძოლა მილიტარიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ისინი უგულებელყოფდნენ მოახლოებული მსოფლიო ომის უსამართლო ხასიათს დიდი სახელმწიფოების ორივე სამხედრო დაჯგუფების მხრივ, ცდილობდნენ ერთმანეთისაგან განესხვავებინათ რესპუბლიკური საფრანგეთის „თავდაცვითი“ ომი რეაქციული გერმანიის „შეტევითი“ ომისაგან, რასაც საბოლოო ჯამში გედისტები მიჰყავდა მუშების მიერ იმპერიალისტურ ომში სამშობლოს „დაცვის“ დაშვებამდე.

ჟორესი თავგამოდებით ებრძოდა მოახლოებულ სამხედრო საშიშროებას, ამხელდა ომის გამჩაღებლებს, მიუთითებდა მილიტარიზმის უმჭიდროეს კავშირზე კაპიტალიზმთან. ჟორესის მიერ ომის საშიშროებისა და კოლონიურ დაპყრობათა დაუღალავმა მხილებამ მას უდიდესი პოპულარობა მოუხვეჭა როგორც საფრანგეთში, ისე საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. მაგრამ ომის საკითხში ვერც მან დააღ-

წია თავი რეფორმისტულ შეხედულებებს და ხშირად ვარდებოდა პაციფიზმში. თუმცა ჟორესი თვალნათლივ ხედავდა და შეუპოვრად ებრძოდა საფრანგეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ მას კიდევ რჩებოდა გულუბრყვილო ილუზიები რესპუბლიკური საფრანგეთის მშვიდობისმოყვარეობის თაობაზე. ეს ილუზიები მით უფრო საშიში იყო, რომ მესამე რესპუბლიკის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი — საფრანგეთის ბურჟუაზია სწორედ მომავალი მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკური პლატფორმის ირგვლივ რაზმავდა ყველა თავის პარტიასა და დაჯგუფებას მემარცხენე რადიკალებიდან პირწავარდნილ რეაქციონერებამდე.

1911 წელს საფრანგეთში ხელისუფლებას სათავეში ედგა ჯერ მონისისა და შემდეგ კაიოს რადიკალური მთავრობები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ მემარჯვენე პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ საზღვაო მინისტრის პოსტზე მოწვეული, გერმანიასთან ომის გაჩაღების აქტიური მომხრე თეოფილ დელკასე. მონისისა და კაიოს სამინისტროები არ ერიდებოდნენ რეპრესიებს მუშათა და გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად: აიკრძალა შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ დანიშნული საპირველმაისო დემონსტრაცია, შამპანში, მეღვინე გლეხთა მღელვარებას შეიარაღებული ძალით გაუსწორდნენ. რადიკალების ეს ორივე სამინისტრო არანაკლებ მოძალეობდა საერთაშორისო ასპარეზზე: ბურჟუაზიული საფრანგეთის მიერ მაროკოზე პროტექტორატის დამყარება კინაღამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა.

უკიდურესად გართულებულ საშინაო და საგარეო ვითარებაში საფრანგეთის ბურჟუაზიის მემარჯვენე და მილიტარისტული წრეების ინიციატივით 1912 წლის იანვარში მთავრობის ხელმძღვანელობა დაეკისრა რაიმონ პუანკარეს, რომელსაც მისმა ბიძაშვილმა, გამოჩენილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ანრი პუანკარემ უწოდა „პუანკარე-ომი". და მართლაც, ეს გონებამახვილურად შერჩეული სახელი მთლიანად შეესაბამებოდა ამ რეაქციონერის მსოფლმხედველობას, მისწრაფებებსა და პოლიტიკურ საქმიანობას. პუანკარეს სამინისტროში გარდა პუანკარისტებისა შევიდნენ დამოუკიდებელი სოციალისტები ბრიანი და მილიერანი. მთავრობა შეუდგა გამალებულ სამხედრო სამზადისს.

1913 წლის იანვარში დამთავრდა ფალიერის პრეზიდენტობის ვადა. პრეზიდენტის პოსტზე მემარჯვენეებმა წამოაყენეს რაიმონ პუანკარეს, ხოლო რადიკალებმა ამსის კანდიდატურა. თუმცა ეროვნულ კრებაში უმრავლესობას რადიკალები შეადგენდნენ, პრეზიდენტად

არჩეულ იქნა პუანკარე, რადგან რადიკალების ნაწილი მიემხრო მემარჯვენეებს და კენჭისყრის დროს თავისი ხმები მისცეს არა საკუთარი პარტიის კანდიდატს — ამსს, არამედ რეაქციონერ პუანკარეს.

თავის წინამორბედ რესპუბლიკელებისაგან განსხვავებით, პუანკარე ფართოდ იყენებდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას და აქტიურად ერეოდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პუანკარეს ინიციატივით 1913 წელს დამოუკიდებელი სოციალისტის ბრიანისა და მემარჯვენე რესპუბლიკელის ლუი ბარტუს მთავრობებმა დეპუტატთა პალატას წარუდგინეს და მიაღებინეს კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ორიდან სამ წლამდე გადიდების შესახებ, რასაც მოჰყვა მშვიდობიანობის დროს საფრანგეთის არმიის გაზრდა 160 ათასი კაცით.

საფრანგეთის მმართველი წრეების აშკარა მილიტარისტულ-რეაქციული პოლიტიკა იწვევდა რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის აღშფოთებას. ჩვეულებრივ პირობებში ეს უკმაყოფილება თავის გამოხატულებას პოულობდა ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მემარჯვენე პარტიებიდან რადიკალების მხარეზე გადასვლაში. მაგრამ ამჯერად თვით რადიკალების პარტია აღმოჩნდა კომპრომეტირებული. კლემანსოსა და მომდევნო რადიკალური მთავრობების მოძალადეობამ გაუტეხა რადიკალებს სახელი მუშებსა და გლეხებს შორის. რადიკალთა საგრძნობი ნაწილის დაუფარავმა თანამშრომლობამ მემარჯვენე პარტიებთან პუანკარეს პრეზიდენტად არჩევისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის სამ წლამდე გაზრდის საქმეში დემოკრატიულ საზოგადოებრიობას კიდევ ერთხელ დაანახვა ამ მემარცხენე რესპუბლიკური პარტიის ჭეშმარიტი კლასობრივი სახე.

ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიაზე თავის გავლენის შესანარჩუნებლად რადიკალები შეეცადნენ 1913 წლის კონგრესზე გადაეხალისებინათ და განეახლებინათ თავიანთი პარტია. თუმცა კლემანსოს ამ დროს გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი რადიკალებთან, მაგრამ რადიკალური პარტიის შიგნით აქტიურად მოქმედებდა მძლავრი „კლემანსისტური დაჯგუფება“. რადიკალების კონგრესმა 1913 წელს ეს მემარჯვენე დაჯგუფება გარიცხა პარტიიდან. რადიკალების კონგრესი გამოვიდა სამწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, მაგრამ არც რადიკალთა ფრაქციას დეპუტატთა პალატაში და არც 1913 წლის მიწურულში შექმნილ რადიკალურ სამინისტროს სერიოზულად არ უცდია ამ მილიტარისტული კანონის გაუქმება.

რადიკალთა 1913 წლის კონგრესის საპროგრამო გადაწყვეტილე-

ბათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ჟოზეფ კაიოს წინადადებებით მიღებული მოთხოვნა კაპიტალსა და რენტაზე პროგრესულ-საშემოსავლო გადასახადის დაუყოვნებლივ შემოღების შესახებ. ჟოზეფ კაიო კი კონგრესმა აირჩია რადიკალთა პარტიის თავმჯდომარედ.

1913 წლის დეკემბერში შექმნილ დუმერგის რადიკალურ მთავრობაში კაიომ დაიკავა ფინანსთა მინისტრის პოსტი და დაიწყო ენერგიული ბრძოლა კაპიტალსა და რენტაზე პროგრესულ-საშემოსავლო გადასახადის ცხოვრებაში გასატარებლად. რეაქციული წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ ამ გადასახადის შემოღება და როგორმე თავიდან მოეცილებინათ კაიო.

რეაქციული ფინანსური წრეების მიერ ინსპირირებულმა ვამოცდილმა შანტაჟისტმა და ბინძური მაქინაციების დახელოვნებულმა ოსტატმა გაზეთ „ფიგაროს“ რედაქტორმა კალმეტმა 1914 წლის თებერვლიდან დაიწყო თავის გაზეთში კაიოს საოჯახო არქივისა და მეუღლესთან მიწერილი წერილების გამოქვეყნება. კალმეტის მიერ ხელში ჩაგდებული ეს პოლიტიკური და ინტიმური ხასიათის დოკუმენტები შეიცავდა კაიოსა და მისი მეუღლისათვის სახელგაძტეხ ძალებს. კაიოს მეუღლემ, რომელმაც ვერ აიტანა დაცინვა და დაძცირება, 1914 წლის 17 მარტს მოკლა კალმეტი. თუმცა რამდენიმე თვით გაჭიანურებული და გახმაურებული პროცესი დამთავრდა კაიოს მეუღლის სასარგებლოდ და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სასამართლომ იგი გაამართლა, მაგრამ თვით კაიო მომხდარი სკანდალის გამო იძულებული გახდა გამოსულიყო მთავრობიდან და დროებით ჩამოსცილებოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

1914 წლის მაისის არჩევნებმა ვერ გაამართლა მემარჯვენე ძალების იმედები. დეპუტატთა პალატაში უმრავლესობა კვლავ მემარცხენე პარტიებმა მოიპოვეს, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია საფრანგეთის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ. პრეზიდენტ პუანკარეს დავალებით რიბოს მიერ შექმნილი მემარჯვენე მთავრობა რამდენიმე საათში დაამხო დეპუტატთა პალატამ. 1914 წლის ივნისში ვივიანის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა რადიკალებისა და „დამოუკიდებელი სოციალისტების“ სამინისტრო.

ვივიანის სამინისტრო იძულებული იყო ანგარიში გაეწია 1914 წლის მაისის არჩევნების შედეგად გამოაშკარავებულ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის დემოკრატიული და ანტიმილიტარისტული განწყობილებისათვის და სარაევოს მკვლელობით გამოწვეულ 1914

წლის ზაფხულის საერთაშორისო კრიზისის დროს თავის უაღრესად აგრესიული დიპლომატიური გეზი (მეფის რუსეთის წაქეზება გერმანიის წინააღმდეგ) შეენიღბა პაციფისტური ჟესტებით (სასაზღვრო ინციდენტებისა და პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის ჯარების გერმანიის საზღვრიდან ათი კილომეტრით უკან დახევა). საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება თითქოს მესამე რესპუბლიკას არ სურდა ომი, რომ იგი აგრესიის მსხვერპლი გახდა. ამ ფორმულის საფუძველზე მათ მოახერხეს საფრანგეთის სოციალისტური და პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელებთან შეთანხმება. ეს მოლაპარაკება რომ უშედეგოდ დამთავრებულიყო, საფრანგეთის მთავრობას შემუშავებული ჰქონდა გეგმა გაერთიანებული სოციალისტური პარტიისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირების სამი ათასი აქტივისტის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ.

საფრანგეთის მუშათა კლასის პოპულარულ ბელადთაგან მხოლოდ ჟან ჟორესი არ მიდიოდა არავითარ კომპრომისზე მილიტარისტულ წრეებთან, უშიშრად ამხელდა საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობის ჰეშმარიტ. აგრესიულ პოლიტიკას, მოუწოდებდა საერთაშორისო მუშათა კლასს მოახლოებული ომის საშიშროების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. იმპერიალისტურმა რეაქციამ ომის გამოცხადების წინ, 1914 წლის 31 ივლისს, თავისი აგენტის საშუალებით ჟან ჟორესი სიცოცხლეს გამოასალმა. ამ მუხანათურმა მკვლელობამ, რომელიც შემდგომში ბურჟუაზიულმა სასამართლომ გაამართლა, საფრანგეთის მთავრობას საშუალება მისცა პოლიციური რეპრესიების გამოუყენებლად დაეძლია იდეურად და ორგანიზაციულად სუსტი ანტისამხედრო ოპოზიცია.

ამერიკის შეერთებული შტატები 1898—1914 წლებში

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმში. კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად შექმნილი მონოპოლიური გაერთიანებები აშშ-ის სამეურნეო ცხოვრების საფუძვლად იქცა. კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების შედეგად აშშ-ის ახალგაზრდა კაპიტალიზმმა მალე გაუსწრო შედარებით ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს, XX საუკუნის დამდეგისათვის უკვე უძლიერესია მათ შორის და მსოფლიო კაპიტალის ციტადელის მდგომარეობას აღწევს. 1900 წლისათვის აშშ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით ერთ მესამედს იძლეოდა. 1909 წლის მონაცემებით, მისი სამრეწველო პროდუქციის ღირებულება 20 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა, რაც ორნახევარჯერ აღემატებოდა ინგლისის. ორჯერ კი გერმანიის სამრეწველო პროდუქციის ღირებულებას. პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ ქვანახშირის, ფოლადის, რკინისა და თუჯის წარმოება აღემატებოდა ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის შესაბამის წარმოებას ერთად აღებულს.

მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად ხდება წარმოების გაძლიერებული კონცენტრაცია. მონოპოლისტთა ვიწრო ჯგუფი ქვეყნის მთელ ეკონომიკას თავის გავლენას უმორჩილებს. მარტო 1890—1900 წლებში აშშ-ში შეიქმნა 175 ტრესტი, რომელთა საერთო კაპიტალი 3175 მილიონ დოლარს შეადგენდა, 1907 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 250 ტრესტია. მათ შორის მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა ჯონ დევისონ როკფელერის (1839—1937) ნავთობის ტრესტმა (Standard Oil Company), რომელიც უკვე 1870 წლიდან არსებობდა. XIX საუკუნის დამლევს აღნიშნული ტრესტის ხელშია ნავთობის წარმოების 90% და ნავთსადენების 94% (70.000 კმ.). ნავთობთან ერთად ტრესტი შეუდგა გაზის, ელექტრონის, სპილენძის, თუთიის, ტყვიის და სხვა წარმოების დამორჩილებას. ტრესტის ყოველწლიური შემოსავალი პირველი მსოფლიო ომის

წინ 200 მილიონ დოლარს აღემატებოდა. 1911 წლიდან ტრესტს ხელმძღვანელობს ჯონ დევისონ როკფელერი-უმცროსი (დაიბადა 1874 წ.). 1901 წელს ჩამოყალიბდა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ფოლადის ტრესტი—„შეერთებული შტატების ფოლადის კორპორაცია“ (United States Steel Corporation), რომელსაც სათავეში ედგა ბანკირი ჯონ პირპონტ მორგანი-უფროსი (1837 — 1913). თავდაპირველად ტრესტის საკუთრებაში იყო: 78 ბრძმედი (ისინი აწარმოებდნენ წლიურად 6,5 მილიონ ტონა თუჯს, ანუ ამერიკის მთელი წარმოების ნახევარს), 149 ფოლადის ჩამომსხმელი ქარხანა, ფოლადის ნაკეთობათა ქარხანა, 18. 300 საკოქსავი ღუმელი, „ზემო ტბის“ რაიონის მაღაროების 70%, რამდენიმე ათასი აკრი მიწა — ქვანახშირის საბადოებით, 125 გემი და სხვ. თანდათან ტრესტი ამერიკის თითქმის მთელ მეტალურგიას და სამთამადნო საქმეს დაეპატრონა და უზარმაზარ სამრეწველო ორგანიზაციად იქცა. 1907 წლისათვის მორგანის ტრესტში დასაქმებული იყო 210 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე. პირველი მსოფლიო ომის წინ როკფელერისა და მორგანის ტრესტების ხელთ იყო აშშ-ის მთელი სიმდიდრისა და მარაგის ერთ მესამედზე მეტი (36%). მარტო მორგანის განკარგულებაში 12 მილიარდზე მეტი დოლარი იყო. როკფელერმა წარმოების სხვა დარგებიც დაიმორჩილა, მათ შორის გაზის, ელექტრონის, ტყავის, თუთიისა და სხვა წარმოება. მანვე დაიმორჩილა სპილენძის დამმუშავებელი ცნობილი კონცერნი „ანაკონდა“. როკფელერის ტრესტის გავლენა მთელ მსოფლიოზე გავრცელდა.

ტრესტები არსდება წარმოების თითქმის ყველა დარგში. გრანდიოზულ მონოპოლიურ გაერთიანებას წარმოადგენდა ტრესტი „ჯენერალ ელექტრიკი“, რომელიც რამდენიმე დიდ წარმოებას აერთიანებდა. 1887 წელს შეიქმნა „შაქრის ტრესტი“, რომელშიც გაერთიანებული იყო 21 შაქრის ფაბრიკა. სხვა ტრესტებთან ერთად ასპარეზზე გამოდის „ყინულის ტრესტიც“. წვრილმა ბანკირმა მორზემ. რომელიც ყინულით მოვაჭრე ფირმების თამასუქთა აღრიცხვა-გასაღებას აწარმოებდა, ხელი მიჰყო ყინულით წვრილ მოვაჭრეთა გაკოტრებას. ყინულით ვაჭრობა ტრესტის მონოპოლიად იქცა. ყინულს საოცრად დიდი ფასი დაედო. ამ ტრესტის საქმიანობას მალე მეტად სავალალო შედეგები მოჰყვა. ძვირი ყინულის შეძენა ღარიბ მოსახლეობას უჭირდა. ნიუ-იორკში ამის შედეგად ბავშვების სიკვდილიანობამაც კი იმატა, რადგანაც ზაფხულში მათ გაფუჭებული რძით კვებავდნენ. მაქსიმალური მოგებით გატაცებული „ყინულის ტრესტი“ მომხმარებელთა ინტერესებს ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. მათი საქმიანობა ყინულის დამზადებით როდი იფარგლებოდა. ტრეს-

ტი იძენდა. მაგალითად, საზღვაო-სამიმოსვლო საზოგადოებათ› აქციებს და სხვ.

ამერიკელი ეკონომისტისა და ისტორიკოსის მუნდის მიხედვით, XX საუკუნის დამდეგს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა სამრეწველო, სატრანსპორტო და კომუნალური წარმოების 440 ტრესტი, რომელთა საერთო კაპიტალი უდრიდა 20. 379. 161. 511 დოლარს.

ტრესტების გამრავლებასთან ერთად, სწრაფი ტემპით წარმოებს საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შერწყმა, რის საფუძველზე იქმნება „ფინანსური კაპიტალი", ძლიერდება ფინანსური ოლიგარქია, რომელიც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას ფაქტიურად თავის კონტროლს უმორჩილებს. 1853 წელს დაარსებული მორგანების საბანკო სახლი XIX საუკუნის დამლეგს მსოფლიოში უძლიერეს საბანკო გაერთიანებად იქცა. მორგანის ბანკი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ელექტროტექნიკური და ფოლადის ტრესტების შექმნის საქმეში. მორგანებთან ერთად დაწინაურდნენ როკფელერები. მათი საქმიანობა უპირატესად „ნეიშნლ სიტი ბენკ"-ით შემოიფარგლა. მათ კონტროლს დაუმორჩილდა აგრეთვე „ჩეიზ ნეშნლ ბენკი". 1903 წელს მორგანთა და როკფელერთა ფინანსური დინასტია სათავეში ედგა 112 ბანკს, მრავალ სარკინიგზო, სადაზღვევო და სხვა სახის კომპანიას. მათი საერთო კაპიტალი 22 მილიარდ დოლარს აღემატებოდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მელონების ოჯახის გავლენა. მათი ბანკი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ალუმინის ტრესტის შექმნისა და რკინიგზების გაერთიანების საქმეში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კუნ-ლებისა და სხვათა ბანკებიც. ფინანსურმა კაპიტალმა თავის კონტროლს თანდათან ამერიკის თითქმის მთელი ეკონომიკა დაუმორჩილა.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ომის დასაწყისში ამერიკაში სამი მილიონერი ცხოვრობდა, 1900 წლისათვის კი მათმა რიცხვმა 3800-ს მიაღწია. XX საუკუნის დამდეგს 318 უმსხვილესი საწარმო ფლობდა 7246 მილიონი დოლარის კაპიტალს და კონტროლს უწევდა 5300 სამრეწველო საწარმოს. აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთი ანგარიშის მიხედვით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ფინანსური კაპიტალის 8 ჯგუფი კონტროლს უწევდა ამერიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ბანკების 62%-ს.

ამერიკის მონოპოლიური კაპიტალისათვის საკუთარი ასპარეზი საკმარისი არ აღმოჩნდა, იგი მსოფლიოს ბატონობისაკენ მიის-

წრაფოდა. „მსოფლიო ამერიკისათვის“ — ასეთია აშშ-ის პოლიტიკის ახალი მისწრაფება.

აშშ-ის ექსპანსია გასცდა ამერიკის კონტინენტის ფარგლებს. ამერიკელმა ექსპანსიონისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი შეერთებული შტატების „მსოფლიო სახელმწიფოდ — „იანკის უნივერსალურ ერად“ (Universal Yankee nation) გადაქცევის შესახებ. ამერიკის ექსპანსიამ მთელი მსოფლიო უნდა მოიცვას: მექსიკა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა, კუბა, ვესტინდოეთის კუნძულები და თვით საფრანგეთი და ინგლისიც ამერიკის დიქტატს უნდა დამორჩილდნენ,— ამბობდა ჯერ კიდევ 1859 წელს სენატორი დევისი. ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკელთა ბატონობა მთელ მსოფლიოზე გავრცელდებაო, — აცხადებდა 1867 წელს სახელმწიფო მდივანი სიუარდი. სენატორმა ჰენრი კაბოტ ლოჯმა ექსპანსია ამერიკის კეთილდღეობის აუცილებელ პირობად გამოაცხადა. რიო გრანდედან ყინულოვან ოკეანემდე უნდა არსებობდეს ერთი სახელმწიფო, ერთი დროშა. იგი მოითხოვდა აშშ-ის მიერ კუბისა და ფილიპინების დაპყრობას, ჰეგემონობის მოპოვებას დასავლეთ ნახევარსფეროზე, წყნარ ოკეანეზე. ლოჯისათვის ეს იყო პროგრამა-მინიმუმი. პროგრამა-მაქსიმუმი კი შეერთებული შტატების მსოფლიო ჰეგემონობას ითვალისწინებდა. 1901 წლის 7 იანვარს თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ლოჯი ამბობდა: „ეკონომიური მდგომარეობა ჩვენ განსაკუთრებით კარგი გვაქვს. ჩვენ ეფრო უკეთესისაკენ მივდივართ. თქვენ შეგიძლიათ შეაჩეროთ, დაეჭუხრუჭოთ, მაგრამ არ შეგიძლიათ საბოლოოდ შეაჩეროთ ეკონომიური ძალების მოქმედება. თქვენ არ შეგიძლიათ შეაჩეროთ ამერიკის შეერთებული შტატების ძლევამოსილი წინსვლა... ამერიკელ ხალხს და დაუძლეველ ეკონომიურ ძალებს ჩვენ მსოფლიოზე ეკონომიური ბატონობისაკენ მივყავართ“. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ექსპანსიონიზმის ერთ-ერთი პირველი ტრუბადური სენატორი ალბერტ ბევერიჯი აგრესიული პოლიტიკის აუცილებლობას ამართლებდა იმით, რომ ამერიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ჭარბ პროდუქციას იძლევიან, იმაზე მეტს, რაც ამერიკელ ხალხს სჭირდება. ეს ვითარება, თავისთავად, აუცილებელს ხდის ექსპანსიას. „ბედმა წინასწარ მოგვიხაზა ჩვენ ჩვენი პოლიტიკა: მსოფლიო ვაჭრობა ჩვენი უნდა იყოს და იგი ჩვენი იქნება“, — ამბობდა ბევერიჯი. იგი აუცილებლად თვლიდა მსოფლიოს ყველა კუთხეში „ამერიკის სავაჭრო პოსტების შექმნას“ და „ოკეანეების ამერიკის გემებით ავსებას“.

ამერიკელი ისტორიკოსები, სოციოლოგები, ეკონომისტები, იურისტები თუ ფილოსოფოსები მხარში ედგნენ ექსპანსიონისტებს

და ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობის აუცილებლობას თეორიულად ასაბუთებდნენ. მათი შემოქმედება იკვებებოდა სოციალ-დარვინიზმით, სპენსერიზმით, რასიზმით, პანამერიკანიზმით, გეოპოლიტიკით. მათ მიერ ამერიკის ეკონომიური წარმატება ახსნილია ანგლო-საქსების (ამ შემთხვევაში ამერიკელების) რაღაც განსაკუთრებული თვისებებით; მათი ინტერპრეტაციით, ამერიკელი ხალხი წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის წამყვან ფაქტორს, „ლიდერების ლიდერს", „ხალხთა მეთაურს". ბევერიჯის თქმით, „განგებამ ამერიკელები დახელოვნებულ ორგანიზატორებად გახადა, მათი ამოცანაა მოაწესრიგონ ქვეყანა, სადაც სუფევს ქაოსი". „სრულფასოვანი" ამერიკელების გაბატონება სხვა ხალხებზე საკაცობრიო სიკეთეა, მცირე ხალხებმა თავიანთი ბედი დიდსა და ძლიერ ამერიკას უნდა მიანდონ, ასეთია ბუნების კანონი. ამერიკას ისტორიამ და განგებამ მსოფლიო ცივილიზატორის როლი დააკისრა, — ამტკიცებდნენ ექსპანსიონისტები, ანუ ამერიკის ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის ლოგიკური აუცილებლობაა და საკაცობრიო სიკეთეა.

იმპერიალიზმისა და ექსპანსიონიზმის მნიშვნელოვან იარაღად იქცა „პანამერიკანიზმი". ამ დოქტრინის თანახმად, ამერიკის კონტინენტის ხალხებს ახასიათებთ „ინტერესთა ერთიანობა" და სოლიდარობის გრძნობა, რასაც თითქოსდა განაპირობებს ამ ხალხების ეთნიკური, ეკონომიური და კულტურული ერთიანობა. პანამერიკანიზმის იდეის მეშვეობით ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმის მაგნატები ოსტატურად ნიღბავდნენ ლათინური ამერიკის მიმართ თავიანთ აგრესიულ მისწრაფებებს. ამერიკის კონტინენტი — ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ასეთი იყო პანამერიკანიზმის რეალური შინაარსი. „პანამერიკანიზმის" მესვეურთა შორის გამოირჩეოდა ამერიკის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჯეიმზ ბლეინი. „პანამერიკელებმა" მონროს ცნობილ დოქტრინას „ამერიკა ამერიკელთათვის" ახალი შინაარსი მისცეს—„ამერიკა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის". XIX—XX საუკუნის მიჯნაზე ეს დოქტრინა აყალიბდა როგორც — „მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის".

ამერიკელი ექსპანსიონისტები იყენებდნენ, აგრეთვე, ცრუმეცნიერულ თეორიას ე. წ. „გეოპოლიტიკას", რომელიც იმპერიალისტურ პოლიტიკას, აგრესიულ ომებს, რასიზმს, დიდმპყრობელურ პოლიტიკას გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაყრდნობის გზით ამართლებდა. ამ თეორიის მიხედვით, პოლიტიკა აბსოლუტურად განპირობებულია ბუნების მიერ, სამყარო გაყოფილია ორ —„ხმელეთისეულ"

და „საზღვაო“ — გეოგრაფიულ ნაწილებად. შესაბამისად ნაწილდებიან დიდი სახელმწიფოებიც, მათ შორის არსებობს „ბუნებრივი წარმოშობის მსოფლიო წინააღმდეგობები“. აქედან გამომდინარე, „გეოპოლიტიკოსების“ მიხედვით, „გიგანტების განუწყვეტელი ომი. იქნება იგი ცივი თუ ცხელი, უნდა მივიჩნიოთ როგორც აუცილებლობა“, საზოგადოება ემორჩილება ზრდისა და მატების ბიოლოგიურ კანონს. როცა საზოგადოება იზრდება და ძლიერდება, მას აქვს ბუნებრივი უფლება გაფართოვდეს „სივრცეში“. მცირე ხალხები. განწირულნი არიან „დიდების“ მიერ ბუნებრივ შთანთქვაზე. მათი აზრით, პოლიტიკას, გარდა გეოგრაფიული კონფიგურაციისა, განსაზღვრავს აგრეთვე ქვეყნის მოსახლეობის „რასობრივი თვისებები“. ამერიკელი „გეოპოლიტიკოსები“ ამბობენ, რომ უმაღლეს რასას წარმოადგენენ ანგლოსაქსები, დანარჩენები არასრულფასოვანნი არიან.

ამერიკული „გეოპოლიტიკის“ მამამთავრის ადმირალ მეჰენის მიხედვით, ამერიკა საზღვაო ქვეყანაა, იგი იძულებულია და ვალდებულია, სურს მას ეს თუ არა, აქტიური საგარეო პოლიტიკა აწარმოოს. ამერიკის წარმატების საწინდარი უნდა გახდეს საზღვაო ძალა. მან უნდა შექმნას ზემძლავრი სამხედრო ფლოტი, იგი უნდა დაეპატრონოს ოკეანეებს, ამისათვის, პირველ ყოვლისა, ხელთ უნდა იგდოს ყველა სტრატეგიული პუნქტი წყნარ, ატლანტისა თუ ინდოეთის ოკეანეებში. პირველ ყოვლისა ამერიკელები უნდა გამაგრდნენ კარიბის ზღვაში, ხელთ იგდონ ჰავაის კუნძულები, ფილიპინები, პანამის ყელი და არხი. ბედმა ამერიკას „წინასწარ მოუხაზა“ მომავალში ოკეანეებზე და მსოფლიოზე ბატონობა, — ასეთი იყო მეჰენის დასკვნა. მეჰენი ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იმპერიალისტური თეორიის მქადაგებელთა შორის იყო აგრეთვე ისტორიკოსი ჯონ ფისკე. ანგლოსაქსებმა (ამ შემთხვევაში ამერიკელებმა) მთელი სამყარო თავის ნება-სურვილს უნდა დაუმორჩილონ, — ასეთი იყო მისი კრედო. ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკის აპოლოგეტთა შორის ვხედავთ სოციოლოგსა და ისტორიკოსს ჯონ ბარჯესს, მონოპოლიური კაპიტალის მაგნატებს ჯ. როკფელერს, ჯ. ჰილს, ა. კარნეგის, პოლიტიკურ მოღვაწეებს უ. მაკ-კინლის, თეოდორ რუზველტს, უ. ჰ. ტაფტს, ვ. უილსონს, თეოლოგს ჯ. ბაროუზს, ისტორიკოსებს ჰენრი და ბრუკ ადამსებს და სხვ.

ამერიკის ბატონ-პატრონებად მონოპოლიური და ფინანსური კაპიტალის მაგნატები მოგვევლინნენ. როკფელერები, მორგანები, მელონები, ჰარიმანები, ვანდერბილტები, ჯეი-ჰულდები, კარნეგები, ასტორები, ჰილები, სეიჯები, გრინები, ფისკები, ჰანინგტონები, კროკერები, არმორები, კუკები, კლარკები, ელკინები და სხვები. აი ვინ

წარმართავდა ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მშრომელი მოსახლეობის ექსპლუატაციამ ახალი ძალით იჩინა თავი. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საერთო წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამწვავდა. მუშათა მოძრაობა გაძლიერდა. უკმაყოფილოთა შორის იყვნენ მონოპოლიური კაპიტალის მიერ დასაღუპავად განწირული წვრილი მეწარმენი და წვრილი ფერმერები. გაიზარდა ზანგებისა[1] და სხვა ჩაგრული ხალხების მოძრაობა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ზემოგების მოპოვების მიზნით მონოპოლიური კაპიტალის მაგნატებმა არაფრის წინაშე არ დაიხიეს უკან. საყოველთაო მასშტაბებს მიაღწია კორუფციამ, მექრთამეობამ. ბნელ საქმოსნებს, პოლიტიკურ ინტრიგანებს, სპეკულანტებს საქმიანობის ფართო ასპარეზი გადაეშალათ. ამერიკელ ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა და ლიტერატორთა ჯგუფმა, რომელიც „ნაგვის მქექავთა" სახელითაა ცნობილი, გაბედულად ამხილა მონოპოლიური კაპიტალის მახინჯი თვისებები, დაგმო ამერიკის იმპერიალისტური, აგრესიული მისწრაფებები. „ნაგვის მქექავთა" მოძრაობას საფუძველი ჩაუყარა პროგრესულმა პუბლიცისტმა ჰენრი დემარსეტ ლოიდმა. მან 1894 წელს გამოსცა წიგნი, რომელშიც ამხილა როკფელერთა ტრესტის დანაშაულებრივი საქმიანობის მრავალი ფაქტი. მალე გამოქვეყნდა „ნაგვის მქექავთა" კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის აიდა (იდა) ტარბელის ორტომიანი ნაშრომი „სტანდარტ ოილისა და კომპანიის ისტორია". ტარბელი იყო ქალიშვილი ნავთის წვრილი მრეწველისა, რომელმაც თვით განიცადა მონოპოლიური კაპიტალის კონკურენციის ყველა სიმწვავე. ამ წიგნში კიდევ უფრო მეტი სიცხადითაა გამოვლენილი როკფელერთა საქმიანობის ყველა მანკიერება და დანაშაული. ტომას ლოუსონი („გაცოფებული ფინანსისტები") და ლინკოლნ სტეფენსი („ამერიკის ქალაქების სირცხვილი") მკაცრად აკრიტიკებენ ფინანსური კაპიტალის მაგნატების ბნელ საქმიანობას. აღნიშნული მიმდინარეობის მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდნენ ჰენრი ჯორჯი, ჩარლზ ედვარდ რასელი, რეი სტენარდ ბეიკერი და სხვები. „ნაგვის მქექავთა" პოზიციებზე იდგნენ გამოჩენილი მწერლები მარკ ტვენი, ეპტონ სინკლერი, ტეოდორ დრაიზერი, ჯეკ ლონდონი და სხვ. კაპიტალიზმის კრი-

---

[1] 1860—1910 წლებში ზანგი მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 1860 წელს მათი რიცხვი უდრიდა 4. 400. 000, 1900 წელს —8. 800. 000, 1910 წელს —9. 800. 000.

ტიკას „ნაგვის მქექავები“ უპირატესად წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან ეწეოდნენ; ისინი არ ილაშქრებდნენ თვით კაპიტალისტური სისტემისა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული რეფორმების გზით კაპიტალიზმის განკურნვა, მისი რაფინირება, მისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება — აი, მათი ძირითადი მიზანი. ისინი მოითხოვდნენ მონოპოლიური კაპიტალის საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესებას, მუშათა კანონმდებლობას, ქალთა და ბავშვთა პირობების გაუმჯობესებას, პოლიტიკური სისტემის შემდგომ დემოკრატიზაციას, რკინიგზების ბანკების და ფინანსების სახელმწიფოსადმი დამორჩილებას, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ-ექსპანსიონისტური პოლიტიკის შეკვეცას და სხვ.

* * *

XIX საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო იმპერიალისტური პროგრამა-მინიმუმის განხორციელება. ექსპანსიონისტურ პოლიტიკას სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი (1844—1901), რომელიც რეაქციულ-იმპერიალისტური ძალების კრეატურას წარმოადგენდა. მაკ-კინლი მსხვილი მრეწველის ოჯახში დაიბადა, მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, 1877 წელს არჩეულ იქნა კონგრესის წევრად. მაკ-კინლი მსხვილ კაპიტალისტთა წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც პროტექციონისტული პოლიტიკის აქტიური განმახორციელებელი. 1890 წელს მისი თაოსნობით კონგრესმა მიიღო მეტად მაღალი საბაჟო ტარიფი (მაკ-კინლის ტარიფი), რაც. პირველ ყოვლისა, მონოპოლიური კაპიტალის სასარგებლოდ გატარდა. 1897 წელს მისივე ინიციატივით ტარიფები კიდევ უფრო გაზარდეს. 1891-96 წლებში იგი ოჰაიოს შტატის გუბერნატორია და სასტიკად უსწორდება მუშათა გაფიცვებს. 1896 წელს, როგორც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში და გაიმარჯვა. 1900 წელს იგი მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად (დაამარცხა დემოკრატების კანდიდატი ბრაიანი) და 4 მარტს მეორედ შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. 1901 წლის 6 სექტემბერს ბუფალოში პანამერიკული გამოფენის დათვალიერების დროს იგი მძიმედ დასჭრა მანიაკმა ანარქისტმა ჩალგოშმა. 14 სექტემბერს პრეზიდენტი გარდაიცვალა.

პირველ ყოვლისა, შეერთებულმა შტატებმა თვალი მიაპყრო კუბას, პუერტო-რიკოსა და ფილიპინებს. ეს ტერიტორიები მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ ქცეული ესპანეთის უკანასკნელ კოლო-

ნიებს წარმოადგენდა. პრეზიდენტი მაკ-კინლი შეუდგა ესპანეთის წინააღმდეგ ომის მზადებას. ომი 1898 წელს დაიწყო და წარმოადგენდა პირველ ომს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. ამერიკელი მონოპოლისტები აგრესიულ პოლიტიკას ნიღბავდნენ ათასგვარი პაციფისტური ფრაზეოლოგიით. უკვე მაშინ ამტკიცებდნენ, რომ ამერიკის ფლოტი და არმია არ წარმოადგენს აგრესიულ იარაღს, რომ ისინი მხოლოდ თავდაცვის საშუალებაა, რომ მსოფლიოზე თავის გავლენას შეერთებული შტატები ახორციელებს „მშვიდობიანი ეკონომიური კონკურენციის", „მომხმარებელთა უკეთ მომსახურების" მიზნით. თუ რა ხდებოდა ნამდვილად, ამაზე კარგად მეტყველებს ამერიკელი მხედრიონის ერთ-ერთი წარმომადგენლის გენერალ-მაიორ სმედლი დ. ბატლერის შემდეგი აღსარება: „მე ნამდვილ სამხედრო სამსახურში ოცდაცამეტი წელი და ოთხი თვე გავატარე... გავიარე ოფიცრის ყველა საფეხური — უმცროს ლეიტენანტიდან — გენერალ-მაიორამდე. ამ ხანგრძლივ პერიოდში მაღალი ხელფასის მქონე დაქირავებული მსახური ვიყავი. მე გზას ვუკვლევდი უოლ-სტრიტის მსხვილ კაპიტალსა და ბანკებს. მოკლედ რომ ვთქვა, კაპიტალიზმის რეკეტერი ვიყავი. მაგალითად, 1914 წელს ხელს ვუწყობდი იმას, რომ მექსიკა, განსაკუთრებით კი ტამპიკო, ამერიკის ნავთობის ტრესტისთვის უწყინარ ქვეყნად გადაქცეულიყო. ხელს ვუწყობდი ჰაიტისა და კუბის „ნეიშნლ სიტი ბენკ"-ის მოგების წყაროდ გადაქცევას, 1909-12 წლებში ვეხმარებოდი საერთაშორისო საბანკო ფირმას „ბრაუნ ბრაზერს" ნიკარაგუას „გაწმენდაში". 1916 წელს, ამერიკის შაქრის კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, „სინათლე მოვუტანე" დომინიკანელთა რესპუბლიკას; 1903 წელს „ვამშვიდებდი" ჰონდურასს ამერიკის ხილის კომპანიისათვის; 1927 წელს ხელს ვუწყობდი იმას, რომ „სტანდარტ ოილს" თავისუფლად განეხორციელებინა თავისი საქმეები ჩინეთში".

ესპანეთის წინააღმდეგ ომი 1898 წელს შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო „ჩაგრული ხალხებისადმი" დახმარების ნიღბით. იგი ამ ომს წარმოაჩენდა როგორც „დახმარებას", რომელსაც იგი უანგაროდ უწევდა კუბელ და ფილიპინელ ხალხებს ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მდიდარ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან კუბას ამერიკელებმა უკვე XIX საუკუნის დამდეგს მიაპყრეს თვალი. პრეზიდენტი ჯეფერსონი ამბობდა: „მე ყოველთვის ვუყურებდი კუბას, როგორც ჩვენი შტატების სისტემისადმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საჭირო დამატებას". XIX საუკუნის განმავლობაში შეერთებული შტატები მრავალჯერ შეეცადა დაპატრონებოდა კუბას; არაერთხელ შესთავაზა

ესპანეთს მიეყიდნა მისთვის ეს კუნძული. ესპანეთი ძვირად აფასებდა კუბას და ყოველნაირად ებღაუჭებოდა თავის კოლონიური იმპერიიდან გადარჩენილ ამ ქვეყანას. ამასობაში ამერიკის კაპიტალი ფართოდ იჭრებოდა კუბაში. 1889 წელს შეერთებული შტატების სავაჭრო ბრუნვა კუბასთან 64 მლნ დოლარს უდრიდა, 1893 წელს— 103 მლნ-ს, 1894 წელს —96 მლნ, შეერთებულ შტატებს კუბიდან გამოჰქონდა თითქმის ნახევარი იმ შაქრისა, რომელსაც იხმარდა. 90-იანი წლებისათვის შეერთებულ შტატებს კუბის რკინიგზებში, მაღაროებში, განსაკუთრებით კი შაქრის პლანტაციებში, დაბანდებული ჰქონდა 50 მილიონამდე დოლარი. დიდი იყო შეერთებული შტატებისათვის კუბის სტრატეგიული მნიშვნელობა.

კუბასთან ერთად შეერთებულ შტატებს მდიდარი და სტრატეგიულად დიდად მნიშვნელოვანი კუნძული პუერტო-რიკოც აინტერესებდა. ეს კუნძული შედის ანტილიის დიდ კუნძულთა ჯგუფში. 1493 წელს, კოლუმბის კუნძულზე მოსვლის შემდეგ სულ მალე აქ ესპანელები დამკვიდრდნენ. კუნძულის მკვიდრ მოსახლეობას ინდიელები შეადგენდნენ, ბუნებრივი პირობები და ნოყიერი ნიადაგი კუნძულზე სოფლის მეურნეობის განვითარების კარგ საშუალებას ქმნიდნენ. კუნძულზე მოჰყავდათ სიმინდი, ბრინჯი, თამბაქო, კაკაო, ანანასი, შაქრის ლერწამი, ინდიგო, ვანილი, ყავა, ციტრუსები, ბამბუკი, ქოქოსი, ბანანი და სხვ. კუნძული მდიდარი იყო წიაღისეულით, მათ შორის, ოქროთი, რკინით, პლატინით, ვერცხლით, ბისმუტითა და სხვ. დროთა ვითარებაში ესპანელებმა აქ ადგილობრივი მოსახლეობა მოსპეს და მის ნაცვლად აფრიკიდან ზანგები შემოიყვანეს. კუბასთან ერთად პუერტო-რიკოს ამერიკელთათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ატლანტის ოკეანეზე მათი დამკვიდრების თვალსაზრისით.

ფილიპინების ხელში ჩაგდებით დიდ სიმდიდრესთან ერთად ამერიკელები ეპატრონებოდნენ წყნარ ოკეანეში ბატონობისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს. 1900 წლის 9 იანვარს ფილიპინების ხელში ჩაგდებით აღტაცებული სენატორი ბევერიჯი ამბობდა: „ფილიპინის კუნძულები სამუდამოდ ჩვენია... უშუალოდ ფილიპინებს იქით მდებარეობს ჩინეთის უსაზღვრო ბაზრები. ჩვენ არ დავთმობთ არც ერთსა და არც მეორეს, ჩვენ არ დავთმობთ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენთვის აღმოსავლეთში შეიქმნა. ჩვენ არასოდეს არ უარვყოფთ ჩვენი რასის წინასწარ დანიშნულებას, რომელსაც ღმერთმა მსოფლიო ცივილიზაცია ანდო“. ფილიპინები სავსე იყო აურაცხელი რესურსებით, ნაყოფიერი მიწითა და დიდი მინერალური სიმდიდრით, შესანიშნავი საშენი მასალით, მაღალი ხარის-

ხის ქვანახშირით, ნავთობით, ოქროთი, რკინით. აქ აშშ შესანიშნავი ნავსადგურების აგებას ითვალისწინებდა. მანილა ამერიკისათვის უნდა ყოფილიყო სინგაპური და ჰონგკონგი. ფილიპინებზე უნდა გადებულიყო ხიდი ამერიკასა და აზიას შორის.

ევროპელებმა ფილიპინების არქიპელაგს პირველად მაგელანის ექსპედიციის დროს მიაგნეს. 1521 წლის 11 მარტს მაგელანმა საძ-ხრეთ ამერიკის შემოვლისა და წყნარი ოკეანის გადაცურვის შემდეგ პირველად იხილა ფილიპინების არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული. მაგელანი კუნძულების დაპატრონებას შეეცადა. ცნობილია, რომ აქ მიღებული ჭრილობების შედეგად 1521 წლის 27 აპრილს დიდი ზღვაოსანი დაიღუპა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა მაგელანის შემ-ცველელის დე ბარბოსას კონკისტადორული საქმიანობა. ადგილობ-რივ მოსახლეობასთან შეტაკებისას დე ბარბოსა დაიღუპა. ევროპე-ლებმა დატოვეს ფილიპინები. ბოლოს, მრავალი ფათერაკის შემდეგ მაგელანის ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ ხუან სებასტიან ელ კანომ ესპანეთს მიაღწია. ამიერიდან ესპანელებმა ფილიპინები-საკენ მრავალი ექსპედიცია მოაწყვეს. ერთ-ერთი ექსპედიციის (1542-43) მეთაურმა ლოპეს დე ლა ვილიალობოსმა ესპანეთის ინ-ფანტის, მომავალი მეფის ფილიპე მეორის პატივსაცემად კუნძულ-ებს ფილიპინები შეარქვა. XVII—XVIII საუკუნეებში ფილიპინე-ბი ესპანელი კოლონიზატორებისა და მისიონერ ღვთისმსახურთა მა-მულ-დედულეთს წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ინგლისელთა ზე-გავლენით ესპანეთი იძულებული იყო ფილიპინების მნიშვნელოვანი ნავსადგურები პორტო-ფრანკოდ გაეხადა.

კუბისა და ფილიპინების ხალხები ებრძოდნენ ესპანელებს. ამ ბრძოლაში აშშ მათი „მფარველის“ როლში გამოდიოდა. 1895 წელს კუბაზე დაიწყო ანტიესპანური მძლავრი აჯანყება. როგორც ზოგი-ერთი ისტორიკოსი ფიქრობს, გამორიცხული არაა, რომ ამ აჯანყე-ბის ინსპირირებაში აშშ-ის ხელიც ერია. შეერთებული შტატები და-უყოვნებლივ ჩაერია კუბის საქმეებში, თავი კუბელების „მეგობრად“ და „კუბის თავისუფლების“ დამცველად გამოაცხადა. 1896 წელს ანტიესპანური აჯანყება დაიწყო ფილიპინებზეც. პრეზიდენტმა მაკ-კინლიმ არც აქ უღალატა თავის პოლიტიკას. მან ფილიპინებს დახ-მარება აღუთქვა და ამ საბაბით იქ ჯარები გაგზავნა კიდეც.

1898 წლის 14 თებერვალს ჰავანასთან რეიდზე მდგომი ამერიკის კრეისერი „მეინი“ აფეთქდა და ჩაიძირა. ამერიკის მთავრობამ კატას-ტროფა ესპანეთს დააბრალა (1915 წელს, როცა კრეისერის ნარჩე-ნები წყლიდან ამოიღეს, ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ გემი ორ-თქლის ქვაბების აფეთქების შედეგად დაიღუპა). სუსტი და ჩამორ-

ჩენილი ესპანეთი ახალგაზრდა და ძლიერმა აშშ-მა ადვილად გაანადგურა. ომი დაიწყო 1898 წლის 25 აპრილს და ოფიციალურად დამთავრდა იმავე წლის 10 დეკემბერს — პარიზის ხელშეკრულებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ესპანეთისაგან მიიღო პუერტორიკო, კუნძული გუამი (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი წყნარ ოკეანეზე, მარიანის ჯგუფის კუნძული) და ფილიპინები. კუბა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ფაქტიურად კი აქ აშშ-ის პროტექტორატი დამყარდა. სამი წლის განმავლობაში „თავისუფალი“ კუბა აშშ-ის ჯარებით იყო ოკუპირებული. ოკუპაცია მოიხსნა მხოლოდ მაშინ, როცა კუბას ახალი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება დაადებინეს. კუბა ვალდებული იყო არ დაედო სხვა ქვეყნებთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მის „დამოუკიდებლობას“ რაიმე საფრთხეს შეუქმნიდა. ამით აშშ კუბის მიმართ მონოპოლიურ უფლებებს იმკვიდრებდა. მის კონტროლს დაემორჩილა კუბის მთელი ვაჭრობა, შეერთებულ შტატებს კუბის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება მიეცა, მანვე დაიმკვიდრა აქ მნიშვნელოვანი ბაზები გემებისა და ნახშირისათვის. „თავისუფალმა“ კუბამ 1906 წელს სცადა აჯანყება აშშ-ის წინააღმდეგ. მაშინ უკანასკნელმა კუნძულის ხელმეორედ ოკუპაცია მოახდინა. 1912 წელს აქ აშშ-ის მძლავრი ფლოტი გაიგზავნა. პირველი მსოფლიო ომის დროს ვიდრე 1922 წლამდე კუბაზე ამერიკის ჯარი იყო განლაგებული.

დახმარების საბაბით აშშ-მა გადასხა ფილიპინებზე დესანტი ადმირალ დიუის მეთაურობით. ამერიკელებმა ჰონგკონგიდან ფილიპინებზე გადმოიყვანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ემილიო აგინალდო (იგი აქ თავს აფარებდა ესპანელთა მხრივ დევნას). ამერიკელები ფილიპინებს ეროვნულ დამოუკიდებლობას შეჰპირდნენ, 1898 წლის 12 ივლისს არქიპელაგის მოსახლეობამ ფილიპინების დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამჯერად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ზრახვები. 1898 წლის 21 ოქტომბერს პრეზიდენტმა მაკ-კინლიმ ამცნო ფილიპინებს, რომ აშშ მთავრობა არქიპელაგის მართვას თავის თავზე იღებს. პასუხად აგინალდომ 1899 წლის 13 იანვარს ფილიპინები დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. ამერიკელებმა ფილიპინების წინააღმდეგ სასტიკი, ულმობელი ომი დაიწყეს. ფილიპინების წინააღმდეგ ამერიკელებმა გაიწვიეს 126. 468 ქვეითი და 13.570 მეზღვაური. ომი მათ 170 მილიონი დოლარი დაუჯდათ. ფილიპინელთა წინააღმდეგ სისასტიკით თავი ისახელა გენერალმა არტურ მაკარტურმა (გენერალ დუგლას მაკარტურის მამა). ანგარიშსწორება უსასტიკესი იყო. იწვოდა ქალაქები, სოფლები, იჟლიტებოდა მოსახლეობა. ფი-

ლიპინელები სამი წელი იცავდნენ თავს. 1901 წელს გამცემლობის შედეგად აგინალდო ტყვედ ჩავარდა და თვითონაც ღალატის გზას დაადგა — ამერიკის ორიენტაცია აიღო.

ესპანეთ-ამერიკის ომმა დააჩქარა სამოას და ჰავაის კუნძულების საკითხის ამერიკელთა სასარგებლოდ მოგვარება. სამოას კუნძულებზე ამერიკელები 1889 წლიდან გამოჩდნენ. მათ ინგლისელებთან და გერმანელებთან ერთად ამ კუნძულებზე პროტექტორატის უფლება მოიპოვეს. 1899 წელს სამთა პროტექტორატი გაუქმდა. კუნძულები გერმანიამ და შეერთებულმა შტატებმა გაიყვეს. ინგლისმა გერმანელებისაგან კომპენსაციად მიიღო ტონგას არქიპელაგი, სოლომონის კუნძულების ნაწილი და ზოგიერთი ტერიტორია დასავლეთ აფრიკაში.

ჰავაის კუნძულებზე ამერიკელებმა პირველ ყოვლისა ეკონომიური პოზიციები დაიპყრეს. 1894 წელს კი ჰონოლულუში მცხოვრებმა ამერიკელებმა განახორციელეს „რევოლუცია", ჩამოაგდეს გადაბერებული დედოფალი და 1898 წლისათვის შეერთებული შტატები კუნძულს უკვე ოფიციალურადაც დაეპატრონა. 1898 წლის 12 აგვისტოს კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა კუნძულების ანექსიას და მათ აშშ-ის ტერიტორიად აცხადებდა.

ამერიკის პროგრესული, დემოკრატიული წრეები გმობდნენ ამერიკის იმპერიალისტურ-აგრესიულ პოლიტიკას. ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით გამოდიოდა საარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატი ბრაიანი. „ჩვენ ჩირქი მოვცხეთ ამერიკის ღირსებას და შევარცხვინეთ იგი მთელი მსოფლიოს წინაშე", — წერდა მარკ ტვენი. „დაე, დაგვრჩეს ძველი დროშა, მაგრამ იმ პირობით, რომ თეთრი ზოლები შავად შევღებოთ და ვარსკვლავების ნაცვლად გამოვხატოთ თავის ქალა გადაჯდობილი ძვლებით", — ამბობდა დიდი მწერალი. ამერიკაში რამდენიმე ანტიიმპერიალისტური ლიგა შეიქმნა. 1899 წელს ჩიკაგოში გაიმართა ამ ლიგების საერთო ყრილობა. ყრილობა გმობდა იმპერიალისტურ-ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ კეთილ სურვილად რჩებოდა. ბურჟუაზიული დემოკრატიის ანტიიმპერიალისტური ოპოზიცია მიზანს ვერ აღწევდა. ვ. ი. ლენინმა ამ ოპოზიციას ასეთი შეფასება მისცა: „შეერთებულ შტატებში იმპერიალისტურმა ომმა ესპანეთის წინააღმდეგ 1898 წელს გამოიწვია ოპოზიცია „ანტიიმპერიალისტებისა", ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი მოჰიკანებისა, რომლებიც ამ ომს უწოდებდნენ „დანაშაულებრივს", კონსტიტუციის დარღვევად თვლიდნენ სხვისი მიწა-წყლის ანექსიას, „შოვინისტების მატყუარობად" აცხადებდნენ საქციელს ფილიპინე-

ბის მკვიდრ მცხოვრებთა ბელადის აგინალდოს მიმართ (მას შეპპირდნენ მისი ქვეყნის თავისუფლებას, შემდეგ კი გადმოსხეს ამერიკის ჯარები და მოახდინეს ფილიპინების ანექსია), მოჰყავდათ ლინკოლნის სიტყვები: „როდესაც თეთრი ადამიანი თვითონ განაგებს თავის თავს, ეს არის თვითმმართველობა; როდესაც ის განაგებს თავის თავს და ამასთან სხვებზეც გამგებლობს, ეს უკვე თვითმმართველობა აღარაა, ეს არის დესპოტიზმი". მაგრამ ვიდრე მთელ ამ კრიტიკას ეშინოდა ეღიარებინა იმპერიალიზმის განუყრელი კავშირი ტრესტებთან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის საფუძვლებთან, ეშინოდა შეერთებოდა იმ ძალებს, რომლებსაც წარმოშობს ძსხვილი კაპიტალიზმი და მისი განვითარება, იგი „გულუბრყვილო სურვილად" რჩებოდა".[1]

ამერიკის შეერთებული შტატები არ ივიწყებდა ჩინეთს და იგი მუდამ მისი ანექსიონისტური პოლიტიკის ყურადღების ცენტრში იყო. მაკ-კინლი ფილიპინების დაპყრობისას, პირველ ყოვლისა, ჩინეთზე ფიქრობდა. ჩინეთის იარაღით დაპყრობა არ იყო ადვილი, აქ მტკიცედ იყვნენ მოკალათებულნი სხვა სახელმწიფოები: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, რუსეთი. როგორც ვიცით, აშშ-მა ჩინეთში შეღწევისა და დამკვიდრების მეტად ორიგინალური საშუალება გამონახა „ღია კარების" პრინციპის სახით, რომელიც 1899 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰეიმ შეიმუშავა. ამ შემთხვევაში ამერიკის მესვეურებს თავიანთი ძლიერი, მზარდი ეკონომიკის იმედი ჰქონდათ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეკონომიურ ჭიდილში ისინი სძლევდნენ ყველა მეტოქეს, დაეპატრონებოდნენ ჩინეთის ბაზარს, ხოლო შემდეგ კი ადვილი იყო ჩინეთის ბაზრის დაკეტვა და დარაჯად ჯარისკაცის დაყენება, რომ ოთახში აღარავინ შემოსულიყო. ამასთან ერთად ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ „ღია კარების" პრინციპის გამოცხადებით ისინი ჩინეთის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივ ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა შარავანდედით შეიმოსებოდნენ და ამით ჩინელი ხალხის წინაშე ვარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდნენ. აკი სხვა ქვეყნები ჩინეთის „გავლენის სფეროებად" დანაწილების, მისი ტერიტორიული ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოშლას ითვალისწინებდნენ. აშშ-ის საბოლოო მიზანი იყო ხელი ეგდო ჩინეთი, როგორც მთლიანი უზარმაზარი ბაზარი და ნედლეულის წყარო, როგორც მისი მონოპოლიური სამფლობელო.

აშშ ჩინეთში დამკვიდრებისათვის ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდა. როგორც ვიცით, მან ისარგებლა ე. წ. „ბოქსიორთა" (იხე-

---

1. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 363.

ტუანის) ანტიიმპერიალისტური გრანდიოზული აჯანყებით (1897—1900) და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან ერთად ამ ამბოხების ჩახშობის საბაბით აქ ჯარები შეიყვანა ცნობილი კოლონიზატორისა და იმპერიალისტის გენერალ ჩეფის მეთაურობით. ამერიკის საექსპედიციო კორპუსი არაფრით ჩამორჩებოდა სისასტიკეში „რვა სახელმწიფოს გაერთიანებულ არმიას“.

1901 წლის 7 სექტემბერს იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ჩინეთს ხელი მოაწერინეს მძარცველურ „დასკვნით ოქმზე“. ჩინეთს დაადვეს უზარმაზარი კონტრიბუცია. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩინეთმა 25 მილიონი დოლარის გადახდა აღუთქვა. იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მა მოიპოვეს უფლება ჩინეთში ჰყოლოდათ ჯარები, კონტროლი გაეწიათ ჩინეთის საბაჟოებისათვის და აეკრიფათ გადასახადები. 1907 წელს აშშ დათანხმდა კონტრიბუცია 10.785.286 დოლარამდე შემცირებულიყო. ეს ფული ჩინეთის მთავრობას ჩინეთსა და შეერთებულ შტატებში მოსწავლე სტუდენტთა ფონდში უნდა გადაერიცხა. ამ შემთხვევაში აშშ-ს სურდა მოესყიდა ჩინეთის ინტელიგენცია და იგი თავის დასაყრდენად ექცია.

როგორც ცნობილია, შეერთებულმა შტატებმა რუსეთ-იაპონიის ომის გაჩაღების საქმეში მეტად პროვოკაციული როლი შეასრულა. მიზანი ისევ ჩინეთში გაძლიერება იყო. ამერიკელებს სურდათ ურთიერთ ომში დაესუსტებინათ იაპონია და რუსეთი, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის მოწინააღმდეგენი იყვნენ. როცა ორი ქვეყანა ერთმანეთს ანადგურებს, ეს მესამესათვის სასარგებლოაო, — ამბობდა პრეზიდენტი ტეოდორ რუზველტი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიას სესხად 450 მილიონი ამერიკული დოლარი მისცა (ანუ იაპონია თავის გავლენას დაუმორჩილა). ჩინელი ისტორიკოსი ლიუ და-ნიანი სამართლიანად მიუთითებს, რომ „აშშ-ის ეკონომიური და ფინანსური დახმარების გარეშე იაპონიას ომის წარმოება არ შეეძლო“. იაპონია ჩვენთვის თამაშობს, — იტყოდა ხოლმე ტეოდორ რუზველტი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა საგრძნობლად შელახა „ღია კარების“ ამერიკული პრინციპის ავტორიტეტი. იაპონიამ, რომელიც ამ ომში დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით სარგებლობდა, მოახერხა თავისთვის სამხრეთ მანჯურიის ტერიტორიებზე მონოპოლიური ბაზრების დამკვიდრება, რის შედეგადაც აქ ამერიკისათვის კარები მჭიდროდ დაიკეტა.

1905 წელს რუსეთის რევოლუციის გავლენით ჩინეთში გაჩაღდა ფართო სახალხო მოძრაობა, რომელმაც 1911 წლისათვის საკმაოდ

მძლავრი რევოლუციური მოძრაობის ხასიათი მიიღო. ჩინელი ხალხი ებრძოდა იმპერიალისტებს, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკელ იმპერიალისტებსაც. 1910 წელს აშშ-ის ბანკირებმა ჩინეთს თავს მოახვიეს კაბალური სესხი 50 მილიონი დოლარის რაოდენობით (ამ ოპერაციაში აქტიურ როლს ასრულებდა „ოქროს მეფე" მორგანი). ამ ვალის უზრუნველყოფა ჩინეთის მთავრობამ სახელმწიფოს შემოსავლის ანგარიშზე იკისრა. მძარცველურ ოპერაციაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ინგლისისა და იაპონიის ბანკები. ამერიკელთა წინააღმდეგ ჩინეთის ხალხის ბრძოლა უკვე 1905 წლიდან იჩენს თავს. ჩინეთის რამდენიმე ქალაქში (შანხაი, კანტონი, ხანკოუ, ტიანძინი და სხვ.) დაიწყო სტიქიური მოძრაობა, რომელიც ამერიკული საქონლის ბოიკოტში გამოიხატა.

ამერიკელთა მითითებით ჩინეთის რეაქციულ-მარიონეტული მთავრობა სასტიკად ახშობდა ამ მოძრაობას. 1911 წლის რევოლუცია ჩინეთის ხალხმა ადგილობრივი რეაქციული მონარქისტული მთავრობისა და მათი მფარველების, უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ წამოიწყო. იგი მიმართული იყო ჩინეთში ნახევრად ფეოდალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ერთად აშშ სასტიკად ებრძოდა ჩინელი ხალხის ამ სამართლიან მოძრაობას. იგი აქტიურად უჭერდა მხარს ჩინელ მემამულეებსა და კომპრადორულ ბურჟუაზიას მშრომელების წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციურ ჩინეთს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუპირისპირა იმპერიალიზმის აგენტი, ჩინეთის ხალხის მოღალატე ავანტიურისტი იუან ში-კაი და მას „პრეზიდენტის" პოსტის დაკავებაში დიდი დახმარება აღმოუჩინა.

ამერიკის იმპერიალიზმს სურდა კორეაშიც მოეკიდა ფეხი. აქ დამკვიდრებას იგი იაპონელთა დახმარებით ცდილობდა. აშშ მხარს უჭერდა იაპონიის პრეტენზიებს კორეის მიმართ და მიესალმა კიდეც იაპონიის მიერ 1905 წელს კორეაზე პროტექტორატის გამოცხადებას, რაც 1910 წელს კორეის სრული ანექსიით დამთავრდა. იაპონია ამ მხარდაჭერის ფასად ამერიკელ მონოპოლისტებს კორეის ერთობლივ ძარცვას ჰპირდებოდა. კორეაში დამკვიდრების შემდეგ იაპონელები ნაკლებად ცდილობდნენ შეესრულებინათ დანაპირები, რაც ამერიკის იმპერიალისტების დიდ აღშფოთებას იწვევდა. ამით აიხსნება 1907-08 წლებში ამერიკის პრესის ანტიიაპონური კამპანია. მიუხედავად ამისა ამერიკის კაპიტალმა მაინც შეძლო კორეაში ფეხის მოკიდება. აქ იგზავნებოდნენ ამერიკელი მისიონერები, წარმოებდა კორეელთა შორის პროამერიკული ელემენტების მოსყიდვა. ამერიკული ფირმა „ნიუ-იორკ სტანდარტ ოილი" კორეაში ნავთო-

ბით ვაჭრობას დაეპატრონა, ამერიკელები ექსპლუატაციას უწევდნენ კორეის ოქროს საბადოებს. 1916 წლის მონაცემებით, კორეაში მოპოვებული ოქროს 80% ამერიკელებზე მოდიოდა. 1919 წელს კორეელი ხალხის აჯანყება იაპონიამ აშშ-ის დახმარებით ჩაახშო.

ამერიკის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც იკიდებს ფეხს, კერძოდ, ირანში. აშშ-ის ირანში შეჭრის ისტორია დაახლოებით XIX საუკუნის 30-იან წლებში იწყება. ამერიკის კაპიტალის პირველი „მერცხლები" აქ მისიონერები იყვნენ.

ქრისტიანობის გავრცელებისა და ქველმოქმედების აბრით ირანში შეჭრილი მისიონერები ამერიკის კაპიტალიზმს უკვლევდნენ გზას, ქმნიდნენ ჯაშუშურ ქსელს, აყალიბებდნენ პროამერიკულ ჯგუფებს. 1856 წელს აშშ-მა ირანს თავს მოახვია არათანასწორუფლებიანი, კაბალური „ხელშეკრულება მეგობრობისა და ვაჭრობის" შესახებ. ამერიკელები დაეპატრონნენ ირანის სიმდიდრეს, მოიპოვეს „კაპიტულაციების რეჟიმის" უფლება. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ამერიკელი კაპიტალისტები მიისწრაფოდნენ რკინიგზის მშენებლობისა და სხვა კონცესიების ხელში ჩასაგდებად. მათ აინტერესებდათ, აგრეთვე, ირანის ნავთობი.

1911 წელს ამერიკელებმა ირანში გაგზავნეს მორგან შუსტერის საგანგებო მისია, რომლის მიზანი იყო ირანის ეკონომიკის შეერთებული შტატებისადმი დამორჩილება. მაგრამ ირანში ამერიკელთა ექსპანსიონისტური ზრახვები ინგლისისა და რუსეთის მხრივ წინააღმდეგობის გამო ნაკლებად ხორციელდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ირანში ამერიკელთა საქმიანობა გაძლიერდა. შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ პარიზის საზავო კონფერენციის დროს ამერიკელები ირანის მეგობართა როლში გამოდიოდნენ და მჭარს უპერდნენ ირანელთა ფანტასტიკურ სურვილებს, ხელთ ეგლოთ ამიერკავკასია, დაღესტანი და თურქესტანი. ირანში ამერიკული კაპიტალის შეჭრა ფართოდ გაიშალა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

XX საუკუნის დასაწყისიდან ფართო ხასიათი მიიღო ამერიკის ექსპანსიამ ლათინური ამერიკის, განსაკუთრებით კი კარიბის ზღვის ქვეყნების მიმართ. ჩვეულებრივ, კარიბის ზღვაში ამერიკის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ადარებენ ხოლმე ინგლისელთა აგრესიას ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ შედარებას გარკვეული საფუძველი აქვს. ორივე შემთხვევაში საკითხი ეხება არხებს — ინგლისისათვის სუეცისას, ხოლო აშშ-სათვის—პანამის პრობლემას.

ლათინური ამერიკის მიმართ აშშ-ის ექსპანსია ხორციელდება ლევიზით: „ამერიკის დროშას წინ უძღვის დოლარი". პრეზიდენტე-

ბი ტეოდორ რუზველტი და უილიამ ტაფტი აგრესიული პოლიტიკის იარაღად იყენებენ „დოლარის დიპლომატიას“ და „დიდი კეტის“ ანუ „ხიშტის დიპლომატიას“. ე. ი. ჯერ ხორციელდება ლათინური ამერიკის ქვეყნების ფინანსური დაკაბალება, შემდეგ კი მათი სამხედრო ოკუპაცია (ან ოკუპაციის მუდმივი მუქარა). ლათინური ამერიკის მიმართ ხიშტი, ხელკეტი თუ დოლარი ერთმანეთს ენაცვლებიან და ავსებენ. ან ხიშტი უკვლევს გზას დოლარს, ან, პირიქით. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს დოლარი. იგი ეყრდნობა შეერთებული შტატების პოლიტიკურსა და სამხედრო ზემძლავრ აპარატს, ეკონომიურად იმონებს მცირე ქვეყნებსა და მათ მხოლოდ ფორმალურ დამოუკიდებლობას უტოვებს.

ვერაგული „დოლარის პოლიტიკის“ საუკეთესო მაგალითია პანამის ისტორია. წყნარ ოკეანეზე და შორეულ აღმოსავლეთში აშშ-ის ბატონობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში ფლოტის სწრაფად გადაყვანა. ტეოდორ რუზველტის მთავრობამ პანამის არხის გათხრის პრობლემა, რომელიც ფრანგების მიერ იყო წამოყენებული, თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად გახადა. პანამის ყელი, სადაც არხი უნდა გაჭრილიყო, ეკუთვნოდა სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკას — კოლუმბიას. 1903 წელს აქ შეერთებული შტატების ინიციატივით მოეწყო „ამბოხება“. აჯანყების შედეგად შეიქმნა ე. წ. „პანამის რესპუბლიკა“. ეს ახალი ჯუჯა, მარიონეტული რესპუბლიკა შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ ცნო და მისი „დაცვის“ მიზნით აქ ძლიერი ფლოტი გადმოისროლა. რესპუბლიკის პრეზიდენტად „აირჩიეს“ ამერიკის აგენტი ამადორ ჰერერო. „აჯანყების“ თითოეულ მონაწილეს ჯილდოდ მისცეს... 50 დოლარი. შეერთებულმა შტატებმა ადრე ხელთ გდებულ კარიბის ზღვის კუნძულებს (კულებრა, ნავასა, ფლამენგო, პუერტო-რიკო) დაუმატეს მიწები არხის გასწვრივ. 1914 წელს არხის მშენებლობა დამთავრდა (გაიხსნა 1914 წლის 15 აგვისტოს). ამიერიდან პანამის რესპუბლიკა კიდევ უფრო დაექვემდებარა შეერთებულ შტატებს და ფაქტიურად მის კოლონიად იქცა.

ამერიკის კაპიტალიზმის საქმიანობა ლათინურ ამერიკაში ახალი ძალით გაჩაღდა. განსაკუთრებით გააქტიურდნენ მონოპოლიები „სტანდარტ ოილი“, „იუნაიტედ ფრუტ კომპანი“, „ბეტლეჰემის ფოლადის კომპანია“ და სხვ. 1899 წელს ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდება 290 მილიონ დოლარს უდრიდა, 1914 წლისათვის მან მიაღწია 1242 მილიონ დოლარს. ამერიკის მონოპოლიური კაპიტალი თავისი მთავრობისაგან უფრო აქტიურ „დახმარებასა“ და „ხელის შეწყობას“ ითხოვდა. აშშ არ დასჯერდა

პუერტო-რიკოს, კუბას და პანამას; ამჯერად მან თვალი მიაპყრო მნიშვნელოვან კუნძულს — ჰაიტის, რომელიც პუერტო-რიკოს და კუბას შორის მდებარეობდა. კუნძულზე არსებობდა ორი რესპუბლიკა — საკუთრივ ჰაიტისა (ცენტრი ქ. პორტ-ო-პრენსი) და დომინიკანელთა (ცენტრი სანტო-დომინგო).

ჰაიტი უკვე XIX საუკუნის დამლევს ამერიკის ეკონომიური კაბალის ქვეშ იყო მოქცეული. 1915 წლიდან 1934 წლამდე იგი ოკუპირებული იყო შეერთებული შტატების ჯარების მიერ, რომლებიც სასტიკად ახშობდნენ ანტიამერიკულ გამოსვლებს. 1904 წლიდან ამერიკის ფინანსური კაპიტალის კონტროლს დაუმორჩილდა, აგრეთვე, დომინიკანელთა რესპუბლიკაც. „დოლარმა" მალე გამოდევნა აშშ-ის ძირითადი კონკურენტი — ინგლისი თავისი „სტერლინგებითურთ". ამ საქმეში „დოლარს" „ხიშტიც" ეხმარებოდა. 1916 წელს ამერიკელებმა რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინეს, საოკუპაციო რეჟიმი აქ 1924 წლამდე გაგრძელდა. ფორმალურად დამოუკიდებელი დომინიკანელთა რესპუბლიკა, ფაქტიურად, ამერიკელთა კოლონიად იქცა.

ასეთივე ბედი ეწია ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებს: კოსტა-რიკას, სალვადორს, ნიკარაგუას, გუატემალას, ჰონდურასს. ისინი დამოუკიდებლობას მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდნენ.

ამერიკელებმა გადაწყვიტეს პანამასთან ერთად კიდევ ერთი საერთაშორისო არხი გაეჭრათ, ამჯერად ნიკარაგუას ტერიტორიაზე. ამ მიზნით ჯერ ტაფტმა, ხოლო შემდეგ ვუდრო უილსონმა გადაწყვიტეს ნიკარაგუა და მასთან ერთად ჰონდურასი ამერიკის ვასალებად გადაექციათ. ნიკარაგუას აშშ, პირველ ყოვლისა, ფინანსურად აკაბალებდა, ძალით ახვევდა თავს კაბალურ სესხებს; შემდეგ კი დაქირავებული აგენტების დახმარებით 1909 წელს „რევოლუცია" მოაწყო. ამერიკის ერთ-ერთი სამთამადნო კომპანიის ნიკარაგუელმა მოხელემ ა. დიასმა „რევოლუციის" მოსახდენად 600 ათასი დოლარი დახარჯა და პრეზიდენტი სელაია ჩამოაგდო. ამერიკის ელჩი ამცნობდა ვაშინგტონს, რომ ახალი მთავრობა „ამერიკის ინტერესების დამცველია". 1911 წელს ნიკარაგუას თავს მოახვიეს ახალი კაბალური სესხი, რომელმაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამერიკელი ელჩი ვაშინგტონს დეპეშით ამცნობდა: „მორალური ზემოქმედებისათვის საჭიროა სამხედრო ხომალდი". ხომალდი მოვიდა, „მორალურმა ზემოქმედებამ" გასჭრა. ხალხი დაწყნარდა; ოპოზიციური ნაციონალური კრება გარეკეს. პრეზიდენტად დასვეს ამერიკელთა აგენტი დიასი. 1912-დან 1924 წლამდე ნიკარაგუა ოკუპირებული იყო აშშ-ის ჯარების მიერ. „დოლარისა" და „ხიშტის" თანამშრომლო-

ბამ უზრუნველყო ამერიკის კაპიტალის მიერ ნიკარაგუას დაკაბალება.

ჰონდურასელებს 1909 წელს ამერიკის მთავრობამ წინადადება მისცა აეღოთ კაბალური სესხი მორგანისაგან. სესხის საწინდრად მორგანის კონტროლს უნდა დამორჩილებოდა ჰონდურასის რკინიგზა, ხოლო საბაჟო მოხელეების დანიშვნის უფლება უნდა გადასცემოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჰონდურასმა გაბედა და უარყო ამერიკელთა „უანგარო დახმარება". მაშინ აქ „რევოლუციამ" იფეთქა. 1911 წელს ახალმა „მთავრობამ" აშშ-ის ყველა წინადადება მიიღო.

გაითვალისწინეს რა მეზობელთა მწარე ხვედრი, კოსტა-რიკა, სალვადორი, გუატემალა ამერიკელთა კონტროლს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდნენ. „მორალური ზემოქმედება" აქ ნაკლებად აღმოჩნდა საჭირო. ამერიკის კაპიტალი იმონებდა კოლუმბიას, ვენესუელას, პერუს, ბოლივიას, ეკუადორს. აქ კვლავ მოქმედებდა „დოლარი", „დიდი კეტი", „ხიშტი", ფართოდ ინერგებოდა „მორალური ზემოქმედება". პრეზიდენტი ვუდრო უილსონი ასწავლიდა კიდეც სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს იმას, თუ როგორ უნდა აერჩიათ „კარგი ადამიანები", ანუ ისეთი მთავრობები, რომლებიც უყოყმანოდ აღასრულებდნენ აშშ-ის დიქტატს.

მექსიკაში ამერიკელმა კაპიტალისტებმა დიდი კაპიტალი დააბანდეს, რომელიც პრეზიდენტ ტაფტის ანგარიშით მილიარდამდე აღწევდა (რკინიგზები, მაღაროები, პლანტაციები, განსაკუთრებით ნავთობის წარმოება). XX საუკუნის დამდეგს, როცა ნავთობზე მოთხოვნილება გაიზარდა (შიდაწვის ძრავების შექმნა, საავტომობილო მრეწველობის განვითარება და სხვ.), მექსიკის მიმართ ამერიკის კაპიტალი უფრო გააქტიურდა. ამერიკელმა ნავთობის მრეწველმა ედუარდ ლ. დოგენიმ აქ დიდი საქმიანობა წამოიწყო. 1913 წელს მექსიკამ ნავთობის მოპოვების მხრივ მსოფლიოში მესამე ადგილი დაიკავა (აშშ-ისა და რუსეთის შემდეგ). დოგენი აშშ-ის მთავრობას მოუწოდებდა დაპატრონებოდა მექსიკის ნავთობს, განედევნა აქედან გერმანია, განსაკუთრებით კი ინგლისი (ნავთობის კომპანია „პირსონ,

უბრეი"). მექსიკის საკითხში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებდა „სტანდარტ ოილი". ამერიკელები ერეოდნენ მექსიკის შიგნეგან საქმეებში. ჯერ მხარს უჭერდნენ მექსიკის დიქტატორს პორფირიო დიასს, მაგრამ როცა მან სასწორი ინგლისელთა სასარგებლოდ გადახარა, იგი დაამხეს. მას დაუპირისპირეს ლიბერალი მადერო (1910), რომელიც „სტანდარტ ოილისაგან" დიდ სუბსიდიებს ილებდა. 1911 წელს „მორალური ზემოქმედების" მიზნით აშშ-მა მექსიკის

საზღვარზე 20 ათასიანი არმია განალაგა; ამასთან ერთად მექსიკის წყლებში გაიგზავნა ამერიკის სამხედრო ფლოტი. მადერომ გაიმარჯვა. მაგრამ მალე „ნავთობის მეფეებს“ იგი თვალში აღარ მოუვიდათ. მადერო იძულებული გახდა ოდნავ მაინც გაეწია ანგარიში მექსიკელი ხალხისა და ადგილობრივი ბურჟუაზიისათვის, რომლებიც უცხოელი კაპიტალის ძალადობით უკმაყოფილონი იყვნენ. 1913 წელს მადეროს წინააღმდეგ მოეწყო აჯანყება გენერალ უერტას მეთაურობით. აჯანყების შტაბი ამერიკის საელჩოს შენობა იყო, საელჩოს სარდაფებში იბეჭდებოდა ფურცლები, მოწოდებები და სხვ. პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა მადეროს წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა, უარის შემთხვევაში იგი ინტერვენციით იმუქრებოდა. მადერო დააპატიმრეს და დახვრიტეს. გენერალი უერტა ინგლისელებმა გადმოიბირეს. ინგლისსა და ამერიკელებს შორის ამ ნიადაგზე მწვავე დიპლომატიური ბრძოლა გაჩაღდა. ინგლისი, რომელიც მაშინ გერმანიასთან საომრად ემზადებოდა, იძულებული გახდა დაეთმო უილსონისათვის. ინგლისმა ხელები დაიბანა. უილსონმა უერტას დაუპირისპირა ლიბერალი კარანსა, მექსიკელების მიერ რამდენიმე ამერიკელი მეზღვაურის დაპატიმრება გამოიყენა როგორც საბაბი და 1914 წლის აპრილში მექსიკის წყლებისაკენ ფლოტი დასძრა. ამერიკის პრესა გაჰყვიროდა, რომ მექსიკამ დაივიწყა ამერიკის „ამაგი“, „მზრუნველობა“. უილსონი აცხადებდა, რომ ამერიკის ღირსებას „უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენეს“. კონგრესი ადასტურებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის „აღმოუჩინოს დახმარება მექსიკის ტანჯულ ხალხს“. 15 ივლისს გენერალი უერტა გერმანიის კრეისერით მექსიკიდან გაიქცა. ამერიკელთა დახმარებით შეძლეს მექსიკელმა კონტრრევოლუციონერებმა მექსიკის გლეხთა მოძრაობის ჩახშობა, რომელსაც ფრანსისკო (პანჩო) ვილია და ემელიანო საპატა მეთაურობდნენ. 1916–17 წლებში მექსიკაში ამერიკის ჯარები იმყოფებოდნენ. 1918 წელს ამერიკის ჯარები სამჯერ შეიჭრნენ მექსიკის ტერიტორიაზე, 1919 წელს — ექვსჯერ.

პირველ მსოფლიო ომამდე სამხრეთ ამერიკის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პერუ, ჩილე, ეკუადორი, ვენესუელა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი და სხვ. ამერიკელთა გავლენა ერთგვარად იზღუდებოდა იმით, რომ ამ ქვეყნებში მტკიცედ იყვნენ ფეხმოკიდებულნი სხვა სახელმწიფოები, მათ შორის ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი. ამერიკის კაპიტალი სასტიკად ებრძოდა მათ, მაგრამ გარკვეულ ანგარიშს უწევდა, რამდენადაც ჯერჯერობით მისი სამხედრო ძლიერება ვერ აღემატებოდა ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოთა ძალებს. რომ საბოლოო ანგარიშში სამხრეთ ამერიკა შეერთებულ შტატებს თავის

მონოპოლიურ სარბიელად სურდა გადაექცია — ეს უდავო იყო. მაგრამ მაინც მომავლის საქმეს წარმოადგენდა. „ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც ჩვენი ჯარისკაცების, ბანკირებისა და ნავთობის მეფეების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, ჩვენ ვზრდით ჩვენს საკუთარ ირლანდიას, საკუთარ ეგვიპტესა და საკუთარ ინდოეთსო", — წერდა ერთ-ერთი ამერიკელი ავტორი. ამ სურვილების განხორციელების საშუალება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო რეალური გახდა.

* * *

1901 წლის სექტემბერში მაკ-კინლის დაღუპვის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი ავტომატურად დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა (1858 — 1919), რომელიც ხელისუფლების სათავეში 1909 წლამდე იდგა. ტ. რუზველტი დაიბადა და აღიზარდა მდიდარი ვაჭრის ოჯახში, დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი და რესპუბლიკური პარტიის აქტიური წევრი გახდა. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო როგორც ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო კრების წევრმა. 1897 წლის აპრილში იგი საზღვაო მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. ამ პოსტზე რუზველტი აქტიურად იღვწოდა შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის გაძლიერებისათვის. ესპანეთ-ამერიკის ომის დაწყებისას იგი გადადგა, შექმნა მოხალისე-კოვბოების შენაერთი (დაახლოებით 500 კაცი) და მონაწილეობა მიიღო სამხედრო ოპერაციებში. პრეზიდენტად არჩევამდე ის ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორია, 1900 წელს ვიცე-პრეზიდენტად ირჩევენ. თეოდორ რუზველტი ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმის ერთგული მსახური იყო. მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა ამერიკის იმპერიალიზმის მისწრაფებებს ემსახურებოდა. იგი პოლიტიკის საბოლოო მიზანს შეერთებული შტატებისათვის მსოფლიო ბატონობის უზრუნველყოფაში ხედავდა. რუზველტის დოქტრინის მიხედვით, შეერთებული შტატების იმპერიალიზმი (დაპყრობითი პოლიტიკა) თვისობრივ განსხვავდება სხვა ხალხთა იმპერიალიზმისაგან იმით, რომ იგი დამორჩილებული ხალხების მიმართ ასრულებს „უფროსი ძმის", „მფარველისა" და „ცივილიზატორის" როლს, სპობს ველურობასა და ბარბაროსობას, „დიდება მისიონერებს, დიდება ჯარისკაცებს, დიდება ვაჭრებს, რომლებმაც ჩვენს სინამდვილეში ესოდენ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ მსოფლიოს ბნელ ადგილებში სინათლე შეიტანეს", — ამბობდა პრეზიდენტი. რუზველტი თავს ადმირალ მეჰენის მოწაფედ თვლიდა და, როგორც ვნახეთ, გეოპოლიტიკას პრაქტიკულად ახორციელებდა კიდეც. თუ ქვეყნის შიგნით წესრიგი

და კლასობრივი ჰარმონია არ იქნა, შეუძლებელია აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება — ასეთი იყო პრეზიდენტის ღრმა რწმენა. ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარების მიზნით, როგორც წესი, იგი „მათრახის პოლიტიკას“ მიმართავდა) და, ამასთან ერთად, დემაგოგიური მოსაზრებებით არც „ტკბილი კვერის“ პოლიტიკას ივიწყებდა.

(ანტიიმპერიალისტური ოპოზიცია, როგორც აღვნიშნეთ, შეერთებულ შტატებში საკმაოდ ძლიერი იყო. ოპოზიცია, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიციებიდან უტევდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და მის კრეატურას ტეოდორ რუზველტის სახით.) „ნაგვის მქექავები“ კვლავ კიცხავდნენ არსებულ სისტემას, ჩიკაგოს ანტიიმპერიალისტური ლიგა თავის რიგებში მილიონამდე კაცს ითვლიდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს ორგანიზაცია კაპიტალიზმის მხოლოდ განკურნებას მოითხოვდა და მთავრობისათვის ნაკლებ საშიში იყო.

განსაკუთრებით საშიში იყო ოპოზიცია, რომელიც სათავეებს მუშათა მოძრაობიდან იღებდა. (XX საუკუნის დამდეგს ამერიკის შრომის ფედერაციაში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა. 1900-01 წლებში შეიქმნა სოციალისტური პარტია; საგაფიცვო მოძრაობამ ფართო და საშიში ხასიათი მიიღო.

ასეთ სიტუაციაში ტეოდორ რუზველტი იძულებული იყო, დიდ გართულებათა თავიდან აცილების მიზნით, განეხორციელებინა ზოგიერთი ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმა, რამდენადმე შეეკვეცა ტრესტების თავგასულობა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მუშებისა და ფერმერების მზარდი უკმაყოფილების შენელების მიზნით რუზველტი ცდილობდა მთავრობა ხალხის ინტერესების დამცველად წარმოედგინა. იგი ხშირად თავს ესხმოდა მონოპოლიური კაპიტალის მაგნატებს, გმობდა მათ უკახოხო ძოქმედებებს. (1901 წლის 3 დეკემბერს კონგრესისადმი თავის პირველივე მიმართვაში პრეზიდენტი ტრესტების მოღვაწეობის კრიტიკოსის როლში მოგვევლინა. კრიტიკა არ ითვალისწინებდა ტრესტების აკრძალვას, ეს მას შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან ამაში იგი თავისუფლების პრინციპების დარღვევას ხედავდა. რუზველტი საჭიროდ თვლიდა შემუშავებულიყო კანონმდებლობა, რომელიც „შეზღუდავდა ტრესტების ზოგიერთ მანკიერებას და დაიცავდა მსხვილ საწარმოთა უპირატესობას“. (1903 წელს ტრესტებზე მეთვალყურეობის დაწესების მიზნით ვაჭრობისა და შრომის სამინისტროსთან სპეციალური ბიუროც კი შეიქმნა. რუზველტის მითითებით ტრესტების წინააღმდეგ რამდენიმე პროცესიც კი მოეწყო. მონოპოლიური კაპიტალის ზოგიერთი მესვეური საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდა. მაგ-

რამ, როგორც წესი, საქმე მხოლოდ მცირედი ჯარიმებით მთავრდებოდა. მონოპოლიების წინააღმდეგ ამ ფორმალური ბრძოლის გარდა რუზველტი ქადაგებდა „კლასობრივ ზავს", საჭიროდ თვლიდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ებრძოდა პოლიტიკურ კორუფციას და სხვ.

ტრესტები მრავლდებოდა და ძლიერდებოდა. რუზველტი თითქოს წინააღმდეგი იყო ტრესტების შემდგომი გამსხვილებისა, რასაც საქონელზე ისედაც მაღალი მონოპოლიური ფასების გაზრდა უნდა გამოეწვია, მაგრამ, სინამდვილეში, თვითონ უწყობდა ხელს ასეთ ვითარებას. მაგალითად, რუზველტის ხელი ერია ტენესის სამთამადნო და მეტალურგიული კომპანიის ფოლადის ტრესტთან შერწყმის საქმეში. სარკინიგზო კომპანიები და „სტანდარტ ოილი", რომლებსაც პრეზიდენტი ყველაზე უფრო ესხმოდა თავს, თანდათან ძლიერდებოდა და მაღალი სარკინიგზო ტარიფებითა და მონოპოლიური ფასებით მოსახლეობას კიდევ უფრო აზარალებდა.

ტ. რუზველტის თაოსნობით მიღებულ იქნა რამდენიმე ანტიტრესტული კანონი. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს 1906 წლის ივნისში მიღებული ე. წ. ჰეპბერნის კანონი, რომელიც სარკინიგზო ტრესტების საქმიანობის ერთგვარ რეგლამენტირებას ითვალისწინებდა. კანონის შესაბამისად შექმნილი სრულიად ამერიკული კომისია სარკინიგზო ტარიფების ნორმირებას ახდენდა და აკონტროლებდა მათ განხორციელებას. მაგრამ რკინიგზის კომპანიებს უფლება დაუტოვეს გაესაჩივრებინათ კომისიის გადაწყვეტილებანი. ასეთ ვითარებაში კომისიის საქმიანობა ნაკლებ ეფექტური იყო და რკინიგზების მაგნატებს რჩებოდათ ძალმომრეობის საშუალება. იმავე 1906 წელს განხორციელდა კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებათა დამამზადებელ მონოპოლიურ გაერთიანებათა საქმიანობას აწესრიგებდა. წარმოების ამ დარგებში ხშირი იყო თაღლითობა და პროდუქციის ფალსიფიკაცია. 1906 წელს მიღებული კანონებით იკრძალებოდა ფალსიფიცირებული, კვების უხარისხო და მავნე პროდუქტების, მედიკამენტების, წამლების, სასმელების დამზადება, გაყიდვა და გადაზიდვა. რუზველტმა, საზოგადოების მოთხოვნის შედეგად, შეზღუდა მიწებისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლური ექსპლუატაცია და სპეკულაცია, რომელმაც კორუფციის პირობებში ფართო ხასიათი მიიღო. ტ. რუზველტმა ჯერ კიდევ გაუყიდავი და აუთვისებელი 150 მილიონი აკრი მიწა ხელშეუხებელ სახელმწიფო ფონდად გამოაცხადა. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნა, აგრეთვე, ალასკაში და ჩრდილოდასავლეთით მდებარე 85 მილიონი აკრი მიწა. რუზველტის თაოს-

ნობით აშშ-ის გეოლოგიურ დეპარტამენტს დაეკისრა აღნიშნული მიწებისა და აქ გამოვლენილი მინერალური სიმდიდრეების მოვლა-პატრონობა. ამასთან ერთად შეიქმნა ეროვნული კომისია, რომელსაც ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვა დაევალა.

მუშათა კლასისადმი ზოგიერთი დათმობის პარალელურად რუზველტი არ ერიდებოდა მის მიმართ მკაცრახის პოლიტიკის განხორციელებას. ბურჟუაზიული წესრიგის უზრუნველყოფას ითვალისწინებდა რუზველტის მიერ სახელმწიფო პოლიციის გაძლიერება და მისი ხელმძღვანელობის ცენტრალიზება. ფერმერებისა და მუშების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით რუზველტმა ყველა შტატის პოლიცია გააერთიანა ერთ მთლიან კორპუსად, რომელიც უშუალოდ მას ემორჩილებოდა. პოლიციისა და არმიის გარდა მშრომელთა წინააღმდეგ იყენებდნენ, აგრეთვე, ბურჟუაზიულ ნაციონალურ გვარდიას (მილიციას), რომელიც შტატებში კომპლექტდებოდა. რუზველტი ხშირად პირადად ერეოდა შრომასა და კაპიტალს შორის წამოჭრილ კონფლიქტებში, თვით კისრულობდა მომრიგებელი მოსამართლის, მედიატორის როლს. ეს ჩარევა უპირატესად კაპიტალის სასარგებლოდ მთავრდებოდა. იგი ოსტატურად იყენებდა აგრეთვე ამერიკის შრომის ფედერაციის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობას, კერძოდ თვით გომპერსს. ასეთი გზით მან არაერთი გაფიცვა ჩაშალა. რაც შეეხება რუზველტის საგარეო პოლიტიკას, როგორც ვიცით, იგი მონოპოლიური კაპიტალის მაგნატთა სასარგებლოდ ხორციელდებოდა. თეოდორ რუზველტი აშკარად აცხადებდა, რომ შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ ნახევარსფეროს „პოლიციელის“ როლი უნდა შეასრულოსო.

1904 წელს თეოდორ რუზველტი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე. როგორც ჩანს, მონოპოლიური კაპიტალი კმაყოფილი იყო პრეზიდენტის პოლიტიკით. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ წინასაარჩევნო კომპანიის დროს იგი მორკანის მხარდაჭერითა და სუბსიდიებით სარგებლობდა. მორგანმა თეოდორ რუზველტის სასარგებლოდ 150 ათასი დოლარი დახარჯა. პრეზიდენტობის მეორე პერიოდში (1904-08 წწ.) რუზველტი წარმატებით ახორციელებდა ჩვეულ პოლიტიკას. 1907-08 წწ. სამრეწველო კრიზისის დროს თეოდორ რუზველტი ტრესტებს ამოუდგა გვერდში და მრავალი დახმარება აღმოუჩინა მათ (გაზარდა მთავრობის ანაბრები კერძო ბანკებში 80 მილიონი დოლარით, გამოუშვა დიდი რაოდენობით სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და სხვ.).

1908 წელს თეოდორ რუზველტის მეორე პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა. არსებული ტრადიციის თანახმად, რომელიც გამორიც-

ხავდა ერთი და იმავე პრეზიდენტის მესამედ არჩევას და აგრეთვე იმის გამო, რომ აშკარად იგრძნობოდა პრეზიდენტის დემაგოგიური პოლიტიკით მასების უკმაყოფილება, რუზველტმა თავისი კანდიდატურა აღარ წამოაყენა. მისი მხარდაჭერით პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე იურისტი უილიამ ჰოვარდ ტაფტი (1857—1930). მან დაამარცხა დემოკრატების კანდიდატი ბრაიანი და სოციალისტების კანდიდატი დებსი.

ტაფტი ამერიკის იმპერიალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი მესვეური იყო. პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე იგი მოვიდა როგორც სამართლისმცოდნე მეცნიერი. მას თავისი ცხოვრების მანძილზე ორჯერ ეკავა სამართლის პროფესორის თანამდებობა (1898—1900, 1913—1921). 1900 წელს ტაფტი დაინიშნა ფილიპინების საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შეერთებული შტატების მიერ ამ არქიპელაგის დამორჩილების საქმეში. 1901-04 წლებში იგი ფილიპინების გუბერნატორია; 1904-08 წლებში აშშ სამხედრო მინისტრის პოსტი უკავია; 1905 წლის ივლისში იგი, როგორც პრეზიდენტ ტეოდორ რუზველტის პირადი წარმომადგენელი, მოლაპარაკებას აწარმოებს იაპონიის პრემიერ-მინისტრ გრაფ ტარო კაცურასთან. მოლაპარაკება დამთავრდა 29 ივლისს „კაცურა-ტაფტის შეთანხმებით“, რომლის თანახმად აშშ თანხმობას აცხადებდა კორეაში იაპონიის პროტექტორატის დამყარებაზე, ხოლო იაპონიამ აღიარა აშშ-ის უფლებები ფილიპინების მიმართ. 1906 წელს ტაფტი კუბაზეა და იქ აჯანყებას აქრობს. 1907 წელს იგი სპეციალური მისიით იგზავნება ფილიპინებზე და იაპონიაში.

1909 წლის დასაწყისიდან ტაფტი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მისი მოღვაწეობა მკაფიოდ გამოკვეთილ ანტიდემოკრატიულ, იმპერიალისტურ-მილიტარისტულ ხასიათს ატარებდა. იგი სასტიკად ებრძოდა მუშათა მოძრაობას, მონოპოლისტური კაპიტალიზმის სასარგებლოდ ახორციელებდა ფართო პროტექციონისტულ პოლიტიკას, წინააღმდეგი იყო ყოველგვარი დემოკრატიული რეფორმებისა; ტაფტმა აშშ-ის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ახალი ძალა შემატა და ცნობილია როგორც „დოლარის დიპლომატიის“ ერთ-ერთი ენერგიული განმახორციელებელი, განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ. 1912 წელს ვუდრო უილსონის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იგი კვლავ სამეცნიერო საქმიანობას უბრუნდება. 1921-30 წწ. ტაფტი აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. აღსანიშნავია, რომ იგი ახალგაზრდა

საბჭოთა სახელმწიფოს მტერთა შორის იმყოფებოდა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სასტიკი წინააღმდეგი იყო.

* * *

მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების პირობებში აშშ-ის მშრომელი მასების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, გაიზარდა მათი ექსპლუატაციის მასშტაბები, დაეცა მათი ცხოვრების ეკონომიურ-მატერიალური დონე; ეროვნულ სიმდიდრეში მუშათა კლასის წილი პერმანენტულად შემცირდა. სტატისტიკის მიხედვით, 1890 წლისათვის აშშ-ის კაპიტალისტები (მოსახლეობის 9%) ფლობდნენ ნაციონალური სიმდიდრის 71%-ს, მშრომელები (მოსახლეობის 52%) — მხოლოდ 5%-ს. 1914 წლის მონაცემებით. ეს 5% უკვე მოსახლეობის (მშრომელი) 65%-ზე მოდის. მოსახლეობის 2% (მსხვილი კაპიტალისტები) ფლობს ეროვნული სიმდიდრის 60%-ს. მართალია, აშშ-ში მუშის ცხოვრების დონე კონტინენტურ ევროპასთან შედარებით უფრო მაღალი იყო, მაგრამ იგი თანდათან სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური პირობების შესახებ ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც კი ალაპარაკდა. მაგალითად, ჯონ ფიტჩი თავის წიგნში — „მრეწველობაში მღელვარების მიზეზების შესახებ“ ადასტურებს მშრომელი მასების მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. მისი თქმით, არაკვალიფიციური მუშების (ისინი აშშ-ის მუშათა კლასის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ) საყოფაცხოვრებო პირობები სიღატაკის დონეზეა. 1900-10 წლების განმავლობაში პროდუქტებზე ფასებმა საშუალოდ 56%-ით მოიმატა, მაშინ როდესაც სამრეწველო მუშათა ნომინალური ხელფასი სულ 21%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და კონვეირიზაციის პირობებში მუშათა შრომის ინტენსიფიკაცია 40%-ით გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის ზრდის ზემოაღნიშნული 21% კვალიფიცირებულ მუშებზე, ანუ მუშათა არისტოკრატიაზე მოდიოდა. 1900-14 წლებში რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ კანონი მხოლოდ ზოგიერთ შტატში განხორციელდა. 1912 წლისათვის იგი მოქმედებდა ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ ერთ ნაწილში. ასევე ყველგან როდი ხორციელდებოდა კანონები ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ. 48 შტატიდან ბავშვთა შესახებ კანონი მხოლოდ 38 შტატში მოქმედებდა, ქალთა შესახებ — 28 შტატში. სავალალო მდგომარეობაში იყო შრომის უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა. ამით აიხსნება ის, რომ 1900-15 წლებში უბედურ შემთხვევათა გამო მუშათა დასახიჩრება და სიკვდილიანობა 120%-

ით გაიზარდა. იმავე პერიოდში მუშათა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45 წლიდან 40 წლამდე შემცირდა. განსაკუთრებით იმატა აზიელი და ევროპელი ემიგრანტებისა და ადგილობრივი ფერადკანიანების (მათ შორის ზანგების) შრომის ექსპლუატაციამ. უპირატესად აღნიშნული კატეგორიის ადამიანები ქმნიდნენ ე. წ. არაკვალიფიციური მუშების მრავალრიცხოვან კორპორაციას.

ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია, თუ რამ განაპირობა XX საუკუნის დასაწყისისათვის აშშ-ის მუშათა მოძრაობის დიდი აღმავლობა. გაფიცვებმა, რომლებმაც XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ფართო ხასიათი მიიღო, ამიერიდან ახალი ძალით იჩინა თავი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჯერად საგაფიცვო მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ არაკვალიფიციური მუშები, რომელთა შორის უპირატესად რევოლუციურ-მემარცხენე განწყობილებამ იჩინა თავი, ნაცვლად ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმისა, რაც უმთავრესად კვალიფიციურ მუშათა მოძრაობას ახასიათებდა. არაკვალიფიციურ მუშათა პროტესტს ემატება ქალების, ბავშვებისა და მშრომელი ზანგების მილიონობით ხმა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1898—1905 წლებში შეერთებულ შტატებში ადგილი ჰქონდა მუშათა 1200 გაფიცვასა და სხვა ხასიათის გამოსვლებს. მარტო ტეოდორ რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში გაფიცულთა რიცხვმა ექვს მილიონს მიაღწია, რაც იმდროინდელი მასშტაბებით სარეკორდო რიცხვია. გრანდიოზულ გაფიცვას ჰქონდა ადგილი 1902 წელს პენსილვანიის მაღაროელთა შორის. მათთან ერთად გაიფიცნენ ვირჯინიის, ალაბამისა და მიჩიგანის სამთამადნო მუშები. გაფიცვები მიმართული იყო მორგანის ტრესტისა და ფილადელფია-რიდლინგის სარკინიგზო კომპანიის წინააღმდეგ. პენსილვანიაში სამუშაო დღე 10 საათით განისაზღვრებოდა, ხელფასი 30%-ით ნაკლები იყო, ვიდრე სხვაგან, ფართოდ იყენებდნენ ბავშვებისა და ქალების შრომას, რომლებსაც ძირითადი ხელფასის მხოლოდ 40%-ს აძლევდნენ; არ იცავდნენ შრომის უსაფრთხოების ელემენტარულ წესებსაც კი. გაფიცვა 1904 წლამდე გაგრძელდა. მასში დაახლოებით 150 ათასი მუშა მონაწილეობდა.

პენსილვანიის მუშებმა დიდი ბრძოლის შემდეგ მოახერხეს პროფესიული კავშირის შექმნა. 1902 წელს მათ მოითხოვეს ხელფასის გაზრდა 20%-ით, 8-საათიანი სამუშაო დღისა და მტკიცე სახელფასო ტარიფის დაწესება. ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული მოძრაობის ხელმძღვანელები, მათ შორის, სემიუელ გომპერსი და ჯონ მიტჩელი, ყოველნაირად ცდილობდნენ გაფიცვის იზოლირებას და ჩაშლას. მალე საქმეში ჩაერია თვით პრეზიდენტი რუზველტი.

მან მიუკერძოებელი არბიტრის როლი გაითამაშა, ამასთან ერთად, პენსილვანიაში რეგულარული არმიის 9 ათასიანი შენაერთი გაგზავნა. გაფიცვა ლიკვიდირებულ იქნა. მიუხედავად ამისა, მშრომელებმა გარკვეულ წარმატებას მაინც მიაღწიეს. კომპანიებმა ხელფასები 10%-ით გაზარდეს, სამუშაო დრო 9 საათამდე დაიყვანეს.

1903-04 წლებში გაიფიცნენ არიზონისა და კოლორადოს საძთამადნო მუშები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კოლორადოს ფერადი ლითონის საბადოების მუშები. აქ ადგილი ჰქონდა მწვავე შეტაკებებს პოლიციასა და ჯართან. მემაღაროეთა ნაციონალური კავშირის თავმჯდომარის ჯონ მიტჩელის გამთიშველი საქმიანობის შედეგად გაფიცვები წარუმატებლად დამთავრდა.

1905 წლიდან გაფიცვებმა ახალი ძალით იჩინა თავი. 1905-14 წლებში საგაფიცვო მოძრაობაში ჩაბმულნი იყვნენ აშშ-ის წარმოების ყველა დარგის მშრომელები. 1905 წლიდან საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობამ აშკარად განიცადა რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გავლენა. აშშ-ის მუშათა კლასი და პროგრესული ძალები ფართოდ გამოეხმაურნენ რუსეთის ამბებს. სასტიკად იქნა გაკიცხული მეფის მთავრობის სისხლიანი საქმიანობა. მთელ რიგ ქალაქებში — ნიუ-იორკში, ჩიკაგოში თუ სხვაგან ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები იმართებოდა, აგროვებდნენ თანხებს ცარიზმის მსხვერპლთა დასახმარებლად. 1905 წელს ჩიკაგოში საპირველმაისოდ გაიმართა მტვირთავთა მასობრივი გაფიცვა, ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებას გაფიცულებსა და შეიარაღებულ პოლიციელებს შორის. სროლის შედეგად მოკლულ იქნა 21 კაცი, დაიჭრა — 400. აშშ-ში ფართო კამპანია გაჩაღდა მაქსიმ გორკის განთავისუფლებისათვის; ნიუ-იორკის მწერალთა კლუბის პრეზიდიუმმა ნიკოლოზ II-ეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მაქსიმ გორკის განთავისუფლებას ითხოვდნენ. საპროტესტო მოძრაობას ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ სახელმწიფოებში, მათ 'შორის, არგენტინასა და ურუგვაიში. „სისხლიანი კვირის“ წლისთავზე, 1906 წლის იანვარში, ამერიკის მშრომელებმა კვლავ დიდი ენთუზიაზმით გამოხატეს თავიანთი თანაგრძნობა რუსეთის პროლეტარიატისადმი. მთელ რიგ ქალაქებში (ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ვაშინგტონი და სხვ.) იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები. სამაგიეროდ, აშშ-ის რეაქციულ-ბურჟუაზიული წრეები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ მეფის ბოროტმოქმედებებს: „საიმპერატორო მთავრობას სხვანაირი მოქმედება არ შეეძლოო“, — აღნიშნავდნენ ისინი. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რუსეთში მაკკორმიკი მეფის მოქმედებას 9 იანვრის დღეებში ამართლებდა. 9 იანვრის დემონსტ-

რაცია მშვიდობიანი მანიფესტაცია არ იყო, მათ შორის ბევრი იყო „ბუნტისა“ და „უწესრიგობის მთესველი“, — ამბობდა იგი.

1908 წელს გაიფიცნენ დასავლეთის ტყისმჭრელები, 1910-11 წლებში — პენსილვანიის შტატის მელითონეები, 1912 წელს — მასაჩუსეტსის შტატის ქ. ლორენსის საფეიქრო წარმოების მშრომელები, 1913-14 წლებში — კოლორადოს მემაღაროელები და კალიფორნიის სამთამადნო მუშები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის საგაფიცვო მოძრაობას მუშათა კლასისათვის შედარებით ნაკლები წარმატებები მოჰქონდა, ვიდრე იმავე მოძრაობას ევროპის ქვეყნების მუშებისათვის. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს აშშ-ის კაპიტალისტების შედარებითი სიძლიერე; მონოპოლიების არსებობის პირობებში კაპიტალისტებს მეტი საშუალება ეძლეოდათ განეხორციელებინათ ძალთა კონსოლიდაცია მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შექმნეს მძლავრი კორპორაციები, უკიდურესი აგრესიული გაერთიანებები, ანუ ადგილი ჰქონდა აშშ-ის კაპიტალისტთა კლასობრივ კონსოლიდაციას პროლეტარიატის წინააღმდეგ. ყველა ქარხანა და საამქრო ბასტიონად, იარაღის არსენალად იყო გადაქცეული. ისინი ფართოდ ნერგავდნენ მუშათა შორის ჯაშუშურ ქსელს, მათ ემსახურებოდა შტრაიკბრეხერების, კერძო დეტექტივების, მოსყიდულ მუშა-არისტოკრატების მთელი ამალა. ამერიკელი კაპიტალისტების სამსახურში იყო ზემძლავრი სახელმწიფო სისტემა, არმია, პოლიცია, სასამართლო. გაფიცვების დროს მუშათა დაღვრილი სისხლი ამის საუკეთესო დადასტურებაა... დასავლეთ ვირჯინიაში 1902 წელს შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების დროს დაიღუპა რამდენიმე ათეული მუშა. როგორც აღვნიშნეთ, მსხვერპლით დამთავრდა ჩიკაგოს მუშათა გამოსვლები 1905 წელს. 1914 წელს ლუდლოუში (კოლორადო) მუშათა გამოსვლების დროს როკფელერის აგენტების ხელით დაიღუპა 14 კაცი, მათ შორის, რამდენიმე ბავშვი და ქალი. ცოტა უფრო გვიან, 1919 წელს ფოლადის ჩამომსხმელ მუშათა გაფიცვების დროს დაიღუპა 23 კაცი, ასეულობით იყო დაჭრილი. ამერიკელი კაპიტალისტები სასტიკად სდევნიდნენ აქტივისტ მუშებს.

საყოველთაოდ ინერგებოდა „შავი სიების“ მეთოდი, ხდებოდა პროფკავშირის წევრ მუშათა მასობრივი დათხოვნა. მთავრობის დახმარებით განხორციელდა მუშათა მოძრაობის ლიდერთა დევნა, დაპატიმრება და სიკვდილით დასჯაც კი. აშშ-ის კაპიტალისტები ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის კონსოლიდაციის საქმეს. მფარველობდნენ ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ პროფესიულ გაერთიანებებს, სასტიკად სდევნიდნენ არაკვალიფიციურ მუშათა მიერ საკუთარი კავში-

რების შექმნას. ამ საქმეში მათ მხარში უდგნენ ოპორტუნისტულ-რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერები სემიუელ გომპერსის, ჯონ მიტჩელისა და სხვათა სახით. გომპერსიზმი მუშათა მოძრაობის იზოლირებისა და ლიკვიდაციის საუკეთესო საშუალებად იქცა. ანტიმუშური პოლიტიკის განხორციელების საქმეში აშშ-ის კაპიტალიზმი ფართოდ ეყრდნობოდა მუშათა არისტოკრატიის მოსყიდვისა და მფარველობის სისტემას. მუშათა კლასის გათიშვისა და მისი ბრძოლისუნარიანობის აღკვეთის საშუალებად აშშ-ის კაპიტალიზმი ოსტატურად იყენებდა მუშათა კლასში ნაციონალური შუღლის გაღვივებას. კაპიტალისტები ერთმანეთს უპირისპირებდნენ ამერიკული წარმოშობის მუშებსა და ემიგრანტ მუშებს, თეთრკანიან და ფერადკანიან მუშებს. მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი მიზეზი ის იყო, რომ მუშათა კლასს არ გააჩნდა ბრძოლის ერთიანი პროგრამა. მისი მოძრაობა ატარებდა სტიქიურ, ლოკალურ ხასიათს. მუშათა შორის გავრცელებული იყო სექტანტობა, სხვა დემოკრატიული ძალების მოძრაობისადმი უნდობლობა. საჭირო იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ განწყობილ სხვა სოციალურ ძალებთან თანამშრომლობა, კავშირი, რასაც აშშ-ში სინამდვილეში ადგილი თითქმის არ ჰქონდა. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ 1912 წელი. ამ წელს მონოპოლიური კაპიტალის წინააღმდეგ ფართო მოძრაობა გაიშალა. მოძრაობაში ჩაებნენ დასავლეთის წვრილი (ნაწილობრივ საშუალო) ფერმერობა, ქალაქის წვრილბურჟუაზიული ელემენტები (წვრილი ვაჭრები, წვრილი მრეწველები, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები და სხვ.), ამას დაემატა ზანგი მოსახლეობის უკმაყოფილება. ამასთან ერთად ადგილი ჰქონდა მუშათა აქტიურ გამოსვლებს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მუშათა კლასი ახლაც იზოლირებულად მოქმედებდა, მაშინ როდესაც სხვა ანტიიმპერიალისტურ ძალებთან თანამშრომლობა მუშათა მოძრაობას, ცხადია, უფრო მეტ ძალას შემატებდა და შედეგებიც უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

აშშ კაპიტალიზმის პოზიციების განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ პრეზიდენტები თეოდორ რუზველტი, უილიამ ტაფტი, ვუდრო უილსონი, რომელთა დემაგოგიურ-რეაქციული პოლიტიკა დიდად უწყობდა ხელს მუშათა მოძრაობის გათიშვისა და ჩახშობის საქმეს.

* * *

ამერიკის შრომის ფედერაციის (American Federation of Labor—AFL) კაპიტულანტურმა პოლიტიკამ მუშათა მოძრაობას დიდი

ზიანი მიაყენა. შრომასა და კაპიტალს შორის დიდი კონფლიქტების დროს აშფ და მისი ოპორტუნისტულ-რეფორმისტული ხელმძღვანელობა, სემიუელ გომპერსის მეთაურობით, როგორც წესი, კაპიტალის მხარეზე იყო. პროფესიული ბიუროკრატია მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების მძლავრ მუხრუჭად იქცა. ბურჟუაზიის მსახურად ქცეული აშფ ყოველნაირად ცდილობდა გაეთიშა მუშათა კლასი, ხელოვნურად გაეხანგრძლივებინა მათი იდეური და ორგანიზაციული მოუმწიფებლობა. როგორც ვიცით, ამერიკის შრომის ფედერაციის (აშფ-ის) ჩამოყალიბების პირველ წლებში გომპერსი და აშფ-ის სხვა ხელმძღვანელები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი და სოციალიზმის პროპაგანდასაც კი ეწეოდნენ. მაგრამ ამჯერად ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა. აშფ-ის კონსერვატიული პროფბიუროკრატია კაპიტალიზმის აპოლოგეტების როლში გამოვიდა; ანტისოციალიზმი აშფ-ის მოღვაწეობის მთავარ დევიზად იქცა. ამიერიდან გომპერსი მრეწველთა და მუშათა ინტერესების ერთიანობის იდეის პროპაგანდას ეწევა. გომპერსს მიაჩნდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში საესებით შესაძლებელი იყო მუშათა ინტერესების ჰარმონიული დაცვა. ხოლო ინტერესთა განსაზღვრის დროს იგი მხოლოდ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით იფარგლებოდა. მუშათა კლასი მხოლოდ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა იღვწოდეს, პოლიტიკასთან მას საერთო არაფერი აქვს. ასეთი იყო გომპერსისეული „წმინდა ტრედიუნიონიზმის" არსი. მაგრამ პრაქტიკულად იგი უპირისპირდებოდა და ყოველმხრივ ცდილობდა ჩაეშალა ისეთი გაფიცვებიც კი, რომლებიც მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნებით იფარგლებოდნენ. აშფ-ის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი იყო პროფესიული კავშირების მასობრიობისა. იგი თავის საქმიანობაში უპირატესად მუშათა არისტოკრატიას ემყარებოდა. 1914 წლისათვის აშფ-ის რიგებში გაერთიანებული იყო ორი მილიონი მუშა, ანუ აშშ-ის მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ 8%. მათ რიგებში თითქმის ვერ ნახავდით არაკვალიფიციურ, ემიგრანტ და ფერადკანიან მუშებს. აშფ-ის ხელმძღვანელობა პროფკავშირების ორგანიზებისას ემყარებოდა საამქრო პრინციპს. ორგანიზაციებს ქმნიდნენ ვიწრო სპეციალობების მიხედვით და არაერთი წარმოების მუშაკთა საერთო გაერთიანების საფუძველზე. მაგალითად, რკინიგზელთა საერთო ორგანიზაციის ნაცვლად ისინი ქმნიდნენ მემანქანეების, კონდუქტორების, ცეცხლფარეშების, მზეთავების, ინჟინრებისა და სხვათა ორგანიზაციებს. იგივე მეორდებოდა წარმოების სხვა დარგების მიმართ (საამშენებლო, მეტალურგიული, პოლიგრაფიული, კვების, მზა ტანსაცმლის წარმოების და სხვ.). ასეთი პრინციპის

თანახმად, ერთი და იმავე წარმოების მუშები ვიწრო სპეციალობის მიხედვით ნაწილდებოდნენ რამდენიმე პროფესიულ კავშირად, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ; ასეთი სისტემა თიშავდა მუშათა ძალებს, აძნელებდა საგაფიცვო ბრძოლას. როცა ერთ პროფესიულ კავშირში გაერთიანებული მუშები იფიცებოდნენ, დანარჩენები მუშაობას განაგრძობდნენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შტრაიკბრეხერობას აშფ-ის ხელმძღვანელობამ სისტემის ხასიათი მისცა.

აშშ-ის მუშათა მოძრაობის საჭირო გზით წარმართვა ვერც ამერიკის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ შეძლო. პარტიის ლიდერი აშშ-ის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე დანიელ დე ლეონი თანმიმდევრული მარქსიზმისაგან საკმაოდ შორს იყო. იგი ვერ განთავისუფლდა სექტანტობისაგან და ლასალიანელობისა და ანარქო-სინდიკალიზმის დიდ გავლენას განიცდიდა. ამიტომაა, რომ დე ლეონს უ. ფოსტერმა სავსებით გადაუჭარბებლად „ამერიკული სინდიკალიზმის ინტელექტუალური მამა“ უწოდა. დე ლეონი აქტიურად იბრძოდა მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ, ცდილობდა პროლეტარიატი კლასობრივი ბრძოლის პრინციპზე აღეზარდა. იგი ზრდიდა მუშათა კლასს იმის შეგნებით, რომ მისი და ბურჟუაზიის საქმე ერთი და იგივე არაა, რომ მუშათა კლასის ბრძოლის საბოლოო მიზანია ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა და სოციალიზმის დამყარება. მაგრამ როგორ, რა გზით? ამაზე პასუხის გაცემა დე ლეონმა ვერ შეძლო. იგი „ამერიკის განვითარების განსაკუთრებულობის“ მხურვალე დამცველი იყო და, აქედან გამომდინარე, უარყოფდა პროლეტარიატის ბრძოლის რევოლუციურ გზას. მისი აზრით, აშშ-ში არაა გამორიცხული სოციალიზმის მშვიდობიანი, „კანონიერი“ გზით განხორციელების შესაძლებლობა. დე ლეონი ვერ ერკვეოდა პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარული სახელმწიფოს რაობაში. მას სჯეროდა, რომ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების მოპოვებისთანავე შეიქმნებოდა „ინდუსტრიული სახელმწიფო“, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდნენ პროფესიული კავშირები. ამ შემთხვევაში დე ლეონი ანარქო-სინდიკალიზმის გავლენას განიცდიდა.

ლასალიანელებისა და რუსი მენშევიკების მსგავსად, დე ლეონი გლეხობას რეაქციულ ძალად თვლიდა და, აქედან გამომდინარე, მუშებისა და ფერმერების მოძრაობას ერთმანეთისაგან თიშავდა.

სოციალისტურმა მუშათა პარტიამ ვერ შეძლო აშშ-ის მოძრაობის ავანგარდში ჩადგომა. მან დაკარგა ავტორიტეტი მშრომელთა შორის და მალე კარჩაკეტილი სექტის ხასიათი მიიღო. თუ 1908 წელს

პარტიაში 14 ათასი წევრი ირიცხებოდა, 1914 წლისათვის მხოლოდ 3 ათასი კაცილა დარჩა.

მშრომელთა შორის შედარებით უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა სოციალისტური პარტია, რომელიც 1900-01 წლებში შეიქმნა. პარტიის ბირთვს ქმნიდა ჯერ კიდევ 1898 წელს იუჯინ (ევგენი) დებსისა და ვიქტორ ბერგერის მიერ შექმნილი სოციალ-დემოკრატიული პარტია და 1889 წელს სოციალისტურ მუშათა პარტიიდან გამოყოფილი ჯგუფი, რომელსაც მორის ჰილკვიტი ხელმძღვანელობდა. პარტიის ავტორიტეტი იზრდებოდა. 1912 წლისათვის მის შემადგენლობაში 110 ათასი წევრი იყო. პარტია უშვებდა ხუთ ყოველდღიურ გაზეთს ინგლისურ ენაზე, რვა გაზეთს სხვადასხვა ენაზე. 300 ყოველკვირეულ და 12 ყოველთვიურ ჟურნალს. პარტია დამოუკიდებლად გამოდიოდა არჩევნებში. 1910 წელს კონგრესის წევრად არჩეულ იქნა ვიქტორ ბერგერი, 1915 წელს — მაიერ ლონდონი. 1912 წელს პრეზიდენტის არჩევნების დროს პარტიის კანდიდატმა იუჯინ დებსმა 897 ათასი ხმა მიიღო.

აშშ-ის სოციალისტური პარტია არ წარმოადგენდა მონოლითურ, თანმიმდევრულად მებრძოლ პარტიას. ჩამოყალიბებისთანავე პარტიაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი; რევოლუციურ-მემარცხენე ჯგუფს სათავეში ედგა დებსი, ოპორტუნისტულ-რეფორმისტულს — ჰილკვიტი და ბერგერი. შესანიშნავი ორატორი და ორგანიზატორი დებსი აქტიურად ილაშქრებდა აშფ-ის და გომპერსის წინააღმდეგ; გაბედულად ესხმოდა თავს აშშ-ის რეაქციულ მმართველ წრეებს, ცდილობდა განეხორციელებინა მუშათა და ფერმერთა მებრძოლი ძალების კონსოლიდაცია. როგორც ცალკეულად პარტია, ასევე მისი მემარცხენე ფრთა სოციალურად მეტად ჭრელ კონგლომერატს აერთიანებდა (მასში გაერთიანებულნი იყვნენ მუშები, წვრილი ფერმერები, იმიგრანტი მუშები, მუშათა არისტოკრატიისა და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლები და სხვ.). იგი არც შეხედულებათა ერთიანობით ხასიათდებოდა. აქ იყვნენ მარქსისტები, ანარქო-სინდიკალისტები და სხვ.

პარტიაში ამინდს ძირითადად ოპორტუნისტულ-რეფორმისტული ჯგუფი ქმნიდა, რომელიც საბოლოოდ უარს ამბობდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე და მუშათა შორის საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვების გზით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის ილუზიებს ნერგავდა. ბოლოს და ბოლოს პარტიის მთელი ოპერატიული საქმიანობა საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობით შემოიფარგლა. სოციალიზმის მშვიდობიანი გზით განხორციელების პრინციპს დებსიც იზიარებდა: მე ძალმომრეობის პრინცი-

პული მოწინააღმდეგე და ბრძოლის კანონიერი მეთოდების მომხრე ვარ, — ამბობდა იგი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აშშ-ის მუშათა მოძრაობაში განმტკიცებულ ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ ტენდენციებთან ერთად ინერგება რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობის გარკვეული შეგნება. 1905 წელს „სამთამადნო მუშების დასავლეთ ფედერაციის“ ხელმძღვანელმა, სოციალისტური პარტიის წევრმა უილიამ (ბილ) ჰეივუდმა დე ლეონისა და დებსის მხარდაჭერით შექმნა ახალი პროფესიული ორგანიზაცია — „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები“. ჰეივუდი (1869—1928) აშშ-ის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო. იგი დაიბადა მუშის ოჯახში (იუტას შტატში), 9 წლიდან შეუდგა შრომით საქმიანობას მაღაროებში. ჰეივუდი 1893 წლიდან „სამთამადნო მუშების დასავლეთ ფედერაციის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო; 1900 წელს აირჩიეს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად; 1901-07 წლებში იგი ფედერაციის მდივნის მოვალეობას ასრულებდა, 1902 წელს სოციალისტური პარტიის წევრი გახდა. ჰეივუდი მიესალმა რუსეთის 1905-07 წლებისა და 1917 წლის ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციებს. 1920 წელს ჰეივუდი აშშ-ის კომპარტიის წევრია. აშშ-ის სასამართლომ მას 20 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ჰეივუდი საბჭოთა კავშირში გამოიქცა, სადაც 1928 წელს გარდაიცვალა კიდეც.

ჰეივუდის მიერ შექმნილი ახალი პროფესიული კავშირი აშფ-ის საწინააღმდეგო ორგანიზაციად იქცა. იგი შეიქმნა არა საამქრო, არამედ საწარმოო პრინციპზე. კავშირში უპირატესად გაერთიანდნენ არაკვალიფიციური მუშები (მშენებლები, ტყის მჩეხავები, მიწის მთხრელები და სხვ.). ჰეივუდის კავშირმა მუშათა მოძრაობის საფუძვლად კლასობრივი ბრძოლის პრინციპი, ხოლო საბოლოო მიზნად სოციალიზმი აღიარა. ახალმა ორგანიზაციამ ფართო საგაფიცვო მოძრაობა გააჩაღა, მის მიერ მოწყობილ გაფიცვათა შორის ბევრი წარმატებით დამთავრდა .მაგალითად, 1907 წელს გოლდფილდის გაფიცვის შედეგად მშრომელებმა მიაღწიეს 8-საათიან სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას. 1912 წელს „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების“ ხელმძღვანელობით განხორციელდა ოცდაათამდე გაფიცვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლორენსის ფეიქართა გაფიცვას (მასაჩუსეტსის შტატი).

ამერიკის ბურჟუაზიამ აშფ-ის მხარდაჭერით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ახალ ორგანიზაციას. მაგალითად, 1907 წელს დაქირავებულმა პროვოკატორებმა დაანგრიეს მაღაროები და მოკლეს აიდაჰოს შტატის გუბერნატორი. მკვლელობასა და ნგრევაში ბრალი დასდეს

ჰეივუდს და მის ორ კოლეგას — მაიერსა და პეტიბონს. მათ სიკვდილით დასჯა ელოდათ. დებსმა და დე ლეონმა მათ დასაცავად შეძლეს მილიონობით მშრომელის მობილიზება. 1908 წელს სასამართლომ ჰეივუდსა და მის მეგობრებს ბრალდება მოხსნა. 1910-11 წლებში მშრომელები აქტიურად იცავდნენ ძმებს მაკ-ნამარებს, რომელთაც ბრალად ედებოდათ გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" შესობის აფეთქება. 1912 წელს ლორენსის საყოველთაო გაფიცვის დროს პროვოკატორებმა ქალაქში 28 ნაღმი ჩააწყვეს. ნაღმები „აღმოაჩინეს" და მათი ჩაწყობა ხელისუფლებამ „მსოფლიოს ინდუსტრიულ მუშებს" გადააბრალა. მაგრამ გაფიცულებმა შეძლეს ამ პროვოკაციის მხილება.

ჰეივუდმა ვერ შეძლო „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების" ორგანიზაციისათვის თანმიმდევრული სოციალისტური და რევოლუციური ხასიათი მიეცა. ორგანიზაციაში ანარქო-სინდიკალისტებმა იმარჯვეს, რომლებმაც ორგანიზაციის მთავარ ამოცანად კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ეკონომიური ბრძოლა აღიარეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ჩამოშორდნენ დე ლეონი და დებსი. ჰეივუდი 1912 წელს მემარცხენეობის გამო გარიცხეს სოციალისტური პარტიის რიგებიდან. ამიერიდან „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების" ორგანიზაცია ანარქო-სინდიკალისტების ხელში აღმოჩნდა. მსოფლიო ომის დროს ორგანიზაციის მრავალი აქტიური წევრი ომის საწინააღმდეგო პოზიციების გამო რეპრესირებულ იქნა და თვით ორგანიზაცია ფაქტიურად დაიშალა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამ ორგანიზაციის ყველაზე მოწინავე ელემენტები ჰეივუდთან ერთად კომპარტიის რიგებში შევიდნენ (1919). 1912 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში წამოყენებულ იქნა ოთხი კანდიდატი. რესპუბლიკური პარტიიდან კენჭისყრაში მონაწილეობდნენ ტაფტი და რუზველტი, დემოკრატიული პარტიიდან ვუდრო უილსონი, სოციალისტებიდან — დებსი. ორი კანდიდატი ერთი პარტიიდან — ეს რესპუბლიკური პარტიის შიგნით არსებული განხეთქილების შედეგი იყო, რაც, თავის მხრივ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებამ განაპირობა. 1910 წლისათვის აშშ-ის კაპიტალიზმის განვითარების გიგანტური ტემპი მნიშვნელოვნად შენელდა. 1913 წელს მისი წილი მსოფლიო წარმოებაში იყო სულ რაღაც 0,5%-ით მეტი 1906-10 წლებთან შედარებით. აშკარა იყო ის, რომ აშშ-ის კაპიტალიზმის განვითარებამ მიაღწია უკიდურეს დონეს, რომელსაც უკვე გარდაუვალი დაცემა უნდა მოჰყოლოდა. ამასთან ერთად 1910-13 წლებში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. აღინიშნა მუშათა მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. 1912 წელს ლორენსის საყოველთაო გა-

ფიცვა მხოლოდ არმიისა და პოლიციის ჩარევის შედეგად ჩაახშეს. ხელისუფლებამ დააპატიმრა გაფიცვის სამასი თავკაცი. როგორც ვიცით, 1913 წლის სექტემბერში, ლუდლოუს (კოლორადო) გრანდიოზული გაფიცვა ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა. კოლორადოს მუშები მთელი წლის განმავლობაში იცავდნენ თავს. ამ მოვლენას დიდი მასშტაბების გამო თანამედროვეებმა „მცირე სამოქალაქო ომი“ უწოდეს.

რესპუბლიკელთა შორის ორი დაჯგუფება შეიქმნა. ერთი მხრივ იყვნენ კონსერვატორები ტაფტის მეთაურობით, მეორე მხრივ კი — ე. წ. „პროგრესისტები“ რუზველტის ხელმძღვანელობით. ორივე ჯგუფს ერთი ამოცანა ჰქონდა: უზრუნველეყოთ კაპიტალისტური სისტემის სტაბილიზაცია, ბოლო მოეღოთ მუშათა მოძრაობისათვის. პირველი ჯგუფი მათრახის, ანუ ძალის პოზიციას ანიჭებდა უპირატესობას. რუზველტი და „პროგრესისტები“ სოციალური დემაგოგიის პოლიტიკას ახორციელებდნენ და, ვ. ი. ლენინის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ბურჟუაზიული რეფორმების გზით სურდათ კაპიტალიზმის გადარჩენა. რუზველტის დემაგოგიამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ავლაგმოთ „სიმდიდრის მტაცებლები“, „არაკეთილსინდისიერი ტრესტები“ თუ ცალკეული კაპიტალისტები, გამოვცეთ ყველაზე უფრო კარგი საქარხნო-საფაბრიკო კანონმდებლობა, დაკანონეთ სახელმწიფო კონტროლი მონოპოლიურ კაპიტალზე, ვიბრძოლოთ სამართლიანი ხელფასისათვის, დავამყაროთ „სოციალური და სამრეწველო სამართლიანობა“, შემოვიღოთ რვასაათიანი სამუშაო დღე, მივცეთ ხმის უფლება ქალებს, ავკრძალოთ ბავშვთა შრომა. — ასეთი იყო რუზველტის წინასაარჩევნო პროგრამა. მე ზოგიერთ რამეში სოციალისტებსაც კი ვეთანხმებიო, — აცხადებდა რუზველტი. ამასთან ერთად მას არ ავიწყდებოდა არმიისა და ფლოტის შემდგომი გაძლიერებისა და მაღალი საბაჟო ტარიფების შენარჩუნების აუცილებლობა. ტაფტი რუზველტს „სოციალისტს“ უწოდებდა. რუზველტისათვის კი ტაფტი იყო „კონსერვატორი“ და „რეაქციონერი“.

დემოკრატიული პარტიის კანდიდატი პროფესორი ვუდრო უილსონიც დემოკრატად და პროგრესისტად გამოაცხადეს. იგი შემოსეს „ახალი ხელისუფლების“ შემოქმედის შარავანდედით.

არჩევნებში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ვუდრო უილსონმა (1856—1924). ახალი პრეზიდენტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა დააახასიათა როგორც ამერიკელ მილიარდერთა და კაპიტალისტ-ზვიგენთა მეთაური, ისტორიის, ეკონომიკისა და სამართალის პროფესორი იყო. 1902 წლიდან მას პრინსტონის უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა; 1910-12 წლებში უილსონი ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნა-

ტორია. პრეზიდენტობის პერიოდში (1913-21) მან თავი გამოიჩინა როგორც ფინანსური ოლიგარქიის ერთგულმა მსახურმა, როგორც ამერიკის იმპერიალიზმის, ექსპანსიონიზმისა და მილიტარიზმის ბურჯმა. პრეზიდენტად ყოფნის დროს იგი სასტიკად ებრძოდა გაფიცულებს, ახორციელებდა სასტიკ რეპრესიებს სოციალისტური მოძრაობის ლიდერების მიმართ (დებსი და სხვ.). მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „მსოფლიო ინდუსტრიული მუშების" ორგანიზაციის განადგურების საქმეში. ვუდრო უილსონი ჯერ კიდევ 1902 წელს ამერიკის მსოფლიო ბატონობის ლოზუნგს იცავდა. პრეზიდენტობის დროს, როგორც აღვნიშნეთ, მან ფართო აგრესიული პოლიტიკა განახორციელა. ძალის, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „ღიღი კეტის" პოლიტიკასთან ერთად უილსონი, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მიზნით, ოსტატურად იყენებდა აგრეთვე სოციალური დემაგოგიისა და ბურჟუაზიული რეფორმიზმის მეთოდებს.

1914 წელს კონგრესმა მიიღო კლეიტონის ანტიტრესტული კანონი, რომელიც შერმანის კანონის ახალ დადასტურებას ითვალისწინებდა. ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ეს კანონი ოდნავადაც ვერ აფერხებდა ტრესტების ყოვლისშემძლეობას. იგი მხოლოდ მათ საქმიანობაზე მთავრობისა და საზოგადოებრიობის მეტად შეზღუდულ კონტროლს ითვალისწინებდა. კლეიტონის კანონში ხაზგასმული იყო ის, რომ პროფკავშირებსა და ფერმერთა ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვაც კი.

უილსონის მთავრობა მტკიცედ ახორციელებდა პროტექციონიზმის პოლიტიკას, მტკიცედ იცავდა მაღალი საბაჟო ტარიფების პრინციპს. დემაგოგიური მოსაზრებით ტარიფების ოდნავი შემცირება (10%-ით), ცხადია, საქმის ვითარებას არ ცვლიდა. უილსონმა აშშ-ის კონსტიტუციაში შეიტანა ე. წ. 16 შესწორება, რომელიც შემოსავალზე პროგრესულ გადასახადებს ითვალისწინებდა. განისაზღვრა საშემოსავლო გადასახადის მაქსიმუმი—500 ათასი დოლარის ოდენობით. ასეთი ვითარება მსხვილი კაპიტალის მაგნატებისათვის სავსებით ხელსაყრელი იყო. ცვლილება განიცადა სენატორთა არჩევის წესმა. ამიერიდან მათ პირდაპირი სახალხო ხმის მიცემით ირჩევდნენ (ადრე სენატორებს ირჩევდნენ ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოები.)

უილსონმა განახორციელა ზოგიერთი საბანკო რეფორმა (ფედერალური სარეზერვო საბანკო სისტემის შექმნა), რაც მსხვილი კაპიტალის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ფინანსური პოლიტიკის ცენტრალიზების მიზნით შეიქმნა ე. წ. „ფედერალური სათათბირო

კომიტეტი“, სადაც ძირითადად ფინანსური კაპიტალის მსხვილი მაგნატები შედიოდნენ.

ჩატარებული რეფორმებისა და მუშათა მოძრაობის ჩახშობის შედეგად ვუდრო უილსონმა შეძლო აშშ-ის კაპიტალიზმის გარკვეული სტაბილიზაცია. მანვე შეუწყო ხელი ფინანსური ოლიგარქიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომ კონსოლიდაციას.

ამასთან ერთად ვუდრო უილსონი აქტიურად ახორციელებდა აშშ-ის მსოფლიო ბატონობის პოლიტიკას. ომის წინ აშშ ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით უფრო ნაკლებ კოლონიებს ფლობდა (ტერიტორია — 300 ათასი კმ², მოსახლეობა — 9,7 მილიონი). ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მსოფლიო სახელმწიფოს მდგომარეობის მოპოვება — აი, რა სურდა ვუდრო უილსონს, როცა მან ლოზუნგით „გადავარჩინოთ მსოფლიო დემოკრატიისათვის“ 1917 წელს გერმანიას ომი გამოუცხადა.

ავსტრია-უნგრეთი 1899—1914 წლებში

ავსტრია-უნგრეთის ეკონომიური განვითარება

XX საუკუნის დასაწყისისათვის ავსტრია-უნგრეთი ეკონომიური განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ მეურნეობრივი ბაზის შედარებითმა სისუსტემ ვერ შეუშალა ხელი ავსტრია-უნგრეთში ფინანსური ოლიგარქიის წარმოქმნას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ არისტოკრატიასთან.

1910-11 წლებში მარტო სააქციო საზოგადოებებში დაბანდდა ათჯერ მეტი კაპიტალი, ვიდრე წინა 80 წლის განმავლობაში მრეწველობასა, ვაჭრობასა და ხელოსნობაში ერთად. 1910 წელს ავსტრია-უნგრეთში იყო 585 სააქციო საზოგადოება 4.4 მლრდ კრონამდე კაპიტალით. 1913 წელს ბანკების მოგება 1909 წელთან შედარებით თითქმის 41 პროცენტით გაიზარდა. „ნაციონალური ბანკი“ ფლობდა 85 მლნ გირვანქა სტერლინგის კაპიტალს, მაშინ როცა ინგლისის ბანკს მხოლოდ 82 მლნ გირვანქა სტერლინგი გააჩნდა.

მონოპოლიურმა კაპიტალმა მრეწველობია ბევრი დარგი დაიმორჩილა. ორასი კარტელიდან ექვსმა, რომლებიც როტშილდების საბანკო სახლის კონტროლს ექვემდებარებოდა, თავი მოუყარა რკინისა და ფოლადის თითქმის მთელ წარმოებას. შკოდას სააქციო საზოგადოება გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო, მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ საწარმოდ ევროპაში. იგი იარაღსა და საბრძოლო მასალებს აწვდიდა ავსტრია-უნგრეთის არმიას. „ავსტრიულ ლლოიდს“ ეკუთვნოდა ქვეყნის საზღვაო და სამდინარო ფლოტის უდიდესი ნაწილი.

მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა ავსტრია-უნგრეთის ეკონომიკაში უცხოურ კაპიტალს. 1905 წლისათვის უცხოური (ძირითადად გერმანული და ფრანგული) კაპიტალდაბანდებანი ავსტრია-უნგრეთში შეადგენდა 9,8 მლრდ კრონს. გერმანული კაპიტალი გაბატონებული იყო მეტალურგიულ, ქიმიურ მრეწველობასა და რიგ სხვა დარ-

გებში. იგი აკონტროლებდა გალიციის ნავთობის ბუდობებს, უნგრეთისა და დალმაციის სამთამადნო მრეწველობას. ფრანგულ კაპიტალს ეკუთვნოდა რკინიგზებისა და შკოდას ქარხნების დიდი ნაწილი, ქვანახშირის შახტები და ა. შ.

თავის მხრივ. ავსტრია-უნგრეთის ბურჟუაზიას გაჰქონდა კაპიტალი სერბეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და საბერძნეთში, ცდილობდა ბალკანეთის ხალხების ეკონომიურსა და პოლიტიკურ დამორჩილებას. მაგრამ ავსტრია-უნგრულ კაპიტალთან ერთად და მისი დამორჩილების გზითაც კი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში სწრაფად იჭრებოდა გერმანული კაპიტალი, რომელიც უცერემონიოდ ავიწროებდა თავის უფრო სუსტ პარტნიორს.

ეროვნული საკითხის გამწვავება ავსტრია-უნგრეთში

XX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობანი დუალისტური მონარქიის ორ ნაწილს შორის. უნგრეთის გაძლიერებული ბურჟუაზია და ლიბერალური თავადაზნაურობა ცდილობდნენ მეტი პრივილეგიები მოეპოვებინათ. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური „დამოუკიდებლობის პარტია", ფერენც კოშუტის მეთაურობით, მოითხოვდა ეროვნული არმიის შექმნას, დამოუკიდებელი საემისიო ბანკის დაარსებას და საბაჟო ავტონომიას. ამ პარტიის წარმომადგენლები უნგრეთის სეიმში გამოდიოდნენ საყოველთაო-საარჩევნო უფლების წინააღმდეგ.

ავსტრიის მთავრობა შეეცადა დაეპირისპირებინა უნგრეთის ბურჟუაზია ხორვატიის ბურჟუაზიისათვის, რომელიც მტრულად იყო განწყობილი უნგრეთისადმი. იგი იმუქრებოდა, აგრეთვე, უნგრეთში საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებით. უნგრეთის ბურჟუაზია შეშინდა, ავსტრიის მთავრობას უნგრელი მშრომელებისა და სლავი ხალხებისათვის არ მიეცა პოლიტიკური უფლებები; გარდა ამისა, მას იმედი ჰქონდა, რომ მოხაწილეობას მიიღებდა ავსტრიის ექსპანსიაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამიტომ იყო, რომ უნგრეთის მმართველმა წრეებმა კაპიტულაცია მოახდინეს. კონფლიქტი ავსტრიისა და უნგრეთის მმართველ კლასებს შორის ლიკვიდირებულ იქნა.

მაგრამ მასები განაგრძობდნენ ბრძოლას. 1910-13 წლებში უნგრეთში ახალი ძალით გაიშალა მასობრივი მოძრაობა დემოკრატიული პოლიტიკური წყობილებისათვის. მოძრაობის მთავარ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენდა. 1910 წელს უნგრეთის მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა პლურალისტური საარჩევნო უფლება, რომელიც

რამდენიმე ხმას აძლევდა შეძლებულ ამომრჩევლებს და შეჰპირდა ხალხს საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებას. მაგრამ მთავრობა არ ჩქარობდა ამ დაპირების შესრულებას.

(1912 წლის მაისში ბუდაპეშტში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ქუჩები ბარიკადებმა დაფარა, მუშები ებრძოდნენ პოლიციასა და ჯარს. ახლა უნგრეთის მთავრობამ იჩქარა გაეტარებინა საარჩევნო რეფორმა. მაგრამ 1913 წლის საარჩევნო კანონი მხოლოდ უმნიშვნელოდ ზრდიდა ამომრჩეველთა რიცხვს, მილიონობით მშრომელს კვლავ არ ჰქონდა საარჩევნო უფლება.

გააქტიურდა ჩაგრული სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც. 1905 წლის ოქტომბერში ხორვატიის, დალმაციისა და ისტრიის წარმომადგენელთა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ცხადდებოდა ურღვევი მეგობრობა სერბებსა და ხორვატებს შორის. გალიციაში ჩამოყალიბდა ახალი პოლონური ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც პოლონეთის აღდგენას მოითხოვდა. ორმაგი ეროვნული უღლის—ავსტრიულისა და პოლონურის — წინააღმდეგ გამოდიოდნენ გალიციელი უკრაინელები.

1890 წლის „ვენის კომპრომისის“ ჩაშლის შემდეგ მასობრივი ანტიავსტრიული კრებები და დემონსტრაციები ჩეხეთში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მშრომელები, არამედ ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილიც. „მლადოჩეხების“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქიის „ტრიალისტურად“ გარდაქმნის მოთხოვნით გამოდიოდა, რასაც მხარს უჭერდა თვით ავსტრიის მმართველი წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი).

უკიდურესად დაიძაბა ვითარება მას შემდეგ, რაც 1899 წელს გაუჩ ფონ ფრანკენტურნის მთავრობამ (1897-99) გააუქმა ბადენის მთავრობის მიერ მიღებული კანონი ჩეხური და გერმანული ენების თანასწორუფლებიანობის შესახებ. ახლა ჩეხმა დეპუტატებმა მიმართეს ობსტრუქციას. პარლამენტის მუშაობა შეუძლებელი გახდა, რამაც თვით ფრანც-იოზეფი აიძულა 1900 წელს ეღიარებინა: „ჩვენ მთელი მსოფლიოს თვალში გავხდითო სასაცილონი“.

ახალი მთავრობა კერბერის ხელმძღვანელობით (1900-04) შეეცადა მოეწესრიგებინა კონფლიქტი ჩეხეთის გაყოფით ჩეხური და გერმანული ენების რაიონებად. მაგრამ „მლადოჩეხებმა“, რომლებიც მთელ ჩეხეთსა და მორავიაში მოითხოვდნენ ენების თანასწორობას,

უარყვეს ეს წინადადება. უნაყოფო დაპირების შემდეგ ეს მთავრობაც გადადგა.

ავსტრია-უნგრეთის მმართველი წრეები სასტიკი რეპრესიებით უპასუხებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას: 1908 და 1913 წლებში პრაღაში საალყო წესები შემოიღეს; 1911 წელს დროგობიჩში — დასავლეთ უკრაინის სამრეწველო ცენტრში — პოლიციამ დახვრიტა მუშათა დემონსტრაცია; 1912 წელს ხორვატიაში გაუქმდა კონსტიტუცია და იქ სამხედრო დიქტატურის რეჟიმი დამყარდა; ხშირად ეწყობოდა პროვოკაციული სასამართლო პროცესები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა წინააღმდეგ. ამავე დროს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მთავრობა შეღლს აღვიეებდა ხორვატებსა და სერბებს, ჩეხებსა და პოლონელებს, პოლონელებსა და უკრაინელებს შორის.

თავის მხრივ, ჩაგრული ხალხების ბურჟუაზია არ სვამდა საკითხს ავსტრია-უნგრეთისაგან სახელმწიფოებრივი გამოყოფის შესახებ. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა დუალისტურ მონარქიაში, უკავშირებდა ეკონომიური განვითარების პერსპექტივებს ავსტრია-უნგრეთის აგრესიას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამიტომაც ბურჟუაზია ხშირად ღალატობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მიდიოდა ჰაბსბურგებთან კავშირის შენარჩუნებაზე.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენა ავსტრია-უნგრეთზე. ბრძოლა საარჩევნო სისტემის რეფორმისათვის

ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვან იმპერიაზე რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იყო. მრავალ ქალაქში შედგა საპროტესტო კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები ცარიზმის ბარბაროსობის წინააღმდეგ. სწრაფად იზრდებოდა მასობრივი საგაფიცვო მოძრაობა. 1905-07 წლებში ავსტრიაში 3 ათასამდე გაფიცვა ჩატარდა — ორჯერ მეტი, ვიდრე წინა ოთხ წელს. მათში მონაწილეობდა 430 ათასზე მეტი მუშა.

იზრდებოდა მასობრივი მოძრაობა პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციისათვის, საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებისათვის. 1905 წლის 15 სექტემბერს ჩატარდა უნგრეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა საყოველთაო-საარჩევნო უფლების მოთხოვნით. ამ დღეს, რომელიც „წითელი პარასკევის" სახელითაა ცნობილი, ბუდაპეშტის ქუჩებში წითელი დროშებითა და ლოზუნგებით 150 ათასი კაცი გამოვიდა, რომელთა სათავეში 25 ათასი მელითონე-მუშა იდგა.

მოძრაობამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო რუსეთში ოქტომბრის საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ. 1905 წლის 30 ოქტომბერს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ ვენაში შეწყვიტა თავისი სხდომა და შეუერთდა მუშათა დემონსტრაციას. ათეული ათასობით მშრომელი გამოვიდა, აგრეთვე, პრაღის. ბრნოს, მორავის ოსტრავის, ლვოვის, კრაკოვის ქუჩებში. ვენაში რაიხსრატის სახურავზე მუშებმა წითელი დროშა აღმართეს. თითქმის ყველგან მასების გამოსვლები მთავრდებოდა პოლიციის და ჯარის ნაწილებთან შეჯახებებით.

პრაღაში, ოქტომბრის ბოლოს, დაიწყო რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა ხელფასის მომატების, სამუშაო დღის შემცირებისა და საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღების ლოზუნგებით. რკინიგზელებს შეუერთდნენ ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეები. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება პარალიზებული იყო. ნოემბრის განმავლობაში მთელს იმპერიაში ტარდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები საარჩევნო სისტემის რეფორმის მოთხოვნით. იზრდებოდა აგრარული მღელვარებები ავსტრია-უნგრეთის სასოფლო რაიონებში.

მმართველი წრეები, რომლებიც შეშინებულნი იყვნენ მასობრივი მოძრაობის ფართო გაქანებით, დათმობებზე წავიდნენ. გაუჩ ფონ ფრანკენტურნის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მას განზრახული აქვს შეიტანოს რაიხსრატში განსახილველად კანონპროექტი კურიალური სისტემის გაუქმებისა და ავსტრია-უნგრეთში საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ. ეს დაპირება საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც ცენტრისტული ლიდერები ვიქტორ ადლერი და სხვ. ხელმძღვანელობდნენ, უარი ეთქვა საყოველთაო გაფიცვის ჩატარებაზე.

1906 წლის ნოემბერში პრინც ჰოჰენლოეს მთავრობამ მიიღო საარჩევნო კანონი. მაგრამ იგი, ბოლოს და ბოლოს, დამტკიცებულ იქნა რაიხსრატის მიერ მხოლოდ 1907 წლის იანვარში, ხანგრძლივი საპარლამენტო დავისა და ბიუროკრატიული გაჭიანურების შემდეგ. სინამდვილეში საარჩევნო უფლება სრულიადაც არ იყო საყოველთაო. იგი ეძლეოდათ მამაკაცებს 24 წლის ასაკიდან. საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ ქალებს. დადგინდა ბინადრობის ერთწლიანი ცენზი. მეტისმეტად უთანაბროდ განაწილდა საარჩევნო ოლქები. ავსტრიელებმა, რომლებიც იმპერიის მთელი მოსახლეობის 33 პროცენტს შეადგენდნენ, მიიღეს რაიხსრატში 233 ადგილი, ე. ი. მისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი.

განუწყვეტელი კონფლიქტები ეროვნულ ფრაქციებს შორის,

ობსტრუქციები რაიხსრატში, მინისტრთა კაბინეტების ხშირი ცვლა იმაზე მეტყველებდა, რომ ჰაბსბურგთა იმპერიის საპარლამენტო სისტემა რეფორმის შემდეგაც ღრმა კრიზისს განიცდიდა.

ოპორტუნიზმის ზრდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაში

იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლამ გააძლიერა მუშათა კლასის ექსპლუატაცია. მნიშვნელოვნად დაეცა მუშათა რეალური ხელფასი და მათი სასიცოცხლო დონე. ყველაფერი ეს პროლეტარულ მასებში რევოლუციური სულისკვეთების ზრდას იწვევდა.

მაგრამ ავსტრია-უნგრეთის მუშათა მოძრაობაში სულ უფრო ძლიერდებოდა ოპორტუნისტული ტენდენციების გავლენა. ოპორტუნიზმი მუშათა არისტოკრატიას ეყრდნობოდა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო იმპერიის ავსტრიულ ნაწილში. ეროვნული რაიონების ექსპლუატაციის ხარჯზე ავსტრიის ბურჟუაზიამ შეძლო პრივილეგიური მდგომარეობა შეექმნა მუშათა კლასის ამ მცირერიცხოვანი ფენისათვის და, გარკვეული თვალსაზრისით, თავის მხარეზე გადმოებირებინა იგი. ოპორტუნისტული ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, როცა პარტიის შიგნით ნათლად გამოიკვეთა ნაციონალური სეპარატიზმის განწყობილება.

1901 წელს, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ვენაში გადაისინჯა ჰაინფელდის პროგრამა. ამ პროგრამის მიერ დეკლარირებული მუშათა კლასის ინტერხაციონალური მიზნებისა და პოლიტიკური ბრძოლის ზოგადი სწორი შეფასების საწინააღმდეგოდ პარტიის ახალი პროგრამა საბოლოო მიზნად სახავდა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების მოპოვებას. იგი უარყოფდა ჰაინფელდის პროგრამის თეზისს იმის შესახებ, რომ აუცილებელია სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. ახალი პროგრამა გამსჭვალული იყო ბურჟუაზიასთან შეთანხმების ოპორტუნისტული იდეებით.

ოპორტუნისტული ტენდენციები გაძლიერდა აგრეთვე უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. უნგრელი სოციალ-დემოკრატები თავის მთავარ მიზანს ხედავდნენ უნგრეთის ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ ბურჟუაზიასთან ერთად კაპიტალიზმის განმტკიცებისათვის. პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლას ისინი ცვლიდნენ „კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი გადაზრდის“ თეზისით. პარტია ფაქტიურად პროფესიული კავშირების დანამატად გადაიქცა.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ლიდერები,

ვიქტორ ადლერის მეთაურობით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ჰაბსბურგთა სახელმწიფოს მთლიანობა, ისწრაფოდნენ მისი სტაბილიზაციისაკენ რეფორმირებისა და „გაუმჯობესებათა“ ჩატარების გზით. ამ მიზნით ისინი პროპაგანდას უწევდნენ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ იდეას, ავრცელებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს, შოვინისტურ თეორიებს „ჩამორჩენილი“ სლავი ხალხების შესახებ და ა. შ. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა პარტიის განმტკიცებას, იწვევდა მისდამი უნდობლობას ჩაგრულ ეროვნებათა მუშა-სოციალისტების მხრივ. რამაც მუშათა ორგანიზაციები და მუშათა მოძრაობა საბოლოო დაშლამდე მიიყვანა. სოციალ-დემოკრატიის 1905 წლის ვენის ყრილობა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელი საერთო ყრილობა იყო.

1907 წლის არჩევნებში ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1 მილიონზე მეტი ხმა მიიღო და რაიხსრატში 87 დეპუტატი წარგზავნა. პარტიის ლიდერებმა ოპორტუნისტული ლოზუნგი წამოაყენეს: „დავიცვათ საყოველთაო-საარჩევნო უფლების პარლამენტი“. პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ 1907 წლის მაისში წერდა: „მტრის პოზიცია დაპყრობილია.. ახლა დიადი ბრძოლები უკანაა!“. ასეთი ლოზუნგი, ცხადია, სრულიად არასწორ ორიენტაციას აძლევდა მუშათა კლასს.

ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიები არჩევნებზე „თავიანთ“ ბურჟუაზიას უპერდნენ მხარს. პარტიის განხეთქილებამ საპარლამენტო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაშლა გამოიწვია. ფაქტიურად დაიშალნენ პროფკავშირები, კოოპერატივები და სხვა მასობრივი მუშათა ორგანიზაციები.

სოციალ-დემოკრატიის ბელადთა ოპორტუნისტული პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებდა მუშათა მოძრაობას. წამლავდა პროლეტარიატს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შხამით. ვ. ი. ლენინი წერდა: „... ჩვენ უნდა მოვერიდოთ ყოველგვარ ნაციონალურ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის შიგნით, რაც არარად გადააქცევდა რევოლუციური ბრძოლის დიად ამოცანას; ამ მხრივ ავსტრიის ნაციონალური ბრძოლა გაფრთხილება უნდა იყოს ჩვენთვის“ [1].

ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტთა მიერ ომის მომზადება

ავსტრია-უნგრეთის საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში სულ უფრო აგრესიულ ხასიათს იღებდა. მმართველ კლასებს მი-

[1] ვ. ი. ლენინი, თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა, თხზ., ტ. 19, გვ. 37.

აჩნდათ, რომ აგრესია ბალკანეთზე და მსოფლიო ომის მომზადება შინაპოლიტიკური კრიზისის გადალახვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იზრდება იმპერიის საგარეო პოლიტიკის დამოკიდებულება გერმანიისაგან.

ამ ტენდენციის ყველაზე უფრო აქტიური გამტარებელი იყო ე. წ. „სამხედრო პარტია". მის სათავეში იდგნენ ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, გენერალური შტაბის უფროსი ფრანც გრაფი კონრად ფონ ჰოეტცესდორფი და საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ალოიზ ერენტალი. ისინი ოცნებობდნენ ავსტრია-უნგრეთის იმპერიალიზმისათვის ბალკანეთის სახელმწიფოთა სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ დამორჩილებაზე, ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში სლავი ხალხების ძალდატანებით შეყვანაზე და მის გარდაქმნაზე „დუალისტურიდან" „ტრიალისტურ" მონარქიად. ამ გზით სამხედრო პარტია იმედოვნებდა, რომ განამტკიცებდა ჰაბსბურგთა მონარქიას და არ დაუშვებდა ბალკანეთზე მსხვილი დამოუკიდებელი სამხრეთსლავური სახელმწიფოს შექმნას.

1908 წლის 5 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია მოახდინა. ამ აქტმა სერიოზული კრიზისი გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობაში და მეტად გაამწვავა დამოკიდებულება რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის.

დაიწყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიალიზმის გამალებული შეიარაღება. 1911 წელს წვევამდელთა კონტინგენტი 40 პროცენტით გაიზარდა. 1912 წლის ზაფხულში მიღებული კანონი ითვალისწინებდა სარეკრუტო გაწვევის შემდგომ ზრდას და დამატებით ასიგნობებს შეიარაღებაზე. სულ 1910-13 წლებში ავსტრია-უნგრეთის ხარჯები არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტზე 70 პროცენტზე მეტად გაიზარდა და 1913 წლისათვის 583 მლნ კრონს მიაღწია.

1912-13 წლების ბალკანეთის ომების დროს ავსტრიელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს „პრევენტიული" ომის მზადება სერბეთის წინააღმდეგ. სერბეთის საზღვარზე თავს იყრიდა ავსტრია-უნგრეთის არმია. ვენის სამეფო კარის პროვოკაციული პოლიტიკა ეყრდნობოდა ბერლინის სრულ მხარდაჭერას. მაგრამ მაშინ მათ ვერ გაბედეს საომარ მოქმედებათა დაწყება, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გრძნობდნენ თავს მზად მსოფლიო ომისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ავსტრია-უნგრეთში მკვეთრად დაიძაბა შინაპოლიტიკური ვითარება. ფართოდ გაიშალა ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამასთან ერთად გაძლიერდა მშრომელი მასების კლასობრივი ბრძოლა და რევოლუციური მოძრაობაც. მდგომარეობას ისიც ართულებდა,

რომ 1912 წელს ავსტრია-უნგრეთში დაიწყო მძიმე ეკონომიური კრიზისი. სასიცოცხლო დონის დაცემამ და უმუშევრობამ განაპირობეს საგაფიცვო მოძრაობის ახალი აღმავლობა. 1913 წელს ავსტრიაში 438 გაფიცვა ჩატარდა, რომელშიც რამდენიმე ათეული ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას.

კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას მმართველმა წრეებმა უხეში რეპრესიებითა და საპყრობილეებით უპასუხეს, ხოლო მშრომელი მასები პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარეშე დარჩნენ. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია არ ჩაუდგა მასებს სათავეში, ფაქტიურად უარი თქვა მილიტარიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ორგანიზებაზე. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი ლიდერი საერთოდ „რეაქციულად“ მიიჩნევდა ჩაგრული სლავი ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამრიგად, ჰაბსბურგთა მონარქიაში არ აღმოჩნდა საზოგადოებრივი ძალა, რომელიც დუალისტურ სახელმწიფოს ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისიდან გამოიყვანდა.

ავსტრია-უნგრეთის მმართველ კლასებში სულ უფრო მტკიცდებოდა აზრი, რომ გამოსავალი შექმნილი დაძაბული ვითარებიდან, გზა იმპერიის განმტკიცებისა იქნებოდა რეპრესიების გაძლიერება ქვეყნის შიგნით და აგრესიული ომის დაწყება. შტიურგკ-ბერხტოლდის მთავრობამ, რომელმაც 1914 წლის მარტში დაითხოვა რაიხსრატი. ომის დაწყების საბაბად გამოიყენა 1914 წლის 28 ივნისს ტახტის მემკვიდრის ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში.

იტალია 1900 — 1914 წლებში

XX საუკუნის დასაწყისში იტალია უპირატესად აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მრეწველობასა და ტრანსპორტში მოსახლეობის მხოლოდ 27,6% იყო დასაქმებული, სოფლის მეურნეობაში კი — 58,8%. აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნა იტალიამ უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის წინ დაიწყო.

XX საუკუნის დამდეგამდე იტალიაში სწრაფი ტემპით მხოლოდ მსუბუქი მრეწველობა ვითარდებოდა, განსაკუთრებით საფეიქრო. 1870—1914 წლებში საფეიქრო წარმოება იტალიის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. მას პროდუქციის ღირებულებით სოფლის მეურნეობის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა. მძიმე მრეწველობის განვითარება იტალიაში მხოლოდ XX საუკუნის პირველ წლებში დაიწყო. 1902 წელს იტალიის მთავრობამ ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკის უშუალო ხელშეწყობით ბელგიის კომპანიისაგან გამოისყიდა კუნძულ ელბაზე რკინის მადნის დამუშავების უფლება და გადასცა იგი იტალიელი მრეწველების ჯგუფს. ამით საფუძველი ჩაეყარა იტალიაში მეტალურგიის განვითარებას. მეტალურგიული მრეწველობა, ამიერიდან, შედარებით სწრაფად ვითარდებოდა: 1902-13 წლებში თუჯის გამოდნობა 230 ათასი ტონიდან 550 ათას ტონამდე გაიზარდა; ფოლადის 135 ათასი ტონიდან—930 ათას ტონამდე. შესაბამისად გაიზარდა ამ დარგებში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა (15 ათასიდან — 35 ათასამდე). მეტალურგიასთან ერთად დაიწყო მანქანათმშენებლობის, ჰიდროელექტრო, ენერგეტიკული, საავტომობილო, ბამბეულისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება. მთლიანად, მრეწველობის ზრდის ინდექსმა 1900-15 წლებში 183 შეადგინა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა იტალიის საგარეო ვაჭრობაც: 1900-14 წლებში მისი საერთო მოცულობა 118%-მდე გაიზარდა. ამასთან, საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპებით იტალიამ გაუსწრო ინგლისსა და გერმანიას.

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, იტალია თავისი სამრეწვე-

ლო განვითარებით დიდად ჩამორჩებოდა მოწინავე ქვეყნებს. მისი ინდუსტრია აბსოლუტური ციფრებით ვერ აღწევდა ევროპის მოწინავე სამრეწველო ქვეყნების დონეს. მაგალითად, 1913 წელს იტალიაში 14-ჯერ ნაკლები რკინა და ფოლადი გამოადნეს, ვიდრე გერმანიაში, 8-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში, 7-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში. იტალიის სამრეწველო განვითარების ჩამორჩენას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი იყო იტალიის ნედლეულისა და სათბობი რესურსების სიმწირე. მაგრამ იტალიის ინდუსტრიალიზაციის სისუსტის მთავარი მიზეზი გაპრიალებულ იმ საშინაო და საერთაშორისო ვითარებიდან, რომელშიაც დაიწყო და ვითარდებოდა ეს ინდუსტრიალიზაცია. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით სამრეწველო განვითარება იტალიაში არ იყო გაპირობებული საშინაო ბაზრის მოთხოვნილების ზრდით. იტალიის საშინაო ბაზარი, აგრარული საკითხის გადაუჭრელობისა და მოსახლეობის მასობრივი სიღატაკის გამო, წინანდებურად ვიწრო რჩებოდა. შინაგანი მიზეზების გამო შეყოვნებული იტალიის ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა კაპიტალიზმის არა აღმავალი და პროგრესული განვითარების ხანაში, არამედ იმპერიალიზმის ეპოქაში, ე. ი. იმ დროს, როცა ფინანსურმა კაპიტალმა თავისი დაღი დაამჩნია იტალიის ცხოვრებას და მონოპოლიების აღმოცენებით შექმნა დაბრკოლებები სწრაფი სამრეწველო განვითარების გზაზე.

იტალიის ინდუსტრიალიზაციას დასაწყისიდანვე ხელმძღვანელობდა მსხვილი ბანკები. მათ შორის წამყვან როლს ასრულებდნენ კომერციული ბანკი, იტალიური კრედიტი, რომის ბანკი, მოგვიანებით კი — სააღრიცხვო ბანკი. XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულმა ბანკებმა თავის კონტროლს დაუქვემდებარეს იტალიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგები. ბანკებსა და მრეწველობას შორის დამორჩილებული ურთიერთობა დამყარდა. სამი-ოთხი ბანკის მფარველობით შეიქმნა უმსხვილესი მონოპოლიები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან დარგებს. ელექტრომრეწველობაში წამყვანი მდგომარეობა დაიკავა ტრესტმა ედისონმა, რომელიც კონტროლს უწევდა იტალიის ელექტროსადგურების ნახევარს. საავტომობილო მრეწველობაში პირველი ადგილი დაიკავა „ფიატის" ფირმამ, რომელიც 1890 წელს შეიქმნა. 1913 წლისათვის ფირმის კაპიტალმა 17 მლნ ლირას მიაღწია. მის საწარმოებში დასაქმებული იყო 5 ათასამდე მუშა. ქიმიურ მრეწველობას კონტროლს უწევდა მონტეკატინისა და პირელის მონოპოლისტური ჯგუფები. იტალიის უმნიშვნელოვა-

ნესი ლითონის საწარმოები ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიის — „ტერნისა“ და „ილვას“ ხელში იყო.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ იტალიის მთელი ეკონომიკა მსხვილი მონოპოლიების ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ იტალიის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას.

(იტალიის ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის აქტიური მონაწილეობით.) ამ გარემოებამ, ცხადია, ღრმა კვალი დაამჩნია იტალიის მთელ ეკონომიკას და, აგრეთვე, პოლიტიკასაც.

ზოგიერთი მონაცემით პირველი მსოფლიო ომის წინ იტალიაში უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხამ 1,5 მილიარდ ლირას მიაღწია. (XIX საუკუნის 90-იან წლებში იტალიაში გაბატონებული მდგომარეობა ფრანგულ ბანკებს ჰქონდათ. მაგრამ შემდეგ წამყვანი პოზიციები გერმანულმა კაპიტალმა დაიკავა.) გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის მთავარი იარაღი იყო კომერციული ბანკი. ამ ბანკმა პირველი მსოფლიო ომის წინ იტალიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.) მან ხელში ჰაიგდო მეტალურგიული, რკინის, მექანიკური, გემთმშენებლობის საწარმოების უმრავლესობა და, აგრეთვე, გემთმფლობელობის კომპანიები. კომერციული ბანკი მბრძანებლობდა „ტერნისა“ და „ილვას“ მეტალურგიულ კომპანიებში, ტურინის საავტომობილო საწარმოებში და სხვ. ამ ბანკზე იყო აგრეთვე დამოკიდებული იტალიის მრავალი სამხედრო საწარმო. ბანკი ხელს უწყობდა იტალიის ბაზარზე გერმანული სამრეწველო პროდუქციის გასაღებას. მისი ხელშეწყობით გერმანიის საქონლის შემოტანამ იტალიაში პირველი ადგილი დაიკავა.

კომერციული ბანკი შესამჩნევ გავლენას ახდენდა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრის გახვითარებაზე. მრავალი გამოჩენილი იტალიელი ადვოკატი, ინჟინერი, მრეწველი, დეპუტატი, სენატორი და სხვა სახელმწიფო მოღვაწე, არმიისა და ფლოტის უფროსი ოფიცრობა, ჟურნალისტები, დედაქალაქისა და პროვინციების მსხვილი გაზეთები, კომერციულ ბანკზე იყვნენ დამოკიდებული და ხელს უწყობდნენ იტალიაში გერმანიის გავლენის ზრდას. მაგრამ გერმანიის გავლენა იტალიაში გაზვიადებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ. იტალია სხვადასხვა ფინანსურ-იმპერიალისტურ დაჯგუფებებს შორის მუდმივი ბრძოლის სარბიელს წარმოადგენდა. (გერმანელი ფინანსისტები იტალიაში წააწყდნენ ინგლისელ, ფრანგ და სხვა ფინანსისტთა ძლიერ კონკურენციას.) XX საუკუნის

დასაწყისში ფრანგულმა ბანკებმა წინანდელი პოზიციები აღიდგინეს. XX საუკუნეში დაიწყო იტალია-საფრანგეთის დაახლოება. იგი, პირველ ყოვლისა, გაპირობებული იყო იტალიელი იმპერიალისტების მისწრაფებით — მოეპოვებინათ საფრანგეთის ფინანსური დახმარება. ფრანგ ფინანსისტებს დიდი მოცულობის კაპიტალი ჰქონდათ დაბანდებული მთელ რიგ იტალიურ ბანკებში. კერძოდ, „იტალიურ კრედიტში", „იტალიის საბანკო საზოგადოებაში", „პროვინციულ კრედიტსა" და, ნაწილობრივ, „კომერციულ ბანკშიც". ზოგიერთი მსხვილი იტალიური ფირმა, მაგალითად, ანსალდო, მჭიდროდ იყო დაკავშირებული კრეზოს ფრანგულ ჯგუფთან და სრულიად თავისუფალი იყო გერმანული კაპიტალის გავლენისაგან. იტალია ინგლისის ძლიერ ფინანსურ-ეკონომიურ გავლენასაც განიცდიდა, ცნობილ ინგლისურ ფირმას — ვიკკერს იტალიაში თავისი განყოფილებები ჰქონდა. საბოლოო ანგარიშით, იტალია უფრო მეტად იყო დამოკიდებული საფრანგეთსა და ინგლისზე, ვიდრე გერმანიაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანიის მოძალეობა იტალიაში იწვევდა საწინააღმდეგო რეაქციასაც. ბევრი იტალიელი კაპიტალისტი შურით აღსავსე ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ აცლიდნენ მას ხელიდან გერმანელები და მათი იტალიელი მესუფრეები საარაკო მოგებებს. ისინი მიისწრაფოდნენ გამოეყენებინათ პირველივე შემთხვევა, მოესპოთ გერმანელთა მოძალეობა და ხელში ჩაეგდოთ კომერციული ბანკის უდიდესი კაპიტალი. ამიტომ, შემთხვევითი რადია, რომ 1914-15 წლებში მიმდინარეობდა გერმანული კაპიტალის წინააღმდეგ თავისებური „ამბოხების" ვითარებაში პირველ მსოფლიო ომში იტალიის ანტანტის მხარეზე ჩაბმის აგიტაცია. ამასთან ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ ომის მომხრეები თავის პოზიციას იმით ამართლებდნენ, რომ ხაზს უსვამდნენ გერმანიის ძალადობის დამხობის აუცილებლობას.

დაგვიანებული ინდუსტრიალიზაცია, რომელიც უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით ხორციელდებოდა, აძლიერებდა იტალიის კაპიტალიზმის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა სიმწვავესა და მის განვითარებას აძლევდა „უწესრიგო ხასიათს". მრეწველობის განვითარება უკიდურესი უთანასწორობით ხასიათდებოდა. ინდუსტრიალიზაცია, ძირითადად, ჩრდილოეთში მიმდინარეობდა და სრულებით არ შეხებია სამხრეთს და კუნძულებს; ჩრდილოეთის მსხვილმა მრეწველობამ სამხრეთთან დამოკიდებულებაში „კაპიტალისტური მეტროპოლიის" პოზიცია დაიკავა. ამ კოლონიური ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ სამხრეთის მშრომელი მასები. რაც შეე-

ხება საბრძოლის მსხვილ მიწათმფლობელებსა და საშუალო ბურჟუაზიას. ისინი „მეტროპოლიის“ თავისებურ მოკავშირეებად გადაიქცნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა საბრძოლის პრობლემა, ხელი შეუწყო იტალიის სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურაში წინააღმდეგობათა შემდგომ გაღრმავებას.

იტალიის ვიწრო ბაზრისათვის შეუსაბამო მრეწველობის განვითარების შედარებით სწრაფმა ტემპებმა, იტალიის იმპერიალიზმის წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა საგარეო ბაზრების პრობლემა. მაგრამ ამ ხანისათვის მსოფლიო ბაზრებზე უკვე ბატონობდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები და წარმატებით სძლევდა სუსტ იტალიურ კონკურენციას. იტალიის საგარეო-სავაჭრო ბალანსი პირველი მსოფლიო ომის წინ უცვლელად პასიური იყო. მაგალითად, 1913 წელს საქონლის შემოტანამ 1134 მლნ ლირით გადააჭარბა საქონლის გატანას. საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა კი 6156 მლნ ლირას უდრიდა. იტალიელი იმპერიალისტები ცდილობდნენ ბაზრის პრობლემა გადაეჭრათ მკაცრი პროტექციონიზმის საშუალებით, ქვეყნის შიგნით მშრომელთა ექსპლუატაციის გაძლიერებით, აგრესიული ომების წარმოებით. საგარეო ბაზრებისა და იაფი ნედლეულის წყაროების გაშმაგებული ძებნა იტალიის იმპერიალიზმს აგრესიული საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო ავანტიურის გზისაკენ უბიძგებდა.

იტალიის იმპერიალიზმს „ღატაკ იმპერიალიზმს“ უწოდებდნენ (მხედველობაში ჰქონდათ იტალიის სიღარიბე და იტალიელ ემიგრანტთა მასის საშინელი სიღატაკე). მაგრამ იტალიის გაბატონებულ კლასებს არ სურდათ შერიგებოდნენ ამ არასახარბიელო მდგომარეობას და ცდილობდნენ, დაეკავებინათ ადგილი დიდ სახელმწიფოთა შორის. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „კოლონიური პოლიტიკა და იმპერიალიზმი... თვით კაპიტალიზმის საფუძვლების გარდაუვალი შედეგია... ცალკეულ ქვეყნებს შორის კონკურენცია, საკითხს მხოლოდ ასე აყენებს — დარჩეს მეცხრე ადგილზე და სამუდამოდ გაიზიაროს ბელგიის ბედი, თუ გაიჩანაგოს და დაიპყროს სხვა ქვეყნები“ [1]... იტალიის იმპერიალისტებმა, რა თქმა უნდა, მეორე გზა აირჩიეს. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის იტალიის ისტორია ხასიათდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ეპოქიდან რეაქციულ იმპერიალისტური ომების ეპოქაზე გადასვლით. ამასთან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ეს გადასვლა, რომე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში, თხზ., ტ. 24, გვ. 360.

ლიც იმპერიალიზმის ეპოქის არსს შეადგენს, „განსაკუთრებით ცხადად“ სწორედ იტალიაში გამოიკვეთა“ [1].

იტალიის სწრაფმა სამრეწველო განვითარებამ XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები გამოიწვია. მუშათა რაოდენობამ 1911 წელს 3,5 მილიონს გადააჭარბა. იტალიის მუშათა კლასი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა და მშრომელთა ბრძოლის ავანგარდი გახდა. იტალიის პროლეტარიატმა და მისმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს XIX საუკუნის უკანასკნელ წლებში მთავრობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1900 წლის ზაფხულში სოციალისტებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ერთობლივი მოქმედების წყალობით დაემხო გენერალ პელუს რეაქციული მთავრობა, პელუს დროის ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკამ უკიდურესად გაამწვავა ვითარება. 1900 წლის 29 ივნისს პელუს გადადგომის ხუთი დღის შემდეგ ანარქისტებმა მოკლეს მეფე უმბერტო. ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ვიტორიო ემანუილ III-ემ, რომელიც სწრაფად შეუდგა აღქმული „თავისუფლების დაცვის“ საქმეს.

სოციალისტური პარტიისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულმა მძვინვარე რეპრესიებმა გაბატონებულ კლასებს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. 1900 წლის ზაფხულში პარლამენტის არჩევნებმა გამოავლინა სოციალისტური პარტიის გავლენის შემდგომი ზრდა. სოციალისტურმა პარტიამ 165 ათასი ხმა მოაგროვა და პარლამენტში 35 დეპუტატის ადგილი მიიღო (ორჯერ მეტი, ვიდრე წინა პარლამენტში). მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროფკავშირული მოძრაობაც. 1900 წელს მოეწყო 410 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 80 ათასზე მეტი მშრომელი.

პელუს კაბინეტის შემცვლელი ზომიერი კონსერვატორის სარაკოს მთავრობა იძულებული გახდა რამდენადმე შეერბილებინა წინამორბედის მიერ დამყარებული ტერორისტული რეჟიმი. მაგრამ, ახალი მთავრობა კვლავ აგრძელებდა მშრომელთა ორგანიზაციებზე შეტევის პოლიტიკას. მაგალითად, 1900 წლის დეკემბერში მეწარმეთა დაჟინებული მოთხოვნით დაშალეს შრომის პალატა გენუაში. ამის საპასუხოდ გენუის ნავსადგურის მუშებმა მოაწყვეს გაფიცვა, რომელმაც მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. გაფიცვაში მონაწილეობდა 30 ათასი მუშა. გაფიცვა 4 დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მთლიანად იქნა პარალიზებული დიდი სანავსადგურო ქა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში, თხზ., ტ. 24, გვ. 361.

ლაქის ცხოვრება. საყოველთაო გაფიცვა მშრომელთა გამარჯვებით დამთავრდა, სარაკოს მთავრობა იძულებული გახდა გაეცა შრომის პალატის აღდგენის განკარგულება.

გენუის მუშათა გამარჯვებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა როგორც მშრომელებზე, ასევე იტალიის გაბატონებულ კლასებზე. ცნობილი იტალიელი ბურჟუაზიული მოღვაწე ლუიჯი ეინაუდი წერდა: „როცა 1900 წელს გენუის ნავსადგურში მუშათა უდიდესმა მასამ მთავრობისა და მწარმოებლებისაგან ელემენტარული ადამიანური უფლებების პატივისცემა მოითხოვა... გეგონებოდათ, ახალი ერა დაიწყო". სინამდვილეში ასეც იყო. იტალიის მუშათა კლასისა და მშრომელთა გმირულმა ბრძოლამ აიძულა გაბატონებული ზედაფენა უარი ეთქვა აშკარა ტერორისტულ მეთოდებზე და გამოეძებნა ახალი, უფრო მოქნილი და ეფექტური მეთოდები.

იტალიის ბურჟუაზიის ყველაზე შორსმჭვრეტელი ლიდერები მოითხოვდნენ თვითნებობისა და ძალადობის, რეფორმების უსიტყვო უარყოფის მეთოდები შეეცვალათ „ლიბერალიზმის" მეთოდებით: ნაწილობრივ გაეფართოებინათ პოლიტიკური უფლებები, განეხორციელებინათ უმნიშვნელო რეფორმები, მეტი ტაქტი გამოეჩინათ მუშური ორგანიზაციებისა და მშრომელთა ეკონომიური ბრძოლის მიმართ. ასეთი საშუალებებით ისინი ვარაუდობდნენ, რომ მოახერხებდნენ სოციალისტურ მოძრაობაში გახხეთქილების აღმოცენებას, შეასუსტებდნენ მშრომელთა ბრძოლას და განამტკიცებდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.

ბურჟუაზიის ახალი პოლიტიკური ტაქტიკის ერთ-ერთი ინიციატორი და ყველაზე მოხერხებული განმახორციელებელი იყო ჯოლიტი, რომელსაც ძარანდელის მთავრობაში 1901 წლიდან ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, შემდეგ ჯოლიტი სამჯერ მეთაურობდა კაბინეტს (1903-05, 1906-09 და 1911-14 წლებში).

ჯოვანი ჯოლიტი (1842—1928) რთულ და წინააღმდეგობრივ ფიგურას წარმოადგენდა. იგი კონსერვატორი და მონარქისტი იყო, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ იტალიის პოლიტიკურ განვითარებაზე კონტროლის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო დროულად დათმობებზე წასვლა. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს განმტკიცებას. ჯოლიტი ცდილობდა არ დაეშვა დემოკრატიული ძალების გაერთიანება, აღეკვეთა ჩრდილოეთ იტალიის მუშათა კლასისა და სამხრეთ იტალიის გლეხობის მოქმედების გაერთიანების ტენდენცია. პრაქტიკულად ჯოლიტის „ახალი კურსი" მოკრძალებული ხასიათის სოციალური რეფორმების გატარებაში გამოიხატა; გაფართოვდა ზოგიერთი დემოკრატიული თავისუფლება, კერ-

ძოდ, მშრომელთა გაფიცვებისა და ორგანიზაციების თავისუფლება. 1902 წელს მიიღეს ბავშვებისა და ქალების შრომის შეზღუდვის კანონი. 10-დან 12 წლამდე ბავშვებისათვის შემოიღეს 8-საათიანი სამუშაო დღე. ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრა 12 საათით. ამავე კანონით, მუშებმა მიიღეს კვირა დღეს აუცილებელი დასვენების უფლება. სპეციალური კანონით შემოიღეს დაზღვევა წარმოებაში უბედური შემთხვევების დროს. მუშებმა ისარგებლეს მთავრობის ამ იძულებითი დათმობებით და გაზარდეს მშრომელთა ორგანიზაციების რიცხვი: მაგალითად, თუ 1900 წელს იტალიაში მოქმედებდა 19 შრომის პალატა, 1902 წლისათვის მათი რიცხვი 71-მდე გაიზარდა. გაძლიერდა პროფკავშირული მოძრაობაც. 1901 წელს 1671 გაფიცვა მოეწყო. მრეწველობის — 1042 და სოფლის მეურნეობის — 629 დარგში. მოძრაობაში ჩაებნენ გლეხობის ფართო მასები. მიუხედავად იმისა, რომ ჯოლიტის პოლიტიკამ ხელი შეუწყო მშრომელთა აქტივობის ზრდას, იგი ბურჟუაზიული წყობილების თვით საფუძვლებს არ შეხებია. პირიქით, განახორციელა რა ზოგიერთი დათმობა მუშათა კლასის მიმართ, „ახალმა კურსმა“ მნიშვნელოვნად შეამცირა სოციალური რევოლუციის საფრთხე და ამით განამტკიცა გაბატონებული კლასების მდგომარეობა. ნიშანდობლივია, რომ უკვე 1902-03 წლებში საგაფიცვო მოძრაობა შესამჩნევად შემცირდა.

ჯოლიტის „ახალი კურსით“ მოგებული დარჩა ჩრდილოეთ იტალიის მუშათა მხოლოდ მცირე, ყველაზე პრივილეგირებული ნაწილი. სამაგიეროდ, მშრომელთა ყველაზე მეტად გაღატაკებული ფენის (სამხრეთ იტალიისა და კუნძულების გლეხობის სახით) მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა. ჯოლიტიმ უარყო აგრარული რეფორმის გატარების იდეა, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი რეფორმა დაარღვევდა ტრადიციულ კომპრომისს ჩრდილოეთის ბურჟუაზიასა და სამხრეთის მსხვილ მიწათმფლობელებს შორის. გლეხობის სამართლიან მოთხოვნებს მთავრობა რეპრესიებით უპასუხებდა. როგორც პიეტრო ნენი აღნიშნავდა, ჯოლიტი იყო ლიბერალი პადანის დაბლობისათვის და ამავე დროს მფარველობდა ადგილობრივ შეიარაღებულ ბანდიტებს სამხრეთ იტალიაში. იგი შედარებით ფართო დათმობებს ახორციელებდა პადანის ველის კოოპერატივებისათვის, მაგრამ სრულიად არ ითვალისწინებდა სამხრეთის პრობლემებს. სწორედ ამ წინააღმდეგობაში მდგომარეობდა ჯოლიტის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი. ამ სისტემის სისუსტის ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ ჯოლიტიმ ვერ მოიპოვა და არც შეეძლო მოეპოვებინა მუშათა კლასისა და სოციალისტური პარტიის ერთსულოვანი მხარდაჭერა.

ჯოლიტის პოლიტიკასთან დამოკიდებულების საკითხში იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით აღმოცენდა მწვავე უთანხმოება. სოციალისტების ერთი ჯგუფი, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ზედაფენა, მიესალმა ჯოლიტის წამოწყებებს და აღუთქვა მას ყოველმხრივი მხარდაჭერა. ეს ჯგუფი მზად იყო უარეყო კლასობრივი ბრძოლის პრინციპები და დათანხმებულიყო ბურჟუაზიასთან მშვიდრო თანამშრომლობაზე. აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ლ. ბისოლატი, ფ. ტურატი და ი. ბონომი. რეფორმისტებმა უარყვეს მოძრობის სოციალისტური ხასიათი და ყოველ შესაფერ მომენტში ადიდებდნენ ჯოლიტის რეფორმებს. ისინი „ამტკიცებდნენ", რომ ეს რეფორმები „ძირს უთხრიან" ბურჟუაზიული ექსპლუატაციის საფუძვლებს. არსებითად, მათ გააჯიტეს კავშირი სოციალიზმთან და ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებად გადაიქცნენ.

ჯოლიტიმ იცოდა, რომ მუშათა რეფორმისტი ლიდერები მთავრობის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგნი არ იყვნენ. ამიტომ, ორჯერ შესთავაზა მათ მინისტრის პორთფელი: პირველად — ტურატის (1903), ხოლო მეორედ — ბისოლატის (1911). მაგრამ ერთმაც და მეორემაც უარყვეს ეს წინადადება, რადგან შეეშინდათ რიგით სოციალისტებთან განხეთქილებისა და პარტიისაგან იზოლაციისა.

XX საუკუნის პირველ წლებში რეფორმისტებმა პარტიას თავს მოახვიეს საკუთარი პოლიტიკური ხაზი. 1902 წელს პარტიის VII ყრილობაზე მიიღეს ფ. ტურატის რეზოლუცია, რომელიც აღიარებდა კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკის აუცილებლობას. მაგრამ კლასობრივი თანამშრომლობის რეფორმისტულ იდეას ხანგრძლივი წარმატების რეალური პირობები არ გააჩნდა. იტალიის შედარებით ღარიბ ბურჟუაზიას არ შეეძლო ბოლომდე გაეტარებინა ძვირადღირებული სოციალური პოლიტიკა. ამიტომ, მან ვერ შეძლო მუშათა არისტოკრატიის სახით, მუშურ წრეებში საიმედო დასაყრდენის შექმნა.

იტალიის მშრომელებში და თვით სოციალისტურ პარტიაში იზრდებოდა უკმაყოფილება რეფორმისტთა მოღვაწეობის გამო. თავდაპირველად ოპოზიციამ თავი იჩინა სამხრეთ იტალიის სოციალისტურ წრეებში. მაგრამ, ეს ახალი ოპოზიციური მიმდინარეობა არ იყო ჰომოგენურად რევოლუციური. მისი ხელმძღვანელები არტურო ლაბრიოლა და ენრიკო ლეონე ფრანგული ანარქო-სინდიკალიზმის გავლენის ქვეშ მოექცნენ. სორელესა და სხვა ანარქო-სინდიკალიზმის იდეოლოგების მსგავსად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ პარტია კი არა, პროფკავშირები — სინდიკატები უნდა გადაიქცნენ მუშათა კლასის

ძირითად და მთავარ ორგანიზაციად. ბურჟუაზიული წყობილების დამხობის მთავარ საშუალებად ანარქო-სინდიკალისტები მიიჩნევდნენ „პირდაპირი მოქმედების“ საყოველთაო გაფიცვას. ისინი ქედს იხრიდნენ მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის წინაშე. ანარქო-სინდიკალიზმი ეთიშებოდა მარქსიზმს. იგი აღმოცენდა მუშურ მოძრაობაზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის შედეგად და მოასწავებდა „რევიზიონიზმს მარცხნიდან“ (რეფორმისტების „მარჯვნიდან რევიზიონიზმისაგან“ განსხვავებით).

სოციალისტური პარტიის რეფორმისტული ხელმძღვანელობის პოლიტიკით უკმაყოფილო მრავალი მშრომელი გაჰყვა ანარქო-სინდიკალიზმს. მალე სინდიკალისტებმა ხელმძღვანელი მდგომარეობა მოიპოვეს იტალიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ ლომბარდიის პროლეტარულ ორგანიზაციებში.

1904 წლის სექტემბერში სინდიკალისტები აწყობენ პირველ დიდ საყოველთაო გაფიცვას. გაფიცვა დაიწყო პროტესტის ნიშნად სარდინიასა და სიცილიაში პოლიციის მიერ მოწყობილი სისხლიანი ანგარიშსწორების გამო. საყოველთაო გაფიცვამ 5 დღეს გაგრძელდა და მოიცვა იტალიის ყველა მსხვილი სამრეწველო ცენტრი. გაფიცვის წინააღმდეგ გამოვიდნენ რეფორმისტები. რაც შეეხება სინდიკალისტებს, გაფიცვის მიმდინარეობის დროს გამომჟღავნდა, რომ მათ არ ძალუძთ სერიოზული პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ ასეთი მასშტაბის მოძრაობას. სექტემბრის გაფიცვა დამარცხებით დასრულდა. მიუხედავად წარუმატებლობისა, საყოველთაო გაფიცვამ შეაშფოთა იტალიის ბურჟუაზია. ჯოლიტიმ ჩინებულად გამოიყენა ბურჟუაზიის შეშფოთება და მშრომელთა ნაწილობრივი იმედგაცრუება, გამოწვეული გაფიცვის დამარცხებით. მან დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევნები. ამ აქტის მიზანი იყო კონსერვატორული პალატის შექმნა და პარლამენტში სოციალისტების პოზიციის შესუსტება. ჯოლიტის ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა: სოციალისტებმა დაკარგეს დეპუტატის ოთხი ადგილი, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად მომძლავრდნენ მთავრობის პოლიტიკის მომხრენი. 1904 წლის არჩევნების თავისებურებას წარმოადგენს მასში შეურიგებელი კათოლიკეების მონაწილეობა. ცნობილია, რომ აქამდე ისინი პარლამენტის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდნენ. ახლა, თითქოს იმ მიზნით, რომ აუცილებელი იყო „ანარქისტული სოციალისტური პარტიის საშიში გაძლიერების“ წინააღმდეგ შებრძოლება, ვატიკანმა გააუქმა საკუთარი აკრძალვა და მრავალ ოლქში კათოლიკეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. თავის მხრივ, იტალიის

ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც ეძებენ კათოლიკებთან დაახლოების გზებს. ამრიგად, გაძლიერებულმა მუშათა და სოციალისტურმა მოძრაობამ აიძულა გაბატონებული კლასის სხვადასხვა ჯგუფები დაევიწყებინათ ძველი უთანხმოებანი და დაკავშირებოდნენ ერთმანეთს.

1905 წელს იტალიის მუშათა და სოციალისტური მოძრაობის ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის პირველი რევოლუციის მოვლენები. იტალიელი მშრომელები სიმპათიით და თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას. როცა ცარიზმი მხეცურად გაუსწორდა პიტერის მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას, იტალიის მუშური წრეები აღშფოთებამ მოიცვა. დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები. სოციალისტ-დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს, რათა მეფის მთავრობისათვის ოფიციალურად ეცნობებინათ „მთელი კულტურული იტალიის აღშფოთება პეტერბურგის ხოცვა-ჟლეტის გამო". ბევრი დეპუტატი მთავრობისაგან მოითხოვდა მიეღოთ ზომები მაქსიმ გორკის სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ცარიზმის ჟანდარმერიას პეტრე-პავლეს ციხეში ჰყავდა დაპატიმრებული. რუსეთის რევოლუციის მხარდაჭერის მიზნით იტალიაში გაიშალა სახსრების შეგროვების კამპანია. ამასთან ზოგიერთი სოციალისტი მოითხოვდა რუსი რევოლუციონერების დასახმარებლად მოეწყოთ გარიბალდული ტიპის შეიარაღებული ექსპედიცია.

რუსეთის რევოლუციამ იტალიის სოციალისტებს შორის მწვავე პოლემიკა გამოიწვია. მუშები, რიგითი სოციალისტები, მიესალმებოდნენ რა რუსი თანამოძმეების ბრძოლას, მოუწოდებდნენ დაყრდნობოდნენ რუსეთის რევოლუციურ გამოცდილებას, შეეშუშავებინათ მისგან პრაქტიკული დასკვნები. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელებმა— როგორც რეფორმისტებმა, ასევე სინდიკალისტებმა, ვერ შეიცნეს რუსეთის რევოლუციის ნამდვილი ხასიათი და ვერ შეაფასეს იტალიისათვის მისი გამოცდილების პრაქტიკული მნიშვნელობა. რეფორმისტები ამტკიცებდნენ, რომ იმ მომენტში ჩამორჩენილ რუსეთში დღის წესრიგშია მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუცია, რომ თითქოს „უფრო მოწინავე" ქვეყნებს არაფერი აქვთ ამ რევოლუციისაგან შესასწავლი.

1907-08 წლებში სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლა ახალი ძალით გაიშალა. მწიფდებოდა აშკარა განხეთქილება. მან თავი იჩინა 1906 წლის ოქტომბერში, პარტიის რომის ყრილობაზე. მაგრამ ამ ეტაპზე საქმე საბოლოო განხეთქილებამდე არ მისულა. ყრილობამ მიიღო ე. წ. „ინტეგრალისტების" რეზოლუცია. იმისათვის, რომ შე-

ენარჩუნებინათ პარტიის ფორმალური ერთიანობა, აღნიშნული ჯგუფი მოითხოვდა ორი მტრული მიმდინარეობის შერიგებას. „ინტეგრალისტები“ — ენრიკო ფერი, ოდონე მორგარი — კონკრეტული ვითარების შესაბამისად ხან სინდიკალისტებს უჭერდნენ მხარს, ხან რეფორმისტებს. სინამდვილეში კი ისინი რეფორმისტებისაგან არაფრით განირჩეოდნენ და მათ საიდუმლო ხელშემწყობებს წარმოადგენდნენ.

ეკონომიური კრიზისის გამო 1907-08 წლებში შესამჩნევად გაიზარდა საგაფიცვო მოძრაობა. 1907 წელს გაფიცულთა რიცხვმა 575 ათასს მიაღწია. ფერერას პროვინციაში მოეწყო სოფლის მეურნეობის მუშათა დიდი გაფიცვა (40 ათასი მშრომელი). მაგრამ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1908 წლის გაზაფხულის მოძრაობა პარმაში. პარმის შრომის პალატამ, იმის გამო, რომ მემამულეებმა დაარღვიეს შრომითი შეთანხმება, აპრილის ბოლოს გამოაცხადა მთელი პროვინციის მოჯამაგირეთა გაფიცვა. ამის საპასუხოდ მემამულეებმა შექმნეს საკუთარი ორგანიზაცია და მეზობელ პროვინციებში დაიწყეს შტრაიკბრეხერების შეგროვება. ბრძოლა ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

იტალიის მშრომელებმა პარმელი თანამოძმეების მიმართ სოლიდარობის შესანიშნავი გრძნობა გამოავლინეს. გაფიცულთა დასახმარებლად შეგროვდა 200 ათასი ლირა. ორი მეზობელი ოლქის — ემილიისა და ტოსკანის მშრომელებმა შეიფარეს პარმელი გაფიცულების შვილები. ივნისში იტალიაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მაგრამ, პარმის მოძრაობა მაინც დამარცხდა. ისევე როგორც 1905 წლის სექტემბერში, ახლაც გამოაშკარავდა ანარქო-სინდიკალიზმის სუსტი მხარეები: პოლიტიკური ავანტიურიზმი, მყვირალა ფრაზეოლოგია და სხვ. პარმის მოვლენებმა შეარყია ანარქო-სინდიკალისტების ავტორიტეტი. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს რეფორმისტებმა და 1908 წლის სექტემბერში სოციალისტური პარტიის X ყრილობას (ფლორენციაში) მიაღებინეს რეზოლუცია, რომელიც აცხადებდა, რომ „ანარქო-სინდიკალისტების თეორია და პრაქტიკა შეუთავსებელია სოციალისტური პარტიის პრინციპებსა და მეთოდებთან“, რომ პროლეტარიატის ბრძოლა მიმართული უნდა იყოს პოლიტიკური ძალაუფლების თანდათანობითი დაპყრობისაკენ. ყრილობამ გააკრიტიკა საყოველთაო გაფიცვის მეთოდი და უარყო საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოებში გაფიცვების მოწყობის რეკომენდაციები.

ამრიგად, რეფორმისტებმა კვლავ დაამყარეს სოციალისტურ პარტიაზე საკუთარი, განუყოფელი კონტროლი, გაბატონდნენ პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში და თავის გავლენას დაუმორჩილეს

იტალიის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება — შრომის საყოველთაო კონფედერაცია. რეფორმისტების ხელში აღმოჩნდა, აგრეთვე. პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „ავანტი“.

მაგრამ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის რეფორმისტული პოლიტიკა წინანდებურად იწვევდა მშრომელთა ძირითადი მასისა და რიგითი სოციალისტების წინააღმდეგობას. სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა ჯოლიტის პოლიტიკის კრახის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. მეორე მხრივ, ჯოლიტის „ახალ კურსს“ მტრულ უნდობლობას უცხადებდნენ მსხვილი ბურჟუაზიისა და უმაღლესი კათოლიკური იერარქიის ყველაზე რეაქციული წრეები. „ჯოლიტიანობა“ აღნიშნულ წრეებს „რევოლუციურ“ მოვლენადაც კი მიაჩნდათ. ამასთან გაბატონებული კლასის მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც დასაწყისში მიესალმენ ჯოლიტის პოლიტიკას, შემდეგ მისი უნაყოფობის გამო იმედგაცრუებული დარჩნენ. ჯოლიტის სისტემის უშედეგობა კი სავსებით ნათელი იყო: მასების რევოლუციური მოძრაობა კი არ შესუსტდა. არამედ ყოველნაირად იზრდებოდა და ავლენდა მუდმივ მისწრაფებას — გადაელახა მისთვის მიჩნეული საზღვრები. „საპარლამენტო ბრძოლის „მშვიდობიან ვითარებას“ ხშირად „ნამდვილი სამოქალაქო ომის სცენები“ ცვლიდა (ვ. ი. ლენინი). ამის გამო, აგრესიული პლუტოკრატიის ყველაზე მეამბოხე ელემენტები აშკარად გამოხატავდნენ უნდობლობას ჯოლიტის საშინაო პოლიტიკური ექსპერიმენტების მიმართ.

ცდილობდნენ რა რევოლუციისაგან თავის დაღწევას, იტალიის მმართველი ფენები გაურბოდნენ ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი საშინაო პრობლემების გადაჭრას და ძირითად ყურადღებას აქცევდნენ საერთაშორისო საკითხებს. XIX საუკუნის დასასრულს იტალიის გაბატონებულმა წრეებმა დაიწყო ბრძოლა კოლონიებისა და გავლენის სფეროებისათვის, გააძლიერეს შეიარაღების ტემპები და. ამოიგად, დაადგნენ ერისათვის დამღუპველ აგრესიისა და იმპერიალისტური ომების გზას.

იტალიის იმპერიალიზმს ამ ეტაპზე „მეომრული“ ნაციონალისტების სახით თავისი იდეოლოგები გამოუჩნდა. მათ პირველი მსოფლიო ომის წინ წამოაყენეს ლოზუნგი: „ჩვენი სიღატაკის პრობლემის გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთ იტალიის საზღვრებს გარეთ!“ ეს იყო ყოველგვარი აგრესიის გამართლების ლოზუნგი.

იტალიის იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლა აღინიშნა საგარეო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებებით. თუ XIX საუკუნის ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ბურჟუაზიული იტალიის საგარეო პოლიტიკაში სჭარბობდა ანტიფრანგული განწყობილება და

მთავარი ყურადღება ექცეოდა აფრიკას, ახლა XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე იტალიის იმპერიალიზმის საგარეო ექსპანსიის მთავარი ობიექტი ხდება ადრიატიკა და ბალკანეთი. ამის გამო, წინა პლანზე გამოდის ავსტრია-უნგრეთთან წინააღმდეგობა.)

საგარეო პოლიტიკაში მთავარი მიმართულების ასეთნაირი შეცვლა გამოწვეული იყო როგორც თვით იტალიის იმპერიალიზმის ახალი მოთხოვნილებებით ((განსაკუთრებით გასაღების ბაზრებისათვის), ასევე ამ დროისათვის საერთაშორისო არენაზე მიმდინარე ძირეული ცვლილებებით. ეს უკანასკნელი კი ძირითადად ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის განვითარებიდან გამომდინარეობდა. დროის თვალსაზრისით დამთხვეული ეს ორი გარემოება გადამწყვეტ გავლენას ახდენდა იტალიის მთელ საგარეო პოლიტიკაზე და საზღვრავდა მის ადგილსა და როლს სამთა კავშირში.

ფორმალურად იტალია თითქმის 33 წლის განმავლობაში (1915 წლამდე) იმყოფებოდა გერმანიის ბლოკთან კავშირში. სინამდვილეში კი ცენტრალური იმპერიების საიმედო მოკავშირედ იგი მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისამდე თუ ჩაითვლება. რადგან სწორედ ამ დროიდან იწყებს იტალია ნელ-ნელა, ზიგზაგებით მოკავშირეებისაგან ჩამოცილებას და ეძებს ახალ კავშირებს ყოფილი მოკავშირეების შესაძლებელ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან. ცხადია, ასეთი საჩოთირო კურსი პრაქტიკულად შეუთავსებელი იყო გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მიმართ იტალიის ვალდებულებებთან.

(იტალიის სამთა კავშირისაგან გამოსვლის მთავარი მიზეზი იყო იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის აღმოცენებული და გამწვავებული იმპერიალისტური წინააღმდეგობა (განსაკუთრებით, ადრიატიკასა და ბალკანეთზე) და ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის განვითარება და გაღრმავება. ავსტრია-გერმანიის ბლოკთან იტალიის კავშირების შესუსტებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აგრეთვე, იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის მტრულმა დამოკიდებულებამ ავსტრიასთან კავშირის მიმართ. ცენტრალურ იმპერიებთან კავშირის შესუსტების ერთ-ერთი უშუალო გამოხატულება იყო იტალიის საფრანგეთთან დაახლოება. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, დააჩქარა სამთა კავშირის შემდგომი რღვევა.) ცნობილი იტალიელი დიპლომატი გრაფი ნიგრა, მხედველობაში იღებდა რა იტალია-ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობათა არამყარ ხასიათს, ხშირად აცხადებდა, რომ იტალია და ავსტრია-უნგრეთი შეიძლება იყვნენ ან ჭეშმარიტი მეგობრები, ან შეურიგებელი მტრები. მაგრამ მეზობელ ქვეყნებს „ჭეშმარიტი მეგობრობის“ ობიექტური საფუძველი ცოტა

ჰქონდა, ან სავსებით არ გააჩნდა. სამაგიეროდ შეურიგებელი მტრობის მიზეზები საჭიროზე მეტი არსებობდა.

იტალია და ავსტრია-უნგრეთი ერთმანეთს დაუკავშირდნენ მრავალი წლის გააფთრებული ბრძოლებისა და ურთიერთ სიძულვილის შემდეგ. ორივე ეს ქვეყანა სამთა კავშირში გაერთიანდა მტრული მოგონებებით დატვირთული, უნდობლობითა და პრეტენზიებით აღსავსე. XIX საუკუნის დასასრულს ძველ წინააღმდეგობებს ახალი დაემატა — უფრო ღრმა და შეურიგებელი, მას საფუძვლად ედო იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი კოლონიებისათვის, გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის. იტალია-ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტური დავის უმნიშვნელოვანესი ობიექტი იყო ადრიატიკის ზღვა და ბალკანეთის ნახევარკუნძული. იტალიის მკვეთრი მობრუნება ადრიატიკისა და ბალკანეთისაკენ განაპირობა აფრიკული კოლონიებისათვის ბრძოლაში მძიმე დამარცხებებმა: ტუნისის დაპყრობის იმედები საბოლოოდ დაიკარგა, აბისინიის დამორჩილების ცდები კი სამარცხვინო კრახით დასრულდა. იტალიის ბურჟუაზია ფიქრობდა, რომ ახლომდებარე ადრიატიკის აღმოსავლეთი სანაპიროს დაუფლება შესანიშნავ სტრატეგიულ პოზიციას შეუქმნიდა ხმელთაშუა ზღვაზე, შეამცირებდა იტალიაზე თავდასხმის შესაძლებლობას. იგივე ტერიტორია შეიძლება გადაქცეულიყო მომავალი კოლონიური ავანტიურის დასაყრდენ ბაზად.

იმპერიალისტური იტალიის ბალკანეთით დაინტერესება გამოწვეული იყო გასაღების ბაზრებისადმი მწვავე და სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებით. იტალიელი მონოპოლისტები იმედოვნებდნენ, რომ სწორედ ასეთ ბაზრებს, ახლოს მდებარეს და ტევადს, მოიპოვებდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის აგრარულ ქვეყნებში.

მაგრამ ბალკანეთისაკენ და ევროპული აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა ადრიატიკის ზღვაზე გადიოდა. სწორედ ამიტომ იტალია, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდა ეს ზღვა თავისი კონტროლისადმი დაექვემდებარებინა.

ადრიატიკისა და ბალკანეთის მიმართულებით იტალიის იმპერიალიზმის ექსპანსია შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა ავსტრია-უნგრეთისა და მის ზურგს უკან მდგომი გერმანიის მხრივ. ეს ქვეყნები თვითონ ცდილობდნენ ამ რაიონის დაქვემდებარებას. ამ საფუძველზე იტალიასა და მის მოკავშირეებს შორის მრავალი კონფლიქტი წარმოიშვა. რამაც საბოლოოდ განხეთქილება გამოიწვია სამთა კავშირში.

იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის განსაკუთრებით შეუ-

პოვარი ბრძოლა გაიმართა ალბანეთის გამო. ამ ქვეყანას იტალიის იმპერიალიზმი ადრიატიკის ზღვაზე ბატონობისა და ბალკანეთში შეჭრის მთავარ დასაყრდენ ბაზად თვლიდა. ამრიგად, ალბანეთი გახდა იტალია-ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა მთავარი კვანძი. სწორედ ალბანეთში ბატონობის მოპოვებისათვის მისწრაფებამ წარმოშვა ორ მოკავშირე ქვეყანას შორის ის მწვავე და გაჭიანურებული კონფლიქტი, რომელსაც ვ. ი. ლენინი იმ მნიშვნელოვან იმპერიალისტურ კონფლიქტთა გვერდით აყენებდა, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომი გამოიწვიეს.

იტალიამ ალბანეთისათვის ბრძოლაში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. 1910 წელს იტალიის იმპორტმა ალბანეთში საგრძნობლად გადააჭარბა ავსტრია-უნგრეთის იმპორტს (3.787 ათასი ლირა 1.739 ათასის წინააღმდეგ). ალბანეთში იტალია წარმატებით უწევდა კონკურენციას თავის მოკავშირეს საზღვაო ნაოსნობის დარგშიც. 1908 წელს ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიამ განსაკუთრებით გაამწვავა იტალია-ავსტრიის წინააღმდეგობანი ბალკანეთში. იტალიელმა იმპერიალისტებმა მოკავშირის აგრესიული მოქმედება მიიჩნიეს მათი ბალკანური გეგმების წინააღმდეგ მიმართულ ახალ მუქარად. ამის გამო, იტალიის პარლამენტში და პრესაში გახშირდა მოკავშირის წინააღმდეგ გამოხტომები.

იტალიამ დაიწყო რუსეთთან დაახლოების გზების ძიება. იტალიელები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთი შეაკავებდა ავსტრია-უნგრეთის მისწრაფებას — ხელში ჩაეგდო ბალკანეთის სხვა ტერიტორიებიც. 1909 წლის 24 ოქტომბერს, რაკონიჯის ციხესიმაგრეში რუსეთისა და იტალიის მეფეების შეხვედრისას ხელმოწერილ იქნა საიდუმლო ხელშეკრულება. რუსეთი და იტალია შეთანხმდნენ გაერთიანებული ძალებით გაეწიათ წინააღმდეგობა ბალკანეთში ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიისათვის.

ბალკანეთის პირველ ომში (1912-13) თურქეთის დამარცხებამ პოლო მოუღო ალბანეთში თურქეთის ბატონობას, მაგრამ ალბანეთს, რომელმაც ის-ის იყო გადაიგდო თურქეთის მონობის უღელი, ახალი საშიშროება დაემუქრა: მას ან სხვა სახელმწიფოები გაინაწილებდნენ ერთმანეთში, ანდა მთლიანად ერთ-ერთი დაიპყრობდა. ეს რომ არ მომხდარიყო 1912 წლის 20 დეკემბერს, ელჩთა ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ალბანეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სამთავროდ — „ექვსი სახელმწიფოს გარანტიით". დამოუკიდებელი ალბანეთის შექმნამ არა თუ შეასუსტა, არამედ, პირიქით, უფრო გაამძაფრა იტალია-ავსტრია-უნგრეთის ბრძოლა ამ ქვეყანაში ბატონობისათვის.

ადრიატიკაზე და ბალკანეთის დასავლეთ ნაწილში გაბატონებული მდგომარეობის მისაღწევად გაჩაღებული იტალია-ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტური ბრძოლის პარალელურად, აღორძინებას იწყებს ირედენტიზმი (მოძრაობა იტალიური მიწების განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ავსტრიის ბატონობაში რჩებოდნენ —ტრენტინო და ტრიესტი).

თავის დროზე ირედენტიზმს პროგრესული ხასიათი ჰქონდა და ჭეშიდროდ იყო დაკავშირებული იტალიის დემოკრატიულ და მუშათა მოძრაობასთან. ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ბლოკთან კავშირის გზას რომ დაადგა, იტალიის ბურჟუაზიამ მსხვერპლად გაიღო დემოკრატიული საზოგადოებრიობის ირედენტისტული მისწრაფებანი. ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიასთან კავშირის შენარჩუნების მიზნით, იტალიამ უარი თქვა (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით), ტრენტინოსა და ტრიესტის მიმართ პრეტენზიებზე. სამთა კავშირის არსებობის პირველ პერიოდში იტალიის ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა ირედენტისტების საქმიანობას. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში ავსტრია-უნგრეთთან წინააღმდეგობის გამწვავებასთან დაკავშირებით, იტალიის ბურჟუაზია ცვლის ირედენტიზმთან თავის დამოკიდებულებას. იგი ცდილობს ირედენტისტული ლოზუნგები გამოიყენოს ადრიატიკასა და ბალკანეთში თავისი აგრესიული მისწრაფებების იდეოლოგიური გამართლებისა და შენიღბვისათვის. ამრიგად, ირედენტიზმი გახდა იტალიური იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის იარაღი, ახალი ბაზრებისა და მოქმედების ახალი სფეროს უზრუნველყოფის საშუალება. ამასთანავე იტალიის იმპერიალისტები არ აპირებდნენ თავიანთი მოთხოვნები შეეზღუდათ წინანდელი ირედენტისტული ფორმულით:—„ტრენტინო და ტრიესტი". ავსტრია-უნგრეთის უღლისაგან იტალიური მიწების „განთავისუფლებას" რომ მოითხოვდნენ, ისინი არა მარტო ტრენტინოსა და ტრიესტზე ფიქრობდნენ, არამედ ისტრიის, დალმაციის, ალბანეთისა და სხვა მიწების მიტაცებაზე ოცნებობდნენ.

იტალიის ბურჟუაზიამ თავის აგრესიულ პოლიტიკას „ეროვნული იდეა" დაუკავშირა და ამით ვარაუდობდა მოეპოვებინა ფართო სახალხო მხარდაჭერა.

ავსტრია-უნგრეთის ბლოკისაგან იტალიის ჩამოცილების უმთავრესი მიზეზი გახდა ინგლისსა და გერმანიას შორის არსებული იმპერიალისტური ანტაგონიზმი, რომლის განვითარება იტალია-ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობათა გამწვავებას დაემთხვა.

ინგლისთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება იტალიის საგარეო პოლიტიკის თავისებურ ტრადიციას წარმოადგენდა. იტალია

უაზროდ და შეუძლებლად თვლიდა ინგლისთან ომს. ინგლისი მაშინ გაბატონებული იყო ხმელთაშუა ზღვაზე. ამიტომ, სამთა კავშირის თაობაზე პირველ შეთანხმებას ხელს რომ აწერდნენ, იტალიელმა დიპლომატებმა თავიანთი ახალი მოკავშირეებისაგან მოითხოვეს ხელი მოეწერათ სპეციალურ ოქმზე, რომელიც განმარტავდა, რომ ეს შეთანხმება არ იქნება მიმართული ინგლისის წინააღმდეგ.

ვიდრე ინგლის-გერმანიის ურთიერთობას ნორმალური ხასიათი ჰქონდა და ინგლისი თანამშრომლობდა სამთა კავშირთან საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ, იტალიას შეეძლო შეენარჩუნებინა ინგლისთან მეგობრობა და გერმანიასთან ურთიერთობა. მაგრამ, როცა XIX საუკუნის დასასრულს ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმმა საერთაშორისო ურთიერთობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა, იტალიის საგარეო პოლიტიკის ეს ორმაგი საყრდენი საფუძვლიანად შეირყა და იტალია აღმოჩნდა „იმ ბავშვის როლში, რომლის მშობლები იყრებიან". ამიერიდან იტალია არჩევანის წინაშე დადგა: ან უნდა შეენარჩუნებინა გერმანიასთან კავშირი, ან ინგლისთან კარგი დამოკიდებულება. იტალიამ მეორე გზა აირჩია. ასეთი არჩევანი განაპირობა არა ცალკეული იტალიელი პოლიტიკოსების პირადმა სურვილებმა და შეხედულებებმა, არამედ გეოგრაფიული, ეკონომიური და სტრატეგიული ხასიათის რიგმა ობიექტურმა ფაქტორებმა.

ხმელთაშუა ზღვაზე ძალთა იმქამინდელი შეფარდების დროს ინგლისის წინააღმდეგ გამოსვლა იტალიას ემუქრებოდა ბლოკადით, ზღვისპირა ქალაქების განადგურებით, ფლოტისა და კოლონიების დაკარგვით. გერმანიასა და ინგლისს შორის ომის შემთხვევაში იტალიას პრაქტიკულად არ შეეძლო თავისი მოკავშირის მხარეზე გამოსულიყო. გერმანიის ხელისუფალთათვის, ცხადია, ეს საიდუმლო არ იყო. 1906 წლის მარტში, ვილჰელმ II, ჩვეულებრივ კომენტარს რომ უკეთებდა გერმანელი ელჩის რომიდან მიღებულ ერთ-ერთ მოხსენებას, ასეთ დასკვნამდე მივიდა: „იტალია მხოლოდ მანამდე დარჩება ჩვენთან, სანამ ჩვენ ინგლისის მეგობრები ვიქნებით. როცა ეს აღარ იქნება, იგი გავა სამთა კავშირიდან".

იტალიის გერმანია-ავსტრია-უნგრეთის კავშირისაგან ჩამოშორებას თან ახლდა მისი დაახლოება საფრანგეთთან. იტალია-საფრანგეთის დაახლოება სამთა კავშირში დაწყებული კრიზისის პირდაპირი შედეგი იყო, და შემდეგ ამ კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მანძილზე იტალია-საფრანგეთის ურთიერთობას უკიდურესად მტრული და დაძაბული ხასიათი ჰქონდა. ზოგიერთი თანამედროვის აზრით, ამ პერიოდში საფ-

რანგეთ-იტალიის ურთიერთობა გაცილებით უფრო ცუდი იყო, ვიდრე საფრანგეთ-გერმანიისა. მაგრამ იტალიას ძალა არ შესწევდა ხანგრძლივად ეწარმოებინა ანტიფრანგული პოლიტიკა. იგი მას ძალიან ძვირად უჯდებოდა, ყოველ შემთხვევაში, უფრო ძვირად, ვიდრე საფრანგეთს. წლიდან წლამდე, საფრანგეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციამდე, იტალიის ბიუჯეტს უზარმაზარი დეფიციტი ჰქონდა. ერთი სიტყვით, გერმანიასთან კავშირის ეკონომიური შედეგები იტალიისათვის სავალალო აღმოჩნდა.

ანტიფრანგული პოლიტიკის წარმოებით გამოწვეული ხარჯები უფრო იმიტომ დამძიმდა, რომ იტალიამ ვერ შეძლო კოლონიური შემოსავლებით მისი დაფარვა. იტალიის ბურჟუაზიას კი, როცა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კავშირში ერთიანდებოდა, სწორედ ამის იმედი ჰქონდა. მოხდა პირიქით: დიდი კოლონიური პოლიტიკის სარბიელზე (მაგალითად, აბისინიაში) იტალიას მწარედ მოეცარა ხელი.

საფრანგეთის წინააღმდეგ ეკონომიური ომის გამაჩანაგებელმა შედეგებმა და აბისინიაში კატასტროფამ უფრო მეტად გააძლიერა სამთა კავშირისადმი იტალიის ბურჟუაზიის იმედგაცრუება. ამ გარემოებამ იტალია აიძულა ზურგი შეექცია გერმანიისათვის და ეძებნა საფრანგეთთან შერიგების გზები. ეს ტენდენცია XIX საუკუნის ბოლო წლებში, აბისინიაში კატასტროფისთანავე გამოიკვეთა. 1896 წლის სექტემბერში იტალიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად იტალია ფაქტიურად ცნობდა საფრანგეთის პროტექტორატს ტუნისზე. ორი წლის შემდეგ, 1898 წლის ნოემბერში, გაფორმდა იტალია-საფრანგეთის საეპარო ხელშეკრულება, რომელმაც ბოლო მოუღო ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიურ ომს. დაიწყო იტალია-საფრანგეთის ურთიერთობის სწრაფი გაუმჯობესება. 1900 წლიდან იტალიურმა პრესამ ხელი აიღო საფრანგეთზე თავდასხმებისაგან. 1901 წლის აპრილში იტალიის ესკადრა ოფიციალური ვიზიტით იყო საფრანგეთის ნავსადგურ ტულონში. როგორც საფრანგეთის ელჩი რომში, ბარერი ადასტურებდა, „ამ მომენტისათვის საფრანგეთ-იტალიის დაახლოება უკვე მომხდარი ფაქტი იყო“.

ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაახლოება საბოლოოდ განმტკიცდა 1902 წლის შეთანხმებით, რომელიც გაფორმდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინეტისა და რომში საფრანგეთის ელჩ ბარერს შორის წერილების გაცვლის სახით. ამ შეთანხმებით იტალია ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა „მკაცრი ნეიტრალიტეტი“ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი გახდებოდა „ერთი ან რამდენიმე სა-

ხელმწიფოს მხრივ პირდაპირი ან არაპირდაპირი აგრესიის ობიექტი". 1902 წლის საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკისაგან იტალიის ჩამოშორების გზაზე. 1906 წელს ალხესირასის კონფერენციაზე იტალიამ მხარი დაუჭირა ინგლისსა და საფრანგეთს თავისი მოკავშირის — გერმანიის წინააღმდეგ.

იტალია-ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობანი, ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი და იტალია-საფრანგეთის დაახლოება, ცხადია, არღვევდა სამთა კავშირს. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი—იტალიაში ამ კავშირის არაპოპულარობა, მისადმი იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის მტრული დამოკიდებულება. იტალიელი ხალხი რეაქციულ ცენტრალურ იმპერიებთან, განსაკუთრებით ავსტრიასთან კავშირის დამყარებას აფასებდა როგორც რისორჯიმენტოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტრადიციებისადმი ღალატს და დაუშვებლად თვლიდა ავსტრია-უნგრეთის ბლოკის მხარეზე ომში მონაწილეობას.

ამრიგად, იტალია სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის ძველ მოკავშირეებს. თუმცა ფორმალურად იგი კვლავ სამთა კავშირში რჩებოდა. იტალიელ იმპერიალისტებს ამ ეტაპზე არახელსაყრელად მიაჩნდათ გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან განხეთქილება როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოსაზრებებით. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც იტალიას გერმანია-ავსტრიის ბლოკში აკავებდა, სამხრეთ სლავებთან კონფლიქტი იყო. იტალიელი იმპერიალისტები ადრიატიკის ზღვაზე და ბალკანეთის სანაპიროზე განუყოფელი ბატონობისაკენ რომ მიისწრაფოდნენ, აწყდებოდნენ არა მარტო ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობას, არამედ მათ აგრეთვე უნდა დაეძლიათ სერბების და ამ რაიონში მცხოვრები სხვა სამხრეთსლავური ხალხების წინააღმდეგობა. სამხრეთ სლავები ეროვნული განთავისუფლებისა და ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისაკენ ისწრაფოდნენ და ამისათვის ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ ორ ფრონტზე: თავიანთი ძველი — ავსტრია-უნგრელი მჩაგვრელების წინააღმდეგაც, და მათზე ბატონობის ახალი პრეტენდენტების — იტალიელი იმპერიალისტების წინააღმდეგაც.

ეს უკანასკნელნი სამხრეთ სლავების ეროვნული განთავისუფლების ტრადიციული მტრები იყვნენ და მუდმივ წინააღმდეგობას უწევდნენ ერთიანი სამხრეთსლავური სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარ გეგმებს. რადგან ასეთი სახელმწიფოს შექმნა ადრიატიკასა და ბალკანეთში აღკვეცავდა იტალიის აგრესიულ მისწრაფებებს. ამასთან დაკავშირებით მრავალი იტალიელი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი

თვლიდა, რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სლავური სახელმწიფო გაცილებით უფრო სახიფათო მეტოქე იქნებოდა, ვიდრე ჰაბსბურგების დაჩაჩანაკებული იმპერია.

იტალიის საგარეო პოლიტიკაში ანტისლავური ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა 1912-13 წლების ბალკანეთის ომების პერიოდში, როცა მომძლავრებულმა სერბეთმა ადრიატიკის ზღვაზე გასვლის მოთხოვნა წამოაყენა. იტალია ავსტრია-უნგრეთთან ერთად გადაჭრით გამოვიდა სერბების სამართლიანი მოთხოვნის წინააღმდეგ. სწორედ ამ ანტისლავურ საფუძველზე მოხდა იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის რამდენადმე დაახლოება. მაგრამ ეს დაახლოება ძალზე არამყარი აღმოჩნდა.

ამავე დროს იტალია-თურქეთის ომთან დაკავშირებით თავი იჩინა საფრანგეთთან წინააღმდეგობის ახალმა გამწვავებამ, რაც, თავის მხრივ, დასუსტებულ იტალიას ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ბლოკთან დაახლოებისაკენ უბიძგებდა.

იტალიის იმპერიალიზმის საგარეო ბაზრებისა და ნედლეულის იაფი წყაროებისადმი მზარდმა მოთხოვნილებამ და იტალიის მმართველი წრეების მისწრაფებამ — თავი დაეღწიათ შინაური სიძნელეებისათვის, იტალიის საგარეო პოლიტიკას ფრიად აგრესიული ხასიათი მისცა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა იტალია-თურქეთის ომთან დაკავშირებით.

პირველი მსოფლიო ომის წინ იტალიის იმპერიალიზმის ექსპანსია ვითარდებოდა სამი ძირითადი მიმართულებით: ადრიატიკისა და ბალკანეთის, აფრიკისა და მცირე აზიის. ძირითად ყურადღებას ადრიატიკასა და ბალკანეთს უთმობდნენ, მაგრამ იტალიელი იმპერიალისტები ამასთანავე, ვარაუდობდნენ განეახლებინათ აფრიკაში კოლონიურ მიტაცებათა პოლიტიკა, რომელიც დროებით შეწყვიტა აბისინიაში კატასტროფამ. XIX საუკუნის ბოლოს იტალიელებმა შეიმუშავეს ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის (ჩრდილოეთ აფრიკის ორი ვრცელი ოლქი) ხელში ჩაგდების გეგმები. აღნიშნული ოლქები თურქეთს ეკუთვნოდა. იტალიელი იმპერიალისტების ყურადღებას ეს ტერიტორიები, უწინარეს ყოვლისა, ხელსაყრელი სტრატეგიულ-მდებარეობით იქცევდნენ: მათი დაპყრობით იტალიის იმპერიალიზმი ვარაუდობდა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და შეექმნა საწყისი ბაზა შემდგომი ექსპანსიისათვის. ამასთან, ისინი იმედოვნებდნენ, რომ აქ მოიპოვებდნენ თავისუფალ ბაზრებს და ხელსაყრელ ნიადაგს კაპიტალის სარგებლიანი დაბანდებისათვის.

ფრიად მნიშვნელოვანი როლი ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის

მიტაცების მომზადებაში შეასრულა რომის ბანკმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვატიკანთან. 1880 წელს დაარსებული რომის ბანკი XX საუკუნის დასაწყისში იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი ბანკი გახდა: 1912 წელს მისმა კაპიტალმა 200 მილიონ ლირას მიაღწია, ხოლო წლიურმა კაპიტალბრუნვამ 35 მილიარდ ლირას გადააჭარბა. რომის ბანკმა განსაკუთრებით აქტიური საქმიანობა გაიჩაღა ხმელთაშუა ზღვის აუზში. 1907 წელს მან ტრიპოლიში თავისი ფილიალი შექმნა, და სულ მალე ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის მთელი ეკონომიური ცხოვრება მის კონტროლს დაექვემდებარა. ბანკი თავის ფინანსურ ექსპანსიას მჭიდროდ უკავშირდება იტალიის მთავრობის მტაცებლურ პოლიტიკას.

იმ დროს, როცა რომის ბანკი და მასთან დაკავშირებული იტალიის კოლონიური წრეები აფრიკაში თურქეთის პროვინციების ეკონომიურ დაკაბალებას ახორციელებდნენ, იტალიის მთავრობა საგულდაგულო დიპლომატიურ მომზადებას აწარმოებდა ამ პროვინციების ხელში ჩასაგდებად და ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ დიდ სახელმწიფოებს ეცნოთ მისი აგრესიული პრეტენზიები. საბოლოოდ საიდუმლო დიპლომატიური მაქინაციებით იტალიამ მოახერხა თანხმობა მიეღო როგორც თავისი მოკავშირეების, ისე ანტანტის სახელმწიფოებისაგან. 1911 წლის შემოდგომაზე, ისარგებლა რა იმით, რომ ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია დაკავებულნი იყვნენ მაროკოს კონფლიქტით, იტალიამ გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი აგრესიული განზრახვა.

1911 წლის 28 სექტემბერს იტალიის მთავრობამ თურქეთს წაუყენა უაღრესად თავხედური ულტიმატუმი და მოსთხოვა დათანხმებულიყო იტალიის ჯარების მიერ ტრიპოლიტანიის ოკუპაციაზე. მოთხოვნა მოტივირებული იყო იმით, რომ თურქეთის გამგებლობაში ტრიპოლიტანია თურმე „უწესრიგობისა და უპატრონოდ მიტოვებულის“ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იტალიას არ შეეძლო ამის მოთმენა, რადგან „ეს ტერიტორია უმნიშვნელო მანძილით იყო დაშორებული იტალიის სანაპიროებიდან“. პასუხისათვის განსაზღვრული იყო 24 საათი. მეორე დღეს, თურქეთის პასუხის შემრიგებლური ტონის მიუხედავად, იტალიამ ომი გამოუცხადა თურქეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის წარმატებები ამ ომში არცთუ ისე თვალსაჩინო იყო. თურქეთის ჯარების წინააღმდეგობა საკმაოდ მალე იქნა დათრგუნული და 1912 წლის ოქტომბერში თურქეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ზავზე, რომლის თანახმადაც იგი ფაქტიურად ხელს იღებდა იტალიის სასარგებლოდ ტრიპოლიტანიასა და კირენაიკაზე. მაგრამ ადგილობრივი არაბული მოსახლეობა

გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევდა იტალიელ დამპყრობლებს. ამის გამო აფრიკაში ომი წლების მანძილზე ჭიანურდებოდა. ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით აუძლურებდა იტალიას, ამწვავებდა მის საშინაო მდგომარეობას და ასუსტებდა მის საერთაშორისო პოზიციას. ამ ეტაპზე კვლავ გამწვავდა საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა. 1902 წელს დადებული ხელშეკრულების შემდეგ პირველ ათწლეულში იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა ასე თუ ისე ნორმალურად ვითარდებოდა, მაგრამ იგი მკვეთრად გაუარესდა ლიბიის ომის შემდეგ (იტალიურ ლიტერატურაში იტალია-თურქეთის ომს ჩვეულებრივ ლიბიის ომს უწოდებენ. ლიბია ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის ძველი რომაული სახელწოდებაა). ფრანგები, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1900 წელს დათანხმდნენ იტალიის მიერ ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის დაპყრობაზე. მაგრამ მათ, ცხადია, არ სურდათ მეზობელი ქვეყნის უზომო გაძლიერება ხმელთაშუა ზღვაზე. იტალიელი იმპერიალისტები კი, თურქეთთან ომი რომ გააჩაღეს, როდი შემოიზღუდნენ მხოლოდ ლიბიის დაპყრობით, ისინი ისწრაფოდნენ ხელი მიეწვდინათ ეგეოსის ზღვის კუნძულებისა და მცირე აზიის სანაპიროებისათვისაც.

ფრანგმა იმპერიალისტებმა სამართლიანად განსაზღვრეს, რომ იტალიელი მეტოქის მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათს უაღრესად მნიშვნელოვან პოზიციებს თურქეთში და, საერთოდ, პოლიტიკურ წონასწორობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ შეეზღუდათ იტალიის აგრესიული აქტივობა ამ რაიონში.

ლიბიის ომის მსვლელობაში საფრანგეთს იტალიის მიმართ არაკეთილსასურველი პოზიცია ეკავა და თანაუგრძნობდა თურქეთს. 1912 წლის იანვარში იტალიელებმა ხელთ იგდეს და გაჩხრიკეს ორი ფრანგული გემი „კართაგენი“ და „მანუბა“, რომლებსაც, როგორც გამოირკვა, თურქეთისათვის მაშველი ჯარის ნაწილები გადაჰყავდათ. ამასთან დაკავშირებით იტალია მოიცვა ანტიფრანგულმა განწყობილებამ. არც საფრანგეთი დარჩენილა ვალში. გაჩაღდა გაცხარებული პოლემიკა, რომელსაც თან ახლდა ურთიერთ მუქარა და შეურაცხყოფა. რუსეთის ელჩი იზვოლსკი პარიზიდან იტყობინებოდა, რომ „ამ ინციდენტმა სავსებით მოსპო საფრანგეთისა და იტალიის დიპლომატიის მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგები, მიმართული ორი მონათესავე ერის დაახლოების სასარგებლოდ“.

ხმელთაშუა ზღვაზე საფრანგეთთან გამწვავებულმა წინააღმდეგობებმა აიძულა იტალია კვლავ დაახლოებოდა თავის ძველ მო-

კავშირეებს. სწორედ ამ საფუძველზე მოხდა სამთა კავშირის დროებითი განმტკიცება 1912—1913 წლებში.

ლიბიის ომმა იტალიაში ხანგრძლივი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ფორმალური ზავის მიუხედავად, ომი, რომელმაც 1.300 ათასი ლირა შთანთქა, ჭიანურდებოდა და სულ ახალ-ახალ მსხვერპლსა და ხარჯს მოითხოვდა. განსაკუთრებით საშინში ვითარება შეიქმნა კირენაიკაში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ პარტიზანული ომი გააჩაღა და 1914 წლის გაზაფხულზე დამპყრობლებს მთელი რიგი მძიმე დამარცხებები აგემა.

იტალიის მთავრობა იმპერიალისტების ნებას ასრულებდა, კოლონიური ავანტიურების ხარჯები კი მშრომელებს დაეკისრათ. იზრდებოდა გადასახადები, ძვირდებოდა პური, ხორცი და პირველი მოთხოვნილების სხვა პროდუქტები. ეკონომიურმა კრიზისმა და მასობრივი უმუშევრობის ზრდამ გამოიწვია ემიგრაციის გაძლიერება, რომელმაც 1913 წელს სარეკორდო რიცხვს (873 ათასი კაცი) მიაღწია. ომით გამოწვეული ეკონომიური კრიზისი უფრო აძლიერებდა ხალხთა მასების სიღატაკეს, ბადებდა შეშფოთებისა და მომავლისადმი უიმედობის გრძნობას, აღვივებდა სიძულვილს გაბატონებული კლასებისა და მთავრობისადმი. მშრომელთა აღშფოთება გამოხატულებას პოულობდა მრავალრიცხოვან გაფიცვებსა და საპროტესტო დემონსტრაციებში. ხალხის სამართლიან მოთხოვნებს მმართველი წრეები უხეში რეპრესიებით უპასუხებდნენ. 1913 წლის ნოემბერში კარარის მარმარილოს სარეწების მფლობელებმა გაფიცვის საპასუხოდ 12 ათასი მუშა დაითხოვეს.

აფრიკის ომით გამოწვეული მძიმე ეკონომიური შედეგების ნიადაგზე იტალიაში წარმოიშვა ღრმა და გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც იტალიის საზოგადოებრიობის ყველა ფენა მოიცვა. შხსი მთავარი ნიშნები იყო: კლასობრივი ბრძოლის საერთო აღმავლობა და ძალთა გადაჯგუფება მმართველ წრეებში. იტალიის სოციალისტური პარტიისათვის ლიბიის ომი სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა. რიგითმა სოციალისტებმა ღირსეულად ჩააბარეს ეს გამოცდა. ისინი შოვინისტური ციებ-ცხელების ანკესზე არ წამოეგნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ იმპერიალისტების კოლონიურ პოლიტიკას. რაც შეეხება პარტიის ხელმძღვანელებს, მათ შორის თავი იჩინა იდეურმა უთანხმოებამ, მერყეობამ, ზოგჯერ კი აშკარა ღალატმა. მემარჯვენე რეფორმისტები იცავდნენ და მხარს უჭერდნენ მმართველი წრეების იმპერიალისტურ პოლიტიკას.

მემარჯვენე რეფორმისტებთან ერთად ლიბიის ომს მხარს უჭერდნენ ანარქო-სინდიკალისტები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კოლონი-

ური მტაცებლობა ხელს შეუწყობს კაპიტალიზმის განვითარებას, ეს კი, თავის მხრივ, საჭირო ეკონომიურ პირობებს შეექმნის „უმაღლეს“ საზოგადოებრივ წყობაზე გადასასვლელადო. ამიტომ გასაკვირი რაოდენ, რომ სინდიკალიზმის ბევრი ლიდერი ნაციონალიზმის ბანაკში გადაბარგდა.

ამავე პერიოდში იტალიის სოციალისტურ პარტიაში თავი იჩინა კრიზისმა. ომისადმი დამოკიდებულების საკითხმა წარმოშვა უთანხმოება პარტიულ მასასა და ზოგიერთ სოციალისტ ლიდერს შორის.

რიგითი სოციალისტები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაერიცხათ პარტიიდან ომის მომხრე ყველა რენეგატი. სოციალისტური პარტიის რეჯო-ემილიაში გამართულ XIII ყრილობაზე (1912 წლის 7—10 ივლისი) ხმის დიდი უმეტესობით ბისოლატი, ბონომი და მემარჯვენე რეფორმისტების ზოგიერთი სხვა ლიდერი პარტიიდან გარიცხეს. მეთაურებთან ერთად პარტიიდან გავიდნენ სხვა დანარჩენი მემარჯვენე რეფორმისტებიც. მათ დააარსეს თავიანთი პარტია, რომელსაც „სოციალისტური რეფორმისტული პარტია“ უწოდეს.

სოციალისტური პარტიის გაყოფას ვ. ი. ლენინი აუცილებელ და სასარგებლო საქმედ მიიჩნევდა. გარიცხა რა თავის რიგებიდან ჯერ ანარქო-სინდიკალისტები, ხოლო შემდეგ მემარჯვენე რეფორმისტები, პარტია „სწორ გზას დაადგა“.

პარტიიდან აშკარა შემთანხმებლების გარიცხვამ მძიმე დარტყმა მიაყენა ჯოლიტის „სისტემას“. სოციალისტური პარტიისაგან ჩამოშორებული „ჯოლიტის მეგობართა“ ჯგუფი „გამხმარ რტოდ“ (გრამში) გადაიქცა. მისი გავლენა მუშათა კლასზე უმნიშვნელო იყო, და, არსებითად, რეფორმისტული პარტია უპირატესად წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის პარტია გახდა.

მემარჯვენე რეფორმისტებთან გამიჯვნით იტალიის სოციალისტურმა პარტიამ დაადასტურა თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება იმპერიალისტური ომების პოლიტიკისადმი. პარტიის ომის საწინააღმდეგო პოზიცია ხელს უწყობდა მშრომელთა შორის მისი გავლენის ზრდას და იტალიაში სოციალისტური მოძრაობის საერთო აღმავლობას. მაგრამ იტალიის სოციალისტური პარტია ამ ეტაპზე არ წარმოადგენდა თანმიმდევრულ რევოლუციურ პროლეტარულ პარტიას. ოპორტუნიზმთან ბრძოლა ბოლომდე არ იყო მიყვანილი. პარტიაში ისევ დარჩა ე. წ. მემარცხენე რეფორმისტების მნიშვნელოვანი ჯგუფი ტურატის მეთაურობით. აღნიშნული ჯგუფი ფაქტიურად პარტიის პარლამენტარული ფრაქციის ბატონ-პატრონი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა შრომის საყოველთაო კონფედე-

რაციის ხელმძღვანელ ორგანოებში. პარტიის [illegible] ხელმძღვანელებს—მათ შორის საუკეთესოებსაც კი, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი მასებთან და ბურჟუაზიისადმი ყველაზე ღრმა სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი, არ ჰქონდათ სათანადო თეორიული და პოლიტიკური მომზადება. პარტიის მდივანი ლაძარი მალე ცენტრიზმის პოზიციებზე დაეშვა. სერიოზული პოლიტიკური შეცდომები დაუშვა, აგრეთვე, პარტიის მეორე გამოჩენილმა მოღვაწემ — სერატიმ. რეჯო ემილიას ყრილობის შემდეგ პარტიის ერთ-ერთი ცენტრალური ორგანოს „ავანტის“ რედაქტორი გახდა მუსოლინი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა.

იდეოლოგიური და პოლიტიკური სისუსტე, ოპორტუნიზმისადმი შეშფოთებულობა, პოლიტიკურად მოუმწიფებელი და მერყევი ხელმძღვანელობა სოციალისტურ პარტიაში იწვევდა მერყეობასა და გადახრებს, ხელს უშლიდა მას უნარიანად ეხელმძღვანელა მშრომელთა ბრძოლისათვის.

თურქეთთან ომის ერთ-ერთი მთავარი შინაპოლიტიკური შედეგი იყო ნაციონალიზმის გაძლიერება. ლიბიის ომამდე იტალიური ნაციონალიზმი წარმოდგენილი იყო ლიტერატორთა და სოციალიზმისაგან განდგომილთა—უმეტესად სინდიკალისტთა—მცირე უდღეური ჯგუფის სახით. პირველად ნაციონალისტები ხმამაღლა ალაპარაკდნენ 1908 წლის შემოდგომაზე, როცა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიის გამო იტალია მოიცვა აღშფოთებამ. 1910 წლის დეკემბერში ფლორენციაში გამართულ კონგრესზე დაფუძნებულ იქნა ნაციონალისტური ასოციაცია. 1911 წლის 1 მარტიდან ნაციონალისტებმა დაიწყეს საკუთარი ყოველკვირეულის გამოცემა. ფლორენციის კონგრესზე მიიღეს პირველი ნაციონალისტური პროგრამა, რომელიც მოუწოდებდა იტალიის სამხედრო გაძლიერებისა და ახალი კოლონიების დაპყრობისაკენ. ამ პროგრამის შესაბამისად ნაციონალისტებმა გააჩაღეს გაშმაგებული კამპანია ლიბიის მიტაცებისათვის, გულმოდგინედ ეხმარებოდნენ რომის ბანკის პატრონებსა და მთავრობას, სწორედ ლიბიის ომის პერიოდში ყალიბდება საბოლოოდ ნაციონალისტთა მოძრაობის ხასიათი და ზუსტდება მისი პროგრამა.

ნაციონალისტების საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდა იმპერიალისტური მძარცველური ომების გამართლება და ხოტბა. ომს ისინი თვლიდნენ „სოციალური ორგანიზმის განმაახლებელ“ ძალად, უპირისპირებდნენ მას მშვიდობას, რომელიც მიაჩნდათ „კონსერვა-

ტიულ“ ძალად. ნაციონალისტი პროპაგანდისტები ქადაგებდნენ, რომ კაცობრიობის მთელი პროგრესი, ისე როგორც ცალკეული ინდივიდუუმის განვითარება, აგრესიულ ომს ეფუძნება. ნაციონალისტები მოითხოვდნენ „დიდი იტალიის“, „ახალი იმპერიის“ შექმნას, რომელშიც მათ მოურიდებლად შეჰყავდათ ტრიესტი და დალმაცია, ტუნისი და ტრიპოლი, მალტა და კორსიკა, ნიცა და სავოია, ამასთან, როგორც ნაციონალისტთა ერთ-ერთი იდეოლოგი ენრიკო კორადინი განმარტავდა, ამ ქვეყნებში მხოლოდ იტალიური კულტურა უნდა განვითარებულიყო.

აგრესიული პოლიტიკის იდეოლოგიური გამართლების მიზნით, ნაციონალისტებმა წამოაყენეს „პროლეტარული ერის“ თეორია. „საცოდავ იტალიას“ ისინი გამოხატავდნენ როგორც „დიდ პროლეტარს“, პლუტოკრატიული ერების ტირანიით შევიწროებულსა და განაწამებს. ნაციონალისტები თავიანთ თანამოაზრეებს მოუწოდებდნენ მუშა-სოციალისტებისაგან ესწავლათ დამცირების წინააღმდეგ ბრძოლა. ნაციონალისტები თავგამოდებით იღვწოდნენ იმისათვის, რომ იტალიას ჰქონოდა „თავისი ომი“. „საკუთარი ომის გარეშე, — ირწმუნებოდა კორადინი, — ჩვენ საბოლოოდ თიხის ქოთნის როლს შევასრულებთ რკინის ქოთნის გვერდით“.

საშინაო პოლიტიკის დარგში ნაციონალისტები რეაქციულ პოზიციაზე იდგნენ. ისინი აშკარად აცხადებდნენ თავს მოქალაქეობრივ თავისუფლებათა, დემოკრატიის, სოციალიზმისა და თვით ბურჟუაზიული ლიბერალიზმის შეურიგებელ მტრებად, თავგამოდებით იბრძოდნენ ძლიერი და უკონტროლო აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. ნაციონალისტები ამტკიცებდნენ, რომ კოლონიური პოლიტიკის წარმოების დროს ხალხის თავისუფლება დაბრკოლებაა; აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმატებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს „ქვეყნის საშინაო ცხოვრების ორგანიზაცია და მოწესრიგება“. სწორედ ამიტომ ნაციონალისტები თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდნენ „დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების გამხრწნელ ტენდენციებთან“ ბრძოლას. მილიტარიზმის პროპაგანდის და მოსახლეობაში შოვინისტური განწყობილებების დანერგვის მიზნით ნაციონალისტები ითხოვდნენ ძირეულად შეეცვალათ სწავლა-განათლებისა და აღზრდის სისტემა, გაენადგურებინათ „ლაჩრული მორალით“ გამსჭვალული ძველი წიგნები და შეეცვალათ ისინი ომისა და იმპერიალიზმის სულისკვეთებით აღსავსე ახალი ნაწარმოებებით.

გასაგებია, რომ ნაციონალისტები განსაკუთრებული სიძულვილით იყვნენ შეპყრობილნი სოციალიზმისა და პროლეტარიატის მიმართ,

ცილს სწამებდნენ და ლანძღავდნენ სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობას. მუშათა მოძრაობისადმი, სოციალიზმისა და დემოკრატიისადმი მტრობამ ნაციონალისტები იტალიის მმართველი კლასის ყველაზე რეაქციულ დაჯგუფებებთან,უწინარეს ყოვლისა, კლერიკალებთან და მემარჯვენე ლიბერალებთან დააახლოვა.

„ძლიერი და თამამი“ საგარეო პოლიტიკის აგიტაციას რომ აწარმოებდნენ, ნაციონალისტები თავს არიდებდნენ გადმოეცათ თავიანთი საგარეო პოლიტიკური მიზნების კონკრეტული ფორმულირებები. მაგრამ, როგორც გრამში აღნიშნავდა, მათი მთავარი მიმართულება საგარეო პოლიტიკის დარგში ანტიფრანგული იყო.

საერთოდ, ნაციონალისტების პროგრამა იტალიის იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული და ავანტიურისტული ჯგუფების ინტერესებსა და მისწრაფებებს უპასუხებდა და იტალიის ფინანსური კაპიტალის ახალ იმპერიალისტურ მოთხოვნებს ამართლებდა. ნაციონალიზმის სახით იტალიელი ხალხი ყველაზე საშიშ მტერს შეეჯახა. მომდევნო პერიოდში ნაციონალიზმის რეაქციული და აგრესიული იდეოლოგია მთლიანად გადაიღეს ფაშისტებმა; 1923 წელს ფაშისტები ნაციონალისტების პარტიას შეუერთდნენ. ნაციონალიზმის ბევრი ლიდერი (ფედერციონი, როკა, ვოლპი და სხვები) იტალიის ფაშიზმის გამოჩენილი მესვეური გახდა.

როგორც აღინიშნა, იტალიის ბურჟუაზიის ყველაზე შორსმჭვრეტელ ლიდერებს ესმოდათ, რომ მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის დათრგუნვა და სოციალისტური მოძრაობის განვითარების შეჩერება მხოლოდ რეპრესიების საშუალებით შეუძლებელი იყო. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ რეპრესიების პოლიტიკის შერწყმას უმნიშვნელო რეფორმებისა და დათმობების პოლიტიკასთან.

1911 წლის გაზაფხულზე, ლიბიის ომის წინ, ჯოლიტიმ წინადადება წამოაყენა განეხორციელებინა ზოგიერთი საშინაო რეფორმა, უწინარეს ყოვლისა საარჩევნო უფლების რეფორმა. ასეთი რეფორმის საჭიროება დიდი ხანია მომწიფებული იყო. იტალიაში მოქმედებდა მოძველებული და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული საარჩევნო სისტემა. ხმის უფლებით მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობდა. მაგალითად, ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა წერა-კითხვის არც ერთ უცოდინარს. იტალია კი მასობრივი უწიგნურობის ქვეყანა იყო. 1909 წელს 21 წელს გადაცილებულ 9 მილიონ მამაკაცში ამომრჩეველი იყო მხოლოდ 2. 930 ათასი, ე. ი. დაახლოებით 30 პროცენტი. საარჩევნო ოლქების საზღვრები დიდი ხნის გადაუსინჯავი იყო. არჩევნები მიმდინარეობდა ელემენტარული

სამოგალაკო წესების უსეში დარღვევების, ტერორისა და მოსყიდვის ვითარებაში. დეპუტატები გასამრჯელოს არ იღებდნენ.

შორსმჭვრეტელ ბურჟუაზიულ მოღვაწეებს საარჩევნო უფლების გაფართოება კაპიტალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საშუალებად მიაჩნდათ. ამ აზრისა იყო ჯოლიტიც, როცა საარჩევნო რეფორმას ითხოვდა. მისი მიზანი იყო იტალიის ბურჟუაზიული სახელმწიფოს მდგომარეობის განმტკიცება, ქვეყნის სოციალური ბაზის გაფართოება და უკიდურესად რეაქციული ჯგუფების დიქტატორული პრეტენზიების რამდენადმე ალაგმვა. იგი ვარაუდობდა, აგრეთვე, რომ საყოველთაო-საარჩევნო უფლებებით და სახელმწიფო დაზღვევის „სოციალისტური" კანონით შეასუსტებდა სოციალისტების ოპოზიციას და წაახალისებდა იმათ, ვინც მხარს უჭერდა კლასთა თანამშრომლობას.

ახალი საარჩევნო კანონი შემოიღეს 1912 წლის ზაფხულში. საარჩევნო ხმის უფლება მიეცა 30 წელს მიღწეულ ყველა მამაკაცს. 21-დან 30 წლამდე ასაკის — ყველა წერა-კითხვის მცოდნეს და იმ წერა-კითხვის არმცოდნეს, ვინც სამხედრო ვალდებულება მოიხადა. რეფორმის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა.

საარჩევნო რეფორმა, ისე როგორც ჯოლიტის მთავრობის სხვა დათმობები, რა თქმა უნდა, არსებით გავლენას არ ახდენდა არსებული წყობილების თვით საფუძვლებზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება უარვყოთ საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღების გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციულ წრეებს და უმაღლეს კათოლიკურ იერარქიას საარჩევნო რეფორმა და „ჯოლიტიანობის" სხვა გამოვლინებანი მეტისმეტად სახიფათოდ მოეჩვენათ.

ჯოლიტის საარჩევნო რეფორმამ ვერ გაამართლა იმედები. 1913 წლის ოქტომბერში ახალი კანონის საფუძველზე ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა მმართველ კლასებს იმედი გაუცრუა. სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც ამ არჩევნებში „მახვილის რეჟიმის, პოლიციის ყოვლისშემძლეობის, ეკლესიის ძალადობისა" და „საძულველი ომის" წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით გამოდიოდა, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა: მან ორჯერ გაზარდა თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში (25-დან 52 დეპუტატამდე): ამასთან, სოციალისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა 1909 წლის არჩევნებთან შედარებით თითქმის 2.5-ჯერ გაიზარდა (339 ათასიდან 828 ათასამდე), სოციალისტებს განსაკუთრებით დიდი

წარმატება სვდათ ჩრდილოეთ იტალიის სამრეწველო ცენტრებში. მილანოსა და ტურინში სოციალისტებმა ყველა ხმის 45 პროცენტი მიიღეს.

სოციალისტების წარმატება უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ მათ წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტით გამოდიოდნენ თითქმის ყველა ბურჟუაზიული პარტია და კლერიკალები. ამიერიდან ჯოლიტის სოციალისტური პარტიის მხარდაჭერის იმედი აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა, ამიტომ მან მკვეთრად მოაბრუნა სამოქმედო გეზი; მუშათა პრივილეგიურ ფენასთან ბურჟუაზიის ბლოკი ჯოლიტიმ კლერიკალებთან ბურჟუაზიის კავშირით შეცვალა. თავის მხრივ ვატიკანი სიამოვნებით შეეგება ასეთ კავშირს. რადგან იგი მიმართული იყო მუშათა კლასისა და სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

საარჩევნო კამპანიაში კლერიკალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. წინასაარჩევნო ბრძოლაში ისინი მოხერხებულად იყენებდნენ მასობრივ კათოლიკურ ორგანიზაციებს, პირველ რიგში კათოლიკურ პროფკავშირებს. შეურიგებელ კლერიკალებს ამომრჩევლების მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდათ, ამიტომ ვატიკანის აგენტებმოუწოდებდნენ ამომრჩევლებს ხმა მიეცათ „ზომიერი“ დეპუტატებისათვის, რათა შემდეგ მათთან ერთად გამოსულიყვნენ მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ.

იტალიაში მიმდინარე არჩევნების დროს თვალსაჩინო გახდა „უკიდურეს მემარცხენეთა“ (სოციალისტები) და „უკიდურეს მემარჯვენეთა“ (კლერიკალები და ნაციონალისტები) გაძლიერების ფაქტი. მმართველი ზედაფენები, რასაკვირველია, ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ სოციალისტების წარმატებებით, ამიტომ ნაკლებად ახარებდათ უკიდურეს მემარჯვენე დაჯგუფებათა რამდენაღმე გაძლიერება. არ გამართლდა მათი იმედები ახალი დეპუტატების „კეთილგონიერებასა“ და „ზომიერებაზე“. ამ გარემოებამ დააჩქარა ჯოლიტიანური სისტემის აღსასრული.

ჯოლიტის ზურგი შეაქციეს ყველაზე აგრესიულმა იმპერიალისტურმა ჯგუფებმა. ისინი თვლიდნენ, რომ მათ ავანტიურიზმსა და აგრესიულობას უფრო მეტად შეესაბამებოდა ნაციონალიზმი, ვიდრე ჯოლიტიზმი და დრომოჭმული ლიბერალიზმი. სწორედ ეს გახდა ჯოლიტისა და მისი სისტემის დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მეორე მხრივ, უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ჯოლიტისა და მის თანამოაზრეებს სოციალისტური პარტიისა და მუშათა კლასის მხრივ მხარდაჭერის არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

სოციალისტური პარტიის „გადაბირების“ ცდაში მარცხი რომ

განიცადა და ახალი პლუტოკრატიის მხრივ პოლიტიკურ უნდობლობას რომ შეეჯახა. ჯოლიტი იძულებული გახდა უარი ეთქვა ხელმძღვანელობაზე. ისარგებლა რა უმნიშვნელო საბაბით, 1914 წლის 10 მარტს ჯოლიტი გადადგა.

ჯოლიტიანური სისტემის კრახი ლიბიის ომის უშუალო შედეგი იყო. იგი, თავის მხრივ, შემობრუნების პუნქტი გახდა იტალიის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. კოლონიურმა ომმა აფრიკაში დაარქარა აგრესიული იმპერიალიზმისა და ნაციონალიზმის წინაშე იტალიური ლიბერალიზმის საბოლოო კაპიტულაცია. სწორედ აქედან დაიწყო ის „სამწუხარო გზა", რომელმაც იტალია ჯერ მსოფლიო ომამდე. ხოლო შემდეგ ფაშიზმამდე მიიყვანა.

გადადგომისას ჯოლიტიმ ურჩია მეფეს ხელისუფლების სათავეში მოეწვია მემარჯვენე ლიბერალების ლიდერი სონინო. მაგრამ სონინომ უარი განაცხადა. ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას შეუდგა სახელმწიფო სამართლის პროფესორი, ადვოკატი ანტონიო სალანდრა. სალანდრამ თავი გამოიჩინა როგორც სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის დაუძინებლმა მოწინააღმდეგემ. იგი ყოველთვის გამოდიოდა მშრომელთა მიმართ დათმობის, კერძოდ, შრომის პალატის დაარსების, სამუშაო დროის განსაზღვრისა და სახელმწიფო დაზღვევის კანონის წინააღმდეგ. 1913 წლის საარჩევნო კამპანიის დროს მან განაცხადა, რომ ლიბერალიზმი არ დაუშვებს არავითარ ურთიერთობას სოციალიზმთან. სამაგიეროდ, სალანდრა ლიბერალიზმსა და კლერიკალიზმს შორის მჟიდრო თანამშრომლობის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე იყო.

საგარეო პოლიტიკაში ახალი პრემიერი სრულ. სოლიდარობას უცხადებდა ნაციონალისტებს, მოუწოდებდა არ დაკმაყოფილებულიყვნენ ლიბიის დაპყრობით და გაეფართოებინათ იტალიის კოლონიური სამფლობელოები.

თავისი პერსონალური შემადგენლობით 21 მარტს დამტკიცებული სამინისტრო ახალი წინამორბედისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. რომის დიპლომატიურ და ჟურნალისტურ წრეებში მიაჩნდათ, რომ ახალი მთავრობა დიდხანს ვერ იბოგინებდა, ამიტომ ჯოლიტის მალე დაბრუნებას წინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ხელისუფლებას ჯოლიტი მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დაუბრუნდა. სწორი არ იყო თანამედროვეთა ის ერთსულოვანი აზრიც, თითქოს სალანდრას კაბინეტი ჯოლიტის სამინისტროს მხოლოდ „გაგრძელება" იქნებოდა. თვით სალანდრა კი — თავისი წინამორბედის „ზრახვათა აღმსრულებელი". სინამდვილეში სალანდრას ხელისუფლების სათავეში ჩა-

დგომა ნიშნავდა სერიოზულ გადახრას მარჯვნივ, აშკარა რეაქციის მხარეზე.

სალანდრას მთავრობას იტალია უაღრესად რთულსა და მძიმე მდგომარეობაში დახვდა. ეკონომიური კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. კოლონიური ომის გამაჩანაგებელი შედეგები ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული. საჭირო იყო ახალი სახსრების გამოძებნა სამხედრო ხარჯების დასაფარავად. დასახული იყო გადასახადების შემდგომი გადიდება. იზრდებოდა ხალხის ფართო მასების უკმაყოფილება. შეიქმნა რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვის საფრთხე. ემილიაში უკიდურესად დაიძაბა კონფლიქტი გლეხებსა და მსხვილ მიწათმფლობელთა შორის. ერთი სიტყვით, გამძაფრდა ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი. ახალ მთავრობას არ გააჩნდა კრიზისის დაძლევის ან შენელების უნარი. პირიქით, თავისი უხეში რეაქციული პოლიტიკით იგი ხელს უწყობდა მის შემდგომ გაღრმავებას, ეკონომიურ სიძნელეთა ზრდასა და არსებული წყობილების მიმართ სახალხო უკმაყოფილების ზრდას.

1914 წლის გაზაფხულზე კლასთა ბრძოლამ იტალიაში უდიდეს დაძაბულობას მიაღწია. პროლეტარიატისა და გლეხობის ცალკეული გამოსვლების შემდეგ სტიქიურად აღმოცენდა რეაქციული სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთიანი აჯანყების მოწყობის მისწრაფება. ეს მოვლენა ისტორიაში შევიდა „წითელი კვირის“ (1914 წლის 7—14 ივნისი) სახელწოდებით.

შრომის პალატების მოწოდებით 7 ივნისს. კვირა დღეს, მთელს იტალიაში უნდა გამართულიყო დემონსტრაციები და მიტინგები მილიტარიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მთავრობამ უბრძანა პრეფექტებს აღეკვეთათ ომის საწინააღმდეგო ყოველგვარი გამოსვლები. მაგრამ მთავრობის აკრძალვის მიუხედავად ანტიმილიტარისტული დემონსტრაციები და მიტინგები დათქმულ დროს მაინც დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი მიტინგი გაიმართა ქალაქ ანკონის გარეუბანში მდებარე რესპუბლიკური კლუბის შენობაში. აქ შეკრებილთა წინაშე მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ ძველი ანარქისტი ენრიკო მალატესტა და ახალგაზრდა რესპუბლიკელი პიეტრო ნენი. მიტინგის დამთავრების შემდეგ მონაწილეთა ერთი ნაწილი ქალაქის ცენტრისაკენ გაეშურა. ადგილობრივ სამხედრო და პოლიტიკურ ხელისუფლებას ეგონა, რომ მანიფესტანტებს განზრახული ჰქონდათ მთავარ მოედანზე მისვლა და იქ მიმდინარე „პატრიოტული“ კონცერტის ჩაშლა. ამიტომ მათ ბრძანება გასცეს არ გაეშვათ ქალაქის ცენტრისაკენ დემონსტრატები. ბრძანებას რომ ასრულებდნენ, პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა დემონსტრანტებს ტყვია დაუშინეს,.

რის შედეგადაც მოკლულ იქნა სამი ახალგაზრდა მუშა და დაიჭრა დემონსტრაციის თხუთმეტი მონაწილე. ეს შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. იმავე დღეს, საღამოს ადგილობრივი შრომის პალატის მოწოდებით ანკონაში საყოველთაო გაფიცვამ იფეთქა.

დაიწყო „წითელი კვირა". „წითელი კვირა" წარმოადგენდა იტალიის მშრომელთა უდიდეს ანტიმილიტარისტულ და ანტიიმპერიალისტურ გამოსვლას. მან გამოავლინა მმართველი კლასების რეაქციული პოლიტიკითა და მზარდი მილიტარიზმით გამოწვეული ხალხის საყოველთაო აღშფოთება.

იტალიის მრავალი ქალაქის მუშები და მოჯამაგირეები არ დაელოდნენ თავიანთი პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელების განკარგულებას და დაუყოვნებლივ შეწყვიტეს მუშაობა.

8 ივნისს მასების ზეგავლენით შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობა და სოციალისტური პარტიის გამგეობა იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ საყოველთაო გაფიცვის მოწყობას. მაგრამ არ შეუმუშავებიათ არავითარი მითითება ბრძოლის მიზნებსა და საშუალებებზე. ამასთან არ იყო განსაზღვრული გაფიცვის ხანგრძლივობა. ამრიგად, გაფიცვა თავიდანვე დარჩა ხელმძღვანელის გარეშე. მას არ ჰქონდა პროგრამა და ამიტომ სტიქიური ხასიათი მიიღო.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო გაფიცვა ფართო მასშტაბით ჩატარდა და მძაფრი რევოლუციური ფორმა მიიღო. იგი ხუთი დღე გაგრძელდა. გაფიცვამ მოიცვა იტალიის ყველა მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი. მის მონაწილეთა საერთო რიცხვი 3 მილიონს აღწევდა. რომში, მილანოში, ტურინში, ფლორენციაში, ნეაპოლში და პარმაში მოხდა გაფიცულთა და პოლიციელთა შორის შეიარაღებული შეტაკებები.

სალანდრას მთავრობამ ვერ გაბედა გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარის გამოყვანა. გარდა პასუხისმგებლობის შიშისა, მმართველი წრეები არ იყვნენ დარწმუნებულნი არმიის, განსაკუთრებით ჯარისკაცთა მასის ლოიალობაში. შეიქმნა საყოველთაო გაფიცვის საყოველთაო აჯანყებად გადაქცევის საშიშროება. გაფიცვის პირველ დღეებში გაბატონებული კლასები და მთავრობა შიშმა მოიცვა. ვითარების შემსუბუქების მიზნით სალანდრას მთავრობა იძულებული გახდა მშრომელთა ზოგიერთი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

მაგრამ, როცა ნათელი გახდა, რომ გარკვეულ მიზანსა და მტკიცე ხელმძღვანელობას მოკლებული სახალხო მოძრაობა თანდათან სუსტდება, რეაქციონერები გონს მოვიდნენ და გაშმაგებული კონტრშე-

ტევა დაიწყეს. ისინი მზად იყვნენ სამოქალაქო ომიც კი გაეჩაღებინათ. ამბოხებულთა წინააღმდეგ გაერთიანდა რეაქციის ყველა ძალა. გაფიცვის დაწყების მეორე და მესამე დღეს რომში, ნეაპოლში და სხვა ქალაქებში ხელისუფალთა ნებართვით და პოლიციის მფარველობით დაიწყეს მყვირალა კონტრდემონსტრაციების ორგანიზება შოვინიზმისა და მილიტარიზმის, კლერიკალიზმისა და მონარქიის სადიდებლად.

ამ მძიმე დღეებში იტალიის გაბატონებულ კლასებს უდიდესი სამსახური გაუწიეს შრომის საყოველთაო კონფედერაციის რეფორმისტმა მეთაურებმა და მათმა თანამოაზრეებმა სოციალისტური პარტიიდან. 9 ივნისს კონფედერაციის ხელმძღვანელებმა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გარეშე განკარგულება გასცეს გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფი მთლიანად დაეთანხმა ამ განკარგულებას.

გაფიცვის შეწყვეტის განკარგულებამ მუშათა შორის გაუგებრობა და პროტესტი გამოიწვია. მას მუშათა ადგილობრივი ორგანიზაციები არ დაემორჩილა. მილანოში, ანკონაში, ნეაპოლში და სხვა ქალაქებში გაფიცვა 12 ივნისამდე გაგრძელდა.

„წითელმა კვირამ“ დაადასტურა იტალიის პროლეტარიატისა და მუშათა კლასის ძალების რეალობა, მათი მზადყოფნა გადაკვრით ებრძოლათ მმართველი კლასების რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან გაფიცვამ იტალიის მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის სუსტი მხარეებიც გამოავლინა. „წითელი კვირა“ არ შეიძლებოდა იტალიის მუშათა და გლეხთა გამარჯვებით დამთავრებულიყო. მოცემულ ეპოქაში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მშრომელთა მიერ რაიმე პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაზე, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობაზე. მაგრამ იტალიის მშრომელებმა მაინც შეძლეს გაბატონებული ოლიგარქიისათვის ხელიდან გამოეტაცათ გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური დათმობანი.

„წითელი კვირის“ ამბებმა იტალიის მმართველ წრეებში ნამდვილი პანიკა გამოიწვიეს და დიდი გავლენა იქონიეს ხელისუფალთა მომავალ პოლიტიკაზე.

სახალხო რევოლუციის შიშით დამფრთხალი რეაქციული ბურჟუაზია და მხედრიონი საყვედურებითა და ლანძღვით ესხმოდა თავს „ლიბერალურ“ მთავრობას. მომხდარი ამბების გამო მთელ პასუხისმგებლობას მას აკისრებდა და ბრალად სდებდა „დანაშაულებრივ უძლურებაში დემაგოგიის წინაშე“. ივნისის ამბებმა იტალიის იმპერიალისტურ წრეებში კიდევ უფრო განამტკიცეს ანტილიბერალუ-

რი, ანტიპარლამენტური განწყობილება, გააძლიერეს მისწრაფება „ძლიერი“, დიქტატორული ხელისუფლებისაკენ.

ამრიგად, უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის წინ იტალია, ისე როგორც მრავალი სხვა კაპიტალისტური ქვეყანა, ღრმა პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ამასთან, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იტალიაში ამ კრიზისს გაცილებით უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა რომელიმე სახელმწიფოში.

მძიმე იყო იმპერიალისტური იტალიის საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. 1914 წლის გაზაფხულზე დაიწყო ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება. იგი პირველ ყოვლისა გამოწვეული იყო იტალია-ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებით ბალკანეთში (განსაკუთრებით ალბანეთის გამო). ამასთან ორ ქვეყანას შორის განხეთქილების მუდმივი წყარო იყო ავსტრია-უნგრეთის ხელისუფალთა დისკრიმინაციული პოლიტიკა ავსტრია-უნგრეთში მცხოვრებ იტალიური მოსახლეობის მიმართ. ამ საფუძველზე წარმოქმნილ ინციდენტებს ბოლო არ უჩანდა.

1913-14 წლებში ავსტრია-უნგრეთ-იტალიის ბრძოლა ალბანეთში გარდამავალი წარმატებებით მიმდინარეობდა. დასაწყისში იტალიამ შეძლო სერიოზულად შეევიწროებინა თავისი მეტოქე. იტალიელთა დროებით წარმატებას ხელი შეუწყო ალბანეთის ადგილობრივ ფეოდალურ მმართველთა შორის ყველაზე ძლიერმა და გავლენიანმა ესადი-ფაშამ, რომლის მიმხრობა იტალიელებმა მოახერხეს. 1914 წლის მარტში ესადი, ალბანეთის „მმართველის“ თავად ვიდის სამხედრო მინისტრი გახდა და, ამრიგად. იტალიას შესაძლებლობა მიეცა უშუალო ზეგავლენა მოეხდინა ალბანეთის მთავრობის პოლიტიკაზე. მაგრამ იტალიის უპირატესობა ალბანეთში საკმაოდ არამყარი და ხანმოკლე აღმოჩნდა. ავსტრია-უნგრეთმა მალე მოახერხა რევანშის აღება. 1914 წლის მაისში ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო რეაქციული ელემენტების მიერ მომზადებული აჯანყება. აჯანყებულებს ავსტრიელები თანაუგრძნობდნენ. ავსტრიელებმა იტალიის საიდუმლო დამქაში, სამხედრო მინისტრი ესადი-ფაშა ინტრიგების ქსელში გაახვიეს. მაქინაციების წყალობით ესადის ვიდის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზაცია დააბრალეს. ამიტომ იგი ხელისუფლებას ჩამოაშორეს და დააპატიმრეს.

ამ ღონისძიებათა წყალობით ავსტრია-უნგრეთმა შესამჩნევად განიმტკიცა თავისი მდგომარეობა. „ავსტრიამ მთლიანად ჩაიგდო ხელში თავადიც და ალბანეთის მთავრობაც, აშკრად თავის სასარგებლოდ შეცვალა პოლიტიკური წონასწორობა“, — წერდა რუსეთის წარმომადგენელი ალბანეთში. იტალიის ზეგავლენა კვლავ შესუსტდა და

ალბანეთს ავსტრიის კოლონიად გადაქცევის საშიშროება დაემუქრა.

ალბანეთის გამო კონფლიქტის პარალელურად ორ მოკავშირეს შორის მწიფდებოდა უთანხმოება მცირე აზიაში. თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ იტალიის იმპერიალიზმმა საგრძნობლად გაძლიერა თავისი პოზიციები თურქეთის სამფლობელოებში, განსაკუთრებით ადალიას პროვინციაში და მიისწრაფოდა შეექმნა აქ თავისი გავლენის სფერო. იტალიელი იმპერიალისტები ცდილობდნენ ემოქმედათ ფარულად და სწრაფად, რათა თავიდან აეშორებინათ სხვა სახელმწიფოთა მხრივ კონკურენცია. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. აქაც, მცირე აზიაში, მათ მოუხდათ ავსტრია-უნგრეთთან შეჯახება.

ალბანეთში დამარცხებამ და ავსტრია-უნგრეთთან ახალი კონფლიქტის აღმოცენებამ უკიდურესად გაამწვავა იტალიის საგარეო-პოლიტიკური კრიზისი. იტალიის გაბატონებულ კლასებს შორის ძლიერდება გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკთან პოლიტიკური კავშირის მიმართ იმედგაცრუების გრძნობა. იტალიის დიპლომატია ცდილობს შექმნილი საგარეო-პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი ანტანტის ქვეყნებთან ახალ დაახლოებაში იპოვოს, მაგრამ სამთა შეთანხმებასთან დაახლოება სამთა კავშირიდან ჩამოშორებას მოასწავებდა.

1914 წლის 28 ივნისს, როცა ალბანეთის გამო ავსტრიასთან კონფლიქტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, იტალიაში ცნობილი გახდა, რომ ბოსნიის ქალაქ სარაევოში მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი. ავსტრიელი ტახტის მემკვიდრე ცნობილი იყო როგორც აშკარა მილიტარისტი და იტალიისადმი მტრულად განწყობილი პიროვნება. ამიტომ, ბუნებრივია, იტალიის საზოგადოების ფართო წრეები მის გარდაცვალებას დაუფარავი სიხარულით შეხვდნენ. „მოჰკლეს? მით უკეთესი, ერთით ნაკლები იქნება", — ასე გამოეხმაურა ერთ-ერთი ახალგაზრდა ტურინელი მუშა სარაევოში მომხდარი მკვლელობის ცნობას.

ფრანც ფერდინანდის მკვლელობას არც იტალიის მთავრობის წრეები დაუმწუხრებია. ავსტრიის ტახტის მემკვიდრის სიკვდილმა მხოლოდ ვატიკანში გამოიწვია გულწრფელი მწუხარება. კმაყოფილების გრძნობამ, რომლითაც იტალიელები ფრანც ფერდინანდის მკვლელობას შეხვდნენ, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის ხელისუფალთ ერთხელ კიდევ ნათლად დაანახვა, რომ თუ ისინი სარაევოს მკვლელობას ომის გაჩაღების საბაბად გამოიყენებდნენ, იტალიის მხრივ მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტებმა, რომელთა დიდი ხნის ოცნება იყო სერბიის

დამორჩილება, სარაევოს მკვლელობა სერბეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების ხელსაყრელ საბაბად მიიჩნიეს.

მაგრამ ომის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა გერმანელმა იმპერიალისტებმა თქვეს. გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა ხელი შეეწყო ავსტრია-უნგრეთ-სერბეთის კონფლიქტის განვითარებისათვის. გერმანიის წამახალისებელმა დაპირებებმა გაფანტეს ვენის მმართველი წრეების ორეოფობა და მერყეობა. სამხედრო პარტიის გამარჯვება უზრუნველყოფილ იქნა. ახლა ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტებს შეეძლოთ მძარცველური ლაშქრობის დაწყება სერბეთის წინააღმდეგ. ომი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო.

სერბეთის წინააღმდეგ ომის დაწყება რომ გადაწყვიტეს, ავსტრია-უნგრეთი და გერმანია შეთანხმდნენ ჯერჯერობით ამის შესახებ იტალიისათვის არაფერი ეცნობებინათ. მაგრამ უკვე ივლისის შუა რიცხვებში რომმა მოკავშირეების აგრესიული ზრახვების შესახებ ყველაფერი იცოდა. სერბეთისადმი წაყენებულმა ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმმა კი ყველაფერი ცხადი გახადა.

გერმანიისა და ავსტრიის ზრახვები, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა იტალიის ინტერესებს და მას დიდ ომში ჩათრევით ემუქრებოდა. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა თუ იტალიის მთავრობა, როცა შეიტყობდა სერბეთზე მოსალოდნელ შეთანხმებას, დაუყოვნებლივ გაუწევდა წინააღმდეგობას მოკავშირეთა სახიფათო მოქმედებას და მტკიცედ განაცხადებდა უარს მხარდაჭერაზე. მაგრამ რომის დიპლომატებმა სხვა გზა აირჩიეს. ნათელი და მკაფიო პოლიტიკის ნაცვლად ისინი დაადგნენ ორაზროვანი ინტრიგების გზას. ასეთი პოლიტიკა ფრიად სახიფათო იყო მშვიდობის საქმისათვის, რადგან გერმანელ და ავსტრიელ აგრესორებს დაპყრობების გზას უხსნიდა.

იტალია ტოვებდა სამთა კავშირს. მაგრამ კავშირიდან იგი გავიდა არა ერთბაშად, აშკარად „კარის გაჯახუნებით", არამედ ფრთხილად, ფეხაკრეფით. ამასთან იგი იკბინებოდა. იმუქრებოდა და თან მიტოვებულ მოკავშირეებს აიმედებდა—მომავალში შესაძლებელია ისევ აქტიურად ვითანამშრომლო თქვენთან, მხოლოდ ერთი პირობით, თუ თქვენც გულუხვობას გამოიჩენთ ჩემი მოთხოვნების მიმართო.

ასეთი ორაზროვანი პოლიტიკა გამომდინარეობდა იტალიური იმპერიალიზმის თვითარსიდან, რომელსაც თავისი ეკონომიური და სამხედრო უძლურების მიუხედავად, უზომო მადა ჰქონდა და სურდა აუცილებლად მიეღო მონაწილეობა მსოფლიოს გადანაწილებაში.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია უნდა დაეკავებინა იტალიას ამ ომში, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენისა და პოლიტიკური პარტიების ფართო მსჯელობის საგანი გახდა. იტალიელი

ხალხის დიდი უმრავლესობა გადაჭრით გამოდიოდა ომში იტალიის მონაწილეობის წინააღმდეგ და მის სრულ ნეიტრალიტეტს მოითხოვდა. იტალიელი ხალხის ეს ტრადიციული ანტიმილიტარიზმი კიდევ უფრო განმტკიცდა ლიბიის ომის შემდეგ, რადგან ამ ომმა მას არაფერი მოუტანა, გარდა უბედურებისა. იტალიელ ხალხში ომის საწინააღმდეგო განწყობილების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სოციალისტური პარტიის სისტემატურმა ანტიმილიტარისტულმა პროპაგანდამ, რომელიც განსაკუთრებით აქტიური გახდა ლიბიის ომთან დაკავშირებით. ნაკლოვანებების მიუხედავად ამ პროპაგანდამ შეძლო გამოეაშკარავებინა კარს მომდგარი ომის იმპერიალისტური ბუნება და ხალხის მასები მის წინააღმდეგ დარაზმა.

ომისადმი იტალიის მშრომელთა მტრული დამოკიდებულება იმითაც აიხსნებოდა, რომ იტალიაში არ იყო მუშათა არისტოკრატიის რამდენადმე მნიშვნელოვანი და მყარი ფენა, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა იმპერიალისტური ექსპანსიის პოლიტიკით. ეს გარემოება ნიადაგს აცლიდა იტალიის პროლეტარულ წრეებში იმპერიალისტური აგენტურის საქმიანობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელ ხალხში ყოველთვის ძლიერი იყო ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, იგი ნაწილობრივ რისორჯიმენტოს დროინდელი პროგრესული პოლიტიკური მიმდინარეობის მემკვიდრეობა იყო და შემდეგში უფრო განმტკიცებულ იქნა ფართო ემიგრაციის მეოხებით. ინტერნაციონალიზმის გრძნობა კი, ცხადია, შეუთავსებელია ნაციონალური განკერძოებულობის სულისკვეთებასა და შოვინიზმთან. ეს გარემოება ფრიად არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა იტალიაში მასების შოვინისტური გრძნობებით გაბრუებისა და იმპერიალისტური ომის პროპაგანდისათვის.

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ გაითვალისწინა ხალხის უმრავლესობის ომის საწინააღმდეგო განწყობილება და ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის პირველმა გამოაცხადა აბსოლუტური ნეიტრალიტეტისათვის თავისი მხარდაჭერა. 27 ივლისს, სერბეთზე ავსტრია-უნგრეთის თავდასხმის წინადღით, სოციალისტ-დეპუტატთა საპარლამენტო ჯგუფმა მოითხოვა დაუყოვნებლივ მოეწვიათ დეპუტატთა პალატა და მთავრობისაგან მოეთხოვათ აბსოლუტური ნეიტრალიტეტის დაცვა. „ავანტის“ რედაქციის შენობის წინ შეკრებილი ხალხი სოციალისტ-დეპუტატებს შეხვდა შეძახილებით: „ძირს ომი!“.

29 ივლისს სოციალისტური პარტიის გამგეობამ რომში გამართულ სხდომაზე მიიღო მანიფესტი იტალიელი მშრომელებისადმი. მასში გამოაშკარავებული იყო კარს მომდგარი ომის იმპერიალისტუ-

რი ხასიათი. იმავე დღეს ნეიტრალიტეტს მხარი დაუჭირა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობამაც.

სოციალისტური პარტიის მთავარი ორგანოს გაზეთ „ავანტის“ ფურცლებზე გაიშალა ომის საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც ხალხს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. „იტალიის პროლეტარებო, წერდა გაზეთი, — ლაპარაკია თქვენს სისხლზე, თქვენს პურზე, თქვენს მომავალზე“. 29 ივლისის ნომერში „ავანტიმ“ მოათავსა მეტყველი კარიკატურა: ძლიერი, ახოვანი მუშა, რომელიც იტალიის პროლეტარიატს განასახიერებდა, ჯუჯა ხელმწიფეს მიმართავდა: „თქვენო უდიდებულესობავ, ამოირჩიეთ — ნეიტრალიტეტი ან გვირგვინი!“.

იტალიის სოციალისტური პარტიის ომის საწინააღმდეგო პოზიციას, რომელიც გაპირობებული იყო ხალხის მშვიდობისადმი მისწრაფებით, ერთსულოვნად იზიარებდა მშრომელთა აბსოლუტური უმეტესობა. მეორე გარემოება, რომელმაც განაპირობა იტალიის სოციალისტური პარტიის ომის საწინააღმდეგო პოლიტიკა იყო ის, რომ პარტია ჯერ კიდევ ომამდე განთავისუფლდა იმპერიალისტური პოლიტიკის ყველაზე აშკარა მომხრეებისაგან — სინდიკალისტებისა და მემარჯვენე რეფორმისტებისაგან.

სოციალისტურ პარტიასთან ერთად ნეიტრალიტეტის პოლიტიკას იცავდნენ, აგრეთვე, სოციალისტ-რეფორმისტები. მათი ლიდერი ბისოლატი ამტკიცებდა, რომ ნეიტრალიტეტი იტალიას „ორ უბედურებას“ ააცდენდა: ერთს ქვეყნის გარეთ, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაზე, სადაც იტალიას არ შეეძლო ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მეორეს ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ბისოლატი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია იტალია კონფლიქტშიც ჩარეულიყო, „რათა ევროპის კრიზისი დემოკრატიისა და პროლეტარიატის ინტერესების საკეთილდღეოდ გადაეჭრა. ბონომისათვის 2 აგვისტოს გაგზავნილ კერძო წერილში ბისოლატი თავის მეგობარს მოუწოდებდა დაეწყო „იტალიის პროლეტარიატის მომზადება ომისათვის“. „მე ეს უკვე დავიწყე, შენ კი უნდა დამეხმარო“. ამასვე ურჩევდა ბისოლატი პროფკავშირების ერთ-ერთ რეფორმისტ-მეთაურს — რიგოლის.

ამრიგად, იტალიელი მემარჯვენე სოციალისტები, „დემოკრატიისა და პროლეტარიატის ინტერესების დაცვის“ ყალბი ლოზუნგით ინიღბებოდნენ და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ხალხთა მასების მოტყუებაში ეხმარებოდნენ. შემდეგ მათ ნეიტრალიტეტის მომხრეთა ნიღაბი ჩამოიხსნეს და ნაციონალისტებთან ერთად იტალიის ომში მონაწილეობის იდეის ერთგული დამცველები გახდნენ.

იტალიის მმართველი ზედაფენის ერთი ნაწილი მოითხოვდა ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მხარეზე ომში დაუყოვნებლივ ჩაბმას. იტალიის უმაღლეს წრეებში სჭარბობდა სამთა კავშირისადმი ერთგულების გრძნობა და გერმანოფილობა. ამ გრძნობებით იყო გამსჭვალული არისტოკრატია და მხედრიონი, ბურჟუაზიის ზედაფენები და ინტელიგენცია, სენატი და სამეფო კარი. ცენტრალური იმპერიისადმი სიმპათიებით იყო აგრეთვე გამსჭვალული უმაღლესი კათოლიკური იერარქია.

ასეთი ვითარება გასაკვირი როდია. ცნობილია, რომ გერმანიას იტალიაზე დიდი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა ჰქონდა. მას მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსურ სფეროში. საკმარისია გავიხსენოთ კომერციული ბანკის როლი. კაიზერული გერმანია იტალიელ რეაქციონერებს მიაჩნდათ საკუთარი მონარქიული და კონსერვატიული საფუძვლების საიმედო დასაყრდენად. ამასთან იტალიაში მოქმედებდა გერმანელ აგენტთა დიდი ჯგუფი, გამოდიოდა გერმანელების მიერ მოსყიდული დიდტირაჟიანი გაზეთი და სხვა. რაც შეეხება ავსტრია-უნგრეთს, ამ ხალხში უაღრესად არაპოპულარულ მონარქიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა იტალიის საზოგადოებრიობის ზედაფენებსა და ვატიკანის ხელმძღვანელ წრეებში. იტალიის ბევრ არისტოკრატიულ ოჯახს ნათესაური კავშირი ჰქონდა ავსტრიისა და უნგრეთის გავლენიან ოჯახებთან.

იტალიის ბურჟუაზიის პოლიტიკურად ორგანიზებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მხარეზე იტალიის ომში მონაწილეობას, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნაციონალისტების პარტია. იგი იტალიის იმპერიალიზმის ყველაზე მეომრულად განწყობილი ნაწილის — მეტალურგიის მაგნატებისა და იარაღის ფაბრიკანტების ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ნაციონალისტთა მეთაურები მოითხოვდნენ, რომ იტალიას „დაეცვა დადებული ხელშეკრულებანი". მაგრამ ნაციონალისტების საგარეო პოლიტიკური კურსი ძალიან არათანმიმდევრული აღმოჩნდა. როცა ომში ინგლისი ჩაება, ნაციონალისტებმა უმალვე შეცვალეს პოზიცია და ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ ომის მომხრეებად გადაიქცნენ. ეს მკვეთრი შემობრუნება ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ მათ პირველ მოწოდებას იტალიის ბურჟუაზიის ფართო წრეები მხარდაჭერით არ შეხვდნენ.

იტალიის ბურჟუაზია, ცხადია, არ იყო ნეიტრალურად განწყობილი. მას სურდა მსოფლიოს გადანაწილებისათვის დაწყებულ ბრძო-

ლაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იტალიის ბურჟუაზიის დიდ ნაწილს ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნდა დიდ ომში ჩაბმა. პრაქტიკულად შესაძლებელ, და ამასთან ყველაზე მომგებიან და ნაკლებად სახიფათო პოზიციად იგი ნეიტრალიტეტს თვლიდა. ნეიტრალიტეტის აუცილებლობას იცავდნენ იტალიის ბურჟუაზიის გავლენიანი ბეჭდვითი ორგანოები — „კორიერე დელა სერა", „სეკოლო", „მესაჯერო", „ჯორნალე დე იტალია".

ამრიგად, ივლისის ბოლო დღეებში იტალიის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების იმპერიალისტური ომისადმი დამოკიდებულება საბოლოოდ გამოიკვეთა. თავისი მტკიცე სიტყვა თქვა იტალიის პროლეტარიატმა. ეს იყო — აბსოლუტური ნეიტრალიტეტი. ბურჟუაზია, ხელმძღვანელობდა რა საკუთარი ინტერესებით, შესაძლებლობით და ტაქტიკური მოსაზრებებით, აგრეთვე ნეიტრალიტეტის მხარეზე გამოვიდა. ნეიტრალიტეტის მხარეზე იყვნენ იტალიის კათოლიკური მასებიც. ამრიგად, უშუალოდ მსოფლიო ომის წინ იტალიაში სტიქიურად წარმოიშვა თავისებური საერთო ეროვნული ფრონტი, რომელიც მხარს უჭერდა ნეიტრალიტეტს და ომში დაუყოვნებლივ ჩაბმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მართალია, ეს „ფრონტი" უაღრესად მრავალსახოვანი და ამიტომაც არამყარი იყო, მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე იგი პოლიტიკურ რეალობას წარმოადგენდა და არ შეიძლებოდა მისთვის ანგარიში არ გაეწიათ.

31 ივლისს რომში შეიკრიბა მინისტრთა საბჭო. მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრისა და მთავრობის მეთაურის სალანდრას ცნობა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, საბჭომ პრინციპში მხარი დაუჭირა ნეიტრალიტეტს. მეორე დღეს მინისტრთა საბჭომ დაადასტურა ეს მოსაზრება და მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება მიმდინარე ომში იტალიის ნეიტრალიტეტის შესახებ.

სხდომის დამთავრების შემდეგ კოლონიების მინისტრმა მარტინიმ თქვა: „ამ ომის პირველი მსხვერპლი, პირველი ცხედარი სამთა კავშირია". ამ სიტყვებში საუკეთესოდ გამოიხატა საქმის ნამდვილი ვითარება. 2 აგვისტოს პრესაში გამოქვეყნდა ნახევრადოფიციალური ცნობა ნეიტრალიტეტის შესახებ. ოფიციალური ცნობა კი გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ 3 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში. იტალიის პოზიცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

ამრიგად, დაწყებულ მსოფლიო ომში იტალიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და გარკვეული დროით განზე გადგა. იგი არ გაჰყვა სამთა კავშირის პარტნიორებს — გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს; არ გაჰყვა უპირველესად იმიტომ, რომ იტალიის იმპერიალიზმი ობიექტურად არ იყო დაინტერესებული მათი გამარჯვებით; მეორე მხრივ,

იმიტომ, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მტკიცედ გამოდიოდა ყოველგვარი ომის წინააღმდეგ (განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიალისტთა მხარეზე) და, ბოლოს, იმიტომ, რომ თავისი ფინანსურ-ეკონომიური სისუსტისა და სრული სამხედრო მოუმზადებლობის გამო იტალიას, საერთოდ, არ შეეძლო ეომა, განსაკუთრებით კი ანტანტის წინააღმდეგ.

აბსოლუტური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას რომ მოითხოვდა, იტალიის სოციალისტური პარტია გაზეთ „ავანტის“ საშუალებით არცთუ ისე თანმიმდევრულად იცავდა თავის პოლიტიკას. „ავანტი“— განსაკუთრებით ომის პირველი სამი თვის განმავლობაში, როცა მისი მთავარი რედაქტორი მუსოლინი იყო, — ცალმხრივად და ბუნდოვნად აშუქებდა ომის დამნაშავეთა საკითხებს, უშვებდა ოპორტუნისტულ გადახრებს იმპერიალისტური ომის შეფასებაში.

სოციალისტური პარტიის ორგანო იტალიის მშრომელებს რაზმავდა მხოლოდ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე ომში ჩარევის წინააღმდეგ, ამავე დროს იგი არ აქცევდა არავითარ ყურადღებას იმპერიალისტურ ომში ანტანტის ბანაკში იტალიის ჩათრევის საფრთხეს. ასეთი შესაძლებლობა კი უკვე ისახებოდა და მისი უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა.

„ავანტის“ ხაზის არათანმიმდევრობა გამოწვეული იყო იტალიის სოციალისტური პარტიის საერთო იდეოლოგიური სისუსტით, იმით, რომ მას არ ჰყავდა მტკიცე ხელმძღვანელობა. პარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობაში მთავარი როლი ეკუთვნოდათ რეფორმისტებსა და ფრაზით რევოლუციონერებს, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ავანტიურისტებს — მუსოლინის მსგავს რენეგატებს. ამრიგად, მსოფლიო ომის დასაწყისში „ავანტის“ ნეიტრალიტეტი სრულებით არ ყოფილა „აბსოლუტური“, იგი უპირატესად ანტიავსტრიული იყო.

ესპანეთი 1900-18 წლებში

XIX საუკუნეს, ხუთი რევოლუციის საუკუნეს, უკვალოდ არ ჩაუვლია ესპანეთისათვის.

XX საუკუნის დამდეგისათვის კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ დაძაბუნებულ ესპანეთს სულ უფრო და უფრო უჭირდა ისტორიის გაძლიერებული წინსვლითი პროცესისათვის ფეხის აწყობა.

ისე როგორც წინათ, ესპანეთის განვითარების კარდინალურ პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდა ესპანეთის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროზე.

ესპანეთი კვლავინდებურად რჩებოდა აგრარულ ქვეყნად შედარებით სუსტად განვითარებული მრეწველობით, რომლის შრომისუნარიანი მოსახლეობის 66% ჩაბმული იყო სოფლის მეურნეობაში.

საქარხნო პროლეტარიატის რიცხვი ოდნავ აღემატებოდა 700 ათას მუშას; ეს მაშინ, როდესაც მომსახურების სფეროში ჩაბმული იყო 778 ათასი ადამიანი.

მართალია, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ხელს უშლიდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ფეოდალური გადმონაშთები, მართალია ისიც, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები ძირითადად განუხორციელებელი დარჩა, რის გამოც მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ, კათოლიკურმა ეკლესიამ და მხედრიონმა შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, XX საუკუნის დასაწყისში ესპანეთში გვხვდება პირველი მონოპოლისტური ხასიათის კაპიტალისტური გაერთიანებები.

ასე, 1900 წელს დაარსებულ იქნა „დურო ფელგერას მეტალურგული საზოგადოება“, რომელმაც გაერთიანა ასტურიის მთელი რიგი მეტალურგიული საწარმოები და შახტები (11,500.000 პესეტი კაპიტალით); 1902 წელს ჩამოყალიბდა „ალტოს ორნოს დე ბისკაია“-ს

საზოგადოება (პირველდაწყებითი კაპიტალი 32 მილიონი პესეტი), რომელიც კონტროლს უწევდა რკინის მადნის მოპოვებასა და თუჯისა და ფოლადის გამოდნობას.

ამავე პერიოდში მანქანათმშენებლობის სფეროში შეიქმნა ისეთი შედარებით დიდი მასშტაბის გაერთიანებები, როგორიც იყო „ლითონ კონსტრუქციების ესპანური საზოგადოება“ და „არაგოხის ძეტალურგიული და მანქანათმშენებლობის საზოგადოება“.

წარმოების კონცენტრაციის პროცესი შეიმჩნეოდა გემთმშენებლობაშიც, სადაც სრული კონტროლი გადავიდა „ესპანეთის გემთმშენებლობის სააქციონერო საზოგადოების“ ხელთ.

ესპანეთში გაიზარდა ქვანახშირის, რკინის მადნისა და სპილენძის მოპოვება; შესაბამისად გაიზარდა როგორც წარმოების ამ დარგებში დასაქმებული მუშათა რიცხვი, ისე თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ცემენტის დამზადება და სხვ.

ესპანეთის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მსუბუქ მრეწველობას, სადაც, როგორც წესი, სჭარბობდა წვრილი წარმოება. ამ სფეროშიც, განსაკუთრებით კი საფეიქრო მრეწველობაში, რომელშიც ჩაბმული იყო ესპანეთის სამრეწველო მუშების მეოთხედი, 1907 წელს ჩამოყალიბდა კარტელი, რომელმაც შეძლო საფეიქრო მრეწველობის წარმოების 83%-ის ხელში ჩაგდება. ამავე დროს „ესპანეთის შაქრის საზოგადოების“ კარტელმა ხელთ იგდო შაქრის ლერწმისა და ჭარხლის გადამმუშავებელი 56 ფაბრიკა და შაქრის საშინაო ბაზრებზე დააწესა მაღალი მონოპოლიური ფასები.

ესპანეთი ეკონომიური განვითარების სფეროში მომხდარი გარკვეული ძვრების მიუხედავად, საგრძნობლად ჩამორჩებოდა იმდროინდელი იმპერიალისტური სამყაროს მოწინავე ქვეყნებს.

ესპანეთის ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური მოწყობილობა ძალიან მოძველებული იყო, მათი ნაწარმი კი ძვირადღირებული და შედარებით ცუდი ხარისხისა, რაც შესაბამისად ასუსტებდა მის კონკურენციის უნარიანობას ქვეყნის საშინაო ბაზრებზე.

მდიდარი ბუნებრივი პირობები და წიაღისეული სიმდიდრე, იაფი მუშახელი, შედარებით სუსტი და გაუბედავი ეროვნული ბურჟუაზია, თავისუფალი კაპიტალის უკმარობა ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს ესპანეთში უცხოური მონოპოლისტური კაპიტალის შეღწევისათვის.

მსხვილ უცხოურ კაპიტალდაბანდებებს მეტწილად ადგილი ჰქონდა სამთამადნო და ქიმიურ მრეწველობაში, ელექტროენერგიის წარმოებაში, რკინიგზებსა და მომსახურების სფეროში.

ხულ, პირველი მსოფლიო ომის წინ უცხოურმა კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ ესპანეთში 3 მილიარდ 500 მილიონ პესეტს მიაღწია, რასაც უნდა დავუმატოთ 1 მილიარდი პესეტის ოდენობის საგარეო ვალი.

მართალია, უცხოური კაპიტალის შემოზიდვა გარკვეულად ხელს უწყობდა ესპანეთის სამრეწველო წარმოების ზრდას, მაგრამ უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდა მას უცხოური მსხვილი მონოპოლიებისათვის.

ესპანეთის მეტალურგიული მრეწველობის შედარებით სუსტი და მოგვიანებული განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ სწორედ უცხოური კაპიტალის კონტროლქვეშ იყო მოქცეული ქვეყნის წიაღისეულ სიმდიდრეთა დიდი ნაწილი. რკინის და სპილენძის მადნეული, ტყვია, თუთია და სხვა ფერადი ლითონები, რომელთა გადამუშავებაც შესაძლებელი იყო ადგილობრივ, ესპანეთის ქარხნებში, ჯერ გაჰქონდათ უცხოეთში, შემდეგ კი კვლავ ახდენდნენ მათ იმპორტირებას უკვე მზა პროდუქციის სახით (მაგალითად, ესპანეთის რკინის მადნის 90% გაჰქონდათ ინგლისსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს).

მართალია, ერთი მხრივ, ესპანეთი წარმოადგენდა სხვა ძლიერი იმპერიალისტური ქვეყნების ფინანსური ექსპანსიის ობიექტს, მაგრამ მეორე მხრივ, იგი თვითონ ეწეოდა კაპიტალის ექსპორტირებას მსოფლიოს სხვა სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, უმთავრესად ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში. 1913 წლისათვის ესპანეთის კაპიტალდაბანდებამ უცხოეთში მიაღწია 500 მილიონ პესეტს, ხოლო აქედან დაახლოებით 100 მილიონი პესეტი დაბანდებული იყო არგენტინის ეკონომიკაში.

ესპანეთის კაპიტალისტური განვითარების გზაზე არსებულ შემაფერხებელ ფაქტორთა შორის (თავისუფალი კაპიტალის მწვავე ნაკლებობა, მრეწველობის დაბალი ტექნიკური დონე, ეროვნული ბურჟუაზიის შედარებითი სისუსტე, რომელსაც არ ჰქონდა ჯერ გამომუშავებული შესაბამისი საქმოსნური ჩვევები, ძალზე ვიწრო საშინაო ბაზარი და სხვა) პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აგრარული საკითხი.

ერთი მუჭა ლატიფუნდისტებისა და მსხვილ მემამულეთა წილად მოდიოდა ესპანეთის მიწის ფონდის დიდი და საუკეთესო ნაწილი.

მსხვილი ლატიფუნდიები დამახასიათებელი იყო ანდალუსიის, ესტრემადურისა და სამხრეთ ესპანეთის სხვა პროვინციებისათვის. სწორედ ამ პროვინციების მსხვილ მემამულე-ლატიფუნდისტთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ისეთი მიწათმფლობელები, როგორებიც

იყვნენ ჰერცოგი მედინასელი (79 ათასი ჰა), ჰერცოგი პენიარანდა (51 ათასი ჰა), ჰერცოგი ვილაერმოსა (47 ათასი ჰა), ჰერცოგი ალბა (34 ათასი ჰა) და სხვანი.

საშუალო მასშტაბის მიწის მესაკუთრეობის ზონაში შედიოდა კასტილია, ლეონი, სამორა და არაგონი.

ასტურიაში, ბასკეთში, ნავარაში, ვალენსიასა და კატალონიაში ფართოდ იყო გავრცელებული საიჯარო სისტემა.

ესპანეთის მიწის მთლიანი ფონდის დაახლოებით 80%-ის დამუშავება ხდებოდა იჯარის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით, დაწყებული კაპიტალისტური იჯარით და შუასაუკუნეობრივი გრძელვადიანი იჯარით დასრულებული („სენსო“ — სამემკვიდრეო იჯარა).

მილიონობით ჰექტარი ესპანეთის მიწისა მიტოვებული იყო საუკუნეების მანძილზე. გამოსადეგი მიწის მხოლოდ 40% იყო გამოყენებული.

სწორედ უმიწობა და იჯარის მძიმე პირობები უქადდა ესპანელ გლეხს პერმანენტულ სიღატაკესა და თითქმის უიმედო არსებობის პერსპექტივას.

ტრადიციისამებრ, XX საუკუნის დამდეგს ესპანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბურბონთა მონარქიული რეჟიმის ორ ძირითად ბურჯს — არმიასა და ეკლესიას, რომელთა პრეტენზიებიც უსაზღვრო იყო.

არმია აშკარად გადაიქცა ესპანეთის რეაქციული ბანაკის ძირითად პოლიტიკურ დასაყრდენად.

შეიარაღებული ძალების სამმართველო აპარატის შესამჩნევ გაზრდას ადგილი ჰქონდა 1898 წლის ომის შემდეგ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 800 ათას ჯარისკაცზე მოდიოდა დაახლოებით 500 გენერალი, 900 პოლკოვნიკი და 23 ათასი სხვა რანგის ოფიცერი, რომელთა შენახვისათვის გამოყოფილი იყო სახელმწიფოს მთელი სამხედრო ხარჯების 60%; საკუთრივ მეფე ალფონსო XIII გახლდათ მხედრიონის უპირველესი მფარველი და ქომაგი.

ესპანეთის არმიის, უფრო სწორად, ოფიცერთა სამხედრო კასტის, როგორც რეაქციული და კონტრრევოლუციური ტენდენციების მატარებელი პოლიტიკური ფაქტორის ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდებოდა.

სხვაგვარი სამოსით გამოწყობილი წარსდგა XX საუკუნის ზღურბლზე ესპანეთის კათოლიკური ეკლესია, რომელმაც კარგად გაითვალისწინა XIX საუკუნის მძიმე გამოცდილების მწარე გაკვეთილები (მან ხუთი რევოლუციის შედეგად დაკარგა თავისი მიწის სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილი).

XX საუკუნის დასაწყისისათვის ესპანეთის უმაღლესი სამღვდელოება მიწის მსხვილი მაგნატიდან გადაიქცა იმპერიალიზმის ეპოქის მსხვილ ბანკირად და კაპიტალისტად. სწორედ მას ეკუთვნოდა მადრიდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბანკი „ურკიხო" (120 მილიონი პესეტი კაპიტალით), დედაქალაქის ტრანსპორტი, მთელი რიგი საფეიქრო საწარმოები და სხვ. იგი ცდილობდა, აგრეთვე, მიეღო აქტიური მონაწილეობა სოციალური კანონმდებლობის სფეროში, გარკვეული როლი შეესრულებინა მუშათა პროფკავშირების, გლეხთა გაერთიანებების, სახალხო განათლებისა და უნივერსიტეტების, ურთიერთდახმარების სალაროების, შრომის ბირჟისა და საგამომცემლო საქმიანობაში, კონტროლი დაეწესებინა პრესაზე.

კაპიტალისტური ბიზნესი და რთული სოციალური პირობები გახდა ესპანეთის საეკლესიო იერარქიის ხელმძღვანელობის შესწავლისა და დაინტერესების ძირითადი საგანი. იგი თანდათანობით ხელს იღებდა დრომოჭმული რელიგიური დოგმების აშკარა დაცვაზე და ყურადღებას ამახვილებდა „მიწიერი არსებობის" რეალურ მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებაზე. ესპანეთის ეკლესია იძულებული იყო ფეხი აეწყო თანამედროვეობისათვის, თუკი არ სურდა დაეკარგა ის გავლენა, რითაც იგი სარგებლობდა მრავალი საუკუნის მანძილზე.

ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის[1] უმაღლესი სამღვდელოების განკარგულებაში იყო სასულიერო პირების მრავალრიცხოვანი არმია, დაახლოებით 200 ათასი მღვდელ-მონაზონის სახით. მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა რელიგიურ კორპორაციებში თავმოყრილი იყო 50 ათასზე მეტი პირი, რომლებიც აქტიურად „მოღვაწეობდნენ" სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ქველმოქმედების სფეროში.

ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის მფარველის ტრადიციულ როლში გამოდიოდა ბურბონთა მონარქიული რეჟიმი და პირადად მეფე ალფონსო XIII, რომლის ინიციატივითაც ეკლესია დიდი მატერიალური დახმარებით სარგებლობდა სახელმწიფოს მხრივ.

დაბოლოს, გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, ესპანეთის კათოლიკური ეკლესია მიისწრაფოდა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა მუშების, მოჯარე გლეხებისა და მოჯამაგირეების მოძრაობა და თავისივე გავლენის ქვეშ მოექცია ეროვნული უმცირესობები, რომლებიც სოციალურ ექსპლუატაციასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ.

---

[1] ესპანეთის მონარქიაში 1931 წლამდე არსებობდა 38 ათასი ტაძარი და ეკლესია, 5 ათასამდე მონასტერი.

ესპანეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა კატალონიაში, ბასკეთსა და გალისიაში, სადაც ცხოვრობდა ესპანეთის მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედი ნაწილი (7 მილიონამდე ადამიანი)[1].

ამ მოძრაობის ავანგარდში იდგა კატალონია.

XIX საუკუნის 80-იან წლებში იქ შეიქმნა პირველი პოლიტიკური პარტიები („კატალონიის კავშირი" და „კატალონიის ლიგა"). რომლებიც ძირითადად შედგებოდნენ კატალონიის ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან. თავისი პოლიტიკური კრედო „კატალონიის კავშირის" პარტიამ ჩამოაყალიბა 1892 წლის მაისში, რაც მდგომარეობდა კატალონიისათვის ავტონომიურ უფლებათა მინიჭების მოთხოვნაში, რომელიც ცნობილია „მანრესას საფუძვლების" სახელწოდებით.

. ესპანეთის მიერ უკანასკნელი კოლონიების დაკარგვამ კიდევ უფრო გაამწვავა უთანხმოება სამრეწველო კატალონიასა და აგრარულ კასტილიას შორის; 1898 წლის მარცხიანი ომის შემდეგ კატალონელმა მსხვილმა კაპიტალისტებმა დაკარგეს ძალიან ხელსაყრელი გასაღების ბაზრები ოკეანის გაღმა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი ოპოზიცია ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

კატალონიის ეროვნული ძალების ახალი გადაჯგუფების შედეგად 1901 წელს შეიქმნა მსხვილი ეროვნული ბურჟუაზიის ახალი პოლიტიკური პარტია—„რეგიონალისტური ლიგა", რომლის ჩამოყალიბებასაც თან სდევდა ეროვნული მოძრაობის შესამჩნევი გამემარჯვენების ტენდენციები, კატალონიის მსხვილი ეროვნული ბურჟუაზიის ვიწროკლასობრივი სწრაფვა ხელისუფლების ბერკეტების დაუფლებისა.

მადრიდში კორტესების კატალონელი დეპუტატების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ბურბონთა თავადაზნაურულ-მემამულური მონარქიისაგან რაც შეიძლება მეტ დათმობათა გამოძალვა. „რეგიონალისტური ლიგის" ხელმძღვანელობა (ფრანსისკო კამბო, პრატ დე ლა რიბა და სხვები) აშკარად გამოდიოდა ესპანეთის მარაკოში შეჭრისა და „დიდი ესპანეთის" რესტავრაციის მოთხოვნებით. სწორედ ხელმძღვანელობის დემაგოგიურმა მეთოდებმა, პოლიტიკანობამ და შოვინიზმის შეგნებულმა გაღვივებამ გამოიწვია განხეთქილება კატალონიის „რეგიონალისტური ლიგის" რიგებში.

---

[1] კატალონიისა და ვალენსიის პროვინციებში 4 მილიონზე მეტი კატალონელი; ბისკაიასა, ნავარასა და ბასკების ქვეყანაში — 600 ათასზე მეტი ბასკი; ვალისიაში — 2 მილიონზე მეტი გალისიელი.

მსხვილი ბურჟუაზიისაგან განსხვავებით კატალონიის ინტელიგენციის დიდი ნაწილი და წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის გარკვეული წრეები გულწრფელად იბრძოდნენ კატალონიის ავტონომიისათვის. 1904 წელს ეროვნული მოძრაობის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები გაერთიანდნენ „ეროვნული რესპუბლიკური ცენტრის“ პარტიაში, რომელიც, თავის მხრივ, შემდგომში გადაიქცა კატალონიის ეროვნული მოძრაობის მომავალი დემოკრატიული ფრთის ძირითად ბირთვად.

რამდენადმე სხვაგვარად იდგა ეროვნული საკითხი ბასკეთში. ბასკეთის ბურჟუაზია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესპანეთის დანარჩენი პროვინციების ბურჟუაზიასთან. კატალონიისაგან განსხვავებით, ბასკეთში, სადაც ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობის შედარებით ძლიერი წვრილბურჟუაზიული მემარცხენე ფრთა, მოქმედებდა ერთიანი ეროვნული პარტია, რომელსაც სათავეში ედგა ადგილობრივი მსხვილი ბურჟუაზია და კათოლიკური სამღვდელოება. სწორედ ამ ერთიანი ეროვნული პარტიის ხელმძღვანელობას ჰქონდა დიდი გავლენა ბასკეთის წვრილ და საშუალო ბურჟუაზიის, შეძლებული გლეხობისა და ადგილობრივი მუშათა კლასის გარკვეულ ნაწილზე.

ეროვნული მოძრაობა ბასკეთში თავისი ჩასახვიდანვე მოექცა ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ. ამიტომაც იყო, რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე ბასკების ეროვნული მოძრაობის ძირითად ლოზუნგს წარმოადგენდა „ღმერთი და თავისუფლება“.

რაც შეეხება ტრადიციულ ავტონომიურ უფლებებს, ე. წ. „ფუეროსებს“, ბასკეთმა იგი ნაწილობრივ დაკარგა დონ კარლოს ბურბონის აქტიური მხარდაჭერისათვის ე. წ. „კარლისტური ომების“ პერიოდში. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბასკების ქვეყანა დაუქვემდებარეს 1896 წლის კონსტიტუციას, მასზე გაავრცელეს რეკრუტთა არმიაში გაწვევის კანონი, ხოლო მის მოსახლეობას შეაწერეს ახალი გადასახადები (მიწისა და სამრეწველო გადასახადები).

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ბასკეთის მმართველმა წრეებმა მაინც შეძლეს მთელი რიგი პრივილეგიების შენარჩუნება ადმინისტრაციულ უფლებათა სფეროში. ბასკეთის ადგილობრივ ადმინისტრაციას კვლავინდებურად შეეძლო ნებისმიერი მიზნებისათვის მოეხმარა ის თანხები, რომლებიც შეგროვილი იყო ბასკეთის საგადასახადო უწყების მიერ.

ბასკეთის ეროვნული ბურჟუაზიის აღიარებულ იდეოლოგს წარმოადგენდა საბინო არანა, რომლის პოლიტიკური კრედო ნათლად

აისახა მის თხზულებაში — „ბისკაია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

ბასკთა ეროვნული მოძრაობა იმპერიალიზმის ეპოქაშიც თავისი ტრადიციების ერთგული დარჩა. 1906 წელს ბასკეთის ეროვნული ძალების ყრილობამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა „ძველი კანონების აღორძინებას“. სწორედ ამ მომენტიდან მიეცა ბასკთა ეროვნულ მოძრაობას შედარებით დასრულებული და კონკრეტული ფორმა.

რაც შეეხება გალისიის ეროვნულ მოძრაობას, იგი ყოველმხრივ ჩამორჩებოდა როგორც კატალონიის, ისე ბასკეთის ეროვნულ მოძრაობას. გალისიას არ გააჩნდა თავისი პოლიტიკური პარტია და ეროვნული ორგანიზაციები. გალისიის გლეხობა, რომელიც დიდ სიღატაკეში იყო მოქცეული, შორს იდგა ეროვნული მოძრაობისაგან, რომლის ხელმძღვანელობაც მთლიანად ხელთ იგდო ადგილობრივმა მსხვილმა ბურჟუაზიამ, ხოლო ამ უკანასკნელის გავლენას განიცდიდა გალისიის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და ინტელიგენცია.

მიუხედავად თავისი განმასხვავებელი სპეციფიკური ნიშნებისა, კატალონიის, გალისიისა და ბასკეთის ეროვნული მოძრაობა არსებითად წარმოადგენდა ერთიან ძლიერ ნაკადს, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ბურბონთა თავადაზნაურულ-მემამულური მონარქიის ჯვიბრეს.

მაგრამ კატალონიის, ბასკეთისა და გალისიის ბურჟუაზია მეტად ფრთხილად და გაუბედავად მოქმედებდა. როდესაც საქმე ეხებოდა ეროვნული ინტერესების დაცვას. უფრო მეტიც, კატალონიის მსხვილი ბურჟუაზია, შეშფოთებული ადგილობრივი მუშების მზარდი საგაფიცვო მოძრაობით, ხშირად იხრებოდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან შერიგებისაკენ. მაგრამ მადრიდთან კომპრომისი მარტო ამით არ აიხსნება. კატალონიის მსხვილი ბურჟუაზია ბასკეთის ბურჟუაზიასთან ერთად თანდათანობით გადადიოდა იმპერიალისტური პოლიტიკის პლატფორმაზე, მოითხოვდა საგარეო ბაზრების ათვისებას, ძველი კოლონიური სამფლობელოების შენარჩუნებასა და ახალი ტერიტორიების დაპყრობას მეზობლად მდებარე აფრიკაში. რისთვისაც აუცილებელი იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისა და მრავალრიცხოვანი კარგად შეიარაღებული არმიის არსებობა. სწორედ ამ საკითხში კატალონიისა და ბასკეთის ბურჟუაზიის ინტერესები ემთხვეოდა ესპანეთის მიწათმფლობელი არისტოკრატიისა და სამეფო კარის კამარილიის ინტერესებს. მეორე მხრივ, ესპანეთის მმართველი წრეები მიისწრაფოდნენ ეროვნული მოძრაობის გათიშვისაკენ, მიდიოდნენ მთელ რიგ შემთხვევებში დროებითი ხასი-

ათის დათმობებზე კატალონიისა და ბასკეთის მსხვილი ბურჟუაზიის მიმართ.

ეროვნულ საკითხთან ერთად ესპანეთისათვის იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთ, განსაკუთრებული სიმწვავის პრობლემას წარმოადგენდა ე. წ. „მაროკოს საკითხი".

საუკუნეთა მანძილზე ესპანეთის მმართველი წრეები დაჟინებით მოითხოვდნენ მაროკოს პრობლემის საბოლოო გადაჭრას, რაც, მათი აზრით, იყო ესპანეთის მონარქიის „ისტორიული მისია", „მოვალეობა" და „დიდების საქმე". ამ პრეტენზიების განსამტკიცებლად, როგორც ისტორიული საბუთი, მოჰქონდათ იზაბელა დედოფლის 1504 წლის ანდერძი, სადაც იგი მოუწოდებდა შთამომავლებს აფრიკის დაპყრობისა და „ურჯულოთა" წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებისაკენ.

ესპანეთის აგრესიული პოლიტიკა მაროკოს მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა 1874 წლის რესტავრაციის შემდეგ. ამაში ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო ესპანეთის მხედრიონი, გენერალიტეტი და ოფიცერთა კორპუსი. ესპანეთის არმიის გენერალთა დიდი ნაწილისათვის მაროკოს ცუდად შეიარაღებული ტომების წინააღმდეგ ბრძოლა იყო „სამხედრო დიდების" მოხვეჭის ყველაზე იოლი გზა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთში აღმოცენდა ე. წ. „აფრიკანისტების" კასტა, რომელშიც შედიოდნენ ის სამხედრო პირები, რომლებმაც კარიერა გაიკეთეს სწორედ მაროკოში, აფრიკის კონტინენტზე. „აფრიკანისტთა" რიგებიდან გამოვიდნენ ისეთი აშკარა რეაქციონერი-მილიტარისტები, როგორებიც იყვნენ მიგელ პრიმო დე რივერა, სანხურხო, მუნიოს გრანდესი, ფრანსისკო ფრანკო და სხვები.

მაგრამ ამავე დროს ათასობით ესპანელი ჯარისკაცისათვის მაროკო იყო სიკვდილის სარბიელი. ამიტომაც ჯარისკაცები თავიდანვე ამ უსამართლო ომის მოწინააღმდეგენი იყვნენ.

მაროკოსთან ომმა ორ საპირისპირო ბანაკად გაჰყო მთელი ესპანეთი — ჩრდილოეთ აფრიკის ამ ქვეყანაში იარაღით ხელში შეჭრის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

ამ სამარცხვინო კოლონიური ავანტიურის განხორციელებაში უშუალოდ დაინტერესებულნი იყვნენ როგორც ესპანეთის მეფე ალფონსო XIII და მხედრიონი, ისე ესპანეთის მსხვილი ბურჟუაზია.

ესპანეთის მაროკოთი დაინტერესების სამხედრო-სტრატეგიული მიზეზების გარდა (გიბრალტარის სრუტის სამხრეთი სანაპირო ზონის ხელში ჩაგდება და გაბატონება ხმელთაშუა ზღვის აუზის სამ-

ხრეთ-დასავლეთ ნაწილში) არსებობდა, აგრეთვე, ეკონომიური და სოციალური ხასიათის მიზეზებიც.

ესპანეთის მემამულეები, ბურბონთა სამეფო კარი და მსხვილი ბურჟუაზია მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი „ჩრდილოეთ აფრიკის კომპანიასა“ და „რიფის მაღაროების საზოგადოებასთან“.

რაც შეეხება სოციალური ხასიათის მიზეზებს, ესპანეთის მმართველ წრეებს სურდათ ჩრდილოეთი მაროკოს წიაღისეულით მდიდარი მიწების დაპყრობით შეესუსტებინათ სახელმწიფოში არსებული მზარდი უკმაყოფილება და მოსახლეობის დიდ ნაწილში ხელოვნურად გაეღვივებინათ შოვინიზმისა და ცრუპატრიოტიზმის გრძნობები.

ესპანეთმა, რომელიც მაროკოს განაწილების საკითხში ფაქტიურად გამოდიოდა დიდი იმპერიალისტური ქვეყნების უმცროსი პარტნიორის როლში, შეძლებისდაგვარად ისარგებლა ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული წინააღმდეგობებით და ალხესირასის საერთაშორისო კონფერენციაზე (1905) მიაღწია იმას, რომ ჩრდილოეთი მაროკოს ხმელთაშუა ზღვისპირა რაიონები გადავიდა, ფაქტიურად, მის კონტროლქვეშ (დაახლოებით 20 ათასი კვ კმ ტერიტორია).

მიუხედავად ამისა, ესპანეთის იმპერიალიზმს თითქმის მთელი ოცი წლის მანძილზე მოუხდა სისხლისმღვრელი ომის წარმოება რიფების თავისუფლებისმოყვარე ტომების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი მსხვერპლი და სამხედრო ხარჯები, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა ესპანეთის მოსახლეობას.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში საერთო, გავრცელებული აზრით ესპანეთი საჭიროებდა განახლებას, ეროვნულ აღორძინებას. აღორძინებისა და განათლების გავრცელების მოძრაობამ მოიცვა ამ ქვეყნის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფერო, ხოლო ამ მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლები ესპანეთის ისტორიაში შევიდნენ „98 წლის თაობის“[1] სახელით.

„98 წლის თაობას“ მიეკუთვნებიან ცნობილი სწავლული მოაზროვნე და ლიტერატორი მიგელ დე უნამუნო, მწერლები ასორინი, პიო ბაროხა, ინკლანი, პოეტი ანტონიო მაჩადო, გამოჩენილი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-ი-გასეტა. ისტორიკოსი რაფაელ ალტამირა, ცნობილი მედიევისტი რამონ მენენდეს პიდალი და სხვები. „98 წლის თაობას“ თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლები ჰყავდა ხე-

[1] თაობა, რომელსაც 1898 წლის ომი მიაჩნდა ესპანეთის სამარცხვინო ეროვნულ კატასტროფად.

ლოვნებისა და ფერწერის ოსტატთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა და სამხედრო პირთა შორის.

„98 წლის თაობის“ წარმომადგენელთა კრიტიკა მკაცრი და დაუნდობელი იყო. ისინი შეძლებისდაგვარად ამხელდნენ ესპანეთის ჩამორჩენილობას და ქვეყნის სოციალური ცხოვრების მანკიერ მხარეებს; მოუწოდებდნენ სამშობლოს ეკონომიური განვითარებისა და „ევროპიზაციისაკენ“, სახალხო განათლების დანერგვისა და უცოდინარობის ლიკვიდაციისაკენ, წარსულის საუკეთესო ტრადიციების აღორძინებისა და რეფორმებისაკენ. მოუხმობდნენ ნახევრად ფეოდალური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მძლავრ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევისაკენ.

„98 წლის თაობის“ იდეური გავლენა ძლიერი იყო. სწორედ ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა შეუწყვეს ხელი ესპანეთში დემოკრატიული ტრადიციების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

მათი მოწოდება ქვეყნის „ევროპიზაციისა“ და რეფორმების გატარების შესახებ პირველ ყოვლისა იყო ესპანეთის ბურჟუაზიის მოწოდება. ამავე დროს „98 წლის თაობის“ იდეებმა პოპულარობა მოიპოვა ესპანეთის მუშათა კლასის გარკვეულ ნაწილშიც.

მეორე მხრივ, „98 წლის თაობის“ ზოგიერთ ლოზუნგს შემდგომში ესპანეთის მონარქიული რეაქციის ბანაკმა ჩასჭიდა ხელი.

მაგალითად, ესპანეთის „აღორძინების“ ლოზუნგი ამ უკანასკნელმა გამოიყენა „ძლიერი რეჟიმის“ დამყარებისა და ქვეყნის მილიტარიზაციისათვის.

„98 წლის თაობის“ იდეების ზეგავლენით შეიძლება აიხსნას ის, რომ ესპანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ფრანსისკო სილველამ კურსი აიღო რეფორმებისაკენ. 1899 წელს ფ. სილველა გამოვიდა სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის, ვაჭრობისა და მრეწველობის გამოცოცხლების და ე. წ. „კასიკიზმის“ სისტემის ლიკვიდაციის მოთხოვნით; ხოლო ეს უკანასკნელი (ე. წ. „კასიკიზმი“) წარმოადგენდა ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე საშინელ მანკიერებას.

მაგრამ „კასიკიზმის“ შენარჩუნებაში სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ესპანეთის ყველაზე რეაქციული ძალები, რომლებმაც 1901 წლის მარტში აიძულეს ფ. სილველა და მისი მომხრე მინისტრები გადამდგარიყვნენ.

ეს კიდევ ერთი მკაფიო ილუსტრაციაა იმ გააფთრებული წინააღმდეგობისა, რომელსაც აწყდებოდა რეფორმების გატარების ამგ-

ვარი გაუბედავი ცდებიც კი ესპანეთის მონარქიისა და გაბატონებული კლასების მხრივ.

1885 წლიდან 1902 წლამდე მონარქიას სათავეში ედგა ქვრივი დედოფალი, რეგენტი მარია-კრისტინა, რომელიც სარგებლობდა მკაცრი და გოროზი მმართველის რეპუტაციით. მისი მემკვიდრე, პომავალი მეფე ალფონსო XIII ყველაზე მეტად გატაცებული იყო არმიით, მხედრიონითა და სამხედრო აღლუმებით. იგი იყო კარგი მონადირე, მხედარი და ავტომობილის მძღოლი.

გარდა მხედრიონისა, რომელიც ახალგაზრდა მეფეს მიაჩნდა ქვეყანაში „სანიმუშო წესრიგის" დამყარების ძირითად საშუალებად, ალფონსო XIII მჭიდროდ იყო დაკავშირებული კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს სამღვდელოებასთან, განსაკუთრებით იეზუიტთა ორდენის ხელმძღვანელობასთან.

ალფონსო XIII-ეს არსებითად არც კი სურდა შეეცვალა სახელმწიფო მმართველობის ის ნახევრად არქაული სისტემა, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო თავისი გვირგვინოსანი წინაპრებისაგან. თუმცა მართალია ისიც, რომ მას შეგნებული ჰქონდა, ესპანეთში სერიოზული გარდაქმნების ჩატარების აუცილებლობა.

ესპანელი ბურბონების სამეფო ხელისუფლება კვლავინდებურად ემყარებოდა მონარქიული ბანაკის ძალებს, კონსერვატორებისა და ლიბერალების პარტიებს, რომელთა სოციალურ ბაზას, როგორც ადრეც, წარმოადგენდა მიწათმფლობელი არისტოკრატია, მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზია.

XX საუკუნის დასაწყისში ორივე მონარქიული პარტიის შიგნით თავი იჩინა ერთგვარი რღვევისა და არევდარევის პროცესმა.

ანტონიო კანოვას დელ კასტილიოს დაღუპვის შემდეგ კონსერვატიული პარტიის ლიდერის პოსტი ფრანსისკო სილველამ დაიკავა, ხოლო ფ. სილველას გარდაცვალების შემდეგ (1905) კონსერვატორებს სათავეში ჩაუდგა ანტონიო მაურა.

კიდევ უფრო სერიოზული ხასიათის განხეთქილებას ჰქონდა ადგილი ლიბერალურ პარტიაში, სადაც მატეო საგასტას გარდაცვალების შემდეგ (1903) პარტია ფაქტიურად დაიშალა ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებად. ლიდერის ფუნქციები გადავიდა მონტერო რიოსის ხელში.

ესპანეთის მონარქიული რეჟიმი XX საუკუნის დასაწყისში ახალი პოლიტიკური კრიზისის საფრთხის წინაშე დადგა, რისი დამადასტურებელიც იყო კონსერვატიულ და ლიბერალურ მთავრობათა ხშირი ცვლა; 4 წლის მანძილზე (1903-07) 9-ჯერ შეიცვალა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა. ა. კანოვას დელ კასტილიოს, მ. საგასტას

და ფ. სილველას გარდაცვალებით კონსერვატიულმა და ლიბერალურმა პარტიებმა დაკარგეს თავიანთი გამოცდილი და ავტორიტეტული ხელმძღვანელები. მათი მემკვიდრეები კი, ა. მ. მაურას გამოკლებით, ყოველმხრივ ჩამორჩებოდნენ ზემოხსენებულ ლიდერებს.

რაც შეეხება მონარქიისა და კლერიკალურ-მემამულური რეაქციის მოწინააღმდეგეთა ბანაკს, ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა პარტიებს, მათ ვერ შეძლეს ერთიანი მძლავრი ეროვნული ფრონტის შექმნა.

XX საუკუნის დასაწყისში ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ბანაკში მიმდინარეობდა ორგანიზაციულ გარდაქმნათა რთული პროცესი, რაც დასრულდა გათიშვით. ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ოდესღაც ერთიანი პარტია ფაქტიურად უკვე შედგებოდა ხუთი დაჯგუფებისაგან, რომელთაც სათავეში ედგნენ რუის სორილია, პი-ი-მარგალი, ემილიო კასტელარი, ნიკოლას სალმერონი და ალეხანდრო ლერუსი.

სორილიას ჯგუფი იდგა რესპუბლიკური მოძრაობის უკიდურეს მემარცხენე პოზიციებზე და მოითხოვდა მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის ძალდატანებითი მეთოდების გამოყენებას.

პი-ი-მარგალის და მისი ჯგუფის საპროგრამო მოთხოვნები იყო: ფედერაციული რესპუბლიკა, ფართო ავტონომიური უფლებები ცალკეული ოლქებისათვის, საყოველთაო არჩევნები, ორი პალატისაგან შემდგარი უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება.

ე. კასტელარი, მემარჯვენე რესპუბლიკელთა ლიდერი, გამოირჩეოდა თავისი ზომიერი მოთხოვნებით. იგი ცნობილი იყო როგორც ბრძოლის სავსებით ლეგალური მეთოდების მომხრე, რომელიც მიისწრაფოდა „კანონიერების“ დაცვით ზომიერი, კონსერვატიულ-ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნისაკენ; უარყოფდა ყოველგვარ ძალდატანებასა და დიქტატურას.

სორილიას „უკიდურესთა“ და კასტელარის „ზომიერთა“ შუა იდგა ნ. სალმერონის ჯგუფი, რომლის ლიდერიც მოითხოვდა ადამიანის პირად უფლებათა პატივისცემას, ეროვნული სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას, მმართველობის საპარლამენტო სისტემის შემოღებას, რწმენის თავისუფლებას და სჯულშემწყნარებლობას და ა. შ.

შედარებით მოგვიანებით გამოჩნდა პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე ალეხანდრო ლერუსი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მიეკედლა ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ბანაკს კატალონიაში. მან თავისი კარიერა დაიწყო მონარქიისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული მყვირალა „რევოლუციური“ ფრაზებით; დემაგოგიის წყალობით შეძლო წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა

და ჩამორჩენილი მუშების გარკვეული ნაწილის გულის მოგება. განსაკუთრებული პოპულარობით ლერუსი სარგებლობდა კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში. ა. ლერუსისა და მის მიერ 1906 წელს შექმნილ რესპუბლიკელთა რადიკალური პარტიის სამოქმედო პროგრამა ძალზე ბუნდოვანი იყო. თავის საჯარო გამოსვლებში ა. ლერუსი მოითხოვდა „ესპანეთის ეკონომიური და სოციალური პრობლემების სრულ შესწავლას“, სჯულშემწყნარებლობას, ეკლესიის ვამოყოფას სახელმწიფოსაგან, სავალდებულო საერო სწავლების შემოღებას, საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმას, ერთიანი სახელმწიფო გადასახადის შემოღებას და ა. შ. საქმით კი იგი შეძლებისდაგვარად გამოდიოდა კატალონიის, ბასკეთის და გალისიის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ და იცავდა ესპანეთის მსხვილი ფინანსური კაპიტალის ინტერესებს. შემდგომში ფართოდ გახმაურდა ა. ლერუსის მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა მილიონერ კონტრაბანდისტ ხუან მარჩთან, რომელიც ესპანეთში ცნობილი იყო „ხმელთაშუა ზღვის უკანასკნელი მეკობრის“ სახელით. დაბოლოს, ა. ლერუსი გახდა ფრანკიზმის ერთ-ერთი აქტიური მომხრე [1].

ა. ლერუსთან ერთად XX საუკუნის ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ბანაკში დაწინაურდა აგრეთვე მელკიადეს ალვარესი, რომელმაც ჩამოაყალიბა რეფორმისტული პარტია ზომიერი, მემარჯვენე პროგრამით.

ამგვარი დაქსაქსულობის პირობებში ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ძირითადი ძალების შემოკრება წილად ხვდა პირველი რესპუბლიკის უკანასკნელ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს ნ. სალმერონს, რომლის ინიციატივითაც ჩამოყალიბდა „რესპუბლიკის კავშირი“, სადაც ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა სხვადასხვა ჯგუფები გაერთიანდნენ.

მიუხედავად ამისა, ნათელი იყო, რომ რესპუბლიკური მოძრაობა აშკარა დაქვეითებას განიცდიდა.

ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს არ შესწევდათ მონარქიის დამხობისა და ესპანეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების ძალა და უნარი, ხოლო რაც შეეხება ესპანეთის მუშათა კლასს, იგი XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იმყოფებოდა ძალთა შემოკრების პროცესში. მართალია, სოციალისტებმა და ანარქო-სინდიკალისტებმა საგრძნობლად გააძლიერეს თავიანთი პოზიციები, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ცალკე აღებულს არ შესწევდა უნარი ჩასდგომოდა სათავეში მასების ბრძოლას ესპანეთის სოციალური და ეკონო-

[1] 1936 წლიდან 1947 წლამდე ა. ლერუსი ცხოვრობდა პორტუგალიაში. 1947 წელს დაბრუნდა ფრანკისტულ ესპანეთში, სადაც გარდაიცვალა 1949 წელს.

მიური გაჯანსაღებისათვის. ესპანეთის მუშათა მოძრაობის ამ ორ პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის არსებობდა ძალიან სერიოზული წინააღმდეგობები.

სოციალისტების ძირითად ძალას წარმოადგენდა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია და „მშრომელთა საყოველთაო კავშირის" პროფკავშირული ორგანიზაცია.

ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამას (1879) საფუძვლად დაედო I ინტერნაციონალის თეორიული დებულებები. მასში ნათქვამი იყო კლასთა მოსპობის, მუშების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღების, კერძოდ საკუთრების მთელი ერის კუთვნილებად გადაქცევის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მანიფესტაციების თავისუფლების, საყოველთაო-საარჩევნო უფლების, პიროვნების ხელშეუხებლობის, ფართო სოციალური კანონმდებლობის შესახებ.

ამავე პრინციპებს იზიარებდა „მშრომელთა საყოველთაო კავშირიც".

მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ისე „მშრომელთა საყოველთაო კავშირის" რიგებში, თანდათანობით იჩინა თავი შემრიგებლობისა და ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის ტენდენციებმა, რაც აშკარად შესამჩნევი გახდა პარტიის VI ყრილობის (1899) შემდეგ.

ამავე პერიოდისათვის რესპუბლიკელთა ძალების ბანაკთან ანტიმონარქისტული ბლოკის შეკვრა გადაიქცა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ტაქტიკური მოქმედების ერთ-ერთ კარდინალურ საკითხად. მაგრამ ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დიდი ნაწილი ცნობილი ლიდერის პაბლო იგლესიასის მეთაურობით გამოვიდა ანტიმონარქისტული სოციალისტურ-რესპუბლიკური ბლოკის შექმნის წინააღმდეგ. ძირითადი კურსი აღებულ იქნა სოციალური რეფორმების გატარებისა და არსებული კაპიტალისტური წყობილების თანდათანობით გარდაქმნაზე.

ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გავლენა პირველ რიგში შეიმჩნეოდა ბასკეთის, ასტურიისა და მადრიდის მუშებში[1]. ხოლო რაც შეეხება კატალონიასა და ანდალუსიას, ისინი კვლავინდებურად წარმოადგენდნენ ანარქო-სინდიკალისტების სამოქმედო ასპარეზს.

1900 წელს ანარქო-სინდიკალისტურმა ორგანიზაციებმა შექმნეს ე. წ. „ესპანეთის ოლქის მუშათა ფედერაცია", რაც წარმოადგენ-

[1] ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია 1905 წ. აერთიანებდა დაახლოებით 10 ათას წევრს, ხოლო „მშრომელთა საყოველთაო კავშირი" 47 ათასს.

და ანარქო-სინდიკალიზმის მრავალრიცხოვან მიმდევართა ორგანიზაციული გაერთიანების ცდას. ამ გაერთიანების მთავარ მიზნად გამოცხადდა სოციალური რევოლუცია, ბრძოლის ძირითად იარაღად საყოველთაო გაფიცვა, პირველი რიგის უახლოეს მოთხოვნად კი 8-საათიანი სამუშაო დღე, სოციალური დაზღვევა, სამუშაო ხელფასის მომატება და ა. შ.

ანარქო-სინდიკალიზმის გავლენას განიცდიდა დაახლოებით 500 ათასი მუშა. XX საუკუნის ანარქო-სინდიკალისტურ მოძრაობაში შეიმჩნეოდა ორი მიმდინარეობა, რომელთაგანაც პირველი შედგებოდა „პირდაპირი მოქმედებისა" და ტერორის მომხრეებისაგან, ხოლო მეორე — საყოველთაო გაფიცვის, როგორც ბრძოლის ძირითადი საშუალების, მომხრეებისაგან, რომლებიც უარყოფდნენ ანარქისტული ძალმომრეობის მეთოდებს.

საერთოდ, ესპანელი ანარქო-სინდიკალისტები, რომლებზეც დიდი იყო პ. ა. კროპოტკინისა და ფრანგული ანარქო-სინდიკალიზმის გავლენა, უარყოფდნენ სახელმწიფოსა და ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას და ძირითადად ეკონომიური ხასიათის ბრძოლით იფარგლებოდნენ.

ამრიგად, XX საუკუნის ესპანეთის წინაშე იდგა ძალიან მწვავე და საჭირბოროტო სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები; ამ პრობლემების დროულ გადაჭრაზე იყო ბევრად დამოკიდებული ესპანეთის მომავალი; ხოლო მათი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო ღრმა დემოკრატიულ გარდაქმნათა გზით, უკიდურეს შემთხვევაში, ფრთხილი რეფორმატორული გზით.

სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების ხელმძღვანელები ძირითადად იხრებოდნენ რეფორმებისაკენ. ამ თვალსაზრისზე იდგა ალფონსო XIII-ც.

კონსერვატიული პარტიის თვალსაჩინო ლიდერმა, ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონიო საურამ 1901 წელს ქვეყნის გაჯანსაღების მიზნით წამოაყენა „ზევიდან რევოლუციის" ჩატარების წინადადება. მან, როგორც რეალურად მოაზროვნე პოლიტიკურმა მოღვაწემ, გაითვალისწინა ის სოციალ-ეკონომიური ცვლილებები, რომელთაც ჰქონდათ ადგილი XX საუკუნის დასაწყისის ესპანეთში.

ა. მაურას პოლიტიკური გეგმების დედაარსს წარმოადგენდა კონსტიტუციური მონარქიის განმტკიცება, მისი რეფორმირება ანუ, მისივე თქმით, „რევოლუცია ზევიდან", ხალხის მონაწილეობის გარეშე, კათოლიკური და მონარქიული ტრადიციების შენარჩუნებით.

ა. მაურას „რადიკალური" „რევოლუცია ზევიდან" საქმით გა-

მოიხატა ძალზე შეზღუდულ და ზომიერ სოციალ-ეკონომიური ხასიათის რეფორმებში. ფაქტიურად ცხოვრებაში გატარდა ბურჟუაზიული კანონმდებლობის სავსებით ელემენტარული ნორმები. ამ ნორმებით უკვე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდნენ ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშები. ასე, 1900 წელს მიღებულ იქნა მრეწველობაში უბედური შემთხვევისას კომპენსაციის შესახებ კანონი; კანონი ქალებისა და ბავშვების შრომის პირობების რეგლამენტირების შესახებ, მათთვის დაწესდა 11-საათიანი სამუშაო დღის მაქსიმუმი და ა. შ. შემდგომში კი გამოქვეყნდა კანონები და დეკრეტები სამუშაო დღის საერთო ხანგრძლივობის (1904), შრომის ინსპექციის (1906), ქალებისა და ბავშვების შრომის აკრძალვის შესახებ. მრეწველობის, ჯანმრთელობისათვის ყველაზე მავნე დარგებში (1908 წ. იანვარი) მუშათა კომისიების დაარსების, შრომის კონფლიქტების მოგვარებისა და არბიტრაჟის (1908 წ. მარტი), გაფიცვების მოწყობისა და ასოციაციათა შექმნის შესახებ (1909) და ა. შ.

მაგრამ აგრარული პრობლემა, რომელიც წარმოადგენდა ესპანეთის მოსახლეობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ბურბონთა მონარქიის მესვეურებმა ფაქტიურად ხელუხლებლად დატოვეს. მართალია, 1903 წ. დეკრეტით შეიქმნა ე. წ. „სოციალური რეფორმების ინსტიტუტი“, რომელსაც დაევალა სოციალური კანონმდებლობის შესწავლა. 1905 წელს ეს ინსტიტუტი შეუდგა ახალი მიწების ათვისების საკითხის შესწავლას, ხოლო 1907 წელს გამოაქვეყნა კანონი ე. წ. „საშინაო კოლონიზაციის“ შესახებ, მაგრამ იგი შეეხო მხოლოდ 12 ათასამდე ჰექტარ მიწას, რომელიც თითქმის გამოუსადეგარი იყო მიწათმოქმედებისათვის.

გარდა ამისა, წლობით გრძელდებოდა დავა და კინკლაობა ახალი კანონების გამომუშავებისა და დამტკიცების თაობაზე.

საბოლოო ჯამში ა. მაურას „რევოლუცია ზევიდან“ არსებითად შემოიფარგლა ადგილობრივი ადმინისტრაციის რეფორმის პროექტით, საარჩევნო უფლებისა და ახალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის კანონით.

ადგილობრივი ადმინისტრაციის რეფორმას, ა. მაურას აზრით, ბოლო უნდა მოეღო ე. წ. „კასიკიზმის“ დაკნინებული სისტემისათვის. მაგრამ ეს კანონპროექტი დასამარდა მონარქისტულ-კლერიკალური რეაქციის მიერ.

კანონმა, რომელიც ეხებოდა საარჩევნო უფლებათა გაფართოებას, ხელი შეუწყო ესპანეთში არსებული არქაული საარჩევნო სისტემის რამდენადმე დემოკრატიზაციას.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ ახალი კანონის (1908) თა-

ნახმად, უნდა დაწყებულიყო სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო გემების მშენებლობა და ფლოტის სამმართველო აპარატის რეორგანიზაცია. გათვალისწინებული იყო აგრეთვე კადისის, კარტახენას და ელ ფეროლის სამხედრო-საზღვაო ბაზების მოდერნიზაცია. ამ მიზნებისათვის სულ გამოიყო 200 მილიონი პესეტი. ამ პროექტის განხორციელება დაევალა ესპანეთის გემსაშენ საზოგადოებას, რომლისთვისაც ხელი უნდა შეეწყოთ ინგლისის „ვიკერსის" და „არმსტრონგის" ცნობილ ფირმებს.

ეს იყო ჩამორჩენილი ესპანეთის მხრივ არარეალური და გაუმართლებელი წამოწყება, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა წარსულში დაკარგული საზღვაო დიდების აღორძინება.

ა. მაურას ეკუთვნოდა აგრეთვე კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ, რომლის მახვილიც ძირითადში შეეხო ანარქო-სინდიკალისტებს.

ხანგრძლივი ბრძოლის ობიექტს წარმოადგენდა საკითხი კათოლიკური ეკლესიის ფართო უფლებათა შეზღუდვის შესახებ. აქ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ლიბერალური პარტია.

ლიბერალები წლების განმავლობაში მოითხოვდნენ სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას კათოლიკური ეკლესიის სასულიერო ორდენებზე, ამ სასულიერო ორგანიზაციების საქმიანობის რეგისტრაციას, მათ მიერ საგადასახადო ვალდებულებათა პირუთვნელ შესრულებას.

XX საუკუნის დასაწყისში ლიბერალებმა (მ. საგასტას მთავრობა 1901-02 წწ., გენერალ ლ. დომინგესის მთავრობა 1906 წ.) კვლავ წამოაყენეს საკითხი სინდისის თავისუფლების, სახალხო განათლებისა და ქორწინების დარგში ეკლესიის გაბატონებული როლის შეზღუდვის შესახებ. შემუშავდა კანონპროექტი საეკლესიო ასოციაციათა უფლებების შეკვეცის შესახებ. ამან გამოიწვია ესპანეთის უმაღლესი სამღვდელოების მძაფრი წინააღმდეგობა, რომელსაც მხარი დაუჭირა კონსერვატიულმა პარტიამ ა. მაურას მეთაურობით, რასაც შედეგად მოჰყვა ლიბერალთა სამი კაბინეტის დაცემა.

უმაღლესი სამღვდელოების პრივილეგიების წინააღმდეგ გალაშქრებამ განხეთქილება გამოიწვია თვით ლიბერალური პარტიის რიგებში. 1907 წლის იანვარში ხელისუფლებას კვლავ დაუბრუნდა კონსერვატიული კაბინეტი, რომლის თავმჯდომარემ ა. მაურამ თითქმის ორი წლით გადასწია უკან ანტიკლერიკალური კანონპროექტის ცხოვრებაში გატარება.

ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა 1910 წელს, როდესაც ლიბერალურ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ხოსე კანალეხასი. ამჯერად ლიბერალებმა მიაღწიეს თავიანთ საწადელს; კორტესებმა მოიწონეს დეკ-

რეტი საეკლესიო ასოციაციების საეალდებულო რეგისტრაციისა და გადასახადების შესახებ. ამ დეკრეტით აიკრძალა აგრეთვე ახალი საასულიერო ორდენების შექმნა.

ამის საწინააღმდეგოდ მღვდელმსახურთა წაქეზებით ესპანეთის მთელ რიგ პროვინციებსა და ქალაქებში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. მდგომარეობა იქამდე გამწვავდა, რომ გაწყდა კავშირი ვატიკანსა და მადრიდს შორის და ხ. კანალეხასის მთავრობამ გაიწვია თავისი ელჩი რომიდან.

მიუხედავად ამისა, ესპანეთის კათოლიკურმა ეკლესიამ ძირითადად მაინც შეძლო თავისი ადრინდელი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნება; ხოლო ლიბერალების მხრივ ეს მეტად გახმაურებული ანტიკლერიკალური ბრძოლა არსებითად უშედეგოდ დასრულდა.

ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული მავნე სულისკვეთების ნიშნის ქვეშ. ეკლესიების დაწვა და თავდასხმები ცალკეულ მღვდელმსახურებზე სრულებითაც ვერ უთხრიდა ნიადაგს ეკლესიის ავტორიტეტს მორწმუნეთა შორის. პირიქით, აძლიერებდა ეკლესიის გავლენას ესპანეთის მოსახლეობის ფართო წრეებზე. ამ ანტიკლერიკალური მოძრაობის ინიციატორების როლში გამოდიოდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ლიბერალური ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მათ მიჰყვებოდნენ ის მუშები, რომლებიც ანარქო-სინდიკალიზმის გავლენას განიცდიდნენ.

ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია და მისი აღიარებული ლიდერი პაბლო იგლესიასი არ იზიარებდნენ ანტიკლერიკალური ბრძოლის ამ უკიდურეს მეთოდებს.

ლიბერალურ მთავრობათა მიერ წამოყენებულ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს შორის ყურადღების ღირსია ე. წ. „იურიდიული კანონი“, რომელიც მიღებულ იქნა ს. მორეტის კაბინეტის მიერ 1906 წ. მარტში, რაც გამოწვეული იყო ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხედრიონის სულ უფრო გაძლიერებული ჩარევით. ამ კანონის გამოცემას სარჩულად დაედო ესპანეთის არმიის ოფიცერთა ჯგუფის თავდასხმა ბარსელონის გაზეთების („კაკუტი“ და „კატალონიის ცხოვრება“) რედაქციებზე, რომელთაც ბრალი დასდეს არმიისა და ერის ერთიანობის საწინააღმდეგო მოქმედებაში.

ამასთან დაკავშირებით სამხედრო ხელისუფლებმა მოითხოვეს ამიერიდან „სამშობლოს და მისი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ“ მოქმედი პირების სამხედრო ტრიბუნალისადმი გადაცემა.

მხედრიონს მხარი დაუჭირეს მეფემ და რეაქციული ბანაკის წარ-

მომადგენლებმა; რეაქციასა და დემოკრატიას შორის არსებულ მწვავე წინააღმდეგობათა პირობებში გამოქვეყნდა ე. წ. „იურიდიული კანონი“, რომელმაც საკვანძოდ დააკმაყოფილა ესპანეთის სამხედრო კასტის პრეტენზიები. ამ კანონმა კიდევ უფრო გააძლიერა პოზიციები მხედრიონისა, რომელიც სულ უფრო მეტი სიჯიუტით მიიწევდა ხელისუფლების მწვერვალებისაკენ.

ამრიგად, ესპანეთის მმართველი კლასების რეფორმატორული მოღვაწეობა ძირითადად მიმდინარეობდა ორი მიმართულებით — სოციალური კანონმდებლობის სფეროში და ხელისუფლების ძირითადი ბერკეტების—მონარქიის კამარილიისა და მხედრიონის ხელში თავმოყრის ნიშნის ქვეშ.

სოციალური კანონმდებლობის დარგში უმნიშვნელო დათმობათა გზით მმართველი კლასები იმედოვნებდნენ თავი დაეღწიათ სერიოზული სოციალური ძვრებისაგან.

მსხვილი ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილის მიერ ესპანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალურ უფლებათა შემდგომი გაფართოების აუცილებლობის შეგნებამ, ეჭვს გარეშეა, თავისებური დაღი დაასვა კონსერვატიული და ლიბერალური პარტიების რეფორმატორულ მოღვაწეობას. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთის საზოგადოების წიაღში არსებულ სოციალურ წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას, პირველ რიგში კი მუშებისა და გლეხობის ბრძოლას.

XX საუკუნის დასაწყისი ესპანეთში აღინიშნა საგაფიცვო ტალღის ახალი აზვირთებით.

1901 წელს გაიფიცნენ კატალონიის, ბასკეთის, ასტურიის, სევილიისა და სხვა პროვინციების მუშები.

კატალონიაში გაფიცვები ქრონიკულ მოვლენად გადაიქცა. საყოველთაო გაფიცვა იქ ბრძოლის ყველაზე პოპულარული ფორმა იყო.

1902 წლის თებერვალში ბარსელონაში გაფიცული მელითონე მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. რომელიც გადაიზარდა პოლიციასა და მთავრობის ერთგულ ჯარებთან სისხლიან შეტაკებაში, რომლის დროსაც 40 მუშა მოკლეს და 200 დაჭრეს.

ორ კვირაზე მეტხანს გაგრძელდა ბილბაოს რკინის მადნის საბადოების მუშათა გაფიცვა 1903 წელს, რომელიც მაღაროელთა გამარჯვებით დასრულდა.

1906 წელს მადრიდში ადგილი ჰქონდა დიდ საპირველმაისო დემონსტრაციას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა მშრო-

მელმა და რომელიც ჩატარდა რუსეთის მუშებთან საერთაშორისო სოლიდარობის ნიშნით.

გაფიცვების რაოდენობა იზრდებოდა ყოველწლიურად. გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნები ეხებოდა სამუშაო ხელფასის გაზრდასა და სამუშაო დღის შემცირებას.

საგაფიცვო მოძრაობის აზვირთებამ აიძულა ესპანეთის მმართველი წრეები წასულიყვნენ მთელ რიგ დათმობებზე სოციალური კანონმდებლობის დარგში (კანონი წარმოებაში უბედური შემთხვევისათვის კომპენსაციის, ჯანმრთელობისათვის მავნე მიწისქვეშა სამუშაოებზე ქალების და ბავშვების შრომის ხანგრძლივობის შემცირების, 66-საათიანი სამუშაო კვირის შესახებ), რითაც ისინი იმედოვნებდნენ მუშებში რეფორმების ილუზიების დანერგვასა და მუშათა მოძრაობის გათიშვას.

1904 წლიდან ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ კურსი აიღო სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე; პარტიის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე ფრანსისკო ლარგო კაბალიერო (1869—1946) გახდა ა. მაურას მთავრობის მიერ დაარსებული ე. წ. „სოციალური რეფორმების ინსტიტუტის“ საბჭოს მუდმივი წევრი.

1908 წელს ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება განსაკუთრებულ შემთხვევებში ბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირის დამყარების თაობაზე, რაც პირველი ნაბიჯი იყო რესპუბლიკურ-სოციალისტური მემარჯვენე ბლოკის შექმნის პროცესში.

სოციალისტური პარტიის ოპორტუნიზმის საპირისპიროდ ანარქო-სინდიკალისტები კვლავ დაადგნენ პოლიტიკური ბრძოლის უარყოფის, არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის ძველ ტაქტიკას. ანარქო-სინდიკალისტურმა პროფკავშირებმა უარი თქვეს თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნაზე ე. წ. „სოციალური რეფორმების ინსტიტუტში“.

ესპანეთის მუშათა მოძრაობის ორ მიმდინარეობას — სოციალისტურსა და ანარქო-სინდიკალისტურს შორის არსებული ურთიერთობა ძალზე დაძაბულ ხასიათს ატარებდა. განხეთქილება გარდაუვალი გახდა.

კატალონიაში კიდევ უფრო გაიზარდა ანარქო-სინდიკალისტების გავლენა, რომლის მასაზრდოებელ ნიადაგს წარმოადგენდა ის, რომ ესპანეთის პროლეტარიატის რიგები განუწყვეტლივ ივსებოდა სასოფლო-სამეურნეო დღიური მუშებით, მოჯამაგირეებით, გაღატაკებული გლეხობითა და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებით.

ამ გარემოებას ხელს უწყობდა სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის რეფორმისტული ტენდენციებიც.

ასეთ ვითარებაში კატალონიის ანარქო-სინდიკალისტურმა პროფკავშირებმა დააარსეს „მუშათა სოლიდარობის ფედერაცია“, რომელმაც გააჩაღა ანტიიმპერიალისტური და ანტიკლერიკალური პროპაგანდა. ამ ორგანიზაციის აქტიურმა საქმიანობამ მოამზადა ნიადაგი 1909 წლის ბარსელონის საყოველთაო გაფიცვისათვის, რომელიც მიმართული იყო მაროკოში ესპანეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

1909 წლის 11 ივლისს ესპანეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ცხადდებოდა არა მარტო რეზერვისტების, არამედ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულ პირთა მობილიზაცია. 26 ივლისს კი ბარსელონაში მოვიდა ცნობა 20 ათასი კატალონელი ახლად მობილიზებული ჯარისკაცის მაროკოში გადასხმის მომზადების შესახებ. მხედრიონის ამ მზაკვრულ ნაბიჯს პასუხად მოჰყვა საყოველთაო გაფიცვა მთელს კატალონიაში. გაიფიცნენ ბარსელონის მუშები, საბადელისა და კატალონიის სხვა სამრეწველო ქალაქების ფეიქრები. ბარსელონის ქუჩებში დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები მუშებსა და ჟანდარმერიას შორის. საყოველთაო გაფიცვა გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. 27 და 28 ივლისს ბარსელონის ფაქტიური ბატონ-პატრონები მუშები იყვნენ, მაგრამ აჯანყებულთა ხელმძღვანელობას, რომელიც ძირითადად შედგებოდა ანარქისტებისა და ანარქო-სინდიკალისტებისაგან, არც კი უფიქრია მთავრობის დაწესებულებების, ბანკებისა და ყაზარმების ხელში ჩაგდება. მხოლოდ საბადელსა და მატაროში შეძლეს მუშებმა თავიანთი ადგილობრივი კომიტეტების შექმნა.

ამ გამოსვლებით დაშინებულმა მთავრობამ ჯერ მკაცრი საალყო წესები შემოიღო კატალონიის ტერიტორიაზე, შემდეგ კი ჯარის მაშველი ნაწილები გადაისროლა ბარსელონაში. აჯანყება, რომელიც ბარსელონის „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა ესპანეთის ისტორიაში, სასტიკად ჩაახშეს.

სასწრაფოდ შეკოწიწებული სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის ბრძანებით 1909 წლის 13 ოქტომბერს დახვრიტეს ესპანეთის ანარქიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსი, განმანათლებელი და ანტიკლერიკალი ფრანსისკო ფერერი. ფერერის სიკვდილით დასჯამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ევროპისა და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნის პროგრესულ საზოგადოებრიობაში. პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში, ბუდაპეშტში, ლისაბონსა და ბუენოს-აირესში ადგილი

ჰქონდა მასობრივ დემონსტრაციებს ესპანეთის რეაქციის ამ სისხლიანი აქტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

1909 წლის ბარსელონის „სისხლიანმა კვირამ“ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მაროკოს პრობლემა გადაიქცა ესპანეთის სინამდვილის ერთ-ერთ მეტად მწვავე და საკირბოროტო საკითხად. ბარსელონის „სისხლიანმა კვირამ“ დაადასტურა, თუ რაოდენ არაპოპულარული იყო ხალხში ბურბონთა მონარქიის კოლონიური პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში.

ბარსელონის „სისხლიანმა კვირამ“ და შემდგომი პერიოდის რევოლუციურმა გამოსვლებმა დააჩქარეს რესპუბლიკურ-სოციალისტური ბლოკის საბოლოო ჩამოყალიბება და ანარქო-სინდიკალისტური შრომის ეროვნული კონფედერაციის შექმნა.

რესპუბლიკურ-სოციალისტური ბლოკის შექმნით დასრულდა, ერთი მხრივ, სოციალისტური მოძრაობის საბოლოო გათიშვა ორ მიმდინარეობად, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალისტების გაერთიანება ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ბანაკთან.

„შრომის ეროვნული კონფედერაციის“ შექმნა ნიშნავდა ანარქო-სინდიკალიზმის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას ესპანეთის მუშათა მოძრაობაში.

რესპუბლიკურ-სოციალისტური ბანაკი მოითხოვდა საკონსტიტუციო გარანტიების აღდგენასა და რესპუბლიკის დაარსებას. რესპუბლიკელები და სოციალისტები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ 1910 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში. პირველად იქნა არჩეული ესპანეთის კორტესებში სოციალისტი დეპუტატი პაბლო იგლესიასი.

ერთი შეხედვით, რესპუბლიკურ-სოციალისტური ბლოკის შექმნით გაძლიერდა ანტიმონარქისტული ძალების ბანაკი. მაგრამ სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის სერიოზული შეცდომა ის იყო, რომ მან ამ ბლოკის შიგნით იკისრა ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა უმცროსი პარტნიორის როლი. ამით ესპანეთის მუშათა მოძრაობა ოპორტუნიზმის და რეფორმიზმის არტახებში მოექცა, რაც ესპანეთის სოციალისტური მოძრაობის ევოლუციის უარყოფით შედეგს წარმოადგენდა. მაგრამ ეს იყო ამ პროცესის მხოლოდ ერთი ჩრდილოვანი მხარე.

არანაკლებ მძიმე შედეგები ჰქონდა ესპანეთის მუშათა მოძრაობისათვის „შრომის ეროვნული კონფედერაციის“ ჩამოყალიბებას.

ანარქო-სინდიკალიზმის მეამბოხურმა სულისკვეთებამ და ტერორისტულმა ტაქტიკამ მოწონება და მხარდაჭერა პოვა ათობით ათას პოლიტიკურად მოუმზადებელი კატალონელი მუშისა თუ ანდალუსიელი მოჯამაგირის მხრივ.

„შრომის ეროვნული კონფედერაციის“ პროგრამაში ლაპარაკი იყო სახელმწიფოს მოსპობაზე, „პირდაპირი მოქმედების“ ტაქტიკაზე, ტერორზე, საბოტაჟზე, საყოველთაო გაფიცვაზე, პოლიტიკური და საარჩევნო ბრძოლის უარყოფაზე.

ამრიგად, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ ესპანეთის მუშათა მოძრაობაში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი მიმართულება — სოციალისტური და ანარქო-სინდიკალისტური.

ესპანეთის მუშათა მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად XX საუკუნის პირველი წლები აღინიშნა სოფლად კლასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობით. განსაკუთრებით ეს ითქმის ანდალუსიისა და ესტრემადურის გლეხობაზე. ამ პროვინციების უუფლებო მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს შორის წარმოიქმნა ანარქო-სინდიკალისტური მიმართულების მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ გაფიცვებს სოფლად. გაფიცულები მოითხოვდნენ სამუშაო ხელფასის გაზრდას, მოჯამაგირეთათვის მუდმივი სამუშაოს გამოძებნას, კვების გაუმჯობესებას, ზოგჯერ კი — მემამულეთა მიწების გაყოფასაც. გლეხები ხშირად მიმართავდნენ საბოტაჟს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მწყობრიდან გამოყვანასა და სამეურნეო შენობებისათვის ცეცხლის წაკიდებას. ყოველივე ამის გამო ანდალუსიისა და ესტრემადურის სასოფლო-სამეურნეო მუშებმა მიაღწიეს სამუშაო ხელფასის რამდენადმე გაზრდასა და კვების გაუმჯობესებას.

ხშირად ესპანელი გლეხები არ ერიდებოდნენ მემამულეთა სახლკარზე თავდასხმასაც. ამიტომაც სამხრეთ ესპანეთის სასოფლო რაიონებში პერიოდულად ჰქონდა ხოლმე ადგილი შეიარაღებულ შეტაკებებს სოფლის მცხოვრებლებსა და ე. წ. სამოქალაქო გვარდიის ნაწილებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სევილიის პროვინციაში 30 ათასი მოჯამაგირის გაფიცვა 1902 წელს.

ბუნებრივია, გლეხთა მოძრაობას გააჩნდა თავისი სპეციფიკური სუსტი მხარეებიც. არსად ისე ძლიერად არ იგრძნობოდა გათიშვა, როგორც გლეხობაში. მოქმედების რაიმე ერთიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, როდესაც საქმე ეხება ანდალუსიისა და კატალონიის მოჯამაგირეთა თუ გალისიის წვრილ მესაკუთრე გლეხთა მოძრაობას.

გლეხთა მოძრაობის მეორე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა გლეხთა ორგანიზაციების შედარებით მოგვიანებული აღმოცენება ესპანეთის ცალკეულ რაიონებში; კატალონიაში მხოლოდ 1893 წელს იქნა ჩამოყალიბებული „სოფლის მშრომელთა ფედერაცია“, რომელიც ძირითადად მოჯამაგირეებისაგან შედგებოდა; კიდევ უფრო

მოგვიანებით შეიქმნა გლეხთა გაერთიანებები გალისიაში („გალისიის სოლიდარობა“ და „გალისიის გლეხთა კავშირი“).

რაც შეეხება ესპანეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებს — ასტურიას, ბასკეთს, სანტანდერს — აქ წარმოიშვა აგრარულ-ქრისტიანული მოძრაობა, რომლის მეთაური იეზუიტი მღვდელი ვისენტი იყო. ამ უკანასკნელს სურდა ადგილობრივ გლეხთა მოძრაობა დაექვემდებარებინა თავისებური შუასაუკუნეობრივი სასულიერო კორპორაციისათვის. შემდგომში ეს მოძრაობა კასტილიასაც მოედო.

ესპანეთის მუშათა და გლეხთა გამოსვლებს უერთდებოდა ეროვნული მოძრაობა კატალონიასა, ბასკეთსა და გალისიაში, რომელიც მიმართული იყო ბურბონთა მონარქიისა და ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ.

1906 წელს ე. წ. „იურიდიული კანონის“ გამოქვეყნებით ბურბონთა მონარქიის მესვეურებმა საჯაროდ პირველად დაგმეს კატალონიის, ბასკეთისა და გალისიის ეროვნული მოძრაობა, რომელიც, მათი აზრით, სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასოვანი იყო, ხოლო ე. წ. „მანრესას საფუძვლები“, მათივე აზრით, უგულებელყოფდნენ ესპანეთის ერთიანობის ინტერესებს.

მაგრამ მოხდა პირუკუ და მადრიდის ხელისუფალთა რეპრესიულმა ღონისძიებებმა და სამხედრო ტრიბუნალების სადამსჯელო საქმიანობამ კიდევ უფრო დააჩქარა კატალონიის ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციის პროცესი. 1906 წელს ქ. ხერონში ჩამოყალიბდა ე. წ. „კატალონიის სოლიდარობის კავშირი“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ „რეგიონალისტური ლიგა“, „რესპუბლიკის კავშირი“, „ეროვნული რესპუბლიკური ცენტრი“, „ფედერალური კატალონია“ და „კატალონიის კავშირი“.

„კატალონიის სოლიდარობის კავშირი“ გადაიქცა ეროვნული მოძრაობის ძირითად პოლიტიკურ ცენტრად, რომლის მოქმედებაც ფაქტიურად შემოიფარგლა კატალონიის ბურჟუაზიის პრივილეგიებისათვის ბრძოლით. „კატალონიის სოლიდარობის კავშირში“ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა „რეგიონელისტური ლიგა“, რომელიც, როგორც ადრე, არ გაურბოდა მადრიდის კამარილიასთან კომპრომისების პოლიტიკას.

1909 წლის ბარსელონის „სისხლიანმა კვირამ“ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ დააჩქარა შიშით შეპყრობილი კატალონელი მსხვილი ბურჟუაზიის შემდგომი დაახლოება ესპანეთის თავადაზნაურულ-მემამულური ბანაკის ძირითად ძალებთან.

კატალონელი მუშების დიდი ნაწილი კი მიჰყვებოდა „შრომის

ეროვნული კონფედერაციის“ ანარქო-სინდიკალისტურ ხელმძღვანელობას, რომელიც სავსებით უგულებელყოფდა ეროვნულ საკითხს.

კატალონელი გლეხობა ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა ბურჟუაზიის, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის, მოხელეთა და სტუდენტობის მოძრაობას. ამიტომაც მადრიდის ცენტრალური ხელისუფლება სავსებით მიზანშეწონილად თვლიდა დროებითი ხასიათის უმნიშვნელო დათმობებზე წასვლას კატალონელ ბურჟუაზიასთან ურთიერთობაში.

1912 წლის ოქტომბერში ესპანეთის კორტესებში გატარდა კანონ-პროექტი კატალონიის მუნიციპალიტეტების საბჭოს (მანკომუნიდადი) დაარსების შესახებ, რომლის კომპეტენციაში შედიოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობისა და სხვა საკითხები.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ ესპანეთში დაგროვდა გარკვეული სახის „ფიცხი მასალა“. მიმდინარეობდა ესპანეთის საზოგადოების ურთიერთ საწინააღმდეგო ორ ბანაკად გაყოფის შედარებით სწრაფი პროცესი. უკვე საკმაოდ გამოკვეთილი იყო ესპანეთის შემდგომი განვითარების ორი ტენდენცია: ერთი — რევოლუციურ-დემოკრატიული, მეორე — რეაქციული და ანტიდემოკრატიული.

მეორე ინტერნაციონალი 1900-14 წლებში. ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე

მუშათა კლასის ბრძოლის ახალი პირობები იმპერიალიზმის ეპოქაში. ორი ტენდენციის გაძლიერება მუშათა მოძრაობაში

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც კაპიტალიზმი თავის უმაღლეს და უკანასკნელ ფაზაში, იმპერიალიზმში გადაიზარდა, დამთავრდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ევროპული და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიაში. დიდი კლასობრივი ბრძოლებისათვის მზადების, ძალების დაგროვებისა და მასობრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიების შექმნის პერიოდი შეცვალა მძაფრი კლასობრივი შეჯახებების, კაპიტალიზმის ციხესიმაგრეზე გადამწყვეტი იერიშის მიტანის პერიოდმა. დღის წესრიგში დადგა რევოლუციური პროლეტარიატის მიერ უშუალოდ ძალაუფლების ხელში აღების საკითხი. ახალმა ვითარებამ ახალი საბრძოლო ამოცანები დასახა მუშათა კლასისა და სოციალისტური პარტიების წინაშე და ხელი შეუწყო პროლეტარიატის ბრძოლის ახალი ფორმების ჩასახვას.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დამდეგისათვის სოციალისტური მოძრაობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა გერმანელ სოციალისტთა ლიდერი ავგუსტ ბებელი, დიდ ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდა, მას მაინც არ აღმოაჩნდა უნარი წარმატებით გადაეწყვიტა ახალი ვითარებით ნაკარნახევი დიდი ისტორიული ამოცანები. სოციალისტური პარტიების უმრავლესობას არ შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა მუშათა კლასის რევოლუციურ ძალებს პროლეტარული რევოლუციის მოსახდენად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. II ინტერნაციონალისა და მასში შემავალი სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელობა ნაკლებ ზრუნავდა პროლეტარული მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდაზე და არ იბრძოდა რევოლუციის რეზერვებთან — გლეხობასა და დამონე-

ბული ქვეყნების მშრომელებთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის. ამას ხელს უშლიდა როგორც სოციალისტთა ლიდერების დაშორება მუშათა მასებისაგან, ისე რევოლუციურ და ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ ტენდენციებს შორის ბრძოლის გაღრმავება.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ, მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობამ (საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიასა და რიგ სხვა ქვეყნებში), მუშათა კლასის დიდ ნაწილში რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერებამ ხელი შეუწყო რევოლუციური მიმდინარეობის გაძლიერებას საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში. ამის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულება იყო რუსეთის მუშათა კლასის გამოსვლა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე და მის მიერ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ახალი ტიპის პარტიის შექმნა. ზემოაღნიშნული პროცესის მორიგი გამოხატულება იყო მემარცხენე ფრთის ჩასახვა გერმანიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების რიგებში, ინგლისელი და ფრანგი სოციალისტების ნაწილის ენერგიული ბრძოლა ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობისა და კომპრომისების წინააღმდეგ და რევოლუციური ძალების კონსოლიდაცია სხვა სოციალისტურ პარტიებში.

მაგრამ რევოლუციურ ტენდენციებთან ერთად სოციალისტთა რიგებში ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა ოპორტუნისტული ტენდენცია. იგი იმპერიალიზმის ეპოქის კანონზომიერი მოვლენა იყო და წარმოადგენდა მუშათა კლასზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზემოქმედების, მუშათა არისტოკრატიის ანტირევოლუციური სულისკვეთების მკაფიო გამოხატულებას. ინტელიგენციის, სოფლისა და ქალაქის წვრილბურჟუაზიული წრეების წარმომადგენელთა მასობრივი შესვლა სოციალისტური პარტიების რიგებში ოპორტუნიზმის ზრდის მორიგი სოციალური საფუძველი იყო. II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის შემრიგებლური პოლიტიკა, მათი თანდათანობითი დაქანება რევოლუციური მარქსიზმის პოზიციიდან ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ოპორტუნისტული და რეფორმისტული მიმდინარეობის ზრდა-განვითარებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ინტერნაციონალის საქმიანობაზე.

პარიზის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში რევოლუციური და ოპორტუნისტული ტენდენციების გამწვავების ვითარებაში 1900 წლის 23—27 სექტემბერს პარიზში ჩატარდა მეორე ინტერნაციონალის მო-

რიგი, V კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროპისა და ევროპის მიღმა ქვეყნების სოციალისტური პარტიების 791 წარმომადგენელი.

კონგრესის დღის წესრიგში იყო სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის გზებისა და ბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირის შესაძლებლობის („მილიერანის კაზუსი"), მილიტარიზმის, კოლონიური პოლიტიკის, ორგანიზაციული და სხვა საკითხები.

ცენტრალური საკითხი იყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაუფლება და ბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირის საკითხი. მისი სახით კონგრესმა, არსებითად, განიხილა ე. წ. „მილიერანის კაზუსი". მემარჯვენე ფრანგმა სოციალისტმა ალექსანდრე მილიერანმა უღალატა მუშათა კლასს და 1899 წელს ვალდეკ-რუსოს ბურჟუაზიულ მთავრობაში ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პოსტი დაიკავა. ეს იყო ევროპელ სოციალისტთა ცხოვრებაში უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც გარკვეულ პასუხს მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით პარიზის კონგრესს თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა ეთქვა და გარკვეული ორიენტაცია მიეცა ყველა ქვეყნის სოციალისტებისათვის.

„მილიერანის კაზუსის" საკითხში თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ: აშკარა ოპორტუნისტულმა, რევოლუციურმა და საშუალო, შემრიგებლურმა. ბერნშტაინმა, ფოლმარმა და სხვა გერმანელმა ოპორტუნისტებმა, ჟორესმა და მისმა მიმდევრებმა საფრანგეთიდან, ზოგიერთმა ინგლისელმა და ბელგიელმა სოციალ-ოპორტუნისტებმა გაამართლეს მილიერანის საქციელი, მოიწონეს იგი და სხვებისათვის მისაბაძ მაგალითად გამოაცხადეს. პრინციპულად სხვა პოზიცია განავითარა ფრანგი სოციალისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ჟიულ გედმა. მან მკაცრად დაგმო მილიერანის საქციელი და მას მუშათა კლასის ინტერესების აშკარა ღალატი უწოდა. გედმა ხაზი გაუსვა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ინტერესთა სრულ წინააღმდეგობას და შეუძლებლად მიიჩნია სოციალისტის მონაწილეობა ბურჟუაზიულ მთავრობათა საქმიანობაში, რადგან ამით იგი, გედის თქმით, ღალატობს მუშათა კლასს, სოციალიზმის საქმეს და ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების უბრალო აღმასრულებელი ხდება. გედმა კონგრესზე წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. მის პრინციპულ პოზიციას აღნიშნულ საკითხში მხარი დაუჭირეს რ. ლუქსემბურგმა, იტალიელმა სოციალისტმა უ. ფერმმა და ბევრმა სხვა რევოლუციონერმა სოციალისტმა.

საშუალო შემრიგებლური აზრი ამ საკითხზე მაშინ განავითარა

ცნობილმა გერმანელმა ორთოდოქსმა კარლ კაუცკიმ. მართალია, რეზოლუციის მის პროექტში (რომელსაც სამართლიანად შეარქვეს „კაუჩუკის“ რეზოლუცია) აღნიშნული იყო, რომ „ცალკეული სოციალისტის“ შესვლა ბურჟუაზიულ მთავრობაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის ნორმალურ გზად“, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი ასეთი მოქმედების მარქსისტული თვალთახედვით შეფასებაზე და არ იყო განსაზღვრული ის პირობები და გარემოებები, რომელთა დროს დასაშვები იქნებოდა სოციალისტის შესვლა ბურჟუაზიულ მთავრობაში. კაუცკის რეზოლუცია არ გმობდა მილიერანის ღალატის კონკრეტულ შემთხვევას. არა პრინციპის, არამედ ტაქტიკის საკითხად აცხადებდა მას და საჭიროდ თვლიდა ემსჯელა მის შესახებ ცალკეულ სოციალისტურ პარტიას და არა კონგრესს. ამგვარად, კაუცკის რეზოლუცია გზას უხსნიდა ოპორტუნისტებს გაემართლებინათ მილიერანი და გაეტარებინათ ე. წ. „მინისტერიალიზმის“ პოლიტიკა.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონგრესმა ხმების უმრავლესობით მიიღო კაუცკის „კაუჩუკის“ რეზოლუცია, რითაც საგრძნობლად დამორდა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებს. ვ. ი. ლენინმა შემდეგში მკაცრად გააკრიტიკა იგი, მოითხოვა მისი გაუქმება. გედის პოზიციას კი უწოდა ყველაზე სწორი და პრინციპული.

პარიზის კონგრესი მიმდინარეობდა მაშინ, როცა აშშ-ესპანეთის იმპერიალისტური ომი ის-ის იყო დამთავრდა. სამხრეთ აფრიკაში ახალი ძალით ბობოქრობდა ინგლისელ იმპერიალისტთა ომი ბურების რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამერიკელი იმპერიალისტები ცეცხლითა და მახვილით ამყარებდნენ თავიანთ კოლონიურ ბატონობას ფილიპინების კუნძულებზე, საერთაშორისო იმპერიალიზმი კი ერთიანი ფრონტით ახშობდა ჩინელი ხალხის ანტიიმპერიალისტურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას („იხეტუანელთა“ აჯანყება). ასეთ ვითარებაში სოციალისტთა კონგრესი ვალდებული იყო განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება მილიტარისტთა და იმპერიალისტთა კოლონიური პოლიტიკის მიმართ და სათანადო ორიენტაცია მიეცა სოციალისტური პარტიებისათვის.

მილიტარიზმის საკითხში კონგრესმა რ. ლუქსემბურგის მოხსენების საფუძველზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს წინა კონგრესების რეზოლუციებთან შედარებით. იგი გადაჭრით გმობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკასა და ომისათვის მზადებას, მოუწოდებდა მუშათა კლასსა და სოციალისტურ პარტიებს ერთობლივი საშუალებებით მიეღოთ ენერგიული ზომები მილიტარიზმის წინააღმდეგ. რეზოლუ-

ცია ამ მიმართულებით აყენებდა ზოგიერთ კონკრეტულ წინადადებას: მშრომელი ახალგაზრდობის შეკავშირებას და აღზრდას ანტიიმპერიალისტური სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის სოციალისტი-დეპუტატების მიერ პარლამენტში ყოველგვარი სამხედრო ხარჯების (ფლოტის, კოლონიებში სამხედრო ექსპედიციების ხარჯების) წინააღმდეგ ხმის მიცემას, მილიტარიზმის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად და, საჭირო შემთხვევებში, საპროტესტო მოძრაობის მოსაწყობად, საერთაშორისო სოციალისტური კომისიის შექმნას.

კონგრესმა მკაცრად დაგმო, აგრეთვე, ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მტაცებლური კოლონიური პოლიტიკა აზიაში, აფრიკასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ამ საკითხზე მან მიიღო ჰოლანდიელი სოციალისტის ვან-კოოლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც ორგანიზებულ პროლეტარიატს მოუწოდებდა გამოეყენებინა მის განკარგულებაში არსებული მთელი ძალები და საშუალებები, რათა გაემარჯვა „კოლონიური სამფლობელოების გაფართოების კაპიტალისტურ პოლიტიკაზე". კოლონიური ავანტიურების მკაცრ დაგმობასთან ერთად იგი საჭიროდ მიიჩნევდა სოციალისტური პარტიების შექმნას კოლონიებში და მათი საქმიანობის კოორდინაციას.

პარიზის კონგრესამდე მეორე ინტერნაციონალს არ გააჩნდა ისეთი საერთაშორისო ორგანო, რომელიც კონგრესიდან კონგრესამდე მოახდენდა მასში შემავალი სოციალისტური პარტიების საქმიანობის კოორდინაციას. პარიზის კონგრესმა ცალკეული პარტიების წარმომადგენლებისაგან შექმნა ორგანო, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური ბიურო ეწოდა. მის ადგილსამყოფად მიჩნეულ იქნა ბრიუსელი [1]. მაგრამ ახალ ორგანოს არ გააჩნდა ქმედითი ძალა. იგი არ წარმოადგენდა ხელმძღვანელ რევოლუციურ შტაბს, მოკლებული იყო სადირექტივო ფუნქციებს და არ შეეძლო უშუალო გავლენა მოეხდინა ცალკეული სოციალისტური პარტიების საქმიანობაზე. არსებითად, იგი წარმოადგენდა გადამცემ საკორესპონდენციო ორგანოს, უბრალო „საფოსტო ყუთს", როგორც უწოდებდა მას ვ. ი. ლენინი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება რუსეთში. ბოლშევიკური პარტიის შექმნა

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ — გერმანიიდან რუსე-

[1] ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე, მდივნად — ბელგიელი კ. ჰიუსმანსი.

თისაკენ გადაინაცვლა. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აქ შეიქმნა ახალი ტიპის პარტია — ბოლშევიკური პარტია. იგი აღმოცენდა პრაქტიკის მიერ შემოწმებულ დემოკრატიული ცენტრალიზმის ორგანიზაციულ პრინციპებზე. ამ ახალმა, ჭეშმარიტად მებრძოლმა მარქსისტულმა რევოლუციურმა პარტიამ თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია მუშათა კლასის ინტერესებისადმი ერთგულება და შეუნელებელი ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით ყოველგვარი ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. თავის კლასიკურ ნაშრომში „რა ვაკეთოთ“? ვ. ი. ლენინმა ახალი პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის მოხაზვასთან ერთად ნიღაბი ჩამოხსნა ბერნშტაინიანობის რუსულ სახეობას — „ეკონომიზმს“ და წარმოაჩინა ბერნშტაინიანობისა და მილიერანიზმის იდეური მონათესაობა. მან დამაჯერებლად ნათელყო, რომ დასავლეთევროპელი რევიზიონისტები, მათ შორის არსებული ფორმალური სხვაობის მიუხედავად, მტრულად იყვნენ განწყობილნი მარქსიზმისადმი.

ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც იდეურად და პოლიტიკურად გაფორმდა რსდმპ მეორე ყრილობაზე, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მედგარი ბრძოლა მოუხდა როგორც რუსი მენშევიკების, ისე მათი დასავლეთევროპელი თანამოაზრეების წინააღმდეგ. კარლ კაუცკი და მეორე ინტერნაციონალის ზოგიერთი სხვა ლიდერი რსდმპ გათიშვისათვის ბოლშევიკებს სდებდნენ ბრალს, მათ გამთიშველებს უწოდებდნენ, გათიშვის მიზეზად კი „უბრალო“ არაპრინციპულ ორგანიზაციულ საკითხს მიიჩნევდნენ. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ სინამდვილეში პრინციპული ხასიათის მოტივებით გამოწვეული გათიშვის ლიკვიდაციას და პარტიის ერთიანობის აღდგენას. არსებითად მათ სურდათ ბოლშევიკებს მიეღოთ მენშევიკების ოპორტუნისტული პლატფორმა. ვ. ი. ლენინმა და მისმა მომხრეებმა გადაჭრით უარყვეს მეორე ინტერნაციონალის ასეთი მომრიგებლობა და საჭიროდ არ ცნეს ოპორტუნისტებთან კავშირის აღდგენა.

ბოლშევიკებმა თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანად დასახეს რუსეთის მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მისი მომზადება დიდი ისტორიული მისიისათვის — სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის. ამ ამოცანის შესაბამისად მათ შეიმუშავეს სათანადო სტრატეგიული პრინციპები, მარქსისტული პარტიის ტაქტიკური ხერხები და ორგანიზაციული საფუძვლები, რომლებიც რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილების განზოგადებას ემყარებოდა.

ბოლშევიკური პარტია ერთადერთი იყო მსოფლიოს სოციალისტურ პარტიებს შორის, რომელმაც შემოქმედებითად განავითარა

მარქსიზმი, პრინციპულ დონემდე აიყვანა შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარ ოპორტუნიზმთან, რეფორმიზმთან და მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილ ყველა სხვა მიმდინარეობასთან. იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის ახალი ვითარების სრულყოფილად გათვალისწინებით ბოლშევიკებმა რუსეთის მუშათა კლასი წაიყვანეს გადამწყვეტ იერიშზე ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის მეორე ინტერნაციონალის პარტიების შიგნით ჩამოყალიბდა სამი მიმდინარეობა: მემარჯვენე ფრთა, ანუ აშკარა ოპორტუნისტული, „ცენტრისტული", ანუ ორთოდოქსალური, და მემარცხენე-რადიკალური.

პირველში ერთიანდებოდნენ ბერნშტაინის ტიპის ოპორტუნისტები და სოციალ-რეფორმისტები როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან, მეორეში — ბებელი, კაუცკი, გედი და სხვა ორთოდოქსი ლიდერები, რომლებიც თითქოს სწორ მარქსისტულ ხაზს ატარებდნენ, მაგრამ ეგუებოდნენ ოპორტუნისტებს, ხშირად იფარავდნენ მათ მასების რისხვისაგან და სურდათ შეენარჩუნებინათ მათთან კავშირი ერთი პარტიის შიგნით. მემარცხენე ფრთას შეადგენდნენ: გერმანელი მემარცხენე „რადიკალები" — რ. ლუქსემბურგი, კ. ლიბკნეხტი და სხვანი, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთა, ბულგარელი ტესნიაკები, ტრიბუნისტები ჰოლანდიიდან. მათ ბევრი რევოლუციური დამსახურება ჰქონდათ, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ლენინს, მაგრამ პრინციპულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში სერიოზულ შეცდომებსაც უშვებდნენ.

მეორე ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესი და მისი გადაწყვეტილებანი

მეორე ინტერნაციონალის მორიგი, მეექვსე კონგრესი გაიხსნა 1904 წლის 14 აგვისტოს ამსტერდამში (ჰოლანდიაში) და 20 სექტემბერს დაამთავრა მუშაობა. კონგრესს ესწრებოდა 476 დელეგატი, მათ შორის ბოლშევიკური პარტიის 2 წარმომადგენელი [1]. იგი მიმდინარეობდა საერთო რევოლუციური აღმავლობისა და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემზადების პერიოდში, რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია მის საქმიანობას.

---

[1] მათ შორის ერთი იყო ლიადოვი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა თან გაატანა მის მიერ შემუშავებული მოსაზრებები რსდმპ არსებული გათიშვის შესახებ.

კონგრესის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესის, კოლონიური პოლიტიკის, ემიგრაციისა და იმიგრაციის, საყოველთაო გაფიცვისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ერთიანობის.

კონგრესის შემადგენლობა ერთსულოვანი ოვაციით შეეგება პლეხანოვისა და იაპონელი სოციალისტების ლიდერის სენ კატაიამას მიერ ერთმანეთისათვის მეგობრულად ხელის ჩამორთმევას. რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტური ომის ვითარებაში ეს იყო ომის საჯარო დაგმობისა და ამ ორი ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია. ამასთან დაკავშირებით კონგრესმა მიიღო ერთსულოვანი რეზოლუცია, რომელიც გმობდა რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტურ ომს და ყველა ქვეყნის ხალხებს მოუწოდებდა ხელი შეეშალათ მისი შემდგომი გაფართოებისათვის.

საერთო რევოლუციურმა აღმავლობამ აიძულა ამსტერდამის კონგრესი დაესვა საკითხი კაუცკის „კაუჩუკის" რეზოლუციის შეცვლის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ეს რეზოლუცია ოპორტუნისტული საქმიანობის გასამართლებლად გამოიყენა. კაუცკიც იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავისივე რეზოლუციის პრინციპებზე, რაც იმით აბსნა, რომ 1900 წელს, თითქოს საჭირო იყო კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა—შეუძლია თუ არა სოციალისტს გარკვეულ ვითარებაში შევიდეს ბურჟუაზიულ მთავრობაში. ამსტერდამის კონგრესზე კი დაისვა პრინციპული საკითხი საერთოდ სოციალისტთა ტაქტიკის შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალისტთა ხაერთაშორისო ტაქტიკის საკითხზე ცხარე კამათი გაიშალა მინისტერიალისტებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. ჟორესმა და მისმა მომხრეებმა ისევ გაამართლეს მილიერანის საქციელი და მხარი დაუჭირეს სოციალისტების ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას. ოპორტუნისტებმა წარადგინეს რეზოლუციის პროექტი (ვ. ადლერ-ვან დერველდესი), რომელიც კაუცკის „კაუჩუკის" რეზოლუციის უბრალო გამეორება იყო. საწინააღმდეგო აზრი გაბაკითარეს ჟ. გედმა, ა. ბებელმა და სხვებმა. თავიანთ გამოსვლებში მათ დაგმეს ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობა, სოციალისტების ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლა და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ფორმების მიფუჩეჩება. გედის მომხრეებმა კონგრესზე წარადგინეს რეზოლუციის საკუთარი პროექტი, რომელიც სოციალისტებისაგან მოითხოვდა ძლევამოსილ კლასობრივ ბრძოლაზე დამყარებულ რევოლუციური ტაქტიკის გამოყენებას.

კონგრესმა ხმების უმრავლესობით მიიღო გედის რეზოლუცია და უარყო ადლერ-ვანდერველდეს რეზოლუცია, რომელმაც მხოლოდ 21 ხმა შეაგროვა. „სოციალისტურმა „მთამ“ გაიმარჯვა სოციალისტურ ჟირონდაზე“.—ასე შეაფასა კენჭისყრის ეს შედეგები გ. პლეხანოვმა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ოპორტუნისტების რეზოლუციას ხმა მისცა 21 დელეგატმა, ბევრის მთქმელი და დამაფიქრებელი იყო. იგი ოპორტუნიზმის გავლენის შემდგომ ზრდაზე მიგვითითებდა.

თუ სოციალისტთა საერთაშორისო ტაქტიკის საკითხში ოპორტუნისტები დამარცხდნენ, სამაგიეროდ, მათ რევანში აიღეს კოლონიური პოლიტიკის საკითხში. ამ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ჰოლანდიელი სოციალ-შოვინისტი და რეფორმისტი ვან-კოოლი. მან ხაზი გადაუსვა ლონდონის კონგრესის მართებულ გადაწყვეტილებას და იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის დაგმობის ნაცვლად შენიღბულ ფორმებში დაიცვა იგი და „ცივილიზატორულ მისიად“ გაასაღა. კონგრესმა ამავე საკითხზე მიიღო იმავე ვან-კოოლისა და ინგლისელ ოპორტუნისტ ჰაინდმანის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა დიდმპყრობელურ, ოპორტუნისტულ დებულებებს და ჭეშმარიტ მარქსისტებისათვის მიუღებელი იყო პოლიტიკურად. იგი არ მოუწოდებდა სოციალისტებს ყველა საშუალებით ებრძოლათ კოლონიური ძარცვის წინააღმდეგ და კოლონიური ხალხების „ეროვნული თვითგამორკვევისათვის“, არამედ ურჩევდა მათ მოეთხოვათ „კოლონიების მოსახლეობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა... მათი განვითარების დონის შესაბამისად“. ამ რეზოლუციით კონგრესმა უკან დაიხია პარიზისა და ლონდონის კონგრესებთან შედარებით და გზა გაუხსნა ყველა ჯურის სოციალ-შოვინისტებსა და ოპორტუნისტებს, განვითარებინათ პროლეტარიატის ინტერესებისათვის შეუთავსებელი აზრი იმპერიალიზმის ეპოქის კოლონიური პოლიტიკის „დადებით“ როლზე.

ოპორტუნიზმის მზარდმა გავლენამ თავი იჩინა ამსტერდამის კონგრესის გადაწყვეტილებაში მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური პარტიების ერთიანობის შესახებ. თავისთავად დადებითი და მისასალმებელი იყო ამ საკითხზე მიღებული რეზოლუცია, რომელიც რჩევას აძლევდა ჟორესისტებსა და გედისტებს საფრანგეთში, აგრეთვე სხვა სოციალისტური პარტიების მიმდინარეობებს გაერთიანებულიყვნენ ერთიან სოციალისტურ პარტიებში და უფრო წარმატებით ებრძოლათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ კონგრესმა დუმილით აუარა გვერდი გაერთიანების პლატფორმის საკითხს და რეზოლუციაში არ ჩაწერა, რომ ასეთი გაერთიანება შეიძლებოდა მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების აღიარების ბაზაზე. ამიტომ

იყო, რომ საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სოციალისტთა ფორმალურ გაერთიანებას მოჰყვა რევოლუციური მიმდინარეობის „ერთობა“ და არსებითად კი — დაქვემდებარება ოპორტუნისტებისადმი. საფრანგეთში, მაგალითად, ჟორესისა და გედის მომხრეთა გაერთიანების შედეგად ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობა ჟორესისა და მისი მომხრე ოპორტუნისტების ხელში გადავიდა. მხოლოდ ბოლშევიკები არ დაემორჩილნენ ამსტერდამის კონგრესის აღნიშნულ გადაწყვეტილებას და საჭიროდ არ ცნეს გაერთიანებულიყვნენ მენშევიკებთან ოპორტუნისტული პლატფორმის ბაზაზე. პოლიტიკური და იდეოლოგიური ხაზის სიწმინდემ კი მათ საშუალება მისცა დაერაზმათ რუსეთის მუშათა კლასი დიდი ისტორიულ-რევოლუციური მისიის შესასრულებლად.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ და მასობრივი საგაფიცვო ბრძოლის გაშლამ (რუსეთში, ბელგიაში და სხვ.) აიძულა ამსტერდამის კონგრესი განეხილა მემარცხენე სოციალისტების მიერ შემოტანილი წინადადება საყოველთაო გაფიცვის, როგორც მუშათა კლასის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმის ცნობის შესახებ. ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციით (მისი ავტორი იყო ჰოლანდიელი როლან ჰოლსტი) კონგრესმა ცნო მასობრივი გაფიცვა (მრეწველობის ცალკე დარგებში მუშათა კლასის უფლებების დასაცავად და გასაფართოებლად) როგორც მუშათა კლასის ბრძოლის მეთოდი. თქმა არ უნდა, ეს იყო სერიოზული მიღწევა და წინგადადგმული ნაბიჯი, ოაგრამ რეზოლუციას გააჩნდა არსებითი ხარვეზიც: მასში უარყოფილი იყო მასობრივი გაფიცვის საყოველთაო გაფიცვაში, შემდეგ კი შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდის აუცილებლობა. ეს იყო სერიოზული დათმობა ოპორტუნისტებისადმი, რომლებიც მხარს უჭერდნენ მხოლოდ ბრძოლის ლეგალურ საშუალებებს (პარლამენტების ტრიბუნები, პროფკავშირები), უარყოფდნენ რევოლუციური ბრძოლის მეთოდებს და მტრულად იყვნენ განწყობილნი პროლეტარული რევოლუციის აქტისადმი.

ამერიკელი სოციალისტების მიერ დასმული საკითხი ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ შემდეგ კონგრესზე გადაიტანეს.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა. II ინტერნაციონალის სხვადასხვა მიმდინარეობათა დამოკიდებულება ამ რევოლუციისადმი

მეოცე საუკუნის დამდეგიდან რუსეთში აზვირთებული მუშათა რევოლუციური მოძრაობა 1905-07 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით დაგვირგვინდა. იმპერიალიზმის ეპოქის ამ

პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, უდიდესი გამოძახილი პოვა მთელ მსოფლიოში. მან მძლავრი ბიძგი მისცა მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებასა და მუშათა მოძრაობის შემდგომ აღმავლობას ევროპაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნები ამოვარდნენ ძველი კალაპოტიდან და ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მძლავრ პლაცდარმებად იქცნენ.

რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციამ თავის განვითარებაში წამოაყენა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის კარდინალური პრობლემები: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის, რევოლუციის ხასიათის, მისი მამოძრავებელი ძალების, პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობის, რევოლუციაში პროლეტარიატის რეზერვების, საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვის როგორც კლასობრივი ბრძოლის ახალი ტაქტიკის მომარჯვების, მისი შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდისა და სხვ., აღნიშნული რევოლუციის მდიდარი გამოცდილების შეფასება და პრაქტიკულ საქმიანობაში მისი გამოყენების შესაძლებლობა აქტუალურად დაისვა მეორე ინტერნაციონალში შემავალი სოციალისტური პარტიების დღის წესრიგში. აღნიშნულმა კარდინალურმა პრობლემებმა სერიოზული პოლემიკა გამოიწვია. რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გამოცდილების შეფასების საკითხში თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ: მემარჯვენე-ოპორტუნისტულმა, ცენტრისტულმა და მემარცხენე-რადიკალურმა.

აშკარა ოპორტუნისტები: ბერნშტაინი, ფოლმარი, დავიდი — გერმანიის ს/დემოკრატიული პარტიის რიგებიდან, ჰაინდმანი და მისი მიმდევრები ინგლისიდან, ბისოლატი და მისი მომხრეები იტალიელი სოციალისტებიდან და სხვები საბოლოოდ დაშორდნენ რევოლუციური მარქსიზმის პლატფორმას, მოახდინეს მისი რევიზია და დაადგნენ რევოლუციური ბრძოლის გადაჭრით უარყოფის გზას. როგორც მუშათა არისტოკრატიისა და წვრილბურჟუაზიული წრეების სულისკვეთების გამომხატველები, ისინი იქცნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და გავლენის დამნერგავებად მუშათა მოძრაობაში. რა გასაკვირია, რომ მათ უარყვეს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ყველა მეთოდი და „ცამდე აიყვანეს ბრძოლის ლეგალური ფორმები“; სოციალ-ოპორტუნისტებმა გაილაშქრეს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდისა და რევოლუციური მარქსიზმის სხვა იდეების წინააღმდეგ.

ცენტრისტული, ანუ ე. წ. ორთოდოქსალური იდეური მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ: კ. კაუცკი — გერმანიაში, რ. მაკდონალდი — ინგლისში, ე. ვანდერველდე — ბელგიაში, ა. ტომა — საფრანგეთში, ო. ბაუერი — ავსტრიაში და სხვ. ცენტრისტული მიმდინარეობა გაცილებით უფრო ხაშიში იყო მუშათა მოძრაობისათვის, ვიდრე ოპორტუნიზმი. ცენტრისტები, როგორც აღნიშნავდა ი. სტალინი, ეგუებოდნენ ოპორტუნიზმს, სურდათ შეენარჩუნებინათ მათთან ერთიანობა ერთი პარტიის რიგებში და მემარცხენე მარქსისტული ფრაზეოლოგიით ფარავდნენ თავიანთ ოპორტუნისტულ პრაქტიკას. მათთვის დამახასიათებელი იყო მარქსისტული თეორიის მოწყვეტა რევოლუციური პრაქტიკისაგან, მარქსისტული თეორიისადმი დოგმატური მიდგომა და მყვირალა სიტყვები მარქსიზმისადმი თითქოსდა ერთგულების შესახებ. აღნიშნულის გამო, სავსებით ბუნებრივია, რომ არც ცენტრისტები იყვნენ განწყობილნი ეცნოთ რუსეთის რევოლუციის მდიდარი გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა და გამოეყენებინათ იგი თავიანთი ქვეყნის მუშათა მოძრაობის პრაქტიკაში [1].

აშკარა ოპორტუნისტებსა და ცენტრისტებს მეორე ინტერნაციონალში, როგორც რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გამოცდილების გამოყენების, ისე სხვა პრინციპულ საკითხებში, უპირისპირდებოდა მემარცხენე რევოლუციური მიმდინარეობა. მის ავანგარდში იყვნენ ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. ბოლშევიკებს, როგორც რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასის ჭეშმარიტ მებრძოლ ავანგარდს, რომელიც რაზმავდა მას სოციალისტური რევოლუციისათვის, თანმიმდევარი, მებრძოლი რევოლუციური პოზიცია ეკავათ რევოლუციური მარქსიზმის ყველა კარდინალურ საკითხში, მათ მაღლა ეპირათ ორ ფრონტზე ბრძოლის დროშა როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რევოლუციური მარქსიზმის პოზიციების დაცვაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდათ, აგრეთვე, მემარცხენე გერმანელ სოციალდემოკრატებს, ბულგარელ ტესნიაკებს, ბრიტანეთის სოციალისტური

---

[1] ეს ზოგიერთ მათგანს ხელს არ უშლიდა მაღალი შეფასება მიეცათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის და ეცნოთ რევოლუციური მოძრაობის დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადანაცვლების ფაქტი. ასე მოიქცა, მაგალითად, კ. კაუცკი, რომელმაც 1902 წელს „ისკრაში“ (№ 18, მარტი) მოთავსებულ წერილში — „სლავები და რევოლუცია“ — რუსეთი დასავლეთის რევოლუციური ენერგიის წყაროდ გამოაცხადა, იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სიტყვა კრებაზე, რომელიც მოაწყო მოსკოვის კომიტეტმა. თხზ., ტ. 30, გვ. 644—645.

პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებსა და სხვებს. ა. ბებელი, ჟ. ჟორესი, ფ. მერინგი, კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ა. პანეკუკი, დ. ბლაგოევი და სხვები აღტაცებით შეეგებნენ რუსეთის 1905-07 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, აღიარეს მისი საერთაშორისო მნიშვნელობა, საჭიროდ ცნეს რევოლუციური გამოცდილების გადმოღება და მოუწოდეს დასავლეთის ქვეყნების მუშათა კლასს მიებაძათ რუსეთის მაგალითისათვის. ისინი მხარს უჭერდნენ პროლეტარიატის ბრძოლის მასობრივ ფორმებს (საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა...) და თანამიმდევრულად იბრძოდნენ იმპერიალიზმის ყაჩაღური კოლონიური პოლიტიკის, მილიტარიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

მაგრამ მემარცხენე გერმანელ და სხვა ქვეყნების სოციალისტებს, როგორც არაერთხელ .აღუნიშნავს ვ. ი. ლენინს, ჰქონდათ სერიოზული შეცდომებიც. მათ ვერ გაიგეს რევოლუციური პარტიების ხელმძღვანელი როლი, არათანმიმდევრები იყვნენ ოპორტუნისტებთან ორგანიზაციულად გათიშვის საკითხში, უსწოროდ ესმოდათ საგლეხო და ეროვნული საკითხი და ა. შ.

„როზა ლუქსემბურგი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცდებოდა პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხში; ცდებოდა 1903 წელს მენშევიზმის შეფასებაში; ცდებოდა კაპიტალის დაგროვების თეორიაში; ცდებოდა, როდესაც 1914 წლის ივლისში პლეხანოვთან, ვანდერველდესთან, კაუცკისთან და სხვებთან ერთად იცავდა ბოლშევიკების გაერთიანებას მენშევიკებთან...“ [1].

შტუტგარტის კონგრესი და მისი გადაწყვეტილებანი

1907 წელს, სოციალისტური პარტიების რიგებისა და გავლენის შემდგომი ზრდის, მათ რიგებში არსებულ მიმდინარეობათა შორის ბრძოლის გამწვავებისა და გართულებული საერთაშორისო ურთიერთობის ვითარებაში შედგა II ინტერნაციონალის მორიგი, მეშვიდე კონგრესი. მისი სხდომები მიმდინარეობდა 18—24 აგვისტოს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში. ვ. ი. ლენინის თქმით, ეს კონგრესი არაჩვეულებრივი ხალხმრავლობითა და წარმომადგენლობის სისრულით გამოირჩეოდა [2]. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 25 ქვეყნის სოციალისტური პარტიის 886 წარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, პუბლიცისტის შენიშვნები, თხზ., ტ. 33, გვ. 238.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, თხზ., ტ. 13, გვ. 81.

მომადგენელი [1]. რუსეთიდან სხვა სოციალისტურ მიმდინარეობებთან ერთად წარმოდგენილი იყო ბოლშევიკების დელეგაცია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით (ა. ლიტვინოვი, ა. ლუნაჩარსკი, ნ. სემაშკო და სხვ.). ბოლშევიკების, კერძოდ, ვ. ი. ლენინის მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნული კონგრესის საქმიანობისა და შედეგებისათვის. სწორედ ვ. ი. ლენინმა შეასრულა იქ მთავარი როლი ოპორტუნისტულ ელემენტებთან ბრძოლაში. იგი, როგორც ბრიუსელის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრი, აირჩიეს კონგრესის პრეზიდიუმის წევრად და იმ კომისიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც უნდა მოემზადებინა რეზოლუცია მილიტარიზმის შესახებ.

კონგრესის დღის წესრიგში იყო ხუთი აქტუალური საკითხი: მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების, კოლონიური პოლიტიკის, სოციალისტურ პარტიებსა და პროფკავშირებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, ქალთა საარჩევნო უფლებისა და ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ.

კონგრესზე ყველაზე ცხარე დისკუსია გამოიწვია მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების საკითხმა. რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების, ახალი საერთაშორისო კონფლიქტების მომზადებისა და მილიტარიზმის შემდგომი გაძლიერების ვითარებაში ჩატარებული კონგრესისათვის საკმაოდ კანონზომიერი იყო მილიტარიზმის საკითხისადმი სერიოზული ყურადღების მიქცევა. მაგრამ სწორედ ამ საკითხში ყველაზე მკაფიოდ იჩინა თავი ოპორტუნისტული და რევოლუციური ტენდენციების მკვეთრმა დაპირისპირებამ, დიდმპყრობელურმა ტენდენციებმა. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა მიმდინარეობებს სხვადასხვაგვარად ესმოდა მილიტარიზმის არსი.

არსებითი დავა მილიტარიზმის პრობლემის ირგვლივ მიმდინარეობდა სათანადო კომისიაში [2]. პირველ ყოვლისა, კომისიამ განიხილა რეზოლუციის ოთხი პროექტი: ჟორეს-ვაიანის — ფრანგ სოციალისტთა უმრავლესობის სახელით, გედის — ფრანგ სოციალისტთა უმცირესობის სახელით, ბებელის — გერმანელ სოციალისტთა სახელით და ფრანგ სოციალისტ ერვეესი.

ჟორეს-ვაიანის რეზოლუცია მოუწოდებდა სოციალისტებს, ომის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ყველა საშუალება — პარლამენტის ტრიბუნა, მასობრივი გამოსვლები, საყოველთაო გაფიცვა და აჯან-

---

1 მათ შორის იაპონიიდან, ავსტრალიიდან, სამხრეთ აფრიკიდან.

2 კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ: რუსეთიდან ვ. ი. ლენინი, გერმანიიდან — ა. ბებელი, ზუდეუმი, ფოლმარი და ზაკსი, ფრანგი სოციალისტებიდან — გედი, ჟორესი, ვაიანი და ერვე, პოლონეთიდან — რ. ლუქსემბურგი.

ყება. ომი არ არის ფატალური აუცილებლობა და ამიტომ არ შეიძ-ლება შევურიგდეთ მას. წერდნენ ისინი. ამავე დროს რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ მშრომელებმა უნდა დაიცვან თავიანთი ქვეყა-ნა გარეშე თავდასხმისაგან, ე. ი. მონაწილეობა მიიღონ „თავდაც-ვით“ ომში. მაგრამ მასში არ იყო მოცემული იმის განმარტება, რა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ომი „თავდაცვითი“ და, მაშასადა-მე, სამართლიანი. რეზოლუციის ავტორებს არ ესმოდათ, რომ იმ-პერიალისტებს მუდამ ჰქონდათ შესაძლებლობა იმპერიალისტური დემაგოგიისა და პროპაგანდის მომარჯვებით შეენიღბათ მათ მიერ გაჩაღებული ესა თუ ის აგრესიული ომი „სამშობლოს დაცვის“ ნიღ-ბით და, მაშასადამე, გაესაღებინათ იგი „თავდაცვით“ ომად.

ჟ. გედის და ა. ბებელის რეზოლუციები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ყველა არსებით მუხლში იდენტური იყო [1]. მათ ის ნაკ-ლი ჰქონდათ, რომ არ შეიცავდნენ არავითარ მითითებას პროლეტა-რიატის აქტიურ ამოცანებზე [2]. გედის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ „ომი და მილიტარიზმი წარმოადგენენ კაპიტალისტური რე-ჟიმის ბუნებრივ და აუცილებელ პროდუქტს“. გედი არ ცნობდა ომის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ზომებს, გარდა თვით კაპიტალიზმის წი-ნააღმდეგ ბრძოლისა, პარლამენტში სამხედრო კრედიტების წინა-აღმდეგ ხმის მიცემისა და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების მოთხოვნისა.

გედისა და ბებელის რეზოლუციებში მოცემული დებულებები ბევრს შეიძლება მიეღო როგორც ოპორტუნისტული. ასეც მოხდა, მაგალითად, ფოლმარის შეხედულებით, სოციალ-დემოკრატებმა უნდა დაიცვან თავიანთი სამშობლო თავდასხმისაგან, ე. ი. მონაწი-ლეობა მიიღონ „თავდაცვით“ ომში. „ამ დებულებამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ფოლმარი შტუტგარტში მიიყვანა განცხადებამდე, რომ „მთელი სიყვარული კაცობრიობისადმი ჩვენ ხელს ვერ შეგვიშ-ლის კარგი გერმანელები ვიყოთო“ [3]. ფოლმარს სოციალ-შოვინიზმში წინ გაუსწრო მისმა თანამემამულე ნოსკემ, რომელმაც რაიხსტაგში განაცხადა: თუ გერმანიის წინააღმდეგ ომი დაიწყო, „სოციალ-დე-მოკრატები არ ჩამორჩებიან ბურჟუაზიულ პარტიებს და თოფებს გადაიგდებენ მხრებზეო“ [4].

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მოანარქისტო მიმდინარე-ობის წარმომადგენლის ერვეს რეზოლუციის პროექტი ნახევრად

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 13, გვ. 88.

[2] იქვე.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მებრძოლი მილიტარიზმი, თხზ., ტ. 15, გვ. 225.

[4] იქვე.

ანარქისტული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს, მსჯელობდნენ ერვე და მისი მცირერიცხოვანი მიმდევრები. ყოველგვარი ომი კაპიტალიზმის დროს მხოლოდ კაპიტალისტებისათვის არის ხელსაყრელი, ამიტომ პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ უნდა იბრძოლოს ყოველი ომის წინააღმდეგ. ომის გამოცხადებას პროლეტარიატმა სამხედრო გაფიცვითა და აჯანყებით უნდა უპასუხოსო. ომის გამოცხადების შემთხვევაში, ერვეს შეხედულებით, სოციალისტი ჯარისკაცები უნდა წასულიყვნენ არმიიდან, რეზერვისტები კი — არ გამოცხადებულიყვნენ გაწვევ პუნქტებში. სწორედ ასეთი აზრი იყო განვითარებული ერვეს მიერ კონგრესის კომისიაში წარდგენილი რეზოლუციის პროექტში.

ის, რომ ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში ერვე არ კმაყოფილდებოდა მარტო პარლამენტის გამოყენებით, მოუწოდებდა მასებს რევოლუციური მეთოდებისათვის მიეშართათ, მას ერთგვარ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს. მაგრამ მან პროექტის „მეშვარცხენე ფრაზებში“ პრინციპული შეცდომები დაუშვა. იგი ვერ არჩევდა განსხვავებას სამართლიან და უსამართლო ომებს შორის. ურჩევდა პროლეტარიატს ებრძოლა ყოველგვარი ომის წინააღმდეგ. მას არ ესმოდა, რომ პროლეტარიატი არ შეიძლებოდა განურჩეველი ყოფილიყო ომებისადმი. იმპერიალიზმის ეპოქაში უსამართლო ომებთან ერთად, როგორც მართებულად მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, შესაძლებელია და აუცილებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური, სამართლიანი ომები, რომელთაც მან მხარი უნდა დაუჭიროს. ასევე მცდარი და მიუღებელი იყო ერვეს მოთხოვნა — ომისათვის ყველა პირობებში გაფიცვითა და აჯანყებით ეპასუხათ, რაც პროლეტარიატისათვის მეტად საშიში და საზიფათო იყო. ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში პროლეტარიატი მეტად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენებდა თავის თავს. მას მოუწევდა ბრძოლა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

„... ერვე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ივიწყებს მიზეზობრივ კავშირს ომსა და კაპიტალიზმს შორის; ერვეისტულ ტაქტიკას თუ მიიღებდა, პროლეტარიატი თავის თავს უნაყოფო მუშაობას არგუნებდა ხვედრად: მთელ თავის საბრძოლო მზადყოფნას ... ის მოახმარდა შედეგთან (ომთან) ბრძოლას და განზე დატოვებდა მიზეზს (კაპიტალიზმს)“ [1]. კარლ კაუცკიმ ერვეს ამ წინადადებას „კარგი მოტივებით და კეთილშობილი მისწრაფებით ჩასახული გმირული სისულელე“ უწოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., თხზ., ტ. 15, გვ. 226—227.

კიდევ უფრო უხეშ შეცდომას უშვებდა ერვე, როცა ფიქრობდა, რომ პროლეტარიატისათვის სულ ერთია როგორ სოციალურ გარემოში ცხოვრობს: მონარქიულ გერმანიაში, რესპუბლიკურ საფრანგეთში თუ დესპოტურ თურქეთში. ვ. ი. ლენინის შეხედულებით, „სამშობლო, ე. ი. მოცემული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური წრე, უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში“ [1]. მისთვის განურჩეველი როდია, თუ რა გარემოში ცხოვრობს და როგორია მისი კლასობრივი ბრძოლის პირობები. რომელიმე ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში პროლეტარიატს თავისი კლასობრივი ბრძოლისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პირობები ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ, დესპოტურ თურქეთში ან ცარისტულ რუსეთში.

კომისიაში წარდგენილ რეზოლუციათაგან შედარებით უფრო მისაღები იყო ბებელის რეზოლუცია. იგი იმეორებდა წინა კონგრესების მიერ ამავე საკითხზე მიღებულ რეზოლუციათა ძირითად დებულებებს, მასში ზემოაღნიშნულ ნაკლთა მიუხედავად, სწორად იყო აღნიშნული, რომ ომები კაპიტალიზმის პროდუქტია და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განუყოფელია სოციალიზმისათვის ბრძოლასთან. აღნიშნულის გამო, უარყო რა რეზოლუციის სხვა პროექტები, კომისიამ ბებელის რეზოლუცია მიიღო საბოლოო რეზოლუციის საფუძვლად.

ის ხარვეზები, რაც ახასიათებდა ბებელის რეზოლუციის პროექტს, შეავსეს ვ. ი. ლენინმა და რ. ლუქსემბურგმა თავიანთი დამატებებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მილიტარიზმი კლასობრივი ჩაგვრის მთავარი იარაღია, რომ სოციალისტები ვალდებულნი არიან აქტიური ანტიმილიტარისტული აგიტაცია აწარმოონ ახალგაზრდობაში, რომ მათ უნდა იბრძოლონ არა მარტო ომების წარმოშობის წინააღმდეგ ან დაწყებული ომების შესაწყვეტად, არამედ „იმისათვისაც, რომ ომით შექმნილი კრიზისი გამოიყენონ ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად. ბებელმა კომისიის სხდომაზე მოიწონა ეს პრინციპული დამატებები და ამ სახით იგი შევიდა რეზოლუციის ტექსტში, რომელიც ხმის დიდი უმრავლესობით მიიღეს კონგრესის პლენარულ სხდომაზე.

ვ. ი. ლენინმა შემდეგში დადებითად შეაფასა კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია მილიტარიზმის საკითხში [2]. მართალია,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ. თხზ., ტ. 15, გვ. 226.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, თხზ., ტ. 13, გვ. 89.

ვ. ი. ლენინის თქმით, იგი ცოტათი ვრცელი იყო, მაგრამ „...ორთოდოქსალური, ე. ი. ერთადერთი მეცნიერული მარქსისტული ანალიზის სიმკაცრე შეერთებულია მუშათა პარტიებისათვის რჩევის მიცემასთან — მიმართონ ბრძოლის უაღრესად გაბედულსა და რევოლუციურ ზომებს“ [1].

მეორე სერიოზული საკითხი, რომელმაც შტუტგარტის კონგრესზე ოპორტუნისტული და რევოლუციური ტენდენციების მკვეთრი დაპირისპირება გამოიწვია, კოლონიური საკითხი იყო. ამ საკითხის ხელმეორედ დასმა განაპირობა იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის შემდგომმა აქტივიზაციამ, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ აღმოსავლეთში და ამ საკითხის ირგვლივ სოციალისტთა რიგებში აზრთა სხვადასხვაობის ზრდამ. გერმანიაში, ინგლისში, ბელგიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სოციალისტების უმრავლესობა ცდილობდა გაემართლებინა თავიანთი მთავრობების „ცივილიზატორული მისია“ აზიაში, აფრიკასა და ოკეანიაში. ინგლისელმა ფაბიანელებმა მხარი დაუჭირეს ინგლისის იმპერიალიზმის დაპყრობით პოლიტიკას, ბერნშტაინის მიმდევრებმა — გერმანიის იმპერიის ახალ კოლონიურ პრეტენზიებს.

ამ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ისევ ჰოლანდიელი სოციალისტი ვან-კოოლი. იგი შეეცადა აშკარად დაეცვა და გაემართლებინა დიდი და პატარა იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკა, აზიის, აფრიკისა და სხვა კონტინენტების ხალხების კოლონიური დამონება. მისი შეხედულებით, სოციალისტებმა, საერთოდ, არ უნდა დაგმონ პრინციპულად და ყველა დროს ყოველგვარი კოლონიური პოლიტიკა. სოციალიზმის დროს კოლონიურმა პოლიტიკამ შეიძლება „ცივილიზატორული როლი“ შეასრულოს. აფრიკის ხალხთა „ცივილიზებისათვის“, ამბობდა იგი, ჩვენ მოგვიხდება არა მანქანების, არამედ იარაღის მომარჯვება. რეზოლუციის პროექტი, რომელიც მან კონგრესს წარუდგინა, კოლონიურ სახელმწიფოებს აკისრებდა „მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა დამცველ საერთაშორისო სამართლის“ შედგენაზე ზრუნვას.

რეზოლუციის ამ პროექტს მხარი დაუჭირა კომისიის ოპორტუნისტულმა უმრავლესობამ, მათ შორის ბერნშტაინმა, დავიდმა და სხვა გერმანელმა შოვინისტებმა. გერმანელმა ლედებურმა, პოლონელმა, რუსმა სოციალ-დემოკრატებმა და კარლ კაუცკიმ სამართლიანად დაგმეს ვან-კოოლის პროექტი, ხაზგასმით აღნიშნეს იმპერიალის-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, თხზ., ტ. 13, გვ. 89.

ტური ბურჟუაზიის კოლონიური პოლიტიკის ბარბაროსული, მტაცებლური ხასიათი და მოითხოვეს მისი მკაცრად დაგმობა. მიუხედავად ამისა, კომისიის ოპორტუნისტულმა უმრავლესობამ მოიწონა ვან-კოოლის პროექტი.

კომისიის ოპორტუნისტული უმრავლესობის მიერ მოწონებული ვან-კოოლის პროექტის გარშემო ახალი ძალით გაიშალა მძაფრი ბრძოლა კონგრესის პლენარულ სხდომაზე, სადაც იგი წააწყდა მემარცხენე სოციალისტების, მათ შორის რუსი სოციალისტების გადამწყვეტ წინააღმდეგობას. ამის შედეგად კონგრესმა 127 ხმით 108 წინააღმდეგ უარყო ვან-კოოლის რეზოლუციის აშკარა ოპორტუნისტული შესავალი ნაწილი. კომისიის მიერ მოწონებული რეზოლუციის უარყოფაში მთავარი როლი რუს და პოლონელ სოციალისტებთან ერთად შეასრულეს იმ პატარა ქვეყნების წარმომადგენლებმა (დანია, შვედეთი, შვეიცარია და სხვ.), რომლებიც ან არ ეწეოდნენ კოლონიურ პოლიტიკას, ან თვითონ იყვნენ ამ პოლიტიკის ობიექტები.

კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია კატეგორიულად გმობდა ყოველგვარ კოლონიურ პოლიტიკას, ფარდას ხდიდა „ცივილიზატორული მისიის" მტაცებლურ, ექსპლუატატორულ მისწრაფებებს და კოლონიური პოლიტიკის არსად, სამართლიანად, მკვიდრი მოსახლეობის დამონებას, იძულებითი შრომის დამკვიდრებასა და დამონებული ხალხების გაჟლეტას მიიჩნევდა.

აჯამებდა რა კოლონიური საკითხის განხილვის შედეგებს, ვ. ი. ლენინი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას და წერდა: „აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა თავი სოციალისტურმა ოპორტუნიზმმა, რომელიც ემორჩილება ბურჟუაზიულ ცთუნებას..." [1]. მან ცხადყო, თუ რა ღრმად გაიდგა ფესვები ოპორტუნიზმმა მეორე ინტერნაციონალში, როგორ დაავადდნენ იმპერიალისტური იდეოლოგიით კოლონიური პოლიტიკის მატარებელი დიდი იმპერიალისტური ქვეყნების (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი) სოციალისტები, როგორ დაეშვნენ ისინი კოლონიური ძარცვის შეხიღებებისა და აპოლოგიის პლატფორმამდე.

სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე კონგრესის მიერ სოციალისტურ პარტიებსა და პროფკავშირებს შორის დამოკიდებულების საკითხის განხილვას [2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასას. ნაშრ., თხზ., ტ. 13, გვ. 83.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესის შუშაობაში სოციალისტურ პარტიებთან ერთად ბსხვილი პროფესიული კავშირების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ამ საკითხშიც მწვავე დისკუსიას ჰქონდა ადგილი. ყველა ჯურის რეფორმისტები და რევიზიონისტები მოითხოვდნენ პროფესიული კავშირების სრულ ავტონომიას, ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას. ისინი უარყოფდნენ სოციალისტური პოლიტიკური პარტიების უფლებას — ხელმძღვანელობა გაეწიათ პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის. ასეთ პრაქტიკას ახორციელებდნენ ზოგიერთი ქვეყნის სოციალისტები, გერმანიის პროფკავშირების ხელმძღვანელები, ინგლისის ტრედუნიონებისა და ამერიკული შრომის ფედერაციის ლიდერები.

მაგრამ კონგრესის უმრავლესობა ამ საკითხშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან, მემარცხენე სოციალისტების მოთხოვნით, უარყო პროფკავშირების ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის ოპორტუნისტული შეხედულება და 212 ხმით 18-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ხაზს უსვამდა პროფკავშირებისა და სოციალისტური პარტიების საქმიანობის გაერთიანებასა და პროფკავშირების მიერ სოციალისტური პრინციპების მიღების აუცილებლობას. ვ. ი. ლენინმა დადებითად შეაფასა დადგენილება, რომელიც მუშათა კლასის უმრავლესობის სულისკვეთებას გამოხატავდა და, ამდენად, სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

კოლონიური შოვინიზმისა და აშკარა ოპორტუნისტული განწყობილების გამოხატულება იყო ზოგიერთი მემარჯვენე ამერიკელი სოციალისტის (მ. ჰილკვიტი...), ავსტრალიელი და სამხრეთაფრიკელი დელეგატების გამოსვლები კონგრესზე ემიგრაციისა და იმიგრაციის საკითხის განხილვის დროს. მათ მოითხოვეს შეზღუდულიყო „ფერადკანიანი“ მუშების, კერძოდ, ჩინელებისა და იაპონელების იმიგრაცია მათ ქვეყნებში. კონგრესმა უარყო წინადადება, რომელიც გამოხატავდა აღნიშნული ქვეყნების თეთრკანიან მუშათა არისტოკრატიის ვიწრო კორპორაციულ ინტერესებს. მიღებული რეზოლუცია ემყარებოდა მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპებს და უპასუხებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ინტერესებს.

შტუტგარტის კონგრესმა კლარა ცეტკინის მოხსენების საფუძველზე ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარი დაუჭირა მთელი რიგი ქვეყნების მშრომელთა აქტიურ ბრძოლას ქალთა თანასწორუფლებიანობისა და მათთვის საარჩევნო უფლებების მინიჭების სასარგებლოდ.

ვ. ი. ლენინმა დადებითად შეაფასა შედეგები შტუტგარტის კონგრესისა, რომელმაც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, „...საერთოდ და მთლიანად... მთელ რიგ უდიდეს საკითხებში მკაფიოდ დაუპირისპირა ერ-

თიმეორეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა და ეს საკითხები რევოლუციური მარქსიზმის სულისკვეთებით გადაჭრა“ [1].

ვ. ი. ლენინის ბრძოლა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის წინააღმდეგ

იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება, პირველი მსოფლიო ომის შემზადება და კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავება (რასაც ადგილი ჰქონდა შტუტგარტის კონგრესის მომდევნო პერიოდში) მეორე ინტერნაციონალის პარტიებისაგან მოითხოვდა მონოლითურ სიმტკიცეს და მათ მიერ რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას. გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლები სოციალისტური პარტიების წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა მუშათა კლასის მომზადებას კაპიტალზე გადამწყვეტი იერიშისათვის. მაგრამ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა ვერ აღმოჩნდა ამ მოწოდების სიმაღლეზე. იმპერიალისტური იდეოლოგიის ზემოქმედებამ და მუშათა არისტოკრატიის რეფორმისტულ-შემთანხმებლური სულისკვეთების მავნე გავლენამ უფრო მკვეთრად იჩინა თავი. მეორე ინტერნაციონალის პარტიებში მიმდინარეობდა რევოლუციურ და ფეხმოკიდებულ ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შემდგომი ურთიერთ გამიჯვნა და დაპირისპირება. მკაფიოდ იჩინა თავი ინტერნაციონალის ლიდერების სიტყვებისა და პრაქტიკული საქმეების ერთმანეთისაგან დაშორებამ. ისინი თავს არ იწუხებდნენ იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაეტარებინათ ინტერნაციონალის კონგრესების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებები. მათი წაყრუებით და ფარული მხარდაჭერით გათამამებული ოპორტუნისტები აშკარად არღვევდნენ და საბოტაჟს უწევდნენ კონგრესთა გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა (ვ. ადლერი და სხვ.) მოიწონეს ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტური მთავრობის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია 1908 წელს, ჟ. ჟორესმა ანტანტის აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს „მშვიდობის გარანტია“ უწოდა, ხოლო ჰაინდმანმა და სხვა ინგლისელმა სოციალ-შოვინისტებმა აშკარად მხარი დაუჭირეს ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას ინდოეთსა და სხვა კოლონიებში,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, თხზ., ტ. 13, გვ. 89—90

თანაც გაამართლეს ბიუჯეტის სახსრებიდან ახალი ასიგნობების გაღება სამხედრო-საზღვაო შეიარაღებისათვის. ამ ფლოტის ამოცანა კი, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, იყო ინგლისის ბატონობის შენარჩუნება მის ვრცელ კოლონიებში, იგი „იცავდა და იფარავდა“ „იმპერიას“, ე. ი. „...ინდოეთსაც, სადაც თითქმის 300 მილიონი მოსახლეობა ინგლისის ბიუროკრატიას ხელში ჰყავს ჩაგდებული ძარცვისა და ძალმომრეობისათვის“ [1]. ასევე მოიქცა მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარე ე. ვანდერველდე, რომელმაც მოიწონა ბელგიის მეფის ლეოპილდის მიერ კონგოში თავისი პირადი კოლონიური სამფლობელოების სახელმწიფოსათვის გადაცემა და მთავრობის მიერ ამასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება.

ცენტრისტები (კ. კაუცკი და სხვები) აშკარად გამოდიოდნენ ოპორტუნისტებისა და სოციალ-შოვინისტების მფარველების როლში, იცავდნენ მათ რევოლუციური მასების სამართლიანი რისხვისაგან და ხელს უშლიდნენ მემარცხენე ფრთის განმტკიცებას, მისი გავლენის გაძლიერებას.

ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების ბრძოლას მუშათა კლასის რიგების სიწმინდისათვის, მათ მიერ ყველა ჯურის ოპორტუნისტების მხილებას როგორც რუსეთში, ისე მის გარეთ. ლენინი, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, სისტემატურად თვალყურს ადევნებდა ოპორტუნისტების საქმიანობას მეორე ინტერნაციონალის რიგებში და მოურიდებლად ხდიდა მათ ნიღაბს. 1908 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“, რომელშიც არა მარტო ამხელდა მარქსიზმის ყველა ჯურის რევიზიონისტებს, არამედ მოითხოვდა მათ გაძევებას სოციალისტური პარტიის რიგებიდან [2].

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო იყო ვ. ი ლენინის გამოსვლა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე 1906 წლის ოქტომბერში ინგლისის ლეიბორისტული პარტიის II ინტერნაციონალში მიღებასთან დაკავშირებით. თავის გამოსვლაში მან დაჟინებით მოითხოვა, ყოველი ახალი პარტიის მიღებას ინტერნაციონალში საფუძვლად დადებოდა მტკიცე მარქსისტული პლატფორმა. მართალია, ლენინმა მხარი დაუჭირა ლეიბორისტების მიღებას, მაგრამ ამას

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ინგლისის ს.-დ. პარტიის კონგრესი, თხზ., ტ. 17, გვ. 196.
[2] თხზ., ტ. 15, გვ. 19—32.

ხელი არ შეუშლია მისთვის ემხილა ამ პარტიის სუსტი მხარეები, „სოციალისტური მუშათა პარტიის შეგნებული კლასობრივი პოლიტიკისაგან“ მისი საგრძნობი დაცილება.

ვ. ი. ლენინი აქტიურად უჭერდა მხარს გერმანელ, ჰოლანდიელ, ბულგარელ და სხვა ქვეყნების მემარცხენე სოციალისტებს და ხშირად მათთან ერთად გამოდიოდა ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, იგი ენერგიულად გამოექომაგა ჰოლანდიელ ტრიბუნისტებს — ჰოლანდიელ რევოლუციურ მარქსისტებს, რომელთა დამოუკიდებელ არსებობას არ ცნობდა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული უმრავლესობა. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, როდესაც იგი შეეცადა „შეერიგებინა“ ტრიბუნისტები პარტიის უმრავლესობისათვის, ე. ი. დაემორჩილებინა ისინი ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისათვის, თანაც უარი უთხრა მათ ინტერნაციონალში დამოუკიდებელი წარმომადგენლობა პყოლოდათ. მან ბიუროს ამ ნაბიჯს ოპორტუნისტებისადმი დათმობა უწოდა.

მაგრამ ბოლშევიკები, გამოდიოდნენ რა მუშათა კლასის რიგების სიწმინდისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის რევოლუციური პლატფორმის დაცვის მაღალი ინტერესებიდან, როდი ფარავდნენ მემარცხენე სოციალისტთა მერყეობას, არათანმიმდევრობას ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ თეორიულსა და ტაქტიკურ შეცდომებს. ბოლშევიკები პერიოდულად ამხელდნენ ამ შეცდომებს და მიუთითებდნენ მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებზე. ეს იყო დიდი დახმარება რ. ლუქსემბურგის, კ. ლიბკნეხტისა და სხვა იდეური თანამებრძოლებისადმი. ვ. ი. ლენინი მათ საშუალებას აძლევდა გაბედულად დამდგარიყვნენ შეცდომების გამოსწორების გზაზე.

მარქსისტული თეორიის სიწმინდის დაცვისა და ცალკეულ მერყევ მარქსისტთა რიგებში ამ მოძღვრების შეძღგომი შემოქმედებითი განვითარებისადმი დამკვიდრებულ გაუგებრობათა დაძლევის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1909 წელს გამოცემულ ვ. ი. ლენინის ისტორიულ ნაშრომს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ [1].

ბოლშევიკური პარტია იყო ერთადერთი ჭეშმარიტი მარქსისტული, რევოლუციური პარტია II ინტერნაციონალში, რომელიც დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა ორ ფრონტზე, მოურიდებლად ხსნიდა

[1] იხ. თხზ., ტ. 13.

ნილაბს ყველა ჯურის ოპორტუნისტებსა და ცენტრისტებს, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ სიწმინდეს, იდგა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. მას ჰქონდა ნათელი სოციალური და ეროვნული პროგრამა, თანმიმდევრულად იბრძოდა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებდნენ რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობის პრინციპს, ებრძოდნენ ყოველგვარ დოგმატიზმსა და სექტანტობას, წვრილბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და დიდმპყრობელურ ტენდენციებს.

კოპენჰაგენის კონგრესი და მისი ძირითადი გადაწყვეტილებები

ასეთი იყო საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ვითარება, როდესაც II ინტერნაციონალმა ჩაატარა თავისი მორიგი — მერვე კონგრესი. სხდომები მიმდინარეობდა 1910 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში. კონგრესს ესწრებოდა 33 ქვეყნის სოციალისტური პარტიების 896 დელეგატი, მათ შორის რუსეთიდან — ვ. ი. ლენინი. ეს კონგრესიც ისევე ხალხმრავალი იყო როგორც წინამორბედი. მისი მუშაობის დაწყებას წინ უსწრებდა მშრომელთა მრავალათასიანი საზეიმო დემონსტრაცია, რომელიც დელეგატების პატივსაცემად მოაწყო დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. საზეიმო ხასიათი ჰქონდა კონგრესის გახსნასაც. მან ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმა აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (ჩინეთში, სპარსეთში, თურქეთში...) და მოუწოდა მუშათა კლასს რეაქციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ.

კონგრესის მიერ განხილული საკითხებიდან — კოოპერატივებსა და სოციალისტურ პარტიებს შორის ურთიერთობის, მილიტარიზმთან და ომის საფრთხესთან ბრძოლის, საერთაშორისო სოლიდარობის, სოციალური კანონმდებლობისა და უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ — ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მილიტარიზმთან ბრძოლისა და კოოპერატივებისა და სოციალისტური პარტიების ურთიერთობის საკითხები.

საერთაშორისო კონფლიქტების გაღრმავებამ, ცალკეულმა ლოკალურმა ომებმა და მსოფლიო იმპერიალისტური ომისათვის დაჩქარებულმა მზადებამ აიძულა კოპენჰაგენის კონგრესი ისევ დაბრუნებოდა მილიტარიზმთან და ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხს. მის

შესახებ კონგრესზე ხანგრძლივ დებატებს ადგილი არ ჰქონია. მან დაადასტურა ამ საკითხზე შტუტგარტის კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მიუმატა მათ ზოგიერთი უმნიშვნელო რამ. კერძოდ, სოციალისტურ პარტიებს ურჩევდა მოეთხოვათ თავიანთი მთავრობებისაგან შეიარაღების შემცირება, კონფლიქტების მომრიგებლური შუამავლობით მოგვარება, მუშათა ანტიმილიტარისტული საპროტესტო გამოსვლებისათვის მეტი ორგანიზებული სახის მიცემა და სხვ. მაგრამ მან საჭიროდ არ ცნო გაეკიცხა ლეიბორისტთა ლიდერები და ავსტრიელი სოციალისტები, რომლებმაც დაარღვიეს წინა კონგრესის გადაწყვეტილება და მოიწონეს: პირველმა ახალი სამხედრო კრედიტები, ხოლო მეორემ — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. საერთოდ, ახლად მიღებულ გადაწყვეტილებებს პაციფისტური ელფერი ჰქონდა და შტუტგარტის კონგრესთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

სერიოზული დისკუსია გამოიწვია კონგრესზე კოოპერატივებისა და სოციალისტური პარტიების ურთიერთობის საკითხმა. აქაც ერთმანეთს დაუპირისპირდა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ორი ძირითადი მიმართულება. განსახილველად შემოტანილი იყო ოთხი რეზოლუცია: ორი ფრანგებისა (ჟორესისა და გედის), ბელგიელებისა და რსდმპ-ის (რომლის ავტორი იყო ვ. ი. ლენინი). მათში ასახული იყო ორი ძირითადი პოლიტიკური ხაზი — წვრილბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევოლუციური.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უმრავლესობის — ჟორესის პროექტი ძალზე აზვიადებდა კოოპერატივების როლს და მასში ხედავდა სოციალისტური საზოგადოების უჯრედს კაპიტალიზმის წიაღში. უარყოფდა რა კლასობრივ ბრძოლას და მხარს უჭერდა ბურჟუაზიაზე ზემოქმედების მხოლოდ ლეგალურ საშუალებებს, ჟ. ჟორესი კოოპერატივებში ხედავდა „კაპიტალიზმის დაძლევისა“ და სოციალიზმში მშვიდობიანი გადაზრდის საშუალებას.

ბელგიელები თავიანთ რეზოლუციაში აღნიშნავდნენ, რომ კოოპერატივებს მუშათა კლასისათვის მოაქვთ გარკვეული სარგებლობა, ეხმარებიან მას ვაჭარ-სპეკულანტებთან ბრძოლაში და, ამდენად, გარკვეულ როლს ასრულებენ მათ კლასობრივ ბრძოლაში... დაახლოებით ასეთივე იყო გედის რეზოლუციის პროექტიც, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოოპერატივებს გარკვეული სარგებლობა მოაქვთ მუშების კლასობრივი ბრძოლის საქმეში. პროექტი რჩევას აძლევდა სოციალისტურ პარტიებს, გამოეყენებინათ კოოპერატივები მასებისათვის თავიანთი ნამდვილი ამოცანის „პოლიტიკური ძალაუფლების

დაუფლებისა და წარმოებისა და გაცვლის საშუალების საერთო საკუთრებად ქცევის“ განმარტების მიზნით.

რსდმპ დელეგაციამ, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, კონგრესს წარუდგინა ცალკე პროექტი, რომელშიც ნათლად და ამომწურავად იყო განსაზღვრული კოოპერატივების როლი და ამოცანები კლასობრივ ბრძოლაში. კოოპერატივების ძირითადი ფუნქცია, აღნიშნული იყო ამ პროექტში, ის არის, რომ დაეხმაროს მუშათა კლასს გაფიცვების, ლოკაუტების, პოლიტიკური დევნის დროს. რეზოლუცია აღნიშნავდა კოოპერატივების უმნიშვნელო როლს კაპიტალიზმის პირობებში, სადაც წარმოების საშუალებები ექსპლუატატორული კლასის ხელშია. დასასრულ, იგი მოითხოვდა სოციალისტურ პარტიებსა და კოოპერატივებს შორის კავშირის განმტკიცებას და სოციალისტების მიერ მათ გამოყენებას პროპაგანდის მიზნით.

აღნიშნული პროექტების განხილვა წარმოებდა კონგრესის მიერ გამოყოფილ კომისიაში. ვინაიდან ვ. ი. ლენინისა და გედის პროექტები ბევრ საერთო პუნქტებს შეიცავდნენ, მათი არაერთი შეხვედრისა და მოთათბირების შედეგად შესაძლებელი გახდა რეზოლუციის ერთიანი პროექტის შემუშავება, რომელიც ასახავდა გედისა და რსდმპ პროექტების ძირითად დებულებებს. იგი თითქმის ერთხმად იქნა მიღებული კონგრესის მიერ.

„კოოპერაციული მოძრაობა, — აღნიშნული იყო ამ რეზოლუციაში, — თუმცა მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მიგვიყვანოს მუშათა კლასის განთავისუფლებამდე, მაინც უნდა იქცეს კლასობრივი ბრძოლის ქმედით იარაღად“.

აჯამებდა რა კოოპერატივების საკითხზე კონგრესის მუშაობის შედეგებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „... ინტერნაციონალმა ძირითადად სწორად განსაზღვრა პროლეტარული კოოპერატივების ამოცანები. პარტიის ყოველი წევრი, ყოველი სოციალ-დემოკრატი მუშა... უნდა ხელმძღვანელობდეს მიღებული რეზოლუციით და მთელ თავის საქმიანობას წარმართავდეს ამ რეზოლუციის შესაბამისად“ [1].

სოციალისტური პარტიებისა და პროფმოძრაობის ერთიანობის თაობაზე კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციები გაჟღენთილი იყო ცენტრისტული სულისკვეთებით. იგი მოითხოვდა მემარცხენე რევოლუციურ მიმდინარეობათა და ჯგუფთა გათქვეფას ერთიან სოციალ-რეფორმისტულ პარტიებსა და პროფკავშირებში. ასეთი მცდარი ტენდენციის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო ვ. ი. ლენინის აქტიური საქმიანობა მემარცხენე ძალების გასაერთიანებლად და ოპორტუნის-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კოოპერატივების საკითხი, თხზ., ტ. 16, გვ. 353—354.

ტების გავლენისაგან მათ ჩამოსაშორებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა ვ. ი. ლენინის მიერ კოპენჰაგენის კონგრესის მონაწილე მეამარცხენე სოციალისტთა მეორე თათბირის ჩატარება.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ, რომელიც ზოგადად და გაურკვეველ ფორმებში მოუწოდებდა მუშათა კლასს მორალური და მატერიალური ღახმარება აღმოეჩინა კაპიტალისტთა წინააღმდეგ მებრძოლი კლასობრივი ამხანაგებისათვის (გაფიცვების, ლოკაუტებისა და სხვა შემთხვევებში). მაგრამ ის გარემოება, რომ II ინტერნაციონალმა ვერ შეძლო ეფექტური დახმარება აღმოეჩინა 300 ათასი შვედი მუშისათვის, როცა ისინი 1909 წლის მეწარმეებმა ლოკაუტის დროს ქუჩაში გამოყარეს, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ძალიან სუსტი იყო ამ მიმართულებით. მისი სოლიდარული დახმარება გაჭირვებაში ჩავარდნილი მშრომელებისადმი არ შორდებოდა „მორალურ“ ჩარჩოებს.

მეორე ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესი. მანიფესტი ომის წინააღმდეგ

პირველ მსოფლიო ომამდე მეორე ინტერნაციონალი დიდ ძალას წარმოადგენდა. მასში შემავალ სოციალისტური პარტიების რიგებში გაერთიანებული იყო 3,800 ათასამდე წევრი. სოციალისტების გავლენის ქვეშ მყოფი პროფესიული კავშირების, სპორტული და კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდობის კავშირების წევრთა რიცხვი კი ათეულ მილიონს აღემატებოდა. სოციალისტების განკარგულებაში იყო ასეული ჟურნალ-გაზეთი, ტიპოგრაფია და საგამომცემლო ცენტრი. ბურჟუაზიულ პარლამენტში მათ ჰყავდათ თავიანთი ფრაქციები ასეული სოციალისტი დეპუტატით. პარლამენტებში არჩევნების დროს სოციალისტებს ხმას აძლევდა ამომრჩეველთა საგრძნობი რაოდენობა (12 მილიონზე მეტი).

მაგრამ ეს სიძლიერე, საუბედუროდ, უფრო მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში ივი ვერ ამართლებდა რევოლუციური პროლეტარიატის იმედებს და მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლის ვითარებაში აღარ წარმოადგენდა საერთაშორისო რევოლუციურ შტაბს. მის რიგებში თანდათანობით ვრცელდებოდა ოპორტუნიზმის, რეფორმიზმისა და სოციალ-შოვინიზმის უკურნებელი სენი. II ინტერნაციონალისა და მისი პარტიების სათავეში მოექცნენ აშკარა რეფორმისტები და ცენტრისტები, რომლებიც რევოლუციური თეორიისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდნენ. ამიტომ იყო, რომ თან-

ღათანობით დავიწყებას ეძლეოდა ინტერნაციონალის კონგრესების მიერ მილიტარიზმთან ბრძოლისა და სხვა საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები; არავინ ფიქრობდა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ეხელმძღვანელა მათი რეკომენდაციებით. ლიდერების უმეტესობა ფაქტიურად აღარ ფიქრობდა სოციალისტური რევოლუციის მომზადებაზე და აღნიშნულის გამო თავს აღარ იწუხებდა მუშათა კლასის ბუნებრივ მოკავშირეებთან — გლეხობასთან, დამონებული ქვეყნების ხალხებთან, ქალაქის ღარიბობასთან სათანადო მუშაობაზე. სოციალისტთა რიგებში არსებული გათიშულობა და ოპორტუნისტული სულისკვეთების ზრდა ხელს უშლიდა მუშათა კლასს ენერგიულად დაეცვა საკუთარი კლასობრივი ინტერესები. იგი ხშირად ვერ ახერხებდა გამარჯვებით დაეგვირგვინებინა აღმავლობის ფაზაში შესული საგაფიცვო მოძრაობა. აღნიშნულის გამო ბურჟუაზიას შესაძლებლობა ჰქონდა გასწორებოდა მუშათა კლასის რევოლუციურ ძალებს და ჩაეხშო მისი გამოსვლები.

II ინტერნაციონალის სისუსტემ, მისმა უუნარობამ — ფეხი აეწყო ცხოვრების ახალი ვითარებისათვის — ყველაზე მკაფიოდ თავი იჩინა ომის საფრთხის ზრდის საკითხში. თანდათანობით გამწვავდა საერთაშორისო კონფლიქტები და დაჩქარებული ვითარება აქა-იქ აშკარა ომში გადაიზარდა. II ინტერნაციონალის ლიდერები კი ამას თითქოს ვერ ხედავდნენ. ისინი საჭიროდ არ თვლიდნენ დაერაზმათ მშრომელთა მილიონები ომის წინააღმდეგ. სისრულეში მოეყვანათ ინტერნაციონალის წინა კონგრესების სათანადო გადაწყვეტილებები და გსა გადაეღობათ მოახლოებული მსოფლიო ხოკვა-ჟლეტისათვის.

1911 წელს, მაროკოს მეორე კრიზისის დროს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ ხელი შეუშალა ინტერნაციონალის საერთაშორისო ბიუროს გაფართოებული სხდომის მოწვევას, სადაც უნდა განეხილათ აღნიშნული საკითხი. ამიტომ სოციალისტებმა ვერ მიიღეს რაიმე გადაწყვეტილება ომის საკითხზე.

გერმანიის სოციალ-დემოკრატებიდან მხოლოდ რ. ლუქსემბურგმა აღიმაღლა ხმა თავისი პარტიის არასწორი ტაქტიკის წინააღმდეგ. ასევე ინდიფერენტულად შეეგება მეორე ინტერნაციონალი იტალია-თურქეთის იმპერიალისტურ ომს.

მხოლოდ ომის შემდეგ, რაც დაიწყო ბალკანეთის ომი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პრელუდიასა და გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა, 1912 წლის ნოემბერში საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ ბაზელში (შვეიცარია) მოიწვია მეორე ინტერნაციო-

ნალის საგანგებო, რიგგარეშე, მეცხრე კონგრესი[1]. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 550 დელეგატი. მან განიხილა მხოლოდ ერთი საკითხი: ბრძოლა მილიტარიზმთან და ომის საფრთხესთან. კონგრესის ინიციატორთა აზრით, იგი უნდა ყოფილიყო გრანდიოზული, ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია საერთაშორისო მუშათა კლასის მზადყოფნისა — გზა გადაეღობა ომისათვის.

დღის წესრიგის ამ ერთადერთი საკითხის შესახებ არავითარი კამათი არ ყოფილა. კონგრესის ყველა დელეგატი (ჟ. ჟორესი, ვ. ადლერი, ჟ. გედი და სხვ.) ერთსულოვნად მოუწოდებდა — გაძოეყეხებინათ ყველა საშუალება ომის თავიდან აცილებისათვის.

კონგრესმა ერთხმად მიიღო მანიფესტი, რომელიც იმპერიალისტური ომის მომზადებაში ბრალს სდებდა როგორც თვითმპყრობელურ რუსეთს, ისე ნახევრადთვითმპყრობელურ კაიზერის გერმანიას. ავსტრია-უნგრეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებს. იგი მოუწოდებდა ყველა ქვეყნის მუშათა კლასს ომის გამჩაღებელი ძალებისათვის, კაპიტალისტური იმპერიალიზმისათვის დაეპირისპირებინათ მისი საერთაშორისო სოლიდარობის ძალა. მანიფესტი მოაგონებდა იმპერიალისტურ მთავრობებს, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომს მოჰყვა პარიზის კომუნის რევოლუციური გამოსვლა, რუსეთ- იაპონიის ომმა კი მოქმედებაში მოიყვანა რუსი ხალხის რევოლუციური ძალა. „დაე მთავრობებმა კარგად დაიხსომონ, — აღნიშნული იყო მანიფესტში, — რომ ევროპის ახლანდელი მდგომარეობისა და მუშათა კლასის აზრთა განწყობილების ვითარებაში მათ არ შეუძლიათ გააჩაღონ ომი ისე, რომ არ შეუქმნან საშიშროება საკუთარ თავს“.

ვ ი. ლენინის შეფასებით, ბაზელის მანიფესტი კარგად იყო შედგენილი. იგი წარმოადგენდა ომის შესახებ სოციალისტური აზრებისა და ომის მიმართ სოციალისტური ტაქტიკის შესახებ ყველაზე ზუსტ და სრულ საზეიმო და ფორმალურ გადმოცემას. მასში ნაკლები იყო ფუჭი დეკლამატორობა და მეტი კონკრეტული შინაარსი[2].

მაგრამ, საუბედუროდ, ბაზელის 1912 წლის მანიფესტი მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა ხელში უბრალო ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა. ისინი არ ფიქრობდნენ სისრულეში მოეყვანათ მისი საზეიმო ვალდებულება და მკაცრი გაფრთხილება. მათ ზედმეტად ჩათვალეს ეწარმოებინათ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის სისტემატური პროპაგანდა მუშათა შორის და ამის საფუძველზე

---

[1] იგი სულ 2 დღეს — 24—25 ნოემბერს მუშაობდა.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, II ინტერნაციონალის კრახი, თხზ., ტ. 21, გვ. 243.

დაერაზმათ ისინი მოახლოებული ომის წინააღმდეგ. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მხოლოდ ბოლშევიკური პარტია. მთელ თავის საქმიანობაში იგი მტკიცედ მიჰყვებოდა II ინტერნაციონალის კონგრესების გადაწყვეტილებებს, მიმართულს მილიტარიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ. სწორედ ბოლშევიკურმა პარტიამ გააკეთა საჭირო დასკვნა ბაზელის მანიფესტიდან და გადადგა იქიდან გამომდინარე პრაქტიკული ნაბიჯები.

მეორე ინტერნაციონალის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო მუშაობა მოძრაობის განვითარებაში

ოპორტუნიზმის შეუჩერებელი ზრდის ვითარებაში მეორე ინტერნაციონალი თანდათანობით შორდებოდა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებს, მისი ლიდერები უფრო და უფრო ეგუებოდნენ ბურჟუაზიულ გარემოს და სოციალისტური რევოლუციისათვის მზადების ნაცვლად კლასობრივ თანამშრომლობასა და ზავზე იღებენ გეზს. ფრანგმა სოციალისტებმა საარჩევნო შეთანხმება დადეს ბურჟუაზიულ პარტიებთან. ბისოლატის ტიპის ოპორტუნისტები იტალიის სოციალისტური პარტიიდან მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ მთავრობას, ლეიბორისტები ბოლომდე განიცდიდნენ ლიბერალების გავლენას; ასეთივე კომპრომისებს ჰქონდა ადგილი ბელგიაში, შვედეთში, ჰოლანდიაში, დანიასა და სხვა ქვეყნებში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის კონტურები უფრო მკაფიოდ იხაზებოდა, მილიტარიზმის მძიმე ტვირთი აუტანელი ხდებოდა მშრომელებისათვის. ცალკეული სოციალისტური პარტიის რეფორმისტული ხელმძღვანელები კი ზედმეტად მიიჩნევდნენ მუშათა კლასის მობილიზაციას მოახლოებული ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მათ მაუდქვეშ ამოდვეს ბაზელის ცნობილი ანტიმილიტარისტული მანიფესტი და წინა კონგრესების სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები, ნაცვლად იმისა, რომ მილიონთა სამობილიზაციო დროშად ექციათ ისინი. ჰაინდმანისა და ფოლმარის ტიპის რევიზიონისტი-ოპორტუნისტები აღარ მალავდნენ თავიანთ სიყვარულს ბურჟუაზიული სამშობლოსადმი და მასებს მოუწოდებდნენ ომის შემთხვევაში თავიანთი სისხლით დაეცვათ სამშობლო უცხოელი აგრესორებისაგან".

კ. კაუცკის, ა. ტომასა და რ. მაკდონალდის ტიპის ცენტრისტები თანდათანობით შეეგუენ ოპორტუნისტებსა და სოციალ-რეფორმისტებს. ისინი თითქოს ვერ ხედავდნენ საერთაშორისო სოციალისტური ტაქტიკის რევოლუციური პლატფორმიდან საშიშ დაქანებას. მათ წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის ნაცვლად ეს „ორთოდოქსე-

ბი“ აშკარად ილაშქრებდნენ მემარცხენე რევოლუციური ფრთის წინააღმდეგ და ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს მის ბრძოლას რენეგატებთან. სოციალისტურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერ პროფესიულ კავშირებში წამყვან როლს ასრულებდნენ მასებისაგან მოწყვეტილი, თეორიულად მოუმზადებელი, რევოლუციურ ენთუზიაზმს მოკლებული კარიერისტები — პარლამენტთა დეპუტატები, მუნიციპალური ორგანოების მრჩეველები, პროფბიუროკრატები და სხვები. „მე ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, — ამბობდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ა. ბებელი, — რომ ჩვენი ლიდერების ნაწილს აღარ სურს დაინახოს მასების ტანჯვა და გაჭირვება, რომ მათთვის უცხოა მასების განწყობილება“.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოასწავებდა II ინტერნაციონალის გადაგვარებას, მის კრახს, მაგრამ ის, რაც მანამდე ინიღბებოდა, გაშიშვლებული სახით გამოჩნდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე, როცა II ინტერნაციონალის ლიდერებმა აშკარად უღალატეს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის პრინციპს და ბურჟუაზიის ბანაკში გადაბარგდნენ. ამ ომმა გამოააშკარავა II ინტერნაციონალისა და მასში შემავალი რეფორმისტული პარტიების ხელმძღვანელობის სიყალბე და ცბიერება. ყაჩაღური, იმპერიალისტური ომი მათ „თავდაცვით“ ომად მონათლეს, გაამართლეს თავიანთი ბურჟუაზიული მთავრობების იმპერიალისტური პოლიტიკა და მასებს მოუწოდეს აქტიურად ჩაბმულიყვნენ ძმათა მკვლელ ომში.

სოციალიზმის საქმისა და მუშათა კლასის ინტერესების ღალატის, გამცემლობის მაგალითი პირველად ჩაიდინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც 1914 წლის 2 აგვისტოს რაიხსტაგში ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს. მის კვალს მალე მიჰყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, ბელგიის სოციალისტური პარტიები. ევროპელ სოციალისტთა ღალატი ამით არ დამთავრებულა. ე. ვანდერველდე ბელგიიდან, ა. ჰენდერსონი ინგლისიდან, ა. ტომა, სამბა, გედი საფრანგეთიდან ბურჟუაზიულ მთავრობებში შევიდნენ და მინისტრის პორტფელები მიიღეს.

„II ინტერნაციონალის ეპოქის სოციალისტური პარტიების ტიპი იყო პარტია,—წერდა ვ. ი. ლენინი,—რომელიც თავის წრეში ითმენდა ოპორტუნიზმს, რაც უფრო და უფრო გროვდებოდა „მშვიდობიანი“ პერიოდის ათეული წლების მანძილზე, მაგრამ ფარულად მოქმედებდა...“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, შემდეგ რა? თხზ., ტ. 21, გვ. 120.

„II ინტერნაციონალის კრახი ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა იმ-ით, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ევროპის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობამ აშკარად უღალატა თა-ვის შეხედულებებს და თავის საზეიმო რეზოლუციებს, რაც მიღებუ-ლი იყო შტუტგარტსა და ბაზელში. მაგრამ ეს კრახი, რაც ნიშნავს ოპორტუნიზმის სრულ გამარჯვებას, სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიების ნაციონალ-ლიბერალურ მუშათა პარტიებად გადაქცევას, არის მხოლოდ II ინტერნაციონალის მთელი ისტორიული ეპოქის. XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის ეპოქის შე-დეგი“[1].

მეორე ინტერნაციონალი განასახიერებდა მთელ ისტორიულ ეპო-ქას საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარე-ბაში და ამაში მდგომარეობდა მისი ისტორიული დამსახურება. იგი არსებობდა 1889 წლიდან 1914 წლამდე, ომის გაჩაღებამდე. „ეს დრო იყო დრო კაპიტალიზმის ყველაზე წყნარი და მშვიდობიანი განვითარებისა, დრო, როცა დიდი რევოლუციები არ ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში მუშათა მოძრაობა განმტკიცდა და დაეუკაცდა მთელ რიგ ქვეყნებში“[2].

II ინტერნაციონალმა ხელი შეუწყო მარქსიზმის შემდგომ გავრ-ცელებას და მშრომელებში მის მკვიდრად დანერგვას, მუშათა მოძ-რაობის ფართო, მასობრივ გავრცელებას, მასობრივი სოციალისტუ-რი პარტიების აღმოცენებასა და მათ მრავალმილიონიან ორგანიზა-ციებად ქცევას. მან მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა, რაც მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალის აქტივში შევიდა. „მესამე ინტერნაციონალმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეითვისა II ინტერ-ნაციონალის მუშაობის ნაყოფი, მოჰკვეთა მისი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სი-ბილწე...“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, II ინტერნაციონალის კრახი. თხზ., ტ. 21, გვ. 305.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, III კომუნისტური ინტერნაციონალი, თხზ., ტ. 29, გვ. 274.
[3] იქვე, გვ. 355.

ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისათვის და საერთაშორისო ურთიერთობანი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალისტური მეურნეობის მსოფლიო სისტემის წონასწორობა დაირღვა. იმპერიალისტურმა წინააღმდეგობებმა შეურიგებელი ხასიათი მიიღო. დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი. მსოფლიო იმპერიალისტური ომი ისტორიულ გარდაუვალობად იქცა. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ლოკალური ომებით დაიწყო. მათ შორის პირველი იყო ესპანეთ-აშშ 1898 წლის და ინგლის-ბურების 1899—1902 წლების ომები.

XIX—XX საუკუნეების მიჯნა აღინიშნა აშშ-ის კოლონიური ექსპანსიის გაძლიერებით. აშშ-ის ექსპანსია ორი ძირითადი მიმართულებით — შორეულ აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში გაიშალა. აშშ დაეპატრონა ჰავაის კუნძულებს, კუბას, ფილიპინებს, პუერტო-რიკოს და სხვ. 1900-14 წლებში ამერიკის ექსპანსიამ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მიმართ განსაკუთრებით ფარული ხასიათი მიიღო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კოლუმბიის ხარჯზე შექმნა მარიონეტული პანამის რესპუბლიკა და საბოლოოდ დაეპატრონა პანამის არხს. კაბალური სესხების, „დოლარისა და დიდი ხელკეტის“ დიპლომატიის გზით ამერიკის კაპიტალმა დაიმონა კარიბის ზღვის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ლათინურ ამერიკაში აშშ-ის გავლენას წინ ეღობებოდა ინგლისი, მაგრამ ინგლის-გერმანიის მზარდი წინააღმდეგობების პირობებში ინგლის-აშშ-ის უთანხმოებანი მინელდა. ინგლისი დაადგა შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის გზას. გერმანიის იმპერიალიზმის მძლავრი აღმავლობის შედეგად აშშ-მა მწვავედ განიცადა გერმანიის მეტოქეობა და იგი ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგედ ჩათვალა.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაინტერესების საგანი ხდება

ჩინეთი. აქ ფეხი მოიკიდეს ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, რუსეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. საკუთარი მძლავრი ეკონომიკის იმედით აშშ-მა 1899 წელს ჩინეთის მიმართ „ღია კარების" პრინციპი გამოაცხადა. აშშ და ინგლისი შორეულ აღმოსავლეთში მთავარ მეტოქედ რუსეთს მიიჩნევდნენ და მფრავალობდნენ იაპონიის ანტირუსულ პოლიტიკას. მსოფლიოს გადანაწილების დამთავრების პირობებში იმპერიალისტთა დაინტერესების ობიექტად ხდებიან ნახევრად დამოკიდებული ქვეყნები. ჩინეთისათვის ბრძოლასთან ერთად იწყება ბრძოლა ირანისათვის, ეგვიპტისათვის, მაროკოსათვის, ტუნისისათვის, თურქეთისათვის და სხვ. ანტიიმპერიალისტურ სახალხო მოძრაობას იმპერიალისტები გაერთიანებული ძალებით ახშობდნენ. ასეთი ბედი ეწია 1900 წელს ჩინეთის სახალხო აჯანყებას, აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჩინეთის დაკაბალებამ ახალი ძალით იჩინა თავი. აჯანყების დროს მეფის რუსეთმა განახორციელა მანჯურიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია; ინგლისელებმა ჯარები შეიყვანეს შანხაიში. ჩინეთიდან რუსეთის განდევნისათვის ინგლისელებმა გერმანელების გამოყენება სცადეს, მაგრამ გერმანიასთან ანტირუსული კავშირის დადება ვერ მოხერხდა. მაშინ ინგლისმა რუსეთს დაუპირისპირა იაპონია, რომელსაც კორეისა და მანჯურიის დამონების დიდი სურვილი ჰქონდა. 1902 წლის იაპონია-ინგლისის ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინგლისმა იაპონიას დიდი ფინანსური დახმარებაც აღმოუჩინა. აქტიურ დიპლომატიურ და ფინანსურ დახმარებას იაპონიას ამერიკის შეერთებული შტატებიც უწევდა.

1904-05 წწ. რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის ცარიზმი დამარცხდა. პორტსმუტის ზავის შედეგად (1905 წლის სექტემბერი) იაპონიის პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში საგრძნობლად განმტკიცდა. ამიერიდან აქ წინააღმდეგობის ახალი კერა შეიქმნა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. აშშ ვერ შეურიგდა იაპონიის იმპერიალიზმის შემდგომ წარმატებებს.

როგორც უკვე ვიცით, XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ძირითადად განისაზღვრა დიდ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებანი საფრანგეთ-რუსეთისა და სამთა კავშირის სახით (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია). გაურკვეველი იყო ინგლისის პოლიტიკა, ჯერ კიდევ არ იყო ნათელი ის, თუ ვის ბანაკში აღმოჩნდებოდა იგი. XX საუკუნის დამდეგს გერმანიასა და ინგლისს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებამ, ბოლოს და ბოლოს, განსაზღვრა ინგლისის პოზიცია. იგი 1904 წელს საფრანგეთს დაუკავშირდა, ბოლო 1907 წელს საფრანგეთ-ინგლისის ბლოკს რუსეთიც შეუერთდა.

ამიერიდან საბოლოოდ გაფორმდა „სამთა გულითადი შეთანხმების“, ანუ მოკლედ „ანტანტის“ სახელით ცნობილი ახალი იმპერიალისტური კავშირი.

XX საუკუნის დამდეგს კვლავ დომინირებენ ის წინააღმდეგობანი, რომელნიც ევროპაში ჯერ კიდევ წინაიმპერიალისტურ ეპოქაში დაინერგა. პირველ ყოვლისა ახალი ძალით იჩინა თავი გერმანია-საფრანგეთის წინააღმდეგობამ. კვლავ მწვავე ბრძოლაა ელზას-ლორენისათვის. რაინ-რურის შავი მეტალურგიის გერმანელ მონოპოლისტებს და საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის მაგნატებს შორის დიდი ბრძოლა გაჩაღდა ლორენის მადნეულისათვის. ფრანგები ცდილობდნენ 1871 წელს გარმანელების მიერ თითქმის მთლიანად ოკუპირებულ ელზას-ლორენის ტერიტორიის დაბრუნებას. გერმანელები ხარბი თვალით შესცქეროდნენ ფრანგების ხელში დარჩენილ ბრიტანეთ და ლონგვის მდიდარ სამთამადნო აუზებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას მნიშვნელოვან კვალს ამჩნევს რუსეთ-გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის ძველი წინააღმდეგობანი. ჯერ კიდევ ძალაში რჩება ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთ-ინგლისის დაპირისპირება.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, როცა „თავისუფალი“ კაპიტალიზმი საბოლოოდ იმპერიალიზმში გადაიზარდა, საერთაშორისო ურთიერთობაში კარდინალური გარდატეხა დაიწყო. მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში ჩაება გერმანიის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ძლიერი იმპერიალიზმი, რომელმაც მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მოითხოვა და ბრძოლისათვის გაფაციცებით მზადება დაიწყო.

საერთაშორისო ასპარეზზე დაგვიანებით გამოსული გერმანიის აგრესიული პოლიტიკა პირველ ყოვლისა ძველი „ბებერი მტაცებლის“ — დიდი ბრიტანეთის ინტერესებს შეეჯახა. გაჩნდა მეტოქეობის ახალი, მძლავრი კერა გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობის სახით. გერმანიის იმპერიალიზმის ცნობილი ბაირახტარი ფონ ბიულოვი თავის ერთ-ერთ სიტყვაში ამბობდა: „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არ უნდა მოხდეს გერმანიის გამორიცხვა იმ შეჯიბრებიდან, რომელსაც ადგილი აქვს სხვა ხალხებს შორის — მდიდარი პერსპექტივების მქონე ქვეყნებზე ბატონობის სფეროში. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა გერმანელი ერი თავის ერთ მეზობელს უთმობდა მიწას, მეორეს — ზღვას, თავისთვის კი იტოვებდა ზეცას, სადაც მეფობს მხოლოდ თეორია... ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ხელი შევუწყოთ და განვავითაროთ ჩვენი ზღვაოსნობა, ვაჭრობა, მრეწველობა... ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ადგილი მზის ქვეშ“. ინგლისი აშ-

კარად გრძნობდა გერმანიის მზარდ მეტოქეობას ვაჭრობასა თუ კოლონიურ პოლიტიკაში. XIX საუკუნისა და XX საუკუნის მიჯნაზე დედამიწაზე გასანაწილებელი თითქმის აღარაფერი დარჩა, ამჯერად, დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი. ამ შემთხვევაში „მზის ქვეშ“ ადგილის მაძებარი გერმანია პირველ ყოვლისა დაუპირისპირდა უძლიერეს კოლონიურ სახელმწიფოს — ინგლისის ინტერესებს. გერმანიამ დიდი საფრთხე შეუქმნა ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობას, მის კოლონიურ ძლიერებას. ამიერიდან ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი საერთაშორისო ურთიერთობაში ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა.

ინგლისი გრძნობდა გერმანიის ძალასა და მეტოქეობის უნარს. ინგლისს აშინებდა გერმანიის სამხედრო შეიარაღების ზრდა, განსაკუთრებით — სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენების გრანდიოზული პროგრამა. გერმანიის გავლენა მსოფლიოს ბაზარზე იზრდებოდა. 1870 წელს გერმანია ვაჭრობის მოცულობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იყო. 1900 წლისათვის იგი უკვე მეორე ადგილზე გადავიდა. XX საუკუნის დამდეგს გერმანიის სავაჭრო ფლოტმა მეორე ადგილი დაიკავა, 1870 წელს კი მას მხოლოდ მეხუთე ადგილი ეკავა. 1870 წელს გერმანიის კომერციული ფლოტი 147 გემს მოითვლიდა, 1902 წელს კი—დაახლოებით 1200-ს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გერმანული საქონელი ინგლისურს თითქმის ყველგან მეტოქედ მოევლინა. დიდი აურზაური გამოიწვია XIX საუკუნის დამლევს გერმანიის საქარხნო-საფაბრიკო ცნობილმა დამღამ: „Made in Germany“ (დამზადებულია გერმანიაში). საქონელი აღნიშნული ამ დამღით ინგლისში გამოჩნდა და ინგლისურ საქონელს, ინგლისშივე დამზადებულს, დიდი კონკურენცია გაუწია. ატყდა საშინელი განგაში: „ინგლისის ინდუსტრია საფრთხის წინაშეა, მოსპეთ გერმანელი კონკურენტიო“,— გაიძახოდნენ ინგლისელი ჯინგოისტები. 1897 წელს ჟურნალში „Saturday Review“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „დაე, განადგურდეს გერმანია“. სტატიაში ნათქვამი იყო შემდეგი: „ევროპაში არსებობს ორი დიდი, ურთიერთ მოწინააღმდეგე შეურიგებელი ძალა, ორი დიდი ერი, რომელსაც სურს მთელი მსოფლიო თავის დომენად აქციოს და მისგან სავაჭრო ხარკი მოითხოვოს, — ესაა ინგლისი და გერმანია. გერმანელი კომივოიაჟერი და ინგლისელი მოხეტიალე ვაჭარი გააფთრებით ეცილებიან ერთმანეთს დედამიწის ყოველ კუნჭულში. მილიონი წვრილ-წვრილი შეტაკება უდიდესი, ჯერ არნახული ომის საბაბს ქმნის. ხვალ რომ გერმანია აღგვილ იქნეს პირისაგან მიწისა, ზეგ უკვე არ იქნებოდა მსოფლიოში არც ერთი ისეთი ინგლისელი, რომელიც ამით კიდევ უფრო გამდიდრებული არ აღმოჩნდეს. ძვე-

ლად ხალხი წლობით იბრძოდა ხოლმე რომელიღაც ქალაქის ან მემკვიდრეობის გამო. ნუთუ მან არ უნდა დაიწყოს ახლა ომი ყოველწლიურად 5 მილიარდი სავაჭრო მოგებისათვის?".

ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობის ერთ-ერთი პირველი კერა სამხრეთ აფრიკაში შეიქმნა. ბურების ორი მდიდარი რესპუბლიკა — ტრანსვაალი და ორანჟი გერმანიის იმპერიალიზმის ყურადღების ცენტრში იყო. გერმანიას იზიდავდა აქ აღმოჩენილი ალმასის უმდიდრესი საბადოები, აქაური ოქრო, რკინა და ქვანახშირი, სპილენძი და კალა, აზბესტი და ქრომი. მას იზიდავდა იქაური კლიმატი და კარგი ნიადაგები. გერმანიის ცნობილი კოლონიური მოღვაწე ერნსტ ფონ ვებერი ჯერ კიდევ 1875 წელს ბურების პრეზიდენტს გერმანიის პროტექტორატს სთავაზობდა. 70-იან წლებში გერმანელები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ პრეტორია-დელაგოას რკინიგზის გაყვანის საქმე. 1884-86 წლებში ტრანსვაალის ტერიტორიაზე უიტვატერსრენდის მთაგრეხილზე აღმოჩნდა ოქროს ერთ-ერთი უმდიდრესი საბადო მთელს მსოფლიოში. ამიერიდან ბურების ქვეყანა განსაკუთრებით სანუკვარი გახდა იმპერიალისტთათვის. ბურების ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე პეტერ ჟუბერი წინასწარმეტყველებდა მაშინ: „ეს ოქრო შეიქნება იმის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით გაიღინთებაო". იწყება ინგლისისა და გერმანიის ორთა ჭიდილი გემრიელი ლუკმისათვის, ორივე მხარე იარაღს აჟღარუნებს; ურთიერთობა მათ შორის მწვავდება; ბრძოლა ბურების ქვეყნის ხელში ჩასაგდებად ქმნის casus belli-ს; ინგლისის ბერლინელი ელჩის ედუარდ მელეტის თქმით, ტრანსვაალი გერმანიისა და ინგლისის ურთიერთობისათვის „შავი წერტილი" იყო. შავი წერტილი იზრდებოდა და შავ ღრუბლად ეფინებოდა ევროპას, — მოხდენილად შენიშნავდა ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი ა. ს. იერუსალიმსკი.

1895 წელს ინგლისელებმა მოაწყვეს ტრანსვაალის ტერიტორიაზე მცხოვრებ ინგლისელთა (უიტლენდერთა) აჯანყების ინსცენირება იოჰანესბურგში .სესილ როდსის აგენტი, ავანტიურისტი ჯემსონი 800 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმით 1895 წლის 29 დეკემბერს ტრანსვაალის ტერიტორიაზე შეიჭრა. „ჯემსონის ავანტიურამ" მეტისმეტად გაართულა ინგლის-გერმანიის ურთიერთობა. გერმანიის ელჩს ლონდონში ჰატცფელდტს 31 დეკემბერს დავალება მიეცა დაუყოვნებლივ ხლებოდა პრემიერ-მინისტრს სოლსბერის და განეცხადებინა, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ტრანსვაალში „Status quo"-ს შეცვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით იმუქრებოდა. ბრიტანეთის მოხუცი პრემიერი გერმანიის ელჩს

მეტად ამაყად შეხვდა და ასე მიმართა: „ამ საქმეში არ იხმაროთ არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც მუქარა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუტანელი მდგომარეობა შეგვექმნებაო“... დაძაბულობა გაანეიტრალეს ბურებმა. მათ 1896 წლის 2 ნოემბერს გაანადგურეს ინგლისელთა რაზმი. იმპერატორმა ვილჰელმ II-ემ პრეზიდენტ კრიუგერს დეპეშა გაუგზავნა, იმპერატორი ულოცავდა ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც ბურებმა მოიპოვეს სხვის დაუხმარებლად, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და ამით უზრუნველყვეს თავიანთი ქვეყნის უშიშროება, რომლის დარღვევას ცდილობდნენ „გათავხედებული ავანტიურისტები“. ამ დეპეშამ ინგლის-გერმანიის ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულა; ინგლისში მთელი აურზაური ატყდა. ინგლისის პრესა, პოლიტიკური წრეები სასტიკ აღშფოთებას გამოთქვამდნენ; მოითხოვდნენ გერმანიის მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებას; ასეთივე ამბებია გერმანიაში; ანტიინგლისურმა პროპაგანდამ არნახულ ფარგლებს მიაღწია. მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. ევროპაში ომის საფრთხე შეიქმნა.

გერმანიას მაშინ ინგლისის წინააღმდეგ ომი არ შეეძლო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა სათანადო ფლოტი, მეორეც ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო რუსეთისა და საფრანგეთის დახმარების გარეშე. გერმანიის რაიხსკანცლერი თავადი ჰოჰენლოე აღნიშნავდა, რომ იზოლირებულ გერმანიას არ ძალუძს ომი. ჩვენი ინიციატივა მაშინაა კარგი, განაგრძობდა კანცლერი, როცა ჩვენ არ გვეშინია საფრანგეთისა და რუსეთის მხრივ იზოლაციისა. ამიტომ იყო, რომ გერმანიამ 1896 წელს მეტად დიდი საქმე წამოიწყო. გადაწყვიტა შეექმნა ე. წ. „კონტინენტური ლიგა“ ანუ ევროპის სახელმწიფოთა კავშირი (ძირითადად გერმანია-რუსეთი-საფრანგეთი, აგრეთვე იტალია და ავსტრია-უნგრეთი) ბრიტანეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის. მიუხედავად დიდი ცდისა, გერმანიამ ვერ განახორციელა ეს განზრახვა.

გერმანიის იმპერიალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ გერმანიისათვის მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალით, სისხლიანი ომების საშუალებით, გერმანიის იუნკრულ-ბურჟუაზიული იმპერიალიზმი გამალებით ემზადებოდა ამ ომისათვის. „თუ ჩვენ გვსურს ჩვენს ხალხს მსოფლიო ერის მდგომარეობა მოვუპოვოთ, მთელი იმედები მახვილზე უნდა დავამყაროთ,.... იარაღის გარეშე ძნელია განვახორციელოთ ჩვენი პოლიტიკური მიზნები, შევინარჩუნოთ ჩვენი ახლანდელი ძლიერება და უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი. აქედან გამომდინარე, ჩვენ რაც შეიძლება უკეთ უნდა ვემზადოთ ამ ომისათვის....“ ცნობილი გერმანელი იმ-

ჰერიალისტის გენერალ ფონ ბერნჰარდის ეს მოწოდება გერმანიის მოქმედების სიმბოლო იყო. „ჩვენ უნდა ვემზადოთ მომავალი მრისხანე დღეებისათვის, როცა გერმანიის არსებობის საკითხი იარაღით გადაწყდება,“ — გაიძახოდა პანგერმანისტი ფონ ვროჰემი. გერმანია ემზადებოდა ამ „მრისხანე დღეებისათვის“.

განსაკუთრებით აფიქრებდა და აშინებდა ინგლისს გერმანიის მიერ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა. „მე ვერ მოვისვენებ, სანამ ფლოტსაც იმავე სიმაღლეზე არ ავიყვან, რომელსაც ჩვენმა არმიამ მიაღწიაო“, — ამბობდა ვილჰელმ II. 1899 წელს ბიულოვისადმი წერილში იგი აღნიშნავდა: „ინგლისს შეუძლია არ ჰქონდეს შიში რაიმე კოალიციისა, რადგანაც გერმანიას პრაქტიკულად არავითარი ფლოტი არ გააჩნია, ამიტომ მე არა მაქვს საშუალება უარვყო მკაცრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. პირველ ყოვლისა უზრუნველყოფილი უნდა გავხდე ფლოტით. როცა 20 წლის შემდეგ ფლოტის აგება დამთავრდება, სხვა ენით დავიწყებ ლაპარაკსო“. „მე ვიცი, — ამბობდა კაიზერი, — რომ ზღვაზე ინგლისი ძლიერია, ხოლო გერმანია სუსტი და ამიტომ პირველი მუდამ დაუსჯელად საქმიანობს. მაგრამ მოვა დრო, როცა თვით ინგლისიც კი გერმანიის ფლოტს მხედველობაში მიიღებს, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს. მე იმედი მაქვს ეს მალე მოხდება“. 1898 წელს გერმანიამ მიიღო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის დიდი გეგმა. იმავე წელს გერმანელებმა პირველი ზემძლავრი სამხედრო ხომალდი ჩაუშვეს წყალში. ყოველი ახალი სამხედრო გემი გერმანელ იმპერიალისტთა და მათი კაიზერის აუწერელ სიხარულს იწვევდა.

ინგლისელებმა, რომელთაც მტკიცედ სწამდათ, რომ ბრიტანეთის იმპერიის არსებობა გერმანიის ზღვებზე გაბატონებასთან სავსებით შეუთავსებელია, თავის მხრივ, საზღვაო ფლოტის რეკონსტრუქციისა და შემდგომი გაძლიერების უფრო გრანდიოზული პროექტი შეიმუშავეს. ჯერ კიდევ 1889 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო „აქტი საზღვაო დაცვის შესახებ“ (Naval defance act), ხოლო XIX საუკუნის დამლევს ინგლისში გაბატონდა პრინციპი, რომლის თანახმად, ინგლისს უნდა ჰქონოდა ფლოტი, რომელიც ადვილად გაუსწორდებოდა ნებისმიერ ორი საზღვაო სახელმწიფოს ფლოტს, ერთად აღებულს. ეს პრინციპი მოკლედ გამოიხატებოდა დევიზით: „two powers standard“. 1900 წელს ინგლისი სამხედრო ფლოტის განვითარების ტემპებით შორს იტოვებდა საფრანგეთს, რუსეთსა და აშშ-ს. გერმანიის ფლოტი ჯერჯერობით სუსტი იყო. მან 1900 წელს ახალი სამხედრო-საზღვაო პროგრამა მიიღო (20 წლის ვადით). გერმანიის ფლოტი ამიერიდან გიგანტური ტემპებით შენდება. გერმა-

ნია ზედიზედ აგებს ზემძლავრ ხომალდებს. ინგლისელებმა გერმანიის სამხედრო ხომალდებს დაუპირისპირეს ახალი ტიპის ხომალდები, რომელთაც „დრედნოუტები“ უწოდეს („დრედნოუტი“ საზოგადო სახელად იქცა, ასეთი ტიპის პირველი სამხედრო ხომალდის სახელწოდების საფუძველზე. „Dreadnought“ — „უშიშარი“, ასე უწოდეს ინგლისელებმა ამ ახალი ტიპის პირველ ხომალდს). ერთი დრედნოუტი თავისი სიმძლავრით სამ დიდ სახაზო ჯავშნოსანს უდრიდა. მალე გერმანელებმაც ააგეს ასეთი ტიპის სამხედრო ხომალდი. ინგლისელებმა ახლა „ზედრედნოუტების (Superdreadnoughi) შენება დაიწყეს. ასე დაიწყო ინგლის-გერმანიის ე. წ. საზღვაო შეჯიბრება, რამაც მათ შორის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. სანამ გერმანია კონტინენტურ სახელმწიფოდ რჩებოდა, იგი მთელი თავისი მილიტარისტული ძლიერებით ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიისათვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ზღვაზე, ალბიონის უპირატესობას ზღვებზე საგრძნობლად შეეკვეცა ფრთები.

გერმანიისა და ინგლისის ინტერესები მწვავედ შეეჯახა ერთმანეთს აგრეთვე ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით. გერმანია თურქეთში გაბატონებით დიდად იყო დაინტერესებული, რაც გერმანიისათვის ჯერ ახლო და შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში დამკვიდრების საწინდარი უნდა გამხდარიყო. გერმანელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ე. წ. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საქმე. ეს რკინიგზა გერმანელებს სპარსეთის ყურემდე მიიყვანდა და ხელს შეუწყობდა მათ დამკვიდრებას მცირე აზიასა და მესოპოტამიაში. გერმანია თურქეთზე გაბატონების შემთხვევაში ბოსფორსა და დარდანელს თავის კონტროლს დაუმორჩილებდა. ბაღდადის რკინიგზა მისთვის ინდოეთისაკენ, ჩინეთისაკენ და იაპონიისაკენ უმოკლესი მანძილი იქნებოდა. საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა სუეცის არხის უშიშროება. აქაც გერმანული გავლენა მოიკიდებდა ფეხს. ჩაიშლებოდა ტრანსარაბეთის (მეწამული ზღვიდან — სპარსეთის ყურემდე) რკინიგზის მშენებლობის ინგლისური გეგმა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, გასაგებია, თუ როგორ შეხვდებოდა ინგლისი გერმანიის განზრახვას — ხელთ ეგდო ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის საქმე.

ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის გეგმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში შემუშავდა (გზა იწყებოდა ჰამბურგიდან. გაივლიდა ბერლინს, პრაღას, ვენას, ბუდაპეშტს, ბელგრადს, სოფიას, კონსტანტინოპოლს; აქედან გადასერავდა მთელ მცირე აზიას, მესოპოტამიას; გაივლიდა ქ. ბაღდადს და მიაღწევდა სპარსეთის ყურეს).

ამ გზის მშენებლობის დაფინანსებას ხელი მოჰკიდეს გერმანელმა ბანკირებმა. 1888 წელს გერმანელმა ბანკირმა ალფრედ კაულამ მოახერხა თურქეთის მთავრობისაგან შეეძინა უკვე გაყვანილი გზა ბოსფორიდან იზმირამდე. ამასთანავე მიიღო უფლება განეგრძო გზის მშენებლობა იზმირიდან ანკარამდე. ამ საქმის რეალიზაციისათვის მან შექმნა ე. წ. ანატოლიის რკინიგზათა საზოგადოება. ვილჰელმ II პირად დაინტერესებას იჩენდა ამ გზის მშენებლობის საქმეში. 1889 წელს იგი ჩავიდა თურქეთში, დაათვალიერა რკინიგზა და მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, გზა სპარსეთის ყურემდე მიეყვანა. 1893 წელს გერმანელებმა მოიპოვეს უფლება განეგრძოთ გზის მშენებლობა კონიამდე. ეს სამუშაო 1896 წლისათვის დამთავრდა. 1898 წელს ვილჰელმი კონსტანტინოპოლში ესტუმრა სულთანს. ამ ვიზიტს მოჰყვა შეთანხმება „გერმანიის ბანკსა“ და თურქეთის მთავრობას შორის — რკინიგზის გაყვანის შესახებ კონიიდან ბაღდადამდე და სპარსეთის ყურემდე. 1899 წლის 23 დეკემბერს „გერმანიის ბანკის“ წარმომადგენელმა დოქტორმა სიმენსმა თურქეთთან ე. წ. „წინასწარ შეთანხმებას“, ანუ რკინიგზის — კონია-ბაღდად-სპარსეთის ყურე — მშენებლობის კონცესიისა და ექსპლუატაციის აქტს მოაწერა ხელი. ბაღდადის რკინიგზის პრობლემა გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობას უკიდურესად ამწვავებდა.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისი, რომელსაც ძველ მეტოქეებთან—საფრანგეთთან და რუსეთთან—დამოკიდებულება ჯერ კიდევ გარკვეული არ ჰქონდა, იძულებული იყო გერმანიის მიმართ გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და მისთვის მოქმედების თავისუფლება მიეცა. რუსეთის მიერ პორტ-არტურის დროებით იჯარაში მიღებამ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. ასეთ ვითარებაში ინგლისი გერმანიასთან დაახლოებასაც კი შეეცადა, რუსეთის წინააღმდეგ მისი გამოყენების მიზნით. ინგლისმა კოლონიების მინისტრის ჯოზეფ ჩემბერლენის თაოსნობით 1898 წლის 29 მარტს დაიწყო მოლაპარაკება გერმანიასთან კავშირის შესახებ. ყოველივე ამას ზედ დაერთო 1898 წელს ე. წ. ფაშოდის ინციდენტი, რომელმაც ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა უკიდურესად გაამწვავა. აქ კვლავ საჭირო გახდა გერმანელთა მხარდაჭერის ძიება. დაბოლოს, ინგლისის მდგომარეობას ართულებდა ბურებთან წამოწყებული მწვავე და ხანგრძლივი ომი. გერმანიასთან მოლაპარაკება 1901 წლამდე გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა, ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, ძირითადი იმპერიალისტური წინააღმდეგობა მათ შორის გაიშალა და შეურიგებელი ხასიათი მიიღო.

სანამ თავიანთ მეტოქეებთან უშუალო ანგარიშსწორების ჟამი დადგებოდა, მანამდე გერმანელებმა უმჯობესად ცნეს მათ შორის ლავირება, არსებულ წინააღმდეგობათა თავის სასარგებლოდ გამოყენება, მეგობრულ ურთიერთობათა დამყარება ყველა დიდ სახელმწიფოსთან; ამასთან არც ერთ მათგანს გერმანია კავშირით არ უნდა შეკვროდა. აღნიშნული ტაქტიკა გერმანიის პოლიტიკას საფუძვლად დაუდეს ბიულოვმა და ჰოლშტაინმა, რომლებიც 90-იან წლებში სათავეში მოექცნენ გერმანიის დიპლომატიას. ბიულოვი და ჰოლშტაინი საგარეო პოლიტიკის თავიანთ სტრატეგიას მცდარ საფუძველზე აგებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, განსაკუთრებით კი ინგლისსა და რუსეთს შორის შეურიგებელი იყო და აუცილებლად გამოიწვევდა მათ შორის ომს. აქედან გამომდინარე, ბიულოვი და ჰოლშტაინი შემდეგ დასკვნებს აკეთებდნენ და მათ საგარეო პოლიტიკაში ახორციელებდნენ კიდეც: გერმანიამ, რომელსაც ყველა ეფერება, ამ დიდ სახელმწიფოთა შორის არც ერთს არ უნდა მისცეს უპირატესობა, მაგრამ, ამავე დროს, მას შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი. უნდა გაეთამაშოს ხან ერთს, ხან მეორეს. ხან ერთი უნდა დააშინოს მეორეს მხარეზე გადასვლით, ხან მეორე და ასეთი გზით მათ დათმობები უნდა გამოსტყუოს. საბოლოო არჩევანი გერმანიამ უნდა მიიღოს მაშინ, როცა შეტაკება მოწინააღმდეგეთა შორის უკვე გარდაუვალი გახდება. ისინი გერმანიის მიმართ ყოველგვარ დათმობაზე წავლენ, ოღონდ კი მისი კეთილგანწყობილება მოიპოვონ. მაშინ გერმანიას შეუძლია მოითხოვოს დიდი საფასური და მიიღოს კიდეც. სწორედ ამ პრინციპით სულდგმულობდნენ გერმანიის პოლიტიკის მესაჭენი, როცა მათ ორგზის (1898) უარყვეს საფრანგეთის (დელკასეს) წინადადება კოლონიურ და ფინანსურ საკითხებში შეთანხმებისა და თანამშრომლობის შესახებ და სამგზის (1893, 1899, 1901) უარყვეს ინგლისის წინადადება კავშირის შესახებ ანალოგიური კომპენსაციის საფუძველზე. ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა გერმანიის დიპლომატიას განუწყვეტელი გამოძალვის გზით იძულებული გაეხადა საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი გერმანიის მიმართ დათმობაზე წასულიყვნენ. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ გერმანელებს მხოლოდ დროებითი წარმატება მოუტანა. ამ პოლიტიკამ საბოლოო ანგარიშში კატასტროფა განიცადა 1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების სახით. ამას უნდა დაეუმატოთ ამ კავშირთან რუსეთის შეერთება 1907 წელს; იტალიის განდგომა და სამთა შეთანხმების ბანაკში გადასვლა.

1898—1901 წწ. გერმანია-ინგლისის მოლაპარაკება ურთიერთ

კავშირის შესახებ ნამდვილად „კატისა და თაგვის“ მეგობრობა იყო. ინგლისს, საგარეო პოლიტიკაში ცბიერებისა და პირფერობის ამ დიდოსტატს, კარგად ესმოდა, თუ რა ფასი ჰქონდა გერმანელ „მეგობარს“, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი იძულებული იყო ჩაბმულიყო ამ თამაშში, მოეთმინა „მუქარისა და გამოძალვის“, ანუ როგორც ბიულოვი იტყოდა ხოლმე, „ცოტა ხმლის შეთამაშების“ გერმანული პოლიტიკა.

1897 წელს, როცა გერმანელებმა კიაო-ჩაო დაიკავეს, ინგლისში ბერლინელმა ელჩმა ჰატცფელდტმა აგრძნობინა სოლსბერის, რომ თუ ინგლისი არ დაუჭერდა მხარს გერმანიის ამ ღონისძიებას, მაშინ ეს უკანასკნელი რუსეთს დაუახლოვდებოდა, რაც, ცხადია, ინგლისისათვის არ იქნებოდა სასურველი. ამიტომ ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა ეთქვა, რომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო გერმანიის მიერ კიაო-ჩაოს დაკავების გამო.

1898 წელს ინგლისმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბურების რესპუბლიკის დაპყრობა. გერმანიამ დაახლოებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: სულ ერთია, ინგლისს ამ ტერიტორიების დაპყრობაზე ხელს ვერ ავაღებინებ, სჯობს შევეცადო რაიმე კომპენსაცია მივიღო მისგან და ამით მეც რაღაც მერგოსო. ფრთხილად იყავით ინგლისთან მოლაპარაკების დროს, — აფრთხილებდა ბიულოვი ჰატცფელდტს, — ეცადეთ გამოიყენოთ შექმნილი მდგომარეობა სპეციალურ საკითხებში შეთანხმების მისაღწევად, ე. ი. რაც შეიძლება მეტი დასტყუეთ, მეტი წაგლიჯეთო.

ბურებთან კონფლიქტში ნეიტრალიტეტის საფასურად გერმანიამ ინგლისელებისაგან პორტუგალიის კოლონიების ურთიერთ გაყოფა მოითხოვა. 1898 წლის 30 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ინგლის-გერმანიის შესაბამისი ფარული ხელშეკრულება. პორტუგალია ფინანსური გაკოტრების წინაშე იდგა და ევროპის დიდ სახელმწიფოებს სესხს სთხოვდა. შეთანხმების თანახმად, პორტუგალიისათვის სესხი გერმანიასა და ინგლისს უნდა მიეცათ, გირაოში კი მათ პორტუგალიის კოლონიები უნდა მიეღოთ. მაგრამ „ცბიერმა ალბიონმა“ — ინგლისმა გერმანია, როგორც იტყვიან, „ყინულზე გააცურა“, ხელშეკრულების დადებისთანავე, მან ფარული დახმარება აღმოუჩინა პორტუგალიას და იგი ფინანსური გაკოტრებისაგან იხსნა. ამასთან ერთად პორტუგალიასთან დადებული ფარული ე. წ. „უინძორის შეთანხმების“ (1899 წლის 14 ოქტომბერი) საფუძველზე ინგლისმა აღიარა პორტუგალიის კოლონიების ხელშეუხებლობა.

1899 წლის 14 ოქტომბერს ინგლისი იძულებული გახდა გერმანიისათვის სამოას არქიპელაგის ორი მეტად მნიშვნელოვანი კუნძუ-

ლი დაეთმო. 1901 წელს „კატისა და თაგვის“ თამაში შეწყდა. ინგლისმა ახალი და საბოლოო სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა. გადაწყვიტა გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთს დაახლოებოდა. საერთაშორისო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი შემობრუნება დაიწყო. ძველთაძველი ორი მტერი — ინგლისი და საფრანგეთი ურთიერთ დაახლოების გზას დაადგა. მათი ტრადიციული საუკუნოვანი მტრობა მეგობრობით შეიცვალა. ბეტმან-ჰოლვეგი მოხდენილად შენიშნავდა: „საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს ეხვევიან არა იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ, არამედ იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირად სძულთ გერმანია“.

საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე, ინგლისის მეფე ედუარდ VII, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თეოფილ დელკასე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი და საფრანგეთის ელჩი ინგლისში პოლ კამბონი.

ინგლის-საფრანგეთის კავშირის შექმნისათვის ოფიციალური მოლაპარაკება 1902 წლიდან დაიწყო ბალფურის კონსერვატორული მთავრობის ინიციატივით. ამ დაახლოების სიმპტომებმა კი უფრო ადრე, 1898 წლიდან იჩინა თავი, როცა თეოფილ დელკასემ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა. ამიერიდან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ინგლისთან დაახლოება იქნებოდა, განუცხადებია ახალ მინისტრს. „ფაშოდას კონფლიქტის“ მოგვარების შემდეგ ინგლის-საფრანგეთის დაახლოების მეტად რეალური შესაძლებლობა შეიქმნა. დაახლოების საწინდარი. პირველ ყოვლისა, იყო ყველა ურთიერთ სადავო კოლონიური პრობლემის მოგვარება.

ჯერ კიდევ 1899 წლის 21 მარტს „ფაშოდას კრიზისის“ რეგულირების შედეგად ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიდო შეთანხმება აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ, საფრანგეთმა მიიღო დასავლეთ სუდანი, ინგლისი მტკიცედ დამკვიდრდა ნილოსის აუზში და სუდანის დანარჩენ ნაწილში. 1902 წლიდან დაწყებული მოლაპარაკება შეეხებოდა სიამში გავლენის სფეროების განსაზღვრას, ნიუფაუნდლენდის წყლებში თევზჭერას, ახალი ჰებრიდის კუნძულების განაწილებას და სხვ. მთავარი და ძირითადი იყო მაროკოსა და ეგვიპტის საკითხი. მოლაპარაკების პროცესში საფრანგეთი ინგლისს ეგვიპტეს „უთმობდა“, თვითონ კი მაროკოში დამკვიდრების უფლების მოპოვებისათვის იბრძოდა. 1903 წლიდან ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება უფრო ინტენსიურად წარიმართა. 1903 წლის მაისში ედუარდ VII პარიზს

ესტუმრა. მისი ვიზიტი საფრანგეთ-ინგლისის მეგობრობის აშკარა დემონსტრაციად იქცა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ლუბემ მეფეს ელისეს სასახლეში საზეიმო სადილი გაუმართა. ედუარდ VII ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებულმა მტრობამ დრო მოჭამა. მე არ ვიცი სხვა ორი ისეთი სახელმწიფო, რომელთა გაფურჩქვნა ასე ძლიერ იყო დამოკიდებული ერთმანეთზე, როგორებიცაა საფრანგეთი და ინგლისი. შესაძლოა წარსულში იყო გაუგებრობა და მიზეზები გარკვეული წინააღმდეგობისათვის, მაგრამ ყოველივე ამან, საბედნიეროდ, ჩაიარა და დავიწყებულია...“ მეფის ვიზიტის დროს ლენსდაუნი და პოლ კამბონი განაგრძობდნენ საქმიან მოლაპარაკებას და დაახლოების პირობებს იმუშავებდნენ.

იმავე 1903 წელს საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების საქმეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. 14 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა კონვენცია „არბიტრაჟის შესახებ“. ამიერიდან ყველა სადავო ფინანსური თუ საკანონმდებლო საკითხი უნდა განეხილა სპეციალურ საარბიტრაჟო სასამართლოს. საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის პროცესი ინგლის-საფრანგეთის მეგობრობის დემონსტრაციად იქცა. პარიზსა თუ ლონდონში იმართებოდა მიღებები, სადილები, მანიფესტაციები, მაგალითად, როცა საფრანგეთის ვაჭართა და მრეწველთა დელეგაცია დ'ესტურნელ დე კონსტანის მეთაურობით ლონდონში ჩავიდა, იქ მას ზღაპრული შეხვედრა მოუწყვეს. უესტმინსტერის სასახლეში გაიმართა დიდი ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდა ლორდთა და თემთა პალატის ორასამდე დეპუტატი. მათ შორის რამდენიმე მინისტრი და ექსმინისტრი. ბანკეტს ესწრებოდა თვით პრემიერი ბალფური. სიტყვებით გამოვიდნენ ბალფური, კემპბელ-ბანერმანი, ჩემბერლენი. დე კონსტანი თავის საპასუხო სიტყვაში ამბობდა, რომ ამიერიდან ყველა მტკივნეული და სადავო საკითხი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში არსებობს, უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით, საარბიტრაჟო სასამართლოს საშუალებით. ფრანგები და ინგლისელები მღეროდნენ „მარსელიოზას“ და დიდი ბრიტანეთის ჰიმნს.

პოლ კამბონისა და ლენსდაუნის მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდა. მიმდინარეობდა ფარული ვაჭრობა. „იცოდეთ, რომ ფორეინ ოფისში საკითხების გადაწყვეტა ისევე წარმოებს, როგორც სიტის კანტორაშიო“, — ასე აფასებდა პოლ კამბონი ბრიტანეთის დიპლომატიას. იგივე ითქმის საფრანგეთის მიმართაც. რუსეთ-იაპონიის ომმა დააჩქარა საფრანგეთის დაახლოება ინგლისთან. ომმა საფრანგეთის მდგომარეობა შეარყია. აღმოსავლეთ ავანტურაში ჩაბმულ

რუსეთს აღარ ძალუძდა მხარი დაეჭირა საფრანგეთისათვის. გერმანია გააქტიურდა, იგი საფრანგეთისათვის კიდევ უფრო საშიში გახდა. კომპრომისზე წავიდა ინგლისიც. ინგლისმა რუსეთ-იაპონიის ომის მომზადების საქმეში დიდი ენერგია დახარჯა; ამჯერად იგი დაინტერესებული იყო მოეხდინა ომის ლოკალიზაცია, რადგან რუსეთის მხარეზე საფრანგეთის გამოსვლის შემთხვევაში ინგლისი იაპონიის მხარეზე უნდა გამოსულიყო. ლენსდაუნი იმედოვნებდა, რომ საფრანგეთთან შეთანხმების დადების შემთხვევაში საფრანგეთის ნეიტრალიტეტი რუსეთ-იაპონიის ომში უფრო მტკიცე იქნებოდა.

1904 წლის გაზაფხულზე ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება დამთავრდა და 1904 წლის 8 აპრილს ისინი შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებას ხელს აწერდნენ პოლ კამბონი და ლორდი ლენსდაუნი. კავშირი „გულითადი შეთანხმების“ (Entente cordiale) სახელით იყო ცნობილი და შედგებოდა ოფიციალურად გამოსაქვეყნებელი და საიდუმლო ნაწილებისაგან. ოფიციალური ნაწილი სამ განყოფილებას შეიცავდა: 1. კონვენცია ნიუფაუნდლენდსა და სენეგამბიაზე; 2. დეკლარაცია ეგვიპტესა და მაროკოზე; 3. დეკლარაცია სიამის, მადაგასკარისა და ახალი ჰებრიდის კუნძულებზე. შეთანხმების შედეგად ინგლისმა და საფრანგეთმა მოაგვარეს წინააღმდეგობანი ზემოჩამოთვლილ ადგილებში. მთავარი და ძირითადი იყო „დეკლარაცია ეგვიპტესა და მაროკოზე“. აღნიშნულის ძალით, საფრანგეთმა ინგლისს ეგვიპტე „დაუთმო“, ხოლო ინგლისმა, თავის მხრივ, საფრანგეთს მაროკო „უბოძა“. ოფიციალური ნაწილის I მუხლში ინგლისი და საფრანგეთი აცხადებდნენ. რომ მათ არა აქვთ ეგვიპტესა და მაროკოში პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის განზრახვა, საიდუმლო ნაწილში კი მათ ეს უფლება დაიტოვეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთმა მაროკოზე, ხოლო ინგლისმა ეგვიპტეზე მოიპოვა პროტექტორატის გამოცხადების ან ანექსიის უფლება, უფრო სწორად, ეს უფლება მათ ერთმანეთს მიანიჭეს. მაროკოზე ბატონობის პრეტენდენტთა შორის ესპანეთიც იყო. ინგლისმა და საფრანგეთმა გაითვალისწინეს ეს და დააკმაყოფილეს ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებული „ესპანური ქედმაღლობა“. მას „დაუთმეს“ მაროკოს ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო. ასეთი კომბინაცია ინგლისისათვის სასარგებლო იყო და, ჩანს, მის მიერვე იყო ნაკარნახევი, რადგანაც აქ სუსტი ესპანეთის დამკვიდრებით მტკიცედ იქნებოდა უზრუნველყოფილი გიბრალტარის უშიშროება. ესპანეთი ვალდებული იყო მისთვის განკუთვნილი ტერიტორია არავისათვის არ დაეთმო.

საფრანგეთისა და ინგლისის მმართველი წრეები აღტაცებულნი იყვნენ 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებით, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მათი ერთობლივი მოქმედების საწინდარს ქმნიდა. ეს იყო არა მარტო ჩვეულებრივი შეთანხმება კოლონიების საკითხში, არამედ ორი სახელმწიფოს დაახლოება, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ერთიანი მოქმედებისათვის. ლორდი ბალფური 1904 წლის 6 მაისს გამართულ ბანკეტზე ამბობდა: „ესაა გარიგება, რომლითაც დამთმობი მხარე არ განიცდის, ან თითქმის არ განიცდის ზარალს, მაშინ როდესაც, მიმღები მხარე ღებულობს ყოველივეს, რაც მისთვის არსებითად საჭიროა". 1904 წლის 3 ნოემბერს საფრანგეთის პარლამენტში დეპუტატმა პოლ დეშანელმა განაცხადა: „შეთანხმება არა მარტო გარიგებაა, არამედ მეტიც, იგი გამომხატველია ახალი საერთაშორისო სიტუაციისა". ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის სტეფან პიშონის მიხედვით, „ინგლისელები და ფრანგები ინსტინქტურად გრძნობენ, რომ შეთანხმება არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საიმედო საშუალება, რომელიც მათ შეუძლიათ დაუპირისპირონ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ კომბინაციას".

ინგლის-საფრანგეთის დაახლოების შემდეგ უკვე განისაზღვრა ძალთა განლაგება მომავალი იმპერიალისტური ომისათვის. გერმანიას და მის ევროპელ მოკავშირეებს ამიერიდან დაუპირისპირდნენ ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო 1907 წლიდან მათ შეუერთდა საფრანგეთის ძველი მოკავშირე რუსეთი, რომელმაც ინგლისთან სადავო საკითხები მოაგვარა დაახლოებით ისეთივე გზებით, როგორითაც საფრანგეთმა და ინგლისმა 1904 წელს.

ამგვარად, 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების მნიშვნელობა დიდი იყო. იგი გზას უხსნიდა ინგლის-საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას და ბრძოლას გერმანიის წინააღმდეგ. მართალია, „შეთანხმების ტექსტში სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ, მაშინ როდესაც სწორედ ეს თანამშრომლობა აძლევდა 8 აპრილის შეთანხმებას პირველხარისხოვანი ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას". ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების საბოლოო მიზანს: „ე მ ზ ა დ ე ბ ი ა ნ გ ე რ მ ა ნ ი ა ს თ ა ნ ს ა ო მ რ ა დ"[1].

თვით ინგლისელებიც კი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამ შეთანხმების ანტიგერმანულ ხასიათს. ლოიდ ჯორჯი თავის მემუარებში მოგვითხრობს: საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების გამოცხადების დღეს

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, М., 1939, стр. 621.

მე ვესტუმრე ლორდ როზბერის საკუთარ მამულში. იგი შემდეგი სიტყვებით შემეგება: „მე ვფიქრობ, რომ თქვენ, ისევე როგორც ყველა, კმაყოფილი ბრძანდებით საფრანგეთთან ამ შეთანხმებით. მე ვუპასუხე, რომ აღტაცებული ვარ, ხელშეკრულებამ მშვიდობა დაამყარა! მან მომიგო: თქვენ ყველა სცდებით, ბოლოს და ბოლოს ეს ნიშნავს ომს გერმანიასთან". დელკასე, ეს ფრთხილი დიპლომატიც კი, რომელიც შეთანხმებას მხოლოდ კოლონიურ გარიგებად აცხადებდა, იძულებულია თქვას: „ეგვიპტის დათმობამ ბევრი ფრანგი შეაწუხა, მაგრამ მათ, როგორც რეალურ პოლიტიკოსებს, უნდა აერჩიათ ან ეგვიპტე და მასთან დაკავშირებული იმედები, ან სურვილი ელზას-ლორენის დაბრუნებისა. როგორც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებმა, მათ უკანასკნელი ირჩიეს", ე. ი. ეგვიპტე დათმეს, რათა გერმანიასთან მომავალ ომში ინგლისის კავშირი უზრუნველეყოთ.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ თავიდანვე სამხედრო კავშირის ხასიათი მიიღო. ორივე სახელმწიფოს გენერალურ შტაბებს შორის დაიწყო ე. წ. „საუბრები" (conversations) გერმანიის სამხედრო და საზღვაო ძალების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების კოორდინაციის შესახებ. „საუბრებმა" სისტემატური ხასიათი მიიღო და, ფაქტიურად, მოამზადა კიდეც ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ერთიანობა, რომელმაც 1914 წელს ფაქტიური განხორციელება პოვა კიდეც.

შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოცენებულმა „მაროკოს პირველმა კრიზისმა" ცხადი გახადა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების სამხედრო პოლიტიკური ხასიათი.

რუსეთ-იაპონიის ომმა საშუალება მისცა გერმანიას თავისუფლად გაეშალა ფრთები და ევროპის კონტინენტზე ენავარდა. ომის შედეგად საფრანგეთი მარტოდმარტო აღმოჩნდა გერმანიის პირისპირ. გერმანიამ დაუყოვნებლივ გამოამჟღავნა თავისი აგრესიული ზრახვები. პირველ ყოვლისა, მან რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დაშლა სცადა. 1904-05 წლებში ვილჰელმ II დაბეჯითებით ცდილობდა შეექმნა ევროპის სახელმწიფოთა ანტიინგლისური „კონტინენტური ლიგა", რომელშიც უნდა შესულიყვნენ გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. ამით იგი ფიქრობდა საფრანგეთ-ინგლისის 8 აპრილის შეთანხმების ჩაშლას და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ანულირებას.

ვილჰელმ II-ეს, პირველ ყოვლისა, რუსეთის გადმობირების იმედი ჰქონდა. მას სურდა ესარგებლა იმ უკმაყოფილებით, რომელიც ინგლის-რუსეთსა და რუსეთ-საფრანგეთს შორის წარმოიშვა რუ-

სეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ინგლისი იაპონიის მოკავშირე იყო. ამ გარემოებამ ინგლის-რუსეთის ურთიერთობა უკიდურესად გაამწვავა. რუსეთის მოკავშირე საფრანგეთი ინგლისს მეგობრული კავშირით შეეკრა და რუსეთის მიმართ აღარ იჩენდა ძველ სიმპათიებს. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა რუსეთმა მას სესხი სთხოვა (1904-05 წწ.) საფრანგეთმა გარკვეული ყოყმანი დაიწყო, მას აღარ სურდა რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის შემდგომი ფინანსირება; მისი სურვილი იყო რუსეთს რაც შეიძლება მალე დაედო ზავი იაპონიასთან და ამით ევროპაში საფრანგეთის შერყეული პოზიციები განემტკიცებინა. საფრანგეთისაგან გაწბილებულმა რუსეთმა თანაგრძნობა გერმანიის ბირჟაზე პოვა. გერმანელების მიერ რუსეთისადმი ფინანსურმა დახმარებამ გაახანგრძლივა ომი იაპონიასთან და, ამასთან ერთად, საფრანგეთ-რუსეთის ტრადიციულ მეგობრობაში გარკვეული ბზარი შეიტანა. გერმანია ყოველმხრივ „თანაუგრძნობდა“ რუსეთს იაპონიასთან ომში. ყოველივე ამის შემდეგ ვილჰელმმა რუსეთთან დაახლოებისათვის ნიადაგი მოსინჯა. 1904 წლის 30 ოქტომბერს ვილჰელმ II-ემ ნიკოლოზ II-ეს რუსეთ-გერმანიის კავშირის ხელშეკრულების პროექტის ტექსტი გაუგზავნა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლამზდორფმა საფრანგეთის უკითხავად საკითხის გადაწყვეტა შეუძლებლად ცნო. ვილჰელმის პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამიერიდან ვილჰელმმა სცადა რუსეთთან კავშირის შეკვრა ოფიციალური დიპლომატიური აპარატის გვერდის ავლით, უშუალოდ ნიკოლოზ II-თან მოლაპარაკების გზით. 1905 წლის 29 ივლისს ორი იმპერატორი ერთმანეთს შეხვდა ფინეთის შხერებში, კუნძულ ბიორკეესთან. აქ გაფორმდა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება კავშირის შესახებ, მაგრამ პეტერბურგში დაბრუნებულმა ნიკოლოზ II-ემ მინისტრების მოთხოვნით ეს ხელშეკრულება უარყო. ბიორკეს შეთანხმების ჩაშლამ ოდნავადაც არ დააცხრო ვილჰელმ II-ის ანტიფრანგული პოლიტიკის სიმწვავე.

1904 წლის 8 აპრილის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება გერმანიის საგარეო პოლიტიკის უდიდესი მარცხის მომასწავებელი იყო. ჯერ ერთი, გერმანია კარგავდა მაროკოს, ამ „გემრიელ ლუკმას“, რომელიც მისი აგრესიული მისწრაფებების ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენდა. მაგრამ აქ საქმე მარტო მაროკოს დაკარგვაში როდი იყო. გერმანიის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ნიშნავდა ინგლისისა და საფრანგეთის კავშირს გერმანიის წინააღმდეგ, გერმანიის დამარცხებას საერთაშორისო ასპარეზზე, მის იზოლაციას. ამგვარად, მაროკოს საკითხმა საერ-

თაშორისო ხასიათი მიიღო. ამიერიდან გერმანიის ბრძოლას მაროკოსათვის მიენიჭა ორმაგი მნიშვნელობა: ეკონომიური და პოლიტიკური. ეკონომიური თვალსაზრისით საჭირო იყო მაროკოდან საფრანგეთის გამოძევება, რათა მისი ადგილი თვითონ გერმანიას დაეჭირა, ხოლო მაროკოს საკითხში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისადმი სასტიკი წინააღმდეგობის გაწევით გერმანიის მთავრობას სურდა შეემოწმებინა, თუ რაოდენ მტკიცე და მყარი იყო ინგლის-საფრანგეთის ეს შეთანხმება, ანუ მათი კავშირი გერმანიის წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობის საბოლოო მიზანი იყო ამ შეთანხმების ერთი დარტყმით ჩაშლა.

გერმანიის ხელმძღვანელებმა უკიდურეს ზომას მიმართეს: თავიანთ მოწინააღმდეგეებს ომით დაემუქრნენ. ხელსაყრელ მომენტად კი მათ მუკდენთან მეფის რუსეთის დამარცხება გამოიყენეს. გერმანიის რაიხსკანცლერმა ფონ ბიულოვმა საფრანგეთის წინააღმდეგ „განლაგებული ბატარეებიდან“ პირველი „გასროლა“ 1905 წლის 31 მარტს მოახდინა. ეს იყო მის მიერ ორგანიზებული ვიზიტი იმპერატორისა მაროკოს ნავსადგურ ტანჟერში. აქ იმპერატორმა წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. „დღეს მე ვესტუმრე მაროკოს სულთანს როგორც დამოუკიდებელ მბრძანებელს, — განაცხადა ვილჰელმმა, — ვიმედოვნებ, რომ თავისუფალი მაროკო, სულთნის სუვერენული ხელისუფლების ქვეშ, ღიად დარჩება ყველა ერის მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის, ყოველგვარი მონოპოლიებისა და ანექსიების გარეშე, სრული თანასწორობის პირობებში... ჩემი ჩამოსვლა ტანჟერში მიზნად ისახავს აუწყოს ყველას, რომ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი გამოვიყენო ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა წარმატებით დავიცვა გერმანიის ინტერესები მაროკოში. „გასაგონად საფრანგეთის დიპლომატიური აგენტის გრაფ შერისესი, რომელიც იმპერატორს წარუდგა, ჩვეულებრივი დიპლომატიური ეტიკეტის მიხედვით, მიესალმა და საფრანგეთის მთავრობის სახელით მიესალმა მის ჩამობრძანებას, კაიზერმა თქვა: „მე მსურს გერმანიას და ყველა სხვა ქვეყანას მოეუპოვო აქ ვაჭრობის თავისუფლება და სრული თანასწორობა... ვივიჩნევ რა სულთანს, როგორც თავისუფალ ხელმწიფეს, მსურს მისი ინტერესების დაცვის პირობების შესახებ მხოლოდ მას შევუთანხმდე...“ ვილჰელმი აღნიშნავდა, რომ იგი შეძლებს მიაღწიოს თავის კანონიერ მოთხოვნათა აღიარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ საფრანგეთიც სათანადოდ სცემდა პატივს ამ მოთხოვნებს. „მე არა მსურს მაროკოში მეორე ტუნისი ვიხილო“, — განაცხადა დასასრულ კერძო საუბარში ვილჰელმმა.

ვილჰელმი ტანჟერში დიდხანს არ გაჩერებულა. დილის 9 საათზე ჩასული, 3 საათზე უკვე გემზე იყო და გზას განაგრძობდა. კაიზერი გერმანიის სახელით უცხადებდა ინგლისსა და საფრანგეთს, რომ იგი არ ცნობს 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებას, რომ იგი არ დაუშვებს მაროკოში საფრანგეთის დამკვიდრებას, რომ თვითონ არანაკლებ დაინტერესებულია მაროკოთი და ყოველივე ძალას იხმარს თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად. გერმანიის მხრივ ეს იყო საფრანგეთის საჯარო, თავხედური გამოწვევა.

„მაროკოს საკითხი" საერთაშორისო ურთიერთობათა კოშმარად იქცა. ასე დაიწყო „მაროკოს პირველი კრიზისი", რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საფრთხეს უქმნიდა ევროპის მშვიდობიანობას. ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი ტარდიე სწორად აფასებდა შექმნილ ვითარებას. იგი მიუთითებდა, რომ, მართალია, მაროკო აინტერესებს გერმანიის კოლონიალისტებს და მთავრობას, რომელთაც „მადა ჭამაში მოუვიდათ", მაგრამ აქ საქმე განა მარტო მაროკოს ეხება, მთავარი, რაც გერმანიას სურს, ესაა მისი განზრახვა — რევანში აიღოს, შური იძიოს იმ მარცხისა და იზოლაციის გამო, რომელიც მას დელკასეს პოლიტიკამ მოუტანა.. ბელგიის ელჩი საფრანგეთში ამბობდა: „გერმანიას სურს ორმაგ მიზანს მიაღწიოს: შეინარჩუნოს მაროკოს მომავალი და დაუმტკიცოს საფრანგეთს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ამაოება".

გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ფონ შლიფენი 1905 წლის 20 აპრილს უცხადებდა ფონ ბიულოვს: „რუსეთს ამჟამად ომი არ შეუძლია, რადგანაც მას ხელები შეკრული აქვს იაპონიასთან ომით; თუ ომი საფრანგეთთან აუცილებელია, ახლანდელი მომენტი, უდავოდ, ხელსაყრელია". გენერალი კარლ ფონ აინემი თავის მემუარებში წერდა, რომ 1905 წელს მაროკოს კრიზისის დროს ფონ ბიულოვი საფრანგეთთან ომის დაწყებისათვის საერთაშორისო სიტუაციას სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელად თვლიდა ისე, როგორც არასდროს. „მე პირადად ყველაფერი გავაკეთე, რათა მხარი დამეჭირა რაიხსკანცლერისათვის (ფონ ბიულოვისათვის—გ. კ.) იმ დიპლომატიურ ბრძოლაში, რომელიც მან დელკასეს წინააღმდეგ გააჩაღა; მე ფარული იმედი მქონდა, რომ ყველაფერი მახვილის დახმარებით გადაწყდებოდაო", — აღნიშნავდა აინემი და დასძენდა, რომ ფონ ბიულოვიც ასეთივე შეხედულებისა იყო. აინემი ვილჰელმსა და ფონ ბიულოვს სრულ გარანტიას აძლევდა იმისას, რომ გერმანიის არმია მზად იყო სახმელეთო ბრძოლებისათვის. იმპერატორთან საუბარში გენერალმა ხაზი გაუსვა 1905 წელს ომის გაჩაღებისა-

თვის სასარგებლო კიდევ ერთ მომენტს. იგი ეუბნებოდა კაიზერს: „ახლა, როდესაც რუსეთში რევოლუციამ იფეთქა, ჩვენთვის ომი სავსებით კეთილად ჩაივლისო“. თეობალდ ბეტმან-ჰოლვეგი (გერმანიის რაიხსკანცლერი 1909-17 წლებში) 1905 წელს ომის დაწყებისათვის საუკეთესო მომენტად მიიჩნევდა. მაშინ, მისი თქმით, საუკეთესო შანსები იყო ომის მოგების თვალსაზრისით, 1914 წლისათვის კი ეს მომენტი ხელიდან იყო გაშვებული. ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელები ბრალს სდებდნენ ვილჰელმ მეორისეულ გერმანიას იმაში, რომ მათ დაიწყეს ომი 1914 წელს და არა 1904-05 წლებში, როცა გერმანიას თამამად შეეძლო „ანტანტის“ განადგურებაო. ადოლფ ჰიტლერი თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ (Mein Kampf) წერდა: „სისხლი დაღვრილი 1904 წელს ათგზის დაზოგავდა სისხლს, დაღვრილს 1914-18 წლებში“.

ვილჰელმ II ომახიანად გაიძახოდა: „დაე, იცოდნენ საფრანგეთის მინისტრებმა, თუ რა საფრთხეში იგდებენ თავს: ნანსი — აღებული 24 საათში, სამი კვირის შემდეგ გერმანიის არმია პარიზის წინ, რევოლუცია საფრანგეთის 15 მთავარ ქალაქში და 7 მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რომელსაც ინგლისის ფლოტი მიაყენებს გერმანიის ფლოტს...“ ვილჰელმი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას მოითხოვდა. დელკასე სასტიკი წინააღმდეგი იყო კონფერენციის მოწვევისა. ეს მას მიაჩნდა თავისი პოლიტიკის დამარცხებად; იგი თვლიდა, რომ საერთაშორისო კონფერენცია ნიშნავდა 1904 წლის შეთანხმების ანულირებას. ინგლის-საფრანგეთის კავშირის დარღვევას, საფრანგეთის მიერ მაროკოში წვითა და დაგვით მოპოვებულ უფლებათა დაკარგვას. დელკასეს გერმანიის მუქარა მხოლოდ უბრალო „ბლეფად“ მიაჩნდა. ამასთან ერთად მას ინგლისის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა. საფრანგეთის მთავრობაში კრიზისი დაიწყო. პრემიერ-მინისტრი რუვიე ომის წინააღმდეგი იყო. რუსეთი დახმარებას ვერ გაგვიწევს, საფრანგეთის არმია ვერ გაუმკლავდება გერმანიის ჯარებს. ინგლისის დახმარება ზღვაზე ვერ შეაჩერებს კაიზერის არმიებს. რუვიეს აზრით, ინგლისის ფლოტს ბორბლები არ გააჩნია და ამიტომ არ შეუძლია პარიზის დაცვა ხმელეთიდანო. აკი თვით კაიზერიც გაიძახოდა „ინგლისის ფლოტი პარიზს ვერ იხსნის ჩვენს მიერ დაპყრობისაგან“. რუვიეს მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ლუბემ. 1905 წლის 6 ივნისს საფრანგეთის მთავრობის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც თვით პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, თეოფილ დელკასე გადადგა. საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გერმანიის წინადადება საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

დელკასეს დაცემას გერმანიის ხელისუფლება აღტაცებით შეხვდა. კაიზერმა ფონ ბიულოვს თავადობა უბოძა. დელკასეს გადადგომა საფრანგეთის მესვეურებმა მეორე სედანად წარმოადგიხეს, ბაგრამ, ამერიკელი ისტორიკოსის სიდნეი ფეის სწორი შენიშვნით, ეს გამარჯვება საბოლოო ანგარიშში კარგს არაფერს უქადდა გერმანიას. „ეს იყო ერთი იმ გამარჯვებათაგანი, რომლებიც დამარცხებაზე უარესია". ამ ინციდენტმა საფრანგეთ-ინგლისის ბლოკი უფრო განამტკიცა, დააჩქარა მისი სამხედრო კავშირად გადაქცევა. „საუბრები" საფრანგეთისა და ინგლისის გენშტაბებს შორის უფრო ინტენსიურ და საქმიან ხასიათს ღებულობდა. როგორც ვხედავთ, გერმანიამ საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. საფრანგეთი და ინგლისი უფრო შემჰიდროვდნენ გერმანიის წინააღმდეგ.

1905 წლის 11 დეკემბერს სერ ჰენრი კემპბელ-ბანერმანი სათავეში ჩაუდგა ინგლისის ახალ ლიბერალურ მთავრობას. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა სერ ედუარდ გრეიმ. 1906 წლის 10 იანვარს სერ ედუარდ გრეიმ ამცნო პოლ კამბონს, რომ იგი კვლავ განაგრძობს საფრანგეთის მიმართ იმავე პოლიტიკას, რომელსაც ლორდი ლენსდაუნი ატარებდა. გერმანიის ელჩს მეტერნიხს მან განუცხადა: „ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების არსებობის გამო ინგლისელი ხალხი არ დაუშვებს საფრანგეთის გერმანიასთან ომში ჩაბმას. ასეთ შემთხვევაში ინგლისის ყველა მთავრობა, იქნება იგი კონსერვატორული თუ ლიბერალური, იძულებული გახდება საფრანგეთს დაეხმაროს..." იმავე გრეის მითითებით, საფრანგეთის და ინგლისის გენერალურმა შტაბებმა განაგრძეს ინტენსიური „საუბრები". „თუ წინასწარ სამხედრო გეგმები არ მოვამზადეთ, ჩვენ ვერ შევძლებთ ფრანგებს დროულად დავეხმაროთო", — ამბობდა გრეი. დელკასეს პოლიტიკა გრძელდება — დელკასეს გარეშე.

გერმანიამ ვერ გაბედა ომის დაწყება; მან უმჯობესად მიიჩნია მაროკოს კრიზისი დიპლომატიური გზით გადაეწყვიტა. რით უნდა აიხსნას ასეთი შემობრუნება ვილჰელმ-ბიულოვის პოლიტიკაში. რატომ არ დაიწყო ომი გერმანიამ. განა იმიტომ, რომ, თურმე, როგორც ამას ზოგიერთი გერმანელი ისტორიკოსი ამტკიცებდა, ვილჰელმ II ბავშვობიდანვე პაციფისტი იყო?

გერმანიისათვის ნათელი გახდა, რომ მაროკოსათვის ომი მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა. ამ ომის ბედი ვერ გადაწყდებოდა მხოლოდ საფრანგეთისა და რუსეთის ველებზე. საჭირო იყო ზღვებზე გამარჯვება, ამისათვის კი გერმანია ჯერ მზად არ იყო. ინგლისი მსწრაფლ გაანადგურებდა გერმანიის ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ სამხედრო ფლოტს. აკი მოითხოვდა ადმირალი სერ ჯონ

ფიშერი: „საჭიროა გერმანიის ფლოტის კოპენჰაგირება კილში à la ნელსონ“.

მეორე გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა კაიზერისეული გერმანიის მიერ ომის გაჩაღებას, ეს იყო გერმანიაში მუშათა მოძრაობის გრანდიოზული ზრდა, რომელიც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენით იყო გამოწვეული. გერმანიისათვის ერთადერთი საიმედო მოკავშირე ომის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მის დახმარებას მაინცდამაინც საიმედო პირი არ უჩანდა. ავსტრია-უნგრეთის არმია არ იყო ომისათვის მზად, ქვეყნის შიგნით გამწვავდა ნაციონალური შუღლი, ამას ზედ დაერთო მუშათა მოძრაობის დიდი აღმავლობა, რაც აგრეთვე რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენის შედეგი იყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც გერმანიის მიერ ომის გაჩაღებას შეუშალა ხელი. 1905 წლის 5 სექტემბერს აშშ-ის პატარა ქალაქ პორტსმუტში დადებულ იქნა ზავი რუსეთსა და იაპონიას შორის. ამიერიდან რუსეთს კვლავ შეეძლო ჩარეულიყო ევროპის საქმეებში, მას კიდევ შეეძლო გვერდში ამოდგომოდა თავის „მეგობარს“ — საფრანგეთს. შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ რუვიე ყოველნაირად აჩქარებდა რუსეთის ცარიზმს დაედო ზავი. დაბოლოს, როგორც ვნახეთ, გერმანელების მიერ გათამაშებული რუსეთთან „მეგობრობა“ ვერ განხორციელდა. რუსეთი ერთგული დარჩა თავისი ძველი მოკავშირის — საფრანგეთის.

საერთაშორისო კონფერენცია მაროკოს პრობლემის გადასაწყვეტად შეიკრიბა ესპანეთის პატარა ნავსადგურ ალხესირასში (ალეესირასში), რომელიც გიბრალტარის პირდაპირ მდებარეობს. კონფერენცია გაიხსნა 1906 წლის 15 იანვარს და დამთავრდა 7 აპრილს. კონფერენციამ მიიღო 123 მუხლისაგან შემდგარი „გენერალური აქტი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ცამეტი საჩელმწიფო: საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, ავსტრია-უნგრეთი, ნიდერლანდები (ჰოლანდია), შვედეთი, ბელგია, პორტუგალია, აშშ, მაროკო.

გერმანიის მთავრობას დიდი იმედები ჰქონდა კონფერენციისა და იქ გარკვეულ წარმატებებს ითვალისწინებდა. პირველ ყოვლისა იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩაშლიდა საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას მაროკოს საკითხში და ამით ორმხრივ მოგებული იქნებოდა — პოლიტიკურად და ეკონომიურად. გერმანიას იმედი ჰქონდა მოკავშირეების — ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის, ამასთან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაშიც, რომ მაროკო განუხრელად

გერმანიის პოზიციების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს. გერმანია ხომ მისი „მფარველი“ იყო, „მეგობარი“ და „მოსარჩლე“, რომელიც მაროკოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიის მთლიანობასა და ხელშეუხებლობას „იცავდა“.

„მაროკოს განაწილების“ პრინციპს, რომელზეც შეთანხმდნენ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები, გერმანიამ დაუპირისპირა „ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის“ პრინციპი. აქვე გერმანია საქვეყნოდ აცხადებდა, რომ იგი დგას მაროკოში ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორ უფლებათა მოპოვების დამცველთა რიგებში, რომ იგი იცავს იქ „ღია კარების“ პრინციპს. გერმანია იმედოვნებდა, რომ ამით გადმოიბირებდა მაროკოთი დაინტერესებულ სახელმწიფოებს. ფონ ბიულოვი დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ რუსეთი გერმანიას გაუწევდა თანაგრძნობას, არ დაუჭერდა მხარს ანტანტას, გაითვალისწინებდა რა საფრანგეთისა და განსაკუთრებით კი ინგლისის პოზიციებს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ფონ ბიულოვს ეგონა, რომ რუსეთი სათანადოდ დააფასებდა იმ „კეთილმეგობრულ“ თანაგრძნობას, რომელსაც „ვილი“ (ვილჰელმ II) იჩენდა თავისი ძვირფასი ნათესავი „ნიკის“ (ნიკოლოზ II-ის) მიმართ. როგორც ჩანს, ფონ ბიულოვს, კაიზერთან ერთად, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ბიორკეს „შეთანხმებას“ ცხოველმყოფელი ძალა საბოლოოდ არ ჰქონდა დაკარგული, რომ „ღია კარების“ პრინციპის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში გერმანია ადვილად დაძლევდა სხვა ქვეყნების კონკურენციას და მაროკოში თვითონ მოიკიდებდა ფეხს.

მაგრამ გერმანული ოპტიმიზმი რეალობას მოკლებული აღმოჩნდა. საფრანგეთის იზოლირებაში დაიმედებული გერმანია თვით აღმოჩნდა იზოლირებული. კონფერენციის გადაწყვეტილებანი საფრანგეთის სასარგებლოდ იყო მიმართული, ინგლისი ერთგულად უჭერდა მხარს საფრანგეთს, დაუფარავად ცდილობდა დაეცვა ინგლის-საფრანგეთის ახლად შექმნილი კავშირის სიმტკიცე. რუსეთიც საფრანგეთის მხარეზე იყო. მხოლოდ საფრანგეთისადმი მხარდაჭერისა და მაროკოს საკითხის საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემდეგ შეეძლო მას მიეღო სანუკვარი სესხი საფრანგეთისაგან, რომელიც ცარიზმს რევოლუციის ჩასახშობად და ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად სჭირდებოდა. როგორც ვიცით, იტალიის ყოფნა „სამთა კავშირში“ მეტად პირობითი იყო. უკვე 1900 წელს საფრანგეთის ელჩმა რომში კამილ ბარერმა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ემილიო ვისკონტი-ვენოსტამ ურთიერთ შორის ფარულად გაცვალეს ნოტები, რომელთა ძალით

იტალიამ ცნო საფრანგეთის უფლებები მაროკოში, ხოლო, თავის მხრივ, საფრანგეთმა აღიარა იტალიის უფლებები ტრიპოლიზე და კირენაიკაზე. არსებული შეთანხმების საფუძველზე 1902 წლის 1 ნოემბერს საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება (ე. წ. „ბარერ-პრინეტის შეთანხმება"), რომლითაც ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა მტკიცე ნეიტრალიტეტი დაეცვა რომელიმე მათგანზე სხვა სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ანდა მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე იძულებული გახდებოდა ომი დაეწყო სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეთანხმების ძალით. იტალიის მონაწილეობა „სამთა კავშირში" არარაობად იქცა. 1906 წლის 8 მარტს იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბარონმა სიდნეი სონინომ განაცხადა: „დავრჩებით რა სავსებით ლოიალური სამთა კავშირის მიმართ, ჩვენ მხარს დავუჭერთ ტრადიციულ მეგობრობას ინგლისთან და კეთილმეგობრულ განწყობილებას საფრანგეთთან. იტალიას საფრანგეთთან და ინგლისთან ხელიხელჩაკიდებული უნდა ევლო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ განახორციელებდა იმ „უფლებებს", რომლებიც მან საფრანგეთისაგან 1900 წლის საიდუმლო შეთანხმების ძალით მოიპოვა. ე. ი. ვერ განახორციელებდა თავის აგრესიულ ზრახვებს ტრიპოლის მიმართ. სწორედ იტალიის შესახებ ამბობდა ვილჰელმი: „ბიბლიაში ნათქვამია, რომ არ შეიძლება ემსახურო ორ ბატონს — საფრანგეთ-ინგლისსა და სამთა კავშირს. ეს სრულიად შეუთავსებელია". იტალიის საფრანგეთთან დაახლოება გერმანიას დიდ უსიამოვნებას გვრიდა. იტალიის პოზიციებთან დაკავშირებით ფონ ბიულოვი ამბობდა: „ბედნიერი ქორწინების შემთხვევაში ქმარი არ უნდა აღელდეს, თუკი მისი მეუღლე ვალსის ზედმეტ ტურს იცეკვებს სხვასთან. მთავარია, იგი არ გაექცეს მას; მაგრამ არ გაექცევა, თუკი გრძნობს, რომ ქმართან იგი უკეთ იცხოვრებს". ფონ ბიულოვის ვარაუდი სათუო იყო. ალხესარასის კონფერენციაზე იტალიის ღალატი „სამთა კავშირისადმი" უეჭველი ფაქტია.

ესპანეთი 1904 წლის ხელშეკრულებების ძალით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან და ინგლისთან. საფრანგეთთან 1904 წლის 3 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების ძალით იგი მაროკოს გაყოფის მონაწილე გახდა. მას თავისი წილის მიღების იმედი მხოლოდ საფრანგეთის გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო ჰქონოდა. ცხადია, ესპანეთი ენერგიულად უჭერდა მხარს საფრანგეთს. ფონ ბიულოვი ამბობდა: „ესპანეთი და საფრანგეთი შეიძლება განხილულ იქნენ, როგორც პოლიტიკური ერთიანობა... ესპანეთი არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ფინანსურად და კულტურულადაც საფ-

რანგეთის კუდს წარმოადგენს"-ო. აშშ-ის ფინანსური და პოლიტიკური წრეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ინგლისთან და კონფერენციაზე შუამავლის როლს ასრულებდნენ, დაჟინებით ურჩევდნენ გერმანიას დაეთმო საფრანგეთისათვის. ტეოდორ რუზველტი ამბობდა: „წავართვი რა ვილჰელმს მარცვლის ნაწილი, შევეცადე, რომ ჩენჩო მთლიანად მას დარჩენოდა, რომ ეს ჩენჩო შეღებილი ყოფილიყო ისე, როგორც მას სურდა". ავსტრია-უნგრეთი ერთი შეხედვით მხარს უჭერდა გერმანიას, მაგრამ ეს მხარდაჭერა იმდენად არაეფექტური იყო, რომ გერმანია გარკვეულ უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა თავისი მოკავშირის მიმართ. ფრანც-იოზეფი, რომელსაც არ შეეძლო ომში ჩაბმა, კონფერენციის მშვიდობიანად დამთავრების მოსურნე იყო. ვილჰელმის თქმით, ავსტრია-უნგრეთი კონფერენციაზე საფრანგეთ-გერმანიის დუელის დროს „ბრწყინვალე სეკუნდანტის როლში გამოდიოდა", ე. ი. იყო ბრძოლის მოწმე და არა მონაწილე. როდესაც კონფერენციაზე კრიზისმა ზენიტს მიაღწია, ფრანც-იოზეფმა კაიზერს წერილი მისწერა, სადაც ამბობდა, რომ, მართალია, ავსტრია-უნგრეთი გერმანიასთან ერთად ყველგან წავა, მაგრამ ამჟამად ორივე იზოლირებულია და კონფერენციის ჩაშლა მათ მეტად მძიმე შედეგებს უქადის. ბელგია, ნიდერლანდები, პორტუგალია და შვედეთი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ინგლისთან და საფრანგეთთან და კონფერენიაზე მათ მხარეზე გამოვიდნენ.

ამგვარად, გერმანია იზოლირებული აღმოჩნდა. გერმანელი დიპლომატი ბარონი ჰერმან ფონ ეკარდშტაინი სამართლიანად უსაყვედურებს გერმანიის ომამდელ დიპლომატიას. გაუგებარია, ამბობს იგი, რატომ წავიდა გერმანია ამ კრაზანას ბუდეში. რა საჭირო იყო ალხესირასის კონფერენციის მოწვევა, როცა წინასწარ ნათელი იყო, რომ ყველა სახელმწიფო, გარდა ავსტრიისა, საფრანგეთის მხარეზე იქნებოდა.

ალხესირასის გადაწყვეტილებანი ძირითადად საფრანგეთის სასარგებლოდ იყო წარმართული. მართალია, „ალხესირასის გენერალური აქტის" ძალით მაროკოში „ღია კარებისა და თანასწორ შესაძლებლობათა" პრინციპი იქნა აღიარებული, რის გამოც, ერთი შეხედვით, გერმანიამ თითქოს მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური წარმატება; მთელი მატერიალური მოგება საფრანგეთს ხვდა წილად. მან ხელთ იგდო მაროკოს პოლიცია, ე. ი. პოლიტიკურად განმტკიცდა შერიფის იმპერიაში (მაროკოში). მან წამყვანი ადგილი დაიკავა მაროკოს ბანკში, ე. ი. სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მოიპოვა ეკონომიური უპირატესობა. გერმა-

ნიამ ამ კონფერენციით მიიღო მხოლოდ „ჩენჩო“, შეღებილი ისე, როგორც მას სურდა. საფრანგეთმა კი — „მარცვალი“ შეინარჩუნა.

„მაროკოს პირველმა კრიზისმა“ უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის და ამით იგი გარკვეულად პირველი მსოფლიო ომის აღმოცენების ერთ-ერთ ხელის შემწყობ პირობად იქცა. მაროკოს პირველი კრიზისის შემდეგ ინგლისმა მტკიცედ გადაწყვიტა შეექმნა ძლიერი სახმელეთო-სამხედრო ძალები, რომლებიც არა მარტო კოლონიური ექსპედიციებისათვის, არამედ ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთსა და ბელგიაში წარმატებით სამოქმედოდაც გამოდგებოდა.

1904 წლისათვის „საზღვაო შეჯიბრებიდან“ გამომდინარე ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობამ ახალი ძალით იჩინა თავი. 1904 წლის 25 ივნისს კილში მოეწყო გერმანიის სამხედრო ფლოტის დათვალიერება. ვილჰელმმა აქ ედუარდ VII მოიპატიჟა. შთაბეჭდილება მოულოდნელი იყო. ინგლისელებმა იხილეს გერმანიის საზღვაო ძლიერების ტრიუმფი. ამიერიდან გერმანელებს ჩრდილოეთ ზღვაში ჰყავდათ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული 8 საბრძოლო გემი, რომელნიც ჩრდილოეთ ზღვაში განლაგებულ ინგლისის ფლოტის ხომალდებს არაფრით ჩამორჩებოდნენ. ინგლისში სასტიკი განგაში ატყდა. 1905 წლის 3 თებერვალს ინგლისის საადმირალოს სამოქალაქო ლორდმა არტურ ლიმ წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, სადაც იგი გერმანიის ფლოტის დაუყოვნებლივ განადგურებას მოითხოვდა. ამასვე იმეორებდა ინგლისის პრესა. 1904 წლის დამლევსა და 1905 წლის დამდეგს ასე დაიწყო ე. წ. „საფლოტო პირველი პანიკა“ (First Naval Scare), რამაც გერმანიასა და ინგლისს შორის ურთიერთობა კიდეე უფრო გაამწვავა. 1905 წელს ინგლისელებმა წყალში ჩაუშვეს ახალი ზემძლავრი სამხედრო ხომალდი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გერმანია ვერ მოახერხებდა მსგავსი ხომალდების შექმნას. მოხდა კი პირიქით. 1908 წელს ინგლისს ჰყავდა ახალი ტიპის 12 ხომალდი, გერმანიას — 9. მართალია, ძველი ტიპის ჯავშნოსნების შეფარდება უდრიდა 63:26-ს ინგლისელთა სასარგებლოდ, მაგრამ ახალი ტიპის ხომალდების არსებობის პირობებში ძველი მოდელის სამხედრო გემების მნიშვნელობას ფასი თითქმის სავსეჩით დაეკარგა. მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა, როცა 1907 წელს ადმირალმა ფიშერმა, ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილის მხარდაჭერით (მაშინ ჩერჩილი კოლონიების მინისტრის მოადგილე იყო), განახორციელა ფლოტის მეტად მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. პირველ ყოვლისა ფიშერმა საჭიროდ ჩათვალა ფლოტის კონცენტრირება ევროპის წყლებში, რათა იგი გერმანიის საწინააღმდეგოდ

ყოფილიყო გაბიზნული. გაძლიერდა ხომალდების შეიარაღება. ფლოტში დაინერგა მძლავრი 13,5 დუიმიანი არტილერია. 1911 წელს ჩერჩილი უკვე საზღვაო-სამხედრო საქმეთა მინისტრია. ჩერჩილისათვის ნათელი იყო, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალია, ამდენად, საჭიროა ინგლისის სამხედრო ფლოტის მომზადება იმისათვის, რომ მან შეძლოს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძლიერების სწრაფი შემუსვრა. „ჩვენთვის, — ამბობდა ჩერჩილი, — ფლოტი არსებობის საწინდარია, გერმანელებისათვის კი სამხედრო-საზღვაო ძლიერება ექსპანსიაა". ინგლისის ფლოტის გაძლიერების საქმეში ჩერჩილმა დიდი ენერგია და ნებისყოფა გამოავლინა. მისი მეგობარი ადმირალი ჯონ-არბეტნოტ ფიშერი ამბობდა: „მე არ ვიცი არც ერთი პირველი ლორდი ისტორიაში, რომელსაც ამდენის გაკეთება შესძლებოდეს". პირველ ყოვლისა შეიქმნა სამხედრო-საზღვაო გენშტაბი. 13,5 დუიმიანი ქვემეხები 15 დუიმიანით შეიცვალა. შემდეგ ჩერჩილმა და ფიშერმა ინგლისის ფლოტი ნახშირიდან ნავთის საწვავზე გადაიყვანეს, რამაც ფლოტს შემატა სისწრაფე და მობილურობა. ფლოტის ნავთით მომარაგების აუცილებლობამ განაპირობა ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის შექმნა, რომელმაც ირანის ნავთის მონოპოლიური ექსპლუატაციის უფლება მოიპოვა. 1913 წელს, ჩერჩილის მოთხოვნით, ინგლისის მთავრობამ სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი 52 მილიონი გირვანქა სტერლინგით განსაზღვრა. ეს იყო ინგლისის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი.

ინგლის-გერმანიის საზღვაო შეჯიბრი უზარმაზარ თანხებს ითხოვდა. გერმანელები 1908-12 წწ. გეგმით ყოველწლიურად ოთხი დრედნოუტის აგებას ითვალისწინებდნენ. ინგლისელებმა მისცეს გერმანიას წინადადება შეეწყვიტათ შეჯიბრი; გერმანიის თანხმობის შემთხვევაში ინგლისი შეინარჩუნებდა არსებულ უპირატესობას, რაც, ცხადია, გერმანიას არ აწყობდა. ამ წინადადების პასუხად მან მოითხოვა დადებულიყო შეთანხმება ფლოტის შეფარდების განსაზღვრის თაობაზე, არა ძალთა თანაფარდობის არსებული დონის შესაბამისად, არამედ გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში. შეთანხმება ვერ მოხერხდა. 1912 წელს მოსალაპარაკებლად ბერლინში ჩასულ ინგლისის სამხედრო მინისტრს ჰოლდენს ვილჰელმმა უპასუხა იმით, რომ რაიხსტაგს არმიისა და ფლოტის საჭიროებისათვის გამოყოფილი თანხების გაზრდა მოსთხოვა. ჩემი ამოცანაა განვამტკიცო ჩემი ხალხის ძალა ზღვებსა და ხმელეთზე, — ამბობდა კაიზერი. ინგლისელებმა გერმანიის ასეთი განწყობილების პასუხად მტკიცედ გადაწყვიტეს გერმანიაში აშენებულ ყოველ დრედნოუტისათვის ორით ეპასუხათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს 1905-07 წლების რუსეთის რევოლუციის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობაა განვითარებაზე. აღნიშნულ რევოლუციას მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა. მან ბიძგი მისცა მსოფლიო მუშათა და ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას როგორც კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში, ისე მრავალეროვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. რუსეთის რევოლუციის გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო ბალკანეთის. ავსტრია-უნგრეთისა და აღმოსავლეთის ხალხების მოძრაობაზე. რუსეთის რევოლუცია იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა რევოლუციები ირანში (1906-11), თურქეთში(1908-09), ჩინეთში (1911-13). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული იყო როგორც საკუთარი რეაქციული ძალების, ისე უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ. კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის წინააღმდეგობის ზრდა, აღმოსავლეთში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა ხელს უწყობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას. ამ მოძრაობათა ჩახშობის მიზნით, მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობებისა, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნების გაბატონებული კლასები და მმართველი წრეები მარტო საკუთარ მუშათა კლასს როდი ებრძოდნენ და მარტო მისი რევოლუციური განწყობილების ძირშივე ამოკვეთას როდი ცდილობდნენ, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ მოესპოთ რევოლუციის ბუდე რუსეთშიც. მაგალითად, გერმანიის მიერ რუსეთის საზღვართან კონცენტრირებულ იქნა დიდძალი ჯარი. პეტერბუგთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საჭიროების მომენტში გერმანიის სუთ კორპუსს უნდა გადაელახა საზღვარი და დაეწყო ბრძოლა რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად. პეტერბურგიდან მეფის ოჯახის ევაკუაციისათვის გამიზნული იყო გერმანიის ნაღმოსანთა შენაერთი და ორი კრეისერი — „ლიუბეკი" და „ჰამბურგი". გერმანიის ასეთ მოქმედებას მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთიც. ბრიტანეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა სამხედრო ხომალდების გაგზავნა შავ და ბალტიის ზღვებში. 1905 წლის დეკემბერში ინგლისელთა კრეისერი „საფირონი" კილში მოვიდა. იგი აქ ელოდა ბრძანებას რიგაში გაგზავრების შესახებ. 1906 წელს რუსეთმა საფრანგეთისგან მიიღო დიდი სესხი (843 მილიონ 750 ათასი მანეთი). „ევროპის კონტრრევოლუციამ ხელი გაუწოდა რუსეთის კონტრრევოლუციას" (ვ. ი. ლენინი). ცარიზმის გადარჩენისა და რევოლუციის ჩახშობის საქმეში აღნიშნულმა დახმარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1907 წელს საერთაშორისო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი

გარდატეხა მოხდა. რუსეთი შეუერთდა ინგლის-საფრანგეთის ანტანტას. საბოლოოდ გაფორმდა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი „სამთა გულითადი შეთანხმების", ანუ, მოკლედ, „ანტანტის" სახელით.

როგორც აღნიშნული იყო, XIX საუკუნის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მთავარ მეტოქედ ინგლისი რჩებოდა. ამჯერად ვითარება შეიცვალა. გერმანული პოლიტიკა „Drang nach Osten" ფრთებს ისხამდა. თურქეთში გერმანიის გავლენამ იმატა, გერმანიამ ხელთ იგდო ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის უფლება. ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკას ახალი მეტოქე გამოუჩნდა გერმანიის სახით. ბალკანეთის ქვეყნების მიმართ ავსტრია-უნგრეთის ექსპანსია გაძლიერდა. გერმანია ენერგიულად უპერდა მხარს ავსტრია-უნგრეთის აგრესიულ მისწრაფებებს, რაც გერმანიისადმი რუსეთის უკმაყოფილების ზრდის კიდევ ერთი ფაქტორი იყო. რუსეთის ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო 1904 წლის გერმანია-რუსეთის სავაჭრო შეთანხმებით, რომელმაც რუსეთის ეკონომიკას საგრძნობი ზიანი მიაყენა. გერმანული ექსპორტი რუსეთში შეღავათიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის მრეწველობას შიდა ბაზარი ხელიდან ეცლებოდა.

იაპონიასთან დამარცხების შემდეგ რუსეთის კონკურენცია შორეულ აღმოსავლეთში ინგლისს დიდად არ აშინებდა. ამიერიდან მთავარ მეტოქედ აზიის სარბიელზე იგი გერმანიას მიიჩნევდა. ეს ვითარება ხელს უწყობდა ინგლის-რუსეთის დაახლოებას. 1907 წელს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაში ახალმა დაძაბულობამ იჩინა თავი. იაპონელები ცდილობდნენ რუსეთი გაედევნათ ჩრდილოეთ მანჯურიიდან და შეეკვეცათ მისთვის თევზჭერის უფლებები. ინგლისის ჩარევის შედეგად იაპონიამ უარყო თავისი პრეტენზიები. ამ ვითარებამ რუსეთ-ინგლისის დაახლოება უფრო დააჩქარა. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ 1906 წელს საფრანგეთის გარდა რუსეთს ფინანსური დახმარება ინგლისმაც აღმოუჩინა. 1905 წლის რუსეთის რევოლუციამ ინგლისის კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში რევოლუციურ აღმავლობას შეუწყო ხელი. ინგლისის მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა გადაერჩინა რუსეთის ცარიზმი და იგი აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგულ მოკავშირედ ექცია. როგორც ვხედავთ, დაახლოებისათვის ორივე მხარე მზად იყო. „მე მირჩევნია რუსეთი ვიხილო კონსტანტინოპოლში, ვიდრე გერმანიის სამხედრო-საზღვაო არსენალი სპარსეთის ყურის სანაპიროებზეო", — ამბობდა ლორდთა პალატის წევრი ელენბორო. სერ ედუარდ გრეის თქმით,

„რუსეთთან კარგი ურთიერთობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ მისთვის სრუტეების დახურვისა და დიდ სახელმწიფოთა კონფერენციებზე მის წინააღმდეგ გამოსვლის ძველი პოლიტიკა“.

ინგლის-რუსეთის დაახლოებაც საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების მსგავსად განხორციელდა. ორივე მხარემ მოაგვარა ყველა სადავო კოლონიური პრობლემა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა პეტერბურგში, შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1907 წლის 31 აგვისტოს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. პ. იზვოლსკისა და დიდი ბრიტანეთის ელჩის ა. ნიკოლსონის მიერ. მოლაპარაკების დროს განიხილეს ტიბეტის, ავღანეთის და ირანის საკითხი. შეთანხმების საფუძველზე ირანი სამ ზონად გაიყო: სამხრეთ-აღმოსავლეთი ირანი ინგლისს ერგო, ჩრდილოეთი — რუსეთს, ცენტრალური ირანი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. შეთანხმების შედეგად ავღანეთი ინგლისს დაექვემდებარა, ტიბეტმა ფორმალურად შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ჩინეთის სიუზერენიტეტის ქვეშ მოექცა. ფაქტიურად, აქ ინგლისელთა გავლენა დარჩა.

ინგლის-რუსეთის შეთანხმებაში, ისევე როგორც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაში, გერმანიის წინააღმდეგ სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი. მაგრამ, ფაქტიურად, ეს შეთანხმება, არსებითად, გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1907 წლის შემდეგ რუსეთი „ანტანტის“ წევრი გახდა. „სამთა კავშირს“ „სამთა შეთანხმება“ დაუპირისპირდა. „იყოფენ სპარსეთს, ავღანეთს, ტიბეტს (ემზადებიან გერმანიასთან საომრად)“, — ასე აფასებდა ვ. ი. ლენინი ინგლის-რუსეთის 1907 წლის შეთანხმებას[1]. „სამთა შეთანხმება“ დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის დიდ წარმატებას მოასწავებდა. გერმანიასთან მომავალ ომში მან ახალი მოკავშირე შეიძინა რუსეთის სახით. ამასთან ერთად, ცარიზმის სახით მას გამოუჩნდა მაშველი ძალა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. შემთხვევითი როდია ის, რომ შეთანხმებას თან მოჰყვა ინგლის-რუსეთის ერთობლივი ინტერვენცია ირანის რევოლუციის წინააღმდეგ.

1908-09 წლებში თავი იჩინა ახალმა ე. წ. „ბოსნიის კრიზისმა“, რომელიც ავსტრია-უნგრეთის მიერ ორი სლავური ტერიტორიის — ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიამ გამოიწვია. კრიზისი მწვავედ მიმდინარეობდა და ევროპაში ომის მატად დიდი საფრთხე შეიქმნა. ბერლინის ტრაქტატის თანახმად, სერბებითა და ხორვატებით დასახლებული ეს ორი, თურქეთისადმი დამორჩილებული პროვინცია ავ-

---

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, стр. 621.

სტრია-უნგრეთის საოკუპაციო რეჟიმს დაემორჩილა. XX საუკუნის დამდეგს ავსტრია-უნგრეთმა, ბალკანეთზე თავისი ანექსიონისტური პოლიტიკის შესაბამისად, გადაწყვიტა განეხორციელებინა ამ ტერიტორიების სრული ანექსია და ამით ხელთ ეგდო სალონიკი, ანუ ეგეოსის ზღვისაკენ გასულიყო. ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ 1908 წლის 7 ოქტომბერს ანექსია განახორციელა. მან ხელსაყრელი მომენტი შეარჩია. 1908 წელს „ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის შედეგად თურქეთის მხრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა გამორიცხული იყო. ასეც მოხდა. თურქეთმა (რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ბოსნია-ჰერცეგოვინას ნომინალურ მფლობელად) პროტესტი განაცხადა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბერლინის ტრაქტატის დარღვევის გამო. სტამბულსა და სხვა თურქულ ქალაქებში ბოიკოტი გამოუცხადეს ავსტრიულ საქონელს. უფრო რეალური წინააღმდეგობის გაწევა თურქეთმა ვეღარ შეძლო. იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ ავსტრია-უნგრეთისაგან „ანაზღაურების" სახით 2500 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

ავსტრია-უნგრეთს აღნიშნული ტერიტორიების ანექსიის სანქცია რუსეთისგანაც ჰქონდა მიღებული. ამაში მას დაეხმარა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, რომელმაც გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ესარგებლა 1907 წლის შეთანხმებით და განეხორციელებინა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძველთაძველი ოცნება: გაეხსნა დარდანელი და ბოსფორი რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის. 15 სექტემბერს იზვოლსკი ბუხლაუში მეხვდა ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ერენტალს. მათ მიაღწიეს სიტყვიერ შეთანხმებას. რუსეთი დათანხმდა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიაზე, თავის მხრივ, ერენტალმა რუსეთს თანხმობა აღუთქვა სრუტეების საკითხში. ავსტრიამ დაუყოვნებლივ ისარგებლა იზვოლსკის „გულუხვობით" და ანექსია განახორციელა. რუსეთს მხოლოდ სიტყვიერი დაპირებაღა შერჩა, ავსტრია-უნგრეთისაგან დანაპირების შესრულების რაიმე გარანტია არ ჩანდა. ამას დაერთო ისიც, რომ ევროპის სახელმწიფოებისაგან (მათ შორის ინგლისისა და საფრანგეთისაგან) სრუტეების საკითხში იზვოლსკიმ ვერავითარი მხარდაჭერა ვერ პოვა.

იმედგაცრუებული იზვოლსკი არწმუნებდა მოკავშირეებს—საფრანგეთსა და ინგლისს, რომ ავსტრია-უნგრეთმა ანექსია თვითნებურად განახორციელა, რომ ბერლინის ტრაქტატის შეცვლის გარანტიას იგი ერენტალს მხოლოდ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა და სხვა სახელმწიფოთა თანხმობის პირობებში აღუთქვამდა. ერენტალის მიერ მოტყუებული იზვოლსკი ამჯერად დაჟინებით მო-

ითხოვდა ასეთი კონფერენციის მოწვევას, ბალკანეთის სლავებისა, კერძოდ, სერბი ხალხის თვალში რეაბილიტაციის მიზნით. იზვოლსკი მოითხოვდა, აგრეთვე, სერბეთისათვის გარკვეულ კომპენსაციას.

სერბეთი უკიდურესად აღაშფოთა ბოსნია-ჰერცეგოვინას ანექსიამ. ამიერიდან იგი სამუდამოდ კარგავდა ამ სლავური ტერიტორიების შემოერთების იმედს. სერბეთში ანტიავსტრიული დიდი ნაციონალური მოძრაობა დაიწყო. იგი ომისათვის ემზადებოდა და მოითხოვდა ბოსნია-ჰერცეგოვინასათვის ავტონომიის მინიჭებას. 1909 წლის მარტში ავსტრია-უნგრეთში მობილიზაცია ჩატარდა. ავსტრია-უნგრეთის ჯარები სერბეთის საზღვართან განლაგდნენ. გერმანია აქტიურად უჭერდა მხარს მოკავშირეს. ფონ ბიულოვმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გერმანია მზადაა იბრძოლოს ავსტრია-უნგრეთთან ერთად. ჩვენ დავიცავთ ჩვენს მოკავშირეს იარაღის მთელი ძალით, — ამბობდა ვილჰელმ II. ფონ ბიულოვი მხარს უჭერდა ავსტრიას არა მარტო იმიტომ, რომ საკავშირო მოვალეობას ასრულებდა, არამედ სურდა დაესაჯა რუსეთი, რომელიც ინგლისს დაუკავშირდა. გერმანიის გენშტაბის უფროსი მოლტკე-უმცროსი თავის ავსტრიელ კოლეგას კონრად ფონ ჰოეტცენდორფს სწერდა: „იმ მომენტში, როცა რუსეთი მობილიზაციას დაიწყებს, გერმანიაც ჩატარებს მობილიზაციას და მზადყოფნაში მოიყვანს მთელ თავის არმიას“.

სერბეთმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. იზვოლსკი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სერბეთისადმი აქტიური მხარდაჭერა ომს მოასწავებდა, ომისათვის კი რუსეთი მზად არ იყო. ინგლისსაფრანგეთის მხრივ რეალური მხარდაჭერის იმედი არ ჩანდა. ინგლისსა და საფრანგეთს არ სურდათ დაეწყოთ ომი ბალკანეთის საბაბით. საფრანგეთის მთავრობის რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილში ნათქვამი იყო, რომ ბოსნიის საკითხი რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების შელახვას არ მოასწავებს. „ფრანგული საზოგადოებრივი აზრისათვის გაუგებარი იქნება ის, თუ რატომ უნდა გამოიწვიოს ასეთმა საკითხმა ომი, რომელშიც საფრანგეთისა და რუსეთის ჯარები იძულებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ“. რუსეთმა თანხმობა განაცხადა კრიზისი დიპლომატიური გზით მოეგვარებინათ. მან მოითხოვა, რომ ანექსიის საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე გადაწყვეტილიყო, სერბეთს კი ურჩია დაეცადა კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის.

ავსტრია-უნგრეთი კატეგორიულად უარყოფდა კონფერენციის მოწვევას და სერბეთისაგან მოითხოვდა ანექსიის უსიტყვოდ აღიარებას. ყოველივე ეს ავსტრია-უნგრეთმა ოფიციალურად გამოაცხა-

და. გითარება დაიძაბა. 1909 წლის 14 მარტს გერმანიის მთავრობამ რუსეთს კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგი გეგმა შესთავაზა: ავსტრია-უნგრეთი სახელმწიფოებს სთხოვს ნოტების გაცვლის გზით ფორმალურად დაადასტურონ ანექსიის აქტი, იმ პირობით, რომ რუსეთი წინასწარ დათანხმდება ასეთი სანქციის მიცემაზე, ხოლო სერბეთი უარს იტყვის ბოსნიისა და ჰერცეგოვინას მიმართ ყოველგვარ პრეტენზიაზე. რუსეთი, ცხადია, ყოყმანობდა. 17 მარტს პეტერბურგში შეიკრიბა მინისტრთა საბჭოს სხდომა. დღის წესრიგში იდგა ომის საკითხი. მინისტრები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ამჯერად რუსეთი ომისათვის მზად არაა და მას ომი არ შეუძლია.

21 მარტს ფონ ბიულოვმა გერმანიის პეტერბურგელი ელჩის ფრიდრიხ პურტალესის მეშვეობით რუსეთის მთავრობას, კერძოდ, იზვოლსკის ულტიმატიური წინადადებით მიმართა: რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა მიეღო ავსტრია-უნგრეთის წინადადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი თავს დაესხმოდა სერბეთს. „ჩვენ დავიბანთ ხელებს და საშუალებას მივცემთ მოვლენებს წარიმართონ თავისი გზითო". იზვოლსკი იძულებული გახდა დაეთმო. ათი დღის შემდეგ იგივე გაიმეორა სერბეთმა. სხვა გზა არ იყო, ავსტრია-უნგრეთის არმიის მე-7 და მე-13 კორპუსები „საბრძოლო მზადყოფნის" მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეს იყო რუსეთის დიდი მარცხი. მან ამ დამცირებისაგან მრავალი სასარგებლო დასკვნა გამოიტანა. მეფის რუსეთმა უპირველეს ყოვლისა მიიღო ე. წ. „დიდი სამხედრო პროგრამა", რომელიც არმიისა და ფლოტის რეორგანიზაციისა და შეიარაღების ფართო მასშტაბებს ითვალისწინებდა. „ბოსნიის კრიზისის" შემდეგ ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა. აღსანიშნავია, რომ 1909 წლის ოქტომბერში იტალიასა და რუსეთს შორის დაიდო ფარული ხელშეკრულება, რომელიც ბალკანეთზე ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ხელშეკრულება კიდევ ერთხელ ადასტურებდა იტალიის „სამთა კავშირისაგან" განდგომის ფაქტს.

„ბოსნიის კრიზისის" შემდეგ ბალკანელ სლავებში, კერძოდ კი სერბეთში, ანტიავსტრიულმა განწყობილებამ კულმინაციას მიაღწია. ავსტრია-უნგრეთისადმი სიძულვილის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენდა სარაევოს საბედისწერო გასროლა.

1910 წელი საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში სტაბილური აღმოჩნდა. 1911 წელს კი ახალი მწვავე კრიზისი აღმოცენდა, რომელიც „აგადირის", ანუ „მაროკოს მეორე კრიზისის" სახელითაა ცნობილი. ამჯერად ევროპა კვლავ ტრაგიკული აფეთქების წინაშე იდგა.

ალხესირასის შემდეგ მაროკოელთა სიძულვილი ევროპის სახელმწიფოებისა და მათი ტიკინის აბდულ-აზიზის მიმართ გაძლიერდა. ამით ისარგებლა სულთნის ძმამ მულაი ჰაფიდმა და ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით ძმის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. მაროკოში შექმნილი არეულობა საფრანგეთს აწყობდა. მან ხელზე დაიხვია ერთი ფრანგი მოქალაქის მკვლელობა და დაიწყო მაროკოს ტერიტორიის ოკუპაცია. 1907 წელს ფრანგებმა ხელთ იგდეს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი, უფრო გვიან, 1908 წელს — პორტი კასაბლანკა და მისი მომიჯნავე ტერიტორია. 1908 წლის 25 სექტემბერს კასაბლანკაში ადგილი ჰქონდა მწვავე ინციდენტს, რომელმაც გერმანია-საფრანგეთს შორის უთანხმოების ახალი საბაბი წარმოშვა. გერმანიის ადგილობრივმა კონსულმა ფრანგული უცხოური ლეგიონიდან 6 დეზერტირის გაქცევა მოაწყო. გემზე ჩასხდომის დროს ისინი ფრანგებმა შეიპყრეს. შეტაკებისას დაშავდა გერმანიის საკონსულოს მდივანი. გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა, დაიწყო კონფლიქტი. ბოსნიის კრიზისის პირობებში ავსტრია-უნგრეთის მოთხოვნით გერმანია იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ინციდენტის საკითხი გერმანიამ ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცა. ტრიბუნალმა იგი საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1909 წლის 9 თებერვალს გერმანია-საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, გერმანიამ აღიარა მაროკოში საფრანგეთის პოლიტიკური უფლებები. თავის მხრივ, ფრანგებმა პირობა დადეს არ შეელახათ აქ გერმანიის ეკონომიური ინტერესები. ეს კომპრომისული შეთანხმება მხოლოდ დროებით აწესრიგებდა მაროკოში გერმანელთა და ფრანგთა ურთიერთობას. 1908 წელს მულაი ჰაფიდი სულთნად გამოცხადდა. მალე იგი ფრანგების გავლენის ქვეშ მოექცა. 1910 წელს ფრანგებმა მას თავს მოახვიეს ახალი კაბალური სესხი 101 მილიონ ფრანკის რაოდენობით. 1911 წელს მაროკოში კვლავ დაიწყო აჯანყება. ფრანგებმა ჯარები შეიყვანეს მაროკოს ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს ახალი რაიონები, მათ შორის ფესი, რაბათი, მეკნეზი.

საფრანგეთის მიერ მაროკოს ოკუპაციამ გერმანიის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. 1911 წლის 1 ივლისს გერმანიამ სამხედრო გემი „ავაზა“ მაროკოს ნავსადგურ აგადირში გაგზავნა. ამ ინციდენტს, ე. წ. „ავაზას ნახტომს“, მწვავე კრიზისი—„მაროკოს მეორე კრიზისი“ მოჰყვა. აგადირს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი დაკავების შემდეგ გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ ფრანგები გარკვეულ დათმობაზე წავიდოდნენ. მათ სურდათ მიეღოთ მაროკოს გარკვეული ნაწილი ან კომპენსაცია ფრანგულ ეკვატორული

აფრიკის რომელიმე ტერიტორიის ხარჯზე. კერძოდ, გერმანელებმა თავიდან მოითხოვეს მთლიანად ფრანგული კონგო. ევროპაში თოფის წამლის სუნი დადგა. გერმანიის პრესამ ანტიფრანგული კამპანია წამოიწყო. დიდი ტირაჟით გავრცელდა პანგერმანისტების ერთ-ერთი ლიდერის კლაასის პამფლეტი „სამხრეთ-დასავლეთ მაროკო გერმანიისაა". გერმანიის საგარეო მინისტრის მოადგილემ ციმერმანმა განაცხადა: „ჩვენ დავიპყარით ეს ტერიტორია (აგადირი — გ. კ.) სამუდამოდ".

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალფრედ ფონ კიდერლენ-ვეხტერმა მოითხოვა, რომ მაროკოს მიმართ განხორციელებულიყო „ღია კარების" პრინციპი. მაროკოს რკინიგზების მშენებლობასა და მართვაში გერმანელებს უნდა გადასცემოდა წილი 70%-ის მოცულობით სამხრეთ-დასავლეთ მაროკოში, 30% კი — დანარჩენ მაროკოში. კონფლიქტში ინგლისი ჩაერია. მინისტრთა კაბინეტის დავალებით, ფინანსთა მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა 1911 წლის 21 ივლისს წარმოთქვა სიტყვა. მინისტრი გერმანიას ომით ემუქრებოდა. უინსტონ ჩერჩილი ეუბნებოდა გერმანიის ელჩს გრაფ მეტერნიხს: „ჩვენ ავაშენებთ, თუ ეს საჭირო იქნება, ორ გემს გერმანიაში აშენებული ერთი გემის პასუხად. რადიკალები და ტორები, მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობენ ისინი ერთმანეთის შესახებ, ამ საკითხში ერთიანნი არიან". ჩერჩილმა მიიღო სასწრაფო ზომები ინგლისის ტერიტორიაზე გერმანიის სადაზვერვო ქსელის სალიკვიდაციოდ. „ავაზას ნახტომმა" საბოლოოდ განუმტკიცა მინისტრს გერმანიასთან ომის აუცილებლობის შეგნება. „შვიდი წლის განმავლობაში, — წერს იგი, — მე სხვა არაფერზე ვფიქრობდიო". საფრანგეთმა და ინგლისმა ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ინგლისის გენშტაბის უფროსი ჰენრი უილსონი საფრანგეთში ჩამოვიდა და გერმანიის საზღვარზე განლაგებული სიმაგრეები შეამოწმა.

გერმანია იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 4 ნოემბერს საფრანგეთსა და გერმანიას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება. მაროკოს მიმართ გერმანიამ პრეტენზიები უკან წაიღო (მას დაჰპირდნენ „ღია კარების" პრინციპის დაცვას 30 წლის განმავლობაში). კომპენსაციად მან მიიღო ფრანგული კონგოს მცირე ნაწილი (275.000 კვ. კმ). გერმანიის იმპერიალისტური წრეები უკმაყოფილონი იყვნენ ასეთი ვითარებით. ისინი ბრალს სდებდნენ კაიზერისეულ მთავრობას სისუსტეში, ზედმეტ დათმობებში.

1911 წლის 29 სექტემბერს ევროპაში მსოფლიო გადანაწილებისათვის კიდევ ერთი ომი დაიწყო: იტალიასა და თურქეთს შორის. იტალიის იმპერიალიზმი თავს „დიდი რომის" მემკვიდრედ აცხადებ-

და და მრავალი ტერიტორიის შემოერთება ჰქონდა განზრახული. როგორც ვიცით, 1900 წელს საფრანგეთ-იტალიას შორის დადებული შეთანხმების ძალით საფრანგეთმა აღიარა იტალიის უფლებები ტრიპოლიტანიასა და კირენაიკაზე. ტრიპოლიტანია თურქეთის პროვინცია იყო, აქ თურქებს მეტად სუსტი გარნიზონი ჰყავდათ. იტალიელებმა ადვილად სძლიეს მისი წინააღმდეგობა. უფრო ძნელი გახდა ადგილობრივ არაბული მოსახლეობის დაძლევა. თურქეთს ზავის დადება არ სურდა. იტალიელებმა ხელთ იგდეს კუნძული დოდეკანეზი, ზღვიდან დაბომბეს ბეირუთი და თურქეთის სხვა ნავსადგურები. 1912 წელს იტალიის ფლოტმა დაბომბა დარდანელის მისადგომები. მაგრამ ბალკანეთის პირველი ომის აღმოცენების შემდეგ თურქეთი იძულებული იყო ხელი მოეწერა იტალიასთან დაზავებაზე. ტრიპოლიტანია, კირენაიკა და არქიპელაგი დოდეკანეზი იტალიის სამფლობელო გახდა.

1912 წელს ბალკანეთის ქვეყნებმა — ბულგარეთმა, სერბეთმა, ჩერნოგორიამ (მონტენეგრომ) და საბერძნეთმა შეკრეს პოლიტიკური და სამხედრო კავშირი, ე. წ. „ბალკანეთის კავშირი". ანტანტის სახელმწიფოები, უმთავრესად რუსეთი, მხარს უჭერდნენ ამ კავშირის ჩამოყალიბებას. მასში ისინი ხედავდნენ ახლო აღმოსავლეთში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიის საწინააღმდეგო ბარიერს. „ბალკანეთის კავშირში" შემავალი ქვეყნები კი თავის უპირველეს ამოცანად თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდნენ. მათი მიზანი იყო ჯერ კიდევ თურქული უღლის ქვეშ მყოფი სლავური და ბერძნული ტერიტორიების განთავისუფლება. რუსეთის თაოსნობით ბალკანეთის ქვეყნების კავშირის შექმნა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისათვის, ცხადია, ხელსაყრელი არ იყო. ეს ვითარება საგრძნობლად უშლიდა მათ ახლო აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელებას. „ბალკანეთის კავშირის" არსებობის პირობებში მოსალოდნელი იყო თურქეთში გერმანული გავლენის შესუსტება. ავსტრია-უნგრეთი კარგავდა გავლენას ბალკანეთზე. ძლიერდებოდნენ სერბეთი და ბულგარეთი. მოსალოდნელი იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მცხოვრებ სლავ და სხვა დამორჩილებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაძლიერება.

„ბალკანეთის კავშირის" შექმნის ინიციატორები იყვნენ სერბეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი მილოვანოვიჩი, სერბეთის ელჩი სოფიაში სპალაიკოვიჩი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი გეშოვი, საბერძნეთის ელჩი ბულგარეთში პანასი, ბულგარეთის ელჩი ტოშევი, სერბეთისა და ბულგარეთის მონარქები და სხვ. მოლაპარაკებაში აქტიურ

მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის სამხედრო ატაშე სოფიაში. პოლკოვნიკი რომანოვსკი, რუსეთის ელჩები სოფიასა და ბელგრადში ნეკლიუდოვი და გარტვიგი. ინგლისი და საფრანგეთი საქმის კურსში იყვნენ და თანაუგრძნობდნენ ბალკანეთის კავშირის შექმნას. მაგრამ მათ სრულიადაც არ სურდათ, რომ ეს კავშირი რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ გამოეყენებინა: მათ ეშინოდათ თურქეთში საკუთარი ეკონომიური უფლებების შელახვისა და, რაც მთავარია, არ სურდათ დაეშვათ რუსეთი სრუტეებთან. ბალკანეთის კავშირის ძირითადი ხელშეკრულება — სერბეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1912 წლის 13 მარტს. 2 ივლისსა და 28 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება სერბეთსა და ბულგარეთის გენშტაბებს შორის. 1912 წლის 29 მაისს ხელმოწერილ იქნა საბერძნეთ-ბულგარეთის თავდაცვითი სამხედრო კავშირი, ხოლო 1912 წლის 5 ოქტომბერს—სამხედრო კონვენცია. ჩერნოგორია ბალკანეთის კავშირს შეუერთდა 1912 წლის სექტემბერში. ბალკანეთის კავშირის მიზანი იყო გაერთიანებული ძალით, დაუყოვნებლივ დაერტყათ თურქეთისათვის და უკან დაებრუნებინათ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები.

1912 წლის ზაფხულში ალბანელმა ხალხმა თურქეთის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყება დაიწყო. 28/XI ეროვნულმა კრებამ ალბანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თურქეთი მხეცურად უსწორდებოდა აჯანყებულებს. ამ ვითარებამ დააჩქარა ბალკანეთის კავშირის ომი თურქეთთან. 1912 წლის 9 ოქტომბერს, დილით საომარი მოქმედება დაიწყო ჩერნოგორიამ. 17 ოქტომბერს ბრძოლაში ჩაებნენ სერბეთი და ბულგარეთი, 17 ოქტომბერს — საბერძნეთი. მოკავშირეთა ძირითად ბირთვს ქმნიდა ბულგარეთის 400 ათასიანი არმია. თურქეთის არმიამ სწრაფი და დიდი მარცხი განიცადა. ბულგარეთის არმია კონსტანტინოპოლს უახლოვდებოდა. ბერძნებმა დაიკავეს სალონიკი, სერბებმა — მაკედონია, ჩრდილოეთ ალბანეთი და ნოვი-პაზარის (ნოვობაზრის) სანჯაყი (მაზრა). 1912 წლის 3 ნოემბერს თურქეთმა ზავი ითხოვა. დაიწყო საზავო ხელშეკრულების პირობების შემუშავება. სერბეთს ზღვაზე გასასვლელი სურდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ დაეთმო ჩრდილოეთ ალბანეთი. ამ ვითარებამ საშიში დაძაბულობა შექმნა. ავსტრია-უნგრეთის მმართველი წრეები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სერბეთის ამ მისწრაფებას, რადგანაც სერბეთის ზღვაზე გასვლა ამ ქვეყნის გაძლიერებას მოასწავებდა. ავსტრია-უნგრეთის მმართველი წრეები და მხედრიონი ტახტის მემკვიდრის ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მეთაურობით სერბეთთან ომს მოითხოვდნენ. ავსტრია-უნგრეთ-

მა ნაწილობრივ მობილიზაციაც კი გამოაცხადა. რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს სერბების მოთხოვნებს. სერბეთი ხომ მისი ყველაზე ერთგული დასაყრდენი იყო ბალკანური პოლიტიკის სფეროში, რადგანაც ბულგარეთის მეფე ფერდინანდ კობურგელი კვლავ გერმანულ და ავსტრია-უნგრულ ორიენტაციას ავლენდა. რუსეთს მხარს უჭერდა საფრანგეთი. რუსეთშიც ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა. მდგომარეობა დაიძაბა. დიდმა სახელმწიფოებმა იკისრეს საზავო ხელშეკრულების პირობების შემუშავება. 1912 წლის დეკემბერში ლონდონში მოიწვიეს ორი საერთაშორისო კონფერენცია. ერთ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მებრძოლი მხარეები, მეორეში ევროპის ექვსი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები. ამ კონფერენციას ხელმძღვანელობდა სერ ედუარდ გრეი. საზავო ხელშეკრულების პროექტის მიხედვით, ალბანეთი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ეს „დამოუკიდებლობა“ მეტად პირობითი იყო, რადგანაც თურქეთი კვლავ იტოვებდა ალბანეთის მიმართ სიუზერენულ უფლებებს ექვსი დიდი სახელმწიფოს კონტროლის პირობებში. უფრო გვიან, 1914 წელს ალბანეთის მთავრად დასვეს გერმანელი პრინცი ვილჰელმ ვიდი, ალბანეთის მთავრის ტიტულით. ამიერიდან ალბანეთში გავლენისათვის მებრძოლთა შორის ვხედავთ ორ „ძველ მოკავშირეს“ — იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს. სერბეთმა ჯარები გაიყვანა ალბანეთიდან. რუსეთი ომისათვის მზად არ იყო; იგი იძულებული გახდა დროებით მაინც მოეთმინა ეს ახალი დამცირება. თურქული ევროპა, საზავო პირობების თანახმად, უნდა განაწილებულიყო ბულგარეთს, სერბეთს, საბერძნეთსა და ჩერნოგორიას შორის. თურქეთს რჩებოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლი და მიწის მცირე ნაკვეთი ორივე სრუტის სანაპირო ზოლში.

თურქეთის მთავრობამ უარყო ეს პირობები. 1913 წლის იანვარში საომარი მოქმედება განახლდა. თურქეთის არმიამ ახალი მარცხი იწვნია. პორტამ კვლავ ზავი ითხოვა. 1913 წლის 16 აპრილს დაიდო ზავი თურქეთსა და ბულგარეთს შორის, 20 აპრილს — დანარჩენ მოკავშირეებთან. 1913 წლის 30 მაისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი.

თურქეთის მდგომარეობა თითქოსდა გამოუვალი იყო, მაგრამ მოკავშირეთა შორის ნადავლის გაყოფის გამო წარმოშობილმა მწვავე დავამ არსებითად შეცვალა ვითარება. დღის წესრიგში დადგა ომი თვით მოკავშირეთა შორის. „ბალკანეთის კავშირი“ იშლებოდა. კონფლიქტის ძირითად საბაბად მაკედონიის ტერიტორია იქცა. სერბები, რომლებმაც ალბანეთი დათმეს, კომპენსაციის სახით მოითხოვდნენ თითქმის მთელ მაკედონიას. სერბეთს მხარს უჭერდა სა-

ბერძნეთი. ეს წინააღმდეგობა უკვე თურქეთთან ომის განახლების დროს წარმოიშვა. 1913 წლის 1 ივნისს, ანუ თურქეთთან ლონდონის საზავო ხელშეკრულების დადებიდან ორი დღის შემდეგ გაფორმდა ბულგარეთ-საბერძნეთის კავშირი. ამ კავშირს შეუერთდა რუმინეთიც, რომელსაც ეშინოდა ბულგარეთის გაძლიერებისა და, თავის მხრივ, მისგან დობრუჯის დათმობას ითხოვდა. მეფის რუსეთის დიპლომატია ცდილობდა გადაერჩინა ბალკანეთის კავშირი, მაგრამ ამაოდ. ავსტრია-უნგრეთი აქეზებდა ბულგარეთს სერბებისა და ბერძნების წინააღმდეგ, ავსტრია-უნგრეთი ცდილობდა ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით და დაეშალა „ბალკანეთის კავშირი", რომელიც რუსეთმა მის წინააღმდეგ შექმნა. 1913 წლის 29 ივნისს ბულგარეთმა სერბებთან და საბერძნეთთან დაიწყო ომი, რომელიც „ბალკანეთის მეორე ომის" სახელითაა ცნობილი. ანტიბულგარულ კოალიციას შეუერთდა თურქეთიც, რომელიც იმედოვნებდა დაკარგულიდან ზოგიერთი რამ მაინც დაებრუნებინა. ბულგარეთის წინააღმდეგ ომში ჩაება რუმინეთიც. მას სურდა ხელთ ეგდო დობრუჯა.

ბულგარეთი დამარცხდა. 1913 წლის 10 აგვისტოს ბუქურეშტში დადებულ იქნა ზავი. ზავის თანახმად, რუმინეთმა მიიღო დობრუჯა, სერბეთმა — მაკედონიის სადავო ტერიტორია, თურქეთმა დაიბრუნა ადრიანოპოლისი და აღმოსავლეთ თრაკიის ნაწილი, საბერძნეთმა მიიღო სამხრეთ მაკედონია, ეპირი, სალონიკი, ეგეოსის ზღვის თითქმის ყველა კუნძული და დასავლეთ თრაკიის ნაწილი. ავსტრია-უნგრეთი მზად იყო ბულგარეთისათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა და სერბეთს თავს დასხმოდა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაზე მას ხელი ააღებინა გერმანიის პოზიციამ. გერმანიამ ამჯერად ავსტრია-უნგრეთს კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარება ურჩია. გერმანია ომისაგან თავს იკავებდა, 1913 წელს იგი ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს არმიის გაძლიერების მიზნით. ამასთან ერთად გერმანიამ იცოდა, რომ ევროპული კონფლიქტის შემთხვევაში ინგლისი განახორციელებდა თავის საკავშირო ვალდებულებებს. წარმატებებით გათამამებულმა სერბეთმა ალბანეთის ტერიტორიის ოკუპაცია დაიწყო. ავსტრია-უნგრეთმა მას მკაცრი ულტიმატუმი წარუდგინა. რუსეთი სერბეთს უჭერდა მხარს, მაგრამ ომის დაწყება ისევ და ისევ არ სურდა. 1913 წლის ოქტომბერში სერბებმა დატოვეს ალბანეთი.

ბალკანეთის ქვეყნების თურქეთზე გამარჯვებას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. ი. ლენინი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთში მონარქიების კავშირი შეიქმნა და არა რესპუბლიკების კავშირი, — მიუხედავად იმისა, რომ კავშირი განხორციელდა ომის

მეოხებით და არა რევოლუციის მეოხებით, — მიუხედავად ამისა, გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი მთელ აღმოსავლეთ ევროპაში შუასაუკუნეობრიობის ნაშთების დანგრევისაკენ"[1]. ამ ნაშთებში ვ. ი. ლენინი გულისხმობს აბსოლუტიზმს, ფეოდალიზმს და ეროვნებათა ჩახშობას, „რომლებიც (ე. ი. ეს ნაშთები — გ. კ.) საშინლად აფერხებენ საზოგადოებრივ განვითარებას და პროლეტარიატის ზრდას"[2]. ბალკანეთის ხალხების განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ყველაზე დიდი საწინდარი იყო. ბალკანელი ხალხის განთავისუფლება დღის წესრიგში აყენებდა ავსტრია-უნგრეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას, მათ შორის სამხრეთ სლავებისას, რომლებიც მხარდაჭერას აღორძინებული სერბეთის სახით ჰპოულობდნენ. ავსტრია-უნგრეთი მზად იყო გაესრისა პატარა სერბეთი. ბალკანეთის ომებმა დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობები კიდევ უფრო დაძაბა.

სულ მალე ახლო აღმოსავლეთში ახალი კონფლიქტი დაიწყო. 1913 წლის ნოემბერში შეთანხმების თანახმად, გერმანიამ თურქეთში 42 ოფიცერი გაგზავნა გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით. სანდერსს ევალებოდა თურქეთის არმიის რეორგანიზაცია. მასვე დაევალა სრუტეებთან განლაგებული სამხედრო კორპუსის სარდლობა. 14 დეკემბერს ფონ სანდერსი კონსტანტინოპოლში ჩავიდა. გერმანიის იმპერიალიზმმა ამ მისიით საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი დაძაბულობა შეიტანა. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სანდერსის მისიის შედეგად თურქეთის არმია გერმანიის კონტროლს უმორჩილდებოდა, რუსეთმა განგაში ატეხა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ნ. კოკოვცევი ბერლინს ესტუმრა და პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას ვილჰელმთან და გერმანიის კანცლერთან. პეტერბურგმა მიმართა ლონდონსა და პარიზს. პორტა ანგარიშს არ უწევდა რუსეთის პროტესტს. „თქვენ იცით, თუ როგორია ჩვენი ინტერესები ბოსფორის მიმართ, თუ რაოდენ მგრძნობიარენი ვართ ჩვენ ამ საკითხში. მასზეა დამოკიდებული მთელი სამხრეთ რუსეთის ბედი. თქვენ კი ახლა ჩვენს ცხვირწინ პრუსიის გარნიზონი განალაგეთო", — ეუბნებოდა საზონოვი ერთ-ერთ გერმანელ ჟურნალისტს. სანდერსის მისიის წინააღმდეგ რუსეთმა ვერა გააწყო რა. მიაღწია მხოლოდ იმას, რომ სანდერსი სრუტეებთან განლაგებული შენაერთის მეთაურობისაგან გაათავისუფლეს. 1914 წლის იანვარში სანდერსს თურქეთის არმიის ფელდმარშლობა უბოძეს, ამიერიდან ასეთი დიდი რანგის ოფიცრისაგან კორპუსის სარდლობა შეუფე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მსოფლიო ისტორიის ახალი თავი, თხზ., ტ. 18, გვ. 445.

[2] იქვე, გვ. 444.

რებელი იყო. სანდერსის მისიამ ხელი შეუშალა გერმანია-რუსეთის 1904 წლის სავაჭრო ხელშეკრულების განახლების საქმეს. რუსეთისა და გერმანიის პრესაში ხელშეკრულების ირგვლივ სასტიკი პოლემიკა გაჩაღდა. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

როგორც ვნახეთ, 1911 წლიდან ევროპა პერმანენტული და მწვავე კრიზისების ტყვეობაში აღმოჩნდა. წინააღმდეგობანი დიდ სახელმწიფოთა შორის გაღრმავდა და სრულიად შეურიგებელი ხასიათი მიიღო. „სამთა შეთანხმება“ და „სამთა კავშირი“ სწრაფად შეიარაღდა. სამხედრო ბიუჯეტი ზღაპრულად გაიზარდა, მოკავშირე ქვეყნების გენშტაბები გულმოდგინედ ადგენდნენ ერთობლივი საომარი მოქმედების გეგმებს.

ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობა კვლავ დომინირებს. ომის დაწყების წინ ინგლისელებმა ერთხელ კიდევ სცადეს ამ წინააღმდეგობათა მეტ-ნაკლები რეგულირება (ჰოლდენის მისია, ბაღდადის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით შეთანხმება, მოლაპარაკება პორტუგალიის კოლონიების ურთიერთშორის განაწილების შესახებ და სხვ.). ინგლისელთა ასეთი მოქმედება გერმანელებმა უსწოროდ გაიგეს: გერმანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ კონტინენტზე ომის გაჩაღების შემთხვევაში ინგლისი ნეიტრალიტეტს დაიცავდა. აქედან გამომდინარე, გერმანიას რუსეთისა და საფრანგეთის მიმართ უფრო გამომწვევად ეჭირა თავი.

1914 წლის 28 ივნისს ბოსნია-ჰერცეგოვინას სერბებით დასახლებულ ცენტრალურ ქალაქ სარაევოში სერბმა პატრიოტმა, ბოსნიის ტერორისტულ-პატრიოტული ჯგუფის „ახალგაზრდა ბოსნიის“ წევრმა, 19 წლის მოსწავლემ გავრილო პრინციპმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე.

სარაევოს გასროლა საბედისწერო აღმოჩნდა. იგი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიის, — პირველი მსოფლიო ომის საბაბად იქცა.

ავსტრია-უნგრეთმა სარაევოს მკვლელობაში ბრალი სერბეთის მთავრობას დასდო, თუმცა ტერორისტული აქტი მოამზადა სერბულმა ნაციონალისტურ-ტერორისტულმა ორგანიზაციამ „შავმა ხელმა“ („გაერთიანება ან სიკვდილი“), ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ სლავების გაერთიანებას „დიდი სერბეთის“ შექმნის გზით. „შავი ხელის“ ბელადი სერბეთის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი დრაგუტინ დიმიტრიევიჩი (მეტსახელად „აპისი“) მეტად ძლიერი პიროვნება იყო და სერბეთის მთავრობას, პაშიჩის მეთაურობით, მისი ეშინოდა კიდეც. სარაევოს ტერორისტულ აქტს

პრინციპთან ერთად ამზადებდნენ ბოსნიელი პატრიოტები ნედელკო ჩაბრინოვიჩი, ტრიფკო გრაბეჟი და მუჰამედ მეჰმედ-ბაშიჩი.

ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოზეფი ღრმად მოხუცი იყო და დღეს თუ ხვალ ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძმისწული ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, რომელიც ავსტრიული დიდმპყრობელური პოლიტიკის მთავარ მესვეურს წარმოადგენდა. იგი (კონრად ფონ ჰოეტცენდორფთან ერთად) ხელმძღვანელობდა „ომის პარტიას", რომელიც პირველ ყოვლისა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი სლავების ქომაგის—სერბეთის განადგურებას ისახავდა მიზნად. „შავმა ხელმა" ერცჰერცოგს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სერბეთის მთავრობა დარწმუნებული იყო შეთქმულების არსებობაში და არ იწონებდა მას. სერბეთის მთავრობამ იცოდა, რომ ფრანც-ფერდინანდის მოკვლა ნიშნავდა ავსტრიასთან ომს, რაც მდგომარე მომენტში სერბეთს არ აწყობდა. სერბეთის არმიამ ბალკანეთის ომების შედეგად განიცადა დიდი ზარალი, რომელიც ჯერჯერობით აღდგენილი არ იყო. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ სერბეთის მოკავშირე —რუსეთი დიდი ომისათვის სათანადოდ მზად არ იყო. აქ არმიის რეორგანიზაციის გრანდიოზული გეგმის განხორციელება გაჭიანურდა.

მოვლენათა მსვლელობა დააჩქარა ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ, რომელმაც 28 ივნისს ბოსნიაში, სერბეთის საზღვართან ახლოს დანიშნა დიდი სამხედრო მანევრები. აღსანიშნავია, რომ 28 ივნისი სერბი ხალხის ეროვნული გლოვის დღეც არის (1389 წელს, 28 ივნისს თურქებმა კოსოვო-პოლიეზე გაანადგურეს სერბეთის არმია და ამიერიდან სერბეთს დაეპატრონნენ). ყველაფერი ეს შეურაცხყოფდა სერბების ეროვნულ გრძნობებს და კიდევ უფრო ზრდიდა ავსტრიისადმი მტრულ განწყობას. ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი სარაევოში სამხედრო მანევრებზე დასასწრებად ჩამოვიდა.

გერმანელების მხარდაჭერაში დაიმედებულმა ავსტრია-უნგრეთმა 23 ივლისს სერბეთს წარუდგინა ულტიმატუმი, რომლის მიღება სერბეთისათვის ეროვნულ სუვერენიტეტზე უარის თქმას მოასწავებდა. ულტიმატუმის ვადა 48 საათი იყო. რუსეთმა ამჯერად სერბეთს მტკიცე დახმარება აღუთქვა. საფრანგეთმა რუსეთს მხარი დაუჭირა. 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა. 30 ივლისს რუსეთმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო 3 აგვისტოს — საფრანგეთს. 4—5 აგვისტოს ომში ინგლისიც ჩაება.

ასე დაიწყო პირველი მსოფლიო-იმპერიალისტური ომი, რომლის გაჩაღებაში დამნაშავე იყო ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო. ხოლო გერმანიამ ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულა.

1914-18 წლების პირველი მსოფლიო ომი

პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათი და ამოცანები

სარაევოს გასროლა მსოფლიო ისტორიაში არნახული ტრაგედიის საბაბი გახდა. დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი, „რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ ყველა ქვეყნის მთავრობანი და ბურჟუაზიული პარტიები“ [1]. ომმა, რომელიც გაგრძელდა 4 წელი, 3 თვე და 14 დღე (1914 წლის 28 ივლისი — 1918 წლის 11 ნოემბერი) კაცობრიობას მოუტანა არნახული ტანჯვა, შიმშილი და განადგურება. 1914 წელს მსოფლიო ომი ევროპის კონტინენტზე გაჩაღდა, მაგრამ სულ მალე მან მსოფლიო ხასიათი მიიღო. ომის გენეზისი იმპერიალიზმის მსოფლიო წინააღმდეგობათა სიღრმეში მომზადდა. რაც შეეხება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს, რომლებიც XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა, ისინი აღმოცენდნენ არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო წინააღმდეგობათა ბაზაზე.

ომის დასაწყისისთვის მასში მონაწილეობდა ევროპის 8 სახელმწიფო 732 მილიონი მოსახლეობით (კოლონიებითურთ), რაც მსოფლიო მოსახლეობის 44,2%-ს შეადგენდა. ~~ომის ბოლო ეტაპზე~~ მასში უკვე 33 სახელმწიფო მონაწილეობდა (პლანეტაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საერთო რიცხვი 53-ს აღწევდა) 1,5 მილიარდი მოსახლეობით, რაც პლანეტის მოსახლეობის 87%-ს უდრიდა. ფრონტის საერთო სიგრძე 3000 კილომეტრზე იყო გადაჭიმული, ომის განმავლობაში მებრძოლ მხარეთა მიერ გაწეული პირდაპირი ხარჯები 208 მილიარდ დოლარს უდრიდა, რაც ათჯერ აღემატებოდა მსოფლიოში 1793—1907 წლებში ჩატარებული ომების პირდაპირ ხარჯებს.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ომის დროს ყველა მეომარმა მხარემ მობილიზაცია უყო 73.515 ათას კაცს (ანტანტამ —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია, თხზ., ტ. 21, IV გამოც., გვ. 15.

48.355 ათასს, გერმანიის კოალიციამ — 25.160 ათასს). ომის დროს დაიღუპა დაახლოებით ათი მილიონი კაცი. დაიჭრა და დასახიჩრდა 20 მილიონზე მეტი. უგზოუკვლოდ დაიკარგა და ტყვედ ჩავარდა დაახლოებით რვა მილიონი ადამიანი, ათი მილიონი დაიღუპა შიმშილითა და ეპიდემიით. ომმა იმსხვერპლა აგრეთვე მილიონობით მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბევრი ბავშვი, ქალი და მოხუცი.

მსოფლიო ომმა, რომელიც ანტანტის გამარჯვებით დამთავრდა, კაცობრიობას არნახული ნგრევა და გაჩანაგება მოუტანა. საერთო ზარალი, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 338 მილიარდ დოლარითაა განსაზღვრული. დაინგრა მრავალი ქალაქი, სოფელი. განადგურდა ფაბრიკა-ქარხნები და სხვ. მარტო ჩრდილოეთ საფრანგეთში განადგურდა 23 ათასი სამრეწველო საწარმო, მათ შორის 50 ბრძმედი, 4000 კმ რკინიგზა, 9700 რკინიგზის ხიდი, 290.000 საცხოვრებელი სახლი, დაინგრა ათეული ათასობით შენობა.

ომმა გამოიწვია ეკონომიური, სამრეწველო და ადამიანთა რესურსების მწვავე გაჩანაგება, რამაც უკვე 1916 წლისათვის კატასტროფული ხასიათი მიიღო. სახალხო მეურნეობა განადგურდა, დაიწყო საყოველთაო სასურსათო კრიზისი და შიმშილი, ნედლეულისა და სათბობის მწვავე ნაკლებობა. ომმა დიდი ზარალი მიაყენა სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ერთად სავაჭრო-სამგზავრო ფლოტს. სულ ომის განმავლობაში საზღვაო ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო 3000 საბრძოლო და 10.000 დამხმარე ხომალდმა. მათ შორის დაიღუპა 627 სახაზო ხომალდი, კრეისერი, საესკადრო ნაღმოსანი, წყალქვეშა ნავი და 1000 დამხმარე ხომალდი. ომის დროს განადგურდა 6000 სავაჭრო და სამგზავრო გემი. ანტანტის ქვეყნების მიერ დაკარგული სავაჭრო ფლოტის საერთო ტონაჟი 10.436.579 ბრუტო-ტონას უდრიდა, ნეიტრალურ ქვეყნებთან ერთად — 12.723.841 ბრუტო-ტონას. ამავე პერიოდში ფლოტის რეპროდუცირება უდრიდა 9.550.000 ბრუტო-ტონას.

ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობდა დაემალა ხალხისათვის, მშრომელი მასებისათვის ომის აღმოცენების ნამდვილი მიზეზები. ანუ ის, თუ ვინ ამზადებდა მას, ვისთვის იყო იგი სასარგებლო. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, ასრულებს რა „სოციალურ დაკვეთას", ამტკიცებს, რომ ომში დამნაშავეა ყველა და ყველაფერი გარდა კაპიტალისტური სისტემისა, რომ იგი არაა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ლოგიკური შედეგი, რომ იგი არის შედეგი ცალკეულ პირთა თუ სახელმწიფოთა მცდარი პოლიტიკისა, ანუ შემთხვევითი გარემოებებისა. ასეთ ტენდენციას მოსდევს ომის მიზეზების, ხასიათისა და შედეგების უსწორო ახსნა.

მიმდინარეობს გაუთავებელი დავა მეორეხარისხოვანი საკითხების გარშემო: ვის სურდა ომი, ვილჰელმ II-ეს თუ ნიკოლოზ II-ეს, პუანკარეს, იზვოლსკის, საზონოვს თუ სხვას.

1914 წლიდან ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ წამოიწყო კამპანია — „ვინ არის დამნაშავე?". თითოეული მხარე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისი ქვეყანა დამნაშავე არაა, რომ მას თავს ესხმიან, რომ იგი იძულებულია დაიცვას თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. თითოეული მხარე ამტკიცებდა, რომ იგი იცავს თავისუფლებას, დემოკრატიას, ჰუმანიზმს. ვერსალის საზავო ხელშეკრულების 231-ე მუხლის თანახმად, გამარჯვებულმა ქვეყნებმა ომში დამნაშავედ მხოლოდ გერმანია ცნეს. ეს ვითარება ისტორიოგრაფიაშიც აისახა. ამიერიდან ე. წ. „ანტანტაფილურმა" ისტორიოგრაფიამ დამნაშავედ გერმანია აღიარა და სავსებით გამართლებულად ცნო ის მძიმე რეპარაციები, რომლებიც გერმანიას დაეკისრა. გერმანელმა ისტორიკოსებმა „ანტანტაფილური" ისტორიოგრაფიის რევიზია დაიწყეს. ისტორიკოსთა შორის გაჩაღდა „დოკუმენტებითა და მემუარებით ბრძოლა". გერმანელ რევიზიონისტებს გამოუჩნდნენ მოკავშირეები აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის ზოგიერთი ისტორიკოსის სახით, განსაკუთრებით „დაუესის გეგმის" შემდეგ, როცა კაპიტალისტურმა სამყარომ საბჭოთა რუსეთის მზარდი ძლიერების საპირისპიროდ გერმანიის აღდგენა-გაძლიერება განიზრახა. ამიერიდან დასავლეთის ისტორიკოსთა შორის ფეხი მოიკიდა პირველი მსოფლიო ომის აღმოცენებაში რუსეთის დამნაშავედ აღიარების ტენდენციამ.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ომის აღმოცენების ჭეშმარიტი მიზეზების დადგენის საქმეში სრულიად უძლური აღმოჩნდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ომის ობიექტური მიზეზების სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში დამნაშავედ წარმოსდგებოდა თვით კაპიტალისტური სისტემა. ამიტომაა, რომ საბაბისეული, შემთხვევითი ფაქტორები (ცალკეულ პიროვნებათა კაპრიზი, დიპლომატთა შეცდომები, არასწორად ორგანიზებული სახელმწიფოთა ბლოკები, სარაევოს საბედისწერო გასროლა და სხვ.) ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში პირველხარისხოვანი, მიზეზისეული უფლებებით სარგებლობდა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სავსებით სამართლიანად გამოაცხადეს ომები კაცობრიობის ისტორიაში ისტორიულად შეპირობებულ მოვლენად. ამ თეზისის წამოყენებით ისინი ებრძოდნენ იდეალისტურ კონცეფციას, რომლის თანახმად ომი წარმოადგენდა რაღაც შემთხვევით, ისტორიისგარეშე მოვლენას. ვ. ი. ლენინის განმარტებით, „ომი როდია შემთხვევითი რამ, როდია „ცოდვა", როგორც

ფიქრობენ ქრისტიანი ხუცები,... არამედ გარდუვალი საფეხურია კაპიტალიზმისა, ისევე კანონიერი ფორმაა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ცხოვრებისა, როგორც მშვიდობიანობა“ [1]. კაპიტალისტური საზოგადოების ანალიზის შედეგად ენგელსმა იწინასწარმეტყველა კიდეც მომავალი მსოფლიო ომი. ამასთან ერთად მიუთითა, რომ ამ ომში ახალგაზრდა გერმანია განსაკუთრებით აქტიურ როლს შეასრულებდა. 1887 წელს ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „პრუსია-გერმანიისთვის ახლა უკვე შეუძლებელია ᲐᲮᲮᲐ ომი, გარდა მსოფლიო ომისა. და ეს იქნებოდა წინათ უნახავი მოცულობის, უნახავი ძალის მსოფლიო ომი. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი დაახრჩობს ერთმანეთს და შეჭამს ამასთან ევროპას მთლად ერთიანად იმ ზომამდე, რა ზომითაც იგი ჯერ კიდევ არასოდეს არ შეუჭამია კალიის უთვალავ გროვას. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეული გაჩანაგება, — შეკუმშული სამოოთხი წლის მანძილზე და გავრცელებული მთელს კონტინენტზე, შიმშილი, ეპიდემია, საყოველთაო გაველურება, როგორც ჯარისა, ისე ხალხთა მასებისაც, გამოწვეული მწარე გაჭირვებით, უიმედო არევ-დარევა ჩვენი ხელოვნური მექანიზმისა ვაჭრობაში, მრეწველობაში და კრედიტის დარგში; ყოველივე ეს მთავრდება საყოველთაო გაკოტრებით“ [2]. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ომში ფ. ენგელსი გერმანიის უეჭველ დამარცხებას ითვალისწინებდა. „პრუსიის მთავრობა იძულებულია, — წერდა ენგელსი, — პოლიტიკური ომები აწარმოოს ისეთი ინტერესების გულისათვის, რომლებიც დაშორებულია ხალხისგან, რომელთაც არასოდეს არ შეუძლიათ ნაციონალური აღფრთოვანების გამოწვევა... ამ კონფლიქტში პრუსიის სახელმწიფო და პრუსიის არმია დამარცხდებიან, და ეს მოხდება, ალბათ, რუსეთთან ომში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ოთხი წელიწადი და რომელიც მისცემს პრუსიას მხოლოდ სატკივარს და ტყვიით გახვრეტილ ძვლებს“ [3].

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ომისათვის ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო ემზადებოდა, ომის აღმოცენებაში დამნაშავეა ყველა მათგანი, გერმანიამ კი განსაკუთრებით აგრესიული როლი შეასრულა. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის აღმოცენება იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურმა კანონებმა განაპირობა. ომი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურესად გაღრმავებისა და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები, თხზ., ტ. 21, გვ. 31.

[2] მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ, თბ., 1944, გვ. 76.

[3] იქვე, გვ. 66.

გამწვავების შედეგად მომწიფდა და ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის „მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის“ ბრძოლის შედეგად აღმოცენებული წინააღმდეგობა ქმნის, პირველ ყოვლისა, ომის აუცილებლობას. წინააღმდეგობა ღრმავდებოდა, მწვავდებოდა და შეურიგებელ, კატასტროფულ ხასიათს ღებულობდა. ომი გარდაუვალი იყო, რადგანაც „კაპიტალიზმის დროს წარმოუდგენელია, შეუძლებელია გაყოფის სხვა რაიმე საფუძველი, სხვა რაიმე პრინციპი, გარდა ძალისა“ [1]. პირველი მსოფლიო ომი მოულოდნელად როდი აღმოცენდა, მისი მომზადება გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. მას წინ უძღოდა მწვავე კონფლიქტები და კრიზისები ჩრდილოეთ აფრიკაში, შორეულ და ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთზე და სხვაგან, როცა ომის გაჩაღების საქმე ბეწვზე ეკიდა.)

ვ. ი. ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ ამომწურავ პასუხს გვაძლევს იმპერიალისტური ომების წარმომშობი მიზეზების შესახებ. „თავისუფალი ვაჭრობა და მშვიდობიანი კონკურენცია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — შესაძლებელი და აუცილებელი იყო, ვიდრე კაპიტალს შეეძლო შეუფერხებლად გაედიდებინა კოლონიები და ხელთ ეგდო დაუკავებელი მიწები აფრიკაში და სხვაგან, ამასთან კაპიტალის კონცენტრაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო, მონოპოლისტური საწარმოები, ე. ი. ისეთი უზარმაზარი საწარმოები, რომ მათ ებატონათ მრეწველობის მ თ ე ლ მოცემულ დარგში, ჯერ კიდევ არ იყო. ასეთ მონოპოლისტურ საწარმოთა წარმოშობა და ზრდა... შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ს ხდის წინანდელ თავისუფალ კონკურენციას, ფეხიდან ნიადაგს აცლის მას, ხოლო დედამიწის გაყოფა მონოპოლისტებს ი ძ უ ლ ებ უ ლ ს ხ დ ი ს მშვიდობიანი გაფართოებიდან გადავიდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე კოლონიებისა და გავლენის სფეროების გ ა დ ა ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს“ [2].(XIX საუკუნის დაძლევს და XX საუკუნის დამდეგს, როცა კაპიტალიზმი საბოლოოდ გადაიზარდა იმპერიალიზმში, მსოფლიო უკვე ძირითადად განაწილებული იყო, „მშვიდობიანი გაფართოება“ აღარ შეიძლებოდა, დღის წესრიგში დადგა მისი ხელახალი განაწილების საკითხი, ანუ გამწვავდა წინააღმდეგობა მოქიშპე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გატანისა და დაბანდებისათვის, სტრატეგიული პოზიციებისათვის.)

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტ. III, თბ., 1933, გვ. 126.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მეორე ინტერნაციონალის კრახი, თხზ., ტ. 21, გვ. 264—265.

მსოფლიო იმპერიალისტური ომი „ეს არის ომი ავაზაკურ დიდ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის კოლონიების გაყოფისათვის, სხვა ერთა დამონებისათვის, სარფისა და პრივილეგიებისათვის მსოფლიო ბაზარზე", — წერდა ვ. ი. ლენინი [1]. „შეიარაღების ზრდას, ბაზრებისათვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის განვითარების უახლესი, იმპერიალისტური, სტადიის ეპოქაში, ყველაზე ჩამორჩენილი, აღმოსავლეთ ევროპის მონარქიების დინასტიურ ინტერესებს აუცილებლად უნდა გამოეწვიათ და კიდევაც გამოიწვიეს ეს ომი", — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი [2].

1914-18 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის აღმოცენების მიზეზების გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მიერ დადგენილ კანონს იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უთანაბრო განვითარების შესახებ, რაც კაპიტალისტურ სამეურნეო მსოფლიო სისტემის საერთო კრიზისს აღრმავებდა და აჩქარებდა ომის აღმოცენების აუცილებლობას. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო, ნახტომისებური განვითარების შედეგად XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ძალთა თანაფარდობა კაპიტალისტურ სამყაროში დაირღვა. ევროპაში ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ინგლისსა და საფრანგეთს საგრძნობლად გაუსწრო. ახალგაზრდა კაპიტალისტურმა ქვეყანამ — გერმანიამ. აღმოსავლეთში გაძლიერდა იაპონია; აშშ XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალისტური წარმოების ავანგარდში ჩადგა. ახლად აღზევებული სახელმწიფოები ეძებდნენ „ადგილს მზის ქვეშ", უპირისპირდებოდნენ ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მსოფლიო ძირითადად ძველმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დაიპყრეს, ახლად აღზევებულმა ქვეყნებმა — აშშ-მა, გერმანიამ, იაპონიამ ცალ-ცალკე მოითხოვეს კოლონიური სამყაროს გადანაწილება, დაიწყეს ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამ ვითარებამ დააჩქარა ომის გარდუვალობა. ევროპაში განსაკუთრებით გააქტიურდა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, აღმოსავლეთში — იაპონია. მსოფლიოში უძლიერესმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომის დასაწყისში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ევროპაში და აღმოსავლეთში შექმნილი კონფლიქტით ისარგებლა, გამდიდრდა, პოზიციები განიმტკიცა და, როცა ებრძოლი მხარეები

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მოწოდება ომის შესახებ, თხზ., ტ. 21, გვ. 419.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია, თხზ, ტ. 21. გვ. 15.

დასუსტდნენ, ომშიც ჩაება, გამარჯვებულთა ანსამბლს შეუერთდა, როგორც მოვლენათა დირიჟორი და თავისი მსოფლიო ჰეგემონობა განიმტკიცა.)

(იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც კაპიტალისტურ სამყაროში ომის აღმოცენების მიზეზს წარმოადგენდა. საქმე ეხება იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდას, რამაც 1914 წლის გაზაფხულისათვის საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო, და კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას.) ისტორიაში ცნობილია, რომ შინაგანი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისებისაგან თავის დასაღწევად მმართველი წრეები ხშირად ომს მიმართავდნენ. ასეთ პოლიტიკას საფუძველი ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ჩაეყარა, მას იყენებდნენ შუა საუკუნეებში. ასე იყო ახლაც. იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ომის შემთხვევაში მშრომელთა პროტესტი მინელდებოდა, მთელი გულისყური საგარეო პრობლემებისკენ იქნებოდა გადატანილი, სამშობლოს დაცვის მოწოდება გათიშავდა მშრომელთა კლასობრივ სოლიდარობას. ინტერნაციონალიზმის პრინციპს შეცვლიდა ნაციონალიზმი, შოვინიზმი. აგრესიულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პროლეტარიატსა და სხვა მებრძოლი, პროგრესული ძალების გათიშვის გზით ისინი უზრუნველყოფდნენ კაპიტალისტური სისტემის სტაბილურობას, ბოლოს მოუღებდნენ პოლიტიკურ კრიზისს და განიმტკიცებდნენ საშინაო პოზიციებს, გარდა ამისა მათ იმედი ჰქონდათ, რომ ომის შედეგად ბოლოს მოუღებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, შეინარჩუნებდნენ იმპერიების მთლიანობას და სხვ. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ომის გაჩაღებით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურთ „აღკვეთონ პროლეტარიატისა და დემოკრატიის რევოლუციური მოძრაობა ქვეყნების შიგნით, მისწრაფება — გააბრიყვონ, გათიშონ და ამოჟლიტონ ყველა ქვეყნის პროლეტარები და ამისათვის აამხედრონ ერთი ერის დაქირავებული მონები მეორე ერის დაქირავებული მონების წინააღმდეგ ბურჟუაზიის სასარგებლოდ — ასეთია ომის ერთადერთი რეალური შინაარსი და მნიშვნელობა“ [1]. აჯამებდა რა ომის ძირითად ამოცანებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში, თხზ., ტ. 21, გვ. 2.

ჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური გაბრიყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით.— ასეთია თანამედროვე ომის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი“ [1].

შინაპოლიტიკური სიძნელეები პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ფართოდ იჩენდა თავს და აჩქარებდა ომის დაწყებას. ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური დაძაბულობა გაიზარდა, კლასობრივ-რევოლუციური მოძრაობა გაფართოვდა, განსაკუთრებით კი რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის გავლენით. კლასთა ბრძოლების გამწვავება აღინიშნებოდა რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში ,გაიზარდა კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. რუსეთის იმპერიაში შემავალი დამონებული ხალხები ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აძლიერებდნენ. ირლანდიელები კვლავ მძაფრად იგერიებდნენ ინგლისელთა ძალმომრეობას. სრული პოლიტიკური გაკოტრების წინაშე იმყოფებოდა ჰაბსბურგთა ძველი, შინაგანი წინააღმდეგობებით დაღრღნილი იმპერია. ჩეხები, სლოვაკები, ხორვატები, სლოვენები, პოლონელები და ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხები ეროვნული აღორძინებისა და თვითგამორკვევისათვის იბრძოდნენ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის გენშტაბის უფროსი, პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამჩაღებელი კონრად ფონ ჰოეტცენდორფი ჯერ კიდევ 1907 წლის 4 სექტემბერს წერდა, რომ მხოლოდ „საგარეო აქციას“ (ომს) შეუძლია შინაპოლიტიკური ვითარების გაჯანსაღება. პოლონელები და ელზასელები იბრძოდნენ ძალით გაგერმანელების წინააღმდეგ. გერმანიაში სოციალისტური „სენი შეიპარა“ არა მარტო მუშათა კლასში, არამედ იგი გერმანიის იმპერიის ბასტიონს — არმიასა და ფლოტსაც შეეხო. ვილჰელმ II-ემ კატეგორიულად განაცხადა: „პირველ ყოვლისა, საჭიროა ამოვჟლიტოთ, თავები დავჭრათ სოციალისტებს, უვნებელნი გავხადოთ ისინი, თუ საჭიროა სისხლისღვრის გზითაც“. საფრანგეთში 1914 წლის არჩევნებში მემარჯვენე პარტიებმა წარუმატებლობა განიცადეს. საფრანგეთის პრეზიდენტი რაიმონ პუანკარე იძულებული იყო დაენიშნა მემარცხენე კაბინეტი რენე ვივიანის მეთაურობით. მოსალოდნელი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია, თხზ., ტ. 21, გვ. 15.

ეყო რადიკალ ჟოზეფ კაიოსა და სოციალისტ ჟან ჟორესის პოლიტიკური კოალიცია და მაშინ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი — ფრანგი იმპერიალისტების ეს იმედი—საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა. 1914 წლის აპრილის არჩევნების შემდეგ საფრანგეთის პარლამენტის უმრავლესობამ ხმა მისცა სამწლიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახურის წინააღმდეგ. დაიწყო პაციფისტური რადიკალიზმის გაძლიერება. ყოველივე ეს ფრანგი იმპერიალისტებისა და რევანშისტების გეგმებს საფრთხეს უქმნიდა.

1910 წელს ბერლინში ადგილი ჰქონდა მშრომელთა მასობრივ გამოსვლებს, რაც მოაბიტისა და ვედინგის გარეუბნებში საბარიკადო ბრძოლებში გადაიზარდა. 1911 წელს საფრანგეთში აღინიშნა მასობრივი მოძრაობის ახალი აღმავლობა. მოძრაობაში ჩაებნენ მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, მოსამსახურეები. ინგლისში 1911 წელს გაიფიცნენ რკინიგზელები, 1912 წელს— მაღაროელები. 1914 წელს ივნისში იტალიაში შეიმჩნეოდა მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის მძლავრი აღმავლობა („წითელი კვირა"). ტურინში, რომში, რავენაში, მილანოში, ფლორენციაში საბარიკადო ბრძოლები მიმდინარეობდა. ფაბრიანოში მუშებმა ძალაუფლებაც კი იგდეს ხელთ. გამწვავდა კლასთა ბრძოლები შეერთებულ შტატებში. 1913-14 წლების რუსეთის მუშათა რევოლუციური ბრძოლების აღმავლობა დამთავრდა 1914 წელს პეტერბურგში საბარიკადო ბრძოლებით. მმართველი წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი შეამჟიდროებდა ერს, მშრომელ მასებს ჩამოაშორებდა რევოლუციურ ბრძოლებს, შეანელებდა სოციალურ და პოლიტიკურ კონფლიქტებს. ომის გამოცხადების მომენტში ვილჰელმ II ამბობდა: „მე ამიერიდან აღარ ვხედავ პარტიებს, მე ვხედავ მხოლოდ გერმანელებს". ფრანგები ამტკიცებდნენ, რომ ომის შედეგად მიღწეულ იქნა „Union Sacrée", ანუ ყველა პოლიტიკური პარტიის კოალიცია, ეროვნული კონსოლიდაცია.

ამრიგად, იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ ომის გაჩაღებით ბოლო მოეღოთ რევოლუციური, პროლეტარული და ეროვნული მოძრაობისათვის, ჩამოეშორებინათ საკუთარ მშრომელთა ყურადღება შინაგანი პოლიტიკური კრიზისებისაგან. მაგრამ ომმა ვერ შეძლო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობების შენელება. მოხდა პირიქით, ომის დასასრულს კაპიტალისტური სამყარო თვით აღმოჩნდა სოციალური კატასტროფის წინაშე, ამას კაპიტალისტური საზოგადოების მესვეურთაგან თითქმის არავინ ელოდა, გარდა ზოგიერთი ბურჟუაზიული პაციფისტისა, რომელთა ხმა საერთო ნაციონალისტურ აჟიოტაჟში იკარგებოდა.

ომის დასაწყისისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს უკვე მზად ჰქონდათ მსოფლიოს გადანაწილების საკუთარი გეგმები.

გერმანიის იმპერიალიზმის მიზანი მსოფლიოზე ბატონობა იყო. ამ შემთხვევაში მისი უშუალო მეტოქე, გარდა საფრანგეთისა, ინგლისი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმეში გერმანია-რუსეთის და რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობებს. ომის წინ საკმაოდ მკაფიოდ გამოიკვეთა გერმანია-აშშ წინააღმდეგობაც. არსებობდა შედარებით მეორეხარისხოვანი დაპირისპირებანი: ინგლის-საფრანგეთის (ეგვიპტეში). ინგლის-რუსეთის (ირანში, ავღანეთსა და ტიბეტში), საფრანგეთ-იტალიის (ტუნისში), თურქეთ-რუსეთის (სრუტეებისა და კავკასიის გამო), ინგლის-თურქეთის (ეგვიპტისა და ერაყის ნავთობის გამო), ავსტრია-უნგრეთ-იტალიისა (ისტრიისა და ტრიესტის გამო) და სხვ. შორეულ აღმოსავლეთში წინააღმდეგობათა მეტად რთული კვანძი გადაინასკვა; ცენტრში იდგა ახალგაზრდა, მზარდი კაპიტალისტური ქვეყანა იაპონია, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკეანეზე გაბატონების პრეტენზიები ჰქონდა. აშშ, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფოდა. დაუპირისპირდა ორივე მებრძოლ ბანაკს. ომის მსვლელობისას მისი სიმპათიები გარდუვალი ობიექტური პირობების შედეგად (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) ანტანტისკენ გადაიხარა და 1917 წლიდან ომში ჩაება კიდეც მის მხარეზე.

„მსოფლიო პოლიტიკის" იდეა, რომელიც გერმანიის იმპერიალიზმის ხელმძღვანელმა წრეებმა წამოაყენეს, მხოლოდ მოწოდება ან მომავლის პროგრამა როდი იყო. უკვე XX საუკუნის დამდეგს ამ პოლიტიკას ჰქონდა კონკრეტული შინაარსი და რეალური საფუძველი. „მსოფლიო პოლიტიკის" რეალური მიზანი იყო გერმანიის „მსოფლიო სახელმწიფოს" შექმნა. ეს გეგმა მოქმედების ორ ასპარეზს გულისხმობდა: ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს (შორეული აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი, წინა აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა და სხვ.).

ევროპაში გაბატონების გეგმა შეიმუშავეს პანგერმანისტებმა „შუა ევროპის" (Mittel Europa) დოქტრინის სახით, რომელიც გერმანული დიდმპყრობელური პოლიტიკის პროგრამა-მინიმუმს წარმოადგენდა. ამ დოქტრინის მიხედვით, ევროპის ცენტრში უნდა შექმნილიყო ძლიერი გერმანია მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების უშუალო შემოერთების გზით. ამასთან ერთად ევროპა უნდა დამორჩი-

ლებოდა გერმანიის დიქტატს, უნდა განხორციელებულიყო ერთიანი სამეურნეო სისტემა და კაიზერისეული გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიური კონტროლი. პროგრამა-მინიმუმის განხორციელება პროგრამა-მაქსიმუმის — მსოფლიო ბატონობის განხორციელების საწინდარი უნდა გამხდარიყო.

1914 წელს გერმანიის პოლიტიკოსებს ხელთ ჰქონდათ „დიდი გერმანიის" ორგანიზების დაზუსტებული და საბოლოოდ დამუშავებული გეგმები. მათ შორის პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ე. წ. „პროფესორთა მემორანდუმი", რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის გამოჩენილმა მეცნიერებმა, მათ შორის ისტორიკოსებმა დ. შეფერმა, ფ. მაინეკემ, ო. ჰინტცემ, ჰ. ონკენმა და რამდენიმე დიდი ეკონომიური ორგანიზაციის („გერმანიის მრეწველთა ცენტრალური კავშირი", „მრეწველთა კავშირი", „სოფლის მეპატრონეთა იუნკრულ-გროსბაუერული კავშირი" და სხვ.) მიერ შემუშავებული გეგმა. არსებობდა აგრეთვე დიდმპყრობელური გეგმა, შემუშავებული პანგერმანისტული კავშირის მიერ 1914 წლის 23 აგვისტოს.

გერმანიის დიდმპყრობელური მიზნები დაახლოებით ასეთი იყო: გარდა ელზას-ლორენისა საფრანგეთს უნდა ჩამორთმეოდა რკინის მადნით მდიდარი ლონგვი და ბრიე. გერმანიას უნდა გადასცემოდა სასაზღვრო სიმაგრეები, რის შედეგადაც საფრანგეთის საზღვარი გადავიდოდა ბელფორის, ტულის, ვერდენისა და მდინარე სომის დასავლეთით. მდინარე სომის სანაპირო ლამანშამდე გერმანიას უნდა შემოერთებოდა. „საფრანგეთი უნდა გაისრისოს", — ამბობდა ვილჰელმ II. გერმანიის ხელში უნდა გადასულიყო რუსეთის იმპერიის გარკვეული ნაწილი. გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის განდევნას ბალკანეთიდან და აქ ავსტრია-უნგრეთთან ერთად გერმანული გავლენის დამკვიდრებას. გერმანიას მიზნად ჰქონდა ბელგიასა და ნიდერლანდებზე (ჰოლანდიაზე) გერმანული გავლენის გავრცელება. ევროპის მიტაცებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მრეწველობისა და წიაღისეულის ექსპლუატაციის გარდა გერმანიას სურდა აქ მიწების კონფისკაციის გზით გერმანული სამიწათმოქმედო კოლონიების შექმნა.

გერმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა მოწინააღმდეგეთათვის მათი დამარცხების შემდეგ გაეწერა მილიარდები კონტრიბუციის სახით, რაც „დიდი გერმანიის" განმტკიცების მნიშვნელოვანი საწინდარი უნდა გამხდარიყო (სათანადო გამოცდილება გერმანელებს უკვე ჰქონდათ: მათ ხომ საფრანგეთს წაართვეს 5 მილიარდი ფრანკი საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად). გერმანიის ბანკის თავმჯდომარეს

გვინერს ზავის პირობები ასე ესახებოდა: „სამი მილიარდი დოლარი და საფრანგეთის კოლონიები“. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ ანტანტის ქვეყნების დამარცხების შესახებ „დიდი გერმანიის“ შემდგომ განვითარებას ხელს ვეღარავინ შეუშლიდა.

ამთავრესი მიზანი მაინც მსოფლიოს არსებითი გადანაწილება იყო. გერმანიის იმპერიალიზმს დაპყრობითი, გრანდიოზული გეგმები ჰქონდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა შეექმნა მსოფლიო კოლონიური იმპერია ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიისა და სხვათა ხარჯზე; კოლონიური ტერიტორიები, რომლებიც გერმანიამ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში შეიძინა, მას ღარ აკმაყოფილებდა. დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დანგრევა, — აი რა იყო გერმანელთა უპირველესი ამოცანა. ამ ამოცანას ისახავდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც გერმანელებმა შეიმუშავეს და წარმატებით ახორციელებდნენ კიდეც.

ომის დასაწყისისათვის გერმანელებს აფრიკაში მნიშვნელოვანი ტერიტორიები ეპყრათ, მაგრამ ეს გერმანელთა გაზრდილ მადას ღარ აკმაყოფილებდა. მათ სურდათ შეექმნათ კოლონიური იმპერიები ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში. პირველ შემთხვევაში ერთმანეთს ეჯახებოდა გერმანიისა და საფრანგეთის ინტერესები („მაროკოს კრიზისები“), მეორე შემთხვევაში კი— გერმანია-ინგლისია. გერმანელები გრანდიოზულ დაპყრობით გეგმებს ისახავდნენ შორეული აღმოსავლეთის მიმართ, სადაც მათ უკვე მნიშვნელოვანი დასაყრდენი გააჩნდათ (ჩინეთში, წყნარი ოკეანის ზოგიერთი კუნძული). გრანდიოზული დაპყრობითი გეგმები ჰქონდათ გერმანელებს ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის მიმართ. მათ ფეხი მოიკიდეს თურქეთში, ირანში, ბალკანეთში და აქედან ინგლისელთა, ფრანგთა და რუსთა საბოლოო განდევნას ცდილობდნენ. გერმანელებს სურდათ ხელთ ეგდოთ ბელგიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის კოლონიები. გერმანელებმა ფეხი მოიკიდეს ლათინურ ამერიკაში და აქ „დასაყრდენი პუნქტები“ შეექმნეს. ამიერიდან მათ დღის წესრიგში დააყენეს „სამხრეთ ამერიკაში გერმანიის იმპერიის“ შექმნის იდეა. გერმანელები პოზიციებს იმტკიცებდნენ არგენტინაში, ბრაზილიაში, მექსიკაში. აქ საქმიანობას აჩაღებდნენ გერმანიის მონოპოლიური კაპიტალის დიდი გაერთიანებები — „ჩრდილოეთ გერმანიის ლოიდი“, „ჰამბურგ-ამერიკის ხაზი“ და სხვ. გერმანიის ლათინური ამერიკით დაინტერესებას წინ აღუდგნენ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. „ვენესუელას კონფლიქტი“ ამ წინააღმდეგობის

ერთ-ერთი პირველი გამოვლენა იყო. გერმანელთა დაინტერესების საგანი გახდა აგრეთვე ფილიპინები.

„სამხრეთ ამერიკის გერმანული იმპერიის“ შექმნის იდეამ აშშ-ის მონოპოლისტური წრეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით აქტიურობდა მორგანების სახლი.

„მსოფლიო ბატონობა ან დაღუპვა“ (Weltmacht oder Niedergang) — ასეთი იყო გერმანელ დიდმპყრობელთა დევიზი. „მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება“ და გერმანიისათვის მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალით, სისხლიანი ომის საშუალებით. „მე არ დავზოგავ არავითარ ძალას იმისათვის, რომ გერმანიას მსოფლიოში გაბატონებული სახელმწიფოს მდგომარეობა (Weltmachtstellung) მოვუპოვო“, — ამბობდა ვილჰელმ II. „...თუ ჩვენ გვსურს ჩვენს ხალხს მსოფლიო ერის მდგომარეობა მოვუპოვოთ, მთელი იმედები მახვილზე უნდა დავამყაროთ...“, — ამბობდა გენერალი ფონ ბერნჰარდი. პანგერმანისტი გენერალი ფონ ვროჰემის მიხედვით, „გერმანიის არსებობის საკითხი მხოლოდ იარაღით უნდა გადაწყდეს“. გერმანიის იმპერიალიზმი აჩქარებდა ომის გაღვივებას.

ინგლისის უპირველესი ამოცანა იყო დიდი ბრიტანეთის იმპერიის შენარჩუნება და შემდგომი გაზრდა. ინგლისელები ძირითად მეტოქედ, სავსებით სამართლიანად, გერმანელებს თვლიდნენ. ინგლისი მწვავედ განიცდიდა გერმანული წარმომავლობის საქონლის კონკურენციას მსოფლიო სავაჭრო და კოლონიურ ასპარეზზე. გერმანიის სამრეწველო ძლიერების ზრდასთან ერთად ინგლისს განსაკუთრებით აფიქრებს გერმანიის სამხედრო-საზღვაო შეიარაღების გრანდიოზული გეგმები და მასშტაბები. სამხედრო ფლოტის შენების ადმირალ ტირპიცისეული გეგმა 1914 წლისათვის ძირითადად განხორციელებული იყო. მართალია, გერმანიის ფლოტი ჯერჯერობით თავისი ძალით ინგლისისას ვერ უტოლდებოდა, მაგრამ აღებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში 1920 წლისათვის სავსებით შესაძლებელი იყო გერმანიას ინგლისისათვის გაესწრო კიდეც. ინგლისელი პოლიტიკოსები მიზნად ისახავდნენ გერმანიის ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი სამხედრო ფლოტის განადგურებას. ცნობილი ინგლისელი ადმირალი სერ ჯონ ფიშერი ამბობდა: „ჩვენ უნდა მოვახდინოთ გერმანიის ფლოტის კოპენჰაგირება კილში à la ნელსონ“ [1].

---

[1] სერ ჯონ ფიშერს მხედველობაში აქვს შემდეგი ფაქტი: 1801 წელს, 2 აპრილს, ინგლისის ფლოტი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა კოპენჰაგენს, დაბომბა ნავსადგური და გაანადგურა დანიის სამხედრო ფლოტი. ოპერაცია ჩა-

გერმანიის საქონლის მზარდ კონკურენციასთან ერთად ინგლისს აწუხებდა გერმანიის კაპიტალის შეჭრა ახლო აღმოსავლეთში, მისი პოლიტიკის გააქტიურება შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისელებს აწუხებდათ გერმანელთა პოზიციების განმტკიცება ოსმანთა იმპერიაში. ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობის მძლავრ ფაქტორს ქმნიდა ბაღდადის რკინიგზის პრობლემა. გერმანელთა შეღწევა სპარსეთის ყურეში უშუალო საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ყველაზე ძვირფას მარგალიტს — ინდოეთს. ინგლისის იმპერიალიზმს სურდა ხელთ ეგდო ნავთით და სხვა წიაღისეულით მდიდარი თურქეთის არაბული ტერიტორიები, მათ შორის ერაყი, მესოპოტამია, პალესტინა, არაბეთის ნახევარკუნძული და სხვ. ინგლისს სურდა ეგვიპტეში საბოლოოდ დამკვიდრება. ბრიტანეთის პოლიტიკოსთა სურვილი იყო გერმანიის განდევნა იმ კოლონიებიდან, რომლებიც მან XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს მოიპოვა (აფრიკაში, ჩინეთში, წყნარ ოკეანეზე და სხვ.).

ამრიგად, გერმანიის ეკონომიური, ფინანსური, სავაჭრო და სამხედრო მზარდი კონკურენციისათვის სასწრაფოდ ბოლოს მოღება, გერმანიის სავაჭრო და სამხედრო ფლოტის განადგურება — აი უპირველესი ამოცანა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პოლიტიკოსები ისახავდნენ მიზნად.

რუსეთ-გერმანიის დაპირისპირებას განაპირობებდა, პირველ ყოვლისა, ტერიტორიის პრობლემა. თვით რუსეთს გერმანიის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები თითქმის არ ჰქონდა, რაც შეეხება გერმანიას, „საარსებო სივრცის" ძიებისას, მისი პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად რუსეთის იმპერიის დაშლასა და მისი ტერიტორიების დაპყრობას ითვალისწინებდა. გერმანიას სურდა ხელთ ეგდო რუსეთის პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, ბელორუსია, უკრაინა, ყირიმი, იმიერ და ამიერკავკასია. რუსეთის დასავლეთ გუბერნიები და სხვ.

რუსეთ-გერმანიის ინტერესები მწვავედ დაეჯახა ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთში და ბალკანეთზე. რუსეთის პოლიტიკოსთა შეშფოთებას იწვევდა გერმანიის გავლენის ზრდა თურქეთში, რაც საგრძნობლად კვეცავდა თურქთა მიმართ რუსეთის პრეტენზიებს. წინააღმდეგობის ახალი კერა გაჩნდა ირანში. აქ შესამჩნევი გახდა

ატარა გამოჩენილმა ინგლისელმა ადმირალმა, „ზღვების ნაპოლეონმა", ჰორაციო ნელსონმა. დანებების ნიშნად დანიის ფლოტმა თეთრი ბაირაღი აღმართა. როცა ადმირალს ამის შესახებ მოახსენეს, მან ჰოგრიტი ბრმა თვალზე (ადმირალს ცალი თვალი ბრძოლებში ჰქონდა დაკარგული) მიიდო და განაცხადა, რომ იგი მსგავსს ვერაფერს ხედავს.

გერმანული გავლენის ზრდა და ისიც სწორედ ირანის „რუსულ ზონაში“. როგორც ვიცით, რუსეთი სამხრეთ და დასავლეთ სლავების მფარველად აცხადებდა თავს. ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის შეთანხმებული მოქმედება ბალკანეთში საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ეკონომიურ და პოლოტიკურ ინტერესებს, პანსლავიზმს, ამუხრუჭებდა რუსეთის ბალკანურ პოლიტიკას და ართულებდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობას. რუსეთს ტერიტორიული გაფართოების საკმაოდ დიდი გეგმებიც ჰქონდა. ბალკანეთის გარდა, მას სურდა დამკვიდრება გალიციაში, იგი მიზნად ისახავდა ხელთ ეგდო ნემანის ქვემო დინება და სხვ. მაგრამ უმთავრეს პრობლემად მაინც შავი ზღვის სრუტეებისა და სტამბულის (კონსტანტინოპოლის) შემოერთების პრობლემა რჩებოდა. რუსეთს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დაპატრონებოდა მათ და ამით ერთხელ და სამუდამოდ რეალობად ექცია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ეს დიდი ხნის ოცნება. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ტრადიციულ პრეტენზიებს დაემატა მონღოლეთით დაინტერესება. გერმანია-რუსეთს შორის არსებობდა სავაჭრო-ფინანსური წინააღმდეგობა. როგორც ცნობილია, გერმანიამ რუსეთის პურზე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე მაღალი ბაჟები დააწესა, რაც რუსეთის მემამულეთა შორის ანტიგერმანულ განწყობილებას ზრდიდა. ამავე დროს გერმანიის სამრეწველო პროდუქცია რუსეთის ბაზარზე ყოველგვარი კონკურენციის გარეშე რჩებოდა, რაც რუსეთის მრეწველობისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიდა. გერმანიის კაპიტალი რუსეთში თავისუფლად მოქმედებდა. გერმანელებს ეკუთვნოდათ მრავალი ქარხანა თუ ფაბრიკა, კონტროლს უწევდნენ რუსეთის რამდენიმე ბანკს და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი გერმანულმა კოლონიზაციამ (პირველი მსოფლიო ომის წინ, რუსეთში 2 მილიონზე მეტი კოლონისტი ცხოვრობდა, მათ შორის 25 ათასი ამიერკავკასიაში). გერმანელი კოლონისტები რუსეთის იმპერიის მრავალ კუთხეში სახლობდნენ, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. კოლონიზაცია ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში 1817 წლიდან დაიწყო. უკვე 1818 წლისათვის საქართველოში რამდენიმე გერმანული კოლონია დაარსდა. გერმანელები დასახლდნენ თბილისში, სართიჭალის მიდამოებში (მარიენფელდი), ასურეთში (ელიზავეტტალი), ბოლნისთან (ეკატერინენფელდი) და სხვ. რუსეთის იმპერიაში მოსახლე გერმანელი კოლონისტები გერმანიის დიდმპყრობელური პოლიტიკის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდნენ. გერმანული კოლონიზაცია უცხო ქვეყნებში „მშვიდობიანი შეჭრის“ საუკეთესო საშუალება იყო. რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში

მოსახლე გერმანელი კოლონისტები პანგერმანისტული საზოგადოებების აქტიური წევრები იყვნენ (საქართველოში მოსახლე კოლონისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ „გერმანიის ფლოტის კავშირში“ და „საზღვარგარეთ გერმანიზმის დაცვის კავშირში“). პანგერმანისტული ორგანიზაციების საქმიანობა რუსეთში მხოლოდ 1914 წელს გამომჟღავნდა. 1914 წელს პანგერმანისტულ კავშირის წევრები დააპატიმრეს და 1915 წელს გაასახლეს.

გერმანიის დიდმპყრობელური გეგმების („შუა ევროპა“, „გერმანიის მსოფლიო იმპერია“) იდეოლოგები, მათ შორის ფ. ნაუმანი, ე. ჰარტმანი, გ. ტრაიჩკე, პ. ფრანცი და სხვები ამ გეგმების განხორციელების საქმეში გერმანელ კოლონისტებს დიდ როლს აკუთვნებდნენ. აღსანიშნავია, რომ გერმანელი კოლონისტები ორმხრივი მოქალაქეობის უფლებით სარგებლობდნენ; ომის წინ, 1913 წლის 22 ივლისის კანონით გერმანიის მთავრობამ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა: გერმანელ კოლონისტს, რომელიც უცხოეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, უფლება ჰქონდა გერმანიის მოქალაქედაც დარჩენილიყო. გაწვევის ასაკს მიღწეული ასეთი მოქალაქე, სამხედრო სამსახურის მოსახდელად გერმანიაში მიემგზავრებოდა, სამსახურის მოხდის შემდეგ იგი კვლავ თავის საცხოვრებელ ადგილას ბრუნდებოდა. ასეთი კოლონისტები გერმანიის არმიის რეზერვისტებად ითვლებოდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის დროს რუსეთის იმპერიაში გერმანული დაზვერვა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა, რაც რუსეთის ბრძოლისუნარიანობას უდიდეს ზარალს აყენებდა. აღსანიშნავია, რომ კოლონისტები გერმანიის დაზვერვისათვის კარგ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

გერმანიასა და რუსეთს შორის მწვავე ეკონომიურ წინააღმდეგობაში გერმანელ კოლონისტთა პრობლემას გარკვეული ადგილი ეკავა. ომის წინ და ომის დროს რუსეთის ლიტერატურამ, პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა „გერმანელთა მოძალების“ წინააღმდეგ. იგი ასახავდა ინტერესებს რუსეთის იმ მემამულეების, მრეწველებისა და ფინანსისტებისას, რომლებიც გერმანიის მძლავრ კონკურენციას განიცდიდნენ, რუსეთში მოსახლე კოლონისტები ამ კონკურენციის სფეროში შედიოდნენ.

ამრიგად, რუსეთის იმპერიალისტური ბანაკი, რუსეთის მემამულეები და სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზია ჩქარობდა შეემუსრა გერმანიის მზარდი ძლიერება.

საფრანგეთის იმპერიალიზმი ომში დიდ ამოცანებს ისახავდა. პირველ ყოვლისა, ფრანგებს სწყუროდათ რევანში 1871 წელს ბისმარ-

კისეულ პრუსიასთან განცდილი დიდი მარცხის გამო. რევანშისტები ვერ ურიგდებოდნენ 5 მილიარდ ფრანკისა და მდიდარ ელზას-ლორენის დაკარგვას. ელზას-ლორენთან ერთად საფრანგეთს სურდა მიეღო, აგრეთვე, მდინარე რაინის მარცხენა სანაპირო და მდიდარი საარის ოლქი. ამ, ასე ვთქვათ, ძველს დაემატა ახალი წინააღმდეგობა კოლონიურ ასპარეზზე. გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა მაროკოსათვის ბრძოლის გამო. ამ ნიადაგზე იშვა ორი მეტად მძაფრი საერთაშორისო კრიზისი: 1905—1906 წლების— „მაროკოს პირველი კრიზისი" და 1911 წლისა — „მაროკოს მეორე კრიზისი". ძველი კოლონიური იმპერიის შენარჩუნებასთან ერთად საფრანგეთს მიზნად ჰქონდა დასახული ახალი ტერიტორიების შეძენა. პირველ ყოვლისა, იგი დაინტერესებული იყო ხელთ ეგდო ტერიტორიები სირიის, პალესტინისა და არაბული სამყაროს სხვა ქვეყნების ხარჯზე. გერმანიის ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების დანგრევა, აი უპირველესი ამოცანა, რომელსაც საფრანგეთი ისახავდა მიზნად. შინაგანი წინააღმდეგობებით დაღრღნილი ავსტრია-უნგრეთის იმპერია ომის საშუალებით ცდილობდა თავისი მდგომარეობის სტაბილიზებას. ავსტრია-უნგრეთის მმართველი ელიტის ყურადღების ცენტრში იდგა ბალკანეთის პრობლემა. ბალკანეთზე გაბატონებასთან ერთად ჰაბსბურგთა მონარქიის მიზანი იყო ორი დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოს — ჩერნოგორიისა და სერბეთის ლიკვიდაცია. მათი სახით ხედავდნენ ჰაბსბურგები ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მოსახლე სლავების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების ერთ-ერთ საწინდარს. „სლავური აღორძინება" კი ჰაბსბურგთა იმპერიის ყოფნა-არყოფნასთან იყო დაკავშირებული. ავსტრიის ბალკანური და ანტისლავური პოლიტიკა ქმნიდა რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობის მთავარ კვანძს. ბალკანეთზე ავსტრიის ბატონობის დამკვიდრებასთან და სერბეთის ანექსიასთან ერთად ავსტრია-უნგრეთს სურდა ხელთ ეგდო რუსეთის იმპერიის ზოგიერთი ნაწილი. მათ შორის პოლონეთის ნაწილი, პოდოლია, ვოლინი და სხვ. 1908 წელს ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის ექსპანსია ბალკანეთისა და სერბეთის მიმართ გაძლიერდა. რაც რუსეთთან ურთიერთობის შემდგომ გართულებას იწვევდა. მათს ანექსიონისტურ გეგმებში შედიოდა აგრეთვე ადრიატიკის ზღვის სანაპირო, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და ჩრდილო აფრიკის ნაწილი. ჯერ კიდევ 1907 წელს კონრად ფონ ჰოეტცენდორფი აცხადებდა: ჰაბსბურგთა მონარქიამ უნდა უზრუნველყოს თავისთვის ადრიატიკის ზღვის სანაპირო, ბალ-

კანეთის ნახევარკუნძული, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო, ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილი.

/გერმანია მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთის მისწრაფებებს. ბალკანეთზე ჰაბსბურგთა გაბატონება გერმანიისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო: მას აქ შეექმნებოდა კაპიტალის დაბანდების დიდი შესაძლებლობა (ავსტრია-უნგრეთი ხომ გერმანიის დიქტატს ემორჩილებოდა). აქედან იგი თავისუფლად მიაღწევდა თურქეთში, ეგეოსის ზღვის რაიონში და შესაძლებელი გახდებოდა ცენტრალური სახელმწიფოების სპარსეთის ყურესთან უშუალოდ დაკავშირება.

გერმანიის მხარდაჭერით წაქეზებული ავსტრია-უნგრეთი აქტიურად მოქმედებდა. ბალკანეთის კრიზისი ღრმავდებოდა და სრულიადაც არ იყო შემთხვევითი ის, რომ პირველი იმპერიალისტური ომის საბაბი სწორედ ბალკანეთის ფონზე ჩამოყალიბდა. /1914 წლისათვის ბალკანეთი „თოფის წამლით სავსე კასრს" წარმოადგენდა. ბალკანეთის ომების შედეგად თურქთა უღელი გადაგდებულ იქნა, მაგრამ გამარჯვებულთა შორის მალე მძაფრმა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი. ბულგარეთი ცდილობდა ბალკანეთის მეორე ომის დროს განცდილი მარცხის რევანში აეღო: თურქეთი საბერძნეთისათვის ეგეოსის კუნძულების წართმევას ფიქრობდა და საამისოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდა; იტალიას არ სურდა მის მიერ დაკავებული დოდეკანეზის განთავისუფლება; საბერძნეთმა და სერბეთმა არ ცნეს ალბანეთის ახალი საზღვრები... ბალკანეთის პატარა ქვეყნების ვნებათა ღელვას აძლიერებდნენ მათ ზურგს უკან მდგომი დიდი სახელმწიფოები. რუსეთი და ინგლისი ამაოდ ცდილობდნენ მოეწყვიტათ თურქეთი გერმანიისაგან. ანტანტა და გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკი სოფიაში, ათენში, ბუქურეშტში ძალებს არ ზოგავდნენ ამ ქვეყნების მთავრობათა გადმობირებისათვის. /ავსტრია-უნგრეთი სერბეთის გასანადგურებლად ემზადებოდა: სერბეთი „სლავური აღორძინების" ხელმძღვანელობას იჩემებდა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მცხოვრებ სლავთა განთავისუფლებას ცდილობდა. მის ასეთ საქმიანობაში ჰაბსბურგები თავიანთი იმპერიისათვის უდიდეს საფრთხეს ხედავდნენ. რუსეთის პოლიტიკოსები კი სერბეთს ბალკანეთში რუსული პოლიტიკის მთავარ დასაყრდენად თვლიდნენ. რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს სერბეთის ანტიავსტრიულ პოლიტიკას. აშკარა იყო, რომ სერბეთ-ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი პირველს დაუჭერდა მხარს, გერმანია — მეორეს. /ანუ სერბეთ-ავსტრია-უნგრეთის შეურიგებელი წინააღმდეგობა და მათ შორის ომი, ევროპის დიდი ომის საფრთხეს ქმნიდა. ომის შემთხვევაში ევროპის სახელმწიფოთა კავშირის

მექანიზმი ამოძრავდებოდა. გერმანია დაიწყებდა ომს მსოფლიოს გადასანაწილებლად, საფრანგეთი დაეხმარებოდა რუსეთს, რადგანაც გერმანიის მიერ რუსეთის განადგურების შემთხვევაში საფრანგეთი კარგავდა რევანშის იმედს და პირისპირ რჩებოდა მრისხანე მტრის— გერმანიის წინაშე. ასეთ შემთხვევაში უკვე კითხვის ქვეშ დგებოდა თვით საფრანგეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ვერც ინგლისი იქნებოდა გულგრილი საფრანგეთის ასეთი მდგომარეობის მიმართ.

ხმრიგად, დიდ სახელმწიფოთა ბალკანური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობანი მსოფლიო მშვიდობას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ანტანტის სახელმწიფოებს ომის დასაწყისისთვის მზად ჰქონდათ ურთიერთშორის ტერიტორიების გადანაწილების საკუთარი გეგმა, რომლის ავტორი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. დ. საზონოვი. გეგმის პროექტი მან 1914 წლის 14 სექტემბერს წარუდგინა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს, ჯორჯ-უილიამ ბიუკენენსა და მორის-ეორე პალეოლოგს, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და მათი მოკავშირეების განადგურების შემდეგ, რუსეთს უნდა გადასცემოდა აღმოსავლეთ გალიცია, მდინარე ნემანის ქვემო დინება. უნდა შექმნილიყო რუსეთის ვასალური სახელმწიფო — ერთიანი პოლონეთი. მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო პოზნანი, სილეზია, დასავლეთ გალიცია. ელზას-ლორენი უნდა დაჰბრუნებოდა საფრანგეთს, მასვე უნდა გადასცემოდა რაინის ოლქის ნაწილი და პფალცი, ბელგია უნდა გაფართოებულიყო გერმანიის ხარჯზე, დანიას უნდა დაჰბრუნებოდა შლეზვიგ-ჰოლშტაინი; გეგმით გათვალისწინებული იყო ჰანოვერის სამეფოს აღდგენა; ჩეხეთს ენიჭებოდა ავტონომია და ავსტრია-უნგრეთის დუალისტური სახელმწიფო ამიერიდან სამერთიანი (ტრიალისტური) სახელმწიფო უნდა გამხდარიყო („ავსტრია-უნგრეთ-ჩეხეთი"). ახალი სახელმწიფო კარგავდა სამხრეთ სლავური მიწების მნიშვნელოვან ნაწილს. სერბეთს უნდა გადასცემოდა ბოსნია, ჰერცეგოვინა, დალმაცია და ჩრდილოეთ ალბანეთი. პროექტი ითვალისწინებდა ბულგარეთისათვის (ანტანტა ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ბულგარეთს თავისკენ მიიზიდავდა) ანაზღაურების მიცემას სერბეთის მაკედონიის ხარჯზე; საბერძნეთი ღებულობდა სამხრეთ ალბანეთს, იტალია— ვალონას (ავლონას). საზონოვის პროექტში ფართო ადგილი დაეთმო გერმანიის კოლონიური იმპერიის მომავალ ბედს, იგი უნდა გადანაწილებულიყო ინგლის-საფრანგეთ-იაპონიას შორის. ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას უნდა გადაეხადათ დიდი კონტრიბუცია.

საზონოვის გეგმა მოკავშირეებმა ძირითადად მოიწონეს. სერ

ბილ ქლინტონი

პაულ კრიუგერი

პეტერ იაკობ ოუბერი

თეოდორ რუზველტი

ედუარდ გრეიმ დამატებით მოითხოვა მიღებულიყო გადაწყვეტილება გერმანიის ფლოტის ლიკვიდაციისა და კილის არხის ნეიტრალიზაციის შესახებ. ამასთან ერთად ინგლისს სურდა შეეკვეცა საფრანგეთის ტერიტორიული გაფართოება ევროპაში და იგი მხოლოდ ელზას-ლორენის დაბრუნებით განესაზღვრა. მაგალითად, ინგლისი ყოყმანობდა ფრანგებისათვის რაინის ოლქის გადაცემის საკითხში. საფრანგეთის ზედმეტი გაძლიერება ინგლისელებს არ აწყობდათ. მომავალში ეს დაარღვევდა „ევროპის წონასწორობის" პრინციპს, რომელსაც დიდი ბრიტანეთის დიპლომატია ეყრდნობოდა. ინგლისი მხარს უჭერდა რუმინეთისა და იტალიის ტერიტორიულ პრეტენზიებს მათი ანტანტის ბანაკში გადმობირების მიზნით.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხი. საზონოვი კატეგორიულად მოითხოვდა რუსეთისათვის მათ გადაცემას. მომენტი მართლაც ხელსაყრელი იყო. სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხში ინგლისი და საფრანგეთი მუდამ რუსეთის წინააღმდეგნი იყვნენ და თურქეთს უჭერდნენ მხარს. ამჯერად ვითარება შეიცვალა. ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამასთან ერთად ოსმანთა იმპერიის ბედი გადაწყვეტილი იყო, მას ანტანტამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, თუ თურქეთი გერმანიას შეუერთდება „მან არსებობა უნდა შეწყვიტოსო", — ამბობდა სერ ედუარდ გრეი.

1915 წლის გაზაფხულზე საზონოვმა კატეგორიულად მოითხოვა მოკავშირეებს სრუტეებზე და კონსტანტინოპოლზე რუსეთის უფლებები ეცნოთ. ინგლისსა და საფრანგეთს სხვა გზა არ ჰქონდათ. დათმობაზე უნდა წასულიყვნენ. გერმანიის დამარცხება რუსული „საზარბაზნე ხორცის" გარეშე მათ არ შეეძლოთ. 1915 წელს ისინი დათანხმდნენ რუსეთისათვის სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიასთან ომი საბოლოო გამარჯვებამდე იქნებოდა მიყვანილი. ეს უფლება ცარიზმმა მილიონობით რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების სისხლის ფასად მოიპოვა.

ანტანტის ქვეყნების წინაშე იდგა წინააღმდეგობებით აღსავსე კიდევ ერთი პრობლემა — ოსმანთა იმპერიის განაწილება. 1916 წლის 16 მაისს მიღწეულ იქნა ე. წ. საიქს-პიკოს შეთანხმება, რომლის ძალითაც ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთიერთმანეთში გაიყვეს ოსმანთა იმპერიაში შემავალი არაბული ქვეყნები და მათთან ერთად — საკუთრივ თურქული ტერიტორიის ნაწილი.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში არაბული ქვეყნების უმრავლესობა ევროპის დიდი ქვეყნების ხელთ იყო. ალჟირი,

ტუნისი და მაროკოს დიდი ნაწილი საფრანგეთს ეკუთვნოდა; ეგვიპტე, სუდანი, სანხრეთ და აღმოსავლეთ არაბეთის სამთავროები — ინგლისს; ტრიპოლიტანია და კირენაიკა (ლიბია) — იტალიას. წინა აზიაში განლაგებული დანარჩენი არაბული ტერიტორია (სირია, ლიბანი, პალესტინა, ერაყი და არაბეთის ნახევარკუნძული) გახრწნილი და დაშლისპირას მისულ ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. პირველმა მსოფლიო ომმა ამ არაბული ტერიტორიების ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა. ისინი განთავისუფლდნენ თურქთა ოთხასწლოვანი ბატონობისაგან და ინგლისსაფრანგეთის ბატონობის ქვეშ მოექცნენ.

საიქს-პიკოს შეთანხმების საფუძველზე თურქეთის არაბული სამფლობელოები რამდენიმე ზონად დაყვეს. ე. წ. „ლურჯი ზონა" (დასავლეთ სირია, ლიბანი, კილიკია, მცირე სომხეთი, ქურთისტანის დიდი ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის დიდი ნაწილი) საფრანგეთის სრულ მფლობელობაში გადადიოდა. ინგლისს მიეკუთვნა ე. წ. „წითელი ზონა" (მნიშვნელოვანი ტერიტორიები მესოპოტამიაში — სამხრეთ ერაყის დიდი ნაწილი ბასრისა და ბაღდადის ვილაიეთების სახით, პალესტინის ნავსადგურები ჰაიფა და აკა); „ყავისფერი ზონა" (პალესტინა, ჰაიფისა და აკას გარეშე) დაუქვემდებარეს საერთაშორისო კონტროლს. ე. წ. ზონა „ა" (აღმოსავლეთ სირია, ზემო ერაყი — ნავთით მდიდარი მოსულის ვილაიეთი) საფრანგეთის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა, ზონა „ბ" (ტრანსიორდანია, ანუ მდ. იორდანის გაღმა მიწები და შუა ერაყი) — ინგლისის გავლენის სფეროდ. რუსეთს მიეკუთვნება ტრაპიზონი (ტრაბზონი), არზრუმი, ბაიაზეთი, ვანი, ბითლისი, სანაპირო ზოლი შავი ზღვის გასწვრივ ტრაპიზონიდან დასავლეთით, ქურთისტანის ნაწილი. რუსეთმა ითხოვა აგრეთვე ჩრდ.-დასავლეთ ირანის ზოგიერთი ნაწილი, თურქეთის სომხეთი და აღმოსავლეთ ანატოლია. რუსეთი მოითხოვდა აგრეთვე პალესტინაში მართლმადიდებლური ეკლესიის უფლებებისა და პრივილეგიების ცნობას. რუსეთის მიერ მოთხოვნილ ტერიტორიათა შორის, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვან წილს საქართველოს უძველესი მიწა-წყალიც შეადგენდა. ასე იყოფდნენ დიდი სახელმწიფოები ურთიერთ შორის ქართულ, სომხურ, არაბულ და სხვა მიწებს, ასე იწიხლებოდა მცირე ხალხების ეროვნული ინტერესები. 1917 წელს სენ-ჟან დე მორიენის შეთანხმების ძალით, საიქს-პიკოს შეთანხმებას შეუერთდა იტალიაც, რომელსაც თურქეთის ხარჯზე გარკვეული ტერიტორიები აღუთქვეს.

ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდათ მსოფლიო ბატონობის ნომერ პირველ პრეტენდენტს — ამერიკის შეერთებულ შტატებს

და იაპონიას. დიდი სახელმწიფოების დიდი მასშტაბის იმპერიალიზმთან ერთად არსებობდა მცირე სახელმწიფოებრ„მცირე" იმპერიალიზმი. დაპყრობითი გეგმები ჰქონდათ ბულგარელებს, თურქებს, რუმინელებს, იტალიელებსა და სხვ.

ამრიგად, 1914 წელს დაწყებული ომი ლოკალური ვერ იქნებოდა, იგი მხოლოდ მსოფლიო ომი უნდა ყოფილიყო. ასეთი ხასიათი მან დასაწყისისთანავე მიიღო, თუმცა მაშინ ომში მხოლოდ ევროპის ქვეყნები ჩაებნენ (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ბელგია, სერბეთი, ჩერნოგორია, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი), მალე ინგლისთან ერთად ომში ჩაებნენ მისი დომინიონები (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი); ომში ჩაებნენ იაპონია და თურქეთი. ასე რომ, იგი უკვე მსოფლიო მასშტაბით გაიშალა.

1914-18 წლების მსოფლიო ომი თავისი ხასიათით იყო უსამართლო, დაპყრობითი — იმპერიალისტური ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორ მსხვილ დაჯგუფებას ანტანტასა და გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკს, ანუ როგორც სხვანაირად იტყვიან, ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკს შორის. ის გარემოება, რომ ევროპის სამი ომში ჩათრეული პატარა სახელმწიფო (ბელგია, სერბეთი, ჩერნოგორია) უპირატესად თავდაცვით ომს ეწეოდა, არ ცვლიდა ომის აგრესიულ, უსამართლო, იმპერიალისტურ ხასიათს.

ომი წარმოადგენდა იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ადრე ახორციელებდნენ. ომი წარმოადგენდა პოლიტიკის გაგრძელებას უკვე შეიარაღებული ძალადობის გზით. „ომი პოლიტიკამ შვა", — ამბობდა ვ. ი. ლენინი. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული იმ პოლიტიკურ წყობასთან, საიდანაც იგი აღმოცენდება და ექსპლუატატორული კლასების პოლიტიკის ნაწილს შეადგენს. ამასთან ერთად პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა, ამიტომ იგი უნდა გავიგოთ აგრეთვე როგორც ანტაგონისტური კლასებისაგან შემდგარი სახელმწიფოს ეკონომიური წყობილების თავისებური ფუნქცია, ამ ომის გაჩაღების საქმეში უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრება ბურჟუაზიას, როგორც კლასს. მონოპოლიური კაპიტალის თვით ბუნება ავალდებულებდა მის მომსახურე მთავრობებს სამხედრო ავანტიურების პოლიტიკა განეხორციელებინათ. აგრესიის გაჩაღების საქმეში ბურჟუაზიასთან ერთად მნიშვნელოვან როლს მსხვილი აგრარიებიც ასრულებდნენ.

ომის იდეოლოგიური მომზადება. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ საკუთარი ხალხებისათვის დაემალათ ომის ნამდვილი მიზეზები და მიზნები. ამას

ისინი აღწევდნენ, პირველ ყოვლისა, ფარული დიპლომატიის გზით. ომის მომზადება, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შეკვრა, მსოფლიოს გადანაწილების გეგმების შედგენა საკუთარი ხალხისაგან ფარულად ხდებოდა.

ომების ნამდვილი მიზეზებისა და მიზნების მიჩქმალვის საშუალება იყო, აგრეთვე, საზოგადოებრივი დეზინფორმაცია და ტენდენციური აგიტაცია-პროპაგანდა, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები მათ ხელში არსებულ უზარმაზარი პროპაგანდისტული აპარატის საშუალებით ახორციელებდნენ. მობილიზებულ იქნა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ძალა და საშუალება. მთავარი ყურადღება ნაციონალისტურ-შოვინისტური გრძნობების გაღვივებაზე იყო მიმართული. ყველა მთავრობა ამტკიცებდა. რომ იგი აგრესიის მსხვერპლია, რომ იგი ომს აწარმოებს სამშობლოსა და ერის თავისუფლების დასაცავად, რომ იცავს ცივილიზაციას, ჰუმანიზმს, კულტურას, მცირე ხალხების ინტერესებს. ფარულად მომზადებული იმპერიალისტური ომი ფართო ფენებს წარმოუდგინეს როგორც „თავდაცვითი ომი“, როგორც „სამამულო ომი“. საზოგადოების დეზინფორმაციის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ სხვადასხვა ნაციონალისტურ-იმპერიალისტურ-მილიტარისტული ორგანიზაციები (პანსლავისტები, პანგერმანისტები და სხვ.). სამწუხაროდ, ნაციონალისტური აგიტაციის ფერხულში ბევრი ცნობილი ინტელიგენტიც ჩაება, ისინი ობიექტურად ხელს უწყობდნენ და აჩქარებდნენ ომის ფორსირებას; მასებს ხშირ შემთხვევაში სჯეროდათ „ფიქრთა მპყრობელებისა“ — დიდი მწერლებისა, მხატვრებისა, მეცნიერებისა თუ მსახიობებისა.

გერმანელები არ უარყოფდნენ იმას, რომ გერმანია ეწევა პერმანენტულ ბრძოლას ევროპაში და მსოფლიოში ჰეგემონობისათვის. მაგრამ, გერმანელი იდეოლოგების მიხედვით, ეს არის ბედისწერით ნაკარნახევი აუცილებლობა, რომ „ხელისუფლების დემონია“ კარლ V-ის, ფრიდრიხ II-ის, ბისმარკის, ვილჰელმ II-ის და სხვათა სახით ამ აუცილებლობისათვის იბრძვის. ამ აუცილებლობის მიზანია გამოასწოროს ისტორიული შეცდომა და უსამართლობა, რომელიც, მათი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: გერმანია სხვა ხალხებთან შედარებით დაჩაგრული, სხვა ქვეყნებისაგან შევიწროებული ქვეყანაა; ისტორიული უკუღმართობის გამო მას არ გააჩნია შესაფერისი საარსებო სივრცე, მისი მომავალი საარსებო სივრცის მოპოვების გარეშე შეუძლებელია და სხვა მისთანანი. გერმანიაში ენერგიულად ინერგებოდა რასიზმი, გერმანელი ერის „განსაკუთრებულობის“ იდეა, სამხედრო ძალისა და ომის კულტი.

ომის აპოლოგეტიკას გერმანიაში განსაკუთრებით ღრმად ჰქონდა გამჯდარი ფესვები. „ომი, — ამბობდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი, — ხალხებს იცავს ლპობისაგან, რომელიც ხანგრძლივი და, მით უფრო, მარადიული მშვიდობის აუცილებელი შედეგი იქნებოდა“. ჰეგელის ამ დებულებას გერმანელ ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა, ეკონომისტთა და სოციოლოგთა შორის ბევრი მიმდევარი ჰყავდა. „ომი ყველა საგანთა დედაა“, — იმეორებდა ჯერ კიდევ ჰერაკლიტეს მიერ თქმულს ცნობილი ეკონომისტი ა. მიულერი.

გერმანელები და მათი ავსტრიელი მოკავშირეები ირწმუნებოდნენ, რომ ცენტრალური სახელმწიფოები საკუთარ თავს და მთელ ევროპას იცავენ „რუსულ-აზიური და სლავური ბარბაროსებისაგან“, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში ბევრი იწერებოდა დემოკრატიული საფრანგეთის დეგრადაციის შესახებ. საფრანგეთი ვერ იხსნის ევროპას რუსეთის საფრთხისაგან, ეს შეუძლია მხოლოდ კაიზერისეულ გერმანიას—ახალგაზრდა, ჯანსაღ, ცენტრალიზებულ, მორალურად მყარ სახელმწიფოს. ბევრი იწერებოდა „უცოდველი“ „ეჭვმიუტანელი“ გერმანიის წინააღმდეგ რესპუბლიკური საფრანგეთისა და მეფის რუსეთის შეთქმულების შესახებ. გერმანიაში ბევრს წერდნენ და აზვიადებდნენ რუსეთის და საფრანგეთის შეიარაღებას, საომარ მზადყოფნას. ამ ვერსიას შემდგომში ანტანტაფილური ისტორიოგრაფიის მოწინააღმდეგენი ხშირად ეყრდნობოდნენ, როცა ომის გაჩაღებაში ბრალს ანტანტას სდებდნენ.

გერმანული პროპაგანდა განსაკუთრებით ესხმოდა თავს „ცბიერ ალბიონს“ — ინგლისს და მის გავლენაში მოქცეულ აშშ-ს. გამოჩენილი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი ინგლისს კართაგენს, ხოლო გერმანიას რომს ადარებდა. გერმანიამ უნდა გაანადგუროს გახრწნილი, ვაჭრული ინგლისი, ისევე როგორც რომმა კართაგენი. ცნობილმა ეკონომისტმა ვ. ზომბარტმა შოვინისტურ წიგნაკში — „ვაჭრუკანები და გმირები“ ინგლისელები „ვაჭრუკანა ერად“, ხოლო გერმანელები — „გმირებად“ მონათლა. ომის გაჩაღებაში კეთილშობილური, გმირი გერმანელი ერი არაფერ შუაშია, ომი გააჩაღა მერკანტილური მიზნების მქონე ინგლისმა... საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციის მიზნით, გერმანული და სხვა პროპაგანდა ხშირად ომის მოსურნედ აცხადებდა მთელ ხალხს, ერს და არა მთავრობასა და გაბატონებულ კლასებს. ცნობილი გერმანელი მეცნიერი ე. ჰეკელი ამტკიცებდა, რომ „ინგლისის მიერ ომის გამოცხადება კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიდი ბოროტმოქმედებაა“. ბელგიის ძველი ქალაქის ლუვენის დანგრევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რომენ როლანმა შვეიცარიაში, „ჟურნალ დე ჟენევ“-ში დაბეჭდა ღია

წერილი გერმანელ გამოჩენილ დრამატურგის გერჰარტ ჰაუპტმანის სახელზე. „ვინ არიან გერმანელები,—წერდა რომენ როლანი,—„ატილას შვილები“ თუ „გოეთეს შვილები“? ჰაუპტმანმა უპასუხა: „თუკი თქვენ ეს გსურთ, შეგიძლიათ ჩვენს შესანიშნავ ლანდსვერის ჯარისკაცებს „ატილას შვილები“ დაარქვათ... გაცილებით უკეთესია, თქვენ ჩვენ „ატილას შვილები“ გვიწოდოთ, თვითონ კი ჩვენი საზღვრების მიღმა დარჩეთ, ვიდრე ის, რომ თქვენ მოხვიდეთ აქ და ჩვენს საფლავებს დააწეროთ სანტიმენტალური ეპიტაფია და ჩვენ „გოეთეს შვილები“ დაგვარქვათ“. მილიტარისტულ-შოვინისტურ პროპაგანდაში ბევრი ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ჩაება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გერმანია თავს იცავს, რომ გერმანიის მხრივ ომი სამართლიანია და სხვ. ამ პოზიციებზე იდგნენ გ. ფონ ბელოვი, ლ. ბრენტანო, ე. მარქსი, ჰ. ბრიუნერი, ო. გიერკე, კ. ლამპრეხტი, ჰ. ონკენი, გ. შმოლერი, დ. შეფერი, ე. მაიერი და სხვ. ისტორიკოსები საქმითაც ეხმარებოდნენ მთავრობას. მაგალითად, გეორგ ფონ ბელოვი, ედუარდ მაიერი, დიტრიხ შეფერი და სხვები პანგერმანისტული ორგანიზაციების აქტიური წევრები იყვნენ.

აშკარად მემარჯვენე ისტორიკოსებთან ერთად ომს მხარს უჭერდნენ ლიბერალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც, მათ შორის მაქს ვებერი, ჰანს დელბრიუკი, ერნსტ ტრელჩი, ფრიდრიხ მაინეკე და სხვ., ასე რომ, მემარჯვენეებთან ერთად ლიბერალებმაც გერმანიის მილიტარიზმისა და აგრესიის გამართლების ტრადიციული კურსი აიღეს, როგორც თავის დროზე ლეოპოლდ რანკემ, ჰაინრიხ ზიბელმა და ჰაინრიხ ტრაიჩკემ.

მაქს ვებერი ადრე შიშს გამოთქვამდა, შეძლებს თუ არა კაიზერისეული გერმანია უზრუნველყოს გერმანიის მსოფლიო ბატონობა? ომის დასაწყისში ვებერი დამშვიდდა, იგი მოიხიბლა გერმანიის სარდლობის მოქმედებით და გამარჯვების რწმენა განუმტკიცდა. ჰანს დელბრიუკი ომის „პოზიტიურ მიზნად“ აცხადებდა ინგლისის საზღვაო ძლიერების შემუსვრას, ყოველნაირად უწყობდა ხელს გერმანიის მიერ ომში ახალი ქვეყნების, მათ შორის თურქეთის ჩაბმას. ფრიდრიხ მაინეკე აღტაცებით შეხვდა 1914 წლის აგვისტოს დღეებს, რამაც „ერი გამარჯვებისთვის გააერთიანა“. მაინეკე დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და აქტიურად მონაწილეობდა ომის პროპაგანდაში. ერნსტ ტრელჩი პრუსიულ-გერმანულ მილიტარიზმში და კაიზერისეულ სახელმწიფოში ხედავდა გერმანელი ერის ყველა კარგი თვისების თავმოყრას, მას სწამდა, რომ ისტორიული პროცესის წარმმართველი ძალაა სახელმწიფო და სამხედრო ძალა.

უფრო გვინ, 1916-17 წლებში, როცა სწრაფი და უეჭველი გა-

მარჯვების ილუზიები გაქრა და გერმანიაში მძიმე კრიზისმა დაისადგურა, განახლდა ლიბერალ-ისტორიკოსთა ძველი ოპოზიციური განწყობილება კაიზერის მხედრიონის, პანგერმანისტებისა და იუნკროების მიმართ. ამიერიდან ლიბერალი ისტორიკოსები მზად არიან დაიდოს ზავი შეკვეცილი მოთხოვნებით და რაც შეიძლება მალე.

შოვინისტურ-მილიტარისტულმა აჟიოტაჟმა ინგლისში ფართო ხასიათი მიიღო. „თქვენ წილად გხვდათ უდიდესი ბედნიერება, რაც მხოლოდ საუკუნეში ერთხელ არის ხალხის შვილის ხვედრი", — არწმუნებდა ინგლისელებს დევიდ ლოიდ-ჯორჯი თავის 1914 წლის 19 სექტემბრის სიტყვაში. მისივე განცხადებით, ინგლისი ომის შემდეგ „გმირების ღირსი ქვეყანა" უნდა გახდეს. ინგლისის ჯინგოისტები ჰაიდ-პარკსა და ტრაფალგარ-სკვერში მართავდნენ ომის სასარგებლოდ მიტინგებს. შოვინიზმი და მილიტარიზმი საყოველთაო მოვლენად იქცა. გაზეთები, ჟურნალები, ორატორები, სასულიერო პირები, პუბლიცისტები ომის ფსიქოზს აღვივებდნენ. ომის მქადაგებელთა შორის იყო თვით მემარცხენე-ლიბერალების გაზეთი „ნიუ-სთეიტსმენი", რომელიც აცხადებდა: ინგლისი ომს სუფთა ხელებით იწყებსო. ლოიდ-ჯორჯის ორგანომ „დეილი ქრონიქლმა" გადმოისროლა ლოზუნგი: „თქვენ სჭირდებით მეფეს და სამშობლოს, წადით არმიის რიგებში". ცნობილი სასულიერო მოღვაწე ჯონ კლიფორდი (ერთ დროს პაციფისტი და ბურების დამცველი) მოუწოდებდა ინგლისელ ერს, იარაღით ხელში დაეცვა „სამშობლო და მეფე". ოქსფორდის უნივერსიტეტის ახალი ისტორიის სპეციალობის ისტორიკოსებმა გამოსცეს კრებული — „რატომ ვიბრძვით?" აქ ისინი ავითარებენ აზრს, რომლის თანახმად, ომი წარმოებს „თავისუფლებისა" და „თანასწორუფლებიანობის" ინგლისურ და „ძალისა" და „სახელმწიფოებრივ აუცილებლობის" გერმანულ პრინციპებს შორის. ლეიბორისტები ჰენდერსონის მეთაურობით და პროფკავშირული ლიდერები ქადაგებდნენ „სამოქალაქო ერთიანობის" იდეას და მხარს უჭერდნენ მთავრობის პოლიტიკას. ინგლისელ ინტელიგენტთა შორის ფართოდ გავრცელდა ომის აპოლოგეტიკა. ბ. ლიდლ-ჰარტის მიხედვით, ომი წმენდს ხალხის სულს და ამოშანთავს მოცემული ეპოქის ცოდვებსა და მანკიერებას. ჰერბერტ უელსი ირწმუნებოდა, რომ ომი ხელს უწყობს საზოგადოებრივ განახლებას; მსოფლიო ომი, მისი აზრით, ესაა საღვთო ომი ტევტონთა წინააღმდეგ. ჰერბერტ უელსს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ესაა ომი, რომელიც მოწოდებულია ბოლო მოუღოს, საერთოდ, ომს".

შოვინიზმმა, რევანშიზმმა და ომის აპოლოგეტიკამ ფართოდ მოიკიდა ფეხი რესპუბლიკურ საფრანგეთშიც. საფრანგეთის ბურჟუა-

ზიული მთავრობა და მისი იდეოლოგები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი ომს იწყებდნენ საყოველთაო დემოკრატიზმისა და თავისუფლების დასაცავად, რომელსაც კაიზერისეული გერმანიის სახით დიდი მტერი ჰყავდა. პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში იმართებოდა მანიფესტაციები, მიტინგები, დემონსტრაციები. საყოველთაო ლოზუნგები იყო: „გაუმარჯოს სამართლიანობისათვის ომს“, „გაუმარჯოს ომს უფლებებისათვის“ და სხვ. შოვინისტურ-იმპერიალისტური აჟიოტაჟის ფერხულში ბევრი ინტელიგენტი ჩაება. ზოგი საკუთარი ნებით (ასრულებდა რა ბურჟუაზიის „სოციალურ დაკვეთას“), ზოგიც იდეოლოგიური მოუმწიფებლობისა და, აქედან გამომდინარე შეცდომების გამო. გამოჩენილი ისტორიკოსი ალფონს ოლარი არწმუნებდა ფრანგ ჯარისკაცებს, რომ „ამჟამინდელი ომი მშვიდობის მომხრეთა ომია ომის მომხრეთა წინააღმდეგ“. ღრმად მოხუცი ცნობილი ისტორიკოსი აკადემიკოსი ერნესტ ლავისი გაზეთ „ტანის“ რედაქციის სახელზე გაგზავნილ წერილში ამბობდა: „ბედნიერი ვარ, რომ ამ ომს მოვესწარიო“ (ლავისი რევანშისტი იყო); ანრი დე რენე უმღეროდა „გალურ მამალს“, რომელმაც გერმანულ არწივს თვალები უნდა ამოკორტნოს. გამოჩენილი მწერალი ოქტავ მირბო, რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც პაციფისტი და მილიტარიზმის მტერი, ახლა მოითხოვდა ელზას-ლორენსა და ომს საბოლოო გამარჯვებამდე. მორის ბარესი ამბობდა: „ამ ომში დახოცილები შექმნიან აღორძინების იმ სანახაობას, რომელსაც ჩვენ ყველანი დავინახავთ ზავის დადების შემდეგ“. შესანიშნავი ფრანგი პოეტი ჟან-რიშარ ბლოკი დარწმუნებული იყო, რომ ამჟამინდელი ომი იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ომების გაგრძელება. მას სწამდა, რომ რევოლუციისა და ნაპოლეონის ომებმა ევროპას საბოლოო თავისფლება ვერ მოუტანა. ამჯერად, მისი აზრით, ომი განახლდა და კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლების ჟამი დადგა. „განახლდა რევოლუციური ომი ფეოდალიზმის წინააღმდეგ, — წერდა იგი. — შეძლებენ რესპუბლიკის ჯარები ევროპაში დემოკრატიზმის გამარჯვება უზრუნველყონ? დააგვირგვინებენ ისინი 1793 წლის საქმეს? ეს იქნება გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე ომი ოჯახური კერების წინააღმდეგ, ეს იქნება თავისუფლების გამოღვიძება. დაე ისურვოს დემიურგმა, რათა ფრანგული სული ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდეს დამარცხების იმ სიმძიმისაგან, რაც მას 44 წელია აწევს და მის შესანიშნავ მისწრაფებებს ამუხრუჭებს“. ჟან-რიშარ ბლოკმა სიტყვა საქმედ აქცია და ომში წავიდა. პოეტი-ლირიკოსი, ფაქიზი გემოვნებისა და სულის ადამიანი ფრანგული ლიტერატურის მასწავლებელი ფლორენციაში ამიერიდან საფრანგეთის არმიის კაპრალი გახდა, მან

რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიიღო. „სხვა ვინმე ათჯერ მკვდარი იქნებოდა. ეს ადამიანი სიცოცხლისუნარიანია, მასში ცხრა სიცოცხლეზის, როგორც კატაში“, — წერდა ბლოკის შესახებ რომენ როლანი. ბევრი დრო და მძიმე ფიქრი დასჭირდა ჟან-რიშარ ბლოკს, სანამ ჩასწვდებოდა ომის ჭეშმარიტ მიზნებს და დარწმუნდებოდა, რომ იგი წარმოებს არა „თავისუფლებისათვის“ და „ჰუმანიზმისათვის“, არამედ საარის აუზის ქვანახშირისათვის, რომელიც ესოდენ სჭირდებოდათ ფრანგ მრეწველებს. ომის ფსიქოზის მსხვერპლი გახდა თვით დიდი მწერალი ანატოლ ფრანსი. მან, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა, სამხედრო დეპარტამენტს არმიაში მოხალისედ გაწვევა სთხოვა. ომში გაწვევას ითხოვდნენ 50 წელს გადაცილებული მორის ბარესი, მეტერლინკი. იგივე განიზრახა საფრანგეთის უმაღლესი სკოლების დეპარტამენტის დირექტორმა 66 წლის ბაიემ. ომს მხარი დაუჭირა ცნობილმა ბელგიელმა მწერალმა ემილ ვერჰარნმა.

რუსეთში მასების დეზინფორმაციისა და ომის ფსიქოზის გაღვივებაში ფართოდ ეყრდნობოდნენ პანსლავიზმს. მოძმე სლავების დაცვა ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის ხელყოფისაგან, — აი რა ამოძრავებდა თურმე რუსეთის ცარიზმს. ამასთან ერთად საყოველთაოდ ხდებოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის საფრთხის ჰიპერტროფირება. ომის პროპაგანდის საქმეში მეფის მთავრობასა და იმპერიალისტურ წრეებს ბევრი ინტელიგენტიც ეხმარებოდა. რუსეთის მრეწველობის მსხვილი მაგნატების წარმომადგენლის ვ. პ. რიაბუშკინის ხარჯითა და რედაქციით გამოვიდა სტატიების კრებული — „დიდი რუსეთი“ („Великая Россия“), რომელშიც ველიკოდერჟავული შოვინიზმისა და მილიტარიზმის აშკარა ქადაგებასთან გვაქვს საქმე. მასში უპირველეს ამოცანადაა გამოცხადებული რუსი ხალხის მომზადება ომისათვის, „დიდი რუსეთის“ დიდებისათვის. საჭიროა „აღდგეს რუს ხალხში მივიწყებული გმირული სული“, უნდა განვითარდეს „ჯანსაღი მილიტარიზმის“ იდეა, საჭიროა რუსი ხალხი განეწყოს რევანშისტულად „ყირიმისა და მანჯურიის დამარცხების“ მიმართ. ს. ა. კოტლიარევსკი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერია ინგლისსა და გერმანიაზე სუსტია, რაც რუსეთს გავლენის სფეროებს აკარგვინებს და სხვ.

საერთო შოვინისტურ-იმპერიალისტური აჟიოტაჟის პირობებში პაციფისტებისა და ომის მოწინააღმდეგეთა ხმა ნაკლებად ისმოდა. ამასთან ერთად ისინი სასტიკად იდევნებოდნენ მთავრობებისა და შოვინისტური ორგანიზაციების მიერ. მიუხედავად ამისა, ბევრი კეთილი ნების ადამიანი მაინც განაგრძობდა ბრძოლას, ამხელდა ომის ნამდვილ მიზნებს, კაცობრიობას მშვიდობისაკენ მოუწოდებდა.

ომის წინააღმდეგ გამოვიდა დიდი ფრანგი მწერალი და ჰუმანისტი რომენ როლანი, რომელმაც შვეიცარიულ გაზეთში—„ჟურნალ დე ჟენევ“ გამოაქვეყნა ცნობილი ანტიმილიტარისტული სტატია. რ. როლანი სასტიკად ილაშქრებს „ყველა ერის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. იგი ამტკიცებს, რომ „ყველა ერს მეტად თუ ნაკლებად აქვს თავისი იმპერიალიზმი“, რომელიც წოვს „ევროპის საუკეთესო სისხლს“. როლანი თავს ესხმის „მილიტარისტულ კაპიტალიზმს“, იცავს ბელგიას, გმობს ომის წარმოების ბარბაროსულ მეთოდებს და სხვ. მაგრამ ომის აღმოცენების მიზეზთა შეფასებისას როლანი ბოლომდე თანამიმდევრული ვერაა. მას მიაჩნია, რომ ომის გაჩაღებაში მთავარი ბრალი მაინც ცალკეულ პიროვნებებს, პოლიტიკოსებს მიუძღვით.

საფრანგეთში რ. როლანის წინააღმდეგ სასტიკი კამპანია დაიწყო. იგი გამოაცხადეს „საფრანგეთის და ფრანგების მტრად“, „სამშობლოს მოღალატედ“ და სხვ.

1915 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა წიგნი „რომენ როლანი საფრანგეთის წინააღმდეგ“. როლანს თავს ესხმიან ფრანგული სოციალისტური მოძრაობის რენეგატი გიუსტავ ერვე, მემარჯვენე ჟურნალისტი გიაცინტ ლუაზონო და სხვ. რომენ როლანის მოწინააღმდეგეთა შორის იყო გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის პროფესორი, აკადემიკოსი ფრედერიკ მასონი.

1914 წლის 31 ივლისს შოვინისტური აგიტაციით ეგზალტირებულმა ვილენმა მოკლა დიდი ფრანგი ტრიბუნი, პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, სოციალისტი და პაციფისტი ჟან ჟორესი. მიუხედავად რეფორმისტული შეხედულებებისა, ჟორესი იყო კოლონიალიზმისა და ომის წინააღმდეგ გულწრფელი და მგზნებარე მებრძოლი. იგი ფრანგ ხალხში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და სწორედ ამიტომ გამოუტანეს მას საფრანგეთის იმპერიალისტებმა სასიკვდილო განაჩენი.

1914 წელს ინგლისურმა ყოველკვირეულმა „ნიუ სტეიტსმენ“-მა დაბეჭდა დიდი ინგლისელი მწერლის ბერნარდ შოუს პამფლეტი — „ჯანსაღი აზრი ომის შესახებ“, სადაც შოუ, ირონიის დიდი ოსტატი, სასტიკად დასცინის ომში ინგლისის ჩაბმის ოფიციალურ მოტივირებას. მაგრამ შოუს, ბურჟუაზიულ პაციფისტს ომის ძალების შეჩერება შეუძლებლად მიაჩნდა. გერმანელების მიერ რეიმსის ცნობილი ტაძრის (XIII საუკუნე) ბარბაროსულად დანგრევის პასუხად რომენ როლანმა საპროტესტო წერილი დაწერა და გასავრცელებლად გაუგზავნა თავის ინგლისელ გამომცემელს ჰეინემანს. ამ წერილს ბევრმა ინგლისელმა კულტურის მოღვაწემაც მოაწერა ხელი. შოუმ ხე-

ლის მოწერაზე უარი თქვა, ყოველივე ეს ზედმეტად ჩათვალა. „მე რომ ვყოფილიყავი ის ოფიცერი, რომელსაც რეიმსის დაცვა ევალებოდა, ტაძრის სახურავზე სათვალთვალო პუნქტს შევქმნიდი. ხოლო მე რომ მოწინააღმდეგე ვყოფილიყავი, იძულებული შევიქნებოდი ტაძრის ბომბარდირება მომეხდინა“-ო, — წერდა ბერნარდ შოუ.

როგორც აღვნიშნეთ, ანატოლ ფრანსი ომის მომხრეთა რიგებში იყო, მაგრამ დიდი მწერალი გარკვეულ ზომიერებას იჩენდა, სიძულვილსა და შეურიგებლობას იგი უპირატესად გერმანიის მმართველი წრეების მიმართ გამოხატავდა. თვით გერმანელ ხალხთან კი მას თანამშრომლობა შესაძლებლად მიაჩნდა. „შეიძლება გერმანელი ხალხის მიმართ ვიქონიოთ სიმპათია, როცა იგი თავის მილიტარისტებისაგან განთავისუფლდება“, — ამბობდა იგი. დიდ მწერალს ეს განცხადება მილიტარისტულ-შოვინისტურმა წრეებმა არ აპატიეს.

სასტიკ დევნას განიცდიდნენ გერმანელი პაციფისტები. გერმანიის მთავრობის ბრძანებით აიკრძალა პაციფისტების ორგანო „ფრიდენსვარტე“. რედაქცია იძულებული იყო მისი გამოცემა შვეიცარიაში გაეგრძელებინა. ომის მოწინააღმდეგეებს სასტიკად სდევნიდნენ ინგლისშიც. აქ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად ციხეში ჩასვეს ცნობილი პაციფისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე ე. მორელი. მორელი ფ. ვ. ფერსტერთან ერთად პუბლიცისტურ სტატიებსა და საჯარო გამოსვლებში ამხელდა ომის გაჩაღების საიდუმლოებას. ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა ე. მორელის მოღვაწეობას.

ომის წინააღმდეგ ილაშქრებდა და მშვიდობას იცავდა მაშინ უკვე ცნობილი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი, რომელიც 1918 წელს ციხეში ჩასვეს.

ომის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის იყვნენ კულტურის ცნობილი მოღვაწეები ა. ბარბიუსი, მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, კ. კრაუსი, უ. დიუბუა, ა. შვაიცერი, ე. ედი და მრავალი სხვა.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მესვეურებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საკუთარი მუშათა კლასის პოზიცია. ევროპის სახელმწიფოთა მმართველი წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საკუთარ მთავრობასთან მუშათა კლასის თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იყო საგარეო სფეროში წარმატებათა მოპოვებაზე ფიქრი. გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მაინეკე ჯერ კიდევ 1910 წელს წერდა, რომ საჭიროა სოციალ-დემოკრატიულად განწყობილ მუშათა კლასთან შერიგება, რომ ამის გარეშე გერმანია ვერ მიაღწევს წარმატებებს საგარეო პოლიტიკის სფეროში. ნაციონალური კონცენტრაცია აუცილებლად საჭიროა გერმანიის მოსახლე-

ობისა და მრეწველობის ზრდის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლონიების, ნედლეულის ბაზებისა და გასაღების ბაზრების მოპოვება, რაც გერმანიისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, შეუძლებელი გახდება, — ამბობდა მაინეკე. იგივეს იმეორებდნენ სხვა ქვეყნებშიც.

მუშათა კლასის ნაციონალისტურ-შოვინისტური შეგნებით აღზრდა, მასში მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების აღმოფხვრა, — ასეთი იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის უპირატესი მიზანი. ამ საქმეში მას ერთგული მოკავშირე აღმოუჩნდა მეორე ინტერნაციონალის სახით, რომელმაც დაგმო პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, მხარი დაუჭირა ომს, დაადგა სოციალ-შოვინიზმისა და ომში საკუთარი მთავრობისადმი მხარდაჭერის გზას და ამით საბოლოო კრახი განიცადა. სხვადასხვა ყაიდის სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს მხარში ამოუდგნენ მუშათა პროფკავშირული მოძრაობის ლიდერები — პროფბიუროკრატები. ისინი საკუთარ მუშათა კლასს ფრონტისკენ მიერეკებოდნენ და საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მიზანი მიღწეულ იქნა: ევროპის მუშათა კლასის გარკვეული და საკმაოდ დიდი ნაწილი შოვინისტური პროპაგანდის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის (1907) და ბაზელის (1912) კონგრესებზე მიღებულ რეზოლუციებში დაგმობილ იქნა მილიტარიზმი, აღიარებულ იქნა ინტერნაციონალიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგი. მაგრამ სულ მალე მეორე ინტერნაციონალის მესვეურებმა დაივიწყეს ის, რომ იმპერიალისტური ომი პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება იყო. 1914 წელს მუშათა კლასი საბრძოლოდ იყო განწყობილი. 1914 წლის ივლისის თვეში ბერლინში, პარიზში, ლონდონში, პეტერბურგსა და ევროპის სხვა მსხვილ ქალაქებში იმართებოდა ომის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი დემონსტრაციები. მუშათა კლასს ნაკლებად სჯეროდა „სამშობლოს დაცვის", „უცხოელი ბარბაროსებისაგან საკუთარი ცივილიზაციის დაცვის" ბურჟუაზიული ლოზუნგებისა. ასეთ მომენტში მეორე ინტერნაციონალმა მუშათა კლასის საქმისადმი ღალატით ბურჟუაზიულ მთავრობებს უდიდესი სამსახური გაუწია. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა კავშირი შეკრეს საკუთარ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და უღალატეს მუშათა კლასს, გასცეს მისი ინტერესები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც II ინტერნაციონალში გაერთიანებულ პარტიათა შორის ყველაზე დიდი იყო და თავის რიგებში მილიონამდე წევრს ითვლიდა, სრული კაპი-

ტულაცია გამოაცხადა და საკუთარი მთავრობის პოლიტიკას დაუჭირა მხარი. ბეთმან-ჰოლვეგთან სრული თანხმობით, გერმანიის ს.-დ. პრესა პირველი აგვისტოდან შოვინისტურ პროპაგანდაში ჩაება. „დავიცვათ სამშობლო რუსული ბარბაროსობის საფრთხისაგან“, „ვიომოთ სრულ გამარჯვებამდე“, — მოუწოდებდნენ ისინი მუშათა კლასს. 3 აგვისტოს რაიხსტაგის ს.-დ. ფრაქციამ მხარი დაუჭირა მმართველი წრეების აგრესიულ პოლიტიკას და ომისათვის თანხების გამოყოფას, ხოლო 4 აგვისტოს სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად ხმა მისცა ახალ სამხედრო კრედიტს. ასეთ ვითარებაში გერმანიის მუშათა კლასმა სრული დემორალიზაცია განიცადა. გერმანიის ს.-დ. ორგანო გაზეთი „ფორვერტსი“ არწმუნებდა ბრანდენბურგის სამხედრო ოლქის სარდალს, რომ გაზეთი აღარ შეეხება „კლასთა ბრძოლისა“ და „კლასობრივი სიძულვილის“ საკითხს.

მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის საქმეს ფრანგმა სოციალისტებმაც უღალატეს. მათ მხარი დაუჭირეს ომს და აღიარეს პრინციპი — „დამნაშავეა ყველა მთავრობა, გარდა საფრანგეთისა“. 4 აგვისტოს, ჟან ჟორესის დაკრძალვის დღეს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის ლიდერები საფრანგეთის მუშათა კლასს ნაციონალური ერთობისაკენ და კლასობრივი ბრძოლების შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ. 5 აგვისტოს საფრანგეთის პარლამენტში სოციალისტებმა ხმა მისცეს ახალ სამხედრო კრედიტს. ომის გამოცხადების შემდეგ ფრანგი სოციალისტები ჟიულ გედი, მარსელ სამბა და, უფრო მოგვიანებით, ალბერ ტომა მინისტრები გახდნენ. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარემ ბელგიის მუშათა კლასის ლიდერმა ემილ ვანდერველდემ ბელგიის სამეფო მთავრობაში იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავა. ფრანგი და ბელგიელი სოციალისტები (სოციალ-შოვინისტები) დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ანტანტა თავს იცავს, რომ ანტანტა პროგრესის მატარებელია და უპირისპირდება რეაქციის ბურჯს — კაიზერისეულ გერმანიას. ცნობილმა ფრანგმა სოციალისტმა და ჟურნალისტმა გიუსტავ ერვემ გაზეთს „გერ სოსიალ“-ს (სოციალური ომი) სახელი შეუცვალა და ამიერიდან მას „ვიქტუარ“ (გამარჯვება) უწოდა. ადრე ანტიმილიტარისტული გაზეთი ამიერიდან უკიდურეს შოვინისტურ-მილიტარისტულ პოზიციებზე დადგა.

შოვინისტურ პოზიციაზე დადგა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთის ს.-დ. პარტია. ინგლისის ლეიბორისტულმა პარტიამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტს. ომის დასაწყისში გაუბედავ პაციფისტურ პოზიციაზე რჩებოდა ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი რაძსეი მაკდო-

ნალდი. რუსეთში მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა „ობორონ-ცული“ პოზიცია დაიკავეს და „საკუთარ ბურჟუაზიასთან სამოქალაქო ზავისა და სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგი გადმოისროლეს.

1915 წელს ანტანტის სოციალისტებმა (მათ შორის რუსეთის მენშევიკებმა) ლონდონის ყრილობაზე მხარი დაუჭირეს ომს და ბურჟუაზიულ მთავრობებს. გერმანიის ბლოკის სოციალისტებმა იგივე გაიმეორეს იმავე წელს ვენაში. ერთადერთი პარტია, რომელმაც მსოფლიო-იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მტკიცე და ურყევი ბრძოლა გააჩაღა, რუსეთის ბოლშევიკები იყვნენ. ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ფარდა ახადა ომის ნამდვილ მიზნებს, განუმარტა მუშათა კლასს ამ ომის იმპერიალისტური ხასიათი. ვ. ი. ლენინის ნაშრომებში აისახა ამ ომის მძარცველური ხასიათი. მუშებს, გლეხებს, მშრომელთა ფართო მასებს განემარტა ის ჭეშმარიტი ამოცანები, რასაც ამ ომში მიზნად ისახავდნენ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები.

რუსეთის IV სათათბიროში ბოლშევიკთა ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. დეპუტატი-ბოლშევიკები სასტიკად დაისაჯნენ. ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკურმა პარტიამ დასახეს ამოცანები, რომლებიც მშრომელ მასებს და მათ ავანგარდს, პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემდა ეს ომი გადაექცია ძლევამოსილ რევოლუციად ექსპლუატატორული კლასების ბატონობის დასამხობად. ბოლშევიკებმა მუშათა კლასს ომში საკუთარი ბურჟუაზიული მთავრობების დამარცხებისა („პორაჟენცობა“) და „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ ამოცანები დაუსახეს. ეს ლოზუნგი ნიშნავდა იმას, რომ თოფიან კაცს, ანუ ფარაჯაში გადაცმულ მუშასა და გლეხს, იარაღი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ უნდა მიემართა და დაემხო იგი. საკუთარი მთავრობის დამხობა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ომის შეწყვეტისა და ზავის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. იმპერიალისტური ბანაკის ძალთა შესუსტების მიზნით ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ყველა ქვეყნის სოციალისტებისაგან იმპერიალისტურ ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებისათვის ებრძოლათ. იგი მოითხოვდა აგრეთვე არმიაში არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების შექმნას, სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემას, ფრონტზე ჯარისკაცთა დაძმობილებისათვის მხარის დაჭერას. ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა მსოფლიოს ყველა სოციალისტს სათავეში ჩასდგომოდა ომის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს და გადაექცია ისინი საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებად.

მართალია, ვ. ი. ლენინმა დაგმო ხალხთა შორის ომები, როგორც ბარბაროსული, უარყოფითი მოვლენა, მაგრამ, ამავე დროს, მან ჩაგრული ხალხების მჩაგვრელი ხალხების წინააღმდეგ, ექსპლუატირებული კლასების ექსპლუატატორების წინააღმდეგ ომი სამართლიან და პროგრესულ ომად გამოაცხადა. სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ ლენინური მოძღვრება პირველი მსოფლიო ომის ხასიათის გარკვევის მეცნიერულ საფუძვლებს იძლევა. სწორედ ამ მოძღვრების საფუძველზე ჩამოაყალიბეს ბოლშევიკებმა თავიანთი დამოკიდებულება პირველი მსოფლიო ომის მიმართ. პირველი მსოფლიო ომი იყო დაპყრობითი, მძარცველური, იმპერიალისტური, ანუ უსამართლო ომი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რევოლუციურ კლასს არ შეუძლა რეაქციულ, უსამართლო ომში საკუთარი მთავრობის დამხობა არ ისურვოს, რადგანაც საომარ წარუმატებლობათა პირობებში მთავრობის დამხობა უფრო გაადვილებულია. ასეთ ვითარებაში ვ. ი. ლენინის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომში გადაზრდის შესახებ“ სავსებით დროული და გამართლებული იყო.

ომის დროს დაწერილ ნაშრომებში ლენინმა განვითარა ომის მარქსისტული თეორია და ჩამოაყალიბა მოძღვრება ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან ერთად ლენინმა მიუთითა ამ გამარჯვების პირობებსა და პერსპექტივებზე. თავის წიგნში — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“—ლენინმა იმპერიალისტური კაპიტალიზმის ანალიზის საფუძველზე ნათელყო, რომ იმპერიალიზმი პროლეტარიატის რევოლუციის წინა დღეა. ლენინმა ნათელყო, რომ თავდაპირველად სოციალიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს რამდენიმე ან ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც კი.

იმპერიალისტურმა ომმა უკიდურესად გაამწვავა კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მნიშვნელოვანი საწინდარი შექმნა. ცალკეული ქვეყნის პროლეტარიატს, მათ შორის რუსეთის პროლეტარიატს, პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული კრიზისის პირობებში რევოლუციის გამარჯვების ფართო პერსპექტივები შეექმნა. მიუხედავად სასტიკად დევნისა, რუსეთის ბოლშევიკებმა მოახერხეს საკუთარი სიტყვების საქმედ ქცევა. ბოლშევიკებმა ომის საწინააღმდეგო ფართო აგიტაცია წამოიწყეს.

რუს ბოლშევიკებთან ერთად ომის წინააღმდეგ სხვა ქვეყნების მემარცხენე ძალებიც იბრძოდნენ. ომის წინააღმდეგ გამოდიოდა ბულგარეთის მუშათა ს.-დ. პარტია (ტესნიაკები) დ. ბლაგოევის,

გ. დიმიტროვის და ვ. კოლაროვის მეთაურობით. სერბეთის სოციალ-დემოკრატებმა სამხედრო კრედიტს მხარი არ დაუჭირეს. ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე რჩებოდნენ რუმინეთის ს.-დ. პარტიის მემარცხენე ჯგუფები. ომის დასაწყისში იტალიის სოციალისტური პარტია ომის საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა, მოგვიანებით კი მათ რიგებში სოციალ-შოვინიზმმა მოიკიდა ფეხი.

რევოლუციურ-სოციალისტთა საკმაოდ ძლიერი ბირთვი შემორჩა გერმანიას „სპარტაკის" ჯგუფის სახით. მასში შედიოდნენ მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები—კარლ ლიბკნეხტი (1914 წლის 2 დეკემბერს მან რაიხსტაგში ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ), როზა ლუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, ფრანც მერინგი, ვილჰელმ პიკი და სხვები. გერმანიის ს.-დ. პარტიის მემარცხენე ლიდერები, განსაკუთრებით კი სპარტაკელები, სასტიკ დევნას განიცდიდნენ. მაგალითად, 1916 წელს კარლ ლიბკნეხტი დააპატიმრეს და კატორღაში გაგზავნეს. ომის საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა, აგრეთვე, ბრემენელ მემარცხენე რადიკალთა ჯგუფი ე. წ. „ლიხტშტრალენი".

მეორე ინტერნაციონალის ღალატმა თავისი ნაყოფი გამოიღო. რევოლუციური მოძრაობა მინელდა, მუშათა მოძრაობა დეზორგანიზებულ იქნა. მუშათა კლასის შეგნებული უმრავლესობა ჯარში გაიწვიეს. მათი ადგილი ქარხნებსა და ფაბრიკებში წვრილბურჟუაზიულმა და დეკლასირებულმა ელემენტებმა დაიკავეს. შინ დარჩენილი მუშათა დიდი ნაწილი შოვინისტური აგიტაციის გავლენის ქვეშ მოექცა. მუშათა მოძრაობის რევოლუციურად განწყობილი ხელმძღვანელი ბირთვი რეპრესირებულ იქნა. პროფკავშირული ხელმძღვანელობა საკუთარი მთავრობის მხარეზე იდგა.

ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ისარგებლეს ომით და ქვეყნად საგანგებო, სამხედრო კანონები შემოიღეს. ფართო ხასიათი მიიღო დემოკრატიულ უფლებათა შეზღუდვამ. მომძლავრდნენ შოვინისტურ-მილიტარისტული ორგანიზაციები. სამხედრო წარმოების მუშები საყოველთაო მობილიზაციის წესებს დაუმორჩილეს. მათ ეკრძალებოდათ წარმოებიდან წასვლა. სამუშაო დღე გაიზარდა. აიკრძალა გაფიცვები. ფართოდ დაინერგა ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა შრომა. გაიზარდა ჯარიმები, დაკანონდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ფრონტზე გაგზავნა და სხვ. მუშათა ორგანიზაციების დარბევამ და მუშათა მოძრაობის ლიდერების დაპატიმრებამ ფართო ხასიათი მიიღო. მაგალითად, რუსეთში დახურეს გაზეთი „პრავდა". მუშათა ლიდერები დააპატიმრეს.

რაიმონ პუანკარე



დევიდ ლოიდ-ჯორჯი

სერ ედუარდ გრეი



ჟორჟ კლემანსო

სოციალ-შოვინიზმის გამარჯვებამ. „სამოქალაქო ზავის“ პოლიტიკამ, რეპრესიებმა და სხვა ხასიათის ღონისძიებებმა რევოლუციური და ომის საწინააღმდეგო მოძრაობა მხოლოდ დროებით დააშუხრუპეს. ომით გამოწვეულმა ღრმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, მონოპოლიური კაპიტალის სულ უფრო და უფრო დამძიმებულმა უღელმა, სამხედრო დიქტატურის ბატონობამ, სახელმწიფო კაპიტალიზმის ტენდენციების მომძლავრებამ, მასების სიღატაკემ და მძიმე პირობებმა კაპიტალისტური საზოგადოება მისთვის დამახასიათებელ ყველა წინააღმდეგობის უკიდურეს გამწვავებამდე მიიყვანა.

ომმა ვერ შეძლო კაპიტალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ვერც ერთი წინაღმდეგობის დაძლევა. მოხდა პირიქით: წინააღმდეგობანი გაღრმავდა და ამან დიდი მასშტაბის სოციალური კონფლიქტები გამოიწვია.

ივლისის კრიზისი და ომის გაჩაღება

1914 წლის 28 ივნისის სარაევოს მკვლელობის შემდეგ გავიდა თვე და 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთისათვის ომის გამოცხადებით დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ეს ერთი თვე ისტორიოგრაფიაში ივლისის კრიზისის სახელითაა ცნობილი.

სარაევოს გასროლამდე რამდენიმე საერთაშორისო კრიზისს ჰქონდა ადგილი, რომელთა დროსაც ომი ბეწვზე ეკიდა. ასე იყო 1904-06 წლებში მაროკოს პირველი კრიზისის დროს, 1908 წელს — ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიისას, 1911 წელს — მაროკოს მეორე კრიზისის დროს, 1911 წელსვე — იტალია-თურქეთის ომის დღეებში, 1912-13 წლებში ბალკანეთის ომების დროს. რა შედეგი მოჰყვებოდა სარაევოში ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობას? სარაევოს გასროლა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. პირველ ყოვლისა, ყურადღება მიპყრობილი იყო ვენის, ბერლინისა და პეტერბურგისაკენ. ავსტრია-უნგრეთი მზად იყო თავს დასხმოდა სერბეთს. ამ შემთხვევაში რუსეთი სერბეთის მხარეზე გამოვიდოდა. ამდენად, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკის უფროს პარტნიორს გერმანიას. სერბეთზე თავდასხმისათვის ვენას ბერლინის დასტური სჭირდებოდა.

გერმანიის პოზიცია გარკვეული იყო. მას ინგლისის ნეიტრალიტეტის იმედი ჰქონდა. რაც შეეხება რუსეთს ,გერმანელები თვლიდნენ, რომ რომანოვების იმპერია იმჯერად ომისთვის მზად არ იყო. ცარიზმი ახორციელებდა არმიისა და ფლოტის რეორგანიზაციის

გრანდიოზულ გეგმას, რომლის საბოლოო განხორციელება 1918-20 წლებში უნდა დასრულებულიყო. გეგმა საკმარისი წარმატებით ხორციელდებოდა. ხდებოდა არმიის ახალი იარაღით აღჭურვა, შენდებოდა რკინიგზები. ვითარდებოდა სამხედრო მრეწველობა. 1914 წელს IV სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა კანონპროექტი შავი ზღვის ფლოტის გაძლიერების შესახებ. გერმანიის ხელმძღვანელობა საჭიროდ თვლიდა დაესწროთ რუსეთისათვის და დაერტყათ მისთვის, სანამ იგი სამხედრო რეორგანიზაციის გეგმას განახორციელებდა. გერმანიის მმართველი წრეების ოფიციალურ აზრს გამოხატავდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გოტლიბ ფონ იაგოვი. 1914 წლის 18 ივლისს გერმანიის ლონდონელი ელჩის კარლ მაქს ლიხნოვსკისადმი წერილში, მინისტრი წერდა: „ამჟამად რუსეთი ძირითადად ომისთვის მზად არაა. საფრანგეთი და ინგლისი ახლა ომს არ მოინდომებენ. რამდენიმე წლის შემდეგ..., როცა რუსეთი უკვე ბრძოლისუნარიანი იქნება, მაშინ იგი თავისი ჯარისკაცების სიმრავლით ჩვენ გაგვსრესს. მისი ბალტიის ფლოტი და სტრატეგიული რკინიგზა უკვე აშენებული იქნება, ჩვენი ჯგუფი კი ამასობაში სულ უფრო და უფრო დასუსტდება“.

ფრანც-იოზეფი ვილჰელმ II-ეს ერთ-ერთ წერილში სწერდა: „სერბეთი ბალკანეთიდან უნდა აღიგავოს ვითარცა პოლიტიკური ფაქტორი“. „დავის მეგობრულ მოგვარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“,—წერდა 1914 წლის ივნისში ვილჰელმ II ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრეს ფრანც ფერდინანდს. საუბარი სერბეთს შეეხებოდა. იმპერატორი აქეზებდა ავსტრიას საბოლოოდ გადაეჭრა სერბეთის საკითხი და რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში დახმარებას აღუთქვამდა. ნიშანდობლივია, რომ ბოსნიაში სამხედრო მანევრების ჩატარება სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მოეწყო. 1914 წლის 5 ივლისს ვილჰელმ II-ემ პოტსდამის სასახლეში საუზმეზე მიიპატიჟა ავსტრია-უნგრეთის ელჩი სეგენი. ამ საუბრის შედეგების შესახებ სეგენიმ ვენას აცნობა: „სერბების წინააღმდეგ გამოსვლის გადადება აღარ ღირს... თუნდაც საქმე მივიდეს ავსტრიასა და რუსეთს შორის ომამდე, ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ იმაში, რომ გერმანია ჩვენთან იქნება ჩვენი კავშირისადმი თავისი ჩვეულებრივი ერთგულების შედეგად“. დღის მეორე ნახევარში პოტსდამში ჩამოვიდა გერმანიის კანცლერი თეობალდ ბეთმან-ჰოლვეგი. ვილჰელმთან პარკში სეირნობისას გამართულ საუბარში მან მოიწონა სეგენისთან საუბრისას შემუშავებული პრინციპები და, თავის მხრივ, წამოაყენა წინადადება ბულგარეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის სერბეთის გაყოფის შესახებ. „თუ ომი უნდა დაიწყოს, სჯობს იგი დაიწყოს ახ-

ლა, ვიდრე ერთი ან ორი წლის შემდეგ, როცა ანტანტა უფრო ძლიერი იქნება", — ამბობდა კანცლერი. 6 ივლისს კანცლერმა სეგენის ოფიციალურად დაუდასტურა რუსეთთან ომის შემთხვევაში გერმანიის მხარდაჭერა. ბავარიის წარმომადგენელი ბერლინში ფონ შენი წინადადებას იძლეოდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ღიერწმუნებინათ ვენა, რომ გერმანია მზადაა დაეხმაროს ავსტრია-უნგრეთს ყველა ვითარებაში, თუნდაც რუსეთთან ომის ფასად.

აქტიურად მოქმედებდნენ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის გენშტაბები. 1879 წლის შეთანხმების საფუძველზე აღნიშნულმა გენშტაბებმა უკვე 1909 წელს შეიმუშავეს ევროპაში ომის გაჩაღების დაახლოებითი გეგმა. ამ გეგმების თანახმად, გათვალისწინებული იყო, რომ ავსტრია-უნგრეთის სერბეთში შეჭრას ავტომატურად მოჰყვებოდა გერმანიის შეტაკება რუსეთთან და საფრანგეთთან. ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის არმიების ერთობლივი მოქმედების გეგმა სწორედ ამ ვარიანტის შესაბამისად იყო დაგეგმილი. 1910 წელს მოლტკემ კონრად ფონ ჰოეტცენდორფს წარმოუდგინა ომის ფორსირების შესაძლო ვარიანტი. როცა გერმანია გადაწყვეტს რუსეთთან ომს, იგი ულტიმატურ მოთხოვნებს წარუდგენს საფრანგეთს (მისგან ნეიტრალიტეტის მოპოვების მიზნით). 1914 წელს ომის ფორსირება სწორედ მოლტკე-კონრად ფონ ჰოეტცენდორფის ვარიანტის შესაბამისად მოხდა. 1914 წლის მაისში მოლტკე და კონრად ფონ ჰოეტცენდორფი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს კარლსბადში (კარლოვი-ვარი). მოლტკე ომის დასაწყებად მომენტს ხელსაყრელად მიიჩნევდა. „დაყოვნება, — ამბობდა იგი, — ჩვენს შანსებს ამცირებს. ჩვენ ვერ შევედრებით რუსეთს ადამიანთა რესურსებში". ასე რომ, მოლტკე საჭიროდ თვლიდა დაერტყათ რუსეთისათვის, სანამ იგი სამხედრო-რეორგანიზაციის გეგმას განახორციელებდა და შეაიარაღებდა უზარმაზარ არმიას.

ვილჰელმ II-ისა და ბეტმან-ჰოლვეგის უკიდურესად გამომწკვევი პოლიტიკა განაპირობა აგრეთვე იმან, რომ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ინგლისის ნეიტრალიტეტში და იმედი ჰქონდათ, ომი ლოკალურ-კონტინენტურ ხასიათს მიიღებდა (რუსეთთან და საფრანგეთთან). გერმანელები თვლიდნენ, რომ ანტანტა არაა სამხედრო კავშირი, რომ ანტანტის წევრთა შორის, განსაკუთრებით ინგლისსა და რუსეთს შორის არსებობს საკმაოდ ღრმა, შეურიგებელი წინააღმდეგობანი. გერმანელი პოლიტიკოსები საჭიროდ თვლიდნენ ომი დაეწყოთ, სანამ ანტანტის ქვეყნებს (რუსეთსა და ინგლისს) შორის ურთიერთობა საბოლოოდ მოგვარდებოდა და იგი ოფიციალურად სამხედრო კავშირის ხასიათს მიიღებდა. გერმანელთა ამ შეცდომას

აღრმავებდა ინგლისის ორჭოფული პოლიტიკა. სერ ედუარდ გრეი აშკარად ქმნიდა ომის შემთხვევაში ინგლისის მხრივ ნეიტრალიტეტის ილუზიას. ასეთი პოლიტიკის წყალობით ინგლისელები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, გერმანიას და მის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთს აგრესიისკენ აქეზებდნენ და ობიექტურად ხელს უწყობდნენ საყოველთაო ომის გაჩაღებას.

რუსეთის პოლიტიკოსები დაინტერესებულნი იყვნენ მოეგვარებინათ „სამთა შეთანხმებაში" არსებული ხარვეზები, განემტკიცებინათ იგი და მისთვის ოფიციალურად თავდაცვითი კავშირის სახე მიეცათ. 1914 წლის 19 თებერვალს საზონოვი სწერდა რუსეთის ელჩს ლონდონში გრაფ ბენკენდორფს: „საყოველთაო მშვიდობა უზრუნველყოფილ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სამთა შეთანხმება... თავდაცვით კავშირად გადაიქცევა, ყოველგვარი საიდუმლო მუხლების გარეშე იგი მსოფლიოს ყველა გაზეთში გამოქვეყნდება. ამ დღეს გერმანიის ჰეგემონობის საშიშროება საბოლოოდ აღმოიფხვრება და ყოველი ჩვენგანი მშვიდად შეუდგება თავისი საქმეების მოგვარებას".

დიდი ბრიტანეთის მთავრობა საფრანგეთის მიმართ დახმარებას სადავოდ არ თვლიდა. რუსეთთან მის ურთიერთობაში კი გაურკვევლობა და ყოყმანი შეიმჩნეოდა. ახლო აღმოსავლეთში რუსეთთან წინააღმდეგობა კვლავ იჩენდა თავს. სერ ედუარდ გრეი, მაგალითად, მომხრე იყო რუსეთი და გერმანია ერთმანეთს შეჯახებოდნენ ახლო აღმოსავლეთში და ერთმანეთი დაესუსტებინათ. 1914 წელს აპრილში მეფე ჯორჯ V-სთან ერთად პარიზში ყოფნისას მან განავითარა შემდეგი აზრი: ინგლისი მხარს დაუჭერს საფრანგეთს გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრი მიესალმება მთავრობის ასეთ ღონისძიებას. რაც შეეხება გერმანიის თავდასხმას რუსეთზე, ინგლისის საზოგადოებრივ აზრს მიაჩნია, რომ შესაძლოა ომის დასაწყისში გერმანიამ ერთგვარ წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ რუსეთის რესურსები იმდენად დიდია, რომ საბოლოოდ გერმანელები მაინც დამარცხდებიან, ე. ი. გრეი თვლიდა, რომ რუსეთი გერმანიასთან ომში ინგლისის დახმარების გარეშეც გაიმარჯვებდა. ბრიტანეთის პოლიტიკის არსი გასაგები იყო. მას სურდა გერმანია-რუსეთის ურთიერთ დასუსტება.

ინგლისი რუსეთთან ურთიერთობაში ამ ტენდენციას საკმაოდ ავლენდა. 1914 წელს გრეი დათანხმდა მოლაპარაკებას რუსეთ-ინგლისის საზღვაო თანამშრომლობის შესახებ (ასეთი მოლაპარაკება ინგლის-საფრანგეთს შორის 1912 წელს წარმოებდა). საზღაურად მან მოითხოვა ინგლისის უფლებების გაზრდა სპარსეთის ე. წ. „ნეიტრალურ" ზონაში. რუსეთი თანახმა იყო გარიგებაზე. ამასთან ერთად იგი

ინგლისს ინდოეთის მიმართ სრულ გარანტიას ჰპირდებოდა. ყველაფერი ეს გერმანიისათვის ცნობილი იყო. ლონდონში რუსეთის საელჩოში მათ აგენტი ჰყავდათ, რომელიც ბენკენდორფის წერილებს ეცნობოდა. ინგლისელთა ორპოფული პოლიტიკის კარგი მაგალითია 1914 წლის 17 და 23 ივნისს ლოიდ ჯორჯის მიერ წარმოთქმული სიტყვები. ლოიდ ჯორჯი ამბობდა, რომ გერმანიასა და ინგლისს შორის ურთიერთობა უმჯობესდება, რომ ამ ორ დიდ იმპერიას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა უფრო მეტია, ვიდრე წინააღმდეგობისა. უინსტონ ჩერჩილი დაახლოებით იგივეს იმეორებდა. მას სურდა ტირპიცთან შეხვედრა და ფიქრობდა, რომ ეს შეხვედრა სასარგებლო იქნებოდა.

გერმანიის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა უზრუნველეყო ინგლისის ნეიტრალიტეტი. განსაკუთრებით აქტიურობდა ბეთმან-ჰოლვეგი. ინგლისის ელჩთან საუბარში 1914 წლის 29 იკლისს იგი ყოველნაირად ზრუნავდა ამ ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად, გერმანიის პოლიტიკოსთა და სამხედრო მოღვაწეთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელთაც ინგლისის ნეიტრალიტეტის არ სჯეროდათ. მათ რიცხვში იყო გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე.

„ან ახლა, ან არასოდეს", — ასეთი იყო კაიზერ ვილჰელმ II-ის გადაწყვეტილება. 23 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა სერბეთის მთავრობას გადასცა ნოტა-ულტიმატუმი, რომელიც 25 დამამცირებელ პუნქტს შეიცავდა. პასუხისათვის განსაზღვრული იყო 48 საათი. 25 ივლისს სერბეთის პრემიერმა ნიკოლა პაშიჩმა ავსტრია-უნგრეთის ელჩს გადასცა პასუხი, რომელშიც უფრო მეტი დათმობა იყო, ვიდრე ამას ავსტრია-უნგრეთი ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, ავსტრია-უნგრეთის ელჩმა გიზლმა პასპორტები გამოითხოვა. ავსტრია-უნგრეთმა სერბეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა და 28 ივლისს ტელეგრაფით მას ომი გამოუცხადა. 29 ივლისს საომარი მოქმედება დაიწყო. ავსტრია-უნგრეთის არტილერიამ დაბომბა ბელგრადი. ავსტრიას არმიის სრული მობილიზაცია, მისი მზადყოფნაში მოყვანა და მთელი ძალების ამოქმედება მხოლოდ 12 აგვისტოსათვის შეეძლო. როგორც ჩანს, ავსტრია-უნგრეთმა ომის გამოცხადება იჩქარა იმიტომ, რომ ევროპა ფაქტის წინაშე დაეყენებინა, რათა არ მომხდარიყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობა. მით უფრო, რომ პეტერბურგმა ავსტრია-უნგრეთისა და სერბეთის კონფლიქტის კომპრომისების გზით მოგვარების მიზნით მთელი რიგი წინადადებები წამოაყენა.

29 ივლისს რუსეთმა გამოაცხადა ავსტრია-უნგრეთთან საზღვ-

რისპირა რაიონებში ნაწილობრივი მობილიზაცია სერბეთის დაცვის მიზნით. მობილიზაცია შეეხო აგრეთვე შავ და ბალტიის ზღვების ფლოტებს. იმავე დღეს გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა რუსეთს შეეწყვიტა მობილიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონაც მობილიზაციით იმუქრებოდა. პასუხად რუსეთის მთავრობამ 30 ივლისს საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. მაშინ გერმანიამ რუსეთის მთავრობას ულტიმატური ხასიათის მოთხოვნა წაუყენა, რომლის თანახმად, რუსეთს 1 აგვისტოს 12 საათისათვის იგი უნდა შეეწყვიტა. თვით გერმანიაში კი საყოველთაო მობილიზაცია 31 ივლისს დაიწყო. იმავე 31 ივლისს საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა ავსტრია-უნგრეთმაც.

გერმანიის ელჩს პეტერბურგში გრაფ ფრიდრიხ პურტალესს დაევალა 1 აგვისტოს 6 საათზე საზონოვთან მისვლა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მთავრობა უარყოფდა გერმანიის მთავრობის 31 ივლისის ნოტას საყოველთაო მობილიზაციის შეწყვეტის შესახებ, პურტალესს უნდა გადაეცა ომის გამოცხადების მაუწყებელი ნოტა. ბერლინიდან მიღებული ტექსტის გაშიფვრა გერმანიის საელჩოში დაგვიანდა. ამიტომ პურტალესი საზონოვთან მხოლოდ 7 საათზე მივიდა. მას ხელთ ჰქონდა ნოტის ორი ვარიანტი. პირველი გათვალისწინებული იყო უარის, მეორე — თანხმობის შემთხვევისათვის. პურტალესმა საზონოვს სამჯერ მიმართა კითხვით, ღებულობს თუ არა რუსეთი გერმანიის წინადადებას სამხედრო სამზადისის შეწყვეტის შესახებ. საზონოვმა სამჯერვე კატეგორიული უარით უპასუხა. მაშინ პურტალესმა საზონოვს გადასცა გერმანიის მთავრობის ნოტა ომის გამოცხადების გამო. პურტალესი იმდენად ღელავდა, რომ საზონოვს ერთდროულად ნოტის ორივე ვარიანტი შეაძლია. ამრიგად, 1 აგვისტოს გერმანია და რუსეთი საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

საფრანგეთს პრეზიდენტ რაიმონ პუანკარეს მეთაურობით ომი გადაწყვეტილი ჰქონდა. მთავრობა ცდილობდა მთელი პასუხისმგებლობა გერმანელთათვის დაეკისრებინა, ამასთან ერთად მას სურდა ომის გამომცხადებელი გერმანია ყოფილიყო. ამ ფორმალურ მომენტს, როგორც ცნობილია, დიდი პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის. ასეთ შემთხვევაში საფრანგეთს საშუალება ეძლეოდა თავის დამცველის როლში გამოსულიყო.

გერმანელებმა არ დააყოვნეს. მათ შლიფენის გეგმის შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ საფრანგეთზე შეტევა მისი სწრაფი განადგურების მიზნით. ამიტომ გერმანელები ჩქარობდნენ მათთვის ომის გამოცხადებას. საფრანგეთის დიპლომატიამ იცოდა ყოველივე

და მოთმინებით იცდიდა, დარწმუნებული იყო, რომ გერმანია თავის თავზე აიღებდა ომის გამოცხადების მთელ სიმძიმეს. 1914 წლის 30 ივლისს საფრანგეთის მთავრობამ გერმანიის საზღვარზე განლაგებული ჯარები 10 კილომეტრით უკან დახია, რათა თავიდან აეცილებინა სასაზღვრო ინციდენტები, რაც გერმანელებს მისცემდა საბაბს დამნაშავედ გამოეცხადებინათ ფრანგები და დაეწყოთ საომარი ოპერაციები.

31 ივლისს მობილიზაციის შეწყვეტის შესახებ პეტერბურგისთვის ნოტის წარდგენასთან ერთად ბეთმან-ჰოლვეგმა გერმანიის ელჩის ფონ შენის ხელით საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა ნოტა, რომლითაც გერმანია- რუსეთის ომის შემთხვევაში საფრანგეთისგან ნეიტრალიტეტის დაცვას ითხოვდა. პასუხისათვის განკუთვნილი იყო 18 საათი. ამასთან ერთად გერმანელები ნეიტრალიტეტის საწინდრად ფრანგებისგან ითხოვდნენ ციხესიმაგრეებს ტულსა და ვერდენს. ცხადია, ეს აშკარად პროვოკაციული მოთხოვნა იყო. ფრანგების პასუხი მეტად ლაკონიური აღმოჩნდა. პრემიერმა რენე ვივიანმა განაცხადა: „საფრანგეთი იმოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად". პირველ აგვისტოს პრეზიდენტმა პუანკარემ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ამ ფაქტს ომის საბაბად გერმანელები ვერ გამოიყენებდნენ. თავის მხრივ, მათ მობილიზაცია უკვე გამოცხადებული ჰქონდათ. პირველ აგვისტოს ბეთმან-ჰოლვეგმა შეადგინა ნოტა საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ, რასაც საბაბად დაედო შეთხზული ფაქტი საფრანგეთის თვითმფრინავების მიერ გერმანიის საზღვრების დარღვევის შესახებ (შემდგომ გერმანელებმა თვით აღიარეს ის, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა). 1914 წლის 3 აგვისტოს საღამოს საფრანგეთს გადაეცა გერმანიის ნოტა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ომის გამოცხადების წინ მეტად რთული ფარსი გაითამაშა, რომელსაც შეიძლება „შეტყუების პოლიტიკა" ვუწოდოთ.

სარაევოს გასროლას ინგლისელ ობივატელზე ნაკლები გავლენა ჰქონდა. ინგლისში ბევრმა ისიც კი არ იცოდა, თუ სად იყო სარაევო და რას მოასწავებდა აქაური გასროლა. ინგლისელებს ნაკლებად ესმოდათ ავსტრია-სერბეთის წინააღმდეგობის არსი. ინგლისის საზოგადოების ფართო ფენებმა არ იცოდნენ ის, რომ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის დიპლომატია ხელს უწყობდა ამ ლოკალური კონფლიქტის გადაზრდას საყოველთაო-ევროპულ და შემდეგ მსოფლიო კონფლიქტში.

ფორინ ოფისმა კარგად იცოდა, რომ გერმანელების მიერ წაყენებული ავსტრია-უნგრეთი სერბეთს მრისხანე ულტიმატუმს უმ-

ზადებდა. მან იცოდა ისიც, რომ ეს გამოიწვევდა გერმანია-ავსტრიის ბლოკის ბრძოლას ანტანტასთან. მიუხედავად ამისა, ინგლისმა არაფერი გააკეთა მომავალი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. პირიქით, თავისი გაურკვეველი, ორპოფული პოზიციით წააქეზა გერმანია და ამით კატასტროფა დააჩქარა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა „სხვისი ხელით ნარის გლეჯის" ტრადიციული სტრატეგიის ერთგული რჩებოდა. ამჯერად ინგლისი მიზნად ისახავდა რუსეთისა და საფრანგეთის ძალებით ძირითადი მეტოქის — გერმანიის განადგურებას. თავისთვის ინგლისი „ვერცხლის ტყვიის" ფუნქციას იტოვებდა და „მესამე მოცინარის" როლის შესრულებას ითვალისწინებდა, თუმცა მოვლენათა მსვლელობამ ინგლისის ეს ვარაუდი არ გაამართლა. ომის მსვლელობაში გაირკვა გერმანიის სამხედრო მანქანის სიძლიერე. ინგლისი იძულებული გახდა თვითონვე, საკუთარი ძალებით აქტიური მონაწილეობა მიეღო მტრის განადგურების საქმეში და მნიშვნელოვანი მსხვერპლიც გაეღო. რაც შეეხება „მესამე მოცინარის" როლს, ინგლისი იძულებული გახდა იგი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და, ნაწილობრივ, იაპონიისათვის დაეთმო.

ომის დასაწყისში ინგლისი ცდილობდა მოეხსნა პასუხისმგებლობა ომის გამოცხადებაზე. ამიტომ იყო, რომ მას არ სურდა ომის დასაწყისისთანავე მისი მონაწილე ყოფილიყო. ამ აზრს იცავდა ლოიდ ჯორჯი 27 ივლისს. მას მხარს უჭერდა მინისტრთა უმრავლესობა, გარდა საზღვაო მინისტრის უინსტონ ჩერჩილისა, რომელიც არ იზიარებდა მთავრობის ყოყმანს და დაუყოვნებლივ მობილიზაციის გამოცხადებას და ომში ჩაბმას მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ 1 აგვისტოს, როცა გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა, უინსტონ ჩერჩილმა პირადი ინიციატივით, მთავრობის სანქციის გარეშე, ინგლისის ფლოტის მობილიზაცია გამოაცხადა. აღსანიშნავია ისიც, რომ სარაევოს გასროლის გამო ინგლისს ომის გამოცხადება არ სურდა. საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად გაიზიარებდა ამ ინციდენტის გამო ომის გამოცხადების აუცილებლობას. საჭირო იყო სხვა უფრო დამაჯერებელი საბაბი.

ბრიტანეთის პოლიტიკოსებმა გერმანიის აქტიურობა სერბეთ-ავსტრიის კონფლიქტის დროს არ შეანელეს. როგორც ჩანს, მათ არ სურდათ „დაეფრთხოთ" ბერლინი. ისტორიკოსს არ ევალება ილაპარაკოს იმის შესახებ, რაც არ მომხდარა, მაგრამ ივლისის კრიზისის დღეებში ინგლისს უფრო მეტი გულწრფელობა რომ გამოეჩინა და გერმანიის მოქმედებას მტკიცედ დაპირისპირებოდა, შესაძლებელია, ისტორია სულ სხვანაირად წარმართულიყო. ივლისის დღეებ-

ში ვენასა და ბერლინში დიდი ბრიტანეთის ნეიტრალიტეტისა სჯეროდათ, პარიზსა და პეტერბურგს კი მისი დახმარების იმედი ჰქონდათ. ინგლისის ასეთმა პოზიციამ, როგორც აღვნიშნეთ, დააჩქარა ომის გაჩაღება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივლისის დღეებში სერ ედუარდ გრეის პოზიციამ გერმანელები დაარწმუნა ინგლისის ნეიტრალიტეტში. გერმანიის ელჩთან შეხვედრისას გრეი ხშირად იმეორებდა, რომ ანტანტას, პირველ ყოვლისა კი ინგლისს, ომი არ სურს. 9 ივლისს მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისს საფრანგეთისა და რუსეთის მიმართ „ევროპული ომის შემთხვევაში" არავითარი ვალდებულება არ აკისრია. სერ ედუარდ გრეი ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთისათვის ულტიმატუმის წაყენების მომენტშიც საეჭვოდ სდუმდა. 26 ივლისს სერბეთ-ავსტრია-უნგრეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ინგლისის მეფე ჯორჯ V თავის „კუზენს" — პრინც ჰაინრიხ პრუსიელს ეუბნებოდა: „ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რათა ნეიტრალური დავრჩეთ".

მიუხედავად ამისა, ინგლისი დიდ სახელმწიფოთა შორის ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც საომარ მზადებას შეუდგა. 26—28 ივლისს ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ფლოტის კონცენტრაციის შესახებ.

გერმანია ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა დიდი ბრიტანეთის მთავრობის „მერყეობა" და საბოლოოდ უზრუნველეყო ინგლისის ნეიტრალიტეტი. 29 ივლისს გერმანიამ აღუთქვა ინგლისს, რომ ინგლისის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში გერმანია არ მოახდენდა საფრანგეთის რაიმე ტერიტორიის ანექსიას ევროპის კონტინენტზე (ეს არ ეხებოდა კოლონიებს). ამასთან ერთად გერმანია ბელგიას ომის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა. თუკი ბელგია გერმანიის მტრების მხარეზე არ გამოვიდოდა.

ინგლისელთა ორეოფობა გრძელდებოდა. გრეი ცდილობდა ავსტრია-უნგრეთ-სერბეთის კონფლიქტის მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით, დიდი სახელმწიფოების კონგრესის მოწვევას... ორეოფულ პოზიციაზე იდგა ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავლენიანი მინისტრი — ლოიდ ჯორჯი. იგი გრეის პოლიტიკას იმორებდა და ირწმუნებოდა, რომ ომი არ მოხდება, რომ ინგლისი ნეიტრალიტეტს დაიცავდა და სხვ. ავსტრია-უნგრეთის ელჩს იგი არწმუნებდა, რომ ინგლისი ომში არ ჩაებმებოდა. ეს აზრი გაატარა მან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, 17 და 23 ივლისის სიტყვებში. 23 ივლისს, როცა ბელგრადში ავსტრია-უნგრეთის ნოტა წარადგინეს, ლოიდ ჯორჯი პარლა-

მენტში დამამშვიდებელი სიტყვით გამოვიდა. მან იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო ხარჯების შემცირება, რადგან, თურმე, ამჯერად ინგლისისა და გერმანიის ურთიერთობა „გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს რამოდენიმე წლის წინ იყო", რომ „გერმანიასა და ინგლისს შორის თანამშრომლობის უფრო დიდი შესაძლებლობაა, ვიდრე მტრობისა". ასეთი განცხადებით გამოდიოდა ომის დაწყების მომენტში მინისტრი, რომელიც საქმით დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ბურჯი იყო უილიამ პიტის (უმცროსის) და დიზრაელის შემდეგ. თანამედროვე ისტორიკოსის დ. მაკკორმიკის თქმით, ლოიდ ჯორჯი ამბობდა სწორედ იმას, „რის გაგონების სურვილი ჰქონდათ პრუსიელ იუნკრებს". სერ ედუარდ გრეისთან და მეფე ჯორჯ V-თან ერთად ლოიდ ჯორჯმა წააქეზა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკი და ამით, ობიექტურად, ომის გაჩაღება დაჩქარა.

გერმანიის მიერ რუსეთისა და საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების შემდეგ ინგლისის ომში ჩაბმის საკითხი გადაწყვეტილი იყო. საკითხი ეხებოდა მხოლოდ ხელსაყრელი საბაბის პოვნას. ომის მომხრეთა რიცხვი ინგლისის მმართველთა შორის დიდი იყო. ცნობილი დიპლომატის სერ არტურ ნიკოლსონის (ლორდი კარნოკი) აზრით, ინგლისი ვალდებულია ჩაებას ომში, რადგან მოსალოდნელია, საფრანგეთ-რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ინგლისი მათი მოწყალების წინაშე აღმოჩნდეს. გამოითქვა აზრი (ეირ კროუ), რომელსაც ოფიციალური მნიშვნელობა მიეცა: თუ ინგლისი საფრანგეთს არ დაეხმარა, მაშინ გერმანია მას, საფრანგეთს დაამარცხებს და ინგლისი გერმანიის წინაშე მარტოდმარტო დარჩება. მინისტრთა საბჭოს უმრავლესობა მხარს უჭერდა ომს. ომის მომხრეთა შორის იყვნენ პრემიერი ჰერბერტ-ჰენრი ასკვიტი, მინისტრები ჩერჩილი, ჰოლდენი და სხვები. საქმით მათთან იყვნენ ედუარდ გრეი და ლოიდ ჯორჯი. ომის მომხრეთა შორის იყვნენ გენერლები, ადმირალები და კონსერვატორთა ლიდერები. საკმაოდ ძლიერი იყო ე. წ. პაციფისტ მინისტრთა შემადგენლობა (მორლი, ბერნსი, საიმონი, რენსიმენი, ბუჩმენი და სხვ.), რომლებიც მინისტრთა კაბინეტში უმრავლესობას ქმნიდნენ.

29 ივლისს გერმანიისათვის ნათელი გახდა, რომ საფრანგეთზე თავდასხმის შემთხვევაში მას ინგლისის ნეიტრალიტეტის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონოდა. სერ ედუარდ გრეიმ ამის შესახებ აუწყა კიდეც გერმანიის ელჩს. ამ ვითარებამ ბეთმან-ჰოლვეგის მცირედი ყოყმანი გამოიწვია. მან გაუბედავი წინადადებით მიმართა ავსტრია-უნგრეთს მცირედ კომპრომისზე წასულიყო. მაგრამ გერმანიის გენშ-

ტაბმა ჩაშალა კანცლერის ეს გაუბედავი წამოწყება. მოლტკე მოითხოვდა ომის დაუყოვნებლივ დაწყებას, რადგან მიაჩნდა, რომ უსარგებლო მოლაპარაკება მხოლოდ დროს დაკარგვა იყო, დრო კი რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. მოლტკეს მიხედვით, გერმანია დაკარგავდა იმ უპირატესობას, რომელიც მას შეიძლება ჰქონოდა ომის პირველ დღეებში. ამ უპირატესობას განაპირობებდა ის, რომ რუსეთში მობილიზაცია ნელა მიმდინარეობდა (მობილიზაციის საბოლოოდ განხორციელებას ორმოცამდე დღე სჭირდებოდა). მოლტკეს იმედი ჰქონდა, რომ ასეთ ვითარებაში მოულოდნელი დარტყმა უზრუნველყოფდა რუსეთის დამარცხებას.

2 აგვისტოს ინგლისელებმა ამცნეს გერმანიას, რომ არ მისცემენ მას უფლებას თავს დაესხას ლამანშში საფრანგეთის ფლოტსა და სანაპიროს. 2 აგვისტოს საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების წინადღეს გერმანიამ ბელგიას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოითხოვდა ბელგიის ტერიტორიაზე ჯარების გატარებას. აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთავრობას ეს ნოტა მზად ჰქონდა ჯერ კიდევ 26 ივლისს, ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბიისათვის ომის გამოცხადებამდე. ბელგიამ უარყო გერმანიის წინაღადება და დახმარებისათვის ინგლისს მიმართა. ინგლისელთათვის ნათელი იყო, რომ ბელგიაში შეჭრით გერმანელები ხელთ იგდებდნენ ბელგიისა და საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს და ამით უშუალო საფრთხეს შეუქმნიდნენ თვით ინგლისის სანაპიროს. 2 აგვისტოს საფრანგეთის ელჩს პოლ კამბონს სერ ედუარდ გრეიმ შეატყობინა, რომ ინგლისის ფლოტი მზადაა დაიცვას საფრანგეთის სანაპირო. ინგლისმა გერმანიისაგან კატეგორიულად მოითხოვა ბელგიის ნეიტრალიტეტის დაცვა. ბელგიის პრობლემა ინგლის-გერმანიის ომის საბაბად იქცა. 4 აგვისტოს გერმანიის კანცლერმა ინგლისის ელჩს ედუარდ გოშენს გამოსათხოვარი საუბრის დრო განუცხადა: „ნაგლეჯი ქაღალდის გამო“ (ასე უწოდა მან საერთაშორისო ხელშეკრულებას ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტიის შესახებ) ომის დაწყება არ ღირდაო. სამწუხაროდ, ასეთია დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება მცირე ქვეყნების ბედიღბლის მიმართ! 3 აგვისტოს ინგლისმა გაიგო, რომ გერმანიამ ულტიმატუმი წაუყენა ბელგიას. სასწრაფოდ შეიკრიბა მინისტრთა საბჭო. პრემიერი ასკვიტი ომის მომხრე იყო. პაციფისტი მინისტრების მისამართით მან განაცხადა, ომს თავიდან ვერ ავიცილებთ, იგი გარდუვალია და მოუწოდა მათ „გონს მოსულიყვნენ“, შეეგნოთ ეს ჭეშმარიტება. როგორც აღნიშნული იყო, ადრე მინისტრთა უმრავლესობა ომის წინააღმდეგი იყო. ამჯერად პაციფისტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ორი მინისტრი-პაციფისტი ლორდი მორლი და

ჯონ ბერნსი გადადგნენ. გადადგა აგრეთვე უმცროსი მინისტრი (მინისტრის მოადგილე) — ტრეველიანი. მინისტრთა კაბინეტმა ომის გამოცხადების გადაწყვეტილება გამოიტანა.

3 საათზე გაიხსნა თემთა პალატის სხდომა. სიტყვით გამოვიდა „ბრიტანეთის სინიდისი" — სერ ედუარდ გრეი. მთელი მსოფლიო, პირველ რიგში გერმანია, მოუთმენლად ელოდა იმას, თუ რას იტყოდა იგი. სერ ედუარდ გრეი ტრიბუნაზე ფერმკრთალი და სერიოზული წარსდგა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გრეი ლაპარაკობდა ხმადაბლა და ძლივს ამთავრებდა ფრაზებს, მაგრამ მისი არგუმენტები იყო გულდაგულ შერჩეული. ყოველი ფრაზა, როგორც ჩანს, წინასწარ იყო დახვეწილი. სამწუხაროდ, — განაცხადა გრეიმ, — „ევროპაში მშვიდობას ვერ შევინარჩუნებთ". მთელი ჩემი პოლიტიკა, — ამბობდა იგი, — მშვიდობის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული, მაგრამ ამაოდ, მას ზოგიერთმა ქვეყანამ ამის საშუალება არ მისცა. ღირსება მოუწოდებს ინგლისს დაეხმაროს საფრანგეთს ჩრდილოეთ სანაპიროს დაცვაში, ამბობდა მინისტრი. შემდეგ მან პარლამენტს წაუკითხა ბელგიის მეფის წერილი, სადაც იგი დახმარებას ითხოვდა. არ შეიძლება ბედის ანაბარა მივატოვოთ „პატარა, უდანაშაულო ბელგია", — პათეტურად განაცხადა გრეიმ. დაბოლოს მან პარლამენტს მოსთხოვა კაბინეტისთვის მიეცა განსაკუთრებული და განუსაზღვრელი რწმუნებანი დიდი ბრიტანეთის ყველა სახმელეთო და საზღვაო ძალის გამოყენების საქმეში.

პაციფისტების ხმა მხოლოდ კანტიკუნტად გაისმოდა. ჯ. უეჯვუდი აფრთხილებდა პალატას, რომ ომმა, შესაძლოა, მოგვიტანოს სოციალური რევოლუციაო. საერთო შოვინისტურ-ჯინგოისტური აღტყინების პირობებში ომის მოწინააღმდეგეთა გაუბედავი გამოსვლები აღარავის ესმოდა. საღამოს გრეიმ ბერლინს ულტიმატუმი გაუგზავნა ბელგიის ნეიტრალიტეტის უსიტყვოდ დაცვის შესახებ. პასუხი უნდა მიეღოთ 4 აგვისტოს 11 საათზე ლონდონის დროით. დაუნინგ-სტრიტზე კაბინეტის წევრები კვლავ შეიკრიბნენ. გრეი დარწმუნებული იყო, რომ პასუხი არ მოვიდოდა. ასეც მოხდა. ზუსტად 11 საათზე სერ ედუარდ გრეიმ გერმანიის ელჩს თავად კარლ მაქს ლიხნოვსკის გაუგზავნა წერილი: „მისი უდიდებულესობის მთავრობა თვლის, რომ ორივე ქვეყანას შორის ოთხი აგვისტოს საღამოს თერთმეტი საათიდან არსებობს საომარი მდგომარეობა". წერილს თან ახლდა გერმანიის საელჩოს წევრთა პასპორტები. 19 საათზე და 20 წუთზე სამხედრო-საზღვაო მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა აცნობა

კაბინეტს, რომ მან გაუგზავნა ინგლისის ფლოტს რადიოგრამა, დაეწყოთ სამხედრო მოქმედება გერმანიის ფლოტის წინააღმდეგ.

ინგლისის ჩაბმა ომში, ომს მსოფლიო ხასიათს აძლევდა, რადგანაც მასთან ერთად მასში ჩაება მისი დომინიონები: კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკის კავშირი, მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდა კანადა. მისმა ჯარებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვიმის (საფრანგეთი), იპრისა და პასშენდელეს (ბელგია) ბრძოლებში. აქტიურად მოქმედებდა კანადის ავიაცია. რამდენიმე კანადელმა ავიატორმა გადააჭარბა კიდეც ცნობილი ამერიკელი „ასის“ ედი რიკენბერგის რეკორდს (მან ჩამოაგდო 26 თვითმფრინავი). ამრიგად, თავდაპირველად ომში ჩაებნენ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ბელგია, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, სერბეთი და ჩერნოგორია. იტალიამ, ბულგარეთმა, შვედეთმა, ნორვეგიამ, დანიამ, ნიდერლანდებმა, ესპანეთმა, პორტუგალიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა და შვეიცარიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ეს ნეიტრალიტეტი ზოგიერთი სახელმწიფოსათვის დროებითი აღმოჩნდა და ამ „ნეიტრალურ“ სახელმწიფოთა შორის რამდენიმე მალე ომში ჩაება ანტანტის მხარეზე. ბულგარეთი გერმანიის ბლოკში აღმოჩნდა. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ანტანტის მხარეზე იყვნენ იაპონია, ეგვიპტე, ლიბერია, სიამი, ჩინეთი და სხვ. თურქეთი გერმანია-ავსტრიის ბლოკთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. 1917 წელს გერმანიის ბლოკს ომი გამოუცხადა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, აგრეთვე ლათინური ამერიკის რვა ქვეყანამ — ბრაზილიამ, კოსტარიკამ, კუბამ, ჰონდურასმა, ჰაიტიმ, გუატემალამ, ნიკარაგუამ, პანამამ. მათგან ომში უშუალო მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ბრაზილიამ და კუბამ. არგენტინამ, პარაგვაიმ, სალვადორმა და ვენესუელამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ბრაზილიამ და კუბამ გაგზავნეს მფრინავები და სამედიცინო პერსონალი. იმპერიალისტური ქვეყნები საზარბაზნე ხორცად იყენებდნენ კოლონიურ ხალხებს. ინგლისის არმიაში დიდი რაოდენობით იყვნენ ინდური შენაერთები, საფრანგეთის მხარეზე იბრძოდნენ მაროკოელები და სხვ. ე. წ. „მაროკოს დივიზიას“ პირველი მსოფლიო ომის დროს საუკეთესო დამრტყმელი შენაერთის სახელი ჰქონდა დამსახურებული. დივიზიაში 23 ათასი მაროკოელი ირიცხებოდა, აქედან 12 ათასი კაცი დაიღუპა. „ზუავთა“ ცნობილ ფრანგულ ნაწილებში დიდი რაოდენობით იყვნენ კოლონიების წარმომადგენლები. სხვებთან ერთად სახელი გაითქვეს „სენეგალელ მსროლელთა“ შენართებმა.

მეოთხარ მხარეთა სამხედრო ძალები და სამხედრო-სტრატეგიული გეგმები

ომის წინ დიდი სახელმწიფოები გამალებით იარაღდებოდნენ. შეიარაღების საქმეში მეტოქეობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 1908-13 წლებში ინგლისის სამხედრო ხარჯები გაიზარდა 131,1%-ით, რუსეთის — 148,8%-ით, საფრანგეთის — 137,9%-ით, გერმანიის — 164%-ით, ავსტრია-უნგრეთის — 173,2%-ით, იტალიის — 188.7%-ით, აშშ — 114,9%-ით და იაპონიისა 114,9%-ით.

ომის დასაწყისისთვის ანტანტამ და გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკმა უზარმაზარ ძალებს მოუყარეს თავი. მობილიზაციამდე რუსეთს ჰყავდა 2,5 მილიონი ჯარისკაცი, მობილიზაციის შემდეგ — 5.461.000; ინგლისს მობილიზაციამდე — 567.000 ჯარისკაცი, მობილიზაციის შემდეგ თითქმის 1.000.000; საფრანგეთს მობილიზაციამდე—2.689.000, მობილიზაციის შემდეგ—3.781.000 (კოლონიებითურთ); ბელგიას მობილიზაციამდე—117.000, მობილიზაციის შემდეგ—375.000; სერბეთს მობილიზაციამდე—247.000. მობილიზაციის შემდეგ—380.000; ჩერნოგორიამ დაახლოებით 60.000 ჯარისკაცი გამოიყვანა. ამრიგად, მობილიზაციის შემდეგ ანტანტას ჰყავდა 11.357.000 ჯარისკაცი; გერმანიას მობილიზაციამდე ჰყავდა 2.147.000, მობილიზაციის შემდეგ — 3.882.000; ავსტრია-უნგრეთს მობილიზაციამდე — 1.421.000, მობილიზაციის შემდეგ — 2.300.000. სულ მობილიზაციის შემდეგ ომის დაწყების მომენტში გერმანია-ავსტრიის ბლოკს 6.182.000 ჯარისკაცი ჰყავდა.

რუსეთის არმიას ომის დასაწყისში 7.112 მსუბუქი და 791 მძიმე ქვემეხი ჰქონდა, საფრანგეთის არმიას შესაბამისად 3960 და 688; ინგლისს — 450 და 24; ბელგიას — 656 და 85, სერბეთს — 570 და 40, ჩერნოგორიას მარტო მსუბუქი — 204, სულ ანტანტის არმიას ჰქონდა 12.952 მსუბუქი და 1.627 მძიმე ქვემეხი. ანტანტის განკარგულებაში იყო 412 თვითმფრინავი. გერმანიის არმიას ჰქონდა 7.992 მსუბუქი და 1396 მძიმე ქვემეხი. ავსტრია-უნგრეთის არმიას, შესაბამისად, — 3.582 და 506. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკს სულ ჰქონდა 11.574 მსუბუქი და 1.902 მძიმე ქვემეხი. მათ განკარგულებაში იყო 232 თვითმფრინავი (გერმანელებისა).

ომის დასაწყისში ანტანტის განკარგულებაში იყო 23 სახაზო გემი, გერმანია-ავსტრია-უნგრეთის განკარგულებაში კი — 17. უფრო საგრძნობი იყო ანტანტის უპირატესობა კრეისერებში (1,5-ჯერ), საესკადრო ნაღმოსნებსა (1,6-ჯერ) და წყალქვეშა ნავებში (სამჯერ).

ომის მსვლელობის დროს შეიარაღების ტემპები არნახულად გა-

იზარდა და მებრძოლი მხარეების შეიარაღებამ ომის დასაწყისისთვის არსებულ დონეს წარმოუდგენლად გადააჭარბა. ავიღოთ იხგლისი. ომის დასაწყისში, როგორც ვხედავთ, მისი შეიარაღების დონე ძალიან დაბალია. ომის მსვლელობის პროცესში ინგლისში სამხედრო პროდუქციის წარმოებამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, 1915 წლის მაისისათვის ინგლისის მრეწველობამ 1914 წლის აგვისტოსთან შედარებით ოცჯერ მეტი საბრძოლო მასალა დაამზადა, 1915 წლის მარტში მარტო ერთ-ერთ ბრძოლაში ბრიტანეთის არტილერიამ დახარჯა მთლიანად ბურების ომში დახარჯულ ჭურვებზე მეტი. ინგლისის შეიარაღების ზრდაში დიდი როლი შეასრულეს ლოიდ ჯორჯმა და უინსტონ ჩერჩილმა. 1914 წლის აგვისტოდან 1915 წლის ნოემბრამდე სასანგრე მორტირების წარმოება გაიზარდა 55-ჯერ; ხელყუმბარებისა — 5.000-ჯერ. 1914 წელს ინგლისის მრეწველობამ დეკემბრის თვეში გამოუშვა სულ 871 ტონა ჭურვი; ერთი წლის შემდეგ ჭურვების თვიურმა პროდუქციამ მიაღწია 23,5 მილიონ ტონას, 1916 წლის დეკემბერში კი — 128,5 მილიონ ტონას. 1914 წელს ინგლისის არმიის თითო ბატალიონში 2 ტყვიამფრქვევი ჰქონდათ, 1915 წელს — ოთხი, ომის ბოლო წლებში კი მათმა რიცხვმა 64—80-ს მიაღწია. 1914 წელს ომის დასაწყისისათვის ინგლისის არმიაში სულ იყო 1300 ტყვიამფრქვევი, ომის მსვლელობის დროს დამზადდა 240.506. ომის დასაწყისში სამხედრო მინისტრს სერ ჰერბერტ კიტჩენერს ბატალიონისათვის საკმარისად მიაჩნდა ორი ტყვიამფრქვევი, ოთხს კი იგი მაქსიმუმად თვლიდა. ამასთან დაკავშირებით არსებობს ლოიდ ჯორჯის (ომის დასაწყისში იგი ახლად დაარსებული შეიარაღების სამინისტროს ჩაუდგა სათავეში) მითითება: „აიღეთ კიტჩენერის მაქსიმუმი (ოთხი ტყვიამფრქვევი), აიყვანეთ იგი კვადრატში, რეზულტატი გაამრავლეთ ორჯერ, მიღებული ნამრავლი კიდევ ორჯერ გაამრავლეთ“. კოლოსალურად იზრდებოდა არმიაში გაწვეულთა რიცხვი. მაგალითად, 1916 წლის დამლევისათვის ანტანტის არმია ფრონტზე და ზურგში უკვე 25 მილიონი კაცით განისაზღვრებოდა. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკის ქვეყნებისა კი დაახლოებით — 15 მილიონი კაცით. ამ დროისათვის მებრძოლმა მხარეებმა დაკარგეს 6 მილიონი მოკლულის და 10 მილიონი დაჭრილის, ხეიბარისა და ინვალიდის სახით. 1916 წლის დამლევს გერმანიის მრეწველობაში ჩაბმული იყო მილიონნახევარი მუშა, 1917 წელს ომის საჭიროებისათვის მუშაობდა 3,5 მილიონი; ინგლისის მრეწველობაში — 5 მილიონი, აქედან ომისათვის მუშაობდა 2.3 მილიონი; საფრანგეთის მრეწველობაში—4.360 ათასი, აქედან 2560 ათასი მუშა ფრონტს ემსახურებოდა; რუსეთის მრეწველობაში—2,5

მილიონი. აქედან ფრონტს ემსახურებოდა 1,8 მილიონი; იტალიის მრეწველობაში — 1,7 მილიონი, აქედან სამხედრო მრეწველობაში დასაქმებული იყო 1,1 მილიონი.

გერმანიის არმიის ნომინალურ მთავარსარდლად ითვლებოდა კაიზერი ვილჰელმ II, ფაქტიურად კი მთავარსარდლის მოვალეობას ომის დასაწყისში 1914 წლის სექტემბრამდე ასრულებდა გენერალური შტაბის უფროსი გრაფი ჰელმუტ ფონ მოლტკე (უმცროსი). მდინარე მარნაზე გერმანიის არმიის წარუმატებლობის შემდეგ 1914 წლის სექტემბერში მოლტკე გადააყენეს. მთავარსარდლობა დაეკისრა გენერალ ერიხ ფალკენჰაინს. ვერდენის მარცხის შემდეგ 1916 წლის 29 აგვისტოს გერმანიის არმიას სათავეში ჩაუდგა ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი. მისი მოადგილის ფუნქციებს ასრულებდა არმიის პირველი გენერალკვარტირმაისტერი გენერალ-ლეიტენანტი ერინ ლიუდენდორფი. ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი არმიის სათავეში ომის დამთავრებამდე დარჩნენ.

ავსტრიის არმიის სარდალი იყო ერცჰერცოგი ფრიდრიხი. ფაქტიურად კი მას ხელმძღვანელობდა გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ფრანც კონრად ფონ ჰოეტცენდორფი.

საფრანგეთის არმიამ ომის პროცესში რამდენიმე მთავარსარდალი გამოიცვალა. ომის პირველ ეტაპზე (1914 წლიდან 1916 წლის 12 დეკემბრამდე) არმიას სარდლობდა გენერალი (შემდეგ მარშალი) ჟოზეფ ჟოფრი, 1916 წლის 12 დეკემბრიდან — გენერალი რობერტ-ჟორჟ ნიველი. 1917 წლის 17 მაისიდან ომის დამთავრებამდე მთავარსარდლის პოსტი ეკავა მარშალ ანრი-ფილიპ პეტენს. პირველი მსოფლიო ომის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა (შემდეგ მარშალმა) ფერდინანდ ფოშმა, რომელმაც 1918 წელს, მოკავშირეთა სარდლობის ცენტრალიზაციის შემდეგ, მოკავშირეთა არმიის მთავარსარდლის პოსტი დაიკავა. ინგლისის არმიის სარდალი ომის პირველ ეტაპზე იყო ფელდმარშალი ჯონ დენტონ ფრენჩი, 1915 წლის დეკემბრიდან ომის დამთავრებამდე — გენერალი (შემდეგ ფელდმარშალი) დუგლას ჰეიგი. ბელგიის არმიის მთავარსარდალი იყო ბელგიის მეფე ალბერტ I.

რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი ომის პირველ ეტაპზე იყო დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი), უმაღლესი ბანაკის შტაბის უფროსი — გენერალი ნ. ნ. იანუშკევიჩი. 1915 წლის 25 აგვისტოს არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა იკისრა იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ. გენერალური შტაბის უფროსი 1917 წლის მარტამდე იყო გენერალი მ. ვ. ალექსეევი. თებერვლის რევო-

მარშალი ფერდინანდ ფოში

თეობალდ ბეტმან-ჰოლვეგი

ვუდრო უილსონი

გი დე მოპასანი

ლუციის შემდეგ მთავარსარდლის პოსტები ეკავათ გენერლებს მ. ვ. ალექსეევს, ა. ა. ბრუსილოვს და ლ. გ. კორნილოვს, ა. ფ. კერენსკის, ნ. ნ. დუხონინს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1918 წლის მარტამდე მთავარსარდლის პოსტზე იმყოფებოდა ნ. კ. კრილენკო. სერბეთის არმიის სარდალი იყო ვოევოდა რ. პუტნიკი.

ომის დასაწყისისათვის სამხედრო თვალსაზრისით გერმანია უკეთ იყო მომზადებული, რაც შეეხება სამხედრო-ეკონომიურ პოტენციურ შესაძლებლობას, ამ მხრივ ანტანტა გაცილებით უფრო ძლიერი იყო გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკთან შედარებით. გახანგრძლივებულმა ომმა ეს უპირატესობა რეალობად აქცია. დრო ანტანტის სასარგებლოდ მოქმედებდა. მან აღიარა თავისი პოტენციური უპირატესობის გამოყენება და ომი თავის სასარგებლოდ დაამთავრა (თუმცა, 1914 წელს, ომის დასაწყისში და 1918 წელს თვითონვე აღმოჩნდა მძიმე განსაცდელის წინაშე). ანტანტის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა აშშ, მის მხარეზე იყო. მისი დაფინანსება ძირითადად ნიუ-იორკიდან წარმოებდა ლონდონის გზით. ანტანტის მატერიალური და ცოცხალი რესურსები საგრძნობლად სჭარბობდა გერმანიის ბლოკის შესატყვის რესურსებს. მოსახლეობა დაახლოებით ექვსჯერ მეტი იყო, არმია—ორჯერ მეტი. ანტანტის სამრეწველო პოტენციალი რამდენჯერმე აღემატებოდა გერმანიის ბლოკის სამრეწველო პოტენციალს. ომის დაწყებისას ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) მოიპოვეს 414.2 მლნ ტონა ქვანახშირი, 10.3 მილიონ ტონა ნავთობი, გამოიმუშავეს 50.9 მილიონ ტონა რკინის მადანი (1913), თუჯი — 19,5 მლნ ტ., ფოლადი — 25.9 მლნ ტ. (1911-13). ცენტრალურმა სახელმწიფოებმა (გერმანია და ავსტრია-უნგრეთი) შესაბამისად მოიპოვეს: ქვანახშირი — 331.0 მლნ ტ., ნავთობი — 1.2 მლნ ტ., რკინის მადანი—33.7 მლნ (1913), თუჯი—17.3 მლნ ტ., ფოლადი—19.7 მლნ ტ. (1911-13). ომის წინ ანტანტის ქვეყნების ეროვნული შემოსავალი უდრიდა 25.7 მლრდ დოლარს, ცენტრალური სახელმწიფოებისა 15.0 მლრდ დოლარს. ომის წლებში ეს განსხვავება კოლოსალურად ეარსებოდა ანტანტის სასარგებლოდ.

ანტანტას ემსახურებოდა 34-ზე მეტი სახელმწიფო სამხედრო ქარხანა (საარტილერიო, საიარაღო, ჭურვების, თოფისწამლის დამამზადებელი და სხვ.). სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ კერძო ფირმები (მათ შორის ვიკერსი, არმსტრონგ-უიტუორტი — ინგლისში, შნედერ-კრეზო და სენ-შამონი — საფრანგეთში, პუტილოვის — რუსეთში). გერმანიას ჰქონდა 16 სახელმწიფო სამხედრო ქარხანა, სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდნენ აგრეთვე კერძო ფირმები, მათ

შორის კრუპის (გერმანიაში) და შკოდის (ავსტრია-უნგრეთში). ანტანტის სახელმწიფოებში (აშშ-ის გამოკლებით) სამხედრო მრეწველობას ემსახურებოდა 40.000-მდე საწარმო 13 მილიონი მუშით, გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკში — 10.000-მდე საწარმო 6 მილიონი მუშით.

ანტანტის სახელმწიფოთა ხელმძღვანელობა და სარდლობა სწრაფ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ გამარჯვება საშობაოდ იქნებოდა უზრუნველყოფილი. მაგრამ 1914 წლის შემოდგომიდან უკვე ნათელი გახდა, რომ ომი ხანგრძლივ ხასიათს ღებულობდა. ინგლისისა და საფრანგეთის სტრატეგიის მიხედვით, უპირატესობა ენიჭებოდა დასავლეთ (გერმანია-საფრანგეთის) ფრონტს. რუსეთის ფრონტს ინგლისსა და საფრანგეთში მეორეხარისხოვანად თვლიდნენ. რუსეთს თავისებური სადივერსიო ამოცანა ეკისრებოდა. მას, როცა ამას ინგლის-საფრანგეთის სარდლობა საჭიროდ ჩათვლიდა, აღმოსავლეთიდან უნდა განეხორციელებინა დივერსიული დარტყმა და ამით გერმანიის ძალების გარკვეული ნაწილი უნდა მიეზიდა. უპირატესად ეს ასეც ხდებოდა, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალზე დამოკიდებული რუსეთი ევროპის საომარ ასპარეზზე უპირატესად ანტანტის ქვეყნების ნებას ემორჩილებოდა. ასე იყო 1914 წელს რუსეთის ცნობილი შეტევა აღმოსავლეთ პრუსიაში. საშინელი დიდი მსხვერპლის ფასად რუსეთმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მარნაზე ფრანგების წარმატებას და პარიზის გადარჩენას. ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი ომმა კიდევ უფრო მიაჯაჭვა ანტანტას. 1915 წელს ბრძოლების დროს იგი განიცდიდა იარაღისა და საბრძოლო მასალის მწვავე ნაკლებობას. რუსეთის ჩამორჩენილი მრეწველობა ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა ფრონტის მოთხოვნებს. ცარიზმი ხსნას პარიზსა და ლონდონში ეძებდა. ინგლის-საფრანგეთის დახმარება საკმარისი არ იყო, თანაც დახმარება ძალზე იგვიანებდა. რუსეთი უდიდესი მსხვერპლის ფასად იგერიებდა მტრის დიდ შემოტევას და ბრძოლისუნარიანობას ინარჩუნებდა. 1916 წელს რუსეთის არმიამ კიდევ ერთხელ აღასრულა ინგლის-საფრანგეთის ჩანაფიქრი. რუსეთის არმიის ახალმა შეტევამ ხელი შეუწყო ვერდენის ისტორიულ ბრძოლაში საფრანგეთის წარმატებას. ეს შეტევაც რუსეთმა უდიდესი მსხვერპლის ფასად განახორციელა.

რუსეთის ძალები უმოწყალოდ ნადგურდებოდა. ინგლისი და საფრანგეთი მას აღარ თვლიდნენ ტოლფასოვან პარტნიორად. ფრანგ და ინგლისელ გენერლებს ძირითადად აინტერესებდათ მხოლოდ დასავლეთის ფრონტის მდგომარეობა, ის თუ რამდენი დივიზია იყო იქ,

საკმარისი იყო თუ არა მომარაგება და სხვ. ინგლის-საფრანგეთის ბანაკში „დასავლელების“ (მთავარია დასავლეთის ფრონტი) და „აღმოსავლელების“ (აღმოსავლეთის, ანუ რუსეთის ფრონტს, ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ფრონტებს პირველხარისხოვნად თვლიდნენ) ბრძოლა პირველების უპირატესობით მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში ინგლისი და საფრანგეთი ახორციელებდნენ „შორეული დამიზნების პოლიტიკას“: ომის დასასრულს რუსეთი არ უნდა იყოს „ზედმეტად ძლიერი“. „ძლიერი რუსეთი“ ევროპისათვის საშიშია. ამიტომ ევროპაში უნდა დარჩეს „საკმაოდ ძლიერი გერმანია“, რომელიც შეძლებს რუსეთის ნეიტრალიზებას, „რუსული საფრთხის“ გაქარწყლებას. დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი რობერტსონი საიდუმლო ინსტრუქციაში მიუთითებდა: „ბრიტანეთის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა გერმანია დავტოვოთ ზომიერ სახმელეთო ძალად“. „შორეული დამიზნების პოლიტიკას“ იზიარებდნენ აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწეები — პრეზიდენტი ვუდრო უილსონი (ვილსონი), პოლკოვნიკი ჰაუზი და სხვ. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთისათვის გამიზნული იყო დახმარება მხოლოდ ისეთ ფარგლებში, რაც მას საშუალებას მისცემდა გამკლავებოდა გერმანიას, არ განეცადა საბოლოო მარცხი და ბრძოლიდან არ გამოსულიყო. ეს უკანასკნელი, ცხადია, ინგლისსა და საფრანგეთს არ აწყობდათ. ამიტომ მოითხოვდა „დასავლელი“ ლოიდ ჯორჯი რუსეთისადმი დახმარების გაძლიერებას იმ მომენტში, როცა რუსეთის განადგურებისა და მისი ომიდან გამოსვლის საფრთხე შეიქმნა, განსაკუთრებით 1917 წელს, რუსეთში რევოლუციური სიტუაციის მომწიფებისას. 1915 წელს რუსეთის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ინგლისი და საფრანგეთი გულგრილად უყურებდნენ რუსეთის მძიმე მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მისი სრული მარცხი, რაც დასავლეთის ფრონტისთვის შესაძლებელია მომაკვდინებელი შედეგებით დამთავრებულიყო. ლოიდ ჯორჯი ასეთ მოქმედებას ანტანტის შეცდომად თვლიდა და ამბობდა: „საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობას ისტორია პასუხს მოსთხოვს იმაში, რომ მათ თავიანთი ეგოისტური ჟინიანობით რუსი მებრძოლი ამხანაგები დასაღუპად გაწირეს. ეს მაშინ, როცა ინგლისსა და საფრანგეთს სრულიად ადვილად შეეძლოთ ეხსნათ რუსები და ამდენად ყველაზე უკეთ საკუთარ თავს დახმარებოდნენ (ხაზი ჩვენია — გ. კ.)“. ინგლისელებსა და ფრანგებს არც აღმოსავლეთში მოსწონდათ რუსეთის ზედმეტი წარმატება. ცნობილია, რომ თურქეთის წინააღმდეგ სარიყამიშის ბრძოლაში რუსების წარმატებას

ინგლისში აღტაცება როდი გამოუწვევია. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ ჩანს გერმანელი ადმირალის ფონ ტირპიცის სიტყვები: „ბრიტანეთის დიპლომატიის მთავარი მიზანია მიაღწიოს რუსებისა და გერმანელების მიერ ურთიერთ ჟლეტას“.

ამ მხრივ მდგომარეობა სამთა კავშირში უფრო სტაბილური აღმოჩნდა. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ბლოკში გერმანია აშკარად უძლიერესი იყო და, ამდენად, აქ საკავშირო ურთიერთობები უფრო გაადვილდა; გერმანია თითქმის შეუწყვეტლივ წარმართავდა კავშირის საქმიანობას. ერთადერთი, რაც სამთა კავშირს ასუსტებდა, იტალია-ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობა იყო. მათი მოგვარება გერმანიამ ვერ შეძლო. ამას მალე მოჰყვა ის, რომ იტალია მოწინააღმდეგე ბანაკში გადაბარგდა.

გერმანიის დიპლომატიას და მხედრიონს „ბლიცკრიგის“ იმედი ჰქონდა. მტრის რაც შეიძლება სწრაფად განადგურება — ასეთი იყო გერმანიის სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრი, რომელიც შლიფენის ცნობილ გეგმაში იყო ფიქსირებული. გერმანიის დიპლომატიაც სწრაფი ომის მომხრე იყო. ფონ იაგოვი ამბობდა: „გერმანიის მთელი ავლადიდება მოქმედების სისწრაფეა“. გერმანელთა გეგმის მიხედვით, სანამ მოკავშირეები ძალას მოიკრეფდნენ, საჭირო იყო საფრანგეთის განადგურება. ამისათვის დაახლოებით 6 კვირა იყო გათვალისწინებული. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის არმიის მობილიზებას და სრულ მზადყოფნაში მოყვანას ეს დრო არ ეყოფოდა. ამდენად საფრანგეთისადმი მისი დახმარება დაყოვნდებოდა. ამ დახმარებას მოკლებული საფრანგეთი სწრაფად განადგურდებოდა, შემდეგ კი დადგებოდა თვით რუსეთის ჯერი. გერმანელებს შეტევა უნდა განეხორციელებინათ პარიზის მიმართულებით. პარიზის აღების შემდეგ, გერმანელთა ვარაუდით, საფრანგეთი შეწყვეტდა წინააღმდეგობას და ზავს მოითხოვდა. გერმანიის ლიდერები ხალხს ჰპირდებოდნენ გამარჯვებას „შემოდგომის ფოთოლცვივნამდე“. პრესა წერდა, სულ მალე ბერლინელებს საშუალება ექნებათ ლონდონში ბიფშტექსი შეუკვეთონო.

გერმანელების სამხედრო-სტრატეგიული მისწრაფებანი „შლიფენის გეგმის“ სახით იყო ჩამოყალიბებული. ეს გეგმა ეკუთვნოდა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს (1891—1906 წლებში) გენერალ-ფელდმარშალს გრაფ ალფრედ ფონ შლიფენს. შლიფენის გეგმა ავსტრია-უნგრეთის ჯარების მოქმედებასაც ითვალისწინებდა. გეგმის შემუშავება ძირითადად დამთავრებული იყო 1905 წლისათვის. იგი ითვალისწინებდა ბრძოლას ორ ფრონტზე (საფრანგეთისა და რუსეთის) და უმოკლეს ვადაში წარმატების მოპოვებას. გადამწყ-

ვეტი ბრძოლები უნდა გამართულიყო დასავლეთ (საფრანგეთის) ფრონტზე. შლიფენის გეგმის თანახმად, რუსეთი დიდხანს ვერ გაშლიდა თავის ძალებს (საამისოდ მას დასჭირდებოდა სულ ცოტა 40 დღე). ამასთან ერთად მის აქტიურ მოქმედებას შებოჭავდა ავსტრია-უნგრეთი. გერმანიას საფრანგეთის საზღვარზე თავი უნდა მოეჯარა შეიარაღებული ძალების 3/4-სათვის. შეტევა უნდა განხორციელებულიყო მარჯვენა და მარცხენა ფრთით. მთავარი როლი მიეკუთვნებოდა გერმანიის არმიის მარჯვენა ფრთას. მას მოქმედება უნდა დაეწყო ბელგიის გავლით. სწრაფად უნდა გადაელახა გაუმაგრებელი ჩრდილოეთ საფრანგეთი, გადაეკვეთა მდინარე სენა, შემობრუნებულიყო რუანის ჩრდილოეთით, შემოევლო პარიზისათვის დასავლეთიდან და შემდეგ სამხრეთიდან და საფრანგეთის მთავარი ძალები გადაესროლა აღმოსავლეთით მდინარე მოზელის გამაგრებული რაიონისაკენ. გერმანიის არმიის შედარებით მცირერიცხოვან ფრთას აშასობაში უნდა დაეკავებინა საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი და დაყრდნობოდა მეც-ტიონვილის გამაგრებულ რაიონს. ამრიგად, საფრანგეთის არმია მარწუხებში აღმოჩნდებოდა მარჯვენა და მარცხენა ფრთებს შორის. გერმანიის მარჯვენა ფრთა იქნებოდა ურო. ხოლო ლორენისა და შვეიცარიის საზღვარი — გრდემლი. გეგმის მიხედვით, საფრანგეთი დაახლოებით 6 კვირაში უნდა განადგურებულიყო. ამის შემდეგ გერმანიას განთავისუფლებული არმიები სწრაფად უნდა გადაესროლა აღმოსავლეთისკენ და აქ ავსტრია-უნგრეთის ჯარებთან ერთად უნდა მოეხდინა რუსეთის სრული განადგურება. აქვე უნდა გადაწყვეტილიყო სერბეთის ბედიც. ომი სამ თვეში უნდა დამთავრებულიყო. გერმანელთა ამ გეგმის განხორციელებას ბირი არ უჩანდა. მთავარი ნაკლი იყო მოწინააღმდეგეთა ძალების შეუფასებლობა და საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება.

1913 წელს სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ფელდმარშალი ფონ შლიფენი უკანასკნელად იბარებდა: „ოღონდ არ შეასუსტოთ ჩემი მარჯვენა ფრთა“.

შლიფენის მემკვიდრემ გრაფმა ფონ მოლტკემ (უმცროსმა) გეგმაში ცვლილებები შეიტანა. საჭირო გახდა რუსეთის წინააღმდეგ გამიზნული ძალების გაზრდა სწორედ მარჯვენა ფრთის შემცირების ხარჯზე. ეს იყო აუცილებლობა, ნაკარნახევი იმით, რომ 1914 წელს რუსეთის არმია გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 1905 წელს. მარჯვენა ფრთის ხარჯზე გაძლიერდა აგრეთვე საფრანგეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ გამიზნული მარცხენა ფრთა. შლიფენის

გეგმის მიხედვით, მარჯვენა და მარცხენა ფრთებს შორის შეფარდება უნდა ყოფილიყო 7:1, მოლტკეს გეგმით გასსხვავება გახდა 3:1.

გერმანიის საზღვაო-სამხედრო გეგმა არ ითვალისწინებდა ინგლისელთათვის დასაწყისშივე გენერალური ბრძოლის გამართვას. ამ შემთხვევაში ინგლისის უფრო ძლიერი ფლოტი სძლევდა გერმანიის ფლოტს. გერმანიის ფლოტი კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო ჰელგოლანდის ყურეში. აქედან უნდა განხორციელებულიყო თავდასხმები ცალკეულ ინგლისურ ხომალდებზე. გერმანელები ვარაუდობდნენ ინგლისის ფლოტის თანდათანობით შესუსტებას და გენერალური ბრძოლის გამართვას ძალთა თანასწორობის დამყარების შემდეგ. ინგლისის საზღვაო კომუნიკაციების წინააღმდეგ საბრძოლველად გერმანელებმა გამოჰყვეს აგრეთვე ცალკეული კრეისერები, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წყალქვეშა ომს და წყალქვეშა ფლოტის გაძლიერებას დიდ დროს უთმობდნენ. ბალტიის ზღვაში დატოვებულ იქნა მცირე ძალები რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ.

ავსტრია-უნგრეთის გეგმა გერმანიის გავლენით იყო შედგენილი. სამხედრო ძალები გაიყო სამ ჯგუფად: „ეშელონი — ა" (მთელი ძალების დაახლოებით 2/3) განკუთვნილი იყო რუსეთის წინააღმდეგ; „ბალკანეთის მინიმალური ჯგუფი" (მთელი ძალების დაახლოებით 1/7)—სერბეთის წინააღმდეგ: „ეშელონი—ბ" (ყველა ძალის 1/6) სარეზერვო დანიშნულებისა იყო და საჭიროებისამებრ უნდა გამოეყენებინათ რუსეთის ან სერბეთის წინააღმდეგ. ავსტრია-უნგრეთის სუსტი ფლოტი თავმოყრილი იყო ადრიატიკის ზღვაში და მას ევალებოდა მხოლოდ სანაპიროს დაცვა. ავსტრია-უნგრეთის ტაქტიკური გეგმის № 1 ამოცანა იყო სერბეთის განადგურება და მისი ოკუპაცია. საბოლოო ანგარიშში კი ავსტრია-უნგრეთი რუსეთის შემუსვრას ითვალისწინებდა. ფრანგების სამხედრო-სტრატეგიული გეგმა („გეგმა XVII") უფრო პრაგმატულ ხასიათს ატარებდა და ითვალისწინებდა მოქმედებას ვითარებისა და მტრის მოქმედების შესაბამისად. ამასთან ერთად, საფრანგეთის სტრატეგიული გეგმა ძნიშვნელოვან ხარვეზებსა და აშკარა შეცდომებს შეიცავდა. ჯერ ერთი, ფრანგებს ეგონათ, რომ გერმანელები ძირითად ძალებს თავს მოუყრიდნენ საფრანგეთ-გერმანიის გამაგრებულ საზღვართან. საფრანგეთის და, მასთან ერთად, ინგლისის შტატები, მართლაც, ვარაუდობდნენ გერმანიის შემოჭრას ბელგიიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან კონკრეტულად არაფერი გააკეთეს ბელგიის მიმართულებით გერმანიის არმიის წინსვლის შესაფერხებლად. საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე არ იყო შექმნილი ხელოვნური გამაგრებები. მეტიც, აქ არც

საფრანგეთის ჯარი იდგა. ფრანგებმა და ინგლისელებმა, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ დაარღვიეს ბელგიის ნეიტრალიტეტი, არ შეიყვანეს იქ ჯარები. ბეთმან-ჰოლვეგმა კი, როგორც ვიცით, ანგარიში არ გაუწია „ფარატინა ქაღალდს" (შეთანხმებას ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ) და ბელგია არ დაზოგა. ფრანგებმა ვერც ის გაითვალისწინეს, თუ რამდენ დივიზიას მოუყრიდნენ თავს გერმანელები დასავლეთის ფრონტზე (ფრანგები ვარაუდობდნენ 63 დივიზიას, მაშინ როდესაც აქ გერმანელებმა 83½ დივიზია გამოიყვანეს). ფრანგებმა გერმანიის წინააღმდეგ ჯარის სამი დაჯგუფება შექმნეს. სამხრეთის ჯგუფი ელზასის მიმართულებით სამოქმედოდ იყო გამიზნული, ჩრდილოეთის ჯგუფი — ბელგიისა და ლუქსემბურგის მიმართულებით. მესამე ჯგუფი სარეზერვო დანიშნულებისა იყო. ფრანგების გეგმა, პირველ ყოვლისა, ელზას-ლორენში შეჭრას ითვალისწინებდა.

საფრანგეთის სტრატეგიული გეგმის უმთავრესი ნაკლი იყო პასიური — თავდაცვითი ამოცანა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საფრანგეთს რუსეთის ცოცხალი ძალის დიდი იმედი ჰქონდა. საფრანგეთის ფლოტს ევალებოდა: 1. კოლონიური ჯარების (ალჟირი, მაროკო და სხვ.) გადმოყვანა მეტროპოლიაში, 2. საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროს (უპირატესად ლამანშის) დაცვა და ამით უზრუნველყოფა ინგლისთან კომუნიკაციებისა, 3. ავსტრია-უნგრეთის ფლოტის ბლოკირება ადრიატიკის ზღვაში.

რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული გეგმის მიხედვით, უზარმაზარი აღმოსავლეთის ფრონტი იყოფოდა ორ, თითქმის დამოუკიდებელ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ოპერატიულ უბნად.

გეგმის თანახმად, მთავარი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო სამხრეთ-დასავლეთ უბანზე, ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ. იგი უნდა გადაჭიმულიყო ივანგოროდიდან რუსეთ-ავსტრიის საზღვრის გაყოლებით რუმინეთამდე. აქ თავმოყრილი უნდა ყოფილიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების 3/5. სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მთავარი ამოცანა იყო ავსტრია-უნგრეთის არმიის განადგურება, კარპატებზე უღელტეხილების დაკავება და კრაკოვზე უკანდასახევი გზების მოჭრა, ბუდაპეშტისა და ვენის აღება.

ანტანტის გეგმის თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო დაეწყო შეტევა გერმანიის წინააღმდეგ, ძირითადად, აღმოსავლეთ პრუსიის მიმართულებით. ამ ამოცანას ისახავდა ჩრდილო-დასავლეთი ფრონტი, რომელიც გადაჭიმული იყო ბალტიის ზღვიდან მდინარე ბუგის

ქვემო დინებამდე. აქ გამიზნული იყო პირველი ხაზის დივიზიების ორი მესამედის თავმოყრა. შეტევის მიზანი იყო ბერლინის დაკავება.

რამდენიმე არმია გათვალისწინებული იყო პეტერბურგისა და ბალტიისპირეთის დასაცავად. რეზერვში იყო არმია რუმინეთის წინააღმდეგ (ჯერ ცნობილი არ იყო ვის მხარეზე იომებდა რუმინეთი). შექმნილი იყო ცალკე არმია თურქეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფრონტზე. როგორც ვხედავთ, რუსეთის სამხედრო ძალები დაქსაქსული იყო, რაც მის სამხედრო შესაძლებლობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

რუსეთის ფლოტს სხვადასხვა ამოცანები ეკისრებოდა. ბალტიის ფლოტის ამოცანა იყო არ შემოეშვა მტერი ფინეთის ყურეში და დაეცვა პეტერბურგი. აქ მოღვაწეობდა შედარებით ნიჭიერი სარდალი, ს. ო. მაკაროვის მოწაფე, ვიცე-ადმირალი ნ. ო. ესენი. მან ბევრი რამ გააკეთა ბალტიის ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად. შავი ზღვის ფლოტს რაიმე გარკვეული, დამტკიცებული ოპერატიული გეგმა არ ჰქონდა. არ იყო დამუშავებული არმიისა და ფლოტის ურთიერთ თანამშრომლობის გეგმა, რაც ომის მსვლელობის დროს აუცილებელი შეიქნა. ფლოტს აქ ევალებოდა ხანგრძლივად შეენარჩუნებინა ზღვაზე ბატონობა და არ დაეშვა მტრის დესანტის გადმოსხმა.

ომის მსვლელობაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ჩრდილოეთის გზას. ბალტიის ზღვა გერმანელებმა ჩაკეტეს, დარდანელი — თურქებმა, რუსეთის მომარაგება ანტანტის მიერ გაჭირდა, რაც რუსეთს ყოფნა-არყოფნის საფრთხეს უქმნიდა. ამ ვითარებამ ჩრდილოეთის საზღვაო გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. იმპერიალისტურ ომის მძიმე პირობებში შეიქმნა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ფლოტილია, აშენდა ნავსადგურები, ბაზები. ეს ფლოტილია იცავდა მოკავშირეთშორისო გადაზიდვებს წყალქვეშა ნავებისა და ნაღმებისაგან. აქედანვე განხორციელდა რუსეთის ჯარების გადასხმა საფრანგეთში 1916 წელს. მთავარი მნიშვნელობა მიეცა არხანგელსკისა და, შემდგომ, მურმანსკის გზებს. გერმანელები ითვალისწინებდნენ რუსეთისათვის ანტანტის დახმარების უდიდეს მნიშვნელობას და ცდილობდნენ ეს ერთადერთი საკომუნიკაციო გზაც ჩაეკეტათ, რის საბოლოოდ განხორციელება მათ ვერ შეძლეს. ამ გზით მიმოსვლისას მოკავშირეებს დიდი ზარალი მოსდიოდათ. მაგალითად, 1916 წლის 9 მაისს ჩრდილოეთის ზღვაში დაიღუპა ინგლისის კრეისერი „ჰემპშირი". დაღუპულთა შორის იყო თვით სამხედრო მინისტრი კიტჩენერი (უნდა გამგზავრებულიყო ლოიდ ჯორჯი), რომელიც რუსეთში მიდიოდა დახმარების საკითხის გასარკვევად.

1914-15 წლებში შეიქმნა საგანგებო დანიშნულების ფლოტილია, რომელიც მდინარე დუნაის საშუალებით აწარმოებდა სერბეთში იარაღის, საბრძოლო მასალის, აღჭურვილობის, სურსათისა და სხვ. გადაზიდვას. რუსეთის ფლოტი წარმატებით ახორციელებდა ოპერაციებს თურქეთის წინააღმდეგ ლაზისტანის სანაპიროებზე და ამით კავკასიის ფრონტს დიდ დახმარებას უწევდა. ამავე დროს იგი საზღვაო ბრძოლებს აწარმოებდა დუნაის შენაკადთან რუმინეთის ფრონტის ჯარების დასახმარებლად. 1916 წლის აგვისტოში რუსეთის ფლოტმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას — ბოსფორის ბლოკადას.

ინგლისის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა მისი „სხვისი ხელით ნარის გლეჯის" ტრადიციული პოლიტიკის შესაბამისად იყო აგებული. ბრიტანეთის პოლიტიკოსებს თავიდან ძალების დაბანდება და დიდი მსხვერპლი არ სურდათ. დაე, იბრძოლოს სხვამ, დაე, გერმანიასთან ბრძოლაში სისხლიდან დაიცალონ საფრანგეთი და რუსეთი! — ასე ფიქრობდა „ცბიერი ალბიონი". ხოლო თავისთვის, როგორც აღვნიშნეთ, „მესამე მოცინარის" როლს ითვალისწინებდა. ამიტომ იყო, რომ ომის დასაწყისში საფრანგეთში გადაყვანილი 6 ქვეითი და $1^1/_2$ ცხენოსანი დივიზიისაგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსი მეტად მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. არმიაში სულ 80 ავტომანქანა და 63 თვითმფრინავი მოქმედებდა. არტილერია უსუსურად გამოიყურებოდა. არ მოქმედებდა სატელეფონო და რადიოკავშირი. შემუშავებული არ ჰქონდათ რაიმე კონკრეტული ოპერატიული გეგმა გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში, კორპუსს უნდა ემოქმედა საფრანგეთის გენშტაბის გეგმის შესაბამისად.

1914 წელს, ასკვიტის წინადადებით, სამხედრო მინისტრად დაინიშნა კიტჩენერი. იგი პოპულარული გენერალი იყო, მაგრამ ეკუთვნოდა ძველ სკოლას, ჰქონდა გამოცდილება კოლონიურ ომებში და ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკისა ნაკლებად ესმოდა. მაგალითად, კიტჩენერმა ვერ შეაფასა ტანკების როლი და მათ „მშვენიერი მექანიკური სათამაშო" უწოდა, მაშინ, როდესაც კოლონიური ომების მაგალითისამებრ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავალერიას (პოზიციური ომებისა და ტყვიამფრქვევების სიმძლავრის პირობებში კავალერიამ საგრძნობლად დაკარგა მნიშვნელობა). ამიტომ იყო, რომ ინგლისის საექსპედიციო არმიის ყოველ დივიზიაში 5—6 ათასი ცხენი ჰყავდათ. როცა 1916 წელს კიტჩენერი დაიღუპა, მახვილი სიტყვის ოსტატმა ლოიდ ჯორჯმა თქვა: „კიტჩენერი მოკვდა ქვეყნისთვის და თავისთვის ზუსტად შესაფერის მომენტში".

ინგლისის მთავარი სტრატეგიული ჩანაფიქრი გერმანიის საზღ-

ვაო ძლიერების დაუყოვნებლივ შემუსვრას ითვალისწინებდა. ინგლისის მხედრიონი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის ფლოტი ბოლომდე გაანადგურებდა გერმანიის ფლოტს ჩრდილოეთის ზღვასა და ოკეანეებში. ამასობაში ინგლისის კონტინენტური მოკავშირეები — ფრანგები და რუსები გერმანიას დაამარცხებდნენ ხმელეთზე. ყველაფერი დამთავრდებოდა რამდენიმე თვეში ან, შესაძლოა, რამდენიმე კვირაში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს შედგენილ მემორანდუმში ჩერჩილი ირწმუნებოდა, დასავლეთ ფრონტზე ბრძოლა სულ რაღაც 40 დღეში დამთავრდებაო. ინგლისის მმართველი წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწრაფი წარმატების შედეგად ინგლისის ჩვეულებრივი ცხოვრება არ დაირღვეოდა. „ბიზნესი ჩვეულებრივისამებრ", — ასე ფიქრობდნენ დიდ ბრიტანეთში. სერ ედუარდ გრეი 3 აგვისტოს წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში ამბობდა: „ომში ჩაბმა იმაზე მეტ გაჭირვებას როდი მოგვიტანს, რაც ომში ჩაუბმელობამ შეუძლია მოგვიტანოსო". დიდი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი ომისათვის მზად რ.ყო. ადმირალ ჯონ არბეტნოტ ფიშერის და უინსტონ ჩერჩილის ვარაუდით, ომი 1914 წლის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო. ჩერჩილმა 1914 წლის ივლისში ნაცვლად ფლოტის ტრადიციული ყოველწლიური მანევრებისა, საწვრთნელი მობილიზაცია ჩაატარა და ყველა ხომალდი და ეკიპაჟი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა. 17—18 ივლისს ჩატარდა ფლოტის ტრადიციული პარადი. ჩვეულებრივ, პარადის 'მემდეგ ფლოტს ითხოვდნენ და თავიანთ ბაზებში აბრუნებდნენ. ამჯერად, 20 ივლისის ბრძანებით, ინგლისის ფლოტი არ დაითხოვეს და სრულ საომარ მზადყოფნაში დატოვეს.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის ამოცანა იყო გერმანიის ფლოტის „კოპენჰაგირება ა ლა ნელსონ". მაგრამ გერმანელებმა ამის საშუალება ინგლისელებს არ მისცეს, პირველ ყოვლისა იმით, რომ თავი აარიდეს მათთან გენერალურ ბრძოლას. ინგლისელებს ეშინოდათ აგრეთვე გერმანული დირიჟაბლების, ცნობილი „ცეპელინებისა". მათ შეეძლოთ ინგლისის საზღვაო ბაზებისათვის დიდი ზიანის მიყენება. „ცეპელინების" განსაკუთრებით ეშინოდა გენერალ-ფელდმარშალ კიტჩენერს. ინგლისის სამხედრო ავიაცია ძალიან სუსტი იყო, ფრენის რადიუსი — მეტად მცირე. ჩერჩილმა დიდი შრომა გასწია სამხედრო-საზღვაო ავიაციის შესაქმნელად. ინგლისელებმა შესაფერისი ბაზები გახსნეს საფრანგეთში (დიუნკერკი და კალე) და აქედან ესხმოდნენ თავს ცეპელინების სადგომებს. დიდი ბრიტანეთის სარდლობის შეცდომა იყო აგრეთვე ის, რომ მან ვერ გაითვალისწინა წყალქვეშა ნავების მნიშვნელობა. წყალქვეშა ომით გერმანელებ-

მა მოკავშირეებს დიდი ზარალი მიაყენეს. წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ღონისძიებანი ინგლისელებმა მხოლოდ ომის მსვლელობისას შეიმუშავეს. 1914 წლის 24 სექტემბერს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჰოლანდიის სანაპიროსთან ტორპედირების საშუალებით ინგლისის სამი კრეისერი ჩაძირა. ეს იყო ახალი საბრძოლო იარაღის — წყალქვეშა ნავის პირველი დიდი საბრძოლო წარმატება, რაც ინგლისის ფლოტისათვის დიდ საფრთხეს მოასწავებდა.

გერმანიის ფლოტის სწრაფი განადგურების ამოცანასთან ერთად ინგლისის ფლოტს დაკისრებული ჰქონდა მეორე დიდი საბრძოლო ამოცანა: გერმანიის სანაპიროების ბლოკადა და ამით გერმანიის მოწყვეტა კოლონიებისაგან და, საერთოდ, გარე სამყაროსაგან. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებს ეკისრებოდა კიდევ ერთი დიდი ამოცანა: ბრიტანეთის იმპერიის, ანუ ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოების დაცვა. ინგლისს კოლონიებთან ურთიერთობის გარეშე არსებობა არ შეეძლო. ამდენად საზღვაო კომუნიკაციების დაცვას ინგლისისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისის ფლოტს ევალებოდა აგრეთვე ევროპის კონტინენტზე ინგლისის ჯარების გადასხმისა და მათი მომარაგების უზრუნველყოფა. ეს ამოცანა გართულდა, როცა „ვერცხლის ტყვიის", ანუ „ვერცხლის ჯარისკაცების", „სხვისი ხელით ნარის გლეჯისა" და „მესამე, მოცინარის" ინგლისური პოლიტიკა გაქარწყლდა და ინგლისი იძულებული გახდა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება დიდი ცოცხალი ძალა.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის ფლოტმა ადმირალ ჯ. რ. ჯელიკოს სარდლობით დაკისრებულ ამოცანებს თავი წარმატებით გაართვა. პირველი მსოფლიო ომის მანძილზე ყველაზე უფრო ინტენსიური საზღვაო ბრძოლები წარმოებდა ჩრდილოეთისა და ხმელთაშუა ზღვაზე. აგრეთვე ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში. ეპიზოდურ შეტაკებებს, გერმანიის ცალკეული ხომალდების ოკეანეებში გაჭრის შემდეგ, ადგილი ჰქონდა ატლანტის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში, წყნარ და ინდოეთის ოკეანეებზე, ხოლო „შეუზღუდავი წყალქვეშა ომის" დროს უკვე ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროებთანაც. შავ ზღვაში ოპერაციებმა მწვავე ხასიათი მიიღო აქ ორი გერმანული კრეისერის შეჭრის შემდეგ.

საომარი ოპერაციები 1914 წელს, იაპონიისა და თურქეთის ომში ჩაბმა

ომის დაწყების მომენტში გერმანიას სამხედრო მომზადების სფეროში ანტანტასთან შედარებით საკმაო უპირატესობა გააჩნდა. მას

ჰქონდა უკეთესი და მრავალრიცხოვანი საარტილერიო პარკი: არმია უზრუნველყოფილი იყო ოფიცრებისა და უნტეროფიცრების კარგად მომზადებული კადრებით. ანტანტის უპირატესობა ცოცხალი ძალის, სურსათისა და სამხედრო ნედლეულის დიდძალ რესურსებში გამოიხატებოდა. ომის დაწყებისთანავე ინგლისმა და საფრანგეთმა განახორციელეს ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის საზღვაო ბლოკირება და მოწყვიტეს ისინი გარე სამყაროს. ამიერიდან გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შეეძლოთ მხოლოდ საკუთარი რესურსების იმედი ჰქონოდათ. ამას დაემატა გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიები—ჩრდილოეთ საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ხოლო 1915 წლის მეორე ნახევრიდან — ახალი რაიონები რუსეთის, პოლონეთის, ლიტვის, კურლიანდიისა და სერბეთის სახით. გერმანიაში საკონლის შემოტანა შესაძლებელი იყო თურქეთიდან, ბულგარეთიდან და რუმინეთიდან (1916 წლის აგვისტომდე).

ინგლისს და საფრანგეთს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ნედლეული და სურსათი თავიანთი უზარმაზარი კოლონიური სამფლობელოებიდან. ისინი იყენებდნენ აგრეთვე ომის დროს ხელთგდებულ გერმანელთა კოლონიების რესურსებს. ანტანტა ფართოდ სარგებლობდა აშშ-ის და სამხრეთ ამერიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი, რომელიც თითქმის მოკლებული იყო მოკავშირეების ეკონომიურ დახმარებას. ომის გამოცხადების დროს ევროპაში შეიქმნა სამი ძირითადი ფრონტი: დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ბალკანეთის. აღსანიშნავია, რომ მთელი ომის მანძილზე დასავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ფრონტები მთავარ, გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ, ყველა დანარჩენი — მეორეხარისხოვანს.

დასავლეთის ფრონტზე გერმანია დაუპირისპირდა საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის ძალებს. ფრონტი ჩრდილოეთის ზღვიდან შვეიცარიამდე იყო გადაჭიმული და 700 კილომეტრზე მეტს ითვლიდა. გერმანიის შეიარაღებულ ძალებს (7 არმია და ოთხი საკავალერიო კორპუსი, ანუ 10 საკავალერიო დივიზია, დაახლოებით 1,6 მილიონი ჯარისკაცი) ეკავა 400 კილომეტრის სიგრძის ფრონტი ჰოლანდიის საზღვრიდან შვეიცარიის საზღვრამდე.

საფრანგეთ-ინგლის-ბელგიის არმიებს ეკავათ დაახლოებით 370 კილომეტრის ფრონტი და თავის შემადგენლობაში ითვლიდნენ 1.7 მილიონზე მეტ ჯარისკაცს. ფრონტი გადაჭიმული იყო შვეიცარიის საზღვარსა და მდინარე სამბრს შორის. საფრანგეთს აქ თოფქვეშ ჰყავდა 5 არმია (75 ქვეითი და 10 საკავალერიო დივიზია). აქვე იყო

სარეზერვო დივიზიების რამდენიმე ჯგუფი. სტრატეგიული კავალერია გაყოფილი იყო ორ კორპუსად და რამდენიმე ცალკეულ დივიზიად. საფრანგეთის არმია ითვლიდა 1,5 მილიონ მებრძოლს. ინგლისის საექსპედიციო კორპუსი სულ 80 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ბელგიის არმია —175 ათასს.

აღმოსავლეთის, ანუ რუსეთისთვის დასავლეთი ფრონტი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ფაქტიურად ორ — ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ — ფრონტად იყოფოდა. აღმოსავლეთის ფრონტი გადაჭიმული იყო დაახლოებით 1200 კილომეტრზე ბალტიის ზღვიდან — რუმინეთის საზღვრამდე.

რუსეთისაგან ჩრდილო-დასავლეთით ურთიერთის პირდაპირ იდგნენ გერმანია და რუსეთი: რუსეთი ორი არმიით (17,5 ქვეითი და 8,5 საკავალერიო დივიზია), რომელსაც სარდლობდა გენერალი ნ კ. რენენკამპფი და ა. ვ. სამსონოვი. გერმანია 8 არმიით (15 ქვეითი და 1 საკავალერიო დივიზია), ჯერ ფონ პრიტვიცის. ხოლო რუსეთის შეტევის შემდეგ ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის სარდლობით. რუსეთისაგან სამხრეთ-დასავლეთით ურთიერთს დაუპირისპირდნენ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი. აქ განლაგებული იყო რუსეთის ოთხი და ავსტრია-უნგრეთის სამი გაძლიერებული არმია.

დუნაისა და სავის გასწვრივ შეიქმნა ბალკანეთის ფრონტი. აქ სერბეთის პატარა, მაგრამ მორალურად მტკიცე არმია დაუპირისპირდა ავსტრია-უნგრეთის გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან არმიას.

ინგლისის ფლოტი ძირითადად კონცენტრირებულ იქნა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაპირებზე, ძირითადად სკაპა-ფლოუში, ფრანგებისა — ხმელთაშუა ზღვაში, გერმანიისა — ჰელგოლანდში, კილსა და ვილჰელმსჰაფენში. ოკეანეებზე, ჩრდილოეთის ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაზე დომინირებდნენ ანტანტის ძალები, ბალტიის ზღვაზე— რადგანაც ფლოტის რეორგანიზაციის რუსული გეგმა განხორციელებული არ იყო — უპირატესობა გერმანელებს ეკუთვნოდა.

საომარი ოპერაციები დაიწყო 4 აგვისტოს. გერმანიის ჯარებმა დაარღვიეს ბელგიის ნეიტრალიტეტი. ფონ მოლტკემ შეთხზა საბაბი, რომლის თანახმად, თითქოსდა ფრანგებმა ბელგიის საზღვარზე შეტევის მიზნით ჯარების კონცენტრაცია მოახდინეს, ბელგიელები ვერ შეძლებენ ფრანგების შეჩერებას და ამიტომ გერმანელები იძულებულნი არიან დახმარების მიზნით მის ტერიტორიაზე ჯარები შეიყვანონო. ბელგიაში შეჭრამდე, 2 აგვისტოს გერმანელებმა ჯარები შეიყვანეს პატარა ლუქსემბურგში. ბელგიის შედარებით მცირერიცხოვანი არმია მამაცურად იბრძოდა. 12 დღის (4—16 VIII) დაცვის

შემდეგ მათ დათმეს ლიეჟი. 21 აგვისტოს გერმანელებმა ბრძოლით აიღეს ბრიუსელი. ამავე დღეს ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე ეროპანეთს შეეჩეხნენ გერმანიისა და საფრანგეთ-ინგლისის ძალები. დაიწყო ბრძოლა მდინარეებს შელდასა და მოზელს შორის. ბრძოლა, რომელიც „სასაზღვრო ომის“ სახელითაა ცნობილი, 25 აგვისტოს ფრანგებისა და ინგლისელების უკან დახევით დამთავრდა. ამ ბრძოლის შემდეგ გერმანიის სარდლობა საფრანგეთის არმიას განადგურებულად თვლიდა. ფაქტიურად კი ფრანგები უკან დახევისას ახდენდნენ ძალების გადაჯგუფებას და კონტრშეტევისათვის ემზადებოდნენ. ზურგში ყალიბდებოდა ახალი ძალა საფრანგეთის მეექვსე არმიის სახით.

27 აგვისტოს გერმანიის არმიამ განაახლა შეტევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ იგი შეტევას უკვე შესუსტებული ძალებით ახორციელებდა. აღმოსავლეთ პრუსიაში რუსეთის მიერ შეტევის დაწყების გამო გერმანიის სარდლობამ აღმოსავლეთ ფრონტზე გადაისროლა ორი ქვეითი კორპუსი და ერთი ცხენოსანთა დივიზია. გერმანიის შვიდი დივიზია გამოყოფილი იყო ანტვერპენის, ჟივესა და მობეჟის ალყისა და დაცვისათვის.

სექტემბრის დასაწყისში საფრანგეთის ველებზე პარიზსა და ვერდენს შორის დაიწყო გრანდიოზული ბრძოლები. 4 სექტემბერს ღამით გერმანელები მიადგნენ პარიზის ახლოს მდინარე მარნას და მისი ფორსირება დაიწყეს. პარიზი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თითქოსდა შლიფენის გეგმა ფრთას ისხამდა. დედაქალაქის დაცვა ჟოფრმა მიანდო მამაც და გამჭრიახ სარდალს გენერალ ჟოზეფ გალიენის. მთავრობამ დატოვა პარიზი და ბორდოში გადავიდა.

5 სექტემბერს დილით ფრანგები და ინგლისელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაიწყო ისტორიაში თავისი მასშტაბებით მანამდე წარმოუდგენელი ე. წ. „ბრძოლა მარნაზე“. 8—9 სექტემბრისათვის გერმანიის შეტევითი შესაძლებლობანი ამოიწურა. 10 სექტემბერს მოლტკემ უკან დახევა ბრძანა. მთელ მსოფლიოში გავრცელდა საფრანგეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ჟოფრის ოფიციალური ცნობა: „მარნასთან ბრძოლა უდავო გამარჯვებით დამთავრდა“. გერმანიის არმიის მარჯვენა ფრთის უკუგდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახლად დაკომპლექტებულმა საფრანგეთის მეექვსე არმიამ.

გერმანელებმა უკან დაიხიეს მდინარე ენის მიმართულებით. უკან დახევა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა. გენერალმა ჟოფრმა სათანადოდ ვერ გამოიყენა მიღწეული წარმატება. გენერალ გალიენის რჩევის მიუხედავად, ჟოფრმა ნაადრევად შეაჩერა უკანდახეული

გერმანელების დევნა და მათ მდინარე ენზე გამაგრების საშუალება მისცა. ეს საფრანგეთის სარდლობის დიდი შეცდომა იყო.

მდინარე მარნასთან გამართულ ბრძოლაში მონაწილეობდა საფრანგეთის 6 (ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსის ჩათვლით) და გერმანიის 5 არმია, სულ დაახლოებით ორ მილიონამდე ჯარისკაცი, 600-მდე მძიმე და 6.000 მსუბუქი ზარბაზანი. დაიღუპა 21 ათასი და დაიჭრა 122 ათასი ფრანგი ჯარისკაცი. გერმანელებმა კი დაკარგეს 43 ათასი ჯარისკაცი მოკლულის და 173 ათასი დაჭრილის სახით.

მარცხით დამთავრდა ე. წ. „ზღვისკენ სრბოლა". ამ ოპერაციის ჩატარებას ხელმძღვანელობდა გერმანელთა ახალი სარდალი ფალკენჰაინი, რომელმაც 14 სექტემბერს შეცვალა მოლტკე. ფალკენჰაინი ცდილობდა კვლავ განეხორციელებინა შლიფენის გეგმა, განეახლებინა შეტევა პარიზზე და, ამასთან ერთად, ხელთ ეგდო ბელგიისა და საფრანგეთის სანაპირო (დიუნკერკი, ბრიუგე, ოსტენდი, კალე, ბულონი). გერმანიის სარდლობა იმედოვნებდა, რომ ასეთი გზით ერთმანეთს მოწყვეტდა საფრანგეთსა და ინგლისს. ბრძოლები სამ თვეს გაგრძელდა. გერმანელებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ამიერიდან დასავლეთის ფრონტზე სტრატეგიული ოპერაციები დიდი ხნით შეწყდა. პოზიციურმა ომმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ორივე მხარე ამიერიდან მხოლოდ თავდაცვაზე ფიქრობდა.

რუსთა აგვისტო-სექტემბრის შეტევა აღმოსავლეთ პრუსიაზე სასტიკი მარცხით დამთავრდა. არმიის დიდი ნაწილი განადგურდა (დაიღუპა 250 ათასი ჯარისკაცი, მოისპო 600 ქვემეხი). წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სარდლობის—რენენკამპფის, ჟილინსკისა და სხვათა დანაშაულებრივი შეცდომები. მეორე არმიის სარდალმა გენერალმა სამსონოვმა თავი მოიკლა. აღმოსავლეთ პრუსიაში რუსთა წინააღმდეგ გერმანელებმა დასავლეთიდან გადმოსროლილი ჯარებიც გამოიყენეს. ამან ხელი შეუწყო მარნაზე ფრანგების წარმატებას.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე წარმატება თავდაპირველად რუსეთის არმიის მხარეზე იყო. 18 აგვისტოს გენერალ ბრუსილოვის მეთაურობით რუსეთის მერვე არმიამ დიდი შეტევა დაიწყო. რუსებმა დაიკავეს ლვოვი და სექტემბრის ბრძოლებში ავსტრია-უნგრეთის არმიას კარპატებისაკენ დაახევინეს. სექტემბრისათვის რუსეთის ხელთ იყო ბუკოვინა და აღმოსავლეთ გალიცია. მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე პერემიშლი რუსეთის ჯარების მიერ იქნა ბლოკირებული. გაიხსნა გზა უნგრეთისაკენ, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ზემო სილეზია. პოლონეთსა და გალიციაში მოპოვებული წარმატებებით

რუსეთმა პოლომდე ვერ ისარგებლა. სექტემბრის დამლევს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. დაიწყო ე. წ. ვარშავა-ივანგოროდის ოპერაცია. მანევრული ომის ეს ერთ-ერთი გრანდიოზული ბრძოლა რუსეთის არმიების წარმატებით აღინიშნა. მაგრამ მოპოვებული წარმატებების გაღრმავება საომარი მასალის მწვავე ნაკლებობის გამო რუსეთის სარდლობამ ვერ შეძლო.

რაც შეეხება ავსტრია-სერბეთის ფრონტს, აქ ბრძოლები ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. 12 აგვისტოს ავსტრია-უნგრეთმა დაიწყო შეტევა, სერბებმა მოიგერიეს იგი და მტერი სერბეთის ტერიტორიიდან უკუაგდეს. ეათ ტყვედ იგდეს 50 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი. სექტემბერში ავსტრიამ ახალი შეტევა დაიწყო და ნოემბერში მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: ბელგრადი ავსტრიის ხელთ აღმოჩნდა. დეკემბერში ანტანტის დახმარების შედეგ სერბეთმა შეძლო ავსტრიის ჯარების უკუგდება. დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონტებზე საომარი მოქმედება თანდათან პოზიციური ბრძოლის ხასიათს ღებულობდა.

ქვემეხების გრიალის პარალელურად ევროპის პოლიტიკოსები და დიპლომატები ფართო საქმიანობას ეწეოდნენ ახალი მოკავშირეების მოპოვებისა და ომში მათი ჩაბმისათვის.

შორეულ აღმოსავლეთში გერმანული სამფლობელოების ხელში ჩაგდების მიზნით იაპონიამ 23 აგვისტის ომი გამოუცხადა გერმანიას. წინასწარ, 15 აგვისტოს იაპონიის მთავრობამ გერმანიის მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი (პასუხი 8 დღით იყო განსაზღვრული) და გერმანიას მოსთხოვა ცზიაო-ჩოუს (ციაო-ჩაო) ტერიტორია, თითქოსდა მომავალში ჩინეთისათვის დასაბრუნებლად. ამასთან ერთად იაპონელებმა გერმანელებს მოსთხოვეა ჩინეთისა და იაპონიის წყლებიდან გერმანიის შეიარაღებული ძალების გაწვევა. გერმანელებმა უარყვეს ულტიმატუმი. იაპონელებმა ომის გამოცხადების შემდეგ ხელთ იგდეს ცზიაო-ჩოუ ცინდაოს ნავსადგურითურთ, ცინდაოს რკინიგზა და ცზიან-ფუ. მათვე დაიკავეს წყნარ ოკეანეში გერმანიის კუთვნილი კაროლინის, მარიანისა და მარშალის კუნძულები. აშკარა იყო, რომ ევროპის კონფლიქტს იაპონია თავის სასარგებლოდ იყენებდა და შორეულ აღმოსავლეთს ეპატრონებოდა. ამ ტერიტორიული ექსპანსიის შემდეგ იაპონელებმა გერმანიის საწინააღმდეგო მოქმედება თითქმის შეწყვიტეს. თუ მსედველობაში არ მივიღებთ რუსეთისადმი გაწეულ „დახმარებას", როცა იაპონელებმა რუსეთს შეასყიდვინეს უვარგისი და უხარისხო სამხედრო მასალა. ამასთან ერთად იაპონელებმა რუსეთს მისცეს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის სამფლობელოებზე თავდაუსხმელობის დიპ-

ანატოლ ფრანსი

რომენ როლანი



გერჰარტ ჰაუპტმანი



ოსკარ უალდი

ლომატიური გარანტია. ევროპაში ამტყდარმა ომმა იაპონიას ხელფეხი გაუხსნა. ჩინეთში 1914 წელს მიღწეული წარმატებებით იგი არ დაკმაყოფილდა. 1915 წელს, 18 იანვარს მან წაუყენა ჩინეთს ცნობილი 21 მოთხოვნა. რაც ფაქტიურად ჩინეთზე იაპონიის პროტექტორატს მოასწავებდა.

ანტანტ-სა და გერმანიის ბლოკისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა თურქეთი. „ახალგაზრდა თურქთა“ ტრიუმვირები — ენვერ-ფაშა, თალათ-ფაშა და ჯემალ-ფაშა — ოსმანთა ძირმომპალი იმპერიის განმტკიცებასა და გაფართოებაზე ფიქრობდნენ. ენვერ-ფაშა და ჯემალ-ფაშა გერმანიის დახმარებით ცდილობდნენ პანისლამისტურ-პანთურქულ მისწრაფებათა განხორციელებას. ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში ვათვალისწინებული იყო ახალი მიწების, მათ შორის ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის (დაღესტანი და სხვ.), ყირიმის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და სხვ. შემოერთება.

2 აგვისტოს გერმანიასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება კავშირის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ჩაერეოდა ავსტრია-სერბეთის კონფლიქტში და გერმანია გამოვიდოდა ავსტრია-უნგრეთის მხარეზე, თურქეთს ომი უნდა გამოეცხადებინა რუსეთისათვის. გერმანელები თურქეთს საკომპენსაციოდ პირდებოდნენ არდაგანს, ყარსს და ბათუმს. მარნასთან და აღმოსავლეთ ფრონტზე წარუმატებლობის შემდეგ თურქეთის ომში ჩაბმა გერმანიისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. ამჯერად, მას პირდებოდნენ მთელ კავკასიასა და ეგვიპტეს. თურქეთს განსაკუთრებით იზიდავდა ბაქოს ნავთობი, საქართველოს მდიდარი მიწა-წყალი. 1910 წლიდან იგი კავკასიის მუსლიმ მოსახლეობაში პანისლამისტურ და პანთურქულ აგიტაციას ეწეოდა. გერმანიასთან კავშირის პარალელურად თურქები ანტანტის სახელმწიფოებთანაც განაგრძობდნენ ვაჭრობას. მაგალითად, თურქეთი რუსეთისაგან ეგეოსის კუნძულებსა და ბულგარეთის თრაკიას ითხოვდა.

1914 წლის 9 სექტემბერს თურქეთის მთავრობამ თურქეთის ტერიტორიაზე გააუქმა კაპიტულაციის რეჟიმი, რაც განსაკუთრებით მწვავედ ანტანტის ქვეყნებმა განიცადეს. ანტანტის სახელმწიფოებმა მტკიცედ გადაწყვიტეს თურქეთის იმპერიის დანაწილება. „თურქეთისათვის განკითხვის დღე დადგა“, — ამბობდა ლოიდ ჯორჯი.

ხელშეკრულების დადების შემდეგ სტამბულისკენ დაიძრა ტყვიაწამლით და იარაღით დატვირთული ეშელონები. გერმანელებისაგან თურქთმა საკმაოდ დიდი სესხი მიიღო. თურქეთის არმია ფაქტიურად ლიმან ფონ სანდერსისა და მისი შტაბის მორჩილებაში აღ-

მოჩნდა. თურქეთის არმია გერმანელი ინსტრუქტორებით და ოფიცრებით გაივსო. თურქეთმა 26 სექტემბერს ანტანტის სავაჭრო გემებისათვის დახურა სრუტეები. გერმანიის ორი სწრაფმავალი, ახალი ნიმუშის კრეისერი „ჰებენი“ და „ბრესლაუ“ შავ ზღვაში შემოუშვეს და თურქეთის ფლოტის შემადგენლობაში შეიყვანეს. ამ აქციის გამართლების მიზნით მათ გამოაცხადეს, რომ ეს გემები გერმანელებისაგან „შეიძინეს“. კრეისერებს გერმანული სახელები თურქულით შეუცვალეს: „ჰებენს“ დაარქვეს „სულთანი სელიმ იავუზი“, „ბრესლაუს“ — „მიდილი“. „ჰებენზე“ მყოფი გერმანელი კონტრ-ადმირალი სუშონი დაინიშნა თურქეთის ფლოტის სარდლად.

29 ოქტომბერს ენვერ-ფაშამ და გერმანელებმა თურქეთისა და რუსეთის მთავრობები ფაქტის წინაშე დააყენეს. თურქულ-გერმანული ფლოტი თავს დაესხა შავ ზღვაში რუსეთის გემებს. დაბომბილ იქნა ოდესა, სევასტოპოლი, ფეოდოსია, ნოვოროსიისკი, ქერჩი, რუსეთის რამდენიმე ხომალდი ჩაიძირა. 29 ოქტომბერს რუსეთის ელჩმა მიიღო თურქეთის მთავრობის წინადადება პასპორტების გამოთხოვის შესახებ.

2 ნოემბერს თურქეთს ომი გამოუცხადა რუსეთმა, 5—6 ნოემბერს ინგლისმა, 6 ნოემბერს — საფრანგეთმა. თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ რუსეთისა და ინგლისის ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში დაბანდდა. რუსეთ-თურქეთის მთავარი ფრონტი კავკასიაში გაიშალა, ინგლისელებმა თურქეთის წინააღმდეგ გახსნეს სუეც-სინასა და ერაყის ფრონტები (პალესტინა-სირიისა და მესოპოტამიის). ინგლისი ბრძოლებს აწარმოებდა, აგრეთვე, ხმელთაშუა ზღვაზე, მეწამულ ზღვაზე, ბაბ-ელ-მანდების სრუტეში, ადენის რაიონში. ლიმან ფონ სანდერსმა თურქეთისათვის დაამუშავა ომის გეგმა. აქ კავკასიის, ეგვიპტისა და სხვა ტერიტორიების დაპყრობასთან ერთად გათვალისწინებული იყო ირანის დაპყრობაც და აქედან რუსებისა და ინგლისელების განდევნა (ფაქტიურად იგულისხმებოდა ირანის დამორჩილება გერმანიისადმი). თურქეთის არმია დაახლოებით ნახევარ მილიონ ჯარისკაცს ითვლიდა. მის წინააღმდეგ მოქმედებდა რუსეთისა და ინგლისის 800 ათასიანი არმია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-თურქეთის ფრონტს კავკასიაში. აქ რუსებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, 9—24 დეკემბერს სარიყამიშის ცნობილ ბრძოლებში თურქთა არმიას სასტიკი დამარცხება მიაყენეს. განადგურებულ იქნა თურქეთის მესამე არმია: სარიყამიშის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ქართველმა ოფიცრებმა. მათ შორის გენერალმა დიმიტრი გედევანიშვილმა და ლეგენდარულმა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ, რომელსაც თურქებმა „შაითან კაპი-

ტანი“ უწოდეს. ბრძოლა წარმოებდა ირანის ტერიტორიაზეც (ირანს ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული). ნოემბერში თურქებმა დაიკავეს ირანის აზერბაიჯანი, საიდანაც რუსებმა სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ ისინი განდევნეს.

ანტანტის ქვეყნები წარმატებით იბრძოდნენ კოლონიებშიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იაპონელთა მიერ შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკეანეზე გერმანული სამფლობელოების მიტაცების შესახებ. ინგლისელებმა (ავსტრალიელებმა) ხელთ იგდეს ახალი გვინეის გერმანული ნაწილი და სამოას კუნძულები (ახალზელანდიელებმა). ომის დასაწყისშივე ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა აფრიკაში ხელთ იგდეს ტოგო. დაიწყო ბრძოლები კამერუნში, გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში. აქ გერმანელები ჯერჯერობით ინარჩუნებდნენ პოზიციებს, მაგრამ მათთვის ეს კოლონიები ფაქტიურად უკვე დაკარგული იყო. მათ მეტროპოლიასთან კავშირი აღარ ჰქონდათ. რაც შეეხება საზღვაო ბრძოლებს, აქ ომის დასაწყისში გერმანიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, რამაც ინგლის-საფრანგეთის სარდლობის შეშფოთება გამოიწვია. მაგალითად, წარმატებები ხვდა წილად გერმანელთა საკრეისერო ოპერაციებს ანტილიის კუნძულების ზონაში, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში.

გერმანიის საკრეისერო ესკადრამ ადმირალ შპრეს სარდლობით 1914 წლის 1 ნოემბერს კორონელთან ინგლისის ესკადრის წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობ წარმატებას მიაღწია. ინგლისის ორი კრეისერი ჩაიძირა. მაგრამ 8 დეკემბერს ინგლისელებმა ფოლკლენდის კუნძულებთან სასტიკი რევანში აიღეს. ადმირალ შპეეს ესკადრა განადგურებულ იქნა. გადარჩა მხოლოდ კრეისერი „დრეზდენი“ (იგი ინგლისელებმა ჩაძირეს მოგვიანებით 1915 წლის მარტში).

ჩრდილოეთის ზღვაში ოპერაციებს ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა 28 აგვისტოს. ინგლისელთა საკრეისერო ესკადრა ადმირალ ბიტის მეთაურობით თავს დაესხა გერმანიის ფლოტს ჰელგოლანდის ყურეში. დაიღუპა გერმანიის 3 კრეისერი და 1 საესკადრო ნაღმოსანი. ინგლისელებს დაუზიანდათ მხოლოდ ერთი კრეისერი. ამ ბრძოლამ საბოლოოდ დაადასტურა ინგლისის ფლოტის უპირატესობა.

შავ ზღვაში რუსეთის ფლოტმა ბრძოლა გაუმართა „ბრესლაუსა“ და „ჰებენს“ და შეძლო უკანასკნელის დაზიანება.

დაიწყო წყალქვეშა ნავების ოპერაციები. როგორც აღვნიშნეთ. 22 სექტემბერს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინგლისის 3 კრეისერი, რომლებიც სადაზვერვო სამსახურს ეწეოდნენ.

ზღვებზე ინგლის-საფრანგეთის ბლოკის უპირატესობა აშკარა

იყო. ისინი ფართო შეტევით ოპერაციებს აწარმოებდნენ და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ. რაც მთავარია, ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა შეძლო გერმანიის სანაპიროებისა და გერმანიიის სამხედრო საზღვაო ბაზების ბლოკირება და საკუთარი მრავალრიცხოვანი საზღვაო კომუნიკაციების უზრუნველყოფა. ყოველივე ამას ომის შემდგომი ბედისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, 1914 წლის კამპანიამ არსებითად შეცვალა მებრძოლ მხარეთა წინასწარი ვარაუდები. კარგად გაწვრთნილმა და შეიარაღებულმა გერმანიის არმიამ დასავლეთის ფრონტზე ფართო შეტევა წამოიწყო, რომელიც თავდაპირველად დიდი წარმატებით აღინიშნა. გერმანიის არმიის მარჯვენა ფრთა, ფონ შლიფენის ეს იმედი, თითქოსდა ახორციელებდა გერმანელთა ჩანაფიქრს. პარიზი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, საფრანგეთის არმია ურესა და გრდემლს შორის იყო. მაგრამ შეტევა, რომელსაც გერმანიის გენშტაბის გეგმის მიხედვით ომის ბედი უნდა გადაეწყვიტა, მარცხით დამთავრდა. მთავარი შეცდომა გერმანელთა მიერ საკუთარი ძალების გადაფასებაში მდგომარეობდა. გერმანიის იმპერიალიზმმა დაისახა მიზანი, რომელიც მის მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ასეთ შემთხვევაში მარცხი ისტორიულად გარდუვალია. მარნამ ნათელყო ყოველივე ეს.

გერმანული „ბლიცკრიგის“ გეგმა, რომელიც „შემოდგომის ფოთოლცვივნამდე“ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, ჩაიშალა. მანევრული ომის ნაცვლად დაიწყო ხანგრძლივი პოზიციური, „ქანცის გამომცლელი ომი“. ამიერიდან მისი წარმატების მთავარ პირობად იქცა რესურსების პრობლემა. აქ უპირატესობა კი, როგორც ვიცით, ანტანტის მხარეზე იყო. 1914 წლის კამპანიების დროს მოწინააღმდეგე მხარეებმა უდიდესი ზარალი ნახეს. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა რუსეთმა. ჯარის ზოგიერთი შენაერთი განახევრდა, იარაღი და ტყვია-წამალი გამოილია. რუსეთის მრეწველობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ფრონტის ძოთხოვნილებას. როგორც აღვნიშნეთ, თურქეთმა შავი ზღვის გზა გადაკეტა (26 სექტემბერს), გერმანელებმა — ბალტიის ზღვისა. ანტანტასთან რუსეთის დაკავშირება თითქმის შეუძლებელი გახდა. საბერძნეთ-სერბეთ-თურქეთის გზა ნაკლებ ეფექტური იყო. 1915 წელს, როცა ავსტრია-უნგრეთმა სერბეთის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო, ეს გზა ფაქტიურად გამოითიშა. ვლადივოსტოკი შორს იყო. დარჩა ერთადერთი, არხანგელსკის გზა (მურმანსკის გზა ჯერჯერობით მზად არ იყო). არხანგელსკისა და შემდეგ მურმანსკის გზას, ცხადია, არ შეეძლო შეეცვალათ შავი და ბალტიის ზღვების გზები. ამიტომ იყო, რომ უკვე 1914 წლის 18 დეკემბერს რუსეთის არმიის მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ

ნიკოლოზის ძემ მოკავშირეებს ამცნო, რომ რუსეთის საძხედრო მარაგი ილევა და, ამდენად, იგი იძულებულია თავდაცვაზე გადავიდეს.

შექმნილი ვითარება გერმანელთათვის ცნობილი იყო. ამიტომ გერმანიამ გადაწყვიტა ძირითადი დარტყმა რუსეთისათვის მიეყენებინა, მისი ომიდან გამოყვანის მიზნით. მომდევნო 1915 წელს აღმოსავლეთის, ანუ რუსეთის ფრონტმა ძირითადი ფრონტის ხასიათი მიიღო.

მართალია, 1914 წლის კამპანია ფრანგებმა მოიგეს (მარნასთან ბრძოლა), მაგრამ ომის საბოლოო მოგებისაგან ჯერ კიდევ შორს იყვნენ. მათ გერმანელებს საფრანგეთის ოკუპირებული ტერიტორიაც კი ვერ დაატოვებინეს, ვერ განახორციელეს თავიანთი სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი პუნქტი — ვერ შეიჭრნენ ელზასლორენში. გერმანიას მარნასთან ომის შემდეგ დარჩა ბელგია და ჩრდილოეთ საფრანგეთი. ეს იყო და ეს. გერმანიამ დაკარგა სწრაფი გამარჯვების იმედი, ხანგრძლივი ომი კი მას სასიკეთოს არას უქადდა.

რუსებმა განახორციელეს თავიანთი გეგმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ოპერაცია მათ ძვირად დაუჯდათ, განიცადეს უდიდესი მარცხი. ამ შეტევამ განაპირობა ფრანგების წარმატება მარნაზე. როგორც აღვნიშნეთ, ფონ მოლტკემ დასავლეთ ფრონტიდან ორი საარმიო კორპუსი გადმოისროლა და ამით შეასუსტა დასავლეთში გერმანელთა დარტყმითი ძალა. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიხედვით, მარნაზე ფრანგების წარმატება განაპირობა გერმანიის სარდლობის შეცდომებმა და გენერალ ჟოფრის ტალანტმა. რაც შეეხება აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების შეტევას, ამ ფაქტის მნიშვნელობა მათ მიერ არსებითად იგნორირებულია. არც რუსთა არმიის წარმატებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ომისათვის სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, გალიციის მიმართულებით. მას ლოკალური ხასიათი მიეცა და ოდნავადაც ვერ შეცვალა ომის ბედი.

ავსტრია-უნგრეთმა ვერ შეძლო სერბეთის განადგურება. მისი თავდაპირველი წარმატებები სერბებმა გააბათილეს, ნოემბერში ავსტრია-უნგრეთის ჯარები გარეკეს, ბელგრადი გაათავისუფლეს და სამხრეთ უნგრეთში შეაღწიეს.

გადამწყვეტი წარმატებები მებრძოლი მხარეების მიერ ვერც ზღვაზე იქნა მოპოვებული. ინგლისმა ვერ შეძლო გერმანიის ფლოტის „კოპენჰაგირება“.

ამრიგად, მებრძოლი მხარეები აღმოჩნდნენ პოზიციური, ხანგრძლივი ომის წინაშე. არმიები სანგრებში მოთავსდნენ და მავთულხლართებით შემოიღობნენ. ცნობილი ინგლისელი ისტორიკო-

სის ა. ტეილორის თქმით, „ნიჩაბმა და ტყვიამფრქვევმა“ შეცვალა ევროპის ისტორიის სვლა.

1914 წლის კამპანიამ დაარწმუნა ინგლისი, რომ მხოლოდ „ვერცხლის ჯარისკაცით“ ომს ვერ მოიგებდა. ამიერიდან დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა გერმანიის წინააღმდეგ ომში მაქსიმალურად დაებანდებინა საკუთარი ცოცხალი და მატერიალური ძალები.

ომის მიმდინარეობა 1915 წელს

1915 წელს მებრძოლი მხარეები პოზიციური ომით შეხვდნენ. სანგრები გადაჭიმული იყო საფრანგეთის ტერიტორიაზე პა-დე-კალედან შვეიცარიის საზღვრამდე. ფრონტის ჩრდილოეთი ნაწილი ეკავა ინგლისისა და ბელგიის არმიას. პოზიციურმა („სანგრებისა და ჰაუბიცების“) ომმა მეომარ მხარეთა სარდლობას ახალი საზრუნავი გაუჩინა. ყველა მებრძოლი მხარე არმიის ტაქტიკური მომზადების დროს „მანევრული ომის“ მეთოდებს ნერგავდა. ამჯერად საჭირო გახდა ყველა ტაქტიკური მეთოდის გადასინჯვა. პოზიციური ომისათვის შესაფერისი იარაღის გამონახვა და სხვ. მაგალითად, ინგლისის სარდლობისათვის „პოზიციური ომის“ ტაქტიკა თითქმის გაურკვეველი იყო. ინგლისელებს მცირე კოლონიური ომების გამოცდილება ჰქონდათ, ისინი კარგი კავალერისტები იყვნეს. ინგლისელთა სარდალი გენერალი ფრენჩი გულახდილად ამბობდა: პოზიციური ომისა არაფერი გამეგება, მთელი ჩემი გეგმა მანევრულ ომზე იყო აგებულიო.

„პოზიციურმა ომმა“ სამხედრო ტექნიკაში სიახლის შეტანის საჭიროება შექმნა და ნიადაგი მოუმზადა ახალი მრისხანე იარაღის — ტანკის შექმნის იდეას. დასავლეთ ფრონტზე განლაგებულ ინგლისურ აეროდრომებს ხშირად თავს ესხმოდნენ გერმანელი პატრულები. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, უინსტონ ჩერჩილის ინიციატივით, შექმნეს ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული შეჯავშნული ავტომობილები. მაგრამ მათ სანგრებითა და ტრანშეებით გადათხრილ ტერიტორიებზე გადანაცვლება არ შეეძლოთ. ჩერჩილს დაებადა იდეა ჯავშნოსან ავტომობილებს ჰქონოდა პორტატული ხიდები, რაც მათ ტრანშეის გადალახვის საშუალებას მისცემდა. ამ ჯავშნოსანი მანქანების მაგალითზე ერთმა მაიორმა წინადადება შემოიტანა შეექმნათ „სახმელეთო სახაზო ხომალდები“, ანუ უზარმაზარი შეჯავშნული ავტომანქანა, რომელსაც დიდი გაბარიტები საშუალებას მისცემდა გადაელახა სანგრები. უინსტონ ჩერჩილმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და 18 ასეთი „ხომალდის“ შექმნა მოითხოვა. საზღვაო-სამხედრო სამინისტროდან ჩერჩილის წასვლის შემდეგ ეს იდეაც

ჩაკვდა. მოასწრეს მხოლოდ ერთი „სახმელეთო ხომალდის“ შექმნა, ეს იყო მომავალი ტანკის პროტოტიპი.

რასაკვირველია, გახანგრძლივებული პოზიციური ომი სრულიადაც არ ნიშნავდა ომის შესუსტებას. ორივე მებრძოლი მხარე ომში რთავდა ახალ რესურსებს, ქმნიდა და პრაქტიკულად ნერგავდა ახალ გამანადგურებელ საომარ საშუალებებს. სწორედ 1915 წელს იქნა გამოყენებული ახალი საშინელი, გამანადგურებელი ქიმიური საშუალება მომწამლავი გაზის სახით.

1915 წლის მანძილზე დასავლეთის ფრონტზე რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ანტანტა კვლავ უპირატესობას ანიჭებდა ამ ფრონტს. ამან გაზარდა ახლო აღმოსავლეთის ფრონტის მნიშვნელობა. ამასთან ერთად ანტანტას კვლავ რუსული კოლოსის იმედი ჰქონდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის უზარმაზარი ცოცხალი ძალის მსხვერპლის ფასად საგრძნობლად დასცემდა გერმანიის ბრძოლისუნარიანობას. ანტანტა ვარაუდობდა გერმანელთა შემუსვრას ან ფრონტალური შეტევით, ან ფლანგებიდან შემოვლით.

დასავლეთის ფრონტზე ზამთარსა და ზაფხულში ანტანტის შეტევითმა ოპერაციებმა წარმატებას ვერ მიაღწია. ამ ოპერაციებს სტრატეგიული მნიშვნელობის გამარჯვება არ მოუტანია. მიღწეულ იქნა მხოლოდ ზოგიერთი ტაქტიკური წარმატება. იგივე ითქმის გერმანიაზეც. 1915 წლის იანვარსა და მარტში დასავლეთ ფრონტზე ჩაიშალა ინგლის-საფრანგეთის ჯარების შეტევა სუასონთან და შამპანში. გერმანელებმა საპასუხო კონტრშეტევა წამოიწყეს. 1915 წლის 22 აპრილს გერმანიამ დაარღვია მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების აკრძალვის საერთაშორისო კონვენცია და მტრის წინააღმდეგ გამოიყენა მომწამვლელი ნივთიერება — ქლორის გაზი. გაზი გამოყენებულ იქნა ბელგიაში, იპრის არხთან (აქედან მომწამვლელი ნივთიერების სახელწოდება — „იპრიტი“). 22 აპრილს, დღის 17 საათზე ფრანგებმა შეამჩნიეს, რომ მათი პოზიციებისაკენ გერმანელთა მხრიდან რაღაც კვამლის ღრუბელი გამოჩნდა, რომელიც მალე კილომეტრის სიღრმით გავრცელდა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა: გაზით მოწამლული ფრანგები მასობრივად იხოცებოდნენ. გაზი მისწვდა ინგლისელთა სანგრებსაც. შედეგები შემაძრწუნებელი იყო. საფრანგეთის ორი დივიზია თითქმის მთლად განადგურდა (15 ათასი მოწამლული ჯარისკაციდან 5 ათასი ადგილზევე დაიღუპა). გაზების გამოყენებას ომების მსვლელობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ქალაქ იპრისათვის ბრძოლა თითქმის მთელ თვეს გაგრძელდა. გერმანელებმა მომწამვლელი გაზები ოთხჯერ იხმარეს.

მოკავშირეებმა უდიდესი ზარალი ნახეს. მარტო ინგლისელებმა 50 ათასი მებრძოლი დაკარგეს. ქალაქი იპრი და მის ირგვლივ განლაგებული სოფლები ნანგრევებად აქციეს. 31 მაისს გერმანელებმა მომწამვლელი ნივთიერება აღმოსავლეთ ფრონტზეც იხმარეს.

მაისში ანტანტამ ახალი შეტევა განახორციელა არტუაში. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ამ შეტევას რაიმე არსებითი წარმატება არ მოჰყოლია; 25 სექტემბერს დაიწყო ახალი შეტევა შამპანსა და არტუაში. მოკავშირეებმა აქ გერმანელთა ფრონტი ვერ გაარღვიეს. მათ დიდი მსხვერპლის ფასად შეძლეს მხოლოდ გერმანელთა მცირეოდენად შევიწროება.

გერმანიის სარდლობამ ისარგებლა დასავლეთის ფრონტზე შექმნილი სტაბილიზაციით და ძირითადი ჩანაფიქრის, რუსეთის მწყობრიდან გამოყვანის გეგმის განხორციელებას შეუდგა. 1915 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა რუსეთის წინააღმდეგ დიდი ძალები გადაისროლეს. 1915 წლის ზამთარში და გაზაფხულზე რუსეთის არმია განაგრძობდა 1914 წელს გალიციაში მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებისათვის ბრძოლას. ძირითადი მიზანი იყო კარპატების, ყველა მისი გადასასვლელით ხელში ჩაგდება. 22 მარტს მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება რუსებმა ხელთ იგდეს ციხესიმაგრე პერემიშლი, რომელსაც 120 ათასიანი გარნიზონი იცავდა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვან წარმატებაზე ფიქრი რუსეთის არმიას აღარ შეეძლო. რუსთა ძალები შესუსტდა, რუსეთი განიცდიდა საბრძოლო მასალის მწვავე ნაკლებობას. ანტანტის დახმარება უმნიშვნელო იყო. უკვე აპრილში გალიციის ფრონტზე რუსეთის არმია თავდაცვაზე გადადის.

გერმანიის სარდლობის მიზანი იყო რუსეთის არმიის მარწუხებში მოქცევა (კარპატებიდან და აღმოსავლეთ პრუსიიდან), მისი განადგურება და რუსეთის ომიდან გამოყვანა. რუსეთის წინააღმდეგ გერმანიამ განალაგა ახლად შექმნილი მე-11 არმია. დიდი იყო გერმანელთა უპირატესობა არტილერიაში. 2 მაისს გორლიცასთან გერმანელებმა გაარღვიეს რუსეთის ფრონტი და დაიწყეს ფართო შეტევის განხორციელება. დაეცა პერემიშლი, ლვოვი. დაეცნენ რუსეთის სიმაგრეები — ნოვოგეორგიევსკი, კოვნო, ოსოვეცი, ბრესტლიტოვსკი. გროდნო, ვილნო და სხვ. გერმანელებმა დაიკავეს რუსეთის პოლონეთი, ლიტვა, ბალტიისპირეთის პროვინციებისა და ვოლინის ნაწილი. რუსეთის არმიამ დიდი ზარალი განიცადა: 1915 წლის მაისიდან ოქტომბრამდე დაიღუპა 151 ათასი ჯარისკაცი, დაიჭრა—683 ათასი, ტყვედ ჩავარდა — 895 ათასი. გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა

მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, რუსეთის იმპერიის „კანა" ვერ მოუწყვეს, ომიდან ვერ გამოიყვანეს.

1915 წლის კამპანიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინგლისელთა მიერ ჩატარებულმა ე. წ. დარდანელის ოპერაციამ. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთი რუსეთს კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს ჰპირდებოდა. ეს მათი მხრივ იძულებითი დათმობა იყო. ამიტომ ინგლისის პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ დაესწროთ რუსეთისათვის და აქ თვითონვე დამკვიდრებულიყვნენ. 1915 წლის 2 იანვარს რუსეთის არმიის მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ანტანტას თურქთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ჩერჩილმა და კიტჩენერმა წამოაყენეს წინადადება სრუტეებისა და მათი მომიჯნავე ტერიტორიების სამხედრო-საზღვაო ძალების საშუალებით ხელში ჩაგდების შესახებ. ადმირალი ფიშერი და ლოიდ ჯორჯი მხარს არ უჭერდნენ ამ წინადადებას და თვლიდნენ, რომ მხოლოდ ფლოტის საშუალებით წარმატების მოპოვება არ შეიძლებოდა, საჭირო იყო ფლოტთან ერთად სახმელეთო ძალების ჩაბმაც. დარდანელის ოპერაცია 19 თებერვალს დაიწყო და მასში მხოლოდ ფლოტი მონაწილეობდა. აქ ინგლისელების ხომალდებთან ერთად ფრანგული ხომალდებიც იბრძოდნენ. კიტჩენერმა და ჩერჩილმა ვერ გაითვალისწინეს ადგილობრივი რელიეფი, რომელიც საშუალებას აძლევდა თურქებს წარმატებით გაეძლოთ მოკავშირეთა ფლოტის ცეცხლისათვის. 18 მარტს ინგლისსაფრანგეთის ფლოტმა უკან დაიხია. 25 აპრილს ანტანტა იძულებული გახდა ჰალიპოლისთან (ჰალიბოლუ) დესანტი გადაესხა. სადესანტო ოპერაციები მარცხით დამთავრდა. 1915 წლის დამლევს ანტანტამ აქ ოპერაცია შეწყვიტა. დარდანელისა და ჰალიპოლიის დაცვაში თურქებს გერმანია ეხმარებოდა. თურქეთის მხრივ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა თვით ლიმან ფონ სანდერსი.

დარდანელის მისადგომებთან მოკავშირეთა ფლოტი ნაღმებს წააწყდა. სამი დიდი ხომალდი ჩაიძირა, ოთხი დაზიანდა. მალე აქ გერმანელთა წყალქვეშა ნავებიც გამოჩნდნენ. ანტანტის სარდლობა იძულებული გახდა ფლოტი გაეყვანა. 1916 წლის იანვარს მოკავშირეთა ჯარებმა საბოლოოდ დატოვეს დარდანელის რაიონი. მათ თავი მოუყარეს სალონიკის ბანაკში.

როგორც ვხედავთ, 1915 წელს საომარი მოქმედების ასპარეზი საგრძნობლად გაიზარდა. ბრძოლები წარმოებდა ბალკანეთში, ჰალიპოლიის ნახევარკუნძულზე, კავკასიაში, მესოპოტამიაში, სინას ნახევარკუნძულზე, აფრიკაში.

კავკასიის ფრონტზე 1915 წლის ზაფხულში თურქებმა უშედეგო

შეტევა განახორციელეს. რუსეთის ჯარებმა შეტევა დაიწყეს ვანის მიმართულებით. მდგომარეობა გამწვავდა ირანში. ქვეყნის სამხრეთით გერმანელთა წაქეზებით დაიწყო ადგილობრივი ტომების აჯანყება. ბახტიართა ტომებმა დაანგრიეს ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის ნავთსადენი. აქ შემოჭრილმა თურქებმა დაიკავეს ნავთის წარმოების რაიონები.

რუსეთ-ინგლისის სარდლობამ შეძლო ვითარების მოგვარება. თურქები უკუგდებულ იქნენ. რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა გენერალ ბარატოვის მეთაურობით დაამარცხა თურქ-გერმანელთა რაზმები. რუსებმა დაიკავეს ყაზვინი, ჰამადანი, კუმი, ქაშანი და ისპაანს მიადგნენ.

ერაყში ინგლისის საექსპედიციო არმიამ გენერალ ტაუნშენდის სარდლობით ბაღდადის აღება სცადა, მაგრამ თურქებმა მარცხი აგებინეს ინგლისელებს. იმავე 1915 წელს თურქებმა სცადეს სუეცის არხის დაკავება და ეგვიპტეში შეჭრა (მისი აჯანყება უნდოდათ ინგლისის წინააღმდეგ). ინგლისელებმა ჩაშალეს თურქთა ეს გეგმები. 1915 წლის ივლისში ინგლისელებმა ხელთ იგდეს გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა. 1916 წლის იანვარში კამერუნში გერმანიის ჯარებმა იარაღი დაყარეს.

1915 წლის საზღვაო ბრძოლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა ჩრდილოეთის ზღვაში დოგერ-ბანკთან. აქ წარმატება ინგლისელებს ხვდათ. რაც შეეხება დარდანელთან საზღვაო ბრძოლას, როგორც აღვნიშნეთ, ანტანტის ფლოტმა მარცხი განიცადა. 1915 წლის თებერვლიდან გერმანელებმა წამოიწყეს ფართო მასშტაბის წყალქვეშა ომი. დაიწყო სავაჭრო გემების ჩაძირვა გაუფრთხილებლად, განურჩევლად დროშისა (ნეიტრალური დროშა არ შველოდა) და საზღვაო ზონისა. ასეთი ბრძოლის მიზანი იყო ინგლისის ეკონომიური იზოლაცია, მისი დამშევა. გერმანიის ასეთმა ღონისძიებამ ნეიტრალური ქვეყნების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო აშშ, რომელსაც ანტანტის ქვეყნებთან ფართო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა. 1915 წელს მაისში გერმანელებმა ჩაძირეს დიდი სამგზავრო ხომალდი „ლუიზიანა". დაიღუპა 1500-მდე მგზავრი, მათ შორის ბევრი ამერიკელი. ამ ბარბაროსული აქტის წინააღმდეგ აშშ-მა უმკაცრესი პროტესტი განაცხადა.

1915 წელს მეომარი ქვეყნების რიგებს ორი სახელმწიფო — იტალია და ბულგარეთი შეემატა. პირველი ანტანტას შეუერთდა, მეორე — გერმანიის ბლოკს.

„დიდი რომის მემკვიდრე" — იტალია „სამთა კავშირის" წევრი

იყო. მიუხედავად ამისა, მან 1914 წლის 3 აგვისტოს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. იტალიამ, რომელსაც თავის დროზე ბისმარკმა „ტურა“ შეარქვა, მერყეობა დაიწყო, გადაწყვიტა იმ ბანაკს მიმხრობოდა, რომელიც მეტს მისცემდა. გერმანიის ექსკანცლერის ბერნჰარდ ფონ ბიულოვის თქმით, იტალიას უბრალოდ „სურდა მსოფლიოს დიდ არეულობაში თავისი ქვეყნისთვის რაღაცა ეშოვნა“. სწორედ ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული იტალიის მეფის წერილი ვილჰელმ II-ადმი, რომელსაც აღშფოთებულმა კაიზერმა წააწერა: „არამზადა“.

ანტანტამ და გერმანიის ბლოკმა იტალია ორმხრივი დაპირებებით აღავსეს. ომის დაწყებამდე იგი ანტანტასთან ვაჭრობდა. ბელგიიდან საფრანგეთისაკენ გერმანელთა ძლევამოსილმა მარშმა იტალია გერმანიის სასარგებლოდ განაწყო. მარნის ამბების შემდეგ იგი ისევ ანტანტას მიუბრუნდა. მასთან მოლაპარაკების დროს იტალიის ინტერესები სერბეთისას დაუპირისპირდა, გერმანიასთან მოლაპარაკებისას კი — ავსტრია-უნგრეთისას.

ომის წინ იტალიის მესვეურებთან (პრემიერი ანტონიო სალანდრა, საგარეო საქმეთა მინისტრი სიდნეი სონინო) მოლაპარაკება საზონოვმა გამართა. იგი იტალიას ავსტრია-უნგრეთზე თავდასხმის საფასურად დაჰპირდა იმას, რითაც იტალია იყო ძირითადად დაინტერესებული: ტრენტინოს, ტიროლს, ტრიესტსა და ვალონას (ალბანეთში). იტალიას არ აკმაყოფილებდა საზონოვის წინადადება. იგი თავს ვენეციის მემკვიდრედ აცხადებდა და ადრიატიკის სანაპიროზე გაბატონებას ითხოვდა. დიდი იყო იტალიის პრეტენზიები ავსტრია-უნგრეთის, ალბანეთისა და თურქეთის ტერიტორიების მიმართ. საზონოვთან მოლაპარაკება ჩაიშალა. საქმე ისაა, რომ საზონოვს სხვა საზრუნავიც ჰქონდა: სურდა ბულგარეთის გადმობირება და მას 1913 წელს სერბეთის მიერ შემოერთებულ მაკედონიის ტერიტორიას ჰპირდებოდა. სერბებისათვის კი უნდა მიეცა ჰაბსბურგთა მიწები ადრიატიკის რაიონში, ანუ ის, რასაც იტალიაც მოითხოვდა.

გერმანია ავსტრია-უნგრეთის ხარჯზე იტალიას, ცხადია, ვერაფერს მისცემდა, საფრანგეთის ხარჯზე კი ჰპირდებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში ტუნისს, აგრეთვე ფრანგულ ალპებს — სავოიას, ნიცას და კუნძულ კორსიკას.

იტალია ტერიტორიულ გაფართოებას, პირველ ყოვლისა, ავსტრია-უნგრეთის ხარჯზე ცდილობდა. „საზოგადოებრივი აზრი მაიძულებს ანტანტას მივემხრო“,—აშინებდა იგი ჰაბსბურგებს. გერმანია ავსტრია-უნგრეთის იტალიისადმი გარკვეულ დათმობებზე დაყოლიებას ცდილობდა ,მაგრამ ამაოდ.

იტალიის მოთხოვნები მორიდებით არ გამოირჩეოდა. რომში ჩაბმის ფასად იგი მოითხოვდა თავისი „ეროვნული ინტერესების“ დაკმაყოფილებას. ამ ინტერესებში შედიოდა: ტიროლი და ისტრია (აქ იტალიელები უმრავლესობას როდი შეადგენდნენ), ტრენტინო, ტრიესტი, ვალონა, კუნძული სასენო, დალმაციის სანაპირო — თავისი კუნძულებით. მას სურდა ადრიატიკის ზღვაში ბატონობა, ტერიტორიები ალბანეთის ხარჯზე, დათმობები აფრიკაში. მოითხოვდა ეცნოთ იგი დიდმპყრობელურ სახელმწიფოდ (იმპერიად), ეცნოთ მისი უფლებები ახლო აღმოსავლეთში და, საერთოდ, კოლონიურ ასპარეზზე. იტალიის ტერიტორიულ პრეტენზიათა მნიშვნელოვანი ნაწილი ავსტრია-უნგრეთის ხარჯზე მოდიოდა.

ანტანტა მზად იყო იტალიის მოთხოვნათა დიდი ნაწილი დაეკმაყოფილებინა. იგი მზად იყო ტიროლთან ერთად იტალიისათვის დაეთმო დალმაცია და მიეცა პროტექტორატის უფლება ალბანეთზე. ანტანტა იტალიას ჰპირდებოდა აგრეთვე ისტრიას. საზონოვი ყოყმანობდა, საქმე ის იყო, რომ დალმაციაში ცხოვრობდა დაახლოებით მილიონი სლავი და მხოლოდ 10 ათასი იტალიელი, ისტრიაში ცხოვრობდა 600 ათასი სლავი. დალმაციის მიმართ პრეტენზიები სერბეთსაც ჰქონდა. საზონოვის ყოყმანმა რუსეთში საფრანგეთის ელჩის მორის-ჟორჟ პალეოლოგის აღშფოთება გამოიწვია. „ჩვენ იარაღი ავიღეთ სერბეთის გადასარჩენად და არა იმისათვის, რომ სლავიზმის განუხორციელებელი ოცნებები განვახორციელოთ. კონსტანტინოპოლი სავსებით საკმარისი მსხვერპლია“. საზონოვი დათანხმდა დალმაციის ნაწილი მიეცათ იტალიისათვის, სამხრეთ დალმაცია კი — სერბებისათვის.

ყველაფერთან ერთად იტალიელებმა ინგლისელებისაგან სესხად 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოითხოვეს.

გერმანიამ იტალიაში მოსალაპარაკებლად ფონ ბიულოვი გაგზავნა, სადაც იგი დიდი გავლენით სარგებლობდა და ზედაფენებში ნაცნობ-მეგობრების ფართო წრე ჰყავდა. გერმანია მზად იყო დაეკმაყოფილებინა იტალია ფრანც-იოსების ჯიბის ხარჯზე. ავსტრიის მმართველი წრეები დათმობაზე არ მიდიოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ იტალიას გადაეცემოდა ტიროლი, სადაც 300 ათასი გერმანელი ცხოვრობდა, ნაწყენი დარჩებოდნენ ჰაბსბურგთა ყველაზე საიმედო დასაყრდენი — ავსტრიელი გერმანელები, ადრიატიკის გადაცემით უკმაყოფილონი იქნებოდნენ ხორვატები და ისინიც სერბეთის ბანაკში აღმოჩნდებოდნენ.

იტალიამ დასთმო სამხრეთ დალმაცია, მისი თითქმის ყველა დანარჩენი მოთხოვნა ანტანტის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა. მას დაპ-

პირდნენ ტრენტინოს, სამხრეთ ტიროლს, ტრიესტს, ისტრიას (კუნძულებითურთ), დალმაციას, დოდეკანესის კუნძულს, ალბანეთის ნაწილს და სხვა. თურქეთის გაყოფისას მას აღუთქვეს ანტალიის (ადალიის) პროვინციები და იზმირი, აფრიკაში გერმანიის კოლონიების გაყოფისას კომპენსაცია ერიტრეასა და სომალიში ინგლის-საფრანგეთის კოლონიების ხარჯზე. ანტანტამ აღუთქვა იტალიას მისი სანაპიროს ავსტრია-უნგრეთის ფლოტისაგან დაცვა. რუსეთი დაჰპირდა დახმარებას ავსტრია-უნგრეთთან სახმელეთო ბრძოლაში და ა. შ.

1915 წლის 26 აპრილს ლონდონში დადებულ იქნა ფარული შეთანხმება ინგლის-საფრანგეთ-რუსეთ-იტალიას შორის. შეთანხმების თანახმად, იტალიას ერთი თვის შემდეგ უნდა დაეწყო ომი. ოთხი სახელმწიფო შეთანხმდა აგრეთვე იმაში, რომ არ დაიდებოდა სეპარატული ზავი. იტალიამ ინგლისისაგან მიიღო დანაპირები სესხი. 3 მაისს მან ოფიციალურად დაარღვია შეთანხმება „სამთა კავშირის" შესახებ.

იტალიისა და ანტანტის დაახლოებით შეშინებულმა გერმანიამ აიძულა ავსტრია-უნგრეთი, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სასწრაფოდ დათმობაზე წასულიყო. 9 მაისს ავსტრია-უნგრეთი იტალიას დაჰპირდა ტიროლს, დათანხმდა ტრიესტის ავტონომიას და იტალიისთვის დალმაციის კუნძულების (არა თვით სანაპიროს) გადაცემას.

იტალიის მთავრობაში და პარლამენტში დაიწყო ყოყმანი. „დიდი იტალიის" შექმნის იდეებით აგზნებული ნაციონალისტურ-იმპერიალისტური წრეები მწერალ დეკადენტის გაბრიელ დ'ანუნციოს და სოციალისტური პარტიიდან გარიცხული ბენიტო მუსოლინის წინამძღოლობით იმპერიალისტურ-ნაციონალისტურ განწყობილებას აღვივებდნენ. ეგზალტირებულმა ბრბომ პარლამენტის შენობას ქვებიც კი დაუშინა. 20 მაისს პარლამენტმა მიიღო კანონი ახალი სამხედრო კრედიტის შესახებ. 23 მაისს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს. გერმანიის მიმართ 1916 წლის აგვისტომდე იტალია ნეიტრალიტეტს იცავდა. 28 აგვისტოს მან ომი გერმანიასაც გამოუცხადა.

გაიხსნა ახალი ფრონტი. იტალიამ დაიწყო შეტევა მდინარე იზონცოზე. მაგრამ რამდენიმე უშედეგო ბრძოლის შემდეგ (1915 წლის ივნისი — 1916 წლის მარტი) აქაც პოზიციური ბრძოლები დაიწყო. იტალიის არმიის ბრძოლისუნარიანობა მეტად დაბალი აღმოჩნდა. ანტანტა იძულებული იყო იტალიელთა გადარჩენა თვითონვე ეკისრა.

ბულგარეთმა 1914 წლის ივლისის ბოლოს „მკაცრი ნეიტრალიტეტი" გამოაცხადა, მაგრამ აგვისტოს დასაწყისშივე გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს პირობა მისცა, რომ მათი ორიენტაციისა იქნებოდა. პატარა ბულგარეთს საკმაოდ ძლიერი არმია ჰყავდა და ბალკანეთზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. ორივე ბანაკი გულმოდგინედ ცდილობდა ბულგარეთის თავისაკენ გადაბირებას. ბულგარელები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ იმას, ვინც ბულგარეთს დაუბრუნებდა 1913 წლის აგვისტოს ბუქურეშტის ხელშეკრულების თანახმად დაკარგულ ტერიტორიებს. ამ ხელშეკრულებების თანახმად, სერბეთმა ბულგარეთს ჩამოართვა მაკედონიის ნაწილი, საბერძნეთმა სერესისა და კავალას რაიონები, რუმინეთმა—დობრუჯა.

15 თვის განმავლობაში „ნეიტრალური" ბულგარეთი გერმანიას ეხმარებოდა, ამასთან ერთად არც ანტანტასთან წყვეტდა მოლაპარაკებას. ბულგარეთის მოთხოვნათა დაკმაყოფილება ანტანტისათვის საკმაოდ ძნელი იყო. ამ შემთხვევაში უნდა შელახულიყო სერბეთის, საბერძნეთისა და რუმინეთის ინტერესები. სერბეთი ანტანტის მოკავშირე იყო, რაც შეეხება საბერძნეთსა და რუმინეთს, ანტანტა ყოველნაირად ცდილობდა ამ სახელმწიფოების თავისაკენ გადაბირებას, საზონოვი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ბალკანეთის მეორე ომის შედეგად დარღვეული ბალკანეთის ბლოკი აღედგინა, ამაოდ ურჩევდა სერბეთს, საბერძნეთსა და რუმინეთს დათმობაზე წასულიყვნენ. 29 მაისს ანტანტამ ბულგარეთის მეფეს ფერდინანდს შესთავაზა თურქეთის თრაკია, დაჰპირდა სერბულ მაკედონიასა და კავალას იმ შემთხვევაში, თუ სერბეთს მისცემდნენ შესაფერის კომპენსაციას ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში და ადრიატიკაზე. საბერძნეთს შეეძლო მიეღო კომპენსაცია მცირე აზიაში. ანტანტის ბანკირები ბულგარეთის ბურჟუაზიის, მოხელეებისა და მინისტრების მოსყიდვას ლამობდნენ.

სერბები კატეგორიულ უარზე იყვნენ. მათ არც ანტანტის მიერ შემოთავაზებული კომპენსაცია სურდათ. მზად ვართ ყველაფერი დავკარგოთ, ოღონდ ბულგარელებს არაფერი დავუთმოთ, — ჯიუტად აცხადებდნენ ისინი, სერბეთის ასეთი პოზიცია ანტანტის მიერ ბულგარეთის გადმობირების ცდას ამაოს ხდიდა.

ბულგარეთისათვის გერმანიის დანაპირები უფრო რეალურად გამოიყურებოდა. გერმანიამ მას შესთავაზა ტერიტორიები სერბეთის ხარჯზე, მაკედონია და სხვ.

1915 წლის კამპანიაში აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელების წარმატების შემდეგ ბულგარელები გერმანიის ბანაკში აღმოჩნდნენ.

1915 წლის 3 სექტემბერს დაიდო თურქეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება. 6 სექტემბერს გაფორმდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის ოთხთა კავშირი. ბულგარეთს მაკედონიის სერბულ ნაწილთან ერთად მაკედონიის ბერძნული ნაწილიც უნდა მიეღო, თუ ეს უკანასკნელი ანტანტის მხარეზე გადავიდოდა.

1915 წლის 14 ოქტომბერს ბულგარეთი თავს დაესხა სერბეთს. სერბეთს უტევდნენ აგრეთვე გერმანია-ავსტრია-უნგრეთის არმიები. ბულგარელებმა სერბების წინააღმდეგ გამოიყვანეს 300 ათასიანი არმია. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის არმია ფელდმარშალ ავგუსტ მაკენზენის სარდლობით 350 ათას კაცს შეადგენდა. სერბეთმა მტერს დაუპირისპირა 230—250 ათასიანი ცუდად შეიარაღებული არმია. გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად სერბეთის არმია განადგურდა. სერბეთი ოკუპირებულ იქნა (1915 წ. დეკემბერი). ანტანტის დახმარება უმნიშვნელო იყო. მოკავშირეებმა შეძლეს მხოლოდ სერბეთის არმიისათვის ტყვია-წამლის მიწოდება და სალონიკში ორად ორი ფრანგული დივიზიის გადასხმა. სერბეთის ოკუპაცია ბულგარელებისა და ავსტრია-უნგრელების მიერ ომის დამთავრებამდე გაგრძელდა. სერბეთის დამარცხებას გერმანიის ბლოკისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: გერმანია უშუალოდ დაუკავშირდა თურქეთს. სერბეთის განადგურებული არმიის ნარჩენები (120 ათასი კაცი) გადაურჩა მტრის ალყას და ადრიატიკის ზღვას მიაღწია. 1916 წლის დასაწყისში ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტმა სერბეთის არმიის ნაშთები, სერბეთის მთავრობა, მოხელეები და სხვა ლტოლვილები საბერძნეთის კუნძულ კორფუზე გადასხა. აქ თავი მოიყარა იმ ძალებმა, რომლებმაც ავსტრია-უნგრეთის განადგურების შემდეგ საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს — იუგოსლავიას.

ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა ფეხი მოიკიდეს სალონიკში, სადაც გადმოსროლილ იქნა ფრანგთა, ინგლისელთა და რუსთა ახალი ძალები. აქვე კორფუდან გადმოსხეს სერბეთის არმია. აქ მოკავშირეებმა შექმნეს ახალი, ე. წ. სალონიკის ფრონტი. სალონიკში მოკავშირეთა არმიის პირველი ბირთვი შექმნეს გალიპოლის ნახევარკუნძულიდან ევაკუირებულმა ნაწილებმა.

1915 წლის ზამთარში ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა განაგრძეს შეტევა და მოახდინეს ჩერნოგორიისა და ალბანეთის ოკუპაცია.

ომის მიმდინარეობა 1916 წელს

1916 წლისათვის ანტანტის სამხედრო, ტექნიკური, ეკონომიური და პოლიტიკური პოტენცია ახალ აღმავლობას განიცდის. 1916 წლისათვის ანტანტის ქვეყნებმა შეძლეს გამოესწორებინათ ის ჩამორ-

ჩენა, რომელიც მათ ომის დასაწყისში საარტილერიო საქმეში გააჩნდათ. ანტანტის ქვეყნებმა საჭიროდ ცნეს აგრეთვე სამხედრო ხელმძღვანელობის კოორდინირება და ცენტრალიზება.

1916 წლისათვის ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლების თავიდან აცილების მიზნით ორივე ბანაკმა სცადა გადამწყვეტი შეტევების საშუალებით წერტილი დაესვა ომისათვის.

გერმანიამ, რომელმაც 1915 წელს ვერ შეძლო რუსეთის განადგურება, ამჯერად გადაწყვიტა ძირითადი დარტყმა დასავლეთით განეხორციელებინა. 1914-15 წლებში წარმოებული დიდი ბრძოლების შემდეგ, ცხადია, გერმანიის შემტევი შესაძლებლობა საკმაოდ შეიზღუდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის არმიის სარდალს ფალკენჰაინს იმედი დაკარგული არ ჰქონდა და დასავლეთით გენერალურ შეტევას შესაძლებლად თვლიდა. სწორედ მისი ოპტიმიზმის ნაყოფი იყო უდიდესი მასშტაბის მქონე ისტორიული ვერდენის ბრძოლა, რომელსაც 1916 წლის კამპანიაში და საერთოდ პირველი მსოფლიო ომის ისტორიაში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

1915 წელს რუსეთზე გენერალური შეტევის სტრატეგიული გეგმა ფალკენჰაინის ინიციატივით შემუშავდა. მას მიაჩნდა, რომ ბისმარკის ეპოქის სამხედრო სტრატეგის ფონ მოლტკე უფროსის სტრატეგიული ჩანაფიქრი უფრო სწორი იყო, ვიდრე ფონ შლიფენის ჩანაფიქრი. მოლტკე უფროსმა თავის დროს, პირველ რიგში, რუსეთის განადგურება დაგეგმა, შლიფენმა კი უპირველეს ამოცანად საფრანგეთის განადგურება გაითვალისწინა. ფალკენჰაინი ფიქრობდა, რომ 1915 წლის მარცხის შემდეგ რუსეთი საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა, ამიერიდან დადგა ჯერი საფრანგეთის არმიისა, რომელიც თანდათან უნდა დაძაბუნებულიყო. საფრანგეთის ქანცგამოცლილი არმია „კონტინენტზე ინგლისის პოლიტიკის იარაღი აღარ იქნებოდა". ინგლისის წინააღმდეგ უნდა გაიშალოს შეურიგებელი წყალქვეშა ომი, რის შედეგადაც იგი იძულებული იქნება ზავი ითხოვოს. ერთი შეხედვით, 1916 წლისათვის გერმანიის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა. მან თავისი აგრესიული პოლიტიკის პროგრამა-მინიმუმი, „Mitteleuropa"-ს სახით თითქმის განახორციელა. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ანშლუსი (სამხედრო-ეკონომიური გაერთიანება) განხორციელებული იყო. კაიზერისეული გერმანია კონტროლს უწევდა უზარმაზარ ტერიტორიას ანტვერპენიდან ბაღდადამდე.

ზემოაღნიშნული სტრატეგიის პრაქტიკულ განხორციელებას ისახავდა ხანგრძლივი (21 თებერვალი—7 ივნისი), შეუპოვარი სის-

ხლისმღვრელი შეტევა საფრანგეთის ციხესიმაგრე ვერდენზე. აქ საფრანგეთის არმია სისხლისაგან უნდა დაიცალოს, — ასეთი იყო გერმანიის სარდლობის ჩანაფიქრი. საოცრად სისხლისმღვრელი ვერდენის ოპერაცია ათ თვეს გაგრძელდა (21 თებერვალი — 21 დეკემბერი). ვერდენის ოპერაცია უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის არმიისათვის ქანცის გამოცლას ისახავდა მიზნად. „საფრანგეთის სარდლობა იძულებული იქნება ვერდენის დასაცავად უკანასკნელი კაციც კი გასწიროს", — ასეთი იყო გერმანელეთა ღრმა რწმენა. ვერდენის დაცვაში საფრანგეთის არმიამ არნახული სიმტკიცე გამოიჩინა. ვერდენი გადარჩა. მასთან ბრძოლაში ორივე მხარემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით მილიონამდე ადამიანი დაკარგა. მათ შორის დაიღუპა 378.777 ფრანგი (8.756 ოფიცერი); ვერდენის დაცვას ხელმძღვანელობდა გენერალი (შემდეგ მარშალი) ანრი-ფილიპ პეტენი, რომელიც მანამდე საფრანგეთის მეორე არმიას სარდლობდა. ვერდენის ბრძოლა ფრანგული სამხედრო დიდების ბრწყინვალე ძეგლია. აქ ფრანგმა ჯარისკაცებმა სიმტკიცისა და სამშობლოს სიყვარულის შესანიშნავი მაგალითი გვაჩვენეს. 7 ივნისს გერმანელებმა აიღეს ფორტი ვო მდინარე მაასის მარჯვენა ნაპირზე, ეს გერმანელთა უკანასკნელი წარმატება იყო. ამიერიდან ვერდენისათვის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. და ფაქტიურად შეწყდა 1916 წლის 21 დეკემბერს. ვერდენზე გერმანელთა შეტევის ძალა საგრძნობლად შეასუსტა აღმოსვლეთ ფრონტზე ნაროჩის ტბის მიდამოებში გერმანელთა წინააღმდეგ 18 მარტს დაწყებულმა ახალმა შეტევამ, რომელსაც გენერალი მ. ვ. ალექსეევი ხელმძღვანელობდა. შეტევა, რომელიც ვილნოზე წარიმართა, ცუდად იყო ორგანიზებული, მას აღმოსავლეთის ფრონტზე რაიმე არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. მაგრამ ფალკენჰაინი იძულებული გახდა აქეთკენ სარეზერვო ჯარები გადაესროლა. ამ შეტევის შედეგად გერმანელებს აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე ჯარების გადასროლის საშუალება არ მიეცათ.

ვერდენის ბრძოლამ და რუსეთის არმიის მარტის შეტევამ გაიქარწყლა გერმანელთა იმედები. აღმოჩნდა, რომ საფრანგეთი კვლავ ძლიერია, ხოლო რუსეთს შეტევის უნარი დაკარგული არა აქვს.

1916 წლის 24 ივნისს მდინარე სომაზე საფრანგეთისა და ინგლისის ძალებმა წამოიწყეს დიდი ოპერაცია, ბრძოლის მასშტაბები ძალიან დიდი იყო. ბრძოლაში ჩაება ინგლისისა და საფრანგეთის 60 დივიზია. მარტო საფრანგეთის მეექვსე არმიას გამოუყვეს იმდენი ჭურვი, რამდენიც 1914 წელს საფრანგეთის არმიას ჰქონდა მთლიანად. შეტევას წინ უძღოდა მასირებული საარტილერიო მომზადება.

ერთი კვირის (24—30 ივნისი) განმავლობაში გერმანიის პოზიციებს დაუშინეს 1,5 მილიონი ჭურვი.

შეტევა დაიწყეს ინგლისის მეოთხე არმიის ქვეითებმა. როგორც ჩანს, საარტილერიო მომზადებას გერმანელებმა გაუძლეს. შეტევაზე გადმოსულ ინგლისელებს სანგრებიდან ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ. მსხვერპლი დიდი იყო: პირველსავე ბრძოლაში ინგლისელებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 20 ათასი მებრძოლი, 40 ათასი დაიჭრა. შეტევა ერთ კვირას გაგრძელდა. ინგლისელთა სარდალი ჰეიგი ბრძოლაში სულ ახალ და ახალ ძალებს აბამდა.

მძიმე ბრძოლები ხუთ თვეს გაგრძელდა. 15 სექტემბერს ინგლისელებმა ბრძოლაში პირველად ჩააბეს ტანკები. ამ შეჯავშნული საოცრების გამოჩენამ თავდაპირველად მოწინააღმდეგეთა რიგებში დიდი პანიკა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ტანკებს ომის პროცესში რაიმე არსებითი გარდატეხა არ შეუტანიათ. თავდაპირველად მოქმედებდა სულ 32 ტანკი. ისინი ძნელად მოძრაობდნენ. მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ ახლადშექმნილ საბრძოლო იარაღს დიდი მომავალი ჰქონდა. მის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის უინსტონ ჩერჩილს, რომელსაც ლოიდ ჯორჯის კოალიციურ მთავრობაში სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა. სამხედრო ლიტერატურაში ჩერჩილს ხშირად იხსენიებდნენ როგორც „ტანკის მამას“.

სომასთან სისხლისმღვრელი ოპერაციები ნოემბრამდე გაგრძელდა. ინგლის-საფრანგეთის არმიამ, მიუხედავად თავდაპირველად მიღწეული წარმატებებისა, ძირითად სტრატეგიულ მიზანს ვერ მიაღწია — გერმანიის ფრონტი ვერ გაარღვიეს. მსხვერპლი ძალიან დიდი იყო და დაახლოებით 1,3 მილიონი კაცით განისაზღვრებოდა. სომაზე ბრძოლამ ნათელყო, რომ ანტანტის ტექნიკურ-მატერიალური ბაზა გაიზარდა და გერმანელებისას გაუსწრო.

სომასთან ბრძოლების შემდეგ დასავლეთ ფრონტზე კვლავ პოზიციურმა ბრძოლამ დაისადგურა. გერმანიის სარდლობაში ცვლილება მოხდა. 29 აგვისტოს ფალკენჰაინი გადააყენეს. გერმანიის არმიას სათავეში ჩაუდგნენ გენერალი პაულ ფონ ჰინდენბურგი (დაინიშნა გენშტაბის უფროსად) და გენერალ-ლეიტენანტი ერიხ ლუდენდორფი (გენერალ-კვარტირმაისტერად), პრუსიის მილიტარიზმისა და გერმანიის მონოპოლიური კაპიტალის წარმომადგენლები.

ლუდენდორფი და ჰინდენბურგი გამარჯვების მისაღწევად აუცილებლად თვლიდნენ რუსეთის განადგურებას. ხოლო შემდეგ, რუსეთის ნედლეულის, სასურსათო და ადამიანთა რესურსების გამოყენებით, მათ შესაძლებლად მიაჩნდათ დასავლეთზე გამარჯვება. ორივე გენერალი ტოტალური გამარჯვების მომხრე იყო, მაგრამ,

ტეილორის მოხდენილი თქმით, წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ მოეპოვებინათ იგი.

გადახალისდა ანტანტის სამხედრო ხელმძღვანელობის სტრუქტურაც. მოკავშირეებმა გაითვალისწინეს ის დიდი ზარალი, რომელიც მათ მოუტანა სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში არსებულმა შეუთანხმებლობამ. პარიზის ახლოს შანტიიში 1915 წლის დეკემბერში შეიკრიბნენ ანტანტის სახელმწიფოთა გენერალური შტაბების წარმომადგენლები და მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ამიერიდან მთავარ ფრონტებზე ბრძოლების წარმოება საერთო გეგმით კოორდინირებული მეთოდებით უნდა განხორციელებულიყო.

ცვლილება მოხდა საფრანგეთის არმიის მთავარსარდლობაშიც. მარშალ ჟოფრის ნაცვლად დაინიშნა გენერალი ნიველი. მასვე დაუმორჩილეს ინგლისის ჯარებიც. იგი ირწმუნებოდა, რომ ხელთ უპყრია გერმანიის არმიის განადგურების გასაღები. იგი, პირველ ყოვლისა, საჭიროდ თვლიდა ფრონტის გარღვევას 1917 წლის დასაწყისისათვის.

მსოფლიო ომის მსვლელობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ცვლილებას ინგლისის მთავრობაში. პრემიერ-მინისტრის პოსტზე ასკვიტი შეცვალა ენერგიულმა და ძლიერმა პიროვნებამ — ლოიდ ჯორჯმა. მან მოღვაწეობა დაიწყო აბრამ ლინკოლნის დევიზით: „ჩვენ ამ ომზე გარკვეული მიზნებით დავთანხმდით, ამასთან ღირსეული მიზნებით და ომი დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა ეს მიზანი მიღწეულ იქნება“.

აღმოსავლეთ ევროპის ფრონტზე 1916 წლის გაზაფხულზე მნიშვნელოვანი ოპერაციები გაჩაღდა. 15 მაისს ავსტრია-უნგრეთმა დაიწყო შეტევა იტალიის არმიის წინააღმდეგ ტიროლში და 400 ათასიანი არმია აამოქმედა. მდინარე იზონცოზე იტალიელთა ფრონტი გაირღვა. იტალიის არმია დაახლოებით 100 კილომეტრით იქნა უკუგდებული. იტალიელთა მდგომარეობა კატასტროფული იყო. ვითარება შეიცვალა 4 ივნისის შემდეგ, როდესაც რუსეთის არმიამ თავის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე დიდი შეტევა წამოიწყო. შეტევას ხელმძღვანელობდა გენერალი ა. ა. ბრუსილოვი. წარმატება მნიშვნელოვანი იყო. რუსეთის არმია კვლავ გამოჩნდა გალიციაში და კარპატებს მიაღწია. რუსებმა ხელთ იგდეს მთელი ბუკოვინა, გალიციის ნაწილი და კარპატების უღელტეხილებს მიაღწიეს. რუსეთის არმიის შემდგომი წინსვლა საფრთხეს უქმნიდა გალიციის ნავთობს. აგრეთვე იქმნებოდა მისი უნგრეთში შეჭრის საფრთხეც. ავსტრია-უნგრეთის სარდლობამ აქეთკენ ახალი ძალები გადმოისროლა. მათ შეუერთდნენ ფალკენჰაინის მიერ დასავლეთ და აღმო-

საველეთ ფრონტებზე სასწრაფოდ მოხსნილი გერმანული შენაერთები (სულ 11 დივიზია). ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის გაერთიანებულმა ძალებმა კონტრშეტევა დაიწყეს. რუსეთის არმიამ ეს შეტევა შეაჩერა. ბრუსილოვის შეტევას მსოფლიო ომის საერთო მსვლელობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ავსტრია-უნგრეთის არმიამ უდიდესი ზარალი განიცადა, საგრძნობლად შეირყა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ავტორიტეტი. ბრუსილოვის შეტევის უშუალო შედეგი იყო: ვერდენზე გერმანელთა შეტევის შეჩერება, იტალიელთა კონტრშეტევა 16 ივნისს, ინგლის-საფრანგეთის შეტევა მდინარე სომაზე და სხვ.

ლუდენდორფის თქმით, რუსეთის მიერ მოპოვებული წარმატება ეს იყო „ერთი ყველაზე უფრო სერიოზული კრიზისი აღმოსავლეთის ფრონტზე“ [1]. რუსეთის არმიის წინსვლა შეაფერხა საომარი მასალის ნაკლებობამ .განსაკუთრებით მწვავედ იდგა საარტილერიო ჭურვების საქმე. მოკავშირეებს კი ჭურვები ჭარბად ჰქონდათ. მათ მარტო სომაზე ოპერაციის დროს დახარჯეს იმდენი ჭურვი, რამდენიც რუსეთმა მთელს 1914-15 წლების კამპანიაში.

რუსეთის წარმატებამ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე დააჩქარა ანტანტის მხარეზე რუმინელთა ომში ჩაბმა. რუმინეთი, ისევე როგორც ადრე იტალია და ბულგარეთი, დიდხანს და გულმოდგინედ ევაჭრებოდნენ ომში ჩაბმის პირობების შესახებ ანტანტას და გერმანიის ბლოკს. რუმინეთის მილიტარისტულ-იმპერიალისტურ წრეებს დიდი მადა ჰქონდათ. ისინი ოცნებობდნენ შეექმნათ „დიდი რუმინეთი“. რუმინელებს სურდათ ხელთ ეგდოთ ტრანსილვანია, ბესარაბია, ბუკოვინა, ბანატი და სხვ. 1883 წლიდან რუმინეთი „სამთა კავშირს“ ემხრობოდა, მაგრამ პრობლემა ტრანსილვანიისა, სადაც 2 მილიონ რუმინელთან ერთად 1 მილიონი უნგრელი ცხოვრობდა, რუმინეთის „ერთგულებას“ სამთა კავშირისადმი საეჭვოდ ხდიდა. ბესარაბიის პრობლემა კი რუმინეთს რუსეთის იმპერიას უპირისპირებდა.

1914 წელს, ომის წინ დაიწყო ანტანტისა და გერმანიის ვაჭრობა რუმინეთთან. გერმანია რუმინეთის პრემიერს ბრატიანუს ჰპირდებოდა ბესარაბიას (ამისათვის საჭირო იყო რუსეთის დამარცხება). რუსეთი, თავის მხრივ, ტრანსილვანიას სთავაზობდა (ამისათვის საჭირო იყო ავსტრია-უნგრეთის დამარცხება). ბრატიანუ რუსეთს ბესარაბიას სთხოვდა, საზონოვი კი უარზე იყო. მოკავშირეების ძებნაში საზონოვი აშკარად დაიბნა, როგორც იტყვიან, ანგარიში აერია.

---

[1] რუსეთისათვის დასავლეთი ფრონტი, გერმანელთათვის აღმოსავლეთ ფრონტი (ostfront) იყო.

რუმინელებს შეჰპირდა სერბეთისა და ბულგარეთის ტერიტორიებს. ბულგარეთს — რუმინეთის, თურქეთისა და სერბეთის მიწებს, თურქეთს — ბულგარეთის მიწებს. 14 ივნისს ნიკოლოზ II და საზონოვი კონსტანცაში შეხვდნენ რუმინეთის მეფეს და ავსტრია-რუსეთის ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტი მოითხოვეს. საზონოვს ამის იმედი არა ჰქონდა: „რუმინეთი, — ამბობდა იგი, — შეეცდება შეუერთდეს იმ მხარეს, რომელიც შეძლებს მას მეტს დაჰპირდეს“.

1914 წლის 3 აგვისტოს რუმინეთმა უარყო თავისი ვალდებულებები სამთა კავშირისადმი. 1914 წლის 1 ოქტომბერს დადებულ იქნა რუმინეთ-რუსეთის ფარული ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთის იმ მიწების თაობაზე, სადაც რუმინელები ცხოვრობდნენ. რუსეთი რუმინეთს ნეიტრალიტეტის ფასად აღნიშნულ ტერიტორიებს შეჰპირდა. საზონოვს აწყობდა ეს. ამით იგი უზრუნველყოფდა გალიციაში მოქმედ რუსთა არმიის მარცხენა ფრთის უსაფრთხოებას. ამასთან ერთად რუმინელებმა იშოვეს სესხი ლონდონში.

1916 წლის 17 აგვისტოს ანტანტა რუმინეთს გერმანიის ბლოკისათვის ომის გამოცხადების საფასურად დაჰპირდა ტრანსილვანიას, ბუკოვინას და ბანატს. 27 აგვისტოს რუმინეთი ომში ჩაება და წამოიწყო დამოუკიდებელი მოქმედება ტრანსილვანიის დასაკავებლად. მაგრამ ჯერ ბულგარეთის, ხოლო შემდეგ ავსტრია-უნგრეთ-გერმანიისა და თურქეთის ჯარებთან შეტაკებების შემდეგ რუმინელები სასტიკად დამარცხდნენ. 1916 წლის 6 დეკემბერს გერმანიის ჯარებმა ბუქურეშტი აიღეს. რუმინეთის ოკუპაციით გერმანიამ მოიპოვა სურსათისა და, რაც მთავარია, ნავთობის მნიშვნელოვანი წყარო. რუმინეთის არმიის ნარჩენებმა მოლდავეთისაკენ დაიხიეს. რუმინეთის სამეფო კარი და მთავრობა ევაკუირებულ იქნა იასაში. რუსეთის არმიამ გერმანია-ავსტრიის ჯარებს მოლდავეთისაკენ გზა გადაუღობა. 1916 წლის მეორე ნახევარში იტალიელებმა მდინარე იზონცოს მიმართულებით კვლავ განახორციელეს რამდენიმე უპირატესად უშედეგო შეტევა.

კავკასიის ფრონტზე ბრძოლები რუსეთის არმიის წარმატებით აღინიშნა. 1916 წლის 16 თებერვალს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს თურქეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე—არზრუმი. 18 აპრილს აღებულ იქნა ქალაქი ტრაპიზონი (ტრაბზონი). ერაყში, კუტ-ელ-ამარაში თურქებმა ალყა შემოარტყეს ინგლისის საექსპედიციო კორპუსს, რომელსაც გენერალი ტოუნშენდი მეთაურობდა. 29 აპრილს ინგლისელთა 12 ათასიანი კორპუსი დანებდა. გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკაში გერმანიის ჯარები კოლონიის სამხრეთ საზღვრებისაკენ განდევნეს.

1916 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს ჩრდილოეთ ზღვაში, იუტლანდიის ნაპირებთან, სკაგერაკის სრუტესთან გაიმართა პირველი მსოფლიო ომის ისტორაში ყველაზე დიდი საზღვაო ბრძოლა. გერმანიის სარდლობამ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მიეცა დიდი, გადამწყვეტი ბრძოლა და გაერღვია საზღვაო ბლოკადა, რომელიც გერმანიას უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ბრძოლა შეუპოვარი იყო, ორივე მხარემ დიდი ზარალი ნახა (ინგლისელებმა დაკარგეს 14 საბრძოლო ერთეული, გერმანიამ — 11). გერმანელები განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ ისარგებლეს ღამის წყვდიადით და თავიანთ ნავსადგურებს მიაშურეს. ამიერიდან ზღვაზე ინგლისელთა ბატონობა ეჭვს აღარ იწვევდა. გერმანიის ფლოტი ვეღარ ბედავდა გენერალური ბრძოლის მიცემის მიზნით ღია ზღვაში გამოსვლას. მთელ იმედებს გერმანიის სარდლობა წყალქვეშა ომზე ამყარებდა.

1916 წლის შემოდგომიდან მეომარ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იჩენს თავს. ტოტალური გამარჯვების მომხრეებთან ერთად გაჩნდნენ ომის შეწყვეტის ან, უარეს შემთხვევაში, სეპარატული ზავის საშუალებით ომის ლოკალიზაციის მომხრეები. პოლიტიკაში ასეთი შემობრუნება ძირითადად შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: ომმა გამოფიტა მეომარ მხარეთა რესურსები, მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება კი ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობოდა მასების უკმაყოფილების დიდი ზრდა. დგებოდა ულმობელი შიმშილისა და სრული გაპარტახების საფრთხე; აღიმართა სოციალური კატასტროფის საშიშროება. ომის მესამე წელმა ევროპა მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა.

1916 წელს გერმანია ფაქტიურად მშიერ ულუფაზე იჯდა. ინგლისში 1916 წლის 30 ოქტომბრისათვის დარჩენილი იყო სულ 4 თვის სურსათის მარაგი, სიძვირემ კატასტროფულად იმატა, დაიწყო პურის, კარტოფილის, ხორცის, სათბობისა და სხვათა მწვავე კრიზისი. სურსათითა და ფართო მოხმარების საგნებით სპეკულაცია. 1916 წლის დამლევს ყველა მებრძოლ და ნეიტრალურ ქვეყანაში მთავრობა იძულებული იყო საბარათო სისტემა შემოეღო (პურზე, ნახშირზე, ცხიმზე, ხორცზე, ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე, ნავთზე, შაქარზე, ჩაიზე, ყავაზე და სხვ.). ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მოსახლეობა, მართალია, მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მას სასურსათო კრიზისი ისე მწვავედ არ განუცდია როგორც გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს. 1916 წელს ამ ქვეყნების მოსახლეობა ფაქტიურად შიმშილობდა. 1916-17 წლის ზამთარს გერმანიაში

„თალგამურას (მიწაფხალას) წელიწადი“ უწოდეს, რადგანაც მოსახლეობის ძირითად საკვებს თალგამურას ყოველდღიური მცირედი ულუფა შეადგენდა. ადამიანის არსებობისათვის საჭირო კალორიის მინიმუმი უდრის 3.300. 1916 წლის დეკემბერში გერმანელისათვის განკუთვნილი დღიური ულუფა სულ 1344 კალორიას შეიცავდა. ევროპის ქვეყნებში „სამოქალაქო ზავი“ აშკარად ირღვეოდა.

1916 წლის დამლევს შეიქმნა ისეთი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაცია, როცა ომის გაგრძელება არც ერთ მხარეს აღარ აწყობდა, სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვების იმედი არავის ჰქონდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო რუსეთი. აქ აშკარად იგრძნობოდა რევოლუციური სიტუაციის მომწიფება. საყოველთაო დაძაბულობას აძლიერებდა ულმობელი წყალქვეშა ომი. გერმანელებმა მოკავშირეებს ამ ომით დიდი ზარალი მიაყენეს. მათ მარტო ინგლისელებს აღნიშნულ მომენტისათვის ჩაუძირეს 1250 ათასი ტონის საერთო წყალწყვის 277 ხომალდი. ასეთ ვითარებაში მსოფლიო პოლიტიკაში, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, აღინიშნა შემობრუნება იმპერიალისტური ომიდან იმპერიალისტური ზავისაკენ.

სეპარატული ზავის მომხრენი ინგლისში იყვნენ კონსერვატორი ლენსდაუნი, კაბინეტის წევრები ლორდი გრეი, რენსიმენი და სხვ. საფრანგეთში — კაიო. რუსეთში საზონოვი შეცვალა შტიურმერმა, რომელიც გერმანიასთან სეპარატული ზავის მომხრე იყო 1915 წლიდან რუსეთი, გერმანია და იაპონია სეპარატული ზავისთვის ნიადაგს სინჯავდნენ. 1916 წელს პუანკარე შეეცადა ანტანტასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სეპარატულ ზავზე დაეწყო მოლაპარაკება. 1916 წლიდან კომპრომისული განწყობილება აშკარად ეტყობოდა ბეთმან ჰოლვეგს.

1916 წლის 12 დეკემბერს გერმანიამ თავისი მოკავშირეების სახელით მიმართა მოწინააღმდეგე მხარეს დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. ვილჰელმის წინადადებაში ქედმაღლური ტონი იგრძნობოდა. იგი ვითარებას სახავდა ისე, თითქოს მტრები თავს დაესხნენ გერმანიას და აიძულეს იგი ავსტრია-უნგრეთთან ერთად „დაეწყო თავდაცვითი“ ომი. ვილჰელმის მიხედვით, გერმანია ამჯერად გამარჯვებულის მდგომარეობაშია (ერთი შეხედვით ეს ასეც იყო, გერმანიას ხელთ ეპყრა ბელგია და ჩრდილო საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, რუსეთის პოლონეთი, ბალტიისპირეთის დიდი ნაწილი, ლიტვა, ბელორუსიის ნაწილი, განადგურებული იყო სერბეთი და რუმინეთი), ხოლო ანტანტის ქვეყნებს ომი უკვე წაგებული აქვთ, თუმცა მათ არ სურთ ეს აღიარონ.

ანტანტამ უარყო ეს წინადადება. ის, პირიქით, გერმანიას ზავის საკუთარ პირობებს სთავაზობდა, სადაც, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული იყო გერმანიის მიერ ყველა დაპყრობაზე უარის თქმა.

ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა გერმანიის რეაქციულ მხედრიონთან და მონოპოლისტურ-იუნკრულ წრეებთან ერთად მოახერხეს კაიზერისა და კანცლერ ბეტმან ჰოლვეგის სამშვიდობო განწყობის აღკვეთა. ჰინდენბურგი და ლუდენდორფი თვლიდნენ, რომ მიუხედავად დიდი შინაგანი სიძნელეებისა, ომის გაგრძელება შეიძლებოდა. მათი აზრით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ქვეყნად მკაცრი სამხედრო დიქტატურის დამყარება, რაც მმართველ წრეებს რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისა და სამოქალაქო ზავის აღდგენის საშუალებას მისცემდა. ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის მიხედვით, რახან შეუძლებელია განხორციელდეს ზავი გერმანიისათვის ხელსაყრელ პირობებში, ამიტომ საჭიროა ომის გაგრძელება საბოლოო გამარჯვებამდე. მათ მხარს უჭერდა ადმირალი ტირპიცი, კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა პარტიები. ლუდენდორფი და ჰინდენბურგი დიდ იმედებს ამყარებდნენ შეუზღუდავ წყალქვეშა ომზე.

რუსეთის გაბატონებულ კლასებს სურდა ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ამავე დროს მათ ეშინოდათ, რომ ცარიზმი თავის გადარჩენის მიზნით შეეცდებოდა სეპარატული ზავის დადებას გერმანიასთან, ხოლო საფრანგეთსა და ინგლისს არ სურდათ დაეკარგათ რუსული საზარბაზნე ხორცი. მათი წაქეზებით, რუსეთის ბურჟუაზიამ და მემამულეებმა მიზნად დაისახეს გადაეყენებინათ ნიკოლოზ II და იგი მისი ძმით მიხეილით შეეცვალათ. რუსეთის ბურჟუაზიას სასახლის გადატრიალებით სურდა შეჩერება დიდი სახალხო რევოლუციისა, რომელიც რუსეთში ისტორიულად გარდაუვალი იყო. რუსეთის ხალხმა კრიზისი სულ სხვა გზით გადაჭრა. რუსეთში მზადდებოდა რევოლუცია.

ტოტალური გამარჯვების პოზიციებზე იდგა საფრანგეთის მთავრობის ახალი მეთაური. გერმანელთა შეურიგებელი მტერი, რევანშისტი ჟორჟ კლემანსო და მისი ინგლისელი კოლეგა დევიდ ლოიდ ჯორჯი. ვ. ი. ლენინი 1916 წელს ასე ახასიათებდა: „ევროპა რევოლუციურ სიტუაციას განიცდის. ომი და სიძვირე ამწვავებენ მას“.

ომის მიმდინარეობა 1917 წელს

1917 წელს ომის დამთავრებას პირი არ უჩანდა. 1916 წლის კამპანიას ინგლისელები და ფრანგები მოგებულად თვლიდნენ, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის ფრონტზე. მაგრამ მათ ტაქტიკური წარ-

მატება ვერდენთან და სომაზე იმდენად ძვირად დაუჯდათ, რომ ახალი დიდი შეტევის ორგანიზების შესაძლებლობა დიდი ხანით უნდა გამოერიცხათ. გერმანელებსაც არა სჯეროდათ საკუთარი ძალებისა და პოზიციური ბრძოლების სტაბილიზაციის მიზნით დაიწყეს მძლავრი გამაგრებული რაიონების, მათ შორის ჰინდენბურგისა და ზიგფრიდის ცნობილი ხაზების შექმნა.

ანტანტა ძალას იკრებდა და თავის არმიას ახალი რეზერვებით ავსებდა. ინგლისელებმა საყოველთაო სამხედრო სამსახური შემოიღეს. საფრანგეთსა და ინგლისში მწყობრში ჩადგა ახალი დიდი ქარხნები. ანტანტაში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობებმა და სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება 1917 წლის გაზაფხულზე დაეწყოთ ერთობლივი შეტევა ყველა ფრონტზე (ინგლის-საფრანგეთის, რუსეთის, იტალიისა და მაკედონიის ფრონტები).

გერმანიის სარდლობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ხმელეთზე ბრძოლით საბოლოო გამარჯვებამდე ომს ვერ მიიყვანდა. მისთვის ნათელი იყო, სანამ ინგლისი ზღვების ბატონად რჩებოდა, გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. „მხოლოდ სახაზო ფლოტით ინგლისს იარაღს ვერ დავაყრევინებთ, — სწერდა ადმირალი ტირპიცი ჰინდერბურგს, — ჩვენ ამას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა ენერგიული და დაუნდობელი წყალქვეშა ომით მას წავართმევთ იმ უპირატესობას, რომელსაც მას კუნძულისეული მდგომარეობა ანიჭებს“. გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ ულმობელი, შეუზღუდავი წყალქვეშა ომის შედეგად ინგლისელების „შიმშილით ამოხოცვას“ შეძლებდნენ.

უკვე 1916 წლის დამლევს გერმანელებმა დიდძალი წყალქვეშა ნავები ააგეს. გერმანიის უმაღლესი სარდლობა მოითხოვდა შეუზღუდავი წყალქვეშა ომის გამოცხადებას. ამიერიდან თავდასხმის ობიექტი უნდა ყოფილიყო მტრის გემებთან ერთად ნეიტრალური ქვეყნების გემებიც, მათ შორის სავაჭრო-სამგზავრო ფლოტი.

შეუზღუდავი წყალქვეშა ომი გერმანელებმა 1917 წლის 1 თებერვალს გამოაცხადეს. გერმანიის წყალქვეშა ფლოტს ბრძანება მიეცა გაუფრთხილებლად ჩაეძირა მოწინააღმდეგის ყველა გემი. გარკვეული ყოყმანის შემდეგ (ბეთმან ჰოლვეგისა და სხვების) საჰეფო საბჭომ ნება დართო შეუზღუდავი ომი ნეიტრალური ქვეყნების მიმართაც გამოეყენებინათ. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა ირწმუნებოდა, რომ 6 თვის შემდეგ ინგლისს მუხლებზე დავაჩოქებთო. გერმანიის მმართველთა ზოგიერთი წარმომადგენელი გამოთქვამდა შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ შეუზღუდავ წყალქვეშა ომს შეეძლო აშშ-ის მხრივ მკაცრი კონტრზომების გამოყე-

ნება გამოეწვია, თვით ომში ჩაბმამდეც კი. გერმანიის მხედრიონი დარწმუნებული იყო, რომ აშშ-ს არ ჰყავს ბრძოლისუნარიანი არმია და მისი ომში ჩაბმა ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ამასთან გერმანიის სარდლობა ქედმაღლურად ირწმუნებოდა, რომ გერმანიის წყალქვეშა ფლოტი ევროპის მიწაზე არც ერთ ამერიკელ ჯარისკაცს ფეხს არ დაადგმევინებსო.

საფრანგეთის ახალი მთავარსარდალი გენერალი ნიველი დარწმუნებული იყო, რომ მძლავრი გენერალური შეტევის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა გერმანელთა ფრონტის გარღვევა და მათი საფრანგეთიდან განდევნა. გენერალური შეტევისათვის ნიველმა მნიშვნელოვან ძალებს მოუყარა თავი. მის განკარგულებაში იყო 10 ქვეითი დივიზია, 10 კავალერიის დივიზია, 11 ათასზე მეტი ქვემეხი, ათასამდე თვითმფრინავი და 132 ტანკი.

16 აპრილს რეიმსსა და სუასონს შორის დაიწყო შეტევა, რომელიც ისტორიაში „გენერალ ნიველის სასაკლაოს" სახელითაა ცნობილი. გერმანელებმა წინასწარ გაიგეს მოკავშირეთა გეგმები და შეტევას მომზადებულნი დახვდნენ. ბრძოლა 3 კვირას გაგრძელდა და მოკავშირეთათვის რაიმე არსებითი წარმატება არ მოუტანია. საფრანგეთის არმიამ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 122 ათასი კაცი (მათ შორის იყო 5 ათასი რუსი, საფრანგეთის 32 კორპუსის შემადგენლობაში იბრძოდა რუსეთის სამი ბრიგადა), ინგლისელებმა 80 ათასი კაცი დაკარგეს. 132 ტანკიდან მხოლოდ 11 გადარჩა.

ამ ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის არმიაში გაიზარდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება, რასაც 1917 წლის მაისსა და ივნისში ჯარისკაცთა გამოსვლა მოჰყვა. გენერალი ნიველი გადადგა. იგი მთავარსარდლის პოსტზე პეტენმა შეცვალა.

31 ივლისს გერმანელებისაგან ჩრდილოეთ ფლანდრიისა და ბელგიის სანაპიროს გაწმენდის მიზნით ინგლისელებმა დიდი შეტევა წამოიწყეს. ამ სანაპიროებზე გერმანელები სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნას აპირებდნენ, რაც ინგლისისათვის დიდი საფრთხის მომასწავებელი იქნებოდა. ინგლისელებმა ბრძოლის დროს გამოიყენეს 2300 ქვემეხი და 216 ტანკი. ოპერაციები ნოემბრამდე გაგრძელდა. მათ გერმანელების ფრონტი ვერ გაარღვიეს და დიდი ზარალი ნახეს. ინგლისელებმა დაჭრილთა და მოკლულთა სახით 400 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგეს, გერმანელებმა — 240 ათასი. ფლანდრიაში მარცხმა ერთგვარად შეარყია ტანკების საბრძოლო ავტორიტეტი.

22 აგვისტოს ფრანგებმა ვერდენთან დიდი შეტევითი ოპერაცია დაიწყეს. ამ ოპერაციის დროს ერთ სიგრძივ მეტრზე ფრანგებმა 6

ტონა ჭურვი დახარჯეს. შეტევა ფრანგებისათვის გარკვეული წარმატებით ჩატარდა.

1917 წელს კამბრესთან შეტევის დროს ინგლისელებმა სცადეს ერთხელ კიდევ შეემოწმებინათ ქვეითი ჯარებისა და ტანკების ურთიერთქმედების ეფექტურობა და მოენახათ ტანკების რეაბილიტაცია ფლანდრიაში მარცხის შემდეგ. შეტევა დაიწყო 20 ნოემბერს. ქვეით ჯარსა და ტანკებს ჰაერიდან ავიაცია ეხმარებოდა. მართალია, შეტევა გერმანელებმა შეაჩერეს, მაგრამ სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის ამ ბრძოლას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ პირველად განხორციელდა ჯარის სხვადასხვა სახის ერთობლივი მოქმედება (ტანკები, ავიაცია, არტილერია, ქვეითი ჯარები).

1917 წლის 12 მაისს იტალიის არმიამ მდინარე იზონცოზე ახალი შეტევა დაიწყო (რიცხვით მეათე). შეტევა მარცხით დამთავრდა. აგვისტოში იტალიელებმა მეთერთმეტეჯერ სცადეს ტრიესტში შეჭრა. გერმანელებმა იტალიის ფრონტზე გადამწყვეტი დარტყმის მიზნით დიდ ძალებს მოუყარეს თავი. 24 ოქტომბერს გერმანიისა და ავსტრიის ჯარებმა კაპორეტოსთან იტალიის არმიას დიდი მარცხი აგემეს. იტალიის არმიამ პანიკური უკან დახევა დაიწყო. იტალიის ფრონტზე სასწრაფოდ გადმოსროლილმა რვა ფრანგულმა და სამმა ინგლისურმა დივიზიამ იხსნეს იტალიის არმია სრული განადგურებისაგან. იტალიამ დაკარგა 130 ათასი მოკლული და დაჭრილი, 335 ათასი ტყვედ ჩავარდა. მან დაკარგა აგრეთვე 3.152 ქვემეხი და 3.000 ტყვიამფრქვევი.

კაპორეტოს კატასტროფამ დაარწმუნა ანტანტის სარდლობა სამხედრო ხელმძღვანელობის კოორდინირებისა და ცენტრალიზების აუცილებლობაში. საამისოდ მოკავშირეთა პრემიერების თათბირზე რაპალოში (5—7 ნოემბერს) შეიქმნა მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი სამხედრო საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ პრემიერ-მინისტრები, თითო მინისტრი ყველა სახელმწიფოდან და სამხედრო მრჩევლები. საბჭოს ადგილსამყოფელად აირჩიეს ვერსალი.

1917 წლის დამლევს ანტანტას ახალი მოკავშირე შეემატა. საბერძნეთში მეფე კონსტანტინე გერმანოფილურად იყო განწყობილი, პრემიერი ვენიზელოსი — ანტანტაფილურად. 1917 წლის დასაწყისში ფრანგების უშუალო ჩარევის შედეგად კონსტანტინე ტახტიდან გადააყენეს. ახალი მეფე ალექსანდრე ანტანტის ძხარეზე აღმოჩნდა და ვენიზელოსმა, რომელიც საბერძნეთის ბურჟუაზიასთან ერთად ბიზანტიის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა, საბერძნეთი ანტანტის მხარეზე ჩააბა ომში 30 ივნისს. ფაქტიურად კი მის ტერიტორიაზე

საომარი ოპერაციები ორივე მეომარ მხარეს შორის უკვე 1915 წლიდან მიმდინარეობდა. ბალკანეთის ფრონტზე აპრილში საფრანგეთის არმიის სარდალმა გენერალმა მორის სარაილმა ახალი უშედეგო შეტევა განახორციელა.

1917 წლის განმავლობაში ინგლისელებმა მესოპოტამიაში 1916 წელს განცდილი მარცხი საგრძნობლად გამოასწორეს. თებერვალში მათ ხელახლა აიღეს კუტ-ელ-ამარა. 1917 წლის 10 მარტს ინგლისის ჯარებმა აიღეს ბაღდადი და მოსულისაკენ დაიძრნენ. თურქეთის ფრონტზე გადმოყვანილმა ფალკენჰაინმა საქმეს ვერ უშველა. ინგლისელებმა წარმატებებს მიაღწიეს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლებში პალესტინის ფრონტზეც. აღსანიშნავია, რომ აქ თურქეთის შენაერთებს უპირატესად გერმანელი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. ინგლისის ჯარებმა 1917 წლის 6 ნოემბერს აიღეს ღაზა, შემდეგ ასკალონი და იაფა, 9 დეკემბერს კი — იერუსალიმი. მსოფლიოს სიონისტები ინგლისელთა ამ წარმატებებს ებრაული სახელმწიფოს აღდგენის გეგმებს უკავშირებდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პალესტინის ებრაული სახელმწიფოს აღდგენა მხოლოდ თურქეთის იმპერიის დანაწილების შედეგად იყო შესაძლებელი. სიონიზმის მოთავეებმა ტ. ჰერცელმა, მ. ნორდაუმ, შ. ვაიცმანმა და სხვებმა სათანადო ნიადაგი მოსინჯეს რუსეთში (ჰერცელს საუბარი ჰქონდა მეფის მინისტრ პლევესთან), გერმანიაში, ინგლისში. ახლო აღმოსავლეთის პრობლემასთან დაკავშირებით სიონისტებთან კავშირის ხელსაყრელობა პირველად გერმანელებმა გაითვალისწინეს. გერმანიამ 1916 წელს მოსთხოვა თურქეთს თანხმობა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნაზე. ამ სახელმწიფოს გერმანიის პროტექტორატის ქვეშ უნდა ეარსება. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ინგლისელთა წარმატებები სულ უფრო და უფრო აშკარა გახდა. ამიერიდან სიონისტები ინგლისის ორიენტაციაზე დგებიან. „სიონისტთა მამა“ ვაიცმანი 1916 წელს ცნობილ ამერიკელ სიონისტს შ. ლევინს სწერდა, რომ ებრაული იდეის დაკავშირება ამიერიდან საჭიროა ბრიტანეთთან, ამერიკასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან.

იერუსალიმის აღების შემდეგ, 2 ნოემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა არტურ-ჯეიმზ ბალფურმა გამოაქვეყნა დეკლარაცია პალესტინაში „ებრაელთა ეროვნული კერის“ შექმნის შესახებ. ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ებრაელები ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის დასაყრდენ ძალად იქცნენ.

(1917 წელს ომის მსვლელობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა ორმა ფაქტორმა: თებერვლის რევოლუციამ რუსეთში და ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმამ.)

ვ. ი. ლენინის ცნობილმა დებულებამ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომში გადაზრდის აუცილებლობის შესახებ თავისი დადასტურება ყველაზე ადრე პოვა რუსეთში, სადაც ომის შედეგად მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა და კლასობრივმა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. კრიზისიდან თავის დაღწევისა და თავის გადარჩენის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, ცარიზმს გერმანია-ავსტრიის ბლოკთან შეთანხმება და სეპარატული ზავი სურდა, „საბოლოო გამარჯვების“ მოსურნე რუსეთის კაპიტალიზმს კი — ნიკოლოზ II-ეს დამხობა და მისი შეცვლა ისეთი მეფით, რომელიც რუსეთის კაპიტალის მსახური და მისი ინტერესების აღმასრულებელი იქნებოდა. ამ საქმეში რუსეთის ბურჟუაზიას მხარს უჭერდა ანტანტა, რომელსაც რუსეთის საზარბაზნე ხორცის დაკარგვა არ სურდა.

მაგრამ რუსეთის ხალხმა კრიზისისაგან თავის დაღწევის საკუთარი გზა გამონახა. რუსეთის მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა, ბოლშევიკების მეთაურობით 1917 წლის 12 მარტს (27 თებერვალს) დაამხეს ცარიზმი. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. რუსეთში ძალაუფლება ხელთ იგდო ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ, რომელიც ანტანტამ დაუყოვნებლივ ცნო როგორც „კანონიერი“ მთავრობა და მისგან ომის გაგრძელება მოითხოვა. II ინტერნაციონალის მესვეურებმაც მხარი დაუჭირეს ანტანტის ამ მისწრაფებას. საფრანგეთის მინისტრი — სოციალისტი ალბერ ტომა, ინგლისის ლეიბორისტთა დელეგაცია ჰენდერსონის მეთაურობით და ბელგიელი ოპორტუნისტი, სოციალისტი ვანდერველდე ჩამოვიდნენ პეტროგრადში და რუსეთის ახალ მთავრობას ომის გაგრძელებისაკენ მოუწოდეს.

ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ და მათ ბანაკში მყოფმა მენშევიკებმა და ესერებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. 1917 წლის 18 ივნისს ა. ფ. კერენსკის მთავრობამ, ანტანტის მეთაურობით მიიღო გადაწყვეტილება შეტევის მომზადების შესახებ. 1 ივლისს რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა. ეს შეტევა, რომელიც „კერენსკის ავანტურის“ სახელითაა ცნობილი, რუსეთის არმიის დიდი მარცხით დამთავრდა. დასაწყისში ბრძოლა გარკვეული წარმატებებით აღინიშნა. იგი წარმოებდა ლვოვის მიმართულებით ავსტრიელების წინააღმდეგ. რუსებმა უკუაგდეს ავსტრიელები, ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და საბრძოლო მასალა. ავსტრია-უნგრეთის დასახმარებლად გერმანელებმა რამდენიმე დივიზია გადმოისროლეს. 19 ივლისს დაიწყო გერმანელთა და ავსტრია-უნგრელთა კონტრშეტევა. ლვოვსა და ტერნოპოლს შორის რუსეთის ფრონტი გარღვეულ იქნა.

ბრძოლა გერმანიის ბლოკის მნიშვნელოვანი წარმატებით დამთავრდა. სექტემბრის დასაწყისში გერმანელებმა აიღეს რიგა, რიგის ყურეში დაიკავეს კუნძულები დაგო, იეზელიმონი და უშუალოდ პეტროგრადს დაემუქრნენ. კერენსკის ავანტიურის შედეგად აღმოსავლეთის ფრონტი ფაქტიურად მოიშალა. ჯარისკაცებს არ სურდათ დროებითი მთავრობის ინტერესებისათვის ბრძოლა. ისინი მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლება გადასცემოდათ საბჭოებს. არმიაში რევოლუციური სულისკვეთება გაიზარდა.

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო ომის ისტორიაში მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა. ომით გამდიდრებული და გაძლიერებული აშშ, ცხადია, არ დაუშვებდა მსოფლიოს გადანაწილებას მისი ჩარევის გარეშე. დასუსტებული და ამერიკის მიერ ვალით დაკაბალებული ევროპა უსიტყვოდ შეასრულებდა აშშ-ის კარნახს. აშშ მიაღწევდა ევროპისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა კონცერტში დირიჟორის როლს. აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი სწერდა პოლკოვნიკ ჰაუზს: „როცა ომი დამთავრდება, ჩვენ შევძლებთ მათ (ევროპის სახელმწიფოებს, — გ. კ.) ჩვენი აზრი მოვახვიოთ“. პრეზიდენტის ამ განცხადებაში კარგად ჩანს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დედააზრი. აშშ ომში ჩაბმის დროს ძირითადად დაინტერესებული იყო ევროპისა და მსოფლიოსათვის ეკარნახებინა ისეთი ზავი, რომელიც უზრუნველყოფდა მისთვის მსოფლიო ბატონობას. აშშ-ის ომში ჩაბმა ევროპას მომავალში უქადდა აშშ-ის კაპიტალის ბატონობას. აშკარა იყო, რომ ამიერიდან „მესამე, მოცინარის“ როლს ინგლისელებს აშშ წაართმევდა. მაგრამ ამჯერად, სტრატეგიული თვალსაზრისით, აშშ-ის ომში ჩაბმა ანტანტისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო. თებერვლის რევოლუციისა და კერენსკის შეტევის მარცხის შემდეგ რუსეთი, არსებითად, ბრძოლიდან გამოსული იყო. ანტანტა ჯერ კიდევ ძლიერი გერმანიის წინაშე მარტო რჩებოდა. ამერიკელთა სახით კი მას დიდი ძალა ემატებოდა. ამ ვითარებას თვით ამერიკის პოლიტიკოსებიც ითვალისწინებდნენ, როცა ომში ჩაბმა გადაწყვიტეს. რუსეთის დახმარებას მოკლებული ანტანტის გერმანიის მიერ დამარცხების პირობებში აშშ-ის ყველა დიდმპყრობელური გეგმა ფაქტიურად ჩაიშლებოდა. ამასთან ერთად დამარცხებული ანტანტა ვეღარ გადაუხდიდა მას უზარმაზარ ვალს. ომში ჩაბმა და მისი დამთავრება თავის სასარგებლოდ—ასეთი იყო აშშ პოლიტიკოსთა სტრატეგიული გეგმა. აღსანიშნავია, რომ აშშ ომში ჩაება არა როგორც „მოკავშირე“, არამედ როგორც „მიმხრობილი ქვეყანა“. ამით იგი იტოვებდა „თავისუფალი ხელების“ შესაძლებლობას, რათა საზავო პირობების დადების.

დროს მოქმედების მეტი თავისუფლება ჰქონოდა. მოკავშირე კი ამ თავისუფლებას, ცხადია, საკავშირო პირობების შესაბამისად შეიზღუდავდა.

ომის საბაბად ამერიკის მთავრობამ გამოიყენა გერმანიის მიერ შეუზღუდველი წყალქვეშა ომის გამოცხადება და ციმერმანის დეპეშა. შეუზღუდველი წყალქვეშა ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით აშშ-მა 1917 წლის 3 თებერვალს გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

1917 წლის 1 იანვარს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციმერმანმა გერმანიის ელჩს მექსიკაში ფონ ეკჰარდტს გაუგზავნა ინსტრუქცია-დირექტივა. ელჩს ევალებოდა მექსიკის მთავრობისათვის გერმანიასთან აშშ-ის საწინააღმდეგო კავშირის დადების წინადადება მიეცა (გათვალისწინებული იყო მოესინჯათ ნიადაგი ამ კავშირში იაპონიის შესაყვანად. გერმანიის დიპლომატია ითვალისწინებდა იაპონიისა და აშშ-ის მზარდ წინააღმდეგობას შორეულ აღმოსავლეთში). გერმანია მექსიკას ჰპირდებოდა აშშ-ის მიერ XIX საუკუნეში მიტაცებული მისი ყველა ტერიტორიის დაბრუნებას. 5 და 8 თებერვალს ციმერმანმა ეკჰარდტს კიდევ ორი დეპეშა გაუგზავნა და მოლაპარაკების დაჩქარება მოსთხოვა. 20 თებერვალს ეკჰარდტმა გერმანიის წინადადებები მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრს აგილიარს გადასცა. უკანასკნელმა იაპონიის ელჩთან წინასწარი საუბრის შემდეგ გერმანიის პროექტი პრეზიდენტ კარანსას გააცნო.

მექსიკაში გარკვეული წრეები იწონებდნენ გერმანიის წინადადებას. მაგრამ პრეზიდენტი ყოყმანობდა. იგი ურთიერთშორის მოქიშპე დიდ სახელმწიფოთა შორის ლავირების გზას ამჯობინებდა. დიდი ბრიტანეთის დაზვერვამ ხელთ იგდო ციმერმანის ახალი, 22 თებერვლის დეპეშის ტექსტი და ერთ ღამეში შეძლო მისი გაშიფვრა. ეს ოპერაცია ინტელიჯენს სერვისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. 23 თებერვალს დეპეშის ტექსტი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბალფურმა აშშ-ის ელჩს პეიჯს გადასცა, უკანასკნელმა კი — ვაშინგტონს.

1917 წლის 1 მარტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა დეპეშის ტექსტი. მექსიკისა და იაპონიის მთავრობებმა ოფიციალურად უარყვეს აშშ-ის წინააღმდეგ გერმანიასთან კავშირზე მათი მხრივ თანხმობის არსებობის ფაქტი.

1917 წლის 6 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გერმანიას ომი გამოუცხადა. მალე ომში ჩაება ჩინეთი (14 აგვისტო) და ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა.

წყალქვეშა ომმა ანტანტას უდიდესი ზარალი მიაყენა. საჭირო იყო

სასწრაფო ზომების მიღება წყალქვეშა ომის წინააღმდეგ. პირველ ყოვლისა, ანტანტამ დააწესა სავაჭრო გემების შეიარაღება. მათ საშუალება მიეცათ წყალქვეშა ნავების თავდასხმის დროს საარტილერიო ცეცხლით საფრთხის ოდნავად მაინც უვნებელყოფა. უფრო ეფექტური იყო სამხედრო გემების მიერ სავაჭრო გემების კონვოირება. შემოიღეს წყალქვეშა ნავების შემოტევისაგან თავდაცვის ახალი საშუალებანი, მათ შორის სიღრმითი ბომბები, ნაღმური ღობურები, ლითონის ბადის ღობურები და სხვ.

პირველმა მსოფლიო ომმა არსებითი ცვლილება შეიტანა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ომმა წარმოების შემდგომი ცენტრალიზება მოითხოვა. ამ მიზნით იქმნებოდა სპეციალური სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც ევალებოდა მრეწველობის სახელმწიფო დაგეგმვა, შეკვეთების განაწილება ცენტრალიზებული წესით. მოწყობილობების, მასალის, ნედლეულის განაწილებისა და წარმოებისათვის მათი მიწოდების ცენტრალიზაცია. საჭირო გახდა სურსათის და ფართო მოხმარების საგნების ნორმირება (საბარათო სისტემა), კონტროლი როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაზე, კაპიტალსა და შრომას შორის კონფლიქტების აკრძალვა, ან მისი გადაწყვეტა მეწარმეთა სასარგებლოდ და სხვ. ყოველივე ამას მოჰყვა მსხვილი მონოპოლიებისა და სახელმწიფო აპარატების შერწყმა — მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა სულ უფრო და უფრო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ხასიათი მიიღო. „იმპერიალისტურმა ომმა არაჩვეულებრივ დააჩქარა და გაამწვავა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევის პროცესი", — წერდა ვ. ი. ლენინი [1].

თებერვლის რევოლუციამ ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის აღმავლობას. რაც მთავარია, რევოლუციური განწყობილება განმტკიცდა ჯარისკაცთა შორის. ცარიზმის დამხობა, ზავისათვის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ბოლშევიკური პროგრამის პოპულარობის ზრდა გადაიქცა მძლავრ სტიმულად, რომელიც ხელს უწყობდა ომის საწინააღმდეგო და ანტიიმპერიალისტური რევოლუციური ბრძოლების ზრდას სხვა ქვეყნებში.

1917 წლის გაზაფხულზე რევოლუციურმა აზვირთებამ გადაუარა საფრანგეთს, რევოლუციურად განაწყო საფრანგეთის არმიის დაახლოებით ასზე მეტი რეჟიმანი (პოლკი). ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ბრძოლაზე. ისინი მოითხოვდნენ ზავს ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე, არმიიდან უფროსი ასაკის გლეხობის განთავი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ. 25, გვ. 467.

ხუფლებას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მათი დაბრუნების მიზნით. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ შეძლო ჯარისკაცთა მღელვარების ჩახშობა (ჯარისკაცთა გამოსვლები სისხლში ჩაახშო ახალმა მთავარსარდალმა პეტენმა). მიუხედავად უსასტიკესი რეჟიმისა, ფარულად გაიშალა მუშათა მოძრაობა. საფრანგეთის სამრეწველო ცენტრებში ივნისში ადგილი ჰქონდა სამასსამდე გაფიცვას. ანტიიმპერიალისტური მოძრაობა გაჩაღდა იტალიის მუშებში (განსაკუთრებით ჩრდილო იტალიაში). რევოლუციური განწყობილება გაძლიერდა აგრეთვე იტალიის არმიაში.

მიუხედავად ლოიდ ჯორჯისეული მკაცრი რეჟიმისა, 1917 წლის გაზაფხულიდან კლასობრივმა ბრძოლებმა თავი იჩინეს ინგლისშიც, რაც „პირველ ყოვლისა, საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა. მაგალითად, გაიფიცნენ ინგლისის მანქანათმშენებლები. შოპსტიუარდების ხელმძღვანელობით მოწყობილი ეს გაფიცვა მაღალი კლასობრივი შეგნებით ხასიათდებოდა. აგვისტოში შეიქმნა შოპსტიუარდების ეროვნული კომიტეტი. მათი საბრძოლო ლოზუნგი იყო: „ვიბრძოლოთ სოციალური რევოლუციისათვის და საწარმოო საშუალებათა ხელში ჩასაგდებად“.

ფართო რევოლუციური მოძრაობა გაჩაღდა გერმანიაში. მიუხედავად სამხედრო წარმატებებისა, გერმანიის შინაგანი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო 1917 წელს. ჰინდენბურგ-ლუდენდორფის სამხედრო დიქტატურა საქმეს ვერ შველოდა. მშრომელებთან და ჯარისკაცებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება გერმანიის ფლოტი (აგვისტო), მეზღვაურებმა შექმნეს ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაცია, მაგრამ მათი მოძრაობა ჩაახშეს. თავკაცები რაიხპიჩი და კოებისი დახვრიტეს, ბევრი კატორღაში განაწესეს. აღსანიშნავია აგრეთვე მეტალურგი მუშების გაფიცვა 1917 წლის აპრილში.

II ინტერნაციონალის კრახი

ვ.ი. ლენინმა რსდმპ(ბ) მანიფესტში „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ იმთავითვე განსაზღვრა პირველი მსოფლიო ომის მტაცებლური ხასიათი: „სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გაჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური გაბრიყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით — ასეთია თანამედროვეობის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი“ [1].

პირველი მსოფლიო ომი იყო მსოფლიოს გადანაწილებისათვის წარმოებული მძარცველური, უსამართლო ომი. ომით დაინტერესებულნი იყვნენ იმპერიალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები. ასეთ ომში, — მიუთითებდა ვ.ი. ლენინი, — მუშათა კლასის პარტიის მოვალეობაა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის ბრძოლა. ვ.ი. ლენინი არაერთგზის იძლეოდა გაფრთხილებას II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმისა და მისი ბელადების მერყეობის შესახებ. იგი განუმარტავდა პროლეტარიატს, რომ II ინტერნაციონალის ბელადები მხოლოდ სიტყვით არიან ომის მოწინააღმდეგენი, რომ ომის დაწყების შემთხვევაში მათ შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი პოზიცია, გადაბარგდნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე და გახდნენ ომის მომხრენი. მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის მოსაზრებათა სისწორე.

II ინტერნაციონალის ლიდერთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ომის დაწყებისთანავე დაიკავა რენეგატული პოზიცია. სოციალ-დემოკრატიული პარტიების ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელებმა დაივიწყეს II ინტერნაციონალის შტუტგარტისა და ბაზელის კონგრე-

---

[1] ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 15.

ების რევოლუციური გადაწყვეტილებანი. სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და პროფესიული კავშირების ოპორტუნისტმა ბელადებმა უღალატეს ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, არ მოუწოდეს მუშათა მასას კლასობრივი ბრძოლისაკენ და გააფორმეს გამცემლური „სამოქალაქო ზავი" საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიასთან.

სოციალ-შოვინიზმი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1914 წლის 25 ივლისს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა ფარისევლური მოწოდება და დაგმო ომი, როგორც იმპერიალისტური. 4 აგვისტოს კი, გერმანიის რაიხსტაგში, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ და თავისი ღალატი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით ახსნა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია თვალთმაქცურად აცხადებდა: „ჩვენ გვემუქრება მტრის შემოსევის საშინელება. ახლა საჭიროა არა იმის გარკვევა მომხრენი ვართ თუ მოწინააღმდეგენი ომისა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ სამშობლოს დაცვის საშუალებანი და უზრუნველვყოთ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა". ამავე დროს, გერმანიის პროფესიული კავშირების სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელობამ გერმანიის ბურჟუაზიის სამსახურში ჩააყენა თავისი 2,5 მილიონი ორგანიზებული წევრი. ომის დაწყებისთანავე დამყარდა მჭიდრო ურთიერთკავშირი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობასა და პროფესიული კავშირების გამგეობას შორის. შემდეგ ისინი, თავის მხრივ, დაუკავშირდნენ გერმანიის იმპერიალისტურ მთავრობას და გენერალურ შტაბს. ეს სამარცხვინო ურთიერთობა ომის დამთავრებამდე გრძელდებოდა.

ავსტრიის მთავრობას ომის დროს რაიხსტაგი არ მოუწვევია. მან გააუქმა კონსტიტუციური გარანტიები და ქვეყანას მართავდა საალყო წესების ვითარებაში, სამხედრო-საველე სასამართლოების მეშვეობით. ამის გამო, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას არ მიეცა შესაძლებლობა ხმის მიცემის საშუალებით გამოეხატა ომის მიმართ თავისი დამოკიდებულება. მათ საკუთარი პოზიცია პარტიის ცენტრალური ორგანოს—„მუშათა გაზეთის" საშუალებით გამოამზეურეს და 4 აგვისტო — გერმანიის რაიხსტაგში სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ ხმის მიცემის დღე — „გერმანელი ხალხის დღედ" გამოაცხადეს.

ობორონცული პოზიცია დაიკავეს რუსმა მენშევიკებმაც. „უაღრესად სამწუხარო იქნებოდა, — წერდა პლეხანოვი სახელმწიფო სათათბიროს წევრს მენშევიკ ბურიანოვს, — თუ ჩვენი თანამოაზ-

ერნი რაიმენაირი მოუფიქრებელი ნაბიჯით ხელს შეუშლიან რუსეთის ხალხის თავდაცვის საქმეს. კრედიტების წინააღმდეგ ბმის მიცემა იქნებოდა ღალატი რუსი ხალხის მიმართ, ხოლო კენესიყრისაგან თავის შეკავება — სიმხდალე".

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა 1914 წლის 4 აგვისტოს დეპუტატთა პალატაში ხმა მისცა სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ. პარტიის ხელმძღვანელობა[1] ბურჟუაზიის პანაკში გადაბარგდა და დადო მასთან „საღვთო კავშირი". საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ოპორტუნისტმა ბელადებმა იმ მიზნით, რომ უფრო განემტკიცებინათ ბურჟუაზიასთან „სამოქალაქო ზავი", 26 აგვისტოს „ეროვნული თავდაცვის" მთავრობაში მიიღეს ჟიულ გედი და მარსელ სამბა. რაც შეეხება საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობას, მათ ავრეთვე უღალატეს ინტერნაციონალიზმის იდეას და დაიკავეს პატრიოტული პოზიცია. ამრიგად, დამყარდა მჭიდრო კავშირი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობასა და საფრანგეთის მთავრობას შორის.

ბელგიის მუშათა პარტიამ, ომის დაწყებისთანავე პარტიის ლიდერი ვანდერველდე გაგზავნა ბურჟუაზიულ მთავრობაში იუსტიციის მინისტრის პოსტზე სამუშაოდ. სინამდვილეში ვანდერველდეს მთავარი საზრუნავი გახდა ანტანტის მხარდაჭერის მინაბით ანტანტისა და ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა შორის ფართო აგიტაციის წარმოება.

ინგლისის შრომის პარტია და ტრედ-იუნიონები უსიტყვოდ უჭერდნენ მხარს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ფრთამ, რომელსაც მეთაურობდა ჰაინდმანი, იმთავითვე დაიკავა შოვინისტური პოზიცია.

მეომარი ქვეყნების სოციალისტურ პარტიათა შორის მხოლოდ ერთმა პარტიამ — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) დაიცვა თანმიმდევრული რევოლუციური პოზიცია. ბოლშევიკებმა უყოყმანოდ აღმართეს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დროშა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ გადაჭრით დაგმო ბურჟუაზიასთან ყოველგვარი კომპრომისის იდეა და უმწიკვლოდ შემოინახა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო ტრადიციები.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელების უმრავლესობამ უღალატა მუშათა კლასის საქმეს და საკუთარი ბურჟუაზიის მხარეზე გა-

დავიდა. ომმა გამოააშკარავა საერთაშორისო სოციალისტურ მუშა-
თა მოძრაობაში ოპორტუნისტული ტენდენციების არსებობა. ყოფი-
ლი ოპორტუნისტები ახლა აშკარა შოვინისტებად გადაიქცნენ და
ხშირად უკეთესად ემსახურებოდნენ ბურჟუაზიის საქმეს, ვიდრე
თვით ბურჟუაზიის ბელადები. სოციალ-შოვინისტები, მათ შორის
რუსი მენშევიკები და ესერები ქვეყნის შიგნით ქადაგებდნენ მუ-
შათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივ ზავს და მოუწო-
დებდნენ სხვა ხალხებთან ომისაკენ. ისინი ერიდებოდნენ ომის ჭეშ-
მარიტი დამნაშავეების გამოაშკარავებას და „უმტკიცებდნენ" მშრო-
მელ მოსახლეობას, რომ მათი ქვეყნის ბურჟუაზია არ არის ომის
დაწყების მოთავე.

II ინტერნაციონალის ლიდერთა შორის ოპორტუნისტების
სიმრავლე, ცხადია, ადრეც შეინიშნებოდა. ომმა მხოლოდ დააჩქა-
რა მათი გამომჟღავნება და აჩვენა ოპორტუნიზმის ნამღვილი მასშ-
ტაბი. სოციალ-შოვინიზმის იდეურ-პოლიტიკური არსი განმარტა ვ. ი.
ლენინმა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალ-შოვინიზმი არის
დასრულებული ოპორტუნიზმი. ომის დაწყებამდე ოპორტუნისტები
ბურჟუაზიასთან საიდუმლო იდეურ კავშირში იმყოფებოდნენ. ომის
პირველსავე დღეებში კი ოპორტუნისტები აშკარა სოციალ-შოვი-
ნისტებად გარდაიქმნენ. მათ კლასთა ბრძოლის პროლეტარული იდე-
ის ნაცვლად წამოაყენეს და იცავდნენ კლასთა თანამშრომლობის
„თეორიას". სოციალ-შოვინისტებმა უყოყმანოდ აღიარეს იმპერია-
ლისტურ ომში ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის პრინციპი. რე-
ვოლუციური, მეცნიერული მარქსიზმისადმი ამ ღალატს ოპორტუნის-
ტები ამართლებდნენ სოფისტური მაქინაციებით და მარქსისა და ენ-
გელსის ნაწარმოებებიდან ამოგლეჯილი ფრაზების მოშველიებით.
რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ მსოფლიოს გადანა-
წილებისათვის და ხალხთა დამონებისათვის წარმოებულ მიმდინა-
რე ომთან.

სოციალ-შოვინიზმი იცავდა მუშათა კლასის ეროვნულ ბურჟუა-
ზიასთან კავშირის იდეას და ყველა მისაწვდომი საშუალებით,
თვით ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით, აშკა-
რად ეწინააღმდეგებოდა პროლეტარიატის რევოლუციურ მოქმე-
დებას, მიმართულს ბურჟუაზიისა და იმპერიალისტური ომის წი-
ნააღმდეგ. ასე ესმოდა ვ. ი. ლენინს სოციალ-შოვინიზმის იდეურ-
პოლიტიკური შინაარსი: „სავსებით აშკარაა, რომ სოციალ-შოვინიზ-
მის ძირითადი იდეურ-პოლიტიკური შინაარსი, სრულიად ემთხვევა
ოპორტუნიზმის საფუძვლებს. ეს ერთი და იგივე მიმდინარეობაა.
ოპორტუნიზმი 1914—1915 წლების ომის ვითარებაში იძლევა სო-

ციალ-შოვინიზმს. მთავარი ოპორტუნიზმში არის კლასთა თანამშრომლობის იდეა"[1]. აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი სიტყვებს „სოციალ-იმპერიალიზმი" და „სოციალ-შოვინიზმი" ხმარობდა როგორც სინონიმებს. ოპორტუნიზმი, გამოხატავდა რა მუშათა კლასის. პარტიული და პროფკავშირული ბიუროკრატიის პრივილეგირებული ფენების წარმომადგენელთა ინტერესებს, გადაიზარდა სოციალ-შოვინიზმში და თავგამოდებით უჭერდა მხარს „თავის" ბურჟუაზიას. რომლის გამარჯვებაშიც, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იგი ეკონომიურად იყო დაინტერესებული.

რევოლუციური სოციალიზმის იდეებისადმი II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადების უმრავლესობის ღალატი, მათი იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამსახურში გადასვლა — არის II ინტერნაციონალის კრახის არსი.

ცენტრიზმი. (პირველი მსოფლიო ომის წლებში მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული მიმდინარეობის შიგნით არსებობდა ორი ჯგუფი: აშკარა სოციალ-შოვინისტები და ფარული სოციალ-შოვინისტები — „ცენტრისტები", რომლებიც ომის ვითარებაში გადაიქცნენ „სოციალ-პაციფისტებად". ამრიგად, მუშათა მოძრაობაში სამი ძირითადი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. აშკარა ოპორტუნისტული, „ცენტრისტული" და რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური.)

აშკარა ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ: რუსეთში — პლეხანოვი და პოტრესოვი, გერმანიაში — შაიდემანი, ებერტი, ლეგინი; ავსტრიაში — კარლ რენერი და ფრიდრიხ აუსტერლიცი; საფრანგეთში — ალბერ ტომა, გედი, სამბა, რენოდელი; ინგლისში—ჰაინდმანი და ჰენდერსონი; ბელგიაში — ვანდერველდე; იტალიაში — ბისოლატი და ა. შ.

„სოციალ-შოვინისტები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი არიან, ბურჟუები არიან მუშათა მოძრაობაში. ისინი წარმოადგენდნენ ბურჟუაზიის მიერ ობიექტურად მოსყიდულ (უკეთესი საფასური, საპატიო ადგილები) ფენას, ჯგუფებს, მუშათა ზედაფენას და ეხმარებიან „თავის" ბურჟუაზიას ძარცვონ და დაასახიჩრონ მცირე და სუსტი ხალხები, იბრძოლონ კაპიტალისტური ნადავლის გაყოფისათვის"[1].

მუშათა მოძრაობისათვის უფრო საშიშ ძალას წარმოადგენდა მეორე ოპორტუნისტული მიმდინარეობა — „ცენტრისტული" დაჯგუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 267.

ფება. მათი წარმომადგენლები იყვნენ: გერმანიაში — კაუცკი, ჰაასზე, ლედებური, ჰილფერდინგი; ავსტრიაში — ვიქტორ ადლერი; რუსეთში — მარტოვი, ჩხეიძე, ტროცკი; საფრანგეთში — ლონგე, მაიერასი, პრესმანი, მერგიები; ინგლისში — რამსეი მაკდონალდი და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის სხვა ბელადები; იტალიაში — ტრევესი, ტურატი, ლაცარი, მოდილიანი.

ცენტრისტებს სოციალ-შოვინისტებთან ურთიერთობაში შემარიგებელი პოზიცია ეკავათ, მალავდნენ მათ გამცემლობას, გამოდიოდნენ „სოციალ-შოვინისტებთან ზავის“ ლოზუნგით და ყოველი ღონისძიებით ეწინააღმდეგებოდნენ მათგან გათიშვას. „ცენტრი“ — მომხრეა „ერთიანობისა“, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცენტრი წინააღმდეგია გათიშვისა. „ცენტრი“ — მეფობაა კეთილი წვრილბურჟუაზიული ფრაზისა, ინტერნაციონალიზმისა სიტყვებით, ლაჩარი ოპორტუნიზმისა და მლიქვნელობისა სოციალ-შოვინიზმის წინაშე, საქმით“ [1]. ცენტრისტები — კაუცკი, ტროცკი, მარტოვი და სხვ. ამართლებდნენ და იცავდნენ აშკარა სოციალ-შოვინისტებს, ღალატობდნენ პროლეტარიატს სოციალ-შოვინისტებთან ერთად, მალავდნენ საკუთარ გამცემლობას ომის წინააღმდეგ ბრძოლის „მემარცხენე“ ფრაზებით, ცდილობდნენ მოეტყუებინათ მუშათა კლასი — მოითხოვდნენ არა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემას, არამედ, მხოლოდ თავის შეკავებას. სინამდვილეში, ასეთი პოზიცია, ომისადმი მხარდაჭერას ნიშნავდა. ცენტრისტები მხარში ამოუდგნენ იმპერიალისტურ მთავრობებს და სოციალ-შოვინისტების მსგავსად მოითხოვდნენ, რომ პროლეტარიატს ომის დროს უარი ეთქვა რევოლუციურ ბრძოლაზე.

ვ. ი. ლენინი ცენტრისტებს, აშკარა სოციალ-შოვინისტებზე უფრო სახიფათო ძალად მიიჩნევდა და რევოლუციონერ ინტერნაციონალისტებს მოუწოდებდა მთლიანად გაეწყვიტათ მათთან კავშირი. ვ. ი. ლენინის აზრით, ცენტრისტები მუშათა მოძრაობაში არც ეკონომიურად და არც ისტორიულად არ წარმოადგენდნენ რაიმე „განსაკუთრებულ ფენას“.

რევოლუციური მიმდინარეობა. პირველი მსოფლიო ომის დროის მუშურ მოძრაობაში მესამე მიმდინარეობას რევოლუციონერი ინტერნაციონალისტები ქმნიდნენ. რუსეთში ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი, გერმანიაში — ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, მერინგი (თუმცა არაყოველთვის თანმიმდევრული). ამავე მიმდინარეობას მი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22. გვ. 125.

ეკუთვნებიან ბულგარელი „ტესნიაკები“ — სოციალისტები, სერბეთის სოციალ-დემოკრატები და დასავლეთის პარტიების ზოგიერთი მემარცხენე ჯგუფები.

გერმანელ მემარცხენეთა ინტერნაციონალისტების ჯგუფმა დაიწყო ჟურნალ „ინტერნაციონალის“ გამოცემა (აქედან წარმოსდგა ჯგუფის სახელწოდება — „ინტერნაციონალი“). მოგვიანებით ამ ჯგუფს „სპარტაკიც“ ეწოდებოდა. გერმანელმა მემარცხენეებმა გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ვერ შეძლეს ბოლომდე თანმიმდევრული რევოლუციური დაჯგუფების შექმნა. ომის დროს მათ თავი დააღწიეს სერიოზულ ტაქტიკურ და პოლიტიკურ შეცდომებს და ძალიან ნელა უახლოვდებოდნენ ბოლშევიზმს. გერმანელი მემარცხენეები დიდხანს ამბობდნენ უარს სოციალ-შოვინისტებთან და „ცენტრისტებთან“ კავშირის გაწყვეტაზე და აყენებდნენ აბსტრაქტულ, არსებითად პაციფისტურ ლოზუნგს — „ომი ომს“. მათ ამით სურდათ შეეცვალათ ბოლშევიკების რევოლუციური ლოზუნგი იმპერიალსტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ. ვ. ი. ლენინმა სტატიაში „იუნიუსის ბროშურის შესახებ“ გამოააშკარავა მემარცხენეთა შეცდომები და სცადა მათი სწორ, რევოლუციურ გზაზე დაყენება. „ინტერნაციონალი“ უარყოფდა იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი, სამართლიანი ომების შესაძლებლობას.

გერმანელმა მემარცხენეებმა პირველი მსოფლიო ომი სამართლიანად განსაზღვრეს, როგორც იმპერიალისტური. ამას გარდა, ისინი მართებულად შენიშნავდნენ, რომ მსოფლიო უკვე გადანაწილებული იყო დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მცირე ჯგუფს შორის, მაგრამ, აქედან გამოჰქონდათ არასწორი დასკვნა იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნული ომების შესაძლებლობის არარსებობის შესახებ. ყოველი ომი, მიუთითებდნენ გერმანელი მემარცხენეები, რომელიც დასაწყისში იყო ეროვნული, შეიძლება გადაიზარდოს იმპერიალისტურში, მაგრამ აღვირახსნილი იმპერიალიზმის ეპოქაში შეუძლებელია ეროვნული ომების არსებობა, რადგანაც ეროვნული ინტერესი სიცრუის იარაღი ხდება და მშრომელთა მასებს მომაკვდინებელი მტრის, იმპერიალიზმის სამსახურში აყენებს. აკრიტიკებდა რა გერმანელი მემარცხენეების ამ მცდარ დებულებას, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეროვნული ომი შეიძლება გადაიზარდოს იმპერიალისტურში და, პირიქით. ამ დებულების სისწორის საილუსტრაციოდ ვ. ი. ლენინი იშველიებდა ისტორიულ მაგალითებს: საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ევროპის ფეოდალური ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ თავდაცვით, სამართ-

ლიან ომს, რომელიც ნაპოლეონ I-ის დროს გადაიქცა მძარცველურ იმპერიალისტურ ომად და რომელმაც, თავის მხრივ, წარმოშვა დამორჩილებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი.

გამოდიოდნენ რა მსოფლიოს გადანაწილებისათვის წარმოებული ომის წინააღმდეგ, ბოლშევიკები არ იყვნენ პაციფისტები და „ყველა ომის“ მოწინააღმდეგენი, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ დამპყრობლური, იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ. ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ არსებობს ორი სახის ომი: ა. ომები სამართლიანი, განმათავისუფლებელი, რომელთა მიზანია საგარეო თავდასხმისაგან თავის დაცვა, ხალხის მონობისაგან დახსნა, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან განთავისუფლება; ბ. ომები უსამართლო, დამპყრობლური, რომლის მიზანია სხვა ხალხების, სხვა ქვეყნების დაპყრობა და დამონება. ვ. ი. ლენინი სამართლიან ომად მიიჩნევდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ომებს ფეოდალური მონარქიების კოალიციათა წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების 1775-83 წლების ომს დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის ჩრდილოეთის შტატების 1861-65 წლების ომს მონათმფლობელური სამხრეთის შტატების წინააღმდეგ, გერმანელი და იტალიელი ხალხების XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და გამაერთიანებელ ომებს. ვ. ი. ლენინი უსამართლო ომებად მიიჩნევდა ევროპის ქვეყნების დაპყრობისათვის წარმოებულ ნაპოლეონ I-ის ომებს, წარმოებულს კოლონიების დაპყრობისა და კოლონიური ხალხების დამონების მიზნით და ა. შ. ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ სამართლიან, განმათავისუფლებელ ომებს; რაც შეეხება იმპერიალისტურ ომებს, ბოლშევიკებს მიაჩნიათ, რომ მათ წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება თვით რევოლუციამდე და საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის დამხობა.

გერმანელი მემარცხენეების თეორიულმა შეცდომამ წარმოშვა პრაქტიკაში პოლიტიკური შეცდომები. ეროვნული მოძრაობის მიმართ რევოლუციური პარტიის გულგრილობა შოვინისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. თუ იმპერიალიზმის ეპოქაში, როგორც ამას გერმანელი მემარცხენეები ამტკიცებდნენ, არ არსებობს ეროვნული ომების შესაძლებლობა, მაშინ დიდი ეროვნული ქვეყნების მიერ მცირე ეროვნებებისა და კოლონიური ხალხების ჩაგვრა სამუდამოა. ამწორებდა რა ამ შეცდომას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეროვნული ომები იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ არა თუ შესაძლებელია და მოსალოდნელი, არამედ იგი აუცილებელია, პროგრესული და რევოლუციური.

ინტერნაციონალურ პოზიციაზე იდგნენ აგრეთვე ზოგიერთი ქვეყ-

ნის სოციალისტურ პარტიებში არსებული უმნიშვნელო ჯგუფები. ეს ინტერნაციონალისტური უმცირესობა, მართალია, არა სავსებით გარკვეულად და უყოყმანოდ, მაგრამ მაინც მიდიოდა მდინარების წინააღმდეგ. ცხადია, მათი პოზიცია არ იყო თანმიმდევრული და მტკიცე რევოლუციურ-მარქსისტული პოზიცია.

ასხვავებდა რა თანმიმდევრულ ინტერნაციონალისტურ მიმდინარეობას სხვა მიმდინარეობათაგან, ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ მთავარი განმასხვავებელი ნიშნები იყო: როგორც სოციალ-შოვინისტებთან, ისევე „ცენტრისტებთან“ კავშირის სრული გაწყვეტა, საკუთარი იმპერიალისტური მთავრობისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ უშეღავათო რევოლუციური ბრძოლა პრინციპით: „მთავარი მტერი საკუთარ ქვეყანაშია!“

ამრიგად, მუშათა მოძრაობაში არსებულ რევოლუციურ ძალებს შორის მხოლოდ ერთადერთი — ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ახორციელებდა თანამიმდევრულ რევოლუციურ პოლიტიკასა და ტაქტიკას და წარმართავდა ინტერნაციონალისტური მიმდინარეობის მთელ მოღვაწეობას.

ინგლისი პირველი მსოფლიო ომის წლებში

ომის დაწყებისთანავე რთული პრობლემების გადაჭრის წინაშე აღმოჩნდა ინგლისის ეკონომიკა, რომელიც ომამდე ბევრად იყო დამოკიდებული საიმპორტო ნედლეულსა და სურსათზე. შესაბამისად, გერმანიის მხრივ ბრიტანეთის კუნძულების საზღვაო ბლოკადას შეეძლო დაერღვია ინგლისის მრეწველობის ნედლეულითა და ამ ქვეყნის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით რეგულარული მომარაგება.

ინგლისის ომში ჩაბმით და მსოფლიო ბაზარზე მისი კაპიტალის ხელოვნური წონის შემცირებით ისარგებლეს სხვა დიდმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა (პირველ რიგში აშშ-მა და იაპონიამ). ომის წლებში შეირყა ინგლისის, როგორც მსოფლიო საფინანსო და საკრედიტო ცენტრის მნიშვნელობა და რეპუტაცია, რომელიც მოიხვეჭა აშშ-მა. ომის დასასრულისათვის ინგლისს 5 მილიარდ 500 მილიონი დოლარი ჰქონდა სესხად მიღებული ამ სახელმწიფოსაგან.

ომის წლებში ინგლისში თვალსაჩინოდ გაიზარდა სამხედრო მრეწველობა, თუმცა სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა შემცირდა (თუჯის გამოდნობა, ქვანახშირის მოპოვება, გემთმშენებლობა, საფეიქრო, კვების მრეწველობა).

სასურსათო სიძნელეების წინაშე მდგომი ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა საგანგებო ზომები მიეღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდის მიზნით (სათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გაზრდა).

ომის დასაწყისში ინგლისის მთავრობა შეეცადა დარჩენილიყო ეკონომიკის საკითხებში ჩაურევლობის ომამდელი პოლიტიკის პოზიციებზე. თავდაპირველად იგი შემოიფარგლა კონტროლის დამყარებით საოკეანო ნაოსნობასა და რკინიგზის ტრანსპორტზე, აგრეთვე სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთ ნედლეულზე, როგორიცაა რკინის მადანი, ფოლადი, ბამბა. მაგრამ შემდგომში მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო შეიარაღებისა და სამხედრო საჭურველის წარმოების საკითხებში, რადგანაც კერძო სამხედრო მრეწველო-

ბამ ვერ გაართვა თავი მზარდი პროდუქციის გამოშვებას. საჭირო გახდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სუბსიდიების გაღება.

ომისდროინდელ ინგლისში სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება. სამეურნეო საქმიანობის მილიტარიზაცია და სამხედრო წარმოების სუბსიდირება დაკავშირებული იყო ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, ფინანსთა მინისტრის დევიდ ლოიდ ჯორჯის სახელთან. დ. ლოიდ ჯორჯი 1915 წლის გაზაფხულზე დანიშნულ იქნა ახლადშექმნილი შეიარაღების სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე. ამ სამინისტროს მმართველი აპარატი შეივსო დიდი ბრიტანეთის საქვეყნოდ ცნობილი სამრეწველო ფირმებისა და კონცერნების დირექტორებითა და მსხვილი საქმოსნებით. სწორედ მათ ხელში გადავიდა კონტროლი სამხედრო დაკვეთების შესრულებაზე. გარდა ამისა შეიარაღების სამინისტროს შეეძლო სამხედრო მიზნებისათვის ნებისმიერი საწარმოს და მისი მოწყობილობის კონფისკაცია.

ინგლისის მრეწველობის წამყვან დარგებში ფეხი მოიკიდა შრომის მილიტარიზაციამ. სამხედრო დაკვეთებისათვის განკუთვნილ საწარმოებში გაუქმდა შრომის დაცვის და სამუშაო დღის შეზღუდვის ომამდელი კანონმდებლობა, აიკრძალა გ. ...ბიცვები და, გარდა ამისა, შემოიღეს შრომის კონფლიქტების განხილვის სახელმწიფო არბიტრაჟი. მთავრობის ინიციატივით სამხედრო საწარმოებში ფართოდ დაინერგა ქალების, მოზარდებისა და ინვალიდთა შრომის გამოყენება კვალიფიციური მუშების შრომის სანაცვლოდ. ეს ფაქტიურად წარმოადგენდა ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიის პატრიოტული მოტივებით შენიღბულ შორი დამიზნების პოლიტიკას; ამ გზით მას სურდა კვალიფიციური მუშების პოზიციების შესუსტება და ხელსაყრელი პლაცდარმის მომზადება ომის შემდეგ ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ გაშლილი ფრონტით შეტევისათვის.

ომის წლებში ინგლისის მთავრობამ უარი თქვა თავისუფალი ვაჭრობის („ფრიტრედერობა") პრინციპებზე და კურსი აიღო მაღალ საიმპორტო ბაჟებზე. „მაკ კენას ტარიფის" (მაკ კენა—ინგლისის ვაჭრობის მინისტრი, მაღალი საბაჟო ტარიფის შემოღების ინიციატორი) შემოღებით ინგლისი აშკარად დაადგა „პროტექციონიზმის" გზას.

რაც შეეხება ინგლისის ლენდლორდებს, მათ ხელი მოითბეს სურსათზე ფასების მკვეთრი აწევით. ამ გარემოებით ისარგებლეს აგრეთვე შეძლებულმა ფერმერებმა.

საერთოდ ომმა გააძლიერა კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ტენდენციები, ხელი შეუწყო მსხვილი მონოპოლის-

ტური გაერთიანებების მემდგომ ზრდას და ფინანსური კაპიტალის გავლენის გაძლიერებას ინგლისში.

ომის წლებში თავი იჩინა გაერთიანებისაკენ ლტოლვამ ინგლისის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც ამ გზით სურდათ უშუალო ზეგავლენის მოხდენა მთავრობაზე. ინგლისელი ბიზნესმენების ორგანომ გაზეთმა „ეკონომისტმა" დღის წესრიგში დააყენა ბანკების გაერთიანებისა და ინდუსტრიის სფეროში კავშირების ჩამოყალიბების ამოცანის დროული გადაჭრა.

1916 წლის შემოდგომაზე საფეიქრო მრეწველობის მსხვილი საქმოსნების ინიციატივით ჩამოყალიბებულ იქნა „ბრიტანეთის სამრეწველო ფედერაცია". ეს ფედერაცია ომის დასასრულისათვის აერთიანებდა 19 ათასი საწარმოს ხელმძღვანელს; „ბრიტანეთის სამრეწველო ფედერაციის" საქმიანობაში, რომლის საერთო კაპიტალი აღწევდა 5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ისეთი მძლავრი კონცერნების წარმომადგენლებმა, როგორებიცაა „ვიკერსი", „არმსტრონგ-უიტუორტი", „მარკონი", „პარტინგტონი" და სხვა. გარდა მთავრობაზე უშუალო ზეგავლენის გაძლიერებისა „ბრიტანეთის სამრეწველო ფედერაციას" ევალებოდა ინგლისის ბურჟუაზიის გაერთიანებული ძალების მთავარი შტაბის როლი მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისის ომში ჩაბმით ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ თავისი მოღვაწეობის ძირითადი აქცენტი გადაიტანა საომარ განწყობილებათა გაღვივებაზე, ხოლო მთავრობამ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და აშკარა იერიში მიიტანა მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებზე. ომის პირველსავე დღეებში შემოიღეს უმკაცრესი ცენზურა პრესაზე. აიკრძალა გაფიცვები. „სამეფოს დაცვის კანონის" თანახმად, ინგლისში გამოცხადდა სამხედრო დროის საგანგებო მდგომარეობა, რომელიც მთავრობას აძლევდა მისთვის არასასურველი ელემენტებისათვის ანგარიშის გასწორების უფლებას.

მთავრობის წაქეზებით გათამამებულმა მეწარმეებმა გააუქმეს სამუშაო დღის შეზღუდვის კანონების მოქმედება თავიანთ საწარმოებში, მოსპეს ყოველგვარი შვებულებები. ფაბრიკა-ქარხნებში გამეფდა სამხედრო პერიოდის საკატორღო რეჟიმი. ომის დასასრულისათვის ინგლისელი მშრომელების რეალური სამუშაო ხელფასი საშუალოდ 40%-ით დაეცა.

გამოდიოდნენ რა, მათი გაგებით, „საერთო ეროვნული ინტერესებიდან", ინგლისის ტრედ-იუნიონისტური გაერთიანების ლეიბორისტმა ლიდერებმა 1914 წლის 27 აგვისტოს დადეს მეწარმეებთან ე. წ. „სამრეწველო დროებითი ზავი", რომლის თანახმად მუ-

შებსა და მეწარმეებს შორის არსებული სადავო საკითხები უნდა გადაეწყვიტა სათანადო სამედიატორო ორგანოებს.

1915 წლის მარტში ე. წ. „სახაზინო კონფერენციამ“ საჯაროდ გამოაცხადა „სოციალური ზავი“, რითაც პროფკავშირებს ფაქტიურად ჩამოერთვათ სამუშაო ძალის დაქირავებასა და გამოყენებაზე კონტროლის უფლება. ამ უფლებაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა ნიშნავდა ინგლისის პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობის აშკარა კაპიტულაციას მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე. სამაგიეროდ, მთავრობა დაჰპირდა მას სამხედრო მოგებათა „შეზღუდვას“, მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა ომის ბოლომდე.

რაც შეეხება „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელობას, იგი დაადგა ომისადმი ქრისტიანულ-პაციფისტური „ოპოზიციის“ გზას. ამ პარტიის ლიდერები (რ. მაკდონალდი, ფ. სნოუდენი) ფორმალურად გამოვიდნენ საყოველთაო სამხედრო გაწვევის კანონპროექტის წინააღმდეგ პარლამენტში, მაგრამ ფაქტიურად მოქმედებდნენ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობასთან სრულ კონტაქტში (სწორედ ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მხარდაჭერით 1916 წლის მაისში თემთა პალატის მიერ ინგლისის ისტორიაში პირველად იქნა მიღებული საყოველთაო სამხედრო გაწვევის კანონი).

ომის დასაწყისშივე უღალატა მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპებს ბრიტანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ. 1914 წლის 15 აგვისტოს მანიფესტში („შეერთებული სამეფოს მუშებს“) პარტიის ხელმძღვანელობამ (ჰ. ჰაინდმანი, ე. ბაკსი, დ. ირვინგი) საჯაროდ მხარი დაუჭირა ინგლისის ომში მონაწილეობას, რადგანაც ეს ომი, მისი აზრით, დიდი ბრიტანეთისათვის იყო სამართლიანი და განმათავისუფლებელი.

მკაცრი რეპრესიების სისტემის შემოღების, წარმოებაში სამხედრო რეჟიმის დამკვიდრებისა და ინტენსიური შოვინისტური პროპაგანდის ზეგავლენით ომის დასაწყისში აღგილი ჰქონდა მუშათა მოძრაობის გარკვეულ შესუსტებას, საგაფიცვო ტალღის უკუქცევას.

მაგრამ 1915 წლის გაზაფხულისათვის სურათი მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო მასობრივი გაფიცვები. ამ გაფიცვების ეპიცენტრს წარმოადგენდა მდინარე კლაიდის (შოტლანდია) აუზის სამრეწველო რაიონი.

1915 წლის 16 თებერვალს დაიწყო ზემოაღნიშნული რაიონის მუშების დიდი მასშტაბის გაფიცვა, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ სამუშაო ხელფასის გაზრდას, სამხედრო პერიოდის საკატორ-

ღო რეჟიმის გაუქმებას და მუშათა ორგანიზაციების უფლებათა აღდგენას საწარმოებში, კერძოდ ამ ორგანიზაციებისათვის აქტიური მონაწილეობის მიღების ნებართვას სამუშაო ძალის დაქირავების რეგულირების საკითხში.

გაფიცვის პროცესში აღმოცენდა ინგლისის მუშათა მოძრაობის ახალი ფორმა საფაბრიკო-საქარხნო საამქროთა მამასახლისთა („შოპ-სტიუარდები") კომიტეტების სახით. „შოპ-სტიუარდები" წარმოადგენდნენ ტრედ-იუნიონთა გაერთიანების დაბალი რანგის აქტივისტებს, რომლებიც ომამდე სათავეში ედგნენ საამქროებში წარმოებულ ყოველდღიურ პროფკავშირულ საქმიანობას. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მუშებთან, შეძლებისდაგვარად იცავდნენ რიგითი მუშების ინტერესებს.

რადგანაც ინგლისის ტრედ-იუნიონთა გაერთიანების ლიდერებმა უარი თქვეს მდინარე კლაიდის აუზის მუშების გაფიცვისათვის მხარდაჭერაზე, გაფიცულებს სათავეში ჩაუდგა საფაბრიკო-საქარხნო მამასახლისთა კომიტეტი, რომლის წევრებიც არჩეულ იქნენ ცალკეულ საწარმოებსა და საამქროებში.

თვალსაჩინო როლი შეასრულა მდინარე კლაიდის აუზის მუშების გაფიცვის მომზადებასა და განხორციელებაში ბრიტანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წევრმა, შემდგომში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა უილიამ გალაჰერმა.

გაფიცვა გაგრძელდა ორ კვირას. მთავრობამ მიმართა აშკარა მუქარისა და რეპრესიების მეთოდებს, რითაც აიძულა მუშები შეეწყვიტათ გაფიცვა. ამით გათამამებულმა მეწარმეებმა უარყვეს მუშათა სამართლიანი მოთხოვნები.

დამარცხების მიუხედავად დიდი იყო შოტლანდიელი მუშების საგაფიცვო მოძრაობის საერთო რეზონანსი. ობიექტურად, მდინარე კლაიდის აუზის მუშების გაფიცვა გადაიქცა ომის საპროტესტო პირველ სერიოზულ გამოსვლად, რითაც მან საგრძნობი დარტყმა მიაყენა ინგლისის ბურჟუაზიის შოვინისტურ პროპაგანდას, რომელიც მუშათა სულ მცირე მასშტაბის გაფიცვებსაც კი სამშობლოს „ღალატს" უწოდებდა ხოლმე. შოტლანდიის „შოპ-სტიუარდების" მოძრაობამ დაარღვია ინგლისში გამეფებული „სამოქალაქო ზავის იდილია" და დიდი შეშფოთება გამოიწვია მმართველი წრეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის რიგებში.

1915 წლის გაზაფხულის გაფიცვის შემდეგ „შოპ-სტიუარდების" მიერ ჩამოყალიბებული მუშათა კომიტეტი, რომელიც სათავეში ედგა მდინარე კლაიდის აუზის ყველა საწარმოს მუშათა გამოსვ-

ლას. გადაიქცა მუდმივმოქმედ ორგანიზაციად. მან დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა მუშათა მასებში და შემდგომში იტვირთა ადგილი მუშათა გამოსვლების ხელმძღვანელის მძიმე ფუნქციები.

მდინარე კლაიდის სამრეწველო რაიონის მუშების მამასახლისთა კომიტეტის ინიციატივით 1915 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ომის პერიოდში საბინაო ქირის ყოველგვარი გაზრდის აკრძალვას ინგლისის ყველა საგრაფოს ტერიტორიაზე. კლაიდის რაიონის „შოპ-სტიუარდთა" კომიტეტი აქტიურად იბრძოდა საყოველთაო სამხედრო გაწვევის, მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ; იგი მოითხოვდა მუშათა კონტროლის შემოღებას საწარმოებში და ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციას.

„შოპ-სტიუარდთა" მოძრაობა გასცილდა მდინარე კლაიდის აუზს, მოედო შოტლანდიის სხვა ინდუსტრიულ ცენტრებს და შემდგომში მთელ ინგლისსაც. 1916 წელს ჩამოყალიბებულ იქნა შოტლანდიის მუშათა კომიტეტი, ხოლო 1917 წლის აგვისტოში ბანჩესტერში საფუძველი ჩაეყარა საფაბრიკო მუშების მამასახლისთა ეროვნულ კომიტეტს, რომელიც გადაიქცა ინგლისის „შოპ-სტიუარდთა" მოძრაობის აღიარებულ ცენტრად.

„შოპ-სტიუარდების" მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტები. მდინარე კლაიდის აუზის მუშებს შორის დიდი გავლენით სარგებლობდნენ შოტლანდიის სოციალისტური პარტიის წამყვანი წევრები, რომელთა შორის უ. გალაჰერთან ერთად უნდა აღვნიშნოთ სკოლის მასწავლებელი ჯონ მაკლინი. სწორედ რევოლუციურად განწყობილი სოციალისტების გავლენით „შოპ-სტიუარდთა" მოძრაობა თანდათანობით გადავიდა პოლიტიკურ მოთხოვნათა პლატფორმაზე. საფაბრიკო მამასახლისთა ეროვნული კომიტეტის პროგრამაში პირდაპირ იყო ნათქვამი სოციალისტური რევოლუციის, საწარმოო დაწესებულებების ხელში ჩაგდების, წარმოებაზე კონტროლის დამყარების შესახებ და ა. შ.

მაგრამ ამასთან ერთად „შოპ-სტიუარდების" მოძრაობას ჰქონდა თავისი მინუსებიც, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო საერთაშორისო სინდიკალიზმისათვის: უარის თქმა საპარლამენტო ბრძოლაზე, ფართო მასებში ყოველდღიური სააგიტაციო მუშაობის როლის შეუფასებლობა და ქედის მოხრა საყოველთაო გაფიცვის წინაშე, რომელიც მიჩნეული იყო ბრძოლის ერთადერთ და უნივერსალურ საშუალებად. ამგვარი ხასიათის შეცდომები დამახასიათებელი იყო ინგლისის სხვა რევოლუციური და სოციალისტური ორგანიზაციებისათვისაც (სოციალისტური მუშათა პარტია, სამხრეთ უელსის

სოციალისტური საზოგადოება), რომლებიც ეწეოდნენ ომის წლებში ანტიმილიტარისტულ და ანტიშოვინისტურ აგიტაციას და ნიღაბს ხდიდნენ ლეიბორისტული პარტიისა და ტრედ-იუნიონთა ლიდერების გამცემლურ პოლიტიკას. ეს კი აიხსნებოდა ინგლისის მუშათა რევოლუციური მოძრაობის შედარებით პოლიტიკური გამოუცდელობით, ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლების ისტორიაში ხანგრძლივი „შესვენებით" ჩარტიზმის შემდეგ.

მდინარე კლაიდის აუზის მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშებისა და სამხრეთ უელსის მაღაროელთა გაფიცვები (1915 წლის ივლისში სამხრეთ უელსში გაიფიცა დაახლოებით 200 ათასი მაღაროელი, რომლებმაც პირველი მოხმარების პროდუქტებზე ფასების სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება) წარმოადგენდნენ ინგლისის მუშათა კლასის ახალი აზვირთების პირველ ტალღებს. 1915 წლის დამლევისათვის გაფიცვები მოედო ინგლისის მძიმე მრეწველობის სხვადასხვა დარგებს. ამჯერად მთავრობა შეეცადა ძირშივე აღეკვეთა საგაფიცვო მოძრაობა. როდესაც 1916 წლის პირველ ნახევარში მდინარე კლაიდის აუზის მუშებს შორის კვლავ იფეთქა გაფიცვებმა, მთავრობამ დააპატიმრა მუშათა კომიტეტის წევრები, ხოლო ჯ. მაკლინს მიუსაჯა 3 წლიო თავისუფლების აღკვეთა, გაზეთ „მუშის" („უორკერი") გამოცემა კი აიკრძალა. ამ რეპრესიულ ღონისძიებასთან ერთად მთავრობამ დააკმაყოფილა მუშათა ზოგიერთი უმნიშვნელო ხასიათის მოთხოვნები. ამგვარადვე, მთავრობამ შეძლო რკინიგზელი მუშების მოსალოდნელი გაფიცვის ჩაშლა, რასაც მიაღწია სანქციის გაცემით მუშათა ხელფასის მომატების თაობაზე. ხოლო როდესაც 1916 წელს სამხრეთ უელსის მაღაროელებმა კვლავ მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება, მთავრობა, მართალია, წავიდა მთელ რიგ უმნიშვნელო დათმობებზე, მაგრამ მაღაროები თავის უშუალო კონტროლს დაუქვემდებარა, რითაც უზრუნველყო ქვანახშირის მრეწველობის საწარმოების შეუფერხებელი მუშაობა.

გარდა ამისა, 1916 წლის შემოდგომაზე მთავრობის ინიციატივით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მეწარმეებსა და მუშებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლა ყოველგვარი საწარმოო კონფლიქტების ლიკვიდაციის მიზნით. ე. წ. „უიტლის კომისიამ" (ამ კომისიის თავმჯდომარე იყო თემთა პალატის სპიკერის მოადგილე, ლიბერალი ჯონ უიტლი) წამოაყენა „სამრეწველო საბჭოების" შექმნის იდეა, რომელშიც უნდა შესულიყვნენ როგორც საწარმოთა მეპატრონეების, ისე მუშების წარმომადგენლები. ამ „სამრეწველო საბჭოებს" პირველ რიგში ევალებოდათ

ომიანობის რთულ პირობებში სამუშაო ძალის დაქირავებისა და გამოყენების საკითხების „მოგვარება".

„უიტლის კომისიის" მიერ წამოყენებული წინადადებები განხორციელდა წარმოების მთელ რიგ მეორეხარისხოვან დარგებში სასტამბო-საბეჭდ სფეროში, ელექტრო-ტექნიკურ მრეწველობაში და ა. შ. თუმცა ეს იდეა გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა ბრიტანეთის ტრედ-იუნიონთა გაერთიანებისა და ე. წ. „ფაბიანელთა" საზოგადოების ლიდერებს შორის, მაგრამ მან ვერ პოვა ფართო გავრცელება, რადგანაც მის განხორციელებას უარყოფითად შეხვდნენ საწარმოთა მეპატრონეები, რომელთაც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდათ მუშათა ანგარიშის გასწორების სხვა, შედარებით მკაცრი მეთოდების გამოყენება.

დიდი შეშფოთება გამოიწვია ინგლისის ბურჟუაზიაში ირლანდიის აჯანყებამ 1916 წლის გაზაფხულზე.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ომში ჩაბმასთან დაკავშირებით უარი თქვა ირლანდიისათვის თვითმმართველობის („ჰომრული") უფლების მინიჭებაზე, თუმცა „ჰომრულის" კანონპროექტი ინგლისის პარლამენტის მიერ დამტკიცდა ჯერ კიდევ ომამდე. ცხადი შეიქნა, რომ ნებაყოფლობით ინგლისის ბურჟუაზია არ შეასრულებდა თავის „დანაპირებს". პირიქით, ირლანდიაზე გავრცელდა „კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ", რასაც მოჰყვა პოლიციური ტერორი, ჩხრეკა, დაპატიმრებები. ამის საპასუხოდ 1916 წლის 24 აპრილს ირლანდიის ეროვნულმა მოხალისეებმა და სამოქალაქო გვარდიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ქალაქი დუბლინი და ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობა, რომლის წევრთა შორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სოციალისტი ჯეიმზ კონოლი.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა სასტიკად იძიეს შური იმ შიშისათვის, რაც მათ განიცადეს 1916 წლის 24—29 აპრილის მღელვარე დღეებში, როდესაც დუბლინსა და ირლანდიის მთელ რიგ საგრაფოებში აჯანყების ალი გიზგიზებდა; სიკვდილით იქნა დასჯილი აჯანყების თითქმის ყველა ხელმძღვანელი (მძიმედ დაჭრილი ჯეიმზ კონოლი საკაცეზე მწოლიარე დახვრიტეს). აჯანყების დაახლოებით ორი ათასი მონაწილე საპყრობილეში ჩაყარეს ან გადაასახლეს.

ვ. ი. ლენინი დამარცხების მიუხედავად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირლანდიის 1916 წლის აჯანყებას და აღნიშნავდა, რომ იგი კიდევ უფრო გაამწვავებს რევოლუციურ კრიზისს ომით მოცულ ევროპაში, შეასუსტებს მსოფლიო იმპერიალიზმის პოზიციებს.

1916 წლის დასასრულისათვის აშკარა გახდა, რომ ინგლისი იდ-

გა მზარდი საშინაო კრიზისის წინაშე. საგრძნობლად გაუარესდა მშრომელთა მდგომარეობა ფასების მომატებისა და პროდუქტების მწვავე ნაკლებობასთან დაკავშირებით. უკმაყოფილო მუშები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ გაფიცვებს (1916 წელს გაცდა 2.500.000 სამუშაო დღე). ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო კონტროლის დამყარებას სასურსათო მომარაგებაზე, მსხვილი მრეწველობის, ტრანსპორტისა და მიწის ნაციონალიზაციას.

ინგლისის გაბატონებული ფენების გარკვეული ნაწილი შეშფოთებული იყო იმით, რომ ომს არ უჩანდა ბოლო. ამიტომაც, მოსალოდნელი რევოლუციის შიშით მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. გერმანიასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისა და კომპრომისზე წასვლის ტენდენციებმა თავი იჩინა ინგლისის მინისტრთა კაბინეტშიც. კერძოდ, ამ თვალსაზრისზე იდგნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სერ ედუარდ გრეი, ფინანსთა მინისტრი მაკკენა, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი რენსიმენი, მიწათმოქმედების მინისტრი კროუფორდი. ამ დაჯგუფების მოთხოვნები აისახა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, საბჭოს ლორდ-თავჯდომარის ლენსდაუნის მემორანდუმში, რომელიც დაეგზავნათ მთავრობის წევრებს 1916 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში. ლენსდაუნი დიდი ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეების სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ანტანტის ბანაკის სახელმწიფოთა გამარჯვება გამორიცხული იყო უახლოეს მომავალში; უფრო მეტიც, რეალობას მოკლებული არ იყო დამარცხების საშიშროებაც. შესაბამისად, მემორანდუმის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნდა გერმანიასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დაუყოვნებლივი დაწყება ომამდელი „სტატუს ქვოს“ შენარჩუნების საწყისებზე.

1916 წლის 27 ნოემბერს მინისტრთა კაბინეტმა უარყო ლენსდაუნის მემორანდუმი. მინისტრთა უმრავლესობამ ზავი გერმანიასთან ეროვნულ კატასტროფად მიიჩნია და გადაწყვიტა ბრძოლის გაგრძელება სრულ გამარჯვებამდე. ლენსდაუნი და მისი თანამზრახველები იძულებულნი გახდნენ გადამდგარიყვნენ.

ამ კრიზისით ისარგებლა დ. ლოიდ ჯორჯმა, რომელიც გამოხატავდა ომის დროს გამდიდრებული მსხვილი მრეწველების, ბანკირებისა და ლენდლორდების ინტერესებს, რომელთა საბოლოო მიზანს წარმოადგენდა თავიანთი ყველაზე უფრო საშიში კონკურენტის — გერმანიის სამხედრო დამარცხება.

1916 წლის 6 დეკემბერს დ. ლოიდ ჯორჯმა, რომელიც დაუკავშ-

ირდა კონსერვატიული პარტიის ყველაზე აგრესიულად განწყობილ წრეებს, ოფიციალური წერილით მიმართა ინგლისის პრემიერ-მინისტრს — ჰ. ასკვიტს. დ. ლოიდ ჯორჯი ულტიმატურ ფორმებში მოითხოვდა მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციას, „პესიმისტი“ მინისტრების გაძევებას და ვიწრო შემადგენლობის „სამხედრო კაბინეტის“ ჩამოყალიბებას. კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით დ. ლოიდ ჯორჯმა აიძულა ჰ. ასკვიტი გადამდგარიყო და კოალიციური კაბინეტის შექმნა თვით ითავა. ახალ მთავრობაში კონსერვატორებმა ხელთ იგდეს მინისტრთა 13 პორტფელი, ლიბერალებს კი წილად ხვდათ 12 მაღალი პოსტი. გარდა ამისა, მინისტრთა კაბინეტში შეიყვანეს სამი ლეიბორისტი— ა. ჰენდერსონი (უპორტფელო მინისტრი), ჯ. ჰოჯი (შრომის მინისტრი) და ჯ. ბარნსი (პენსიების მინისტრი).

ომის წარმოების საკითხების გადაჭრა და რეალური ძალაუფლება გადავიდა ყოვლისშემძლე „სამხედრო კაბინეტის“ ხელში, რომელიც ხუთი წევრისაგან შედგებოდა. მასში შევიდნენ პრემიერ-მინისტრი დ. ლოიდ ჯორჯი, საბჭოს ლორდ-თავმჯდომარე და ლორდთა პალატის ლიდერი კერზონი, სამხედრო მინისტრი ლორდი ა. მილნერი, ხაზინის კანცლერი და თემთა პალატის ლიდერი ე. ბონარ ლოუ და ლეიბორისტი, უპორტფელო მინისტრი ა. ჰენდერსონი. უმრავლესობას კონსერვატორები შეადგენდნენ, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ლორდი ჯ. კერზონი, ლორდი ა. მილნერი და ე. ბონარ ლოუ.

„სამხედრო კაბინეტმა“ გააძლიერა ცენზურა, პოლიციური დევნა და ხელი მიჰყო მასობრივ დაპატიმრებებს და გასამართლებას. მან თავის სრულ კონტროლს დაუქვემდებარა ქვანახშირის მრეწველობა და ნაოსნობა, მეტალურგიულ საწარმოებსა და საფეიქრო მრეწველობაში გაავრცელა შრომის მილიტარიზაციის პროცესი. ომის დასასრულისათვის ინგლისის მრეწველობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან დარგზე მეტ-ნაკლებად გაავრცელეს სახელმწიფო რეგულირების სისტემა. ინგლისში, ისე როგორც სხვა დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებში, ომის წლებში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო კაპიტალიზმის იმ სისტემას, რომელსაც ვ. ი. ლენინი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს უწოდებდა.

1917 წლიდან დაიწყო ინგლისის მუშების საპროტესტო მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთება. ამ მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში. ინგლისის მუშათა კლასი ენთუზიაზმით შეხვდა მას. ინგლისის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო

ძრავალრიცხოვანი მიტინგები რუსეთის მუშებისა და გლეხობის სოლიდარობის ნიშნად. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ის მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც შედგა 1917 წლის 31 მარტს ლონდონის „ალბერტიჰოლის“ ცხობილ დარბაზში.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გავლენით შესამჩნევად გაძლიერდა ანტისამხედრო განწყობილება ინგლისის მშრომელებში, რომლებიც დ. ლოიდ ჯორჯის მიერ დამყარებულ სამხედრო-დიქტატურულ რეჟიმს დამხობილი ცარიზმის თვითმპყრობელურ სისტემას ადარებდნენ. სულ, 1917 წელს, გაფიცულთა საერთო რიცხვმა 821 ათასს მიაღწია, რაც აღემატებოდა ომის პირველი ორნახევარი წლის გაფიცული მუშების საერთო რაოდენობას. პირველად ომის წლებში დემონსტრაციებით აღინიშნა საპირველმაისო დღესასწაული. 1917 წლის მაისში იფეთქა ლანკაშირის სამრეწველო რაიონის მანქანათმშენებელი მუშების დიდმა გაფიცვამ, რომელიც შემდგომში თითქმის მთელ ინგლისს მოედო და რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 520 ათასმა მუშამ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ლონდონის ავტობუსების მუშათა გაფიცვა. გაფიცულებმა ეკონომიური მოთხოვნების გარდა წამოაყენეს პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებიც, კერძოდ ისინი მოითხოვდნენ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

იმავე 1917 წლის მაისის ბოლოს ქ. ლიდსში მოიწვიეს ინგლისის მუშათა ორგანიზაციების სპეციალური ანტისამხედრო კონფერენცია. ეს კონფერენცია შედგა ბრიტანეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ინიციატივით, რომლებმაც შექმნეს სოციალ-პაციფისტურ პოზიციებზე მდგარი გაერთიანებული სოციალისტური საბჭო. ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ლეიბორისტული, სოციალისტური და ტრედ-იუნიონისტური ძირეული ორგანიზაციების 1150 წარმომადგენელმა. ლიდსის კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მიესალმებოდა რუსეთის რევოლუციას და ინგლისის მშრომელებს მოუწოდებდა დემოკრატიული ზავის დადებისაკენ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნისაკენ, „შრომის სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისაკენ“.

ლიდსის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებით ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა შეძლეს მასების ნდობის შენარჩუნება და ფაქტიურად ხელთ იგდეს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

1917 წლის გაფიცვებმა და ლიდსის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა აიძულეს როგორც ინგლისის მსხვილი ბურჟუაზია, ისე მინისტრთა კაბინეტი, გადაედგათ სათანადო ნაბიჯები ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შემდგომი განვითარების დამუხრუჭების მიზნით. მთავრობამ გაიღო სახელმწიფო სუბსიდიები სახაბაზოებისათვის და შეამცირა ფასები პურზე; გარკვეული კატეგორიის მუშებს გაუდიდეს სამუშაო ხელფასი; პარლამენტში დაიწყო საარჩევნო უფლების ახალი კანონპროექტის გახხილვა, რომლის თანახმად, საარჩევნო უფლებით უნდა ესარგებლათ მამაკაცებს 21 წლის ასაკის ზევით და ქალებს 30 წლის ასაკის ზევით; გარდა ამისა წამოყენებულ იქნა კანონპროექტი 14 წლის ასაკამდე ბავშვების სავალდებულო უფასო სწავლების შესახებ.

თავის მხრივ ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა მოხერხებულად გამოიყენეს მსხვილი ბურჟუაზიის ეს დროებითი ხასიათის „დათმობები". რამდენადაც მათ სურდათ თავიანთი პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება მუშათა მოძრაობაზე, ისინი იძულებულნი შეიქმნენ მთავრობის „ოპოზიციის" ინსცენირების აქტი გაეთამაშათ. მუშები ჯერ კიდევ 1917 წლის დასაწყისში მოითხოვდნენ ლეიბორისტი ლიდერებისაგან დ. ლოიდ ჯორჯის კაბინეტთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. პარტიის ლიდერი ა. ჰენდერსონი, რომელიც ხშირად მიმართავდა ხოლმე პაციფისტურ ფრაზებს, 1917 წლის 10 აგვისტოს დ. ლოიდ ჯორჯის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად იძულებული გახდა გადამდგარიყო. მაგრამ ამით არსებითად არაფერი შეცვლილა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის კონსერვატორებთან და ლიბერალებთან თანამშრომლობის პოლიტიკაში. ა. ჰენდერსონის ადგილი „სამხედრო კაბინეტში" დაიკავა ლეიბორისტმა ჯ. ბარნსმა.

დაუფარავი სიძულვილით შეხვდნენ ინგლისის გაბატონებული კლასები ცნობას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. „რუსეთის მაგალითი", მათი აზრით, ძალზე საშიში სტიმული იყო ინგლისის მუშათა კლასისათვის. მათ აშინებდათ, ავრეთვე, ოქტომბრის რევოლუციის გავლენა დიდი ბრიტანეთის მრავალრიცხოვანი კოლონიების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

სამაგიეროდ, ინგლისის მუშათა კლასი აღტაცებით შეხვდა ცნობას რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების შესახებ. მრავალრიცხოვან მიტინგებსა და კრებებზე იგი სოლიდარობას უცხადებდა საბჭოთა რუსეთის მშრომელებს. ინგლისის მოწინავე მუშების მოთხოვნით ბრიტანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის კონფე-

ინტერნაციონალზე 1918 წლის მარტში მიღებულ იქნა სპეციალური რეზოლუცია, რომელიც სრულ თანაგრძნობას უცხადებდა საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატს მის გმირულ ბრძოლაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო გავლენით ინგლისში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ანტისამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. კერძოდ კი დაუყოვნებლივ ზავის მოთხოვნა. რომელიც თავის დროზე წამოაყენა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ. 1918 წელს გაფიცვების მონაწილეთა საერთო რაოდენობამ მიაღწია მილიონ ასი ათასს. ოქტომბრის რევოლუციის გავლენით „კლასობრივი ზავისა“ და რეფორმების გატარების იდეების პროპაგანდამ საგრძნობლად იკლო, ამავე დროს ინგლისის მუშებში შესამჩნევად გაიზარდა ანტისამხედრო განწყობილება.

ამის პასუხად 1918 წლის 5 იანვარს დ. ლოიდ ჯორჯმა პარლამენტში გააკეთა სათანადო განცხადება, სადაც ინგლისის ომში მონაწილეობის ერთადერთ მიზნად ბელგიისა და სერბეთის განთავისუფლება დაასახელა. ხოლო მომავალში მისი განცხადების თანახმად, ყოველგვარი კონფლიქტებისა და ომების თავიდან აცილების მიზნით ინგლისის მთავრობა მხარს უჭერდა სპეციალური საერთაშორისო სამშვიდობო ორგანოს შექმნის იდეას.

1918 წლის თებერვალში ინგლისის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი საარჩევნო რეფორმის შესახებ, რითაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 8 მილიონიდან 21 მილიონამდე იზრდებოდა.

დ. ლოიდ ჯორჯი და მთავრობის სხვა წევრები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ომის შემდგომი პერიოდის ინგლისში ლიკვიდირებულ იქნება სოციალური უთანასწორობა და სიღარიბე; ამავე დროს ისინი ოფიციალური პრესის ფურცლებზე ფართო კამპანიას აწარმოებდნენ ინგლისის ეკონომიკის საიმპერიო „რეკონსტრუქციის“ შესახებ.

ომის წლებში შესამჩნევი გახდა ბრიტანეთის იმპერიის პოლიტიკური კრიზისის შემდგომი გაღრმავება (1914 წლის ოქტომბრის აჯანყება სამხრეთ აფრიკაში; მღელვარებები კანადაში სამხედრო სავალდებულო გაწვევასთან დაკავშირებით; მასობრივი დაპატიმრებები, გასამართლება და სიკვდილით დასჯა ინდოეთში და ა. შ.). ომმა ხელი შეუწყო, აგრეთვე, ეროვნული კაპიტალიზმის ზრდას დიდი ბრიტანეთის დომინიონებსა და კოლონიებში. შესაბამისად, ამ ქვეყნებში გაიზარდა ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა. ინგლისი თავისი მზარდი სამხედრო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იძულებულიც კი შეიქნა რამდენადმე შეეწყო ხელი

დომინიონებში მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. მაგალითად, ომის წლებში კანადაში საფუძველი ჩაეყარა სამხედრო მრეწველობას, რომელიც 1918 წლისათვის მოითვლიდა 600-ზე მეტ საწარმოს, სადაც დასაქმებული იყო 300 ათასზე მეტი მუშა.

ომის წლებში დომინიონებისა და კოლონიების ბურჟუაზიამ აქტიური დახმარება გაუწია მეტროპოლიას. კანადის მთავრობის მიერ ჯარში გაწვეულ იქნა 600 ათასზე მეტი ჯარისკაცი, აქედან 140 ათასი იბრძოდა ევროპაში, დიდი ბრიტანეთის არმიის რიგებში; ავსტრალიამ მობილიზაცია უყო 420 ათას ჯარისკაცს, აქედან 330 ათასი ავსტრალიელი გაიგზავნა ევროპაში საომრად; ახალმა ზელანდიამ 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი მიავლინა ევროპის საომარ მოქმედებათა ასპარეზზე, კიდევ უფრო დიდი „ნებაყოფლობითი“ მსხვერპლი გაიღო ბრიტანეთის იმპერიის გადარჩენისათვის ინდოეთმა. მილიონ ორასი ათასზე მეტი ინდოელი იმყოფებოდა პირველი მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტებსა და ზურგში, მძიმე სამშენებლო სამუშაოებზე. ინდოეთის სამხედრო ნაწილებმა გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ფრონტებზე (მესოპოტამიის, სინა-პალესტინის ფრონტები). ინდოეთის საშინაო რესურსებიდან ხდებოდა ამ ფრონტებზე მოქმედი არმიების ყოველმხრივი მომარაგება.

დიდი ბრიტანეთის დომინიონებისა და კოლონიების ეროვნული ბურჟუაზიის ხვედრითი წონის გაზრდამ აიძულა ინგლისის მთავრობა რამდენადმე შეეცვალა თავისი სამოქმედო კურსი საიმპერიო საქმეებში.

ამ მხრივ საყურადღებოა 1917 წლის მარტში მოწვეული საიმპერიო კონფერენცია, რომელმაც დომინიონები აღიარა „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის“ შემადგენელ ნაწილად. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი საიმპერიო ტარიფების შესახებ. იმავე 1917 წელს ინგლისის მთავრობამ დომინიონების ეროვნული ბურჟუაზიის გულის მოგების მიზნით შექმნა „საიმპერიო სამხედრო კაბინეტი“, რომელშიც ინგლისის „სამხედრო კაბინეტის“ წევრებთან ერთად შეყვანილ იქნენ დიდი ბრიტანეთის დომინიონების პრემიერ-მინისტრები.

ომის დამთავრებამდე ხუთი თვით ადრე 1918 წლის ივნისში ლონდონში მოიწვიეს მორიგი საიმპერიო კონფერენცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა მომავალი საზავო ხელშეკრულების მომზადების პრობლემას. დომინიონების წარმომადგენლებმა მოითხოვეს მომავალ საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამი-

სა, ისინი მოითხოვდნენ იმ კოლონიების შემოერთებას, რომლებიც ომის წინ ეკუთვნოდნენ გერმანიას და მის მოკავშირეებს.

1918 წლის ნოემბერში ინგლისის იმპერიალიზმმა იზეიმა ომში გამარჯვება. მან შეძლო დიდი ბრიტანეთის ყველაზე საშიში კონკურენტის — გერმანიის — დამარცხება. მაგრამ ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა დიდი დანაკლისის ფასად. ბრიტანეთის იმპერიამ დაკარგა მოკლულთა სახით 947 ათასი, ხოლო დაჭრილთა სახით 2. 122.000 ადამიანი.

ინგლისის სახელმწიფოს დავალიანება ომის წლებში გაიზარდა 10-ჯერ და 1918 წლის დასასრულისათვის მიაღწია უკვე 8 მილიარდ გირვანქა სტერლინგს.

ეს კოლოსალური სახელმწიფო ვალი მძიმე ტვირთად დააწვა როგორც ინგლისის მშრომელ მოსახლეობას, ისე ამ ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის წლებში

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამზადებდა საფრანგეთის გენერალური შტაბი გერმანიასთან სამხედრო ოპერაციების წარმოების გეგმას. ამ დროის მანძილზე სულ წარმოდგენილი იყო 17 გეგმა, უკანასკნელი (1914 წ. აპრილში დამტკიცებული) გეგმა ვარაუდობდა გერმანიის სამხედრო უპირატესობას და, ამიტომაც, ფაქტიურად, მოწინააღმდეგეს უთმობდა ინიციატივას. ფრანგულ გეგმებში დაშვებულმა შეცდომებმა და, პირველ ყოვლისა, ჩრდილოეთიდან, ბელგიიდან გერმანული არმიების შეჭრის შესაძლებლობის უგულებელყოფამ, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საფრანგეთის არმია, მხოლოდ მარნის ბრძოლის შემდეგ შეძლო საფრანგეთის სარდლობამ ფრონტის სტაბილიზება. დასავლეთ ევროპაში პოზიციურ ბრძოლაზე გადასვლამ უდიდესი მოთხოვნები წაუყენა მეომარ მხარეთა ეკონომიკას. თუმცა ამ მხრივ ანტანტის სახელმწიფოებს ცენტრალურ მონარქებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნდათ, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო მათ ვერ მოახერხეს თავიანთთვის ხელსაყრელი შესაძლებლობების სწრაფი რეალიზება.

ფრანგი სამხედრო სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მსოფლიო ომი იქნებოდა ხანმოკლე. საფრანგეთის სარდლობამ მოამზადა მხოლოდ ექვსი თვის სამხედრო მარაგი და თანაც გამოირკვა, რომ საბრძოლო მასალის გათვალისწინებული ყოველთვიური ხარჯვა სრულიად არ შეესაბამებოდა რეალურ მოთხოვნებს. წინასწარ ვერ შეიმუშავეს მრეწველობის მობილიზაციის გეგმა და გერმანიის შესაძლო თავდასხმის რაიონებიდან უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტების სწრაფი ევაკუაციის ღონისძიებები. უაღრესად რთულ პირობებში მოუხდა საფრანგეთის მრეწველობას სამხედრო ლიანდაგზე გადასვლა. გერმანელების მიერ ოკუპირებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ დეპარტამენტებზე ომის წინ მოდიოდა საფრანგეთის ქვა-

ნახშირის მოპოვების, თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმის, მანქანათ-მშენებლობისა და მაუდის, შალისა და შაქრის წარმოების ნახევრი-დან სამ მეოთხედამდე. ამ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონის დაკარგვამ აუცილებელი გახადა ცენტრალურ და სამხრეთ საფ-რანგეთში ძველი საწარმოების გაფართოება და ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

მრეწველობის გასამხედროებას თან ახლდა, ერთი მხრივ, ბურ-ჟუაზიის შემოსავლის მკვეთრი ზრდა და, მეორე მხრივ, პროლეტა-რიატის რეალური ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის მნიშვ-ნელოვანი გადიდება. მთავრობის წევრები და სათანადო სახელმწი-ფო უწყებათა მოხელეები, რომლებიც ყოველგვარი წინასწარი გეგ-მისა და მომზადების გარეშე ახორციელებდნენ მრეწველობის მო-ბილიზაციას, აღმოჩნდნენ არა მარტო არაკომპეტენტურნი, არამედ მნიშვნელოვანწილად არაკეთილსინდისიერნიც, ისინი უშვებდნენ მრავალრიცხოვან უხეშ შეცდომებს და საკმაოდ ხშირად, პირადი გამდიდრების მიზნით, მიდიოდნენ ბურჟუაზიულ კანონმდებლობი-თაც კი დაუშვებელ გარიგებებზე მეწარმეებთან.

ომის დასაწყისში ჯარში გაიწვიეს მუშების უმრავლესობა. მაგ-რამ მალე ნათელი გახდა, რომ სამხედრო მრეწველობის გასაფარ-თოებლად აუცილებელია კვალიფიცირებული კადრების დიდი რაო-დენობა, ამიტომ მობილიზებული მუშების ნაწილი კვლავ დააბრუ-ნეს საწარმოებში. ეს მუშები ითვლებოდნენ „ქარხნებში მივლინე-ულ“ სამხედრო მოსამსახურეებად, რომლებზეც ვრცელდებოდა სამხედრო დისციპლინა და ოფიცერთა ზედამხედველობა. „მივლი-ნებულნი“ მოკლებულნი იყვნენ მათი მატერიალური მდგომარეო-ბის დაცვის ყოველგვარ უფლებებს და მცირეოდენი უკმაყოფილე-ბის გამოვლენის შემთხვევაშიც კი მათ ფრონტზე აგზავნიდნენ. კა-პიტალისტებისათვის იაფი სამუშაო ძალის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ ქალებიც, რომელთა რაოდენობამ მხოლოდ სამ-ხედრო ქარხნებში 1917 წლის მიწურულისათვის 400 ათასს მიაღ-წია. მათი ხელფასი მამაკაცებთან შედარებით ორჯერ და სამჯერ ნაკლები იყო.

მუშათა ექსპლუატაციის გადიდებისა და საგანგებო ღონისძიე-ბათა შედეგად საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მოახერხეს სამ-ხედრო წარმოების გაფართოება; მაგალითად, 1915 წლის აპრილი-სათვის საარტილერიო ჭურვების გამოშვება ომამდელთან შედარე-ბით ექვსჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საავი-აციო და ქიმიურმა მრეწველობამაც. წარმოების კონცენტრაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, რასაც თან ახლ-

და კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციის გაძლიერება, მაინც ვერ დააძლევინა ფრანგულ იმპერიალიზმს ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთის 10 დეპარტამენტის დაკარგვის შედეგები: ომის უკანასკნელ წელსაც საფრანგეთის მრეწველობის პროდუქციის საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა ომამდელი დონის 60%-ს. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა საფრანგეთში ქვანახშირის ნაკლებობა, თუმცა ამ პრობლემის დასაძლევად ინტენსიურად დაიწყეს მინერალური სათბობის მეორეხარისხოვანი საბადოების დამუშავება და ჰიდროელექტროსადგურების აგება.

უდიდესი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობაც. მობილიზაციის შედეგად სამუშაო ძალას მოკლებული წვრილგლეხური მეურნეობები ჩანაგდებოდა. ომის წლებში გაიზარდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა შეესყიდა ძვირად ღირებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სასუქები. 1916 წლის შემოდგომაზე გამოცემული კანონით, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უფლება მიიღო ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის ჩამოერთმია დაუმუშავებელი მიწები და გადაეცა იგი მსხვილი მესაკუთრეებისათვის.

მესამე რესპუბლიკა განიცდიდა სურსათის მწვავე ნაკლებობას; მაგალითად, საფრანგეთს ყოველწლიურად ესაჭიროებოდა 86 მლნ ტ ხორბალი, სოფლის მეურნეობა კი ომის წლებში ვერ იძლეოდა 58 მილიონ ტონაზე მეტს. სწრაფად იზრდებოდა ინფლაცია და გასაყიდი ფასები სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონელზე. მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემა საფრანგეთში შემოიღეს მხოლოდ 1917 წლიდან.

ეკონომიურ სიძნელეთა დასაძლევად აუცილებელი გახდა დეფიციტური პროდუქციის საზღვარგარეთიდან შემოტანა. თუკი 1914 წლის აგვისტოში საფრანგეთის იმპორტის მოცულობა უდრიდა მხოლოდ 1,2 მილიონ ტონას, 1916 წლის მიწურულში ყოველთვიურმა იმპორტმა მიაღწია 5 მილიონს. საზღვარგარეთიდან საქონლის შემოზიდვა აწყდებოდა გერმანიის წყალქვეშა სავების აქტიურ წინააღმდეგობას. ომის დაწყებისთანავე, წელიწადნახევრის განმავლობაში გერმანელებმა ჩაძირეს 28 ფრანგული გემი, რომელთა საერთო წყალწყვა აღემატებოდა 0,2 მილიონ ტონას. მნიშვნელოვნად დაზარალდა მესამე რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტიც; სარკინიგზო ტვირთბრუნვა ომის დროს განახევრდა.

პირველმა მსოფლიო ომმა დიდად დააზარალა ფრანგული იმპერიალიზმის საფინანსო სისტემაც. ომით გამოწვეული საგარეო ვაჭ-

რობის პასიური ბალანსის დასაფარავად საფრანგეთი იძულებული გახდა აშშ-დან ესესხა 2,9 მილიარდი დოლარი. 1917 წლის ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ კი ფრანგ ბურჟუაზიას დააკარგვინა რუსეთში გატანილი უზარმაზარი კაპიტალი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ოპორტუნისტული ზედაფენისა და პროფკავშირების ანარქისტული ხელმძღვანელობის გადასვლამ „თავისი ქვეყნის" ბურჟუაზიის მხარეზე, საშუალება მისცა ფრანგულ იმპერიალიზმს მოეხდინა მუშათა მოძრაობის დეზორგანიზება. მესამე რესპუბლიკის ბურჟუაზიული ადმინისტრაცია სოციალ-შოვინისტების დახმარებით ავლენდა და დაუყოვნებლივ აგზავნიდა ფრონტზე რევოლუციურად განწყობილ სოციალისტებსა და მუშებს. ფაბრიკა-ქარხნებში ომის დაწყების შემდეგ კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილ მუშების ადგილს პროფესიულად არასათანადოდ კვალიფიცირებული და პოლიტიკურად ნაკლებგამოცდილი ქალები, მოზარდები და უცხოელები იკავებდნენ.

პროლეტარიატის ძირეული ინტერესებისადმი საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირთა ბელადების ღალატმა და მუშათა კლასის შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი შესუსტება: 1914 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე საფრანგეთში მოეწყო მხოლოდ 17 გაფიცვა, ხოლო გაფიცულთა საერთო რაოდენობამ ათას კაცსაც კი ვერ მიაღწია. მაგრამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნივთიერი მდგომარეობის გაუარესება და ბურჟუაზიის მიერ საკუთარი თავშეუკავებელი გამდიდრებისათვის ომის გამოყენება, მუშების ჩამორჩენილ ფენებშიც კი აღვივებდა კლასობრივ შეგნებას. 1915 წელს საფრანგეთში საგაფიცვო მოძრაობამ დაიწყო გაძლიერება და 1916 წელს გაფიცვების რიცხვმა გადააჭარბა სამასს, ხოლო გაფიცულთა რაოდენობამ ორმოციათასს მიაღწია. უშედეგოდ დამთავრდა მთავრობის ცდაც — სავალდებულო არბიტრაჟისა და მთელი რიგი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებების გზით შეეფერხებინა საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი აღმავლობა.

ჯარისკაცების, ინტელიგენციისა და, საერთოდ, სახალხო მასების რევოლუციური შეგნების ზრდაზე მეტყველებდა ანრი ბარბიუსის წიგნის „ცეცხლის" წარმატება მკითხველთა მრავალრიცხოვან წრეებში. ანრი ბარბიუსმა თავის წიგნს მისცა დღიურის სახე. 1916 წელს, მოწინავე ხაზზე, სანგრებში დაწერილი ეს წიგნი ამხელდა ომის გამჩაღებელთა ბინძურ ზრახვებს, ნათელყოფდა მსოფლიო

ომის იმპერიალისტურ ხასიათს. ამ რევოლუციური წიგნის პოპულარობა ააშკარავებდა თუ როგორ თავისუფლდებოდნენ მოსახლეობის ფართო ფენები ომის პირველი წლების შოვინისტური თავბრუდახვევისაგან.

ანტისამხედრო განწყობილებებისა და საგაფიცვო მოძრაობის ზრდა აძლიერებდა ოპოზიციას სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირების შოვინისტურ-ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის მიმართ. მაგრამ საფრანგეთში რევოლუციურ-მარქსისტული ტრადიციების სისუსტის გამო ამ ოპოზიციას სათავეში ჩაუდგნენ ჟ. ლონგე და ცენტრისტები. ცენტრისტები განაგრძობდნენ „სამშობლოს დაცვის“ ბურჟუაზიული ლოზუნგის მხარდაჭერას, უარყოფდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ რევოლუციური გზით ბრძოლას და იფარგლებოდნენ „ზავის დადების მიზნით მთავრობაზე ზემოქმედების მოხდენის“ მოთხოვნით.

საფრანგეთის ცენტრისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ციმერვალდისა (1915, სექტემბერი) და კინტალის (1916, აპრილი) კონფერენციებში. ისინი მიემხრნენ ცენტრისტულ უმრავლესობას და გამოვიდნენ „ციმერვალდის მემარცხენის“ წინააღმდეგ. საფრანგეთში სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირების ოპოზიციის წარმომადგენლებმა 1916 წელს შექმნეს „საერთაშორისო ურთიერთობათა აღდგენის კომიტეტი“. ცენტრისტებისაგან შემდგარ ამ კომიტეტში რუსეთიდან ემიგრირებული ბოლშევიკებისა და პირადად ვ. ი. ლენინის დახმარებით დაიწყო მემარცხენე დაჯგუფების ჩამოყალიბება. ვ. ი. ლენინმა მჭიდრო კავშირი დაამყარა „საერთაშორისო ურთიერთობათა აღდგენის კომიტეტთან“ და მარქსისტულ-რევოლუციურ შეხედულებათა გავრცელების საქმეში ემიგრანტ-ბოლშევიკთა დასახმარებლად საფრანგეთში გააგზავნა ინესა არმანდი. ვ. ი. ლენინის მითითებით, ფრანგულ ენაზე ითარგმნებოდა ბოლშევიკური პარტიის მასალები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ.

1916 წლისათვის საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობა საბოლოოდ გაიყო სამ მიმდინარეობად.

მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტულ, სოციალ-შოვინისტურ მიმდინარეობას ხელმძღვანელობდნენ ტომა, სამბა, გედი და სხვები. ეს მიმდინარეობა ობიექტურად გამოხატავდა ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ მუშათა არისტოკრატიის ინტერესებს. მუშათა არისტოკრატია იდგა საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოზიციებზე, მონაწილეობდა კაპიტალისტური ნადავლის განა-

წილებისათვის ბრძოლაში და თავის პრივილეგიური მდგომარეობის განსამტკიცებლად დაინტერესებული იყო ომის მოგებაში.

ცენტრისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ ლონგე და სხვები. სოციალ-პაციფისტები ნიღბავდნენ მუშათა ინტერესების ღალატს. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს შესაძლებელი იყო სოციალისტური მოძრაობის ერთიანობის შენარჩუნება და, ამ საბაბით, კატეგორიულად ილაშქრებდნენ სოციალ-შოვინისტებთან კავშირის გაწყვეტის ბოლშევიკური მოთხოვნის წინააღმდეგ.

მემარცხენე მიმდინარეობა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მარსელ კაშენი, შედგებოდა, ძირითადად, „საერთაშორისო ურთიერთობის აღდგენის კომიტეტში" შემავალი კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეის ერთგული სოციალისტებისა და პროფკავშირული მოღვაწეებისაგან. ამ მიმდინარეობას, გარდა მოწინავე მუშებისა და გლეხებისა, ემხრობოდა ანტიმილიტარისტულად განწყობილი ჯარისკაცებისა და მეზღვაურების ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგნენ ომის უშუალო მონაწილენი— ანრი ბარბიუსი, პოლ ვაიან-კუტიურიე, ჟაკ დიუკლო და სხვები. მაგრამ ეს მემარცხენე მიმდინარეობა რჩებოდა ვიწრო პროპაგანდისტულ დაჯგუფებად, რომელიც ვერ ჩაუდგა სათავეში საფრანგეთში 1917 წელს დაწყებულ სახალხო მღელვარებას.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთში სახალხო მღელვარების გაძლიერებას. უშედეგოდ დამთავრდა მესამე რესპუბლიკის მმართველი წრეების პროპაგანდისტული კამპანია. იგი მიზნად ისახავდა დაერწმუნებინა საფრანგეთის მშრომელები, რომ თვითმპყრობელობის დამხობა დააახლოებდა რუსეთს „დასავლეთის დემოკრატიებთან" და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებდა აღმოსავლეთის ფრონტს.

მესამე რესპუბლიკის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა შეეშალა ხელი საფრანგეთის მოსახლეობისათვის, გასცნობოდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამოცდილებასა და შედეგებს. ფრანგი გენერლები განსაკუთრებით შეაშფოთა ცარიზმის მიერ 1916 წელს საფრანგეთში გამოგზავნილ რუსეთის არმიის ბრიგადებში ჯარისკაცთა საბჭოების შექმნამ. რუსული ბრიგადებიდან საფრანგეთის არმიასა და მოსახლეობაში რევოლუციურ და ანტისამხედრო შეხედულებათა გავრცელების შესაფერხებლად საფრანგეთის სარდლობამ ეს რუსული სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ გადაიყვანა ფრონტიდან ზურგში, მოახდინა მათი იზოლირება და შემდგომ ისინი განაიარაღა.

მაგრამ მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, მესამე რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა ვერ მოახერხეს შეეშალათ ხელი რუსეთიდან საფრანგეთში რევოლუციურ და ანტისამხედრო განწყობილებათა გავრცელებისათვის. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ზეგავლენით საფრანგეთში დაიწყო მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა. ომის გამოცხადებიდან 33 თვის მანძილზე არ გაფიცულა საფრანგეთში იმდენი მუშა, რამდენიც 1917 წლის მაისში. გაფიცვის მონაწილეები მოითხოვდნენ დემოკრატიული ზავის უმოკლეს ვადაში დადებას, ხელფასის გაზრდასა და სამუშაო დღის შემცირებას. 1917 წლის ივნისში მაისთან შედარებით გაფიცულთა რაოდენობა გაორკეცდა.

ანტისამხედრო განწყობილება თანდათან ვრცელდებოდა საფრანგეთის არმიისა და ფლოტის რიგით შემადგენლობაშიც. 1917 წლის აპრილში ტუნისის ერთ-ერთ ნავსადგურში აჯანყდნენ ჯავშნოსან „დანტონის“ მეზღვაურები. განსაკუთრებით გაძლიერდა მღელვარება საფრანგეთის არმიაში გენერალ ნიველის წინასწარგანწირული, ავანტიურისტული შეტევის შედეგად განცდილი მარცხის შემდეგ. ჯარისკაცები გამოდიოდნენ მეთაურთა მორჩილებიდან, აწყობდნენ მიტინგებს, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ დემოკრატიული ზავის დადებას. ფრონტსა და ზურგში ფართოდ გავრცელდა „ჯარისკაცის ათი აღთქმა“. ამ დოკუმენტის რევოლუციური ხასიათის ნათელსაყოფად საკმარისია გავეცნოთ თუნდაც ერთ, მაგალითად, მეათე აღთქმას: „დამთავრდეს ომი ზამთრის დადგომამდე. დაუყოვნებლივ დაიდოს ზავი ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე. გაიგზავნონ ფრონტზე ის დეპუტატები, სენატორები და ჟურნალისტები, რომლებიც ქადაგებენ ომის გაგრძელებას გამარჯვების მიღწევამდე“.

ზოგჯერ ცალკეულ ლეგიონთა დაუმორჩილებლობა გადადიოდა შეიარაღებულ აჯანყებაში. მაგალითად, 1917 წლის მაისში რამდენიმე ფრანგულმა ლეგიონმა სუასონის რაიონში მიატოვა ფრონტი და შეეცადა გაჭრილიყო პარიზისაკენ. ერთ-ერთი ლეგიონი სამხედრო წყობით მიუახლოვდა დედაქალაქს და გამართა ღამის ბრძოლა მთავრობის მიერ მის წინააღმდეგ გამოგზავნილ საკავალერიო ნაწილებთან. მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც იშვიათი იყო.

1917 წლის მარტში ანრი ბარბიუსმა შექმნა ომის მონაწილეთა ანტიმილიტარისტული რესპუბლიკური კავშირი. ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინური პარტიის არარსებობამ საფრანგეთში და დიდმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ ფრანგული ბურჟუაზიისა, რომელსაც ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ სოციალ-შოვინისტები, შეუძლებელი გახადა დაწყებული სახალხო მოძრაობის ძლევამოსილ რევოლუციაში გადაზრდა. მესამე რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა

მოახერხეს რევოლუციური მღელვარების ჩაქრობა: მათ პოლიციური ზომების გამოყენებით გათიშეს ერთმანეთისაგან ფრონტი და ზურგი, ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ჯარისკაცებისა და მშრომელების მატერიალური და საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნები და, ამავე დროს, სასტიკად გაუსწორდნენ პოლიტიკურ და ანტისამხედრო გამოსვლებს.

განსაკუთრებით დაუნდობელი და მასობრივი ხასიათი მიიღო საფრანგეთში რეპრესიებმა რუსეთში მომხდარ 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი წლის მანძილზე საფრანგეთის ბურჟუაზიამ სახელმწიფოში დაამყარა დიქტატორული რეჟიმი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა ანტისამხედრო და ანტიიმპერიალისტურ განწყობილებებთან ბრძოლის საქმეში.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ოპორტუნისტული ზედაფენისა და პროფკავშირების ანარქისტული ხელმძღვანელობის ღალატმა მუშათა კლასის ინტერესების მიმართ, და მათმა გადასვლამ შოვინისტურ პოზიციებზე, საშუალება მისცა საფრანგეთის ბურჟუაზიას ერის „საღმრთო ერთიანობის“ პოლიტიკის საფარველ ქვეშ დაერაზმა მესამე რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო მასები იმპერიალისტური ომის საწარმოებლად.

საომარი მოქმედების დაწყებისთანავე საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანული არმიების სწრაფმა შეჭრამ გაუადვილა საფრანგეთის ბურჟუაზიას დაეფარა თავისი ქვეყნის მშრომელებისათვის პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური, ორივე მხრივ უსამართლო ხასიათი და მესამე რესპუბლიკის მმართველი წრეების ჭეშმარიტი მიზნები და მისწრაფებები. საფრანგეთის ჟურნალისტიკისათვის უჩვეულო ერთგვაროვნებით, ფრანგული პრესა — დაწყებული სოციალისტური და პროფკავშირული გაზეთებით და დამთავრებული უკიდურესი მემარჯვენე რეაქციულ-შოვინისტური გამოცემებით — ერთხმად არწმუნებდა მკითხველებს, თითქოს მესამე რესპუბლიკა აწარმოებდა თავდაცვით, სამართლიან ომს მილიტარისტული და აგრესიული გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ.

მრავალრიცხოვანი ცნობები ოკუპირებულ ბელგიასა და ჩრდილოაღმოსავლეთ საფრანგეთში გერმანული მხედრიონის მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ კიდევ უფრო მეტად აღვივებდა ფრანგებს შორის ბრძოლის განგრძობის სურვილს. განსაკუთრებით ძლიერი იყო შოვინისტური განწყობილება საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიაში. საფრანგეთის ოფიციალური წრეები და პრესა ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ მოსახლეობაში ნაციონალისტური გრძნობების გასაძლი-

ერებლად. მაგალითად. 1915 წლის 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის მარსელიოზის ტექსტის ავტორ რუჟე დე ლილის ნეშტის გადასვენება ინვალიდთა სასლში მთავრობამ გადააქცია ნაციონალისტურ მანიფესტაციად. რომლის დროსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა პუანკარემ მოუწოდა ფრანგებს ებრძოლათ გერმანელთა წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

შვეიცარიაში მცხოვრებ დიდი ფრანგი მწერლის რომენ როლანისა და მის მცირერიცხოვან თანამოაზრეთა კეთილშობილური ცდა — დაეპირისპირებინათ ფრანგი ხალხის შეგნების მომწამლავი შოვინისტური განწყობილებისათვის ჰუმანიზმისა და პაციფიზმის პროპაგანდა, თითქმის უშედეგო აღმოჩნდა.

ფრანგული იმპერიალიზმი იყენებდა ყოველგვარ საშუალებას თავისი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიაზე გავლენის შესანარჩუნებლად. მასში ნაციონალისტური განწყობილების გასაძლიერებლად და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ზედაფენასთან დამყარებული კავშირის განსამტკიცებლად. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ვივიანის მთავრობაში შევიდნენ სოციალ-მოღალატეები — გედი და სამბა. 1914 წლის აგვისტოში ვივიანის რეორგანიზებული მთავრობა საფრანგეთის იმპერიალიზმმა აღჭურვა შეუზღუდავი ძალაუფლებით. რამდენიმე თვის განმავლობაში მესამე რესპუბლიკის დანარჩენმა უზენაესმა სახელმწიფო ორგანოებმა ფაქტიურად შეწყვიტეს თავიანთი საქმიანობა.

გერმანელების შეუნელებელმა წინსვლამ იმდენად დააფრთხო საფრანგეთის მმართველი წრეები, რომ 1914 წლის სექტემბრის დასაწყისში ისინი სასწრაფოდ გაეცალნენ პარიზს და თავი შეაფარეს ბორდოს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანელები დამარცხდნენ მარნას ბრძოლაში და ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო, 1914 წლის დეკემბერში პრეზიდენტი, დეპუტატთა პალატა, სენატი. მთავრობა და უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებები დაბრუნდნენ პარიზში. მინისტრები და დეპუტატები შეეცადნენ თავიანთი პანიკური საქციელი აეხსნათ გენერალ ჟოფრის მოთხოვნით — გადასულიყვნენ ბორდოში, რაზეც ამ უკანასკნელმა ირონიულად უპასუხა: „მართლაც მე თქვენ გირჩიეთ წასვლა, მაგრამ არ მირჩევია გაქცევაო“.

დეპუტატთა პალატისა და სენატის მუშაობა განახლდა მხოლოდ 1914 წლის მიწურულში. გადაწყდა — ომის დამთავრებამდე არ ჩაეტარებინათ არჩევნები საფრანგეთის პარლამენტში და 1915 წლის 12 იანვრიდან ყოველ კვირას ორი-სამი დღის განმავლობაში მოეწვიათ დეპუტატთა პალატისა და სენატის სხდომები. ზოგიერთი თანამედროვის აზრით, ამგვარი გადაწყვეტილებით საფრანგეთის პარ-

ლამენტის წევრებმა, რომელთაგან ორასზე მეტი უკვე მობილიზებული იყო არმიაში, აიცდინეს ფრონტზე წასვლა. ამიერიდან ყველა დეპუტატი რჩებოდა პარიზში, ხოლო მათ მიერ გაჩაღებულ იმპერიალისტურ ომში სიცოცხლე უნდა გაეწირათ საფრანგეთის რიგით მოქალაქეებს.

1914 წლის აგვისტოდან 1917 წლის სექტემბრამდე საფრანგეთში შეიცვალა სამი მთავრობა: ვივიანის, ბრიანისა და რიბოსი. გარდა მცირე გამონაკლისისა, სამივე სამინისტროში შედიოდნენ ერთი და იგივე პირები. ამ მთავრობების პოლიტიკური გეზი და პრაქტიკული საქმიანობა არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეს რადიკალური და სოციალისტური სამინისტროები, რომლებიც ეყრდნობოდნენ მუშათა ორგანიზაციების რეფორმისტულ ზედაფენას, საშუალებას აძლევდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიას საომარი მიზნებისათვის საფრანგეთის მუშების, გლეხებისა და წვრილი ბურჟუაზიის ძალების მობილიზაცია მოეხდინა, მაგრამ 1917 წლის შემოდგომისათვის მდგომარეობა შეიცვალა. საფრანგეთში დაწყებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ აღარ მისცა საშუალება სოციალ-მოღალატეებს — გედს, სამბასა და ტომას შესულიყვნენ 1917 წლის 13 სექტემბერს შექმნილ პენლევეს მთავრობაში.

მესამე რესპუბლიკის სათავეში მყოფმა ფრანგული ბურჟუაზიამ ჩათვალა, რომ პენლევეს სამინისტროსაც აკლია სიმტკიცე. ფრანგული იმპერიალიზმი სულ უფრო მეტად იხრებოდა დიქტატორული მთავრობის სასარგებლოდ. რუსეთში მომხდარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პენლევეს სამინისტრო გადადგა და 1917 წლის 13 ნოემბრიდან საფრანგეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა 76 წლის ჟორჟ კლემანსო. მან მთავრობის დეკლარაციაში გამოაცხადა: „მე თქვენს წინაშე გამოვდივარ შეუზღუდავი ომის ერთადერთი ზრახვით. ყველა მარცხმოსურნე — სამხედრო სასამართლოს! არავითარი პაციფისტური კამპანია! არც ღალატი, არც ნახევრად ღალატი! ჩემი დევიზია: ომი ყველგან, ომი საშინაო პოლიტიკაში, ომი საგარეო პოლიტიკაში. მე ვაგრძელებ ომს და განვაგრძობ ომს უკანასკნელ წუთებამდე. რომელნიც ჩვენ გამარჯვებას მოგვიტანენ“.

კლემანსომ საფრანგეთში დაამყარა ბურჟუაზიის შეუნიღბავი დიქტატურა. ძლიერი ხელისუფლების შექმნით, რომელიც ფართოდ მიმართავდა რეპრესიებს, მან დასძლია რევოლუციური კრიზისი ქვეყნის შიგნით და განაგრძო ომი გერმანიასთან. 1918 წლის ზაფხულში თავი იჩინა ანტანტისა და აშშ-ის სამხედრო-ეკონომიურმა უპირატესობამ გერმანულ ბლოკზე, რამაც განაპირობა საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება პირველ მსოფლიო ომში.

ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ვიდრე 1917 წლამდე აშშ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებდა. მსოფლიოზე ბატონობის ნომერი პირველი პრეტენდენტი ომში ჩაბმას არ ჩქარობდა.

მსოფლიოში უძლიერესი კაპიტალისტური ქვეყნის აშშ-ის კოლონიური სამფლობელოები ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით შეუდარებლად მცირე იყო. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, 1914 წელს ინგლისს ეკავა 33,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის კოლონიები, რუსეთს — 17,4 მილიონი, საფრანგეთს — 10,6 მილიონი, გერმანიას — 2,9 მილიონი, აშშ მხოლოდ — 0,3 მილიონი [1]. ცხადია, აშშ ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ-ის მრეწველობამ კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია. 1890—1913 წლების განმავლობაში ინგლისში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 7,2 მილიონიდან მხოლოდ 10,2 მილიონ ტონამდე, გერმანიაში — 4,6 მილიონამდე, 1914 წლისათვის აშშ აწარმოვა 30 მილიონამდე ტონა თუჯი, 32 მილიონ ტონამდე ფოლადი, დაამზადა 455 მილიონი ტონა ნახშირი. დიდი იყო მოსახლეობის მატებაც: 1914 წელს აშშ 96 მილიონ მოსახლეს ითვლიდა.

აშშ პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას კმაყოფილებით შეხვდა. ადგილობრივმა მონოპოლიურმა კაპიტალმა და მმართველმა წრეებმა გაითვალისწინეს ის დიდი მოგება, რომელსაც მათ ომი უქადდა. მმართველი წრეების ეს განწყობილება შესანიშნავად ჩამოაყალიბა აშშ-ის ელჩმა ლონდონში უოლტერ ჰაინს პეიჯმა. „ომი, — ამბობდა იგი, — გაახალისებს ჩვენს ზღვაოსნობას,... როგორც ჩანს, ომის დასასრულს აშშ მოიპოვებს მხსნელის ისტორიულ როლს, რაც პრეზიდენტ უილსონს, უდავოდ, უდიდეს შესაძლებლობებს მისცემს“. „ომი ჩვენ დაგვეხმარება როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ. 22, გვ. 324.

რად", — დაასკვნის პეიჯი. პრეზიდენტ უილსონისადმი 1914 წლის 9 აგვისტოს წერილში პეიჯი აღტაცებას გამოთქვამს „ევროპის მომავალ გაკოტრებასთან" დაკავშირებით.

ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ აშშ-ის ფინანსურ კაპიტალს უდიდესი წარმატება მოუტანა მსოფლიო მასშტაბით. პირველ ყოვლისა, მოიპოვეს არნახული, ფანტასტიკური მოგება, რომელიც აშშ-ს ომში მონაწილე ქვეყნებთან ვაჭრობამ მოუტანა. აშშ იყენებდა დიდ სახელმწიფოთა შორის ამტყდარ ომს და თვითონ ეპატრონებოდა მათ გასაღების ბაზრებსა და ხედლეულის წყაროებს, ავიწროებდა თავის ძირითად მეტოქეებს — გერმანიასა და ინგლისს. ამერიკელები მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში უომრად უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ, ვიდრე მეომარი ქვეყნები, რომლებიც ურთიერთ განადგურების ფასად ფაქტიურად პოზიციებს ამერიკის შეერთებულ შტატებს უთმობდნენ. პირველი მსოფლიო ომი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მეტად სასარგებლო ბიზნესად იქცა. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ამერიკელი მილიარდერები თითქმის ყველაზე მდიდარნი იყვნენ და გეოგრაფიულად ყველაზე უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ყველაზე მეტად გამდიდრდნენ. მათ თავიანთ მოხარკეებად გაიხადეს ყველა ქვეყანა, უმდიდრესი ქვეყნებიც კი. მათ მოხვეტეს ასეულ მილიარდობით დოლარი" [1]. კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე თავის გამოსვლაში (1920 წლის 19 ივლისს) ვ. ი. ლენინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამერიკის შეერთებული შტატების ზემოგებას, რომელიც მან ამ ომის შედეგად მიიღო: „ომით კი მარტოდმარტო ამ ქვეყანამ მოიგო სავსებით, დიდძალი ვალის მქონე ქვეყნიდან იგი მთლიანად გადაიქცა ისეთ ქვეყნად, რომ ახლა ყველა მისი მოვალეა" [2].

ომის დაწყებისთანავე „ნეიტრალური" ამერიკის შეერთებული შტატები ფაქტიურად ანტანტას მიემხრო. აშშ-ის მხარდაჭერა ანტანტის წარმატების ერთ-ერთი დიდი საწინდარი იყო. ანტანტასთან მისი თანამშრომლობა მრავალმა ობიექტურმა გარემოებამ განაპირობა.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ აშშ-ს ინგლისთან ჰქონდა ხანგრძლივი ფინანსური და ეკონომიური კავშირი, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიუხედავად. აშშ-ის ეკონომიურ აყ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილი ამერიკელ მუშებს, თხზ., ტ. 28, გვ. 57.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი, თხზ., ტ. 31, გვ. 256.

ვავებას ხელს უწყობდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის უზარმაზარი ბაზარი, სადაც იგი ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდებოდა, ვიდრე, ვთქვათ, გერმანულ ან იაპონურ ბაზრებზე. აშშ-ის ინგლისთან კონფლიქტს გამორიცხავდა კიდევ ერთი გარემოება: ამერიკელ დიპლომატთათვის ნათელი იყო, რომ ინგლისთან კონფლიქტის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო იაპონია-ინგლისის ფლოტის კავშირი, რაც მოჰყვებოდა შეერთებული შტატებისათვის ყველა მისადგომის ჩაკეტვა ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვ. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე აშშ-ის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ანტანტის ქვეყნებისათვის მუშაობდა, მათი სამხედრო და სასურსათო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს ფაქტორი ანტანტასთან კავშირს უფრო რეალურს ხდის, ამერიკის ბანკებმა ანტანტის ქვეყნებს უზარმაზარი სესხი მისცეს; ანტანტის გამარჯვება ამიერიდან მათი მთავარი საზრუნავი იყო.

გერმანიის გამარჯვება ომში შეერთებული შტატებისათვის ნაკლებ ხელსაყრელი იყო. ამ შემთხვევაში აშშ-ის მსოფლიო ბატონობის გეგმა ფაქტიურად განუხორციელებელი დარჩებოდა. ჯერ ერთი, გერმანიის, ანუ ერთი ქვეყნის გამარჯვება შექმნიდა ერთიან მსოფლიო იმპერიას, რაც გამორიცხავდა დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს, რაზეც აგებული იყო აშშ-ის მსოფლიო პოლიტიკა. ანტანტის გამარჯვების შემდეგ დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი დარჩებოდა და აშშ-ს საშუალება ექნებოდა ძველებურად გაეგრძელებინა ამ წინააღმდეგობებზე თამაში. ეს ე. წ. „წონასწორობის პრინციპი“ აშშ-ს მსოფლიო პოლიტიკაში მუდამ დიდ წარმატებებს ანიჭებდა. გამარჯვების შემდეგ გერმანია ხელთ იგდებდა ევროპას, მცირე აზიას, აფრიკას და სხვ. ამასთან ერთად, გერმანიას დიდი პრეტენზიები ჰქონდა სამხრეთ ამერიკის (განსაკუთრებით ბრაზილიის) მიმართ. ეს ვითარება აშშ-გერმანიის წინააღმდეგობის გამწვავების საკმაოდ დიდი ფაქტორი იყო. გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში გამორიცხული არ იყო გერმანიისა და იაპონიის კავშირი, რასაც შორეული აღმოსავლეთიდან აშშ-ის გამოდევნა მოჰყვებოდა. იაპონია-აშშ წინააღმდეგობა საკმაოდ მწვავე იყო. ვ. ი. ლენინი უკვე 1917 წელს წინასწარმეტყველებდა ამ ორ სახელმწიფოს შორის მომავალ დიდ ომს. აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იაპონია-გერმანიის ურთიერთობაში შესაფერისი ტენდენციები აშკარად ჩახდა. მართალია, იაპონია ანტანტის მხარეზე იყო და გერმანია ჩინეთიდან გამოდევნა, მაგრამ შანდუნის პროვინციის დაკავების შემდეგ იგი ფაქტიურად ომს დამთავრებულად თვლიდა. აშშ-ის მსგავსად იაპონიის კაპიტა-

ლის მაგნატები მეომარ ქვეყნებთან ვაჭრობის გზით ზღაპრულ მოგებას ღებულობდნენ. იაპონელი დიპლომატები ზოგიერთ ნეიტრალურ ქვეყანაში გერმანელ დიპლომატებთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ. როგორც ჩანს, მათი მეშვეობით იაპონია გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში მასთან დაახლოების გარკვეულ ნიადაგს ამზადებდა.

აი ფაქტორები, რომლებმაც „ნეიტრალური" აშშ ფაქტიურად ანტანტის ბანაკს დაუკავშირა. ამიტომ იყო, რომ აშშ-ის იდეოლოგები ომის დამწყებამდეთა განსაზღვრისას ანტანტოფილურ პოზიციაზე იდგნენ. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი უ. ს. დევისი 1914 წელს ამტკიცებდა, რომ ომი მოამზადეს და გააჩაღეს „პანგერმანისტებმა", რომელთაც სურთ შექმნან „ტევტონთა მსოფლიო იმპერია". გერმანელების მიზანია ყველაფერთან ერთად ხელთ იგდონ ლათინური ამერიკა. პანამა, — წერდნენ ამერიკელი ისტორიკოსები.

ამერიკის მშრომელი მოსახლეობა ომის მომხრე არ იყო. თვით პრეზიდენტის პირადი მეგობარი, ცნობილი დიპლომატი პოლკოვნიკი ჰაუზიც კი აღიარებდა ამას. 1915 წელს იგი წერდა: „ჩვენი მოსახლეობის 90%-ს არ სურს, რომ პრეზიდენტმა ჩვენ ომში ჩაგვაბას". ომის საწინააღმდეგო განწყობილება განსაკუთრებით ფართოდ იგრძნობოდა მუშებს, წვრილ ფერმერებსა და ქალაქის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ ელემენტებს შორის. მაგრამ აშშ-ში არ არსებობდა ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ამ მოძრაობის წარმართვა შეძლებოდა. ამიტომ იყო, რომ ომის საკითხში უპირატესობა იმპერიალისტურ-მილიტარისტული ძალების სასარგებლოდ გადაიხარა, ხოლო „დემოკრატიის ბურჯი", პრეზიდენტი ვუდრო უილსონი ფაქტიურად მათი მსახური აღმოჩნდა.

აშშ-ის იმპერიალისტებმა ომით შექმნილი ხელსაყრელი პირობების გამოყენება, პირველ ყოვლისა, ლათინურ ამერიკაში დამკვიდრებით დაიწყეს. ადრე მათ აქ ჰყავდათ კონკურენტები. პირველ მსოფლიო ომამდე ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში აშშ-ის მოქმედებას ერთგვარად ზღუდავდნენ საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვ. აშშ-ის კაპიტალი საკმაოდ ებრძოდა მათ, მაგრამ გარკვეულ ანგარიშს მაინც უწევდა. უდავო იყო, რომ აშშ-ს სურდა ლათინური ამერიკა თავის მონოპოლიურ სარბიელად გადაექცია, მაგრამ ეს მომავლის საქმე იყო. როგორც ვიცით, უკვე XX საუკუნის დამდეგს მან ამ გეგმის განხორციელებისათვის მრავალი რამ გააკეთა, ამჯერად მონროს დოქტრინა უფრო ფართოდ ესმოდათ: ევროპის ქვეყნებს უნდა აეკრძალოთ ამერიკაში არა მარტო ტერიტორიების, არამედ ახალი კონცესიების შეძენაც. ამის შედეგი იყო თუნდაც ის

ფაქტი, რომ 1913 წელს აშშ-ის მთავრობამ ხელი შეუშალა „ბრიტანეთის ნავთობის სინდიკატს“ მიეღო კონცესიები კოლუმბიის ტერიტორიაზე.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (და განსაკუთრებით ამ ომის შემდეგ, როცა ამერიკა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა) აშშ-მა დაიწყო ლათინური ამერიკის დამორჩილების დიდი გეგმის წარბშეუხრელად განხორციელება. ევროპელი კონკურენტები მას ჩამოსცილდნენ, წინააღმდეგობას ვეღარავინ უწევდა, მონროს დოქტრინა — „ამერიკა ამერიკელთათვის“, ანუ „ამერიკა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“ საბოლოოდ განხორციელდა. ომის შემდეგ ეს დოქტრინა ფრთებს ისხამს ახალი ვარიანტით: „მსოფლიო — ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

ამერიკელი ავტორის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, „რომლებიც ამერიკელი ჯარისკაცების, ბანკირებისა და ნავთობის მეფეების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან“, შეერთებულმა შტატებმა შექმნა „საკუთარი ირლანდია, საკუთარი ეგვიპტე და საკუთარი ინდოეთი“.

1913-20 წლების განმავლობაში აშშ-ის ვაჭრობა ამ ქვეყნებთან 400%-ით გაიზარდა. აქ ეკონომიურ შეჭრასთან ერთად (დოლარის პოლიტიკა) აშშ ახორციელებდა მათ პოლიტიკურ დამორჩილებასაც (დიდი ხელკეტის პოლიტიკა). აშშ-მა თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენას დაუმორჩილა ჰაიტი (1915 წელს ფაქტიურად განახორციელა მისი ოკუპირება), დომინიკანელთა რესპუბლიკა (1916). მან მოაწყო შეიარაღებული ინტერვენცია მექსიკაში. 1914 წელს მექსიკის პრეზიდენტი გერმანოფილი უერტა გერმანიის კრეისერით მექსიკიდან გაიქცა. აშშ-ის დახმარებით მექსიკელმა რეაქციონერებმა შეძლეს გლეხთა მოძრაობის ჩახშობა, რომელსაც ვილია და საპატა მეთაურობდნენ. 1916-17 წლებში აშშ-ის ჯარები მექსიკაში იმყოფებოდნენ, 1918 წელს ისინი სამჯერ შეიჭრნენ მექსიკის ტერიტორიაზე, 1919 წელს—ექვსჯერ. მექსიკა ფაქტიურად აშშ-ის პოლიტიკურ დიქტატს დაემორჩილა. შეერთებულმა შტატებმა თითქმის შეუზღუდავი კონტროლი დააწესეს ნიკარაგუაზე, კოსტა-რიკაზე და კარიბის აუზის თითქმის ყველა ქვეყანაზე. დანიას აშშ-ის ხელისუფლებამ 1916 წელს 25 მილიონ დოლარად ჩამოართვა (იყიდა) კუნძულები ვესტ-ინდოეთში. ამერიკის კაპიტალმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამხრეთ ამერიკის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ჩილე, პერუ, ეკუადორი, არგენტინა, ვენესუელა, ბრაზილია და სხვ.

1916 წელს პრეზიდენტ ვუდრო უილსონს რწმუნებანი უთავდებოდა. დემოკრატიული პარტია კვლავ უილსონის კანდიდატურის წა-

მოყენებას ფიქრობდა. დემოკრატებს წარმატების იმედი ჰქონდათ, რადგანაც თავისი პრეზიდენტობის ბოლო ორი წლის მანძილზე (1914-16) უილსონმა ამერიკის ფართო ფენებში პაციფისტის სახელი დაიმკვიდრა. ამასთან ერთად მას მიაწერდნენ დიდ დამსახურებას აშშ-ის კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და შემდგომი განვითარების (პროსპერიტი) საქმეში. კაპიტალიზმის აღმავლობა და სტაბილიზაცია ომის შედეგად შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა განსაზღვრეს. რაც შეეხება უილსონის პაციფიზმს, ეს გარემოებით ნაკარნახევი დროებითი მოვლენა იყო და არა მყარი პოლიტიკური პრინციპი. უილსონის პაციფიზმი შემდეგმა პირობებმა განაპირობა: 1. აშშ-ის იმპერიალისტებს მიაჩნდათ, რომ თავიდან ომში ჩაბმა საჭირო არაა, ეს უნდა მოხდეს გადამწყვეტ მომენტში, როცა ორივე მხარე არაქათგამოლეული იქნება. ასეთ შემთხვევაში აშშ აღმოჩნდებოდა მოვლენათა მსვლელობის სათავეში, ითამაშებდა მომრიგებელ შუამავლის როლს და თავის ექსპანსიონისტურ გეგმებს განახორციელებდა ნაკლები მსხვერპლის ხარჯზე; 2. აშშ ჯერ დიდი მასშტაბის სახმელეთო სამხედრო ოპერაციებისათვის მზად არ იყო. ევროპის ომის მასშტაბების შესაფერისი არმია მას არ ჰყავდა. საჭირო იყო დაახლოებით სამი წელი ამ ხარვეზის გამოსასწორებლად; 3. აშშ-ის მოსახლეობის ფართო ფენები ომის საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილნი. საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის იდეოლოგიური მობილიზება ომის სასარგებლოდ.

უილსონის პაციფიზმი აშშ-ის მოსახლეობის ფართო ფენებში მის ავტორიტეტს ზრდიდა. რაც შეეხება მსხვილი კაპიტალის მაგნატებს, მათ კარგად ესმოდათ უილსონის პაციფიზმის არსი და, ამასთან ერთად, ეს პოლიტიკა, როგორც აღვნიშნეთ, მათთვის დიდი მოგების უზრუნველყოფის საშუალებას იძლეოდა. ამიტომ უილსონის პაციფიზმს მსხვილი კაპიტალის მაგნატები უპერდნენ მხარს.

დემოკრატიული პარტია უილსონს მშვიდობის დამცველის ბურჯის როლში წარმოადგენდა. მას უწოდებდნენ „მშვიდობისათვის უანგარო მებრძოლს“ და „მსოფლიოს მოსამართლის“ ადგილს აკუთვნებდნენ. 1916 წლის არჩევნები ჩატარდა ლოზუნგით: „მან ჩვენ ომისგან გვიხსნა“.

რესპუბლიკელებმა პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენეს აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ჩარლზ ევენს იუზის კანდიდატურა. რესპუბლიკელთა ლიდერები თეოდორ რუზველტი და ლოჯი უფრო აგრესიულად იყვნენ განწყობილნი და ომის დაჩქარებას მოითხოვდნენ. ვუდრო უილსონმა არჩევნებში გაიმარჯვა (მან მიიღო 9.129.606 ხმა, იუზმა — 8.538.221).

მეორედ არჩევის შემდეგ უილსონი უფრო აქტიურად მოემზადა ომისათვის. აშშ-მა შექმნა ძლიერი სამხედრო მანქანა, შემოიღო საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1914 წლის დასაწყისში მას შეიარაღებული ჰყავდა სულ რაღაც 250 ათასი ჯარისკაცი. ომის დასასრულისათვის კი—თითქმის ხუთმილიონიანი ძლიერი არმია, აქედან 2 მილიონი ჯარისკაცი ევროპაში გადაიყვანა. ომის ფსიქოზის გაღვივებას დიდად შეუწყო ხელი გერმანელების მიერ შეუზღუდავი წყალქვეშა ომის გამოცხადებამ. ომის მომხრეები გერმანელების მიერ განხორციელებულ ულმობელ საზღვაო აქციებს მასებში ომის განწყობილების განმტკიცებისათვის იყენებდნენ. ამერიკელებში ანტიგერმანული განწყობილება განამტკიცა გერმანიის დაზვერვის მიერ აშშ-ის ტერიტორიაზე ფართო დივერსიული საქმიანობის განაღლებამ. გერმანიის სამხედრო ატაშეს ფრანც ფონ პაპენის ხელმძღვანელობით გერმანელები აშშ-ში აწყობდნენ მასობრივ აფეთქებებს ქარხნებში, ფაბრიკებში, საზღვაო ხომალდებზე, წამლავდნენ პირუტყვს, ანადგურებდნენ სურსათს და სხვ. დივერსიულ საქმიანობაში ფონ პაპენი ფართოდ იყენებდა გერმანული წარმოშობის ამერიკელ მოქალაქეებს.

ომის პროპაგანდას ეწეოდა რესპუბლიკური პარტია. განსაკუთრებით აქტიურობდა აშშ-ის ექსპრეზიდენტი თეოდორ რუზველტი. მისი თაოსნობით რამდენიმე დიდი მასშტაბის მილიტარისტული დემონსტრაცია- მანიფესტაცია მოეწყო. 1916 წლის მაისში ნიუ-იორკში გაიმართა სამხედროების, პოლიციელებისა და სახელმწიფო მოხელეების 150 ათასიანი მილიტარისტული დემონსტრაცია. მსგავსი დემონსტრაციები და მანიფესტაციები მოეწყო სხვა ქალაქებშიც. გერმანელების მიერ შეუზღუდავი წყალქვეშა ომის გამოცხადებამ და მათ მიერ გემების „არაბიკის“ და „სასეკსის“ ჩაძირვამ, რასაც ამერიკელ მოქალაქეთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ომის მომხრეთა პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა.

აშშ-ის პრესა, კინო, თეატრი, ბროშურები ომის განწყობილებას აღვივებდნენ. უილსონის ხელმეორედ არჩევიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ აშშ-ის საზოგადოებრივი აზრი უკვე ომის სასარგებლოდ იყო განწყობილი. ამერიკაში მიმდინარეობდა ომისათვის გრანდიოზული მზადება. შენდებოდა ახალი ძლიერი სამხედრო და საზღვაო ფლოტი, მრეწველობა სამხედრო ყაიდაზე იწყებდა გადასვლას. 1916 წლის აგვისტოს დამლევს (29. VIII) აშშ-ში შეიქმნა ეროვნული თავდაცვის საბჭო.

უილსონის მეგობარი და მრჩეველი ჰაუზი არწმუნებდა პრეზი-

დენტს აბსოლუტური ნეიტრალიტეტის არარეალურობაში; გარდა ამისა, აშშ-ს არ უნდა დაეშვა გერმანიის გამარჯვება. უილსონი მხარს უჭერდა ამ მოსაზრებას და გერმანიის წინააღმდეგ ომის ფართო სამზადისს ახორციელებდა. 1916-17 წლების მიჯნაზე პრეზიდენტმა მოსინჯა გერმანიასთან ომის გარეშე ურთიერთობათა მოგვარების შესაძლებლობა. გერმანიის მთავრობამ უილსონს საიდუმლოდ ამცნო თავისი საზავო პირობები. ბევრი რამ ისეთი, რაც აშშ-ის აშკარა პროტესტს გამოიწვევდა, გერმანელებს თავის პროექტში არ შეუტანიათ. მიუხედავად ამისა, აშშ-მა გერმანიის მოთხოვნები ზედმეტად პრეტენზიულად მიიჩნია და მათ უარყოფითად მოეკიდა. 1916 წლის 18 დეკემბერს პრეზიდენტმა სხვა მეომარ ქვეყნებსაც მიმართა წინადადებით—წამოეყენებინათ თავიანთი საზავო პირობები. პრეზიდენტი, როგორც ვხედავთ, შეუდგა მომრიგებელი მოსამართლის როლის შესრულებას. მას მხარი დაუჭირეს ევროპის ნეიტრალურმა ქვეყნებმა: 23 დეკემბერს—შვეიცარიამ, 26 დეკემბერს—შვედეთმა. 29 დეკემბერს — ნორვეგიამ და დანიამ. ლოიდ ჯორჯსა და საბოლოო გამარჯვების სხვა მომხრეებს გერმანიასთან მოლაპარაკების გაგონებაც კი არ სურდათ. „გამანადგურებელი დარტყმის პოლიტიკა", — ასე უწოდებდნენ ლოიდ ჯორჯის პოზიციას.

აშშ-ის ომში ჩაბმამდე ერთი თვით ადრე აშშ-ის ლონდონელი ელჩი პეიჯი სწერდა პრეზიდენტს: „როგორც ჩანს, ერთადერთი საშუალება შევინარჩუნოთ ვაჭრობაში ჩვენი ახლანდელი უპირატესობა და თავიდან ავიცილოთ პანიკა, გერმანიისათვის ომის გამოცხადებაა". ასევე ფიქრობდა პრეზიდენტიც. უილსონს ომში ჩაბმას უადვილებდა, აგრეთვე, შრომის ამერიკული ფედერაციის ლიდერების მხარდაჭერა. განსაკუთრებით უარყოფით როლს ასრულებდა გომპერსი. გომპერსმა და აშშ-ის პროფბიუროკრატიამ ყოველმხრივ დაუჭირეს მხარი ომის გაჩაღების პოლიტიკას. ისინი ამ შემთხვევაში ბანკირებთან, მრეწველებთან და, საერთოდ, ყველა მილიტარისტულ ძალასთან ერთად მოქმედებდნენ.

აშშ-ის ლიდერებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს რევოლუციურად განწყობილ მუშებს, ყვითელ პრესაში გამოვიდნენ შოვინისტური და ურაპატრიოტული მოწოდებით. ეხმარებოდნენ ევროპის სოციალ-შოვინისტებს საკუთარი მუშათა კლასის დათრგუნვის საქმეში. გომპერსი და აშფ-ის ხელმძღვანელობა მთავრობასთან ერთად ებრძოდნენ ომის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობდნენ მასებისათვის ომის ნამდვილი ხასიათი და მიზნები გაერკვიათ.

მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა მუშათა მოძრაობის ალაგმ-

ვას. შემოიღეს მკაცრი ცენზურა, კონგრესმა მიიღო უმკაცრესი კანონები „ბოროტგანმზრახველ სინდიკალიზმის“, „ჯაშუშობის“ წინააღმდეგ. ეს კანონები უპირატესად რევოლუციურად განწყობილი მუშების წინააღმდეგ იყო მიმართული. მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართავდნენ ლინჩის სამართალს, შოვინისტური ორგანიზაციები და ცნობილი კუ-კლუკს-კლანი თავს ესხმოდნენ ომის მოწინააღმდეგეებს. მუშათა მემარცხენე ლიდერების წინააღმდეგ ხშირად მიმართავდნენ შანტაჟისა და პროვოკაციების მეთოდს. ასეთი პოლიტიკის საუკეთესო მაგალითი იყო რევოლუციურად განწყობილი მუშების ტომ მუნისა და ბილინგსის საქმე. ამ მუშებს პრალი დასდეს, თითქოს მათ ყუმბარა ესროლეს „პატრიოტულ“ (მილიტარისტულ-შოვინისტურ) დემონსტრაციას სან-ფრანცისკოში. 60 მოწმეზე მეტი ადასტურებდა მათ უდანაშაულობას. ბრალდების მთავარი მოწმე ვინმე ოსმანსაც უკან მიჰქონდა თავისი ჩვენება. მიუხედავად ამისა, მუნის სიკვდილი მიუსაჯეს, ბილინგსს — სამუდამო საპყრობილე. ტომ მუნის დასაცავად ამერიკელ მმრომელებთან ერთად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (მათ შორის რუსეთის) პროლეტარიატი აღსდგა. ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტის ნიშნად მილიონიანი დემონსტრაცია გაიმართა. ტომ მუნი სიკვდილს გადარჩა.

მიუხედავად რეპრესიებისა და აშფ-ის მოღალატური პოზიციისა, მუშათა მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა. 1915 წელს მოეწყო 1405 გაფიცვა, 1916 წელს — 3786, გაფიცული იყო მილიონ ნახევარზე მეტი მუშა; 1917 წელს მოეწყო 4359 გაფიცვა, 1918 წელს — 3285. სულ გაიფიცა 1.235.459 მუშა. 1916 წელს გაიფიცა 350.000 რკინიგზელი მუშა, მთავრობა იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები და რკინიგზაზე 8-სათიანი სამუშაო დღე შემოეღო.

ამჯერად ომის წინააღმდეგ იბრძოდა ორგანიზაცია — „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები“. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია ანარქო-სინდიკალიზმის პოზიციაზე იდგა, მან ვერ შეძლო ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში თანამიმდევრული წარმატებებისათვის მიეღწია.

ომის საკითხში არათანამიმდევრულ პოზიციაზე იდგა ამერიკის სოციალისტური პარტია. აქ ომის მოწინააღმდეგეებთან ერთად შეიქმნა სოციალ-შოვინისტების ძლიერი ჯგუფი.

მემარცხენე სოციალისტები ახერხებდნენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების ორგანიზებას. აშშ-ის მთავრობა მათ წინააღმდეგ უსასტიკეს რეპრესიებს მიმართავდა. სოციალისტური მოძრაობის მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მათ შორის დებსი, ჰეივუდი, რუტენბერგი

და სხვ. უნივერსიტეტიდან დაითხოვეს ომის მოწინააღმდეგე ბევრი პროფესორი, რეპრესიები განიცადეს განათლების დარგის სხვა მუშაკებმაც.

ომის დაწყების შემდეგ აშშ-ის კაპიტალის მაგნატების პოზიციები ანტანტის ქვეყნებში უფრო მყარი გახდა. მაგალითად, მათ შეძლეს რუსეთის ბაზარზე გაბატონება და აქ ინგლისელთა შევიწროება. 1913 წელთან შედარებით აშშ-ის ექსპორტი რუსეთში 17-ჯერ გაიზარდა და 470,5 მილიონ დოლარს მიაღწია. რუსეთის ბაზარზე გაბატონდნენ ამერიკის ბანკები და მსხვილი ფირმები, მათ შორის: ნიუ-იორკის ნაციონალური საქალაქო ბანკი, „მორგანი და კომპანია" და სხვ. მათ მეფის მთავრობას დიდი სესხი მისცეს. თებერვლის რევოლუციის შემდგომ რუსეთში მომრავლდნენ სხვადასხვა ამერიკული მისიები, რომელთა ამოცანა იყო რუსეთის ეკონომიური დაკაბალება. კერენსკიმ აშშ-ის მონოპოლისტებს მისცა ნავთობისა და ქვანახშირის კონცენსიები ციმბირში, სახალინზე, ოქროს საბადოები ალტაიში და სხვ.

1917 წლის 3 თებერვალს აშშ-მა გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან, ხოლო 6 აპრილს, როგორც ვიცით, ომი გამოუცხადეს მას.

ომში ჩაბმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. ამიერიდან აქ აშშ იცავს „ღია კარებისა" და „თანასწორ შესაძლებლობათა" ტრადიციულ პოლიტიკას და თავისი დიდი ფინანსურ-ეკონომიური უპირატესობის შედეგად მნიშვნელოვნად ავიწროებს აქ ინგლისელებისა და ფრანგების მიერ ბრძოლით მოპოვებულ პოზიციებს.

პირველი მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა ხდება. კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიურმა და ფინანსურმა ცენტრმა ლონდონიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა. ამას პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლებაც მოჰყვა.

აშშ-ის სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე ეკონომიური უპირატესობის ფაქტმა ბანკირები და, მათთან ერთად, პოლიტიკური მოღვაწეები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამიერიდან საჭიროა საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკის იმპერიალიზმის გავლენის გაფართოება და განმტკიცება. ომში ჩარევის შედეგად აშშ საბოლოოდ გადაიქცა კრედიტორ სახელმწიფოდ. ომის დასაწყისში შეერთებულ შტატებში უცხოური ინვენსტიცია უდრიდა 4,5 მილიარდ დოლარს, ხოლო შეერთებული შტატების ინვენსტიცია საზღვარგარეთ — 2,5

მილიარდ დოლარს. ომის შემდგომ წლებში აშშ-ის ინვენსტიცია საზღვარგარეთ აღწევს 13 მილიარდ დოლარს, აგრეთვე კონცენტრირებულია ოქროს მსოფლიო მოპოვების 20%, ქვანახშირის — 52%, ნავთობის — 60%, ავტომობილების — 85%, ბამბის — 60%, ფოლადის — 66%. მარტო 48 მსხვილმა ტრესტმა 1916 წელს მიიღო 965 მილიონი დოლარის მოგება, ომის წინა სამი წლის საშუალო მოგებაზე 660 მილიონი დოლარით მეტი. სამრეწველო კორპორაციების სუფთა მოგება 1914 წელს უდრიდა 3.940 მილიონ დოლარს, 1918 წელს — 8.362 მილიონს. ომის მსვლელობისას ანტანტის ქვეყნების ვალები ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ კოლოსალურად გაიზარდა. მარტო ინგლისის ვალმა 850 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. 1921 წელს ევროპის ყველა ქვეყნის ვალმა შეერთებული შტატებისადმი 15 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ამრიგად, ის ამოცანები, რომლებიც ომში ჩაბმით აშშ-ის კაპიტალიზმმა დაისახა, გეგმაზომიერად სრულდებოდა. 1918 წელმა კიდევ უფრო განამტკიცა აშშ-ის პოზიციები, ხოლო ომის დამთავრებისას იგი აღწევს მიზანს. აშშ მთავარი არბიტრის როლში გამოდის და მსოფლიოს თავის სურვილებს უკარნახებს.

გერმანია პირველი მსოფლიო ომის წლებში

პირველი მსოფლიო ომი გერმანიისა და სხვა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ მტაცებლურ, იმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა. გერმანიის გაბატონებული კლასები შეეცადნენ განეხორციელებინათ მსოფლიოს გადანაწილების თავიანთი ადრინდელი გეგმები. საყურადღებოა ის, რომ ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლები, დიდი მაგნატები აქაც ინიციატორების როლში გამოვიდნენ — ისინი დაბეჯითებით მოითხოვდნენ მთავრობისა და მთავარსარდლობისაგან კოლონიურ დაპყრობათა განხორციელებას. ამგვარი გეგმები ომის პირველივე დღეებში წარმოადგინეს ა. ტისენმა, ე. კირდორფმა. ვ. რატენაუმ, ძმებმა როეხლინგებმა. ისინი უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობას მოითხოვდნენ საფრანგეთში, ბელგიაში. ლუქსემბურგში, რუსეთში, ახლო აღმოსავლეთში.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა ომის დროს

ომის დასაწყისში, ანტანტის მიერ განხორციელებული ბლოკადის შედეგად გერმანიის ეკონომიკა მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო ბაზრისაგან. გერმანიას ერთხანს კიდეც რჩებოდა შესაძლებლობა მიეღო საჭირო ნედლეული და სურსათ-სანოვაგე ევროპის მეზობელი ნეიტრალური სახელმწიფოებიდან. მაგრამ მალე ინგლისმა დაიწყო ნედლეულის იმპორტის მკაცრი ლიმიტირება ამ ქვეყნებში და იქიდან გერმანიაში უკვე ბევრი ვეღარაფერი შედიოდა.

გერმანიის მომარაგება სურსათითა და ნედლეულით მნიშვნელოვან პრობლემად გადაიქცა და მმართველმა წრეებმა სამხედრო წარმოების მაქსიმალურ გაფართოებასთან ერთად დაიწყეს ეკონომიური ცხოვრების სახელმწიფო რეგულირება. განმტკიცდა სამხედრო-სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც გერმანიაში ყველაზე განვითარებული ფორმით იყო ჩამოყალიბებული და ეკონომიკის მილიტარიზაციის ფრიად მაღალი დონით გამოირჩეოდა.

1914 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩამოყალიბდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში გერმანიის უდიდესი მრეწველები და ფინანსისტები შევიდნენ. ეს კომიტეტი სამხედრო სამინისტროსთან ერთად აწარმოებდა ნედლეულის აღრიცხვას, სუროგატების წარმოების ორგანიზაციასა და სამხედრო დაკვეთების განაწილების ცენტრალიზაციას. რაც უფრო ძლიერდებოდა ბლოკადა და მეტად იგრძნობოდა ნედლეულის სიმცირე, მით უფრო იზრდებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ნორმირება.

რეგულირება შეესატყვისებოდა მონოპოლიურ გაერთიანებათა ინტერესებს. მათ ჩაიგდეს ხელში კონტროლი სამხედრო დაკვეთების განაწილებაზე. ხდებოდა ერთი დარგის საწარმოთა იძულებითი გაერთიანება სინდიკატებში. ამ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ფინანსების სახელმწიფო მდივანი ბანკირი ჰელფერიხი. შემდგომში ყველა საწარმო დაიყო ორ კატეგორიად: პირველნი — რომელნიც მნიშვნელოვანნი იყვნენ სამხედრო თვალსაზრისით, და მეორენი, რომელნიც ასეთებად არ იყვნენ მიჩნეულნი. ნედლეულის, მუშების, მოწყობილობის უდიდესი ნაწილი, მილიონობით სუბსიდიები გადაეცემოდა ხოლმე სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან საწარმოებს. 1918 წლისათვის გერმანიაში დაიხურა 10 ათასზე მეტი წვრილი საწარმო და სახელოსნო.

მონოპოლისტები უკარნახებდნენ არმიას მათ მიერ არმიისათვის მიწოდებული საქონლის ფასებს. 1915 წლის მარტამდე გერმანია ომზე ყოველდღიურად 36 მლნ მარკას ხარჯავდა, შემდეგ კი 100 და მეტ მილიონ მარკასაც. ამ ზღაპრული თანხის უდიდესი ნაწილი მონოპოლისტების სეიფებში გროვდებოდა. კოლოსალური მოგებები მიიღეს კრუპმა, ტისენმა, სტინესმა და სხვებმა. ომის წლებში მილიონერების რიცხვი გერმანიაში ორჯერ გაიზარდა.

ომმა უმძიმესი სიდუხჭირე და შიმშილი მოუტანა გერმანელ ხალხს. პირველი ორი წლის განმავლობაში არმიაში მობილიზებულ იქნა 7 მლნ ადამიანი, რომლებიც იუნკრებისა და მონოპოლისტური ბურჟუაზიის დაპყრობითი გეგმების განხორციელებას სწირავდნენ თავს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1916 წლის დასასრულისათვის თითქმის ორჯერ შემცირდა. უკვე 1915 წელს შემოიღეს პურის ნორმა — დღეში 225 გრამი ფქვილი თითოეულ სულზე, ბარათები კარტოფილზე, ტანსაცმელზე და ა. შ. გლეხი ვალდებული იყო სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა თითქმის მთელი მოსავალი. შიმშილის მარწუხები მხოლოდ მშრომელთათვის იყო მძიმე, კაპიტალის-

ტები სპეკულანტურ ფასებში ახერხებდნენ საკვები პროდუქტების შოვნას.

მუშახელისა და ნედლეულის ნაკლებობამ სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ დაიკავა ბელგია, ჩრდილო საფრანგეთი და პოლონეთი, საგრძნობლად დაეცა ქვანახშირისა და რკინის მადნის მოპოვება, თუჯის, რკინისა და ფოლადის გამოდნობა. 1918 წელს გერმანიის მრეწველობის საერთო მოცულობა შეადგენდა 1913 წლის მოცულობის 57 პროცენტს. მუშების მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. სამხედრო დიქტატურაზე დაყრდნობით ბურჟუაზია ატარებდა ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკას, გაიზარდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

1916 წელს ივლის-ნოემბერში სომაზე ბრძოლების შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა ანტანტის მხარეზე გადავიდა, გერმანიაში შემუშავდა სამხედრო წარმოების ზრდის სულ ახალი პროგრამა — ე. წ. „ჰინდენბურგის პროგრამა“. მან ადამიანთა და მატერიალური რესურსების უკიდურესი დაძაბვა გამოიწვია და საბოლოოდ მოშალა ქვეყნის ისედაც შერყეული ეკონომიკა. 1916 წლის დეკემბერში შემოღებულ იქნა „სამამულო კანონი შრომითი ვალდებულების შესახებ“ მამაკაცებისათვის 16-დან 60 წლამდე.

მუშათა მოძრაობა

გერმანიის მშრომელთა დიდი უმრავლესობა ომის წინააღმდეგი იყო. 1914 წლის ივლისს გერმანიის სხვადასხვა სამრეწველო ქალაქებში ჩატარდა მასობრივი ანტიიმპერიალისტური მიტინგი-დემონსტრაციები.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული ლიდერები უკვე იმ დღეებში ამზადებდნენ ღალატს მუშათა კლასის მიმართ. 29 ივლისს პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელები ა. ზიუდეკუმის მეშვეობით საიდუმლოდ მოეთათბირნენ რაიხსკანცლერ ბეთმან-ჰოლვეგს და დაპირდნენ მთავრობას, რომ მხარს დაუჭერდნენ „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა პროლეტარიატის კლასობრივი მტრის მხარეზე გადავიდა. 2 აგვისტოს სოციალ-დემოკრატიული „თავისუფალი“ პროფკავშირების გენერალურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ომის განმავლობაში „სამოქალაქო ზავისა“ და გაფიცვების შეწყვეტის შესახებ. ხოლო 3 აგვისტოს რაიხსტაგის

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 97 ხმით 14-ის წინააღმდეგ დაადგინა ხმის მიცემა სამხედრო კრედიტებისათვის.

1914 წლის 4 აგვისტოს რაიხსტაგში 5 მილიარდიანი სამხედრო კრედიტის კენჭისყრის წინ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ამართლებდა გერმანიის მიერ წამოწყებულ იმპერიალისტურ ომს, სახავდა მას „თავდაცვით" და „განმათავისუფლებელ" ომად რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ამ დღეს მთელმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს. შემდეგაც, მთელი ომის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები — ფ. ებერტი, ფ. შაიდემანი, ა. ზიუდეკუმი, კ. ლეგინი და სხვანი მხარს უჭერდნენ გერმანიის იმპერიალიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას.

დიდად არ განსხვავდებოდა აშკარა სოციალ-შოვინისტების პოზიციისაგან ცენტრისტების—კ. კაუცკის, ჰ. ჰააზეს და სხვათა პოზიცია, რომელთაც ე. ბერნშტაინიც მიემხრო. ცენტრისტებიც ამტკიცებდნენ „სამშობლოს დაცვის" აუცილებლობას, ამართლებდნენ „სამოქალაქო ზავის" მოღალატურ პოლიტიკას. განსხვავება ამ ორ მიმდინარეობას შორის შედარებით ნათლად გამოიკვეთა მხოლოდ 1915 წლიდან, როცა მასების განწყობილების ზეგავლენით ცენტრისტებმა უარი თქვეს სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე. მაგრამ ამავე დროს სოციალ-პაციფისტები ქადაგებდნენ, რომ იმპერიალისტურ ომსა და იმპერიალიზმს შეიძლება ბოლო მოეღოს რევოლუციის გარეშე, მეომარი მხარეების შერიგებითა და ზავის დადებით „საერთო შეთანხმების" საფუძველზე, რომ ამგვარი ზავის დადებამდე გერმანელ მუშებს კვლავინდებურად უნდა ეზიდათ ომის ტვირთი.

რევოლუციურად განწყობილ მუშათა პროტესტს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გამოხატავდნენ მემარცხენე სოციალისტები რ. ლუქსემბურგის, კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგის, ვ. პიკისა და სხვათა წინამძღოლობით. 1914 წლის 2 დეკემბერს რაიხსტაგში ახალი სამხედრო კრედიტების განხილვის დროს 110 სოციალ-დემოკრატი დეპუტატიდან მხოლოდ კ. ლიბკნეხტმა მისცა ხმა კრედიტების წინააღმდეგ, რისთვისაც იგი ჯარში გაიწვიეს. მემარცხენეებმა ომის პირველივე დღეებიდან ინტერნაციონალისტური პოზიცია დაიკავეს და ბრალი დასდეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ ხელმძღვანელობას, მათ შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებსაც, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის პრინციპებისადმი ღალატში.

ეს ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით „ინტერნაციონალის" ჯგუ-

ფის სახელწოდება მიიღო, მის მიერ გამოქვეყნებულ არალეგალურ ფურცლებში ნიღაბს ხდიდა იუნკრების, ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის შოვინისტურ სიცრუეს იმის შესახებ, თითქოს გერმანიის მხრივ ომი „თავდაცვითი“ იყო. იგი გერმანიის პროლეტარიატს დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. „გერმანელი ხალხის მთავარი მტერი, — ნათქვამი იყო ერთ-ერთ ფურცელში, — გერმანიაშივე იმყოფება: ესაა გერმანული იმპერიალიზმი, გერმანული სამხედრო პარტია, გერმანული საიდუმლო დიპლომატია“.

„ინტერნაციონალის“ ჯგუფის გარდა გერმანიაში მოქმედებდნენ მემარცხენე სოციალისტების სხვა ჯგუფებიც, მაგრამ ისინი სუსტად იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა მასებთან, აყენებდნენ მცდარ მოთხოვნას მუშების გამოსვლის შესახებ პროფკავშირებიდან, რომელთაც სოციალ-შოვინისტები ხელმძღვანელობდნენ.

1916 წლის 1 იანვარს ბერლინში შედგა „ინტერნაციონალის“ ჯგუფის საერთოგერმანული კონფერენცია. მან წამოაყენა ლოზუნგი „ომი ომს“ და აგიტაციიდან აქტიურ რევოლუციურ მოქმედებაზე გადავიდა. მიიღეს გადაწყვეტილება რეგულარული „პოლიტიკური წერილების“ გამოშვების შესახებ. ხელმოწერა ამ „წერილებზე“ — „სპარტაკი“ — გადაიქცა ჯგუფის სახელწოდებად.

გერმანელი ინტერნაციონალისტები ამჟიდროებდნენ მუშათა კლასში რევოლუციურ ელემენტებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ნიღაბს ხდიდნენ მოღალატე სოციალ-შოვინისტებს, ხელმძღვანელობდნენ მუშათა საპროტესტო გამოსვლებს. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა გერმანელი ინტერნაციონალისტების მოღვაწეობას. იგი წერდა, რომ ისინი წარმოადგენენ „ერთადერთ სოციალ-დემოკრატებს გერმანიაში... ჩვენს ამხანაგებს, ყველა ინტერნაციონალისტური ელემენტის იმედს“ [1].

მაგრამ გერმანელ მემარცხენე სოციალისტებს ჯერ კიდევ გააჩნდათ სერიოზული თეორიული და პრაქტიკული შეცდომები. ისინი უარს ამბობდნენ სოციალ-დემოკრატების ოპორტუნისტულ უმრავლესობასთან ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტაზე, არ ესმოდათ მებრძოლი რევოლუციური პარტიის მნიშვნელობა. მათ ლოზუნგს „ომი ომს“ არ ახლდა მოწოდება იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ.

1916 წელს რ. ლუქსემბურგმა „იუნიუსის“ ფსევდონიმით არა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სოციალიზმი და ომი, თხზ., ტ. 21, გვ. 396.

ლეგალურად გამოაქვეყნა ბროშურა „სოციალ-დემოკრატიის კრიზისი“, რომელშიც წინანდებურად უარყოფდა პროგრესული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში. ვ. ი. ლენინმა სტატიაში „იუნიუსის ბროშურის შესახებ“ გააკრიტიკა გერმანელი ინტერნაციონალისტების ამგვარი შეცდომები. იგი მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში გარდუვალია კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები და დაასკვნიდა, რომ თვით „...ევროპაშიც კი არ შეიძლება იმპერიალიზმის ეპოქის დროს შეუძლებლად მივიჩნიოთ ეროვნული ომები“ [1].

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა რ. ლუქსემბურგის ერთ მნიშვნელოვან შეცდომასაც, რომელიც საერთოდ „სპარტაკის“ ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „იუნიუსი... სავსებით ვერ განთავისუფლებულა გერმანელ, თვით მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა „გარემოს“ გავლენისაგან, რომლებსაც ეშინიათ გათიშვისა, ეშინიათ ბოლომდე ნათლად ჩამოაყალიბონ რევოლუციური ლოზუნგები“ [2].

ვ. ი. ლენინი წერდა, ეს შეცდომები „...არ არის იუნიუსის პირადი ნაკლი, იგი შედეგია ყ ვ ე ლ ა გერმანელ მემარცხენეთა სისუსტისა, რომლებიც ყოველმხრივ გაბმულნი არიან კაუცკელთა პირმოთნეობის, პედანტობის, ოპორტუნისტებისადმი „მეგობრული განწყობილების ქსელში“ [3].

სიდუხჭირე, შიმშილი და ასეული ათასობით მსხვერპლი იწვევდა გერმანიის მშრომელი მასების თანდათანობით გამოფხიზლებას, რასაც ისინი სოციალ-შოვინისტების მიერ მათთვის თავსმოხვეულ „სამოქალაქო ზავის“ უარყოფამდე მიჰყავდა. თუ 1914 წლის დასასრულამდე მოეწყო სულ 26 ეკონომიური გაფიცვა, რომელშიც 2 084 მუშა მონაწილეობდა, 1916 წელს გაფიცულთა რაოდენობამ 12 ათასს მიაღწია. გაზაფხულზე ბერლინში ადგილი ჰქონდა მუშა-ქალების ანტისამხედრო გამოსვლებსაც.

ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ვითარდებოდა მასების გამემარცხენების პროცესი. 1915 წლის ივნისში სოციალ-დემოკრატიის ათასმა პარტიულმა და პროფკავშირულმა მუშაკმა ხელი მოაწერა „წერილს ფრაქციის პრეზიდიუმისადმი“. წერილის ავტორები პროტესტს აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პროფკავშირების

---

[1] ვ. ი. ل ي ن ي ن, იუნიუსის ბროშურის შესახებ, თხზ., ტ. 22, გვ. 393.
[2] იქვე, გვ. 403.
[3] იქვე, გვ. 404.

გენერალური კომისიის ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ „მთელ ხაზზე კლასობრივი ბრძოლისა და ზავისათვის სოციალისტური ბრძოლის გაშლას“. ცენტრისტმა ჰ. ჰააზეუარი თქვა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე და იგი სოციალ-შოვინისტმა ფ. ებერტმა დაიკავა. მაგრამ ყველაფერი ეს გარკვეული თვალთმაქცობა იყო ცენტრისტების მხრივ. ამავე დროს ისინი აქტიური მასობრივი მოქმედების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მოითხოვდნენ ზავისათვის ბრძოლის შეზღუდვას მხოლოდ საპარლამენტო გამოსვლებით.

1916 წლის 1 მაისს ბერლინში, პოტსდამის მოედანზე სპარტაკელებმა ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია მოაწყეს. კ. ლიბკნეხტი სიტყვით გამოვიდა და დემონსტრანტებს მოუწოდა: „ძირს ომი!“, „ძირს მთავრობა!“. იგი იქვე დააპატიმრეს და 4 წლით კატორღა მიუსაჯეს. რ. ლუქსემბურგი უკვე 1915 წლის მარტიდან იყო დაპატიმრებული. 1916 წელს საპირველმაისო დემონსტრაციები ჩატარდა, აგრეთვე, დრეზდენში, ლაიპციგში, იენასა და სხვა ქალაქებში; ივნისში ბერლინში, ბრემენში, შტუტგარტსა და სხვა ქალაქებში კ. ლიბკნეხტის დაპატიმრებასთან დაკავშირებით ჩატარდა საპროტესტო გაფიცვები და დემონსტრაციები.

შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვაანება გერმანიაში

ომის დაწყებას გერმანიაში სამხედრო დიქტატურის დამყარება მოჰყვა. სამოქალაქო ძალაუფლება ფაქტიურად ხელში აიღო უმაღლესმა მთავარსარდლობამ, რომელიც რაიხსკანცლერსაც დაუპირისპირდა და ხშირად მასაც კი ეკამათებოდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. გაუქმდა კონსტიტუციური გარანტიები, ბურჟუაზიული „თავისუფლებანი“. თუმცა რაიხსტაგი განაგრძობდა სხდომებს, მაგრამ მისი ფუნქციები შემოიფარგლა სამხედრო კრედიტებისა და სამხედრო კანონების დამტკიცებით. შემოიღეს საალყო წესები, ცენზურა და მკაცრი სასჯელი ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდლობის ირგვლივ გაერთიანდნენ უკიდურესად ანექსიონისტური იუნკრულ-ბურჟუაზიული პარტიები. „სოფლის მეურნეთა კავშირი“—მემამულეთა და გროსბაუერების იუნკრულ-კონსერვატიული პარტია და ნაციონალ-ლიბერალების პარტია, რომელიც მსხვილ სამრეწველო და ფინანსურ ბურჟუაზიას წარმოადგენდა, მოითხოვდნენ ომს გამარჯვებამდე, უზარმაზარი ტერიტორიული დაპყრობებით. ფართო ანექსიებს მოითხოვდა, აგრეთვე,

„ცენტრის“ პარტია, რომელიც კათოლიკურ მემამულეებს, ბურჟუაზიასა და კათოლიკე-მუშების ჩამორჩენილ ნაწილს ეყრდნობოდა. „პროგრესისტები“, რომლებიც საექსპორტო ვაჭრობასთან დაკავშირებული ბურჟუაზიის, აგრეთვე, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისა და ლიბერალური ინტელიგენციის ინტერესებს ასახავდნენ, შეღარებით უფრო შეზღუდულ ანექსიებს მოითხოვდნენ. მაგრამ მათი მოთხოვნის მასშტაბებიც დამოკიდებული იყო წარმატებებისაგან ფრონტებზე, წარუმატებლობის შემთხვევაში ეს მოთხოვნები რამდენადმე იკვეცებოდა.

წარუმატებლობამ და რევოლუციური მოძრაობის ზრდამ 1916 წელს ფრიად შეაშფოთა გერმანიის მმართველი წრეები. არმიამ ვერ შეძლო გადაელახა ფრანგების წინააღმდეგობა ვერდენთან 1916 წლის თებერვალ-დეკემბერში და 334 ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი დაკარგა ფრონტის ამ ვიწრო ზოლზე. ივლისის დასაწყისში ინგლის-საფრანგეთის არმიამ საპასუხო შეტევა დაიწყო მდ. სომაზე. შეტევა დაიწყო, აგრეთვე, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ფრონტმა, რამაც კატასტროფის პირას დააყენა ავსტრია-უნგრეთის არმია. 1916 წლის მაისში მარცხი განიცადა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმაც. ამ წარუმატებლობათა შედეგი იყო გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან გენერალ ერიხ ფონ ფალკენჰაინის გადადგომა და უმაღლესი მთავარსარდლობის სათავეში უკიდურესი მილიტარისტებისა და რეაქციონერების — გენერალური შტაბის უფროსის გენერლების პაულ ფონ ჰინდენბურგისა და პირველი გენერალ-კვარტირმაისტერის ერიხ ლუდენდორფის ჩადგომა.

იმპერიის მთავრობა შეეცადა პოლიტიკური მანევრირებით აეშორებინა მოსალოდნელი რევოლუციური აფეთქება. მაგრამ კონსერვატიულმა მილიტარისტულმა წრეებმა არ დაუშვეს პრუსიაში შეზღუდული საარჩევნო რეფორმის შემოღება. ჩაიშალა გერმანიის მთავრობის ცდაც, გამოეყენებინა პოლონელთა ანტირუსული განწყობილებანი „დამოუკიდებელი“ პოლონეთის გამოცხადებით რუსეთის იმპერიაში შემავალი პროვინციებიდან. 1916 წლის ნოემბერში „პოლონეთის სამეფოს“ გამოცხადებამ, თავის მხრივ, საფუძველი გამოაცალა მოლაპარაკებებს რუსეთთან სეპარატული ზავის შესახებ, რომლებიც 1916 წლის ივლისში დაიწყო. 1916 წლის 12 დეკემბერს გერმანიამ ნოტით მიმართა ნეიტრალურ ქვეყნებს, რომელშიც აცხადებდა, რომ მზადაა დაიწყოს საზავო მოლაპარაკებანი. მაგრამ ანტანტის ქვეყნებმა უარყვეს ეს „საზავო დეკლარაცია“.

„სამშვიდობო ინიციატივის“ ჩაშლამ გამოიწვია უკიდურესად აგრესიული წრეების გააქტიურება. მათი გავლენით გერმანიამ 1917

წლის იანვარში კვლავ დაიწყო შეუზღუდავი წყალქვეშა ომი. მაგრამ ამან გაამწვავა მისი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელმაც 1917 წლის 3 თებერვალს გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან, ხოლო იმავე წლის 6 აპრილს ომი კამოუცხადა მას.

გერმანიის მდგომარეობა უაღრესად მძიმე შეიქნა. 1917 წლის მარტში პურის ყოველდღიური ულუფა სულზე 170 გრამამდე შემცირდა. 1913 წელთან შედარებით 38 პროცენტით დაეცა სამრეწველო წარმოების დონე.

ომის საწინააღმდეგო მასობრივი მოძრაობა გერმანიაში სულ უფრო იზრდებოდა. მას ახალი ბიძგი მისცა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ.

ამ რევოლუციის შემდეგ გერმანიის დიპლომატიამ გადაწყვიტა რუსეთის ხარჯზე ანტანტასთან ზავის დადების შესაძლებლობის ნიადაგი მოესინჯა. კერძოდ, გათვალისწინებული იყო, რომ გერმანია მიიღებდა რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიას ნაცვლად მისი აფრიკული კოლონიებისა, რომლებიც ინგლისმა იგდო ხელთ; იგეგმებოდა ელზას-ლორენის საკითხის „მოწესრიგებაც“ ლორენის საზღვრის შესწორების ხარჯზე ამ ორი პროვინციის საფრანგეთისათვის დაბრუნების ნაცვლად. ასეთი გეგმები მოიწონეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელებმა, რომელთაც წამოაყენეს ძეომარი ქვეყნების სოციალისტების საერთაშორისო „საზავო“ კონფერენციის მოწვევის იდეა.

გერმანელმა სოციალ-შოვინისტებმა და ცენტრისტებმა, იმპერიის მთავრობასთან შეთანხმებით, გააჩაღეს მუშაობა. რათა ამგვარი კონფერენცია სტოკჰოლმში მოწვეულიყო. მაგრამ მასების რეაქცია რუსეთის რევოლუციაზე სულ სხვაგვარი იყო.

თებერვლის რევოლუციის გავლენით დაჩქარდა გერმანიის პროლეტარიატის იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო მოძრაობა. ეს მოძრაობა გადაიზარდა გრანდიოზულ პოლიტიკურ გაფიცვაში. რომლის საბაბად შეიქნა პურის კვირეული ულუფის შემცირება. 1917 წლის 16 აპრილს მუშაობა შეწყვიტა 300 ათასმა ბერლინელმა მეტალურგმა მუშამ. მუშებმა მოითხოვეს კ. ლიბკნეხტის განთავისუფლება, ამნისტია, დემოკრატიული თავისუფლებების აღდგენა და საალყო წესების გაუქმება. მათ მოსთხოვეს მთავრობას ზავის დადება ანექსიებისა და კონტრიბუციების გარეშე. ბერლინში დაიწყო პირველი მუშათა საბჭოების ჩამოყალიბება. იმავე დროს მიმდინარეობდა მეტალურგების გაფიცვა ლაიპციგში, ჰალეში, ბრაუნშვაიგში, მაგდებურში და სხვა სამრეწველო ქალაქებში.

სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების ოპორტუნისტულ ლიდერებთან კონტაქტში სამხედრო ხელისუფლებამ შეძლო „პატრიოტული“ პროპაგანდით, მუქარითა და რეპრესიებით, აქტიური მუშების გაგზავნით ფრონტზე აპრილის გრანდიოზული გაფიცვის ჩახშობა. მაგრამ რევოლუციური განწყობილების ჩახშობა მუშებს შორის უკვე შეუძლებელი იყო. გაფიცულთა რაოდენობამ გერმანიაში 1917 წელს 667 ათასს მიაღწია, ე. ი. 5-ჯერ მეტს, ვიდრე 1914 წელს.

მუშათა რევოლუციური განწყობილების ზრდამ გააღრმავა განხეთქილება აშკარა სოციალ-შოვინისტებსა და ცენტრისტებს შორის. იმ მიზნით, რომ თავიანთი გავლენა შეენარჩუნებინათ მუშა-სოციალისტებზე, რომლებშიც თანდათან ძლიერდებოდა მემარცხენე მისწრაფებები, კაუცკელები სულ უფრო ხშირად იჩენდნენ მოჩვენებით „ოპოზიციურობას“ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ. ჯერ კიდევ 1916 წლის მარტში რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში აშკარა განხეთქილება მოხდა. ცენტრისტებმა თავიანთი ფრაქცია ჩამოაყალიბეს „სოციალ-დემოკრატიული შრომითი თანამეგობრობის“ სახელწოდებით, ხოლო 1917 წლის აპრილში მოიწვიეს სოციალ-დემოკრატიული „ოპოზიციის“ საერთოგერმანული კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გადაწყდა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება. პარტიის სათავეში ისეთი გამოცდილი ოპორტუნისტები იდგნენ, როგორც კ. კაუცკი, ვ. დიტმანი, გ. ლედებური და სხვანი. ისინი წინანდებურად იცავდნენ იმპერიალისტურ ომში „სამშობლოს დაცვის“ იდეას და პარტიული ბრძოლის მთავარ ამოცანად სახავდნენ ბრძოლას რაიხსტაგში რეფორმებისა და ზავისათვის.

მუშა-სოციალისტები, რომლებიც ახალი პარტიის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ, ვერ გარკვეულიყვნენ ცენტრისტების პაციფისტური ლოზუნგების სიცრუეში. ამას ხელს უწყობდა სპარტაკელთა შეცდომები. „სპარტაკი“ შევიდა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ავტონომიური ორგანიზაციის უფლებებით და აქვე დარჩა 1918 წლის დასასრულამდე. „სპარტაკის“ ამგვარმა მოქმედებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მომწიფებული რევოლუციური კრიზისის პირობებში გერმანიის პროლეტარიატი რევოლუციური პარტიის გარეშე აღმოჩნდა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში და აპრილის გრანდიოზულმა გაფიცვამ გერმანიაში მძლავრად შეარყიეს იუნკრულ-ბურჟუაზიული იმპერია. მასების მღელვარებამ და ანტიმილიტარისტულმა გამოსვლებმა 1917 წელს „მაღალი წრეების“ ღრმა კრიზისი გამოიწვია.

კაიზერი ვილჰელმ II შეეცადა თავიდან აეცილებინა რევოლუციური აფეთქების საფრთხე. რაიხსკანცლერ ბეთმან-ჰოლვეგის რჩევით, იგი საადგომო მიმართვაში დაჰპირდა ხალხს, რომ „ომის შემდეგ“ პრუსიაში საყოველთაო-საარჩევნო უფლებას შემოიღებდა. ამან განხეთქილება გამოიწვია იუნკრულ-ბურჟუაზიულ ბლოკში. მონოპოლისტები, იუნკრები და პანგერმანისტული ორგანიზაციები ბრალს სდებდნენ რაიხსკანცლერს „ლიბერალიზმსა“ და უუნარობაში; ისინი ამტკიცებდნენ, რომ მთავრობას არ შესწევდა ძალა, ცხოვრებაში გაეტარებინა ანექსიონისტური პროგრამები და ომი დაეგვირგვინებინა „ძლევამოსილი ზავით“. ამავე დროს ზომიერმა და მერყევმა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა დაიწყეს თავმოყრა „ცენტრის“, „პროგრესისტებისა“ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გარშემო. „ცენტრის“ პარტია ახლა „ზომიერი“ ანექსიების პოზიციებზე გადავიდა.

არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა, კერძოდ ჰინდენბურგი და ლუდენდორფი, იუნკრები და პანგერმანისტები დაჟინებით მოითხოვდნენ რაიხსკანცლერის პოსტიდან ბეთმან-ჰოლვეგის დაუყოვნებლივ გადადგომას. მათი აზრით, ეს საჭირო იყო გერმანიაში რეაქციული სახელმწიფოებრივი რეჟიმის უცვლელობის შესანარჩუნებლად. ხანმოკლე მერყეობის შემდეგ, 13 ივლისს იმპერატორმა გადაყენა ბეთმან-ჰოლვეგი და კანცლერად დანიშნა უფერული პრუსიელი მოხელე გეორგ მიხაელისი. ამიერიდან მთელი პოლიტიკური ძალაუფლება გერმანიაში ფაქტიურად უმაღლესი მთავარსარდლობის ხელში გადავიდა, რაიხსკანცლერი მხოლოდ აფორმებდა ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის დიქტატორულ განკარგულებებს.

მძიმე ეკონომიური და სასურსათო მდგომარეობა, მოქანცულობა ომისაგან და მასების აღშფოთება მთავრობის უხეში, სოლდაფონური გადაწყვეტილებით — ეწარმოებინა „ომი გამარჯვებამდე“ — ხელახლა იწვევდა რევოლუციურ მღელვარებას მუშათა კლასში. ივნისის შუახანებში გერმანიის ათეულ ქალაქში იფეთქა სასურსათო მღელვარებამ. 16 ივლისს მუშაობა შეწყვიტა ლაიპციგის თხუთმეტმა ლითონდამმუშავებელმა ქარხანამ. 17 ივლისს ბერლინში მოეწყო ანტისამხედრო დემონსტრაცია ლოზუნგებით: „გაუმარჯოს კარლ ლიბკნეხტს!“, „ძირს ომი!“. რევოლუციური მღელვარება სულ უფრო მატულობდა.

არ გამართლდა წყალქვეშა ომზე დამყარებული იმედები. მან ძალიან დააზიანა, მაგრამ ვერ გაანადგურა ინგლისის ფლოტი. სამაგიეროდ, რეალური გახდა გერმანიის წინააღმდეგ ევროპის ფრონტზე ახალი მოწინააღმდეგის — დიდი ამერიკული არმიის გამოჩენა.

უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანიისათვის შეუძლებელია „ძლევამოსილი“ ზავის დადება ომის დასაწყისში წამოყენებულ შეუკვეცავ ანექსიონისტური პროგრამის საფუძველზე.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამომუშავებულიყო ახალი საზავო დეკლარაცია, რომელიც, ერთი მხრივ, დაამშვიდებდა გერმანიის მუშათა კლასს, ხოლო იმავე დროს შესთავაზებდა ანტანტას იმპერიალისტურ გარიგებას. მძაფრი პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ უკიდურეს და ზომიერ ანექსიონისტურ პარტიებს შორის 1917 წლის 19 ივლისს რაიხსტაგმა „ცენტრის“ პარტიის, პროგრესისტებისა და სოციალ-დემოკრატების ხმების უმრავლესობით მიიღო ე. წ. „საზავო რეზოლუცია“, რომლის ინიციატორი „ცენტრის“ ერთ-ერთი ლიდერი მ. ერცბერგერი იყო. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ რაიხსტაგს სურს „ზავი და შეთანხმება“ გერმანიისათვის „სიცოცხლისა და განვითარების“ უფლების შენარჩუნებით. რაიხსტაგის ეს რეზოლუცია ისე ელასტიურად იყო შედგენილი, რომ არ შეიძლებოდა მას დაპყრობებისათვის ხელი შეეშალა, თუ საომარი ვითარება ამას შესაძლებელს გახდიდა. „ამ რეზოლუციით, — სწერდა მიხაელისი კრონპრინც ვილჰელმს,—შეიძლება ისეთი ზავი დადო, როგორიც გსურს“.

რაიხსტაგის „საზავო რეზოლუცია“ ნიშანდობლივი იყო იმითაც, რომ იგი გამოხატავდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის, აგრეთვე ლიბერალური ინტელიგენციის ღრმა უკმაყოფილებას. ცხადი გახდა, რომ გერმანიის იმპერიალიზმი კარგავდა თავის სოციალურ დასაყრდენს მოსახლეობაში. 1917 წლიდან დაიწყო გლეხთა აღშფოთების სწრაფი ზრდა. ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას აღაშფოთებდა წვრილი საწარმოებისა და სახელოსნოების დახურვა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მიერ. მალე, როცა გერმანიის სამხედრო მეზღვაურთა აჯანყება დაიწყო, ნათელი გახდა, რომ რეჟიმი თავის სამხედრო დასაყრდენსაც კარგავდა.

ამ დროისათვის ომის საწინააღმდეგო განწყობილება ფართოდ გავრცელდა არმიასა და ფლოტშიც. აღმოსავლეთის ფრონტზე დაიწყო გერმანელი და რუსი ჯარისკაცების დაძმობილება. რუსი ჯარისკაცები უშუალოდ აცნობებდნენ გერმანელ ჯარისკაცებს რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მოთხოვნებს, რაც მათზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

სამხედრო გემებზე ნავსადგურ ვილჰელმსჰაფენში ჩამოყალიბდა მეზღვაურთა რევოლუციური ორგანიზაცია, რომლის სათავეში იდგნენ მეზღვაურები მაქს რაიხპიჩი და ალბინ კოებისი. ყველა გემზე შეიქმნა მეზღვაურთა სასურსათო კომისიები და სარდლობა იძულე-

ბული გახდა მიეცა მათთვის მეზღვაურთა კვების კონტროლში მონაწილეობის უფლება. ეს კომისიები წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს, რუსეთის მაგალითით, მეზღვაურთა საბჭოების შესაქმნელად. ივნისის შუახანებში მეზღვაურთა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება ებრძოლა დემოკრატიული ზავისათვის და მოემზადებინა აჯანყება. ორგანიზაციის წევრთა რაოდენობამ ამ დროს 4 ათასს მიაღწია. მაგრამ მეზღვაურებს ჯერ კიდევ სჯეროდათ ცენტრისტული ლიდერების დახმარებისა. ამით იყო გაპირობებული მათთან კავშირის დამყარება.

1917 წლის აგვისტოს დამდეგს სამხედრო ფლოტის გემებზე ვილჰელმსჰაფენში აჯანყება დაიწყო. რამდენიმე ამხანაგის დაპატიმრების საპასუხოდ, სახაზო გემ „პრინც-რეგენტ ლუიტპოლდის“ მეზღვაურები 2 აგვისტოს თვითნებურად გადმოვიდნენ ნაპირზე და დაიწყეს ბრძოლა დაპატიმრებულთა გასათავისუფლებლად. მეზღვაურთა მოძრაობა მოედო ვილჰელმსჰაფენში მდგარ სხვა გემებსაც.

მაგრამ მეზღვაურთა რევოლუციური მოძრაობა სასტიკად ჩახშვეს. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მათი ბრძოლა არ იყო დაკავშირებული მასობრივ მუშათა მოძრაობასთან. რაიხპიჩი და კოებისი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენ „მოთავეებს“ ყველას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ ამ მარცხმა ვერ დათრგუნა მეზღვაურთა რევოლუციური სულისკვეთება.

ფლოტზე მღელვარების ჩახშობის შემდეგ მოხდა რეაქციული წრეების კონსოლიდაცია. 1917 წლის სექტემბერში ადმირალმა ა. ფონ ტირპიცმა, ცნობილმა პანგერმანისტმა ვ. კაპმა და სხვათა ჩამოაყალიბეს ე. წ. „სამამულო პარტია“, რომელიც აერთიანებდა პანგერმანისტულ იუნკრულ დაჯგუფებებს, ფინანსური კაპიტალის უკიდურეს ანექსიონისტურ წრეებს, მსხვილი მრეწველობის მაგნატებს, ინტელიგენციის რეაქციული ნაწილის წარმომადგენლებს. მათი მიზანი იყო იმპერიალისტურ ომში შეუკვეცავი ანექსიონისტური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლა.

1917 წლის ნოემბრის დამდეგს მიხაელისი რაიხსკანცლერის პოსტზე შეცვალა 74 წლის გრაფმა გეორგ ფონ ჰერტლინგმა, „ცენტრის“ პარტიის მარჯვენა ფრთის ლიდერმა. მაგრამ არც „სამამულო პარტიის“ ჩამოყალიბებას, არც რაიხსკანცლერის შეცვლას აღარ შეეძლო რევოლუციური მოძრაობის აზვირთების შეჩერება.

რევოლუციური სულისკვეთების ზრდამ, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში, გერმანიის იმპერია 1918 წლის ნოემბრის რევოლუციისა და ახალი ეპოქის — კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ეპოქის კარიბჭესთან დააყენა.

ავსტრია-უნგრეთი პირველი მსოფლიო ომის წლებში

ავსტრია-უნგრეთის ეკონომიური მდგომარეობა ომის დროს

1914 წლის 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, ხოლო 6 აგვისტოს — რუსეთს. დუალისტური იმპერიის ეკონომიური მდგომარეობა ომის წლებში ძალიან მძიმე იყო. მუშების მასობრივმა გაწვევამ არმიაში მრეწველობის დეზორგანიზაცია გამოიწვია, რასაც აღრმავებდა ნედლეულისა და სათბობის მზარდი ნაკლებობაც. საზღვაო ბლოკადამ შეაჩერა სურსათ-სანოვაგის იმპორტი, ხოლო საკუთარი სასურსათო რესურსები კატასტროფულად შეამცირა. დაიწყო ინფლაცია, ავსტრიული კრონის კურსი განახევრდა.

ომის პირველსავე თვეებში მთავრობამ შექმნა ცენტრალური სახელმწიფო სამმართველოები ლითონის, შალეულის, ბამბის, ქიმიური მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის. 1914 წლის ნოემბერში შემოიღეს მტკიცე ფასები მარცვლეულზე, მომდევნო წლის იანვარში კი — საბარათო სისტემა სასურსათო საქონელზე. მაგრამ სასურსათო რეკვიზიციების სისტემის სიმძიმე ძირითადად საშუალო და წვრილ გლეხობაზე მოდიოდა, რაც მის უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა. სურსათისა და სამრეწველო საქონლის ნაკლებობა ხელს უწყობდა სპეკულაციის ზრდას.

ავსტრია-უნგრეთი, ისევე როგორც გერმანია, სამხედრო-სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის სისტემაზე გადავიდა. ომის წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა ავსტრია-უნგრეთის ფინანსური ოლიგარქიის პოზიციები. ამას ხელს უწყობდა სამხედრო სესხების გამოშვება, რაც მსხვილი ბანკების შემდგომი გამდიდრების წყაროდ გადაიქცა. ავსტრია-უნგრეთის სამხედრო-სახელმწიფო კაპიტალიზმი უფრო სუსტად ორგანიზებული და განვითარებული იყო, ვიდრე გერმანული. ეს განაპირობა ქვეყნის სამრეწველო განვითარების შედარებითმა სისუსტემ, მონოპოლიების რაოდენობის სიმცირემ, ეროვნულმა წინააღმდეგობებმა და სახელმწიფო აპარატის მოშლილობამ ჰაბსბურგთა მონარქიაში.

მძაფრი სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობებით მოცული ავსტრია-უნგრეთის არმია ომის დასაწყისიდანვე სისტემატურ მარცხს განიცდიდა. 1914 წლის სექტემბერში რუსეთის არმიამ გაანადგურა ავსტრია-უნგრეთის საუკეთესო ძალები და დაიკავა აღმოსავლეთი გალიცია. ძირითადად წარუმატებლად მოქმედებდა ავსტრია-უნგრეთის არმია სერბეთისა და იტალიის (იზონცოს) ფრონტებზეც. 1915 წელს რუსებმა პერემიშლი აიღეს და ტყვედ ჩაიგდეს 122 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 1916 წლის ივნის-ოქტომბერში რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის არმიების შეტევამ ავსტრია-უნგრეთის არმიის ახალი მძიმე მარცხი განიიცადა და მისი — უკვე ფორმალური დამორჩილებაც გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობისადმი.

ომი მთელი თავისი სიმძიმით ავსტრია-უნგრეთის მუშათა კლასს დაატყდა თავს. ფაბრიკები და ქარხნები მილიტარიზებული იყო, კოალიციებისა და გაფიცვის უფლებები გაუქმდა. საწარმოებზე დამყარებული საკატორღო რეჟიმის უმცირესი დარღვევისათვისაც კი მუშებს სამხედრო ტრიბუნალში აძლევდნენ, აგზავნიდნენ ფრონტებზე. ინფლაციამ ფასების ზრდა გამოიწვია, ხელფასი კი იგივე რჩებოდა, რაც ომამდე. მშრომელთა სასიცოცხლო დონე მნიშვნელოვნად დაეცა.

ომის გამოცხადების შემდეგ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობამ დაუფარავად გამოამჟღავნა თავისი შოვინისტური პოზიცია იმპერიალისტური ომის მიმართ. 4 აგვისტო — გერმანიის რაიხსტაგში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ სამხედრო კრედიტების მოწონების დღე — მან „გერმანელთა ეროვნულ დღედ“ გამოაცხადა და იმედი გამოთქვა, რომ „ომი გერმანელი ხალხის წმინდა საქმის წარმატებით დაბოლოვდებოდა“. ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა ორგანომ მხარი დაუჭირა გერმანიისა და ავსტრიის დიპლომატიასა და მხედრიონს და მოუწოდა მშრომელებს „დაეცვათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“. ავსტრიის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა კომისიამ მოიწონა მთავრობის მიერ კრებებისა და გაფიცვების აკრძალვა.

სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა წამლავდა ავსტრია-უნგრეთის მშრომელთა შეგნებას შოვინისტური პროპაგანდით, პანგერმანისტული იდეების ქადაგებით, ძირს უთხრიდა საერთაშორისო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ამან განაპირობა ომის პირველ პერიოდში რევოლუციური სუ-

ლისკკეთების შემდგომი ზრდის გარკვეული შეფერხება ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატში.

ომშმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრობის გაძლიერების წინაშე აიძულა მთავრობა დაეთხოვნა ყველა სლავური პოლიტიკური პარტია და ეროვნული ორგანიზაციები. აიკრძალა ჩეხური ენის გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში, დაიხურა ეროვნულ ენებზე გამოცემული გაზეთების უმრავლესობა. სლავური ეროვნული პარტიების პოპულარული ლიდერები დააპატიმრეს. მძევლებს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ, თუ მათი ეროვნების წრმომადგენლები „არალოიალურობაში" იქნებოდნენ შენიშნულნი. მოეწყო ჩეხი პოლიტიკური მოღვაწეების მასობრივი პროცესები პრაღაში, ბრნოსა და სხვა ქალაქებში.

განსაკუთრებით მძაფრი რეპრესიები ტარდებოდა ფრონტისპირა ზოლში — გალიციაში, ბუკოვინასა და კარპატების უკრაინაში. პროვოკაციული პროცესები „სახელმწიფო ღალატის" ბრალდებით ეწყობოდა იმპერიის სამხრეთსლავურსა და იტალიურ მიწებზე, სლოვაკიასა და ტრანსილვანიაში.

სლავური ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები საზღვარგარეთ გაიქცნენ. 1915 წელს უცხოეთში ჩამოყალიბებული „ჩეხური საზღვარგარეთული ეროვნული კომიტეტი" ტ. მასარიკისა და ე. ბენეშის ხელმძღვანელობით დაუკავშირდა ჩეხეთში შექმნილ არალეგალურ ეროვნულ ორგანიზაციებს. ჩამოყალიბდა აგრეთვე სამხრეთსლავური საბჭო ტრუმბიჩის ხელმძღვანელობით. ეს ემიგრანტული ორგანიზაციები შემდგომში გადაიქცა „ეროვნულ საბჭოებად", რომლებიც თავიანთი ერების სახელით მოქმედებდნენ აშშ-სა და ანტანტის ქვეყნებში.

ეროვნული ჩაგვრისა და ტერორის გაძლიერებას ავსტრია-უნგრეთის სლავი ხალხები მთავრობის ღონისძიებების მიმართ მზარდი წინააღმდეგობით უპასუხებდნენ. ჩეხი და სამხრეთსლავი ჯარისკაცები მასობრივად ბარდებოდნენ ტყვედ რუსებს, ანტანტის სახელმწიფოთა მთავრობები ტყვე-ჩეხებისა და სერბებისაგან ქმნიდნენ ეროვნულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ანტანტის ჯარებში „ოთხთა ბლოკის" წინააღმდეგ ბრძოლებში ებმებოდნენ.

შინაპოლიტიკური კრიზისი ავსტრია-უნგრეთში

ომის დასაწყისში ავსტრიის მთავრობამ დახურა რაიხსრატი და დაამყარა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი. დაიხურა ცალკეული მიწების ყველა ლანდტაგიც. კონსტიტუციური გარანტიები გაუქმდა-

პოლიტიკური საქმეები განსაკუთრებულ, საგანგებო სამხედრო ტრიბუნალებს გადაეცემოდა ხოლმე. მაგრამ სახრჩობელებმა, ციხეებმა და ხაკონცენტრაციო ბანაკებმა ვერ გადაარჩინეს ჰაბსბურგთა დინასტია. 1916 წლის მეორე ნახევარში ავსტრია-უნგრეთში სრულიად აშკარად გამოვლინდა იმპერიის ღრმა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები. საალყო მდგომარეობის რეჟიმმა, მძიმე რეკვიზიციებმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტერორის გზით ჩახშობამ აამხედრა ჩაგრულ ეროვნებათა ის ფენებიც, რომლებიც აქამდე არც კი ფიქრობდნენ ჰაბსბურგთა მონარქიასთან სახელმწიფოებრივი კავშირების სრულ გაწყვეტაზე.

ეკონომიური და პოლიტიკური ძალადობით, გერმანიის დიქტატით, ტერორისტული რეჟიმით გამოწვეული უკმაყოფილება და მისწრაფება ზავისაკენ სულ უფრო აისახებოდა ხალხის მასების საპროტესტო მოძრაობაში. სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების მოღალატე ლიდერებისადმი მიმართული კრიტიკა მწვავე ხასიათს იღებდა. ამან განაპირობა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში „მემარცხენე“ ფრთის შექმნა ფრიდრიხ ადლერის (ვიქტორ ადლერის შვილის) ხელმძღვანელობით. მაგრამ ავსტრიისა და უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში წარმოშობილ მემარცხენე ჯგუფებს ცენტრისტული ან ანარქო-სინდიკალისტური შეცდომები ჰქონდათ.

მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის გამოვლინება იყო 1916 წლის 21 ოქტომბერს სოციალ-დემოკრატ ფრიდრიხ ადლერის მიერ მკვლელობა ავსტრიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გრაფ შტიურგკისა, რომელიც წრესგადასული ტერორისა და რეაქციული დიქტატურის პოლიტიკას ატარებდა. ამ აქტს, ცხადია, არაფერი შეუცვლია. დიქტატორული რეჟიმის შესანიღბავად მთავრობამ მხოლოდ და მხოლოდ რაიხსრატი მოიწვია.

სულ უფრო მძაფრდებოდა კრიზისი უნგრეთშიც. უნგრეთის მთავრობის სათავეში იდგა ნაციონალური შრომის პარტიის ლიდერი გრაფი იშტვან ტისა. ეს პარტია მსხვილი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა, სდევნიდა მუშებს, დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. ტისას მთავრობა მხარს უჭერდა გერმანიის იმპერიალიზმის ყველა დაპყრობით გეგმას, მოითხოვდა მასთან კავშირის განმტკიცებას.

1916 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა 86 წლის იმპერატორი ფრანც-იოზეფი — ჰაბსურგთა რეაქციული ტრადიციების ბურჯი. ტახტი დაიკავა ახალგაზრდა ერცჰერცოგმა კარლმა. იგი გამოუცდელი, სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო, რომელიც ნახევრად ლიბე-

რალურ იდეებთან ერთად „ჰაბსბურგთა სახლის დიდების“ აღდგენაზე იცნებობდა.

ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს შინაპოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. დუალისტური მონარქიის შერყეულ შენობას ვეღარ განამტკიცებდა სახელმწიფო მოღვაწე რეფორმების ფართო პროგრამითაც კი, არათუ ფეოდალური ტრადიციების აღდგენაზე მეოცნებე სუსტი იმპერატორი.

უდიდესი გავლენა მოახდინა ავსტრია-უნგრეთის მშრომელ მასებზე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში. მან ხელი შეუწყო სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ აღმავლობასაც. მეტად ძლიერი და მწვავე ანტისაომარი დემონსტრაციები და საგაფიცვო მოძრაობა გაიშალა ჩეხეთში, შტირიაში, თვით ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. გაფიცული მუშები გამოდიოდნენ ქუჩებში ლოზუნგებით: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“ მუშათა გამოსვლებს მთავრობა ტყვიითა და ხიშტებით უპასუხებდა.

ბაგრამ ამავე დროს მმართველ წრეებში დაბნეულობა და პანიკა დაიწყო, რადგან პოლიციურ ტერორსა და ადმინისტრაციულ რეპრესიებს უკვე აღარ შეეძლოთ მშრომელთა მასების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის შეჩერება. 1917 წლის 12 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ჩერნინი შეშფოთებული სწერდა იმპერატორ კარლს, რომ რუსეთის რევოლუციის შთაბეჭდილების ქვეშ მონარქიის მოსახლეობა სულ უფრო იმსჭვალება რევოლუციური იდეებით. იმისათვის, რომ არ დაეშვათ რევოლუციის დაწყება ავსტრია-უნგრეთში, ჩერნინი ურჩევდა იმპერატორს, რაც შეიძლება მალე დაედო ზავი. 1917 წლის გაზაფხულზე ავსტრია-უნგრეთი შეეცადა კიდეც ეწარმოებინა მოლაპარაკება საფრანგეთთან სეპარატული ზავის თაობაზე. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

1917 წლის 1 მაისი ავსტრიელმა მუშებმა ომის დაწყების შემდეგ პირველად აღნიშნეს ძლიერი გაფიცვებით. 30 და 31 მაისს დიდი დემონსტრაციები მოაწყვეს პრაღის მუშებმა. ისინი მოითხოვდნენ სურსათით უზრუნველყოფას და ჩეხეთისათვის ეროვნული თვითგამორკვევის მინიჭებას. 6 ივნისს პრაღაში ჩამოყალიბდა არალეგალური მუშათა ცენტრალური საბჭო, რომელიც მუშათა ბრძოლას ხელმძღვანელობდა ომისა და ავსტრიის რეაქციის წინააღმდეგ. აგვისტოს შუა რიცხვებში გაფიცვების ახალი ტალღა დაიწყო ბრნოში, პლზენსა და ჩეხეთის სხვა ქალაქებში.

ავსტრია-უნგრეთის არმიის მარცხი ფრონტებზე, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი აღმავლობის შედეგად შინაპოლიტიკური კრიზისის გაღრმავება სულ უფრო აახლოებდა დუალისტური იმპერიის კრახს.

იტალია პირველ მსოფლიო ომში

1915 წლის 4 მაისს იტალიის მთავრობამ თავისი ელჩის მეშვეობით ვენაში ოფიციალურად განაცხადა, რომ წყვეტდა ავსტრია-უნგრეთთან მოლაპარაკებას და „ძალადაკარგულად" თვლიდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ამ აქტის შემდეგ მოსალოდნელი იყო მალე ომის გამოცხადებაც.

გერმანული ბლოკის თვალსაზრისით, აუცილებელი იყო გარკვეული დროით მაინც შეეფერხებინათ იტალიის გამოსვლა. საქმე ისაა, რომ ავსტრია-უნგრეთმა და გერმანიამ სწორედ ამ დღეებში წამოიწყეს დიდი შეტევა რუსეთის ფრონტზე და, სავსებით ბუნებრივია, მოკავშირეები ცდილობდნენ დროებით თავიდან აეცილებინათ იტალიის მხრივ რაიმე გართულება. გერმანიის გენერალურმა შტაბმა დაჟინებით მოსთხოვა თავის დიპლომატებს, „ყველა საშუალება" გამოეყენებინათ, რათა იტალიის გამოსვლა 11 მაისამდე მაინც გადაედოთ.

ფონ ბიულოვი და მისი ენერგიული თანაშემწე ერცბერგერი შეუდგნენ სამხედრო ხელისუფალთა დაკვეთის შესრულებას. მიზნის მისაღწევად, მათი აზრით, ორი საშუალება არსებობდა: ერთი — ავსტრია-უნგრეთის მხრივ დათმობების განხორციელებით იტალიის მთავრობის საომარი განწყობილების შეჩერება; მეორე — სალანდრას კაბინეტის დამხობა ჯოლიტისა და მისი მომხრეების დახმარებით.

ვიდრე ბერლინის ხელმძღვანელები დასძლევდნენ ვენელი მეგობრების წინააღმდეგობას, ფონ ბიულოვმა 10 მაისს, რომში საკუთარ ვილაში მოიწვია ავსტრიის ელჩი მაკიო. ფონ ბიულოვმა აიძულა იგი ხელი მოეწერა დოკუმენტებზე, რომლებშიც ავსტრია-უნგრეთის სახელით იტალიას მნიშვნელოვან დათმობებს სთავაზობდნენ. ეს დათმობები კი მრავალმხრივ შეესაბამებოდა იტალიის მოთხოვნებს.

10 მაისს, ღამით, ვიდრე ამ წინადადებათა თაობაზე ავსტრიის მთავრობის მოსაზრებას შეიტყობდნენ, დოკუმენტი გადასცეს სა-

ლანდრასა და სონინოს. ამაზე ადრე ავსტრიის დათმობათა მონახაზი აცნობეს აგრეთვე ვატიკანსა და ჯოლიტის. ამ უკანასკნელმა მოისურვა იგი თან ჰქონოდა მეფესთან აუდიენციის დროს.

ავსტრიის მთავრობა მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. გერმანელთა უხეში წაქეზების შედეგად იგი იძულებული გახდა უკანა რიცხვით ხელი მოეწერა ფონ ბიულოვის მიერ ნაკარნახევ პირობებზე. ამასთან ავსტრია-უნგრეთი თანხმდებოდა გადაეცა იტალიისათვის მისთვის დათმობილი მიწები არაუგვიანეს ერთი თვისა, როგორც კი საზღვრების დამდგენი შერეული კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს დაამტკიცებდა.

9 მაისს რომში სასწრაფოდ ჩავიდა ჯოლიტი. მეფესთან და სალანდრასთან საუბრისას იგი ამტკიცებდა, რომ იტალია ვერ გაუძღებს გაჭიანურებულ ომს, რომ არ შეიძლება არმიაზე დაყრდნობა. რომ იტალიაში მოსალოდნელია ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის შემოჭრა და რევოლუცია. რაც შეეხება იმ ვალდებულებებს, რომლებიც იტალიის მთავრობამ ანტანტის წინაშე იკისრა, ჯოლიტი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ამ ვალდებულებებზე უარი ეთქვათ პარლამენტის მეშვეობით.

ჯოლიტის მხარი დაუჭირა პარლამენტის მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ. როცა იგი რომში ჩამოვიდა, 300-ზე მეტმა დეპუტატმა და 100 სენატორმა სოლიდარობის ნიშნად მას თავისი სავიზიტო ბარათები, წერილები და დეპეშები გაუგზავნა. ეს ფაქტი მაშინვე ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ავსტრია-უნგრეთის დათმობები ფართოდ იქნა რეკლამირებული გერმანული და ნეიტრალური პროპაგანდის მიერ; ამან კიდევ უფრო გაამძაფრა პოლემიკა ომის პარტიასა და მშვიდობის მომხრეთა შორის. ნეიტრალისტები აღფრთოვანებით მიესალმნენ ავსტრია-უნგრეთის დათმობებს და მიიჩნიეს იგი მშვიდობიანი შეთანხმების სავსებით დამაკმაყოფილებელ საფუძვლად.

ინტერვენციონისტები, პირიქით, გადაჭრით ილაშქრებდნენ ავსტრიასთან მშვიდობიანი შეთანხმების წინააღმდეგ და აშკარად აკრიტიკებდნენ ავსტრია-გერმანიის ბლოკთან ნეიტრალიტეტის შენარჩუნების პოლიტიკის მომხრეებს. „არავითარი შეთანხმება!", — მოუწოდებდა ბისოლატი ერთ-ერთ თავის სტატიაში. ეს „ბოროტმოქმედებაა!", — კვერს უკრავდა მას მუსოლინი.

მაგრამ მეომარი ანტიანტერისტების ამ მოწოდებათა მიუხედავად ავსტრია-უნგრეთთან მშვიდობიანი შეთანხმების სასარგებლო განწყობილება სულ უფრო იზრდებოდა. მმართველი ზედაფენა დაბნეულობამ მოიცვა. სალანდრა-სონინოს კაბინეტმა გადადგომა გადა-

წყვიტა. გადადგომის მოტივად ჩათვალეს ის გარემოება, რომ „მთავრობის ხაზს საერთაშორისო პოლიტიკაში ერთსულოვნად არ უჭერდნენ მსარს კონსტიტუციური პარტიები". ამას კი, როგორც სალანდრა აღნიშნავდა, „მოითხოვდა ვითარების მთელი სერიოზულობა".

ნეიტრალისტები გამარჯვებას ზეიმობდნენ. სალანდრას მთავრობა დაემხო, ზეიმობდა „ავანტი" — „სახეზეა სრული კრახი", — წერდა იგი.

ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას, თავის მხრივ, აწყობდათ შექმნილი მდგომარეობა. ჩანდა, რომ მათი საქმე გამარჯვებით გვირგვინდებოდა. „ცა მშვენიერი, ლაჟვარდოვანია", — იტყობინებოდნენ იტალიიდან დაშიფრულ ცნობებში გერმანელი და ავსტრიელი აგენტები.

მაგრამ ნეიტრალისტთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. „ომის მთავრობის" გადადგომა არ ნიშნავდა სამხედრო პარტიის სრულ კაპიტულაციას. ეს ალბათ მანევრი იყო, განხორციელებული პარლამენტზე ზემოქმედებისათვის.

სალანდრას სამინისტროს გადადგომის პასუხად ინტერვენციონისტებმა დარაზმეს მთელი ძალები და გააფთრებულ იერიშზე გადავიდნენ. ინტერვენციონიზმის მეთაურთა წაქეზებით ქუჩებში გამოეფინა მოსწავლე ახალგაზრდობა. მათ შეუერთდნენ ინგლისელი და ფრანგი აგენტების მიერ მოსყიდულთა მცირერიცხოვანი ჯგუფები. მსვლელობის მონაწილენი ტერორით ემუქრებოდნენ ნეიტრალიტეტის მომხრეებს, სწვავდნენ ნეიტრალისტულ და გერმანოფილურ გაზეთებს. მოაწყვეს გერმანული მაღაზიებისა და კანტორების დარბევა. ინტერვენციონისტული მანიფესტაციები მიმდინარეობდა „პოპოლო დე იტალიისა" და „იდეა ნაციონალეს" ფურცლებიდან ნასესხები ლოზუნგებით: „ომი ან რევოლუცია!", „ძირს პალატა!", „ძირს ავსტრია!", „გაუმარჯოს სალანდრას", „სიკვდილი ჯოლიტის" და ა. შ.

ბურჟუაზიულმა ნეიტრალისტებმა სწრაფად დაიწყეს უკან დახევა და ამით გამოამჟღავნეს თავიანთი მერყეობა და უსუსურობა. ისინი ცდილობდნენ დარჩენილიყვნენ საპარლამენტო ბრძოლის „კონსტიტუციურ ჩარჩოებში". მათ ვერ გაბედეს მოეწოდებინათ ხალხისათვის ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოციალისტურმა პარტიამ ამ მშფოთვარე დღეებში გადამჭრელი ზომები არ მიიღო. მშრომელთა ცალკეული კონტრდემონსტრაციები არაორგანიზებულ, სტიქიურ ხასიათს ატარებდა. საყოველთაო გაფიცვის დაწყების იდეა შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში მოკალათებულ რეფორმისტთა წინააღმდეგობას აწყდებოდა.

როცა ხათელი გახდა, რომ ჯოლიტიანელებისა და სოციალისტების მხრივ არ იყო მოსალოდნელი რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა, შეფემ უარყო სალანდრას მთავრობის გადადგომა და 16 მაისს იგი ხელისუფლებას დაუბრუნდა. სამეფო კარის მიერ ომის მომხრეებისათვის აშკარა მხარდაჭერამ საბოლოოდ გატეხა ბურჟუაზიული ნეიტრალისტების ოპოზიცია. 17 მაისს ჯოლიტიმ დატოვა რომი. ეს ფაქტი მოასწავებდა ომს მოწყურებული იმპერიალისტური ოლიგარქიის წინაშე ნეიტრალიტეტის ბურჟუაზიულ მომხრეთა სრულ კაპიტულაციას.

მხოლოდ ახლა, როცა იტალიის ომში მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა 19 მაისს შეიკრიბა ბოლონიაში და დაიწყო შექმნილი ვითარების განხილვა. პარტიის ხელმძღვანელთა შორის თავი იჩინა ღრმა უთანხმოებამ. მემარჯვენეები ომს უკვე მომხდარ ფაქტად თვლიდნენ. ამიტომ არ უცდიათ ხელი შეეშალათ ბურჟუაზიისათვის ომის წარმოებაში, არც მემარცხენეებს წამოუყენებიათ კონკრეტული წინადადებები; საბოლოოდ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ყველა პროვინციულ ფედერაციას მისცა უფლება ომის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა ის ზომები, რომლებსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ. „ჩვენ არ შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენი მტრების ძალადობას", — განაცხადა პარტიის ხელმძღვანელობამ. ასე მოაწერა ხელი სოციალისტურმა პარტიამ საკუთარ პოლიტიკურ უძლურებას.

იმის ნაცვლად, რომ გაემხნევებინა მშრომელები და ბრძოლისაკენ მოეწოდებინა, სოციალისტურმა პარტიამ თავი დამარცხებულად გამოაცხადა, განზე გადგა და გადაწყვიტა იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის ანგარიში ომის დამთავრების შემდეგ გაესწორებინა. ეს კაპიტულაცია იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ პარტია უარს აცხადებდა თავის ამოცანაზე — ესარგებლა ომით და დაემხო ბურჟუაზიის ბატონობა. ომისადმი დამოკიდებულების საკითხში იტალიის სოციალისტური პარტიის პოზიციამ გამოხატულება პოვა ფორმულაში: „არც მონაწილეობა, არც საბოტაჟი".

იტალიის ომში ჩაბმა მემარჯვენე ძალთა გამარჯვებას, ხალხზე რეაქციის გამარჯვებას ნიშნავდა.

23 მაისს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს. სალანდრა-სონინოს მთავრობამ, რომელიც თავისი საერთაშორისო პოლიტიკური კონცეფციის ერთგული იყო, ომი გამოუცხადა მხოლოდ ავსტრია-უნგრეთს და არა ანტანტის „ყველა" მოწინააღმდეგეს. გერმანიის მიმართ იტალიის მთავრობა შემოიფარგლა მხო-

ლოდ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით. ამასთან, იტალიასა და გერმანიას შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება, რომლის ძალითაც გერმანიის ქვეშევრდომებს იტალიაში და იტალიის ქვეშევრდომებს გერმანიაში ეძლეოდათ პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტია, „ორივე ქვეყანაში მოქმედი კანონისა და იურიდიული ნორმების შესაბამისად". ამრიგად, იტალიასა და გერმანიას შორის დროებით შენარჩუნებული იყო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა და გერმანიას კვლავ შეეძლო თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა იტალია. იტალიამ გერმანიას ომი მხოლოდ 1916 წლის აგვისტოში გამოუცხადა.

ავსტრია-უნგრეთთან ომის წარმოება იტალიას რთულ სტრატეგიულ პირობებში მოუხდა. იტალია-ავსტრიის საზღვარი ძირითადად მთის რაიონებში გადიოდა, ამასთან ავსტრიელებმა მოასწრეს კარგად გაემაგრებინათ იტალიის საზღვართან მდებარე ყველაზე უფრო დაუცველი ადგილები. გარდა ამისა, ადრიატიკაში სლავურ მიწებზე თავისი აგრესიული მისწრაფებების გამო იტალიამ დაკარგა სერბეთის მხარდაჭერა და თავის წინააღმდეგ აიმხედრა ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები სამხრეთსლავური მოსახლეობა. ეს გარემოებანი სერიოზულად ართულებდა იტალიის არმიის მდგომარეობას. სამაგიეროდ, იტალიას დიდ უპირატესობას ანიჭებდა ის, რომ ავსტრია-უნგრეთი უკვე აწარმოებდა ომს ორ ფრონტზე—რუსეთისა და სერბეთის ფრონტებზე, ამასთან, ავსტრია-უნგრეთის არმიის მთავარი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდნენ და დიდ დანაკლისს განიცდიდნენ.

ომის დასაწყისში იტალიამ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ 39 დივიზია გამოიყვანა.

იტალიურ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და განსაკუთრებით ფაშისტურ ისტორიოგრაფიაში თავგამოდებით იცავენ თეზისს იმის შესახებ, რომ, თითქოს იტალიამ თავისი შეიარაღებული ჩარევით „იხსნა" რუსეთი და მთელი ანტანტა გარდუვალი დამარცხებისაგან და საბოლოო შედეგით განაპირობა ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ბლოკის განადგურება. აღნიშნული მტკიცებანი არ შეესაბამება სინამდვილეს. იტალიის ჩარევას არ გამოუწვევია გარდატეხა მსოფლიო ომის მსვლელობაში. ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ იტალიის გამოსვლას არ შეუმსუბუქებია რუსეთის სამხედრო მდგომარეობა. იტალიის წინააღმდეგ მოქმედებისათვის ავსტრია-უნგრეთის უმაღლესმა მთავარსარდლობამ რუსეთის ფრონტიდან მოხსნა მხოლოდ უმნიშვნელო ძალები — ორი-სამი დივიზია. დანარჩენი ჯარები იტა-

ლიის ფრონტზე გადაისროლეს სერბეთის ფრონტიდან და ნაწილობრივ რუმინეთის საზღვრიდან.

იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის არმიებს შორის ძირითადი ბრძოლები გაჩაღდა 1915 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე იტალიელებმა ოთხი შეტევა წამოიწყეს ავსტრიელების წინააღმდეგ. უზარმაზარი მსხვერპლის ფასად მათ შეძლეს სოლიევით შეეჭრილიყვნენ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მაგრამ შეტევის შემდგომი განვითარება იტალიის არმიამ ვერ მოახერხა.

1916 წლის მაისში ავსტრიელები იტალიის ფრონტზე კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ორმაგად ჭარბი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად იტალიის არმიამ ვერ გაუძლო ავსტრიელთა შემოტევას და უკან დახევა დაიწყო. შეიქმნა ვენეციის დაბლობზე ავსტრია-უნგრეთის არმიის შეჭრის რეალური საფრთხე, რასაც შეეძლო უკიდურესად საშიშ მდგომარეობაში ჩაეყენებინა იტალიის არმია იზონცოზე.

იტალიის მთავრობამ და უმაღლესმა მთავარსარდლობამ სასწრაფოდ სთხოვეს დახმარება რუსეთს. იტალიის შტაბის უფროსი კადორნა, საგარეო საქმეთა მინისტრი სონინო და თვით იტალიის მეფე დაჟინებით სთხოვდნენ რუსეთს დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, რათა აეძულებინათ ავსტრიელები იტალიის ფრონტიდან უკან გაეყვანათ თავიანთი ძალების ნაწილი. იტალიელები თავიანთ თხოვნას ურთავდნენ არაორაზროვან მუქარას სეპერატული ზავის დადების შესახებ. იტალიის მოთხოვნებს ენერგიულად დაუჭირეს მხარი ინგლისელებმა და ფრანგებმა.

იტალიის არმია რომ მძიმე განსაცდელისაგან გადაერჩინა, რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობა იძულებული გახდა შეეცვალა თავისი თავდაპირველი გეგმები და დაეწყო შეტევა ავსტრიელების წინააღმდეგ, აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის უბანზე. ეს შეტევა დაიწყო 4 ივნისს. რუსეთის შეტევა მოულოდნელი იყო ავსტრია-უნგრეთის სარდლობისათვის და დიდი წარმატებით განვითარდა. შეტევის პირველსავე დღეს გარღვეულ იქნა მოწინააღმდეგის ფრონტი და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა უდიდესი დანაკლისით სწრაფად დაიწყეს უკან დახევა კარპატებისაკენ. ავსტრია-უნგრეთის სარდლობა კატასტროფის წინაშე დადგა და დაუყოვნებლივ შეწყვიტა შეტევა იტალიის ფრონტზე. ავსტრიამ მოხსნა იტალიის ფრონტიდან თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. იტალიაში ავსტრიის შეჭრის საფრთხე ლიკვიდირებულ იქნა. იტალიის არმიას შეეძლო ახლა კონტრშეტევაზე გადასვლა.

როგორც აღინიშნა, იტალიის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ომში მონაწილეობით „გადაჭრიდნენ" საშინაო პრობლემებს და

განიმტკიცებდნენ თავიანთ ბატონობას. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ფრონტზე წარუმატებლობამ, უზარმაზარმა მატერიალურმა ზარალმა, ადამიანთა მსხვერპლმა და მზარდმა ეკონომიურმა სიძნელეებმა უკიდურესად გაართულეს იტალიის საშინაო-პოლიტიკური ვითარება. 1916 წლის ივნისში სალანდრა აიძულეს გადამდგარიყო. ახალ, ე. წ. „ეროვნულ" მთავრობას სათავეში ჩაუდგა ხანდაზმული მემარჯვენე ლიბერალი ბოძელი. მთავრობა შედგა ომის მომხრე ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან. საგარეო საქმეთა მინისტრად სონინო დარჩა. მთავრობაში უპორტფელო მინისტრად შეიყვანეს მემარჯვენე რეფორმისტების ლიდერი ბისოლატი. ბოძელის მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. იტალიის არმიის 1916 წლის აგვისტოში გოერიცის რაიონში მოპოვებულ ერთგვარ სამხედრო წარმატებებს არ შეუცვლია იტალიის არმიის მძიმე სამხედრო მდგომარეობა.

კვლავ საგანგაშო იყო იტალიის საშინაო-პოლიტიკური ვითარება. 1917 წლის გაზაფხულზე ომით გამოწვეული ეკონომიური გაჩანაგების საფუძველზე იტალიაში მკვეთრად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. იტალიაში მოვლენათა მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის თებერვლის რევოლუციამ. რუსეთის რევოლუციურმა მოვლენებმა იტალიის საზოგადოების ყველა კლასის ყურადღება მიიპყრო. იტალიის მშრომელები აღფრთოვანებით მიესალმნენ ცნობას ცარიზმის დამხობის შესახებ. ტურინში, ჩრდილოეთ იტალიის უმსხვილეს სამრეწველო ქალაქში, ცნობამ თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შესახებ „აუწერელი სიხარული გამოიწვია. მუშები მღელვარებისაგან ტიროდნენ, როცა გაიგეს, რომ მეფის რეჟიმი დამხობილ იქნა პეტროგრადელი მუშების მიერ" (გრამში). რუსეთის მშრომელთა რევოლუციურმა მაგალითმა იტალიელ ხალხში მშვიდობისაკენ სწრაფვა გააძლიერა. თებერვლის რევოლუციის გავლენით იტალიელ მუშათა შორის სტიქიურად წარმოიშვა ლოზუნგი: „ვიმოქმედოთ რუსეთისდაგვარად!". 1917 წლის 1 მაისს მთელს იტალიას გადაუარა ომის საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაციების ტალღამ. „ზავი და პური!", „დაგვიბრუნეთ სანგრებიდან ჩვენი ქმრები და მამები!", — მოითხოვდნენ დემონსტრანტები. დემონსტრანტთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვებიც. ომის საწინააღმდეგო განწყობილებამ მოიცვა აგრეთვე იტალიის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ბურჟუაზიული პრესა ყოველნაირად ასხამდა ხოტბას რუს ესერებსა და მენშევიკებს და უსირცხვილოდ სწამებდა ცდლს ბოლშევიკებს, იტალიის მუშათა სიმპათი-

ები ბოლშევიკების მხარეზე იყო. იტალიელ ხალხში უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ვ. ი. ლენინის სახელი. მასზე ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ: „გაუმარჯოს ლენინს, სამართლიანობისა და თავისუფლების შუქურას...", — ნათქვამი იყო ერთ-ერთ ასეთ სიმღერაში.

როცა 1917 წლის ზაფხულში იტალიაში ჩავიდა დროებითი მთავრობის მხოლოდ მენშევიკებისაგან შედგენილი დელეგაცია, მას ყველგან ასეთი შეძახილებით ხვდებოდნენ: „გაუმარჯოს ლენინს!". „ძირს ომი!", „რატომ არ დებთ ზავს?". ტურინში გამართულ მასობრივ მიტინგზე, რომელზეც თავი მოიყარა 40 ათასამდე კაცმა. მენშევიკ ორატორებს შეხვდნენ შეძახილებით: „გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს! გაუმარჯოს ბოლშევიკებს!".

იტალიის მშრომელები ომის საწინააღმდეგო მშვიდობიანი დემონსტრაციებიდან აქტიურ რევოლუციურ გამოსვლებზე გადავიდნენ. ომის წლებში ყველაზე ბობოქარი, რევოლუციური გამოსვლა იყო ტურინის მშრომელთა 1917 წლის აგვისტოს აჯანყება. აჯანყების საბაბი გახდა პურის ნაკლებობა. პურის ნორმები ძალიან დაბალი იყო, ამასთან ცხვებოდა უხარისხო პური. 21 აგვისტოს დილით თითქმის მთელი ტურინი უპუროდ დარჩა. ქალაქში დაიწყო სტიქიური დემონსტრაციები და სასურსათო დუქნების მასობრივი რბევა; ხელთ იგდეს აგრეთვე იარაღის რამდენიმე მაღაზია. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკებები. მეორე დღეს, 22 აგვისტოს ტურინში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ქალაქის ქუჩებში მსვლელობის დროს მუშები მღეროდნენ: „აიღე და გადააგდე შენი თოფი!", „ჩვენ ზავი გვინდა!", „მშვიდობა გვინდა და აღარასოდეს არ ვისურვებთ ომს!".

შეშინებულმა მთავრობამ სასწრაფოდ გამოძებნა ფქვილი, და 22 აგვისტოს დღის ბოლოს სახაბაზოებში პური მიიტანეს, მაგრამ მშრომელთა დაშოშმინება უკვე შეუძლებელი იყო. ისინი პურთან ერთად ზავსაც მოითხოვდნენ. ტურინელმა მუშებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. 23 აგვისტოს დილით ტურინის მუშათა რაიონები ბარიკადებით დაიფარა. მუშებსა და პოლიციას შორის ნამდვილი შეიარაღებული ბრძოლა გაჩაღდა, მან ხუთ დღეს გასტანა. ხელმძღვანელობასა და იარაღს მოკლებული მუშები დამარცხდნენ. 500-ზე მეტი მუშა ბრძოლაში დაეცა, დაახლოებით ორი ათასი მძიმედ დაიჭრა. მრავალი მათგანი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

ტურინის აჯანყება აშკარად გამოხატულ ომის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. მისი ნამდვილი მიზეზი იყო არა პურის ნაკლებობა, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტი-

კისადმი ხალხის ღრმა უკმაყოფილება, იმპერიალისტური ომისადმი სიძულვილი.

ტურინის მუშათა გმირული გამოსვლა მძიმე დამარცხებით დამთავრდა. ამ დამარცხების მთავარი მიზეზია სტიქიურობა, აჯანყების არაორგანიზებულობა, ის, რომ მას არავინ ხელმძღვანელობდა. ტურინის აჯანყების დამარცხების პასუხისმგებლობა ეკისრა იტალიის სოციალისტური პარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომელიც განზე გაუდგა მოვლენებს, აღმოჩნდა „საცოდავი ნოტარიუსის როლში, რომელიც მხოლოდ აღრიცხავდა მასების სტიქიურ მოქმედებას" (გრამში). სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელთა უმოქმედობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ტურინის რიგითს სოციალისტებს შორის. ამ აჯანყების შემდეგ მშრომელებმა განდევნეს თავიანთი ძველი ხელმძღვანელები. სოციალისტური პარტიის ტურინის სექციის მდივნად არჩეულ იქნა ტურინელი მუშების საყვარელი ადამიანი, იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი — ანტონიო გრამში (1891—1937).

1917 წლის შემოდგომაზე ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის მთავარსარდლობამ იტალიის ფრონტზე შეტევა მოამზადა. ავსტრიის არმიის დასახმარებლად გამოიყო 7 გერმანული დივიზია. იტალიის უმაღლესი მთავარსარდლობისათვის ცნობილი იყო ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის სამხედრო მზადების ფაქტი, მაგრამ იგი უპასუხისმგებლო ქედმაღლობით მოეკიდა ამ მოვლენას.

24 ოქტომბერს ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ჯარებმა შეტევა დაიწყეს სოფელ კაპორეტოს მიმართულებით. შეტევის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. შეტევის დაწყებიდან დამდენიმე საათის შემდეგ იტალიის თავდაცვის ხაზი გარღვეულ იქნა რამდენიმე ადგილას. იტალიის ჯარებმა დაიწყეს უწესრიგოდ უკან დახევა. მას მალე პანიკური გაქცევა მოჰყვა. იტალიის დაბნეულმა მთავარსარდლობამ დაკარგა არმიაზე კონტროლი. მომდევნო დღეებში ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ჯარებმა იტალიის ტერიტორიაზე წინ წაიწიეს 120 კილომეტრით და მდინარე პიავეს მიაღწიეს. იტალიის არმიამ უკან დახევის დროს უდიდესი დანაკლისი განიცადა. მარტო ტყვეთა სახით მოწინააღმდეგემ ხელში ჩაიგდო 300 ათასი კაცი.

იტალიის ფრონტი სრული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამ გარემოებამ შეაშფოთა ინგლისი და საფრანგეთი. იტალიის ფრონტზე სასწრაფოდ გაემგზავრა ფრანგი მთავარსარდალი გენერალი ფოში და ინგლისელი გენერალი რობერტსონი. ამასთან იტალიაში ჩამოვიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურები ლოიდ ჯორჯი და პენლევე. ინგლისელებმა და ფრანგებმა დახმა-

რების სანაცვლოდ ულტიმატუმის წესით მოითხოვეს იტალიის უმაღლესი მთავარსარდლობის შეცვლა. იტალიის მთავრობა იძულებული გახდა დამორჩილებოდა ინგლისელი და ფრანგი მოკავშირეების მოთხოვნებს. კადორია და მისი შტაბის უფროსი გენერალი პორო ვაათავისუფლეს. იტალიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი დიაცი. ამის შემდეგ იტალიის ფრონტზე გადაიყვანეს 12 ინგლისური და ფრანგული დივიზია. ავსტრია-გერმანიის შეტევა შეჩერებულ იქნა.

კაპორეტოს კატასტროფა მარტო იტალიის არმიის სამხედრო-ტექნიკურ ჩამორჩენილობას და სარდლობის სისუსტეს არ გამოუწვევია. მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იტალიელ ჯარისკაცთა მორალურ-პოლიტიკური განწყობილება. მათ არ სურდათ იმპერიალისტური ომის გაგრძელება.

კაპორეტოსთან განადგურებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური კრიზისის შემდგომ გამწვავებას. 25 ოქტომბერს, როცა რომში ცნობილი გახდა კაპორეტოს კატასტროფა, ბოზელის მთავრობა დაეცა. მთავრობის მეთაური გახდა ორლანდო. იგი უნარიანი და ენერგიული მოღვაწის რეპუტაციით სარგებლობდა. ბურჟუაზიის ნეიტრალისტური წრეების ოპოზიცია რომ შეესუსტებინათ, მთავრობის შემადგენლობაში ფინანსთა მინისტრის პოსტზე მოიწვიეს ნიტი. წარსულში ნიტი ნეიტრალისტი იყო და ჯოლიტის შეხედულებებს იზიარებდა.

გაჟიანურებულმა და მძიმე ომმა კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას. კაპორეტოსთან იტალიის არმიის განადგურების შემდეგ ომის საწინააღმდეგო მასობრივი მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. სოციალისტური პარტიის ორგანო „ავანტი“, რომელსაც ახლა სერატი ხელმძღვანელობდა, აშკარად აცხადებდა თავის სოლიდარობას რუსეთის გმირ მუშათა კლასთან და მის ბელად ლენინთან. „ბოლშევიკური მთავრობა სოციალიზმის საწყისი პუნქტი და საფუძველია, იგი მალე რეალობად გადაიქცევა. რუსეთის რევოლუცია მსოფლიო რევოლუციის პირველი აქტია. სწორედ ამიტომ, მძლავრი მოწოდება — „გაუმარჯოს რუსეთს!“, ახლა ჩვენი საბრძოლო ლოზუნგია“, — წერდა „ავანტი“.

შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს რუსეთში მომხდარ მოვლენებს ანტონიო გრამში. „სწორედ რუსეთში იწყება მომავლის ისტორია, სწორედ რუსეთში იბადება ახალი მსოფლიოს სიცოცხლე“, — აღფრთოვანებით წერდა იგი.

მმართველი წრეები ცდილობდნენ უმკაცრესი რეპრესიებით ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა. გაფიცულთა წინააღმდეგ იგზავ-

ნებოდა ჯარები. სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს ასობით ჯარისკაცი. ციხეები სავსე იყო ინტერნაციონალისტებით. ხელისუფლების სათავეში ორლანდოს მთავრობის ჩადგომის შემდეგ პოლიტიკური რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა. ორლანდოს მთავრობამ იტალია ჩაითრია საბჭოთა რუსეთისადმი გამოცხადებულ ბლოკადაში და ანტისაბჭოთა ინტერვენციაში. მაგრამ მთავრობის ანტისაბჭოთა ღონისძიებებმა ახალი ბიძგი მისცა საბჭოთა ხალხისადმი იტალიის მშრომელთა სოლიდარობის გამოვლინებას. 1918 წლის 10 ნოემბერს მილანოში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია, რომლის მთავარი ლოზუნგი იყო: „დაუყოვნებლივ შეწყდეს ინტერვენცია საბჭოების წინააღმდეგ!". საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობის დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა რომში და სხვა ქალაქებშიც. საბჭოთა ხალხთან იტალიელი ხალხის სოლიდარობის შესანიშნავი დადასტურება იყო რუსეთსა და საბჭოთა უნგრეთში იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაწყებული საყოველთაო გაფიცვა 1919 წლის ივლისში. ეს გაფიცვა ორ დღეს გრძელდებოდა და მან მთელი იტალია მოიცვა.

პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაარევოლუციონერეს იტალიის მშრომელი მასები. იტალიაში წარმოიშვა მწვავე და ღრმა რევოლუციური კრიზისი.

იტალიის არმიის სამხედრო პოტენციალის აღდგენას დიდი დრო დასჭირდა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. 1918 წლის შემოდგომაზე (როცა ავსტრია-უნგრეთის მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო) შეძლო ფრანგული და ინგლისური სამხედრო შენაერთებით გაძლიერებულმა იტალიის არმიამ შეტევაზე გადასვლა. ავსტრიელები, ამჯერად, იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. 3 ნოემბერს იტალიის ჯარებმა დაიკავეს ტრენტინო და ტრიესტი. იმავე დღეს ავსტრიის რწმუნებულმა ხელი მოაწერა იტალიის ფრონტზე ავსტრია-უნგრეთის არმიის კაპიტულაციის აქტს.

მსოფლიო ომში მოგვიანებით ჩაბმისა და მისი მსვლელობის დროს მრავალი მარცხის მიუხედავად, იტალია გამარჯვებული ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდა. იტალიის მმართველმა კლასებმა ომის შედეგად დიდი სარგებლობა ნახეს. 1919 წლის 10 სექტემბერს ანტანტის ქვეყნებსა და ავსტრიას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების ძალით, იტალიამ მიიღო ტრენტინო და სამხრეთ ტიროლი. გარდა ამისა, 1920 წლის 12 ნოემბერს იუგოსლავიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, იტალიამ მიიღო იულიუსის ალპების ნაწილი, თითქმის მთელი ისტრია პოლით და ტრიესტით, აბაცა და ფიუ-

მესთან დამაკავშირებელი სანაპირო ზოლი (ფიუმე დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადდა). ანტანტის ქვეყნებსა და თურქეთს შორის 1920 წლის 10 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით, იტალიას ერგო დოდეკანეზის კუნძულებიც.

მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვან შენაძენებს იტალიის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. იტალია დადგა მწვავე სოციალური კონფლიქტების, სერიოზული გამოცდის წინაშე და მოექცა მუსოლინის ფაშისტური ხელისუფლების გავლენის ქვეშ. ამ სავალალო მოვლენამ იტალია მიიყვანა ჰიტლერულ გერმანიასთან მჭიდრო კავშირამდე და მეორე მსოფლიო ომში განადგურებამდე. ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ერთადერთი ჯანსაღი ძალა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ყველა სიმძიმე — იყო იტალიელი ხალხი. იტალიის მშრომელები დაირაზმნენ სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის დროშის ქვეშ. სწორედ ამ მემარცხენე ძალების წიაღიდან წარმოიშვა 1921 წლის დამდეგს იტალიის კომუნისტური პარტია. იტალიის მშრომელთა ეს მოწინავე რაზმი შემდეგ განუხრელად იზრდებოდა და მტკიცდებოდა და დღესაც სათავეში უდგას იტალიელ ხალხს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ომი და დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ხალხები

კოლონიები, როგორც მეტროპოლიების რეზერვი ომის დროს

1914-18 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს მეომარმა სახელმწიფოებმა ახალი მძიმე ტვირთი დააკისრეს თავიანთ კოლონიებს. მათ მკვიდრი მოსახლეობის ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩააბეს ისინი ომში, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინათ ომის მიზნებისათვის მათი ბაზები, ფინანსური სახსრები, მრავალფეროვანი ნედლეული და ცოცხალი ძალა. იგივე ხვედრი გაიზიარეს აზიისა და აფრიკის ნახევარკოლონიურმა ქვეყნებმა და ლათინური ამერიკის ხალხებმა.

ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა ომის წლებში თავიანთი აზიური და აფრიკული კოლონიებიდან გამოზიდეს დიდძალი სურსათ-სანოვაგე და მკვიდრ მოსახლეობას აუცილებელი მინიმალური მარაგიც კი არ დაუტოვეს. ეს ხდებოდა მაშინ, როცა თითქმის ყველა კოლონიაში საგრძნობი იყო სასურსათო სიძნელეები. კვების პროდუქტების იძულებითმა ამოქაჩვამ კოლონიებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. გაჭიანურებული ომი საჭიროებდა საომარ აღჭურვილობას, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, შენიღბვის საშუალებებს, ლითონებსა და მრავალფეროვან ნედლეულს, რომელთა საგრძნობი ნაწილი ინგლისმა და საფრანგეთმა ასევე კოლონიებიდან და ნახევარკოლონიებიდან შეზიდეს. ინდოეთი ინგლისელებმა აქციეს აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში მოქმედი ინგლისური არმიების სურსათითა და აღჭურვილობით მომარაგების მნიშვნელოვან ბაზად. იგივე შეიძლება ითქვას ბირმის, ინგლისის აფრიკული კოლონიების, ეგვიპტის, ნიგერიისა და სხვათა შესახებ. მათგან ღებულობდა ინგლისი მეტროპოლიის შავი და ფერადი მეტალურგიისათვის, მანქანათმშენებლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულს. საფრანგეთმა, ინგლისის მსგავსად, ომის წლებ-

ში მკვეთრად გაზარდა სურსათისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სხვა მასალის შეზიდვა თავის აზიური და აფრიკული კოლონიებიდან, ოკეანიიდან; ეს მასალა ან სულ არ მოიპოვებოდა საფრანგეთში, ან თუ იყო — მცირე რაოდენობით. ახალი კალედონია, მაროკო, ალჟირი, ტუნისი აწვდიდნენ მას ფერადი და შავი ლითონების მადანს, ფოსფორიტებს, სურსათს; ინდოჩინეთი (ვიეტნამი, კამბოჯა), დასავლეთი და ეკვატორული აფრიკის კოლონიები — სურსათსა და მსუბუქი მრეწველობის ნედლეულს, მადაგასკარი — სურსათსა და გრაფიტს და სხვ.

არანაკლებ მძიმე იყო ის ფინანსური ტვირთიც, რაც მეომარმა მეტროპოლიის ქვეყნებმა დააკისრეს თავიანთ კოლონიებს მსოფლიოს ყველა ნაწილში. ისედაც მძიმე ფინანსურ კაბალაში მყოფ კოლონიურ მოსახლეობას ინგლისმა და საფრანგეთმა შეაწერეს დამატებითი გამოსაღებები. მკვეთრად გაუდიდეს სხვადასხვა არაპირდაპირი გადასახადები, მიწის რენტა, გაავრცელეს მათ შორის იძულებითი სესხები. ამასაც არ დასჯერდნენ და სავალდებულოდ გაუხადეს მათ „ნებაყოფლობითი საჩუქრებისა“ და „შეწირულების“ გაღება. მარტო ინდოეთმა ინგლისს ამ გზით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი „მიუძღვნა“.

ომის წლებში ინგლისმა და საფრანგეთმა მილიონობით „კოლონიურ მონებს“ იარაღი მისცეს ხელში და ომში ჩააბეს. მათგან შექმნეს ე. წ. „ფერადი არმიები“, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საომარ ოპერაციებში თითქმის ყველა ფრონტზე. ინგლისმა ინდოეთიდან და სხვა კოლონიური სამფლობელოებიდან 4,5 მილიონი ჯარისკაცი გამოიყვანა[1], საფრანგეთმა — 1,5 მილიონზე მეტი. აქედან 300 ათასი ჯარისკაცი ჩრდილო აფრიკის კოლონიებმა გაუგზავნეს მას. აზიისა და აფრიკის ასეულ ათასობით მშრომელმა თავი დასდო ომის საშსხვერპლოზე.

მეომარმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ძალით გაიყვანეს საკუთარი კოლონიებიდან ასეული ათასი მუშა და გამოიყენეს ისინი ფრონტის მოწინავე ხაზებზე, სტრატეგიულ მშენებლობაში და საომარი ტვირთის გადასაზიდად. მაგალითად, ინგლისმა, იძულებით მობილიზებული ეგვიპტელი მშრომელებისაგან შექმნა ე. წ. „შრომითი და აქლემთა კორპუსები“, რომლებსაც დააკისრეს ყველა მძიმე სამუშაო ახლო აღმოსავლეთის — თურქეთის ყველა ფრონტზე. არაადამიანურმა შრომამ, გადამდებმა სნეულებებმა, შიმშილობამ

---

1 ჯარტო ინდოეთიდან ინგლისელებმა გაიყვანეს 1,8 მილიონი ჯარისკაცი.

და მტრის ცეცხლმა სიცოცხლეს გამოასალმა ამ კორპუსთა შემადგენლობის დიდი ნაწილი.

ასევე მოექცნენ მეომარი სახელმწიფოების გაბატონებული კლასები ნახევარკოლონიებისა და იმპერიალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულ სხვა ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხებსაც, რომლებიც „მოკავშირეებად" გაიხადეს და თითქმის ძალით ჩააბეს ომში. მაგალითად, ასე მოექცა ანტანტა ჩინეთს, რომელიც 1917 წლის აგვისტოში თითქმის ძალით ჩააბა ომში თავის მხარეზე, რათა უფრო მეტი მასშტაბით გამოეყენებინა მისი ნედლეულის რესურსები და კვების პროდუქტები, თანაც მასობრივად გაეყვანა იქიდან შავი მუშები (ყული). აფრიკაში, სადაც ინგლისი და საფრანგეთი იბრძოდნენ გერმანელი კოლონიების (ტოგო, კამერუნი, ტანგანიკა, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა) ხელში ჩასაგდებად, ორივე მეომარი მხარე, ძირითადად, აფრიკელთა მატერიალური რესურსებით, ცოცხალი ძალითა და ბაზებით ეწეოდა ომს. როგორც ცნობილია, გერმანიის იმპერიალიზმმა გააბრიყვა თურქეთის მმართველები და „მოკავშირედ" გაიხადა ეს ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უკეთ გამოეყენებინა როგორც მისი მატერიალური რესურსები, ისე პირველხარისხოვანი სამხედრო-სტრატეგიული ბაზები რუსეთსა და ინგლისის კოლონიებში შესაჭრელად. ჩინეთისა და თურქეთის ბედი გაიზიარა ირანმაც. ამ ფორმალურად სუვერენულმა სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მისი ნეიტრალიტეტი პირველად გერმანიისა და თურქეთის მთავრობებმა აიგდეს აბუჩად და, წინასწარ შემუშავებული სამხედრო-სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, თავიანთი ჯარები შეიყვანეს მის ტერიტორიაზე. გერმანია-თურქეთის სარდლობას განზრახვა ჰქონდა ირანის მოხერხებული პლაცდარმიდან მოეხდინა რუსეთსა და ინდოეთში შეჭრა. გერმანია-თურქეთის ამ ნაბიჯს ინგლისმა და რუსეთმა მსგავსივე ზომებით უპასუხეს. რამაც ირანი მეომარი მხარეების საომარ მოქმედებათა ასპარეზად აქცია. 1915 წლიდან ამას მოჰყვა მისი ფაქტიური ოკუპაცია ინგლის-რუსეთის ჯარების მიერ.

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც, მის ორგანიზატორთა ვარაუდის მიუხედავად, ძალზე გაუანურებული ხასიათი მიიღო, შთანთქა კოლოსალური მატერიალური რესურსები. მან ენით აუწერელი უბედურება მიაყენა მსოფლიოს. კერძოდ, კოლონიური სამყაროს მშრომელებს, მასობრივმა იძულებითმა შრომამ, მძიმე კაბალამ, ცხოვრების კატასტროფულმა გაუარესებამ, მასობრივმა შიმშილობამ და გადამდებმა სნეულებებმა აზიისა და აფრიკის მილიონობით მშრომელის სიცოცხლე შეიწირა. შემცირდა შობადო-

ბა და მოსახლეობის გამრავლება. მარტო ინდოეთში ომის ბოლოს (1918) გადამდებმა სენმა „ისპანკამ" (გრიპის მძიმე ფორმა) 12—13 მილიონი კაცი იმსხვერპლა. არანაკლებ კატასტროფული შედეგი ჰქონდა დიდ შიმშილობას ბენგალიასა და სხვა პროვინციებში.

კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ომის წლებში

პირველმა მსოფლიო ომმა ობიექტურად სერიოზული ცვლილებები მოახდინა კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში. მან დაარღვია მეტროპოლიებსა და მათზე დამოკიდებულ ქვეყნებს, კოლონიებსა და ნახევარკოლონიებსა და მსოფლიო ბაზარს შორის ომამდე არსებული ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა. მეომარი ქვეყნების მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანამ და სამოქალაქო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად შეზღუდვამ, აგრეთვე სავაჭრო ფლოტის სამხედრო გადაზიდვებით დაკავებამ საგრძნობლად შეამცირა მეტროპოლიების სამრეწველო საქონლის შეზიდვა კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში. ამას მოჰყვა პირველი მოთხოვნილების საგნების მკვეთრი შემცირება მათ ბაზრებზე და სერიოზული დისპროპორციის წარმოშობა საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. ამ გარემოებამ და ადგილობრივი ნედლეულის, სურსათის, ტანსაცმლის, ნახევარფაბრიკატების დიდი რაოდენობით გაზიდვამ მეტროპოლიებში ობიექტურად სტიმული მისცა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას და იქ კაპიტალისტური მრეწველობის წარდას. იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ შეესუსტებინათ ამ ქვეყნების განვითარების გზაზე ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები და ნება დაერთოთ მათთვის აეგოთ მსუბუქი და კვების საწარმოები, განვითარებინათ სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ცალკეული დარგები და სხვ. ინდოეთში, ჩინეთში, სამხრეთ აფრიკის დომინიონში, ეგვიპტესა და აზიისა და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ომის წლებში აიგო ასობით საფეიქრო ფაბრიკა, კვების ობიექტები, სახელოსნოები, ნახევარფაბრიკატების მწარმოებელი ქარხნები. ერთი სიტყვით, უფრო ინტენსიური გახდა კაპიტალიზმის განვითარება იმ ქვეყნებში, რომლებშიც იგი ჩაისახა და ვითარდებოდა მანამდე, ხოლო აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა სწორედ ომის წლებში დაადგა ამ გზას.

ჩინეთში ომის წლებში თითქმის გაორკეცდა იმ ფაბრიკებისა და ქარხნების ოდენობა, სადაც გამოყენებული იყო მექანიკური ძრავა,

მუშათა რიცხვი კი 30-ს აღემატებოდა; აიგო მრავალი საფეიქრო და ასანთის ფაბრიკა, საფქვავი და საღებავი საწარმო და სხვ. მნიშვნელოვნად გადიდდა, აგრეთვე, მთამადნეულის მოპოვება, ფოლადისა და თუჯის გამოდნობა.

ინდოეთში ახალ საწარმოთა მშენებლობით და განვითარების ტემპით განსაკუთრებით გამოირჩეოდა საფეიქრო მრეწველობა, რომელიც ეროვნული ბურჟუაზიის კაპიტალის დაბანდების ძირითადი სფერო იყო; ბომბეი და აჰმადაბადი ინდური საფეიქრო მრეწველობის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ. მსუბუქ მრეწველობას არ ჩამორჩებოდა მეტალურგიული მრეწველობა. მნიშვნელოვნად გაფართოვეს არსებულ საწარმოთა სიმძლავრე. ახალი საწარმოები ააგო ტატას მეტალურგიულმა გაერთიანებამ, ბენგალიის რკინისა და ლითონის მწარმოებელმა კომპანიამ და სხვ.

მაგრამ მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებას ომის წლებში არ მოჰყოლია კოლონიებისა და ნახევარკოლონიური ქვეყნების ეკონომიური სტრუქტურის ძირეული შეცვლა. კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას არ მოუმზადებია ნიადაგი მათი ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. აღნიშნული ქვეყნების კაპიტალისტური განვითარება ძალიან ცალმხრივი იყო. იგი შეეხო უპირატესად მსუბუქ და მოპოვებით მრეწველობას. მძიმე ინდუსტრიაში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა. ამიტომ ისინი ისევ დარჩნენ იმპერიალისტური მეტროპოლიების აგრარულ-სანედლეულო ნამატად.

მაგრამ კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ეკონომიურ განვითარებას ომის წლებში მაინც სერიოზული ცვლილებები მოჰყვა. გაძლიერდა და განმტკიცდა ეკონომიური კავშირი ამ ქვეყნების ცალკეულ რაიონებს შორის, გაიზარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა და, შესაბამისად, გაძლიერდა ნატურალური მეურნეობის ფორმათა რღვევის პროცესი. ამას კი უშუალო შედეგად სერიოზული სოციალური ცვლილებები მოჰყვა.

ნატურალური მეურნეობის რღვევამ ხელი შეუწყო ტომებისა და ხალხების დაახლოებას, რითაც საჭირო წანამძღვარი მომზადდა ზოგიერთ ქვეყანაში ერების კონსოლიდაციისათვის (ინდოეთი, ინდონეზია, ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნები...). ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებამ გააძლიერა, ეკონომიურად მოაღონიერა და სერიოზულ პოლიტიკურ ძალად აქცია ეროვნული ბურჟუაზია. ხელსაყრელმა ეკონომიურმა კონიუნქტურამ, სამხედრო დაკვეთებმა მას იოლი გამდიდრების საშუალება მისცა. მართალია, თანამემამულე მუშათა კლასის ექსპლუატაციაში იგი არაფრით ჩამორჩებოდა მეტროპოლიის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, მაგრამ მასთან შედარებით

მაინც შებოჭილი იყო, თანაც პოლიტიკურ ძალაუფლებას მოკლებული. ქვეყნის უუფლებობა და იმპერიალისტური მონოპოლიების გაბატონებული მდგომარეობა სერიოზულად ზღუდავდა მისი „ბიზნესის“ შესაძლებლობებს. ომმა კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნულ ბურჟუაზიასა და მეტროპოლიების იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის. ბუნებრივია, აღნიშნულის გამო ეროვნული ბურჟუაზია ანტიიმპერიალისტურად იყო განწყობილი, ხელისუფლებისაკენ მიიღტვოდა და მზად იყო სხვა ძალებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ანტიიმპერიალისტურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ეროვნულ ბურჟუაზიასთან ერთად ამაღლდა ეროვნული ინტელიგენციის საზოგადოებრივი წონა, გადიდდა მისი საქმიანობის სფერო და იდეოლოგიური ზემოქმედება მოსახლეობის ფართო ფენებზე. მის რიგებში გაძლიერდა წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური ფენის გავლენა, რასაც საერთო დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური სულისკვეთების გაღრმავება მოჰყვა. ეროვნული ინტელიგენციის პატრიოტულ-დემოკრატიული ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მეჯროშე ხდება.

კოლონიურ და ნახევარკოლონიურ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი ომის წლებში იყო ეროვნული მუშათა კლასის რიცხვის გადიდება. ჩინეთსა და ინდოეთში სამრეწველო მუშათა რიცხვი ორჯერ გაიზარდა და ორივე ქვეყანაში 5 მილიონს გადააჭარბა. კორეის, ინდონეზიის, ეგვიპტის, სამხრეთ აფრიკის, ნიგერიის მუშათა კლასს ახალი კადრები შეემატა. ამას მოჰყვა ეროვნული მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნების ამაღლება და კლასობრივი ორგანიზაციების შექმნისადმი ლტოლვა. ჩინეთში, ინდოეთში და აზიისა და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში საგრძნობლად გადიდდა ეროვნული მუშათა კლასის საზოგადოებრივი წონა და მისი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ომის შედეგად კოლონიური და ნახევარკოლონიური სამყაროს მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი — გლეხობაც ამოვარდა კალაპოტიდან. ომის აუტანელმა ტვირთმა — ჯარსა და შრომით ბანაკებში გაწვევამ, დამატებითმა მძიმე გამოსაღებებმა და შრომითმა ბეგარამ კატასტროფულად დასცა მისი ცხოვრების პირობები და მასობრივად დააყენა გარეკოლუციონერების გზაზე.

ომმა, იმ დიდი უბედურების მიუხედავად, რაც თავს დაატეხა კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების მოსახლეობას, ობიექტურად გამოაღვიძა ისინი, გამოიყვანა ისტორიის ავანსცენაზე და

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის სერიოზულ ძალად აქცია. ომის საჭიროებისათვის მეტროპოლიის ბურჟუაზია იძულებული ხდებოდა კოლონიური ქვეყნებისათვის სამხედრო „დახმარება ეთხოვა“ —გამოეყენებინა კოლონიის მოსახლეობა ჯარისკაცებად. ამ ვითარებამ ობიექტურად შეუწყო ხელი კოლონიური სამყაროს ხალხთა შემდგომ გამოღვიძებას, მათი ჰორიზონტის გაფართოებასა და აქტიურ ანტიიმპერიალისტურ ძალად ქცევას. „იმპერიალისტურმა ომმა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი თავის მოხსენებაში კომინტერნის მეორე კონგრესზე. — ხელი შეუწყო რევოლუციას. ბურჟუაზიამ კოლონიებიდან, ჩამორჩენილი, მიყრუებული ქვეყნებიდან გამოიყვანა რისკაცები ამ იმპერიალისტურ ომში მონაწილეობის მისაღებად... ისინი ასწავლიდნენ მათ იარაღის ხმარებას... და ჩვენ ამისათვის უდიდესი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ ბურჟუაზიას. იმპერიალისტურმა ომმა დამოკიდებული ხალხები მსოფლიო ისტორიაში ჩააბა“[1].

პირველმა მსოფლიო ომმა ომის გამჩაღებელთა იმედები არ გაამართლა. კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებისა და კოლონიური ჩაგვრის სფეროს გაფართოების ნაცვლად მას მიჰყვა ამ სისტემის ძირეული შერყევა, დიდი ოქტომბრის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მსოფლიოს 1/6 ნაწილზე. ყოველივე ამან ახალი სიტუაცია შექმნა კოლონიურ და ნახევარკოლონიურ ქვეყნებში. ისინი საბოლოოდ ამოვარდნენ ძველი კალაპოტიდან და იმპერიალიზმის რევოლუციური მსხვრევის სერიოზული ფაქტორები გახდნენ. აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის ფართო ფენები აქტიურად ჩაებნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ანტიიმპერიალისტურ რევოლუციაში. ამით საფუძველი ჩაეყარა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ღრმა კრიზისს. „...ძველი რიგი ქვეყნები: აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ., — წერდა ვ. ი. ლენინი, — სწორედ უკანასკნელი იმპერიალისტური ომის გამო, საბოლოოდ ასცდნენ თავიანთ კალაპოტს. მათი განვითარება საბოლოოდ წარიმართა საერთო-ევროპული კაპიტალისტური მასშტაბით. ამ ქვეყნებში დაიწყო საერთო-ევროპული მღელვარება“[2].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში

ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა კოლონიურ და ნახევარკოლონიურ ქვეყნებში განსაკუთრებული ძალით მსოფლიო ომის მეორე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 275—276.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, უმჯობესია ცოტა და კარგი, თხზ., ტ. 33, გვ. 590.

ეტაპზე იჩინა თავი. მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილებაც ამ დროიდან დაიწყო. ზოგ ქვეყანაში იგი აშკარა მღელვარებაში გადაიზარდა და ფართო გამოსვლების ხასიათი მიიღო. ეს გამოსვლები ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული ვითარების შესაბამისად გარკვეული „ეროვნული“ თავისებურებით ხასიათდებოდნენ. მათ ჰქონდათ ერთი საერთო ნიშანი—თითქმის ყველგან ძირითადად ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებდნენ. მოძრაობაში ჩაბმული ჩაგრული მასები თავიანთ რისხვას იმ სოციალური ძალების წინააღმდეგაც მიმართავდნენ (უპირატესად ფეოდალ-მემამულური წრეებისა, კომპრადორების, რეაქციული მილიტარისტული ჯგუფები), რომლებიც იმპერიალიზმთან ბლოკში იყვნენ და მის საიმედო სოციალურ საყრდენს წარმოადგენდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა. მასთან ერთად მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშათა კლასი, ქალაქის ღარიბობა და სტუდენტი ახალგაზრდობა. ინტელიგენცია და ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ მოძრაობის ხელმძღვანელობის სადავეები.

ჩინეთში ხალხის რისხვამ თავიდანვე ანტიიაპონური მიმართულება მიიღო და ეს სავსებით ბუნებრივი იყო. იაპონელი იმპერიალისტები ჩინელი ხალხის უბოროტესი მტრები იყვნენ. ისარგებლეს რა ომის ვითარებითა და ანტანტის ქვეყნების ფორმალური მოკავშირეობით, იაპონელმა იმპერიალისტებმა ხელთ იგდეს გერმანიის ყოფილი ბაზები ჩინეთში, აბუჩად აიგდეს ჩინეთის სუვერენიტეტი და მისი განუყოფელი ტერიტორიები თავიანთ კოლონიურ ბატონობას დაუმორჩილეს. მაგრამ ისინი ამასაც არ დასჯერდნენ და 1915 წელს ჩინეთის მთავრობას წაუყენეს „21 მოთხოვნა“, რომელთა მიღება ფაქტიურად ნიშნავდა ჩინეთის დაქვემდებარებას იაპონიის მონოპოლისტური ბატონობისადმი. ამის პასუხს წარმოადგენს მრისხანე ანტიიაპონური დემონსტრაციები, რომლებშიც მილიონობით მშრომელი იღებდა მონაწილეობას. მრისხანე ხასიათი ჰქონდა მას პეკინსა და სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში. ეს მოძრაობა ომის დამთავრებამდე არ შეწყვეტილა და წარიმართა ჩინეთის იმ გამცემლური მთავრობისა და პროიაპონური ელემენტების წინააღმდეგაც, რომელთა მეშვეობითაც იაპონელმა იმპერიალისტებმა შეძლეს „21 მოთხოვნის“ უმეტესობის ძალით თავზე მოხვევა ჩინელი ხალხისათვის.

ინდოეთში ომით დაკისრებული აუტანელი ტვირთით მოსახლეობის ფართო ფენების მძაფრმა უკმაყოფილებამ მკაფიოდ 1916

წლის მეორე ნახევრიდან იჩინა თავი. იგი გამოვლინდა ბომბეისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მუშათა კლასის მძლავრ გაფიცვებში, გლეხთა მღელვარებაში, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ათეულ ტერორისტულ მოქმედებაში, გადარის წვრილბურჟუაზიული პარტიის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ცდაში, სიფაელთა ცალკეული შენაერთების აჯანყებაში (მაგალითად, სინგაპურში) და სხვ. კოლონიურმა ხელისუფლებამ შეუბრალებლად ჩაახშო ინდოელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა, სიცოცხლეს გამოასალმა მრავალი მისი აქტიური მონაწილე და, „ინდოეთის დაცვის“ კანონის შესაბამისად, გააძლიერა სამხედრო-პოლიტიკური რეპრესიები. მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შესაჩერებლად ინგლისის მთავრობა იძულებული იყო 1917 წლის აგვისტოში ინდოელი ხალხისათვის მიემართა სპეციალური მოწოდებით, რომლითაც ომის დამთავრების შემდეგ ჰპირდებოდა დომინიონის სტატუტსა და სხვა რეფორმებს.

სერიოზულ ანტისაომარ და ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ინდონეზიაში, ბირმაში, კორეაში, ფილიპინებზე, ვიეტნამსა და „ინდოჩინეთის კავშირის“ სხვა ნაწილებში. ვიეტნამში, მაგალითად 1916 წელს მოეწყო წარუმატებელი შეთქმულება საფრანგეთის კოლონიური ბატონობის დასამხობად, 1917 წელს კი ჩრდილო ვიეტნამში აჯანყდა ერთ-ერთი ადგილობრივი გარნიზონი. ამის პარალელურად ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს, რომელთა ნაწილი მკაფიო ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა.

არანაკლები მრისხანებით ხასიათდებოდა კოლონიური მასების ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ეგვიპტეში, მაღრიბის არაბულ ქვეყნებში, სუდანსა და სხვაგან. ურჩობის გზას დაადგა ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობაც.

მძლავრმა განმათავისუფლებელმა სულისკვეთებამ თურქ დამპყრობთა უღლის ქვეშ მყოფ ახლო აღმოსავლეთის არაბი ხალხების რიგებშიც მოიკიდა ფეხი. იგი ჯერ მასობრივი ურჩობის აქტებში იჩენს თავს, უფრო გვიან კი — მასობრივი დეზერტირობის, პარტიზანულ რაზმებში გაერთიანებისა და შეიარაღებული აჯანყებების სახეს იღებს. სირიაში, პალესტინაში, ლიბანსა და ერაყში თურქი სამხედრო ხელისუფალნი ამის შედეგად სერიოზულ სიძნელეებს წააწყდნენ. ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც ანტანტის სხვა ქვეყნებთან ერთად ეომებოდნენ თურქეთს, არაბი ხალხი თურქეთის წინააღმდეგ განაწყვეს და საკუთარი იმპერიალისტური მიზნებისათვის გამოიყენეს ისინი. მათ არაბული ნაციონალიზმის მემარჯვენე ხელმძღვანელებს (მექი შერიფ ჰუსეინს და სხვებს) აღუთქვეს

დახმარება ომის დასრულების შემდეგ ერთიანი სუვერენული არაბული სახელმწიფოს შექმნაში. ამ დაპირებით ინგლისის დიპლომატიამ და აგენტურამ მართლაც შეძლო არაბთა გაბრიყვება. სირიის, პალესტინის, ჰიჯაზის და სხვ. არაბული ტომები მასობრივად ამხედრდნენ თურქეთის წინააღმდეგ. შექმნეს „აქლემთა კორპუსები" და სხვა მებრძოლი რაზმები და ინგლისის არმიასთან ერთად დაიწყეს ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ინგლისელმა იმპერიალისტებმა მოატყუეს არაბი ხალხები და საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენეს მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა. ერთიანი არაბული სუვერენული სახელმწიფოს შექმნის ნაცვლად საიქს-პიკოს 1916 წლის ინგლის-საფრანგეთის ფარული გარიგებით არაბული ქვეყნები — სირია, ლიბანი, ერაყი და პალესტინა — ამ ორ ქვეყანას შორის უნდა განაწილებულიყო.

სამხრეთ და დასავლეთ სლავეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ომის წლებში. გერმანიის ცდა — გამოეყენებინა პოლონეთის ეროვნული მოძრაობა თავისი მიზნებისათვის

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ომის წლებში მარტო კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნებით არ შემოფარგლულა. არანაკლები გაქანება ჰქონდა მას სამხრეთ და დასავლეთ სლავებს შორის და მრავალტანჯულ ირლანდიის მიწა-წყალზე.

ავსტრია-უნგრეთის დუალისტურ იმპერიაში, სადაც გერმანელი და მადიარი ბურჟუები და მიწის მაგნატები იყვნენ გაბატონებულნი, სლავები დიდი ხანია იბრძოდნენ ეროვნული თვითგამორკვევისათვის. ამ ბრძოლის ძირითადი ბაზა იყო ჩეხური მიწები. თუმცა არანაკლები სიმძაფრით ხასიათდებოდა იგი სხვა სლავურ ტერიტორიებზე (სლოვაკია, ხორვატია, გალიცია, კარპატების უკრაინა). ომმა სლავი ახალგაზრდობის საყოველთაო მობილიზაციით, მასობრივი რეკვიზიციით, გადასახადების გაზრდითა და სხვ. ხელსაყრელი პირობები შექმნა სლავი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაღრმავებისათვის. ამას ზედ დაერთო მკაცრი დიქტატურის დამყარება, სამხედრო-საველე სასამართლოების შექმნა, საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობა და სახრჩობელების ამართვა „ურჩთა" დასაშინებლად. ომის დასაწყისიდანვე ხელისუფლებამ დახურა ყველა სლავური პატრიოტული ორგანიზაცია, პარტიები, გაზეთები, სლავურ ოლქებში აიკრძალა ჩეხური და სხვა სლავური ენის ხმარება. სლავური მიწების ეროვნული ორგანიზაციების ცნობილი ლიდერები საპყრობილეებში ჩაყარეს და სასამართლოებს გადასცეს. სამხედრო ხელი-

სუფლებამ შემოიღო „მძევალთა“ სისტემა. მათ სიკვდილი მოელოდათ თანამოძმე სლავი მშრომელების საბოტაჟისა და ურჩობის შემთხვევაში. მხედრიონის თარეში განსაკუთრებული ძალით მძვინვარებდა ფრონტისპირა ზონებში (გალიცია, ბუკოვინა, კარპატების უკრაინა).

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სლავი ხალხები ზემოაღნიშნული ვითარების მიუხედავად, მედგრად განაგრძობდნენ სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას. ისინი ათასგვარ საშუალებას მიმართავდნენ ავსტრია-უნგრეთის ხელისუფალთა საომარ ღონისძიებათა ჩასაშლელად. ასეთი ხასიათი ჰქონდა ჩეხ, სლოვაკ და სამხრეთ სლავ ჯარისკაცთა დეზერტირობას, მათ ტყვედ ჩაბარებას რუსეთისა და სერბეთის ფრონტებზე[1].

ბოლო ხანებში ომის სიმძიმემ განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი და აშკარად გამოვლინდა დუალისტური იმპერიის რღვევის ნიშნები. ამ იმპერიის დამონებული სლავი და სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმპერიიდან სავსებით ჩამოშორებისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნის მიმართულება მიიღო.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ომის პირველ წლებშივე გადაიდგა. მრავალი ჩეხი, ხორვატი, სერბი ბურჟუაზიული ნაციონალისტი საზღვარგარეთ გაიქცა, სადაც მათ შექმნეს „ეროვნული კომიტეტები“. 1915 წ. შეიქმნა ჩეხეთის კომიტეტი მასარიკისა და ბენეშის ხელმძღვანელობით, ცოტა გვიან—იუგოსლავიის ეროვნული საბჭო ტრუმბიჩის ხელმძღვანელობით. ეს ემიგრანტული ორგანიზაციები, რომელთაც აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში ჰქონდათ ბაზა და თავიანთი ქვეყნების ბალთა სასელით მოქმედებდნენ, შემდგომში „ეროვნულ საბჭოებად“ იქცნენ.

დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ სამხრეთ და დასავლეთი სლავების განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ მათ გეგმებში არ შედიოდა ამ მოძრაობის მთავარი მიზანი — სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წახალისება და ხელშეწყობა. პირიქით, მათ სურდათ ომის შემდეგაც შეენარჩუნებინათ „ხალხთა სატუსაღო“ —

---

[1] ანტანტის ქვეყნები აღნიშნულ ტყვე ჯარისკაცთაგან ადგენდნენ ეროვნულ შენაერთებს და იყენებდნენ მათ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდგომში ეს შენაერთები ჩეხეთისა და იუგოსლავიის არმიების ბირთვი გახდა.

ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერია[1]. მაგრამ, თუ ეს იმპერია დაიშალა და გაბატონებული კლასების მიერ დამონებულმა სლავმა და სხვა ხალხებმა მაინც მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა. ეს მოხდა იმპერიალისტური სახელმწიფოების სურვილის წინააღმდეგ.

გერმანელი იმპერიალისტებიც კი შეეცადნენ გამოეყენებინათ თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად პოლონელი ხალხის ეროვნული მოძრაობა. მათ სპეციალური მოწოდებით მიმართეს პოლონელ ხალხს, რომლითაც აღუთქვეს პოლონური მიწების გაერთიანება და ერთიანი პოლონეთის „თვითგამორკვევა", მაგრამ გერმანიის იმპერიის „პროტექტორატის" ქვეშ. სინამდვილეში, როცა 1915 წლის მეორე ნახევარში „რუსული პოლონეთი" გერმანიის არმიის ხელში მოექცა, მისმა სარდლობამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა და მის მოსახლეობას მძიმე ტვირთი დააკისრა. ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული ფარული შეთანხმებით, ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ პოლონეთი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის უნდა განაწილებულიყო.

თუ რამდენად არაგულწრფელი იყო მეომარი იმპერიალისტური სახელმწიფოების დამოკიდებულება დასავლეთი და სამხრეთი სლავების განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ინგლისისა და საფრანგეთის ინიციატივით შემუშავებული რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის 1915 წლის 26 აპრილის ფარული შეთანხმება იტალიასთან. ამ შეთანხმების ძალით, იტალია ანტანტის მოკავშირე ხდებოდა და მის მხარეზე ებმებოდა ომში. ამის სანაცვლოდ „ჯილდოს" სახით მას ეძლეოდა სესხი და ვრცელი ტერიტორიული დაპირებები. ავსტრია-უნგრეთის იტალიურ მიწებთან და თურქეთის ზოგიერთ სამფლობელოებთან ერთად მას უნდა მიეღო ადრიატიკის ზღვისპირა სლავური ტერიტორიების ნაწილი ბალკანეთზე. ამ ფარული შეთანხმების საერთაშორისო ანტისლავური მუხლები ცნობილი გახდა სერბების, ხორვატებისა და სლოვაკებისათვის, რამაც მათი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მათთვის აშკარა იყო, რომ ამ შეთანხმების შედეგად ისინი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნაცვლად შეიძენდნენ ახალ ბატონს — იტალიას. ამიტომ იყო, რომ თუ ჩეხები, სლოვაკები, კარპატის უკრაინელები,

---

[1] მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტ უილსონის „14 პუნქტი" ითვალისწინებდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შენარჩუნებას და მხოლოდ ავტონომიას ჰპირდებოდა იქ მცხოვრებ სლავ და სხვა ხალხებს.

ხორვატები და სხვები ხალისით ნებდებოდნენ ტყვედ რუსეთის არმიას, სულ სხვაგვარად იქცეოდნენ იტალიის ფრონტზე. ისინი თავგამოდებით ებრძოდნენ მათზე ბატონობის დამყარების მოსურნე იტალიელებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მათ. იტალიის არმიის მომდევნო წარუმატებლობა ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე მნიშვნელოვნად იუგოსლაველ ჯარისკაცთა გააფთრებული წინააღმდეგობის შედეგი იყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირლანდიაში

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი კერა იყო მრავალტანჯული ირლანდია. 1916 წლის აპრილს ირლანდიაში იფეთქა მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ ინგლისელთა კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. იგი წარმოადგენდა იმ ხანგრძლივი და მძიმე განმათავისუფლებელი ბრძოლის ლოგიკურ გაგრძელებას (მის ერთ-ერთ ეტაპს), რასაც საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა დამონებული და ინგლისელი ლენდლორდების მიერ საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ირლანდიელი ხალხი ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, რომელიც მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის ენერგიული მხარდაჭერით სარგებლობდა, როგორც ცნობილია, ატარებდა ერთ და იმავე დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ და აგრარულ ხასიათს.

1916 წლის აჯანყების უშუალო მიზეზი იყო 1914 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული ჰომრულის ბილის (ირლანდიისათვის თვითმმართველობის მინიჭების კანონი) გატარების გადადება ომის დამთავრებამდე, ამ ბილის ნახევრული ხასიათი და ის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი, რაც ინგლისის ხელისუფლებმა ომის ვითარების მომიზეზებით დაამყარეს ირლანდიაში. ომმა მკვეთრად გააუარესა ირლანდიის მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების პირობები. ირლანდიელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, რომლებიც ინგლისის არმიას აწვდიდნენ სურსათსა და სხვა საჭირო მოწყობილობას, გააძლიერეს „თანამემამულე“ მშრომელთა ჩაგვრა-ექსპლუატაცია. მართალია, ჰომრულით კმაყოფილმა მემარჯვენე ირლანდიელმა ნაციონალისტებმა ინგლისელებთან ლოიალურ თანამშრომლობაზე აიღეს გეზი, მაგრამ ირლანდიელი ხალხის დემოკრატიული ძალები ახალი ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტის, დემოკრატიული უფლებებისა და ადამიანური ცხოვრებისათვის. სწორედ ეს ძალები გახდნენ ინგლისელი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა მკაცრი რეპრესიების ობიექტი.

ირლანდიელმა პატრიოტებმა აჯანყებამდე შექმნეს ერთიანი ნაციონალური ფრონტი. მასში შევიდნენ წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ეყრდნობოდნენ „ირლანდიელ მოხალისეთა“ რაზმებს, და ირლანდიელი რევოლუციური ძალები, უპირატესად სოციალისტები. ამ უკანასკნელთ ჰყავდათ მუშათა რაზმები „ირლანდიის სამოქალაქო გვარდიის“ სახელწოდებით. ამ ერთიანმა სახალხო პატრიოტულმა ფრონტმა გადაწყვიტა ესარგებლა ინგლისში ომით გამოწვეული სიძნელეებით და შეიარაღებული აჯანყება შეამზადა დამოუკიდებელი ირლანდიის რესპუბლიკის შესაქმნელად. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ძალების ძირითადი ბაზა იყო დუბლინი.

1916 წლის 24 აპრილს ღამით 1200-მდე „მოხალისე“ და „სამოქალაქო გვარდიელი“ მეამბოხე დაეუფლა დუბლინის ადმინისტრაციულ შენობებს, მთავარ ფოსტას, რკინიგზის სადგურებს და სხვა სტრატეგიულ პუნქტებს. მათ გამოაცხადეს ირლანდიის რესპუბლიკა და შექმნეს დროებითი მთავრობა პირსის ხელმძღვანელობით. მეამბოხეებს სარდლობდა გამოჩენილი რევოლუციონერი, ნიჭიერი პუბლიცისტი და პოეტი, სოციალისტი ჯეიმზ კონოლი.

ირლანდიელ პატრიოტთა აჯანყებას თანაგრძნობით შეხვდა ირლანდიის მშრომელი მასა, მაგრამ ეს თანაგრძნობა საკმარისი არ აღმოჩნდა. აჯანყების ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს მთელი ირლანდიის მოსახლეობის ამხედრება. მოხალისეთა ცალკეული გამოსვლები პროვინციებში დაგვიანებული იყო. აჯანყების ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ ისეთი რადიკალური სოციალური პროგრამა, რომელსაც შეეძლო აღეგზნო საბრძოლველად გლეხთა მასები. ასეთ იზოლირებულ ვითარებაში დუბლინის მეამბოხეები ერთი კვირის განმავლობაში ეწეოდნენ უთანასწორო ბრძოლას ინგლისის 20-ათასიანი არმიის წინააღმდეგ, რომელიც ქალაქის ბარბაროსულ საჰაერო დაბომბვასაც არ მოერიდა. 30 აპრილს აჯანყება ჩაახშვეს. ინგლისის სარდლობა გენერალ მაქსუელის ხელმძღვანელობით მხეცურად გაუსწორდა დამარცხებულ ირლანდიელ პატრიოტებს: აჯანყების 16 ხელმძღვანელი, მათ შორის კონოლი, პირსი, კეზმენტი სიკვდილით იქნენ დასჯილნი. ცოცხლად დარჩენილი ათასობით რიგითი მეამბოხე შეიპყრეს და ინგლისისა დ უელსის სპეციალურ ბანაკებში მოათავსეს.

დამარცხების მიუხედავად, აჯანყებამ კიდევ უფრო გააძლიერა ირლანდიელ ხალხში ანტიინგლისური განწყობილება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი გავლენა ომის მსვლელობასა და რევოლუციური კრიზისის განვითარებაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში ომის დასასრულს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რუსეთში როგორც ომი სისტემის წარმოშობისა და ურთიერთბრძოლის დასაწყისი

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან და იმპერიის ჩაგრული ეროვნებების მშრომელებთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით მოახდინა მსოფლიოში უდიდესი რევოლუციური გადატრიალება. მან გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში. დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა. შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ამით „დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევის და კომუნიზმის დამკვიდრების ერას“ [1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი კოლოსალური შედეგებით დაჩრდილა ყველა მანამდელი რევოლუცია, თვით პარიზის კომუნაც კი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ი. ბ. სტალინის შეფასებით, მოასწავებდა „... ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტლისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ“. იგი მოასწავებდა „... ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებული მა-

[1] სკკპ პროგრამა, „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ნოემბერი.

სების ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში“ [1].

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა. ეს იყო ნახტომი „აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროსაკენ“. მან ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა ფორმას, ქვა ქვაზე არ დატოვა ექსპლუატატორთა წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიებისაგან, გამოაცხადა და უზრუნველყო ერთა თვითგამორკვევა, ისტორიაში პირველად გაათავისუფლა ქალი და მიანიჭა მას მამაკაცის თანაბარი უფლებები. ძირბუდიანად შეარყია მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი შენობა; ბოლო მოუღო ყოვლისმომცველ კაპიტალისტურ სისტემას და სათავე დაუდო მსოფლიოს გათიშვას ერთმანეთისაგან დიამეტრალურად დაპირისპირებულ ორ სისტემად. „საერთაშორისო ასპარეზზე პირველად წარმოიშვა სახელმწიფო, რომელმაც წამოაყენა მშვიდობის დიადი ლოზუნგი და დაიწყო ახალი პრინციპების განხორციელება ხალხებისა და ქვეყნების ურთიერთობაში. კაცობრიობამ პოვა საიმედო დასაყრდენი თავის ბრძოლაში დამპყრობლური ომების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის“ [2].

დიდმა ოქტომბერმა მძლავრი ბიძგი მისცა მსოფლიო ამბებს, დააჩქარა ისტორიული განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაწყვეტა და მით უდიდესი ნიშანსვეტი გახდა კომუნიზმისაკენ კაცობრიობის წინსვლის გზაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიოში პირველი რევოლუცია იყო, რომელიც ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა და უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. კოლოსალური იყო მისი ზემოქმედება მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებაზე. მან გააღრმავა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი და მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას კაპიტალისტურ ქვეყნებში, რითაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარული რევოლუციების ეპოქას. დიდმა ოქტომბერმა გამოაფხიზლა კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების მოსახლეობა. გამოიყვანა იგი ისტორიის ავანსცენაზე, აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და იმპერიალიზმის რევოლუციური მსხვრევის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად აქცია.

---

[1] ი. ბ. სტალინი, ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი, თხზ., ტ. 10, გვ. 255—256.

[2] სკკპ პროგრამა, „კომუნისტი“, 1961 წლის 2 ნოემბერი.

„...ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არა ადგილობრივი, არა ეროვნულ-განსაკუთრებული, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. და მე აქ ვლაპარაკობ საერთაშორისო მნიშვნელობაზე არა ამ სიტყვის ფართო აზრით: ჩვენი რევოლუციის არა ზოგიერთი, არამედ ყველა ძირითად და ბევრ მეორეხარისხოვან თვისებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყანაზე ამ რევოლუციის ზემოქმედების თვალსაზრისით. არა, მე ვლაპარაკობ ამ მნიშვნელობაზე სიტყვის სრულიად ვიწრო აზრით, ე. ი. თუ საერთაშორისო მნიშვნელობად ვიგულისხმებთ საერთაშორისო მასშტაბით იმის გამეორების საერთაშორისო მნიშვნელობას ან ისტორიულ გარდუვალობას, რაც ჩვენში მოხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას ასეთი მნიშვნელობა აქვს“ [1].

მსოფლიო ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულება, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმიტომ, რომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, არამედ იმიტომაც. რომ მისი განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი საერთაშორისო მასშტაბით არაერთგზის განმეორდა.

ოქტომბრის ბრძოლების ქარტეხილში აღმოცენებული საბჭოთა სახელმწიფო, მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, გახდა ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მძლავრი იარაღი, კაცობრიობის პროგრესული ძალების მტკიცე საყრდენი და გზამკვლევი მათ ბრძოლაში საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი აქტი თავისი გადაწყვეტილებებით განამტკიცა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს).

ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელიც მიიღო საბჭოების მეორე ყრილობის მეორე სხდომამ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) ვ. ი. ლენინის მოხსენების საფუძველზე, იყო ისტორიული დეკრეტი ზავის შესახებ.

ზავის დეკრეტით საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს დაუყოვნებლივ დაეწ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში. თხზ., ტ. 31, გვ. 5.

ყოთ მოლაპარაკება სამართლიანი, დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დასადებად. დეკრეტი ამხელდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მის ორგანიზატორებს და უჩვენებდა ამ ომიდან გამოსვლის რეალურ გზას. ყველა მეომარ მხარეს წინადადება ეძლეოდა დაუყოვნებლივ დაედოთ სამთვიანი დაზავება. ამ ვადაში მეომარ დიდ სახელმწიფოებს, ომში ძალად ჩათრეულ ყველა ერისა და ხალხის წარმომადგენლებთან ერთად უნდა დაემთავრებინათ მოლაპარაკება საერთო ზავის შესახებ.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ იგი დაიწყებდა იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას, რომლებიც მიღებული იყო რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის მიერ 1917 წლის თებერვლიდან იმავე წლის 25 ოქტომბრამდე. ეს ხელშეკრულებები „უცილობლად და დაუყოვნებლივ გაუქმებულად" ცხადდებოდა. ამგვარად, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება მთლიანად და სავსებით ეშიჯნებოდა დამხობილი მთავრობის იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას.

აღნიშნული ლენინური დოკუმენტი მიმართული იყო არა მარტო მეომარი მხარეების მთავრობებისადმი, არამედ ხალხებისადმი. მიმართავდა რა ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მუშებს, საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამდა, რომ ისინი „გაიგებენ ომის საშინელებათა და მისი შედეგებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ამჟამად მათზე დაკისრებულ ამოცანას და დაეხმარებიან საბჭოთა მთავრობას წარმატებით დაავგირგვინოს ზავის საქმე".

ამ დეკრეტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა მთავრობის ხანგრძლივ და თანმიმდევრულ ბრძოლას მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებისათვის, დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობის ბაზაზე აგებულ საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსა და მსოფლიოს ყველა ხალხის უშიშროებისათვის.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება და ბრესტის ზავი

მეომარი ქვეყნების იმპერიალისტური მთავრობები, ცხადია, მტრულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მეფის რუსეთის ტერიტორიაზე. გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ამას უპასუხეს ახალი შეტევით აღმოსავლეთის ფრონტზე, ანტანტის ქვეყნებ-

მა კი მაშინვე ხელი მიჰყვეს ჯაშუშურ-დივერსიულ საქმიანობას ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ცოტა უფრო გვიან მათ დახმარება აღმოუჩინეს კალედინის, დუხონინის, უკრაინის რადისა და სხვა კონტრრევოლუციურ ძალებს და დაიწყეს ფარული მოლაპარაკება რუსეთში „სტაბილური მთავრობის" შესაქმნელად და ანტისაბჭოთა ინტერვენციის მოსაწყობად. ამასთანავე მათ ყოველმხრივ, ხელი შეუწყვეს გერმანიის შეტევას საბჭოთა რუსეთზე.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ წააწყდა ანტანტისა და გერმანიის ბლოკის სახელმწიფოთა სასტიკ წინააღმდეგობას. ახალი კოლონიების დაუფლებისა და ჩამორჩენილი და მცირე ერების დამონების ორგანიზატორმა იმპერიალისტურმა მთავრობებმა, რომლებსაც უსამართლო, მტაცებლური მიზნები ამოქმედებდათ და იმპერიალისტური ზავისათვის იბრძოდნენ, ჯერ უყურადღებოდ დატოვეს საბჭოთა რუსეთის მოწოდება. შემდეგ კი გადაჭრით უარყვეს საბჭოთა წინადადება საყოველთაო სამართლიანი ზავის დადების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მთელი არსებით მიისწრაფოდა ნშვიდობის აღდგენისაკენ და ზავის დადება ახალი ხელისუფლების განმტკიცების საიმედო საშუალებად მიაჩნდა, ანტანტის საბოტაჟის გამო იძულებული გახდა დამოუკიდებლად დაეწყო საზავო მოლაპარაკება გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. მოლაპარაკება დაიწყო 1917 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) ბრესტ-ლიტოვსკში[1].

2(15) დეკემბერს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ ცალმხრივ 28 დღიანი დროებითი ზავი. მისი ერთ-ერთი პუნქტით გერმანია და მისი მოკავშირეები ვალდებულებას კისრულობდნენ დროებითი ზავის პერიოდში არ გადაეყვანათ თავიანთი ჯარის ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთის ფრონტზე.

მოლაპარაკების დასაწყისშივე საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა 6 პირობა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალ ზავს გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი).

ეს პირობები იყო: 1. მეომარი მხარეების მიერ ამ ომში დაპყრობილი ყველა ტერიტორიის განთავისუფლება, 2. ყველა იმ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომლებმაც ამ ომის დროს დაკარგეს ივი. 3. იმ ეროვნული ჯგუფეიისათვის, რომლებიც ომამდე დამოუკიდებლობით არ სარგებლობდნენ. უფლების მიცემა—თავიან-

---

[1] ამ ქალაქში მაშინ იყო გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის შტაბი

თი ნება-სურვილის მიხედვით გადაეწყვიტათ ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლა, 4. ეროვნულ უმცირესობათათვის კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ან ადმინისტრაციული ავტონომიის უზრუნველყოფა, 5. კოლონიური ხალხების ბედის ზემომოტანილი პრინციპების შესაბამისად გადაწყვეტა, 6. მეომარი მხარეების მიერ რაიმე სახის „ომის ხარჯებსა“ და კონტრიბუციაზე ხელის აღება, ომის დროს უკვე გადახდეევინებული კონტრიბუციის უკან დაბრუნება, ეკონომიურ ომსა და ეკონომიურ ბოიკოტზე ხელის აღება და სხვ.

ანტანტის ქვეყნებმა უარყვეს საყოველთაო სამართლიანი დემოკრატიული ზავის აღნიშნული პირობები, რითაც საბოლოოდ ნიღაბი ჩამოიხსნეს და მსოფლიო საზოგადოებრიობას დაანახვეს თავიანთი ნამდვილი მტაცებლური სახე.

მაგრამ იმპერიალისტებისათვის იოლი როდი იყო ერთი ხელის მოსმით უარყოფა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პროგრამისა, რომელიც მსოფლიოს მშრომელთა სასოებას გამოხატავდა და ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა. ამიტომ დასავლეთის მოკავშირეები მშვიდობის მომხრე ძალების შეცდომაში შესაყვანად იძულებულნი იყვნენ თვითონაც გამოსულიყვნენ თავისი სამშვიდობო პროგრამით. საამისო გამიზნულობა ჰქონდა პრეზიდენტ უილსონის „14 პუნქტს“, რომელიც აშშ-ის კონგრესისადმი მიმართვით გამოქვეყნდა ვაშინგტონში 1918 წლის 8 იანვარს [1].

პრეზიდენტ უილსონის „14 პუნქტი“ წარმოადგენდა აშშ-ის საექსპანსიო იმპერიალისტურ პროგრამას, რომელიც მოხერხებულად იყო შენიღბული სამშვიდობო დემოკრატიული ფრაზეოლოგიით. იგი ითვალისწინებდა ფარული დიპლომატიის ლიკვიდაციას, ყველა კოლონიური საკითხის გადაწყვეტას მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ბელგიის განთავისუფლებასა და აღდგენას, ელზას-ლორენის დაბრუნებას საფრანგეთისათვის, გერმანიის ჯარების გამოყვანას საფრანგეთის ყველა ოკუპირებული ოლქებიდან და აგრეთვე რუმინეთიდან, სერბეთიდან, ჩერნოგორიიდან, სერბეთისათვის ზღვაზე გასავლის მიცემას, პოლონეთის აღდგენას „უცილობელი პოლონური მოსახლეობის“ მქონე ტერიტორიის ფარგლებში, მისთვის ზღვაზე თავისუფალი გასვლის უზრუნველყოფას, იტალიის საზღვრების შესწორებას, მისთვის ავსტრია-უნგრეთის ფარგლებში მოქცეული

---

[1] მას წინ უძღოდა ინგლისის პრემიერის ლოიდ ჯორჯის „სამშვიდობო“ ინიციატივა (1918 წ. 5 იანვარს), რომელიც აგრეთვე მასების დაშოშმინებას ისახავდა მიზნად. მასში აღნიშნული იყო, რომ მოკავშირეებს არა აქვთ აგრესიული მიზნები და სამართლიანი ზავის დამყარებისათვის იღვწიან.

იტალიური მიწების დაბრუნებით, ავსტრია-უნგრეთის შენარჩუნებას მასში შემავალი სლავი და სხვა ხალხებისათვის ავტონომიის მინიჭებით, თურქეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა არათურქი ხალხისათვის ავტონომიის უფლების უზრუნველყოფას, რუსეთის ყველა ტერიტორიის განთავისუფლებასა და მისთვის დახმარების გაწევას (რაც არსებითად გულისხმობდა ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის აღდგენას), ერთა ლიგის შექმნას და სხვ.

უილსონის „14 პუნქტის" რეალური იმპერიალისტური შინაარსი მკაფიოდ გამომჟღავნდა ცოტა უფრო გვიან, როცა ამერიკელმა და ანტანტის სხვა ქვეყნების იმპერიალისტებმა მკაფიოდ გამოავლინეს თავიანთი ჭეშმარიტი სახე. ყველაზე ნათლად იგი გამოვლინდა „რუსეთის საკითხში", „საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და რუსეთის დანაწილებას რომ ითვალისწინებდა, და თურქეთის იმპერიაში შემავალ არაბ და სხვა ხალხებზე ბატონობის დამყარების აშკარა პრეტენზიებში.

ანტანტის ქვეყნების უარმა, მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში სამართლიანი ზავის დასადებად და ეცნოთ მის საფუძვლად საბჭოთა მთავრობის დემოკრატიული საზავო პროგრამა, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობებს ფორმალური საბაბი მისცა აგრეთვე უარი ეთქვათ ამ პროგრამის პრინციპების ცნობაზე. ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიის დელეგაციამ, რომელშიც წამყვან როლს ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის მილიტარისტული ჯგუფის წარმომადგენელი გენერალი ჰოფმანი ასრულებდა, ულტიმატუმის ენით დაიწყო ლაპარაკი. ჰოფმანმა ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის სახელით უხეში ფორმით მოითხოვა საბჭოთა დელეგაციის თანხმობა გერმანიის მიერ პოლონეთის, ბელორუსიის ნაწილის, მთელი ლიტვისა და კურლანდიის დაპყრობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საომარი მოქმედების გაგრძელებით იმუქრებოდა.

მაგრამ გერმანიის ხელისუფლების სათავეში მყოფი მილიტარისტული ჯგუფი ამასაც არ დასჯერდა. 1918 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს) გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დელეგატებმა ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერეს სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას უკრაინის კონტრრევოლუციურ ცენტრალურ რადასთან (რომლის ხელისუფლება ამ დროისათვის უკვე დამხობილი იყო აჯანყებული მშრომელების მიერ). აღნიშნული ხელშეკრულებით რადა უკრაინას საძარცვავად აძლევდა გერმანელ მილიტარისტებს, რის სანაცვლოდაც გერმანია სცნობდა რადის ხელისუფლებას უკრაინაზე, მისი დახმარების საბაბით ჯარი შეჰყავდა უკრაინაში და, არსებითად, ამყარებდა იქ თავის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს.

გერმანელ მილიტარისტთა მოთხოვნები იყო არა მარტო თავხედური და გამომწვევი, არამედ მეტად მძიმე და ყაჩაღური. მაგრამ ვ. ი. ლენინისათვის ნათელი იყო, რომ საბჭოთა მთავრობას არჩევანის შესაძლებლობა არა ჰქონდა. საშინელი სამეურნეო მოშლილობა, მოსახლეობის არნახული მოქანცულობა და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად დროის მოგების საჭიროება გადაუდებლად აყენებდა გერმანელ მილიტარისტთა და მათ მოკავშირეთა ანექსიონისტურ საზავო მოთხოვნათა მიღებას.

ესერები, მენშევიკები და ანტისაბჭოთა პარტიები გააფთრებით ილაშქრებდნენ გერმანიასთან ზავის დადების წინააღმდეგ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ომის გაგრძელებას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის დამარცხება და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამ საკითხში ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ პარტიის რიგებში გაილაშქრეს ტროცკიმ და ე. წ. „მემარცხენე კომუნისტებმა“ ბუხარინის ხელმძღვანელობით. ისინი მოითხოვდნენ გერმანელთა საზავო პირობების უარყოფას და „რევოლუციური ომის“ გაგრძელებას გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. მაგრამ ომის გაგრძელება ახალი რევოლუციური არმიის შექმნამდე, გარდუვალად გამოიწვევდა საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას.

1918 წლის 11(24) იანვარს რსდმპ(ბ) ცკ სხდომამ გადაჭრით დაგმო ტროცკისა და „მემარცხენე კომუნისტების“ პოზიცია; საბჭოთა დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში (რომელსაც ტროცკი ხელმძღვანელობდა) მითითება მიეცა გაეჭიანურებინა მოლაპარაკება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ხელი მოეწერა გერმანელების საზავო პირობებზე, თუ ისინი ულტიმატუმის წესით მოითხოვდნენ ამას. მაგრამ ტროცკი აშკარად ღალატის გზას დაადგა, არ დაემორჩილა პეტროგრადიდან მიღებულ დირექტივას, უარი თქვა ზავის პირობებზე, თანაც გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ომზე და განაგრძობს ჯარების დემობილიზაციას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთს მეტად ძვირად დაუჯდა ტროცკის გამცემლობა. გერმანელმა იმპერიალისტებმა საბაბად გამოიყენეს მისი განცხადება, ვერაგულად დაარღვიეს დაზავება და 18 თებერვალს დაიწყეს შეტევა მთელ ფრონტზე. ძველი დაშლილი არმიის ნაწილების სუსტი წინააღმდეგობის გამო გერმანელმა ინტერვენტებმა მოკლე დროში შეძლეს ვრცელი ტერიტორიის ოკუპაცია. 23 თებერვალს გერმანიის მთავრობამ წამოუყენა საბჭოთა მთავრობას ზავის ახალი პირობები, რომლებიც გაცილებით უფრო მძიმე იყო.

მართალია, წითელი არმიის ახლახან ფორმირებულმა ნაწილებმა

ძველი არმიის ბრძოლისუნარიან ნაწილებთან ერთად მთელ რიგ უბნებზე შეაჩერეს ინტერვენტთა წინსვლა, პსკოვთან და ნარვასთან სერიოზული დარტყმა მიაყენეს მას და ჩაშალეს რევოლუციის დედაქალაქის პეტროგრადის ხელში ჩაგდების მუხანათური გეგმა, მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. ზავზე ხელმოწერის ყოველი გაჭიანურება აძლიერებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის შექმნილ სასიკვდილო საფრთხეს. შემდგომი დაყოვნება შეუძლებელი იყო. 23 თებერვალს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „მემარცხენე კომუნისტთა“ და ტროცკისტთა სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო ლენინის წინადადება გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ზავზე ხელმოწერის შესახებ.

1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთის ახალმა დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას. დელეგაციამ ამასთან ერთად განაცხადა, რომ ზავის მძიმე პირობები ძალით მოახვია თავს საბჭოთა რუსეთს ამჟამად ძლიერმა გერმანიამ, რის გამოც, შექმნილ პირობებში იგი უარს აცხადებს მათ განხილვაზე.

ბრესტის ზავით[1] საბჭოთა რუსეთი კარგავდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ვრცელ ტერიტორიას (ასორმოცდაათ ათასზე მეტი კვადრატული კილომეტრის ფართობით)—პოლონეთს, ლიტვას, კურლანდიას, ლიფლანდიას, ესტლანდიას. გარდა ამისა, გერმანელთა ხელში რჩებოდა ის ტერიტორიები, რომლებიც ხელშეკრულებით დაწესებული საზღვრის აღმოსავლეთით მდებარეობდა და დაკავებული იყო გერმანიის ჯარების მიერ. კავკასიაში საბჭოთა რუსეთი თურქეთს უთმობდა ყარსს, არტაანსა და ბათუმს. უკრაინა და ფინეთი ცხადდებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. საბჭოთა რუსეთს უნდა ეცნო გერმანიის მიერ უკრაინის ცენტრალურ რადასთან დადებული ხელშეკრულება, მოეხდინა არმიის (წითელი არმიის ნაწილების ჩათვლით) სრული დემობილიზაცია, განეიარაღებინა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, გამოეყვანა თავისი ჯარები უკრაინიდან, ფინეთიდან, ალანდის კუნძულებიდან და სამხედრო ფლოტი — ფინეთის ნავსადგურებიდან. უნდა აღდგენილიყო რუსეთისათვის არახელსაყრელი გერმანია-რუსეთის 1904 წლის სავაჭრო ხელშეკრულება და სხვ.

ბრესტის ზავს ვ. ი. ლენინმა „უბედური, გაუგონრად მძიმე და უსასრულოდ დამამცირებელი“ ზავი უწოდა. გერმანული უხეში ძა-

---

[1] იგი შედგებოდა მთელი რიგი დოკუმენტებისაგან. საბჭოთა რუსეთმა საზავო ხელშეკრულებას სათანადო დამატებებით ხელი მოაწერა ცალ-ცალკე გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, თურქეთთან და ბულგარეთთან. ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა 1918 წლის 15 მარტს საბჭოების სრულიად რუსეთის IV საგანგებო ყრილობაზე.

ლის წინაშე პირისპირ მდგომი ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო მიეღო ეს დამამცირებელი საზავო პირობები. მიუხედავად ამისა, ვ. ი. ლენინი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საბჭოთა რუსეთი აიტანდა ამ სიმძიმეს. ისტორიამ, წერდა იგი, იცის კიდევ უფრო უბედური ზავის მაგალითები, მაგრამ გასრესილი ხალხები მაინც ახერხებდნენ წელში გასწორებას და წინ წაწევას. „მომავალი, — წერდა ვ. ი. ლენინი. — მიუხედავად ყოველგვარი განსაცდელისა — ჩვენია“ [1].

ბრესტის ზავმა, მიუხედავად მისი უმძიმესი პირობებისა, საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცა დრო მოეგო მოპოვებული გამარჯვების განსამტკიცებლად და ქვეყნის მძიმე მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის წესრიგში მოსაყვანად. მან შექმნა იმპერიალიზმის ბანაკში არსებულ შეტაკებათა გამოყენების, მოწინააღმდეგის ძალების დარღვევისა და წითელი არმიის შექმნის შესაძლებლობა. ზავის დადებამ რუსეთის მუშათა კლასს წესაძლებლობა მისცა თავის მხარეზე ჰყოლოდა გლეხობა და დაეგროვებინა ძალები სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელი გენერლების გასანადგურებლად. მან ჩაშალა აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა გერმანელების გამოყენებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. ამასთან ერთად, მან ნიღაბი ჩამოხსნა გერმანიის იმპერიალიზმს, მთელ ქვეყანას დაანახვა მისი მტაცებლური სახე, აამხედრა მსოფლიოს დემოკრატიული ძალები და, საბოლოო ჯამში, დააჩქარა მისი დაღუპვა.

გერმანიის გლოკის სახელმწიფოების ინტერვენცია საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა ხალხის ბრძოლა ინტერვენტთა წინააღმდეგ. ანტანტის ინტერვენციის დასასრული

ბრესტის ზავის დადების შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა. გერმანელი იმპერიალისტები არც კი ფიქრობდნენ საბჭოთა რუსეთისათვის ძალით თავზე მოხვეული ზავის პირობების შესრულებას. ისინი არ დაკმაყოფილდნენ მარტო იმ ტერიტორიების ოკუპირებითა და გაძარცვით, რაც ზავის შედეგად მათ ხელში გადავიდა, და სხვა საბჭოთა მიწებსაც წაუპოტინეს ხელი. უკრაინის ვრცელ ტერიტორიასთან ერთად მათ ყირიმისა და დონის ოლქის ოკუპაციაც მოახდინეს. წახალისების მიზნით, გერმანიის ჯარებმა გენერალ კრასნოვის მეთაურობით მოქმედ დონისა და ყუბანის კონტრრევოლუციურ ძა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, უბედური ზავი, თხზ., ტ. 27, გვ. 43.

ლებს (მდიდარ კაზაკობას რომ ეყრდნობოდა) დიდი სამხედრო და მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს. გერმანელი იმპერიალისტები ამიერკავკასიაშიც შეიჭრნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთი, ქვანახშირი, მარგანეცი და სხვ. ყველგან, სადაც კი ფეხს მოიკიდებდნენ ისინი, მყარდებოდა აუტანელი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი, მხედრიონის თარეში და თვითნებობა. საბჭოთა ხელისუფლების დამხობასთან ერთად გერმანელმა ოკუპანტებმა ძველი წესების რესტავრაცია მოახდინეს; კაპიტალისტებსა და მემამულეებს დაუბრუნეს ფაბრიკა-ქარხნები, მიწა, მოძრავი ქონება. გერმანელმა ინტერვენტებმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაზიდეს დიდძალი პურეული, პირუტყვი, მრავალფეროვანი ნედლეული, სამრეწველო საქონელი, ტრანსპორტის საშუალებანი, უნიკალური ნივთები, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა და სხვ. გერმანელი და ავსტრია-უნგრელი მილიტარისტები ამით ცდილობდნენ შეევსოთ დაცარიელებული საწყობები და ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინათ თავიანთი უმძიმესი სასურსათო და სანედლეულო სიძნელეები.

გერმანელ და ავსტრიელ ოკუპანტთა აღვირახსნილ თარეშს და ძარცვა-გლეჯას უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთისა და სხვა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობამ საყოველთაო სახალხო-განმათავისუფლებელი, სამამულო ომით უპასუხა. განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლამ უკრაინასა და ბელორუსიაში, სადაც იგი მასობრივი პარტიზანული ბრძოლის სახით გაიშალა. მრავალრიცხოვან პარტიზანულ რაზმებში გაერთიანებული მუშები, გლეხები, რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა გასაქანს არ აძლევდნენ ოკუპანტებს, თავს ესხმოდნენ მათ გარნიზონებსა და ეშელონებს.

აღმოსავლეთის ფრონტი, რომლის მოხსნა და იქიდან განთავისუფლებული ძალების დასავლეთის ფრონტზე გადასროლა ასე გულით ეწადათ გერმანელ მილიტარისტებს, ფაქტიურად განაგრძობდა არსებობას. ისინი იძულებულნი იყვნენ ისევ ორ ფრონტზე ებრძოლათ. ბრესტის ზავზე ხელმოწერის შემდეგ ოკუპირებულ ქვეყნებში აზვირთებულ სახალხო-პატრიოტულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად გერმანელ მილიტარისტებს აღმოსავლეთის ფრონტზე თავიანთი არმიის 25% ჰყავდათ. ასეთივე მდგომარეობა იყო 1918 წლის ივნის-სექტემბრის თვეებშიც, როდესაც დასავლეთის ფრონტზე გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ანტანტის ძალებსა და გერმანიის არმიას შორის, 40-ზე მეტი ქვეითი დივიზია, დიდძალი საკავალერიო ნაწილები და სხვა

დამხმარე ძალები ისევ აღმოსავლეთის ფრონტზე იყვნენ მიჯაჭვულნი [1].

ბრესტის ზავმა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, იმედები გაუცრუა ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს. მათ ვერ შეძლეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი: ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ძველი წესების აღდგენა რუსეთში. ამან აღნიშნული ქვეყნების მმართველებს აშკარა ანტისაბჭოთა ინტერვენციისაკენ უბიძგა. ისინი არ დაკმაყოფილდნენ თეთრგვარდიელი გენერლებისადმი დახმარების გაძლიერებით და 1918 წლის გაზაფხულიდან აშკარა ინტერვენცია დაიწყეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის ჯარებმა დაიკავეს მურმანსკი და არხანგელსკი და დაიწყეს სამხრეთისაკენ წინ წაწევა, შორეულ აღმოსავლეთში კი იაპონელები და ამერიკელები დაეუფლნენ ვლადივოსტოკს. ანტანტის ქვეყნების ინტერვენცია საბჭოების მიწა-წყალზე ყველგან აღინიშნა საბჭოთა ხელისუფლების დამხობით, ძველი წყობილების აღდგენით, ხელისუფლების თეთრგვარდიელი გენერლებისათვის გადაცემით, სამოქალაქო მოსახლეობის აწიოკებით, კომუნისტების მასობრივი დახვრეტით, ძარცვა-გლეჯითა და სისხლიანი საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით. მათი ყოველმხრივი დახმარებით ამოტივტივდნენ კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი, ვრანგელი, ალექსეევი და სხვა თეთრგვარდიელი გენერლები, რომლებმაც ბურჟუაზიულ-მემამულურ კონტრრევოლუციასთან ერთად მოახერხეს აქა-იქ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და „მოხალისეთა არმიების" შექმნა საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველად. მათივე წაქეზებით და დახმარებით მოხდა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ჩეხოსლოვაკების ნაწილების (კორპუსის) კონტრრევოლუციური აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა კაპიტალისტურ ქვეყნებზე და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც აზიისა და აფრიკის დამონებულ კოლონიურ და ნახევარკოლონიურ ხალხებზე, ისე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებზე. ვ. ი. ლენინის მოწოდებას, რუსეთის რევოლუციის მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ კაპიტალისტური ქვეყნე-

[1] სულ ავსტრია-უნგრეთის ჯარებთან ერთად რუსეთის ფრონტზე იმყოფებოდა 75 დივიზია.

ბის მშრომელები და ახალი ძალით გააჩაღეს რევოლუციური ბრძოლა კაპიტალის უღლის დასამხობად. მეომარ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობას უბედურება დაატეხა თავს მიმდინარე იმპერიალისტურმა ომმა, მშრომელთა რიგებში ფეხმოკიდებული რევოლუციური განწყობილება და სახალხო ანტიიმპერიალისტური მოძრაობა დიდი ოქტომბრის გამარჯვების ზეგავლენით რევოლუციურ კრიზისსა და მძლავრ რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა. ბრესტის ყაჩაღურმა ზავმა და გერმანელ მილიტარისტთა ინტერვენციამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მილიონობით მშრომელს ნათლად დაანახვა ომში მონაწილე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლური სახე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი საბრძოლო სულისკვეთება.

ერთ-ერთი პირველი რევოლუციური გამოსვლა, რასაც ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენით, იყო ფინელ მუშათა აჯანყება და ფინეთის რევოლუციური მთავრობის (სახალხო რწმუნებულთა სახელწოდებით) შექმნა ჰელსინკში 1918 წლის იანვარში.

ფინეთის კონტრრევოლუციამ გერმანელი იმპერიალისტების სამხედრო დახმარებით აპრილის შუა რიცხვებში მოახერხა ფინეთის რევოლუციის ჩახშობა და კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების აღდგენა. გერმანელმა ინტერვენტებმა და მანერჰაიმის კონტრრევოლუციურმა ძალებმა შეუბრალებლად იძიეს შური მშრომელებზე და სიცოცხლეს გამოასალმეს რევოლუციური აჯანყების 35 ათასამდე მონაწილე. მემარჯვენე სოციალისტთა გამცემლობამ, მუშათა კლასის სუსტმა კავშირმა გლეხობასთან, ნათელი სოციალისტური პროგრამის უქონლობამ, რევოლუციური ძალების გაუბედაობამ და არათანმიმდევრობამ ხელი შეუწყო ფინეთის რევოლუციის დამარცხებას.

მასობრივი მოძრაობა იმპერიალისტური ომიდან გამოსვლისა და სამართლიანი ზავის დასადებად და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ზავის დეკრეტის აღფრთოვანებით შეგებება დასაწყისი იყო იმ რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც გაიშალა ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენით.

შიმშილით, სიცივით, სამხედრო დიქტატურის რეჟიმითა და ელემენტარული ადამიანური უფლებების უქონლობით სულშეხუთულმა და გერმანელ-ავსტრიელ იმპერიალისტთა გაუგონარი ანექსიონისტური მოთხოვნებით ავსტრია-უნგრეთის აღშფოთებულმა მშრომელებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ საყოველთაო გაფიცვა, რათა მიეღწიათ დემოკრატიული ზავისათვის. პირველად ვენის პროლეტარიატი

გამოვიდა ასპარეზზე. მან მოაწყო მძლავრი დემონსტრაცია ბრესტ-ლიტოვსკის „სამშვიდობო“ პირობების წინააღმდეგ. არანაკლებ მრისხანე იყო გამოსვლები ავსტრიის სხვა სამრეწველო ცენტრებში: ლინცში, გრაცში, ვინერ-ნოიშტადტში, ზალცბურგში, ნოიკირხენსა და სხვაგან. აქედან იგი გავრცელდა უნგრეთში, ჩეხური ოლქების ცენტრებსა და სხვა ადგილებში.

„გაფიცულთა კოლოსალური რაოდენობა, მათი მასობრივი კრებების ველური რევოლუციური შემართება, მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოების არჩევნები გაფიცულთა კრებებზე, ყველაფერი ეს მოძრაობას აძლევდა გრანდიოზულ რევოლუციურ ხასიათს და მასებში აღვიძებდა იმედს ახლავე გადაექცით გაფიცვა რევოლუციად, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება და მიეღწიათ ზავისათვის“,— ასე ახასიათებდა ავსტრია-უნგრეთის მუშათა განწყობილებას სოციალ-შოვინისტი ოტო ბაუერი.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც წონასწორობა დაუკარგა მასების მრისხანე რევოლუციურმა აზვირთებამ, გადაწყვიტა „სათავეში ჩასდგომოდა“ მას და წაერთმია მისთვის რევოლუციური ხასიათი. ასევე მოიქცნენ პროფესიული კავშირების ხელმძღვანელებიც. ავსტრიის სოციალისტების ლიდერებმა და პროფბიუროკრატებმა კარგი სამსახური გაუწიეს მომაკვდავ ხელისუფლებას და საშუალება მისცეს მას რამდენიმე თვით გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა. მათი ზემოქმედების შედეგად მუშათა დეპუტატების ვენის საბჭომ 21 იანვარს მიიღო დადგენილება საყოველთაო გაფიცვის შესახებ. 4 დღის შემდეგ კი ავსტრიაში, ჩეხეთში, ხორვატიაში და სხვაგან ხელისუფლებისათვის საშიში გაფიცვები შეწყდა. ავსტრია-უნგრეთის მუშათა კლასმა ვერ შეძლო ესარგებლა ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაციით და ხელში აეღო ძალაუფლება.

მასობრივმა რევოლუციურმა მღელვარებამ და მუშათა კლასის რევოლუციურმა გამოსვლებმა დუალისტური იმპერიის ჯარისა და ფლოტის ნაწილებზეც მოახდინა გავლენა. მათ რიგებშიც დაიწყო სერიოზული მღელვარება. 1918 წლის 1 თებერვალს კატაროს ნავსადგურში (ადრიატიკის ზღვაზე) მყოფი სამხედრო გემების მეზღვაურები აჯანყდნენ. აჯანყებულებმა, რომელთა უმრავლესობას ხორვატები, დალმაციელები და სლოვენები შეადგენდნენ, წითელი დროშა ამართეს, განაიარაღეს და შეიპყრეს ოფიცრები და აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შექმნეს მეზღვაურთა დეპუტატების საბჭო. აჯანყებულმა მეზღვაურებმა თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოს მეშვეობით ხელისუფლებას წაუყენეს მოთხოვნები საყო-

ველთაო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დასადებად დაეყოვნებლივი მოლაპარაკების დაწყების, ავსტრია-უნგრეთის ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემისა და ავსტრიასა და უნგრეთში დემოკრატიული მთავრობების შექმნის შესახებ.

მეზღვაურთა აჯანყება სამ დღეს გაგრძელდა, იგი ჩაახშვეს 3 თებერვალს გერმანიის წყალქვეშა ნავების მეშვეობით. 800-ზე მეტი აჯანყებული შეიპყრეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს, აჯანყების 4 მამაცი ხელმძღვანელი (ფრანც რეში, ანტონ გრაბარი, იერაკო სირგორიჩი და მატე ბერნიკოვიჩი) კი დახვრიტეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა ხელისუფლების შექმნას მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე აღტაცებით შეეგებნენ ბულგარეთის მშრომელებიც. რუსეთის ამბებმა ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, მუშათა მასობრივ გაფიცვებსა და ომის საწინააღმდეგო გამოსვლებს. ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ტესნიაკების) პრესა ფართოდ აშუქებდა რუსეთის რევოლუციის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის და რაზმავდა მშრომელებს საბჭოთა რუსეთისა და მის მიერ წამოყენებული სამართლიანი ზავის პირობების მხარის დასაჭერად. ტესნიაკების ლიდერებმა—დ. ბლაგოევმა, გ. დიმიტროვმა და ხ. კაბაკჩიევმა დიდი მუშაობა გასწიეს ჯარის ნაწილებში მუშათა და გლეხთა შორის ოქტომბრის რევოლუციის იდეების დასანერგად და მოსახლეობის ფართო ფენებში ომის საწინააღმდეგო განწყობილების გასაღვივებლად.

1917 წლის დამლეგს აზვირთებული საგაფიცვო მოძრაობა, მიტინგები და ხალხმრავალი დემონსტრაციები სოფიაში, სტარა-ზაგორსა და სხვა ქალაქებში 1918 წლის ზამთარსა და გაზაფხულზეც იჩენდა თავს. ამავე პერიოდში ბულგარეთის ცალკეულ სამხედრო ნაწილებში აჯანყებებმაც კი იფეთქა. სარდლობა სასტიკად ვაუსწორდა ურჩობის გზაზე დამდგარ სამხედრო მოსამსახურეებს და მასობრივად დასაჯა ისინი. აჯანყების წამქეზებლებს და ხელმძღვანელებს სიკვდილით დასჯაც კი მოელოდათ. მაგრამ ისინი მოსახლეობის მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა იხსნა.

რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში დაიწყო. პირველ ყოვლისა, ამ რევოლუციას ბიძგი მისცა შინაგანმა სიძნელეებმა: შიმშილობამ, ხანგრძლივი ომით მოქანცვამ, ჰინდენბურგ-ლუდენდორფის მილიტარისტული დაჯგუფების დიქტატურულმა რეჟიმმა, მათმა უზომო ტერიტორიულმა პრეტენზიებმა და მშრომელებსა და ექსპლუატატორებს შორის არსე-

ბულმა უფსკრულმა. რევოლუციას წინ უძღოდა საყოველთაო ზავის მხარდამჭერი დემონსტრაციები, მუშათა მასობრივი მიტინგები და გაფიცვები, რომლებშიც ასეული ათასი მშრომელი იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით აქტიურობდა „სპარტაკის“ ჯგუფი. იგი ავრცელებდა არალეგალურ, ომის საწინააღმდეგო ფურცლებს ნოემბრის რევოლუციის აღმოცენებაში უდიდესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მაგალითმა. გერმანიის მშრომელთა შორის ფართოდ აღინიშნა სიმპათიები რუსეთის მშრომელთა მიმართ.

გერმანიის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები ახალი ძალით გაიშალა 1918 წ. იანვრიდან ბრესტ-ლიტოვსკის მძიმე ანექსიონისტური პირობების პასუხად. 28 იანვარს ბერლინის სამხედრო ქარხნების 500 ათასმა მელითონემ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. მათ მხარში ამოუდგნენ საქსონიის, მიუნხენის, კელნისა და ზოგიერთი სხვა სამრეწველო რაიონების მუშებიც. გაფიცულთა საერთო რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. გაფიცვებს ხელმძღვანელობდნენ საწარმოებში მუშათა მიერ არჩეული მუშათა დეპუტატების საბჭოები. მათი წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბერლინის პროფკავშირთა სახლში და მთავრობას წაუყენეს შვიდი პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნები, რომელთა უმეტესობა პოლიტიკური ხასიათისა იყო. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ საყოველთაო სამართლიანი ზავის დაუყოვნებლივ დადებას საბჭოთა რუსეთის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე, ყველა ქვეყნის მუშათა დელეგატების მონაწილეობას საზავო მოლაპარაკებაში, საალყო წესების გაუქმებას, საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებას პრუსიაში და სხვ. სპარტაკელების მიერ გამოცემული საგიტაციო ფურცელი მაღალ შეფასებას აძლევდა გერმანელ მუშათა მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას და მას „გადამწყვეტ ბრძოლას“ უწოდებდა.

გერმანიის მუშათა კლასის მასობრივმა რევოლუციურმა გამოსვლამ შეაშფოთა არა მარტო იუნკრულ-ბურჟუაზიული ხელისუფლება და არმიის სარდლობა, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაც. სოციალ-დემოკრატი ლიდერები და პროფკავშირების ხელმძღვანელები შეეცადნენ თავიანთი გავლენისათვის დაემორჩილებინათ აზვირთებული საგაფიცვო მოძრაობა, სათავეში ჩასდგომოდნენ მას და, ამ გზით, ჩაეხშოთ იგი. სპარტაკელთა გაუბედაობისა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთა ორპირობის წყალობით მათ შეძლეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი. შაიდემანის ტიპის გამცემლებმა

და კაუცკიანელებმა კარგი სამსახური გაუწიეს კაიზერის რეჟიმს. ისინი აიძულებდნენ მუშებს ხელი აეღოთ გაფიცვებზე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების მხარდაჭერამ ბოლო მოუღო მთავრობის თავდაპირველ გაუბედაობას. იგი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, სამხედრო წესები გამოაცხადა, უკანონოდ ცნო გაფიცვა და სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცა გაფიცულთა ხელმძღვანელობა. 31 იანვარს ბერლინის მოედნებზე არმიამ შეუბრალებლად დახვრიტა გაფიცულთა დემონსტრაცია და შეძლო „წესრიგის“ აღდგენა სატახტო ქალაქში. ამის შემდეგ ხელისუფლება ისევ საიმედო ჯარის ნაწილებით, ს-დ პარტიის ლიდერთა ხელშეწყობით სასტიკად გაუსწორდა გაფიცულ მუშებს მიუნხენში, ჰამბურგში, ბოხუმსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში.

გერმანელმა სოციალ-შოვინისტებმა რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ღალატით არა მარტო გადაარჩინეს გერმანიის რეაქციულ-მილიტარისტული რეჟიმი, არამედ რამდენიმე თვით გაახანგრძლივეს მიმდინარე იმპერიალისტური ომი და ხელი შეუწყვეს გერმანელი ანექსიონისტების მიერ ბრესტის ყაჩაღური ზავის დადებას.

არანაკლები გამოხმაურება პოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ანტანტის ქვეყნებში. მაგრამ ამ ქვეყნებში შინაპოლიტიკური ვითარება სხვა იყო და გერმანიის ბლოკის ქვეყნებში კი სხვა. ამიტომ მშრომელთა რევოლუციურმა გამოსვლებმა რუსეთის მუშათა კლასისადმი მხარის დასაჭერად იქ განსხვავებული ფორმა მიიღო.

საფრანგეთში რუსეთის რევოლუციის გავლენამ უკვე 1917 წლის დამლევისათვის იჩინა თავი. იგი აღინიშნა მუშათა მძლავრი დემონსტრაციებითა და პოლიტიკური გაფიცვებით, რომლებიც მოედო პარიზის სამრეწველო გარეუბნებს, ლიონს და სხვა სამრეწველო ცენტრებს. გაფიცვათა ტალღა სამხედრო ქარხნების მუშებსაც მისწვდა. ამას თან დაერთო მღელვარება ჯარის ნაწილებში.

კლემანსოს მთავრობის მიერ მიღებული სასტიკი ზომებისა და სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირების ოპორტუნისტული ლიდერების აშკარა საბოტაჟის მიუხედავად მშრომელთა რევოლუციურმა გამოსვლებმა კიდევ უფრო დიდი გაქანება მიიღო 1918 წლის დამდეგისათვის.

1918 წლის იანვრიდან მაისამდე გაიფიცა ასეული ათასი ფრანგი მუშა (მელითონეები, იარაღის მკეთებლები, მაღაროელები, ტრანსპორტელები და სხვ.). გაფიცვებს თან სდევდა მრისხანე დემონსტრაციები და მიტინგები. რევოლუციურმა გამოსვლებმა მოიც-

ვა საფრანგეთის დიდი ნაწილი: პარიზი, ლუარის აუზი, ზღვისპირა რაიონები და ნავსადგურები, ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის ცენტრები. იმ პოლიტიკურ მოთხოვნათა შორის, რასაც აყენებდნენ გაფიცული მუშები, მთავარი ადგილი ეკავა ომის შეწყვეტის, საიდუმლო დიპლომატიის მოსპობისა და დემოკრატიული ზავის საბჭოთა წინადადების მიღებას. მუშათა კლასთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის იდეებს მხურვალედ გამოეხმაურა საფრანგეთის პროგრესული ინტელიგენცია. მისი ცნობილი წარმომადგენლები — ანრი ბარბიუსი, რომენ როლანი, ვაიან-კუტიურე, რაიმონ ლეფევრი და სხვები — გაბედულად დადგნენ ანტიმილიტარისტულ პლატფორმაზე და ხმა აღიმაღლეს საბჭოთა რუსეთის დასაცავად.

კლემანსოს მთავრობამ, რომელმაც სამხედრო დიქტატორული რეჟიმი დაამყარა და დაუნდობელი ომი გამოუცხადა ომის მოწინააღმდეგეებს, შეძლო ჩაეხშო მუშათა საგაფიცვო მოძრაობა და რევოლუციური გამოსვლები. ამ მიზნის მისაღწევად იგი არ მოერიდა მასობრივ რეპრესიებს, ჯარიმებს, გასახლებებს, საჯარიმო ნაწილებში გაგზავნას და სხვ., მაგრამ კლასობრივი ბრძოლის ამ აზვირთებამ, დამარცხების მიუხედავად, გააძლიერა მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთება, აამაღლა მათი პოლიტიკური შეგნება და ნიადაგი შეამზადა მემარცხენე სოციალისტთა ბაზაზე კომუნისტური პარტიის აღმოცენებისათვის.

მძლავრმა რევოლუციურმა ქარიშხალმა ბრიტანეთის კუნძულებსაც გადაუარა. ინგლისის ბურჟუაზიამ, მისი უდიდესი გამოცდილებისა და მოხერხებულობის, დემაგოგიის ყველა ხერხის მომარჯვების მიუხედავად, ვერ შეძლო მისი შეჩერება.

1918 წლის იანვარში ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მამასახლისების — შოპ-სტიუარდების (ისინი ომის წლებში აღმოცენდნენ) წარმომადგენელთა კონფერენციამ, ჰენდერსონის ტიპის სოციალ-შემთანხმებელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობას მოსთხოვა განეხილა ზავის პირობები. იგივე მოთხოვნები წამოაყენა იმავე შოპ-სტიუარდებისა და ტრედიუნიონების მდივანთა შეკრებამ გლაზგოში. კიდევ უფრო გაბედული მოთხოვნები წამოაყენა მექანიკოსთა კავშირის წარმომადგენელთა კონფერენციამ ლონდონში. მან მოითხოვა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადება. ამას მოჰყვა ფეიქართა, რკინიგზელთა და სხვა პროფესიის მუშათა მასობრივი გაფიცვები ლონდონში, ბირმინგემში, სამხრეთ უელსში, ლანკაშირში, კოვენტრისა და სხვა ცენტრებში. საერთო რევოლუციურმა აღტყინებამ გააძლიერა

მშრომელთა გამემარცხენების პროცესი და სამხედრო ნაწილებშიც შეაღწია. ზოგიერთ სამხედრო გემზე აღმოცენდა მატროსთა კომიტეტები, რომლებიც სამხედრო მეზღვაურთა საყოველთაო გაფიცვისათვის მზადებას შეუდგნენ.

ინგლისის კოალიციურმა სამხედრო კაბინეტმა, რომელსაც ლოიდ ჯორჯი ედგა სათავეში, მკაცრი ზომები მიიღო მასობრივი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ულმობელი იყო მისი რეპრესიული ღონისძიებები ურჩობის გზაზე დამდგარ მატროსთა წინააღმდეგ. მაგრამ ხელისუფლება რეპრესიული ზომების მიღებასთან ერთად იძულებული იყო ზოგიერთი სარეფორმო ღონისძიებაც განეხორციელებინა. კერძოდ, 1918 წლის თებერვალში მიღებულ იქნა კანონი ქალებისათვის (30 წლის ასაკიდან) საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ, რამაც ამომრჩეველთა რიცხვი თითქმის 2,5-ჯერ გაზარდა (8 მილიონიდან 21 მილიონამდე).

ვერც კაპიტალიზმის ციტადელი — აშშ ასცდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სერიოზულ გავლენას. „სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში, ამ უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა მოვლენამ ისტორიაში, — წერს უ. ფოსტერი, — ახალი მსოფლიო სისტემის — სოციალისტური სისტემის დაბადებამ თავიდანვე დიდი გავლენა მოახდინა ამერიკაზე. ეს რევოლუცია გახდა სინათლის სხივი და იმედი მილიონობით ექსპლუატირებულისათვის“. ამერიკის მუშათა კლასმა ამ რევოლუციაში დაინახა ისეთი რამ, რაც უშუალოდ ეხებოდა მის აწმყოს, ყოფასა და მომავალ ბედიღბალს. ამიტომ იყო, რომ იგი აქტიურად გამოეხმაურა რუსეთის ამბებს და საბჭოთა რუსეთისადმი მხარდამჭერი მიტინგებით, დემონსტრაციებითა და გაფიცვებით გამოხატა თავისი სიმპათია ამ დიდი ისტორიული მოვლენისადმი. 1918 წლის დამდეგს ქალაქ სიეტლში ჩატარებულ ერთ-ერთი მიტინგის მონაწილეები იქ მიღებული რეზოლუციით მიესალმნენ რუსეთის სახელოვან პროლეტარიატს, რომელმაც პირველმა გაიმარჯვა კაპიტალიზმზე და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. „ჩვენ გარწმუნებთ თავისუფლებისათვის მებრძოლ რუს ძმებს, — ვკითხულობთ ამ რეზოლუციაში, — რომ მხურვალედ გითანაგრძნობთ და მზად ვართ დახმარება აღმოგიჩინოთ... გთხოვთ ირწმუნოთ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ შევძლებთ საქმით დაგიმტკიცოთ ჩვენი პროლეტარული სოლიდარობა“.

აშშ-ის იმპერიალისტური ხელისუფლება, რომელიც მონოპოლისტური ბურჟუაზიისა და სხვა ექსპლუატატორული წრეების ეგოისტური ინტერესების გულისათვის ჩაება პირველ მსოფლიო ომში,

გაბოროტებით და შეშფოთებით შეეგება რუსეთის პროლეტარულ რევოლუციას. ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციისა და ცილისმწამებლური კამპანიის გაჩაღებასთან ერთად მკაცრი ზომები მიიღო „წითელი საფრთხის“ წინააღმდეგ და სასტიკად გაუსწორდა საბჭოთა რუსეთისადმი მუშათა კლასისა და პროგრესული ინტელიგენციის რიგებში ფეხმოკიდებულ სოლიდარობის ყოველგვარ გამოვლენას.

მეომარი სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობა 1918 წლის დამდეგისათვის

1918 წლის დამდეგი ფრონტებზე შედარებით სიწყნარით აღინიშნა. მაგრამ ეს იყო ქარიშხლის მომასწავებელი სიწყნარე. როგორც ანტანტა, ისე გერმანია და მისი მოკავშირეები ახალი გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ. განსაკუთრებით დიდი მზადება მიმდინარეობდა დასავლეთის ფრონტზე, სადაც მეომარ სახელმწიფოთა მთავარსარდლობის აზრით, უნდა გადაწყვეტილიყო ომის ბედი. მთავარ ბანაკებსა და შტაბებში სასწრაფოდ მუშავდებოდა ახალი მძლავრი შეტევითი გეგმები იმ ვარაუდით, რომ მათ რეალიზაციას მოჰყოლოდა მოწინააღმდეგის სრული სამხედრო განადგურება.

მძიმე ომმა გამოფიტა მეომარ მხარეთა რესურსები, გადაღალა მოსახლეობა, გაართულა არმიისა და მოსახლეობის მომარაგება, გააძლიერა ანტისაომარი განწყობილება და რევოლუციური სულისკვეთება, მაგრამ ამ მხრივ გერმანიის ბლოკის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ანტანტის ქვეყნებისა. გერმანია ანტანტის საზღვაო ბლოკადის მეოხებით მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და არ შეეძლო შეევსო თავისი მცირე სასურსათო და სანედლეულო რესურსები ზღვისმიღმა ქვეყნებიდან შემოზიდვის გზით. გერმანია და ავსტრია-უნგრეთი შიმშილობდნენ ამ სიტყვის ნამღვილი გაგებით. რუმინეთის, უკრაინისა და რუსეთის სხვა ტერიტორიების ოკუპაციამ, თურქეთიდან დიდძალი სურსათის ამოქაჩვამ მაინც ვერ უშველა საქმეს. არც ბულგარეთსა და თურქეთში იყო უკეთესი მდგომარეობა. მართალია, გერმანიის არმია კიდევ ინარჩუნებდა ბრძოლისუნარიანობას, მაგრამ იგივე არ ითქვას მის მოკავშირეებზე. იქ უკვე დაწყებული იყო არმიისა და სამხედრო მანქანის დაშლა. ავსტრია-უნგრეთის სლავი და სხვა ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუჩერებელი აღმავლობა აახლოებდა „ხალხთა ამ საპყრობილის“ დანგრევის თარიღს. ასეთ პირობებში,

როგორც აღნიშნავდნენ ჰინდენბურგი, ლუდენდორფი და სხვა მსხვილი მილიტარისტები, გერმანიას ხანგრძლივი ომის წარმოება აღარ შეეძლო. ომის შემდგომი გაგრძელება კატასტროფამდე მიიყვანდა მას, ანტანტას კი ახალ ძალებს შემატებდა; აშშ ხომ ახალ-ახალ დივიზიებს აგზავნიდა ევროპაში. ამიტომ გერმანიას 1918 წლის პირველ ნახევარშივე უნდა მოეპოვებინა გადამწყვეტი გამარჯვება დასავლეთის ფრონტზე. გენერალური შეტევის გეგმაც ამგვარად იყო შემუშავებული. ბრესტის ზავის დადების შემდეგ აღმოსავლეთ ფრონტზე განთავისუფლებული რეზერვები დასავლეთში უნდა ყოფილიყო გადასროლილი.

ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სასურსათო მდგომარეობა კი შედარებით უკეთესი იყო. დაუნდობელი წყალქვეშა ომის მიუხედავად, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ კვების პროდუქტები და სტრატეგიული ნედლეული მიეღოთ კოლონიებიდან, ნახევარკოლონიებიდან და ნეიტრალური ქვეყნებიდან. ამას ემატებოდა აშშ-ის დახმარება, რომელიც თანდათანობით უფრო ეფექტური ხდებოდა. ანტანტის სამხედრო სარდლობის მიერ შემუშავებული საომარი მოქმედების გაგრძელების გეგმა, რაც 1918 წლის 2 თებერვალს მოიწონა ანტანტის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ, არ ითვალისწინებდა ომის ამ წელს დამთავრებას. დიდი შეტევითი ოპერაციები დაგეგმილი იყო მარტო თურქეთის ფრონტზე. დასავლეთის ფრონტზე კი ნავარაუდევი იყო აქტიური თავდაცვა და ცალკეული კონტრშეტევები. გენერალური შეტევა უნდა დაწყებულიყო მხოლოდ 1919 წელს უპირატესი ძალების დაგროვების შემდეგ (აშშ-ს ყოველთვიურად 300 ათასი მეომარი უნდა გადაეყვანა ფრონტზე).

1918 წლის მარტის შუა რიცხვებში დასავლეთის ფრონტზე გერმანიის არმიის გადამწყვეტი იერიშის წინ მეომარ სახელმწიფოთა საომარი ძალების თანაფარდობა ასეთი იყო: გერმანიას ფრონტზე ჰყავდა 193—195 დივიზია[1] (13 არმია), 15—16 ათასი ზარბაზნით (აქედან 6500—7000 მძიმე), 2900—3000 თვითმფრინავით და 150—200 ტანკით[2]. ანტანტის განკარგულებაში იყო 171 ქვეითი და 9 ცხენოსანი დივიზია (აქედან 59 ქვეითი დივიზია და ცხენოსანი ნაწილები რეზერვში იყო), 15—15.5 ათასი ზარბაზნით, 3784 თვითმფრინავითა და 893 ტანკით. საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის

---

[1] ცოტა მოგვიანებით აღმოსავლეთიდან გადასროლილი დივიზიების ხარჯზე იგი 205 დივიზიამდე გაიზარდა.

[2] გერმანიის არმიის მთავარსარდალი ფორმალურად იყო ვილჰელმ II, ფაქტიურად შტაბის უფროსი გენ. ჰინდენბურგი, მოადგილე — გენ. ლუდენდორფი (ვენერალ-კვარტირმაისტერი).

ჯარებთან ერთად ფრონტზე იყო ამერიკის 329 ათასი ჯარისკაცი (აქედან წინა ხაზზე მხოლოდ ერთი თუ ორი დივიზია იყო გახლაგებული). ანტანტის ჯარებს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ ერთიანი მთავარსარდალი. საფრანგეთის არმიას სარდლობდა გენ. პეტენი, ინგლისისას — ფელდმარშალი ჰეიგი, ბელგიისას — მეფე ალბერტი.

როგორც ვხედავთ, გერმანია ცოცხალი ძალით აღემატებოდა ანტანტას, მაგრამ სამხედრო ტექნიკით — არტილერიით, ავიაციით, ტანკებით — საგრძნობლად ჩამორჩებოდა მას. გერმანიას თითქმის არ გააჩნდა ცოცხალი ძალის რეზერვი და საომარი საშუალებების მხრივაც ამ მდგომარეობაში იყო. რაც შეეხება ანტანტას, მას ცოცხალი ძალისა და ეკონომიური რესურსების უდიდესი რეზერვები გააჩნდა. რად ღირდა თუნდაც აშშ-ის უზარმაზარი რესურსების ამოქმედება, იმ სახელმწიფოსი, რომელსაც საშუალება ჰქონდა ყოველთვიურად სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი 300 ათასი ჯარისკაცი ჩაება ომში. დრო ანტანტის სასარგებლოდ მოქმედებდა.

გერმანიის შეტევა დასავლეთის ფრონტზე 1918 წლის მარტ-ივლისში და მისი მარცხი

გერმანიის არმიის დაგეგმილი შეტევა დასავლეთის ფრონტზე დაიწყო 1918 წლის 21 მარტის გარიჟრაჟზე ინგლისის არმიის უბანზე არასსა და ლა-ფერს შორის და 4 აპრილამდე გაგრძელდა. შეტევის ამოცანა იყო ფრონტის გარღვევა დიდ უბანზე, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ურთიერთისაგან გათიშვა და ლამანშის სანაპიროების დაუფლება. შეტევაში მონაწილეობდა გერმანელთა 63—65 ქვეითი დივიზია 7 ათასი ზარბაზნითა და 1000 თვითმფრინავით. გერმანიის არმიის დიდი შეტევა თავდაპირველად სერიოზული ტაქტიკური წარმატებით აღინიშნა. გერმანელებმა ცალკეულ უბნებზე შეძლეს 50—60 კილომეტრით წინ წაწევა[1]. მაგრამ სტრატეგიული ამოცანა — ზღვაზე გასვლა და ინგლის-საფრანგეთის არმიების ურთიერთისაგან გათიშვა — მიუღწეველი დარჩა. ინგლისისა და საფრანგეთის სარდლობამ ბრძოლაში ახალი რეზერვების ჩაბმის მეშვეობით შეაჩერა გერმანელთა შემდგომი წინსვლა. ანტანტის ამ სერიოზული მარცხის დღეებში სასწრაფოდ შეკრებილმა ინგლის-საფრანგეთის მთავრობებისა და სარდლობის კონფერენ-

---

[1] ინგლისელებმა ამ შეტევის შედეგად დაკარგეს 174 ათასი კაცი. გერმანელებმა ხელთ იგდეს 120.000 ტყვე და დიდძალი იარაღი, მაგრამ მათი დანაკარგიც დიდი იყო: 160 ათასი კაცი.

ციამ მიიღო დადგენილება ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის არმიების საერთო ხელმძღვანელად ფრანგი გენერლის ფოშის დანიშვნის შესახებ. 14 მაისს ფოშმა დაიკავა დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი.

9 აპრილს გერმანიის არმიამ ახალი მძლავრი შეტევა დაიწყო, ამჯერად ფლანდრიაში, მდინარე ლისზე (Lys), არმატიერის მიმართულებით. იგი ცალკეული შესვენებებით 29 აპრილამდე გაგრძელდა. არც ამ შეტევას მოუტანია გერმანიის სარდლობისათვის სასურველი შედეგი[1]. უმნიშვნელო ტაქტიკური წარმატება ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი დანაკლისით იქნა მოპოვებული. ამ შეტევას მოჰყვა მესამე და მეოთხე შეტევა შატო-ტიერის პლატოზე, მდინარეების ენისა და უაზის აუზებსა და მარნაზე რეიმსის რაიონში. მესამე შეტევა დაიწყო 27 მაისს და 5 ივნისამდე გაგრძელდა, მეოთხე და უკანასკნელი კი დაიწყო 15 ივლისს და 17 ივლისამდე გაგრძელდა. მესამე შეტევა პირველ დღეებში გერმანელთა სერიოზული წარმატებებით აღინიშნა. მათ გაარღვიეს 80 კილომეტრიანი ფრონტი, 60 კილომეტრით წაიწიეს წინ, გადავიდნენ მარნაზე და 70 კილომეტრით მიუახლოვდნენ პარიზს, ე. ი. მიაღწიეს იმ ადგილებს, სადაც იყვნენ 1914 წლის სექტემბერში. ამ ოპერაციის დროს გერმანიის არმიამ ხელთ იგდო 60 ათასი ტყვე, ათასობით ზარბაზანი და დიდძალი სხვა საჭურველი. გერმანელებმა ახალი პლაცდარმიდან დაიწყეს პარიზისათვის ცეცხლის დაშენა „კოლოსის" ტიპის შორსმსროლელი ზარბაზნებით[2], მაგრამ ეს წარმატებები არ ყოფილა განვითარებული. ფრანგებისა და მათი მოკავშირეების კონტრშეტევამ შეაჩერა გერმანელთა შემდგომი წინსვლა პარიზის მიმართულებით. გერმანელებს, რომლებმაც 130 ათასი კაცი დაკარგეს ამ შეტევის დროს, აღარ გააჩნდათ არც რეზერვები და არც ფიზიკური და მორალური ძალა შეტევის გაგრძელებისათვის. ამიტომ იყო, რომ მორიგი შეტევა კომპიენის მიმართულებით (მარნაზე) გერმანელთა სრული მარცხით დამთავრდა. საფრანგეთის არმიის მძლავრმა კონტრშეტევამ გერმანელები აიძულა უკან დაეხიათ და გაეწმინდათ მარნის გაღმა მოპოვებული პლაცდარმი.

---

[1] თუმცა ალაგ-ალაგ 60 კილომეტრით წაიწიეს წინ, გაარღვიეს ფრანგების თავდაცვა და დროებით ქალაქი სუასონიც კი აიღეს.

[2] რომელიც 100—120 კილომეტრზე ისროდა 200 კილოგრამიან ჭურვებს. მას ზოგჯერ შეცდომით „ბერტასაც" უწოდებენ. თუმცა სინამდვილეში ბერტა იყო 420 მილიმეტრიანი მორტირა. გერმანელები მას მოწინააღმდეგის ციხესიმაგრეების დასანგრევად იყენებდნენ 1914 წლიდან. მორტირა კრუპის ქარხნის გამოშვება იყო და ეს სახელწოდება კრუპის ქალიშვილის, ბერტას საპატივცემულოდ ეწოდა.

ამით დამთავრდა ჰინდენბურგ-ლუდენდორფის მიერ დაწყებული გენერალური შეტევა დასავლეთის ფრონტზე. გერმანიის არმიის შეტევითი ძალა და რეზერვები ამოიწურა. ჯარისკაცთა მასას ჩაუქრა გამარჯვების ყოველგვარი რწმენა; იგი უკიდურესად გადაიღალა და მორალურად დაეცა. „ძლევამოსილი შეტევის ტრიუმფი“ და „გამარჯვებული ზავი“ მითი აღმოჩნდა. ამ დროიდან საომარ კამპანიაში დაიწყო ძირეული გარდატეხა, სტრატეგიული ინიციატივა საბოლოოდ ანტანტის ხელში გადავიდა. გერმანიის ხსნა ამიერიდან მხოლოდ სასწაულს ან საფრანგეთისა და ინგლისის რევოლუციებს თუ შეეძლო, მაგრამ არც ერთი მომხდარა და არც მეორე.

ანტანტის კონტრშეტევა და გერმანიის დამარცხება. გერმანიის მოკავშირეთა არმიების გახრწნა

1918 წლის ივლისისათვის ვითარება დასავლეთის ფრონტზე ძირეულად შეიცვალა. მოკავშირეთა არმია, რომელიც ყოველთვიურად ივსებოდა ახალი რეზერვებით და აშშ-დან გადმოსროლილი ათეული ამერიკული დივიზიით, ცოცხალი ძალით და საბრძოლო ტექნიკით, ბევრით აღემატებოდა გერმანიის არმიას, რომელმაც 700 ათასზე მეტი მებრძოლი დაკარგა ივლისის შეტევების დროს, საომარ ტექნიკაზე რომ არაფერი ვთქვათ. გამარჯვების რწმენის დაკარგვამ და მორალურმა დაცემამ მკვეთრად შეარყია გერმანიის არმიის დისციპლინა. ასეთ პირობებში საოჰარ მოქმედებათა ინიციატივა საბოლოოდ ანტანტის ხელში გადავიდა.

1918 წლის 17 ივლისს ფოშმა ბრძანება გასცა კონტრშეტევაზე გადასასვლელად. 18 ივლისს კი უზარმაზარი ფრონტი ამოძრავდა: დაიწყო მოკავშირეთა არმიების შეუჩერებელი კონტრშეტევა მთელ ფრონტზე. გრანდიოზული ბრძოლა ხან ნელდებოდა, ხანაც ახალი ძალით ჩაღდებოდა, მაგრამ არ წყდებოდა. გერმანიის არაქათგამოლეული არმია შედრკა და უკან დახევა დაიწყო. მას აქტიური თავდაცვის უნარიც არ გააჩნდა და იძულებული გახდა დაეტოვებინა მარტ-ივნისის შეტევების დროს დაუფლებული ტერიტორიები.

ფოშის ბრძანების თანახმად, 8 აგვისტოს ინგლის-საფრანგეთის არმიებმა დაიწყეს ახალი გენერალური კონტრშეტევა ამიენის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მრავალ ათეული ინგლისური და ფრანგული დივიზია დიდძალი არტილერიის, ტანკებისა და თვითმფრინავების დახმარებით. ფრონტის დიდ უბანზე მდინარე სომასა და ავრს შორის პირველივე დღეს 16 გერმანული დივიზია თითქმის მთლიანად განადგურდა. გადარჩენილმა ნა-

წილებმა სასწრაფოდ უკან დაიხიეს. „8 აგვისტო გერმანიის არმიის ყველაზე შავი დღეა მსოფლიო ომის ისტორიაში“, — წერდა შემდეგში გენერალი ლუდენდორფი.

მოკავშირეთა კონტრშეტევა კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ფოში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ახალ-ახალ რეზერვებს აბამდა ბრძოლაში. გერმანიის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა და კატასტროფული ხდებოდა. აღარც რეზერვი იყო, აღარც ბრძოლისუნარიანი არმია და არც რწმენა. „გენიალურად ორგანიზებულმა შიმშილმა“ მილიონობით მშრომელი აამხედრა კაიზერის ხელისუფლების წინააღმდეგ. გერმანიის სარდლობას ფიქრიც კი არ შეეძლო მისი მოკავშირეების დახმარებაზე. ავსტრია-უნგრეთი. ბულგარეთი და თურქეთი აგონიის პირამდე იყვნენ მისულნი. ახლოვდებოდა მათი სრული განადგურების ჟამი. 14 აგვისტოს სპაში ვილჰელმ II-ის თავმჯდომარეობით შეკრებილმა საიმპერატორო საბჭომ დადგენილება მიიღო ეთხოვათ ჰოლანდიის დედოფლისათვის შუაკაცობა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად. მაგრამ უილსონს, ლოიდ ჯორჯსა და კლემანსოს გაგონებაც არ სურდათ ასეთ მოლაპარაკებაზე, ისინი დღითი დღე მოელოდნენ გერმანიის სრულ განადგურებას და მხოლოდ ამის შემდეგ ფიქრობდნენ წაეყენებინათ მისთვის ზავის მძიმე პირობები.

ანტანტის ქვეყნების კონტრშეტევა კი გრძელდებოდა და უფრო და უფრო ძლევამოსილი ხდებოდა. გერმანელები მოელ ფრონტზე უკან იხევდნენ; კარგავდნენ დიდძალ ცოცხალ ძალას (მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით) და ტექნიკას. მარტო 8 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე მათ დაკარგეს 150 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვეთა სახით, 2 ათასზე მეტი ზარბაზანი, 13 ათასი ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო ტექნიკა. მოკავშირეთა სატანკო კოლონები და ავიაცია, რომელთა წინააღმდეგ უძლური იყო გერმანიის არმია, ყოველდღიურად ანადგურებდა და ანგრევდა მტრის თავდაცვის ზღუდეებს. მოწინააღმდეგის კოლოსალური ტექნიკური უპირატესობა აძლიერებდა გერმანიის არმიის მორალურ დაცემას.

ჰინდენბურგი და ლუდენდორფი დიდხანს უმალავდნენ მოსახლეობასა და რაიხსტაგს საშინელ სინამდვილეს. მაგრამ სექტემბრის ბოლოს, როცა მდგომარეობა კატასტროფულად შეიცვალა და გერმანიის არმიას დიდი ზარალისა და გადაღლის გამო აღარ შეეძლო მოკავშირეთა მორიგი შეტევის მოგერიება, მათ მთავრობას გიხუცხადეს, რომ გერმანიის არმიას აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა და საჭირო იყო სასწრაფოდ ზავის დადება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას მოჰყვებოდა „კატასტროფა ფრონტზე“.

გენერალიტეტის კატეგორიულმა მოთხოვნამ — „ომი უნდა დამთავრდეს რადაც არ უნდა დაჯდეს“ — აიძულა გერმანიის მმართველი წრეები მოეხდინათ „რევოლუცია ზევიდან“. მათ გადააყენეს ჰერტლინგის მთავრობა და 5 ოქტომბერს შექმნეს „პარლამენტური“ მთავრობა მოლიბერალო პრინცის მაქს ბადენელის ხელმძღვანელობით. ახალ მთავრობაში შეიყვანეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები — შაიდემანი და ბაუერი. ამ პოლიტიკური მანევრის ამოცანა იყო — მიეცათ მთავრობისათვის დემოკრატიული ელფერი, გაეადვილებინათ მოლაპარაკება ზავის თაობაზე მოკავშირეებთან და ეხსნათ ჰოჰენცოლერნთა მონარქია. 1918 წლის 4—5 ოქტომბერს, ღამით ახალმა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ შვეიცარიის მთავრობის მეშვეობით აშშ-ის პრეზიდენტ უილსონს გაუგზავნა ნოტა-ტელეგრამა, რომლითაც „შემდგომში სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად“ ითხოვდა დაზავებას და გერმანიის თანხმობას ზავზე „უილსონის 14 პუნქტის“ საფუძველზე. მალე ამას მოჰყვა უმაღლესი მთავარსარდლობის დამორჩილება მთავრობისადმი და ლუდენდორფის გადაყენება. მოახლოებული საფრთხით დაშინებულმა ვილჰელმ II-ემ დატოვა ბერლინი და სპაში ჰინდენბურგის მთავარ ბანაკს შეაფარა თავი.

ბულგარეთის, თურქეთისა და ავსტრია-უნგრეთის კაპიტულაცია. ავსტრია-უნგრეთის დაშლა

სექტემბრის მეორე ნახევრიდან გერმანიას ხელიდან გამოეცალა მისი ყოფილი მოკავშირეები — ბულგარეთი, თურქეთი და ავსტრია-უნგრეთი. სამხედრო განადგურების შედეგად ისინი იძულებულნი გახდნენ კაპიტულაცია მოეხდინათ.

15 სექტემბერს მოკავშირეთა სალონიკის არმიამ ფრანგი გენერლის ფრანშე დ'ესპრეს სარდლობით დაიწყო გენერალური შეტევა ძალაგამოცლილ და დემორალიზებულ ბულგარეთის არმიის წინააღმდეგ. მან მალე გაარღვია ფრონტი, დაიკავა მაკედონიის დიდი ნაწილი და ტყვედ ჩაიგდო ბულგარეთის ერთი არმია. მასვე ჩაუვარდა ხელში გერმანიის მე-11 არმია, რომელიც გერმანიის სარდლობამ დაგვიანებით გაგზავნა ბულგარეთის დასახმარებლად. შეტევის დაწყებიდან 14 დღის შემდეგ ბულგარეთი, რომლის არმიამ არსებითად შეწყვიტა წინააღმდეგობა და ურჩობის გზას დაადგა. ხოლო მისმა ცალკეულმა ნაწილებმა იარაღი მონარქიის წინააღმდეგ მიმართა, კაპიტულაცია მოახდინა. 29 სექტემბერს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ბულგარეთს ხელი მოაწერინეს ნაკარნახევ დაზავე-

ბაზე, რომლითაც ბულგარეთის ჯარებს უნდა გაეთავისუფლებინათ სერბეთის, საბერძნეთისა და რუმინეთის ოკუპირებული ტერიტორიები; ბულგარეთს უნდა მოეხდინა თავისი არმიის დემობილიზაცია („შინაგანი წესრიგის დამცველი ნაწილების" გამოკლებით). მოკავშირეთა არმია, რომელსაც ბალკანეთიდან გზა ეხსნებოდა ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიისაკენ, ბულგარეთის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტის ოკუპაციისა და მის ტერიტორიაზე გადაჯგუფების უფლებას ღებულობდა.

ბულგარეთს მალე თურქეთიც მიჰყვა. ინგლისის არმიების ერთდროული შეტევა სირიისა და მესოპოტამიის ფრონტებზე თურქეთის სრულიად დემორალიზებული არმიის წინააღმდეგ სულ მალე დიდი წარმატებებით დაგვირგვინდა. სირიის ფრონტზე ინგლისელებმა და არაბთა რაზმებმა ზედიზედ დაიკავეს დამასკო (1 ოქტ.). ბეირუთი (7 ოქტ.) და ალეპო (26 ოქტ.). იგივე განმეორდა მესოპოტამიის ფრონტზე, სადაც თურქეთის ჯარის განადგურებას მოჰყვა ყველა მნიშვნელოვანი ცენტრის ინგლისელთა ხელში გადასვლა. 30 ოქტომბერს კუნძულ ლემნოსის მუდროსის ყურეში ინგლისის კრეისერ „აგამემნონზე" თურქეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ინგლისელების მიერ ნაკარნახევ კაპიტულაციის აქტს. მუდროსის დაზავებით თურქეთმა დაყარა ფარხმალი და თავისი ბედი გამარჯვებულ ინგლისელებსა და მის მოკავშირეებს მიანდო.

ბულგარეთისა და თურქეთის ხვედრი მალე ავსტრია-უნგრეთმა გაიზიარა. ოქტომბრის დასაწყისისათვის ეს სახელმწიფო სრული დაშლის პირამდე იყო მისული. საყოველთაო შიმშილობა, სრული ეკონომიური მოშლილობა, ფინანსური კრახი, სისტემატური დამარცხებები ფრონტებზე, არმიის დემორალიზაცია და ჯარისკაცთა თვითნებური გაქცევა ფრონტებიდან, მშრომელთა რევოლუციური ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი აზვირთება, მმართველი აპარატის გაბრწნა მომაკვდავის სახეს აძლევდა ამ იმპერიას. დაწყებული იყო და წარმატებით ხორციელდებოდა დამონებული ხალხების სრული თვითგამორკვევა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათი ჩამოყალიბების პროცესი. სერბების, ხორვატებისა და სლოვენების ეროვნულმა საბჭომ (ზაგრებში) დადგენილება მიიღო სერბეთთან გაერთიანებისა და დამოუკიდებელი იუგოსლავური სახელმწიფოს შექმნის შესახებ. იგივე განმეორდა პრაღაშიც, სადაც გამოცხადდა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა. გამოეთიშნენ ცენტრს გალიცია, ბუკოვინა და სხვა სლავური ტერიტორიები, რუმინელები და იტალიელები. უნგრეთშიც გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ და

მანაც დამოუკიდებლობის დროშა აღმართა. ამ ამბების შემდეგ ვენის კავშირი ყოფილი იმპერიის ნაწილებთან ფაქტიურად შეწყდა. ავსტრიელი ნაციონალისტებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზას დაადგნენ. ამას თან დაერთო აჯანყებათა გახშირება არმიასა და ფლოტში, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბებული ხალხების მთავრობათა მიერ თავიანთი ეროვნული ნაწილების ფრონტებიდან გამოწვევა. ყოველივე ეს მოასწავებდა ჰაბსბურგთა მონარქიის აღსასრულს. აღნიშნული პროცესი ისტორიული გარდუვალობა იყო და მისი შეჩერება არ შეეძლო ძალზე დაგვიანებულ „რევოლუციას ზევიდან" — 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლითაც ავსტრია-უნგრეთი საკავშირო სახელმწიფოდ უნდა გამოცხადებულიყო.

ასეთ, საყოველთაო არეულობისა და დაშლის ვითარებაში, 24 ოქტომბერს იტალიის არმიამ დაიწყო უკანასკნელი „გენერალური" შეტევა ავსტრია-უნგრეთის მოშლილ ფრონტზე. იტალიის არმიამ, რომელსაც ფაქტიურად არავინ ჰყავდა მოწინააღმდეგე (უნგრულმა, რუმინულმა, ჩეხურმა, უკრაინულმა და სამხრეთ-სლავურმა ნაწილებმა უარი განაცხადეს ბრძოლაზე), შეძლო ერთადერთი სერიოზული გამარჯვების მოპოვება ომის მთელ პერიოდში. შეტევის დაწყებიდან 4 დღის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის სარდლობამ მოითხოვა ომის შეწყვეტა და დროებითი ზავის დადება. 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთის სარდლობამ პადუაში იტალიისა და ანტანტის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომელიც ფაქტიურად ლიკვიდირებული იმპერიის უკანასკნელ აქტს წარმოადგენდა. დაზავების პირობებით გათვალისწინებული იყო ავსტრია-უნგრეთის არმიის დემობილიზაცია და დაშლა, საომარი მასალებისა და სამხედრო ფლოტის დიდი ნაწილის მოკავშირეთა ხელში გადასვლა და სხვ. მოკავშირეების ხელში გადავიდა ყოფილი იმპერიის მიმოსვლის საშუალებები, რომლებიც შეეძლოთ გამოეყენებინათ აღმოსავლეთიდან გერმანიაზე შეტევისათვის. ამით დუალისტურმა იმპერიამ ფორმალურადაც და ფაქტიურადაც დაასრულა თავისი არსებობა [1].

გერმანიის რევოლუციის დასაწყისი. გერმანიის კაპიტულაცია და კომპიენის დაზავება

მოკავშირეთა კაპიტულაციამ გერმანიის მდგომარეობა კატასტროფული გახადა. ამას მოჰყვა მღელვარება არმიასა და ფლოტში,

[1] დუალისტურმა იმპერიამ ფორმალურად 11 ნოემბერს შეწყვიტა არსებობა.

რომელიც მალე საშიშ აჯანყებებში გადაიზარდა. 30 ოქტომბერს აჯანყებამ იფეთქა კილში მყოფ გერმანულ სამხედრო გემებზე. მის უშუალო საბაბად გახდა სარდლობის ავანტიურისტული ბრძანება ზღვაში გასვლისა და ინგლისის ფლოტზე თავდასხმის შესახებ. აქედან აჯანყება სხვა ნავსადგურებზეც გავრცელდა და 3—4 ნოემბერს გერმანიის მთელ სამხედრო ფლოტს მოედო. ეს იყო რევოლუციის დასაწყისი მთელ გერმანიაში. მეზღვაურებს მიჰყვნენ ქვეითი ჯარის ნაწილები და მუშები. თითქმის ყველგან გაჩნდა მატროსების, ჯარისკაცებისა და მუშათა საბჭოები, რომელთა ხელშიც გადავიდა ძალაუფლება. 9 ნოემბერს რევოლუცია მოხდა ბერლინში, 10 ნოემბერს აქ შეიქმნა ახალი ხელისუფლება—სახალხო რწმუნებულთა საბჭო, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატის ებერტის ხელმძღვანელობით. იმავე დღეს სპაში მთავარ ბანაკში თავშეფარებული ვილჰელმ II გადავიდა ჰოლანდიის ტერიტორიაზე (სანაპირო პუნქტ ეიპენში) და ჰოლანდიის ხელისუფლებს თავშესაფრის უფლება სთხოვა.

ნოემბრის რევოლუციამ გაიმარჯვა. ჰოჰენცოლერნთა უკანასკნელი მოჰიკანის, ვილჰელმ II-ის გერმანიიდან სამარცხვინო გაქცევით ბოლო მოეღო დინასტიას, რომელიც მრავალი ათეული წლების მანძილზე მართავდა პრუსიას. 47 წელს კი — გერმანიის იმპერიას.

გერმანიაში რევოლუცია დაწყებული იყო, როცა მთავრობამ, როგორც იქნა, 5 ნოემბერს მიიღო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის ცნობა იმის შესახებ, რომ მოკავშირეები თანახმა არიან აწარმოონ მოლაპარაკება გერმანიასთან „უილსონის 14 პუნქტის" საფუძველზე [1]. ამასთან ერთად ლანსინგი მოკავშირეთა სახელით მოითხოვდა გერმანიის მიერ დაკავებული ყველა ტერიტორიის განთავისუფლებას და მოკავშირეებისათვის ომით მიყენებული მთელი ზარალის ანაზღაურებას.

მოკავშირეთა მთავრობებმა დასავლეთის ფრონტზე ანტანტის უმაღლეს მთავარსარდალ მარშალ ფოშთან ერთად წინასწარ შეიმუშავეს გერმანიასთან დაზავების დეტალური პირობები. ამიტომ გერმანიას წინადადება მიეცა თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა უშუალოდ მარშალ ფოშთან, რომელიც გადასცემდა მათ ამ პირობებს ხელმოსაწერად. გერმანიის მთავრობას არჩევანი აღარ ჰქონდა. მოკავშირეთა ნოტა გამორიცხავდა ამ პირობების რაიმე წინასწარ

---

[1] მას წინ უსწრებდა ინგლის-საფრანგეთისა და აშშ-ის დიპლომატიური ეპერობა „ზღვების თავისუფლებისა" და უილსონის სხვა მოთხოვნების თაობაზე.

ვანხილვას. დროც აღარ ითმენდა. რევოლუცია ღრმავდებოდა და მდგომარეობა თანდათანობით კატასტროფული ხდებოდა.

6 ნოემბერს მაქს ბადენელის მთავრობამ სასწრაფოდ შეადგინა გერმანიის დელეგაცია ცენტრის პარტიის ლიდერის, უპორტფელო მინისტრის მატიას ერცბერგერის ხელმძღვანელობით[1] და მიავლინა იგი დანიშნულებისამებრ. დელეგაცია 7 ნოემბერს მივიდა ფრონტის წინა ხაზზე, საიდანაც იგი ფრანგებმა ფარდებჩამოშვებული ვაგონით წაიყვანეს დანიშნულების ადგილას და 8 ნოემბერს დილით მიიყვანეს რეტონდის სადგურში, კომპიენის ტყეში ფოშის მატარებელთან.

ფოშმა თავის სალონ-ვაგონში მიიღო გერმანიის დელეგაცია. მას სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია დელეგაციის წევრებისათვის, მაგრამ არც მისალმებია და არც ხელი ჩამოურთმევია მათთვის. პასუხად დელეგაციის თავმჯდომარის თხოვნისა—გაეცნოთ მათთვის დაზავების პირობები, ფოშმა ხელქვეითებს უბრძანა დაეკმაყოფილებინათ მათი თხოვნა.

მოკავშირეების მიერ შემუშავებული დაზავების პირობები კი შემდეგი იყო: გერმანიას 15 დღეში უნდა გაეთავისუფლებინა ბელგიის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის ოკუპირებული ტერიტორიები, გაეწმინდა ელზასი და ლორენი, გამოეყვანა ჯარები ავსტრია-უნგრეთიდან, რუმინეთიდან და თურქეთიდან[2]. გერმანიას უნდა გამოეყვანა თავისი ჯარები რაინის მარცხენა ნაპირიდან და მარჯვენა ნაპირის ვიწრო ზონიდან, რომლებსაც მოკავშირეები იკავებდნენ. ამ საოკუპაციო ჯარების შესანახი ხარჯები გერმანიას უნდა გაეღო. მას მოკავშირეებისათვის უნდა გადაეცა 5 ათასი ზარბაზანი, 25 ათასი ტყვიამფრქვევი, 1700 თვითმფრინავი, 5 ათასი ორთქლმავალი, 5 ათასი საბარგო ავტომანქანა, 150 ათასი ვაგონი, 3 ათასი ნაღმმტყორცნი და სხვ. უნდა მომხდარიყო გერმანიის ფლოტის განიარაღება და ინტერნირება[3]. მას უნდა გაეთავისუფლებინა მოკავშირეთა სამხედრო ტყვეები, გერმანელი ტყვეები კი კვლავ მოკავშირეთა ხელში რჩებოდნენ.

---

[1] დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: გენერალი ვინტერფელდტი, ფლოტის კაპიტანი ფონ ვანსელოგი, ვეიცერი და თარჯიმანი პელიოდორფი.

[2] რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას, იგი უნდა მომხდარიყო უფრო გვიან, „ამ ტერიტორიების შინაგანი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით". ამასთან, „წესრიგის დაცვის მიზნით", მოკავშირეებს უნდა მისცემოდათ გერმანელების მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე თავისუფალი შესვლის შესაძლებლობა.

[3] წინასწარ კი გერმანიას მოკავშირეებისათვის უნდა გადაეცა ყველა წყალქვეშა ნავი, დრედნოუტების, მძიმე და მსუბუქი კრეისერების ნაწილი.

საომარი მოქმედება შეწყდებოდა დაზავებაზე ხელმოწერიდან 6 საათის გასვლის შემდეგ.

გერმანიის დელეგაციას 72 საათი მიეცა პასუხისათვის. ამ დროის განმავლობაში მას უფლება ეძლეოდა ტელეფონით დაკავშირებოდა თავის მთავრობას და მიეღო სათანადო მითითებები. თუ ამ დროში გერმანელები ხელს არ მოაწერდნენ წარდგენილ დაზავების პირობებს, მოკავშირეები მაშინვე განაახლებდნენ შეტევას მთელ ფრონტზე.

მატიას ერცბერგერს და მის თანმხლებ პირებს წარმოუდგენლად მძიმედ ეჩვენათ დაზავების პირობები, რომლის ტექსტი ფოშმა გადასცა მათ. ისინი შეეცადნენ ნაწილობრივ მაინც შეერბილებინათ იგი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ფოში არ ფიქრობდა განეხილა გერმანიის დელეგაციასთან ეს პირობები. ამ უკანასკნელს ან ხელი უნდა მოეწერა ხელშეკრულების გამზადებულ ტექსტზე, ანდა უშედეგოდ უკან უნდა დაბრუნებულიყო[1]. დელეგაცია დაუკავშირდა ბერლინის მთავრობას და ჰინდენბურგის ბანაკს, რომელთა მეშვეობით გაიგო ამბები ბერლინის რევოლუციის, ვილჰელმ II-ის ჰოლანდიაში გაქცევისა და ძალაუფლების სახალხო რწმუნებულთა საბჭოს ხელში გადასვლის შესახებ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. „უნდა მივაღწიოთ დაზავების პირობების შერბილებას, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, ხელი უნდა მოვაწეროთ მას“, — ასეთი იყო ჰინდენბურგის პასუხი.

1918 წლის 11 ნოემბერს, განთიადზე ფოშის სალონ-ვაგონში გერმანიის დელეგაციამ ხელი მოაწერა დაზავებას, რომელსაც ამიერიდან კომპიენის დაზავება ეწოდა[2].

დადგა ნანატრი დღე, რომელსაც ასე სასოებით მოელოდნენ მილიონები. გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა და იარაღი დაყარა. პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა და კაცობრიობამ პირველად თავისუფლად ამოისუნთქა 1914 წლის 28 ივლისის შემდეგ. ცნობას დაზავებაზე ხელმოწერის შესახებ უდიდესი აღფრთოვანებით შეეგებნენ ლონდონის, ნიუ-იორკის, პარიზის, რომისა და მსოფლიოს სხვა ქალაქებისა და სოფლების მშრომელი მასები. საფრანგეთში მას 101 საარტილერიო გასროლითა და მარსელიოზის სიმღერით შეეგებნენ. ბევრს მომხდარი ფაქტი სიზმარი ეგონა: — „არ სურ-

---

[1] სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებში დათმობას (საომარი აღჭურვილობის გადასაცემი ოდენობის ოდნავ შემცირება) მნიშვნელობა არ ჰქონდა.

[2] მას, როგორც ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი, ავტომატურად მოჰყვა ბრესტის ზავის გაუქმება.

დათ ერწმუნათ, რომ ეს საშინელი ომი დამთავრდა და მრისხანე მტერი დაემხო", — წერდა ერთ-ერთი გაზეთი.

პირველი მსოფლიო ომი, რომელიც თავისი მასშტაბითა და გაქანებით ბევრით აღემატებოდა ყველა მანამდელ ომს, 4 წელიწადზე მეტ ხანს მძვინვარებდა.

ომმა არ გაამართლა იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მათი მთავრობების იმედები. კაპიტალისტური სისტემის განმტკიცების, კოლონიური ჩაგვრის გაფართოებისა და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის ნაცვლად მას მოჰყვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, მსოფლიოს 1/6 ნაწილზე საბჭოთა ხელისუფლების შექმნა, ყოვლისმომცველი კაპიტალიზმის ნაცვლად ორი სისტემის აღმოცენება, კაპიტალიზმის შესვლა საყოველთაო კრიზისის ფაზაში და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევის დაწყება.

ისტორიამ სავსებით დაადასტურა ფ. ენგელსის გენიალური განჭვრეტა (1887) იმის შესახებ, რომ მომავალ „მსოფლიო ომს" ექნებოდა დამანგრეველი ფინალი, მას მოჰყვებოდა დინასტიების დამხობა, საყოველთაო გამოფიტვა და ნიადაგის მომზადება მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

გერმანიის მილიტარიზმის ცნობილმა წარმომადგენლებმა რეაქციულ-ნაციონალისტმა ისტორიკოსებმა, ყველა ჯურის რევანშისტებმა და მათმა იდეოლოგებმა თავიანთ მემუარებში, ისტორიულ გამოკვლევებსა თუ პროპაგანდისტულ ნარკვევებში შეთხზეს ვერსია იმის შესახებ, თითქოს გერმანიას პირველ მსოფლიო ომში სამხედრო დამარცხება არ განეცადოს, რომ თითქოს მისი არმია ბრძოლისუნარიანი იყო და მას მტრისათვის ზურგი არ უჩვენებია, და, მაშასადამე, გერმანია დამარცხდა შინაგანი ღალატის გამო, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც „ზურგში მახვილი ჩასცა" მას. ომიდან გამოსვლის შემდეგ ისინი არწმუნებდნენ გერმანელ ხალხს: გერმანიის არმია მტრის ტერიტორიაზე იბრძოდა და კომპიენის დაზავებასაც მან მტრის ტერიტორიაზე მოაწერა ხელი. ისტორიაში არ მოინახება მაგალითი, რომ დამარცხებულ მხარეს გამარჯვებულის ტერიტორიაზე მოეწეროს ხელი თავისი დამარცხების აქტზე. ისტორიული სინამდვილე, პირიქით, სულ სხვაზე მიგვანიშნებს: სინამდვილეში ჰოჰენცოლერნთა ავანტიურისტულმა პოლიტიკამ და გაჟიანურებულმა ომმა გერმანია კატასტროფის პირამდე მიიყვანა; მან განიცადა სამხედრო დამარცხება და გერმანიის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები, რაც ნოემბრის რევოლუ-

ციაში გადაიზარდა, უშუალოდ აღნიშნული ამბების ლოგიკური შედეგი იყო.

გერმანიის დამარცხება პირველ მსოფლიო ომში კანონზომიერი ისტორიული აუცილებლობა იყო, რაც განაპირობა ანტანტასთან შედარებით მისმა სუსტმა ეკონომიურმა ბაზამ, ომის გაჭიანურებამ, რისთვისაც მას არც მატერიალური და არც ადამიანთა რესურსები გააჩნდა, მმართველობის რეაქციულმა სისტემამ, „ბლიცკრიგის" (ელვისებური ომის) სამხედრო-სტრატეგიული გეგმის მანკიერებამ, ომის იმპერიალისტურმა ხასიათმა და სხვ.

მეცნიერება და ტექნიკა იმპერიალიზმის პერიოდში პირველ მსოფლიო ომამდე

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს სტადიაში იმპერიალიზმში, რომელმაც შექმნა ტექნიკის რაოდენობრივი და თვისობრივი განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების აუცილებლობა პირველ ყოვლისა წარმოების უდიდესმა კონცენტრაციამ განაპირობა. სამეურნეო ცხოვრების ტექნიკური სრულყოფა ისტორიულ აუცილებლობად იქცა, კონკურენცია კი, ტექნიკური პროგრესისა და ცხოვრებაში მისი სწრაფად დანერგვის ერთ-ერთი მთავარი სტიმული გახდა.

კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობათა არნახული ზრდით აღინიშნა. მსხვილი კაპიტალისტური წარმოების გიგანტურმა ზრდამ, კოლონიურმა ექსპანსიებმა, ნედლეულისა და საქონლის ახალი წყაროებისა და ბაზებისათვის ბრძოლამ, ქვეყნებს შორის ეკონომიურ კავშირურთიერთობათა გაფართოებამ და სხვ. გამოიწვია რკინიგზებისა და ორთქლის ფლოტის გაძლიერებული მშენებლობა, გზატკეცილების, არხებისა და გვირაბების გაყვანა, უზარმაზარი ხიდებისა და სხვადასხვა სამრეწველო, სავაჭრო და საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობა, ხოლო მსოფლიოს გადანაწილებისათვის ომებმა სტიმული მისცა სამხედრო ტექნიკის განვითარებასა და გამალებულ შეიარაღებას.

მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სამხედრო მრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეიქმნა ფოლადისა და ფერადი ლითონების დნობის, მადნეულის ამოღების, ქიმიური მრეწველობის განვითარების ახალი, მაღალმწარმოებლური მეთოდები. მანქანური მრეწველობის განვითარების ფართო პერსპექტივებს ქმნიდა ელექტროძრავების გამოყენება, რომლებმაც თანდათანობით განდევნეს ხმარებიდან ორთქლის მანქანები.

ტექნიკის სწრაფი განვითარება დიდად იყო დამოკიდებული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებზე. უბრალო პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც იყენებდნენ ტექნიკური ამოცანების გადაჭრისას XIX საუკუნის დასაწყისში, ახლა უკვე თეორიულ განზოგადებას და ზუსტ ტექნიკურ გაანგარიშებას საჭიროებდა. ფიზიკასთან და ქიმიასთან ერთად მათემატიკა ფართოდ დაინერგა გამოყენებით მეცნიერებებში. მრეწველობის წამყვანი დარგების სწრაფ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ფიზიკის განვითარებამ: ელექტრონის ბუნების შესწავლის შედეგებმა საფუძველი ჩაუყარა ელექტროტექნიკას, ელექტროენერგიის გამოყენებას კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტში, მექანიკაში, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ პროცესებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ორგანული და არაორგანული ქიმიის განვითარებამ გამოიწვია ხელოვნური ბოჭკოების, სინთეზური თხევადი საწვავისა და პლასტმასების წარმოება. მექანიკის განვითარებამ დააჩქარა საკონსტრუქტორო და საინჟინრო სამუშაოთა, ბალისტიკისა და ავიაციის სწრაფი წინსვლა.

ტექნიკასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა ბუნებისმეტყველებაც. გაჩნდა ექსპერიმენტთა ჩატარების ახალი და ფართო შესაძლებლობანი, გადაიჭრა რიგი თეორიული პრობლემები, მოხდა მეცნიერული ცოდნის ცალკეული დარგების დიფერენციაცია და სპეციალიზაცია. საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების ახალ დარგებს. ამავე დროს ცალკეული მეცნიერებანი დაუკავშირდნენ ერთმანეთს ე. წ. „მოსაზღვრე“ მეცნიერებათა საშუალებით: წარმოიშვა ფიზიკური ქიმია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, ასტროფიზიკა და ა. შ.

ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ძველი მექანისტური წარმოდგენა გარემოსამყაროს შესახებ და გზა გაუხსნა ახალ ევოლუციურ იდეებს ბუნებისმეტყველებაში და მეცნიერების სხვა დარგებში.

გახშირდა კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის. შეიქმნა მთელი რიგი მუდმივად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია: 1875 წელს დაარსდა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიურო, 1896 წელს — საერთაშორისო გეოდეზიური ასოციაცია, 1900 წელს — აკადემიათა საერთაშორისო ასოციაცია, 1912 წელს — დროის საერთაშორისო ბიურო.

კაპიტალისტური სამყაროსათვის გამოგონებებისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვის მიზანი უპირველეს ყოვლისა მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღება იყო.

მონოპოლისტები აფინანსებდნენ, კონტროლს უწევდნენ ლაბორატორიებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, კვლევით ინსტიტუ-

ტებს, ცალკეულ მეცნიერთა შემოქმედებით მუშაობას. ასეთ ვითარებაში ტექნიკური აზროვნების უდიდესი მიღწევები, მეცნიერული აღმოჩენები და სახალხო მეურნეობის განვითარება გარკვეულად მუხრუჭდებოდა. მონოპოლიურ გაერთიანებათა კონტროლს დამონებული მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების წარმომადგენლები ამ შემთხვევაში „სოციალური დაკვეთის“ შემსრულებელთა როლს ასრულებდნენ. უპირატესად გამომგონებელთა და მეცნიერთა მოღვაწეობას განაპირობებდა არა შემოქმედებითი თავისუფლება, არამედ მონოპოლიურ გაერთიანებათა კერძო კომერციული ინტერესები. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს ამუხრუჭებდა აგრეთვე მონოპოლიური ფასები, ეკონომიური კრიზისები და სხვ. ასეთ პირობებში იქმნება, ვ. ი. ლენინის თქმით, „ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად შეჩერების ეკონომიური შესაძლებლობა“ [1].

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სფეროს გარეშე რჩებოდნენ ჩამორჩენილი, კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნები. სულ უფრო ფართოვდებოდა უფსკრული, ერთი მხრივ, ევროპისა და აშშ-ის სწრაფ განვითარებასა და, მეორე მხრივ, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ტექნიკურ ჩამორჩენილობას შორის.

ტექნიკა 1870—1918 წლებში

ენერგეტიკა, ელექტრომექანიკა, რადიო, ტელეგრაფი

ამიერიდან შესაძლებელი გახდა ფაბრიკა-ქარხნების აგება ნედლეულის წყაროსთან ახლოს. იყო კი პირიქით, ფაბრიკა-ქარხნებს ენერგიის წყაროსთან აგებდნენ. განსახილველ პერიოდში ელექტროენერგია მრეწველობისა და ტრანსპორტის ძირითადი ენერგეტიკული საფუძველი გახდა. განსაკუთრებით დიდი გარდაქმნები გამოიწვია ელექტროენერგიის შორ მანძილზე მავთულებით გადაცემამ და მისმა მიწოდებამ უშუალოდ დაზგებისათვის, დანადგარებისათვის, საყოფაცხოვრებო საგნებისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროგანათების პროცესების გადაჭრას, რაც პრაქტიკულად განახორციელა გენიალურმა ამერიკელმა თვითნასწავლმა გამომგონებელმა ტომას ალვა ედისონმა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 348.

(1847—1931) [1]. პატარა ედისონი ჰყიდდა გაზეთებს და ტკბილეულობას, 16 წლისა მუშაობდა ტელეგრაფისტად რკინიგზაზე. ედისონი ჭაბუკობიდანვე გაიტაცა ტექნიკამ. ცდების ჩასატარებლად მან ლაბორატორია მოაწყო საფოსტო ვაგონში, რომელსაც გაზეთების გამყიდველად დაჰყვებოდა. მთელ ხელფასს იგი ხელსაწყოების შექმნაზე ხარჯავდა. ედისონის პირველი გამოგონება იყო ხმების დამთვლელი ხელსაწყო აშშ კონგრესისათვის, მაგრამ ვაშინგტონში ეს ხელსაწყო არ მიიღეს. ედისონი მალე ნიუ-იორკში გადადის. აქ მან გააუმჯობესა ბირჟის კურსთა მაჩვენებელი, რისთვისაც 40000 დოლარი მიიღო. ამ ფულით მან შეიძინა ხელსაწყო-იარაღები და საკუთარი სახელოსნო გახსნა. ედისონს ეკუთვნის უდიდესი გამოგონებები ელექტროტექნიკაში, სამთო საქმეში, ქიმიაში, სამშენებლო საქმეში, ჰიდროგრაფიაში, სამხედრო ტექნიკაში და სხვ. მანვე გამოიგონა ნათურის მასრა, დამცველი, ამომრთველი-მოწყობილობები, რომლებსაც დღემდე ვიყენებთ. მარტო აშშ-ში ედისონმა თავის გამოგონებებზე 1200 პატენტი მიიღო. ედისონი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით. 1879 წელს ნახშირისძაფიანი ნათურის გამოცდისას თავის ასისტენტ ბელჩორთან ერთად 45 საათი გაატარა ანთებული ნათურის წინ ჩამომჯდარმა, ხოლო სინთეზური კარბოლის მეავის მისაღებად ჩატარებული ცდებისას 70 წელს მიღწეული ედისონი 168 საათის განმავლობაში არ გამოსულა ლაბორატორიიდან. აკუმულატორის შექმნისას მან ჩაატარა 50 000 ცდა. ხოლო ნახშირძაფიან ნათურაზე მუშაობისას მან 6000 ჯიშის ბამბუკი და ლერწამი გამოიყენა ნახშირის ძაფად. „ცხოვრების ფილოსოფია, — ცხოვრების არსი მდგომარეობს მუშაობაში, რომლის მიზანია ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობა. მათი გამოყენება ადამიანთა ბედნიერებისათვის". — ამბობდა ედისონი.

1881 წელს ელექტრიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე პარიზში ფრანგმა ფიზიკოსმა მ. დეპრემ (1843—1918) გააკეთა მოხსენება ელექტროდენის შორ მანძილზე გადაცემის შესახებ. პირველი საცდელი ელექტროგადაცემა კი მანვე მოაწყო 1882 წელს მიუნხენის მსოფლიო გამოფენაზე.

მაგრამ შორ მანძილზე ელექტროდენის გადაცემა ფერხდებოდა თვით მუდმივი დენის ბუნების გამო (მისი ტრანსფორმაცია მეტად

[1] აღსანიშნავია, რომ 1873 წელს რუსმა ელექტროტექნიკოსმა ნ. ლოდიგინმა შექმნა ნახშირისძაფიანი ვარვარა ნათურა, მაგრამ მატერიალურმა ხელმოკლეობამ მას ხელი შეუშალა მისი სრულყოფისა და პრაქტიკულად დანერგვის საქმეში.

რთული იყო). საჭირო შეიქნა ცვლადი დენისა და მისი ტრანსფორმატორების გამოყენება, რაც ბრწყინვალედ გადაჭრა იტალიელმა ელექტრომექანიკოსმა და ფიზიკოსმა გ. ფერარიმ. შემდგომ ეს იდეა დაამუშავა და პრაქტიკაში გამოიყენა იუგოსლაველმა ელექტროინჟინერმა ნიკოლა ტესლამ (1856—1943). შორ მანძილზე ელექტროდენის გადაცემის საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსი ინჟინრის მ. ო. დოლივო-დობროვოლსკის (1862—1919) გამოგონებებმა.

1870 წელს ელექტროტექნიკური საწარმოს მუშამ. ბელგიელმა ზ. ტ. გრამმა ააგო ელექტროგენერატორი. მომდევნო წლებში გრამის გენერატორში ტექნიკური გაუმჯობესება შეიტანეს გერმანელმა ელექტროტექნიკოსმა ფ. ჰაფნერ-ალტენეკმა (1873), ტ. ედისონმა (1880) და ამერიკელმა ჰაირამ მაქსიმმა (1890).

ელდენის შორ მანძილზე გადაცემის პრობლემის გადაჭრამ ელექტროსადგურებისათვის მძლავრი, სწრაფი და ეკონომიური ტურბინის შექმნის საკითხი დააყენა. არსებულ ორთქლის ტურბინებს არსებითი ნაკლი გააჩნდა: ისინი შედარებით ნელა მუშაობდნენ და მათზე იხარჯებოდა ლითონის დიდძალი რაოდენობა (მაგალითად, ნიუ-იორკში 30000 კვტ. სიმძლავრის ელსადგურის მშენებლობაზე, სადაც 12 ორთქლის მანქანა დაიდგა 87 ქვაბისათვის, საჭირო გახდა მრავალსართულიანი უზარმაზარი შენობის აგება).

1883 წელს შვედმა ინჟინერმა გ. ლავალმა წარმოადგინა ერთსაფეხურიანი 500 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის ტურბინის პროექტი. რომელიც წუთში 30000 ბრუნს აკეთებდა. უფრო სრულყოფილი იყო 1884-85 წწ. ინგლისელი ინჟინრის ჩ. პარსონსის მიერ შექმნილი მრავალსაფეხურიანი ორთქლის ტურბინა, რომელიც უპირატესად ელექტროგენერატორებისათვის იყო გამიზნული.

ფართოდ დაინერგა ელექტროტექნიკის გამოყენება კავშირგაბმულობაში. 80-იან წლებში მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მოპოვებული სატელეფონო ტექნიკის დანერგვის საქმეში. სატელეფონო აპარატზე პირველი პატენტი აიღო 1876 წელს ამერიკელმა ა. ბელმა (1847—1922). ორი წლის შემდეგ ტ. ედისონმა და ინგლისელმა დ. იუზმა, რომელიც აშშ-ში მუშაობდა, შექმნეს მიკროფონი. ეს არსებითი დეტალი, რომელიც აკლდა ბელის მიერ შექმნილ აპარატს, აფართოებდა ტელეფონების მოქმედების რადიუსს 1876 წელს ბელი საუბარს გადასცემდა 30 კმ მანძილზე, 1880 წელს — 72 კმ-ზე, ხოლო 1892 წელს დამყარდა სატელეფონო კავშირი 1440 კმ მანძილზე ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს შორის. ამის შემდეგ სატელეფონო კავშირი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელ-

ელეონორა დუზე

ჰენრიკ იბსენი



მარკ ტვენი

ჯეკ ლონდონი

და. 1895 წელს აშშ-ში ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 5 ტელეფონი, ხოლო 1910 წელს — 82 ტელეფონი. პირველი სატელეფონო სადგური აშშ-ში აიგო 1877 წელს. შემდეგ ასეთივე სადგურები აშენდა 1879 წელს პარიზში, 1881 წელს — ბერლინში, პეტერბურგში, ვარშავაში და ა. შ. 1889 წელს ამერიკელმა ა. სტროუჯერმა მიიღო ავტომატური სატელეფონო სადგურის (ატს) შექმნის პატენტი.

XIX საუკუნის უდიდეს ტექნიკურ მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება რადიოს გამოგონება. ჯერ კიდევ 1887-88 წწ. გერმანელმა ფიზიკოსმა ჰ. ჰერცმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობა. 90-იან წლებში იუგოსლაველმა მეცნიერმა ნ. ტესლამ გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ამ ტალღების გამოყენება ტელეგრაფში და ელექტროენერგიის გადასაცემადაც კი. რადიოს შექმნის საკითხი პრაქტიკულად გადაჭრა გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ს. პოპოვმა (1859—1906), რომელმაც 1895 წლის 7 მაისს რუსეთის ფიზიკა-მათემატიკური საზოგადოების სხდომაზე პეტერბურგში პირველად წარმოადგინა რადიომიმღები. 1896 წლის მარტში პოპოვმა პირველად გადასცა რადიოგრამა 250 მ მანძილზე, ხოლო 1897 წელს განახორციელა რადიოკავშირი ორ ხომალდს შორის 5 კმ მანძილზე.

პოპოვის ცდებმა რუსეთში შედარებით ცოტა მხარდაჭერა პოვა. უფრო სელსაყრელ პირობებში მუშაობდა იტალიელი ინჟინერი გ. მარკონი (1874—1937), რომელმაც 1897 წელს ინგლისში მიიღო პატენტი უმავთულოდ „ელექტროიმპულსების გადაცემის საშუალების" გამოგონებაზე. მარკონის დიდ დახმარებას უწევდნენ ინგლისური კაპიტალის წარმომადგენლები და საქმეც სწრაფად წავიდა წინ. 1899 წელს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მანევრებისას ხმარობდნენ მარკონის მიერ შექმნილ რადიოტელეგრაფს. 1901 წელს მარკონიმ მოაწყო რადიოკავშირი ატლანტიკის ოკეანეზე. 1906 წელს ამერიკელმა ფესენდენმა შეძლო ატლანტიკის გაღაღმა საუბრის გადაცემა, ხოლო მეორე ამერიკელმა ლი დე ფორესტმა რადიოთი გადასცა დიდი იტალიელი მომღერლის, ენრიკო კარუზოს გამოსვლა ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერის" თეატრიდან.

მაგრამ რადიოტელეფონების გაუმჯობესების საქმე ნელა ვითარდებოდა, ვიდრე არ ჩაეყარა საფუძველი ელექტროტექნიკის კიდევ ერთ დარგს — ელექტრონიკას. 1904 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ჟ. ფლემინგმა გამოიგონა ორელექტროდიანი ნათურა (დიოდი) და წამოაყენა მისი დეტექტორად გამოყენების წინადადება. 1907 წელს კი ამერიკელმა დე ფორესტმა შექმნა სამელექტროდია-

ნი ნათურა (ტრიოდი) — თანამედროვე რადიოს ეეშმარიტი გასაღები.

ამრიგად, ელექტროენერგიის სამრეწველო გამოყენებამ, ქალაქების ელექტროგანათებამ, რადიოსა და ტელეფონის გამოგონებამ, ტრანსპორტის განვითარებამ ბიძგი მისცეს ელექტროტექნიკური მრეწველობის სწრაფ განვითარებას. წარმოების იმპერიალისტური კონცენტრაციის დროს საჭირო გახდა მძლავრი ენერგეტიკული სისტემის შექმნა, რომელიც საიმედოდ მოამარაგებდა ელექტროენერგიით სამრეწველო საწარმოებს. ენერგეტიკული მეურნეობის კონცენტრაციის საქმეში XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს მიაღწია აშშ-მა, სადაც 17 მსხვილ ელექტროსადგურზე მოდიოდა ელექტროენერგიის გამომუშავების 90%. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარება ყველაზე ტიპურია ტექნიკის უახლესი მიღწევებისათვის. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე სწორედ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში წარმოიშვა ყველაზე სწრაფად ისეთი მონოპოლიური გაერთიანებები, როგორიც იყო „აეგ", „სიმენსი" — გერმანიაში, „ჯენერალ ელექტრიკი" — აშშ-ში და ა. შ.

1877 წელს ტ. ედისონმა გამოიგონა ხმის ჩამწერი აპარატი ფონოგრაფი, რასაც მოჰყვა გრამოფონისა და სხვა მექანიკური ხმის ჩამწერი აპარატურის შექმნა.

XIX საუკუნეში დიდ აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება საფრანგეთში კინემატოგრაფის გამოგონება, რაც ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლუმიერებმა განახორციელეს. ამ აპარატით გადაღებული პირველი საცდელი კინოფირის დემონსტრაცია მოხდა 1895 წლის მარტში, პარიზში, სადაც იმავე წლის დეკემბრიდან ამოქმედდა მსოფლიოში პირველი კინოთეატრი.

1889 წელს გამოჩნდა ნ. ტესლას მიერ შექმნილი ვენტილატორი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა $^1/_6$ ცხ. ძალიან ძრავას. იგი იყო პირველი მაჩვენებელი იმ როლისა, რაც ელექტროენერგიას უნდა შეესრულებინა ყოფა-ცხოვრებაში. XIX—XX საუკუნის მიჯნაზე გამოგონებულ იქნა საოჯახო მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, ლიფტი და სხვ. მაგრამ ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა ყოფა-ცხოვრებაში მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით გაიზარდა ტრანსპორტის მნიშვნელობა, დაიწყო მისი სწრაფი განვითარება. უპირველეს ყოვლისა, გაფართოვდა სარკინიგზო მშენებლობა. სარკინიგზო ტრანსპორტის ეფექტურობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც თუჯის ლიანდაგები ფოლადის ხაზებით იქნა შეცვლილი.

სარკინიგზო ქსელის ფართო მშენებლობამ ჯამოიწვია ტვირთნიდვის, მატარებელთა წონისა და სიჩქარის ზრდა. გაიზარდა ორთქლმავალთა სიმძლავრე, სისწრაფე. ორთქლმავლების გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულეს საფრანგეთში — ა. მალეტმა, რუსეთში — ა. პ. ბოროდინმა, გერმანიაში — ა. ბორისმა, ინგლისში — უებმა და უორსდელმა. 1872 წელს სარკინიგზო ტრანსპორტზე შემოიღეს ავტომატური მუხრუჭები, ხოლო 1876 წელს ჯანხორციელეს ვაგონთა ავტომატური დაკავშირება.

XIX საუკუნის ბოლოს მოეწყო ორთქლის წევის ელექტროწევით შეცვლის ცდები. ამ ცდებს გერმანიაში აწარმოებდა ვ. სიმენსი, აშშ-ში — ტ. ედისონი. რუსეთში — ფ. ა. პიროცკი და ა. შ. ელექტროენერგიის ცენტრალიზებულმა წარმოებამ შესაძლებელი გახადა საქალაქო ტრანსპორტისა და რკინიგზის ელექტრიფიკაცია. 1879 წელს გერმანულმა ფირმამ „სიმენს უნდ გალსკემ" მოაწყო ელექტროფიცირებული სარკინიგზო ხაზის მოდელის ექსპონირება, ხოლო 1881 წელს გაიყვანა პირველი ელექტრიფიცირებული ტრამვაის ხაზი ლიხტერფელდში. ესთეტიკური მოსაზრების გამო ტრამვაის საკონტაქტო ხაზები თავდაპირველად გაჰყავდათ ლიანდაგებს შორის ამოთხრილ არხებში, ხოლო დენის მიმღები მოწყობილობა (ბიუგელი) მოთავსებული იყო ტრამვაის ქვეშ. ამ რთულმა მოწყობილობამ თავდაპირველად შეაფერხა ტრამვაის გავრცელება, მაგრამ 80-იანი წლების შუა რიცხვებიდან დაიწყო ჰაერში დაკიდებული ხაზების გაყვანა და საქმეც სწრაფად წავიდა წინ. 10 წლის განმავლობაში სარკინიგზო ელექტრობაზის სიგრძე გაიზარდა 2.260 კმ-მდე, რომელთაგანაც 1.138 კმ გერმანიაზე მოდიოდა. 1890 წელს ელექტრიფიცირებულ იქნა ლონდონის მეტროპოლიტენი [1]. 1901 წელს დაიწყეს პარიზის საგარეუბნო რკინიგზის ელექტრიფიკაცია. იტალიასა და შვეიცარიაში მოეწყო ელმავლების სამთო ხაზებზე გამოყენების ცდები.

---

[1] ლონდონის მეტროპოლიტენი ორთქლის წევით ჯერ კიდევ 1863 წლიდან მუშაობდა.

XIX საუკუნის მიწურულში, შიდაწვის ძრავის გამოგონებასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა ავტომობილის შექმნა.

შიდაწვის ოთხტაქტიანი ძრავის შექმნის იდეა პირველად 1862 წელს ფრანგმა ინჟინერმა ა. ბოდე როშემ წამოაყენა. ამ ძრავაში საწვავი ნარევის აფეთქებამდე მისი შეკუმშვა უნდა მომხდარიყო. პრაქტიკულად პირველად ეს გააკეთა გერმანელმა კონსტრუქტორმა ნ. ოტომ (1832-91). ბენზინის ძრავის შექმნაში განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს გერმანელმა ინჟინრებმა კონრად ბენცმა და გოტფრიდ დაიმლერმა, რომლებმაც 1885-86 წწ. შექმნეს ავტომობილის პირველი კონსტრუქციები. 1886 წელს დაიმლერმა ველოსიპედზე დააყენა მსუბუქი ძრავა. იმავე წელს მან ეს ძრავა დააყენა ოთხთვლიან ურიკაზე, ხოლო 1889 წელს შექმნა პირველი ავტომობილი. 1904 წლიდან ხმარებაში შემოვიდა ავტობუსები და სატვირთო მანქანები. პირველი ავტომობილი 3—4 ცხ. ძალის სიმძლავრისა იყო, მაგრამ უკვე 1906 წელს პარიზის საავტომობილო კლუბის პრიზზე მოწყობილ ავტორბოლაში მოაწილეობდნენ ავტომობილები, რომელთა სიმძლავრე 100—130 ცხ. ძალას აღწევდა.

შიდაწვის ძრავის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი შეასრულა გერმანელმა ინჟინერმა დიზელმა (1858—1913). დიზელის პირველი ოთხტაქტიანი ძრავა გააკეთეს 1897 წელს აუგსბურგის ქარხანაში. შემდგომში დიზელმა ამ ძრავის შესაძლებლობანი იმ ზომამდე გაზარდა, რომ მან კონკურენციის გაწევა დაუწყო ორთქლის ძრავებს.

XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო საავტომობილო მრეწველობისა და ტრანსპორტის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით აშშ-ში. აშშ-ის საავტომობილო განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა „ავტომობილების მეფემ“ ჰენრი ფორდმა (1863—1947). ფორდი, თვითნასწავლი ტექნიკოსი, თავდაპირველად მუშაობდა ლოკომობილების შექმნაზე. 1899 წლიდან იგი დეტროიტში საავტომობილო კომპანიის ინჟინერია. 1903 წელს მან დააარსა მიჩიგანის შტატში საკუთარი საავტომობილო კომპანია. უკვე 1909 წელს ფორდის საავტომობილო ქარხნები წელიწადში 10 000 ავტომობილს უშვებდა. პირველი ავტომობილის შექმნიდან 30 წლის შემდეგ მსოფლიოში 2 მილიონი ავტომობილი იყო.

პოპულარული სატრანსპორტო საშუალების, ველოსიპედის შესაქმნელად ცდებს აწარმოებდნენ 1818 წლიდან, 1885 წელს სტარლეიმ შექმნა „როვერის“ სისტემის ველოსიპედი. 1888 წელს კი ირლანდიელმა ჯ. დანლოპმა ველოსიპედისათვის შექმნა რეზინის

საბურავები. 1896 წლისათვის მსოფლიოს გზებზე 4 მილიონი ველოსიპედი მოძრაობდა.

დიდი მიღწევები იყო მოპოვებული საზღვაო ფლოტის ტექნიკურ სრულყოფაშიც. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ფლოტში იყენებდნენ ორთქლის დგუშიან ძრავებს, ხოლო 1894-95 წწ. ს

ლოს. XVIII საუკუნეში საფრანგეთში საჰაერო ბურთით გაფრენა მოაწყვეს ძმებმა მონგოლფიებმა. ამის შემდეგ მოეწყო მრავალი მამაცური ცდა—დაეპყროთ „მეხუთე ოკეანე". XIX საუკუნეში მრავალი საფრენი აპარატი შექმნეს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია დირიჟაბლი. დირიჟაბლების პრაქტიკული გამოყენება დაიწყეს 1884 წლიდან. მაგრამ თავდაპირველ დირიჟაბლს სუსტი ძრავა ჰქონდა და ქარის საწინააღმდეგოდ ვერ მოძრაობდა. დირიჟაბლის კონსტრუქციულ დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა გერმანელმა სწავლულმა გრაფმა ფერდინანდ ფონ ცეპელინმა, რომელმაც 1898 წელს ააგო ლითონის კონსტრუქციის დირიჟაბლი და 1900 წელს მოაწყო მისი პირველი გაფრენა. მისმა ხომალდებმა მალე მოიპოვეს პოპულარობა, ხოლო ცეპელინის მიერ აგებულმა მეოთხე დირიჟაბლმა ალპებსაც კი გადაუფრინა. 1910 წლიდან 1914 წლამდე „ცეპელინებმა" გადაიყვანეს 35 000 მგზავრი და დაფარეს 270000 კმ. მაგრამ მალე დაიწყო დირიჟაბლების კატასტროფათა სერია და მათდამი ინტერესი დაიკარგა [1]. აერონაოსნობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი მაინც თვითმფრინავის (აეროპლანის) გამოგონებამ შეასრულა.

ავიაციის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრით მრავალი ქვეყნის მეცნიერ-გამომგონებლები იყვნენ დაინტერესებულნი, მათ შორის რუსეთში — დ. ი. მენდელეევი, მ. მ. პომორცევი, კ. ე. ციოლკოვსკი და ნ. ე. ჟუკოვსკი.

1892 წელს ინგლისელმა კონსტრუქტორმა გ. ფილიპსმა ააგო დიდი აეროპლანი, რომელიც უავიატოროდ დაფრინავდა. 1897 წელს საფრანგეთში კლემან ადერმა ააგო თვითმფრინავი, რომელმაც 300 მ იფრინა და დაშვებისას დაიმსხვრა.მნიშვნელოვანი სამუშაოები თვითმფრინავმშენებლობაში ჩაატარა გერმანელმა ინჟინერმა ოტო ლილიენტალმა. მაგრამ 1896 წელს იგი დაიღუპა საკუთარი კონსტრუქციის პლანერის გამოცდისას.

თვითმფრინავმშენებლობის პიონერთა გამოცდილების დაგროვებამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა. 1900 წლიდან თვითმფრინავების აგება და მათი აქტიური გამოცდა დაიწყეს ამერიკელებმა, ძმებმა უილბურ და ორვილ რაიტებმა — ველოსიპედის მწარმოებელი ფაბრიკის პატრონებმა სამხრეთ კაროლინის შტატში. 1903 წელს მათ საცდელ პლანერზე დააყენეს 12 ცხ. ძალიანი შიდაწვის ძრავა და მოაწყვეს პირველი გაფრენა. თვითმფრინავმა ჰაერში დაჰ-

---

[1] XX ს. 60-იან წლებში, როცა ხელმისაწვდომი გახდა უსაფრთხო გაზი ჰელიუმი, დირიჟაბლისადმი ინტერესი კვლავ გაიზარდა.

ყო 12 წამი და იფრინა 40 მეტრ სიგრძეზე. ძმების მეოთხე გაფრენა გაგრძელდა 1 წუთს. 1904 წელს კი მათ ჰაერში დაჰყვეს 5 წუთი. 1908 წლისათვის რაიტების მიერ აგებული თვითმფრინავი უკვე 190 კმ-ს ფარავდა და ავითარებდა საათში 80 კმ სიჩქარეს. 1909 წელს ფრანგმა მფრინავმა ლუი ბლერიომ საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავით გადაუფრინა ლამანშის სრუტეს. მაგრამ 1914 წლამდე აეროპლანი სპორტის სარისკო სახედ მიიჩნდათ. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მიექცა თვითმფრინავმშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება. აერონავსნობის პიონერთა შორის არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სახელგანთქმული ქართველი პილოტი ბესარიონ ქებურია.

მეტალურგია

სარკინიგზო მშენებლობის ფართოდ გაშლამ, ხომალდების ხის კორპუსების ლითონის კორპუსებით შეცვლამ და, ბოლოს, მანქანათმშენებლობის განვითარებამ დიდი მოთხოვნილებები წაუყენა მეტალურგიას. ამასთან დაკავშირებით შავი მეტალების წარმოების ტექნიკამ და ტექნოლოგიამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მეტალურგიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბესემერულმა პროცესმა. ამ მეთოდით აშშ-ში XIX ს. 80-იან წლებში ადნობდნენ ფოლადის 80%-ს. გაუმჯობესდა კონვერტორების მოწყობილობა. თუ 1870 წელს აშშ-ში ერთი კონვერტორი კვირაში 126 ტ ფოლადს იძლეოდა, 1903 წელს გამომუშავებამ უკვე 7852 ტ-ს მიაღწია.

პარალელურად უმჯობესდებოდა მარტენის ღუმელები. თავდაპირველად ისინი 1,5 ტ მეტალს იტევდნენ, 80-იან წლებში — 15—20 ტ, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში — 100 ტ. 1878 წელს ინგლისელმა გამომგონებელმა ს. ჯ. ტომასმა შემოიღო ფოსფორიანი თუჯისა და ფოლადის დეფოსფორიზაციის ე. წ. „ტომასისეული მეთოდი“, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეტალურგიის შემდგომი განვითარებისათვის.

1898—1900 წწ. ე. სტასენომ იტალიაში და ლ. ერუმ საფრანგეთში ლითონების სადნობად ააგეს პრაქტიკულად გამოსაყენებელი რკალური ელექტროღუმელები. ამავე პერიოდში შეიქმნა ინდუქციური სადნობი ღუმელები.

რამდენადმე ადრე ამ მეთოდებმა გამოყენება პოვეს ფერად მეტალურგიაში. 80-იან წლებში შემოიღეს ალუმინის ელექტროლიზური მიღების მეთოდი. გაუმჯობესდა, აგრეთვე, ალუმინის ელექტრო-

ლიზური წარმოების მეთოდი, რომელიც პირველად 1878 წელს იქ-ნა გამოყენებული.

მეტალურგიის განვითარებამ ბიძგი მისცა იმ მეცნიერებათა განვითარებას, რომლებიც შეისწავლიდნენ მეტალურგიის ტექნოლოგიურ პროცესებს. ამ მხრივ მეტალურგიის შესახებ მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა მეცნიერმა დ. კ. ჩერნოვმა, ფრანგმა ლე შატელიემ და ა. შ.

სამშენებლო საქმე

ახალი ქალაქების, ფაბრიკა-ქარხნების, ნავსადგურების, ბანკების, ბაზრებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა ითხოვდა ახალ სამშენებლო მასალებსა და ახალ არქიტექტურულ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს. 1867 წელს ფრანგმა მებაღემ მონიემ შექმნა რკინა-ბეტონი, რომელსაც ქოთნების დასამზადებლად იყენებდა. 1884 წელს ამ სამშენებლო მასალას ყურადღება მიაქციეს გერმანელებმა და დაიწყეს მისი ფართოდ გამოყენება სამშენებლო საქმეში. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ცემენტის წარმოებას.

სამშენებლო მასალებად რკინა-ბეტონისა და მუშის გამოყენებამ შეცვალა შენობათა კონსტრუქციული ფორმები. მეთვრამეტე საუკუნესთან შედარებით შენობები გარეგნულად გაუბრალოვდა, ინტერიერი და შენობის საერთო კეთილმოწყობა კი გაუმჯობესდა. ევროპასა და ამერიკაში აიგო მთელი რიგი შენობები, რომლებიც სამშენებლო და საინჟინრო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. ასეთია, მაგალითად, 1889 წელს ფრანგი ინჟინრის ჟან ეიფელის (უფრო ზუსტად ეფელის) მიერ პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის აგებული 300 მ სიმაღლის, იმ დროისათვის კოლოსალური სიდიდის კოშკი. კოშკის მეტალის ჩონჩხის აკრეფის პრინციპი შემდგომ წარმატებით იქნა გამოყენებული ამერიკელი ინჟინრების მიერ ცათამბჯენების ასაგებად.

სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ და გეოგრაფიულად მოუხერხებელ, მთაგორიან ადგილებში მისი გაყვანის აუცილებლობამ კიდევ უფრო წასწია სამშენებლო საქმე, განსაკუთრებით კი ხიდების, აქვედუკებისა და გვირაბთმშენებლობა. ევროპაში გაიყვანეს დიდი გვირაბები, რომლებმაც ალპები გაკვეთა. 1880 წელს დამთავრდა სენ-გოტარდის 15 კმ სიგრძის გვირაბის მშენებლობა, ხოლო 1905 წელს გაიყვანეს 20 კმ-იანი სიმპლონის გვირაბი. 1890 წელს საქართველოში სურამის უღელტეხილის ქვეშ გაიყვანეს 4

კმ-იანი სიგრძის გვირაბი. 1885 წელს ინგლისში აიგო 7 კმ სიგრძის სევერინის წყალქვეშა გვირაბი, რაც იმ დროისათვის დიდი მიღწევა იყო.

ხიდების მშენებლობაში დიდი გამოყენება პოვა ფოლადის კოჭებმა და რკინა-ბეტონმა. ფოლადის ხიდების მშენებლობის ერას სათავე დაუდო აშშ-ში, ქ. სენტ-ლუისთან მდინარე მისისიპიზე 1874 წელს ინჟინერ ჯ. იდსის მიერ აგებულმა თაღიანმა ხიდმა. რამდენადმე მოგვიანებით ნიუ-იორკის მახლობლად აიგო ბრუკლინის ე. წ. „დაკიდებული ხიდი", რომლის 486 მ სიგრძის ცენტრალურ თაღს ფოლადის გვარლები აკავებდა. 1917 წელს მთლიანად ლეგირებული ფოლადისაგან აიგო ნიუ-იორკის მახლობლად ჰელ-გეიტის ხიდი. რუსეთში უდიდესი ფოლადის ხიდები — ვოლგაზე 1899 წელს და ენისეიზე 1896 წელს — ააგო გამოჩენილმა რუსმა ინჟინერმა ნ. ა. ბელელიუბსკიმ. იმ დროისათვის ყველაზე გრძელ ხიდად ითვლებოდა ფორტბრიჯის ხიდი შოტლანდიაში, რომლის სიგრძეც 2,133 მ იყო, ხოლო სიმაღლე 47,5 მ.

1914 წელს დამთავრდა პანამის არხის მშენებლობა, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით ბევრად აღემატებოდა ყველა წინამორბედს. არხის სიგრძე შეადგენდა 81 კმ-ს, სიგანე ყველაზე ვიწრო ადგილზე — 91,5 მ-ს, არხის სიღრმე — 12,5 მ-ს.

1887-95 წწ. გერმანიაში აიგო კილის არხი, რომელმაც ბალტიის ზღვა მოკლე გზით დაუკავშირა ჩრდილოეთის ზღვას. არხს ეკონომიურთან ერთად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ქიმიური მრეწველობა

დიდი ყურადღება მიექცა ქიმიური მრეწველობის განვითარებას. მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური და საფეიქრო მრეწველობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო პლასტმასების, ხელოვნური ბოჭკოებისა და სხვა ქიმიური ნედლეულის მიღება.

1869 წელს ამერიკელმა ქიმიკოსმა ჯ. ჰაიეტმა ცელულოიდი მიიღო, ხოლო ლ. ბაკელანდმა 1906 წელს — ბაკელიტი. ამავე ჯგუფის ქიმიური ნაერთებიდან მოგვიანებით მიიღეს კარბოლიტი და სხვა პლასტმასები. 1884 წელს ფრანგმა ინჟინერმა გ. შარდონიემ მიაგნო ხელოვნური ბოჭკოსაგან ნიტროცელულოზის მიღების ხერხს და დასაბამი მისცა ხელოვნური აბრეშუმის წარმოებას. დიდი ცვლილებები განიცადა სოდის წარმოებამ მას შემდეგ, რაც ბელ-

გიელმა ინჟინერმა ერნსტ სოლვეემ აღმოაჩინა ხელოვნური სოდის მიღების ამიაკური ხერხი.

1899—1900 წწ. რუსმა მეცნიერმა ი. დ. კონდაკოვმა ნახშირწყალებისაგან სინთეზური კაუჩუკის მიღების საშუალებებს მიაკვლია, რაც შემდეგ პრაქტიკულად გერმანიის მრეწველობაში გამოიყენეს. ამავე პერიოდში დაიწყეს ამიაკის — აზოტის მჟავასა და აზოტოვანი შენაერთების საფუძვლის — სამრეწველო წარმოება. განსაკუთრებით პრაქტიკული აღმოჩნდა გერმანელი მეცნიერების ფ. ჰაბერის და კ. ბოშის მეთოდი, რომლებმაც ამიაკი მიიღეს დიდი წნევის ქვეშ აზოტისა და წყალბადის სინთეზის საფუძველზე.

XIX საუკუნის ბოლოს შიდაწვის ძრავების გამოგონებისა და საავტომობილო მრეწველობის განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება თხევად საწვავზე. ამან კი, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ნავთობის მრეწველობის განვითარებას. თუ 1870 წელს ნავთობის წარმოება შეადგენდა 0,7 მლნ ტ, 1913 წელს მან 52,3 მლნ ტ-ს მიაღწია, რაც შეეხება ბენზინის მოხმარებას, იგი 1902 წლამდე გაიზარდა 11,5-ჯერ, 3.276 ტონიდან 376,8 ათას ტონამდე.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ევროპელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ე. წ. კრეკინგ-პროცესი, რომელიც წარმოადგენს ნავთობის დაშლას სხვადასხვა (დაახლოებით თორმეტი სახისა) პროდუქტებად მაღალი წნევისა და თერმული დამუშავების შედეგად. კრეკინგ-პროცესს საფუძველი ჩაუყარა დ. ი. მენდელეევმა, შემდგომ იგი განავითარა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ვ. გ. შუხოვმა. აშშ-ში ანალოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ინჟინერი ბარტონი. აქვე 1916 წელს საფუძველი ჩაეყარა კრეკინგ-პროცესს სამრეწველო მასშტაბით. 1913 წელს გერმანელმა ინჟინერმა ფ. ბერგიუსმა ნახშირისაგან მიიღო სინთეზური ბენზინი, რომლის მიღების ხერხებიც ჯერ კიდევ 10 წლით ადრე აღმოაჩინეს ა. ე. ფავორსკის სკოლის რუსმა ქიმიკოსებმა. სინთეზური ბენზინის მიღებას გერმანიისათვის, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ნავთობი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ფართო მოხმარება პოვა გოგირდმჟავამ, რომელსაც იყენებდნენ მეტალურგიაში, ნავთობისა და საფეიქრო მრეწველობაში. ელექტროტექნიკის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროქიმიაშიც. ელექტროლიზის საშუალებით სუფრის მარილისაგან მიიღეს ქლორი, რამაც დიდი გამოყენება პოვა ხელოვნური საღებავების წარმოებაში. თხევად ქლორს იყენებდნენ, აგრეთვე, სამხედრო საქმეში როგორც საწამლავს. არა-

ორგანული სასუქების—სუპერფოსფატების წარმოების დაწყებამ, ნიადაგის ქიმიურმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედების მეცნიერული ბაზის შექმნა, მოსავლიანობის ვაზრდა.

სოფლის მეურნეობა

XIX საუკუნის მიწურულიდან დასავლეთ ევროპაში იწყება მინერალური, ანუ ხელოვნური სასუქების გამოყენება, რამაც სხვა აგროტექნიკურ გაუმჯობესებასთან ერთად გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა. ერთ ჰექტარზე ხორბლის მოსავალმა ჰოლანდიაში შეადგინა 26 ც, ბელგიაში — 25 ც, ხოლო გერმანიაში — 22 ც.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების (სათესი, სათიბი, სამკელი, სალეწი, ძნისმკვრელი, მარცვალსანიავებელი და სხვა მანქანები) ტექნიკურ სრულყოფას.

სოფლის მეურნეობაში ტექნიკის წარმატებით გამოყენებას ხელს უშლიდა თვითმოძრავი სასოფლო-სამეურნეო მანქანების უქონლობა. მართალია, მთელი რიგი ტექნიკური გაუმჯობესება ამ დარგშიც მოხდა, მაგრამ ეს პროგრესი ძირითადად შეეხო სახნავ, სალეწ, გასანიავებელ და სხვა დამხმარე მოწყობილობებს. ამ მანქანებისათვის გამწევ ძალად კი მაინც ცხენი რჩებოდა. რაც შეეხება თვითმავალ ურიკას ორთქლის ძრავით — მას არ შეეძლო გადახნულ ნიადაგზე მოძრაობა. ეს პრობლემა მხოლოდ მუხლუჩოების გამოგონებამ გადაჭრა. 1888 წელს რუსმა გამომგონებელმა ფ. ა. ბლინოვმა შექმნა ორთქლისძრავიანი მუხლუხა ტრაქტორი, მაგრამ მის პრაქტიკულად განხორციელებას ორი ათეული წელი დასჭირდა. 1901 წელს ამერიკულმა ფირმამ „ჰარტ პარმა" გამოუშვა შიდაწვის ძრავიანი პირველი ტრაქტორი. მაგრამ ამ ტრაქტორს პრაქტიკულად მხოლოდ 1907 წლიდან იყენებდნენ. ტრაქტორების მასობრივი წარმოება პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მწვანე საკვების, განსაკუთრებით სიმინდის, დასილოსებამ ხელი შეუწყო მესაქონლეობის განვითარებას.

მასობრივი წარმოების ორგანიზაცია

XIX საუკუნის დამლევს მრეწველობაში სწრაფად დაიწყეს სტანდარტულ ნაკეთობათა მასობრივი, ნაკადური წარმოების სისტემის დანერგვა: სამუშაო ადგილი და დამმუშავებელი მანქანები განლა-

გებული იყო თანმიმდევრულად ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად. ნაკეთობის დამზადების პროცესი კი იყოფოდა დიდძალი რაოდენობის წვრილმან ოპერაციებად და მიმდინარეობდა უწყვეტად. ეს სისტემა თავდაპირველად შემოიღეს ასანთის, საკონსერვო და სხვა მსგავს საწარმოებში, შემდეგ კი დაინერგა მძიმე მრეწველობაშიც. ამ სისტემამ ფართო გამოყენება პოვა საავტომობილო მრეწველობაში, ხოლო საბოლოოდ კონვეიერების გამოყენებითა და უწყვეტი, ნაკადური წარმოებით მკაფიოდ გამოიკვეთა ჰ. ფორდის საავტომობილო ქარხნებში 1912-13 წლებში.

უწყვეტნაკადურმა მასობრივმა წარმოებამ შეცვალა როგორც საწარმოო მოწყობილობათა, ისევე საწარმოს სახეც. მანქანათმშენებლობაში შემოიღეს სპეციალიზებული ავტომატი-მანქანები. საფეიქრო მრეწველობაში ავტომატი-მანქანები ფართოდ დაინერგა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისელმა კონსტრუქტორმა ჯ. ნორტროპმა 1890 წელს შექმნა ავტომატური საქსოვი დაზგა.

წარმოების ამ პროგრესულმა მეთოდებმა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მეტად მახინჯი ფორმები მიიღო. იგი გამოიყენეს მუშების ექსპლუატაციის გასაძლიერებლად, შრომის ინტენსივობის გასაფართოებლად. შრომის გამარტივებამ, ვიწრო სპეციალიზაციამ, კონვეიერის სისწრაფემ მოითხოვა სამუშაო ოპერაციების სულ უფრო სწრაფი ტემპით ?ატარება, ამასთან შესაძლებლობა მისცა მრეწველს გამოეყენებინა დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი. კაპიტალისტური წარმოების ორგანიზაციული მეთოდები დაამუშავა ამერიკელმა მეცნიერმა ფ. უ. ტეილორმა, რომლის სისტემაც, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, სამმაგი „ოფლის გამოწურვის მეცნიერული სისტემა“ [1] იყო.

სამხედრო ტექნიკის განვითარება

ტექნიკური აზროვნების უდიდესმა მიღწევებმა აირველ ყოვლისა ფართო გამოყენება პოვა სამხედრო ტექნიკის განვითარებაში. ამის სტიმულს იძლეოდა იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი მზარდი მილიტარიზმი, მარინიზმი და, საერთოდ, აგრესიული პოლიტიკის საყოველთაო განმტკიცება.

აღნიშნული პერიოდის სამხედრო ტექნიკის მიღწევათაგან აღსანიშნავია სასროლი იარაღის ავტომატიზაცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კონსტრუქციები დაზგის ტყვიამფრქვევისა, რომელიც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ქანცის გამოცლის „მეცნიერული“ სისტემა, თხზ., ტ. 18, გვ. 719—720.

პირველად 1883 წელს გამოიგონა ამერიკელმა ჰაირამ მაქსიმმა. გაჩნდა მაქსიმისა და ჰოჩკისის მძიმე ტყვიამფრქვევები, ლუისისა და ვიკერსის მსუბუქი ტყვიამფრქვევები და ა. შ. ტყვიამფრქვევები ევროპულ არმიებში ფართოდ დაინერგა რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო ომის დროს. ავტომატიზაციის ტენდენცია შეინიშნებოდა საარტილერიო საქმეშიც. პირველი მსოფლიო ომის წინ შეიქმნა ნახევრად ავტომატური და ავტომატური ზარბაზნები. საარტილერიო ჭურვის გაფრენის ყველაზე შორი მანძილი იყო 16—18 კმ; 1917 წელს კრუპის ქარხნებში აგებული უნიკალური ზარბაზანი „კოლოსი“ 120 კმ მანძილიდან ბომბავდა პარიზს. ქვემეხების გაუმჯობესებამ მათი გადატანის საშუალებათა გაუმჯობესება გამოიწვია, ხოლო ავიაციის წინააღმდეგ ბრძოლამ — საზენიტო ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის შექმნა.

დიდი რაოდენობით მზადდებოდა ასაფეთქებელი ნივთიერებები. 1884 წელს გამოიგონეს უკვამლო დენთი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ევროპული ქვეყნები დენთს აწარმოებდნენ ჩილედან ჩამოტანილი გვარჯილისაგან. ომის დროს გერმანიის საზღვრების ბლოკადის შედეგად, გერმანელები იძულებულნი გახდნენ დენთის საწარმოებლად საჭირო აზოტი მიეღოთ ჰაერიდან ჰაბერ-ბოშის მეთოდით. 1913 წელს ბადენის „ანილინსოდის“ ქარხნები აწარმოებდნენ 3000 ტ აზოტს, 1918 წელს მისმა წარმოებამ 270. 000 ტ-ს მიაღწია.

1915 წელს გერმანიის ჯარებმა პირველად გამოიყენეს საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებანი. ანალოგიური მომწამვლელი გაზების წარმოება გააჩაღეს ანტანტის სახელმწიფოებმაც. გაზებისაგან თავის დაცვის მიზნით არმიებში შემოიღეს აირწინაღები. 1915 წელს ცნობილმა რუსმა ქიმიკოსმა ნ. დ. ზელინსკიმ შექმნა ნახშირიანი აირწინაღი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში დიდი ნაბიჯები გადაიდგა სამხედრო ტექნიკის ყველა დარგში. ეს იყო „მოტორების პირველი დიდი ომი“. ფრონტის მოსამარაგებლად ფართოდ გამოიყენეს ავტოტრანსპორტი. გამოჩნდა ახალი საბრძოლო იარაღი — ჯავშნოსანი მატარებლების, ჯავშნოსანი ავტომობილებისა და ტანკების სახით. შიდაწვისძრავიანი, მუხლუხიანი მანქანის შექმნის იდეა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე წარმოიშვა.

1903 წელს კონსტრუქტორმა ლეკასერმა საფრანგეთში, 1911 წელს ცნობილმა ქიმიკოსმა ვ. დ. მენდელეევმა რუსეთში, 1912 წელს ბურშტინმა ავსტრიაში დაამუშავეს და წამოაყენეს ჯავშნიანი

მანქანის შექმნის პროექტები. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ტანკების ახალი პროექტები შეიმუშავეს ინგლისელმა გამომგონებლებმა ტრიტონმა და უილსონმა. საბრძოლო ოპერაციებში ტანკები პირველად გამოიყენეს 1916 წლის 15 სექტემბერს სომაზე ბრძოლის დროს. შეტევაზე გადასული 32 ტანკიდან ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიიღო 18 ტანკმა, 1917 წლის 20 ნოემბერს კამბრესთან ბრძოლაში ინგლისელებმა უკვე 378 ტანკი გამოიყენეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტანკს მრავალი ტექნიკური და საბრძოლო წუნი გააჩნდა, იგი მაინც გადაიქცა მრისხანე საომარ იარაღად.

სამხედრო საქმეში ფართო გამოყენება პოვა ავიაციამ. გერმანია ომისათვის მზადების პროცესში აშენებდა ცეპელინის, შიუტედანცისა და პარსევალის სისტემის დირიჟაბლებს. ომის წლებში საომარ ოპერაციებში მონაწილეობდა 123 გერმანული დირიჟაბლი, რომელთაც 800-მდე საბრძოლო გაფრენა მოაწყვეს. მაგრამ დირიჟაბლებით საჰაერო ბრძოლამ კრახი განიცადა. ბევრი მათგანი ადვილად ჩამოაგდო საზენიტო არტილერიამ, ბევრი კი ელინგებში (დირიჟაბლის სადგომი) იქნა ადგილზევე დაბომბილი.

1915 წელს თვითმფრინავებზე ტყვიამფრქვევები დადგეს და დაიწყეს მათი გამოყენება როგორც გამანადგურებლებისა. შეიქმნა თვითმფრინავები, რომელთა ფრენის ჰორიზონტალური სიჩქარე 220 კმ იყო, ხოლო გაფრენის სიმაღლე 7 კმ. რაც შეეხება გაფრენის სიშორეს, იგი დაახლოებით 600—800 კმ-ს შეადგენდა. აიგო ბომბდამშენი თვითმფრინავი, რომლის სიჩქარე 180 კმ-სთ იყო და შეეძლო 0,5—2 ტ ბომბის წაღება. მარტო საფრანგეთმა, ინგლისმა და გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის წლებში რამდენიმე ათასი თვითმფრინავი ააგეს.

გარდა ჩვეულებრივი ტიპის ჯავშნოსანი ხომალდებისა, საზღვაო ოპერაციებისათვის დაიწყეს უზარმაზარი სამხედრო ხომალდების დრედნოუტების და სუპერდრედნოუტების გამოშვება. შიდაწვის ძრავებისა და ელექტროძრავების შექმნამ შესაძლებელი გახადა წყალქვეშა ნავის შექმნა, რომელიც წყლის სიღრმეში მოძრაობდა ელექტროძრავით და იკვებებოდა აკუმულატორებით, წყლის ზედაპირზე კი — შიდაწვის ძრავით. წყალქვეშა ფლოტის შექმნას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გერმანიამ, რომლის წყალქვეშა ნავებმა ომის დროს მოკავშირეებს დიდი ზარალი მიაყენეს.

სამხედრო საქმეში ფართოდ გამოიყენეს ტელეგრაფი, ტელეფონი, ოპტიკური ხელსაწყოები, რადიო.

მსოფლიო ომმა გამოიწვია სამხედრო ტექნიკის მანამდე არნა-

ხული განვითარება, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის მრავალფეროვანი გამოყენება. „ისტორიაში პირველადაა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ტექნიკის ყველაზე მძლავრ მონაპოვართ ასეთი მასშტაბით, ასე გამანადგურებლად და ასეთი ენერგიით იყენებენ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის მასობრივად გაჟლეტისათვის“ [1].

მეცნიერება

მათემატიკა. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ზუსტ მეცნიერებებს, რომელთა განვითარება იძლეოდა მრავალი მათემატიკური პრობლემის გადაჭრის საშუალებას: მაგალითად, ს. ვ. კოვალევსკაიას შრომებს უძრავი წერტილის გარშემო მყარი სხეულების მოძრაობაზე, ა. მ. ლიაპუნოვის შრომას მოძრაობის მდგრადობაზე და სხვ. წმინდა მათემატიკური პრობლემებიდან შემდგომი განვითარება პოვა არაევკლიდურმა გეომეტრიამ, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოცენდა, მაგრამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა იტალიელი მათემატიკოსის ე. ბელტრამის (1835—1900) შრომებსა და ფარდობითობის თეორიაში, რომელიც დიდი მეცნიერის ალბერტ აინშტაინის (1879—1955) სახელთანაა დაკავშირებული. ფარდობითობის თეორიამ ფართო გამოყენება პოვა მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, გეოფიზიკაში, სროლის თეორიასა და სხვ.

აქსიომატური მეთოდის სფეროში უდიდესი მოვლენა იყო გერმანელი მათემატიკოსის დ. ჰილბერტის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „გეომეტრიის საფუძვლები“. ჰილბერტმა თავისი შრომით დიდი წვლილი შეიტანა მათემატიკურ ლოგიკაშიც, რომელიც ამ პერიოდში ე. შრედერის, გ. ფრაგეს, ბ. რასელის და ა. უაიტჰედის შრომებში ყალიბდებოდა. როგორც უაღრესად საჭირო მეცნიერება.

80-იან წლებში გერმანელმა მათემატიკოსმა გ. კანტორმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მნიშვნელოვან დისციპლინას — სიმრავლეთა თეორიას.

მათემატიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჯგუფთა თეორიამ. ესაა უაღრესად მნიშვნელოვანი მოძღვრება სიმეტრიის შესახებ. გეომეტრიის, კრისტალოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის განვითარებასთან დაკავშირებით სიმეტრიის კანონებმა მეტად

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მოხსენება შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ 1918 წ. 4 იანვარს, თხზ., ტ. 27, გვ. 515.

დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს. ამიტომაც ჯგუფთა თეორიის მეთოდებსა და შედეგებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა.

გეომეტრიული ფიგურებისა და სივრცის ზოგადმა თვისებებმა, რომელთადმი ინტერესი არაევკლიდურმა გეომეტრიამ გაზარდა, წარმოშვა მათემატიკის ახალი დარგი — ტოპოლოგია. ტოპოლოგია შეიძლება განისაზღვროს როგორც მოძღვრება გეომეტრიული სხეულების ყველაზე ზოგად თვისებებზე. 1906 წელს ფრანგმა მათემატიკოსმა მ. ფრეშემ გამოაქვეყნა ნაშრომი „აბსტრაქტულ სივრცეთა თეორია". 1901 წელს იტალიელმა მათემატიკოსებმა ლ. ლევი-ჩივიტამ და გ. რიჩი-კურბასტრომ დაამუშავეს ე. წ. ტენზორული გამოთვლის საფუძვლები, რაც წარმოადგენდა შანამდე არსებული ვექტორული გამოთვლების განზოგადებას. 1902 წელს ა. ლებეგმა განაზოგადა ინტეგრალების გაგება. განზოგადდა რიცხვთა თეორია (რ. დედეკინდი, ლ. კრონეკერი), ფუნქციის თეორია (კ. ვაიერშტრასე), ჯგუფთა თეორია (ს. ლი). უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკის განვითარების დამახასიათებელი ნიშანი იყო პრობლემების უაღრესად განზოგადება, რომელიც ემყარებოდა ამოსავალი პრინციპების მკაცრ და ლოგიკურ დასაბუთებას.

ფიზიკა. XIX — XX საუკუნეების მიჯნა ფიზიკის მნიშვნელოვანი განვითარებით აღინიშნა. არსებითად შეიცვალა მატერიის აგებულების შესახებ მანამდე არსებული ფიზიკური შეხედულებანი. ეს იყო ნამდვილი რევოლუცია მეცნიერებაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სხვა მეცნიერებათა განვითარებაზეც.

ამ გადატრიალებას ფიზიკაში საფუძველი დაუდო ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯ. კ. მაკსუელმა, რომლის პირველი ნაშრომებიც ელექტრომაგნიტური ველის შესახებ გამოქვეყნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. მაკსუელის მიერ წამოყენებულმა დებულებებმა ბრწყინვალე დადასტურება პოვა სხვა მეცნიერთა შრომებში. 1887 წელს გერმანელმა ფიზიკოსმა ჰაინრიხ ჰერცმა პირველმა აღმოაჩინა ელექტრომაგნიტური ტალღები და დაამტკიცა, რომ ეს ტალღები, ისევე როგორც სინათლის სხივები, აირეკლება, ტყდება და ა. შ. მომდევნო ათწლედში უკვე აღმოაჩინეს ელექტრომაგნიტური ტალღების ყველა დიაპაზონი.

1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ რენტგენმა აღმოაჩინა ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელსაც მან „სხივები" უწოდა, და რომლებიც დღეს მის სახელს ატარებს. რენტგენის სხივების აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით მედიცინის განვითარებისათვის. ელექტრომაგნიტური ტალღების ბუნების შესწავლისათვის საყურადღებო იყო, აგრეთვე, ცნობილი



რიჰარდ ვაგნერი



ოგიუსტ როდენი



ჯუზეპე ვერდი



ედუარდ გრიგი

რუსი ფიზიკოსის პ. ნ. ლებედევის შრომები. მან დაამტკიცა, რომ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას გააჩნია არა მარტო ენერგია, არამედ მასაც.

ელექტრობის განვითარებაში შემდეგი ნაბიჯი იყო ელექტრონის აღმოჩენა — ეს იყო პირველი იმ ელემენტარული ნაწილაკებიდან, რომლებიც უფრო მცირენი არიან ვიდრე ატომი. ელექტრომაგნიტური ველის და ელექტრონის აღმოჩენებმა, ატომის ელექტრული სტრუქტურის დადგენამ გამოიწვია ამ მიღწევათა სინთეზი ერთ ე. წ. ელექტრონულ თეორიაში. ამ თეორიის საფუძვლები პირველად ჩამოაყალიბა გამოჩენილმა ჰოლანდიელმა ფიზიკოსმა ე. ა. ლორენცმა (1853—1928) თავის შრომაში — „ელექტრონთა თეორია".

1895 წელს გ. ლორენცმა პირველად მისცა ელექტრონულ თეორიას მათემატიკური სახე. 1897 წელს ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯ. ტომსონმა ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ე. წ. კათოდური სხივები წარმოადგენს დამუხტულ ნაწილებს, რომელთა მასაც გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე წყალბადის ატომის მასა და სხვ.

გ. ლორენცის, ჯ. ტომსონის და სხვათა აღმოჩენები — წარმოდგენა ატომის აღნაგობის როგორც რთული ნაერთისა — საბოლოოდ დაამტკიცა რადიოაქტიურობის აღმოჩენამ. 1896 წელს ფრანგმა ბეკერელმა (1852—1908) აღმოაჩინა ურანის მარილების გამოსხივება. იმავე წელს ცოლ-ქმარმა პიერ კიერიმ და მარია სკლადოვსკა-კიურიმ (წარმოშობით პოლონელმა) დაიწყეს რადიოაქტიურ ნივთიერებათა შესწავლა. 1898 წელს მათ აღმოაჩინეს პოლონიუმი და რადიუმი და მათთან დაკავშირებული რადიოაქტიური დაშლის მოვლენები.

1911 წელს გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ე. რეზერფორდმა (1871—1937) დაამტკიცა, რომ რადიოაქტიური ელემენტების დაშლისას გამოიყოფა სამი სახის სხივი და ისინი ბერძნული ანბანის პირველი სამი ასოთი აღნიშნა. დადგენილ იქნა, რომ „ალფა-სხივები" ესაა დადებითად დამუხტული ხაწილაკები, „ბეტა-სხივები" — ე. წ. „კათოდური სხივები" (ელექტრონები). ხოლო „გამა-სხივები" ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა უაღრესად მოკლე ტალღებით. რეზერფორდმა შექმნა ატომის ე. წ. ბირთვული მოდელი, რომლის მიხედვითაც ატომის ცენტრში იყო დადებითად დამუხტული ბირთვი, რომლის მასაც თითქმის ატომის მასის ტოლი იყო. ბირთვის გარშემო მოძრაობდა ელექტრონები, ისევე როგორც პლანეტები მზის გარშემო. მაგრამ გამოირკვა, რომ კლასიკური მე-

ქანიკისა და ელექტროდინამიკის საფუძველზე არ შეიძლებოდა ატომს შიგნითა პროცესების, ისევე როგორც ატომური გამოსხივების ახსნა. გამოსავალი მოიძებნა კვანტური თეორიის შექმნით.

1900 წლის 14 დეკემბერს გერმანელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა გააკეთა მოხსენება თემაზე „ნორმალურ სპექტრში ენერგიის განაწილების საკითხისათვის", საიდანაც დასაბამს იღებს კვანტური ფიზიკა.

1905 წელს ალბერტ აინშტაინმა, ავითარებდა რა კვანტურ თეორიას, გამოთქვა მოსაზრება, რომ სინათლე წარმოადგენს ელემენტარული „ნაწილაკების" — ფოტონების ერთობლიობას, ანუ სინათლის კვანტებს. ა. აინშტაინმა შემოიტანა ცნება გამოსხივების ველის დისკრეტული სტრუქტურის შესახებ, რამაც მეცნიერებას საშუალება მისცა ამოეხსნა მთელი რიგი ფიზიკური მოვლენები — ფოტოეფექტის კანონი, ლუმინესცენცია, ფოტოქიმიური კანონზომიერებანი. 1909-13 წწ. აღმოჩეხილ იქნა კოსმოსური სხივები.

ფიზიკის მეცნიერების განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ფარდობითობის თეორიის შექმნა, რამაც წარმოშვა ახალი შეხედულებანი სივრცეზე, დროზე, მიზიდულობაზე. ამ თეორიის შექმნა, რომლისთვისაც ნიადაგი თვით ფიზიკის სწრაფმა განვითარებამ მოამზადა, დაკავშირებულია ალბერტ აინშტაინის სახელთან. ამ თეორიის ძირითადი პრინციპები ა. აინშტაინმა ჩამოაყალიბა 1905 წელს ნაშრომში „მოძრავ სხეულთა დინამიკისათვის" (ფარდობითობის სპეციალური თეორია); მანვე 1916 წელს ჩამოაყალიბა ფარდობითობის ზოგადი თეორიის პრინციპები.

1890 წელს ჰ. ჰერცმა წამოაყენა მოსაზრება, თითქოს ელექტრომაგნიტური გარემო — მსოფლიო ეთერი — მოძრაობდა მოძრავ სხეულებთან ერთად. მაგრამ ეს ჰიპოთეზა უარყვეს. XIX საუკუნის მიწურულში ლორენცმა წამოაყენა საწინააღმდეგო ჰიპოთეზა — თითქოს „მსოფლიო გარემო" რჩება აბსოლუტურად უძრავად და ყოველი მოძრავი სხეული განიცდის უძრავად მყოფი ელექტრომაგნიტური გარემოს შემხვედრ წინააღმდეგობას. ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერების მაიკელსონისა და მორლეის ცდები და ირლანდიელი ჯ. ფიცჯერალდისა და თვით ლორენცის ექსპერიმენტები, მაგრამ ლორენცის ჰიპოთეზა მაინც ვერ დადასტურდა.

ა. აინშტაინმა ჩატარებულ ექსპერიმენტებს სულ სხვაგვარი ახსნა-განმარტება მისცა. უარყვეს ძველი წარმოდგენა სივრცის შესახებ, როგორც რაღაც „ცარიელი სათავსოსი", როგორც აბსოლუტურად უცვლელი არსისა, რომელიც თითქოს არაა დაკავშირებუ-

ლი მატერიის მოძრაობასთან. ასევე უარყვეს ძველი წარმოდგენა დროის შესახებ, როგორც მხოლოდ „აბსოლუტური ხანგრძლივობისა", რომელიც დამოუკიდებელია როგორც მატერიის, ისე მატერიალური პროცესებისაგან. აინშტაინმა დაასაბუთა, რომ სივრცისა და დროის თვისებები დამოკიდებულია მატერიის მოძრაობაზე და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სივრცე და დრო მოძრავი მატერიის არსებობის ფორმებია და არ არსებობენ მისგან დამოუკიდებლად. ჯერ კიდევ ენგელსი თავის „ბუნების დიალექტიკაში" წერდა: „რა თქმა უნდა, მატერიის არსებობის ორივე ფორმა მატერიის გარეშე არაფერია, ცარიელი წარმოდგენებია, აბსტრაქციაა, რომელიც მხოლოდ ჩვენს თავში არსებობს" [1].

ა. აინშტაინის ფარდობითობის საერთო თეორიას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა კოსმოლოგიური პრობლემების, დიდი სიჩქარეებისა და გრავიტაციის შესწავლაში, ხოლო ფარდობითობის სპეციალურმა თეორიამ გამოყენება პოვა ატომის შესწავლაში. ვ. ი. ლენინი ა. აინშტაინს ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ უდიდეს გარდამქმნელს უწოდებდა.

ფართოდ განვითარდა ექსპერიმენტები ფიზიკაში; განსაკუთრებით დიდი პროგრესი იყო გაზების შესწავლაში. 1877 წელს ფრანგმა ლ. კალიეტმა და შვეიცარიელმა რ. პიკტემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად პირველად მიიღეს თხევადი ჟანგბადი ნისლის სახით. 1878 წელს პიკტემ მიიღო თხევადი წყალბადი, ხოლო ინგლისელმა ჯ. დიუარმა შექმნა პურეელი, რომელშიც თხევად მდგომარეობაში მყოფი გაზი ინარჩუნებდა თავის ტემპერატურას. 1883 წელს პოლონელმა მეცნიერებმა ზ. ვრუბლევსკიმ და კ. ოლშევსკიმ მიიღეს თხევადი ჟანგბადი, ხოლო შემდეგ — აზოტი. 1908 წელს ჰოლანდიელმა გ. კამერლინგ-ონესმა ჰელიუში გადაიყვანა თხევად მდგომარეობაში. დაბალი ტემპერატურების ფიზიკის განვითარებამ საშუალება მისცა იმავე კამერლინგ-ონესს აღმოეჩინა ზეგამტარუნარიანობა, ანუ წინააღმდეგობის გაქრობა დაბალ ტემპერატურაზე მყოფ ზოგიერთ ლითონსა და შენადნობში. 1890-95 წწ. რუსმა მეცნიერმა ე. ფეოდოროვმა თავის ნაშრომებში მათემატიკური კრისტალოგრაფიის შესახებ თეორიულად დაასაბუთა კრისტალებში ატომთა შესაძლებელი განლაგება, რაც შემდეგ ექსპერიმენტულად დამტკიცდა.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, XIX—XX საუკუნეთა მიჯნა ბუნებისმეტყველებაში აღინიშნა ატომისტიკის ტრი-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1956, გვ. 187.

უძველური სვლით. იგი შეიჭრა ფიზიკისა და ქიმიის თითქმის ყველა სფეროში და მიიღო ახალი ფორმა კვანტური თეორიის სახით. ატომები, რომლებიც მანამდე ითვლებოდა აბსოლუტურ სიმარტივედ, აბსოლუტურ უცვლელად, გენეტიკურად ერთმანეთისაგან დაშორებულად აღნაგობით მეტად რთული ერთეული აღმოჩნდა. ადამიანთა აზროვნებისათვის გაიხსნა ახალი, ფართო პერსპექტივები მატერიის უფრო ღრმად შესწავლისა.

ასტრონომია. 1870 — 1918 წწ. ახალი ხელსაწყოების შექმნამ და ასტრონომიულ დაკვირვებათა ახალი საშუალებების გამოყენებამ გააფართოვა ადამიანის შეხედულებანი კოსმოსურ სამყაროზე. ფიზიკის განვითარებამ გამოიწვია „მოსაზღვრე“ მეცნიერების — „ასტროფიზიკის“ აღმოცენება. სპექტრული ანალიზის დახმარებით (იგი 1859 წელს აღმოაჩინა ჯ. ლოკიერმა) 1868 წელს მზის სპექტრში აღმოაჩინეს ხაზი, რომელიც არ ჰგავდა იმ დროის მეცნიერებისათვის ცნობილ არც ერთი ელემენტის სპექტრის ხაზს. სპექტრის ამ ხაზის შესაფერის ელემენტს უწოდეს ჰელიუმი. 1895 წელს ინგლისელმა ქიმიკოსმა და ფიზიკოსმა უ. რამზაიმ ძიიღო ეს ელემენტი ლაბორატორიული წესით. მზის სპექტრული ანალიზის გარდა მეცნიერებმა დაიწყეს ამ მეთოდის გამოყენება ვარსკვლავების შესწავლაშიც. უ. ჰიგინსონმა დაამტკიცა, რომ ვარსკვლავთა ქიმიური შემადგენლობა შეიცავს დედამიწაზე არსებულ ელემენტებს; გარდა ამისა, მან საფუძველი ჩაუყარა გალაქტიკის სისტემის მიღმა არსებული ნისლეულების სპექტრულ შესწავლას. სპექტრული ანალიზის საფუძველზე ვარსკვლავთა ტემპერატურის განსაზღვრაც დაიწყეს.

ახალი პატარა პლანეტების (ასტეროიდების) აღმოჩენაში, მზის პროტუბერანცების შესწავლასა და ვარსკვლავთა კატალოგების შედგენაში დიდი როლი შეასრულა ფოტოგრაფირებამ.

მასალები, რომლებიც დააგროვა 1885-96 წწ. კეთილი იმედის კონცხზე მდებარე ობსერვატორიის დირექტორმა დ. გილმა, საფუძვლად დაედო სამხრეთ ნახევარსფეროს ვარსკვლავთა დიდ კატალოგს.

1887 წელს პარიზის ასტრონომიულ კონგრესზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვარსკვლავთა ყოვლისმომცველი კატალოგის შედგენის შესახებ. ამ კატალოგის შედგენაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 18 ობსერვატორია, მათ შორის პულკოვოს ობსერვატორიაც. შესწავლილ და რეგისტრირებულ იქნა 2 მლნ-მდე ვარსკვლავი.

80—90-იან წლებში რუსი მეცნიერის ფ. ბრედიხინის მიერ ჩა-

ტარებული კვლევის შედეგად შეიმუშავეს თეორია კომეტების ფორმებისა და მეტეორიტების, აგრეთვე, პერიოდული კომეტების წარმოშობის შესახებ. ამ თეორიებმა დიდი როლი შეასრულა ასტრონომიის შემდგომ განვითარებაში.

1904 წელს ი. კანტეინმ და 1907 წელს კ. შვარშელდმა დააშტკიცეს, რომ ვარსკვლავთა საკუთრივ მოძრაობებს თავიანთი კანონზომიერებანი გააჩნია.

ასტრონომიაში ჯერ კიდევ ფესმოკიდებული იყო ტენდენცია— უარეყოთ სამყაროს უსასრულობა, დაემტკიცებინათ, რომ ჩვენი გალაქტიკა ერთადერთი სისტემაა და ა. შ. მაგრამ ბოწინავე პოზიციებზე მდგარ მეცნიერ-ასტრონომთა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ სამყარო უსასრულოა, რომ არსებობს ვარსკვლავთა სხვა სისტემებიც. ამის შედეგად წარმოიშვა ვარსკვლავთა ასტრონომიის ახალი დარგი — ზეგალაქტიკური ასტრონომია.

ქიმია. უაღრესად სწრაფად განვითარდა ქიმიური მეცნიერებანი; მასზე, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებზე, დიდი გავლენა მოახდინა ფიზიკის განვითარებამ.

დ. ი. მენდელეევის მიერ 1869 წელს აღმოჩენილმა ელემენტთა პერიოდულმა სისტემამ დადასტურება პოვა მთელ რიგ მეცნიერ-ქიმიკოსთა შრომებში. 1875 წელს ფრანგმა ლეკოკ დე ბუაბოდრანმა აღმოაჩინა გალიუმი, 1879 წელს შვედმა ნილსონმა — სკანდიუმი, ხოლო 1886 წელს გერმანელმა კ. ვინკლერმა — გერმანიუმი. სამივე ელემენტის არსებობა თავის პერიოდულ სისტემაზე დაყრდნობით იწინასწარმეტყველა დ. ი. მენდელეევმა. პერიოდული სისტემის შემდგომ დასაბუთებასა და დაზუსტებაზე დიდი მუშაობა გასწია ჩეხმა მეცნიერმა ბ. ბრაუნერმა. 1894 წელს უ. რამზაიმ ჯ. რელეისთან ერთად აღმოაჩინა ჰაერის მანამდე უცნობი შემადგენელი ნაწილი — არგონი. როგორც აღვნიშნეთ, 1895 წელს მიღებულ იქნა ჰელიუმი, ხოლო უ. რამზაიმ 1898 წელს მ. ტრავერსთან ერთად აღმოაჩინა კრიპტონი, ქსენონი და ნეონი. ამ გაზებმა პერიოდული სისტემის ახალი ჯგუფი შეადგინა.

ელემენტთა პერიოდული სისტემის არსისა და კანონზომიერების მნიშვნელობა მთელი სიცხადით წარმოსდგა ნივთიერების რადიაქტიური დაშლის აღმოჩენისა და ელექტრონული თეორიის წარმოშობის შემდეგ. შესაძლებელი გახდა შექმნა ატომთა მოდელებისა, რომლებშიც ელემენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ბირთვის გარეთა ელექტრონების რაოდენობით.

ფიზიკასა და ქიმიას შორის კავშირმა წარმოშვა მეცნიერების ახალი დარგი — „ფიზიკური ქიმია", რომლის დარგების განვითარე-

ბამაც ქიმია მათემატიკურ მეცნიერებათა რიგებში ჩააყენა. 1887 წელს შვედმა სწავლულმა ს. არენიუსმა განაზოგადა და სისტემატური ფორმა მისცა ელექტროლიზური დისოციაციის თეორიას.

კრისტალების ფიზიკური თვისებების შესწავლამ გამოიწვია სტერეო-ქიმიის განვითარება. ერთნაირ ქიმიურ შემადგენლობაში კრისტალების ოპტიკურ თვისებათა სხვადასხვაობის ახსნა-განმარტებისას ორი მეცნიერი, ჰოლანდიელი ი. ვანტ-ჰოფი და ფრანგი ა. ლებელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად 1874 წელს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მოლეკულაში ერთნაირი რაოდენობის ატომები სივრცეში სხვადასხვანაირადაა განლაგებული. ორგანზომილებიანი კლასიკური ქიმიური „სტრუქტურული ფორმულების“ გვერდით გამოჩნდა სტერეოქიმიური ფორმულებიც, რომლებიც სივრცის სამივე განზომილებას მოიცავდა.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ორგანული სინთეზის საკითხებში. ვ. გრინიარმა 1900 წელს აღმოაჩინა სხვადასხვა ორგანული ნივთიერების სინთეზირების მეთოდი. პ. გრისის მიერ აღმოჩენილმა დიაზოტირების მეთოდმა საშუალება მისცა ქიმიკოსებს მიეღოთ აზოტურ საღებავთა მთელი ფართო კლასი. ამის საფუძველზე წარმოიშვა სინთეტურ საღებავთა მრეწველობა.

1915 წელს ვ. კოსელმა და 1916 წელს გ. ლუისმა წამოაყენეს ვალენტობის ელექტრონულ და ქიმიურ კავშირთა თეორიები. ამ თეორიების აღწერილობითი მხარე ემთხვეოდა ნილს ბორის მიერ შემუშავებულ ატომის მოდელს.

ქიმიის განვითარების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსეთში მოღვაწე ქართველმა ქიმიკოსებმა პეტრე მელიქიშვილმა, ვასილ პეტრიაშვილმა და საბა კლდიაშვილმა.

ბიოლოგია. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შემდგომი განვითარება პოვა ევოლუციურმა თეორიამ. ჩ. დარვინის მოძღვრების ძირითადმა დებულებებმა თავისი დადასტურება პოვა პირველყოფილი ადამიანების ნაშთების აღმოჩენაში. 90-იან წლებში ჰოლანდიელმა ე. დიუბუამ კუნძულ იავაზე (ინდონეზია) აღმოაჩინა მაიმუნის მსგავსი არსების — პითეკანთროპის ნაშთები, რომელიც დისკუსიის შემდეგ ცნეს როგორც მაიმუნიდან ადამიანზე გარდამავალი ფორმა. 1907 წელს განეკუთვნება ე. წ. ჰაიდელბერგელი ადამიანის ნაშთების აღმოჩენა.

პალეონტოლოგიაში ევოლუციური მეთოდი გამოიყენა რუსმა მეცნიერმა ვ. ო. კოვალევსკიმ, რომელმაც 1869-74 წწ. შეისწავლა ძუძუმწოვართა ევოლუცია გარემო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით. ეს შრომა წარმატებით განაგრძო ბელგიელმა მეცნიერმა

ლ. დოლომ, რომელიც თავის თავს კოვალევსკის მოწ[illegible] [illegible] და და მის ხსოვნას ცალკე მონოგრაფიაც მიუძღვნა (1909).

ევოლუციური თეორიის განმტკიცებისათვის ფართო მნიშვნელობა ჰქონდა გამოკვლევებს ემბრიოლოგიაში. ა. ო. კოვალევსკიმ (პალეონტოლოგ ვ. კოვალევსკის ძმა) და ი. ი. მეჩნიკოვის ცალკეულმა ნაშრომებმა სახელი გაუთქვეს რუსულ ემბრიოლოგიურ სკოლას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გერმანელი მეცნიერის ე. ჰეკელის შრომებს, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო ე. წ. ბიოგენეტიკური კანონი, რომლის მიხედვითაც ჩანასახის ინდივიდუალური განვითარება (ონტოგენეზი) სახეობრივი ევოლუციის (ფილოგენეზი) შემოკლებული განმეორებაა. შემდეგდროინდელმა აღმოჩენებმა დაამტკიცა ჰეკელის ფორმულის სქემატურობა, ნაგრამ გარკვეულ ეტაპზე ამ თეორიამ ხელი შეუწყო ბიოლოგიურ სახეთა შორის ნათესაური კავშირის აღმოჩენას.

ამავე პერიოდში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმი უჯრედებისაგან შედგება. ამ უდიდესმა აღმოჩენამ წარმოშვა მეცნიერება უჯრედის აგებულების განვითარებისა და ფუნქციის შესახებ— ციტოლოგია. მეცნიერების ამ დარგის და აგრეთვე მისი მონათესავე ჰისტოლოგიის განვითარებამ საშუალება მისცა მეცნიერებს მოეხდინათ უდიდესი აღმოჩენები: უჯრედის დაყოფის პროცესი, უჯრედის, მისი ბირთვისა და ელემენტების აღნაგობა და სასიცოცხლო საქმიანობა.

ფართოდ დაინერგა ექსპერიმენტები. დაწყებული უკვე 80-იანი წლებიდან ფრანგი მეცნიერი ლ. შაბრი, გერმანელი მეცნიერები ო. პარტკიგი და ვ. რუ აქტიურად ერევიან ჩანასახის განვითარების პროცესში. 1901 წელს ამერიკელმა ჟ. ლებმა ზღვის ვარსკვლავზე ჩაატარა ხელოვნური პართონოგენეზის ცდა (ყვერცხის ე. წ. ქალწულებრივი განვითარება წინასწარი განაყოფიერების გარეშე). მოგვიანებით ანალოგიურ ცდებს აწარმოებდნენ ფრანგი მეცნიერები ი. დელაჟი და ე. ბატაიონი. აღნიშნულ პერიოდში საფუძველი ეყრება გენეტიკას. გენეტიკის როგორც მეცნიერების საფუძვლები ჩამოყალიბებულ იქნა ჩეხი ბუნებისმეტყველის გ. მენდელის შრომებში (1865). მაგრამ მისი ცდების პრინციპული შედეგები მეცნიერებამ გაიზიარა მხოლოდ 1900 წელს, როცა ჰოლანდიელმა მეცნიერმა ნ. დე ფრიზმა, გერმანელმა კ. კორენსმა და ავსტრიელმა ე. ჩერმაკმა მეორედ ჩამოაყალიბეს ნიშანთვისებათა მემკვიდრეობითი კანონები, რომლებიც თავის დროზე ჩამოაყალიბა გ. მენდელმა. ამ დროიდან დაიწყო გენეტიკის სწრაფი განვითარება. ტერმინი „გენი“ შემოტანილ იქნა მეცნიერებაში დანიელი მეცნიერის ვ. იოჰა-

ნსენის მიერ. მემკვიდრეობითობის ქრომოსომული თეორიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ამერიკელმა გენეტიკოსმა ტ. მორგანმა. 1909 წელს მემკვიდრეობითობის კანონის შესასწავლად ტ. მორგანმა დაიწყო მეტად საინტერესო ცდების ჩატარება ბუზებზე. ბუზებზე თავისი დაკვირვებები მორგანს სურდა აეხსნა მემკვიდრეობითობის ქრომოსომული თეორიის საფუძველზე. თ. მორგანის შეხედულებების მსგავსი იყო გერმანელი ბიოლოგის ა. ვაისმანის მოსაზრებები. ვაისმანის თეორიას საფუძვლად დაედო ის დებულება, რომ ორგანიზმის მემკვიდრეობითი თვისებების მატარებელია რაღაც „უკვდავი“ „მემკვიდრეობითობის ნივთიერება“, გენი, რომელიც არ იცვლება ორგანიზმის მემკვიდრეობითი ბუნების ცვლილების დროს.

ბიოლოგიაში ექსპერიმენტული მიმდინარეობის განვითარებამ ბიძგი მისცა ახალი ხელსაწყო-იარაღების შექმნას. ამ დარგში განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერის ე. ჟ. მარეის მიერ გამოგონილი კარდიოგრაფი, სტიგმოგრაფი და სხვა გრაფიკულად მარეგისტრირებელი ხელსაწყოები.

აქვე უნდა აღინიშნოს რუს მეცნიერ-ბიოლოგთა დიდი მიღწევები. დარვინისტმა ბიოლოგმა ა. ნ. სევერცოვმა შექმნა მორფობიოლოგიური თეორია, რითაც დაამტკიცა ევოლუციის პროცესში ორგანიზმის სტრუქტურის ცვალებადობის კანონზომიერებანი. კ. ა. ტიმირიაზევმა (1843—1920) მცენარეთა ფიზიოლოგიის სფეროში გააღრმავა მოძღვრება ბუნებრივი გადარჩევის შემოქმედებითი როლისა და მემკვიდრეობითობის შესახებ, ექსპერიმენტულად და თეორიულად დაამუშავა მცენარეების ფოტოსინთეზის პრობლემა. რუსმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ი. პ. პავლოვმა (1848—1936) შექმნა მოძღვრება პირობით რეფლექსებზე და უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, რითაც ამოხსნილ იქნა ნერვული სისტემის როლი ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციის დროს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოჩენილი ფიზიოლოგის, ჩვენი თანამემამულის ივანე რამაზის ძე თარხნიშვილის (თარხანოვი, თარხან-მოურავი), განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ელექტროფიზიოლოგიის დარგში. მან დიდ წარმატებებს მიაღწია ცოცხალი ორგანიზმების ცენტრული ნერვული სისტემის შესწავლის სფეროში და სხვ.

მედიცინა. ექსპერიმენტის გამოყენებამ სწრაფად წასწია წინ მედიცინის განვითარებაც მისი მოსაზღვრე მეცნიერებით — ბაქტერიოლოგიით. 80-იან წლებს მიეკუთვნება დიდი ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის (1822—1895) აღმოჩენები. ლ. პასტერმა

შემოიღო აცრები ციმბირის წყლულის (1881) და ცოფის (1880-85) წინააღმდეგ. პასტერის აღმოჩენებს უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა. გამოჩენილი მეცნიერი დიდი მოქალაქეც იყო. „ხშირად შეეკითხე საკუთარ თავს, რა გააკეთე ცოდნის გასაღრმავებლად, ხოლო შემდეგ, როცა ცხოვრებაში ფეხს შედგამ — რა გააკეთე სამშობლოსათვის“, — ამბობდა პასტერი.

1882 წელს რობერტ კოხმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიები, ე. წ. „კოხის ჩხირები“, 1883 წელს ეგვიპტესა და ინდოეთში მანვე აღმოაჩინა ქოლერის გამომწვევი მიკრობები. ბრიტმა მოწაფემ ჰაფკემ 1884 წელს აღმოაჩინა მუცლის ტიფის გამომწვევი ბაქტერიები, ხოლო იმავე წელს გერმანელმა მეცნიერმა ფ. ლეფლერმა—დიფტერიის გამომწვევი მიკრობები. რ. კოხის მეორე მოწაფემ, იაპონელმა კიტაძატომ 1894 წელს აღმოაჩინა შავი ჭირის, ანუ ჟამის გამომწვევი ბაქტერიები, ხოლო 90-იან წლებში კუბელმა მეცნიერმა კ. ფინლაიმ — ტროპიკული ციებ-ცხელების გამომწვევი მიკრობი. დიდი სამუშაოები ჩატარდა ათაშანგის (ლუესი, სიფილისი) გამოკვლევის საქმეში. 1905 წელს გერმანელმა მეცნიერებმა ფ. შაუდინმა და ე. ჰოფმანმა აღმოაჩინეს სიფილისის გამომწვევი მიკრობი, 1907 წელს კი გერმანელმა მეცნიერმა ს. ერლიხმა 606 ცდის შემდეგ შექმნა ამ ავადმყოფობის სამკურნალო პრეპარატი სალვარსანი.

მედიცინისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ი. მეჩნიკოვის მიერ 1883 წელს ფაგოციტოზის (ე. ი. განსაკუთრებული უჯრედების — ფაგოციტების მიერ უცხო სხეულების — ბაქტერიებისა და სხვ. — შთანთქმისა და გადამუშავების მოვლენის) აღმოჩენას.

სერიოზული ცდები ჩატარდა პარაზიტოლოგიაში. 1880 წ. ფრანგმა მედიკოსმა ა. ლავერანმა აღმოაჩინა სისხლში მალარიის გამომწვევი პარაზიტები, რაც შემდგომ დადასტურდა ინგლისელი ექიმის რ. როსის და იტალიელი ბ. გრასის გამოკვლევებით.

მიკრობიოლოგიის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია ვირუსების შემსწავლელი მეცნიერების — ვირუსოლოგიის შექმნა. ქიმიის წარმატებებმა მედიცინას მისცა ახალი მედიკამენტები: ასპირინი, პირამიდონი, ვერონალი და ა. შ.

გერმანელმა მეცნიერმა რ. ვირხოვმა (1821—1902) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პათოლოგიური ანატომიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საქმეში.

გეოლოგია და გეოგრაფია. გეოგრაფიული მეცნიერების შემდგომი განვითარების შედეგად შეიქმნა მთელი რიგი დამოუკიდებელი მეცნიერებები: დედამიწის მცენარეული საფარის შემსწავ-

ელი მეცნიერება — ფიტოგეოგრაფია; ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება — ზოოგეოგრაფია; შეიქმნა აგრეთვე გეოფიზიკა, რომელმაც დედამიწის ქერქის, წყლის ზედაპირისა და ატმოსფეროს შესწავლა ფიზიკის კანონებს დაუქვემდებარა. შემდეგში, თავის მხრივ, გეოფიზიკაშიც მოხდა დიფერენციაცია და დამოუკიდებელ მეცნიერებად გამოიყვნენ მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგია, სეისმოლოგია და ა. შ.

გეოლოგიაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, ევოლუციური თეორიის გავლენით ფორმულირდება მთელი რიგი თეორიები და ჰიპოთეზები, რომლებიც გეოლოგიურ მოვლენებს ხსნიდნენ როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ რგოლებს დედამიწის ერთიანი განვითარების პროცესში. მაგალითად, კონტრაქციულმა ჰიპოთეზამ (დედამიწის შეკუმშვის ჰიპოთეზა), რომელიც მიუთითებდა გეოლოგიური პროცესების ურთიერთკავშირსა და თანმიმდევრობაზე, დადებითი როლი შეასრულა მეცნიერების განვითარებაში, ვინაიდან იგი დედამიწაზე ცხოვრებას განიხილავდა როგორც ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს, რომლის მამოძრავებელი ძალებიც ბუნებრივი ფაქტორებია. კონტრაქციის თეორიამ განსაკუთრებით დიდი გავრცელება მიიღო XIX საუკუნის 70-იან წლებში ავსტრიელი გეოლოგის ე. ზიუსის (1831—1914) ნაშრომის — „დედამიწის სახე" — გამოსვლის შემდეგ.

მთელი რიგი მკვლევრების, მათ შორის რუსი ნ. ა. გოლოვკანსკის (1834-94), გერმანელი მეცნიერის ი. ვალტერის (1860—1937) შრომების გამოსვლის შედეგად შეიქმნა მოძღვრება ფაციების (გეოლოგიური ფენების წარმოშობის დამოკიდებულება ნალექებზე) შესახებ. 80—90-იან წლებში რუსმა მეცნიერმა ა. პავლოვმა და ავსტრიელმა მ. ნოიმაიერმა ჩაუყარეს საფუძველი სტრატიგრაფიასა და პალეოგეოგრაფიას.

დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შრომებს დედამიწის ცალკეული ოლქების გეოლოგიაში (ე. წ. რეგიონალური გეოლოგია), რომელმაც საშუალება მისცა მეცნიერებს შეედგინათ დედამიწის გეოლოგიური რუკა.

ევოლუციის პრინციპები გაიხადა ამოსავალ წერტილად XX საუკუნის დასაწყისში წარმოშობილმა მეცნიერებამ — გეოქიმიამ. ამ დარგში პირველი შრომები ეკუთვნის რუს მეცნიერებს ვ. ი. ვერნადსკის (1908) და ნორვეგიელ მეცნიერს ვ. მ. გოლდშმიდტს (1911).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მიკროსკოპული მეთოდის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ახალი ეტაპი დაიწყო პეტროგრაფიაშიც. შესაძლებელი გახდა მთის ქანების ანალიზი მაპოლარიზებე-

ლი მიკროსკოპის საშუალებით. ეს მეთოდი საშუალებას იძლეოდა შესწავლილიყო მინერალთა ურთიერთქმედება ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილ მთის ქანებში.

ვინაიდან აღმოსაჩენ მიწათა ზოლი სულ უფრო ვიწროვდებოდა, ამიტომ ყურადღება მიექცა დედამიწის პრობლემათა „სიღრმით“ შესწავლას. ფართო მასშტაბები მიეცა დედამიწის ამა თუ იმ კუთხის შემსწავლელ ექსპედიციებს. 1872-76 წწ. ინგლისელებმა გემ „ჩელენჯერით“ იმოგზაურეს დედამიწის გარშემო. არქტიკული ექსპედიციებიდან აღსანიშნავია ა. ნორდენშელდის 1878-79 წწ. ექსპედიცია და ფ. ნანსენის 1893-96 წწ. დრეიფი „ფრამით“, რომლის დროსაც ნანსენი ჩრდ. პოლუსს 450 კმ მანძილზე მიუახლოვდა. 1897 წელს შვედმა ს. ანდრემ მოაწყო გაფრენა პოლუსზე საჰაერო ბურთით, მაგრამ ამაოდ. 1909 წელს ამერიკელმა გ. პირიმ მრავალი წარუმატებელი ცდის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია ჩრდ. პოლუსს. 1912-14 წწ. რუსმა მოგზაურმა გ. სედოვმა ექსპედიცია მოაწყო ჩრდ. პოლუსზე, მაგრამ მისი ხომალდი „წმ. ფოკა“ ყინულმა გასრისა. სედოვმა სცადა ძაღლებშებმული მარხილებით მიეღწია პოლუსამდე, მაგრამ დაიღუპა. 1911 წლის 12 დეკემბერს ცნობილმა ნორვეგიელმა მკვლევარმა რ. ამუნდსენმა დაიპყრო სამხრეთ პოლუსი. 1910 წელს ინგლისელმა რ. სკოტმა მოაწყო მეორე ანტარქტიკული ექსპედიცია (პირველი მოაწყო 1901-04 წწ.) და 1912 წელს მიაღწია სამხრეთ პოლუსს, მაგრამ უკან დაბრუნებისას დაიღუპა.

*

ბუნებისმეტყველების განვითარება 1870—1914 წწ. ძირითადად სამი მიმართულებით წარიმართა: მატერიის, კერძოდ, ატომის, სტრუქტურის შესწავლა, ენერგიის პრობლემები და, ბოლოს, სამყაროს ახალი ფიზიკური სურათის შექმნა.

ბუნებისმეტყველების პროგრესი მიმდინარეობდა რთულ და მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლაში. წარმოიშვა მთელი რიგი ფილოსოფიური მიმდინარეობები, რომლებიც უარყოფდნენ მატერიალიზმს. ბევრი იდეალისტი მეცნიერი ცდილობდა თავისებურად აღექვა ესა თუ ის მეცნიერული აღმოჩენა. გამომდინარე იქიდან, რომ მატერიის ზოგიერთი თვისება, რომლებიც ადრე განიხილებოდა როგორც პირველსაწყისი და უცვლელი, შემდეგში აღმოჩნდა მატერიის მხოლოდ გარკვეული მდგომარეობისათვის დამახასიათებელი. იდეალისტები ასკვნიდნენ, რომ მატერია „გაქრა“ ან „ქრება“.

70-იან წლებში ე. მახი და რ. ავენარიუსი გამოვიდნენ ფილოსო-

ფიური თეორიით, რომელმაც „ემპირიოკრიტიციზმის“ სახელწოდება მიიღო. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ მიერ შექმნილი მოძღვრება წარმოადგენს „ბუნებისმეტყველების ჭეშმარიტ ფილოსოფიას“ და უპასუხებს ყველა იმ კითხვას, რასაც მეცნიერების განვითარება აყენებსო.

ემპირიოკრიტიკოსები ბუნებისმეტყველების ცნებებსა და თეორიებს ადამიანის მიერ თვითნებურად შედგენილად თვლიდნენ, ან უწოდებდნენ მათ დამხმარე ნაგებობებს შეგრძნებათა მონაცემების შესასწავლად. ისინი ამბობდნენ, რომ ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს, რადგანაც სუბიექტური შეგრძნებების მიღმა არაფერი არსებობსო. სამყარო შედგება „ელემენტებისაგან“, — აცხადებდნენ ისინი, — ხოლო ეს „ელემენტები“ სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი შეგრძნებანი. აქედან გამომდინარე, ისინი უარყოფდნენ მატერიალურ სამყაროს.

ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემებისათვის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც მასში ჩაებნენ იმ დროის უდიდესი ფილოსოფოსები, მეცნიერები. ემპირიოკრიტიკოსების წინააღმდეგ გაილაშქრეს ლ. ბოლცმანმა, მ. პლანკმა, გ. ლორენცმა, ა. გ. სტოლეტოვმა, კ. ა. ტიმირიაზევმა. ამ მეცნიერებმა დიდი როლი შეასრულეს ბუნებისმეტყველების რეაქციულ იდეოლოგთა თავდასხმებისაგან დაცვის საქმეში. მაგრამ მათ ვერ მოგვცეს ბუნებისმეტყველებაში შექმნილი სიტუაციის ღრმა ფილოსოფიური ანალიზი.

ახალი მეცნიერული აღმოჩენების ფილოსოფიური განმარტების საქმეში უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა და მისმა შრომამ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც 1909 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ვ. ი. ლენინმა დიალექტური მატერიალიზმის პოზიციებიდან უპასუხა ყველა კარდინალურ ფილოსოფიურ საკითხს, რომლებიც წამოიჭრა ბუნებისმეტყველების განვითარებასთან დაკავშირებით. ვ. ი. ლენინის მიერ განსაკუთრებული სიღრმით იქნა დამუშავებული შემეცნების თეორია, აბსოლუტური, შეფარდებითი და ობიექტური ჭეშმარიტების საკითხები. განსაზღვრა რა მატერიის ფილოსოფიური გაგება, ვ. ი. ლენინმა უჩვენა, რომ მატერია ესაა ობიექტური რეალობა, რომელიც ადამიანს ეძლევა შეგრძნებებში და არსებობს მისგან დამოუკიდებლად. „მატერია ქრება“, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს ნიშნავს რომ ქრება ის საზღვარი, სადამდეც ვიცნობდით მატერიას; ჩვენი ცოდნა მიდის სიღრმეში. ქრება მატერიის ისეთი თვისებები, რომლებიც ადრე აბსოლუტური, უცვლელი, თავდაპირველი (შეუღწევადობა, ინერცია, მასა

და ა. შ.) ჩანდა და რომლებიც ახლა აღმოჩნდა შეფარდებითი, დამახასიათებელი მატერიის ზოგიერთი მდგომარეობისათვის. მატერიის ერთადერთი თვისება, რომლის აღიარებასთანაც დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, ესაა თვისება იყოს ობიექტური რეალობა, არსებობდეს ჩვენი შემეცნების გარეშე" [1].

ვ. ი. ლენინმა მეცნიერების ფუნდამენტური პრობლემების განხილვისას დაამტკიცა, რომ ბუნებისმეტყველება ერაა „უპარტიო", რომ ის მთელი თავისი არსით მიმართულია იდეალიზმის წინააღმდეგ, რომ ბუნებისმეტყველების პრობლემები გადაიჭრება მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მისცეს მეცნიერებს სწორი მიმართულება და მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლიტერატურა და ხელოვნება
(1870—1917)

ლიტერატურა. ახალი ისტორიის მეორე პერიოდში, 1870—1917 წწ. ლიტერატურის განვითარების ამ ახალ ეტაპზე აღმოცენდა ახალი მიმდინარეობები, რომელთაგანაც თითოეული ცალ-ცალკე აცხადებდა პრეტენზიას სინამდვილის ჭეშმარიტ, მხატვრულ ასახვაზე. ახალი მიმდინარეობების გამოჩენა ლიტერატურაში დაკავშირებული იყო უპირატესად ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისთან, რაც ძირითადად XX საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა. ლიტერატურამ, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების დამოუკიდებელმა ფორმამ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ეს კრიზისი ასახა უღრესად სპეციფიკურად, თავისი შინაგანი ბუნების შესაბამისად. ლიტერატურაში მიმდინარე ცვლილებანი, ერთი მხრივ, გამოხატავდა ბურჟუაზიული კულტურის კრიზისს, ხოლო. მეორე მხრივ, — შექმნილი რთული ვითარებიდან თავის დაღწევის ახალი გზების ძიების ცდას შეცვლილი ვითარება მოითხოვდა, რომ ლიტერატურა უფრო ღრმად შეჭრილიყო, აქტიურად ჩაბმულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. XIX საუკუნის რეალიზმი უკვე აღარ აკმაყოფილებდა ცხოვრებას. თუ ბალზაკი ამბობდა, რომ ავტორმა უნდა განტოლება შეადგინოს, ხოლო ამოხსნა ეს მკითხველის საქმეაო, ხოლო ფლობერი თვლიდა, რომ მხატვარი როგორც ღმერთი, უნდა მონაწილეობდეს ნაწარმოებში, მაგრამ უშუალოდ არ უნდა ჩანდესო — ახალი მიმდინარეობე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. 14, გვ. 329—330.

ბის წარმომადგენლებისათვის მხატვრის ასეთი დამოკიდებულება გარე სინამდვილისადმი არ აღმოჩნდა საკმარისი.

ახალი მიმდინარეობებიდან აღსანიშნავია ნატურალიზმი და სიმბოლიზმი.

ნატურალიზმი (ლათ. Natura—ბუნება) ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელიც დამკვიდრდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, წარმოიშვა საფრანგეთში 1848-49 წწ., რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწყებული იდეური კრიზისის შედეგად. ეს ახალი მიმდინარეობა ლიტერატურაში გამომდინარეობდა იმ თვალსაზრისიდან, რომ რამდენად მშვენიერიც არ უნდა იყოს მხატვრული ჩანაფიქრი, — ფაქტი, სინამდვილე, „ნატურა" უფრო შთამბეჭდავია, უფრო დამაჯერებელი. ნატურალიზმი ცდილობდა ფატალურად განესაზღვრა ადამიანის ხასიათი, ბედი, აეხსნა იგი ინდივიდის ბუნებით (ბიოლოგიით) ან სოციალურ-მატერიალური გარემოთი. ნატურალიზმის შამამთავარი, ფრანგი მწერალი ე. ზოლა წერდა: „მე არ მინდა, როგორც ბალზაკმა, განვსაზღვრო, როგორი უნდა იყოს ადამიანური ცხოვრების წყობა, ვიყო მორალისტი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი. ჩემს მიერ დახატული სურათი სინამდვილის პატარა ნაჭრის უბრალო ანალიზია".

ნატურალიზმის ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწრაფმა განვითარებამ, როდესაც მწერლები ნდობით განიმსჭვალნენ ბუმეცნების მეცნიერული მეთოდებისადმი. ნატურალისტ მწერლებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ მეცნიერებას და პირველ რიგში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეუძლია გადაარჩინოს ლიტერატურა რომანტიზმის დაბნეულობისაგან. ნატურალისტები პრეტენზიას აცხადებდნენ სინამდვილის ჭეშმარიტ მეცნიერულ ასახვაზე და ცდილობდნენ ლიტერატურისათვის მიეცათ დოკუმენტური მოხსენებების ხასიათი. ლიტერატურაში ამ პრინციპების დამკვიდრებით ნატურალიზმი სცემდა ხელოვნების იმ მნიშვნელოვან მხარეს, რომელსაც სინამდვილის მხატვრული ასახვა ჰქვია.

ნატურალიზმი როგორც სკოლა ჩამოყალიბდა ე. ზოლას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, რომელმაც დაამუშავა ნატურალისტური რომანისა და თეატრის თეორიები (შრომები „ექსპერიმენტული რომანი"—1880, „ნატურალისტი რომანისტები" — 1881). ე. ზოლას ირგვლივ შემოიკრიბნენ მწერლები: ჟ. ჰუისმანსი, ე. გონკური და სხვები. მაგრამ ამ მიმდინარეობის შიგნით გაჩაღდა ბრძოლა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთმა მწერალმა უარი თქვა ცხოვრების კანონზომიერებათა შესწავლაზე, ხელი მიჰყო ქვეცნობი-

ერების გამოკვლევას (მაგ., ჟ. ჰუისსმანსი), ბოლო ზოგიც ოეალიზმს დაუბრუნდა.

სიმბოლიზმი (ძვ. ბერძნ. συμβόλον – სიმბოლი, ნიშანი) ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომლის აღმოცენებაც დაკავშირებულია საფრანგეთის ისტორიულ სინამდვილესთან, პარიზის კომუნის დამარცხების შემდგომდროინდელ კრიზისთან; იგი გაჩნდა იქ, სადაც ნატურალიზმს ძალა აღარ შესწევდა გარემო სინამდვილის ასაწერად. აკრიტიკებდნენ რა ნატურალისტების დოკუმენტურ მეთოდებს, სიმბოლისტები ვარდებოდნენ მეორე უკიდურესობაში; ისინი უარყოფდნენ სინამდვილეს, ცდილობდნენ ყოფიერების ტრანსცენდენტურ სამყაროში გადასვლას, მისტიფიცირებული ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს მეშჩანობის, პოზიტივიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ.

სიმბოლიზმის საფუძვლები ჩამოყალიბებულია ფრანგი პოეტების პ. ვერლენის, ს. მალარმესა და ა. რემბოს შემოქმედებაში. არსებულ გარე სინამდვილეს სიმბოლისტები თვლიდნენ მხოლოდ „საფარველად", რომლის მიღმაც იმალებოდა სიმბოლისტების საოცნებო „საიდუმლოება" — იდეა. სიმბოლისტების აზრით, ამ იდეის ჩაწვდომა შეუძლია მხოლოდ მუსიკას [illegible], პოეზიას, რომელიც იყენებს მეტყველების მუსიკალურ თვისებებს.

შუა საუკუნეების ალქიმიკოსების მიერ „ფილოსოფიური ქვის" ძებნის მსგავსად სიმბოლისტების ცდებსაც ტყუილად არ ჩაუვლია. სიმბოლიზმის ბევრმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა შეძლო პოეზიის სფეროს გაფართოება, წინ წასწია პოეტური ტექნიკა; აღმოაჩინეს სიტყვათა ახალი შესაძლებლობანი და ა. შ. სიმბოლისტი მწერლებიდან ბევრი კვლავ რეალიზმს დაუბრუნდა (მაგ., ჰ. იბსენი) ან, უკიდურეს შემთხვევაში, რეალურობას (მეტერლინკი). სიმბოლიზმის ნამსხვრევებზე იქმნება ახალი ლიტერატურა, რომელიც უკვე უპასუხებს XX საუკუნის დასაწყისის მოთხოვნებს (ე. ვერჰარნი, ვ. ბრიუსოვი, გ. ტაბიძე). რამდენადმე მოგვიანებით იტალიაში აღმოცენდა ახალი მიმდინარეობა — ფუტურიზმი, ანუ „მომავლის ხელოვნება". რომლის ფორმულა უაღრესად ბუნდოვანი იყო და, ამავე დროს, უაღრესად მაცდუნებელიც, რადგანაც ამ მიმდინარეობას შეეძლო თან წარეტაცა ზოგიერთი ლიტერატორი, რომელთაც სურდათ ეოცნებათ მომავალზე და ეჩვენებინათ ჩვენი საუკუნის ჭეშმარიტად სწრაფი სრბოლა. სინამდვილეში კი ფუტურიზმი არსებითად წარმოადგენდა ხელოვნების უარყოფას. ფუტურისტების აზრით, ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების ფორმა, უნდა გაქრეს, იგი უნდა გახდეს „ლამაზი ნივთების დამზადების ნაწილი", უნდა შე-

ეკედლოს საზოგადოებრივ ყოფას ან პოლიტიკას. ფუტურიზმმა ლიტერატურის განვითარებაზე მცირე გავლენა მოახდინა. ამ მიმდინარეობამ ლიტერატურაში შემოიტანა „ინდუსტრიული რიტმები", ქალაქის, ქუჩის, ტექნიკის ესთეტიკური აღქმის თემატიკა, მაგრამ თავისი რეაქციულობით ეს მცირედიც წაშალა.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ბურჟუაზიულმა რეაქციულმა იდეოლოგიამ გარკვეული გავლენა მოახდინა სუსტი სებისყოფის მქონე და არამდგრად ლიტერატორებზე. წარმოიშვა მიმდინარეობა, რომელმაც მიიღო დეკადენტობის (ფრანგ. décadence—დაცემა) სახელწოდება, იგი აღმოცენდა საფრანგეთში, ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორიცაა პ. ვალერი, პ. კლოდელი. დეკადენტურ ლიტერატურაში პროზა არ ასრულებდა დიდ როლს, მაგრამ ჟ. ჰუისმანსისა და პ. ლუისის რომანებმა გზა გაუკაფეს ნაწარმოებებს, რომლებშიც ადამიანი გამოყვანილია ამორალურ, ირაციონალური ძალების ხელში მყოფ არსებად.

დეკადენტობის, როგორც რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენის, წყაროა ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი, მწერალთა დაბნეულობა სინამდვილის მკვეთრი კონტრასტების წინაშე, შიში ტექნიკური პროგრესის წინაშე. ცნობილმა რუსმა რევოლუციონერმა პუბლიცისტმა ვ. ვოროვსკიმ შესანიშნავად დაახასიათა დეკადენტები: „ისინი ხედავენ, თუ როგორ მწიფდებიან რაღაც მოახლოებული ტიტანური ბრძოლის ელემენტები და განირხევიან იმედსა და ურწმუნოებას შუა; განიცდიან რაღაც შინაგან საშინელ შიშს... შიშს გამოღვიძებული მასების მიმართ, რომელნიც თავიანთ თავში ინახავდნენ მანამდე არნახულ... ველური ნგრევის ძალას... შიშს საკუთარი თავის, უმწეოსა და უძლურის მიმართ, შიშს მთელი ცხოვრების მიმართ, სადაც გონიერებას ნთქავს შავბნელი ვნებების აბობოქრება, სადაც უგუნური შემთხვევითობაა გაბატონებული".

ბევრი დეკადენტი გატაცებული იყო რელიგიით, მისტიციზმით. სხვები მოუწოდებდნენ „პოეტებსა და ბრძენებს" განშორებოდნენ სინამდვილეს „კატაკომბებში, უდაბნოსა და გამოქვაბულებში". დეკადენტების აზრით, საზოგადოებრივი პროგრესის ნებისმიერი კონცეფცია, სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის ნებისმიერი ფორმა — მატარებელია უხეში უტილიტარული მიზნებისა და ამიტომ იგი უარყოფილ უნდა იქნესო. დეკადენტობის ძირითადი ტენდენცია იყო აპოლიტიკური, ზოგჯერ აშკარად რეაქციული. „ყოველ დღე აფურთხეთ ხელოვნების სამსხვერპლოს, გეზიზღებოდეთ ბიბლიოთეკები და მუზეუმები", — წერდა დეკადენტობის ერთ-ერთი თეორეტიკოსი პოეტი ტ. მარინეტი.



ოგიუსტ რენუარი



პიერ კიური, მარია
სკლოდოვსკაია-კიური



ალბერტ აინშტაინი

ლუი პასტერი

დეკადენტობამ თავი იჩინა XIX საუკუნის მიწურულის ისეთი დიდი მწერლების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ო. უაილდი— ინგლისში, მ. მეტერლინკი — ბელგიაში, რ. რილკე — ავსტრიაში. მ. პრუსტი — საფრანგეთში და ა. შ. რუსეთში დეკადენტობამ თავი იჩინა სიმბოლისტ დ. მერეჟკოვსკის, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის შემოქმედებაში და განსაკუთრებით მ. არციბაშევის ნატურალისტურ პროზაში. დეკადენტური განწყობილება რუსეთში განსაკუთრებით გავრცელდა 1905-07 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

რაც შეეხება რეალიზმს, რომელმაც გაუძლო სხვადასხვა მოდერნისტული სკოლის შემოტევებს, — ამ ბრძოლიდან გამოვიდა უფრო ეაძლიერებული, თუმცა ნაწილობრივ გარდაქმნილიც. ახალი დროის ლიტერატურაში ისტორიული ასპარეზი, მოქმედ გმირთა გალერეა რამდენადმე შევიწროვდა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის რეალისტმა მწერლებმა თომას მანმა, რ. როლანმა, ა. ფრანსმა, ჯ. გოლზუორთიმ, ბ. შოუმ, ჰ. უელსმა ლიტერატურა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანეს და დეკადენტების ირაციონალურსა და ინტუიციურის კულტს დაუპირისპირეს ხელოვნებაში რაციონალური საწყისი. XX საუკუნის რეალისტებმა მონახეს აბსტრაქტული აზროვნებისათვის ორგანული ადგილი მხატვრული სახის შიგნით, ხელოვნების ხორცი შეასხეს განკერძოებულ ფილოსოფიურ, მორალურ და პოლიტიკურ იდეებს და შეუნარჩუნეს ლიტერატურას მნიშვნელოვანი სოციალური როლი. XX საუკუნის რეალისტებთან ლიტერატურა განთავისუფლდა ყოფის ზედმეტი ბატონობისაგან; მათ გააფართოეს ფსიქოლოგიზმის ტრადიციული ჩარჩოები, გახადეს ნაწარმოები უფრო კომპაქტური, შეკრული. გარდა ამისა, რეალიზმში ჩნდება ისეთი ნიშნები, რაც შეიძლება სოციალისტური ხელოვნების წინამორბედად ჩაითვალოს. ასეთ ნიშნებს განეკუთვნება გმირული საწყისების გაძლიერება (რ. როლანი), ამბების, სიუჟეტების, ხასიათების მწვავე პოლიტიკური დახასიათება (ბ. შოუ) და ა. შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინააღმდეგობა ჰუმანისტურ იდეალსა და გარემო სინამდვილის აღწერას შორის უბიძგებდა ზოგიერთ რეალისტ მხატვარს გადასულიყო მუშათა კლასის მხარეზე, რითაც მათი შემოქმედება იძენდა მკაფიო მიზანს — ბრძოლას მაღალი იდეებისათვის. მაგრამ ბევრი მწერალი ან შუა გზაში შეჩერდა (მაგ., ჯეკ ლონდონი), ან ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ პოზიციებზე გადავიდა (ბ. შოუ).

ახალი ისტორიის მეორე პერიოდის მანძილზე დიდი ძვრები განიცადა ფ რ ა ნ გ უ ლ მ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა მ, რომელშიც ამ პერიოდის საწყის ეტაპზე ფართო ასახვა პოვა პარიზის კომუნის ამბებმა.

მართალია, პარიზის კომუნის არსებობის მოკლე დროის მანძილზე არ შექმნილა დიდი მხატვრული ტილოები, მაგრამ მას ბევრმა მწერალმა მიაქცია ყურადღება.

კომუნარების პოეზიაში გაბატონდა მასობრივი რევოლუციური სიმღერები. კომუნის უდიდესმა პოეტმა ეჟენ პოტიემ 1871 წელს დაწერა რევოლუციური პროლეტარიატის უკვდავი ჰიმნი „ინტერნაციონალი". ე. პოტიეს, ჟან-ბატისტ კლემანის, ლუიზ მიშელისა და სხვა პოეტთა შემოქმედებაში შეიმჩნეოდა ორი ძირითადი ხაზი — ხოტბა კომუნარების საგმირო საქმეებისა და კომუნის მტრების დაცინვა. კომუნის დამარცხების შემდეგ ბევრი კომუნარი პოეტი ააპატიმრეს და გადაასახლეს. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო ემიგრაციაში წასვლა. სწორედ ემიგრაციაში დაწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოები ე. პოტიემ; იგი დიდებით მოსავს კომუნის დამცველთა გმირობასა და ტრაგედიას, მის უდიდეს ისტორიულ როლს. სწორედ ამიტომ უწოდებდა ე. პოტიეს ვ. ი. ლენინი „სიმღერის მეშვეობით უდიდეს პროპაგანდისტს". პროზაიკოს-კომუნართაგან აღსანიშნავია ქიუულ ვალესი და ლეონ კლადელი. კომუნის ამბებმა ასახვა პოვა ისეთ დიდ მწერალთა შემოქმედებაში, როგორიცაა ვ. ჰიუგო, ე. ზოლა და სხვ.

80-იან წლებში ფრანგულ ლიტერატურაში ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ნატურალიზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელიც იყო ემილ ზოლა, თუმცა იგი თავისი შემოქმედებით გასცდა ნატურალიზმის ჩარჩოებს. თავის ადრინდელ ნაწარმოებებში („ტერეზა რაკენი" და სხვ.) მას აინტერესებდა თავისი გმირების ცხოვრების ბიოლოგიური პრობლემები. თავის ძირითად ნაწარმოებებში — რომანების 20 ტომიან სერიაში სახელწოდებით „რუგონ მაკარები" (ერთი ოჯახის ბუნებრივი და სოციალური ისტორია მეორე იმპერიის წლებში) ე. ზოლა გასცდა ერთი ოჯახის ცხოვრების ფარგლებს და დახატა იმდროინდელი საზოგადოების ფართო სურათი, მოიცვა რა მისი ყველა ფენა დაწყებული არისტოკრატიით („მისი ალმატებულება ეჟენ რუგონი"), მსხვილი ბურჟუაზიით („ფული"), გლეხობით („მიწა"), მუშათა კლასით („ჟერმინალი"), არმიით („განადგურება") და დამთავრებული პარიზის ფსკერით („ხაფანგი"). ე. ზოლამ უაღრესად გაამდიდრა ფრანგული ლიტერატურის სოციალური ტრადიციები, გააშიშვლა მწვავე კლასობრივი კონფლიქტები, გვიჩვენა მზარდი ანტაგონიზმი შრომასა და კაპიტალს შორის.

მეორე დიდმა ფრანგმა მწერალმა გი დე მოპასანმა თავის ჟანრად მოთხრობებთან და რომანებთან ერთად უპირატესად ნოველა აირჩია. მაგრამ მწერლის ეს მცირე მოცულობის ნაწარმოებები ერთიანო-

ბაში იძლევა ფართო სოციალურ ტილოს, სადაც თავის ადგილს პოულობს მესამე რესპუბლიკის საზოგადოების ყველა წარმომადგენელი და მაინც მოპასანის ნაწარმოებთა მთავარი მოქმედი პირია ბურჟუა, მისთვის დამახასიათებელი ყოველდღიური წვრილმანი ინტერესებითა და ქვენაგრძნობებით. ასეთი ტიპის ცხოვრებისეული ფილოსოფია მწერლის მიერ გადახსნილია ყოველგვარ რაკურსში. მოპასანმა გვიჩვენა ტიპი ბურჟუასი, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად არ ერიდება არაფერს. ასეთია, მაგ., არისტოკრატ ლამაზმანებისა და მეძავების „ლამაზი მეგობარი" ჟორჟ დიურუა, წარსულში კოლონიური ომების მონაწილე ავანტიურისტი, შემდეგში კი ბურჟუაზიული პროგრესის ერთ-ერთი დედაბოძი.

სიმბოლიზმის უდიდესი წარმომადგენლები საფრანგეთში იყვნენ ჰ. ვერლენი და ა. რემბო. ბურჟუაზიული საზოგადოების უარმყოფი, ზაგრამ, იმავე დროს, ღრმა პესიმისტი ვერლენი თავის ლექსებში იძლეოდა ტრაგიკულ კონტრასტებს, შეუსაბამობას ლამაზ ოცნებასა და მახინჯ რეალურ ცხოვრებას შორის. ბურჟუაზიის გარყვნილ სამყაროს იგი უპირისპირებს მარტოობას, გარიყულობის დანისლულ სილამაზეს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერლენი მხოლოდ სიკვდილში ხედავდა. პ. ვერლენის ლიტერატურული მეგობარი ა. რემბო, რომელმაც ახალგაზრდობაში კომუნას უმღერა, მისი დამარცხების შემდეგ სიმბოლიზმის ბანაკში გადაბარგდა. ა. რემბო განგებ ამახვილებს ყურადღებას ბურჟუაზიული საზოგადოების ჭუჭყსა და არაესთეტურობაზე. რემბოს გმირები ინდივიდებია, რომელთა არსებობაც უაზრობაა. პოეტი და მისი ლირიკული გმირი ჰგვანან უკიდეგანო ოკეანეში დაკარგულ ხომალდს (ლექსი „მთვრალი ხომალდი"), სიმბოლისტმა პოეტებმა გაამდიდრეს ფრანგული პოეზიის გამომსახველობითი არსენალი. გახადეს ფრანგული ლექსი უფრო მოქნილი და მუსიკალური.

XIX საუკუნის მიწურულში სულ უფრო მეტი ფრანგი მწერალი ცდილობს დაუპირისპიროს რეალიზმი ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს. ასეთია, მაგალითად, ალფონს დოდეს შემოქმედება. მსუბუქი იუმორი, ბუნების ლირიკული აღქმა, პოეტურობა ა. დოდეს თავისებურ ადგილს აკუთვნებს ფრანგულ ლიტერატურაში. მას შესანიშნავად შეეძლო დაეცინა ბურჟუას არარაობისათვის („ტარტარენ ტარასკონელი") და, იმავე დროს. მიეცა მშობლიური პროვანსის პოეტური სურათები.

თავის შემოქმედებაში რეალისტური ტრადიციები გააგრძელა და განავითარა ანატოლ ფრანსმა (ანატოლ ტიბო). ეს იყო დიდი ერუდიციის მქონე, ფართო განათლების ადამიანი, რომელმაც განვლო

მხატვრის მძიმე გზა. თავის ადრინდელ ნაწარმოებებში იგი იმდროინდელ საზოგადოებას უპირისპირებდა მეცნიერ-ფილოლოგის კაბინეტურ კარჩაკეტილობას („სილვესტრ ბონარის დანაშაული“) ან ძველი წარმართული კულტურის ბრწყინვალე სურათებს („თაისი“). XIX საუკუნის მიწურულში ა. ფრანსის რეალიზმი უაღრესად მწვავე გახდა. რომან-ტეტრალოგიაში — „თანამედროვე ისტორია“ — მწერალმა ასახა იმდროინდელი საფრანგეთის ნათელი სატირულ-რეალისტური სურათი.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ცნობილი რეალისტი რომენ როლანი. მისი რეალიზმი ესაა გმირობის, პათოსის რეალიზმი. როლანის თავისებურება მდგომარეობს მის ინტერესში ღრმა ფილოსოფიური პრობლემებისადმი. რ. როლანმა დაწერა პიესების ციკლი საფრანგეთის რევოლუციაზე („რევოლუციის დრამები“), შექმნა ციკლი „გმირული ცხოვრება“, ხოლო მონუმენტურ ნაწარმოებში „ჟან კრისტოფი“ გააანალიზა დიდი ხელოვნების თემა, გვიჩვენა ძლიერი პიროვნების ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესი ბურჟუაზიულ სამყაროში. რ. როლანის რეალიზმი მრავალმხრივია; რევოლუციური დრამების პათეტიკასთან ერთად მასთან ვხვდებით კლასმელი ხელოსნის სიბრძნესა და იუმორს („კოლა ბრუნიონი“).

რეალისტური ტრადიციების გაგრძელებას ცდილობს XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის ინგლისური ლიტერატურაც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩ. დიკენსის და უ. თეკერეის რეალიზმისა და XX საუკუნის დასაწყისის ინგლისურ რეალიზმს შორის ძევს „ვიქტორიანული ეპოქის“ პერიოდი, მისთვის დამახასიათებელი, აყვავების გზაზე დამდგარი ბურჟუას ტიპებით, რომლებიც ლიტერატურისაგან მოითხოვდნენ გართობასა და დასვენებას. ასეთი ლიტერატურა კი დიდძალი ოდენობით შემოდიოდა საფრანგეთიდან.

აი ასეთ პირობებში იჩქმალებოდა XIX საუკუნის ბოლო პერიოდის ინგლისელ რეალისტთა შემოქმედება, რომელთაგანაც პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ტომას ჰარდი. ჰარდის იდეოლოგიას ა. ვ. ლუნაჩარსკი უწოდებდა „პატიოსანი ადამიანის პესიმიზმს“. მის ნაწარმოებებში გაკრიტიკებულია ინგლისის პროვინციული ქალაქების მოჩვენებითი კეთილდღეობრივი ცხოვრება. ნაწარმოებები „ტეს დებერვილი“ და „შეუმჩნეველი ჯუდი“ გვიხატავენ ნიჭიერი ნატურის მარტოობასა და დაღუპვას ფარისევლობისა და სიღატაკის პირობებში. ასეთივე პირქუში განწყობილებებითაა გამსჭვალული მეორე ინგლისელი რეალისტის სემიუელ ბატლერის შემოქმედებაც, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ინგლისურ ლიტერატურაში ანტი-

უტოპიის (ანტიუტოპია — მომავლის სატირულ-გროტესკული ასახვა) განვითარებისათვის. ვერც ჰარდიმ და ვერც ბატლერმა ვერ შეუშალეს ხელი ინგლისში დეკადენტობის გავრცელებას. დეკადენტური ტენდენციების მსხვერპლი გახდა ოსკარ უაილდი — ინგლისის „ოქროს ახალგაზრდობის მონა და კერპი", მაგრამ მიუხედავად ამისა, დეკადანსის პრინციპები მის შემოქმედებაში თვითმხილებამდეა მიყვანილი. დორიან გრეი, მისი ამავე სახელწოდების რომანის გმირი, ეს „კლასიკური დეკადენტი" იღუპება, იქცევა რა უსახურ მოხუცად. იღუპება ისევე, როგორც მისი ავტორი, გასრესილი იმ საზოგადოების მიერ, რომელსაც ადრე ხოტბას ასხამდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბრიტანეთის იმპერიის ზრდასთან ერთად გაძლიერდა იმპერიალისტური წრეების გავლენა ლიტერატურაზე, რეალისტურ ხელოვნებაზე. სწორედ ამ გავლენის მსხვერპლი გახდა რედიარდ კიპლინგი, რომლის ბევრ ნაწარმოებში შეინიშნება რასისტული, იმპერიალისტური იდეები. კიპლინგი ხოტბას ასხამს წვრილ კოლონიურ მოხელეებს, ჯარისკაცებს („სამი ჯარისკაცი"), სამხედრო კორესპონდენტებს, ლამაზ ფერებში ხატავს „თეთრი ადამიანის მისიას". მაგრამ ამ ნაწარმოებთა გვერდით იგი ქმნის „ჯუნგლების წიგნს" — ეშმარიტად მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ბუნების მშვენიერების საკითხს, მაგრამ სხვა პოზიციებიდან, ვიდრე რ. კიპლინგი, მიუდგა ჯოზეფ კონრადი, რომელმაც თავის ნაწარმოებებში უდიდესი სიყვარულით დახატა ოკეანე, ზღვის გიგანტური, ლამაზი პოეტური ფერებით აღსავსე სახე. ეგზოტიკურ მასალაზე დაყრდნობით შექმნა თავისი ნაწარმოებები რ. ლ. სტივენსონმა, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც ავტორი სათავგადასავლო რომანების, რომელთა შორისაც გამოირჩევა „განძის კუნძული".

XX საუკუნის დასაწყისის ინგლისელ რეალისტებს შორის გამოირჩევიან ჯ. გოლზუორთი, ბ. შოუ, ჰ. უელსი. ჯ. გოლზუორთი ცნობილ გერმანელ მწერალ თ. მანთან ერთად ეკუთვნის მწერალთა იმ კატეგორიას, რომლებმაც შექმნეს ახალი საუკუნის დამდეგისათვის ტიპური „წარმავალი კლასის" წარმომადგენელთა მაღალმხატვრული სახეები. მრავალტომიან რომანში „ფორსაიტების საგა" (პირველი ტომი „მესაკუთრე" — გამოვიდა 1906 წელს). იგი ასახავს ბურჟუაზიულ გვარს, რომელსაც ოდესღაც მკვიდრი ტრადიციები გააჩნდა, ახლა კი რღვევა-განადგურებას განიცდის. გოლზუორთი თავის ნაწარმოებებში აღწერს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების

ლპობას, ხატავს სოციალურ ტიპს, რომელიც უნდა ჩამოვიდეს ისტორიის სცენიდან.

მეორე ცნობილი რეალისტი ბერნარდ შოუ ითვლება ახალევროპული სატირული დრამის ფუძემდებლად. თავის პირველსავე პიესებში, რომელთაც თვით ავტორი „არასასიამოვნოს“ უწოდებდა, იგი იყენებს ნოვატორულ ხერხებს, გმირების შინაგანი ბუნების ასახვისას გვიჩვენებს მათ პოლიტიკურ ტენდენციებს, უკეთებს მათ კომენტარებს და ყურადღებას ამახვილებს პიესის იდეურ მხარეზე. „წმინდა ხელოვნებისათვის ერთ ბწკარსაც არ დავწერდიო“, — ამბობდა ბ. შოუ.

წინამორბედ ფანტასტ მწერალთაგან განსხვავებით ჰ. უელსმა არ დაიწყო ტექნიკურ აღმოჩენათა ილუსტრირება და პროპაგანდა. მისი დამსახურება ისაა, რომ იგი ცდილობდა ამოეხსნა ამა თუ იმ აღმოჩენის ან მიღწევის ფსიქოლოგიური, პოლიტიკური თუ სოციალური შედეგები. ფრანგი ფანტასტი მწერლის ჟ. ვერნის მსგავსად მას შეეძლო არა თუ ეწინასწარმეტყველა რაიმე აღმოჩენა, არამედ შეეძლო ეჩვენებინა მომავლის სოციალური ტიპიც. მაგალითად, რომანში „უჩინარი კაცი“ მწერალმა დააყენა მეცნიერის პასუხისმგებლობის საკითხი იმ აღმოჩენების გამო, რომელიც შეიძლება ნგრევის საშუალება გახდეს. ამ ნაწარმოებებში მწერალმა გამოამზეურა ცინიკური, ინდივიდუალისტი გამომგონებლის სახე, რომელიც საზოგადოებაზე გაბატონებას ცდილობს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გერმანიაში გავრცელებული იყო ნატურალიზმი. თუ ამ მიმდინარეობის მწერალთა ერთი წყება (ჰოლცი, შლაფი და სხვ.) ყურადღებას აქცევდა ანტირეალისტურ ტენდენციებს, მეორენი სოციალური კრიტიკით იყვნენ გატაცებულნი (მაგ., მაქს კრეცერი). ამავე პერიოდში გამოდის სამწერლო ასპარეზზე გერჰარტ ჰაუპტმანი, რომელიც XX საუკუნის დამდეგს გერმანიის უდიდესი დრამატურგი გახდა. 90-იან წლებში შეიქმნა გერმანელ სიმბოლისტთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა შტეფან გეორგე — უკიდურესად რეაქციონერი მწერალი.

ამ მიმდინარეობათა წინააღმდეგ XX საუკუნის დამდეგს გამოდის რეალიზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელია თომას მანი. მისი პირველი რომანი „ბუდენბროკები“ წარმოადგენდა უზარმაზარ ტილოს, რომელზეც აისახა დიდი სოციალური პრობლემები ფართო ისტორიულ ასპექტში. რომანი ეძღვნება ლუბეკელი პატრიციების ცხოვრებას ოთხი თაობის მანძილზე; ნაჩვენებია მათი გადაგვარება, დეგრადაცია. თავის სხვა ნაწარმოებებში („ტონიო კრეგერი“, „სიკვდილი ვენეციაში“ და სხვ.) თ. მანი აყენებს საკითხს მხატვრის ად-

გილის შესახებ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მწერალი დიდ ინტერესს იჩენდა მედიცინის, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიისადმი, ცდილობდა მეცნიერული მიღწევების საფუძველზე გაეანალიზებინა ადამიანის პიროვნება.

თ. მანისაგან განსხვავებით, მისი ძმის ჰაინრიხ მანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნათელი, დემოკრატიული შეხედულებანი, ხალხის თემით დაინტერესება. ჰ. მანის უდიდეს მიღწევად ითვლება სატირული რომანი „ქვეშევრდომი", სადაც არნახულ მკვეთრ ტონებშია დახატული კაიზერ ვილჰელმის დროინდელი გერმანია, გამათრახებულია მილიტარიზმი.

გერმანულთან შედარებით ავსტრიულ რეალიზმს ის უპირატესობა გააჩნია, რომ მასში გაბატონებული იყო დემოკრატიულობა. ხალხთან სიახლოვე, გლეხთა ცხოვრების ასახვა. სწორედ აქ აღმოცენდა მოთხრობის ორიგინალური ფორმა — „სოფლური ისტორია" ამ „სოფლური რეალიზმის" დიდი წარმომადგენელი იყო ლ. ანცენგრუბერი.

საზოგადოებრივი განვითარების სწრაფი ტემპები, რაც დამახასიათებელი გახდა სამოქალაქო ომის შემდეგდროინდელი ა შ შ-თვის. აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც, რომელიც ამ პერიოდში აყვავების გზას ადგა. აშშ-ის რეალიზმის მწვერვალია მარკ ტვენი (სემიუელ კლემენსი). მ. ტვენი უპირატესად სატირიკოსია, რომელმაც ულმობლად დასცინა ბურჟუაზიის საზოგადოებრივ ყოფას. ამასთანავე მისი სატირისათვის დამახასიათებელია ის სიხალისე, რომელიც საფუძველს ჯერ კიდევ ფრანსუა რაბლეს შემოქმედებაში პოულობს. ეს თავისებურება მარკ ტვენის შემოქმედებისა იმით იყო გაპირობებული, რომ იგი მჭიდროდ იყო ხალხთან დაკავშირებული. ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების გარდა მის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, სადაც გამათრახებულია „ფულის მონარქია", რელიგია და ა. შ.

XIX საუკუნის რეალიზმის წარმომადგენელია ფ. ბრეტ ჰარტი, რომლის საუკეთესო ნაწარმოებებიც ეძღვნება ოქროს მაძიებელთა ცხოვრებას (მაგალითად, კალიფორნიული მოთხრობების ციკლი). XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე აშშ-ის ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს ნოველა, რომლის მთავარი წარმომადგენლებია ემბრიოზ ბირნსი და ო. ჰენრი. ასევე, მოთხრობებით მოიპოვა პოპულარობა ჯეკ ლონდონმა. მაგრამ მისი მოთხრობები მკვეთრად განსხვავდება ბირნსისა და ო. ჰენრის ნოველებისაგან. ჯ. ლონდონის ნაწარმოებებში აისახა ჩრდილოეთის მკაცრი, მანამდე არნახული სამყარო, სადაც მოქმედებენ ახალი მიწების დამპყრობი, ძლიერი, მამა-

ცი ადამიანები. ლონდონის დემოკრატიულმა სიმპათიებმა, შთაბეჭდილებათა დიდმა მარაგმა მას მსოფლიო სახელი მოუტანა. მწერლის საუკეთესო რომანები „მარტინ იდენი“ და „რკინის ქუსლი“ დაწერილია იმ დროს, როცა იგი გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით და გამსჭვალული იყო ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით, მაგრამ ჯ. ლონდონი ვერ ამაღლდა მეცნიერულ სოციალიზმამდე.

აშშ-ის კაპიტალიზმის მძაფრი კრიტიკაა მოცემული თეოდორ დრაიზერის შემოქმედებაში. თავის პირველსავე ნაწარმოებებში „კერი“, „ჯენი გერჰარდი“ დრაიზერმა გვიჩვენა აშშ-ის „ეკონომიური პროსპერიტის“ მეორე მხარეც — უმოწყალო კონკურენტული ბრძოლა, რომელიც ადამიანებს ამახინჯებდა როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. მომდევნო ნაწარმოებებში — „ფინანსისტი“, „ტიტანი“. „გენიოსი“ — მწერალი ხატავს მონოპოლისტური კაპიტალიზმის მახინჯ სახეს, მაგრამ იმავე დროს მის შემოქმედებაში თავს იჩენს ნატურალისტური ტენდენციები — როცა იგი ცდილობს ყოველივე ახსნას ბიოლოგიურ საფუძველზე. მისთვის მონოპოლისტური კონკურენცია არის ბიოლოგიური ურთიერთ შესანსვლა, შთანთქმა.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭა სკანდინავიის ქვეყნების და, პირველ ყოვლისა, ნ ო რ ვ ე გ ი უ ლ ლიტერატურას. ჰ. იბსენი, ბ. ბიორნსონი, კ. ჰამსუნი, ა. სტრინდბერგი — ეი მწერლები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს არა მარტო საკუთარი ხალხის, არამედ სხვა ხალხების საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ეს დამოკიდებული იყო ნორვეგიის იმ სოციალურ და ისტორიულ თავისებურებებზე, რაც მშვენივრად დაახასიათა ფ. ენგელსმა: „ნორვეგიელი გლეხი არასოდეს არ ყოფილა ყმა და ეს აძლევს მთელ განვითარებას... სხვაგვარ ფონს. ნორვეგიელი წვრილი ბურჟუა — თავისუფალი გლეხის შვილია და ამის გამო ის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ა დაცემულ ევრპანელ მეშჩანთან შედარებით და როგორიც არ უნდა იყოს, მაგალითად, იბსენის დრამები, ისინი ასახავენ... სამყაროს, სადაც ჯერ კიდევ გააჩნიათ ნებისყოფა და ინიციატივა და მოქმედებენ დამოუკიდებლად, თუმცაღა, უცხოელის თვალსაზრისით, ზოგჯერ უცნაურად“ [1].

ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ახალი ფურცელი გადაიშალა ი ტ ა ლ ი უ რ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი, სადაც ეროვნულ-განმათა-

---

[1] Ф. Энгельс — Паулю Эрнсту, 5 июня 1890 г. იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, т. I, М., 1957, გვ. 125.



რობერტ კოხი

ვილჰელმ კონრად რენტგენი



ერნესტ რეზერფორდი

თომას ალვა ედისონი

ვისუფლებელი იდეების ნაცვლად გაბატონდა კლასიციზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელიც იმ პერიოდში იყო ჯოზუე კარდუჩიო, იტალიაშივე გავრცელდა ნატურალიზმის ნაირსახეობა „ვერიზმი", განსაკუთრებით ჯ. ვერგას შემოქმედებაში. იტალიელი დეკადენტი მწერლებიდან აღსანიშნავია გაბრიელ დ'ანუნციო, შემდგომში ფაშიზმის ერთ-ერთი მეხოტბე, და ფუტურიზმის წარმომადგენელი ტ. მარინეტი.

ესპანეთში რეალისტურ მეთოდს თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ დიდი რომანისტები ბ. პერეს გალდოსი, ავტორი ისტორიული რომანების ციკლისა სახელწოდებით „ეროვნული ეპიზოდები", და ბლასკო იბანიესი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბება. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა რომანტიზმმა, რომელმაც ლათინური ამერიკის პირობებში შეიძინა ახალი ნიშან-თვისებები. ფართოდ გავრცელდა ე. წ. „კოსტუმბრიზმი" (ყოფა-ცხოვრების აღწერით გატაცება). ლათინურ ამერიკაში შეინიშნებოდა რეალიზმიც, რომლის პირველი მერცხალი იყო ჩილელი რომანისტი ალ. ბლესტ განა—ბალზაკის დიდი თაყვანისმცემელი და მიმდევარი. ლათინური ამერიკის ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია „გაუჩოს ლიტერატურას"[1] რომელიც არგენტინაში აღმოცენდა. ამ მიმდინარეობის შესანიშნავი ნიმუშია ხოსე ერნანდესის ეპიკური პოემა „მარტინ ფიერო". კუბაში, სადაც მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ესპანელ და აშშ-ის კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ხოსე მარტიმ თავის შემოქმედებაში ისტორიულ ამოცანებს დაუკავშირა პოეზია.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ლათინურ ამერიკაში გავრცელდა მოდერნიზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელიც იყო პოეტი რუბენ დარიო, ლათინური ამერიკის პირველი პოეტი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ესპანურენოვან პოეზიის განვითარებაზე.

მუსიკა

ისევე როგორც ლიტერატურაში, მუსიკაშიც იჩინა თავი რეალისტური პოზიციებიდან გადახვევამ, ფორმალიზმისაკენ გადახრამ.

XIX ს. 70—80-იან წლებში დასავლეთევროპულ მუსიკალურ ხელოვნებაში დიდი ადგილი დაიკავა მუსიკალურმა დრამამ, რომლის

---

[1] იხ. ახალი ისტორია. მეორე ნაწილი. წიგნი I. თბ., 1972 გვ. 451—452.

განვითარება დაკავშირებულია ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის (1813-83) სახელთან. ვაგნერი მკვეთრად აკრიტიკებდა ძველ ოპერას, კავშირის გაწყვეტას დრამატულ შინაარსსა და მუსიკას შორის. მუსიკისა და დრამის სინთეზისათვის ვაგნერი საჭიროდ თვლიდა ერთ პიროვნებაში კომპოზიტორისა და ლიბრეტისტის გაერთიანებას (რ. ვაგნერი თვითვე იყო თავისი ოპერების ლიბრეტოების ავტორი). გადააქცია რა ოპერა მუსიკალურ დრამად, კომპოზიტორი მიისწრაფოდა სპექტაკლის იდეური გაფართოებისაკენ, მისი ყველა ელემენტის ჰარმონიულობისაკენ. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ვოკალური დეკლამაციის გამომსახველობას, ოპერის სიმფონიზაციას. მან არა მარტო რიცხობრივად გაზარდა ორკესტრი, არამედ ახლებური განმარტება მისცა მის შესაძლებლობებს, იგი იყო საორკესტრო კოლორიტის უდიდესი ოსტატი.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ადრინდელ ეტაპზე ვაგნერმა შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოები, მათ შორის ოპერები: „ტანჰოიზერი“ (1845), „ლოენგრინი“ (1847) და სხვა მრავალი. 50-იან წლებში დაიწყო მუშაობა ტეტრალოგიაზე „ნიბელუნგები“. რომელიც მან დაამთავრა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში.

ტეტრალოგიაზე ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ვაგნერის მსოფლმხედველობაში გაძლიერდა რეაქციული ტენდენციები[1], ა. შოპენჰაუერისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიებით გატაცება, რაც ტეტრალოგიაში გამოიხატა პესიმიზმით და ყველა იმ თვისებით, რომლებიც დამახასიათებელი იყო რევოლუციის შემდგომდროინდელი გერმანელი ინტელიგენციისათვის.

XIX საუკუნის 70—80-იან წლებში გერმანულ და ავსტრიულ მუსიკაში ფართოდ მოიკიდა ფეხი სიმფონიურმა და კამერულმა ჟანრმა. ამ მხრივ აღსანიშნავია იოჰან ბრამსის (1833-97) შემოქმედება. ი. ბრამსი დაიბადა და მოღვაწეობა დაიწყო გერმანიაში, ხოლო შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდი გაატარა ავსტრიაში. იმ დროს, როდესაც გერმანულ მუსიკალურ ცხოვრებაში მიმდინარეობდა ბრძოლა ვაიმარისა (ფ. ლისტისა და რ. ვაგნერის მომხრენი) და ლაიპციგის (ფ. მენდელსონისა და რ. შუმანის მიმდევრები) სკოლებს შორის, ბრამსი არ მიემხრო არც ერთს, ღრმად და თანმიმდევრულად ავითარებდა კლასიკურ ტრადიციებს, რომლებიც მან გაამდიდრა რო-

[1] ახალგაზრდობაში ვაგნერი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიული ლიბერალური ორგანიზაციის „ახალგაზრდა გერმანიის“ წევრებთან, ხოლო 1848-49 წლებში, რევოლუციის დროს განიცდიდა ლ. ფოიერბახის მატერიალისტური ფილოსოფოსა და მ. ბაკუნინის ბუნტარული თეორიების გავლენას.

ძანტიკული შინაარსით. 70-იან წლებში მან შექმნა ოთხი შესანიშნავი სიმფონია, დაწერა სავიოლინო და მეორე საფორტეპიანო კონცერტი, სადაც ბახის, ბეთჰოვენის, შუბერტის, შუმანის ტრადიციების გარდა შეინიშნება შესანიშნავი გაგება ხალხური მუსიკისა.

გამოჩენილი კომპოზიტორ-სიმფონისტების რიცხვს მიეკუთვნება ვაგნერის შემდეგდროინდელი გერმანელი მუსიკოსი რიჰარდ შტრაუსი, რომელმაც თავის სიმფონიურ ნაწარმოებებში — „დონ ჟუანი", „დონ კიხოტი", „გმირის ცხოვრება" — გააგრძელა და განავითარა ბერლიოზისა და ლისტის ტრადიციები. მაგრამ შტრაუსი ვერც მოდერნიზმის გავლენას ასცდა. მის ცალკეულ ნაწარმოებებში იგრძნობოდა ინდივიდუალიზმი.

საოპერო მუსიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის (1813—1901) შემოქმედებას, რომელმაც თავის ნაწარმოებებში შეძლო გაეღრმავებინა რეალიზმი და გაემდიდრებინა მუსიკის ენა. 1869 წელს, სუეცის არხის გაყვანასთან დაკავშირებით მან დაწერა ოპერა „აიდა", რომელიც კაიროში დაიდგა 1871 წელს. მდიდრული აღმოსავლური ეგზოტიკა, საზეიმო მარშები და ცერემონიები, რომლებიც ოპერას ანიჭებენ ბრწყინვალე, პომპეზური სპექტაკლის ხასიათს, შერწყმულია ღრმა ფსიქოლოგიზმთან, მთავარი გმირების მკაფიოდ გამოძერწილ სახეებთან. მომდევნო წლებში ვერდიმ დაწერა „რეკვიემი" (რომელიც მიუძღვნა იტალიელი მწერლის ა. მანძონის ხსოვნას), ოპერები — „ოტელო" (1886) ფსიქოლოგიური მუსიკალური დრამის ბრწყინვალე ნიმუში, მსოფლიო მუსიკალური დრამის შედევრი, და „ფალსტაფი" — კომიკური ოპერა. მაგრამ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე იტალიის მუსიკალურმა ხელოვნებამ მხოლოდ ნაწილობრივ აღიქვა ვერდისეული ტრადიციები. ლეონკავალოს „ჯამბაზები" და პიეტრო მასკანის „სოფლის პატიოსნება" წარმოადგენენ გაბატონებული „ვერისტული" სტილის[1] ტიპურ ნიმუშებს. აღნიშნული პერიოდის იტალიელი კომპოზიტორებიდან აღსანიშნავია ჯაკომო პუჩინი, რომლის ოპერები „ბოჰემა", „ტოსკა", „ჩიო-ჩიო-სანი" გამოირჩევიან დიდი ფსიქოლოგიზმით და ატყვევებენ მსმენელს მელოდიების სიმდიდრითა და სილამაზით.

XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში ღიდი აღმავლობა განიცადა

---

[1] „ვერიზმი" (იტალიური სიტყვიდან verismo — სინამდვილე) ლიტერატურული მიმდინარეობაა და წარმოადგენს ნატურალიზმის იტალიურ ნაირსახეობას. ამ სკოლის კომპოზიტორები ცდილობდნენ შეექმნათ „ცხოვრებასთან ახლოს, სინამდვილესთან ახლოს მდგომი" ოპერები.

ფრანგულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ. ვაგნერის გავლენით ფრანგულმა მუსიკამ უფრო სერიოზული სახე მიიღო. გაფართოვდა მუსიკით დაინტერესებულთა რიცხვი. 1871 წელს შეიქმნა მუსიკის ეროვნული საზოგადოება (Société nationale de musique), რომელმაც მიზნად დაისახა ფრანგული მუსიკის პროპაგანდა. გარდა ამისა, იქმნება ე. წ. „მომღერალთა სკოლა" (Schola cantorum), რომელიც მიზნად ისახავდა ახალი საეკლესიო მუსიკის შექმნას. 80-იან წლებში ლირიკული ოპერების ჟანრში წარმატებით მუშაობდნენ კომპოზიტორები ლეო დელიბი (ოპერა „ლაკმე") და ჟიულ მასნე (ოპერები „მანონი" და „ვერტერი"). ამავე პერიოდში ფრანგული მუსიკალური სამყაროს ჰორიზონტზე უკანასკნელად გაიელვა ჟორჟ ბიზეს ტალანტმა, რომლის შესახებაც ფ. ნიცშე წერდა: „ბიზე უკანასკნელი გენიოსია, რომელმაც იხილა ახალი სილამაზე, ახალი ცდუნება; ბიზე გენიოსია, რომელმაც აღმოაჩინა სამყარო — მუსიკის შუადღე". 1874 წ. ბიზემ პ. მერიმეს მოთხრობა „კარმენის" მიხედვით დაწერა ამავე სახელწოდების ოპერა, რომელიც წარმოადგენდა XIX საუკუნის საოპერო რეალიზმის უდიდეს მონაპოვარს. ოპერის მუსიკა გამოირჩევა დიდი დრამატიული ძალით, მელოდიური გამომსახველობით, მდიდრული ორკესტრირებით. ოპერა „კარმენი" დაწერილია ფრანგული კომიკური ოპერის სტილში და შეიცავდა სასაუბრო დიალოგებს, მოგვიანებით ამ ოპერის ვენაში დადგმის დროს (1875 წელს, როცა ბიზე უკვე აღარ იყო ცოცხალი) კომპოზიტორმა ე. გირომ ამ ოპერაში რეჩიტატივებით შეცვალა დიალოგები. პირველი დადგმის დროს (1875 წ. პარიზში) ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ არ მიიღო ოპერა, მაგრამ ვენაში დადგმის შემდეგ, როგორც ამბობდა ჩაიკოვსკი, „კარმენი" გახდა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ოპერა".

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრანგმა კომპოზიტორებმა სიმფონიური მუსიკის განვითარებაში. მათგან აღსანიშნავია კ. სენ-სანსი, რომლის შესახებაც რ. როლანმა თქვა: „სენ-სანსმა ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე იხილა თავისი თავი კლასიკოსის მდგომარეობაშიო". მუსიკალური კულტურის ენციკლოპედიურობა, სინათლე, გამოსახულების კომპაქტური და ელეგანტური ფორმა დამახასიათებელია სენ-სანსის მუსიკისათვის.

XX ს. დასაწყისში ფრანგ კომპოზიტორთა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებენ კლოდ დებიუსი და მორის რაველი. დებიუსიმ საფუძველი ჩაუყარა მუსიკაში ახალ მიმდინარეობას — იმპრესიონიზმს.

მ. რაველის მუსიკალური მემკვიდრეობიდან ფართო აღიარება მოიპოვეს ნაწარმოებებმა, რომლებიც გაჟღენთილია ესპანური რიტ-

მებითა და ინტონაციებით, რაველი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ახალი მუსიკალური ხელოვნების ყველა საშუალებას, არ წყვეტდა კავშირს XIX საუკუნის რეალისტურ ტრადიციებთან და, მიუხედავად მოდერნისტულ მიმდინარეობებთან სიახლოვისა, არ გამოკეტილა ფორმალიზმის ნაჭუჭში.

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა ახალი ესპანური სკოლის მუსიკაც, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ესპანელი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი ფილიპე პედრელი. ამ სკოლაში გაიზარდნენ ისეთი კომპოზიტორები, როგორებიც იყვნენ ისააკ ალბენისი, ენრიკე გრანადოსი, მაგრამ ესპანური სკოლის უდიდესი მიღწევები მაინც დაკავშირებულია მანუელ დე ფალიას სახელთან, რომლის ვრავალმა ტემპერამენტიანმა, ხალხური ინტონაციებით გაჟღენთილმა სიმღერებმა, ცეკვებმა, ბალეტმა გაუთქვეს სახელი ავტორს ესპანეთის ფარგლებს გარეთაც.

მსოფლიო აღიარება პოვა სკანდინავიის ქვეყნების მუსიკამაც, რომლის წარმატებები, ძირითადად, დაკავშირებულია გრიგისა და სიბელიუსის სახელებთან. გამოჩენილმა ნორვეგიელმა კომპოზიტორმა ედუარდ გრიგმა ერთ-ერთმა კოლორიტულმა ფიგურამ მუსიკაში, თავის მრავალ სიმფონიურ, საფორტეპიანო, ვიოლინოსა და ჩელოსათვის დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებში ხოტბა შეასხა მშობლიური ქვეყნის ხალხსა და ბუნებას. დიდი მუსიკალური მემკვიდრეობა დატოვა ფინური მუსიკის გენიამ იან სიბელიუსმა, რომლის ნაწარმოებთა შორისაც აღსანიშნავია შვიდი სიმფონია, და საყოველთაოდ აღიარებული სავიოლინო კონცერტი.

ახალი მუსიკალური სკოლა ჩამოყალიბდა ინგლისში XIX საუკუნის მიწურულს. ინგლისის მუსიკალური ცხოვრების „აღორძინებაში" დიდი როლი შეასრულეს ედუარდ ელგარმა და რალფ ვოანუილიამსმა. რაც შეეხება ამერიკის შერთებულ შტატებს, — აქ წარმატებით მოღვაწეობდა ლირიკოსი კომპოზიტორი, ამერიკელი „გრიგი" — ედუარდ მაკ-დოუელი.

მუსიკალური კულტურის განვითარების ერთ-ერთ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ვოკალური ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმატება. 1870—1918 წწ. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ვოკალური ხელოვნების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ იტალიელები: ტიტო რუფო, ბატისტინი, ჯირალდონი, ენრიკო კარუზო, გენიალური რუსი მომღერალი და მსახიობი თეოდორე შალიაპინი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში სახელი გაითქვეს ქართველმა ვოკალისტებმა ფილიმონ ქორიძემ, მიშელ დარიალმა (მიხეილ ნანობა-

შვილი), „საქართველოს ბულბულმა“ — ვანო სარაჯიშვილმა (სარაჯინი), ელენე თარხნიშვილმა (თარხან-მოურავი) და სხვ.

თ ე ა ტ რ ი

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სოციალური წინააღმდეგობების გამწვავებამ გამოიწვია ახალი ძვრები თეატრალურ ხელოვნებაში, გაძლიერდა ბრძოლა მოწინავე, იდეურად და შინაარსობრივად მაღალ საფეხურზე მდგომი თეატრისათვის.

70-იან წლებში დასავლეთ ევროპაში გაიშალა ფართო მოძრაობა თეატრალური ხელოვნების განახლებისათვის. უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავდნენ ჩამოეყალიბებინათ მსახიობთა მუდმივი ანსამბლის მქონე სტაციონალური თეატრები. პირველი ასეთი თეატრი აღმოცენდა 1871 წელს პატარა გერმანულ ქალაქ მაინინგენში, რომელმაც მალე ფართო აღიარება პოვა. მაინინგენის თეატრმა დიდი წვლილი შეიტანა რეჟისორული ხელოვნების განვითარებაში, დაამუშავა დადგმების ახალი მეთოდები, მათ შორის მასობრივი სცენების პრინციპები. მაინინგენელები ძირითადად დგამდნენ შექსპირისა და შილერის დრამებსა და ტრაგედიებს, მოლიერის კომედიებს და ცდილობდნენ სცენაზე ნამდვილი ცხოვრება წარმოედგინათ. ამიტომაც დეკორაციების, კოსტიუმებისა და სხვა თეატრალური ატრიბუტების ესკიზების შექმნისას, ისინი ხშირად მიმართავდნენ სამუზეუმო ექსპონატებს, რის გამოც მაინინგელთა სტილმა „არქეოლოგიური ნატურალიზმის“ სახელი მოიპოვა. მაგრამ მაინინგენელებმა ვერ შეძლეს სოლისტ-მსახიობთა თამაშში სიახლის შეტანა, ვერ გასცილდნენ შტამპს, ყალბ დეკლამირებას.

ამავე წლებში თეატრის რეფორმის მოთხოვნით გამოვიდა დიდი ფრანგი მწერალი ემილ ზოლა. იგი მოითხოვდა თეატრის დაახლოებას ცხოვრებასთან, სოციალურ სინამდვილესთან, თეატრისაგან მოითხოვდა ხალხის ცხოვრების ასახვას. მიუხედავად პოზიტივისტური ესთეტიკის გავლენისა, ზოლას „ნატურალისტურ თეატრს“ საფუძვლად ედო ნაყოფიერი რეალისტური ძიებანი.

ახალი ნატურალისტური თეატრი ცდილობდა სინამდვილე წარმოესახა ფოტოგრაფიული წესით, წარმოედგინა სპექტაკლი როგორც „ცხოვრების ნაჭერი“, და სწორედ, ამის გამო, განვითარების საერთო პროცესი განზე რჩებოდათ. ადამიანი იმავე ნატურალიზმის გავლენით ამ თეატრში მოჩანდა როგორც „ბუნების“, „გარემოს“, ბნელი ინსტინქტების მსხვერპლი.

თეატრში ნატურალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ანდრე ანტუანი (1858—1943), ცნობილი ფრანგი მსახიობი, რეჟისო-

რი და თეორეტიკოსი. ანტუანი ახალგაზრდობაში გაიტაცა თეატრმა, დაუახლოვდა სცენის მოყვარულთა ჯგუფს და მალე მისი ხელმძღვანელიც კი გახდა. გაეცნო რა ე. ზოლას გარშემო თავმოყრილ მწერალთა ჯგუფს (ე. გონკური და სხვ.), ანტუანი გახდა ზოლას ნატურალისტური პრინციპების პროპაგანდისტი. 1887 წელს ანტუანმა თავისი სცენისმოყვარულთა ჯგუფის საფუძველზე დააარსა ე. წ. „თავისუფალი თეატრი", რომელშიც მუშაობდა 1894 წლამდე. 1897 წელს იგი აარსებს ახალ თეატრს, რომელიც ცნობილია „ანტუანის თეატრის" სახელწოდებით. თავის საქმიანობაში ანტუანი გამოდიოდა მელოდრამის, მეშჩანური დრამატურგიის წინააღმდეგ. იგი თვლიდა, რომ თეატრმა უნდა ჭეშმარიტი ცხოვრება აჩვენოს და. ამიტომ, ისეთ პიესებს დგამდა, სადაც ტრაფარეტული „საყვარლების", „გმირებისა" და „ნევრასთენიკების" ნაცვლად ნაჩვენები იყო უბრალო ხალხის — გლეხების, წვრილი ბურჟუას, მუშების ცხოვრება.

გამოდიოდა რა პრინციპიდან — „ახალ თეატრს ახალი შემსრულებელი სჭირდება", იგი ასწავლიდა მსახიობებს გულმოდგინედ შეესწავლათ როლი, გაეხსნათ მოქმედი პირის ფსიქოლოგია, იბრძოდა ბუნებრიობისათვის, გამოდიოდა „კომედი ფრანსეზ"-ის მსახიობთა პირობით-დეკლამაციური თამაშის მანერის წინააღმდეგ, ებრძოდა „პრემიერობას". თავის დადგმებში იგი არღვევდა აკადემიურ თეატრალურ კანონებს, აგებდა იმ დროისათვის გაბედულ მიზანსცენებს (მსახიობს შეეძლო მაყურებლისაკენ ზურგით მდგომს ელაპარაკა), შემოიღო ხმის ეფექტები (ქარი, წვიმა და ა. შ.). მაგრამ ანტუანს ნაკლიც გააჩნდა. მიუხედავად ბევრი პიესის რეალისტური ხასიათისა, ანტუანი მათ ნატურალისტურ ხასიათს აძლევდა. „ნამდვილი" ნივთებით გატაცება ანტუანის თეატრში იქამდე მიდიოდა, რომ სცენაზე მსახიობი ქალები, რომლებიც მრეცხავების როლს თამაშობდნენ, რეცხავდნენ ნამდვილ სარეცხს კასრებში, რომელთაც ორთქლი ასდიოდათ, ხოლო 1888 წელს დადგმულ იკრის პიესაში „ყასბები" სცენაზე საქონელიც კი დაკლეს.

ანტუანს თეატრი ესმოდა როგორც ლიტერატურის პროპაგანდის საშუალება და ამიტომაც მან მსახიობს წაართვა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, დაუმორჩილა იგი დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრს.

„ანტუანის თეატრის" ნატურალიზმს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა გერმანიაშიც, XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე თეატრალური ცხოვრების ცენტრად ბერლინი ხდება. 1883 წელს აქ დაარსდა „გერმანული თეატრი", ხოლო 1889 წელს — „თავისუფალი თეატრი",

რომელსაც სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ოტო ბრამი, „პაუზების რეჟისორი“ (აიძულებდა მსახიობებს ნელა ელაპარაკათ). ბრამის აზრით, თეატრს უნდა აღედგინა „ცხოვრების ნაჭერი“ ყოველგვარი წვრილმანებით.

გერმანული თეატრის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა გ. ჰაუპტმანის პიესა „ფეიერების“ დადგმამ (1894). სპექტაკლი, სადაც პირველად გერმანული თეატრის ისტორიაში იყვნენ აჯანყებული სილეზიელი მუშები ნაჩვენები, ნიღაბს ხდიდა კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისასტიკეს. 1900-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მოღვაწეობა გამოჩენილმა გერმანელმა მსახიობმა, რეჟისორმა და თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსმა მ. რაინჰარდტმა, რომელმაც სულ მალე დიდი რეჟისორის სახელი მოიპოვა. მან გერმანულ თეატრში განახორციელა გერმანელ კლასიკოსთა და შექსპირის დრამების შესანიშნავი დადგმები.

XIX საუკუნის მიწურულში დასავლეთ ევროპის თეატრები გაემიჯნენ ნატურალიზმს და შემოქმედების მთავარ თემად დიდი ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ასახვა გაიხადეს. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ჰ. იბსენის, ჯ. გოლზუორთის, ბ. შოუს, გ. ჰაუპტმანისა და სხვა რეალისტი მწერლების დრამატურგიამ.

90-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება ლონდონში რეალისტური თეატრების—„დამოუკიდებელი თეატრისა“ და „ოლდ უიკის“ დაარსება. რაც შეეხება ფრანგულ რეალისტურ თეატრალურ ხელოვნებას, იგი ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნების რეალისტურ თეატრებსა და ჯერ კიდევ აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს სარა ბერნარის, კოკლენ-უფროსისა და სიულის გამოსვლებს „კომედი ფრანსეზში“.

რეალისტური თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთაგან ამ პერიოდში აღსანიშნავი არიან გერმანელი მსახიობები ემანუილ რაინერი და აგნეს ზორმა, ინგლისელი მსახიობი ქალი ელენ ტერი და, ბოლოს, რეალისტური ხელოვნების მწვერვალი — იტალიელი მსახიობი ელეონორა დუზე, რომლისთვისაც ამოსავალი წერტილი მხატვრულ სახეთა შინაგანი სამყარო იყო.

XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის თეატრალური ცხოვრებისათვის მეტად დამახასიათებელი გახდა სახალხო თეატრების შექმნა, იმდენად დამახასიათებელი, რომ რ. როლანმა 1903 წელს მას სპეციალური შრომაც კი უძღვნა სახელწოდებით „სახალხო თეატრი“. პირველი ასეთი თეატრი დაარსდა გერმანიაში „თავისუფალი სახალხო სცენის“ სახელწოდებით. მოძრაობას სახალხო თეატრების შესაქმნელად საფრანგეთში ხელმძღვანელობდნენ რ. როლანი, გერმანიაში — ფ. მერინგი, ბელგიაში — ე. ვერჰარნი.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენდა სიმბოლისტური თეატრი, რომელმაც შემოიტანა განწირულობისა და უიმედობის თემები. ბელგიელი მწერლის მ. მეტერლინკის ტრაგიზმით აღსავსე ფსიქოლოგიურ პიესებთან ერთად თეატრში შეიჭრა მისტიციზმი და პესიმიზმი. მრავალი რეჟისორი, მათ შორის ისეთი ცნობილნი, როგორებიც იყვნენ იმ დროისათვის ლუი პოე და ჟაკ კოპო, ცდილობდა მოეძებნა გამომხატველობის ახალი ორიგინალური ფორმები, მაგრამ ამაოდ — მოდერნისტული დადგმები შორს იდგა ცხოვრების აქტუალური პრობლემატიკისაგან.

მოდერნისტულ სპექტაკლებს, თუმცა იშვიათად, დგამდა ინგლისელი რეჟისორი გორდონ კრეგი, რომელიც რეალიზმს „გამომხატველობის ვულგარულ საშუალებას" უწოდებდა და მოითხოვდა ბრძოლას „წმინდა სილამაზისათვის". მაგრამ კრეგის შეხედულებებმა ვერ პოვეს გავრცელება თეატრში და დაამტკიცეს მისი მეთოდების უსუსურობა.

მოდერნიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა იმ დროის ცნობილი მოცეკვავე ქალი აისედორა დუნკანიც.

პირველი მსოფლიო ომის წლებში თეატრალური ცხოვრება განიცდის კრიზისს. აყვავდა მსუბუქი ჟანრი; სტანდარტიზაციამ და „ამერიკანიზაციამ" თეატრალური ხელოვნება ჩიხში ჩააყენეს.

სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბურჟუაზიული კულტურის კრიზისმა სახვით ხელოვნებაშიც იჩინა თავი. გაძლიერდა ბურჟუაზიული ხელოვნების ის მიმდინარეობები, რომლებიც ხოტბას ასხამდა ბურჟუაზიული მორალის პრინციპებს. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა ე. წ. სალონურ ხელოვნებას, რომლის წარმომადგენლებიც უდიდესი გულმოდგინებით უკეთებდნენ რეკლამას უხეშ ეროტიზმს, მისტიციზმსა და ეგოიზმს. ამ მიმდინარეობის მხატვრებს ნაკლებად აინტერესებდათ ცხოვრების სინამდვილე. მაგრამ მათ შორისაც გამოჩნდნენ ერთეულები, რომლებიც ცდილობდნენ დრომოჭმული აკადემიზმისა და ნატურალიზმის განახლებას. ძველი ფორმების მიმდევარი მხატვრების — ბონისა და ფრიანის, ლინბახისა და პიგლჰაიმის, მაკარტის და სხვათა გვერდით გამოჩდნენ „ნოვატორები", რომლებიც ცდილობდნენ ახალი, უფრო „ნატიფი" ფორმების პოვნას. ასე წარმოიშვა 90-იან წლებში „მოდერნული" სტილი.

მოდერნული სტილის მამამთავარი, ფინელი მხატვარი აქსელ ჰალენკაველა თავის ნახატებს აძლევდა რაღაც იდუმალ, საოცარ შინაარსს. იძლეოდა კონტურების განგებ სიმკვეთრეს, ჭრელი ფერების

წმინდა დეკორატიულ პირობითობას. ეს მოდა სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს. „მოდერნისათვის“ დამახასიათებელი ნიშნები მკვეთრად გამოიკვეთა ინგლისელი მხატვრების ედუარდ ბერნ-ჯონსონის და ობრი ბიორდსლის თითქმის ავადმყოფურ სიმბოლიკაში, შვეიცარიელ არნოლდ ბიოკლინის ვულგარულ სიმბოლისტურ სურათებში, ფრანგ მორის დენის დეკორაციულ პანოებში, იმ გერმანელი მხატვრების სურათებში, რომლებიც მიუნხენის კლუბ „სეცესიონში“ იყვნენ გაერთიანებულნი. „მოდერნის“ სტილმა გამოყენება პოვა წიგნის ვრაფიკასა და არქიტექტურაში.

ამავე პერიოდში წამოიმართა რეალისტური სახვითი ხელოვნების ახალი მძლავრი ტალღა, რომელიც გაჟღენთილი იყო ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი მძაფრი კრიტიკის სულისკვეთებით.

რეალისტური ხელოვნების განვითარებას თავისი ღრმა ანაბეჭდი დაატყო ცალკეული ქვეყნების ისტორიული განვითარების გზებმაც, რაც კარგად მოჩანს გერმანიისა და აშშ-ის მაგალითებზე. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ სკოლათა მნიშვნელობა.

გერმანიაში, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ დაადგა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა და კოლონიალიზმის გზას, ბევრი მხატვარი-რეალისტი იმპერიალისტური დემაგოგიის და ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ მოექცა. დიდმა მხატვრებმაც კი განიცადეს ორპოფობა და გაორება შემოქმედებაში. მაგალითად, ადოლფ მენცელი, იმდროინდელი გერმანული ცხოვრების ჭეშმარიტად ზუსტი ამსახველი, იმავე დროს აიდიალებდა ფრიდრიხ II-ეს და ვილჰელმ I-ს. მეორე გამოჩენილი მხატვარი ვილჰელმ ლეიბელი იყო შესანიშნავი პორტრეტისტი, იცოდა მზით გაჟღენთილი კოლორიტის საიდუმლოება, მაგრამ თანდათანობით დაკარგა მისი საუკეთესო ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი გულწრფელობა.

სულ სხვა გზით წარიმართა რეალიზმი აშშ-ის სახვით ხელოვნებაში. აშშ-ის სამოქალაქო ომში ჩრდილოეთ შტატების გამარჯვების პროგრესულმა იდეებმა და აბრაჰამ ლინკოლნის ჰუმანისტურმა და დემოკრატიულმა პრინციპებმა ფართო გამოხმაურება პოვეს ხელოვნებაში. გამოჩნდნენ მხატვრები უინსლოუ ჰომერის, ტომას იკინსის და ჯეიმზ მაკ-ნეილ უისტლერის სახით, რომლებმაც ბურჟუაზიულ მძარცველობას, ეგოიზმს, თვითკმაყოფილებას დაუპირისპირეს მშრომელი ხალხის საქმიანობა მკაცრი, მაგრამ, იმავე დროს, წარმტაცი ბუნების წიაღში, დაუპირისპირეს მას მოწინავე ამერიკელი ინტელიგენციის მაღალი ჰუმანიზმი. ამავე მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება სკულპტორი ოგსტეს სენტგოდენსი. მან შექმნა ლინკოლ-

ნის ძეგლი, რომელიც ამ პიროვნების საპატივცემლოდ დადგმულ ძეგლთა შორის აღიარებულია საუკეთესოდ (დადგმულია ჩიკაგოში). XX საუკუნის დამდეგს აშშ-ში აღიმართა რეალიზმის ახალი ტალღა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ შესანიშნავი ოსტატები: რობერტ ჰენრი, ჯონ სლოუნი, ჯორჯ ლასკი. ჯორჯ ბელოუზი, შეშინებულმა ბურჟუაზიამ მათ „რევოლუციური ბანდა" უწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის წინაშე ზოგიერთმა ამერიკელმა რეალისტმა მხატვარმაც მოიხარა ქედი.

XIX საუკუნის რეალისტურ ხელოვნებაში ამ პერიოდში გაჩნდა მიმდინარეობები, რომელთა მიმდევრებიც ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვისას ეძებდნენ ახალ გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს. ზოგიერთ ხელოვანთან ეს ძიება ჭეშმარიტად ამდიდრებდა რეალისტურ ხელოვნებას, ზოგიერთთან კი იწვევდა მხატვრის დეგრადაციას, ცხოვრებისეული სინამდვილიდან უკუდგომას. ასეთი სახის ძიებანი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის ფრანგული სახვითი ხელოვნებისათვის.

აღნიშნულ პერიოდში მრავალი ფრანგი ხელოვანისათვის ძირითადი ლოზუნგი გახდა „პალიტრის გარეცხვა" და ხატვა Sub Move crudo (ღია ცის ქვეშ). შეიქმნა ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი, რომლებმაც ახალი სიტყვა თქვეს პეიზაჟის წერაში. ბულვარული პრესა მათ დაცინვით იმპრესიონისტებს უწოდებდა. ეს სახელწოდება ამ დაჯგუფებას მიეცა იმ პოლემიკის დროს, რომელიც გაიმართა ამ მხატვართა პირველი გამოფენისას.

იმპრესიონისტებისათვის ბუნებაში არც ერთი ფერი არ არსებობდა თავისთავად. მათთვის საგნების ფერი წმინდა ილუზია იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ფერების ერთადერთი შემოქმედებითი წყარო ესაა მზე, რომელიც თავის სხივებში ხვევს ყველა საგანსა და დღის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფერს აძლევს მათ.

იმპრესიონიზმი რთული მოვლენაა, რომელიც დღემდე იწვევს საწინააღმდეგო შეფასებებს; შესაძლოა ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ მიმდინარეობაში გაერთიანებული იყვნენ მხატვრები მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობით. თავიანთი არსებობის საწყის ეტაპზე ისინი გამოდიოდნენ აკადემიზმის, სალონური ხელოვნების წინააღმდეგ. მათ მგზნებარედ უყვარდათ ფრანგული ბუნება. იმპრესიონისტები არასოდეს არ წყვეტდნენ კავშირს რეალობასთან; ისინი სახვით ხელოვნებას მზით, სითბოთი და ჰაერით ავსებდნენ. ფრანგული ხელოვნებისათვის იმპრესიონიზმი იყო ეროვნული რეალისტური პეიზაჟის განვითარების კულმინაციური წერტილი.

იმპრესიონისტების დამსახურებასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას მათ მსოფლმხედველობის მეთოდსა და იდეურ შეზღუდულობას, რამაც განაპირობა ამ მიმდინარეობის ხანმოკლე არსებობა. იმპრესიონიზმის აღმავლობის პერიოდად ითვლება 70-80-იანი წლები. 1886 წელს შედგა იმპრესიონისტების ბოლო გამოფენა, რომლის შემდეგაც ზოგიერთი მხატვარი ჩამოსცილდა ამ სკოლას. 1871-83 წლებში გარდაიცვალნენ კ. კორო, ე. მილე, გ. კურბე, ო. დომიე, ე. მანე, დაბრმავდა დეგა, იკლო რენუარის ოსტატობამ. ფრანგული რეალისტური ხელოვნების მოღვაწეებიდან დარჩნენ დიდი სკულპტორი ოგიუსტ როდენი და ლირიკოსი-პეიზაჟისტები კ. პისარო, ა. სისლეი, კ. მონე და პ. სეზანი. მაგრამ 80-იანი წლების იმპრესიონიზმმა ბევრი მიღწევა მიიყვანა უკიდურესობამდე.

ბურჟუაზიული რეაქციული, კონსერვატიული წრეები უარყოფდნენ იმ მხატვრებს, რომლებიც გამოდიოდნენ გაბატონებული ფემოვნების წინააღმდეგ, სდევნიდა მათ, ანდა არ სცნობდა. ასეთი იყო დიდი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის (ცნობილი ქართველი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მასწავლებელი) მიმართ. მისმა ჭეშმარიტად ნოვატორულმა ხელოვნებამ, რომელიც ადამიანებისა და კეთილშობილების აპოლოგიას წარმოადგენდა, გამოიწვია დაცინვები ბურჟუაზიულ-კონსერვატიული კრიტიკის მხრივ; როცა როდენის შემოქმედებაში მისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში თავი იჩინა რეალისტური პოზიციებიდან გარკვეულმა გადახვევამ, იგივე კრიტიკოსები უკვე როდენის მეხოტბეებადაც კი მოგვევლინნენ.

ბურჟუაზიული სამყაროს კრიტიკით გამოდიოდნენ პოლ გოგენი და ანრი ტულუზ-ლოტრეკი, რომლებმაც არსებულ ბურჟუაზიულ სინამდვილეს დაუპირისპირეს ოკეანიის ნათელი და პოეტური (თუმცა, ხშირად უაღრესად რომანტიკული) ცხოვრება (პოლ გოგენი), ანდა ძირამდე გააშიშვლეს ბურჟუაზიული საზოგადოების სიმახინჯე (ტულოზ-ლოტრეკი).

მიუხედავად მხატვრულ მიმდინარეობათა სიმრავლისა და დახლართულობისა თანდათან გამოიკვეთა რეალისტური ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი. უკვე 1900 წლისათვის გაჩნდნენ პოლიტიკური და სოციალური სიმძაფრით აღსავსე ტილოები — კეტე კოლვიცისა გერმანიაში. ფრენკ ბრენგვინისა ინგლისში, სტეინლუნის ლითოგრაფიები საფრანგეთში. მუშათა კლასის წარმომადგენელთა ღრმად შთამბეჭდავი სახეები შექმნა ბელგიელმა სკულპტორმა კონსტანტინე მენიემ. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ძირითად ხაზებში ჩამოყალიბდა ამ პერიოდში ესპარეზზე გამოსული ფრანგი ალბერ მარკეს და ამერიკელ როკუელ კენტის ხელოვნებაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მხატვრული ცხოვრების აღმავალმა სირთულემ ზოგიერთი დიდი ოსტატის შემოქმედებას ცალმხრივი და წინააღმდეგობრივი განვითარება მისცა. მაგალითად, ანრი მატისმა თავისი ხელოვნება დაიყვანა დამაბრმავებელი სილამაზის, ოპტიმისტურ, მაგრამ იმავე დროს, უაღრესად დეკორატიულ ფერთა შეხამებამდე, გაუბრალოებულ, ზოგჯერ დეფორმირებულ ნატურამდე.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წარმოიშვა წინააღმდეგობა მშენებლობის ახალ ტექნიკასა და არქიტექტურულ ნაგებობათა ზედაპირულ, ეკლექტიკურ სტილიზაციას შორის, რამაც გამოიწვია ევროპასა და ამერიკაში არქიტექტურის, როგორც ხელოვნების დაცემა. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შექმნილი ნაგებობა ირთვებოდა ძველი არქიტექტურული სტილის მოტივებით. თუმცა ამავე პერიოდში შეიქმნა ნაგებობები, რომლებიც ინჟინრული არქიტექტურის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა. ასეთები იყვნენ მამა-შვილის რებლინგების მიერ აგებული ბრუკლინის ხიდი ნიუ-იორკში და ეიფელის მიერ აგებული კოშკი პარიზში.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა პირველი ცდები ახალ საამშენებლო ტექნიკის მხატვრული გააზრების თვალსაზრისით. არქიტექტურის განვითარებისათვის განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს ორმა ამერიკელმა არქიტექტორმა ლუის სალივანმა და ფრენკ ლოიდ რაიტმა. სალივანმა შექმნა ცათამბჯენთა პირველი ტიპები და დაამუშავა უზარმაზარი საზოგადოებრივ ნაგებობათა ახალი ნიმუშები, ხოლო ლოიდ რაიტმა დიდი მუშაობა გასწია ბუნებასთან შერწყმული პატარა საცხოვრებელი სახლის ახალი ტიპების დასამუშავებლად. სალივანსა და რაიტს ბევრი მიმდევრები გამოუჩნდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს არქიტექტორები ფრანგი პერე და ფინელი საარინენი.

წარმოებისა და ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა სახვითი ხელოვნების სრულიად ახალი დარგი — სამრეწველო ესთეტიკის სახით. ხელოვანთა მთელი არმია ემყარებოდა სამრეწველო ნაწარმისა და სატრანსპორტო საშუალებათა მხატვრული კონსტრუირების საქმეს. განვითარდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ქსოვილებისა და ტანსაცმლის, ავეჯისა და საერთოდ ინტერიერის მხატვრული გაფორმების საქმე. ხელოვნების ამ ახალი დარგების განვითარება ხდებოდა კაპიტალისტური წარმოების მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ.).

შინაარსი

კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში (ვ. დონაძე)
იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის ძირითადი ნიშნები (3). მონოპოლიები და მათი ადგილი სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებაში (5). იმპერიალიზმის თავისებურებანი ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (13). კაპიტალიზმის ლპობის ტენდენცია. პარაზიტიზმის ზრდა (14). განვითარების უთანაბრობის გამწვავება იმპერიალიზმის ეპოქაში (18). იმპერიალიზმი და პოლიტიკური რეაქცია (20). იმპერიალიზმის შეფასება ბურჟუაზიულ, წვრილბურჟუაზიულ-პაციფისტურ და სოციალ-რეფორმისტულ ლიტერატურაში და მისი კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ (22).

გერმანია 1897 — 1914 წლებში (ნ. კიკვაძე) 26
გერმანიის ეკონომიური განვითარება XX საუკუნის დამდეგს (26). გერმანიის იმპერიალისტური პოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში (28). პოლიტიკური რეაქციის გაძლიერება გერმანიაში (32). ოპორტუნისტული და რევოლუციური ტენდენციების ბრძოლა გერმანიის მუშათა მოძრაობაში (33). პოლიტიკური კრიზისის მომწიფება მსოფლიო ომის წინ (40).

ინგლისი 1895 — 1914 წლებში (რ. ლასკარი) 42

საფრანგეთი 1899 — 1914 წლებში (კ. ანთაძე) 88

ამერიკის შეერთებული შტატები 1898—1914 წლებში (გ. კიღურაძე) 112

ავსტრია-უნგრეთი 1899 — 1914 წლებში (ნ. კიკვაძე) 151
ავსტრია-უნგრეთის ეკონომიური განვითარება (151). ეროვნული საკითხის გამწვავება ავსტრია-უნგრეთში (152). რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენა ავსტრია-უნგრეთზე. ბრძოლა საარჩევნო სისტემის რეფორმისათვის (154). ოპორტუნიზმის ზრდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაში (156). ავსტრია-უნგრეთის იმპერიალისტთა მიერ ომის მომზადება (157).

იტალია 1900 — 1914 წლებში (რ. ლასკარი) 160

ესპანეთი 1900-18 წლებში (ვ. ივანოვი) 202

მეორე ინტერნაციონალი 1900-14 წლებში. ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე (ვ. დონაძე) 228
მუშათა კლასის ბრძოლის ახალი პირობები იმპერიალიზმის ეპოქაში. ორი ტენდენციის გაძლიერება მუშათა მოძრაობაში (228). პარიზის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი (229). საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება რუსეთში. ბოლშევიკური პარტიის შექმნა (232). მეორე ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესი და მისი გადაწყვეტილებანი (234). რუსეთის 1905 წლის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა. II ინტერნაციონალის სხვადასხვა მიმდინარეობათა დამოკიდებულება ამ რევოლუციისადმი (237) შტუტგარტის კონგრესი და მისი გადაწყვეტილებანი (240). ვ. ი. ლენინის ბრძოლა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის წინააღმდეგ (248) კოპენჰაგენის კონგრესი და მისი ძირითადი გადაწყვეტილებები (251). მეორე ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესი. მანიფესტი ომის წინააღმდეგ (254). მეორე ინტერნაციონალის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებაში (257)

ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისათვის და საერთაშორისო ურთიერთობანი XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს (გ. კილურაძე) 260

1914-18 წლების პირველი მსოფლიო ომი (გ. კილურაძე) 302

პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათი და ამოცანები (302). ივლისის კრიზისი და ომის გაჩაღება (337). მეომარ მხარეთა სამხედრო ძალები და სამხედრო-სტრატეგიული გეგმები (350). საომარი ოპერაციები 1914 წელს, იაპონიისა და თურქეთის ომში ჩაბმა (363). ომის მიმდინარეობა 1915 წელს (374). ომის მიმდინარეობა 1916 წელს (383). ომის მიმდინარეობა 1917 წელს (392)

II ინტერნაციონალის კრახი (რ. ლახკარი) 402

ინგლისი პირველი მსოფლიო ომის წლებში (ვ. ივანოვი) 411

საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის წლებში (კ. ანთაძე) 426

ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში (გ. კილურაძე) 435

გერმანია პირველი მსოფლიო ომის წლებში (ნ. კიკვაძე) 447

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა ომის დროს (447). მუშათა მოძრაობა (449). შინაპოლიტიკური მდგომარეობის გაძნელება გერმანიაში (453).

ავსტრია-უნგრეთი პირველი მსოფლიო ომის წლებში (ნ. კიკვაძე) 460

ავსტრია-უნგრეთის ეკონომიური მდგომარეობა ომის დროს (460). ეროვნული და ომის საწინააღმდეგო გამოსვლები ავსტრია-უნგრეთში (461). შინაპოლიტიკური კრიზისი ავსტრია-უნგრეთში (462).

იტალია პირველ მსოფლიო ომში (რ. ლახკარი) 465

ომი და დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ხალხები (ვ. დონაძე) 477

კოლონიები, როგორც მეტროპოლიების რეზერვი ომის დროს (477). კოლონიური და ნახევარკოლონიური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ომის წლებში (480). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში (483). სამხრეთ და დასავლეთ სლავების განმათავისუფლებელი მოძრაობა ომის წლებში. გერმანიის ცდა—გამოიყენებინა პოლონეთის ეროვნული მოძრაობა თავისი მიზნებისათვის (486). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირლანდიაში (489).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი გავლენა ომის მსვლელობასა და რევოლუციური კრიზისის განვითარებაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში ომის დასასრულს (ვ. დონაძე) 491

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რუსეთში როგორც ორი სისტემის წარმოშობისა და ურთიერთბრძოლის დასაწყისი (491). ბრესტ-ლიტოვსკის საზაო მოლაპარაკება და ბრესტის ზავი (494). გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების ინტერვენცია საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა ხალხის ბრძოლა ინტერვენტთა წინააღმდეგ. ანტანტის ინტერვენციის დასაწყისი (500). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა კაპიტალისტურ ქვეყნებზე და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა (502). მეომარი სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობა 1918 წლის დამლევისათვის (510). გერმანიის შეტევა დასავლეთის ფრონტზე 1918 წლის მარტ-ივლისში და მისი მარცხი (512). ანტანტის კონტრშეტევა და გერმანიის დამარცხება. გერმანიის მოკავშირეთა არმიების გახრწნა (514). ბულგარეთის, თურქეთისა და ავსტრია-უნგრეთის კაპიტულაცია. ავსტრია-უნგრეთის დაშლა (516). გერმანიის რევოლუციის დასაწყისი. გერმანიის კაპიტულაცია და კომპენის დაზავება (518).

მეცნიერება და ტექნიკა იმპერიალიზმის პერიოდში პირველ მსოფლიო ომამდე (გ. ბოლოთაშვილი) 521

ტექნიკა 1870—1918 წლებში (526). მეცნიერება (543). ლიტერატურა და ხელოვნება (1870—1917) (557).